

საერთაშორისო კონფერენცია

„არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა - ტენდენციები და გამოწვევები“

24-25 სექტემბერი, 2020 წელი

International Conference

Archival and Source Studies – Trends and Challenges

24-25 September, 2020

თბილისი 2024 Tbilisi

სარედაქციო ჯგუფი:

თეონა იაშვილი

ქეთევან ასათიანი

ნინო ბადაშვილი

თამთა შონვაძე

დომიტრი სილაქაძე

ლევან ჯიქია

კორექტორი:

მარიამ ჯანიაშვილი.

კრებულში წარმოდგენილი მასალის გამოყენება და გავრცელება დასაშვებია მხოლოდ წყაროს მითითებით.

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნით ავტორებს და შესაძლებელია არ ასახავდეს სარედაქციო ჯგუფის შეხედულებებს.

@ ყველა უფლება დაცულია

ანტიკური ხანის ბერძნული წარწერები, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო (დასავლეთ საქართველო)

ნათია ფიფია, ეკატერინე კობახიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ანტიკური ხანის ბერძნული წარწერები საკმაოდ ინფორმატიულია, როგორც საქართველოს ისტორიისათვის, ასევე ზოგადად ანტიკური ისტორიის კვლევისთვის. მათი შესწავლა ძირითადად თ. ყაუხჩიშვილის სახელს უკავშირდება, თუმცა, მიუხედავად მისი უმნიშვნელოვანესი გამოცემისა, უახლესი გამოკვლევების ფონზე წარწერების ახლებური ინტერპრეტაციაც შეიძლება. ასევე რამდენიმე ახლად აღმოჩენილი წარწერაც, რომელიც თ. ყაუხჩიშვილის კორპუსში არ შესულა, დამატებით კომენტარს მოითხოვს. ჩვენი ნაშრომის მიზანია ყველა წარწერასთან დაკავშირებით სათანადო სამეცნიერო კომენტარის დართვა უახლესი მონაცემების ფონზე.

მეფე ბაკურის წარწერები. 2005 წელს აფხაზეთში, გაგრის რაიონის სოფ. აჩმარდის ახლოს მდებარე იმ სამარხების გამოკვლევისას, რომელიც მძარცველური გათხრებით იყო დაზიანებული, აღმოჩნდა ანტიკური ხანის სამარხი. ამ არქეოლოგიური ექსპედიციის მასალები 2007 წელს ავტორთა კოლექტივმა მოსკოვში გამოაქვეყნა. სამარხის ნომრად სტატიასში მითითებულია №5, ხოლო იგი მდებარეობს №1 და №2 სამარხებს შორის. აღწერილობით სამარხში მიცვალებული გულადმაა დაკრძალული. სხვადასხვა ნივთებს შორის აღმოჩენილი იქნა ვერცხლის დოქი¹ (Виноградов, 2013, გვ. 55, 62). ა. ვინოგრადოვი ასე კითხულობს და თარგმნის წარწერას:

Εγώ Πακουριος ὁ βασιλεὺς τοῦ α
μνοῦς ξῆακα

მე, მეფე პაკურმა ცხვრებს [ჩემსას] მივეცი წარწერა (Виноградов, 2013, გვ. 55, 62).

წარწერა, პალეოგრაფიული ნიშნებით, ვინოგრადოვის აზრით, შეიძლება დათარიღდეს მხოლოდ ფართო მონაკვეთით ახ. წ. I-IV საუკუნის დასაწყისით, თუმცა სამარხში აღმოჩენილი ინვენტარის, კერძოდ მინის ოთხწახნაგოვანი ბოთლის ანალიზის საფუძველზე (რომაული ჭურჭლის ასეთი ტიპი ხმარებიდან პრაქტიკულად გამოდის IV ს-ში), წარწერა III საუკუნეს მიეკუთვნება (Виноградов, 2013, გვ. 58, 62, 65). წარწერის ფორმულას, ავტორის აზრით, არ მოეძებნება პირდაპირი ანალოგიები ბერძნულ ეპიგრაფიკაში და, სავარაუდოდ, აღმოსავლური წარმომავლობა უნდა ჰქონდეს. მკვლევარს ამას აფიქრებინებს მეფისა და ქვეშევრდომების ურთიერთობის წარწერისეული გააზრება, როგორც მწყემსისა ცხვრებთან (Виноградов, 2013, გვ. 55, 62).

მეფე ბაკურის იდენტიფიკაციის პროცესში ვინოგრადოვმა წარმოადგინა ყველა ბაკური, ვინც მისთვის რეგიონის ისტორიიდან იყო ცნობილი და ხაზი გაუსვა ყველა შესაძლებელ ვარიანტს, თუ ვინ შეიძლება იყოს აჩმარდის წარწერის მეფე ბაკური. მან უარყო პართიის მეფე ბაკურის, ასევე მესენა-ხარაკენეს მეფე ბაკურის კავშირი ამ წარწერასთან. რაც შეეხება არმენიის მეფე ბაკურს, რომელიც ხანმოკლე ვადით (ახ. წ. 161-163 წწ.) მართავდა სომხეთს, აჩმარდის თასის მასთან კავშირის ავტორი სრულიად არ უგულვებელყოფდა, მით უფრო, რომ კ. ტრევერის ინფორმაციით, არსებობს კიდევ ერთი თასი მეფე ბაკურის წარწერით, რომელიც თითქმის უფრო არმენიის მეფესთან უნდა იყოს კავშირში. თუმცა, მკვლევარმა ორი სერიოზული კონტრარგუმენტი წამოაყენა არმენიის მეფისადმი აჩმარდის თასის მიკუთვნების სასარგებლოდ:

¹ ვინოგრადოვის სტატიის ქართულ ვერსიაში „დოქი“ ნათარგმნია „თასად“, შესაბამისად, დამკვიდრებულია ამ ფორმით, თუმცა აღწერილობით ნივთი დოქს (პატარა ოინოხოიას) წარმოადგენს.

1) სომხეთის მეფის სახელი გადმოიცემოდა არასრული ფორმით Πάκορις, ხოლო ფორმა Πάκουρις დაფიქსირებულია ახ. წ. III საუკუნის შუა ხანებიდან, 2) პაკორის, როგორც პარტიის მეფის, „დიპლომატიაში, ბერძნული ენა ნაკლებად მოსალოდნელი ჩანს“ (Виноградов, 2013, გვ. 56, 63). თუმცა, ვინოგრადოვის, აზრით, არმენიის მეფე ბაკურის აჩმარდის თასთან კავშირის სრულიად უგულებელყოფა არ შეიძლება. თავად მკვლევარი მაინც, საბოლოო ჯამში, მივიდა დასკვნამდე, რომ ეს შეიძლება იყოს მხოლოდ „ქართლის ცხოვრებიდან“ ცნობილი იბერიის მეფე ბაკურებიდან ერთ-ერთი. ქართლის ცხოვრების ყველა შესაძლებელ მეფე ბაკურს იგი ჩამოთვლის: **„ბაკური, ვაჩეს მემკვიდრე** (ლეონტი მროველთან - შვილი) და მირდატის წინამორბედი (ლეონტისთან - მამა); **ბაკური, რევის ძე** და თრდატის მამა (ლეონტისთან მის მაგივრად ნახსენებია ბაქარი, მირიანის შვილი და მირდატის მამა); **ვარაზ-ბაკური, თრდატის მემკვიდრე** (ლეონტისთან ეს ვარაზ-ბაქარია, მირდატის ძე და ფარსმანის მამა, რომელიც „მოქცევაი ქართლისაი“-ში დასახელებულია თრდატის დისშვილად); **ბაკური, თრდატის ვაჟი** (მის ადგილას ლეონტი ათავსებს თრდატს, ვარაზ-ბაქარის სიმამრს)“ (Виноградов, 2013, გვ. 56, 63). ვინოგრადოვისთვის, **ბაკური, ვაჩეს ძე**, რომელსაც ის ასევე რუფინუსის ბაკურთან (390-397 წწ. მეფობდა) აიგივებს, ჩანს ყველაზე მეტად დაკავშირებული აჩმარდის თასთან (Виноградов, 2013, გვ. 57, 64). ამასთან, მკვლევარს გაუჭირდა იმის ახსნა, თუ საიდან უნდა აღმოჩენილიყო იბერიის მეფის თასი დასავლეთ საქართველოში ასე შორს, იბერიიდან, მაშინ როდესაც ცნობილია, რომ იმხანად დასავლეთ საქართველო არ ექვემდებარებოდა იბერიას. მან მხოლოდ ივარაუდა, რომ საქმე წყაროებით უცნობ მეფესთან უნდა გვექონდეს (Виноградов, 2013, გვ. 58).

ვინოგრადოვის სტატიის შემდგომ მეფე ბაკურის ვინაობის დაზუსტება მოხდა. 2013 წელს თ. დუნდუამ და აკ. ჩიქობავამ გამოაქვეყნეს სტატია, რომელშიც აჩმარდის თასის მეფე ბაკურის იდენტიფიცირება მოახდინეს იულიუს კაპიტოლინეს მიერ ანტონინუს პიუსის ცხოვრებაში მოხსენიებული პაკორთან, რომელიც მან „ლაზებს მეფედ მისცა“ (The Scriptores ..., 1921, გვ. 122) ერთი და იგივეა (დუნდუა და ჩიქობავა, 2013, გვ. 6-7). ბაკურ მეფის აჩმარდში აღმოჩენილმა თასმა ახალგაზრდა არქეოლოგის ლანა ჩოლოგაურის ყურადღებაც მიიპყრო. მას სტილით აჩმარდის თასიც და მაიკოპის თასი დასავლურ ქართული წარმომავლობის მიაჩნია (ჩოლოგაური, 2016, გვ. 45-47).

მიუხედავად ზემოხსნებული კვლევებისა, ჯერ კიდევ დასაზუსტებელი რჩება კიდევ ორი საკითხი: აჩმარდის თასის მეფე ბაკურის, რომელიც, როგორც უკვე დადგენილია, რომ, ლაზთა მეფე ბაკურია, კავშირი ჟინვალის სარდიონის გემის წარწერის ლაზთა მეფესთან (იხ. ქვემოთ) და კ. ტრევერის მიერ მოხსენიებული თასის წარწერის ბაკურთან.

ჟინვალის ექსპედიციამ 1974 წელს აღმოაჩინა **რკინის ბეჭედი სარდიონის გემით**. გემის **ზომა** 2 X 1,5 სმ. ზემოთა ნაწილში, თავისუფალ ადგილას არის წარწერა: ΒΑΚΟΥΡΑ |Μ| ΝΑ... ამ წარწერას თ. ყაუხჩიშვილი (ყაუხჩიშვილი, 2000, გვ. 263-264) ასე აღადგენს და თარგმნის: Βακúp, ἀμνά[ς]. „ბაკური, კრავი“. თუმცა, თ. ყაუხჩიშვილს ამ ბაკურის ინდენტიფიკაცია არ უცდია არც ლაზთა მეფე ბაკურთან და არც „ქართლის ცხოვრებიდან“ ცნობილ რომელიმე მეფესთან. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვინოგრადოვის აზრით, ბეჭედზე გამოსახულია მწყემსი და თხა, აქ ასახულია თხის წველის სცენა (Виноградов, 2013, 58, 64). შესაბამისად, არ არის გამოსახული ცხვარი და შინაარსობრივადაც, ვინოგრადოვი წარწერას სხვაგვარად კითხულობს: Βακúp Α[?]λανας ან Α[?]λαναγ (ეს უკანასკნელი ახსნილი აქვს ოსური „აგ“ წარმომავლობის სუფიქსით) – „ბაკურ ალანელი“ (Виноградов, 2013, 58, 64). თავად თ. ყაუხჩიშვილიც აღნიშნავს, რომ ცხოველი უფრო თხას წააგავს (ყაუხჩიშვილი, 2000, გვ. 263).

დათარიღებისას მკვლევარი ითვალისწინებს ასოთა მოხაზულობას (ასოთა კუთხეები ჩაღრმავებულია, უფეხო - υ, μ - ფართოდ გაშლილი ფეხებით), რომლის მიხედვითაც წარწერა I

საუკუნეებისა შეიძლება იყოს (ყაუხჩიშვილი, 2000, გვ. 262). ამავდროულად, მარგ. ლორთქიფანიძის აზრით, ნივთი II-III საუკუნეებისაა და ის ადგილობრივი წარმოების ნივთია.²

ვინოგრადოვი არ იძლევა განმარტებას, იმ შემთხვევაში, თუ წარწერაში მოხსენიებული ბაკური ალანელია, ანუ ოსია, თუ ვინ შეიძლება იყოს იგი. რასაკვირველია, ბაკურ ალანელი სხვა წყაროებიდან ჩვენთვის უცნობია. შესაბამისად, მისი მოსაზრების გაზიარება რთულია. ამასთან, წარწერაში ჩვენი აზრით, სადაო ნაწილი ნამდვილად იკითხება, როგორც ἀμνᾶ[ς] „ცხვარი“.

საიდან უნდა აღმოჩენილიყო ბაკურ მეფის წარწერით იბერიაში, ჟინვალის ტერიტორიაზე ბექედი? ეს საკითხი მით უფრო საინტერესოა, რომ ლაზთა მეფის გავლენა ასე შორს, აღმოსავლეთში არ ვრცელდებოდა. თუმცა, ლაზთა ჩართულობა იბერიის საქმეებში ნამდვილად ჩანს „ქართლის ცხოვრებიდან“. ფარსმან ქველის გარდაცვალების შემდეგ, სანამ მცირე ხნით გამეფდებოდა ლადამი/ადამი, ასევე ცოტა ხანს ჩანს ინტერრეგნუმი და სპარსელების (პართელების) დაინტერესება რეგიონით:

„მაშინ გამოვიდეს სპარსნი, და გამოიტანეს თანა მირდატ, და დაიპყრეს ქართლი, და მისცეს მირდატს ნაწილი მისი. ხოლო ნაწილი ფარსმანისი თვთ დაიჭირეს, და დაუტევეს ერისთავი არმაზს. ხოლო ფარნავაზ სპასპეტმან წარიყვანა ცოლი და ძე ფარსმან ქუელისა, და ივლტოდა, და მივიდა სომხითს. რამეთუ სომეხთა მეფისა ასული იყო ცოლი ფარსმანისი. და დაიპყრეს ქართლი მირდატ და ერისთავმან სპარსთამან. ხოლო მეგრნი დადგეს ერთგულობასა ფარსმანის ძისასა.“

ხოლო მას ჟამსა მოყუარე იყვნეს სომეხნი და ბერძენნი. მაშინ სომეხთა მეფემან მოირთო ძალი ბერძენთაგან, და წარმოემართა ბრძოლად სპარსთა და ქართველთა. მიერთნეს მეგრნი, და შეკრბა სიმრავლე ურიცხვ. მაშინ მირდატ და ერისთავმან სპარსთამან მოირთეს ძალი სპარსეთით. ხოლო სომეხნი და ბერძენნი და მეგრნი შთავიდეს შიგა ქართლს, და მუნ მიეგებნეს სპარსნი და ქართველნი მდინარესა ზედა, რომელსა ჰქვან ლიახვ. და მუნ იქმნა ბრძოლა მათ შორის ადგილსა, რომელსა ჰქვან რეკად. და მოსწყდა ორგნით-ვე ურიცხვ, იძლივნეს სპარსნი და ქართველნი, და მოკლეს მირდატ და ერის-თავი სპარსეთისა, და მოსრნეს სპანი მათნი“ (ყაუხჩიშვილი, 1955)

ახლა დეტალურად ყოველივე ამის შესახებ.

მირდატი ფარსმან ქველის მმართველობის საწყის ეტაპზე, მისი სპასპეტი. ლეონტი ამას შეცდომით თანამეფობას უწოდებს. შემდეგ მირდატმა, როგორც ჩანს, პართელების მხარე დაიჭირა და ფარსმანს დაუპირისპირდა. ფარსმანისა და მირდატის დაპირისპირებაში სომეხები ფარსმანის მხარეს იჭერენ, ხოლო პართელები მირდატისა. ფარსმანი მირდატს ამარცხებს სომეხებთან ერთად და განიმტკიცებს ძალაუფლებას. სპასპეტად კი ფარნავაზს დაადგენს. ფარსმან ქველის გარდაცვალების შემდეგ, მირდატი პართელების დახმარებით ცდილობს ხელისუფლების ჩაგდებას და სწორედ ეს პასაჟია ზემოთ აღწერილი. მირდატი მცირე ხნით იკავებს ქართლს, მაგრამ ამასობაში „მეგრნი“ (ანუ ლაზები), რომლებიც ფარსმანის შვილის ერთგულ მოკავშირეებად რჩებიან და სომეხები ერთიანდებიან. გაერთიანებული ძალებით ისინი მირდატს უპირისპირდებიან. მათთან ერთად არიან ბერძენნი (რომაელები იგულისხმებიან).

ლეონტი მროველთან საკუთრივ ქართლის მეფეები კონკრეტული სახელებით არიან მოხსენიებული, თუმცა სხვა მეფეთა (მეგრთა, სომეხთა, სპარსელთა) სახელი არ არის ნახსენები. ფარსმანის გარდაცვალების შემდგომი ინტერრეგნუმი, მცირე ხანს უნდა გაგრძელებულიყო, ნებისმიერ შემთხვევაში, „ქართლის ცხოვრების“ ეს მოვლენები 161 წლამდე ხდება, როდესაც პართელები სომეხთა მეფედ ბაკურს სვამენ. ბაკურის დასმის შემდეგ, სომეხეთი, მცირე ხნით, ისევ პროპართული ორიენტაციის მეფის ხელშია, შესაბამისად, იგი ფარსმანის შვილის მხარეს ვერ

² მარგარიტა ლორთქიფანიძემ მისი აზრი დააფიქსირა თინათინ ყაუხჩიშვილთან კონსულტაციისას. ცალკე ამ გემასთან დაკავშირებით მას ნაშრომი არ გამოუცია.

დაიჭერდა რომაელებთან და ლაზებთან ერთად. სომეხთა მეფე, რომელიც ქართლის ცხოვრების ამ პასაჟშია ნახენები, რომაელთა კლიენტი მეფე სოჰემუსია (144-161 წწ.).

საინტერესოა კონკრეტული ადგილი, სადაც ეს ბრძოლა გაიმართა. ქართლის ცხოვრებაში ნახსენებია, როგორც მდინარე ლიახვი, ადგილი რეხთან ახლოს. სოფელი რეხი, რომელიც არა ლიახვთან, არამედ ლეხურასთან მდებარეობს, ქართლის ცხოვრებაში ბევრჯერ არის მოხსენიებული (გამყრელიძე, მინდორაშვილი, ბრაგვაძე, კვაჭაძე, 2013, გვ. 418). XVIII საუკუნეში მისი მოსახლეობა შეთხელებულა და ს. მაკალათია აღნიშნავს, რომ აქ კორინთლები დასახლებულან და სოფლისთვის საკორინთლო უწოდებიათ (მაკალათია, 1964, გვ. 42). კონკრეტული ადგილი შიდა ქართლში მდებარეობს და ჟინვალთან დიდი მანძილით არ არის დაშორებული. ბაკურ მეფის სახელით გეგმა ამ ტერიტორიაზე, როგორც ჩანს, ამ ექსპედიციის ფარგლებში უნდა აღმოჩენილიყო. უფრო კონკრეტული მიზეზი უცნობია.

ასევე საინტერესოა, მაიკოპში 1934 წელს აღმოჩენილი ვერცხლის თასის მიკუთვნების საკითხი. ეს ვერცხლის თასი აღმოჩენილია მაიკოპში, ერთ-ერთ სამარხში, რომელიც თარიღდება არაუგვიანეს II-III საუკუნეების მიჯნით (Тревер, 1953, გვ. 242-245). ამ ვერცხლის თასის კედელზე გამოსახულია სხვადასხვა თეატრალური სცენები და არის პუნქტირით, პუნსონით შესრულებული წარწერა: Παρά βασιλέως Πακόρις „მეფე ბაკურისგან“. ამ თასზე მოხსენიებულ ბაკურს კ. ტრევერი არმენიის მეფე ბაკურთან აიგივებს (Тревер, 1953, გვ. 242-245). მაგრამ ამ გაიგივების საწინააღმდეგოდ და პარალელურად, ლაზთა მეფე ბაკურის სასარგებლოდ, მოქმედებს შემდეგი არგუმენტები:

არმენიის მეფე ბაკური მხოლოდ მცირე ხნით, ლუციუს ვერუსის პართულ ექსპედიციამდე მართავს სომხეთს, შესაბამისად, ისეთი ავტორიტეტის მოხვეჭას ის ვერც მოასწრებდა, რომ წარწერებზე ასეთი მედიდური წარწერა განეთავსებინა და ფართო ტერიტორიაზე დაეგზავნა სხვადასხვა ნივთები.

გეოგრაფიული თვალსაზრისით, არმენიის მეფე ბაკურზე მეტად დასავლეთ საქართველოს მმართველის, ბაკურის კუთვნილი ნივთი უფრო მოსალოდნელია რომ მაიკოპის ტერიტორიაზე აღმოჩენილიყო.

მაიკოპის თასის წარწერის შესრულების სტილი და შინაარსი ძალიან გავს აჩმარდის თასის წარწერის შესრულების ტექნიკას, შინაარსს და რაც მთავარია, მასალას. ორივე შესრულებულია ერთი და იგივე სტილის ღვინის ჭურჭელზე. შესაბამისად, ამ ორი თასის ერთი და იგივე პირთან დაკავშირება რთული არ არის.

ამრიგად, ლაზთა მეფე ბაკურის/პაკორის მმართველობა იულიუს კაპიტოლინეს და სამი ეპიგრაფიკული მასალის, რომელიც თავის მხრივ, „ქართლის ცხოვრებასთან“ მათი დაკავშირების საფუძველს იძლევა, შემდეგნაირად აღდგება:

რომის იმპერატორი ანტონინუს პიუსი ლაზებს „მეფედ უბოძებს პაკორს“. ეს ყველაფერი, ბუნებრივია 138-161 წწ.-ში უნდა მომხდარიყო. ლაზთა მეფე ბაკური/პაკორის ჰეგემონობით ფაქტობრივად მთელი დასავლეთ საქართველო ერთიანდება. იგი ჩართულია იბერიის სამეფო კარის ინტრიგებშიც. ფარსმან ქველის გარდაცვალების შემდეგ, მირდატი, მისი ყოფილი სპასპეტი იბრძვის პართელებთან ერთად ფარსმანის მემკვიდრის ერთგული ლაზთა მეფის, ბაკურის, სომეხთა მეფის, სოჰემუსის და საკუთრივ ფარსმანის მემკვიდრის ქართლში მხარდამჭერების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ლაზთა მეფე ბაკური მოკავშირეებთან ერთად მას ამარცხებს და დაახლოებით 161 წ. ტახტზე ადის ღადამი/ადამი.

ლაზთა მეფე ბაკური თავის ქვეშევრდომებს გაგრის მიდამოებში უგზავნის ვერცხლის თასს მედიდური წარწერით. ერთერთი ზუსტად ასეთი თასი მოხვდება ასევე მაიკოპში. გარდა ამისა, როგორც ჩანს, მისი ბრძანებით, ასეთი წარწერებით არა მხოლოდ თასს, არამედ სხვა ნივთებსაც (მაგ. გეგმა) ამზადებდნენ. ერთი ასეთი ნივთი, კერძოდ, სარდიონის გეგმა, აღმოსავლეთ საქართველოს (იბერიის) სამეფოს საქმეებში ჩარევის დროს, მდინარე ლეხურასთან,

რეხასთან ბრძოლის დროს აღმოჩნდა აღმოსავლეთ საქართველოში და საბოლოო ჯამში, ჟინვალის ტერიტორიაზე დაილექა არქეოლოგიურ მასალაში.

წარწერა ჭედურ თასზე ბიჭვინტადან. 1961 წელს ბიჭვინტაში შემთხვევით აღმოჩნდა II-III საუკუნეების ვერცხლის ჭედური თასი. საკუთრივ წარწერა გამოაქვეყნა თ. ყაუხჩიშვილმა. წარწერა სავარაუდოდ ასე იკითხება:

ZELKCPITΩΨCPULINIZ“

მისი აზრით, აღდგება შემდეგი სიტყვები: ბერძნულად Έκρ[ι]τας ეკრიტოსი... ლათინურად C. L[u]cius Pulli[o] გ. ლუკიუს პულიონი (ყაუხჩიშვილი, 2009, გვ. 75).

წარწერასთან ორენოვნებასთან დაკავშირებით გ. შამბა აღნიშნავს, რომ ერთი წარწერა პირველი მფლობელისაა, ხოლო მეორე ახალი მფლობელის (Шамба, 1976, გვ. 160). თ. ყაუხჩიშვილის დამატებითი კომენტარით, თუ შამბას დაკვირვება სწორია, მაშინ ლათინურ წარწერაში იკითხება ლუკიუს პულიონი (პოლიონი), ხოლო ბერძნულში ეკრიტოსი (ყაუხჩიშვილი, 2009, გვ. 77). ბერძნულ პროსოპოგრაფიაში ეს სახელი არ გვხვდება, მაგრამ მართებულია თ. ყაუხჩიშვილის შენიშვნა, რომ ეს სახელი იგივე წარმოებისაა, საიდანაც იწარმოება პლინიუსთან, პომპონიუს მელასთან და პტოლემეოსთან დადასტურებული გეოგრაფიული სახელი Έκρηκταί.

ასევე მართებულად მიგვაჩნია შამბას შენიშვნა, რომ ორი წარწერა მის ორ მფლობელს აღნიშნავს. ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის მიერ შექმნილი ლათინური წარწერების მონაცემთა ბაზის მიხედვით ეს სახელი დადასტურებულია ერთ წარწერაში, რომელიც აღმოჩენილია ესპანეთში, ალკუბია დე ავეიანედაში. ამ ადგილას რომაული პერიოდის ფენებია აღმოჩენილი, ასევე რომაული გზა. წარწერა შემდეგი შინაარსისაა:

D(is) M(anibus) / G(aio) Pullio Q(uirina) M(ercuriali) Di(onisi!) fi(lio) / II(viro) an(norum) XXXII / L(ucius) Pul(lius) Cani(---) / patri f(aciendum) c(uravit) (ჰაიდელბერგის...).

ყურადღებას იქცევს ამ წარწერაში დიონისეს მოხსენიებაც. ვერცხლის თასიც, რომელიც ბიჭვინტაშია აღმოჩენილი დიონისეს კულტთან დაკავშირებული რელიგიური გამოსახულებებით არის შემკული. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ როგორც ჩანს, ეს თასი მიეკუთვნებოდა ვინმე რომაელ ჯარისკაცს, რომელიც ჯერ ესპანეთში, შემდეგ მცირე აზიაში მსახურობდა. ასეთი „მოხეტიალე“ ლეგიონი იყო XV ლეგიონი, აპოლინარისი, 115 წელს, პართიასთან ომის განახლებისას, ამ ლეგიონს დაემატა XXX ლეგიონის, ულპია ვიქტრიუსის, ნაწილები. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი ლეგიონიც რომის იმპერიის სხვადასხვა ადგილას მსახურობდა, უმეტესწილად, განაპირა რეგიონებში. საინტერესოა ისიც, რომ შამბას აღნიშვნით, ეს თასი აღმოჩნდა ტრაიანეს მონეტებთან ერთად (Шамба, 1976, გვ. 161). ულპია ვიქტრიუსის ლეგიონის ნაწილებიც სწორედ ტრაიანეს დროს, პართიასთან ომის განახლებისას, გადმოისროლეს მცირე აზიაში. ტრაიანეს მონეტა ყველაზე ადრეულია მასთან აღმოჩენილ მონეტებს შორის. კონკრეტულად ამაზე მეტის თქმა, ბუნებრივია რთულია. რაც შეეხება მეორე სახელს, როგორც ჩანს, ეს ფორმა მიჩნეულია, რომ არის „ეგრისის“ ადრინდელი დადასტურებული ფორმა. სავარაუდოდ, გეოგრაფიული სახელი საკუთარ სახელადაც გამოიყენებოდა. შესაბამისად, ნივთის პირველი მფლობელი რომელიც ჯარისკაცია, ხოლო მეორე ადგილობრივი მკვიდრი.

წარწერა ოქროს ფირფიტაზე წებელდიდან. სოხუმის მუზეუმში დაცული იყო (N79-51) წებელდაში აღმოჩენილი ოქროს ფირფიტა, რომელზეც მაგიური შინაარსის ტექსტია შემონახული. ფირფიტა 1977 წელს აღმოაჩინეს მიწის ზედაპირზე, მიჩნეულია სამარხის ინვენტარად. თ. ყაუხჩიშვილის აღნიშვნით, ფირფიტაზე (ზომები 6 ½ სმ- 5,7 სმ) 9 სტრიქონად დაუდევარი ხელით შესრულებული წარწერაა ჩაჭდებული. წარწერის ასოები მთავრებულია, ზოგი სწორად, ზოგი შებრუნებულადაა მოხაზული (ყაუხჩიშვილი, 2009, გვ. 77).

წარწერა პირველად გამოსცა ი. ვორონოვმა. მანვე დაურთო კომენტარები შინაარსთან დაკავშირებით, მისი შენიშვნით, წარწერა ასოთა უაზრო გამეორებაა, რაც ავგაროზისთვისაა

დამახასიათებელი და გაძლიერებულია ებრაული სიტყვებით (IAΩ II სტრ. AΔΩNAI II-III სტრ. Σαβαθ V სტრ.) და ეგვიპტის ღმერთების (ΣΕΤ, PA VIII სტრ.) სახელების დართვით. ი. ვინოგრადოვი აღნიშნავს, რომ IAΩ - იაჰვეა, გვიანანტიკურ ხანაში მთავარი ღმერთი გნოსტიციზმში, AΔΩNAI - მისი მეორე სახელი, Σαβαθ - იაჰვეს ძველებრაული სახელის „ცვაოტ“ გრეციზებული ფორმაა (ზეცის, ბრძოლის ღმერთი). S-ის მსგავსი გადახაზული ასო კი, ასტრალურ კულტთან არის დაკავშირებული (Воронов, 1981, გვ. 110). დათარიღებისას თ. ყაუხჩიშვილი ეყრდნობა ასოთა მოხაზულობას (III ს.) (ყაუხჩიშვილი, 2009, გვ. 77) და ი. ვორონოვი, ამგვარი ავგაროზების გავრცელებულობას (II-III სს.) (Воронов, 1981, გვ. 111).

გნოსტიციზმთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ კულტის თავდაპირველი წარმოშობა ბურუსითაა მოცული. ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ იუდაიზმის გარდა, მაზდეანობასაც მიიჩნევენ მის საფუძვლად. მართალია, ღმერთები, რომელიც ამ წარწერაშია დასახელებული, იუდაიზმიდან იღებს საფუძველს, მაგრამ თუ, მომავალმა აღმოჩენებმა გნოსტიციზმის გავრცელება დაადასტურეს დასავლეთ საქართველოში, ჩვენი აზრით, უფრო სავარაუდოა, რომ ის სპარსულ გავლენასთან იყოს კავშირში.

ეშერის წარწერა. ეშერის გათხრების დროს 1975 წელს გ. შამბამ აღმოჩინა ბრინჯაოს სქელი ფილა, რომელზეც შესრულებულია ბერძნული წარწერა. წარწერა სხვადასხვა დროს იქნა შესწავლილი (ყაუხჩიშვილი, 1999, გვ. 73-74; Шамба, 1980, გვ. 54-55; Каухчишвили, 1982, გვ. 218-223). როგორც ჩანს, თავის დროზე ფილას ამშვენებდა რელიეფური ჩარჩო. ბოლოს იგი ინახებოდა სოხუმის მუზეუმის ფონდში №81-43.

თ. ყაუხჩიშვილი ასე კითხულობს წარწერას: „ქალაქის აღდგენა (ან აპოლონ ნომიოსს) დიდი საზღვაო ჯარით. მას შეუძლია...რომელმაც აიღო..ში ყველასგან სამეფოსათვის (ან მეფობისას, ან სამეფო მოხელე) ..ში თუ მოვიდოდნენ ეტლი (?) მწყობრში - ან ტაქსიარხოსს...წინ უძღოდეს (?) კრავი (?) გამოსვლა... ნავსადგური... გავიგზავნო (?) უბედურება პირდაპირი, სწორი განსახლება, ქვეყნის გაუდაბურება (ვნ. -დასახლება)...უცხოებს(?) მამაცი, შეუპოვარი ძღვისპირა დაბლობი (?) ფასი, შენამენი ოლიმპიელი (?) ჰერაკლის კარიბჭე. კოშკი შესვლა სამეფოს, ან მეფობისას ან სამეფო მოხელე“.

თ. ყაუხჩიშვილის აზრით, წარწერა არის „სახელმწიფოებრივი დანიშნულების დოკუმენტი, საზღვაო ბრძოლის, მშენებლობის და შესაძლოა, პროქსენიის მნიშვნელობის“ (ყაუხჩიშვილი, 1999, გვ. 73). ასოთა მოხაზულობის მიხედვით უნდა დათარიღდეს ძვ. წ. IV-III საუკუნეებით (Каухчишвили, 1985, გვ. 218-223).

ი. ვინოგრადოვი წარწერის ნაწილს სხვაგვარად კითხულობს და ბოლოში მისი აზრით, ჰერაკლეა არ არის მოხსენიებული. ამასთან, მისი აზრით, დოკუმენტი საერთაშორისო შეთანხმებას არ წარმოადგენს და ასევე გაუგებარია რომელი „პოლისი“ ან „სამეფო“ არის მოხსენიებული (Vinogradov, 1997, გვ. 601).

ქართულ ისტორიოგრაფიაში მწვავე კამათის საგანია ბერძნული ახალშენების პოლიტიკური სტატუსი. ამ საკითხის გადაწყვეტაში ეშერის წარწერას უდაოდ გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მ. ინაძე ასკვნიდა, რომ ეშერის წარწერის მიხედვით, „ელინისტურ ხანაში დიოსკურია წარმოგვიდგება ადგილობრივ ხელისუფლებასთან დამოკიდებულ, მაგრამ მაინც თვითმმართველ პოლიტიკურ ერთეულად, უთუოდ შეზღუდული უფლებებით. ამასთან, მას აქვს საკუთარი ეკონომიკური ბაზა, სამეურნეო მიწა-ხორა, რომელზედაც ვრცელდება მისი ეკონომიკური კონტროლი და სხვ.“ (ინაძე, 1982, გვ. 176).

ძვ. წ. IV საუკუნის II ნახევრიდან დიოსკურია უკვე ჩამოყალიბებული პოლისია. პოლისის სხვადასხვა მახასიათებლებია: ა) თვითმმართველობა, ბ) სწრაფვა საშინაო და საგარეო დამოუკიდებლობისთვის, გ) აგორა, დ) აკროპოლისი, ე) ტაძრები, ვ) გიმნასიუმი, ზ) თეატრები, თ) კედლები ქალაქის დასაცავად, ი) საკუთარი მონეტები, კ) საკუთარი კოლონიები, ლ)

პოლიტიკური ცხოვრება, მ) პოლიტიკური სტრუქტურები, ნ) კონურბანიზაცია/სვინოიკიზმი, ო) საკუთარი მოქალაქეები, პ) საკუთარი მეურნეობის ფორმები, ჟ) საკუთარი ჯარი (Hansen, 2006).

ჩამოთვლილთაგან დიოსკურიას უმეტესი ნაწილი ახასიათებს (ფიფია, 2014, გვ. 131-145), თუმცა ამჯერად აღვნიშნავთ მხოლოდ იმ ნაწილს, რომელ ასპექტებთან დაკავშირებითაც ეშერის წარწერა გვაძლევს დასკვნების გამოტანის საშუალებას.

ახალშენის პოლისური ხასიათის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი დამოუკიდებლობისკენ სწრაფვაა. სწორედ ამას უნდა ასახავდეს ეშერის წარწერაში მოხსენიებული ფაქტები. წარწერიდან არ ჩანს, დიოსკურია იბრძვის სხვა ქალაქის თუ ადგილობრივების წინააღმდეგ, ფაქტი – ერთია, ცდილობს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა გაატაროს. სავარაუდოა, რომ მისი მოკავშირე ჰერაკლელები არიან, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ი. ვინოგრადოვი ჰერაკლელების მოხსენიებას ეჭვის თვალით უყურებს. ამ შემთხვევაში ეს არ არის გადამწყვეტი, მთავარია ის, რომ დიოსკურია, რომლის შემადგენელი ნაწილია ეშერის დასახლება ძვ. წ. IV საუკუნიდან, ცდილობს, რომ საკუთარი დამოუკიდებელი პოლიტიკა გაატაროს, რაც ადასტურებს მის პოლისურ სტატუსს.

კიდევ ერთი არგუმენტი, რომელიც დაამტკიცებს დიოსკურიის პოლისურ ხასიათს და რომლის დამადასტურებელი ფაქტიც ეშერის წარწერაში ჩანს, არის ჯარის ყოლა. ამის პარალელურად, ძვ. წ. IV საუკუნის სამარხებში იარაღების აღმოჩენა ასევე ადასტურებს, რომ დიოსკურიას საკუთარი შეიარაღებული კონტიგენტი ჰყავდა. გუადიხუს უმცროსი ჯგუფის სამაროვნებზეც არის აღმოჩენილი იარაღები (Трапун, 1969, გვ. 244). ესეც პოლისის ერთ-ერთი მახასიათებელი თვისებაა. ეშერის ძვ. წ. IV-III საუკუნეების წარწერიდანაც თითქოს ჩანს, რომ მას საკუთარი ჯარი ჰყავს.

პოლისებს ხშირ შემთხვევაში საკუთარი ფლოტიც ჰყავდა. კოლხეთში ფლოტის ყოლის საჭიროება ამ დროისათვის განისაზღვრებოდა ძირითადად ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთთან ურთიერთობის საჭიროებით. გემების არსებობა არაპირდაპირ მინიშნებულია ეშერის წარწერით. წარწერაში ნახსენებია „ნავსადგური“ და „გამოსვლა“. ამას ადასტურებს ისიც, რომ ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში „კოლხეთში დამზადებული ამფორები ექსკლუზიურად ექსპორტირდებოდა შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე“ (Tsetskhladze და Vnukov, 1992, გვ. 384). დანამდვილებით ის ვიცით, რომ დიოსკურია ამზადებდა ამ ტარას, მისი ექსპორტი საკუთარი ინიციატივით მოითხოვდა მინიმუმ სავაჭრო გემების ყოლას და თუ ამას შევუჯერებთ ინფორმაციას ეშერის წარწერიდან, შეგვიძლია ფრთხილად ვივარაუდოთ ფლოტის არსებობაც.

დიოსკურიას საკუთარი თავდაცვითი სისტემა გააჩნდა, როგორც ჩანს. ეშერის წარწერაშია მოხსენიებული კოშკი, რომელიც როგორც ჩანს, თავდაცვითი ხასიათის ნაგებობა იყო. ეს კოშკები კოლხეთის ნესტიანი კლიმატიდან გამომდინარე, ხით არის ნაგები თუ ქვით, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. ადგილობრივმა ბერძნებმა იგი, დიდი ალბათობით, ააგეს ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით და, თუნდაც მხოლოდ ხის ნაგებობები იყოს, ეს არანაირად არ ამცირებს მისი თავდაცვითი ხასიათის შესახებ ვარაუდს. ეს კი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ დიოსკურიას პოლისისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ნიშანი ჰქონდა – საკუთარი თავდაცვითი სისტემა. თავისთავად წარწერაშიც საუბარია სწორედ უცხოელთაგან თავდაცვაზე და საამისოდ ქალაქს მოკავშირეებიც კი ჰყავს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ქალაქის მმართველი გუნდი მის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა.

ეშერის წარწერასთან დაკავშირებით თ. დუნდუა საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს, იგი ამ წარწერას აზო-ფარნავაზის კონფრონტაციის კონტექსტში განიხილავს, მიიჩნევს, რომ კოლხეთისა და იბერიის საქმეებში ერთი და იგივე პოლიტიკური ძალა ერევა, და აღნიშნავს: „გამომდინარე საერთო პოლიტიკური კონიუნქტურიდან, ერთადერთი, ვისაც ამ დროისათვის შესაძლებელია ჰქონოდა პრეტენზია ჰეგემონიაზე მთელი შავი ზღვისპირეთის მასშტაბით, თრაკია-მაკედონიის მეფე ლისიმაქე იყო (და ის აღნიშნული იდეის მატარებელი პირველი

მონარქია, მის პოლიტიკურ მემკვიდრეებად ამ ასპექტში ფარნაკე I და მითრიდატე VI წარმოგვიდგებიან). სწორედ მისი მოკავშირეა ჰერაკლეა“ (დუნდუა, 2018, გვ. 23).

ლაპიდარული წარწერა ბათუმის მუზეუმიდან. ქობულეთ-ფიჭვნარის ექსპედიციის ბაზაზე დაცულია ბერძნული ლაპიდარული წარწერა, რომელიც აღმოჩნდა შემთხვევით 1969 წელს, მდინარე ჩოლოქის პირას. რიყის ქვა, რომელზეც წარწერაა შესრულებული, დაცულია ქობულეთი-ფიჭვნარის არქეოლოგიურ ბაზაზე. ინვენტარის № ქვ-69, საველი №128. წარწერა შესრულებულია მრგვალ, დაბრტყელებულ რიყის ქვაზე. ქვაზე მსხვილი, ჩაჭრილი ასოებით წერია:

ΙΑ

თინათინ ყაუხჩიშვილს მიაჩნია, რომ ეს ასოები აღნიშნავს რიცხვს (14) და მანძილის აღმნიშვნელი უნდა იყოს (ყაუხჩიშვილი, 1999, გვ. 143). მისი აზრით, წარწერის დათარიღებას ართულებს ასოთა მოხაზულობა, რომელიც არ გამოირჩევა რომელიმე ეპოქისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით. შესაბამისად, ის მხოლოდ ერთ ვარაუდს გამოთქვამს: რამდენადაც აჭარის ამ რაიონში, ფიჭვნარში არის ძვ.წ. V-IV სს-ის ბერძნული სამაროვანი, შესაძლებელია ეს ქვაც და წარწერაც ამ დროისად იყოს მიჩნეული (ყაუხჩიშვილი, 1999, გვ. 143).

აღსანიშნავია, რომ თუ ეს ქვა მართლაც ასოებს აღნიშნავს და მანძილის აღმნიშვნელია, როგორც თ. ყაუხჩიშვილი მიიჩნევს. მაშინ აქ საქმე სტადიონებით მანძილის აღნიშვნასთან გვაქვს, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ სტადიონი ყველა დროსა და ყველგან მთელს ბერძნულ სამყაროში არამცთუ ერთნაირი არ იყო, პირიქით, განსხვავებული იყო, შესაბამისად, ზუსტი ადგილის გამოთვლა, საიდან 14 სტადიონის აღმნიშვნელია, რასაკვირველია, გართულებულია.

წარწერა ბიჭვინტის მუზეუმიდან სქელი აგურის ნატეხზე. ბიჭვინტის მუზეუმში გამოფენაზე განთავსებული იყო სქელი აგურის ნატეხი №02:1728. ნატეხის ზომები თ. ყაუხჩიშვილის მიხედვით არის 20 სმ. სიგრძე და 14 სმ. სიგანე. მასზე ამოტეხილია ბერძნული ასომთავრული ფრაგმენტულად შემორჩენილი წარწერა:

Ε

KAT

Θ (ან Ε)

წარწერა თ. ყაუხჩიშვილის აზრით, შედგება 3 სტრიქონის დასაწყისი ასოებისგან. ასოთა მოხაზულობის მიხედვით ყაუხჩიშვილი წარწერას ადრექრისტიანული ხანით ათარიღებს (ყაუხჩიშვილი, 2009, გვ. 63), ამასთან ეთანხმება გ. აფაქიძისეულ არქეოლოგიურ, კონკრეტულად აგურის დათარიღებას (აფაქიძე, 1977, გვ. 226, 231, ტაბ. 568).

პირველი სტრიქონის დასაწყისში თ. ყაუხჩიშვილი კიდევ ერთ სიმბოლოს ათავსებს, თუმცა, არ განსაზღვრავს. ჩვენი აზრით, ის შეიძლება იყოს T. იმავე სტრიქონში არასადაო ასოს E-ს შემდეგ კიდევ ერთი დაუზუსტებელი ასოა (იხ. ქვემოთ). ასოთა კომბინაციის მიხედვით შესაძლო ვარიანტები გადავამოწმეთ ბერძნული წარწერების მონაცემთა ბაზებში და ჩვენი აზრით, აქ ჰეკატეს მოხსენიებასთან უნდა გვქონდეს საქმე. ჰეკატე სულ 307 წარწერაშია დაფიქსირებული, მათგან 196 წარწერა მცირე აზიის ტერიტორიაზე, ხოლო 5 ჩრდილო შავიზღვისპირეთშია ნაპოვნი. ასევე საინტერესოა, რომ 17 წარწერაში (სულ 20 ჯერ) მოხსენიებულია შემდეგი კომბინაციით: Ἀρτέμις Ἐκάτει. ბიჭვინტის წარწერა შესრულებულია ფრაგმენტზე, შესაბამისად, დაზუსტებით იმის თქმა, რომ წარწერა შემორჩენილ ნაწილზე იწყებოდა, მაინც რთულია, ამიტომ შესაძლებლად მიგვაჩნია ამ შემთხვევაშიც წარწერის სრული ვერსია აღდგეს არტემიდას და ჰეკატეს მოხსენიებით, თუმცა, ბუნებრივია, კონტექსტი ამაზე შორსმდინავალი დასკვნების გაკეთების საშუალებას ჯერჯერობით არ იძლევა. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰეკატეს კულტი

ნუმისმატიკური მასალების მიხედვით, კერძოდ, კოლხურ თეთრზე არსებული გამოსახულებების მიხედვით, გავრცელებული ჩანს კოლხეთშიც.

ბიჭვინტის მუზეუმში დაცული წარწერა თეთრი ქვის ფილაზე. 1962 წელს ბიჭვინტაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ იქნა თეთრი ქვის ფილის ფრაგმენტი (№ 02-4027). შემდეგ ეს ფილა მოთავსებული იყო ბიჭვინტის მუზეუმში გამოფენაზე. წარწერა ეპიგრაფიკული კომენტარების გარეშე 1977 წელს გამოქვეყნდა ბიჭვინტის არქეოლოგიური გათხრებისადმი მიძღვნილ კრებულში „დიდი პიტიუნტი“ (აფაქიძე, 1977, ტაბ. № 975). წარწერას მოგვიანებით პალეოგრაფიული კომენტარები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა (ყაუხჩიშვილი, 2009, გვ. 63). თ. ყაუხჩიშვილის აღნიშვნით, ასოები კუთხეები ჩარღმავებულია, თავად ასოები ღრმად ჩაჭრილი, ხოლო შინაარსობრივად ასე იკითხება: ΠΕΡΝΙΚ [π]ε̣ρ Νίκ[η]ς [π]ε̣ρ Νικ[ολάου] გამარჯვებისთვის, ან ნიკოლოზისთვის (ყაუხჩიშვილი, 2009, გვ. 63). წარწერა თ. ყაუხჩიშვილმა სავარაუდოდ II-III საუკუნეებით დაათარიღა, ლიგატურისა, კუთხეებში ღრმად ჩაჭრილი და ჩაჭდული ასოების მიხედვით არ გამორიცხა, რომ წარწერა მომდევნო საუკუნეებისაც იყოს (ყაუხჩიშვილი, 2009, გვ. 63). 1988 წ. მ. შპაიდელმა და თ. თოდუამ Saalburg-Jarbuch-ში გამოქვეყნებულ სტატიაში ამ წარწერის სავარაუდო შინაარსობრივი აღდგენა შემოგვთავაზეს: „[π]ε̣ρ νίκ[η]ς καὶ σατ[η]ρίας τοῦ κυρίου“ (Speidel და Todua, 1988, გვ. 56-58): გამარჯვებისთვის, მმართველის ხსნისთვის“ და რომის იმპერატორის სახელით შესრულებულ წარწერად მიიჩნიეს. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ფორმულა „π̣ε̣ρ σατ[η]ρίας τοῦ κυρίου“ დანამდვილებით გვხვდება სულ 20 წარწერაში, მათგან არცერთს წინ არ უძღვის ფრაზა „π̣ε̣ρ νίκ[η]ς“. ასეთი ფორმულა ჯერჯერობით ეპიგრაფიკული ძეგლებით დადასტურებული არ არის. შესაბამისად, წარწერის მსგავსი აღდგენა საფუძველს მოკლებული ჩანს. რაც შეეხება სახელს „ნიკოლოზი“. იგი ბერძნულ პროსოპოგრაფიაში საკმაოდ გავრცელებული სახელია, მათ შორის ხშირია ეპიგრაფიკულ ძეგლებზეც. დღესდღეობით გამოქვეყნებული ბერძნული წარწერებიდან მოხსენიებულია 405 წარწერაში, მათგან 58 მცირე აზიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი. საკუთრივ ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე მათგან არცერთი არაა. ისტორიული კოლხეთის ტერიტორიასთან ყველაზე ახლოს აღმოჩენილი წარწერა ამ სახელით მომდინარეობს ჰერაკლეა პონტიკადან (დღევანდელი ერელლი) და ბიზანტიურ ხანას მიეკუთვნება (Jonnes, 1994, 58b). შესაბამისად, კონკრეტული პირის დაკავშირება ბიჭვინტის წარწერის ნიკოლოზთან ჯერჯერობით შეუძლებელია.

ბიჭვინტის მუზეუმის წარწერა ქვის ფრაგმენტზე. ბიჭვინტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1972 წელს მოიპოვა 6 სმ-ის სიგრძის დამუშავებული ქვის ფრაგმენტი, რომელზეც რელიეფურად გამოყვანილია წარწერა. რელიეფურ ნაწილში არის წარწერა ჩაჭდული. წარწერა პირველად გამოქვეყნდა ბიჭვინტის გათხრებისადმი მიძღვნილ კრებულში (აფაქიძე, 1977, სურ. №19), თუმცა ეპიგრაფიკული კომენტარების გარეშე. თ. ყაუხჩიშვილმა წარწერა შეიტანა თავის კორპუსში და თავისი კომენტარები დაურთო. როგორც ის აღნიშნავს, წარწერა შემდეგნაირად უნდა აღდგეს OEO (ყაუხჩიშვილი, 2009, გვ. 63). წარწერა, მისი აზრით, ასოთა მოხაზულობის მიხედვით შეიძლება დათარიღდეს გვიანანტიკური ან ადრექრისტიანული ხანით (ყაუხჩიშვილი, 2009, გვ. 63). წარწერის ფრაგმენტულობის გამო შინაარსის დადგენა თ. ყაუხჩიშვილს გაუჭირდა. თუმცა, დღესდღეობით, გამომდინარე იქიდან, რომ წარწერების მონაცემთა ბაზები ნებისმიერი კომბინაციით ტექსტის ძიების საშუალებას იძლევა, შესაძლებელია გახდა ეპიგრაფიკულ ძეგლებში ამ ასოების კომბინაციის სავარაუდო შინაარსის განსაზღვრა³. ასოების ასეთი კომბინაცია გვხვდება 176 წარწერაში, მათგან თანმიმდევრობით გვხვდება 84 წარწერაში. 84

³ სტატისტიკისთვის ვისარგებლეთ დღესდღეობით ყველაზე სრულყოფილი ბერძნული წარწერების მონაცემთა ბაზით, რომელიც კორნელის უნივერსიტეტის და ოჰაიოს უნივერსიტეტის მიერ არის შესრულებული. ხელმისაწვდომია: <https://inscriptions.packhum.org/>

წარწერიდან 38 შემთხვევაში გვხვდება სიტყვა $\pi\acute{o}\iota\sigma\sigma\alpha/\pi\acute{o}\iota\sigma\sigma\alpha\nu$, 19 შემთხვევაში გვხვდება სიტყვათა კომბინაციაში $\mu\eta\ \pi\acute{o}\iota\sigma\iota$, 18 შემთხვევაში სიტყვაში $\pi\acute{o}\iota\sigma\tau\alpha/\pi\acute{o}\iota\sigma\tau\alpha\varsigma$, სამგან გვხვდება როგორც სახელის Ἀρσιονίδης , ნაწილი. თითო-თითო შემთხვევებია სიტყვებში: Λευκονίδος , $\pi\acute{o}\rho\epsilon\omicron\mu\epsilon\varsigma$, $\pi\iota\pi\omicron\epsilon\acute{o}\nu\tau\omicron\ \nu$, $\mu\acute{\epsilon}\ \pi\iota\pi\omicron\epsilon\acute{o}\nu\tau\omicron\ \nu$, ΤΟΕΟΥΠΕΔΟ , ΠΟΕΟΥΣΙΝΑΠΟ .

წარწერა ბიჭვინტის მუზეუმიდან თიხის ფრაგმენტზე. ბიჭვინტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ასევე მოიპოვა თიხის ფრაგმენტი, რომელიც წარმოადგენს ჯამის ქუსლს, მასზე ამოღებულია ორის ასო ΕΥ . ინვენტარის №145 (02:448). წარწერა პირველად გამოქვეყნდა კრებულში „დიდი პიტიუნტი“ (ასათიანი, 1977, ტაბ. №420). თ. ყაუხჩიშვილის აზრით, ეს შეიძლება იყოს სახელის დასაწყისი (ყაუხჩიშვილი, 2009, გვ. 63). თუმცა, ჩვენი აზრით, ჯამის ქვედა ნაწილი, ქუსლი, ფაქტობრივად სრულად, არის შემორჩენილი და როგორც ჩანს, მასზე მხოლოდ ეს ასოები იყო დატანილი, შესაბამისად, ის არ შეიძლება იყოს სახელის დასაწყისი. ეს არც საწყისი მანიშნებელი არ არის, უფრო სავარაუდოა, რომ იყოს „კარგი“-ს მნიშვნელობით. ასოთა მოხაზულობისა და თვით ფრაგმენტის (?) მიხედვით თ. ყაუხჩიშვილმა წარწერა IV-VI საუკუნეებით დაათარიღა (ყაუხჩიშვილი, 2009, გვ. 63).

მეტოსის წარწერები ითხვისიდან. 1962-63 წლებში ჭიათურის რაიონის სოფელ ითხვისის მახლობლად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ წარმოებული გათხრების დროს აღმოჩნდა რამდენიმე იმპორტული ჭურჭელი ბერძნული გრაფიტოებით.

პირველი ჭურჭელი შავლაკიანი ჯამია, მაღალ ფეხზე. ჯამი თითქმის სრულად არის შემორჩენილი და რესტავრატორების მიერ აღდგენილი. არქეოლოგები მას ძვ. წ. V საუკუნით ათარიღებენ და ლაკის ხარისხის გათვალისწინებით ატიკის სახელოსნოებს მიაკუთვნებენ (გაგოშიძე, 1966, გვ. 39). ჯამის პირზე ამოკაწრული ბერძნული წარწერაა შემორჩენილი: ΜΗΤΟΣ (გაგოშიძე, 1966, გვ. 39).

იმავე სამარხში აღმოჩენილია კიდევ ერთი დოქი ასევე ბერძნული მონოგრამით, რომელიც ი. გაგოშიძის აზრით, აღდგენილ უნდა იქნეს შემდეგნაირად: ΜΤΣ (გაგოშიძე, 1966, გვ. 40).

გამომდინარე იქიდან, რომ ერთსა და იმავე სამარხში აღმოჩენილია ორი დოქი მსგავსი წარწერებით, ი. გაგოშიძე ორივე წარწერას ნივთის მფლობელის სახელად მიიჩნევს.

გ. ბარჯაძე, ითხვისის სოფლის გაღმა სოფელ წირქვალში, მოსახლე მეტონიძეების მოსახლეობას იყენებს დამატებით არგუმენტად ითხვისის წარწერის სახელის ადგილობრივობის სამტკიცებლად (ბარჯაძე, 2004, გვ. 7). სამარხი, კი მისი აზრით, სკეპტუხზე სოციალურად ერთი საფეხურით დაბლა მდგომი პირის სამარხია (ბარჯაძე, 2004, გვ. 7).. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი წვრილი სოციალური დიფერენციაცია კოლხეთში არ დასტურდება წყაროებით, ამასთან, ცნობილია, რომ არა ერთი, არამედ რამდენიმე სკეპტუხია არსებობდა, და შესაბამისად, სავსებით შესაძლებელია, სწორედ რომ სკეპტუხის სამარხთან გვეკონდეს საქმე ითხვისის შემთხვევაში. თუმცა, აქვე კონტრარგუმენტსაც აღვნიშნავთ: დედატოსის შემთხვევაში ამის მტკიცება შედარებით იოლია, გამომდინარე იქიდან, რომ მის სამარხში საბეჭდავი ბეჭედი აღმოჩენილი, ხოლო მეტოსის სამარხში - არა. სამაგიეროდ, ვანის დედატოსის სამარხშიც და ითხვისის სამარხშიც აღმოჩენილია მსგავსი დიადემები (გაგოშიძე, 1966, გვ. 33-34).

სახელი „მეტოს“ ბერძნულ პროსოპოგრაფიაში არ დასტურდება, არ არის იგი ცნობილი სხვა ბერძნული წარწერებიდან. შესაბამისად, სახელი ადგილობრივია. ამასთან, სახელის ბერძნული დაბოლოება კიდევ ერთი დასტურია ადგილობრივი მოსახლეობის ელინიზაციის საკმაოდ მაღალი ხარისხისა სანაპიროდან, და შესაბამისად, ბერძნული კოლონიებიდან ისე მოშორებული ტერიტორიისა, როგორიცაა ითხვისი.

გარდა ამისა, საინტერესოა, სახელის ფიქსაციის მეორე ვერსიაც, თანხმობებით აღნიშვნა, რაც სემიტური ენებისთვისაა დამახასიათებელი. დასავლეთ საქართველოში არამეული ენა არ

ყოფილა გამოყენებული, რომ არამეული გავლენა ვივარაუდოთ, თუმცა, თავისთავად ფაქტი საინტერესოა.

ითხვისის წარწერა ფაქტობრივად, ყველაზე ადრეული კარგად დათარიღებული წარწერაა დასავლეთ საქართველოდან. ადრეულ წარწერებს მიეკუთვნება ასევე კოლხური თეთრის ჰემიდრაქმებზე შესრულებული ცალკეული ასოები, თუმცა, მათი ინფორმაციული შესაძლებლობები უაღრესად შეზღუდულია.

ბორიოს ასტინომის წარწერა. ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1987 წელს მოპოვებულ იქნა ამფორის ყური, რომელზედაც დამლა ბერძნული წარწერით:

ΒΟΡΥΟΑΚΤ || ΝΟΜΟΥ... || ΦΟΡΜΙ

წარწერას თ. ყაუხჩიშვილი შემდეგნაირად აღადგენს და კითხულობს: Βόρυς ἀστ[υ]νόμης... Φορμίονος ბორიოს ასტინომის... ფორმიონისა (ყაუხჩიშვილი, 1993, გვ. 276).

ბორიოს ასტინომი დადასტურებულია რამდენიმე წარწერაში. მათგან ორი აღმოჩენილია ისტორიული მეზიის ტერიტორიაზე, კერძოდ, მალაკ პოროვეცთან და ზბორიანოვოსთან (დღევანდელი ბულგარეთი). ორივე წარწერა აბსოლუტურად იდენტურია: Βόρυς[ος] ἀστ[υ]νόμης Ἀρτεμ[ιδίου]. გამომცემლები მათ სხვადასხვა პერიოდით ათარიღებენ, ერთს ძვ. წ. 325-250 წწ.-ით, მეორეს ძვ. წ. 270-220 წწ.-ით. კიდევ ორი წარწერაა მცირე სკვითიდან. ეს ტერიტორიაც შემდეგში მეზიის ნაწილი გახდა. ერთი შემდეგი შინაარსისაა: [ἀστυσνόμης] [Βόρυς τ]ῶν [Ζεύς], ხოლო მეორე: Βόρυς ἀστυσνόμης Φ[ίλι]κ[ράτους]. გარდა ამისა, კიდევ ერთ წარწერაში, რომელიც სინოპიდან მომდინარეობს. საერთოდ, მიჩნეულია, რომ ყველა ნივთი ბორიოს ასტინომის წარწერით სინოპურია. თუმცა, საინტერესოა, რომ სხვადასხვა პერიოდითაა დათარიღებული. ქრონოლოგიური დიაპაზონია - ძვ. წ. IV საუკუნის ბოლო - II საუკუნის დასაწყისი. თ. ყაუხჩიშვილიც წარწერას ასოთა მოხაზულობის მიხედვით ძვ. წ. IV საუკუნით ათარიღებს (ყაუხჩიშვილი, 1993, გვ. 276).

თუკი ნოქალაქევის ეს დამლაც სინოპური წარმოშობისაა, აშკარაა, რომ დასავლეთ საქართველოს ძვ.წ. IV-II სს.-ში ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობები მიღებულია მიერ დაარსებულ ქალაქთან, სავარაუდოდ, კოლხეთის ტერიტორიაზე დაარსებული ბერძნული კოლონიების გავლით ჰქონდა, ანუ სინოპური პროდუქცია ჰინტერლანდში მოხვდებოდა არა პირდაპირი ვაჭრობის, არამედ გადაყიდვის შედეგად. ამ ვარაუდს სხვა არქეოლოგიური მასალაც ადასტურებს, რომლის მიხედვითაც, რომაულ ეპოქაში სინოპური ამფორები საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონებშია აღმოჩენილი (Tezgör, Kebuladze, Lomitashvili, Zamtaradze, 2007, გვ. 197-214). სინოპი ღვინითა და ზეთუნის ზეთით არა მხოლოდ შავიზღვისპირეთის ქვეყნებთან, არამედ მაშინდელი მსოფლიოს თითქმის ყველა მნიშვნელოვან ქვეყანასთან ვაჭრობდა (Dobreva, 2018). სავარაუდოდ, ჩვენთანაც, იგივე პროდუქცია შემოჰქონდათ.

წარწერა თიხის სანათურზე სოხუმიდან. სოხუმის მუზეუმში დაცული იყო ამავე ტერიტორიაზე 1954 წელს აღმოჩენილი თიხის სანათური, რომელზეც არის ბერძნული წარწერა, რომელიც სანათურის გამოწვამდე უნდა იყოს შესრულებული (ყაუხჩიშვილი, 1999, გვ. 77-78; Каухчишвили 1957, გვ. 227-238; Каухчишвили, 1958, გვ. 132-133).

ΠΕΡΑΘΕΙΣ (ყაუხჩიშვილი, 1999, გვ. 77-78) / ΠΕΡΑΣΕΙΣ Каухчишвили 1957, გვ. 228) / ΠΕΙΡΑΣΕΙΣ (Ельницкий, 1964, გვ. 142-145)

ΠΡΟΣΚΥΝΕΙ || ΚΥΡΙΝΕΡΜΗΝ || ΜΑΡΚΥΡΙΝ || ΥΠΕΡΣΩΤΕ || ΡΙΑΣ

თ. ყაუხჩიშვილი ასე კითხულობს ტექსტს და მის თარგმანს გვთავაზობს: Περᾱθεῖς προσκύνει κύριον Ἐρμῆν Μαρκῆριον ὑπὲρ σωτηρίᾱς.

„მოგზაურო, თაყვანიც მეუფე ჰერმეს-მერკურის (თავის) გადასარჩენად.“ (ყაუხჩიშვილი, 1999, გვ. 77).

მისი დათარიღება წარწერის ენობრივ და პალეოგრაფიულ თავისებურებებს ემყარება. იგი წარწერას II-III საუკუნეებით ათარიღებს და აღნიშნავს, რომ შესრულებულია დიოსკურია-სებასტოპოლელი ვაჭრის მიერ, რომელიც მის მფარველ ღვთაებას თაყვანს სცემს.

ელნიცკის აზრით წარწერა ახ. წ. IV საუკუნეს მიეკუთვნება (Ельницкий, 1964, გვ. 142-145; ელნიცკის წარწერას ანტიქრისტიანული რეაქციასთან აკავშირებს. მისი აზრით, ნივთის მეპატრონისთვის, ჰერმესი არა მხოლოდ გადამრჩენელად, შემქმნელადაც მოიაზრება, სოლარულ ღვთაებად. ამის დასტური უნდა იყოს მზის სამი დისკო, რომელიც გამოსახულია მეორე და მესამე სტრიქონს შორის. ეს კულტი, მისი აზრით, ახლოს დგას იულიანე განდგომილის რწმენასთან, რომელსაც ამიანე მარცელინე ჩუმად, ღამლამობით სწორედ მერკურის თაყვანისცემას მიაწერს (Ельницкий, 1962, გვ. 228-233).

ჩვენი აზრით, საყურადღებოა, რომ წარწერაში ჰერმესი ბერძნულთან ერთად რომაული შესატყვისით მოიხსენიება, რაც რეგიონში რომაულ გავლენებს ცხადყოფს. რაც შეეხება რომაელების რეგიონში ყოფნას, განსაკუთრებით, რომაული ჯარის აქ დგომას, ამის შემოწმება ფრაქციული რომაული ფულის აღმოჩენებით შეიძლება. III-IV საუკუნეების რომაული სპილენძის ფული, რომელიც ჯარისკაცების აქ ყოფნის დასტურია, მრავლად არის აღმოჩენილი ბიჭვინტაში. შესაბამისად, რომაული გავლენა აქ ნამდვილად მოსალოდნელია. გამომდინარე იქიდან, რომ ნივთი მუზეუმში ინახებოდა და აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია, და არც კარგად დათარიღებული არქეოლოგიური ფენიდან მომდინარეობს, ორივე მოსაზრება საყურადღებოა. აქვე აღსანიშნავია, რომ ჰერმესი დიოსკურების კულტისადმი მიძღვნილ ერთ წარწერაშია მოხსენიებული, რომელიც აღმოჩენილია მცირე აზიაში, ისტორიული ლიკიის ტერიტორიაზე. წარწერა შემდეგი შინაარსისაა: „Ερμῆς Ἀρτέμεινος Διοσκόροις εὐχῆν“ (Corsten, 2002, №88).

წარწერა ამფორაზე სოხუმის მუზეუმიდან. სოხუმის მუზეუმში დაცული იყო ემერაში მოპოვებული იმპორტული, ძვ.წ. VI საუკუნის შავფიგურიანი ამფორა. ეს ნივთი აღწერა, წარწერა გამოაქვეყნა და სამეცნიერო კომენტარები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. წარწერა შემდეგი შინაარსისაა:

N. KON N[ί]kon ნიკონ...

თ. ყაუხჩიშვილი ვარაუდობს, რომ წარწერა უნდა იყოს მხედრის სახელი (Νικονίδης, Νικόννομος, Νικόννοος, Νίκων, Νικασίνδης, Νικάσσυμος) ან νικად ზმნიდან წარმოებული რამე ფორმა (νικάω- ვძლევ, ვიმარჯვებ) (ყაუხჩიშვილი, 2009, გვ. 78).

ბერძნული წარწერების ონლაინ კორპუსის მიხედვით, Νίκων ფორმა გვხვდება 25 წარწერაში, ამათგან ერთში ორჯერ არის მოხსენიებული. იგი გვხვდება სახელების შემდეგი ფორმების ნაწილად: Νικ[ονί]α, Νικόννομ[ος], Νικονό[μου] (3 ჯერ), Νικονίαη, Νικονίდიς, Νικονίδης, Νικονόα, Νικονόη (2 ჯერ), Νικονόης. ხოლო საკუთრივ ფორმა Νίκων, როგორც სრული ფორმა გვხვდება 7-ჯერ. სახელი დადასტურებულია მთელს ბერძნულ სამყაროში, ყველა რეგიონში. როგორც ზმნის ფორმა ის არ გვხვდება წარწერებში და არც ლექსიკონის მიხედვით არ ჩანს.

წარწერა სოხუმის ციხიდან. 1958 წელს სოხუმის ციხესთან მოპოვებული და სოხუმის მუზეუმში დაცულია იმპორტული ამფორის ყური (N 67-28) (ყაუხჩიშვილი, 1999, გვ. 78). ბერძნულ წარწერაზე ჩანს:

ΗΡΑΚΛ

თ. ყაუხჩიშვილის აზრით, წარწერა ასე უნდა წავიკითხოთ: Ἡρακλ[είας] – „ჰერაკლის“ (ყაუხჩიშვილი, 1999, გვ. 78).

გამომდინარე იმ მოცემულობიდან, რომ წარწერას საგანგებო დამათარიღებელი ნიშნები არ მოეპოვება, ნატეხის არქეოლოგიური მონაცემების მიხედვითა და იმ ინტენსიური სავაჭრო

ურთიერთობების გათვალისწინებით, რომელიც არსებობდა დიოსკურიასა და სხვა საზღვაო ქალაქებს შორის, წარწერა დაახლოებით II-III სს.-ს უნდა განეკუთვნებოდეს.

წარწერა გამოცემულია ლ. შარვაშიძის და ლ. სოლოვიოვის მიერ (Шервашидзе და Соловьев, 1960, გვ. 171-179; Шервашидзе, 1967). მათი აღწერით, ნივთი აღმოჩენილია სოხუმის ციხის შიგნით, მოედნის მსგავს თავისუფალ არეალში, რომელშიც ხის დროებითი ნაგებობები ჩანს არქეოლოგიურად. მათი დანიშნულება სოლოვიოვისა და შერვაშიძის აზრით, სავაჭრო-სახელოსნო იყო (Шервашидзе და Соловьев, 1960, გვ. 171-179) ეს „მოედანი“ სავსე იყო კერამიკისა და მინის ფრაგმენტებით. შესაბამისად, აღმოჩენის კონტექსტის მიხედვით, ლოგიკურია ნივთის იმპორტულად მიჩნევა.

დიოსკურიის დამლები სოხუმიდან. სოხუმის მუზეუმში დაცული იყო ამფორის ყურები (N 78-12/1; 78-12/2), რომელიც მოპოვებული იყო გუდაუთის რაიონის სოფ. გვანდრაში. ამფორა ადგილობრივი თიხისგანაა დამზადებული და ზედ დასმული აქვს დამლები. წარწერა პირველად გამოსცა გ. შამბამ (Шамба, 1976, გვ. 149-157).

ΔΙΟΣ || ΚΟΥ

წარწერას თ. ყაუხჩიშვილი ასე აღადგენს: Διοσκου[ρίας] – „დიოსკურია“ და მას ქალაქის სახელწოდების შემოკლებად მიიჩნევს (ყაუხჩიშვილი, 1999, გვ. 78). წარწერა იგი ათარილებს ძვ.წ. IV-III სს-ით პალეოგრაფიული ნიშნების (Σ,Υ) და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით.

დამდასთან დაკავშირებით გ. შამბა აღნიშნავს შემდეგს: დამლა ბერძნული ასოების კარგად მცოდნეს შეუსრულებია, თუმცა შეტრიალებულად აქვს შესრულებული, ანუ მკვეთავმა ასოები კარგად იცის, თუმცა კვეთისას შეეშალა (Шамба, 1976, გვ. 149-157). აღვნიშნავთ, რომ წარწერა შეტრიალებულად კი არ არის, სარკისებურად არის შესრულებული. ყალიბზე ავტორს სწორად შეუსრულებულია, ხოლო დატანისას სარკისებურად გამოვიდა. ასეთივე დამდიანი ყურები სხვაგანაც არის მოპოვებული. მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა მკვეთავის შეცდომასთან, არამედ ეს დამლა დიოსკურიის პოლისის მიერ წარმოებული პროდუქციის აღსანიშნავად გამოყენებული ემბლემაა, აქედან გამომდინარე, უჩვეულო არ არის არც ის, რომ ქალაქის სახელწოდების შემოკლებული ფორმაა გამოყენებული და არც ის, რომ წარწერები სარკისებურად არის მოთავსებული ამფორებზე.

დიოსკურიის მიერ საკუთარი დამდიანი ამფორების წარმოება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დიოსკურიას საკუთარი საწარმოო ცენტრი ჰქონდა, კიდევ ერთი არგუმენტი დიოსკურიის პოლისური სტატუსის მტკიცებისთვის. ძვ. წ. IV საუკუნიდან, დიოსკურია სხვადასხვა პირდაპირი თუ ირიბი მტკიცებულებებით, უკვე ჩამოყალიბებული პოლისია. დიოსკურიის გარშემო ბევრგან არის აღმოჩენილი კერამიკული ღუმელის ნაშთები, სადაც ამ ტიპის დამდიანი ამფორების ნატეხებია ნაპოვნი. ეს ტერიტორია სოხუმსა და ეშერას შორის თავსდება ძირითადად. ძვ. წ. IV საუკუნისთვის, როგორც ჩანს, დიოსკურია სვინოიკიზებას ახდენს, სხვადასხვა წვრილი დასახლებები ერთიანდებიან და ერთიანი სამეურნეო სივრცე იქნება. დიოსკურიის სვინოიკიზებაც მის დამდიან ამფორებთან ერთად დიოსკურიის პოლისური სტატუსის მანიშნებელია.⁴

წარწერა სოხუმიდან სინოპურ ლუტერიონზე. სოხუმის მუზეუმშია დაცული სინოპური ლუტერიონი (N 60-954/713a), რომლის კიდეზე შემონახულია დამლა ბერძნული წარწერით. წარწერა თავდაპირველად გამოსცა მ. ტრაპშმა. იგი აღნიშნავს, რომ წარწერის ქვემოთ პალმის რტოა (Трапш, 1963, გვ. 243; Трапш, 1969, გვ. 308)

თ. ყაუხჩიშვილის აღნიშვნით, წარწერის შინაარსი შემდეგია: .ΟΣΙΒ.

⁴ ამ საკითხთან დაკავშირებით დეტალურად იხ. ნ. ფიფია. ელინური ექსპერიმენტი დასავლეთ საქართველოში - ბერძნული ახალშენები (გენეზისი, ისტორია). თბილისი. 2014. გვ. 107-109

ხოლო შინაარსს იგი ასე აღადგენს და თარგმნის: [Σ]ατ[ρ][ι]σ[ς] ან [Σ]ατ[ρ][ι]σ[ς] სოსიბიოსი ან სოსობიოსის (ყაუხჩიშვილი, 1999, გვ. 78). წარწერის დათარიღება ცუდი შენახულობის გამო თ. ყაუხჩიშვილს შეუძლებლად მიაჩნია და მხოლოდ არქეოლოგიური მონაპოვრის მიხედვით, ვარაუდობს დაახლოებით II-III საუკუნეებს.

აღსანიშნავია, რომ ეს სახელი ბერძნულ სამყაროში მაინცდამაინც ხშირად არ გვხვდება. წარწერებიდან ჩვენთვის ცნობილია სულ სამი წარწერა: 1) წარწერა ნეო-ატიკური სტილის ელინისტური ხანის მარმარილოს კრატერზე, სადაც მითითებულია, როგორც ხელოსნის სახელი, ეს ხელოსანი რესპუბლიკური ხანის რომში მოღვაწეობდა 2) ახ. წ. I-II საუკუნეების წარწერა პატრასიდან (აქაია) (Rizakis, 1998, №268, 3) 180-185 წლებით დათარიღებული მარკუს ავრელიუსთან დაკავშირებული წარწერა ხერსონესიდან (სევასტოპოლი, დღ. ყირიმი) (IOSPE, 1916, №417).

დამლა სოხუმიდან ამფორის ნატეხზე. სოხუმის სამხედრო დასახლებაში მოპოვებულია ამფორის ნატეხი (ინვენტარის №69-31/BΓ-12). ამფორაზე აწერია ორი მთავრული ასო: ΔΡ. ნატეხი არქეოლოგიური კონტექსტის მიხედვით, თ. ყაუხჩიშვილმა ძვ. წ. II-I საუკუნეებს მიაკუთვნა, თუმცა პალეოგრაფიულად ძვ. წ. V-IV საუკუნეებსაც შესაძლებლად მიიჩნევდა (ყაუხჩიშვილი, 1999, გვ. 79).

ჩვენი აზრით, ეს წარწერა დიოსკურიის დამღის შემოკლებული ფორმაა, ძვ. წ. IV საუკუნე დიოსკურიის ადგილობრივი სამეურნეო წარმოების აღმავლობის თუ არა, გარკვეული ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობის პერიოდია. შესაბამისად, ეს წარწერაც ჩვენი აზრით ამ პერიოდს და კონტექსტს უკავშირდება.

წარწერა ამფორის ნატეხზე სოხუმის ციხიდან. სოხუმის მუზეუმში დაცულია ამფორის ნატეხი (№ 64-29), რომელიც სოხუმის ციხესთან არის მოპოვებული. ნატეხზე არის ბერძნული გრაფიტი, წარწერა შემდეგი შინაარსისაა:

T.EZI

არქეოლოგიური და პალეოგრაფიული მონაცემებით წარწერა თარიღდება გვიანანატიკური ხანით (ყაუხჩიშვილი, 1999, გვ. 79).

მსგავსი ასოთა კომბინაციით ცნობილია ერთი წარწერა, რომელშიც სიტყვა სრულად ასე აღდგა: ΤΡΑΠΕΖΙΜΟΥ (SEG 51:736). ეს წარწერა ქრისტიანულია, თუმცა პირველი საუკუნით თარიღდება.

ვანის ქალღმერთისადმი სავედრებელი წარწერა. ვანის ნაქალაქარის კარიბჭესთან, მის აღმოსავლეთ ნაწილში სვეტის, სავარაუდოდ, კვარცხლბეკის, გვერდით კედელზე ამოკაწრულია ვერტიკალურად ბერძნული წარწერა. წარწერა შემდეგი ხასიათისაა:

ΑΡ. ΩΑΝΑΚΑ

რაც შეეხება აღდგენას, თ. ყაუხჩიშვილი კორპუსში ასე აღადგენს და თარგმნის წარწერის ტექსტს:

ἀρ[άουα] ὦ ᾠαν[α] გვედრები (შენ) მეუფეო (ყაუხჩიშვილი, 1999, გვ. 148).

შესაბამისად, თ. ყაუხჩიშვილი ასკვნის, რომ წარწერის შემსრულებელი ევედრება მეუფეს (მდედრ.სქესის), რომლის ქანდაკებაც, შესაძლოა, იქვე, კვარცხლბეკზე იდგა (ყაუხჩიშვილი, 1999, გვ. 148).

მკვლევარი სქოლიოში (N 34) ΑΡ-ის წაკითხვის სხვა, განსხვავებულ ვერსიასაც გვთავაზობს. თ. ყაუხჩიშვილს მიაჩნია, რომ ეს შემოკლება შეიძლება აღნიშნავდეს შურისძიების ქალღმერთს (Αρά) ან სახელს Ἀρσας, რომელიც იქვე, მეორე წარწერაში ჩანს. ეს უკანასკნელი ვერსია, ჩვენი აზრით, უფრო დამაჯერებელი უნდა იყოს, რაკი მეორე წარწერაში, რომელიც მარჯვნიდან მარცხნივაც შესრულებული, ორჯერ მეორდება ხელოსნის სახელი APCANC. ამასთან, წერის მიმართულება, თ. ყაუხჩიშვილის აზრით, წერის შეფარვით მანერაზე მიუთითებს

(ყაუხჩიშვილი, 1999, გვ. 148), რის გამოდახილსაც, ვფიქრობთ, უნდა წარმოადგენდეს ასევე AP. შემოკლება.

თ. ყაუხჩიშვილმა პირველი წარწერის პირველ გამოცემაში დეტალური პალეოგრაფიული ანალიზი შემოგვთავაზა. ასევე დაასაბუთა, თუ რატომ მიაჩნდა ეს წარწერა სვეტზე შერულებულად, კერძოდ, მიუთითა, რომ წარწერის „მიმართულება არის ზემოდან ქვემოთ. ასეთ წარწერებს ბერძნულად ეწოდება *κισινός*, ე. ი. სვეტის, კოლონების ფორმის წარწერები“ (ყაუხჩიშვილი, 1967, გვ. 256). იმავე პუბლიკაციაში მან დააზუსტა სიტყვა *ἀρχαία*-ს სხვა მნიშვნელობებიც: „გვედრები, გთხოვ, ვლოცულობ, მსურს, ვწყევლი“. უკანასკნელმა მნიშვნელობამ ჩვენი ყურადღება მიიქცია. დასავლეთ საქართველოში უკანასკნელ ხანებამდე, კერძოდ, ქრისტიანობის პოსტ-კომუნისტურ აღორძინებამდე, „ხატზე გადაცემა“ გავრცელებული პრაქტიკა იყო. თავისი ფორმით, შინაარსით და პრაქტიკით ეს იმდენად არაქრისტიანული ხასიათისაა, რომ რასაკვირველია, ამ ჩვეულების საფუძველი წინარექრისტიანულ ხანაშია სამიებული (ფიფია და ციმინტია, 2017; ციმინტია, 2015). „ხატზე გადაცემას“ მიმართავდნენ დამნაშავეს გამომჟღავნების ფუნქციით. მაგალითად, თუ ვინმე რამეს დაკარგავდა, „ხატს“ (წინარექრისტიანულ ეპოქაში, ალბათ, სხვადასხვა ღმერთებს) ევედრებოდა საჯაროდ, დამნაშავე გაგიჟდეს და ჩემი სახელის ყვირილი დაიწყოსო. შემთხვევები, რომლითაც ადასტურებდნენ, რომ სამართლის ძიების ეს ფორმა მოქმედებდა, დაკავშირებულია წყევლის გასაჯაროებასთან, სავარაუდოდ, წყევლის ქვეცნობიერი შიში დამნაშავეს აიძულებდა თავისით გაეთქვა თავი. ეს წარწერაც, შესაძლოა ამას გულისხმობდა: წარწერის ავტორი ქალღმერთს ევედრებოდა ვიდაცის დაწყევლას მსგავსი მიზნით. ვანი მნიშვნელოვან სატამრო ქალაქს წარმოადგენდა და ამ ტიპის რიტუალებს სწორედ მნიშვნელოვან სალოცავებში ასრულებდნენ.

ი. ვინოგრადოვმა მიიჩნია, რომ წარწერის პირველ ნაწილში არსანსის სახელი უნდა იყოს მოხსენიებული, რადგან ბერძნული წარწერებიდან უცნობია ამ ტიპის შემოკლება. მისი აზრით, ეს წარწერა გვერდით არსებულ არსანსის წარწერებს უნდა უკავშირდებოდეს და ქართულ საკუთარ სახელს - არსენს აღნიშნავს (Vinogradov, 1997, გვ. 577). ბერძნული წარწერების მონაცემთა ბაზებით ნამდვილად შეიძლება თქმა, რომ წარწერებიდან არამთცეთუ ამ შემოკლებით, არამედ ამ სიტყვით ცნობილი წარწერა მხოლოდ ერთია - ვანის წარწერა. მაგრამ, აქვე აღსანიშნავია, რომ არსანსის სახელი მხოლოდ ვანის წარწერებიდანაა ცნობილი.

ამ წარწერაში მოხსენიებული ღვთაება თ. თოდუას ვანი-სურიონის მფარველ ღვთაებად მიაჩნია. იგი ლოტოსის გამოსახულებიან ვანში მოჭრილ მონეტებს უკავშირებს ამ წარწერას. ლოტოსის გამოსახულება ისიდას კულტს უკავშირდება, პონტოს სამეფოში მისი კულტი სინკრეტიზებული იყო აფროდიტეს კულტთან. თ. თოდუა სურიონ-ვანის მფარველ ღვთაებას წყლის, მდინარის ქალღვთაებად მიიჩნევდა (თოდუა, 2014, გვ. 164-165).

წარწერაც და მასთან ახლოს აღმოჩენილი თეთრი მარმარილოს ფრაგმენტები ქალაქის მფარველ ღვთაებას დაუკავშირა ასევე ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერ-თანამშრომელმა ს. რამიშვილმა (რამიშვილი, 2016, გვ. 45).

ვანის არსანსის წარწერა. ვანის ქალღმერთისადმი სავედრებელი წარწერასთან ახლოს არის არსანსის წარწერა. თ. ყაუხჩიშვილის აღწერით, ზემოხსენებული წარწერის სამხრეთით, კარიბჭის ძირითად კედელზე მიშენებული პატარა წინარექრისტიანული⁵ სამლოცველოს ჩრდილოეთ კედლის შიგნითა მხარეს, ზემოდან პირველ ქვაზე, მიწიდან 136 სიმაღლეზე არის ერთ ჰორიზონტალურ სტრიქონად ამოკაწრული წარწერა, რომელიც მარჯვნიდან მარცხნივ იკითხება. მისგან დასავლეთით, სიგანეში 1-2 ქვის გამოტოვებით 20 სმ-ით დაბლა, პირველ წარწერასთან

⁵ თ. ყაუხჩიშვილი იყენებს ტერმინს „წარმართული“, რომელიც ჩვენი აზრით, ყველა აკადემიურ გამოცემაში სამომავლოდ უნდა შეცვლილ იქნას ტერმინით „წინარექრისტიანული“, ტერმინ „წარმართულის“ დეროგატორული ხასიათის გამო

შედარებით არის მეორე წარწერა, რომელსაც წერის იმავე მიმართულება აქვს. წარწერაში მეორე და მესამე ასო დაზიანებულია. ორივე წარწერაში იკითხება:

APCANC

თ.ყაუხჩიშვილის აზრით, ეს უნდა იყოს საკუთარი სახელი „არსანსი“.

წარწერა თ. ყაუხჩიშვილმა პირველად 1967 წელს გამოსცა (ყაუხჩიშვილი, 1967, გვ. 253-258).

მკვლევარი აღნიშნავს, რომ ეს სახელი მხოლოდ ვანის წარწერაში იხსენიება და ჩამოთვლის მსგავს საკუთარ სახელებს: Ἀρσανος (Diod. Sicul. 17, 6); Ἀρσῆς (Oxy, VII, 1063, II (II-III)); Ἀρσῆς (Teb. I, 121, 109). თ. ყაუხჩიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ელინისტური პერიოდისთვის უჩვეულო წერის მიმართულებაზე, რაც, მისი აზრით, წერის შეფარვით მანერაზე მიუთითებს, რითაც ხელოსნის (მოქანდაკის, არქიტექტორის) სახელია გამჟღავნებული (ყაუხჩიშვილი, 1999, გვ. 148). სახელს მამაკაცის სახელად მიიჩნევენ სხვა მკვლევარებიც (რამიშვილი, 2016, გვ. 45-46). ი. ვინოგრადოვი მას მამაკაცის ქართულ სახელს „არსენს“ უკავშირებს (Vinogradov, 1997, გვ. 577). წარწერა ძვ. წ. IV-III საუკუნეებს უნდა მიეკუთვნებოდეს (ყაუხჩიშვილი, 1999, გვ. 148-149).

ვანის წარწერა წინარექრისტიანული სამლოცველოს სამხრეთ გარეთა კედელზე. ვანის ნაქალაქარის კარიბჭის ძირითად კედელზე მიშენებული პატარა წინარექრისტიანული სამლოცველოს სამხრეთ კედელზე, ამჯერად გარედან, ზემოდან მეორე ქვაზე, სულ კიდეზე, მიწიდან 143 სმ-ზე, ჩანს ბერძნული წარწერის კვალი. წარწერის სიგრძე 14 სმ-ია. სტრიქონების ბოლოს თ. ყაუხჩიშვილი შემდეგ ასოებს კითხულობს:

+A+...P...PA

თ. ყაუხჩიშვილი წარწერის აღდგენას ვერ ახერხებს და მიუთითებს, რომ ასოთა მოხაზულობის მიხედვით იგი შეიძლება დათარიღდეს დაახლოებით ძვ. წ. IV-III საუკუნეებით (ყაუხჩიშვილი, 1999, გვ. 149).

მართალია, ეს წარწერა ფრაგმენტულია, თუმცა თვალში საცემია მისი კავშირი ვანის არსანსის, ასევე ვანის წინარექრისტიანული ქალღმერთისადმი მიძღვნილ წარწერებთან.

მელაბეს წარწერა. ვანის ადგილობრივი წარმოების კრამიტზე ბერძნულენოვანი დამლაგამოსახული:

ΒΑΣΙΛΙΚΗ || ΜΗΛΑΒΗ.

თ. ყაუხჩიშვილმა წარწერა ასე აღადგინა და სავარაუდო თარგმანი შემოგვთავაზა:

βασιλική Μηλαβή (საწარმოო) მელაბეს (საკუთარი სახელი?) (ყაუხჩიშვილი, 1999, გვ. 151).

ასოთა მოხაზულობით დამლა მან ძვ.წ. IV-III სს-ით დაათარიღა, თუმცა კრამიტი აღმოჩენილია ძვ.წ. II-I საუკუნეების ფენებში. არქეოლოგების ვარაუდით, ამ დროს ხდება მისი მეორადი გამოყენება.

ოთარ ლორთქიფანიძე ამ წარწერის მაგალითზე ამტკიცებს, რომ რომ დედატოსის ბეჭედი უფლებრივი საბეჭდავი ბეჭედი (ლორთქიფანიძე, 1995, გვ. 23). მისი აზრით, ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევარსა და III საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც კოლხეთის სამეფო დასუსტებულია, სავარაუდოდ „ვანის მხარემ („ვანის ქვეყანა“) მიაღწია გარკვეულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ახალი მმართველები, რომელთა შორის, იქნებ პირველი იყო დედატოსი, შესაძლოა, მეფეებადაც კი იწოდებოდნენ. ამის არაპირდაპირ მოწმობად შეიძლება მივიჩნიოთ ვანში აღმოჩენილი ძვ. წ. IV-III საუკუნეების ადგილობრივი კრამიტები, რომელთა დამღებზე მოიხსენიებიან მეფეები (მაგ. ΒΑΣΙΛΙΚΗ Μηλαβή)“ (ლორთქიფანიძე, 1995, გვ. 24-25).

მელაბე მეფის სახელად არ მიაჩნია თ. ლეჟავას (ლეჟავა. 2009-2011, გვ. 165-166). სახელები - მელაბესი, ორამოსი, ხორსიპი, დედატოსი, მენო, ერმო..., ხ-ხა... ადგილობრივ სახელებად მიაჩნია ს. რამიშვილს, გამომდინარე იქიდან, რომ ეს სახელები ბერძნულ ონომასტიკონში არ დასტურდება (რამიშვილი, 2016, გვ. 46-47).

„ორადოსის“ წარწერა ვანიდან. ვანის ადგილობრივი წარმოების კრამიტზე ბერძნულენოვანი დამლაგამოსახული
ΟΡΑΖΟ 'Οράζο,
წარწერას თ. ყაუხჩიშვილი ასე აღადგენს და თარგმნის: 'Οράζου ὀραδოსία (ყაუხჩიშვილი, 1999, გვ. 151).

ასოთა მოხაზულობით დამლას ძვ.წ. IV-III სს-ით ათარიღებენ. კრამიტი აღმოჩენილია ძვ.წ. II-I სს-ის ფენებში. არქეოლოგების ვარაუდით, ამ დროს ხდება მისი მეორადი გამოყენება.

თარგმანთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სახელი ორადოსი სხვა ბერძნული წარწერებით დადასტურებული არ არის. შესაბამისად, ჩვენი ვარაუდით ეს სიტყვა ფრაგმენტულია და შეადგენს ზმნის ᾠοιράζω რომელიმე ფორმას. ამ ზმნას ლიდლ-სკოტის ლექსიკონის მიხედვით შემდეგი მნიშვნელობები გააჩნია: „გადაცემა, სავაჭრო ადგილის დაკავება, სავაჭრო ადგილას ყიდვა, აგორასთან მისვლა“ (Liddel და Scott, 1996, გვ. 14). ჩვენს შემთხვევაში, უფრო სავარაუდოა ნივთი სავაჭრო ადგილას ყიდვასთან იყოს დაკავშირებული. ეს სიტყვა, როგორც ამ ზმნის სხვადასხვა ფორმა, დადასტურებულია მინიმუმ 16 ბერძნულ წარწერაში.

სახელები - მელაბესი, ორადოსი, ხორსიპი, დედატოსი, მენო, ერმო..., ხ-ხა... ადგილობრივ სახელებად მიაჩნია ს. რამიშვილს, გამომდინარე იქიდან, რომ ეს სახელები ბერძნულ ონომასტიკონში არ დასტურდება (რამიშვილი, 2016, გვ. 46-47).

მელაბესა და ხორსიპის წარწერა ვანიდან. ვანის ადგილობრივი წარმოების კრამიტის ფრაგმენტზე ბერძნულენოვანი 2 დამლაგამოსახული. ერთზე არის წარწერა: ΜΗΛ..Β.. ხოლო მეორეზე: οΡCIII.

ფრაგმენტს შუაში აწერია ρ, სხვა ასოებთან შედარებით უფრო დიდი ზომის.

მათი აღდგენა და წაკითხვა შესაძლებელია ამგვარად:

Μηλαβη (მელაბე)

Χορσιπ (ხორსიპი).

არქეოლოგების აზრით, მელაბე არის წარმოების მფლობელი, ხოლო ხორსიპი-სახელოსნოს პატრონი, ასო ρ-სახელოსნოს აღმნიშვნელი (ყაუხჩიშვილი, 1999, გვ. 151). ხორსიპის სახელს პაპეს ლექსიკონში მოხსენიებულ რამდენიმე საკუთარ სახელს ვარაუდოთ უკავშირებს თ. ლეჟავა (ლეჟავა, 2009-2011, გვ. 167). სახელები - მელაბესი, ორადოსი, ხორსიპი, დედატოსი, მენო, ერმო..., ხ-ხა... ადგილობრივ სახელებად მიაჩნია ს. რამიშვილს, გამომდინარე იქიდან, რომ ეს სახელები ბერძნულ ონომასტიკონში არ დასტურდება (რამიშვილი, 2016, გვ. 46-47).

დათარიღებისას თ. ყაუხჩიშვილი ეფუძნება ასოთა მოხაზულობას (C, Π), რის მიხედვითაც დამლები დაახლოებით ძვ.წ. II ს-ს მიეკუთვნება (ყაუხჩიშვილი, 1999, გვ. 151).

ვანის დეკრეტი. 1985 წელს ვანის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მოიპოვა **ბრინჯაოს** ფილის მარჯვენა ფრაგმენტი, რომელსაც აკლია დასაწყისი და ბოლო ნაწილები. დღეს ის ვანის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპონატია. წარწერას არაერთი გამოკვლევა მიემდვნა. წარწერის თარგმანის ორი ვარიანტი არსებობს - თ. ყაუხჩიშვილისა და ი. ვინოგრადოვის, რომელიც შედარებით ახალია. თარიღად თ. ყაუხჩიშვილი ძვ. წ III საუკუნეს გვთავაზობს (ყაუხჩიშვილი, 1999, გვ. 150).

თ. ყაუხჩიშვილის აზრით, ტექსტი წარმოადგენს **სატაძრო საკანონმდებლო დოკუმენტს**, სადაც გარკვეული პირობებია მოცემული.

ვანის დეკრეტს უაღრესად საინტერესო სტატია მიუძღვნა ი. ვინოგრადოვმა, რომელშიც წარწერის ახლებური თარგმანი და ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა. ასევე საკუთარი მოსაზრებები წამოაყენა შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით. წარწერის მისეული თარგმანი შემდეგია:

„მათთვის, ვინც უარყოფს ყველას (დაიწერა ეს სტელა, დაე მიწა იყოს) დაუმუშავებელი და (ბერწი და სიკვდილის შემდეგ) მისი საფლავი იყოს ცარიელი, და (შვილები) დარჩნენ ობლად... დაე, გაიტანჯოს ამის გამო... დაე, მათ გაანადგურონ მისი შთამომავლები (?) და ... დაე, ყველა მათ,

ვისაც აქვთ ძალაუფლება ეს დაწერილი გააკონტროლონ, სადაც შესაძლებელია, აკრძალონ ამ ბრინჯაოს (სტელის) გადაადგილება ზემოხსენებული განკარგულების მიხედვით ყველა ტაძარში და ხელი შეუშალონ (ამ დადგენილების) განადგურებას, შეცვლას. (ყველა, ვინც არ) დაემორჩილება ამ დადგენილებას, (და ყველა ვინც) ამ ოჯახისა და მათი ცოლები და შთამომავლები და სხვა ასეთი ხალხი. (დაე) ქურუმმა (ყურადღება მიაქციოს მის შესრულებას), მან რომელიც არის ტაძისში და (ქურუმმა) პოსეი- და (ქურუმმა ქალმა), რომელიც არის სურიში. დაე (ზევსი) და დედამიწა, მზე და მთვარე (და სხვა ღმერთები) და ქალღმერთები მოწყალე იყვნენ მათდამი, (ვინც დაიცვა ეს) და სიმართლეს მისდია, ვინც არ მოიმოქმედა (არაფერი ამ განკარგულების საწინააღმდეგოდ) და არ ურჩია არავის (ვინც გამკეთებელია) საწინააღმდეგო გაეკეთებინა და დაე ამ უკანასკნელს ხელი მოეცაროს ყველაფერში (დაწყვეტილ იქნას ყველას წინაშე) დიდი ღმერთების მიერ და არაფერი სხვა...“ (Vinogradov, 1997, გვ. 583).

წარწერაში ნახსენებ ღვთაებებთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. თ. ყაუხჩიშვილმა პირველივე პუბლიკაციაში გამოთქვა მოსაზრებები. „ი Γΐ“ (დედამიწა) მისი აზრით, არის ან ქაოსის ასული, ურანოსის მეუღლე ან სხვა ავტოქტონური ღვთაება. ბΐ Ηλίοσ (მზე) მზის ღვთაება, რომელიც კლასიკურ საბერძნეთში ზოგჯერ გაიგივებული იყო აპოლონთან, ჰერაკლესთან, ზევსთან, დიონისესთან. ბ Μηΐς მთვარის ღმერთია ანატოლიური წარმომადგენელი, რომელსაც ატიკაში ძვ. წ. IV-III საუკუნეებიდანაც სცემენ თაყვანს, ოღონდ მეტეკები და მონები (ყაუხჩიშვილი, 1987, გვ. 139-140) ბ. ნასიძე ბ Μηΐς ჰეკატეს კულტთან კავშირში განიხილავს (ნასიძე, 2002, გვ. 116-120).

ი. ვინოგრადოვი ბ Μηΐς მიჩნევდა მხოლოდ ადგილობრივ კულტად და ასევე, სტანდარტული ტრიადის ნაცვლად ოთხი ღმერთის მოხსენიება ადგილობრივ გავლენად მიაჩნდა. თუმცა, თავისთავად, წარწერა, ლექსიკის, შინაარსის და კულტურული მახასიათებლების მიხედვით, უაღრესად ბერძნული იყო (Vinogradov, 1997, გვ. 591). მისი აზრით, ეს ვანის მოსახლეობის ზედა ფენების მცდელობაა, არსებულ საერთაშორისო ვითარებას გარკვეული ომაჟი შეუსრულოს (Vinogradov, 1997, გვ. 594).

ასტრალური ღვთაებების კულტი საქართველოში საკმაოდ კარგად შესწავლილია და ამასთან დაკავშირებით ერთი დამატებითი კომენტარი გაგვაჩნია. ეთნოგრაფიული მასალები, როგორც ცნობილია, უპირველესია ასტრალური ღვთაებების კულტის საკვლევად. უკანასკნელ ხანებში, ერთ ერთი ექსპედიციისას ასტრალურ ღვთაებებთან დაკავშირებით ჩავიწერეთ აქამდე უცნობი ეთნოგრაფიული მასალა. ასევე ლექსი, რომელიც ღმერთებისადმი მიმართვას წარმოადგენს:

„თუთა, თახა, ჯუმა, ცა,
ობი, საბატონი, ბჟა
ჩქინი ოხვამური (ოხვამალი)
ჩქინი ღორონთეფი
თქვანი გოლუაფირო მა“

ლექსის დასაწყისში მოხსენიებულია კვირის დღეებთან დაკავშირებული ღმერთები, მათ შორის მზე და მთვარე და შემდეგ მიმართვაა: ჩვენი სალოცავები (ან ჩვენი მოსალოცი), ჩვენი ღმერთებო (ან ღმერთებო), თქვენ შემოგველეთ მე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აფაქიძე, გ. (1977). ბიჭვინტის სამშენებლო კერამიკა. დიდი პიტიუნტი. ტ. II. თბილისი, მეცნიერება.
2. ასათიანი, ლ. (1977). დიდი პიტიუნტი. ტ. II. თბილისი. მეცნიერება.
3. ბარჯაძე, გ. (2004). ითხვისი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი. თბილისი. აისი.

4. გაგოშიძე, ი. (1966). ითხვისის სამარხი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XXV-B.
5. გამყრელიძე, გ. მინდორაშვილი, დ. ბრაგვაძე, ზ. კვაჭაძე, მ. (2013). ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
6. დუნდუა, თ. ჩიქობავა. აკ. (2013). დასავლეთ საქართველოს ჰეგემონი - ლაზთა მეფე პაკორი. თბილისი. მერიდიანი.
7. დუნდუა, თ. (2018). მოვსეს ხორენაცის ერთი ცნობის გარშემო (იბერია-პონტოს პოლიტიკური კონტაქტების საკითხისათვის). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. XV. თბილისი. მერიდიანი.
8. თოდუა, თ. (2014). სურიონ-ვანის მფარველი ღვთაება „Ανασσα Σουρι“. ქართველოლოგი. 22(7). თბილისი.
9. ინაძე, მ.(1982). აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია. თბილისი. მეცნიერება.
10. ლეჟავა, თ. (2009-2011). ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი კრამიტის ბერძნულწარწერიანი დამლეხი. მნემოსინე, სტუდენტთა შრომები ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში. №4
11. ლორთქიფანიძე, ოთ. (1995 (1996). ვანი „ოქრომრავალი“ კოლხეთის უძველესი რელიგიური ცენტრი, Jahrbuch des Romisch-Germanischen Zentralmuseums Mainz, 42. Jahrgang. s. 353-401.
12. მაკალათია, ს. (1964). ლეხურას ხეობა. თბილისი. საბჭოთა საქართველო.
13. ნასიძე, მ. (2002). გრაფიტო - ძველი ბერძნული კულტურის მცირე ასპექტი. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. თბილისი.
14. რამიშვილი, ს. (2016). წერილობითი არტეფაქტები ვანის არქეოლოგიური გათხრებიდან. მატიაწე. ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის კრებული. ვანი.
15. ფიფია, ნ. (2014). ელინური ექსპერიმენტი დასავლეთ საქართველოში. თბილისი. მერიდიანი.
16. ფიფია, ნ. ციმინტია, ქ. (2017). რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ზოგიერთი პრაქტიკის შესახებ სამეგრელოში („ხვამა“: „ოხვამერი“ და „დუნაპირი“). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XII. თბილისი. მერიდიანი
17. ყაუხჩიშვილი, თ. (2000) საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი. ტ. II. აღმოსავლეთი საქართველო. თბილისი. ლოგოსი.
18. ყაუხჩიშვილი, თ. (1967). ვანის ბერძნული წარწერები. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. XVIII. N 1.
19. ყაუხჩიშვილი, თ. (1993). ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ მოპოვებული ბერძნული წარწერები. კრებული: ნოქალაქევი - არქეოპოლისი. III. არქეოლოგიური გათხრები. 1983-1989. თბილისი.
20. ყაუხჩიშვილი, თ. (1999). საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი. I. დასავლეთი საქართველო. თბილისი. ლოგოსი.
21. ყაუხჩიშვილი, თ. (2009). საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი. თბილისი. ლოგოსი.
22. ყაუხჩიშვილი, თ. (1987). ვანის ახლადაღმოჩენილი ბერძნული წარწერა. ქართული წყაროთმცოდნეობა. VII. 131-143.
23. ყაუხჩიშვილი, თ. (2002). ბერძნული ეპიგრაფიკა. თბილისი.
24. ყაუხჩიშვილი ს. (1955.). ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი. ონლაინ გამოცემა ხელმისაწვდომია: http://www.amsi.ge/istoria/qc/qarTlis_cxovreba_1_1.html
25. ჩოლოგაური, ლ. (2016). დიონისეს გამოსახულებები ელინისტური ხანის ამიერკავკასიაში. ნაშრომი შესრულებულია არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი. ხელნაწერის უფლებით.
26. ციმინტია, ქ. (2015). ხატზე გადაცემის ჩვეულება საქართველოში. ნაშრომი შესრულებული ეთნოლოგიის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი. ხელნაწერის უფლებით.
27. Виноградов, А. Ю. (2013). Кувшин царя Бакура – новый источник по ранней истории Кавказа. в. ვინოგრადოვი, ბაკურ მეფის თასი – კავკასიის ადრეული ისტორიის ახალი წყარო: ინტერდისციპლინარული არქეოლოგია II, თბილისი, თსუ, 2013
28. Воронов, Ю. Н. (1981). О некоторых новых находках в окрестностях Цебелды Известия Абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулия. X. Тбилиси.

29. Ельиницкий, Л. А. (1964). О малоизученных или утраченных греческих и латинских надписях Закавказья: Вестник древней истории. № 2.
30. Ельиницкий, Л. А. (1962). Новые документы антихристианской реакции в Римской империи в IV в. н. э.: Советская археология. №4.
31. Каухчишвили, Т. С. (1985). Греческая надпись эшерского городища. Источниковедческие разыскания. 1982. Тбилиси.
32. Каухчишвили, Т. С. (1957). Греческая надпись на сухумском светильнике. Труды Абнии XXVIII. Сухуми.
33. Каухчишвили, Т. С. (1958). Эпиграфические новости из Грузии: ВДИ. № 4.
34. Трапш, М. М. (1969). Труды. 2. Древний Сухуми. Сухуми. Алашара.
35. Трапш, М. М. (1863). Раскопки древнего Севастополиса в районе Сухумской крепости в 1959 г.; Труды Абнии. XXXIII- XXXIV. Сухуми.
36. Тревер, К. В. (1953). Очерки по истории культуры древней Армении (II в. до н. э. - IV в. н. э.). Москва.
37. Шамба, Г. К. (1976). Пицундская чаша, Известия Абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулия. V. Тбилиси.
38. Шамба, Г. К. (1980). Эшерское городище. Тбилиси. Мецниереба.
39. Шамба, Г. К. (1976). Амфорные клейма Диоскурии. Известия Абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулия. V.
40. Шервашидзе, Л. А. Соловьев, Л. Н. (1960). Исследования древнего Севастополиса. Советская археология. N 3.
41. Шервашидзе, Л. А. (1967). Повесть о городе взятом волнами. Сухуми.
42. Corsten, Thomas. (2002). Die Inschriften von Kibyra, I: Die Inschriften der Stadt und ihrer näheren Umgebung. «Inschriften griechischer Städte aus Kleinasien». 60. Nos. 1-448.
43. Dobрева, Diana. (2018). Thracian City Economy as Part of the Global Sinopean Wine Trade. BULLETIN OF THE NATIONAL ARCHAEOLOGICAL INSTITUTE. XLIV. Proceedings of the First International Roman and Late Antique Thrace Conference “Cities, Territories and Identities” (Plovdiv, 3rd – 7th October 2016).
44. Hansen. M. H. (2006). *Polis: An Introduction to the Ancient Greek City-State*. Oxford: Oxford University Press.
45. IOSP. (1916). *Inscriptiones antiquae orae septentrionalis Ponti Euxini graecae et latinae*, ed. Basilii [Vasilii] Latyshev. 3 vols. St. Petersburg 1885-1901. Vol. 1, 2nd edn., *Inscriptiones Tyriae, Olbiae, Chersonesi Tauricae*. St. Petersburg.
46. Jonnes, Lloyd. (1994). *The Inscriptions of Heraclea Pontica. With a Prosopographia Heracleotica* by Walter Ameling. «Inschriften griechischer Städte aus Kleinasien». 47.
47. Kassab Tezgör, D. Kebuladze, N. Lomitashvili, D. Zamtaradze, M. 2007. Les sites de Gudava et d'Ilori (Colchide): amphores de Sinope et amphores locales de l'époque romaine. – *Anatolia Antiqua* 15. 197-214.
48. Liddel and Scott. (1996). *A Greek-English Lexicon*, compiled by Henry George Liddell and Robert Scott. Revised and Augmented by Sir Henry Stuart Jones with the assistance of Roderick McKenzie and with the cooperation of many scholars. with a revised supplement. Clarendon Press. Oxford.
49. Rizakis, Athanasios D. (1998.). *Achaïe II. La cité de Patras: épigraphie et histoire. Meletēmata (Kentron Hellēnikēs kai Romaikēs Archaïotētos)*. 25. Athens
50. SEG: *Supplementum Epigraphicum Graecum*. Vols. 1-11, ed. Jacob E. Hondius, Leiden 1923-1954. Vols. 12-25, ed. Arthur G. Woodhead. Leiden 1955-1971. Vols. 26-41, eds. Henry W. Pleket and Ronald S. Stroud. Amsterdam 1979-1994. Vols. 42-44, eds. Henry W. Pleket, Ronald S. Stroud and Johan H.M. Strubbe. Amsterdam 1995-1997. Vols. 45-49, eds. Henry W. Pleket, Ronald S. Stroud, Angelos Chaniotis and Johan H.M. Strubbe. Amsterdam 1998-2002. Vols. 50, eds. Angelos Chaniotis, Ronald S. Stroud and Johan H.M. Strubbe. Amsterdam 2003.
51. Speidel M.P., Todua T.T., (1988). Three inscriptions from Pityus on the Caucasus frontier. – *Saalburg Jahrbuch*. 44.
52. *The Scriptorum Historiae Augustae*. With an English Translation by D. Magie. Vol. I. Harvard University Press. Cambridge, Massachusetts. London, England. First published 1921. Reprinted 1930, 1953, 1960, 1967, 1979, 1991
53. Tsetschladze, G. R. Vnukov, S. Y. (1992). *Colchian Amphorae: Typology, Chronology, and Aspects of production*. The Annual of the British School at Athens. Vol. 87.
54. Vinogradov. J.G. (1997). *The Inscribed Bronze from Vani*. Pontische Studien. Kleine Schriften zur Geschichte und Epigraphik des Schwarzmeerraumes. Mainz: Philipp Von Zabern.

55. ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის ლათინური წარწერების მონაცემთა ბაზა. იხ. წარწერა: <https://edh-www.adw.uni-heidelberg.de/edh/inschrift/HD005940>

56. კოლხური თეთრი. ქართული ნუმისმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ კატალოგი. ხელმისაწვდომია: <http://geonumismatics.tsu.ge/ge/catalogue/#1> ბოლო წვდომა: 23.01.2020

Ancient Greek Inscriptions Found in Western Georgia as a Source to Study Georgian History
Natia Phiphia, Ekaterine Kobakhidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Summary

Greek inscriptions found in Western Georgia are quite informative sources to study not only Georgian history, but classical history as well. These inscriptions alongside with narrative Greek and Roman sources represent major material to study history of western Georgia in ancient era. Since no narrative source which would tell us about the region in classical era existed in Georgian, their study is extremely relevant and urgent. Despite the fact, they are quite well studied and some bigger inscriptions deserved quite a long and different interpretations of scholars, since on the light of new discoveries and recent studies, some earlier interpretations need revision. The paper serves this purpose.

ვენეციური საარქივო მასალები ქართლის მეფის, სიმონ I-ის შესახებ

გაგა შურღაია
ნეაპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტი „ლ'ორიენტალე“

ქართლის მეფე, სიმონ I ბაგრატიონი (1556-1569, 1578-1600), ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეა XVI ს.-ის მეორე ნახევრის საქართველოსა და კავკასიის ისტორიაში. იგი ნახევარი საუკუნის განმავლობაში სათავეში ედგა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულ ბრძოლას ჯერ სეფიანთა ირანის, ხოლო შემდეგ – ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. თავისი სიცოცხლის 74 წლის (1537-1611) განმავლობაში ორჯერ ავიდა სამეფო ტახტზე, იმეფა 35 წელიწადი, ხოლო 20 წელი მტრის დილეგში გაატარა, რამაც მძიმე დაღი დაასვა მის ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობას.

სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული სახელგანთქმული მხედართმთავარი და უშიშარი რაინდი, არანაკლებ უზადლო პოლიტიკოსიც იყო. ამას მოწმობს მისი დიპლომატიური მიმოწერა რომის პაპებთან, ესპანეთის მეფესთან, რომის საღვთო იმპერიის იმპერატორთან, დასავლელ და აღმოსავლელ სხვა მონარქებთან და მთავრებთან, რათა ისინი ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება. გასაოცარია, როგორ ახერხებდა საერთაშორისო პოლიტიკის მაჯისცემაზე მუდმივ მიყურადებასა და მყისიერ რეაგირებას მეფე, რომელიც პენელოპეს სუდარად ქცეული სამეფოს გამთლიანებისათვის იბრძოდა, წინამძღოლობდა განუწყვეტელ ლაშქრობებს და იძულებული იყო, ძნელბედობის გამო თავისი ადგილსამყოფელი ხშირ-ხშირად გადაეტანა ერთი სახიფათო ადგილიდან მეორეზე. საქართველოსთვის თავშეწირულმა გვირგვინოსანმა წარმატებას ვერ მიაღწია დიპლომატიურ ფრონტზე, რადგან შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსე, პოლიტიკურად დაქსაქსული დასავლეთი მზად არ აღმოჩნდა მისი დიდი პოლიტიკური ჩანაფიქრის მხარდასაჭერად და განსახორციელებლად.

მიუხედავად ყოველივე ამისა, დიდი და მეტად მნიშვნელოვანი იყო სიმონ მეფის მოღვაწეობის პოლიტიკური შედეგები: ქართლის სამეფომ შეინარჩუნა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, თუმცა, ეს ძვირად დაუჯდა სამეფოს, ხოლო თავად სიმონს – თავისუფლების აღკვეთად და საბოლოო ჯამში – სიცოცხლედაც. მართალია, მისმა გამუდმებულმა ბრძოლამ

სეფიანთა და ოსმალთა ძალები ქართლზე მოიზიდა, მაგრამ ამან დანარჩენ ქართულ სამეფო-სამთავროებს მშვიდობიანი განვითარების პირობები შეუქმნა. ამით შემოინახეს მათ ადამიანური რესურსები, რომლებიც მომდევნო საუკუნეებში საქართველოს სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად გამოიყენეს.

უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანია ქართული და უცხოური წყაროები სიმონ I-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ (იხ., მაგ., Tardy, 1973, გვ. 186-206). მას სიცოცხლეშივე შეასხა ხოტბა პორტუგალიელმა პოეტმა ლუის ვას დე კამოესმა (1524?-1580) პოემაში „ლუზიადები“ (1572). სახელოვანი მეფის შესახებ უცხოური ისტორიული და საარქივო წყაროების გამოძეურებასა და ანალიზში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს მიხეილ თამარაშვილმა (1858-1911), მიხეილ თარხნიშვილმა (1897-1958), ბეჟან გიორგაძემ (1905-1984), ლაიოშ ტარდიმ (1914-1990), ილია ტაბაღუამ (1919-2004), ლუის ხილმა, ზურაბ გამეზარდაშვილმა, ელდარ მამისტვალიშვილმა და სხვა მეცნიერებმა⁶, თუმცა, ამ წყაროებიდან ბევრი რამ ჯერ კიდევ შეუსწავლელია. მხედველობაში გვაქვს, უპირველესად, რომის, ვენეციის, პრადის, წმინდა საყდრის, ესპანეთის, ავსტრიისა და რუმინეთის არქივები. წინამდებარე ნაშრომი, რომელიც ქართლის მეფის შესახებ იტალიურ ენაზე დასტამბულ ჩვენს ორ ვრცელ გამოკვლევას ემყარება (Shurgaiia, 2019, გვ. 561-582; 2023), მიზნად ისახავს ქართველი სამეცნიერო წრეებისათვის ჩვენ მიერ დღემდე ჩატარებული კვლევის შედეგების გაცნობას.

I. პირველი ცნობები სიმონ I-ის შესახებ

დასავლურ ისტორიულ წყაროებში მეფე სიმონი პირველად ოსმალეთ-სპარსეთის მეორე ომის (1578-1590) კონტექსტში მოიხსენიება. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს თანადროული ფუნდამენტური პირველწყარო – ჯოვანი ტომაზო მინადოის (1549 ca.-1615) „თურქეთ-სპარსეთის ომის ისტორია“ (Minadoi da Rovigo, 1594).

პროფესიით ექიმი, მოგვიანებით პადუის უნივერსიტეტის პრაქტიკული მედიცინის კათედრის პროფესორი, ჯ. ტ. მინადოი ალეპოში ვენეციის რესპუბლიკის კონსულის, თეოდორო ბალბის, უწყებაში მსახურობდა⁷. აქ მოუსწრო მას ოსმალეთის სულთანს, მურად III-სა (1574-1595) და სპარსეთის შაჰს, მოჰამედ ხუდაბენდეს შორის (1578-1587) 1578 წ.-ს დაწყებულმა ომმა და გადაწყვიტა, აღეწერა ამ ომის ისტორია. თხზულებაზე მუშაობისას იგი ეყრდნობოდა საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, მოვლენების თვითმხილველთა ჩვენებებს (Minadoi da Rovigo, 1594, გვ. 236, 245, 257, 274-275, 295, 313, 326, 328; შდრ. გვ. 172, 198), აგრეთვე, ვენეციის კონსულის, ჯოვანი მიქიელისა (1583-1586)⁸ და ბაილოების⁹, დანიელე (1561-1564)¹⁰ და ნიკოლო ბარბარიგოების (1577-1579) რელაციებს (Berchet, 1866, გვ. 92).

ჯ. ტ. მინადოის „თურქეთ-სპარსეთის ომის ისტორია“ პირველად 1587 წ.-ს რომში, ხოლო შემდეგ 1588 წ.-ს ვენეციაში (გამომცემლობა „A. Muschio – B. Berezzi“) დაისტამბა, მოგვიანებით კი

⁶ იხ., მაგ., თამარაშვილი, 1902, გვ. 76-78, 605-607; Tamarati, 1910, გვ. 468-474; ტაბაღუა, 1984, გვ. 156-162, 222-230, 291-297; Gil Fernández და Tabagua, 1993; Tardy, 1973-1974; პაპაშვილი, 1995, გვ. 115-125; Gabašvili, 2003, pp. 75-77; მამისტვალიშვილი, 2009, გვ. 156-328.

⁷ ჯ. ტ. მინადოის შეს. იხ. Gullino, 2010, გვ. 551-553, ხოლო თ. ბალბის საკონსულო მანდატის წლების შესახებ – Berchet, 1866, გვ. 23, 57; 1865, გვ. 276.

⁸ Albèri, 1844, გვ. 255-294. ჯ. მიქიელის საკონსულო მანდატის წლების შესახებ იხ. Berchet, 1866, გვ. 57; Minadoi da Rovigo, 1594, გვ. 275, 277, 328.

⁹ „ბაილო“ (იტალ. bailo; ლათ. სიტყვიდან baiulus, ანუ „მალემსროლი“) – ასე ერქვათ შუა საუკუნეებში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ვენეციის რესპუბლიკის რეზიდენტ ელჩებს.

¹⁰ Albèri, 1844, გვ. 1-59.

იგი მრავალჯერ გამოიცა და, როგორც „[...] ევროპაში სპარსეთის შესახებ ერთ-ერთი იშვიათი ისტორიული დოკუმენტი“ (Gullino, 2010, გვ. 552), იმდროინდელი ისტორიოგრაფიის პირველწყაროდ იქცა. ჯ. ტ. მინადოს თხზულებას ემყარება ცნობილი ვენეციელი ერუდიტის, პიეტრო ბიძარის (1525-1586-ის შემდ.) „სპარსთა ამბების ისტორია“¹¹. ამავე ნაშრომს ეფუძნება კიდევ ერთი იმდროინდელი ისტორიული წყარო, რომელიც ესპანეთში შაჰ აბას I-ის (1588-1629) მიერ 1599-1601 წწ.-ში დასავლეთ ევროპაში სერ ანტონი შერლისა და ჰუსეინ ალი-ბეგ ბაიატისათვის მიწოდებული დიპლომატიური მისიის ერთ-ერთ მდივანს, ულულ-ბეგ ბაიატს (1560 ca.-1605)¹² ეკუთვნის. იგი ესპანეთის მეფემ, ფილიპე III-მ (1598-1621) და მისმა მეუღლემ, დედოფალმა მარგარეტ ავსტრიელ-სტირიელმა (1584-1611) დონ ხუან დე პერსიას სახელით ვალადოლიდში მონათლეს. ასე დარჩა იგი ესპანეთის სამეფო კარზე და ალფონსო რემონის დახმარებით შეთხზა თავისი „რელაცია“ (Ivan de Persia, 1604; Allen, 1930, გვ. 179-186).

ქართულ სამეცნიერო წრეებში ფართოდ გამოიყენება ჯ. ტ. მინადოს ცნობები სიმონის პირველად გამეფების, მისი დატყვევებისა და კაჰკაჰას ციხეში პატიმრობის, მისი და შაჰ ისმაილ II-ის (1576-1577) გულწრფელი მეგობრობის, ქართლში დაბრუნების, მეორედ გამეფებისა და მის მიერ ოსმალთა წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლის შესახებ (იხ., მაგ., ჯავახიშვილი, 1948, გვ. 286-289; დუმბაძე, 1973, გვ. 129-133, 137-138; მამისთვალისშვილი, 2009, გვ. 194-201). ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ოსმალეთის იმპერიაში ვენეციის რესპუბლიკის ელჩების, ბაილოებისა და კონსულების მიერ გაგზავნილ რელაციებზე, ანგარიშებსა და წერილებზე და ამ მასალების საფუძველზე შედგენილ დოკუმენტებზე, რომლებიც უშუალოდ სიმონ მეფეს შეეხება და დღემდე მხოლოდ ნაწილობრივ არის შესწავლილი.

ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტია ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ვენეციის რესპუბლიკასთან საიდუმლო კავშირის დამყარების მიზნით შაჰ მუჰამედ ხუდაბენდეს მიერ საიდუმლოდ მივლინებული ელჩის (Berchet, 1865, გვ. 38-39), 78 წლის (იქვე, გვ. 185; შდრ. გვ. 38) ჰოჯა მუჰამედის ცნობების საფუძველზე 1580 წ.-ის პირველ მაისს ვენეციაში შედგენილი ანგარიში ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარების შესახებ (იქვე, გვ. 183-191), რომელიც ათთა საბჭოს სხდომაზე ამავე წლის 13 ივნისს მოისმინეს (იქვე, გვ. 39). მუჰამედი, ერთგვარად, უსისტემოდ გადმოგვცემს საქართველოსთან დაკავშირებულ ამბებს, მაგრამ მისი ანგარიში, როგორც ისტორიული წყარო, მეტად საინტერესოა იმის გასარკვევად, თუ რა იცოდნენ იმ დროს სპარსეთში საქართველოს შესახებ და რა შეიტყვეს ვენეციაში სპარსეთის ელჩის საშუალებით სიმონის სამეფოს შესახებ. საქმე ისაა, რომ ჰოჯა მუჰამედი იყო არა პროფესიონალი ელჩი, არამედ – ვაჭარი, რომელსაც სრულიად შემთხვევით დააკისრეს დიპლომატიური მისია ვენეციაში, ხოლო შემდეგ მოუწია, ვენეციის რესპუბლიკისთვის მიეწოდებინა ცნობები, რათა რესპუბლიკას მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება შაჰის წინადადებასთან დაკავშირებით. ყურადსაღებია ჰოჯას განცხადება იმის შესახებაც, რომ მის მიერ მიწოდებული ცნობების საქმის კურსში იყო ყველა თავრიზელი (იქვე, გვ. 186). უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მას, როგორც ვაჭარს, ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებთან. აქედან გამომდინარე შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ, ეტყობა, სპარსეთის მოსახლეობას ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა მისი თანადროული კავკასიის ისტორიულ რეალიებზე. კერძოდ, ჰოჯა მუჰამედი ირწმუნებოდა:

¹¹ Bizaro Sentinate, 1601. მისი პიროვნების შესახებ იხ. Menchi, 1968, გვ. 738-741.

¹² უშუალოდ ელჩობის შეს. იხ. Le Strange, 1926, გვ. 3-8; Бартольд, 1918; 1964, გვ. 25-196; Jackson და Lockhart, 1986, გვ. 386-387. ულულ-ბეგ ბაიატის დაბადებისა და გარდაცვალების წლების შეს. იხ. Le Strange, 1926, გვ. 3, 10.

[...] ქართველი ძმები, სახელით ერთი სიმონი და მეორე დავითი, ქრისტიანები არიან. სპარსეთის შაჰმა ორივეს ვაჟკაცობა აღიარა და სიმონს ცოლად შერთო თავისი ასული და ისიც [ანუ, სიმონი – გ. შ.] სპარსელი [ანუ, მუსლიმანი – გ. შ.] გახდა, მისი ძმა კი ქრისტიანად დარჩა. მათ 20 ათასი მეომარი ჰყავთ, რომლებიც ყველანი ქრისტიანები არიან (Berchet, 1865, გვ. 186).

ვფიქრობთ, საქმეში ჩახედულ სპეციალისტთათვის ზედმეტია ყოველგვარი კომენტარი ამ აშკარად მცდარ ცნობებზე. აქვე დავძენთ, რომ ჰოჯა გაურკვევლად გადმოსცემს ამბებს, აგრეთვე, თბილისიდან 1578 წ.-ის 10 ოქტომბერს არზრუმში დასაბრუნებლად აყრილი ლაღა მუსტაფა ფაშის ჯარისთვის მეფე სიმონის მიერ მის მოკავშირე სპარსელებთან შეერთებამდე მიყენებული ზარალის შესახებ (Berchet, 1865, გვ. 188)¹³. ამასთან, სხვა ისტორიული დოკუმენტი, კერძოდ, 1587 წ.-ს ვენეციელი ანონიმი ავტორის მიერ სპარსეთში თავისი მოგზაურობის შესახებ შედგენილი ანგარიში (იქვე, გვ. 92) ადასტურებს ქართლის სამეფოს დამოუკიდებელ სტატუსს, სპარსეთის შაჰისადმი ერთგულებასა და მის თავგანწირულ ბრძოლას ოსმალეთის წინააღმდეგ:

[...] ქართველები [...] ქრისტიანები, უმამაცესი მეომრები და სპარსეთის სამეფო გვირგვინის უაღრესად ერთგულები, ამავე დროს – თავისუფალი სინიორები [არიან]. მისი [ანუ, სპარსეთის სამეფოს – გ. შ.] სამსახურის ნიშნად თურქ სინიორს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს და ახლაც იბრძვიან მის წინააღმდეგ, თუმცა, [ამ ბრძოლაში თავისი ქვეყნის] ზოგიერთი ტერიტორია, მათ შორის უმთავრესი ციხე-სიმაგრე, თბილისი დაკარგეს (1587)¹⁴.

1588 წ.-ს სიმონი იძულებული გახდა, დაზავებოდა კავკასიაში ოსმალეთის ჯარების მთავარსარდალს, ფერჰად ფაშას († 1595). 1588-1590 წწ.-ს სარატიფიკაციო ფორმანით მურად III-მ სიმონი ცნო ქრისტიან მეფედ, ამასთან, აღიარა თავის მემკვიდრეებზე ტახტის გადაცემისა და ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის აბსოლუტური შეუვალობა (სვანიძე და ჯიქია, 1966, გვ. 229). ეს იმ დროისათვის ქართლის მეფის პოლიტიკის უთუოდ დიდ გამარჯვებას წარმოადგენდა, მაგრამ რადგან ოსმალეთის იმპერია *uti possidentis* უკვე ფლობდა მის მიერ ქართლში მიტაცებულ ციხე-სიმაგრეებს და ხარკს მოითხოვდა, სიმონმა დაარღვია ზავის პირობები და 1589 წ.-სვე განაახლა საომარი ოპერაციები ოსმალთა წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, სულთანმა ვერ გაბედა, მუქარის ტონით მიემართა სიმონისათვის, პირიქით, ყველანაირად შეეცადა, მისი კეთილგანწყობა მოეპოვებინა.

ამ ვითარებაში 1590 წ.-ის 21 მარტს შაჰ აბას I-ის ელჩებმა კონსტანტინოპოლში ხელი მოაწერეს სამშვიდობო ზავს ოსმალეთის იმპერიასთან. ომში დამარცხებულმა სპარსეთმა აღიარა ოსმალეთის გავლენა მთელ სამხრეთ კავკასიაზე, ანუ ყველა ქართულ სამეფო-სამთავროზე, აგრეთვე, სამხრეთ-სომხურ და სამხრეთ-აზერბაიჯანულ პროვინციებზე (Hammer, 1837, გვ. 223). ზავის პირობების თანახმად, ქართლის მეფე ოსმალეთის მოხარკე გახდა, რაც, ცხადია, მიუღებელი იყო გმირი მეფისთვის და იგი იძულებული გახდა, თავგანწირული ბრძოლა განეგრძო თავისი სამეფოს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. განსაკუთრებით მდიდარია ამ ამბის შემდგომდროინდელი ევროპული მასალები.

II. ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ცდა

¹³ ამ ფაქტების დეტალური ანგარიში იხ. Minadoi da Rovigo, 1594, გვ. 102-103 და Albèri, 1844, გვ. 456-457, რომელიც მოწმობს 5 ათასზე მეტი ოსმალ მეომრის განადგურებას, მათთვის არკებულებით დატვირთული უამრავი აქლემის, სურსათისა და დიდი რაოდენობის თანხის წართმევას.

¹⁴ Berchet, 1865, გვ. 291. როგორც ცნობილია, ოსმალებმა თბილისი ძვ. სტილით 1578 წ.-ის 24 აგვისტოს აიღეს (Hammer, 1837, გვ. 86; დუმბაძე, 1973, გვ. 128; Minadoi da Rovigo, 1594, გვ. 83).

ოსმალეთის იმპერიის კავკასიაში გაბატონებამ შეაშფოთა ევროპის სახელმწიფოები, რომლებიც ყურადღებით ადევნებდნენ თვალს მისი საზღვრების დასავლეთის მიმართულებით გაფართოებას. ევროპაში ხშირად ვრცელდებოდა ცნობები კავკასიის რეგიონში შექმნილი ვითარების შესახებ, სადაც ქართლის მეფე მოსვენებას არ აძლევდა ოსმალებს. ავსტრიელი გავლენიანი ოჯახის – ფუგერების ხელნაწერი გაზეთი „ფუგერცაიტუნგი“¹⁵ 1593 წ.-ის 26 თებერვალს იუწყებოდა, რომ სპარსელებთან ერთად სიმონ მეფე შეტევაზე გადასულიყო შირვანსა და დერბენტზე, მურად III-ს კონსტანტინოპოლში დროებით მყოფი შირვანის ფაშა ჰასანისთვის ებრძანებინა, სასწრაფოდ დაბრუნებულიყო შირვანში და ტრაპიზონის, ყარსის, ერევნისა და სამცხის ბეგლარბეგებისთვის დახმარება ეთხოვა, მაგრამ ქართლის მეფეს ჰასანის შირვანში დაბრუნებამდე გაემარჯვა (Tardy, 1973, გვ. 196)¹⁶.

ამ ცნობიდან სულ რამდენიმე თვის შემდეგ, 1593 წ.-ის შემოდგომაზე რომის პაპი კლემენტ VIII (1592-1605) და საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი, რუდოლფ II ჰაბსბურგი (1576-1612) შეეცადნენ, ოსმალეთის საწინააღმდეგო კოალიცია შეექმნათ, რომელსაც სათავეში სპარსეთი და საქართველო უნდა ჩასდგომოდნენ. სიმონი დიდი მოწონებით გამოეხმაურა ამ ინიციატივას, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა პაპისა და რუდოლფ II-ის ჩანაფიქრის განხორციელება (გაბაშვილი, 1954, გვ. 93; Tardy, 1974, გვ. 152-157)¹⁷. მოგვიანებით, რუდოლფ II-მ და ტრანსილვანიის მთავარმა, ზიგმუნდ ბატორიმ (1581-1597, 1598-1599, 1601) 1595 წ.-ის 28 იანვარს პრაღაში ხელი მოაწერეს ოსმალეთის წინააღმდეგ მიმართულ სამოკავშირეო ხელშეკრულებას (Gooss, 1911, გვ. 218-235; ხელშეკრულების ტექსტი: იქვე, გვ. 226-235), რომლის საფუძველზე ტრანსილვანიის მთავარმა წერილობით სთხოვა სიმონ მეფეს, ომი გამოეცხადებინა ოსმალეთისთვის იმ პირობით, რომ იგი თვითონ გაუხსნიდა ოსმალებს დასავლეთის ფრონტს.

როგორც ჩანს, ამ მოვლენებმა უბიძგა სიმონს, 1595 წ.-ს კავშირი შეეკრა სპარსეთის შაჰთან, აბას I-თან და კახეთის მეფესთან, ალექსანდრე II-სთან (1574-1605). ქართლის მეფემ ამჯერადაც გამოავლინა დამოუკიდებელი ინიციატივისა და სტრატეგიულ მოკავშირეთა შერჩევის შესაშური უნარი. შაჰ აბასს, რომელსაც 1589 წ.-ის 23 ივლისს თავი დაედო ხორასნის მმართველი მურშიდ-ყული ხანის მეურვეობისთვის (Savory, 1980, გვ. 82-83; Jackson და Lockhart, 1986, გვ. 264), ვისაც ტახტზე ასვლას უმაღლოდა, წარმატებით გადაეწყვიტა საშინაო პრობლემები და ახლა ყველა პირობა ჰქონდა, შური ეძია ოსმალეთზე თავისი ქვეყნის ასე სამარცხვინოდ დამარცხებისათვის. რაც შეეხება კახეთის მეფეს, 1587 წ.-ს დადებული „წიგნი ფიცისა“-ის თანახმად, იგი მოსკოვის მეფის, თევდორე ივანეს ძის (1584-1598) მოკავშირე გახდა (დუმბაძე, 1973, გვ. 145), მაგრამ ამ შეთანხმებამ მას არანაირი დადებითი შედეგი არ მოუტანა (იხ. მაგ., ჯავახიშვილი, 1948, გვ. 325), პირიქით, მტრად გადაჰყიდა როგორც სულთანი, ისე – შაჰი. ამასთან ერთად, ისტორიული წყაროები მოწმობს კახეთში სპარსეთის მომხრე ძალებთან სიმონის მიერ გამართულ კარსტულ დიპლომატიურ საქმიანობას, რის შედეგადაც ალექსანდრე II-მ სიმონის მიმართ შემწყნარებლური პოზიცია დაიკავა¹⁸. ასე დაიდო ანტიოსმალური კავშირი ქართლ-კახეთის სამეფოებს, დაღესტნისა და შირვანის სახანოებს შორის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუ ალექსანდრე II დასავლეთის

¹⁵ 1568-1605 წწ.-ში გამოქვეყნებული ამ გაზეთის შეს. იხ. Zwierlein, 2010, გვ. 169-224; Bauer, 2011.

¹⁶ როგორც 1592 წ.-ს ბაილო ლორენცო ბერნარდო ვენეციის რესპუბლიკას აცნობებდა, ქართლისა („Giorgiani“, ანუ „ქართველები“) და იმერეთის („Mingrelli“, ანუ „მეგრელები“) სამეფოები სუვერენი სახელმწიფოები იყვნენ, ქალაქი ერზრუმი იყო ოსმალეთის იმპერიის უკიდურესი ჩრდილოეთი საზღვარი, სადაც საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია იწყებოდა (Albèri, 1844, გვ. 327-328).

¹⁷ იხ., აგრეთვე, კონსტანტინე გარდონის მოსაზრება ევროპული ანტიოსმალური კოალიციის შექმნის შეუძლებლობის შესახებ (Albèri, 1840, გვ. 434-435).

¹⁸ ორ მეფეს შორის კონფლიქტის პიროვნული და პოლიტიკური ასპექტების შეს. იხ. ჯავახიშვილი, 1948, გვ. 97, აგრეთვე, ფუთურძე, 1969, გვ. 34; Berchet, 1866, გვ. 96-97; მამისთვალაშვილი, 2009, გვ. 203.

ქვეყნებთან ურთიერთობას მოსკოვის მეფის საშუალებით ამყარებდა (მამისთვალისშვილი, 2009, გვ. 302-304), სიმონ I დამოუკიდებლად მოქმედებდა, თუმცა, მან სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა სპარსეთის შაჰს.

სამწუხაროდ, დასავლურ საარქივო წყაროებში მხოლოდ კანტიკუნტად ვხვდებით ცნობებს კავკასიაში განვითარებული მოვლენების შესახებ, თუმცა, ეს ცნობები მოწმობს, რომ ამ მოვლენათა პროტაგონისტი ქართლის სამეფო იყო. მაგალითად, 1595 წ.-ის 13 ივნისს რომის პაპის, კლემენტ VIII-ის ნუნცი ტრანსილვანიისა და ვლახეთის ჰერცოგის კარზე, ალფონსო ვისკონტი (1552-1608) პაპისსავე ნუნცს პოლონეთში, ჯერმანიკო მალასპინას (1547 ca.-1603), ატყობინებდა, რომ „კონსტანტინოპოლში [...] დიდი მითქმა-მოთქმა ვრცელდებოდა ქართველთა მღელვარების შესახებ“ (Iorga, 1903, გვ. 70, № 124)¹⁹. სამი დღის შემდეგ, 1595 წ.-ის 16 ივნისს შედგენილ ბარათში (შესაბამისი ჩანაწერი მოთავსებულია რუბრიკაში „მოსკოვის სამეფო და ქართველები“) კი საუბარია სიმონ I-ის ალექსანდრე II-სთან დაზავებისა და მოსკოვის სამეფოსთან მათი ერთობლივი კავშირის დამყარების შესახებ. კერძოდ, წერილში ვკითხულობთ:

ვიდრე იძიებდა იმის მიზეზს, თუ რის გამო არ დართეს სპარსეთისა და მოსკოვის სამეფოს ელჩებს კონსტანტინოპოლიდან გამგზავრების უფლება²⁰, ერთმა კანდიელმა, სინას მთის წმ(ინდ)ა ეკატერინეს [მონასტრის] იერომონაზონმა, იერემიამ, დიდად საიდუმლოდ გაგვანდო, რომ ზემოდასახელებულ ელ(ჩებ)თან ერთად მან გაიარა ქართველთა ქვეყანა(ზ)ე, რომელსაც ბერძნულად ივერიას უწოდებენ, ემორჩილება ალექსანდრესა და სიმონს, ამ ქვეყნის უმთავრეს სინიორებს, და ესაზღვრება სპარსეთს, მოსკოვის სამეფოსა და რუსეთს, [და] რომ ეს ორი მთავარი დაუზავდა ერთმანეთს, როგორც ვრცლად წერს [არ ჩანს, ვინ და ვის – გ. შ.], მივიდნენ რა [მათი] ელ(ჩებ)ი მოსკოველთან, რომელიც იგივე აღმსარებლობისაა, როგორც – ბერძნები [...], რ(ათა) გაეკვალათ უფრო მოკლე გზა მოსკოვიდან იბერიამდე, რაც განხორციელდა კიდევ. ამასთან, თითოეულმა მათგანმა პირობა დადო, რომ საკუთარ ქვეყანაში გზას მოაწესრიგებდა და ააშენებდა საჭირო სადგურებს (ესა, ფ. Senato, ა. Dispacci, DAR, CP., R., ს. D6, ფ. 22v)²¹.

იმავე პერიოდის სხვა წერილის თანახმად, 18 თვით ადრე ჩერქეზთა წინააღმდეგ ბრძოლაში ალექსანდრე II-ის დასახმარებლად მოსკოვის მეფეს 50 ათასი (*sic!*) არკებუზი გამოუგზავნია. ბარათში საუბარია, აგრეთვე, მოსკოვის მეფეს, სპარსეთის შაჰსა და ქართველთა შორის ურთიერთობაზე:

[...] იმ პი(რობ)ით, რომ მოსკოველი [ანუ, მოსკოვის მეფე – გ. შ.] დიდი რაო(დენობ)ით გამოუგზავნის არკებუზებს, სპარსი [ანუ, სპარსეთის შაჰი – გ. შ.] მოსკოველს მისცემს გარკვეული რაოდენობის საპალნის აბრეშუმსა და სხვას და უარს იტყვის ხარკზე, რომელსაც თურქს ორმოცი საპალნე აბრეშუმის [სახით] უხდის, და ალექს(ანდრ)ე მოსკოველს მისცემს აბრეშუმს, ხალიჩებს,

¹⁹ ციტირებულ დოკუმენტში ისინი მოხსენებული არიან როგორც ჩერვიისა და სან-სევეროს ნუნცები, როგორც ჩანს, იმის გამო, რომ პირველი 1591-1601 წწ.-ში იყო იტალიის ემილია-რომანიის რეგიონის ქალაქ ჩერვიის (რავენას რაიონი) ეპისკოპოსი, ხოლო მეორე – 1583 წ.-დან პულიის რეგიონის ქალაქ სან სევეროს (ფოჯიას რაიონი) ეპისკოპოსი. ა. ვისკონტი თან ახლდა ზოგმუნდ ბატორის 1595 წ.-ის 28 იანვარს პრალაში რუდოლფ II-სთან ოსმალეთის საწინააღმდეგო ხელშეკრულებაზე ხელმოსაწერად, ჯ. მალასპინას საშუალებით კი პაპი არაერთგზის შეეცადა, ანტიოსმალურ კოალიციაში პოლონეთი ჩაეხა. ამ პიროვნებათა შეს. იხ. Paschini, 1954, გვ. 1479; Koller, 2006, გვ. 776-779.

²⁰ იხ. Hammer, 1837, გვ. 316, რომლის მიხედვითაც, მათ ერთმანეთთან უნდა შეერიგებინათ სიმონი და ალექსანდრე, მაგრამ საქართველოსა და რუსეთს (ანუ კახეთისა და მოსკოვის სამეფოებს) შორის დადებული ხელშეკრულების გამო ელჩები კონსტანტინოპოლში შეაყოვნეს.

²¹ თარგმანში მაქსიმალურად შევეცადეთ, შეგვენარჩუნებინა დედნისეული სინტაქსი.

საომრად მოემზადებიან და დაუყოვნებლივ შეუტევენ დერბენტს (ვსა, ფ. Senato, ა. Dispacci, DAR, CP., R., ს. D6, ფ. 22v-23r).

1595 წ.-ის 15 ნოემბრის ბარათით ვენეციის ელჩი კონსტანტინოპოლში თავის რესპუბლიკას აუწყებდა „საქვეყნოდ დარხეულ ხმას, სპარსი [ანუ, სპარსეთის შაჰი – გ. შ.] თურქის [ანუ, თურქეთის სულთნის – გ. შ.] წინააღმდეგ ომს იწყებსო“ (ვსა, ფ. Senato, ა. Dispacci, DAR, CP., R., ს. D6, ფ. 51r), ხოლო 1596 წ.-ის 12 იანვარს ატყობინებდა: „თურქები დი(დ) საგონებელში ჩააგდო ეჭვმა, რომ სპარსეთში მღელვარება ქართველთა და მოსკოველთა დახმარებით [მიმდინარეობს]“ და განაგრძობდა: „ქართველთა ქვეყნიდან ჩამოტანილი ასი თავის ქალა, რამდენიმე ცხვირი და ტყვე მონა იმას მოწმობს, რომ იმ მხარეში მოვლენები მშვიდობიანად არ ვითარდება“ (იქვე, ფ. 58v).

1596 წ.-ის 16 თებერვალს ვენეციის სენატმა მოისმინა 1592-1596 წწ.-ში (Berchet, 1866, გვ. 57) ალეპოში²² ვენეციის რესპუბლიკის კონსულის, ალესანდრო მალიპიეროს ვრცელი რელაცია (იქვე, გვ. 79-100), სადაც ვენეციელი დიპლომატი იტყობინებოდა:

შეხვედრაზე ქართველები გამუდმებით მოუწოდებენ სპარსეთის მეფეს, იარაღი აისხას თურქების წინააღმდეგ, სთავაზობენ, მთელი თავიანთი ძალები მის [ანუ, სპარსეთის შაჰის – გ. შ.] სამსახურში ჩააყენონ და ჰპირდებიან, რომ თვითონ დაიბრუნებენ შირვანის ქვეყანას²³, სადაც ვერ ეგუებიან თურქების გაბატონებას, რის შედეგადაც ისინი მათ [ანუ, ქართველებს – გ. შ.] ყველა მხრიდან გარს შემოერთებენ. თუმცა, მიუვალ ადგილას იმყოფებიან, სადაც მიუდგომელი მთებია, უდიდესი რაოდენობის თოვლი და ყინული მეფობს და ზამთარში ყოველი ჯურის გარეშე მტრისგან იცავს ქვეყანას, ხოლო ზაფხულში გაუვალი, ხშირი ტოტებით დაბურული ტყეები გზას უღობავს ყველას, ვინც მათ სამკვიდროში ასვლას მოიწადინებს და, თითქმის, შეუძლებელს ხდის იქ შეღწევას – მიუხედავად ყოველივე ამისა, ისინი შიშობენ, რომ ისარგებლებენ რა მახლობელი ადგილებით და გამოიყენებენ თავიანთ ეშმაკობასა და დიდ ძალას, თურქებმა, შეიძლება, ერთ დღეს გადალახონ ყველა დაბრკოლება და დაიმონონ ისინი. არა იმდენად სპარსთა მეფის ერთგულებისათვის, რამდენადაც თავიანთ სასარგებლოდ ცდილობენ, დაარწმუნონ სპარსეთის მეფე, ომი [გამოუცხადოს] თურქებს. ამის გამო აქვთ მასთან კეთილი და მჭიდრო მეგობრობა.

ქართველებში სამი მთავარია: ალესანდრო²⁴, დაუთი²⁵ და სიმონი. პირველი ორივეს აღმატება [სამხედრო] ძალითა და სახელმწიფოს [სიდიდით, ხოლო] უკანასკნელი ვაჟკაცობით ორივეზე დიდად აღმატებულია და სწორედ ისაა, რომელმაც თურქთა წინააღმდეგ ბოლო ომში²⁶ უფრო მეტი გმირული სამხედრო ოპერაცია განახორციელა, ვიდრე – ერთად აღებულმა მთელმა სპარსეთმა. მეორე არც ძალით და არც ვაჟკაცობით მაინცდამაინც ანგარიშში ჩასაგდება არ არის. სიმონის ერთ-ერთი ქალიშვილი, რომელიც ორიოდე წლის წინათ გარდაიცვალა, სპარსეთის

²² ოსმალეთში ვენეციის რესპუბლიკის საკონსულო დაარსდა 1497 წ.-ს ქალაქ დამასკოში (Berchet, 1865, გვ. 78-79), 1545 წ.-ის 11 თებერვალს გადავიდა ტრიპოლში, ხოლო 1548 წ.-ს – ალეპოში (იქვე, გვ. 81), სადაც მოქმედებდა 1675 წ.-ის 22 იანვარს მის დახურვამდე (იქვე, გვ. 83).

²³ დედანშია: „offerendosi di impiegare tutte le forze loro in servizio suo, e di voler essi ricuperargli il paese di Shirvan“, ანუ „მას სთავაზობენ, მთელი თავიანთი ძალები მის სამსახურში გამოიყენონ და აუწყებენ სურვილს, თავად დაიბრუნონ შირვანის ქვეყანა“.

²⁴ იგულისხმება კახეთის მეფე, ალექსანდრე II (1574-1605).

²⁵ იგულისხმება სიმონ მეფის უმცროსი ძმა, დავითი, რომელიც შაჰ თამაზმა (1524-1576) ქართლის ტახტზე აიყვანა სიმონის ნაცვლად. იგი 1569-1578 წწ.-ში მეფობდა, მაგრამ სინამდვილეში მას მხოლოდ თბილისი და ქვემო ქართლი ემორჩილებოდა (იხ. დუმბაძე, 1973, გვ. 116-118).

²⁶ იგულისხმება ოსმალეთ-სპარსეთის მეორე ომი (1578-1590).

მეფის მეუღლე იყო²⁷. შარშან ალესანდროც ცოლად სთავაზობდა შაჰს თავის ასულს და ამ მიზნით მისი შვილი ყაზვინში მეფის კარზე იმყოფებოდა²⁸. ამ სამ მთავარს ერთმანეთთან უთანხმოება ჰქონდა, მაგრამ სპარსელის შუამავლობით ერთმანეთს დაუზავდნენ²⁹. მათ ერთობლივი ძალებით შეუძლიათ, საომარ ველზე 20-დან 25 ათასამდე მეზრძოლი გამოიყვანონ, უძლიერესი მეომრები, რომლებიც შიშის ზარს სცემენ თურქებს. თავიანთ [ქვეყანაში] მთებში [ბრძოლისას] მშვილდ-ისარს ხმარობენ, მაგრამ ველზე მშვილდ-ისართან ერთად, ცხენოსნები შუბით, ფართითა და შიმშერთი არიან შეიარაღებულები. რწმენით ქრისტიანები არიან, მაგრამ მისდევენ ბერძნულ წესს. რელიგიური ერთობისა და ერთმორწმუნეობის გამო მოსკოველთან [ე. ი. მოსკოვის მეფესთან – გ. შ.] საუცხოო ურთიერთობა აქვთ, რომლისგანაც თურქებთან წინა ომებში არაერთხელ მიიღეს მეარკეპუზები. ზემოაღნიშნულ მოსკოველთან სპარსეთის მეფესაც კარგი მოკავშირეობა აქვს, ერთმანეთს ხშირად უგზავნიან ელჩებს. სპარსელი ამ მთავარს³⁰ მოუწოდებს, მშვიდობა ჰქონდეს სხვა ქრისტიანებთან და ომი დაუწყოს თურქებს: არწმუნებს, რომ ცოდვას, იარაღი იხმაროს სხვა ქრისტიანთა წინააღმდეგ (Berchet, 1866, გვ. 96-97).

შაჰ აბასის პიროვნების დახასიათებისა და სპარსეთში არსებული ვითარების გადმოცემისას, ალ. მალიპიერო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თურქების მიერ მიტაცებული სპარსეთის ტერიტორიების დასაბრუნებლად შაჰი ქრისტიანთა დახმარებაზე ამყარებდა იმედს. მას არც ის ავიწყდება, აღნიშნოს, თუ როგორ უფრთხოდნენ ოსმალები ქართველებს. კერძოდ, იგი წერს:

ეს მთავარი უაღრესადაა დაინტერესებული ქრისტიანთა ლაშქრობებით, რომელთა სიდიადეც აღაფრთოვანებს და იმედს უსახავს, რომ მათი დახმარებით ერთ დღეს შეძლებს დაკარგული [ტერიტორიების] დაბრუნებას. ამ მიზნით შარშან კონსტანტინოპოლში გადაწყვიტა ელჩების მივლინება, თითქოსდა, მძევლად წაყვანილი თავისი ძმისწულის³¹ მოსაკითხად და

²⁷ ე. ი. 1594 წ.-ს. ისქანდერ მუნშის ცნობით (ფუთურიძე, 1969, გვ. 34, 36), სიმონ მეფის ასული დააქორწინეს 1581 წ.-ს „მისი უდიდებულესობა ქვეყნიერების გამგებელზე“, რომელშიც შაჰ მუჰამედ ხუდაბენდეს უფროსი ვაჟიშვილი და ტახტის მემკვიდრე, ჰამზა-მირზა (1565/6 ca.-1586) უნდა იგულისხმებოდეს. იგივე აზრისაა ჯავახიშვილი, 1948, გვ. 276; შდრ. მამისთვალისშვილი, 2009, გვ. 234.

²⁸ ამჟამად რთულია, დავადგინოთ, თუ რა აქვს მხედველობაში ალ. მალიპიეროს. როგორც ცნობილია, ისქანდერ მუნშის ცნობით (ფუთურიძე, 1969, გვ. 36), როდესაც სიმონ მეფის ასული წაიყვანეს სპარსეთში ჰამზა-მირზაზე დასაქორწინებლად, სპარსეთში გადაწყვიტეს, ალექსანდრე II-ის ასულიც დაექორწინებინათ სპარს უფლისწულზე და ქართლისა და კახეთის მეფეები იძულებული გახდნენ, შაჰისთვის მძევლად გაეგზავნათ თავიანთი ვაჟიშვილები: ლუარსაბი და კონსტანტინე (იხ. აგრ., ჯავახიშვილი, 1948, გვ. 276), მაგრამ ცნობილი არ არის კახეთის მეფის ასულის ბედი. მოგვიანებით, 1596 წ.-ს, შაჰ აბასმა ალექსანდრე მეფეს მისი ასულის ხელი სთხოვა. კახეთის მეფე მიხვდა, რომ შაჰი ფაქტობრივად მძევალს მოითხოვდა და თავაზიანად იუარა, იგი სამეგრელოს მთავარზე დანიშნულიო, ხოლო როდესაც 1597 წ.-ს აბასმა კატეგორიულად მოსთხოვა საცოლედ მისი ნათესავებიდან საუკეთესო ქალწული შეერჩია და უარის შემთხვევაში კახეთს აწიოკებით დაემუქრა, ალექსანდრე იძულებული გახდა, მისთვის თავის ცოლისძმის, ამილახვრის, ასული გაეგზავნა (Белокуров, 1888, გვ. 310-311; მამისთვალისშვილი, 2009, გვ. 308).

²⁹ ისქანდერ მუნშის (ფუთურიძე, 1969, გვ. 36) მიხედვით, სპარსელმა ამირებმა „ისინი ერთმანეთს შეარიგეს და ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით ჯვარზე [...] და სახარებაზე დააფიცეს [...]“.

³⁰ როგორც ვხედავთ, ალ. მალიპიერო მთავრის ტიტულით მოიხსენიებს არა მხოლოდ ქართველ მეფეებს, არამედ – მოსკოვის მეფეს, თევდორე ივანეს ძესაც.

³¹ იგულისხმება ჰამზა-მირზას ძე, ჰაიდარ-მირზა. ჯერ კიდევ 1586 წ.-ის 6 დეკემბერს მამამისის გარდაცვალებისთანავე (Savory, 1980, p. 74; Jackson და Lockhart, 1986, გვ. 261) პაპამისს, შაჰ მუჰამედ ხუდაბენდეს, გადაწყვეტილი ჰქონდა, იგი კონსტანტინოპოლში მშვიდობის გარანტად მიევლინებინა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ მხარეები ვერ დაზავდნენ (Hammer, 1837, გვ. 218). მოგვიანებით, სპარსი უფლისწული კონსტანტინოპოლში შაჰ აბასის ზემოაღნიშნული 1590 წ.-ის საზავო დიპლომატიური

მისთვის საჩუქრების გადასაცემად, როგორც თავის დროზე ეს თქვენს უგანათლებულებსობას წერილებით მოწიწებით მოვახსენე; მაგრამ როდესაც ზემოაღნიშნული ძმისწული გარდაიცვალა, ელჩობა ხორასნიდან დაბრუნებამდე გადადო, ხოლო შემდეგ მოჩვენებით იმისთვის გამოგზავნა, რათა დიდი სინიორისთვის³² ტახტზე ასვლა მიელოცა, რადგან ეს ვალდებულება ჯერ არ ჰქონდა მოხდილი; მაგრამ ეს სინამდვილეში უმთავრესად იმისთვის მოიმოქმედა, რათა მოეპოვებინა დასაბუთებული ინფორმაცია თურქთა წინააღმდეგ ქრისტიანთა ომის ნამდვილი ვითარების შესახებ. სპარსეთისაგან მიტაცებული უზარმაზარი ტერიტორიის მითვისებით ოსმალებმა დიდად დაასუსტეს მისი სამეფო, მაგრამ ამან ბევრი ვერაფერი შემატა დიდ სინიორს, ვინაიდან იქ ქალაქებისა და მის მიერ აგებული ციხე-სიმაგრეების დასაცავად სჭირდება შვიდი ბეგლარბეგი 25 ათასი ჯარისკაცით, რომლებსაც სხვაგან ვეღარ გამოიყენებს, უფრო ქართველთა, ვიდრე სპარსელთა შიშით, [რათა არ] დააუძლუროს [ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეების] გარნიზონები; ამ ქვეყნიდან ვერც იმდენად დიდ შემოსავალს იღებს, რითაც შეძლებდა ასეთი მრავალრიცხოვანი ჯარისკაცებისათვის ჯამაგირის გადახდას. [ამიტომ] გადაწყვიტა, უდიდესი ნაწილი გადაიხადოს ალექსის პალატიდან შემოსული თანხით, რაც ადრე სახელმწიფო ხაზინაში შედიოდა. ასე რომ, იმ ქვეყნისთვის, რომელსაც ბევრი შემოსავალი არ მოაქვს, დიდძალ [ფულს] ხარჯავს, უქმად აცდენს მრავალრიცხოვან ლაშქარს, რომელიც მის ხელთ არსებულ [ჯარს შორის] საუკეთესოა. ამ [ტერიტორიის] მისატაცებლად დიდძალი დრო დახარჯა, დიდძალი ოქრო გაიღო, თავისი მეომრების დიდძალი სისხლი დაღვარა და რამდენად საზიანო და უიღბლო გამოდგა მისი შემოერთება, ამისი შეფასება იოლად შეიძლება (Berchet, 1866, გვ. 97-98).

ტექსტი მეტისმეტად რომ არ გადავტვირთოთ, სამწუხაროდ, კომენტარს ვერ დავურთავთ ამ საინტერესო რელაციაში დასმულ უამრავ საკითხს, თუმცა, აქვე შევნიშნავთ, რომ მასში დაფიქსირებული ცნობები საქართველოს შესახებ დღემდე სრულად არ ყოფილა თარგმნილი და არც – ჯეროვნად გაანალიზებული სპეციალურ ლიტერატურაში³³.

ამავე პერიოდში კონსტანტინოპოლში რესპუბლიკის რეზიდენტი ელჩები ხშირად აგზავნიდნენ ვენეციაში წერილებს, სადაც საუბარი იყო საქართველოსა და, კერძოდ, სიმონ მეფეზე. მაგალითად, 1596 წ.-ის 3 აპრილის წერილში ნათქვამია: „უკვე ღია(დ) ლაპარაკობენ

მისიის ფარგლებში ჩავიდა და არნახული პატივისცემით მიიღეს ოსმალეთის დედაქალაქში (იქვე, გვ. 222, 254), ხოლო 1592 წ.-ს დიდი ზარ-ზეიმით გადაუხადეს წინადაცვეთის ცერემონიალი (იქვე, გვ. 248). აღსანიშნავია ისიც, რომ შაჰ აბასი რამდენჯერმე დაინტერესდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით. პირველად სულთანს სთხოვა, მისთვის ახალი მეთვალყურე დაენიშნათ, რაზედაც ოსმალეთის ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა, რადგან ეჭვობდა, რომ შაჰი ყოველ ღონეს იხმარებდა არასასურველი ძმისწულის თავიდან მოსაშორებლად და სულთნის კარზე მის დაღუპვას ახალი ომის საბაზად გამოიყენებდა (იქვე, გვ. 228). მოგვიანებით, სულთან მურად III-ის გარდაცვალებამდე (1595 წ.-ის იანვარი) ცოტა ხნით ადრე შაჰის ელჩმა, ყაზვინის ხანმა ქერიმმა საგანგებოდ გამოიკითხა სპარსელი უფლისწულის ჯანმრთელობის მდგომარეობა და თებერვლის დასაწყისში ორივეს ხვდა პატივი, ხელზე მთხვეოდნენ ახალ სულთანს, მეჰმედ III-ს (1595-1603) (იქვე, გვ. 295), რომელიც უკვე 1596 წ.-ის 29 ნოემბერს შაჰ აბასის ელჩს მწუხარებას უცხადებდა ჰაიდარ-მირზას გარდაცვალების გამო (იქვე, გვ. 336). საგულისხმოა ისიც, რომ 1599 წ.-ის აპრილში შაჰ აბასის ელჩმა საგანგებოდ მოინახულა მისი საფლავი (იქვე, გვ. 365).

³² „დიდი სინიორი“ (იტ. Gran Signore) – ასე უწოდებდნენ დასავლურ წყაროებში ოსმალეთის სულთანს. ამ შემთხვევაში იგულისხმება სულთანი მეჰმედ III (1595-1603).

³³ მამისტვალისშვილი, 2009, გვ. 303, 306, 316 მხოლოდ აქა-იქ, გაკვრით მიაწვდის ამ რელაციაზე. ამასთან, პატივცემული მკვლევარის მოსაზრების (იხ. იქვე, გვ. 303) საწინააღმდეგოდ, ვენეციელი დიპლომატის ფრაზა: «Si trattiene in amicizia anco col re di Spagna, con lettere le quali incammina per via di Ormus e di altri luoghi» (Berchet, 1866, გვ. 97), ანუ „მეგობრული ურთიერთობა აქვს ესპანეთის მეფესთანაც, რომელსაც ბარათებს უგზავნის ორმუხსა და სხვა ადგილებზე გამავალი გზებით“ (მკვლევარი ოდნავ განსხვავებულად თარგმნის ამ ფრაზას) ნათქვამია არა ქართველი მეფეების, არამედ შაჰ აბასის შესახებ.

იმაზე, რომ ქართველებმა სპარსელებთან ერთად ომი წამოიწყეს თურქების წინააღმდეგ“ (ესა, ფ. Senato, ა. Dispacci, DAR, CP., R., ს. D6, ფ. 71r). იმავე წლის 31 მაისს ელჩი იწერებოდა: „არ ცხრება ხმები სპარსეთის საომარი მზადების შესახებ. შირვანის 15 ათ(ას) ჯარისკაცს უბრძანეს თავიანთ საგუშაგო ადგილებზე დაბრუნება, ხოლო იმ მეფის ელ(ჩ)ი, რომელმაც მძევლად დატოვებული უფლისწულის სიკვდილის ამბავი შეიტყო³⁴, უკან დაბრუნდა“ და იქვე დასძენდა: „ქართველები უარს ამბობენ ხარკის გადახდაზე და აჯანყებულები დათარეშობენ იმ ქვეყანაში. დივნის [სხდომაზე] ნახეს რამდენიმე ადამიანი, რომლებიც ყველანი დერბენტიდან იყვნენ გამოგზავნილი, [რომელთაც მოჰქონდათ] წერილები და ინფორმაცია იმ მხარეში მღელვარების შესახებ“ (იქვე, ფ. 81r).

ეს უსისტემო ცნობები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ამიერკავკასიაში მიმდინარე არასასურველ მოვლენებზე.

1596 წ.-ის 6 მაისსა და 25 აგვისტოს შორის დათარიღებული წერილებით სიმონმა შეატყობინა თავის პოტენციურ მოკავშირეებს: რომის პაპს, რომის წმინდა იმპერიის იმპერატორს, ვენეციის სენატსა და ესპანეთის მეფეს ოსმალეთის წინააღმდეგ კოალიციის შექმნის შესახებ. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, სიმონ მეფის ელჩი, ტერ იაკობი ქართლიდან 1596 წ.-ის მაისის პირველ ნახევარში გაემგზავრა, მოიარა ყაზვინი (სადაც წლის ბოლომდე ან 1597 წ.-ის დასაწყისამდე დარჩა), ტრიპოლი, კვიპროსი, იქიდან ჩავიდა ვენეციაში, ხოლო 1597 წ.-ის 10 ივლისს – ვენაში (Жордания და Гамезардашвили, 1994, გვ. 280). ეს მოსაზრება ძირითადად გაზიარებულია სპეციალურ ლიტერატურაში (მამისთვალიშვილი, 2009, გვ. 312), მაგრამ საქმე ისაა, რომ ტერ იაკობის განცხადებით, იგი ქართველ მეფეებს სპარსეთიდან ევროპაში მიმავალ გზაზე, ყაზვინიდან ორი დღის სავალზე შეხვდა. ე. მამისთვალიშვილის აზრით, ეს ფაქტი, შეიძლება, რამდენაირად აიხსნას: 1) წერილები 6 მაისს დაიწერა, მაგრამ ტერ იაკობი ამ დროს საქართველოში არ იმყოფებოდა და მისთვის წერილების გადაცემა მხოლოდ მოგვიანებით მოხერხდა; 2) ტერ იაკობმა „[...] თავისი ავტორიტეტის [...] წარმოჩენის“ მიზნით, ვენეციის რესპუბლიკის წარმომადგენელთან საუბრისას [...] აღნიშნა, რომ ქართველმა მეფეებმა [მას] თავიანთი ხელით მიუტანეს ევროპაში გასაგზავნი წერილები, [...] ან] იტალიელმა მისი [იაკობის – გ. შ.] ნათქვამი სწორად ვერ გაიგო [...]“; 3) „ტერ იაკობის საქართველოში [ჩა]მოსვლა იმდენად წერილების [...] წასაღებად არ იყო გამოწვეული, რამდენადაც ალექსანდრეს დასაყოლიებლად, [რათა] მასაც მიეღო მონაწილეობა ანტიოსმალურ კოალიციაში“, რაც პატივცემულ მკვლევარს უფრო საფუძვლიანად მიაჩნია (მამისთვალიშვილი, 2009, გვ. 314).

ჩვენი აზრით, ძნელია, ეჭვი შევიტანოთ ტერ იაკობის ცნობაში ქართველ გვირგვინოსნებთან მისი შეხვედრის შესახებ. არც ქართველ მეფეთა სპარსეთში ყოფნა უნდა იყოს გამორიცხული. ამავე დროს, ტერ იაკობის უშუალოდ სპარსეთიდან გამომგზავრების დროის შესახებ ორი განსხვავებული ისტორიული საბუთი გაგვაჩნია. ერთი მხრივ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ფრანკო ვენდრამინის 1597 წ.-ის 21 ივლისის ცნობის თანახმად, იგი სპარსეთიდან ცხრა თვით ადრე, ანუ 1596 წ.-ის სექტემბერ-ოქტომბერში გამოემგზავრა, ხოლო, მეორე მხრივ, უშუალოდ მის მიერ 1597 წ.-ის 23 ივნისს გაკეთებული განცხადებით, ტერ იაკობი ექვსი თვით ადრე, ანუ 1596 წ.-ის დეკემბერში, ან 1597 წ.-ის იანვარში წამოსულა სპარსეთიდან. რაც შეეხება ყაზვინიდან ორიოდე დღის სავალზე ქართველ მეფეებთან მისი შეხვედრის მიზეზს, ოთხიოდე წლის წინ დასტამბულ პუბლიკაციაში ჩვენ მიერ გამოთქმული თვალსაზრისისაგან (Shurgaia, 2019, გვ. 570) განსხვავებით, დღეს ეს გარემოება ერთობ ბანალური გვეჩვენება.

³⁴ იგულისხმება ჰაიდარ-მირზა, რომლის შესახებაც იხ. სქ. 26.

საქმე ისაა, რომ 1596 წ.-ის 6 მაისით დათარიღებულია სიმონ მეფის წერილი რომის პაპისა (თამარაშვილი, 1902, გვ. 607; 1910, გვ. 470) და, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ვენეციის რესპუბლიკისადმი, ხოლო ესპანეთის მეფის, ფილიპე II-ისთვის (1556-1598) მიწერილი ბარათი – 1596 წ.-ის 14-25 აგვისტოთი. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ქართველი მეფეები ტერ იაკობს სპარსეთში შეხვდნენ სიმონ მეფის მიერ ფილიპე II-ისთვის მიწერილი წერილისა – და, შესაძლოა, აგრეთვე, დღემდე მიუკვლეველი ალექსანდრე II-ის ბარათის (იხ. Shurgaia, 2019, გვ. 576) – გადასაცემად. ჩვენი ჰიპოთეზა, შეიძლება, გაამყაროს უშუალოდ ესპანეთის იმჟამინდელი ისტორიის უფრო დაწვრილებითმა შესწავლამ (გამორიცხული არ არის, 1596 წ.-ის მაისსა და აგვისტოს შორის განვითარებულ ამა თუ იმ მოვლენას გავლენა მოეხდინა სიმონ მეფეზე, თავის ადრესატთა სიაში ფილიპე II-ც ჩაერთო, რომელსაც 1573 წელს მარკანტონიო ბარბარო, 1567-1573 წწ.-ში ვენეციის ბაილო კონსტანტინოპოლში (Albèri, 1840, გვ. 300), ახასიათებდა როგორც სულთნის „მუდმივ მტერს“; იხ. Albèri, 1840, გვ. 335), აგრეთვე, ალექსანდრე II-ის წერილის აღმოჩენამ და თარიღმაც. ჩვენი აზრით, შესაძლებელია, ტერ იაკობს სიმონ მეფის მიერ რომის პაპისა და ვენეციის რესპუბლიკისადმი მიწერილი ბარათები 1596 წ.-ის მაისში წაეღო სპარსეთში, სადაც შეხვდა შაჰ აბასს და იქიდან წამოიღო შაჰის წერილი, ყაზვინიდან ორი დღის სავალ მანძილზე კი დეკემბერში შეხვედროდა ალექსანდრე II-სა და სიმონ I-ს, რომლებსაც ფილიპე II-ისათვის ამასობაში მიწერილი წერილიც გადაეცათ და ელჩი ევროპაში გაესტუმრებინათ.

ტერ იაკობმა შვილის თანხლებით (Tardy, 1974, გვ. 165) 1597 წ.-ის 20 ივნისს ასე ჩაიტანა ვენეციაში პაპისა და ევროპელ მონარქთათვის გადასაცემი წერილები (ტაბალუა, 1984, გვ. 158). როგორც ჩანს, სიმონ მეფე დიდად აფასებდა ვენეციის რესპუბლიკის როლს დასავლეთის ქვეყნების ახლო აღმოსავლურ პოლიტიკაში და თავისი ელჩის მივლინებით მისი დიპლომატიური მისიის ერთგვარ აპრობაციას ცდილობდა. ამასთან, სთხოვდა ვენეციის სენატს, მის მიერ წარგზავნილი ელჩისთვის რომში ჩასასვლელად მცველთა რაზმი გაეყოლებინა. კერძოდ, იგი წერდა:

ღვთის მოწყალებით სიმონ, მთავარი საქართველოსი და ივერიის მთელი მხარისა, თქვენ – დი(დი) მოციქულისა და მახარებლის, მარკოზისმიერ დიდებულ და დიდად პატივდებულ განწესებულებს, დი(დი) და სახელგანთქმული ქალაქ ვენეციის სინიორებს

ეცნობოთ თქვენს კეთილშობილებას, რომ [...] ღირს მამა იაკობს, განწესებულს სომხეთის დიდ ეკლესიაში, ჩვენ მიერ მივლინებულს ჩვენს უწმინდეს მამასთან, რომის პაპთან ხელახლა ვაგზავნით იმ მხარეში. [გთხოვთ], აღმოუჩინოთ მას დახმარება და რომში გაამგზავროთ საიმედო ადამიანების თანხლებით და ამას ვთხოვ თ(ქვენს) უგან(ათლებულეს)ობას, შეგვისრულოთ, რაც თქვენთვის გვითხოვია და გაამგზავროთ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. მეტს არას გთხოვთ. უფ(ალი) ღმერთი არს თქვენთან. ამინ. 1596, 6 მაის დღეს, ქრონიკონსა 9-სა. ზუსტად ითარგმნა.

სიმონ, მთ(ავარ)ი ქართლისა და სრულიად ივერიისა.

თარგმნილია ჩემ, ანდ(რეა) ნეგრონის მიერ მისი უგან(ათლებულეს)ობის ბრძანებით ბერძნული ა(სო)ებიდან (ვსა, ფ. Senato, ა. Deliberazioni, CP., F., ს. 9, sub data)³⁵.

³⁵ 1597 წ.-ის ივნისში ამ წერილის ანდრეა ნეგრონის მიერ შესრულებული იტალიური თარგმანი პირველად ჩვენ გამოვაქვეყნეთ (იხ. Shurgaia, 2019, გვ. 573-574), ხოლო მისი ფრანგული და ქართული თარგმანები დაისტამბა ნაშრომებში: შესაბამისად Tardy, 1974, გვ. 160 (პატივცემული მკვლევარი დოკუმენტის საარქივო შიფრში შეცდომით მიუთითებს „Registri“, ანუ „რეესტრი“) და ტაბალუა, 1984, გვ. 158. სიმონ მეფის წერილის დედანი შედგენილია ბერძნულ ენაზე და მასში, თითქმის, ყველა სიტყვა საგანგებოდ არის გასაშიფრი. ამჟამად მას სასტამბოდ ვამზადებთ. წინამდებარე ნაშრომში ქართულად ხელახლა ვთარგმნით ვენეციის რესპუბლიკის თარჯიმნის, ანდრეა ნეგრონის მიერ ბერძნულიდან იტალიურ ენაზე შესრულებულ თარგმანს.

1597 წ.-ის 21 ივნისს ვენეციის სენატმა მიიღო გადაწყვეტილება, დაეკმაყოფილებინა ქართლის მეფის თხოვნა და მის ელჩს 50 დუკატი გამოეყო:

საბ(ჰოს) ბრძენნი

კ(ონ)ტ(ინენტ)ის ბრძენნი

ორდ(ენ)თა ბრძენნი³⁶

პ(ასუხი)

1597 წ.-ის 21 ივნისი მოწვეულთა³⁷ [სხდომაზე]

შევთანხმდით, მრავალთა მიზეზთა გამო კეთილგანწყობა გამოგვეხატა სომეხი მამის, იაკობის მიმართ, რომელიც ჩ(ვენს) სინ(იორიას) ქართლის მთავრის, სიმონის ახლახან წაკითხული ბარათით მოგვანდეს და ახლა რომში მიემგზავრება ზემოაღნიშნული მთავრის სხვა ბარათებით მის უწმინდესობასთან.

გადაწყდა, საჭიროებისათვის გადადებული თანხიდან ზემოაღნიშნულ მამა იაკობს გადასცემოდა დუკატი ორმოცდაათი³⁸ ჩ(ვენი) სინ(იორიის) სახელით და მისი მთავრის თხ(ოვნ)ის პატივისცემის ნიშნად, რათა მას რომში მგზავრობის გაგრძელების საშუალება მისცემოდა.

[მომხრე] – 198

[მოწინააღმდეგე] – 2

[თავი შეიკავა] – 13[-მა] (ვსა, ფ. Senato, ა. Deliberazioni, CP., F., ს. 9, sub data)³⁹.

რამდენადაც ვენეციის რესპუბლიკასა და წმინდა საყდარს შორის ურთიერთობა დაძაბული იყო, ბრძენთა კოლეგიამ მიღებულ გადაწყვეტილებასთან ერთად, მდივანს, მარკო ოტობონოს, დაავალა, სრული ინფორმაცია მოეპოვებინა რომში ქართლის მეფის ელჩის მისიაზე. 1597 წ.-ის 23 ივნისს ტერ იაკობმა მ. ოტობონოს აცნობა, რომ ექვსი თვის წინათ იგი შაჰმა ყაზვინიდან რომის პაპთან მიავლინა, ყაზვინიდან ორიოდ დღის სავალზე იაკობი იეკბრიში (სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე დაუდგენელია ეს ტოპონიმი) შეხვდა მეფეებს ალექსანდრე II-სა და სიმონ I-ს, რომელთაც მას პაპისა და იმპერატორის ელჩისათვის გამოგზავნილი წერილები გადასცეს. იმპერატორის ელჩისთვის მიწერილი წერილიც წმინდა მამისათვის უნდა მიეტანა, რათა მას იმპერატორის ელჩისთვის გადაეცა; ამასთანავე, მას ამავე პირთათვის საქართველოს პატრიარქის მიერ მოწერილი წერილებიც მოჰქონდა (Tardy, 1974, გვ. 161-162).

ამასთან დაკავშირებით, მ. ოტობონო წერდა:

[გ. 149r] MDXCVII [წ.], XXIII ივნისს

³⁶ მიწერილია გვერდის მარცხენა ზედა ველზე.

³⁷ „მოწვეულნი“ (ვენეც. Pregadi), ან „მოწვეულთა საბჭო“ (ვენეც. Consiglio dei Pregadi) – ასე ერქვა სახელად 1229 წ.-ს დაარსებულ ვენეციის რესპუბლიკის უმაღლეს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლის მოვალეობა იყო დოჟისათვის რჩევის მიცემა სპეციფიკურ საკითხებზე. რენესანსული ჰუმანიზმის გავლენით XIV ს.-ში მოწვეულთა საბჭოს „სენატი“ ეწოდა (L'Archivio di Stato di Venezia, 1937). იგი „ბრძენთა“ სამი ჯგუფისაგან შედგებოდა: საბჭო, კონტინენტი და ორდენები. პირველის წევრი ექვსი ბრძენი, რომელთაც ზოგჯერ დიდ ბრძენებსაც უწოდებდნენ, ზოგად საქმეებს განაგებდა. მეორე ჯგუფი, კონტინენტის ხუთი ბრძენი კურირებდა ფინანსებს (ფინანსთა ბრძენი), სახმელეთო ჯარს (წერილობითი ბრძენი), ადგილობრივ სამხედრო შენაერთებს (ბრძანების ბრძენი), მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას („ახლავე“-ს ბრძენი) და ცერემონიალს (ცერემონიის ბრძენი). მესამე ჯგუფის – ორდენთა 5 ბრძენის სფეროში შემოდიოდა საზღვაო ვაჭრობა.

³⁸ სიტყვა „cinquanta“, ანუ „ორმოცდაათი“, ჩამატებულია სტრიქონებს შორის გადაშლილი სიტყვის თავზე, რომლის წაკითხვა ვეღარ ხერხდება.

³⁹ საბუთის ასლი: ვსა, ფ. Senato, ა. Deliberazioni, CP., R., ს. 9, ფ. 85v.

დიდად აღმატებულმა სინიორ ბრძენთა [საბჭომ] დამავალა რა მე, მარკო ოტობონოს, მის უმორჩილეს მდივანსა და მსახურს, შევხვედროდი სომეხ მამა იაკობს, საქართველოს მთავრის მიერ რომში მივლინებულს, რათა მეცადა, შემეტყო მისადმი [დაკისრებული] მისიის ზოგიერთი საკითხის შესახებ. მეც ვისარგებლე შემთხვევით, რომ იგი პატივცემული კოლეგიის გარეთ იმყოფებოდა მისთვის ბოძებული ორმოცდაათი დუკატის მიღების მოლოდინში, მივუახლოვდი და ნეგრონის თარჯიმნობის წყალობით გამოვკითხე, ვიდრე გაემგზავრებოდა, იქნებ, მოეთხრო თავისი მოგზაურობის შესახებ, რომელიც მეტად გრძელი და რთული [იყო და] ღირდა, გვცოდნოდა.

ამ სომეხმაც, აქა-იქ სიტყვას რომ წყვეტდა იმისდა მიხედვით, თუ რის გარშემო მსჯელობდა, მიპასუხა შემდეგი, [თუმცაღა], უაღრესად თავდაჭერილად საუბრობდა:

„უკვე ექვსი თვეა, რაც ყაზვინიდან, სპარსეთის მეფის სატახტო ქალაქიდან გამოვემგზავრე.

[გ. 149v] ამ გვირგვინოსნის მიერ პაპისთვის [მიწერილი] წერილით გამოგზავრებული, იქიდან ქართველი მთავრების, სინიორების ალექსანდრესა და სიმონისაკენ გამოვეშურე; მათ შევხვდი ერთ ადგილას, რომელსაც ჰქვია იეკბრი და ყაზვინიდან ორი დღის სავალზე [მდებარეობს], მათაც ასევე გადმომცეს წერილები პაპისა და რომში მყოფი იმპერატორის ელჩისათვისაც, მაგრამ [ეს უკანასკნელი გამოგზავნილი იყო] პაპის მისამართით, რათა მის უწმინდესობას თავადვე გადაეცა იმპერატორის ელჩისთვის. მომაქვს, აგრეთვე, საქართველოსა და იბერიის პატრიარქის წერილები ამავე [პირებისადმი], რომელთაც დალუქულებს გადავცემ და დაველოდები ჩემს გამგზავრებას.

სხვა დროს სპარსეთის შაჰს, ქართველ პატრიარქსა და მთავრებს ჩამოვუტანე პაპის, სანტა სევერინას კარდინალისა და იმპერატორის ელჩის წერილები, მაგრამ რადგანაც ისინი დაწერილი იყო იტალიურ ენაზე, ამ სინიორებმა ვერ გაიგეს მათი შინაარსი და დამავალეს, მისი უწმინდესობისთვის მეთხოვა, რომ თუ წერილის გამოგზავნა დასჭირდებოდა, იგი სპარსულ ენაზე შეედგინა, უმეტესწილად კი მოეხსენებინა თავის ლოცვებში იქაური ქრისტიანები, რათა უფალმა ღმერთმა მათ ძალა უბოძოს თავისი მტრების გასამკლავებლად. ეს სპარსელი სინიორები, მართალია, მშვიდობას იცავენ, მაგრამ ეს მოჩვენებითი მშვიდობაა და სხვას არაფერს ელიან, თუ არა – პაპის კურთხევასა და რომელიმე ხელსაყრელ შემთხვევას. ნატრობენ და მიყურადებულნი არიან, ქრისტიანთა ერთი გამარჯვების ამბავი შეიტყონ, რომ მაშინათვე აღსდგნენ, სხვაგვარად [კი] არაფერს მოიმოქმედებენ, და ყველაფერ ამაზე საუბარია წერილებში, რომლებიც მომაქვს, დანარჩენი წვრილმანის შესახებ მე არაფერი ვიცი. რომში ჩემი თარჯიმანი იქნება სომეხი იაკობი და მივაშურებ პატივცემულ სანტა სევერინას კარდინალს [მის] სახლში გასაჩერებლად, როგორც [ეს] სხვა დროსაც გამიკეთებია, როდესაც იმ [სამეფო] კარს ვეწვიე. სპარსეთის მეფე 26 წლის ახალგაზრდაა, ერთადერთი ვაჟი ჰყავს 6 წლისა და ერთიც – პატარა გოგონა. შეუძლია, გამოიყვანოს 80 ათ(ასი) ცხენი, მაგრამ არ ჰყავს მეარკებუზები.

ქართველი სიმონი უზადლო მეომარია, 54 წლისაა და ჰყავს ერთი ვაჟი, 25 წლისა, მრავალი ღირსებით აღსავსე.

[გ. 150r] შეუძლიათ, გამოიყვანონ 40 ათ(ასი) ქვეითი ჯარისკაცი და მრავალი მეარკებუზე. არ ჰყავთ ცხენები, რადგანაც ქვეყნის მდებარეობა მათი ყოლის საშუალებას არ იძლევა. დიდად შეჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა სპარსეთის მეფე, ესენი [საუბარია ქართლის სამეფოზე – გ. შ.] რომ არ იცავდნენ მას.

ეს ქართველი სინიორები ყურებზე სამკაულს ატარებენ, სპარსელების ყაიდაზე თავზე ჩალმას იხვევენ, მაგრამ მკერდზე, აბჯრის ზემოთ დამაგრებული აქვთ დიდი ჯვარი ნიშნად იმისა, რომ ქრისტიანები არიან.

ჩემი მოგზაურობა წარიმართა საქართველოდან ვანის რეგიონში, იქიდან ალექოში საიდუმლოდ ჩამიყვანა ერთმა მსტოვარმა, რომელიც სიმონ ქართველმა მომამაგრა.

ალეპოში პატივცემულ კონსულს წარუდგინე მთავარ სიმონის წერილები და მისი პატივცემული სინიორიის ხელით მივიღე ფული, პური, აგრეთვე, ყოველგვარი სხვა სახის დახმარება, და გემით „ნანა“ და ხმელეთით ჩამოვედი ამ ქალაქში.

პატივცემული პროვედიტორი მანტე დიდი პატივისცემით გამიმასპინძლდა პურით, ფულით, ღვინით, თევზით და უამრავი სხვა რამით. ამავე საღამოს გავემგზავრები რომში“.

აი, ეს არის, ძირითადად, ის, რაც მოვახერხე, წარმომეტქმევინებინა ამ საკითხებზე მასთან საუბრისას (ვსა, ფ. Collegio, ა. Esposizioni principi registri, ს. 12, ფ. 149r-150r)⁴⁰.

სამწუხაროდ, ვერც ამჯერად შევჩერდებით ამ ისტორიულ საბუთში დაცული დოკუმენტური ცნობების შესწავლაზე. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მითითება ალექსანდრე II-ის წერილზე, რომელიც დღემდე მიუკვლეველია. ე. მამისტვალიშვილის აზრით, კახეთის მეფე კმაყოფილი ვერ იქნებოდა იმით, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ კავშირი სპარსეთმა, ქართლმა და კახეთმა რუსეთის გარეშე შეკრეს (მამისტვალიშვილი, 2009, გვ. 307). აქედან გამომდინარე, მკვლევარს ეჭვი შეაქვს კახეთის მეფის წერილის არსებობასა და ზემოაღნიშნულ კავშირში მის მონაწილეობაზე (მამისტვალიშვილი, 2009, გვ. 307, 314), ხოლო ჩვენ გაუმართლებლად მიგვაჩნია მხოლოდ ისტორიული კონიუნქტურის გათვალისწინებით დოკუმენტურად დაფიქსირებული ცნობის ხელაღებით უარყოფა. დაბოლოს, აქვე შევნიშნავთ იმასაც, რომ გაკვირვებას იწვევს სომეხი მღვდლის ცნობა ქართული ცხენოსანი ჯარის არარსებობის შესახებ მაშინ, როდესაც ქართულ მხედრობას მთელ აღმოსავლეთში ჰქონდა სახელი განთქმული.

როგორც ცნობილია, ტერ იაკობი პირდაპირ რომში არ გამგზავრებულა: 1597 წ.-ის 10 ივლისს იგი გრაცში ჩავიდა, ხოლო იქიდან – ვენაში, სადაც ჩაიტანა შაჰისა⁴¹ და ქართველი მეფეების წერილები. ამავე დროს, ზეპირად აცნობა მათ ადრესატებს, რომ სპარსელი და ქართველი მეფეები დიდად იყვნენ დაინტერესებული ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმით და სთხოვდნენ იმპერატორს, არ შეეწყვიტა ოსმალთა წინააღმდეგ დაწყებული ომი. რადგანაც სპარსეთსა და ოსმალეთს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ერთმანეთთან ზავი დადებული და უშუალოდ თავად მიადგებოდნენ ბრძოლით კონსტანტინოპოლის გალავანს (Tardy, 1968, გვ. 124).

17 ივლისს ტერ იაკობი და მისი შვილი პრაღაში ჩავიდნენ. როგორც ლ. ტარდიმ ნათელყო, ვენაში ავსტრიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული 1597 წ.-ის დღიურები მრავალ საყურადღებო ცნობას შეიცავს ქართლის მეფის ელჩისა და მის მიერ სპარსეთის მეფის სახელით იმპერატორისთვის შემოთავაზებული კავშირის შესახებ (Tardy, 1974, გვ. 165-166). ამავე დროს, ვენეციის ელჩი პრაღაში რესპუბლიკას უგზავნიდა სრულ ანგარიშს ელჩების მისიის შესახებ (ასბ, cod. 8970, ფ. 385r-v), ხოლო 1597 წ.-ის 21 ივლისს ვენეციის ელჩი ფრანკო ვენდრამინი დოჟს თავის რელაციაში აცნობებდა, რომ ერთ-ერთი სომეხი ეროვნების პიროვნება, რომელიც ცხრა თვის წინათ გამოემგზავრა სპარსეთიდან და პრაღაში ორი დღის წინათ ჩამოვიდა, იმპერატორს ჯერ არ მიეღო. ამავე დროს, იტყობინებოდა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, მას თან მოჰქონდა წერილები სპარსეთის შაჰისა და ქართველი მეფისა, რომელსაც რუსთ ხელმწიფესთან ოსმალეთის წინააღმდეგ კავშირი დაედო (ასა, ფ. Dispacci di Germania, 21.VII.1597). ერთი კვირის შემდეგ,

⁴⁰ ამ რელაციის იტალიური დედანი პირველად ჩვენ გამოვაქვეყნეთ (იხ. Shurgaia, 2019, გვ. 575-576), ხოლო მისი ფრანგული თარგმანი ჩვენზე ადრე დასტამბა ლ. ტარდიმ (Tardy, 1974, გვ. 161-163), საიდანაც ზოგიერთი ნაწყვეტი უაღრესად თავისუფლად გადმოიღო ქართულად ე. მამისტვალიშვილმა (2009, გვ. 315-316).

⁴¹ როგორც ლ. ტარდი (1974, გვ. 165) გადმოგვცემს, ამის შესახებ წერდა ნორიმბერგის გაზეთი, ხოლო მეორე დღეს ეს ცნობა ხელახლა გამოქვეყნდა „ფუგერცაიტუნგში“.

ვენეციის ელჩის 1597 წ.-ის 28 ივლისის ანგარიშში კი უკვე საუბარია იმპერატორთან სომეხი ეროვნების ელჩის აუდიენციაზე (ასა, ფ. Dispacci di Germania, 28.VII.1597).

აღსანიშნავია ისიც, რომ დასავლეთ ევროპაში ტერ იაკობის ელჩობის ახლო ხანებში და მას შემდეგაც კვლავინდებურად მოდიოდა ცნობები საქართველოს შესახებ. მაგალითად, 1597 წ.-ის 25 ივლისის კონსტანტინოპოლში რეზიდენტი ელჩი ვენეციის რესპუბლიკას აცობინებდა: „ამბობენ, ქართველებმა ხარკის გადახდაზე უარი განაცხადეს და თურქების წინააღმდეგ ომი წამოიწყესო“ (ვსა, ფ. Senato, ა. Dispacci, DAR, CP., R., ს. D6, ფ. 169r). იმავე 1597 წ.-ის 7 სექტემბრის წერილში კი საუბარია სიმონ მეფეზე და, როგორც ჩანს, სამცხე-საათაბაგოზე, სადაც ათაბაგთა მოღალატური პოლიტიკის შედეგად (აბულაძე, 1989, გვ. 197-198)⁴², როგორც ცნობილია, 1587 წ.-ის შემდეგ ოსმალეთმა აქტიურად მოიკიდა ფეხი (შარაშიძე, 1961, გვ. 171). მასში ვკითხულობთ:

[...] ჩამოვიდნენ სპარსეთის მეფის კა(ცე)ბი და ით(ხოვ)ეს დახმარება ოსბეხ თათრის⁴³ წინა(აღმდეგ), რომელსაც ქართველებ(თან) მოკავშირედ გახდომის შემდეგ ზოგიერთი სიმაგრე დაეკავებინა, სხვათა და(ჭ)ერასაც და მექაში წასვლას აპ(ირებ)და. გავრცელებული ხმებით, ს(იმო)ნი სპარსელებს ეხმარებოდა (ვსა, ფ. Senato, ა. Dispacci, DAR, CP., R., ს. D6, ფ. 173r).

1597 წ.-ის 14 ოქტომბერს ვინმე პანკრაციუს სენეი ზიგმუნდ ბატორის აცნობებდა ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ სპარსელთა და ქართველთა ჯარების საომარი მზადების შესახებ (Iorga, 1903, გვ. 323, № 486), ხოლო 1599 წ.-ის 24 ოქტომბერს იერონიმე ფრაქეტა იტყობინებოდა “ომისათვის სპარსელთა და ქართველთა მზადყოფნაზე დაკარგული [ტერიტორიების] დასაბრუნებლად” (იქვე, გვ. 472, № 746).

ვენეციის სახელმწიფო არქივში დაცული ჩვენ მიერ არაერთხელ ციტირებული საქაღალდე “Senato, Dispacci, Dispacci degli ambasciatori e residenti, Costantinopoli, Rubriche, (1558-1636), D6 (12-13.03.1594, 28.05.1595-22.02.1600)” მეტად საყურადღებო ცნობებს შეიცავს უნგრეთსა და ოსმალეთის იმპერიას შორის ცამეტწლიან ომსა (1593-1606) და, კერძოდ, ქართლსა და მის გმირ მეფეზე. ნაშრომი ფაქტებით ზედმეტად რომ არ გადავტვირთოთ, ამჯერად ამ საკითხებზე აქ აღარ შევჩერდებით და მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ამ ცნობების ანალიზისთვის აუცილებელია ვენეციის რესპუბლიკის ელჩების პრაღიდან გამოგზავნილი მასალებისა და რესპუბლიკის სენატის გადაწყვეტილებათა საფუძვლიანი შესწავლა და შესაბამისი დოკუმენტების ერთმანეთთან შეჯერება.

1596-1597 წწ.-ში დასავლეთ ევროპაში სიმონ I-ის მიერ გაგზავნილი ელჩობის შესახებ მსჯელობის დასასრულს საგანგებოდ შევჩერდებით ქართლის მეფის მიერ ესპანეთის მეფის, ფილიპე II-ისთვის მიწერილ ბარათზე, უპირველეს ყოვლისა კი – მის დათარიღებაზე.

ამ დოკუმენტის აღმომჩენის, ფრედერიკ მაკლერის (1869-1938) გარდა⁴⁴, დღემდე, თითქმის, ყველა მკვლევარი მას 1596 წ.-ის 25 აგვისტოში დაწერილად მიიჩნევს⁴⁵. სინამდვილეში

⁴² დამაჯერებელი არ არის ე. მამისთვალისვილის (2009, გვ. 401-410, 421) მოსაზრება და არგუმენტები, რომლებსაც იგი ქრისტიანე შარაშიძის (1961, გვ. 50 (სქ. 1-2), 51 (სქ. 1-2), 165-168) თვალსაზრისის წინააღმდეგ გამოთქვამს.

⁴³ იგულისხმებიან უზბეკები, რომლებთანაც სეფიანთა ირანს ხანგრძლივი ბრძოლები ჰქონდა.

⁴⁴ ფ. მაკლერი (1920, გვ. 70, 78 სქ. 2) მას 1595 წ.-ით ათარიღებს.

⁴⁵ იხ., მაგ., ტაბაღუა, 1984, გვ. 224; Gil Fernández და Tabagua, 1993, გვ. 225, 364 (№ 32-33); პაპაშვილი, 1995, გვ. 121; მამისთვალისვილი, 2009, გვ. 309, სქ. 3. ერთადერთი გაბაშვილი, 1954, გვ. 93 ათარიღებს მას 14 აგვისტოთი.

ბარათი შემონახულია ორ – სომხურ⁴⁶ და ბერძნულ⁴⁷ ენებზე შედგენილი დედნებისა და მათგან ფილიპე II-ის კარზე იმ დროს შესრულებული ესპანური თარგმანების სახით⁴⁸. ბერძნული დედანი დათარიღებულია 1596 წ.-ის 25 აგვისტოთი, ხოლო სომხური – „1595 წ.-ის 14 აგვისტოთი“, რაც გარდა ფ. მაკლერისა, დღემდე მხედველობიდან გამორჩათ ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევარებს. ამასთან, ძველი ესპანური თარგმანებისათვის ფილიპე II-ის კანცელარიის მიერ თანდართულ ანოტაციებში⁴⁹ არავითარი მინიშნება არ არსებობს დოკუმენტის თარიღის, ან თარგმანის შესრულების შესახებ და არც ის არის გარკვეული, თუ ეს საბუთი როდის, ან რანაირად აღმოჩნდა ესპანეთში.

კერძოდ, ბერძნულ ორიგინალში იკითხება: „ἔτει ,α' φεβ' μηνὶ αὐγούστου κε'“ (Macler, 1920, [3] ტაბ., გვ. 76), ანუ „1596 წელს, აგვისტოს თვის 25-ს“, ხოლო სომხურში – „ի թվ Հայոց ա՛խ Է աւգոստոս աւստյ ժ՛դ“ (იქვე, [2] ტაბ., გვ. 72), ანუ „სომხურ 1045 წელს, აგვისტოს თვის 14-ს“. ფ. მაკლერი (1920, გვ. 70, 78 სქ. 2) არც კი აყენებს საკითხს წერილის ორი დედნის თარიღებს შორის ერთწლიანი განსხვავების შესახებ, ხოლო, ჩვენი აზრით, შეუძლებელია, მათ შორის ასეთი დიდი ქრონოლოგიური განსხვავება ყოფილიყო. ამავე დროს, ის ფაქტი, რომ ორივე ბარათი აგვისტოშია შედგენილი, გვაფიქრებინებს, რომ ერთ-ერთ ბარათზე წელი, ეტყობა, შეცდომითაა მითითებული და ეს ბარათი, ჩვენი აზრით, სწორედ სომხური ორიგინალი უნდა იყოს.

როგორც ცნობილია, ძველი სომხური წელთაღრიცხვის ჩვ. წ.-აღ.-ზე გადმოსაყვანი კოეფიციენტი 551, ან 550. პირველი უნდა დაემატოს სომხური წელთაღრიცხვით გამოთვლილ წელს, თუ იგი 769-ს არ აღემატება, ხოლო მეორე – თუ არის 770 და მეტი წელი (Grumel, 1958, გვ. 145). ამდენად „სომხური 1045 წელი“ არის ჩვ. წ.-აღ.-ით 1045+550=1595 წელი, უფრო ზუსტად კი – 1594 წ.-ის 23 ოქტომბრიდან 1595 წ.-ის 22 ოქტომბრამდე პერიოდი, როგორც მართებულად მიუთითებს ფ. მაკლერი (1920, გვ. 74). ვვარაუდობთ, რომ სიმონ მეფის წერილის სომხურად მთარგმნელს – ისევე, როგორც ზოგიერთ თანამედროვე მკვლევარს (ტაბალუა, 1984, გვ. 224, სქ. 8) – მხედველობიდან გამორჩათ, რომ სომხური წელთაღრიცხვის 770 წ.-ის შემდეგ დასამატებელი კოეფიციენტი 550 უნდა ყოფილიყო და არა – 551.

ლ. ტარდისა (1974, გვ. 157-159) და, ასევე, ე. მამისთვალიშვილის (2009, გვ. 309) აზრით, ეს ბარათი მეტყველებს ზიგმუნდ ბატორისთან სიმონ მეფის კავშირზე, რადგანაც ქართლის მეფე ფილიპე II-ს აცნობებდა შაჰ აბასთან და ალექსანდრე II-სთან დადებული კავშირის შესახებ და სთხოვდა, იმპერატორს ყველა ღონე ეხმარა, რათა ერთმანეთს არ დაზავებოდნენ ტრანსილვანიის მთავარი და სულთანი და მხარში ამოსდგომოდა აღმოსავლელ ქრისტიანებს: დასავლეთში ოსმალეთის წინააღმდეგ გალაშქრება ბოლოს მოუღებდა ოსმალთა იმპერიას და გაათავისუფლებდა წმინდა მიწას; დაბოლოს სთხოვდა, ეშუამდგომლა შაჰთან სულთნის წინააღმდეგ საერთო სამხედრო ძალების გაერთიანებისათვის (Macler, 1920, გვ. 71-89; ტაბალუა, 1984, გვ. 222-227; Gil Fernández და Tabagua, 1993, გვ. 224-225, 362-366 (№ 32-33); პაპაშვილი, 1995, გვ. 122).

⁴⁶ Macler, 1920, [1-2] ტაბ., გვ. 71-72; მისი ფრანგ. თარგ. გვ. 72-74.

⁴⁷ Macler, 1920, [3] ტაბ., გვ. 75-76.

⁴⁸ იქვე, გვ. 76-78 (სომხური ორიგინალის ძველი ესპანური თარგმანი), გვ. 85-86 (ბერძნული ენიდან ფილიპე II-ის ოფიციალური თარგმანის, ნიკოლაო დე ლა ტორესეული ძველი ესპანური თარგმანი). ამ დოკუმენტების მაკლერისეული ფრანგული თარგმანი მოთავსებულია 78-80 და 87-89 გვ.-ზე.

⁴⁹ Macler, 1920, გვ. 76-77 (სომხური ორიგინალის ძველი ესპანური თარგმანისა), გვ. 85-86 (ბერძნული ენიდან ფილიპე II-ის ოფიციალური თარგმანის, ნიკოლაო დე ლა ტორესეული ძველი ესპანური თარგმანისა).

სინამდვილეში ქართლის მეფის მიერ ესპანეთის მეფის, ფილიპე II-ისთვის მიწერილი ბარათის სომხურ და ბერძნულ დედნებში საუბარია ყველა ზემოაღნიშნულ საკითხზე, მაგრამ არავითარი მინიშნება არ არის ტრანსილვანიაზე⁵⁰. როგორც ჩანს, პატივცემულმა მკვლევარებმა ვერ შენიშნეს, რომ ფ. მაკლერმა ფრანგულად თარგმნა არა წერილის ბერძნული დედანი, არამედ – სომხურიდან ფილიპე II-ის კარის ოფიციალური თარჯიმნის მიერ შესრულებული ძველი ესპანური თარგმანი (Archivo General de Simancas, Secretaria de Estado. Legajo 703)⁵¹. მხოლოდ ძველ ესპანურ თარგმანში იხსენიება, თანაც – ხუთჯერ, ტრანსილვანია (Macler, 1920, გვ. 77), მაგრამ დღეს უკვე შეუძლებელია იმის დადგენა, თარგმანში ეს ჩამატება ქართლის მეფის ელჩს ეკუთვნის, თუ – ესპანეთის სამეფო კარის თარჯიმანს, თუმცა, ვისაც არ უნდა შეეტანა ეს ჩამატება, გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს (იხ. მამისთვალიშვილი, 2009, გვ. 309) განსხვავება წერილის ფ. მაკლერისეულ (1920, გვ. 78-80) ფრანგულ და ი. ტაბაღუასეულ (1984, გვ. 222-224) ქართულ თარგმანს შორის: ფ. მაკლერმა თარგმნა სომხური დედნის ძველი ესპანური თარგმანი, ხოლო ი. ტაბაღუამ – უშუალოდ სომხური დედანი. ამდენად, ეს ისტორიული დოკუმენტი ვერ გამოდგება სიმონ მეფესა და ზიგმუნდ ბატორის შორის კავშირის დამადასტურებელ საბუთად. ამასთან, ტრანსილვანიაზე მითითება ავთენტური რომც ყოფილიყო, გაუგებარია იქნებოდა, რატომ უნდა ეთხოვა სიმონ მეფეს ესპანეთის მეფისთვის, არ დადებულებოდა ოსმალეთის იმპერიასა და ტრანსილვანიის სამთავროს შორის სამშვიდობო ზავი.

იმპერატორისთვის გადაცემულ წერილებთან დაკავშირებით ლ. ტარდი წერდა:

ეს ბარათები საინტერესო უფროა, ვიდრე – რამეთი მნიშვნელოვანი. მართალი რომ ვთქვათ, მათში მხოლოდ გამოთქმულია რწმენა, რომ ოსმალეთის ჯარი ვერაფერს დააკლებს იმპერატორის მიწა-წყალს. [ეს] ბარათები შეიცავს, უპირველეს ყოვლისა, ურთიერთპატივისცემის გამოხატვის მიღებულ [ფორმებს] (Tardy, 1974, გვ. 167).

ძნელია, ვირწმუნოთ, ქართლის მეფის ელჩს გრძელი და ფათერაკებით აღსავსე მოგზაურობა ევროპაში მხოლოდ თავაზიანი წერილების ჩასატანად წამოეწყო. ჩვენი აზრით, მას სიტყვიერად უნდა გადაეცა იმპერატორისთვის უმთავრესი დანაბარები. ლ. ტარდის აზრით, ამ ელჩობამ შედეგი ვერ გამოიღო არა მარტო დასავლელ მონარქთა შეზღუდული გამჭრიახობის, არამედ – იმის გამოც, რომ იმპერატორ რუდოლფის ერთგულმა თანამოაზრემ, რაიმონდო დელა ტორემ, რომელსაც ქართლის მეფის ელჩის სამშობლოში გამომგზავრების ორგანიზაცია დაევალა, და კარდინალმა სანტორომ გამიზნულად მიაწოდეს არასწორი ინფორმაცია ვენეციის ელჩს, რადგანაც მათი სახელმწიფო ინტერესები ერთმანეთთან შეუთავსებელი იყო. ელჩმა ვენდრამინმაგ ზედმეტად პესიმისტურად შეაფასა ტერ იაკობის წინადადებები. ყოველივე ამის შედეგად, 1597 წ.-ის 20 სექტემბერს იგი ისევ პრაღაში იმყოფებოდა პასპორტის მიღების მოლოდინში, რათა სამშობლოში დაბრუნებულიყო (Tardy, 1974, გვ. 168).

1596-1597 წწ.-ში სიმონ მეფის მცდელობა, ოსმალეთის წინააღმდეგ შეექმნა ევროპის სახელმწიფოთა კოალიცია, მარცხით დამთავრდა, რადგან ამ ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური, ტერიტორიული თუ რელიგიური ინტერესები ერთმანეთთან შეუთავსებელი იყო. ამასთან, განსხვავებული იყო თითოეული სახელმწიფოს დამოკიდებულება ოსმალეთის იმპერიასთან, რომელიც ევროპის ზოგიერთ ქვეყანას გამორჩეულ პრივილეგიებს ანიჭებდა

⁵⁰ თვალსაჩინოებისათვის იხ. სომხური და ბერძნული ტექსტების ფაქსიმილე და მათი კრიტიკულად დადგენილი ტექსტები Macler, 1920, შესაბამისად [1-2] ტაბ., გვ. 71-72 და [3] ტაბ., გვ. 75-76.

⁵¹ Macler, 1920, გვ. 76-78 (სომხური ორიგინალის ძველი ესპანური თარგმანი), 78-80 (ამ დოკუმენტის მაკლერისეული ფრანგული თარგმანი).

სპეციალური ხელშეკრულებებით, ე. წ. „კაპუტულაციებით“⁵². ამიტომ შაჰ აბასსა და სიმონ I-ს მხოლოდ საკუთარი სამხედრო ძალის იმედი უნდა ჰქონოდათ.

1597 წ.-ს შაჰ აბასმა სასტიკად დაამარცხა უზბეკები და ქურთები, რომლებიც ოსმალეთის იმპერიის მოკავშირეებად ითვლებოდნენ, ხოლო სიმონმა 1598 წ.-ს განაახლა სამხედრო ოპერაციები ოსმალთა წინააღმდეგ. ამდენად თავიდან ბოლომდე ყალბი იყო რუსეთის იმპერიის პოსოლსკი პრიკაზის მეთაურისა და იმპერატორ რუდოლფ II-ის კარზე ბორის თეოდორეს ძის (გოდუნოვის) (1598-1605) ელჩის, ათანასი ივანეს ძე ვლასევის († 1610 წ.-ის შემდეგ) განცხადება იმის შესახებ, თითქოს, სიმონს ომი რუსეთის მეფის ბრძანებით დაეწყო (Памятники, 1852, სვ. 695). სინამდვილეში ქართლის მეფემ ეს ომი საგანგებოდ სწორედ იმ დროს დაიწყო, როდესაც ოსმალეთის იმპერია შინაგანი არეულობით იყო მოცული (მამისტვალიშვილი, 2009, გვ. 320).

ცნობები ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ სიმონ მეფის ინტენსიური და სირთულეებით აღსავსე სამხედრო ოპერაციების შესახებ ისევ აღწევდა ევროპაში, მათ შორის – ვენეციაში. ჯერ ლუარსაბ I-ისა და მერე სიმონ მეფის ადგილსამყოფლის, ხოლო შემდგომ ოსმალთა მიერ დაპყრობილი გორისათვის 1598 წ.-ს მის მიერ ალყის შემორტყმას უნდა ეხმარებოდეს 1598 წ.-ის 18 აპრილს კონსტანტინოპოლში ვენეციის რესპუბლიკის რეზიდენტი ელჩის ცნობა იმის შესახებ, რომ „სიმონ ქართველმა გორი და დმანისი აიღო და კიდევ მრავალი გამარჯვება მოიპოვა“ (ვსა, ფ. Senato, ა. Dispacci, DAR, CP., R., ს. D6, ფ. 251v-252r). როგორც ცნობილია, ქართლის მეფემ გორი ბრწყინვალე სამხედრო სტრატეგიის განხორციელებით გაათავისუფლა 1598 წ.-ის დიდმარხვისას (დუმბაძე, 1973, გვ. 147-148), ხოლო მითითება დმანისზე უნდა გულისხმობდეს ფერჰად ფაშას მიერ 1584 წ.-ს დმანისში აგებულ ციხე-სიმაგრეს, რომელზედაც მოგვითხრობს ჯ. ტ. მინადოი (Minadoi da Rovigo, 1594, გვ. 230-231).

ოსმალეთის სულთნის მიერ ქართლის მეფის დასასჯელად წარგზავნილი თავრიზისა და ვანის ბეგლარბეგის, ჯაფარ ფაშას (გარდ. 1600/1) ჯარებთან შეტაკების გამოძახილი უნდა იყოს რეზიდენტი ელჩის 1598 წ.-ის პირველი მაისის ცნობა: „სპარსეთისა და ქართველების შესახებ სხვას არაფერს ამბობენ, თუ არა იმას, რომ განუწყვეტლივ საუბარია სახელმწიფოში“⁵³ და იმპერიის სხვა ნაწილებში დიდი მღელვარების შესახებ“ (ვსა, ფ. Senato, ა. Dispacci, DAR, CP., R., ს. D6, ფ. 253r). იმავე წლის 29 მაისს კი იგი იტყობინებოდა: „ვარაუდობენ, რომ პირდაპირ ალი ხანის წი(ნააღ)მდეგ წავლენ, და [ამის] ასაშენებლ(ა)დ ქართველი ... რომ ქართველი [ალბათ, იგულისხმება სიმონ მეფე – გ. შ.] მოსვენებას არ აძლევს იმ სა(ზღ)ვრებს“ (იქვე, ფ. 257v). 1599 წ.-ის 4 სექტემბერს რეზიდენტი ელჩი რესპუბლიკას სწერდა:

ხმა დაირხა სიმონ ქართველის ქურთების ერთი ბელადის მიერ საქართველოს საზღვართან [ახლოს მდებარე] არზრუმის⁵⁴ ალების შესახებ. ამ ამბის გამო მუფტიმ დიდის ამბით უჩვილა სიმონ ქართველს სპარსეთის ელ(ჩ)თან (ვსა, ფ. Senato, ა. Dispacci, DAR, CP., R., ს. D6, ფ. 267v).

⁵² ტერმინი „კაპუტულაცია“, წარმოდგება ლათინური სიტყვის „caput“, ანუ „თავი“ შუასაუკუნოვანი კნინობითი ვარიანტიდან „capitulum“. ამ სახის იურიდიულ დოკუმენტებს ეს სახელი დაერქვა იმის გამო, რომ მათი ტექსტი თავებად იყო დაყოფილი. ოსმალეთის იმპერიის მიერ ევროპის სახელმწიფოებთან დადებული კაპუტულაციების შეს. იხ. Boogert, 2005; Boogert და Fleet, 2003.

⁵³ დედანში სტრიქონის ბოლოს წერია: „Na-“, რომელიც უნდა ნიშნავდეს „Na[tione]“, ანუ „ერი“, „სახელმწიფო“. როგორც ჩანს, გადამწერი აპირებდა სიტყვის გადატანას და შემდეგ სტრიქონზე დაავიწყდა მისი მეორე ნაწილის დაწერა.

⁵⁴ როგორც ცნობილია, ამ ქალაქის, ანუ ძველი ბიზანტიური თეოდოსიოპოლის, სახელი სხვადასხვა ფორმით არის გავრცელებული სხვადასხვა ენაში. ვარიანტი „არზრუმი“ წარმოდგება არაბული

საინტერესოა, რომ ამ ჩანაწერში სიტყვები „da Simon Giorgiano“, ანუ „სიმონ ქართველის მიერ“ გადახაზულია და წერია: „da un capo di chiurdi“, ანუ „ქურთების ერთი ბელადის მიერ“.

ჯაფარ ფაშას ქართლში ლაშქრობას, რომელიც 1599 წ.-ს ნახიდურთან სიმონ მეფის ღალატით შეპყრობითა და კონსტანტინოპოლში იედი ყულეს ციხეში მისი გამომწყვდევეთ დამთავრდა (ჟორდანია, 1897, გვ. 431; დუმბაძე, 1973, გვ. 149; შდრ. ყაუხჩიშვილი, 1959, გვ. 380, 536; ნაიმა, 1979, გვ. 83, 339), ეხმაურება რეზიდენტი ელჩის ცნობა: „ეს იმ(ისა)თვის მოხდა, რათა დაეპყროთ ქართველთ(ა) ქვეყანა და რ(ათ)ა დაეღუპათ მათი მეფე სიმონი“ (ვსა, ფ. Senato, ა. Dispacci, DAR, CP., R., ს. D6, ფ. 273r). ეს ლაკონური ფრაზა საუცხოოდ განასახიერებს სიმონის, როგორც თავად საქართველოს დამოუკიდებლობის სიმბოლოს.

დასკვნა:

ვენეციური, რიგი ევროპული ქვეყნების საარქივო მასალების, აგრეთვე, ქართული, თურქული, სპარსული და სხვა ქვეყნების ისტორიული წყაროების მოკლე მიმოხილვაც კი თვალნათლივ წარმოგვისახავს ქართლის მეფეს, სიმონ I-ს სახელგანთქმულ გვირგვინოსნად, გამორჩეულ სახელმწიფო მოღვაწედ, დიდ პოლიტიკოსად, ბრძენ დიპლომატად, მხედართმთავრად და გულანთებულ მამულიშვილად. ამას პირუთვნელად ადასტურებს მიხეილ თამარაშვილის, ბექან გიორგაძის, ლაიონ ტარდის, ილია ტაბაღუასა და ელდარ მამისთვალისშვილის საეტაპო ნაშრომები.

დიდად მისასალმებელია, რომ ეს-ესაა დაიწყო თავისი სამშობლოსათვის თავშეწირული პატრიოტის შესახებ არსებული დოკუმენტური წყაროების სიღრმისეული შესწავლა და თანდათანობით იკვეთება მისი მონუმენტური ფიგურა. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა კი მხოლოდ დასაწყისია ვენეციის სახელმწიფო არქივსა და, საზოგადოდ, ევროპის არქივებში ამ მიმართულებით ჩასატარებელი სისტემური მუშაობისა, რაც საჩინოს გახდის ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თვითმყოფლობის შენარჩუნებისათვის ქართლის გმირი მეფის თავგანწირული ბრძოლის შედეგებს.

დამოწმებანი:

1. ასა, ფ. Dispacci di Germania = Wien, Staatsarchiv, Dispacci di Germania.
2. ასბ = Wien, Österreichische Nationalbibliothek Handschriftensammlung, cod. 8970.
3. ვსა, ფ. Collegio, ა. Esposizioni principi registri, ს. 12 = Archivio di Stato di Venezia, Collegio, Esposizioni principi registri, 12.
4. ვსა, ფ. Senato, ა. Dispacci, DAR, CP., R., ს. D6 = Archivio di Stato di Venezia, Senato, Dispacci, Dispacci degli ambasciatori e residenti, Costantinopoli, Rubriche, (1558-1636), D6 (12-13.03.1594, 28.05.1595-22.02.1600).
5. ვსა, ფ. Senato, ა. Deliberazioni, CP., F., ს. 9 = Archivio di Stato di Venezia, Senato, Deliberazioni, Costantinopoli, Filza, 9.
6. ვსა, ფ. Senato, ა. Deliberazioni, CP., R., ს. 9 = Archivio di Stato di Venezia, Senato, Deliberazioni, Costantinopoli, Registri, 9.
7. აბულაძე, გ. (1989). სამცხე-საათაბაგოს ისტორიიდან (XVI ს. 80-იანი წლები). *მრავალთავი*, 15.
8. გაბაშვილი, ვ. (1954). ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები, XVI-XVII სს.). *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, 31.
9. დუმბაძე, მ. (1973). საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად, 4, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. ტომის რედაქტორი მამია დუმბაძე. თბილისი. საბჭოთა საქართველო.

შესიტყვებიდან „Ard al-Rūm“, რომელიც სპარსულში გადასულია როგორც „Arz-e Rūm“ და ნიშნავს რუმთა, ანუ რომაელთა, ანუ ბიზანტიელთა მხარეს, ქვეყანას.

10. თამარაშვილი, მ. (1902). ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შინა, წამდვილ საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. ტფილისი.
11. მამისტვალიშვილი, ე. (2009). საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, 1 (XV-XVI სს.). თბილისი. მერიდიანი.
12. ნაიმა, მუსტაფა (1979). ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ [=] Сведения о Грузии и Кавказе [=] Gürcüstan ve Kafkasya hakkında bilgiler. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევისა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ [=] турецкий текст с грузинским переводом подготовил к изданию, исследованием и примечаниями снабдил Н. Н. Шенгелия [=] Metni, Biz Araştırma, Gürcüce Çeviri ile Notlari Hazırlıyan N. Şengelia. თბილისი. საქართველოს ისტორიის წყაროები, 14; საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები, 8.
13. პაპაშვილი, მ. (1995). საქართველო-რომის ურთიერთობა, VI-XX სს. თბილისი. აღმშენებელი.
14. ჟორდანია, თ. (1897). ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. შერევილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდიანის მიერ, 2. ტფილისი. კ. ი. მუხრანბატონის გამოცემა.
15. სვანიძე, მ.; ჯიქია, ს. (1966). საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან 1588-1590 წწ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება), 33:6.
16. ტაბაღლა, ი. (1984). საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), [1]. თბილისი. მეცნიერება.
17. ფუთურიძე, ვლ. (1969). ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ [=] Сведения Искандера Мунши о Грузии [=] Excerpta Historiae Iskander Munši ad Georgiam pertinentia, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლ. ფუთურიძემ [=] персидский текст с грузинским переводом и предисловием издал В. С. Путиридзе [=] textum persicum cum versione georgica et introductione edidit V. Puturidze. თბილისი. მეცნიერება. საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები, 23.
18. ყაუხჩიშვილი, ს. (1959). ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 2. თბილისი. სახელგამი.
19. შარაშიძე, ქ. (1961). სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.) [=] Материалы по истории южной Грузии (XV-XVI вв.). ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქ. შარაშიძისა [=] публикация текстов, исследования и указатели Кр. Г. Шарашидзе. თბილისი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
20. ჯავახიშვილი, ივ. (1948). ქართველი ერის ისტორია, 4. თბილისი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
21. Бартольд, В. В. (1918). Улугбек и его время. Петроград.
22. Бартольд, В. В. (1964). Сочинения, 2:2. Москва. Наука.
23. Белокуров, С. Ал. (1888). Сношения России с Кавказом: материалы, извлеченные из Московского главного архива Министерства иностранных дел С. Ал. Белокуровым, 1, 1578-1613 г. *Чтения в Императорском обществе истории и древностей российских при Московском университете*, 146:3.
24. Жордания, Г.; Гамезардашвили, Д. (1994). Римско-католическая миссия и Грузия, 1. Тбилиси.
25. Памятники, 1852. Памятники дипломатических сношений с Римскою империею, 2 (с 1594 по 1604 год), С.-Пб. Памятники дипломатических сношений древней России с державами иностранными.
26. Albèri, E. (1840). Relazioni degli ambasciatori veneti al Senato, raccolte, annotate ed edite da E. Albèri. Serie III, [Le relazioni degli Stati ottomani], 1. Firenze. Tipografia e calcografia all'insegna di Clio.
27. Albèri, E. (1844). Relazioni degli ambasciatori veneti al Senato, raccolte, annotate ed edite da E. Albèri. Serie III, [Le relazioni degli Stati ottomani], 2, Firenze. Tipografia e calcografia all'insegna di Clio.
28. Allen, W. E. D. (1930). Notes on Don Juan of Persia's Account of Georgia. *Bulletin of the School of Oriental Studies*, 6.
29. L'Archivio di Stato di Venezia. (1937). Indice generale, storico, descrittivo ed analitico, 1. Archivi dell'amministrazione centrale della Repubblica veneta e archivi notari.
30. Bauer, O. (2011). Zeitungen vor der Zeitung. Die Fuggerzeitungen (1568-1605) und das frühmoderne Nachrichtensystem. Berlin. Akademie. Colloquia Augustana, 28.
31. Berchet, G. (1865). La Repubblica di Venezia e la Persia, [a cura di Guglielmo Berchet]. Torino. Tipografia di G. B. Paravia e comp.

32. Berchet, G. (1866). *Relazioni dei consoli veneti nella Siria*, [a cura di Guglielmo Berchet]. Torino. Tipografia di G. B. Paravia e comp.
33. Bizaro Sentinate, P. (1601). *Rerum persicarum historia, Initia gentis, mores, instituta, resque gestas ad hac usque tempora complectens*. Francofurti.
34. Boogert, M. H. van den (2005). *The Capitulations and the Ottoman Legal System: Qadis, Consuls, and Beraths in the 18th Century*. Leiden. Brill.
35. Boogert, M. H. van den; Fleet, K. (eds.) (2003). *The Ottoman Capitulations: Text and Context*. Rome. Istituto per l'Oriente C. A. Nallino.
36. Gabašvili, N. (2003). *La Georgia e Roma, Duemila anni di dialogo*, a cura di L. Branca. Città del Vaticano. Libreria editrice vaticana.
37. Gil Fernández, L.; Tabagua, I. (1993). *Fuentes para la historia de Georgia en bibliotecas y archivos españoles (siglos XV-XVII) [=] დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV-XVII სს.)*. Madrid. Editorial Complutense.
38. Gooss, R. (1911). *Österreichische Staatsverträge, Fürstentum Siebenbürgen (1526-1690)*. Bearbeitet von R. Gooss. Wien. Adolf Holzhausen. Veröffentlichungen der Kommission für Neuere Geschichte Österreichs, 9.
39. Grumel, V. (1958). *La Chronologie*. Paris. *Traité d'études byzantines*, 1.
40. Gullino, G. (2010). Minadoi, Giovanni Tommaso. *Dizionario biografico degli italiani*, 74. Roma. Istituto della Enciclopedia Italiana fondata da Giovanni Treccani.
41. Hammer, J. (1837) *Histoire de l'empire ottoman, depuis son origine jusqu'à nos jours, ouvrage puisé aux sources les plus authentiques et rédigé sur des documens et des manuscrits la plupart inconnus en Europe, traduit de l'Allemand sur les notes et sous la direction de l'auteur par J.-J. Hellert, accompagné d'un atlas comparé de l'empire ottoman, contenant 21 cartes et 15 plans de batailles dressés par le traducteur*, 7. Depuis l'avènement de Mourad III jusqu'à la conquête de Kanischa par Ibrahim-pacha, 1574-1600. Paris. Bellizard, Barthès, Dufour et Lowell.
42. Iorga, N. (1903). *Acte relative la războaiele și cuceririle lui Mihaï-vodă Viteazul, adunate și publicate de N. Iorga, sub auspiciile Ministeriului Culterol și Instrucțiunii publice și ale Academiei Române*. București. Documente privitoare la istoria românilor, culese de Eudoxiu de Hurmuzaki, 12.
43. Ivan de Persia (1604). *Relaciones de don Ivan de Persia, dirigidas a la Magestad Catholica de don Philippe III. Rey de las Españas, y señor nuestro, divididas en tres libros, donde se tratan las cosas notables de Persia, la genealogia de sus reys, guerras de persianos, turcos, y Tartaros, y las que vido en el viaje que hizo a España y su conuersion, y la de otros dos cavalleros persianos*. Con privilegio. En Valladolid por Iuan de Bostillo: en la calle de Samano.
44. Jackson, P.; Lockhart, L. (1986). *The Cambridge history of Iran*, 6, *The Timurid and Safavid periods*, edited by P. Jackson and the late L. Lockhart. Cambridge. Cambridge University Press.
45. Koller, A. (2006). Minadoi, Giovanni Tommaso. *Dizionario biografico degli italiani*, 67. Roma. Istituto della Enciclopedia Italiana fondata da Giovanni Treccani.
46. Le Strange, G. (1926). *Don Juan of Persia, a Shi'ah catholic, 1560-1604*, translated and edited with an introduction by G. Le Strange. New York – London: Harper & Brothers.
47. Macler, F. (1920). *Notices de manuscrits arméniens ou relatifs aux arméniens vus dans quelques bibliothèques de la péninsule ibérique et du sud-est de la France*. *Revue des études arméniennes*, 1.
48. Menchi, S. (1968). Bizzarri, Pietro. *Dizionario biografico degli italiani*, 10. Roma. Istituto della Enciclopedia Italiana fondata da Giovanni Treccani.
49. Minadoi da Rovigo, Gio. Thomaso (1594). *Historia della guerra fra Turchi, et Persiani, divisa in libri nove, nella quale chiaramente si scoprono la causa, i progressi, e tutti gli accidenti, e fattioni in quella avvenuti, con una descrizione di tutte le cose pertinenti alla religione, alle forze, al governo, et al paese del Regno de' Persiani, Et una lettera all'illustre sig. Mario Corrado, nella quale si dimostra qual città fosse anticamente quella, c' hora si chiama Tauris, aggiuntivi ancho gli argomenti à tutti i libri, & una nuova carta di geografia, per maggior chiarezza delle cose narrate nell'Historia, con tre tavole, una per la dichiarazione delle voci barbare, l'altra per la ricognitione de' nomi antichi, la terza delle cose più notabili*. In Venetia. Appresso Andrea Muschio, & Barezzo Barezzi.
50. Paschini, P. (1954). Visconti, Famiglia. *Enciclopedia Cattolica*, 12. Città del Vaticano. Ente per l'Enciclopedia Cattolica e per il libro cattolico.
51. Savory, R. (1980). *Iran under the Safavids*. Cambridge. Cambridge University Press.
52. Shurgaia, G. (2019). Simon I (1556-1569, 1578-1600) re di Kartli nell'Archivio di Stato di Venezia. *Thesaurismata*, 48.
53. Shurgaia, G. (2023), Simon I (1556-1569, 1578-1600) re di Kartli. *Roma e Persia. Vecchi assiomi, nuove prospettive*, Giornata di Studi organizzata dal Dipartimento Asia, Africa e Mediterraneo dell'Università di Napoli "L'Orientale", a cura di G. P. Basello e M. Bernardini, Napoli. Series Minor (ჩამუშვებულია წარმოებაში).
54. Tamarati, M. (1910). *L'Église géorgienne des origines jusqu'à nos jours*. Rome. Imprimerie de la Société typographico-editrice romaine.

55. Tardy, L. (1968). Relations entre la Hongrie et la Géorgie aux XIII^e-XVIII^e siècles. *Bedi Kartlisa*, 25.
56. Tardy, L. (1973). Le roi Simon I^{er} à la lumière des sources d'Europe centrale contemporaines de son époque, 1. *Bedi Kartlisa*, 31.
57. Tardy, L. (1974). Le roi Simon I^{er} à la lumière des sources d'Europe centrale contemporaines de son époque, 2. *Bedi Kartlisa*, 32.
58. Zwierlein, C. (2010). Fuggerzeitungen als Ergebnis von italienisch-deutschem Kulturtransfer 1552-1570. *Quellen und Forschungen aus italienischen Archiven und Bibliotheken*, 90.

Documentary Materials in the State Archive of Venice about the King of Kartli,

Simon I

Gaga Shurgaia

University of Naples L'Orientale

Summary

This article focuses on documentary materials in the State Archive of Venice that are related to the King of Kartli, Simon I (1556-1569, 1578-1600), a dominant figure in Caucasian history and the historiography of the second half of the sixteenth century. During his reign, Simon first struggled for the political independence of his Kingdom against Safavid Persia and later allied with Persia against the Ottoman Empire at the height of its power. He also established diplomatic relations with Western European countries, which were anxious about the threat of Ottoman expansion in Europe.

A thorough study of the available documentary sources about this monarch has only recently begun, which makes it possible to grasp his true stature. Much work remains to be done in the State Archives of Venice and in Europe in general in order to reconstruct the story of how this statesman fought for the preservation of the independence and identity of his country.

სამცხე-საათაბაგო სეფიანური ირანისა და ქართლის მაჰმადიანი მეფეების (სვიმონ II, როსტომი) ინტერესთა ჯაჭვში (დოკუმენტური წყაროების მიხედვით)

თეა ქართველიშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

სამცხე-საათაბაგო 1555 წლის ამასიის ზავის შემდეგ არაერთხელ გამხდარა დავის საგანი ოსმალებსა და სპარსელებს შორის. 1639 წლამდე თითქმის ყველა ომის საზავო პირობები მეტ-ნაკლებად ეხებოდა საათაბაგოს და მანამდე დადებულ ხელშეკრულებებში გარკვეული ცვლილება შეჰქონდა.

ამასიის ზავის შედეგად სამცხე-საათაბაგო ირანმა და ოსმალეთმა შუაზე გაიყვეს. ჭოროხის აუზი (ტაო, შავშეთი და კლარჯეთი) ერგო ოსმალეთს, ხოლო მტკვრის აუზი (სამცხე, ჯავახეთი, არტაანი) ერგო ირანს. 1578 წელს ოსმალეთმა დაარღვია ზავი და სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილი დაიკავა, თუმცა შაჰ აბას I-ის (1587-1629) მეთაურობით გაძლიერებული სეფიანთა სახელმწიფო ვერ ურიგდებოდა ოსმალთა წარმატებას და ყველანაირად ცდილობდა თავისი გავლენა სამცხის აღმოსავლეთ ნაწილზე მაინც გაეგრძელებინა, რომელიც ამასიის ზავის პირობებით ჰქონდა მიღებული. ქართველი პოლიტიკოსები სარგებლობდნენ დიდ იმპერიებს

შორის ატეხილი დავით და ცდილობდნენ სამცხე ქართული პოლიტიკური სივრცისთვის შეენარჩუნებინათ.

სეფიანთა ინტერესებს კარგად წარმოაჩენს ქართლის მაჰმადიანი მეფეების (სვიმონ II, როსტომი) დამოკიდებულება სამცხე-საათაბაგოსადმი. ამის შესახებ ქართული წარწერი წყაროები თითქმის არაფერს მოგვითხრობენ, სამაგიეროდ ცნობები დაცულია დოკუმენტურ წყაროებში. მნიშვნელოვანია, 1619 წელს სვიმონ II-ის მიერ გაცემული საბუთი მანგლელ ეპისკოპოს ათანასე ტატიშვილისადმი, რომელშიც საუბარია აწყურის ციხისთვის წარმოებულ ბრძოლაზე. ბრძოლაში დაღუპულა მასტანა შალიკაშვილის ვაჟი თამაზი. მასტანა შალიკაშვილი სამცხელი თავადი იყო. ოსმალთაგან სამცხის მიტაცების შემდეგ შალიკაშვილები ქართლის სამეფოში გადავიდნენ. მასტანა შალიკაშვილი თავისი ყმებით ქართლში დასახლებულა, თუმცა მას თავისი მამული არ ჰქონდა და ბოგანოები ვარდან ფალავანდიშვილის მამულში დაუსახლეს. მასტანას ქალიშვილი ათანასე მანგლელის ძმის, თამაზის ცოლი გახლდათ. საბუთი მნიშვნელოვანია მემკვიდრეობითი სამართლის თვალსაზრისით – მემკვიდრე ვაჟის გარეშე დარჩენილი ოჯახის ქონება გადადიოდა გათხოვილი ქალიშვილის ოჯახზე, ამ შემთხვევაში სიმეზე. მასტანა შალიკაშვილის ვაჟის გარდაცვალების შემდეგ მასტანასა და მის მეუღლეზე მეურვეობა მეფემ დააკისრა მის სიმეს – თამაზ ტატიშვილს, რომელსაც მისცა მასტანას ქონება. ვარდან ფალავანდიშვილის მამულში ჩასახლებული ბოგანოები აყარა და თამაზის მამულში ჩაასახლა იმ პირობით, რომ სანამ მასტანა და მისი მეუღლე ცოცხლები იქნებოდნენ, ყმები მათ მოემსახურებოდნენ, ხოლო მათი გარდაცვალების შემდეგ თამაზ ტატიშვილს დარჩებოდა (დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, 2019, გვ. 154-155).

საბუთი თარიღიანია და იგი გაცემულია 1619 წელს, სვიმონის გამეფების პირველსავე წელს, თუმცა შესაძლებელია დაგვეჭა, რომ აწყურის ციხისთვის ბრძოლა და მასტანას ვაჟის დაღუპვა რამდენიმე წლით ადრე მოხდა. სვიმონ II-მ კი, როგორც ტახტზე ახლადასულმა მეფემ მასტანაზე მეურვეობა დააკისრა მის სიმეს. საბუთი სხვა არანაირ ცნობას არ გვაძლევს, თუ როდის მოხდა აღნიშნული ამბები. საბუთს აქვს გვიანდელი დამტკიცება მეფე როსტომისა და დედოფალ მარიამისგან, რომელიც თარიღიანია და 1642 წელს ეკუთვნის.

ამავე, 1642 წლისაა მეფე როსტომის საბუთი დავით ფავლენიშვილისადმი. მას ჩვენამდე დედნის სახით არ მოუღწევია, მხოლოდ პირია შემორჩენილი და დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში შიფრით 1450-45/175.⁵⁵ ამ საბუთით, მეფე როსტომი დავით ფავლენიშვილს უახლებს ყმების წყალობას, რომელიც მას მეფე სვიმონისგან მიუღია. „მერმე კურთხეულს ჩვენს ძმისწულს, მეფეს სვიმონს აწყურს ციხეზედ საჯილდაოთ ებოძებინა და მათი წყალობისა წიგნიცა გქონდათ, ჩვენცა შეგიწყალეთ და გიბოძეთ“. ცხადია, საბუთში მოხსენიებული მეფე სვიმონ II არის, რადგან როსტომი თავის ძმისწულს უწოდებს (სვიმონ II იყო როსტომის ძმის ბაგრატ VII-ის ვაჟი). დავით ფავლენიშვილს ეს წყალობა საჯილდაოდ მიუღია, საჯილდაო მამული ანუ როგორც ჯილდო გარკვეული სამსახურისა. იქვე დაკონკრეტებულია, რომ ჯილდო დაიმსახურა აწყურის ციხისთვის ბრძოლაში. სვიმონ II-ს ამის დამადასტურებელი სიგელიც მიუცია დავითისთვის, თუმცა ამ საბუთს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ 1642 წლისთვის დავითს სვიმონის საბუთი ხელთ ჰქონია და მეფე როსტომისთვისაც წარუდგენია.

⁵⁵ საბუთები: სეა, 1450-45/175, 1448-1492, 1448-1035, ხეც, Hd-14601 გამოქვეყნდება „დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ“ წიგნის II ტომში (ქართული ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს თამაზ გოგოლაძემ, მაია შაორშაძემ და ირაკლი გელაშვილმა, სპარსული ტექსტები - ხათუნა ბაინდურაშვილმა).

ორივე საბუთში ნახსენებია აწყურის ციხისთვის ბრძოლა. მეორე საბუთის მიხედვით ბრძოლა სვიმონის მეფობის დროს მოხდა, ხოლო პირველი საბუთი რადგანაც 1619 წელსაა გაცემული, ფაქტია, აწყურის ციხეზე გალაშქრება 1619 წლით უნდა დავათარილოთ. რა მდგომარეობაა ამ დროს სამცხე-საათაბაგოში?

1578 წელს ოსმალეთის მიერ სამცხე-საათაბაგოს დაკავების შემდეგ, მათ ათაბაგი მანუჩარ ქაიხოსროს ძე გაამაჰმადიანეს და ფაშად დასვეს. 1590 წლის ზავით ირანმა სცნო ოსმალეთის გავლენა სამხრეთ კავკასიაზე და მათ შორის სამცხე-საათაბაგოზეც. ცხადია, ირანისთვის ზავის ამგვარი პირობები მიუღებელი იყო. შაჰ აბას I-მა მშვიდობიანობის პერიოდი ახალი ომის წამოწყების მოსამზადებლად გამოიყენა. 1603 წელს მან განაახლა ომი ოსმალეთთან, რომელიც 1612 წლამდე გაგრძელდა. ამასთან, სამცხის ათაბაგი მანუჩარ II ოსმალებისგან თავის დაღწევას ირანის დახმარებით ცდილობდა. მანუჩარ ათაბაგისა და მესხი ფეოდალების პროსპარსულ პოზიციას შაჰი ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებდა. 1607 წელს სპარსელებმა ქართველების დახმარებით ოსმალები დაამარცხეს და ახალციხე აიღეს. ვინაიდან მანუჩარ II ირანში იმყოფებოდა, მისმა მეუღლემ დედოფალმა ელენემ შაჰს სთხოვა, რომ ტახტზე დაემტკიცებინა მისი ვაჟი მანუჩარ III მოხარკეობის პირობით, რაც შაჰმა დააკმაყოფილა.

„ირანის პოლიტიკა სამცხე-საათაბაგოს მიმართ გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზებით: სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილში ქართველებისათვის შედარებით მისაღები პოლიტიკური ფორმის დამყარებით შაჰ აბასს სურდა სამცხის ფეოდალები თავის მხარეზე გადაებრებინა და მათი დახმარებით ოსმალები სამცხის დასავლეთ ნაწილიდან განედევნა. შაჰის ამ პოლიტიკის გატარებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ყიზილბაშებს იმთავითვე სუსტად ჰქონდათ ფეხი მოკიდებული სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილში და აქ ანტიირანული განწყობილება ძლიერი არ იყო“ (სვანიძე, 1973, გვ. 306).

1608 წელს ახალციხე ისევ ოსმალებმა დაიკავეს. მანუჩარ III და დედამისი ელენე იძულებულნი გახდნენ ქართლში გადასულიყვნენ.

ოსმალეთსა და ირანს შორის 1603 წელს დაწყებული ომი 1612 წლის ზავით დამთავრდა, რომლის თანახმადაც, მართალია, ქართლი და კახეთი ირანის ქვეშევრდომობაში გადავიდა, მაგრამ რაც შეეხება სამცხე-საათაბაგოს მისი აღმოსავლეთ ნაწილი ახალციხის ჩათვლით ოსმალთა ხელში რჩებოდა (სვანიძე, 1971, გვ. 254). შაჰ აბასი არ იყო კმაყოფილი ზავის პირობებით. მას მიზნად ჰქონდა დასახული ქართლ-კახეთი თავის სახანოებად ექცია და სრულად გაეყიზილბაშებინა. ამ მიზნის განსახორციელებლად შაჰმა აღმოსავლეთ საქართველოში გამანადგურებელი ლაშქრობები მოაწყო. კახეთის მეფე თეიმურაზ I და ქართლის მეფე ლუარსაბ II იმერეთში გადაიხვეწნენ. შაჰმა მოახერხა ლუარსაბ II-ის ხელში ჩაგდება და ირანში ტყვედ წაყვანა, ხოლო თეიმურაზ I-მა დახმარება ოსმალეთს სთხოვა. ცხადია, ოსმალეთი კარგად ხვდებოდა რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა შაჰის ზრახვების აღსრულებას და ირანულ სახანოებად ქცეული ქართლ-კახეთის დამეზობლებას. 1615 წელს ოსმალეთმა ომი გამოუცხადა სპარსეთს, რომელიც 1618 წლის 26 სექტემბერს დასრულდა სერაფის (სამხრეთ აზერბაიჯანი) დროებითი ზავით, რომლის თანახმადაც აღდგა 1555 წლის ამასიის ზავის პირობები. კერძოდ, ქართლი, კახეთი და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი დარჩა ირანს, საათაბაგოს დასავლეთ ნაწილი კი ოსმალეთს. ზავის პირობები მიუღებელი აღმოჩნდა ოსმალეთისთვის და სულთანმა არ დაამტკიცა (ჩოჩიევი, 1957, გვ. 345). მ. სვანიძე ვარაუდობს, რომ უკმაყოფილების მიზეზი, სწორედ, ახალციხის საფაშოს საკითხი უნდა ყოფილიყო. მართალია, იგი ოსმალეთის გავლენის სფეროში რჩებოდა, მაგრამ ხელშეკრულებაში გაფორმებული არ იყო (სვანიძე, 1971, გვ. 274). 1619 წლის 29 სექტემბერს სპარსეთსა და ოსმალეთს შორის ზავის პირობები განახლდა. მის თანახმად, ახალციხის ვილაიეთი ოსმალეთს რჩებოდა. ისკანდერ მუნშის გადმოცემით, „ზავის საქმე გადაწყვეტილი იქნა იმ წესით, რომ დაცული ყოფილიყო ხელმწიფეების: სამოთხეში დამკვიდრებული შაჰ-თაჰმასპის - წყალობა და ყოვლის შენდობა მასზე - და სულთან

სოლეიმანის, ოსმალთა უგონიერესი და ყველაზე უფრო სამართლიანი ხელმწიფის დროის პირობების ზავისა. ცვლილება რაც მასში (ე. ი. საზავო ხელშეკრულებაში) მოხდა და **ამ ორ მხარეს შორის უთანხმოების საფუძველი გახდა, არის მესხეთის ახალციხის ველაიეთის [მდგომარეობის] შეცვლა**, რომელიც ხსენებულ დროს ყიზილბაშთა [სახელმწიფოს] საზღვრებში შედიოდა და ახლა ოსმალთა მფლობელობაში არის დარჩენილი... მისი უდიდებულესობა [შაჰი] არ თანხმდებოდა ახალციხის [დათმობაზე], მაგრამ ახლა ხალილ ფაშას და ორივე მხარის კეთილისმსურველთა თხოვნის გამო თანახმა შეიქნა“ (ისკანდერ მუნში, 1969, გვ. 115-116). ისკანდერ მუნშის ცნობებიდან ნათლად ჩას, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შაჰის კარი ახალციხის საკითხს.

1619 წელს ქართლის მეფე ბაგრატ VII, იგივე ბაგრატ-ხანი გარდაიცვალა და შაჰმა მისი ვაჟი, მცირეწლოვანი სვიმონ II დაამტკიცა მამის ადგილზე. ბაგრატიცა და სვიმონიც შაჰის ყმები იყვნენ და მისი ნების აღმასრულებელნი. მით უფრო სვიმონი, თავისი მმართველობის დასაწყისში, როცა მცირეწლოვანი იყო და დამოუკიდებლად ვერ მართავდა ქვეყანას. შაჰ აბასმა მას ვეჭილად დაუნიშნა გიორგი სააკაძე და ლაშქრის თანხლებით გამოგზავნა ქართლში. ცხადია, 1619 წელს აწყურზე მოწყობილი ლაშქრობა ირანის ინსპირირებული იყო. სავარაუდოდ, მასში თავად სვიმონი მონაწილეობას ვერ მიიღებდა მცირეწლოვანების გამო. საფიქრებელია, რომ ეს ლაშქრობა სვიმონთან ერთად ქართლში შემოსულმა სპარსელთა ლაშქარმა მოაწყო ქართველების მონაწილეობით. ლაშქრობა 1619 წლის 29 სექტემბრამდე უნდა მომხდარიყო, ვიდრე ოსმალეთსა და სპარსეთს შორის ზავი დაიდებოდა. ოთარ ჟიჟიაშვილი, საგანგებოდ შეეხო აღნიშნული ლაშქრობის საკითხს და 1618 წლით დაათარიღა. ამასთან, რადგან 1618 წლის დროებითი ზავის პირობებით ახალციხე ირანს გადაეცა, მიიჩნია, რომ დაზავებამდე უკვე დაკავებული უნდა ჰქონოდათ ყიზილბაშურ გარნიზონებს ახალციხე სწორედ აღნიშნული ლაშქრობის შედეგად (ჟიჟიაშვილი, 2017, გვ. 39-40). თუმცა როგორც უკვე გვქონდა განხილული ლაშქრობა 1619 წელს მოეწყო.

საინტერესოა, თავად ამ ლაშქრობაში მონაწილე ჩვენთვის ცნობილი ქართველი წარჩინებულების ვინაობა. პირველი გახლავთ მასტანა შალიკაშვილის ვაჟი თამაზი, რომელიც ამ ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო მეორე დავით ფავნელიშვილი. შალიკაშვილები სამცხის თავადები გახლდნენ. ფაქტია, ისინი სამცხიდან ქართლში იყვნენ გადასულები, რაც ძალიან კარგად ჩანს თავად დოკუმენტის შინაარსიდან. ცხადია, მათი მიგრაცია სამცხიდან ქართლში სამცხის ოსმალთა მიერ ექსპანსიასთან არის დაკავშირებული. მათ ყველაზე მეტი საფუძველი ჰქონდათ ირანის მხარდამხარ ებრძოლათ საკუთარი ადგილ-მამულის დასაბრუნებლად (ჟიჟიაშვილი, 2017, გვ. 40-41). რაც შეეხება დავით ფავნელიშვილს, ფავნელიშვილები იგივე ფავნელიშვილები ქართლის უძველესი საგვარეულოს - ფავნელების შთამომავლები არიან. პირველი ფავნელი IX საუკუნის II ნახევარში იხსენიება. ისინი შიდა ქართლში ფლობდნენ მამულებს. XVI-XVII საუკუნეში ფავნელიშვილები ისევ იგივე ტერიტორიას ფლობდნენ. ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრება, რომ ფავნელიშვილთა გვარი თმოგველთა გვარიდან მომდინარეობს (კაკაბაძე, 1913). ვახუშტი ბატონიშვილიც გვამცნობს: „ხოლო ფავნელისშვილი იტყვის მხარგრძელობასა“ (თმოგველები მხარგრძელთა განშტოება იყო) (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973, გვ. 34). XIV საუკუნის შუა ხანებიდან თმოგველები უკვე აღარ გვხვდებიან სამცხე-საათაბაგოში, ისინი ტოვებენ თმოგვს და სახლდებიან კახეთსა (უჯარმა) და შიდა ქართლში (ნიქოზი). თმოგველების უჯარმაში დამკვიდრების შემდეგ ხდება მათი დანათესავება ფავნელისშვილებთან, რომლებიც ასევე ფლობდნენ მამულს უჯარმაში. წყაროებში მათ ეწოდებათ თმოგველ-უჯარმელები, ხოლო შემდეგ თმოგველ-უჯარმელ-ფავნელიშვილები. საგულისხმოა, რომ ფავნელისშვილთა საგვარეულოში თმოგველი საკუთარ სახელად ჩნდება (ოთხმეხური, 1999, გვ. 137-139). ფავნელიშვილთა გენეალოგიურ რიგში ცნობილია ორი თმოგველ ფავნელიშვილი. პირველი არის XVI საუკუნის მოღვაწე, ხოლო მეორე - XVII საუკუნის (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 2007, გვ. 275).

ნიშანდობლივია, რომ შალიკაშვილები სამცხიდან მიგრირებული თავადები იყვნენ. სამცხეს უკავშირდებოდნენ ფავლენიშვილთა წინაპრებიც. ცხადი ხდება, რომ ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღეს სამცხეში ყმა-მამულის ინტერესების მქონე თავადებმა.

ქართლის მაჰმადიანი მეფეების მხრიდან სამცხე საათაბაგოსადმი ინტერესის გაცხოველება პირდაპირ იყო დაკავშირებული საერთაშორისო არენაზე ირანსა და ოსმალეთს შორის მიმდინარე მოვლენებთან.

„ირანი ვერ ურიგდებოდა ახალციხისა და ერევნის დაკარგვას. ერევნის აღებით ოსმალეთი მას გზას უჭრიდა ამიერკავკასიის დანარჩენი ქვეყნებისაკენ, ხოლო ახალციხე (ამას კარგად ითვალისწინებდა ირანის მთავრობა) გზას უხსნიდა ოსმალეთს დანარჩენი ქართული სამეფო-სამთავროებისაკენ, რომელთა დაპყრობა-დამორჩილებას თვითონ ირანი დაჟინებით ცდილობდა“ (ჩოჩიევი, 1957, გვ. 367).

1623 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ომი განახლდა. ამ ომის მსვლელობისას კვლავ აქტუალური იყო სამცხე-საათაბაგოს საკითხი. 1624 წელს ირანელებმა შეძლეს ახალციხის დაკავება, თუმცა 1625 წელს მარტყოფის აჯანყებამ შაჰ აბასს გეგმები ჩაუშალა. გიორგი სააკაძემ ყიზილბაშებს წაართვა ასპინძისა და ხერთვისის ციხეები. ოსმალებმა ისევ აიღეს ახალციხე, ათაბაგობა გააუქმეს და საფაშო ჩამოაყალიბეს (ახალციხის ანუ ჩილდირის საფაშო). 1627 წელს ირანმა კიდევ შეძლო ახალციხის დაუფლება. შაჰ აბასმა ზავი შესთავაზა ოსმალეთს, მაგრამ უშედეგოდ. ოსმალეთი ახალციხეს არ თმობდა და მეფე თეიმურაზის და ქართველი მეფე-მთავრების დაპირისპირებას ცდილობდა ირანთან (ჩოჩიევი, 1957, გვ. 355).

1633 წელს ირანის შაჰმა ქართლის მეფობა (ვალის ტიტული) როსტომს უბოძა და ლაშქრის თანხლებით გაგზავნა ქართლში. თეიმურაზი იძულებული გახდა სამეფო დაეტოვებინა. ოსმალთა ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმა ამ ფაქტს ყიზილბაშთა მიერ საქართველოს დაპყრობად აფასებს (მუსტაფა ნაიმა, 1979, გვ. 189.). „ყიზილბაშთა ლაშქარი მთელს საქართველოს მოედო“ (მუსტაფა ნაიმა, 1979, გვ. 188). როსტომ-ხანმა კავშირი გააბა ოდიშის მთავარ ლევან დადიანთან, დაუმოყვრდა და მისი და შეირთო ცოლად. სულთნის კარზე ეს დადიანის განდგომად და ირანელების მხარდაჭერად მიიჩნიეს. „დადიანი და გურიელი გაერთიანდნენ. რადგან ცხადი გახდა, რომ შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე გონიოსა და ტრაპიზონის საზღვრების მხარეს დადიანისა და გურიელის მეშვეობით შეიძლებოდა ზარალი მიყენებოდათ, ჩილდირის ბეგლარ-ბეგმა სეფერ-ფაშამ აცნობა [ოსმალეთის ხელისუფლებას], რომ საჭიროა ხმელეთით ლაშქარი და სახელმწიფო ფლოტი მოვიდეს იმ მხარის დასაცავად და დადიანისა და გურიელის ქვეყნების გასანადგურებლად. მოსაზღვრე ბეგებს ბრძანებები დაეგზავნათ, არზრუმის საზღვრის დასაცავად კვლავ ადანის ბეგლარ-ბეგი, მთელი ყარამანიის სანჯაყებისა, სარუხანისა და კასტამონიის სანჯაყების მეთაურები დაინიშნონ“ (მუსტაფა ნაიმა, 1979, გვ. 190-191). ოსმალების შიში საფუძველმოკლებული არ ყოფილა. სპარსი ისტორიკოსი ისკანდერ მუნში მოგვითხრობს „გადაწყდა, რომ ყულარაღასი როსტომ-ხანი, რომელსაც ქართლის მფლობელობა ჰქონდა მიღებული, ქართველთა ჯარით ყარაჯაარდაჰანის, არეშისა და არზრუმის საზღვრებისკენ წასულიყო და იმ ვილაიეთის მეომრებს შებრძოლებოდა. ზემოხსენებული ქართველთა ჯარითა და ახალციხის ლაშქრით ათი ათასი კაცის ოდენობით იმ მხარეს გაემართა და წუთიც არ გაუცდენია მარცვისა და აწიოკებისაგან. იმ საზღვრის ოსმალებმა ციხეებში შეაფარეს თავი, რადგან იმ მრავალრიცხოვან ლაშქართან შებმას ვერ ბედავდნენ. როსტომ-ხანმა იმ მხარეში დიდი სახელი მოიხვეჭა და უვნებელი და ნადავლით სავსე დაბრუნდა უკან“ (ისკანდერ მუნში, 1969, გვ. 65-67). ისკანდერ მუნშისა და მუსტაფა ნაიმასა და ეს ამბები მოთხრობილი აქვთ სპარსელების ვანის ციხეზე ლაშქრობის (1633-1634 წწ.) პარალელურად. მაშასადამე, დიდი ანტიოსმალური კამპანიის ნაწილი ყოფილა როსტომ-ხანის ლაშქრობა ოსმალეთის მოსაზღვრე ოლქებში. სპარსულ ცნობებში ყურადღებას იქცევს ახალციხის ლაშქრის მოხსენიება. უკვე ამკარაა, რომ ამ დროს ახალციხეს ირანელები ფლობენ და როსტომი მათი მონაწილეობით აწყობს სამხედრო ოპერაციას.

საფიქრებელია, რომ ახალციხე ქართლში როსტომის გასამეფებლად შემოსულ ირანელთა ლაშქარს უნდა აეღო.

1635 წელს საომარი მოქმედებები ოსმალეთმა განაახლა. სულთანი მურად IV თვითონ ჩაუდგა ჯარს სათავეში და პირადად იღებდა მონაწილეობას ლაშქრობაში. ლაშქრობის მიზანი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ვილაიეთებისა და ერაყის დაკავება იყო. 1636 წელს მურად IV-მ დიდი ბრძოლის შედეგად ერევანი აიღო. რამაც მას დიდი ავტორიტეტი მოუპოვა. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობით, სწორედ ერევნის აღების შემდეგ განუზრახავს მურადს სამცხე-საათაბაგოს საკითხი მოეგვარებინა და თავრიზში გალაშქრებამდე ახალციხეში გაუგზავნია ჯარი. ახალციხის აღება ვეზირ ქენან-ფაშას მოუხერხებია (იბრაჰიმ ფეჩევი, 1964, გვ. 91-92).

ცხადია, ირანი ასე მარტივად არ შეურიგდებოდა ახალციხისა და ერევნის დაკარგვას. შაჰ სეფიმ, გაზაფხულზე, საპასუხო ლაშქრობა მოაწყო ერევანზე და ქალაქი დაიბრუნა. ამ დროს უნდა დახმარებოდა ორი ზარბაზნით თბილისიდან როსტომ-ხანი ერევანზე მოალყე ყიზილბაშებს (მუსტაფა ნაიმა, 1979, გვ. 212). ამასთან, ირანელთა ლაშქრობის პარალელურად მეფე როსტომმა სამცხეში გაილაშქრა და დაარბია იქაურობა. როსტომის ლაშქრობას სამცხეში აღწერს ფარსადან გორგიჯანიძე და ამ ყველაფერს ათარიღებს „ქვს ტკე“ - 1637 წლით. „აიღო ხონთქარმან ერევანი, მივიდა თავრიზს, დაარბივა ადრეხეჯანი და ქურთისტანის გზით დაბრუნდა. მერვეს თვეს შასეფი ყაენი მიუხსა და მრავლის ლაშქრითა და ბრძოლით ისრევე ერევანი აიღო და მრავალი კაცი ამოსწყდა და ამისთანას დროს როსტომ მეფემ საქართველოს ლაშქარი გაუძახა და სამცხე და ჯავახეთი დაარბევინა. მრავალი ნაშთი ქნეს. ეს ყაენს იამა და ორი ათასი თუმანი და ხალათი გაუგზავნა“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925, გვ. 245). როსტომის ლაშქრობა უშედეგოდ დასრულდა. ეს იყო ახალციხის აღების უკანასკნელი ცდა (ჩოჩიევი, 1957, გვ. 368).

ფარსადან გორგიჯანიძე, როგორც ვნახეთ, ლაშქრობას 1637 წლით ათარიღებს, თუმცა შეცდომით. როსტომის მიერ ახალციხეზე მოწყობილი ლაშქრობის შესახებ მოგვითხრობს როსტომის მიერ პაპუნა ბარათაშვილ-გოსტაშაბიშვილისადმი ბოძებული წყალობის წიგნი (ხეც, Hd-14601, გამოცემულია ვ. ფუთურიძის მიერ ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, 1955, გვ. 13.). ტექსტში აღნიშნულია, რომ ამ ლაშქრობაში მონაწილეობა მიუღია პაპუნას მამას, გოსტაშაბ ბარათაშვილს, რომელიც დაღუპულა კიდეც ბრძოლაში: „მას ჟამსა, ოდეს მამა თქუენი სამცხეს დილისათვის გაგზავნეთ, წავიდა, ყარა-მაჰმადაშვილი და ბევრი კაცი სხუა დაიჭირა, თუითან ჩუენს სამსახურზედ შეაკუდა. ჩუენც შეგიწყალეთ და გიბოძეთ, რისაც მამულის მქონებელი მამაშენი ყოფილიყოს“. დოკუმენტი ორენოვანია, შედგენილია ქართულად და სპარსულად. ორივე ტექსტი 1636 წლით თარიღდება, ქართული ტექსტი 25 აგვისტოთი, სპარსული - 25 აგვისტო-12 სექტემბერი.

პაპუნა გოსტაშაბიშვილ-ბარათაშვილისადმი ბოძებულ სიგელში მოხსენიებული ყარა მაჰმადაშვილი გვხვდება სხვა საბუთშიც. მართალია აქ სამცხე ნახსენები არაა, მაგრამ ტექსტის შინაარსიდან ჩანს, რომ მეფე წყალობას იძლევა ჯილდოდ მისი ბრძანების კარგად შესრულების გამო. როსტომი წყალობას აძლევს დვალთელ ხუცია ჩანთაძეს და გიორგი თეგაძეს: „მას ჟამსა, ო[დე]ს დილისათვის გაგზავნეთ და ყარა მაჰმადაშვილი და ცამეტი კარგი კაცი მოგუისხი[თ] და ჩუენცა იმისად საჯილდაოდ შეგიწყალეთ და ამოგიკუეთეთ საბოლო[ო]დ კოდის პური ასრე, რომე არაოდეს არ გეთხოვებოდეს არა ჩუენგან და არა სხუათა მებატონეთაგან“ (სეა, სცა 1448-1492). წინა საბუთისგან განსხვავებით აქ უკვე დაკონკრეტებულია, რომ ყარა მაჰმადაშვილთან ერთად 13 კაცი დაუტყვევებიათ. აღნიშნული საბუთიც ორენოვანია, ქართულ-სპარსული. ქართული საბუთის ტექსტი 1636 წლის 3 აგვისტოთი თარიღდება, ხოლო სპარსული იმავე წლის 2-30 სექტემბრით. დვალთელი ჩანთაძე და თეგაძე საბარათიანოს მკვირდნი არიან. ისინი უნდა იყვნენ გოსტაშაბ ბარათაშვილის ყმები. ცხადია, ერთად მონაწილეობდნენ სამცხეზე მოწყობილ ლაშქრობაში და ყარა მაჰმადაშვილის დატყვევებაში. საბუთების გაცემის თარიღიდან გამომდინარე, ლაშქრობა ივლისის ბოლოს ან აგვისტოს პირველ რიცხვებში უნდა მომხდარიყო.

ოსმალეთისა და სპარსეთის ომი 1639 წელს ზოჰაბის ზავით დამთავრდა. ფიქრობენ, რომ ამ ზავის თანახმად თორი (ახლანდელი ბორჯომის მუნიციპალიტეტი) ქართლის სამეფოს შემადგენლობაში გადავიდა (ბერძენიშვილი, 1985, გვ. 55). ვახუშტი ბატონიშვილი ავალიშვილთა გვარის გაყოფის შესახებ აღნიშნავს, რომ „რა დაშთა ჯეობა მეფესა ქართლისასა, ეგრეთვე ერთი მძა დაშთა აჟ და მეორე სამცხეს“ ჯეობა ისტორიული თორის შემადგენელი ნაწილია და გულისხმობს ტერიტორიას ტაშისკარიდან სოფ. დვირამდე (ბერძენიშვილი, 1985, გვ. 7.). თუმცა ეს „დაშთენა“ როდის მოხდა არ აქვს მითითებული ვახუშტი ბატონიშვილს. იგი ზოჰაბს ზავის შესახებ აღნიშნავს, რომ „ზავ-ჰყვეს მურად ხონთქარმან და შაჰ-სეფიმ; დაშთა ხონთქარსა იმერეთი, საათაბაგო და ქურთისტანის ნახევარი. ხოლო ყენს დაშთა ერევანი, ქართლი, კახეთი და ქურთისტანის ნახევარი“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973, გვ. 440.). დ. ბერძენიშვილი ვახუშტის ამ პასაჟში თორის მოუხსენიებლობას იმით ხსნის, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ქართლის სამეფოში თავის თანადროულ ქართლს თვლის ანუ ტერიტორიას სოფ. დვირამდე (ბერძენიშვილი, 1985, გვ. 56 სქ. 13). ოსმალთა ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმა ზავის პირობების შესახებ მოგვითხრობს, რომ „ახალციხეში, ყარსში, ვანში, შეჰრიზორში, ბაღდადში, ბასრასა და სხვა ადგილებში არსებულ ციხეებს, ადგილებს, ნაჰიეებს, მთებსა და გორაკებს, არავითარ შემთხვევაში ხელი არ ახლოს შაჰმა. არავითარი წინააღმდეგობის გაწევა არ იყო“ (მუსტაფა ნაიმა, 1979, გვ. 226). კატეგორიული ტონი კარგად წარმოაჩენს თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ოსმალეთის იმპერია ახალციხის დაკავების საკითხს. ამასთან, მოყვანილ ამონარიდში მხოლოდ ახალციხის შესახებ არის საუბარი.

ნიშანდობლივია, რომ ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობამდე (1578 წ.), მართალია, თორი სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ ვინაიდან სამცხის აღმოსავლეთ ნაწილი ირანის გავლენის ქვეშ იყო, ირანის მიერ ქართლში მეფედ დასმული დავით XI იგივე დაუთ-ხანი (1569-1578 წწ.) მასზე გავლენას ფლობდა. ამას ადასტურებს დაუთ-ხანის მიერ გაცემული დოკუმენტი „შეუვალობის წიგნი დავით ხანისა სადგერის წმინდა გიორგისადმი“, სადაც სადგერის მამულებს თავის საბატონოს და საბრძანებელს უწოდებს (ხეც, Sd-479, ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 2016, გვ. 280-81). ცხადია, დაუთ-ხანს, როგორც პროსპარსული ორიენტაციის მმართველს ირანის ნებართვით ჰქონდა მიღებული უფლება სადგერსა და ზოგადად, სამცხის აღმოსავლეთ ნაწილზე გავლენა დაემყარებინა, თუმცა თორი ქართლის სამეფოს შემადგენლობაში არ იყო შესული. 1578 წელს, ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობისას სადგერი და თორი ცალსახად გამოიჯნულია ქართლის სამეფოსგან. „მესხური მატიაწე“ და მასზე დაყრდნობით სხვა ქართული მატიაწეები გვამცნობს, რომ „ლალაფაშას ლაშქარი და მირმა-ალი გამოეგზავნა პატრონს მანუჩარსთანა, ქართლს გაეძახა, ქართლს ვერ ჩაუვიდეს და, სადგერს დადგეს და ამოსწყვიდეს სადგერი“ (სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961, გვ. 51; ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი 1959, გვ. 525, ვახუშტი ბატონიშვილი, 1973, გვ. 412).

1595 წელს შედგენილი გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის თანახმად, ოსმალეთის მფლობელობაში შედიოდა პეტრეს ლივა.

პეტრეს ლივა ორ ნაწილად იყოფოდა: პეტრეს ნაჰიდე და ქაშვეთის/სადგერის ნაჰიდე ქაშვეთის ნაჰიდე იწყებოდა სადგერიდან და მთავრდებოდა ქვიშხეთით (გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, 1958, გვ. 495). პეტრეს ნაჰიდე იწყებოდა სოფ. ეშმაკთუბნიდან და მთავრდებოდა სოფ. ზუზუნასთან (გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, 1958, გვ. 474-488).

ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარში, რომელიც 1694-1732 წწ. ვითარებას ასახავს პეტრეს ლივა უკვე აღარ იხსენიება ახალციხის საფაშოს შემადგენლობაში (ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, 1979, გვ. 81) და საფიქრებელია, რომ ეს ტერიტორია XVII საუკუნის 40-იან წლებში გადასცემოდა ქართლის სამეფოს.

ყურადღებას იქცევს 1644 წელს როსტომის მიერ გაცემული საბუთი სადგერის წმინდა გიორგის ეკლესიისადმი (ხეც, Qd-2880), რომლის თანახმადაც, ტაძარს სწირავს ტინისხიდელ მამიჯანას თავისი შვილებით. საბუთს აქვს გვიანდელი დამტკიცებები: 1678 წლის გიორგი XI-ის

და 1710 წლის ვახტანგ VI-ის. მაშასადამე, 1644 წლიდან მოყოლებული XVIII საუკუნის 10-იან წლების ჩათვლით სადგერი ქართლის მეფის საგანმგებლოში შედიოდა. თუმცა ცალსახად არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თორი ქართლის სამეფოს შემადგენლობაში იყო გადასული. ამის საფუძველს გვაძლევს 1672 წლის საბუთი სეა, სცა 1448-5545 (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1991, გვ. 683), რომელშიც საუბარია პაატა გოგიბასშვილის სადგერისეულ მამულზე, რომელსაც უმემკვიდრეოდ დარჩენილი პაატა აძლევს ქაიხოსრო ციციშვილს როსტომ-ფაშას ნებართვით. როსტომ-ფაშა იყო ახალციხის საფაშოს გამგებელი. თუკი დავუშვებთ, რომ თორი ისევ ოსმალეთის შემადგენელ ნაწილად დარჩა ზოჰაბის ზავის შემდეგ და ისევ ახალციხის ფაშას იურისდიქციაში შედიოდა, მაშინ უცნაურია, რომ როსტომ-ფაშა მას ყიდის ქართლის სამეფოს თავადზე. როგორც ჩანს, იმჯერად, ასე მკვეთრ მიჯნებს არ დებდნენ. ეს იყო ტერიტორიების გადანაწილების მიმდინარე პროცესი. სამცხე-საათაბაგოს მიწები ხელიდან ხელში გადადიოდა ოსმალეთსა და სპარსეთს შორის. ქართლის სამეფოს როსტომის მეთაურობით სამცხის გაცილებით ღრმა პროვინციებზე ჰქონდა პრეტენზია ვიდრე მოსაზღვრე თორი იყო. ერთი მხრივ ჩანს, რომ სადგერის (ზოგადად, თორის) მფლობელი როსტომ-ფაშა იყო, მეორე მხრივ კი იგი თმობს ამ მამულს და აძლევს ქაიხოსრო ციციშვილს. ფაქტია, თორს ქართლის მეფეების იურისდიქციაში ვხედავთ მთელი XVIII საუკუნის მანძილზე (ბერძენიშვილი, 1985, გვ. 55-62).

თორი, ეკლესიურად ორი ეპისკოპოსისა და კათალიკოსის სამწყსოში ერთიანდებოდა. სადგერი და ხეობა კორტანეთამდე მაწყვერელის სამწყსოში შედიოდა, ხოლო ნემვ-ახალდაბის ჩათვლით - მროველის ეპარქიაში, გუჯარეთი ქართლის საკათალიკოსოს კუთვნილება იყო (ბერძენიშვილი, 1985, გვ. 64). მაშასადამე, თორის დიდი ნაწილი მაწყვერელის იურისდიქციაში ერთიანდებოდა. აწყურის საეპისკოპოსო ოსმალთა მმართველობის პერიოდში დასუსტდა და ბოლოს გაუქმდა კიდეც. მისი გაუქმების თარიღი ზუსტად არ ვიცით. დღემდე ცნობილი ეპისკოპოსებიდან ბოლო მღვდელმთავრების მოღვაწეობა XVI საუკუნის 50-იან წლებს უკავშირდება და მათ საეპისკოპოსო კათედრაზე ოსმალეთის სულთანი ადგენდა (გურგენიძე, 2013, გვ. 153). მაგ. ცნობილია, რომ 1649 წელს ოსმალეთის სულთანის მეჰმედ IV-ის სიგელით მაწყვერელ ეპისკოპოსად იოანე ბერი დანიშნეს (აბულაძე, 1989, გვ. 198-201), 1650 წელს კი - „საფარიძეს მტბევარს იშხნელობა და მაწყვერლობა მოუვიდა ხვანთქრისაგან“ (ქრონიკები... 1897, გვ. 475; ქართველიშვილი, 2006, გვ. 23-24). ამის შემდეგ ჩვენ მაწყვერელ ეპისკოპოსს წყაროებში ვეღარ ვხედავთ. თუმცა ყურადღებას იქცევს პლატონ იოსელიანის ცნობა როსტომ მეფის მიერ იოსებ სააკაძის აწყურის ეპისკოპოსად დანიშვნის თაობაზე. იოსებ სააკაძე (იგივე იოსებ თბილელი) გახლავთ ცნობილი საეკლესიო მოღვაწე და მწერალი. მას ეკუთვნის პოემა „დიდმოურავიანი“. პ. იოსელიანი ჩვენთვის უცნობ წყაროებზე დაყრდნობით იოსებ სააკაძის შესახებ მოგვითხრობს, რომ იგი ეკათახევის მონასტერში აღზრდილა და იქვე შემდგარა ბერად. შემდეგ ნიკორწმინდის ეპისკოპოსი გამხდარა, ხოლო მეფე როსტომისა და მარიამ დედოფლის თხოვნით ქართლში დაბრუნებულა „გარდამოვიდა ქართლსა და თხოვითა მეფის როსტომისა და დედოფლისა მარიამისა, რომელთაცა წარგზავნეს საათაბაგოს განზრახვითა მით, რათა სდგეს მღვდელ მთავრად აწყურისა თურქთაგან გაუქმებულისა ეპარხიისა. მისრული ახალციხეს, კეთილად იქმნა შეწყნარებულ მის ჟამის როსტომ ფაშისაგან ნათესავისავე თვისისა. ჰგონებდნენ თვითცა და მეფეცა, რომელ ესრეთისა ნათესაობითისა დამოკიდებისა ძალითა განამტკიცებდა ქრისტიანობისა ნეშტთა სამესხეთოსა ქუეყანასა, გარნა ჰაზრი ესე დაშთა უნაყოფოდ; ფაშამან შერისხულმან მაჰმადიანთაგან დაითხოვა იგი მუნით და უკუმოიქცა თფილისსა, მაშინ მეფემან როსტომ უბოძა მას სამიტროპოლიტო კათედრა თფილისისა“ (იოსელიანი, 1851, გვ. 2). გამოდის, რომ იოსებ სააკაძის სამცხეში წარგზავნისას აწყურის კათედრა უკვე გაუქმებული ყოფილა ოსმალთა მიერ. იოსებს ნათესაური კავშირი ჰქონია ახალციხის ფაშა როსტომთან, რის გამოც კარგად მიუღია მღვდელმთავარი და ეს კეთილგანწყობა იმედს აძლევდა მეფე როსტომსაც და თავად იოსებსაც, რომ მესხეთში დარჩენილ ქრისტიანებს გაამტკიცებდნენ. ამ ცნობების

სისწორეში ეჭვი შეიტანა „დიდმოურავიანის“ გამოცემისას გიორგი ლეონიძემ. მან ისტორიული შეუსაბამობა დაინახა ამ მონაცემებსა და არსებულ რეალობას შორის, რადგან წარმოუდგენლად მიიჩნია მეფე როსტომის მხრიდან ქრისტიანობის დასაცავად ზრუნვა და ასევე, ქრისტიანობის მდევნელ როსტომ ფაშასთან იოსებ სააკაძის შეკედლება (ლეონიძე, 1939, გვ. XXIV).

მეფე როსტომი, ცხადია, მაჰმადიანი იყო, მაგრამ მის როლს ვერ უარვყოფთ საეკლესიო-კულტურული ცხოვრების განვითარების საქმეში. ამ მხრივ, განსაკუთრებით დიდია როსტომის მეუღლის დედოფალ მარიამის ღვაწლი. იოსებ სააკაძის აწყურის ეპისოპოსად დანიშვნა კი უფრო როსტომის პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა და მის ინტერესებს გამოხატავდა სამცხე-საათაბაგოს მიმართ. ამდენად, პლატონ იოსელიანის ცნობებში მიუღებელი არაფერია. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი, ძირითადად, ეყრდნობოდა მარიამ (მაკრინე) ბაგრატიონის (ერეკლე I-ის შვილი) საისტორიო თხზულებას, რომელიც დღესდღეობით დაკარგულია და იქ დაცული ცნობები, მხოლოდ პლატონ იოსელიანის ნაშრომით შემოგვრჩა (სიდამონიძე, 1973, გვ. 7).

როსტომ-ფაშა 1647-1658 წწ. განაგებდა ახალციხის საფაშოს. მისი მმართველობის დროს იწყება მესხი წარჩინებულების მასობრივი გამუსლიმება. ამიტომაც ვერ მოხერხდა მეფე როსტომის მიერ აწყურის კათედრის აღდგენა. მით უმეტეს, რომ ამ საეკლესიო პოლიტიკის ქვეტექსტს ძალიან კარგად მიხვდებოდნენ ოსმალები და მათი ნების შემსრულებელი როსტომ-ფაშა.

ჩვენ არ ვიცით, ზუსტად, როდის იყო ჩასული აწყურში იოსები. თუმცა თუ როსტომ-ფაშას მმართველობის წლებს გავითვალისწინებთ ეს 1647 წელზე ადრე არ უნდა მომხდარიყო. არსებობს მოსაზრება, რომ იგი 1653 წელს გახდა ფაშა (აბულაძე, <https://qim.ge/rostopom%20fasha.html>).

ჩვენს ყურადღებას იქცევს მეფე როსტომის 1645 წლის საბუთი სვეტიცხოვლისათვის ბოძებული. იგი აღნიშნავს, რომ „მას ჟამსა, ოდეს ჟამთა ვითარებისაგან სამცხიდანმდე აწყურისა ღმრთისმშობლის საყმო აზნაურიშვილი და გლეხი ჩუენს საბატონოში ჩამოსულიყვნეს და ღოღეთს დაესახლებინათ და რაც ხატი და ჯვარი ყოფილიყო თქვენს ტაძარში დაესვენებინათ და სამაწყვერლოს კაცს თქუენთუის ემსახურათ ... ვინ იცის და სოფლის საქმე ასრე მოხდეს, რამე სა[ა]თაბაგიშვილოს ქრისტიანე მეპატრონე გაუჩნდეს და აწყურისა ღმრთისმშობლის ჯუარი და ხატი თავის სამკვიდროზედ მისავენონ და მათი ყმა ასაყრელად მოინდომონ ვერავინ დაუჭიროს“ (სეა, სცა 1448-1035). დოკუმენტის ტექსტიდან გამომდინარე 1645 წელს აწყურის ტაძრის სიწმინდეები უკვე სვეტიცხოველშია დაბრძანებული, აწყურის კუთვნილი აზნაურები და გლეხები სოფელ ღოღეთში სახლობენ. ფაქტია, ზემომოყვანილი დოკუმენტიც და იოსებ სააკაძის შესახებ ცნობებიც ზუსტად ახასიათებს სამცხეში შექმნილ საეკლესიო მდგომარეობას და მეფე როსტომის ინტერესს ამ რეგიონისადმი. როსტომმა შესანიშნავად გათვალა, რომ სამცხეში ქრისტიანობის მხარდაჭერა უფრო მომგებიანი იქნებოდა მოსახლეების გადასაბირებლად, ვიდრე ისლამისა. თავად მუსლიმი ვალი კარგად ხვდებოდა, რომ სამცხის ისლამიზაცია, ამ შემთხვევაში, მხოლოდ და მხოლოდ ოსმალების წისქვილზე ასხამდა წყალს.

ქართლის მაჰმადიანი მეფეები: სვიმონ II და როსტომი ირანის მიერ დასმული მოხელეები და რეგიონში ირანის პოლიტიკის გამტარებელნი იყვნენ. ამდენად, მათ მიერ ორგანიზებული ყოველი ღონისძიება, მით უფრო სამხედრო ოპერაციები, სეფიანთა დაკვეთით იყო შესრულებული და პასუხობდა მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აბულაძე, ც. (1989). სულთან მეჰმედ IV სიგელი იოანე ბერის მაწყვერლად დანიშვნის თაობაზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. თბილისი. ტ. 290.
2. აბულაძე, ც. როსტომ ფაშა, <https://qim.ge/rostopom%20fasha.html>

3. ბერმენიშვილი, დ. (1985). ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. თბილისი.
4. გაფრინდაშვილი, ბ. (2015). რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოები, თბილისი.
5. გურგენიძე, ნ. (2013). რელიგიის ისტორიის საკითხები. II. თბილისი.
6. სიდამონიძე, ვ. (1973). შესავალი წერილი „პლატონ იოსელიანი, დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება“. თბილისი.
7. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და წინასიტყვაობა დაურთო სერგი ჯიქიამ. (1958). ტ. III. თბილისი.
8. დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ. (2019). ტ. I, თბილისი.
9. ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. (1973). თბილისი.
10. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ. (1964). თბილისი.
11. იოსელიანი, პლ. (1851). დიდი მოურავიანი – თქმული სააკაძის იოსებ თფილელისაგან დამატებით სხუათა მისთა თხზულებათა. პლატონ იოსელიანის წინასიტყვაობით. ტფილისი.
12. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურძემ. (1969). თბილისი.
13. კაკაბაძე, ს. (1913). თმოგველთა გვარის ისტორიისათვის. ტფილისი.
14. ლეონიძე, გ. (რედ.). (1939). იოსებ ტფილელი. დიდმოურავიანი. თბილისი.
15. მუსტაფა ნაიმა. ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ (1979). თბილისი.
16. ოთხმეხური, გ. (1999). შიდა ქართლის მცირე სათავადოები (XV-XVII). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.
17. პირთა ანოტირებული ლექსიკონი. (1991) ტომი შეადგინეს მზია სერგულაძემ, დარეჯან კლდიაშვილმა, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა. ტ. I. თბილისი.
18. პირთა ანოტირებული ლექსიკონი. (2007). ტომი შეადგინეს მზია სერგულაძემ და დარეჯან კლდიაშვილმა. ტ. IV. თბილისი.
19. ჟიქიაშვილი, ო. (2017). ქართლის მეფე სვიმონ II. თბილისი.
20. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI). ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა. (1961). თბილისი.
21. სვანიძე, მ. (1971). საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს. თბილისი.
22. სვანიძე, მ. (1973). სამცხე-საათაბაგო XVII ს. პირველ მეოთხედში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბილისი.
23. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. (1925). გამოსცა ს. კაკაბაძემ. საისტორიო მოამბე, წ. II. ტფილისი.
24. ქართველიშვილი, თ. (2006). გურიის საეპისკოპოსოები. თბილისი.
25. ქართლის ცხოვრება მესამე ტექსტი. ქართლის ცხოვრება. ტ. II. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (1959). თბილისი.
26. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. (2016). ტ. IV. თბილისი.
27. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები. ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლადიმერ ფუთურძემ. (1955). თბილისი.
28. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქროლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ. (1897). ტ. II. ტფილისი.
29. ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი. ც. აბულაძე, მ. სვანიძე. (1979). თბილისი.
30. ჩოჩიევი, ვ. (1957). ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. თბილისი.
31. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, სეა სცა 1448-1492.
32. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, სეა სცა 1448-1035.
33. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, სეა სცა 1450-45/175.

34. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, (ხეც) Qd-2880.

Samtskhe Saatabago in the Chain of Interests of Safavid Iran and Moslem Kings of Kartli (Svimon II, Rostom) (On the basis of documentary sources)

Tea Kartvelishvili

Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts

Summary

After Peace of Amasya of 1555, Samtskhe-Saatabago has become the subject of conflicts between Ottomans and Persians. Before 1639, the truce terms in almost all wars included provisions related to Samtskhe-Saatabago, to greater or lesser extent and amended agreements made before. After year 1578, in Samtskhe-Saatabago, the Ottomans were at the leading positions, though Safavid state, strengthened by Shah Abbas I (1587-1629) could not accept the success of Ottomans and made efforts to spread its influence over Samtskhe, at least, its eastern part, which, in addition, was received by it according to the peace conditions. Georgian politicians took advantage of the disagreement between the large empires and attempted to maintain Samtskhe in Georgian political space though they failed to do so.

Interests of the Safavids were demonstrated by the attitude of Georgian Moslem kings (Svimon II, Rostom) to Samtskhe Saatabago. Georgian narrative sources contain almost nothing about this, but the data are provided in the documentary sources. The document dated back by 1619, issued by Svimon II to Atanase Tatishvili, Bishop of Manglisi, dealing with the battle for Atskuri Fortress is of significance in this respect. These facts are mentioned also in the document issued by King Rostom to David Pavlenishvili in 1642. Analysis of the documents showed that in 1619, before truce between Iran and Ottoman Empire, there was an attack on Atskuri, planned by Iran and performed by the encirclement of Svimon II. Supposedly, the attack was arranged by the Iranians who have come to Kartli at a time of enthronement of Svimon II, together with the Georgians. Among Georgian participants, there are known the representatives of feudal houses of Shalikashvili and Pavlenishvili. It is notable that Shalikashvili were the nobles who have migrated from Samtskhe. Forefathers of Pavlenishvili were related to Samtskhe as well. It is clear that the participants of the operation were the nobles who had the property interests, i.e. the lands and vassals in Samtskhe.

Activation of the interest to Samtskhe Saatabago from the side of Moslem kings of Kartli was directly related to the events at international arena, between Iran and Ottoman Empire. In 1636, Sultan Murad IV conquered Yerevan. Shah Safi arranged the campaign in response and regained the city. Simultaneously with the operation of Iranians, King Rostom attacked Samtskhe and ravaged it. In the deed of gift granted by Rostom to Papuna Baratashvili-Gostashabishvili there is mentioned that Papuna's father, Gostashab Baratashvili has participated in this operation and was killed in battle. Rostom's document issued to Khutsia Chantadze and Giorgi Tegadze of Dvalta dealt with the same battle as well.

It is significant that Rostom, Moslem Vali of Kartli, for the purpose of maintaining of Samtskhe, supported Christianity there and attempted to appoint his candidate, Ioseb Saakaadze to Atskuri Cathedra.

Moslem kings of Kartli, Svimon II and Rostom were assigned by Iran and they implemented Iranian policies in the region. Thus, each operation organized by them, especially the military operations were ordered by Safavids and responded to the political situation in Near East.

ყარაჯაანთ ეკლესიის ლაპიდარული წარწერები მეფეთ-მეფე გიორგისა და მისი შვილი თამარის მოხსენიებით

ნიკოლოზ ჟღენტი
კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

2020 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის კვლევის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ქეთევან დიდმელაშვილმა მომწოდა ე.წ. ყარაჯაანთ ეკლესიის სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად ცნობილი ლაპიდარული წარწერების ვიზუალური მასალა და მათ შესახებ სამეცნიერო კვლევის გაკეთება შემომთავაზა. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ წარწერების პალეოგრაფიულ და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით კვლევას წარმოადგენს.⁵⁶

ყარაჯაანთ ეკლესია ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. გავაზის აღმოსავლეთით 6 კმ-ში, მდ. ალაზნისა და ავანისხევის შესართავთან, ამ უკანასკნელის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. ეკლესია დარბაზული ტიპისაა და საკმაოდ მცირე ზომისაა (8,9x4 მ). ეკლესია ნაშენია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვითა და წითელი აგურით. დასავლეთ მხარეს მთელ სიგანეზე ეკლესიაზე მიშენებულია თანადროული ორსართულიანი სამრეკლო. ეკლესია გვიანშუასაუკუნეებით თარიღდება. დღეისათვის ეკლესია წყალში დგას და მისი გადარჩენა სასწრაფო რეაგირებას საჭიროებს (https://www.heritagesites.ge/ka/news_item/73)

ტაძრის შესასვლელი ასევე დასავლეთ მხარეს, სამრეკლოს ქვემოთაა მოთავსებული. კარის ორივე მხარეს ჩასმულია სამი ქვის ფილა ასომთავრული წარწერებით (I წარწერა კარის ჩრდილოეთ მხარეს, ხოლო II და III - სამხრეთ მხარეს), რომლებიც შინაარსობრივად ერთმანეთთან კავშირში არიან. აღნიშნული წარწერები აქამდე არ ყოფილა აკადემიურად შესწავლილი და გამოქვეყნებული.

პირველად, წარწერების ამოკითხვის მცდელობას ვხვდებით გ. ვარადაშვილის 1977 წ-ის „ძეგლის მეგობარში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ყარაჯაანთ საყდარი“. ავტორმა შედარებით სწორედ ამოიკითხა I ქვაზე ამოკვეთილი წარწერების ტექსტი, თუმცა, სხვა ქვებზე არსებული ტექსტის მხოლოდ რამდენიმე გრაფემა გააჩნია (ვარადაშვილი, (1977). ყარაჯაანთ საყდარი. *ძეგლის მეგობარი*. 45. გვ. 59).

2017 წ-ს ქ. დიდმელაშვილმა, ყარაჯაანთ ეკლესიის სააღრიცხვო ბარათის შედგენისას, ეს წარწერები ანახა ბ-ნ გიორგი გაგოშიძეს, რომელმაც ტექსტი სრულად ამოიკითხა⁵⁷ და პალეოგრაფიულად XV-XVI სს-ით დაათარიღა (იხ. ყარაჯაანთ ეკლესიის სააღრიცხვო ბარათი).

ტექნიკური აღწერილობა: წარწერები ამოკვეთილია ოდნავ წაგრძელებული მთავრული გრაფემებით. გრაფემების კიდურები რიგ შემთხვევაში მომრგვალებულია, რიგ შემთხვევაში კი წაისრული. გვხვდება ლიგატურა (I წარწ. თ). განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყველა სიტყვას შორის. სამწერტილი გვხვდება მხოლოდ წარწერის თავში, სავარაუდოდ, ქანწილის შემდეგ. ქარაგმის ნიშანი: კლაკნილი და სწორი მოკლე ხაზი. წარწერისა და მისი გრაფემების ზომების აღება ვერ მოხერხდა ტაძრის დატბორვის გამო.


დაზიანება: ქვის ზედაპირი დაზიანებულია ნალექის, ქარისა და სხვა კლიმატური ფაქტორების გამო. განსაკუთრებით დაზიანებულია II ფრაგმენტი, სადაც ამოტეხილია წარწერის მარცხენა ნაწილი და ართულებს წარწერის ამოკითხვას.

⁵⁶ აქვე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ქეთევან დიდმელაშვილს ამ შესაძლებლობისათვის.

⁵⁷ ტექსტის ჩემული ვარიანტი უმნიშვნელოდ განსხვავდება გ. გაგოშიძის წაკითხვისაგან.





ქვემოთ მომყავს წარწერის სამი ფრაგმენტის ფოტოები, პალეოგრაფიული პირები, ტექსტები დედნისეული დამწერლობით და აღდგენილი ტექსტების მხედრული ტრანსკრიფციები:

I



[q]>mefeT mefisa: gi~gis:Svisa
patronsa:Tamrs:S~ns:Rn:a[n]

[ქ.] მეფეთ-მეფისა გი(ორ)გის შვი(ლ)სა² პატრონსა თამ(ა)რს შ(ეუ)ნ(დნე)ს ლ(მერთმა)ნ,
ა(მე)[ნ].



[am]sisa:aRmSnblsa:

...d:[co]dlsa:kosts

a:codv~ni:m[isn]i:S~ns

R~n:a~n:missa:meo

Rlsa:mr~ixs:S~ns

R~n:a~n:

[ამ]ისსა აღმშ(ე)ნ(ე)ბ(ე)ლსა |² [ფ](რია)დ [ცო]დვ(ი)ლსა კოსტ(ა)ს||³ა⁵⁸ ცოდვ(ა)ნი მ[ისნ]ი
შ(ეუ)ნ(დნე)ს |⁴ ღ(მერთმა)ნ, ა(მე)ნ. მისსა მეუ⁵ლ(ე)სა მ(ა)რიხს შ(ეუ)ნ(დნე)ს |⁶ ღ(მერთმა)ნ, ა(მე)ნ.

⁵⁸ მეორე ვარიანტით: კოსტ(ანტინე)სა. ეს სახელი ქართულ ონომასტიკონში უფრო გავრცელებული იყო, თუმცა, ქარაგმისათვის ამ სახელს საკმაოდ ბევრი გრაფემა აკლია, რაც ამ წარწერის ამომკვეთს არ ახასიათებს. ამის გამოც უპირატესობა სახელ კოსტას მივანიჭე.

როგორც ვნახეთ, სხვადასხვა ადგილას ჩასმული წარწერის სამივე ფრაგმენტი შინაარსობრივად ერთი მთლიანობა უნდა იყოს. წარწერა საამშენებლო ხასიათისაა და ეხება უშუალოდ ეკლესიის მშენებლობას. ეკლესიის უშუალო ქტიტორები ადგილობრივი დიდებული, ვინმე კოსტა და მისი მეუღლე მარიხი უნდა იყვნენ, ხოლო მეფეთ-მეფე გიორგი და მისი შვილი თამარი, მათი სიუზერენები.

წარწერის ტექსტისა და შინაარსის აღდგენის შემდეგ, საჭიროა დაისვას შემდეგი საკითხები:

1. ვინ არიან წარწერაში მოხსენიებული მეფეთ-მეფე გიორგი და მისი შვილი თამარი?
2. ვინ არიან წარწერაში მოხსენიებული ეკლესიის ქტიტორები?
3. რა პერიოდით შეიძლება დათარიღდეს წარწერა, და შესაბამისად ეკლესია?

ქ. დიღმელაშვილის აზრით, ეკლესიას აქვს XV-XVII სს-ის კახეთის არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ელემენტები (შეისრულთალოვნობა, ორსართულიანი სამრეკლო, წახნაგოვანი ფანჩატურით, აგურით გადახურული პრიზმული სახურავი და სხვა).

წარწერაში მოხსენიებული მეფეთ-მეფე გიორგის იდენტიფიცირება შესაძლებელი იქნება მხოლოდ წარწერის პალეოგრაფიული დათარიღების შედეგად.

წარწერის ცალკეული გრაფემები ძირითად მსგავსებას ავლენენ XVI სს-ის ანალოგებთან. ეს ანალოგებია: ვალეს ღვთისმშობლის ეკლესიის 1561-1564 წწ-ის წარწერა (სილოგავა, 2013, გვ. 136-7), ლიკანის ღვთისმშობლის ეკლესიის XVI ს-ის 40-იანი წწ-ის წარწერა (გოგოლაძე, 2019, გვ. 102-5), კუმურდოს ტაძრის დას. მინაშენის ტიმპანის 1505-1515 წწ-ის წარწერა (სილოგავა, ახალაძე, ბერიძე, სულავა, ყავრელიშვილი, 2012, გვ. 90-2), ხაშმის კაწარეთის სამების 1518 წ-ის წარწერა (ცისკარიშვილი, 1962, გვ. 147).

ამგვარად, ტაძრისა და მისი საამშენებლო წარწერის თავისებურებები, გვაძლევს საშუალებას მათი ზოგადი თარიღი XV-XVI სს-ით განვსაზღვროთ.

აღნიშნულ პერიოდში კახეთში მეფობდა ორი გიორგი – გიორგი I 1465/66-1476 წწ-ში (საქართველოს მეფე გიორგი VIII – 1446-1465/6 წწ.) და მისი შვილიშვილი გიორგი II 1511-1513 წწ., რომელიც ისტორიაში ცნობილია, როგორც „ავ-გიორგი“. ლოგიკურად, ყარაჯაანთ ეკლესიის სამრეკლოს წარწერაში მოხსენიებული მეფეთ-მეფე გიორგი ამ ორი კანდიდატურიდან ერთ-ერთთან უნდა გაიგივდეს.⁵⁹

ამისათვის ყველაზე მარტივი გამოსავალი იქნებოდა წარწერაშივე მოხსენიებული მეფეთ-მეფე გიორგის შვილი თამარის ფაქტორი. თუმცა, ჩვენამდე შემორჩენილ წერილობით ძეგლებში, არც გიორგი I-ის და არც გიორგი II-ის შემთხვევაში, ბატონიშვილი თამარის შესახებ ცნობები საერთოდ არ გვხვდება.

ცნობილია, რომ გიორგი I-ს ჰყავდა ორი მეუღლე – დედოფალი თამარი (ათაბაგის ასული), რომელიც გვხვდება 1453 წ-ის საბუთში (სურგულაძე და სხვ., 2014, გვ. 65) და დედოფალი ნესტან-დარეჯანი, რომელიც საისტორიო საბუთებში 1455 წ-იდან გვხვდება (სურგულაძე და სხვ., 2014, გვ. 47, 85, 93, 111, 113, 115, 133).⁶⁰

⁵⁹ სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ XV ს-ში თავსდება ასევე საქართველოს მეფე გიორგი VII-ს მეფობაც (გარდ. 1407 წ-ს). თუმცა, წარწერის თარიღად XV-XVI სს-ით განსაზღვრა პალეოგრაფიული თვალსაზრისით რა თქმა უნდა არ ნიშნავს, რომ წარწერა მაინც და მაინც 1400-1600 წწ-ს შორის უნდა იყოს შესრულებული. პალეოგრაფიული დათარიღება უფრო ზოგადი ხასიათისაა. შესაბამისად, აღნიშნული წარწერის პალეოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად არ მივიჩნიე ყარაჯაანთ ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული მეფეთ-მეფე გიორგის ერთ-ერთ კანდიდატურად განმეხილა გიორგი VII-ც მხოლოდ იმიტომ, რომ მისი მეფობის ბოლო 7 წელი სწორედ XV ს-ზე მოდის.

⁶⁰ არის კიდევ ერთი დაკარგული საბუთის დედნის პირი, რომლის მიხედვითაც ნესტან-დარეჯანი გიორგი VIII-ის თანამეცხედრედ უკვე 1449 წ-ს იწოდება (სურგულაძე და სხვ., 2014, გვ. 47). სამწუხაროდ, დედნის

პირველი ცოლისგან გიორგის ჰყავდა ასულები – ქეთეონი და ელენე (შარაშიძე, 1961, გვ. 22, 65, 66, 69-70, 79). ხოლო მეორე ცოლისგან – მარიამი (შარაშიძე, 1954, გვ. 268). არსებულ წერილობით წყაროებში აქამდე არ დაფიქსირებულა ბატონიშვილი თამარი.

ანალოგიური სიტუაციაა გიორგი II-ის შემთხვევაში. დედოფალ ელენესგან მას ჰყავდა ორი ასული – ხვარამე (ყაუხჩიშვილი, 1959, გვ. 493) და მარიამი (ჯორდანიას, 2018, გვ. 399).

ამგვარად, რომელი მეფეც არ უნდა იყოს წარწერაში მოხსენიებული გიორგი, ფაქტია, რომ საქმე გვაქვს ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის კახეთის შტოს უცნობ წარმომადგენელ თამართან, რომელსაც, წარწერის შინაარსის მიხედვით, გარკვეული სენიორალური კავშირი უნდა ჰქონოდა ყარაჯაანთ ეკლესიის აღმშენებელთან.

თეორიულად, წარწერაში მოხსენიებული მეფეთ-მეფე გიორგის გაიგივება გიორგი I-თან და გიორგი II-სთან თითქმის თანაბარი წარმატებითაა შესაძლებელი. თუმცა, ავ-გიორგის ზეობა, მისი პაპისგან განსხვავებით, ძალზედ მცირე ხნით გაგრძელდა (1511-1513 წწ.). უცნობია მისი ქალიშვილების დაბადების თარიღი, თუმცა, ცნობილია, რომ მისი ძე და ტახტის მემკვიდრე ლეონი 1506 წ-ს დაიბადა და მამის გარდაცვალებისას მცირეწლოვანი იყო (ლორთქიფანიძე და სხვ., 2007, გვ. 212). ამას გარდა, მისათვის პაპის, ხოლო ქალიშვილისათვის ბებულის სახელის დარქმევის ტრადიცია ამ პერიოდის ბაგრატიონებში ძალზედ ძლიერი იყო. გიორგი I-ის დედა, საქართველოს მეფე ალექსანდრე I დიდის მეორე ცოლი - დედოფალი თამარი უნდა ყოფილიყო (კლდიაშვილი, სურგულაძე, ცაგარეიშვილი, ჯანდიერი, 1991, გვ. 212-3). ხოლო გიორგი II-ის დედა კახთა მეფე ალექსანდრე I-ის პირველი ცოლი - დედოფალი ანა (კლდიაშვილი და სხვ., 1991, გვ. 216). ამ ტრადიციის მიხედვითაც, ყარაჯაანთ ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული მეფეთ-მეფე გიორგი, უფრო დიდი ალბათობით, გიორგი I უნდა იყოს.

ამ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება წარწერის, და შესაბამისად ყარაჯაანთ ეკლესიის აგების თარიღის ქრონოლოგიური ჩარჩოების დავიწროვება.

როგორც აღინიშნა, გიორგი I-ს ჰყავდა ორი მეუღლე — თამარი და ნესტან-დარეჯანი. ბუნებრივია, ყარაჯაანთ ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული ბატონიშვილი თამარი მეფეს ნესტან-დარეჯანისგან ეყოლებოდა, რადგან დედას და ქალიშვილს ერთი და იგივე სახელები არ ერქმეოდათ. შესაბამისად, ბატონიშვილი თამარი ბატონიშვილი მარიამის და უნდა ყოფილიყო. საისტორიო საბუთებში გიორგი I-ის მეუღლე თამარი ბოლოს 1453 წ-ს ჩანს, 1455 წ-დან კი უკვე მის მეუღლედ ნესტან-დარეჯანი იხსენიება. შესაბამისად, ბატონიშვილი თამარის დაბადების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარიც 1453 წ-ით უნდა განისაზღვროს. თუმცა, ყარაჯაანთ ეკლესიის აგების ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად იგივე 1453 წ. არ გამოდგება.

მიუხედავად იმისა, რომ არის პრეცედენტები, როდესაც იურიდიულ აქტებში იხსენიებიან ძალზედ მცირეწლოვანი ბატონიშვილები და სიმბოლურად იურიდიულ მხარედაც კი ითვლებიან, ყარაჯაანთ ეკლესიის წარწერის შემთხვევაში, ვფიქრობ, ზრდასრულ თუ არა, უკვე საკმაოდ მომწიფებულ თამარ ბატონიშვილთან უნდა გვქონდეს საქმე. ეკლესიის ქტიტორი კოსტა საამშენებლო წარწერის პირველ ფრაგმენტში მთავარ აქცენტს სწორედ რომ პატრონ თამარზე აკეთებს, და არა მეფეთ-მეფე გიორგიზე. ეს მაფიქრებინებს, რომ ტამრის ქტიტორსა და თამარ ბატონიშვილს შორის უშუალო პატრონყმული დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, ეკლესიის აშენების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი XV ს-ის 60-იანი წლებით უნდა დათარიღდეს.

არ არსებობის გამო, ასევე XIX საუკუნის პირის გადამწერის ხარვეზების, დედნის ტექსტის ვერ ამოკითხვის გამო, არ გვაქვს შესაძლებლობა გადავამოწმოთ ასეთი ქრონოლოგიის სიზუსტე. რჩება სამი შესაძლებლობა: 1. მეფე გიორგის პირველი ცოლი იყო ნესტან-დარეჯანი, რომელსაც დროებით დაშორდა ათაბაგის ქალის შერთვის მოტივით, ხოლო შემდეგ ისევ პირველი ცოლი დაიბრუნა; 2. მეფე გიორგის სინამდვილეში ჰყავდა 3 ცოლი, რომელთაგან პირველს და მესამეს ერთი და იგივე სახელი ერქვათ; 3. საბუთის დედანში ან მის ასლში გაპარულია შეცდომა ქორონიკონში. ვფიქრობ ამ სამი ვარიანტიდან, ყველაზე რეალური, მესამე ვარიანტი უნდა იყოს.

რაც შეეხება ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს: წარწერის შინაარსიდან გამომდინარე, ვფიქრობ არანაირი მიზეზი არ გვაქვს მეფეთ-მეფე გიორგი გარდაცვლილად ჩავთვალოთ. ჩემი აზრით, წარწერის ავტორმა სწორედ იმით გაუსვა ხაზი მისი უშუალო პატრონის სტატუსს, რომ ის მოქმედი მეფის ქალიშვილი იყო. აქედან გამომდინარე, ეკლესიის აგების ზედა ქრონოლოგიური ზღვარი გიორგი მეფის გარდაცვალების წელი, ანუ 1476 წ. უნდა იყოს.

ამგვარად, ყარაჯაანთ ეკლესიის აგების თარიღად შეგვიძლია მოვიაზროთ 1460-იანი წწ. – 1476 წწ., თუმცა, ვფიქრობ ქვედა ქრონოლოგიური ზღვარის კიდევ უფრო დაზუსტება შესაძლებელი იქნება ჩვენთვის საინტერესო პერიოდში მიმდინარე ისტორიული ტენდენციების გათვალისწინებით.

ცნობილია, რომ 1465 წ-ს ფარავანთან დაბანაკებული საქართველოს მეფე გიორგი VIII, უეცარი თავდასხმის შედეგად შეიპყრო სამცხის ათაბაგმა ყვარყვარე II ჯაყელმა.⁶¹ ამან გამოიწვია დიდი არეულობა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ქართლში გიორგის მაგივრად მისი ძმის (დემეტრეს) შვილი კოსტანტინე გამეფდა და იმერეთი დაიკავა. იმერეთის მეფე ბაგრატ კი ქართლში გადმოდის (ჟღერტი, (2011). მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი გაცემული XV საუკუნის საბუთის თარიღის დაზუსტებისათვის. *ქართული წყაროთმცოდნეობა*. 12. გვ. 149-152). როგორც ჩანს, ასეთი პოლიტიკური ქაოსი აღარც ათაბაგს აწყობდა და მალევე, იმავე 1465 ან 1466 წ-ს, გიორგი VIII გაათავისუფლეს, თუმცა, მან ვეღარ შეძლო ქართლის სამეფო ტახტის დაბრუნება. შედეგად, ის კახეთში გადადის და კახეთის სამეფოს აფუძნებს (ლორთქიფანიძე და სხვ., 2007, 169-170). მხოლოდ ეს მიზეზი არ კმარა, რათა კახეთში მდებარე ყარაჯაანთ ეკლესიის მშენებლობის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი გიორგი მეფის კახეთში გადასვლით განვსაზღვროთ. ხოლო, თუ გავითვალისწინებთ მეფე გიორგის ქალიშვილების პოლიტიკური ქორწინებების ტენდენციას, შეიძლება საინტერესო სურათი მივიღოთ.

მეფე გიორგის ორივე ქალიშვილი პირველი ცოლისგან - სამცხის ათაბაგ ყვარყვარე II ჯაყელის ასული თამარისგან, სამცხეშივე იყვნენ გათხოვილები ადგილობრივ ფეოდალებზე: ქეთეონი ვახუშტი შალიკაშვილზე, ხოლო ელენე სპირიდონ ბენაშვილზე (შარაშიძე, 1961, გვ. 22, 65, 66, 69-70, 79). რაც შეეხება მარიამს - გიორგი VIII-ს ასული ნესტან-დარეჯანისგან - არაგვის ერისთავ ვამიყ შაბურისძის ვაჟზე, გიორგიზე იყო გათხოვილი (შარაშიძე, 1954, გვ. 268). დინასტიური ქორწინებები ფეოდალური ხანის შეუცვლელი და ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი იყო და, ბუნებრივია, ასეთი ქორწინების მთავარი მოტივი სამხედრო-პოლიტიკური კავშირები იყო. სამწუხაროდ, საისტორიო წყაროები არ გვამძლევენ საშუალებას დეტალურად განვიხილოთ გიორგი VIII-ის ქალიშვილების ქორწინებების ზუსტი თარიღები და პოლიტიკური გარემოებები, თუმცა, არსებული წყაროებით ამგვარი სურათი იკვეთება: გიორგი მეფე სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს ამყარებს სამცხის დიდებულებთან, სავარაუდოდ, ათაბაგის მიერ მის შეპყრობამდე (?). ხოლო ათაბაგსა და არაგვის ხეობის ერისთავ შაბურისძეებს შორის ამ დროს უკვე არსებობდა ასეთი კავშირი (ბახტაძე, 2003, 137-8) . 1465 წ-ის 23 აპრილის ერთი საბუთიდან ვიგებთ, რომ გიორგი VIII-ს ქალიშვილისა და არაგვის ერისთავ ვამიყის ვაჟს შორის ქორწინება უკანონო ყოფილა, რის გამოც, გიორგისვე ნებართვით, ვამიყმა საკანონო შესაწირავი მიართვა სვეტიცხოველს (სურგულაძე და სხვ., 2014, გვ. 144-7). სამწუხაროდ, ვერ დგინდება ქეთეონისა და ელენეს გათხოვების ზუსტი თარიღები. რაც შეეხება მარიამს, 1465 წ-ის 23 აპრილისათვის მისი შაბურისძეზე გათხოვებიდან უკვე გარკვეული დროა გასული.

⁶¹ ჩემი აზრით, გიორგი მეფის დატყვევება ფარავნის ტბასთან, პუნქტის გეოგრაფიული და კლიმატური თავისებურებების გათვალისწინებით, უნდა მომხდარიყო 1465 წ-ის მეორე მესამედში (უფრო დიდი ალბათობით ზაფხულში), როცა ფარავნის მდამოებში თოვლი გამდნარია და ლაშქრობაც უფრო მოსახერხებელი იქნებოდა.

ამგვარად, გიორგი VIII-ის ქალიშვილების დინასტიური ქორწინებები ცალკე ვრცელი კვლევის საგანია. წინამდებარე კვლევისათვის კი მნიშვნელოვანია ის, რომ აქამდე ცნობილი წერილობითი ძეგლებით, გიორგი მეფის ქალიშვილები სამცხეში და არაგვის ხეობაში ჩანდნენ. ყარაჯაანთ ეკლესიის წარწერები კი ცნობებს გვაწვდიან გიორგი VIII-ის კიდევ ერთ ქალიშვილზე, რომელიც ადგილობრივი კახელი დიდებულის სიუხერენი იყო. წარწერიდან არ ჩანს, იყო თუ არა თამარი დინასტიურ ქორწინებაში რომელიმე ადგილობრივ კახელ ფეოდალთან, თუნდაც როგორც მისი ძმა და ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე, რომელსაც ცოლად გარსევან ჩოლოყაშვილის ასული ანა ჰყავდა (კლდიაშვილი და სხვ., 1991, გვ. 216). ზემოთ უკვე გამოვთქვი მოსაზრება ყარაჯაანთ ეკლესიის აშენების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარის შესახებ (1460-იანი წწ.). მეფე გიორგის ქალიშვილების დინასტიური ქორწინებების, ამ პერიოდის ისტორიული პროცესებისა და ყარაჯაანთ ეკლესიის წარწერების მონაცემების გათვალისწინებით, ვფიქრობ შესაძლებელია ამ თარიღის კიდევ უფრო დაზუსტება და 1465/6 წწ-ით განსაზღვრება, როცა მეფე გიორგი კახეთში გადადის და ცალკე სამეფოს აფუძნებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ყარაჯაანთ ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული მეფეთ-მეფე გიორგის შვილი თამარი, იყო მეფე გიორგი VIII-ის ქალიშვილი, რომელიც მას დედოფალ ნესტან-დარეჯანისაგან ეყოლა. თამარი ფლობდა საუფლისწულო (?) მიწებს გაგაზის მიდამოებში, იმ ადგილას, სადაც მისმა ყმამ, ვინმე კოსტამ 1465/6-1476 წწ-ში ააშენა მცირე ეკლესია.

რაც შეეხება ტაძრის ქტიტორს, სამწუხაროდ, მის შესახებ ბევრის თქმა არ შემოიძლია. სამწუხაროდ, ამ წარწერის გარდა, ცნობები კოსტასა და მისი მეუღლე მარიხის შესახებ, სხვა წერილობით ძეგლებში ვერ მოვიძიე.

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია საკმაოდ მოკრძალებულია და არც მისი იერსახე ტოვებს ქტიტორის ფინანსურ შესაძლებლობებზე დიდ შთაბეჭდილებას, უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესიის მშენებლობა ემთხვევა გაგაზის ხელახალი აღმავლობის ხანას, რომელსაც ადგილი ჰქონდა XV-XVI სს-ში (ჭილაშვილი, 1975, გვ. 95). როგორც ჩანს, ამ ეკლესიის მშენებლობა სწორედ ამ დიდი პროცესის ერთ-ერთი მცირე ნაწილი იყო.

ამგვარად, ჩატარებული კვლევის შედეგად:

1. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა ლიტერატურაში ნაკლებად ცნობილი ეპიგრაფიკული ძეგლი კახეთიდან, შესაბამისი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზით;
2. დაზუსტდა მასში მოხსენიებული პირებისა და ქტიტორების ვინაობა;
3. გამოვლინდა ბაგრატიონთა კახეთის სამეფო შტოს აქამდე უცნობი წარმომადგენელი;
4. დაზუსტდა წარწერისა და თვით ეკლესიის თარიღი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბახტაძე, მ. (2003). ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბილისი. არტანუჯი
2. ვარადაშვილი, გ. (1977). ყარაჯაანთ საყდარი. ძეგლის მეგობარი. 45. თბილისი. საბჭოთა საქართველო.
3. გოგოლაძე, თ. (2019). თორის ხეობის ეპიგრაფიკული კორპუსი, როგორც საისტორიო წყარო. თბილისი.
4. კლდიაშვილი, დ. და სხვ. (1991). პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. ტომი I. გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა და გ. ჯანდიერმა. თბილისი. მეცნიერება.
5. ლორთქიფანიძე მ. და სხვ., (2007). საქართველოს მეფეები. თბილისი. ნეკერი.
6. ჟორდანია, თ. (2018). ქრონიკები. II. თბილისი. არტანუჯი.
7. ჟღენტ, ნ. (2010). მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი გაცემული XV საუკუნის საბუთის თარიღის დაზუსტებისათვის. ქართული წყაროთმცოდნეობა. XII. თბილისი. უნივერსალი.

8. სილოგავა, ვ. (2013). ვალეს ლაპიდარული ეპიგრაფიკა. ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქია. (რედ. ვალერი ასათიანი). თბილისი.
9. სილოგავა ვ. და სხვ., (2012). ჯავახეთის ეპიგრაფიკა (ლაპიდარული წარწერები, ტოპონიმია, საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრები). გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევები დაურთეს: † ვალერი სილოგავამ, ლია ახალაძემ, მერაბ ბერიძემ, ნესტან სულავამ და როინ ყავრელიშვილმა. თბილისი. ნეკერი.
10. სურგულაძე და სხვ. (2014). ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. III. ქართული ისტორიული საბუთები. XV საუკუნის მეორე ნახევარი. შეადგინეს თინათინ ენუქიძემ, დარეჯან კლდიაშვილმა, მზია სურგულაძემ. თბილისი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
11. ყაუხჩიშვილი, ს. (1959). ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. II. თბილისი. სახელგამი.
12. შარაშიძე, ქრ. (1954). საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.). მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. თბილისი. მეცნიერება.
13. შარაშიძე, ქრ. (1961). სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები. თბილისი. მეცნიერება.
14. ცისკარიშვილი, ვ. (1962). კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები. თბილისი. მეცნიერება.
15. ჭილაშვილი, ლ. (1975). ძველი გავაზი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა). თბილისი. მეცნიერება.

Lapidary Inscriptions from Karajaant Church Mentioning King of the Kings Giorgi and his Daughter Princess Tamar

Nikoloz Zhghenti

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

Summary

Karajaant church is located near the historic village Gavazi, in Kakheti region (Eastern Georgia). On the west façade of the church, on both sides of the entrance, three old Georgian inscriptions can be still found. These inscriptions were barely known in scientific literature and have not been studied properly yet.

As a result of the research, involving palaeographic and source critical analyses, I have concluded that the inscriptions are about constructing of the church by local lord Kosta and his wife Marikhi between 1465/6-1476 years, with the patronage of Princess Tamar, daughter of King of Kakheti Giorgi I. Princess Tamar is an unknown representative of the Bagratons dynasty of Kakheti.



ყარაჯაანთ ეკლესია. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან (ქ. დიდმელაშვილის ფოტო)



ყარაჯანთ ეკლესია. ხედი დასავლეთიდან (ქ. დიღმელაშვილის ფოტო)

ლაგოდების თელის კომპლექსის იდენტიფიკაციისთვის

ქეთევან დიღმელაშვილი
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტო

სოფელი თელა მდებარეობს ალაზნის ველის ცენტრალურ ნაწილში, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთის განშტოება თელის ქედის ძირში, მდ. ბაისუბნის ხევის მარცხენა მხარეს (სურ.1). სოფლის ჩრდილოეთით, თელის ქედის ტყით დაფარულ კალთაზე, შემორჩენილია ციხის ნანგრევები და აკლდამა. ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით ერთ კილომეტრში თელის ქედის კეხზე, უღელტეხილის სამხრეთით, შემორჩენილია ამავე სახელწოდების არქიტექტურული კომპლექსი. მისგან ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ ცალკეული ნაწილები. მეტ-ნაკლებად სრული აღწერა კი შესაძლებელი ხდება 1947 წელს ს. რევიშვილის მიერ გაკეთებული ანაზომებისა და ფოტომასალის საფუძველზე, როცა კომპლექსის ნაგებობების კონტურები ჯერ კიდევ იკითხებოდა⁶².

კომპლექსი ხელოვნური თხრილითაა შემოზღუდული, რაც მისი თავდაცვის სისტემის ნაწილი იყო⁶³; შედგება ბაზილიკის, მასზე დაშენებული კოშკისა და ეკლესიისგან. ამ ეკლესიებს მოსახლეობა დღეს ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის სახელებით მოიხსენიებს, თუმცა, როგორც კომპლექსის ტერიტორიაზე აღმოჩენილი წარწერა მოწმობს, დიდი ბაზილიკა მთავარანგელოზ მიქაელისა და გაბრიელის სახელობის ყოფილა.

ბაზილიკა ე.წ. სამეკლესიანი ნაგებობაა დასავლეთის გარშემოსავლელით (სურ.2-7). ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთის ეკლესია და დასავლეთის გარშემოსავლელის ჩრდილოეთი ნაწილი. ბაზილიკა ნაგები იყო ნატეხი ქვით დუღაბზე. კედლების ფასადები ქვების გადაბმის ადგილას შებათქაშებული ყოფილა. ჩრდილოეთის ეკლესიას ცალფერდა სახურავი აქვს. მასში მოხვედრა მხოლოდ დასავლეთის გარშემოსავლელიდან იყო შესაძლებელი. ნავის აღმოსავლეთ ნაწილში დამოუკიდებელი პასტოფორიუმი, რომელშიც შესასვლელი დასავლეთ კედელშია გაჭრილი. კარი სწორკუთხაა. პასტოფორიუმი უაბსიდოა და კამარითაა დასრულებული. აღმოსავლეთი კედლის შუაში, შიგნით, წირთხლებგამოილი სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. კამარითაა გადახურული ნავის დასავლეთი ნაწილიც, რომელიც განახლების დროს დასავლეთიდან ამოუშენებიათ. დასავლეთ ნაწილში საძვალეა გამართული (განძთ მაძიებლების მიერ გადათხრილ ინტერიერში კარგად ჩანს ეკლესიის სამშენებლო ქვითვე ნაგები აკლდამის კედლების ფრაგმენტები). ჩრდილოეთის ეკლესიის ორივე ნაწილი შიგნიდან შელესილი ყოფილა. როგორ იყო გადაწყვეტილი ბაზილიკის ცენტრალური და სამხრეთი ეკლესიები, გათხრების გარეშე თქმა შეუძლებელია. ერთადერთი, რის აღნიშვნაც შეიძლება, არის ის, რომ სამხრეთის ეკლესიაც ორნაწილიანი ყოფილა: აღმოსავლეთი ნაწილი კედლით იყო გამოყოფილი დასავლეთისგან. დასავლეთის გარშემოსავლელი მოგვიანებით გადაკეთებულია: ჩრდილოეთი ნაწილი ამოუშენებიათ და მეორე სართული დაუდგამთ. შედეგად მივიღეთ ორსართულიანი კოშკი. მის პირველ სართულზე მოხვედრა სამხრეთის ამოშენებულ კედელში

⁶² ანაზომები და ფოტომასალა დაცულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საარქივო ფონდში.

⁶³ სამონასტრო კომპლექსის სათავდაცვო თხრილით დაცვა დაფიქსირებულია ასევე ალავერდის მონასტერში. როგორც 2009-2010 წწ. გათხრებით გაირკვა, X საუკუნემდე ალავერდის კომპლექსს ჰქონია 5 მეტრის სიგანის და 1.1 მეტრი სიღრმის სათავდაცვო თხრილი, რომელსაც შემოსდევდა ასევე 6 მეტრის სიმაღლის გალავანი. ორივე გაუქმებულ-დანგრეული ჩანს IX-X საუკუნეებში ძლიერი ხანძრისა და ნგრევის შედეგად (იხ.: მახარაძე გ., ბერიკაშვილი დ., ლომთაძე გ., მახარაძე ზ., ნუცუბიძე პ., ალავერდის არქეოლოგიური ექსპედიციის 2010 წლის სამეცნიერო ანგარიში. თბ., 2010).

დატანებული თაღოვანი კარიდანაა შესაძლებელი. კამარის დასავლეთ ნაწილში ხვრელია დატოვებული მეორე სართულზე ასასვლელად. მეორე სართულს ჩრდილოეთ კედელში წყვილი სწორკუთხა სარკმელი აქვს. სართული კამარითაა დასრულებული, ხოლო კოშკი - ორფერდა სახურავით. განსხვავებით ეკლესიისგან კოშკი შიგნიდან მხოლოდ ნაწილობრივია შელესილი.

სამეკლესიანი ბაზილიკიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 60 მეტრში დგას მცირე სამლოცველო (სურ.8-10), რომელიც აგებულია ნატეხი ქვით დუღაბზე. ამჟამად დანგრეულია, მხოლოდ ნაწილობრივ შემორჩენილია ჩრდილოეთის ეკლესია. აღმოსავლეთით აქვს მხრით გამოყოფილი ნახევარწრიული აბსიდი. მხარზე უნდა გადასულიყო კონქის საყრდენი თალი. აბსიდის ღერძზე სარკმელი იყო გაჭრილი. მის სამხრეთ მხარეს სწორკუთხა ნიშაა. დანარჩენ კედლებში შესასვლელებია გაკეთებული. მათგან დასავლეთის შესასვლელი შიგნიდან ნალისებური თალითაა დასრულებული. სამლოცველო გადახურული ყოფილა კამარით. ინტერიერში მთელ ფართობზე კრიპტაა მოწყობილი, რომლის კამაროვანი გადახურვა ახლა დაზიანებულია განძთ მაძიებლების მიერ. მის სამხრეთ ნაწილზე არქეოლოგიური გათხრების გარეშე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ის აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხრიდან თალით ყოფილა გახსნილი, რომლებიც ჩრდილოეთის ფეხით ეკვდერის სამხრეთ კედელზე ერთგვარი კრონშტეინების საშუალებით ყოფილა დაყრდნობილი. როგორც ჩანს, აქ საქმე უნდა გვექონდეს საძვალეზე აგებულ სამლოცველო-ეკვდერთან სამხრეთის გალერეით.

როგორც ცნობილია, ტერმინი „სამეკლესიანი ბაზილიკა“ გ. ჩუბინაშვილის დამკვიდრებულია. მისეული დათარიღებით ამ ტიპის ბაზილიკათა მშენებლობა საქართველოში VI-XI სს. მოიცავს (Чубинашвили, 1959, сс. 141-200). სამწუხაროდ, თელის ტაძრები იმდენად დანგრეულია, რომ ძირითადი მახასიათებლები, რითაც შეიძლებოდა მათი უფრო ზუსტი დათარიღება გაწმენდა-გათხრის გარეშე შეუძლებელია. თუმცა ერთზე - სამეკლესიან ბაზილიკაზე - კარგად ჩანს შემდგომი გადაკეთების კვალი: ამჟამად შემორჩენილი დასავლეთის გარშემოსავლელის ჩრდილოეთი ნაწილის სენაკად გადაქცევისა და მასზე მეორე სართულის დაშენების სახით⁶⁴.

შესაძლოა, სწორედ ამ გადაკეთება-განახლებაზე იყოს საუბარი სამეკლესიანი ბაზილიკის ნანგრევებში მიკვლეულ წარწერაში, რომელიც, ამავე დროს, კომპლექსის ისტორიის შესახებ ერთადერთი ისტორიული წყაროა. ესაა 7-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ტაძრის არქიტრავის ქვაზე, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას დიდი ტაძრის ნანგრევებში უპოვია 1983 წელს⁶⁵ (სურ.11). ნ. ხარშილამის წაკითხვით წარწერა ასეთი შინაარსისაა: „წ. იბაკოი, ზეცისა ძალთა უხორცოთა მთავარნო, მიქაელ და გაბრიელ, დაგუიფარენ საფარველთა ფრთეთა თქუენტასა მორწმუნე მეფე ალექსანდრე და თანამეცხედრე მისი დედოფალი თინათინ. წ. ჩუენ, ღმრთივ გვირგვინოსანმან, მეფეთმეფემან ალექსანდრემ და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედოფალმან თინათინ აღვაშენეთ ...ი მეორედ...“. წარწერას ნ. ხარშილამე 1574-1594 წლებით - თინათინის დედოფლობის პერიოდით ათარიღებს (ხარშილამე, 2014, გვ. 159-167).

ამდენად, კომპლექსის შესახებ ცნობილი ხდება, რომ ადრე აშენებული ეკლესია კახეთის მეფე ალექსანდრე II-სა და მის მეუღლეს, დედოფალ თინათინს, 1574-1594 წლების შუალედში განუახლებიათ. თუ წარწერის პირველ ნაწილში მეფე-დედოფლის მთავარანგელოზთა მიმართ ვედრებას გავითვალისწინებთ, ცხადია, მათ მიერ განახლებული ტაძარი მიქაელისა და გაბრიელის სახელობის ყოფილა.

ქართულ ნარატიულ და სამართლებრივ წერილობით წყაროებში ისტორიული პერეითის ამ ნაწილში მდებარე ეკლესია-მონასტრებს შორის მხოლოდ ერთგან ჩნდება მთავარანგელოზთა

⁶⁴ განიცადა თუ არა ორეკლესიანმა ბაზილიკამაც განახლება-გადაკეთება, ძნელი სათქმელია, რადგან შემორჩენილ ნაწილზე ასეთის კვალი ამ ეტაპზე არ ჩანს.

⁶⁵ წარწერა დაცულია ლაგოდების მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

სახელობის მონასტერი. ესაა 1598 წლის ქართლის საკათალიკოსო მიწების განახლების საბუთი, გაცემული ალექსანდრე II კახთა მეფის მიერ; მასში საკათალიკოსო მიწების ჩამოთვლისას ნახსენებია ბარაუნთის მთავარანგელოზთა მონასტერი თავისი შესავლით⁶⁶ - „ქუეყანა ბარაუნთა - შვიდი სამამასახლისო სოფელნი და მონასტერი მთავარანგელოზთა, მისითა შესავლითა“ (ქარ. ისტ. საბ. კორპ. V, 1598⁶⁷). ტოპონიმი ბარაუნთა ქართულ ისტორიულ საბუთებში ჩნდება 1537 წლიდან, როცა ლევან კახთა მეფე ბარაუნთას მამის, ავ-გიორგის, სააღაპოდ სწირავს სვეტიცხოველს (ქარ. ისტ. საბ. კორპ. V, 1537). აქედან მოყოლებული 1598 წლამდე ბარაუნთა სვეტიცხოვლისადმი მამულების შეწირულობა-განახლების ყველა სიგელში ფიგურირებს, რომელთაც ალექსანდრე II კახთა მეფე გასცემდა.

რას წარმოადგენდა და სად მდებარეობდა ბარაუნთა?

ლევან მეფის 1537 წლის, ასევე ალექსანდრე მეფის 1589 (მ. სურგულაძის მიერ გადათარიღებულია 1579 წლის სიგელი) და 1598 წლების სიგელებით ბარაუნთა ქვეყანაა - თემია, რომელიც რამდენიმე სოფელს აერთიანებდა (1589 წ(1579 წ.) სიგელით „ბარაუნთ, რაც მცხეთის არის სოფელნი, მონასტერნი“; 1598 წ. სიგელის მიხედვით - „ქუეყანა ბარაუნთა - შვიდი სამამასახლისო სოფელნი“). ამ სოფლებიდან საბუთებით ვიცით ქვემო გაჟღოტი (1537 წ. სიგელი) და წმ. გიორგის უბანი (ნახსენებია 1537 წლის სიგელის XVI ს. ბოლოს ალექსანდრესეულ დამტკიცება-მინაწერში). ამავე საბუთებით ბარაუნთის თემში რამდენიმე ათეული კომლი ცხოვრობს, ესენი იყვნენ: იანბერამენი, ჯანაანნი, ყუერწითელაანი, ცუგაანი, ბაზიერნი, გენგასმენი, ჩხუპიანნი, მთავარაანი, პავლაანი, ყიზილაანი, შურიანნი (1537, 1579 წწ. სიგელები) (ქარ. ისტ. საბ. კორპ. V, 1537, 1579, 1598).

ბარაუნთის თემის მიახლოებითი ლოკალიზება შესაძლებელია 1579, 1589 (1579 - ძველი თარიღით) და 1598 წლის სიგელებით. 1589 წლის სიგელში სვეტიცხოვლისადმი ბოძებული მიწების ის ნაწილი, რომელიც ალაზნანგაღმა მდებარეობდა, ამ თანმიმდევრობითაა ჩამოთვლილი: „ალაზნანს გაღმა, ფიჩხოვანს თორმეტი მთელი მამული საგლეხო; ორი კომლი გლეხი პანკისსა და თორმეტნი კომლნი ვაჭარნი სომეხი და ურია; გრემს ორნი გლეხნი; გვერდისძირს, ვეძისხევს მონასტერი ვარცანისა და სოფელი ვეძისხევი; გიორგიწმინდა; გოგაანი; ღელისუბანი; ქორეთი; სეფორის ღელე და ბაწკინტელის ღელე, ორნივე მთითა და ბარითა; ჩელტს გამოღმა, გრემის კერძად, დაბლა, თეთრს კლდედმი, სოფელი ფაშაანი; გავას საკუამლო შვიდი და ზვარი ერთი; ბარაუნთ, რაცა მცხეთის სოფელნი, მონასტერნი, საკონე, საფიჩხულე, სათევზითა; ლაგოდეხი, ღანუხი, რაც მცხეთისა არს; ვარდიანში შვიდი მთელი საკუამლო, ჭარანს ხუთი მთელი საკუამლო; ელისენში ლერწანი და სოფელი კულენანი; ბაზარს სასახლე, საყდარი და თვრამეტი კომლი ურია და სომეხი“ (ხარშილაძე, 2014, გვ. 37-38; თაყაიშვილი, 1899, გვ. 9-10; ქარ. ისტ. საბ. კორპ. V, 1598).

მსგავს ტექსტს ვხვდებით 1598 წლის სიგელშიც: „ფიჩხოვანს კომლი ხუთი; შილდას მონასტერი ვარცანისა ღვთისმშობელი; სოფელი ვეძისხევი ქვემო თეთრს კლდედმი; სოფელი ფაშაანი; გავაზს, რაც მცხეთის მამულნი არიან, ზუარი და შვიდი კომლი კაცი; ქუეყანა ბარაუნთა შვიდი სამამასახლისო სოფელნი და მონასტერი მთავარ-ანგელოზთა, მისითა შესავლითა; ლაგოდეხი, ღანუხს კომლი კაცი ორმოცი; ბაზარს ოცდა შვიდი კომლი კაცი ვაჭარი, სომეხნი და

⁶⁶ აღნიშნული საბუთის დედანი დაკარგულია, ხოლო პირი გადაწერილია XX ს. დასაწყისში ს. კაკაბაძის მიერ. წერილში მითითებული ქორონიკონი ნაკლულია, რის გამოც ჯერ - თ. ჟორდანიამ, ხოლო შემდეგ ი. დოლიძემ ეს საბუთი გამოაქვეყნა, როგორც 1392 წლის საბუთი (ქარ. სამ. წიგნ. 1970, გვ. 180; ჟორდანი, 1897, გვ. 197; ქარ. ისტ. საბ. კორპ. 2016, გვ. 424).

⁶⁷ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის V ტომი ჩაშვებულია დასაბეჭდად, ამიტომ აქაც და შემდგომშიც ამ ლიტერატურის დამოწმებისას წიგნის გამოცემის თარიღის მაგივრად იდენტიფიკაციისთვის მივუთითებთ ტომის რიგს, ხოლო გვერდის მაგივრად საბუთის თარიღს, რომელიც შემდგენლის მიერ წიგნში სიგელის სათაურის საწყისადაა გატანილი.

ურიანი; ენისელში სოფელი კუნელნი და წინუბანი, სხვანი მამულნი და აგარაკნი არიან“ (ქორდანი, 1897, გვ. 197; ქარ. ისტ. საბ. კორპ. V, 1598).

აქ ჩამოთვლილი ტოპონიმებიდან გრემს, ჩელთისწყალს, გავაზს, ლაგოდებს, ჭარსა და ენისელს ასახელებს ვახუშტიც (ვახუშტი, 1973, გვ. 543-547). იოანე ბაგრატიონის მიხედვით კი ფიჩხოვანი - გაღმა მხარის; გრემი, ფაშაანი, გვერდისძირი და ვეძისხევი - ლოპოტის ხეობის; გავაზი - ნეკრესის; ლაგოდები - ალაზანგაღმის; ხოლო დანუხი, ვარდიანი, ჭარი (იგივე ფიფინეთი) და ბაზარი - ენისელის მხარის სოფლებად დასახელებული (ბაგრატიონი, 1986, გვ. 70-72). რაც შეეხება, გიორგიწმინდას, გოგაანს, ღელისუბანს, ქორეთს, სეფორის ღელესა და ბაწკინტელის ღელეს, ისინი გრემსა და ვეძისხევის შემოგარენში მდებარე სოფლებია, რადგან ასეთივე თანმიმდევრობით ჩამოთვლილია 1579 წლის სიგელში, რომელშიც მხოლოდ ამ მიწების სვეტიცხოვლისადმი შეწირვაზეა საუბარი (ქარ. ისტ. საბ. კორპ. V, 1579)⁶⁸.

ექვგარეშეა, აღნიშნულ სიგელებში ალაზნის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ტოპონიმები დასახელებული და შემდგომისდაგვარად ისინი დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენაა დალაგებული: ფიჩხოვანის აღმოსავლეთითაა გრემი, გრემის აღმოსავლეთით - გვერდისძირი, რომელიც სოფ. ენისელი უნდა იყოს (ხარაძე, 2010, გვ. 152), მის აღმოსავლეთით - ვეძისხევი თავისი ვარცანის მონასტრით და ფაშაანი - ორივე დღევანდელი შილდის ტერიტორია, მათ აღმოსავლეთით - გავაზი, შემდეგ ლაგოდები, ლაგოდების აღმოსავლეთით დანუხი, უფრო აღმოსავლეთით ჭარი, ენისელი და კიდევ უფრო აღმოსავლეთით ბაზარი (სურ.12). ამდენად, ვფიქრობთ, ბარაუნთა, რომელიც გავაზსა და ლაგოდებს შორისაა მოხსენიებული, მანდვე უნდა ყოფილიყო.

იმავე შუალედშია ნაგულისხმები ბარაუნთა 1579 წ. სიგელში, რომლითაც ბარაუნთის სვეტიცხოვლისადმი შეწირვა მტკიცდება: „ვინცა და რამანცა კაცმან... გამოსწიროს და გამოახოს ცათა მობაძვსა კათოლიკე ეკლესიასა მცხეთისა საყდარსა ესე ბარაუნთათ მონასტერი ხატისკარი მისით შესავლითა და ორმოცდაორი კუამლი კაცი, და რაც ბატონს ჩუენს ძმას გიორგის შემოეწირა, ისიც, ჩუიღმეტი კომლი კაცი იანბერიძენი, ჯანაანი, ყუერწითელაანი, ცუგაანი, ბაზიერნი, გენგასძენი, ჩხუპიანი, მთავარაანი, ალაზანზედა საწისქუილე, საკონე და საფიცხულე. ასრე რომე, ბოეთანს ზედათ და ინაბოტის წყალს ქუეშეთ წინ ვერავინ ჰკადროს და გარდაუდგას“ (ქარ. ისტ. საბ. კორპ. V, 1579). ამ სიგელის თანახმად, ბარაუნთის თემი ალაზანს, ინაბოტსა და ბოეთანს შორის მდებარეობს. ინაბოტი დღესაც ჰქვია მდინარეს, რომელიც სოფ. ლელიანის ტერიტორიაზე (წმ. თევდორეს ეკლესიის დასავლეთით) მიედინება და ალაზანს ერთვის. რაც შეეხება ბოეთანს, ის ვახუშტის მიხედვით ალაზნისა და ბელაქნისწყლის ხერთვისში მდებარეობდა, იოანე ბატონიშვილის მიხედვით კი ენისელის მხარის სოფელი იყო. დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ბელაქნის რაიონში, მოიაზრებს მას ლ. ჭილაშვილიც (ვახუშტი, 1973, გვ. 540-541; ბაგრატიონი, 1986, გვ. 71; ჭილაშვილი, 1980, გვ. 211-218).

ამ ისტორიული საბუთებით გამოდის, რომ ბარაუნთა მდ. ინაბოტსა და ლაგოდებს შორის მდებარე ქვეყანა-თემია⁶⁹, რომლის მიდამოებში სიგელები სამ სალოცავს ასახელებს:

⁶⁸ ამ ტერიტორიის გარდა, გიორგიწმინდა ისტორიულ წყაროებში საგარეჯოსთანაა ფიქსირებული (ბაგრატიონი, 1986, გვ. 66), ღელისუბანი - გუჯარეთის ხეობასა და ცხინვალთან (ბაგრატიონი, 1986, გვ. 33,41), ქორეთი - პანკისის მიწებს მიეწერება (ბაგრატიონი, 1986, გვ. 70).

⁶⁹ რა შეიძლება ითქვას ბარაუნთის საზღვრებთან დაკავშირებით? ვინაიდან სოფ. თელა პატარაა, წყაროების მიხედვით კი ბარაუნთა არა სოფელი, არამედ თემია, ამიტომ, ბუნებრივია, ბარაუნთის ტერიტორია, თელის გარდა, გარშემო მდებარე სოფლებსაც უნდა გულისხმობდეს - კართუბანსა და ცოდნისკარს. ერთიც და მეორეც სოფლების ამჟამინდელი სახელებია და არა ისტორიული ტოპონიმები, რომლებიც იდენტიფიცირებული არაა. ამ სოფლების ბარაუნთის თემში მოაზრებას ისიც გვაფიქრებინებს, რომ სიგელების მიხედვით ბარაუნთის თემის სამეურნეო მიწები სამხრეთით ალაზანამდე აღწევდა. ვინაიდან ჩრდილოეთით თელას კავკასიონის ერთ-ერთი ის ქედი აკრავს, რომელზეც მდებარეობს

მთავარანგელოზთა და ხატისკარის მონასტრები, ასევე წმ. გიორგის საყდარი ამავე სახელობის უბანში. ამათგან 1537 წლის სიგელის XVI ს. ბოლოს გაკეთებული მინაწერით წმ. გიორგის უბანში მდგარი საყდარი გედევან მაღალაძის საკუთრებაა, ხატისკარი და მთავარანგელოზთა მონასტრები კი თავისი შესაგებლით - სვეტიცხოვლის კუთვნილი. ხატისკარის მონასტერი სვეტიცხოველს 1579 წლის სიგელით ებოძა, მთავარანგელოზთა მონასტერი კი - მხოლოდ 1598 წ. ს (ქართ. ისტ. საბ. კორპ. V, 1579, 1598).

მაშასადამე, ერთი მხრივ, გვაქვს ისტორიული საბუთებით მდ. ინაბოტსა და ლაგოდებს შორის მდებარე ქვეყანა ბარაუნთა თავისი წმინდა გიორგის ეკლესიით, ხატისკარისა და მთავარანგელოზთა მონასტრებით, ხოლო, მეორე მხრივ - ამავე არეალში მდებარე დღევანდელი სოფელი თელა ხუროთმოძღვრული კომპლექსით, რომლის ერთი ეკლესია სამშენებლო წარწერით მთავარანგელოზთა სახელობის ყოფილა.

ისმის კითხვა: ერთი და იგივე ისტორიული ბარაუნთა თავისი მთავარანგელოზთა მონასტრით და დღევანდელი სოფ. თელა თავისი კომპლექსით თუ სხვადასხვა?

აღნიშნულ სიგელებში ნახსენები მთავარანგელოზთა მონასტერი გასაგებია, რომ მთავარანგელოზების სახელის მატარებელი მონასტერია. რაც შეეხება ხატისკარის მონასტერს, მასში კონკრეტული წმინდანის სახელობა არ ჩანს. ხელოვნებათმცოდნე გ. გაგომიძის მოსაზრებით, ის უნდა გულისხმობდეს რომელიღაც მნიშვნელოვანი ხატის სავანე ეკლესიას, რომელმაც შემდეგ ამ ტაძრის მდებარეობის მიკროტოპონიმშიც პოვა ასახვა⁷⁰.

ასეთი სიტყვათმეთანხმების არსებობის სხვა შემთხვევა ჩვენთვის ცნობილ ისტორიულ წყაროებში არ ფიქსირდება, თუმცა დღემდე შემორჩენილი ხატთან შეწყვილებული ტერმინები (ხატის ტყე, ხატისუღელი, ხატის მინდორი და სხვ.). ამავე დროს, ცნობილია ტოპონიმი ხატისოფელი და ხატისწობენი. პირველი ქართლში მდებარე სოფელია (ქარ. ისტ. საბ. კორპ. 2016, გვ. 426; ქარ. სამ. ძეგ. 1970, გვ. 622, 707-708), ხოლო მეორე - კახეთში, რომელიც სვეტიცხოვლის კუთვნილება იყო (ქარ. ისტ. საბ. კორპ. 2014, გვ. 254; ქარ. სამ. ძეგ. 1970, გვ. 253; ხარშილაძე, 2014, გვ. 38).

ა. შანიძის განმარტებით, აღმ. საქართველოს მთაში „ხატი“, ერთი მხრივ, „საზოგადო სახელია სხვადასხვა სავედრებელი არსებისათვის, რომლებიც აგრეთვე ჯვარის სახელწოდებით არის ცნობილი: კოპალა, იახსარი, კვირია, გუდანის ჯვარი, ლაშარის ჯვარი და სხვა „ჯვარები“, ხოლო, მეორე მხრივ, „სამლოცველო ადგილია, სადაც ჩვეულებრივ მცირე შენობაა აგებული“ (შანიძე, 1984, იხ. „ხატის“ განმარტება).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, ხატისკარის, ხატისოფლის თუ ხატისწობენის შემთხვევაში ზოგადად უნდა მოვიაზროთ ხატი ან სალოცავი ადგილი, რომელიც ერთნაირად შეიძლება ყოფილიყო როგორც რომელიმე წმინდანის, ისე უფლისა, ღვთისმშობლისა თუ მთავარანგელოზთა.

საინტერესოა ისიც, რომ ხატისკარის მონასტერს 1579 წელს ალექსანდრე მეფე სწირავს სვეტიცხოველს. შემდგომი წლების სიგელებში, რომლებშიც მეფე აახლებს თავის შეწირულობებს სვეტიცხოვლისადმი, მხოლოდ უთითებს ბარაუნთს, რომელიც მცხეთის კუთვნილი არისო. იმავე მიწების გაახლების 1598 წლის სიგელში კი უკვე ხატისკარის მაგივრად ბარაუნთაში

მთავარანგელოზთა მონასტერი, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის თემის ბუნებრივი საზღვარიც იყო. რაც შეეხება დასავლეთ-აღმოსავლეთით მის განვრცობას, ამ შემთხვევაში მსჯელობა ძნელია, რადგან მდ. ინაბოტსა და ლაგოდებს შორის საკმაოდ ვრცელი ტერიტორიაა და ამხელა ტერიტორიაზე ის ვერ იქნებოდა გადაჭიმული, მით უფრო, რომ იმავე პერიოდის წყაროებში კარგადაა ცნობილი მდ. ინაბოტის ნაპირებზე გაშლილი სოფელი არბუხი (იხ. ქვემოთ), ხოლო უფრო სამხრეთით, ალაზნისკენ, ჭიაური, რომელიც სამოურავოს ცენტრია (ვახუშტი, 1973, გვ. 544; 568).

⁷⁰ მაღლობას ვუხდი ბატონ გიორგი გაგომიძეს გაწეული კონსულტაციისთვის.

მთავარანგელოზთა მონასტერი ჩნდება (იმ დროისთვის თელის მთავარანგელოზთა ტაძრის საამშენებლო წარწერის მიხედვით ტაძრის გაახლება უკვე დასრულებულია!).

ისმის კითხვა: ხომ შეიძლება მთავარანგელოზთა მონასტერი იგივე ხატისკარის მონასტერი იყოს? თუ დავუშვებთ, რომ სიგელებში ნახსენები მონასტრები სხვადასხვაა, მაშინ მდ. ინაბოტიდან ლაგოდეხამდე ტერიტორიაზე უნდა ვეძებოთ, ერთის მხრივ ერთმანეთთან ისე ახლოს მდებარე საკულტო ნაგებობები, რომ XVI ს. მეორე ნახევრისთვის ერთი თემის კუთვნილი ყოფილიყო, მეორე მხრივ კი სამონასტრო კომპლექსებს წარმოადგენდა. დღესდღეობით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემორჩენილი ძეგლების გეოგრაფიულ განლაგებას თუ დავუკვირდებით, ერთადერთი, სადაც რამდენიმე საკულტო ძეგლია თავმოყრილი ერთმანეთის სიახლოვეს, არის აფენისა და ლელიანის თემები იქ მდებარე ლელიანის წმ. თევდორეს, ქალქის ჭრელი საყდრის, ონანაურის ღვთისმშობლისა და ფოდანის წმ. გიორგის ეკლესიებით. ამათგან წმ. თევდორეს ეკლესია სამეკლესიანი ბაზილიკაა, რომელიც სწორედ ალექსანდრე კახთა მეფის დროს განაახლდა და მიშენდა სამრეკლო (Чубинашвили, 1959, cc. 193-195, 199), ხოლო დანარჩენი სამი საკმაოდ მცირე ზომის დარბაზული ეკლესიაა, რომელთაგან ერთში - ღვთისმშობელში - შემორჩენილია XVI-XVII სს.-ების ხალხური მხატვრობა (სურ.13). ამავე დროს, ამ უკანასკნელთა გარშემო არანაირი კვალი არ შეინიშნება, რომ მათთან ყოფილიყო სხვა ნაგებობებიც, რომლებიც, შესაძლოა, სამონასტრო ცხოვრებისთვის საჭირო ნაგებობათა ნაშთებად მიგვეჩნია. რაც შეეხება წმ. თევდორეს ეკლესიას, როგორც აღინიშნა, ის ისტორიულ წყაროებში ცნობილია, როგორც ამავე სახელწოდებით მოქმედი ტაძარი, რომელშიც თავად ამა ალავერდელმა სწირა 1606 წელს და ვიცით იმ სოფლის სახელიც, სადაც ის იდგა - არბუხი (Белокрыов, 1889, cc. 195-196; არჩილი, 1973, სტრ.273). ეს სოფელი ალავერდის მონასტერს ეკუთვნოდა (ხარშილამე, 2014, გვ. 23-26).

რაც შეეხება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სხვა საკულტო ნაგებობებს, რომლებიც შესაძლოა გვიანი შუა საუკუნეებისთვის სამონასტრო კომპლექსებად მოგვეაზრებინა, არის მხოლოდ სოფ. ფონის სამების ეკლესია (მის გარშემო შემორჩენილია გალავნის და სხვა მცირე ზომის ნაგებობათა ზეპირკვლის დონეზე დანგრეული ნაშთები. თავად სამების ეკლესია, როგორც ჩანს, ასევე XVI ს-ის II ნახევარშია განაახლებული, რადგან მისი სამრეკლო იდენტურია წმ. თევდორეს ეკლესიის სამრეკლოსი) და სოფ. თელის მთავარანგელოზთა კომპლექსი. ამ ორიდან ალბათობა უფრო მეორისკენ იხრება, რადგან ისტორიული სიგელები და იქ აღმოჩენილი საამშენებლო წარწერა ერთმანეთთან თანხვედრაში სწორედ ამ შემთხვევაში მოდის.

ამრიგად, გეოგრაფიული, არქიტექტურული, ისტორიული და წყაროთმცოდნეობითი მონაცემების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ისტორიულ სიგელებში ნახსენები ბარაუნთის ქვეყანა-თემი უნდა ყოფილიყო დღევანდელი სოფლების – თელა-კართუბან-ცოდნისკარის – შემოგარენი, ხოლო მის სანახებში მოხსენიებული მთავარანგელოზთა მონასტერი – იგივე თელის ქედზე მდგარი მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის კომპლექსი, რომელსაც შესაძლოა ასევე ხატისკარის მონასტერს ეძახდნენ.

ის, რომ სოფელი ბარაუნთა იოანე ბატონიშვილის მიერ 1799 წელს შედგენილ ქართლ-კახეთის სამეფოს აღწერაში არ ფიგურირებს (ბაგრატიონი, 1986, გვ. 71), ნათლად მეტყველებს - XVIII საუკუნისთვის ის, როგორც ქვეყანა და დასახლება, აღარ არსებობდა.

ლიტერატურა:

1. არჩილი (1937). გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა. თხზულებათა სრული კრებული. აღ. ბარამიძისა და ნ. მუსხელიშვილის რედაქციით. ტ.2, თბილისი. საქ. სახელმ. მუზეუმის გამოცემა.
2. ვახუშტი ბატონიშვილი (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი. საბჭოთა საქართველო.

3. თაყაიშვილი, ე. (1899). საქართველოს სიძველენი. I. ტფილისი. წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის სტამბა.
4. ბაგრატიონი, ი. (1986). ქართლ-კახეთის სამეფოს აღწერა. საქართველოს ისტორიის წყაროები. 41. თბილისი. მეცნიერება.
5. ჟორდანიას, თ. (1897). ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. წ.2. ტფილისი. კ.ი. მუხრან-ბატონის გამომცემლობა.
6. ქართული სამართლის ძეგლები. (1970). ტექსტები მოამზადა ი. დოლიძემ. III. თბილისი. მეცნიერება.
7. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. (2014). გამოსაცემად მოამზადა მ. სურგულაძემ. III. თბილისი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
8. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. (2016). გამოსაცემად მოამზადა მ. სურგულაძემ. IV. თბილისი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
9. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. (2021). გამოსაცემად მოამზადა მ. სურგულაძემ. V. თბილისი. (წიგნი ბეჭდვის პროცესშია).
10. შანიძე, ა. (1984). ქართული კილოები მთაში. თხზულებანი. ტ.1. თბილისი. მეცნიერება.
11. ჭილაშვილი, ლ. (1980). კახეთის ქალაქები. თბილისი. მეცნიერება.
12. ხარაძე, კ. (2010). კახეთის ისტორიული გეოგრაფია XVIII ს. თბილისი.
13. ხარშილაძე, ნ. (2014). კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის წერილობითი მემკვიდრეობა. თბილისი.
14. Белокуров, С. (1889). Сношения России с Кавказом. Вып.-I. Москва.
15. Чубинашвили, Г. (1959). Архитектура кахетии. Тбилиси. Издательство Академии Наук Грузинской ССР.

ფოტოების აღწერილობა:

- სურ. 1 - სიტუაციური რუკა
- სურ. 2 - „სამეკლესიანი ბაზილიკა“. ჩრდ. ეკლესია და კოშკი
- სურ. 3 - „სამეკლესიანი ბაზილიკის“ ჩრდ. ეკლესია
- სურ. 4 - „სამეკლესიანი ბაზილიკის“ ჩრდ. ეკლესიის პასტოფორიუმი
- სურ. 5 - „სამეკლესიანი ბაზილიკის“ ჩრდ. ეკლესიის პასტოფორიუმში შესასვლელი
- სურ. 6 - „სამეკლესიანი ბაზილიკის“ ჩრდ. ეკლესიის ამოშენებული დასავლეთი ნაწილი
- სურ. 7 - „სამეკლესიანი ბაზილიკის“ გადაკეთებული დასავლეთის გარშემოსავლელი
- სურ. 8 - საფლავზედა სამლოცველო, ხედი ჩრდილოეთიდან
- სურ. 9 - საფლავზედა სამლოცველო, ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან
- სურ. 10 - საფლავზედა სამლოცველო, დასავლეთის ნაწილი
- სურ. 11 - „სამეკლესიანი ბაზილიკაში“ აღმოჩენილი წარწერა
- სურ. 12 - ისტორიული ტოპონიმების რუკა
- სურ. 13 - ისტორიული ძეგლების რუკა

For the identification of the Tela complex in Lagodekhi


Ketevan Digmelashvili

National Agency for Cultural Heritage Preservation Georgia

Summary

The problem of studying monuments and historical sites in the Gagma Mkhari region of Kakheti is due to the lack of historical memory in this region. One of these monuments is the architectural complex that is located near the village Tella in the municipality of Lagodekhi. The architectural complex of the upper middle ages consists of a basilica in three naves and a eukterion. According to the inscription found in the basilica, it bore the name of the Archangels and was rebuilt by Aleksander II the king of the kingdom of Kakheti and his wife Tinatin in 1578-1594.

The monastery in the name of Archangels in the region of Gagma Mkhari - that is, the historic region of Kakheti, between the Alazani River and the Caucasus, appears in the acts of the king of the kingdom of Kakheti Aleksander II. In these acts it is mentioned as the monastery is found in the places of the village Barâunta which was given by the king to the monastery of Svetitskhoveli. The analysis of these acts and the comparison of that with geographical data gives us the possibility to identify Barâunta as the village was between the river of Inaboti and the city Lagodekhi. For in this territory the monastery near the village Tella is the only one that bears the name of Archangels, we think that, it must be the same monastery as the monastery of Archangels of the village Barâunta.



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7



სურ. 8




სურ. 9



სურ. 10



სურ. 11



სურ. 12

თბილისის აღმოსავლეთით ივრის ზეგანზე სამგორის მაღლობსა და ცივგომბორის ქედს შორის მდებარე ტერიტორია დღევანდელი საგარეჯოს რაიონი, სა-გარეჯო მიწები, ისტორიული გარეკახეთია.

XV საუკუნემდე საგარეჯო დოკუმენტებში თვალის სახელით მოიხსენიება. თვალის ტოპონიმიკაზე ცალკე ცნობები არ არსებობს. თუ სულხან საბას ლექსიკონის მიხედვით ვიმსჯელებთ "თვალად ითქმის წყაროთა გამოსადენელი." თუ გავითვალისწინებთ, რომ ძველი საგარეჯოს ტერიტორია დასერილი იყო ცივგომბორის ქედიდან გამომდინარე პატარა მდინარეებით, ან ხევებით როგორც ადგილობრივები ეძახიან და საგარეჯოს ჩრდილო-დასავლეთით მდებარე დღევანდელი სათავის (შესაძლოა სათვალის) ტყე განთქმული იყო იშვიათი გემოვნების წყაროებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სოფელ თვალის სახელიც აქედან მომდინარეობდა. ცნობილი გერმანელი მეცნიერიც გიულდენშტედტი ამ დასახლებულ ადგილზე ჩამავალ მდინარეს - ხევს "თვალწყაროდ" მოიხსენიებდა.

ძველი საგარეჯოს ტერიტორია, ან როგორც მას უწოდებდნენ, სოფ. თვალი გარშემორტყმული ყოფილა გალავნით.... გალავანი XVII საუკუნის შუა წლებში უნდა ყოფილიყო აშენებული, გარე კახეთში, კერძოდ გარეჯის მონასტერში შაჰ - აბასის შესევისა და ბერების ამოხოცვის საშინელი ტრაგედიის შემდეგ, დასახლებული პუნქტის გამაგრების მიზნით. XVIII საუკუნეში ცნობილი გერმანელი მოგზაურის გიულდენშტედტის საქართველოში მოგზაურობისას საგარეჯოს გალავანი უკვე დიდი ხნის აშენებული უნდა ყოფილიყო, რადგან მოსახლეობის ნაწილი გალავნის გარეთ იყო დასახლებული"ეს დაბა მდებარეობს თვალწყაროზე...საგარეჯო გარშემორტყმულია გალავნით, თუმცა სახლების უმეტესობა გალავნის გარეთაა ... მის ირგვლივ გაშენებულია ვენახები, დარგულია დიდი რაოდენობით ხეხილი". [ი. გიულდენშტედტი. 1962, ფ.16, 19].

გალავნის არსებობას ადასტურებს XX საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსი გიორგი ბოჭორიძე, რომელმაც ოციან წლებში გარეკახეთში ეკლესია მონასტრების შესწავლის მიზნით ჩატარებულ ექსპედიციის დროს მოინახულა გალავანი. მიუხედავად მისი საკმაოდ დაზიანებისა, მეცნიერი ნაგებობას მაღალ შეფასებას აძლევდა:....."ეს გალავანი არის ნამდვილი ისტორიული ძეგლი, რომელიც ყოველისმხრივ ხელშეუხებელი და სასტიკად დაცული უნდა იქნეს.... " საგარეჯოს გალავანი, რომელშიც გადმოცემით მტრის შემოსევის დროს თავს იფარავდა თვით საგარეჯოს, გიორგი წმინდის და ნინოწმინდის მოსახლეობა, მის მცხოვრებთ საშინლად დაუზიანებიათ, მათ გალავნის კედლები ყოველ მხრივ გაუნგრ-გამოუნგრევიათ, ვისაც საით უნდოდათ კარები იქით გაუყვანია, ბურჯ - კედლების ზევით ნაწილი მოუნგრევია და ზედ სახლები დაუშენებია, სხვებს უქცევიათ იგი და საშენებელ მასალად, დაუყიდნიათ" [სცა, ფ. 1753, ან.1, საქ. 4, ფ. 92ა] გასული საუკუნის ოციან წლებში შემონახული ყოფილა მხოლოდ ჩრ. აღმოსავლეთის და სამხრეთის კედლები. ძეგლის შესწავლისას აღმოსავლეთით კედლის სიახლოვეს ერთ-ერთი მაცხოვრებლის ეზოში უპოვნია საკმაოდ დაზიანებული წარწერებიანი ქვა, ზომით 14/10, კედლიდან ძალით ჩამოგდებული, რადგან ძლიერ დაზინებული ყოფილა, მასზე შემორჩენილი იყო მხოლოდ რამოდენიმე ასო, ამიტომ შინაარსის გამოტანაც შეუძლებელი ყოფილა:

"იგ. მყოფს

სარქის მ

ნეთ ქვ სუ" [ფ. 1753, ან. 1, საქ. 105, გვ.22].

გიორგი ბოჭორიძე წარწერას და გალავნის აშენებას XVIII საუკუნეს მიაკუთვნებს.

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერმა დაუყოვნებლივ მიმართა ადგილობრივ ხელისუფლებას და აცნობა გალავნის განგებ დაზიანების შესახებ, ადგილობრივმა მოსახლეობამ კვლავ გააგრძელა გალავნის დაშლა... [ფ. 1753, ან. 1, საქ. N 4, ფ.97]. სამწუხაროა, რომ დღეს გალავნის კვალი საერთოდ აღარ არსებობს.

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან კავშირი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია იმისა, რომ საგარეჯოს ტერიტორიაზე უამრავი საკულტო ტაძარია აშენებული. ამ ტაძრების მასიური შესწავლა XX საუკუნის 20--იანი წლებიდან დაიწყო.

მანამდე XIX საუკუნის შუა ხანებში დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსით დაინტერესდა, მოინახულა და აღწერა კავკასიის მეფისნაცვალმა, კავკასიის ცალკეული კორპუსის მთავარსარდალმა და მოგზაურმა ნიკოლოზ მურავიოვმა (ნიკოლოზ მურავიოვი, კავკასიის მეფისნაცვალი 1854-1856 წწ. კავკასიის ცალკეული კორპუსის მთავარსარდალი და მოგზაური.). ეროვნულ არქივში დაცულია საარქივო მასალა მისი მოგზაურობის შესახებ. მურავიოვი იმ პერიოდის ერთ-ერთი მოგზაურია, ვინც დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსზე საინტერესო ინფორმაცია გამოაქვეყნა.

როგორც მოგზაური აღნიშნავს, დავით-გარეჯის მონასტერი (აღბათ გულისხმობდა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსს) განლაგებულია ტიფლისის სამხრეთ აღმოსავლეთისკენ, მთიან ფერდობზე, მდინარე მტკვრისა და იორის შორის, ყარაიზისგან მარცხნივ, იოანე ღვთისმეტყველის მონასტრიდან თითქმის 10 კილომეტრის დაშორებით...ქრისტიანობის საწყისიდანვე გარეჯის ქედი გადაიქცა ბერების საცხოვრებლად, მთავარი სავანის ფუძემდებელი იყო VI საუკუნეში სირიიდან გადმოსული ცამეტი ბერიდან ერთ-ერთი - მღვდელი დავითი. თავდაპირველად უწმინდესი დავითი დასახლდა მთაწმინდის ფერდობზე ტიფლისში, ხოლო საბოლოოდ საცხოვრებელი ადგილი დაიმკვირა გარეჯში. დავითის მონასტერი გადაიქცა ცენტრად, საიდანაც მისი მოწაფეები გადანაწილდნენ და გადასახლდნენ გარეჯის მიდამოებში. ამის შედეგად შეიქმნა 11 უდაბნო, კერძოდ 1. კვირაცხოვლობის -წამებულთა; 2. ბერთუბანის ანუ ბერთა კვარტლის; 3. წმ. დოდოს; 4. იოანე ნათლისმცემლის; 5. ჩიჩხატურის; 6. თეთრ - სენაკების; 7. მღვიმის ანუ გამოქვაბულის; 8. კოლაგირის; 9. მოხატულის; 10. ვერან - გარეჯას და 11. პირუკულმართი, ეს უდაბნოები (იგულისხმება-ეკლესიები) კლდეებშია ამოჭრილი. [სცა. ფ.1685, ან1, საქ.9.გვ.2].

იოანე ნათლისმცემლის მონასტამდე იმგზავრეს ეტლით, ნათლისმცემლიდან გზა განაგრძეს ცხენებით რადგან აქ ცხენების გარეშე მგზავრობა შეუძლებელი იყო. მას თან ახლდა პლატონ იოსელიანი, „გარეჯის ხეობაში დაშვებამდე მთის ქედზე მგზავრებმა შენიშნეს ჩიჩხიტურის უდაბნოს მარტოდ მდგარი კოშკი, ორი კლდეში შეჭრილი ნახევრად დანგრეული ეკლესიის გარდა ამ ტერიტორიაზე სხვა არაფერი ყოფილა. ამ ნანგრევებიდან წამებულთა ლავრისკენ გზა ფეხით განაგრძეს, ანუ მოწამეთასკენ, მოწამეთა შეჭრილია მთაში, დაჰყურებს წმ . დავითის სავანეს. გამოქვაბულებში აგებულ ეკლესიებთან, მათ დახვდათ გარეჯის მმართველი. მათი ყურადღება მიიქცია პატარა ეკლესიამ, რომლის საკურთხეველში შესვლისას შეამჩნიეს სამსხვერპლო, სადაც აღმოსავლეთის კედელთან სარიტუალო ჭურჭლის ნაცვლად მოთავსებული იყო ჯვრის ფორმით შეკრული ადამიანის ძვლები, უძველესი კატაკომბების მსგავსად, ირგვლივაც მიმოფანტული იყო ადამიანების ძვლები. მონასტრის წინამძღვრის განმარტებით სავანეს, მოწამთა ამ ძვლების წყალობით დაერქვა: „დახედეთ და თავადაც დარწმუნდებით, რომ ძვლებს ამჟამადაც ეტყობა დაზიანებები, ეს იმ წამებულთა ძვლებია, რომლებმაც თავი ქრისტესთვის გაწირეს, აქ დაგხვდათ ძვლების მცირედი ნაწილი, თქვენ გაოცდებით, როდესაც მოგიტხოვრებთ, რომ აქ გამოასალმეს სიცოცხლეს ექვსი ათასი წმინდა მამა. თორმეტი სავანის ბერებს წესად ჰქონდათ შაბათობით, საღამოს საათებში, ამ ადგილზე შეკრება და წმინდა აღდგომის დღესასწაულის საზეიმოდ აღნიშვნა, ექვსი ათასი ბერი ერთად ანთებული სანთლებით უვლიდნენ მთის წვერზე აღმართულ პატარა ეკლესიას, რომლის აგებისას გამოყენებული იყო

ქრისტეს საფლავის სამლოცველოს ფორმა. ბერები გალობდნენ: „ქრისტე აღდგა მკვდრეთით“, სწორედ ამ დროს მტკვრის სანაპიროდან შახ-აბასს შეუმჩნევია მოციმციმე სანთლები, დაინტერესებულა, თუ რა ხდებოდა, პასუხის მიღების თანავე გაუცია ბრძანება, რომ გაეწყვიტათ, ყველა ვინც აღდგომის დღესასწაულს აღნიშნავდა“. მისი ბრძანება განსაკუთრებული სისასტიკით შესრულდა.“ სწორედ ეს გახდა მიზეზი მონასტრის დიდი ნაწილის დაცარიელებისა. დიდი სამონასტრო კომპლექსიდან მხოლოდ ორი ეკლესიის შენარჩუნება მოხერხდა: იოანე ნათლისმცემლის და დავით გარეჯის. [სცა, ფ. 1685, ან1, საქ. 9, ფ. 4.]

ეკლესიათა დიდ ნაწილში დაზიანების გამო შესვლა შეუძლებელი იყო. ზოგი ჩამოხვავებული მიწით იყო სავსე, ზოგში კიბეები იყო ჩამოშლილი.

საშიში კლდის გავლის შემდეგ, პატარა და ვიწრო სამლოცველოდან გადაინაცვლეს საკმაოდ ფართო გამოქვაბულში, რომელიც ხარების ტაძრად იყო ნაკურთხი. მის კედლებზე შემორჩენილი იყო ფრესკების ფრაგმენტები, ბაგრატ IV-ისა და კათოლიკოს იოანეს ფრესკები, მონასტრის მოდელის დავით გარეჯელისათვის გადაცემის სცენა. მათი მოსაზრებით ფრესკა XI საუკუნეს მიეკუთვნებოდა. აქ, ამ ტაძარშიც, წმინდა გიორგის გამოსახულებასთან შეიმჩნეოდა შახ-აბასის მებრძოლების მიერ ჩაჩეხილი ბერების სისხლი.

ეკლესიას ჰქონდა საკმაოდ მოზრდილი სატრაპეზო, რომლის შესასვლელიც ტაძრის ძირითადი ნაწილისგან სამი დიდი თაღით გამოიყოფოდა. თაღებზე გამოსახული იყო წმინდა სიმონის ორი გამოსახულება. სიღრმეში მოთავსებული იყო მაგიდები და დასაჯდომები ბერებისთვის.

შემდეგი ეკლესია კომპლექსში ყველაზე დიდი იყო მოცულობით, თუმცა მისი შესასვლელი მთლიანად ჩამოხვავებული მიწით იყო დაფარული. კლდეში ნაკვეთი ეკლესიის წინა კედელზე, ჩრდილოეთ ნაწილში შემორჩენილი იყო დავით გარეჯელის ცხოვრებისა და სწავლების ეპიზოდები, ოდნავ ქვემოთ ბაგრატ IV-ისა და კათოლიკოს იოანეს გამოსახულება ეკლესიით ხელში, თამარ მეფის ფრესკა ქმართან და ვაჟიშვილთან ერთად. ეკლესიის შიგნით მოხატულობა თითქმის გაცრეცილი იყო, თუმცა გამოირჩეოდა დეისუსისა და რამდენიმე ქართული ეკლესიის წმინდანის გამოსახულებით, მათ შორის იყო წმ. ნინოს გამოსახულება.

რამდენიმე მეტრის ზევით მთის მწვერვალზე კიდევ ორი ეკლესია იყო, რომლის ქვემოთ, ქვიან უწყლო უდაბნოში წმინდა დავითის სადგომი მოჩანდა, იქამდე მისვლა მხოლოდ საცალფეხო ბილიკით შეიძლებოდა, რომელიც გარეჯის ხეობაში ეშვებოდა. აქ ნახევრად მთაში, გამოქვაბულში მოწანწკარებდა წყარო, რომელსაც “დავითის ცრემლს“ უწოდებდნენ. აქ აღმართული იყო ზედა სადარაჯო კოშკი, რომლის სიახლოვეს განთავსებული იყო ტერასული ფორმის ბაღი, რომლთანაც ნახევრად დანგრეული ღობე აერთიანებდა კიდევ ორ კოშკს. მონასტრის შიდა ნაწილი განთავსებული იყო სამ საფეხურზე. ზედა ეზო ცალ მხარეს დაცული იყო კლდეებით, ხოლო მეორე მხარე ღობით, ცენტრში - მეფე ალექსანდრეს სახელობის კოშკით. მიდამოები მდიდარი იყო კელიებით, რომლებიც წააგავდნენ ჩიტების ბუდეებს.

წმინდა დავითის ეკლესია საკმაოდ ფართო იყო, მაგრამ მოტიტვლებული - კედლის მოხატულობა დაფარული იყო თეთრად, თუმცა სამლოცველო და ვერცხლის შანდლები, ისე როგორც ნათლისმცემლის ეკლესიაში, მოწმობენ მეფე გიორგის უფლისადმი და დავით გარეჯელისადმი განსაკუთრებულ პატივისცემას. ამიტომ ეკლესია განსაკუთრებული მორთულობით გამოირჩეოდა.

მთავარი მონასტრის თავზე გათავსებული ნიკოლოზის პატარა ეკლესია კახეთის მეფის, ბერი ალექსანდრეს მიერ იყო დააარსებული, მისი გადმოცემით მეფის აკლდამაც ეკლესიაში იყო განთავსებული. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ალექსანდრე II დაკრძალულია ალავერდის ტაძარში, მაშინ ეს წარწერა, რომელიც როგორც გადმოსცემენ ძნელად იკითხებოდა, შესაძლოა მხოლოდ მეფის ორწლიან სამონასტრო, ბერისთვის განკუთვნილ წესებით ცხოვრებაზე მიანიშნებდა: „უფლის სახელით მე მეფე ალექსანდრე დავემხე წმინდა დავითის საფლავზე, და

რათა სამოთხე შევამკე ის სიყვარულით და გახდეს იგი შუამავლად ჩემსა და უფლის შორის და გახდეს ჩემი მფარველი“. [ფ. 1685, ან1, საქ. 9, ფ 6].

მრგვალი ფორმის კოშკი, რომელიც მონასტრის ზედა ეზოში მდებარეობდა, წარმოადგენდა ალექსანდრეს საცხოვრებელს, ხოლო შემდეგ გამოყენებული, იყო სხვადასხვა დანიშნულებისთვის. კოშკი გამოირჩეოდა საკმაოდ დახვეწილი არქიტექტურით, შენარჩუნებული იყო გუმბათის ჩუქურთმები და კედლის მხატვრობა. მიუხედავად ლეკების ხშირი შემოსევებისა, მისი სამლოცველო გამოირჩეოდა მარგალიტებით მორთული სარიტუალო ნივთებით, ოქროთი მორთული ჯვრებით, ხატებით, ჭურჭლით.

მონასტრის ზედა ეზოს თავზე, კლდეში შეჭრილი იყო კიდეც ერთი, საკმაოდ დიდი ფართის - იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესია, რომელშიც განთავსებული იყო ორი სატრაპეზო. მათმა მოწყობილობამ მეფე გიორგის (იგულისხმება გიორგი XII) დროიდან თითქმის შეუცვლელმა მოაღწია. მისი პირველი მეუღლე, ქეთევანი ანდრონიკაშვილი, რომელიც 1780 წელს 3 ივნისს გარდაიცვალა, ამ ტაძარში იყო დაკრძალული.

კომპლექსში შედიოდა კიდეც ორი ეკლესია - მიძინების და წმინდა მარინა წამებულის სახელობის. როგორც მოგზაური აღნიშნავს ეს ეკლესიები, უფრო გვიანი პერიოდისაა, რადგან შემოფარგლულის გარეთაა აშენებული.

ნიკოლოზ მურავიოვი აღნიშნავდა, რომ იმ ეტაპზე მონასტრის ძირითად სიმდიდრეს წარმოადგენდა ბიბლიოთეკა - ქართული ხელნაწერი წიგნების მდიდარი კოლექცია, მათი უმრავლესობა სასულიერო ხასიათის იყო, თუმცა დასაწანი, იყო რომ მათი წაკითხვა ქართული ენის არ ცოდნის გამო, შეუძლებელი იყო [ფ.1685, ან1, საქ. 9, ფ. 6].

ბოლოს ავტორი დანაშებით აღნიშნავდა: "ზემოთქმულის მიუხედავად, ვერ ჩავთვლით, რომ სავანე კარგ მდგომარეობაშია, მცირედია სახსრები, მნიშვნელოვნად შეთხელებულია ბერთა რიცხვი და მათ არ გააჩნიათ საერთო სატრაპეზო და ეს მაშინ, როდესაც მონასტერზე მიწერილია, საკმაოდ დიდი მამული და ვენახები. ამასთანავე აღნიშნა, რომ მთლიანად საქართველოში შეიმჩნევა სამონასტრო ცხოვრების უკუსვლა და მცირე იყო სახელოვანი ბერების რიცხვი, რომლებიც სიცოცხლის უკანასკნელ წლებს ატარებენ მდუმარე კელიებში. ხოლო საერთოდ აღარ მოინახება ახალგაზრდა ბერებს შორის დიდგვაროვანი ყმაწვილები“. [ფ.1685, ან. 1, საქ. 9, ფ. 6ა] ამ ფაქტის დამადასტურებელია არქივში დაცული დოკუმენტი, რომელიც XVIII საუკუნის 30-იანი წლებში აქ მოღვაწე ბერების სიმცირეზე მიაჩნებებს, ჩამონათვალში მხოლოდ 15 მორწმუნე ქრისტიანია მოხსენიებული:

1. იერომონარქი თეოფანე;
2. იერომონარქი ზოსიმე;
3. იერომონარქი იოანე;
4. იერომონარქი ზარაქს;
5. იეროდიაკონი იოსტოს;
6. იეროდიაკონი გერონტი;
7. იეროდიაკონი მაკარი;
8. იეროდიაკონი მიხეილი;
9. იეროდიაკონი სოფრონი;
10. კელარი ჩოხა ნაკურთხი - ანტონი;
11. მორჩილი ანაფორა ნაკურთხი - დანილი;
12. მორჩილი ანაფორა ნაკურთხი - იოსები;
13. მორჩილი ანაფორა ნაკურთხი - ბესარიონი;
14. მორჩილი ანაფორა ნაკურთხი - ლევანი;
15. მორჩილი ანაფორა ნაკურთხი სიმეონი. [სცა, ფ. 500, ან. 2, საქ, N 503, ფ. 1].

მურავიოვი აღნიშნავდა გარეჯის მონასტრის მდიდარი ბიბლიოთეკის არსებობაზე, თუმცა არ დაუსახელებია შემონახულ წიგნთა რაოდენობა. არქივში დაცულია, დოკუმენტი, რომელიც გარეჯის წიგნთსაცავში დაცული ძირითადად ხუცური ხელნაწერით შესრულებული უძველესი წიგნების არსებობას ადასტურებს:

1. ცხოვრება სვიმეონ მესვეტისა და სხვადასხვათა წმინდანთა ერთ წიგნად, ხუცური ხელთნაწერი;
2. წიგნი ხორონ-დღრაფი - ხუცური ხელთნაწერი;
3. წიგნი სახარების თარგმანი, ხუცური ხელთნაწერი;
4. წიგნი ქართველთ ცხოვრება, ხუცური ხელთნაწერი;
5. წიგნი კლემქისისა და ბაგრატის ცხოვრება, ხუცური ხელთნაწერი;
6. წიგნი მეზვერისა და ფარისევლისა, ხუცური ხელთნაწერი;
7. ნეტაფრასი, ხუცური ხელთნაწერი;
8. სახარება მრგლოვანი, ხუცური ხელთნაწერი;
9. სწავლა ოქროპირისა და ლექსიკონი; ხუცური ხელთნაწერი;
10. ლექსიკონი, მხედრული ხელთნაწერი;
11. ეპისტოლე წმინდისა პოლადიოს ეპისკოპოსისა, ხუცური ხელთნაწერი;
12. სვინაქსარი სრულიად წლისა, ხუცური ხელთნაწერი;
13. ეფისტოლე ეფრემისა, ხუცური ხელთნაწერი;
14. ცხოვრება გრიგოლი ღვთისმეტყველისა, ხუცური ხელთნაწერი;
15. ავსაიკონი ეფრემისავე, ხუცური ხელთნაწერი;
16. ცხოვრება მაქსიმესი, მხედრული ხელთნაწერი;
17. მამათ ცხოვრება, ხუცური ხელთნაწერი;
18. სჯულის კანონი - 2: ერთი ხუცური ხელთნაწერი და მეორე მხედრული ხელთნაწერი;
19. რიტორიკა, მხედრული ხელთნაწერი;
20. ღრამატიკა, მხედრული ხელთნაწერი;
21. წიგნი მრავალთ მდინარე, მხედრული ხელთნაწერი;
22. კატეხისმა, ხუცური ხელთნაწერი;
23. კატელორია, მხედრული ხელთნაწერი;
24. ღრამატიკა, ბერძნულ ენაზედ, ქართული მხედრული ხელთნაწერი;
25. წიამძღუარი, მხედრული ხელთნაწერი;
26. კავშირი, მხედრული ხელთნაწერი;
27. წიგნი საზღუარი, მხედრული ხელთნაწერი;
28. დილიტიკა, მხედრული ხელთნაწერი;
29. წინა ჰჰე დიონოსის თქმული, ხუცური ხელთნაწერი;
30. საბას ცხოვრება, ხუცური ხელთნაწერი;
31. თარგმანი 3, წიგნი მათესი, მარკოზისი და იოანესი სახარებანი, ორი ხუცური ხელთნაწერი და ერთი მხედრული;
32. წიგნი გრიგორი ღვთისმეტყველისა თქმული, მხედრული ხელთნაწერი;
33. წიგნი მაქსიმე აღმსარებლისა მიერ თქმული, მხედრული ხელთნაწერი;
34. დოღმატიკა, ხუცური ხელთნაწერი;
35. წიგნი იოანე სინელთ მამასახლისისა, ხუცური ხელთნაწერი;
36. წიგნი და მხატვრობა იესო ქრისტეს სასწაულთ მაგალითისა, ხუცური ხელთნაწერი;
37. ქართული ღრამატიკა, ეპისკოპოსი ანტონის მიერ შედგენილი.

სულ დოკუმენტში 48 ხელნაწერია აღწერილი, ზოგიერთის დასახელება მეორდება.

გარეჯის მონასტრის ბიბლიოთეკის საცავი ყოველწლიურად ივსებოდა წმინდა მამათა და ქრისტიანული სარწმუნოებისთვის თავგანწირულ პირთა ცხოვრების ამსახველი ხელნაწერი და დასტამბული წიგნებით. 1852, 1853 წლებში ბიბლიოთეკაში დაცულ წიგნებს შეემატა წმინდა დავით გარეჯელის, წმინდა გრიგოლის, წმინდა შიო მღვიმელის, იოანე ზედაზნელის, წმინდა მაქსიმე აღმსარებლის, წმინდა ეფრემ ასურელისა და სხვათა ცხოვრების ამსახველი წიგნები. სულ 265 წიგნი. [ფ. 500, ან 2, საქ. N 502, გვ.1].

ბიბლიოთეკის შევსება მუდმივად გრძელდებოდა. მოგვიანებით, XX საუკუნის დასაწყისში, როცა გარეჯის მონასტრის აღდგენა მიმდინარეობდა, საქართველოს რკინიგზის საშუალებით, მონასტერში იგზავნებოდა ჟურნალი "საეკლესიო უწყებანი" [1612, ან1.საქ.126, ფ.1].

გარეჯის მონასტრის ტერიტორიაზე დაკრძალვა დიდი პატივი იყო, თუმცა ეს პროცესი სათანადო შესაწირის გარეშე არ ტარდებოდა: 1828 წლის 26 მარტს გარდაცვლილი იოანე სოლომონის ძე ანდრონიკოვის მეუღლე კნეინა ანასტასია ჩამოასვენეს 28 მარტს უდაბნოში და ფერიცვალების ეკლესიის ეზოში დაკრძალეს, რისთვისაც ეკლესიას შესწირეს რვა რუბლი თეთრი, სამადლიანი და ერთი ჩარეკი ფარჩა, სოსანის ფერი ხალიჩა და ორი შანდალი თეთრი თუნუქის. [ფ. 500, ან2, საქ. N 39].

1831 წლის 21 დეკემბერს მიასვენეს და დაკრძალეს ტაძარში (დოკუმენტში არ არის ნახსენები რომელი ეკლესიაა) ქაიხოსრო ვაჩნაძის დედა ნინა, რის სანაცვლოდაც ქაიხოსრო ვაჩნაძემ მონასტერს შესწირა ორი ოქრო და ნახმარი ხალიჩა. [ფ. 500, ან 2 საქ. 68].

1832 წელს არქიმანდრიტ ანტონის მიმართ გაგზავნილი (არ ჩანს ვისგან) წერილით ვგებულობთ, რომ სოფელ საგარეჯოს მცხოვრები, "ეკლესიის ყმათ ნაცვალი" ზაქარია ყანდარელი¹, ჩეჩნეთში ლეკების მიერ იქნა მოკლული. ადგილობრივმა მოსახლეობამ, მეზობლებმა სახლში მიასვენეს, მაგრამ რადგან გარდაცვლილი "აღმასრულებელი იყო ქრისტეს რჯულისა და ქრისტეს სარწმუნოებისა, და უმაღლესის ნების აღსრულებისათვის სისხლ დანთხეული იყო, ამისათვის მოვიტანე თავის ნამსახურებსა მონასტერში და დავმარხეთ ეკლესიის ეზოს გარეთ" და ამისათვის მონასტერს შესწირეს ერთი თეთრი ფერის იაბო ცხენი, რომელიც განსვენებულს ეკუთვნოდა. [ფ. 500, ან 2, საქ. 75].

გასული საუკუნის დასაწყისში აღდგა საუკუნეების წინ განადგურებული დავით გარეჯის ტაძრების ნაწილი, 1911 წლისთვის გაიწმინდა და ამოქმედდა სამი ტაძარი: ფერიცვალების სახელობის, ყოვლადწმინდა სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის სახელობის და წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია. ამ პერიოდისათვის აქ მოღვაწეობდნენ ერთი არქიმანდრიტი, სამი იერომონარქი, ორი მღვდელი და ერთი მოსამსახურე-მორჩილი. [სცა, ფ. 1612, ან.1,საქ. 10, ფ. 6.] XX საუკუნის ათიან წლებში მონასტრის წინამძღვარი იყო არქიმანდრიტი ნაზარი ლეჟავა. [1612, ან1, საქ. 126.ფ.1]

გასული საუკუნის ოციან წლებში განათლების სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილებით დაიწყო თბილისის მაზრის ისტორიული ძეგლების და მათში აღმოჩენილი ისტორიული ნივთების აღწერა-შესწავლა. გარეკახეთის ძეგლთა აღწერაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა დიდმა ქართველმა მეცნიერმა გიორგი ბოჭორიძემ. მან ფეხით შემოიარა, აღწერა და შეისწავლი გარეკახეთის ისტორიული ძეგლები. უმეტესი მათგანი გაძარცვული და დანგრეული დახვდა: "უსაშინლეს მდგომარეობაშია დავით გარეჯელის და ნათლისმცემლის უდაბნოები, განსაკუთრებით უკანასკნელი, აქ ბოროტმოქმედთ ფიცრის პატარა ნაჭერიც კი არ დაუტოვებიათ ორი ფოლად გადაკრული კარის გარდა, რომელთაც ალბათ ვერ მოერივნენ სიმძიმის გამო, სადაც კი რაიმე ხის მასალა ჰქონია ეკლესიებს თუ სხვა შენობებს, ყველგან კედლები გამოუნგრევიათ და წაუღიათ აქ თითქმის ყველაფერი განადგურებულია.....აქ მრავალ საუკუნოვანი საქართველოს ისტორია კედლებზე არის დაწერილი, ეს ქვაბთა ქალაქია, ქალაქი უდაბნოში".....ისტორიულ ნივთთა შორის ყველაზე ბევრი დაღუპილა დავით გარეჯის უდაბნოში... ამაოხრებელთ გაუტანიათ უამრავი ისტორიული ნივთი საეკლესიო განძეული და ჭურჭელი გიორგი ბრწყინვალისა და ქეთევან დედოფალის დროისა, სხვათა შორის ვერცხლის ხატი ნათლისმცემლისა, ვერცხლის ჭადი შეწირული ქეთევან

დედოფლის მიერ, ჯვრები ვერცხლისა 7 ცალი....ბარძიმ ფეშხუმი ვერცხლისა წარწერებით 7 ხელი, ჯამები წარწერებით, სპილენძეული დაახლოებით 15 ფუთი, რომელთა შორის ვერცხლის ჭურჭელიც ყოფილა,....მთავარი უდაბნოს 5 ზარი წაუღიათ, ვინმე თფილისელ მეთრიმლეებს და თფილისში გაუყიდნიათ. რაც შეეხება უდაბნოთა მთავარ სიწმინდეთ: მადლის ქვას, წმ. შიოს თავის ქალას - იგინი გადაურჩენია ადგილობრივ მკვიდრს გიორგი აბაშიძეს, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა უდაბნოთა მეთვალყურეობა"... უდაბნოს დაცვასა და მეთვალყურეობაში დიდი წვლილი შეუტანიათ, მონასტრებიდან 1-5 ვერსის მანძილზე განთავსებულ თივის დამამზადებელი პუნქტის თანამშროლებს, "მათ გადაუტანიათ დავითის საფლავის ქვა მარმარილოსი, შეწირული საბინინის მიერ, ამოხრებელთა მიერ გატეხილი ორად, დიდი ზარი და ფიცრის მასალა" [ფ.1753, ან.1, საქ. 4 ფ. 92].

დავით გარეჯის მონასტრის ტერიტორიაზე ბოჭორიმეშ შეისწავლა წმ. ნიკოლოზის, ნათლისმცემლის და ღთისმშობლის სახელობის ეკლესიები: რაც შემორჩა და რის გარჩევაც შესძლო მეცნიერმა ფურცლებზე შემოგვინახა: "ნათლისმცემლის ეკლესიასთან, დიდ აუზთან, რომელიც ქვიტკირისგან არის ამოყვანილი, გდია ფოლად გადაკრული დიდი კარი, რომელსაც აქვს წარწერა ფოლადზე:

ქ: მე: ფდ: ცნ: ზაზა ყოფილმან. ეფთვიმი.ძემან. უხუცესმან..სიონ.. დეკანოზის. იესემნ. მოგიჭდენე/ კარი.ესე.შნ დბუდის: გარეჯის. ნათლის.მცემლის.. შესანდობლად და საოხდ სულთა . მამა. დთა.ჩმთათს:./

დაიწერა: მაისის დამდექს:/ [1753, ან1, საქ. 105, ფ. 13].

დავით გარეჯის უდაბნოში აღსავლის კარებიდან ორ არშინის დაშორებით წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში დაცული იყო წარწერებიანი საფლავის ქვა:

"ქ: წმინდათა: ამათ: უდაბნოთა: გან

წმინდათა: მოლტოლვილი: მსასოებ

ელი: წმინდის: დავითის: ტვირთ: მძიმე: და

მაშვრალი: ცოდვათა: მიერ ცოდვილი: და არა ღირსი: მ

თავარ: ეპისკოპოსი: ქართ

ლისა: რომანოზ: მონაზონი მდაბ

ალი: და : უნარჩევესი: ყოვე

ლთა: კაცთა: მდებარე

საფლავსა: ამას მხილვ

ელთა: და : დამტკეპნელთა წმინდათ

ა: ფერხთა: თქვენთა მიე

რ: შენდიბა: ყავთ: წმიდან

ო: ღ ვთისანო: ქვს უ

ქრისტეს: აქეთ: ათას შვი

დას"

მეცნიერი აღნიშნავდა, რომ წარწერა დაუმთავრებელი იყო, ამიტომ შეუძლებელი იყო მისი თარიღის დადგენა. [ფ. 1753, ან1, საქ. 105, ფ.14].

წმინდა ნიკოლოზის მახლობლად ერთ დიდ დარბაზში, სამხრეთის კედელზე, ქვაზე არის წარწერა: "შეწევნითა:ღ თა მე: ცი: ენდრენიკე. შვილი ნიკოლოზ: ნინოწმინდელი: მოველ: წ ა: ამისა: უდაბნოს: და დავყავ დიდმარხვა: ერთ: და: კევედრე:

სასოებით: წ ა. დავითს: მეოხად ქრისტესა წინაშე. ამინ. ჟამთა ხემწიფისთვის პატრონის: არჩილ: მეფისათა: ქვსა ტ ნია ვინცა ვარ: მობზანდეთ: აქა: შენდობისა: გვიბრძანებდეთ.

ამავე კედელზე კარების ახლოს კედელში ჩასმულ ქვაზე მცირე წარწერაა:

ქ: ეს.ირმის

რქა

დმტრმ შემოსწირა

თავის სადღეგრძელოთ. [ფ. 1753, ან. 1 საქ. 105, ფ. 15]

ამავე დარბაზის სიღრმეში კედელზე გამოსახული იყვნენ მდგომარე დავით გარეჯელი და ლუკიანე. დავითის თავზე წარწერა იყო: "მოიხსენე უფალო მეოხებით ღირსისა მამისა ჩვენის დავით გარეჯელისათა / ცოდვილ და სფირიდონ/ "[1753, ან. 1 საქ. 105, ფ. 16].

ამ ეკლესიის სამხრეთით კლდეში გამოყვანილ დიდ ეკლესიაში შემორჩენილი იყო კედლის მხატვრობის ფრაგმენტი, დავით გარეჯელი გამოსახული იყო ჯეირანებით, ფეხქვეშ ვეშაპით. წარწერა გარკვევით იკითხებოდა:

"მოღვაწეო თვალო: და ქრისტიანთაგან ნეტარეულო მამაო: დავით: შენ: ცეცხლით დამწველ: ექმენ ვ.....ც

ვეშაპსა ამას გვართ

კრიჭაშვილს და შვილად თათარაშვილს და ტომით

მწვალეხელს: ფრიდონა: ყოფილს: სპირიდონს

რომელმან მრავალი ჭირი შეამთხვია მსწავლი/

და გამდელისა თვისსა გიორგი მხატვარს ვინც მოშალოს შერისხდი დავით/." [ფ. 1753, ან. 1 საქ. 105, ფ. 17.]

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში განლაგებული, გადარჩენილი ეკლესიების გარდა მეცნიერმა აღწერა დასახლებულ პუნქტებში განლაგებული ეკლესიები. საგარეჯოს დასვლეთით შემადგენულ ბორცვზე განთავსებული პეტრე - პავლეს სახელობის ეკლესია, "იგი ერთ ნავიანი ეკლესიაა, ნაშენი რიყის ქვისა და ნათალი ქვისაგან, საყდრის ამშენებლებად ბერძნები სახელდებიან, მაგრამ ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის. კარების თავზე აქვს ფანჯარა, რომლის თავზე დიდი ჩუქურთმიანი ჯვარია გამოსახული. კარების ქვებისა და ჯვრის ჩუქურთმები მშვენიერია. ეკლესიას სამირკველი ორი საფეხურით აქვს გამოწეული, ეკლესიის სახურავი დაზიანებული იყო, შიგნით მოთავსებული იყო სახურავიდან ჩამოვარდნილი ერკემალი. ეკლესიის აღმოსავლეთის მხარეს, ფანჯრის თავზე რელიეფური ჯვარია გამოსახული, ფანჯრის ქვებიჯ კარის ქვებიჯით ჩუქურთმებით არის გაწყობილი. აღმოსავლეთის მხარეს ფანჯრის თავზე გამოსახულია ანგელოზები და ვეშაპი. [1753, ან.1, საქ. N 105, ფ. 21.]

გარე კახეთის ტაძრებს შორის უდავოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნინოწმინდის სამონასტრო კომპლექსს, რომელიც მეცნიერის მიერ აღწერის დროს თითქმის მთლიანად განადგურებული დახვდათ. კომისიას, რომლის შემადგენლობაში დეკანოზი ალექსი გულისაშვილიც შედიოდა, ისტორიულ ძეგლად სცნო ტაძარში შემორჩენილი, ფიცარზე დამზადებული მოვერცხლილი წმინდა ნინოს ორი ხატი და სამრეკლოში მოთავსებული ძველი ზარბაზანი ლომების ქანდაკებით", ნინოწმინდის ძველი ეკლესია თავის გალავნით და სამიტროპოლიტო სახლი, ისტორიულ ძეგლად სცნო და დაადგინა მკაცრად ყოფილიყო დაცული. კომისიამ ისტორიულად სცნო აგრეთვე: 1.

ფიცარზე ნახატი ხატები წმ. ნინოსი, ძველი ქართული ხელოვნებისა; 2. ძველი ზარბაზანი ლომების ქანდაკებით, მოთავსებული სამრეკლოზე. კომისიის დადგენილებით პირველი ნომრით აღწერილი ნივთები დატოვებული უნდა ყოფილიყო ადგილობრივ ეკლესიაშივე, ხოლო უკანასკნელი (ზარბაზანი) გადატანილი უნდა ყოფილიყო ქ. ტფილისის სათანადო მუზეუმში. [ფ. 1753, ან. 1, საქ. 106, ფ. 100].

ოციან წლებში, იმდროინდელი მთავრობის პოლიტიკის გამო, მასიურად დაიკეტა ეკლესია-მონასტრები და შეწყდა მსახურება, ნინოწმინდის ტაძრიდან ეს ხატები გაიტანეს და მათი ადგილსამყოფელი უცნობი დარჩა. ამ ხატების ბედით შეწუხებული დიდი ქართველი პოეტი გიორგი ლეონიძე მიმართავდა საქართველოს სსრ სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს: „გარე - კახეთში სხვა ეკლესიებთან ერთად დაკეტეს უძველესი ნინოწმინდის (V საუკუნე) საკათედრო ტაძარი, საიდანაც სხვა ნივთებთან ერთად საგარეჯოს რევეკომმა (ურმით წაიღეს) გაიტანეს ორი უძველესი ხატი.

1. წმინდა ნინოს სასწაულებისა, შეწირული არჩილ მეფისაგან (არჩილ I) .

2. წმინდა ნინოს ხატი ვერცხლის ჩუქურთმებით მოვლებული, შეწირული მიტროპოლიტის საბა ტუსიშვილის მიერ. [სუიცსა, ფ. 300, აღ. N 3, საქ. 44, ფ. 2].

გარეკახეთის საკულტო ნაგებობათა აღწერისას გიორგი ბოჭორიძემ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვაწოდა მანავ-თარაქის ტერიტორიაზე განლაგებულ ისტორიული ძეგლებზე.

თარაქის ზევით ცივის ძირზე (იგულისხმება მანავის ცივი, რომელიც სოფელ მანავის ჩრდილოეთით მდებარეობს). არის ერთი გუმბათიანი ეკლესია, ხალხის გადმოცემით ვედრების ეკლესია, რომელსაც სახურავზე ჩრდილოეთისაკენ დატანებული ჰქონია ქვა წარწერით: "ვისაც ჰქუა აქვს თუმის". ამის შესახებ ხალხში არსებობდა ასეთი ამბავი: ერთს ქიზიყელ მეღორეს კითხვა სცოდნებოდა, ასულიყო ჩამოეღო ქილით ოქროს ფული, მთლიანად სულ ქიზიყში წაეღო, გაეყიდა. აქედან რამდენიმე 3-5 ცალი, სოფელ ჩაილურში მცხოვრებთათვის მიეცა. ამ განძის ადგილი სახურავზე, 17 წლის შემდეგაც, ფულუროდ მოსჩანდა. ალბათ წარწერაც მომხდარის შემდეგ გაკეთდა. "ეკლესია ნაშენია აგურისა და შირიმის ქვისაგან, საძირკველი შიგნიდან კედლებზე განიერია, საძირკვლის შემდეგ კედლები აგურისგან არის ამოყვანილი, შირიმის ქვა მარტო კარნიზებად არის გამოყენებული. ეკლესიის გუმბათის კარნიზები ლეგა ფერის თლილი ქვისაა, თაღები ოდნავ ტეხილი. ჩრდილოეთის კარები ძველთადაც ამოუშენებიათ. ეკლესიას სამ მხარეს აქვს ფანჯრები: აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით, გუმბათის სარკმლები ოთხივე მხარეს აქვს. გუმბათი შიგნიდან მრგვალია და გარედან რვა წახნაგოვანი, გუმბათის სახურავიც რვა წახნაგოვანია. გარედან ეკლესიის საძირკველთან, კედლებზე დიდი ნიშებია ამოყვანილი, სიმაღლით 80 სანტიმეტრი, საძირკვიდან 89 სანტიმეტრი. შიგნიდან ეკლესიის სიგრძით 7^{1/2} არშინი, სიგანით 6 არშინია. ჩრდილოეთით, კარების თავზე კედელში აგურისაგან ჯვარია გამოყვანილი. კარების თაღები დაზიანებულია, რადგან ხის მასალა მოსახლეობას გამოუყენებიათ. შუა ნიშები დაქანებით არის გადახურული. ეკლესია დგას სოფელ თარაქის თავზე, 2 ვერსის დაშორებით.

გადმოცემით, სოფელ თარაქში ადრე თამარ მეფის სასახლე ყოფილა, ამის დასტურია დიდი შენობის საძირკველი. ამ ადგილს ნატახტარს ეძახიან. შენობის საძირკველთან ახლოს წყლის მსხვილი და წვლრილი მიწების ნარჩენებია. აქვეა წყლის საწმენდი ქვევრიც. მახლობლად არის ქვიტკირის შენობა, რომელსაც ადრე წყლის აუზად იყენებდნენ. ეს არის უმშვენიერესი ადგილი, რომელიც მთელს გარე კახეთს ხელისგულივით გადაჰყურებს" [ფ. 1753, ან1, საქ. 105. ფ.4,5] .

გიორგი ბოჭორიძე მანავ - თარაქის ეკლესია ნაგებობებში მოიხსენიებს მანავის თავზე განთავსებულ "წიტიხიზანის" საყდარს, კალოუზნის წმინდა გიორგის განახლებულ ეკლესიას, თარაქის კერპის საყდარს, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიას და მანავის ციხე - გალავანს.

"მანავის ციხე-გალავანი უდიდესი შენობა ყოფილა, დღეს მისგან მცირე ნაწილია არის შემონახული მრავალი ადგილი დაზიანებულია, რამდენიმე მხარეს კედელი გადაქცეულა, რაც შემორჩენილია, ამით მთლიანი სურათის აღდგენა შესაძლებელია. იგი უძველეს ხანას უნდა ეკუთვნოდეს. ციხის კოშკები ოთხკუთხოვანია, თვით ციხესაც კვადრატული დაახლოებით 2 დესეტინამდე ადგილი უჭირავს, ციხის კედლები შერჩენილია ოთხივე მხარეს. იგი ოთხკუთხა შენობა ყოფილა დაქანებით აღმოსავლეთისაკენ. გალავანში შემორჩენილია ნასახლარები.

ჩრდილოეთის კედელთან არის დულაბით გალესილი შენობა მიწაში, ხალხის გადმოცემით საფეკილე ყოფილა, სამხრეთით არის დიდი დულაბის აუზი, დღეს ქვებით ამოვსებული, თუმცა წყალი ისევ დგას, ეტყობა ძველი გაყვანილობიდან მისი მიმდინარეობა არ შეწყვეტილა. ამ აუზთან არის ეკლესიები: მანავის ციხის ეკლესია, შირინის ქვით, აგურითა და რიყის ქვით ნაშენი; სამხრეთით დგას მეორე ეკლესია, რიყის ქვისაგან ნაშენი ბაზილიკა. ამ უკანასკნელის აღმოსავლეთით დგას მესამე ციხისთავის

წმინდა გიორგის ეკლესია, შირიმის ქვისა და რიყის ქვისაგან ნაშენი. ეკლესიას ძირში სარდაფის სართული აქვს, კარებით აღმოსავლეთისაკენ, კარები საკმაოდ მაღალია და სარდაფში ჩასასვლელი კიბეც არა აქვს. იგი ხალხის გადმოცემით, სატუსაღო ყოფილა უწინ. პირველი ეკლესიის შენობიდან უყიდათ ხალხს შირიმის ქვები და საფლავებისთვის უდვიათ. ამ ციხის აღმოსავლეთის კედელთან ახლოს ცნობილ ფრიდონოვს ადგილობრივ სომხებისთვის აუშენებია საყდარი, რასაკვირველია ამით ციხე-გალავანისთვის დიდი ზიანი მიუყენებია, ჯერ ერთი ადგილის გათხრით და მეორეც ციხის გალავნის მასალის შეხმარებით. ციხისთავის წმ. გიორგის ეკლესიაში შემონახულია სამრეკლოს ზარი წარწერით "ქ. შემოგწირე ზარი ესე ციხის თავს ღვთის მშობლის ეკლესიას ხვთისავრიშვილმა ღვდელმან ლაზარემ, მეუღლემან ჩემან მელანამ შვილისა ჩემისა სადღეგრძელოდ საოხად სულისა ჩვე[ე] ნისათვინ წელსა ჩყკა ". ზარები ქართულია, ყურები კუთხეებიანი აქვს, მასზედ გამოსახულია ღვთისმშობელი და ანგელოზები, წონით ორ ფუტამდე, იქნება. [ფ. 1753. ან1. საქ. 105. ფ.7,9].

როგორც ჩანაწერებიდან ჩანს გიორგი ბოჭორიძემ ვერ შეძლო გარეჯის სამონასტრო კომპლექსში განთავსებული ყველა ტაძრის აღწახსება. დღეს გარე კახეთის ტერიტორიაზე განლაგებული ისტორიული ძეგლების დიდი ნაწილი მოვლილი და გაწმენდილია, თუმცა დღესაც მიმდინარეობს უდაბნოს კლდეებში დაფარული, საუკუნეების წინ შექმნილი მრავალი სიახლის აღმოჩენა. აღდგენილ ტაძრებში მიმდინარეობს მჩქეფარე სამონასტრო ცხოვრება. სამწუხაროა, რომ ძირძველ ქართულ მიწაზე საუკუნეების წინ აგებული, თუ კლდეში ნაკვეთი ქრისტიანული ნაგებობები დღეს ორ ქვეყნას შორის დავის საკითხი გახდა.

Archival documents of Gare Kakheti

Tinatin Jabadari
National Archives of Georgia

Summary

The area between the heights of Samgori and the Tsivgombori ridge on the Iori plateau east of Tbilisi is the modern region of Sagarejo, Sa-Garejo land, historical Garekakheta, famous for its numerous religious buildings, churches and monasteries. One of the main reasons for this is

the connection with the David Gareja monastery complex. Much has been written about these temples by our zealous science, however, much remains unclear about some of the buildings.

In the middle of the XIXth century, Nikoloz Muravyov, Crown Prince of the Caucasus, commander-in-chief of the Caucasian separate corps and traveler, became interested in the David Gareja monastery complex, he visited and described it.

In the last twenty years of the XXth century, by the decision of the People's Commissariat of Education, the description and study of the historical monuments of the Tbilisi region and the historical objects discovered in them began. Description of the monuments of Garekakheta - a special contribution to the study was made by the great Georgian scientist Giorgi Bochoridze. He walked around, marked and studied the historical monuments of Garekakheta.

This topic presents the materials found in the description of the historical and external monuments of Kakheta by Nikoloz Muravyov, Georgy Bochoridze, preserved in the archival funds. In the process of working on the topic, several important and unknown details were revealed.

წყაროები და ლიტერატურა:

1. იოჰან გიულდენშტედტი, "მოგზაურობა საქართველოში", გ. გელაშვილის თარგმანი, ტ. I, 1962. თბილისი;

2. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, (სცა):

1. ფ. 500, ან. 2, საქ. NN 39, 68, 74;

2. ფ. 1612, ან. საქ. 10;

3. ფ. 1612, ან. 1, საქ. 126;

4. ფ. 1685, ან. 1, საქ. 9;

5. ფ. 1753. ან. 1. საქ. 4, 97, 105, 106;

3. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, (სუიცა):

1. ფ. 300, ან. 3, საქ. 44.



გიორგი ბოჭორიძე




ნიკოლოზ მურავიოვი






დავით გარეჯი.



ნ. მურავიოვის მოგზაურობის დროს გადაღებული ფოტოები



მანავის გალავნის ეკლესია
გ. ბოჭორიძე



საგარეჯოს პეტრე პავლეს სახ. ეკლესია.
გ. ბოჭორიძე



გ. ბოჭორიძის მიერ შესრულებული თარაქის ეკლესიისა და ეკლესიის გუმბათის ნახაზები.

**რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე
უნკიარ-ისკელესის შეთანხმების პერიოდში (1833-1841 წლები)**

მზია ტყავაშვილი

**თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი**

XIX საუკუნის რუსული ისტორიოგრაფიის მიხედვით, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო მოიცავდა ტერიტორიას მდინარე ყუბანიდან გაგრამდე, რომელიც რუსეთის შემადგენლობაში 1829 წლის 2 სექტემბერს რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებული ადრიანოპოლის ზავის IV მუხლის თანახმად გადავიდა (Юзефович, 1869, გვ. 73-74; История, 1979, გვ. 575-576).

მომდევნო პერიოდში რუსეთის ხელისუფლების მთავარი მიზანი იქ მცხოვრებ ხალხსა და ოსმალებს შორის კონტაქტის მინიმუმამდე დაყვანა გახდა. ამ რეგიონის მოსახლეობასთან ოსმალებს ჰქონდათ სავაჭრო ურთიერთობა, შეჰქონდათ კონტრაბანდა: მარილი, რკინა, დენთი, იარაღი და გაჰყავდათ დიდი რაოდენობით ტყვე.

ადრიანოპოლის ზავის შემდეგ, მსოფლიოში მიღებული პრაქტიკის შესაბამისად, რუსეთის ხელისუფლებამ აღნიშნულ სანაპიროზე შექმნა საბაჟოები და აამოქმედა საკარანტინო წესები, 1829 წლიდან კი ოფიციალურად აკრძალა ტყვეებით ვაჭრობა, თუმცა „ცოცხალი საქონლის“ გაყვანა მომდევნო პერიოდშიც არ შეწყვეტილა. 1830 წლიდან შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე რუსულმა სამხედრო გემებმა (შხუნებმა და კორვეტებმა) დაიწყეს პატრულირება (История, 1988, გვ. 133).

1832 წლიდან უცხოურ გემებს მხოლოდ ანაპისა და რედუტ-კალეს პორტებში შესვლის საშუალება მიეცა, სხვა ნავსადგურებში კი მათი საქონელი კონფისკაციას ექვემდებარებოდა. ამ ღონისძიებებით რუსეთი უცხოური საქონლის რუსულით ჩანაცვლებას ცდილობდა, თუმცა ოსმალეთის, ინგლისისა და ავსტრიის სავაჭრო გემები ჩერქეზეთის სანაპიროზე მაინც აღწევდნენ, იქ პირველი მოთხოვნების საქონელთან ერთად დენთი და საბრძოლო მასალა შეჰქონდათ და ადგილობრივებს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას ჰპირდებოდნენ (Акты, 1881, გვ. 845).

ოსმალეთთან და ევროპულ სახელმწიფოებთან კავკასიელების ეკონომიკური კონტაქტების შეზღუდვის პარალელურად რუსეთი შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე სამხედრო ექსპედიციებსაც ახორციელებდა. რუსეთის კავკასიის ადმინისტრაციის მოქმედების არეალი ამ კუთხეში პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: მდინარე შახეს დასავლეთით მდინარე ყუბანამდე არსებული სივრცე, სადაც ძირითადად ნატუხაელები და შაფსულები ცხოვრობდნენ და მდინარე შახედან გაგრამდე მდებარე უბიხებისა და ჯიქების სამფლობელოები. პირველი მიმართულებით რუსეთი მოქმედებდა მდინარე ყუბანის მარჯვენა ნაპირიდან, მეორე ლოკაციაზე შეტევის პლაცდარმს კი აფხაზეთი წარმოადგენდა. სტრატეგიული მნიშვნელობისა და გეოგრაფიული მახასიათებლების გამო მდინარე ყუბანსა და ტუაფსეს შორის არსებულ სანაპირო ზოლზე რუსეთის შეღწევადობისა და დამკვიდრების ტემპი ბევრად მაღალი იყო.

შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს ნავსადგურებად გამოსაყენებელ სტრატეგიულ პუნქტებში რუსული ციხესიმაგრეების აშენება და მათი ერთმანეთთან დაკავშირება რუსული გეგმის ძირითადი ნაწილი იყო. 1831 წელს მდინარე ყუბანის მარცხენა ნაპირზე ოლგინსკის კორდონის (მდებარეობდა მდინარე ყუბანის მარჯვენა ნაპირზე) საპირისპიროდ გელენჯიკის ხაზის მოწყობა დაიწყო, თუმცა ციხესიმაგრეებს შორის არ არსებობდა კავშირი (Фелицын (1904). Княз Сефер-бей зан. *Кубанский сборник*, 10, გვ. 34).

რუსეთის მიერ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს შემოსამტკიცებლად გატარებული ღონისძიებები არასაკმარისი და არაეფექტიანი იყო, რადგან საერთაშორისო ვითარება - ოსმალეთის იმპერიისა და ინგლისის ანტირუსული პოლიტიკა, ევროპაში მიმდინარე რევოლუციური მოვლენები, რომელთა აღკვეთაშიც ნიკოლოზ I აქტიურ როლს ასრულებდა, რაც რუსული ჯარის დასავლეთ საზღვართან მობილიზაციას იწვევდა - კავკასიაში დამატებითი შეიარაღებული ძალების გაგზავნას და ახლად მიერთებულ ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი სამხედრო ექსპედიციების განხორციელებას აფერხებდა.

შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე რუსეთის დამკვიდრებას ხელსაყრელი პირობები ოსმალეთის წინააღმდეგ ეგვიპტის ფაშა მეჰმედ-ალის აჯანყებამ შეუქმნა (История, 1988, გვ. 131; სურგულაძე, 1973, გვ. 195). სულთანმა დახმარებისთვის ევროპულ სახელმწიფოებს მიმართა, მაგრამ უშედეგოდ. ოსმალეთი სრული კრახისგან რუსეთმა იხსნა (Жуков, 2009, გვ. 16). 1833 წლის თებერვალში ბოსფორის სრუტეში შევიდა რუსული ესკადრა, რომელთანაც ეგვიპტის ფაშა დამარცხდა. რუსეთის მრავალრიცხოვანი (14-ათასიანი) სადესანტო არმია კი კონსტანტინეპოლთან, უნკიარ-ისკელესის რაიონში, სულთანის საზავხულო რეზიდენციასთან განლაგდა. ყოველივე ამან ინგლისისა და საფრანგეთის შემფოთება გამოიწვია, რომელთა აქტიური დიპლომატიური ჩარევის შემდეგ (სურგულაძე, 1973, გვ. 196), 1833 წლის ზაფხულში, სულთანი და ფაშა მორიდნენ, რის შემდეგაც რუსეთის საექსპედიციო ძალებმა კონსტანტინეპოლი დატოვეს. რუსეთის დიპლომატიამ გრაფ ორლოვის მეთაურობით სულთანი დაითანხმა ხელშეკრულებაზე, რომელიც 1833 წლის 26 ივნისს იქნა ხელმოწერილი და უნკიარ-ისკელესის „სამოკავშირეო თავდაცვითი“ ტრაქტატის სახელითაა ცნობილი (Юзефович, 1869, გვ. 89-92).

ტრაქტატი რვა წლის ვადით დაიდო. ამ ხელშეკრულების ძალით, რუსეთი და პორტა ვალდებულიყვნენ იღებდნენ ურთიერთშორის არსებული მშვიდობა და შეთანხმება სამოკავშირეო თავდაცვითი ხელშეკრულებით განმტკიცებინათ.

ხელშეკრულების III სტატიის მიხედვით, ამ ორ სახელმწიფოს შორის კავშირი ემსახურებოდა „ბრწყინვალე პორტას არსებობის, შენარჩუნების და სრული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას“. რუსეთის იმპერატორი პირობას დებდა, რომ თუ ოსმალეთს რუსეთის მხრიდან სამხედრო და საზღვაო დახმარება კვლავ დასჭირდებოდა, საჭირო რაოდენობის ჯარის მობილიზებას მოახდენდა.

რუსეთისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა შეთანხმების საიდუმლო პუნქტს, რომლითაც ოსმალეთის სულთანი „რუსეთის იმპერატორის სასარგებლოდ“ სხვა სახელმწიფოებისთვის დარდანელის სრუტის დაკეტვის ვალდებულებას იღებდა (Юзефович, 1869, გვ. 89-92).

ხელშეკრულების დადების შემდეგ დარდანელის სრუტე რუსეთის სამხედრო გემებისთვის გაიხსნა, მისი მოქიშპეებისთვის კი დაიკეტა, რაც საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის მნიშვნელოვანი წარმატება იყო. პეტერბურგის საიმპერატორიო კარს ამიერიდან ახლო აღმოსავლეთში ლიდერის პოზიცია უმკვიდრდებოდა. ევროპის სახელმწიფოებში ამ ხელშეკრულებამ, ისევე როგორც ადრიანოპოლის შეთანხმებამ, დიდი შემფოთება გამოიწვია, რადგანაც ის ზღუდავდა ინგლისის, ავსტრიისა და საფრანგეთის მმართველი წრეების ინტერესებს ახლო აღმოსავლეთში. აშკარა იყო, რომ ისინი ოსმალეთის იმპერიაში რუსეთის შეუზღუდავ უფლებებს გულხელდაკრეფილნი არ დაუწყებდნენ ცქერას და სხვადასხვა მეთოდს გამოიყენებდნენ ამ რეგიონში მისი პოზიციის შესასუსტებლად.

ნიკოლოზ I-ის კარი წარმატებით თავბრუდახვეული არ იყო. შექმნილ ვითარებაში რუსეთმა პრაგმატული გადაწყვეტილება მიიღო და მთელი ძალისხმევა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროებზე დამკვიდრებისკენ მიმართა, ანუ ადრიანოპოლის ხელშეკრულების ძალით, მის შემადგენლობაში გადასული დე იურე ტერიტორიის დე ფაქტოდ გადაქცევა

შეეცადა. ამ პერიოდში რუსეთის საგარეო ურთიერთობის პრიორიტეტი ოსმალეთთან „მეგობრობი“ შენარჩუნება (Восточный вопрос во внешней политике России. Конец XVIII - начало XX в., 1978, გვ. 94; Киняпина (2001). Внешняя политика Николая I. *Новая и новейшая история*. №1, 2, http://vivovoco.astronet.ru/VV/PAPERS/HISTORY/PALK_OUT.HTM), მოქმედების ჩარჩოები კი ადრიანოპოლისა და უნკიარ-ისკელესის შეთანხმებების დაცვა იყო. იმავე ხაზს მიჰყვებოდა რუსეთთან ურთიერთობაში ოსმალეთი – სახელმწიფო, რომლის არსებობა იმ პერიოდში სხვა ქვეყნების, უპირველეს ყოვლისა კი, პეტერბურგის კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული.

უნკიარ-ისკელესის ტრაქტატის შემდეგ რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპიროს შემომატკიცების კუთხით გარკვეული ცვლილებები მოხდა. აშკარა იყო, რომ აღნიშნულ რეგიონში რუსეთი მოვლენებს დააჩქარებდა და ტრაქტატით გათვალისწინებული ვადის (რვა წლის) მაქსიმალურად გამოყენებას შეეცდებოდა.

1834 წელს რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის უშუალო დავალებით შემუშავდა კავკასიაში რუსეთის არმიის სამოქმედო გეგმა, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს შემოსამტკიცებელ ღონისძიებებს ეკავა და ეკონომიკურ, სამხედრო და იდეოლოგიურ მიმართულებებზე იყოფოდა. რუსეთის იმპერატორის ამოცანები ჩამოყალიბებული იყო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ალ. ჩერნიშევის 1834 წლის 4 აპრილს საქართველოს მთავარმართებელ ბარონ გრ. როზენისადმი მიწერილ წერილში, რომელშიც ვკითხულობთ: „მთიელთა დასამშვიდებლად საჭიროა გამუდმებული მოქმედება, მდინარე ყუბანსა და შავ ზღვას შორის არსებული ტერიტორიის ციხესიმაგრეთა ხაზით რამდენიმე ადგილზე გადაჭრა, შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ რუსული გემებისთვის უსაფრთხო მიმოსვლის დამყარება, ჩვენი გემების ნავმისადგომად სანაპიროზე მოხერხებული ადგილის შერჩევა და აქ ციხესიმაგრის აშენება, რასაც ახალი ხაზების შიდა ტერიტორიაზე მცხოვრები მთიელების უსიტყვო მორჩილება მოჰყვება“ (Акты, 1881, გვ. 631).

ამავე დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ კავკასიის დასამშვიდებლად უმნიშვნელოვანესი როლი სამხედრო მოქმედებებს ენიჭებოდა. პირველ ყოვლისა, აუცილებელად უნდა დაემორჩილებინათ მარჯვენა ფლანგზე (კავკასიის ხაზსა და შავი ზღვის სანაპიროს შორის) მცხოვრები მთიელები, რისთვისაც საჭირო იყო წლის ბოლოს ოლგინსკის რედუტი (მდებარეობდა მდ. ყუბანის მარჯვენა ნაპირზე - ხაზი ავტორის) გელენჯიკს პირდაპირი გზით დაკავშირებოდა (Васильев (1874). Черноморская береговая линия 1834-1855 гг.. *Военный сборник*, LXLVIII, გვ. 5-6). ამ მიმართულებით ყველა ხელსაყრელ ადგილზე უნდა აშენებულიყო ციხესიმაგრეები დამხმარე შენობებით და გარნიზონისთვის საკმარისი საცხოვრისით. რადგანაც კავკასიის ჯარში საერთოდ არ იყვნენ ხუროები, მჭედლები და სხვადასხვა ხელოსანი, რუსეთის მეზობელ გუბერნიებში უნდა დაექირავებინათ და ყუბანისპირეთში გადმოეყვანათ (Акты, 1881, გვ. 632).

ჩერნიშევის წერილში ადგილობრივების წინააღმდეგ არაერთი ღონისძიებაც იყო დასახული. რუსეთის სამხედრო მინისტრი წერდა, რომ ციხესიმაგრეების მშენებლობის ადგილებს, ახალ საკორდონო ხაზსა და შავ ზღვას შორის მცხოვრები მთიელების სასწრაფოდ დამორჩილების პარალელურად აუცილებელი იყო სხვა „ტომების“ წინააღმდეგ მათი გამოყენება ან მათთვის იარაღის ჩამორთმევა. იგი მიზანშეწონილად მიიჩნევდა აგრეთვე ურჩებისთვის სახლ-კარისა და ნათესების გადაწვას, დაუმორჩილებლებისთვის პურის თავისუფალი შესყიდვის აკრძალვას და ხორბლით მხოლოდ სახაზინო მაღაზიებში ვაჭრობას (ანუ როზენის მიერ შეთავაზებული ღონისძიებების სისტემის ამოქმედებას). თუმცა მოცემულ პერიოდში რუსეთის უმაღლესი ხელისუფლება სიფრთხილით ეკიდებოდა საბრძოლო მოქმედებების აღნიშნული ხაზის აღმოსავლეთით გადატანას და საქართველოს მთავარმართებელს აფრთხილებდა, რომ თუ ის საკუთარი ინიციატივით სამხედრო ექსპედიციებს უფრო ვრცელ ტერიტორიაზე წარმართავდა, მის მიმდინარეობასა და შედეგებზე პასუხისმგებლობა მას დაეკისრებოდა (Акты, 1881, გვ. 632).

კავკასიის ხაზიდან დაგეგმილი სამხედრო მოქმედებების წარმატებით დასასრულებლად რუსეთის ხელისუფლება გაგრძელდა გელენჯიკამდე ტერიტორიაზე აფხაზეთიდან ზოგიერთი რაზმის გაგზავნასაც საჭიროდ მიიჩნევდა და ამ ქმედებით მთიელთა თურქებთან ურთიერთობის გადაჭრას ვარაუდობდა. უკიდურეს შემთხვევაში არ გამოირიცხებოდა რუსებისთვის ამ სრულიად უცნობი მხარის გამოკვლევა (АКТЫ, 1881, გვ. 633).

იმპერატორის მოთხოვნით ამით უნდა შემოფარგლულიყო რუსული რაზმის მოქმედებები 1834 წლისთვის, მომდევნო წლის ზამთარსა და გაზაფხულზე კი ყველაფერი უნდა მომზადებულიყო მეორე თავდაცვითი ხაზის მოსაწყობად, რომელიც უსტ-ლაზინსკიდან შავი ზღვის სანაპიროს იმ ადგილამდე უნდა მისულიყო, სადაც კავკასიონის მთავარი ქედი ზღვაში შედიოდა, რათა შეევიწროებინათ ახალ და არსებულ (გელენჯიკის - ხაზგასმა ავტორის) საკორდონო ხაზებს შორის მცხოვრები თავისუფალი მოსახლეობა (АКТЫ, 1881, გვ. 632, 633).

ნიკოლოზ I-ის მიერ წამოყენებულ შავი ზღვის სანაპიროს ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მთიელთა დასამორჩილებელ ღონისძიებებს შორის დიდ ადგილს იკავებდა კავკასიის მთიანეთის დაბლობ რაიონებში კაზაკთა გადასახლება და იქ მათი სტანიცებისთვის საფუძვლის ჩაყრა. თუმცა, იმპერატორის აზრით, მთიელთა მიწაზე სტანიცები მხოლოდ რუსების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის სრულად დამორჩილების შემდეგ უნდა აშენებულიყო, რადგანაც ამ შემთხვევაში შესაძლებელი გახდებოდა კაზაკთა დამკვიდრების პროცესში (მათთვის სახლების მშენებლობისა და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოში) მათ დასახმარებლად დამორჩილებული მთიელების გამოყენება, რაც სახელმწიფო სახსრებს მნიშვნელოვნად დაზოგავდა. იმპერატორი კაზაკთა გადასახლების წესების ცვლილების აუცილებლობაზეც ამახვილებდა ყურადღებას (АКТЫ, 1881, გვ. 633).

მთიელთა დასამორჩილებლად იმპერატორის უშუალო ხელმძღვანელობით შემდეგი ღონისძიებები იქნა შემუშავებული:

1) ერთი ტომის მეორის წინააღმდეგ წაქეზება, კერძო მფლობელის კი დამოუკიდებელი საზოგადოების და ამ ურთიერთბრძოლით მათი დასუსტება;

2) მშვიდობიან და ახლად დამორჩილებულ მთიელებზე მკაცრი ზედამხედველობის დაწესება და მათ მმართველებად სანდო პრისტავებისა და სამხედრო ოფიცრების დანიშვნა; მათი ძირითადი მოვალეობა უნდა ყოფილიყო სიმშვიდისა და წესრიგის შენარჩუნება, ხოლო დასჯის უმთავრესი საშუალება რუსეთის შიდა გუბერნიებსა და კავკასიის სხვა მხარეებში ურჩების გადასახლება;

3) მშვიდობიანი მთიელებისთვის კაზაკთა რიგებში ჩაწერის და მათთვის რუს კაზაკთა სტანიცებში დასახლების ნების მიცემა. კაზაკად გახდომის შემდეგ მთიელებს ცალკე დასახლება ეკრძალებოდათ.

4) მუსლიმთაგან (ამიერკავკასიელების, ჩერქეზების, ოსების და ყაზარდოელებისგან) ცხენოსანი პოლკების ფორმირება, როგორც რუსებისადმი დაქვემდებარების ნიშანი, რომლებსაც სხვა ტომების წინააღმდეგ გამოიყენებდნენ. ამ პუნქტის განმარტებაში ვკითხულობთ, რომ თავიდან მსურველები იქნებოდნენ მცირე რაოდენობით, შემდგომ კი გამორჩენის გამო მათი რიცხვი გაიზრდებოდა და რუსეთი მიიღებდა მთიელთა საყოველთაო დამორჩილების საკმაოდ ძლიერ საშუალებას. თუ მთიელებს რუსეთის სამხედრო სამსახურს დააძალებდნენ და ამას მათ მუდმივ მოვალეობად აქცევდნენ, მაშინ მათგან თავდადებისა და ერთგულების მოლოდინი არ უნდა ჰქონოდათ; ასევე შესაძლებელი იყო რუსეთის მიერ მათი დაქირავება კავკასიის გარეთ წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობისთვის, სადაც ისინი გაეცნობოდნენ რუსეთის არმიას და სრული წარმოდგენა შეექმნებოდათ მის ძლევამოსილებასა და სამხედრო ძალებზე. უკან დაბრუნებულები კი ამაში თანამემამულეებსაც დაარწმუნებდნენ, რაც ხელს შეუწყობდა მთიელთა დამორჩილებას (АКТЫ, 1881, გვ. 635).

ყურადღება იქნა გამახვილებული სახმელეთო გზების კეთილმოწყობაზე, მათ შორის ფოთი-სოხუმი-გაგრის მიმართულებით, რომელზეც კონტროლი გადაჭრიდა აფხაზების კავშირს თურქებთან და გამოიწვევდა მათ შორის სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტას (Акты, 1881, გვ. 635).

ადგილობრივებსა და ოსმალებს შორის ვაჭრობის შესუსტების აუცილებლობაზე რუსეთის იმპერატორის მითითებით გაკეთებულ ჩანაწერში შემდეგს ვკითხულობთ: შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები მთის ტომები კავკასიის ხალხებს შორის ყველაზე მეომარნი და ძლიერნი არიან. ისინი ვაჭრობენ ანატოლიაში, სადაც ჰყიდიან ტყვეებს და საკუთარ ნაწარმს. იქიდან კი შემოაქვთ: რკინა, იარაღი, დენთი, გოგირდი, მარილი და პირველი მოთხოვნილების სხვა აუცილებელი მანუფაქტურული საქონელი. საჭიროა ამ ვაჭრობის გადაჭრა, რომელიც რუსეთის ეკონომიკისთვის საზიანოა და ამაღლებს მთიელთა საბრძოლო განწყობას. უნდა აიკრძალოს სამხედრო გემების პატრულირება, რადგანაც ნაპირის ფიზიკური მდგომარეობა არ იძლევა ამ გემების ნაპირთან მიახლოების საშუალებას, რომლებიც უნდა ჩანაცვლდეს უფრო მოხერხებული ნაგებობით - რუსულთან შედარებით ჩერქეზულები უფრო მოსახერხებელია. ეს ღონისძიება აუცილებელია უცხოელი ემისრების გამოც, რომლებიც ჩერქეზებთან შედიან და საჭიროა ამის აღკვეთა. ყოველივე ამ მნიშვნელოვანი მიზნის მისაღწევად აუცილებელია სანაპიროზე რუსული ციხესიმაგრეების მშენებლობა და პატრულირება მცირენიჭიანი ნაგებობით, რომლებიც ვორონცოვის ხელმძღვანელობით უკვე მზადდება. ყოველივე ეს ღონისძიებები იქნება საუკეთესო საშუალება, რომელიც მთიელებს რუსული ხელისუფლების უპირატესობაში დაარწმუნებს (Акты, 1881, გვ. 356).

რუსეთის იმპერატორისა თუ უმაღლესი რანგის სხვა მაღალჩინოსნების მიერ შემუშავებულ გეგმას კავკასიის რუსული ადმინისტრაციის მოხელეები რეალურ ცხოვრებაში წარმატებით ახორციელებდნენ.

საიმპერატორო კარზე შედგენილი ზემოაღნიშნული დებულებების თანახმად, 1835 წელს სოხუმიდან გელენჯიკამდე გზის გაყვანა დაიგეგმა. გაგრის ქედის დასავლეთით არსებული სიტუაციის გასაცნობად რუსებმა გაგზავნეს გადაცმული ოფიცერი ფ. ტორნაუ, რომელმაც შემლო აღლერი-გაგრის სანაპირო ზოლის დაზვერვა. მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია რუსებს აღნიშნულ ტერიტორიაზე სამხედრო ექსპედიციის მოწყობაში დაეხმარა (Торнау, 2008, გვ. 175).

1836 წლიდან გელენჯიკიდან სოხუმამდე გზის გაყვანა დაიწყო. ყურადღება განსაკუთრებით სოხუმ-გაგრის მონაკვეთზე და იქ არსებულ სირთულეებზე (ჭაობსა და მავნე კლიმატით გამოწვეულ ავადმყოფობებზე) გამახვილდა, რაც აფერხებდა კავკასიის ხაზთან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დაკავშირებას. იმავე წელს გელენჯიკის დაკავება, იქ ციხესიმაგრის აგება და გელენჯიკის საკორდონო ხაზის დასრულებაც იყო განზრახული (ანუ მისი კავკასიის ხაზთან დაკავშირება) (Акты, 1881, გვ. 352). ოლგინსკის საკორდონო ხაზთან გელენჯიკის დაკავშირება მოწყვეტდა ნატუხაელებს შაფსუღებისგან, რომლებიც ერთმანეთთან სამხედრო კავშირს კრავდნენ და ერთობლივი ძალით უპირისპირდებოდნენ რუსებს. რუსები მათ გასათიშად ხშირად აწყობდნენ სამხედრო ექსპედიციებს.

სანაპირო ზოლზე ციხესიმაგრეების მშენებლობა განსაკუთრებით სწრაფი ტემპით 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან გაგრძელდა. 1837 წელს აშენდა ციხესიმაგრეები: სვიატოი დუხის - მდ. მდომთის (Акты, 1881, გვ. 870), გელენჯიკის - მდინარე ვულანის, ნოვოტროიცკოეს კი მდ. ფზადის შესართავთან. 1838 წლის 13 აპრილს რუსებმა დაიკავეს მდ. სოჩის შესართავი და ააგეს ნავაგინსკის ციხესიმაგრე (Акты, 1884, გვ. 455), შემდგომ მდინარე ტუაფსეზე - ველიამინოვსკოეს ფორტი, 12 სექტემბერს ცემესის ყურეში - სუჯუკ-კალე (ახლანდელი ნოვოროსიისკი), ტენგინსკის ციხესიმაგრე - მდ. შაფსუხოზე, ყაზარდინსკოე - მდ. დოობეზე (Фелицын (1904). Князь Сефер-бей зан. *Кубанский сборник*. 10, გვ. 35), 1839 წელს მდინარე სუბაშთან - გოლოვინსკის, მდ. პსეხუაპესთან - ლაზარევის, მდ. მესკაგეს შესართავთან კი რაევსკის ფორტი (Акты, 1884, გვ. 463; Васильев (1874). Черноморская береговая линия 1834-1855 гг.. *Военный сборник*, LXLVIII, გვ. 7).

რუსული ჯარების წინსვლა და მათ მიერ სტრატეგიული პუნქტების დაკავება ადგილობრივების შეუპოვარი წინააღმდეგობის ფონზე მიმდინარეობდა (Акты, 1881, გვ. 870, 873, 874; 1884, გვ. 464).

ამ პერიოდში განსაკუთრებული დამაბულობის ფაზაში შევიდა რუსეთ-ინგლისის წინააღმდეგობა (Спенсер, 2006, გვ. 40-41).

ბრიტანეთის ხელისუფლება ადრიანოპოლის ზავით ოსმალეთის მიერ რუსეთისთვის ჩერქეზეთის სანაპიროს დათმობას იმ მიზეზით არ ცნობდა, რომ ადიღეელები თავს ოსმალეთის ქვეშევრდომებად არ მიიჩნევდნენ (ბ. ხორავა, <https://umurgulia82.wixsite.com/ucha/post>; Фадеев, 1960, გვ. 339). ამ საკითხზე არსებულ სულისკვეთებას ამომწურავად გამოხატავს კ. მარქსის სიტყვები: „თურქეთს არ შეეძლო დაეთმო რუსეთისთვის ის, რასაც თვითონ არ ფლობდა“ (Маркс К. Энгельс Ф., 1957, გვ. 417).

ამაზე რუსეთის ჯარის ოფიცერი ფ. ტორნაუც მიუთითებდა: „ეს დათმობა არსებობდა მხოლოდ ქალაქებზე. რუსეთს გადაცემული ტერიტორიის დაკავება შეეძლო მხოლოდ ძალით. კავკასიელი ტომები, რომლებსაც ოსმალეთი თავის ქვეშევრდომებად მიიჩნევდა, სინამდვილეში სულთანს არასდროს ემორჩილებოდნენ. ისინი მას, როგორც მუჰამედის მემკვიდრეს და ყველა მუსლიმანის ფადიშაჰს თავიანთ რელიგიურ ლიდერად ცნობდნენ, მაგრამ არ უხდინდნენ გადასახადებს და არ აძლევდნენ მეომრებს... ამიტომ ოსმალების მიერ რუსეთისთვის მათი დათმობა მათთვის სრულიად გაუგებარი იყო“ (Торнау, 2008, გვ. 171).

1830-იანი წლებიდან ინგლისელი და ოსმალთა აგენტები ამ ტერიტორიაზე გამუდმებით იმყოფებოდნენ, ადგილობრივებს ინგლისის, ოსმალეთის, ეგვიპტის მხრიდან სამხედრო და ფინანსურ მხარდაჭერას აღუთქვამდნენ და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას ჰპირდებოდნენ. მათი სახელები კარგადაა ცნობილი: ურკვარტი, ნაიტი, ბელლი, ლონგვორტი... (История, 1988, გვ. 134-135).

1834 წლის ბოლოს მთიელებმა კონსტანტინეპოლში გაგზავნეს დეპუტაცია, რომ გაერკვიათ ოსმალეთის ხელისუფლების დამოკიდებულება ჩერქეზეთის საკითხისადმი - რამდენად უნდა ჰქონოდა ჩერქეზ ხალხს მათი დახმარების იმედი. იმავე მიზეზით კონსტანტინეპოლში 1837 წლის გაზაფხულზეც ჩავიდა დეპუტაცია ნატუხაელი უზდენის კირიოკო ცინამიოზისა და ორი მამასახლისის შემადგენლობით (Фелицын (1904). Князь Сефер-бей зан. *Кубанский сборник*. 10, გვ. 29-30).

ჩერქეზებმა გადაწყვიტეს ინგლისის პოზიციის გასარკვევად დიდ ბრიტანეთშიც გაეგზავნათ დეპუტაცია, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს ჟებერმეს ედიბი, პირი, რომელიც ცნობილია ანდრეი გოის სახელით. 1834 წელს იგი სამი თვის განმავლობაში იმყოფებოდა ინგლისში და შემდეგ დაბრუნდა კონსტანტინეპოლში, სადაც ჩერქეზეთიდან ჩასულ დეპუტატებს განუცხადა, რომ, მართალია, იგი ინგლისში თვით მეფის პირადმა მდივანმა და სხვა მრავალმა გავლენიანმა პირმა მიიღო, მაგრამ ამ ქვეყნიდან რეალურ დახმარებას ჩერქეზები არ უნდა დალოდებოდნენ (Фелицын (1904). Князь Сефер-бей зан. *Кубанский сборник*. 10, გვ. 20-21).

ჩერქეზთაგან ანტირუსულ კამპანიაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა სეფერ-ბეი ზანი, რომელიც 30-იანი წლებში კონსტანტინეპოლში იმყოფებოდა. სეფერ-ბეი 1837 წელს ნიკოლოზ I-ის წერილობითი მიმართვის შემდეგ ბაზარჯიკში გადასახლეს (Фелицын (1904). Князь Сефер-бей зан. *Кубанский сборник*. 10, გვ. 17-18, 27-28).

1837 წლის 21 სექტემბერს ნიკოლოზ I-მა მემკვიდრესთან ერთად კავკასიაში იმოგზაურა და გელენჯიკის ციხესიმაგრესაც ესტუმრა (Васильев (1874). Черноморская береговая линия 1834-1855 гг.. *Военный сборник*, LXLVIII, გვ. 6-7), რასაც დიდი იდეოლოგიური დატვირთვა ჰქონდა. ეს რუსეთის საიმპერატორო კარის მხრიდან როგორც დანარჩენი მსოფლიოსთვის, ისე ადგილობრივებისთვის იყო გზავნილი, რომ ეს ტერიტორია უკვე რუსეთის სამფლობელო იყო; შავი ზღვის სანაპიროს ციხესიმაგრეებში უკიდურესად შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი

რუსი ჯარისკაცებისთვის კი იმის შეხსენებას წარმოადგენდა, რომ ისინი საკუთარ სამფლობელოს იცავდნენ.

მლიერი მტრის - რუსეთის - ფაქტორი ადგილობრივების გაერთიანებას იწვევდა. ხშირი იყო ყრილობები, რომლებზეც რუსეთის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს იღებდნენ და ფიცს დებდნენ, რომ თავისუფლებისთვის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდნენ. რუსეთის მომხრე თანამემამულეთა კარ-მიდამოს დარბევა ანტირუსული მოძრაობის ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებული საშუალება იყო (Фелицын (1904). Князь Сефер-бей зан. *Кубанский сборник*. 10, გვ. 21).

1839 წელს ოსმალეთს კვლავ ეგვიპტის ფაშა მეჰმედ-ალი აუჯანყდა და ოსმალეთის ჯარი მთლიანად გაანადგურა. ამჯერად სულთანს დახმარება ინგლისმა აღმოუჩინა. უნკიარ-ისკელესის შეთანხმების ახალი ვადით განახლება შეუძლებელი გახდა (История, 1988, გვ. 135).

1840 წელს რუსეთი იძულებული გახდა ხელი მოეწერა ინგლისთან, ავსტრიასა და პრუსიასთან ლონდონის კონვენციისთვის, რომლის ძალითაც ოსმალეთის იმპერია დგებოდა ერთობლივი მფარველობის ქვეშ, მეჰმედ-ალი კი თავის დაქვემდებარებაში მხოლოდ ეგვიპტეს ინარჩუნებდა (Юзефович, 1869, გვ. 93-101).

1841 წელს ნიკოლოზ I-მა ხელი ახალ ხელშეკრულებას მოაწერა. ლონდონში ხუთი დიდი სახელმწიფო საფრანგეთის მონაწილეობით შეთანხმდა, რომ მშვიდობიან დროს შავი ზღვის სრუტეები სამხედრო გემებისთვის დაიკეტებოდა, ომის შემთხვევაში კი მათი გახსნა მხოლოდ სულთნის ნებაზე იქნებოდა დამოკიდებული. პორტამ ომის შემთხვევაში შავ ზღვაში დასავლეთის ქვეყნების მლიერი ფლოტის შეყვანის უფლება მიიღო (Юзефович, 1869, გვ. 101-103). ოსმალეთის საგარეო პოლიტიკის ასეთმა კურსმა რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირების შემთხვევაში ინგლისისა და საფრანგეთის ფლოტს შავ ზღვაში თავისუფალი შესვლის პერსპექტივა გაუჩინა, რასაც სერიოზული გავლენა შეეძლო მოეხდინა კავკასიაში არსებულ სიტუაციაზე.

აღნიშნული ხელშეკრულება იყო რუსეთის პოლიტიკის დიდი მარცხი ახლო აღმოსავლეთში – ასეთ შეფასებას აძლევს ამ ფაქტს ისტორიკოსთა ერთი ჯგუფი. ისტორიკოსთა ნაწილი XIX საუკუნის 30-იან წლებში შეცდომად მიიჩნევს რუსეთის მიერ საომარი მოქმედებების ეპიცენტრის ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიიდან შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე გადატანასაც. იგივე მოსაზრება ჰქონდა ზოგიერთ რუს სამხედრო პირსაც (Торнау, 2008, გვ. 175).

გაგრა-ანაპის სანაპირო ზოლში რუსეთის ჯარის შესვლას ასეთ შეფასებას აძლევდა რუსული ჯარის ოფიცერი ფ. ტორნაუ: „გაგრისა და გელენჯიკის დაკავებამდე ჩვენ წარმოადგენა არ გვქონდა იმ წინააღმდეგობაზე, მაგნე კლიმატსა და სხვა სირთულეებზე, რომელთან ბრძოლაც ჩერქეზეთის სანაპიროზე ჩვენ ჯარს მოუწევდა. გამოცდილებამ, რომლითაც ჩვენ გავმდიდრდით შემდგომ პერიოდში, იძულებული გაგვხდა შავი ზღვის სანაპიროზე ჩვენი მოქმედებები იქამდე შეგვეჩერებინა, სანამ შესაძლებელი გახდებოდა მოგვეშადებინა ყველა საშუალება, რომელიც აღნიშნული სირთულეების თავიდან ასარიდებლად იყო აუცილებელი. მრავალრიცხოვანი და კარგად შეიარაღებული მოწინააღმდეგე, რომელიც თავგანწირული სიმამაცით გვებრძოდა, საჭიროებდა მრავალრიცხოვან ჯარს კავკასიაში, რისი საშუალებაც რუსეთს იმ პერიოდში არ ჰქონდა... აუცილებელი იყო ჯერ მარცხენა ფლანგი (ჩეჩნეთი და დაღესტანი) დაგვემშვიდებინა და მხოლოდ შემდეგ გვეფიქრა ახალ დაპყრობებზე“ (Торнау, 2008, გვ. 175).

შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე რუსეთის დამკვიდრების პირველი წლები ურთულესი ეტაპია რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის პროცესში. თუმცა რუსეთის არმიის უშიშარ ოფიცერს მოვლენების შეფასებისას მხედველობიდან გამორჩა შემდეგი რამ: უნკიარ-ისკელესის ტრაქტატით რუსეთისთვის მინიჭებული დარდანელის სრუტის მხოლოდ რვა წლით ჩაკეტვა, რომელიც შავი ზღვის აუზში მიმდინარე მოვლენებში უცხო ქვეყნის სამხედრო ჩარევას ფაქტობრივად გამორიცხავდა და რუსეთის ქმედებებს უკონტროლოსა და დაუსჯელს ხდიდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სურგულაძე ა. (1973). რუსეთის იმპერია მე-19 საუკუნეში. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. ხორავა, ზ. „აღმოსავლეთის საკითხი“ საუკუნის 20-იან წლებში და აზიზი. <https://umurgulia82.wixsite.com/ucha/post>.
3. Акты Кавказской Археографической Комиссии. (1881). ред. А. Берже. т. VIII. Тифлис. Тип. Главного Управления Наместника Кавказского.
4. Акты Кавказской Археографической Комиссии. (1884). ред. А. Берже, т. IX. Тифлис. Тип. Главного Управления Наместника Кавказского.
5. Васильев Е. (1874). Черноморская береговая линия 1834-1855 гг. Военный сборник, LXLVIII. Санктпетербург. Типография департамента уделов.
6. Восточный вопрос во внешней политике России. Конец XVIII - начало XX в. (1978). Москва.
7. Жуков, К. (2009). Некоторые узловые моменты русско-турецких отношений в конце XVII- начале XX вв. Вестник Санкт-петербургского университета. сер. 13. вып. 2.
8. История народов Северного Кавказа (конец в. 1917 г.). (1988). ред. А. Нарочницкий. Москва. Наука.
9. История СССР. ч. Первая. (1979). ред. В. Мавродин. Москва. Просвещение.
10. Киняпина, Н. (2001). Внешняя политика Николая I. Новая и новейшая история. №1. 2. http://vivovoco.astronet.ru/VV/PAPERS/HISTORY/PALK_OUT.HTM.
11. Маркс, К. Энгельс, Ф. (1957). Сочинения, издание 2-е. т. 9. Москва. Государственное издательство политической литературы.
12. Спенсер, Э. (2006). Описание поездок по Западному Кавказу. Нальчик. Рипо «Адыгея».
13. Торнау, Ф. (2008). Воспоминания кавказского офицера. Москва. «АИРО-XXI».
14. Фелицын, Е. (1904). Князь Сефер-бей зан. Кубанский сборник, 10. Екатериноград. Типография А. Ф. Бойко.
15. Юзефович, Т. (1869). Договоры России с Востоком. Политические и торговые. СПб. Тип. О. И. Бакста.

Russian Politics In The North-Eastern Shores Of The Black Sea During The Unkiar - Skelessi Treaty (1833 - 1841)

Mzia Tkavashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Department of Modern and Contemporary History
of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

Summary

In the year 1833, The Russian and Ottoman Empires signed an agreement, known as the Unkiar - Skelessi Treaty. The document allowed Russia to operate with no restrictions in the Black Sea Basin for 8 years and became the sole reason for Russia's increased special military activities in the aforementioned region.

The territories from Gagra to Gelendzhik were largely unknown to the Russian Empire and for this very reason, they secretly deployed Officer F. Tournau. His reports aided Russian forces to establish defense fortresses in key strategic areas, as well as to conduct successful military expeditions in the North-Eastern reaches of the Black Sea.

The establishment of Russian rule in the region was constantly met with tireless resistance from the locals, backed and galvanized by the European states' increased anti-Russian actions and promise of financial and military assistance to the Circassians, in their anti-Russian quest. For their part, Adyghe deputies, in hopes of receiving actual help, frequently visited Constantinople and in 1834 their representative visited Britain for diplomatic negotiations.

In 1839, Egyptian Pasha revolted against the Ottoman Empire. The Sultan found aid from England, thus making the renewal of the Unkiar - Skelessi Treaty impossible. In 1840, along with other European countries, Russian signed first a convention and later in 1841, a Treaty in London, under which the Ottoman

Empire fell under the joint protection of the signatory parties; In times of peace, the Black Sea Straits were to be closed to warships, and in case of a war, their opening would fully depend on the will of the Sultan. These decisions are considered as a step backward in Russia's Caucasus policy, compared to the Unkiar-Iskeles Treaty.

ინფექციურ სნეულებებთან დაკავშირებული გადმოცემები

ხევისურეთსა და თუშეთში

ნაწილი აზიკური

თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

მსოფლიოში არსებულ პანდემიებთან დაკავშირებულ სავალალო მდგომარეობას ვერც საქართველო გადაურჩა. საქართველოშიც სხვადასხვა დროს, როგორც ერთიანი სამყაროს ნაწილში, გავრცელდა მსოფლიოში არსებული ფართომასშტაბიანი ეპიდემიური სნეულებები, რომელთაც პანდემიის სახე მიიღეს. ესენი იყო: შავი ჭირი, იგივე შავი სიკვდილი, ქოლერა, ყვავილი, ესპანური გრიპი... ამათგან ერთ-ერთი უმძიმესი იყო შავი ჭირი. ამ უძველესმა და ძალიან საშიშმა სნეულებამ პირველად აღმოსავლეთ რომის იმპერიაში VI ს-ში იფეთქა. ამ ვირუსის ეპიდემიები პერიოდულად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მძვინვარებდა. პირველი პანდემიის დროს 100 მლნ-მდე ადამიანი დაიღუპა. მეორე პანდემია – XIV ს-ში, ხოლო მესამე XIX ს-ში იყო. შავი ჭირის გამომწვევი მიკრობი მხოლოდ XIX ს-ის დასასრულს, 1894 წელს, აღმოაჩინეს. XX ს-ში მისი ეპიდემია ინდოეთში ისევ გაჩნდა (შავი, 1986, გვ. 674).

თანამედროვეებმა უწოდეს შავ ჭირს „შავი სიკვდილი“, რომელიც 1347-1353 წლებში ევროპას მოედო და 25 მლნ ადამიანი იმსხვერპლა – ევროპის მოსახლეობის თითქმის ნახევარი. როგორც მიუთითებენ, შავმა სიკვდილმა დიდი მორალური ზეგავლენა მოახდინა თანამედროვეებზე – „მსოფლიო დასასრულის“ მოლოდინი, მისტიკური განწყობილებების გაძლიერება. ამასთან ერთად, გავლენა იქონია ხალხის სოციალურ და ეკონომიკურ მხარეებზეც (შავი, 1986, გვ. 673).

ასევე ძალიან საშიში იყო და დიდი ზიანი მოუტანა ადამიანებს „ყვავილმა“ – ინფექციურმა ვირუსულმა დაავადებამ (ყვავილი, გვ. 634) და ქოლერამ. ადამიანის მწვავე ინფექციური დაავადება ქოლერა ცნობილია უძველესი დროიდანვე. მისი ენდემური კერებია ინდოეთი და პაკისტანი. 1817-1926 წლებში მძვინვარებდა ქოლერის ექვსი პანდემია. XX ს-ის მეორე ნახევრიდან იყო ქოლერის მეშვიდე პანდემია (ქოლერა, 1986, გვ. 546). ეს დაავადება ხალხის მეხსიერებაში „ხორველის“ სახელითაა ცნობილი.

არანაკლები ზიანი მოუტანა მსოფლიოს სხვადასხვა სახის გრიპმა. ცნობილია გრიპის სამი პანდემია (1889-1890, 1918-1919, 1957) (გრიპი, 1974, გვ. 274). გრიპის ერთ სახეს – ესპანურ გრიპს საქართველოში ხალხი „ისპანკად“ მოიხსენიებდა (1918-1919 წწ.).

სამწუხაროდ, ახალ-ახალი სახის ინფექციური სნეულებები დედამიწაზე ისევ და ისევ ჩნდება. ამჟამადაც საბედისწერო დრო უდგას თანამედროვე მსოფლიოს. დღეს მიმდინარე გრიპის მორიგი პანდემიის გაჩენასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ინფექციურ სნეულებებზე ხალხში არსებული ხსოვნის წინ წამოწევა. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ეს იქნება საინტერესო მაგალითი და იმის ჩვენების გზა, თუ როგორ ღირსეულად იქცეოდნენ ჩვენი წინაპრები მსგავს სიტუაციაში.

ჩემი მიზანი არ არის ზოგადად ხალხურ მედიცინაზე, კონკრეტულად ინფექციურ სნეულებებსა და სნეულებათა პრევენციის ხალხურ ტრადიციებზე მსჯელობა. ხალხური მედიცინის სხვადასხვა სფეროში და, მათ შორის, ამ საკითხებზეც წარმატებით მუშაობს ქართველ ეთნოლოგთა ჯგუფი ხალხური მედიცინის მკვლევრის ნინო მინდაძის ხელმძღვანელობით. ამჟამად მსურს წარმოვადგინო სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მონაცემები ხევსურეთზე და ჩემ მიერ თუშეთში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალები, რომლებიც უშუალოდ ფატალურ ინფექციურ სნეულებებს უკავშირდება; ვისაუბრო საბედისწერო სნეულებებთან დაკავშირებულ გადმოცემებზე და იმაზე, თუ როგორ იქცეოდნენ ადამიანები მსგავს სიტუაციებში.

ზემოჩამოთვლილ ინფექციურ სნეულებათაგან ყველაზე საბედისწერო, ხანგრძლივი და ფართომასშტაბიანი „შავი ჭირი“ იყო. ქართულ წერილობით ძეგლებში ეს დაავადება „ავ ჟამად“ მოიხსენიება და ამასთან ერთად, მას „ტყაალუნი“ (მე-11 ს.), იგივე „თხალუნი“ (მე-15 ს.) ჰქვია. საქართველოში მისი რამდენიმე ეპიდემია არის ცნობილი (მე-11,13-14,15,18 სს), მისი აღწერილობა კი ქართულ სამედიცინო წერილობით ძეგლებში გვხვდება, ესენია: უსწორო კარაბადინი (მე-11 ს.), წიგნი სააქიმოი (მე-12 ს.), სამკურნალო წიგნი (მე-15 ს.), იადიგარ დაუდი (მე-16 ს.)... დავით ბაგრატიონი ამ სენს აღწერს, როგორც სენთაგან ერთ-ერთ უმძიმესს ბაგრატიონი, 1985, გვ.527). სააქიმო წიგნთა ავტორები დაავადების სამგვარ ფორმას გამოყოფენ, იადიგარ დაუდი: ავადობა „საავჟამოდ გაცხელებით იწყება და „ავი ჟამი“ ადამიანს უმეტესად ყურის უკან, ილიაში ან საზარდულზედ გამოუვა და „ამა ავი ჟამის გარშემო ან მწვანე, ან შავი ან ყირმიზი იქნების... და ბევრი კაცი ანაზდად (სწრაფად ნ.ა.) მოკვდების“ (ბაგრატიონი, 1985, გვ.527-528).

ეს სნეულება აისახა აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა გადმოცემებშიც და მისი მიმდინარეობის კლინიკური სურათი წერილობით წყაროებში არსებულ მონაცემებს ემთხვევა. სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ჟამიანობასთან დაკავშირებული გადმოცემები რეალურ სურათს ასახავს და თქმულებების სამფერა ისრები „დაავადების სიმპტომთა ასახვას წარმოადგენს“ (ოჩიაური, 1977, გვ. 105-107; მინდაძე, 2016, გვ. 194-197).

ხალხში სნეულებანი, და მათ შორის ინფექციურიც, ზეციდან მოვლენილ რისხვად და სასჯელად აღიქმებოდა. ინფექციურ სნეულებებს, ხალხური რწმენით, ურჩობის, არასწორი ცხოვრებისა და ჩადენილი ცოდვების გამო განგება უვლენდა ადამიანებს. ხევსურული მასალების მიხედვითაც, ჟამი „ღვთისშვილთა წყრომას“ მიეწერებოდა და ავადობის გამომწვევი ზებუნებრივი არსებებიც ღვთაების მიერ იყო მოვლენილი (ოჩიაური, 1977, გვ. 103). ფშავში ეს სნეულება წყევლაშიც აისახა: „ცით მეხ დაცემულო, შავ ჭირით წაღებულო“ (მაკალათია, 1934, გვ. 92). ჟამიანობის კვალი და გადმოცემები შემორჩენილია მთიულეთის სოფელ წკერეშიც; ასევე ხევშიც, სოფელ გორისციხეში, სადაც ჯერ კიდევ დგას აკლდამები და ცოცხალია ხსოვნა ჟამისა, მისთვის ცალკე უქმედ და სალოცავად კვირაც კი გამოყო ხალხმა და მას „ჟამის კვირა“ უწოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში მას შემდეგნაირი განმარტება აქვს: „შავი ჭირი. ძვ. ცრურწმ. უქმე ყველიერის წინა კვირას, ღვთაებრივი მოვლენის – შავი ჭირის წინააღმდეგ სალოცავად“ (ქავთარაძე, 1985, გვ. 300). ამ მხრივ ხევი გამოჩაგლისი არ არის, როგორც მიუთითებენ, ქრისტიანულ ქვეყნებში სნეულთა და სახადიანთა, ასევე შავი ჭირისგან დაავადებულთა მფარველად წმინდა ბარბარე ითვლება და ისიც ცნობილია, რომ ეპიდემიების დროს ამ წმინდანის სახელზე ეკლესიებსა და სალოცავ ნიშებს აგებდნენ, ხოლო „ეპიდემიების დროს ტაძრების მშენებლობის ტრადიცია უძველესი დროიდან მომდინარეობს“ (მინდაძე, 2016, გვ. 194-197).

გადმოცემების მიხედვით, ერთ-ერთი უძველესი და საშიში სნეულების შავი ჭირის, იგივე შავი სიკვდილის – ეპიდემიური სნეულების – გამავრცელებლები უხილავი მითოლოგიური არსებები „ჟამნი“ არიან, მათი ნამოქმედარი „ჟამია“, ე. ი. „ჭირს“ „ჟამი“ უწოდეს ქართველებმა: „ჟამი – კაცის მკვლელი; ერთი დღე და ერთი ღამე“ (ორბელიანი, 1965, IV, გვ. 635), დროის იმ მონაკვეთს კი, როდესაც ჟამის ეპიდემია მძვინვარებდა, „ჟამიანობად“ მოიხსენიებენ.

„ჟამის“ მნიშვნელობა ძველ ქართულ ენაში არის – დღე, საათი, სეზონი, დრო (აბულაძე, 1973, გვ. 344).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ჟამის განმარტება ასეთია: ერთი მნიშვნელობით ის არის – „დრო, ხანი...“, მეორე მნიშვნელობით ჟამი არის: 1. შავი ჭირი; 2. უჟმური, პირქუში (ადამიანი). ჟამიანობა – ჟამის, შავი ჭირის ეპიდემია. ჟამნი – ზოგი საეკლესიო ღოცვის (მწუხრის, ცისკრის) კრებული“ (ქეგლ, 1986, გვ. 374).

თუშურ დიალექტში ჟამს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ერთი მნიშვნელობით ის დროის მონაკვეთია და ერთ დღე-ღამეს მოიცავს; ჟამია – დროება, ყოფა; ჟამი ითქმის რაღაც მძაფრ მოვლენაზე – „რა ჟამი ედგათ“; ასევე ჟამია შეუზღუდავად საშიში ვინმე ან საშიში რამ (ცოცანიძე, 2012, გვ. 123). ბოლო ორი მნიშვნელობა ჟამიანობის სისასტიკისა და საშინელებათა გამოძახილი უნდა იყოს.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ძველ ქართულ ენასა და თანამედროვე მეტყველებაში ჟამის ერთ-ერთი მნიშვნელობა მოკლე შეზღუდულ დროზე მიანიშნებს, შეიძლება ვივარაუდოთ შემდეგი: დაავადებულ ადამიანებს, რადგანაც დროის მცირე მონაკვეთში, ავადობის გამოძვლავნების უმალ, ესწრაფებოდათ სიცოცხლე, ავადობაც მოკლე დროს „ჟამს“ დაუკავშირეს და ხალხმა მას „ჟამი“ უწოდა. მის გამომწვევ მითიურ არსებებს – „ჟამნი“, ხოლო მათი მოქმედების დროის მონაკვეთს კი – „ჟამიანობა“, ეს ზემოთაც აღვნიშნე.

გადმოცემების მიხედვით, ჟამნი ხალხში დადიან და დააქვთ სხვადასხვა ფერის დამაავადებელი, ანუ ავადობის გამავრცელებელი ისრები. ხევსურეთში ჟამთ სამი ფერის ისრები ჰქონდათ – შავთბიანი ისარი ვისაც მოხვდებოდა, ის მაშინვე კვდებოდა, წითელთბიანი – ორი-სამ დღეში, ხოლო თეთრთბიანით დაისრული ზოგიერთი გადარჩებოდა (კიკნაძე, 2009, გვ. 122). თუშეთში ჩაწერილი გადმოცემების მიხედვით – ჟამთ ორი ფერის ისრები ჰქონდათ – შავი ფერის ისრებით უმალ კვდებოდნენ, თეთრი ფერის ისრებით დაისრულნი ავადდებოდნენ, მაგრამ შეიძლება გადარჩენილიყვნენ. შავი ფერის ისარი, ვისაც მოხვდებოდა, სხეულზე შავი ფერის მუწუკი უჩნდებოდა, ეს სწრაფი სიკვდილის ნიშანი იყო. თეთრი ფერის ისრის ნაკვალევზე შედარებით ღია ფერის მუწუკი ჩნდებოდა და ეს ნიშანი იყო, რომ ავადმყოფი ორი-სამი დღე კიდევ იცოცხლებდა ან გადარჩებოდა (აზიკური, 1975, 2, გვ7).

გადმოცემებით, ადამიანთა წარმოდგენაში დაავადების გამომწვევი უხილავი ძალები პერსონებად აღიქმებოდნენ. ისინი ადამიანთა მსგავსნი არიან, ოღონდ გაცილებით მცირეტანისანი. მათი ხილვა ყველას არ შეეძლო. მათ მხოლოდ ზოგიერთი ნახულობდა და ესაუბრებოდა კიდევაც. გადმოცემებში ჟამიანობის მიზეზებიც სახელდება, მაგალითად, ასეთი იყო ხევსურეთში ჯვარის განაწყენება: „ანატორის ჯვარს მაშინ ერთი ხუცესი ჰყავდა, იგივე მკადრე. ეს იყო ხატი მთავარანგელოზის სურათის სახით, რომელიც გაფრინდა ჰაერში და თავისი მკადრე თან დაჰყვებოდა. ხატი ფრინავდა ხევსურეთშიც, თუშეთშიც, ქისტეთშიც. მას არ ახასიათებდა ხალხისათვის ბეგარის დადება (ეს მარტო გუდანის ჯვრის საქმე იყო), დადიოდა იმიტომ, რომ ხალხი დაეყმო, თავისი სახელი აემაღლებინა და ბევრი მლოცველი ჰყოლოდა. როცა მიფრინავდა, თან დაჰყვებოდა მკადრე, ვისაც ის ხელზე მოუდიოდა. მკადრე მოხუცდა, დაკოჭლდა და ვეღარ დაჰყვებოდა ხატს. ანატორს გაღმა მხარეს იყო ერთი სოფელი, რომელსაც ახლა უწოდებენ ძველ ნასოფლარს. იქ ცხოვრობდა ოქრომჭედელი. იმ მიზნით, რომ ხატს ჩქარა არ ევლო, მკადრემ გააკეთებინა ოქროს ლურსმანი და დააღირა ხატს დასარტყმელად. ხატი გაუწყრა მკადრეს, მჭედელსა და მის გვარსაც. გააჩინა ჟამი და სულ გაწყვიტა ხალხი. ანატორის აკლდამებში მარტო ერთ დღეს სამოცი ხმლიანი შესულა (ხევსურები ხმლიანს იტყოდნენ მამაკაცზე). ეს ისეთი ჭირი ყოფილა, რომ გამოუვიდოდა მუწუკის სახით სხეულზე და აღარ აცოცხლებდა დიდხანს. ჟამისაგან მოკლულს აღარავინ ეკარებოდა დასამარხად, ამიტომ, როცა მუწუკი გამოუვიდოდა, ავადმყოფი თავისი ფეხით შედიოდა აკლდამაში და იქ დაღევდა სულს...“ (ოჩიაური, 2005, გვ. 236-237).

ასეთივე გადმოცემებს სხვაგანაც ვხვდებით (კიკნაძე, 2009, გვ. 101).

ხევსურეთში არხოტის თემში „ჟამთ“ ხედავდნენ „წმინდა კაცები“: „მგელა, ხევსურების რწმენით, წმინდა კაცი იყო... ჟამთა მგელა ხედავდა. სხვა კი ვერავინ დაინახავდაო. ისინი ფარული რაღაცა ადამიანის მსგავსი არსებანი ყოფილან. ჰქონდათ მშვილდ-ისრები და ესროდნენ ხალხს. ისარი სადაც ვის ხვდებოდა, სწორედ იმ ადგილზე გამოუვიდოდა ჟამი და ხუთ წუთში გააქრობდა ადამიანს. მგელა რომ მათ ხედავდა, ეს იმითაც იცოდნენ და როგორც წმინდანს, არაფერს ეუბნებოდნენ. როგორც ხალხი ფიქრობს, მგელა საუბრობდა კიდეც მათთან. ისინი იყვნენ ღვთის ბრძანებით მოვლინებულნი...“ (ოჩიაური, 1988, გვ. 121-122).

ასევე ხევსურეთის სხვა ნაწილში „ჟამთ სხო ხალხ კი ვერ ხედავდ, გარდა ჯვარის ხელწმიდა კაცებისა. ესენ კი ყველას ხედავდეს...“ (ოჩიაური, 2005, გვ. 80).

გადმოცემის თანახმად, ხევსურეთს – პირიქი-აქათს სულ მოედო ჟამი და ხალხი ნახევარზე მეტი გაწყდა. ზოგ სოფელში, მაგალითად, სოფელ ხადუში, სოფლის მფარველმა სალოცავმა „სანებამ არ შამაუშენ“. ზოგან კი ჟამის გავრცელებას პირადი გამორჩენის მიზნით ხელსაც უწყობდნენ: ჟამთან „გათავისიანებულ“, დამეგობრებულ ატაბიონელ თათარს (მამაკაცის სახელია – ნ. ა.) ჟამთ საფარველი დაადვეს და მათთან ერთად დაიარებოდა, მათ ისრებს ზიდავდა, თან გზას უჩვენებდა, ვინ სად იყო. იმ დროს დავა ჰქონდათ მიწებზე ხადუელებსა და ატაბიონთ. თათარას უნდოდა, ხადუელების დაღევა და ჟამნი იქით წაიყვანა: „უფიქრებავ, რო ხადუელთავ ერთიანად დავალევიებოდა, ადგილივ ჩვენ დაგვჩებისავ. მაგრამ სანების ჯვარს თავიც არცაით გადმოუჩენიებავ. წამაუყვანიან დიახევის გორისას. აქით უნდა ეხლივ ისარი, ვინაც ხადუს კარჩი გამოჩნდებოდა-დ, უნდა ეხოცავ კაცი, დიაცი, დიდი, წვრილი. ჟამთ რო დიახევის გორ თავ გადმაუჩენავ, ცეცხლ გაუჩენავად, სრუ დაუტყრუშიან. შაისვენთანავ ჟამთაოდ კიდევ გადემზადნიანავ ხადუსად ისრების დასაშენადავ, მაგრამ მაშივ ცეცხლ ეცისავ ზედაო-დ ჩაწვა გაუბედისავ. ბევრ უბძოლავ ჟამთ, მემრ სხვაკნით მაუვლავ სხვის გორისასა-დ იქაც ისეთ დღე დაუყენებავ სანებას. ბოლოს თავზე სალუდე ქვაბ ჩამოუცომაჲ ჟამთა-დ აისრ წამასულან ხადუსაკეს. ჯერ ერთხან უკრავ სანებას ცეცხლის გირკალი, ვერა დაუკლავ, მეორედ, ვერა დაუკლავ, მესამედ ძრიელ ცეცხლ უკრავა-დ მაუგლეჯიებაჲ თავზეით ეს სალუდე ქვაბი. ჯღარ-ჯღურევ ჭალაშიით ამადიოდავ, გაუგორებაჲ-დ ჭალაში გადავარდნილ. დამრჩალან ჟამნ ველი-ველად, დაქცეულანა-დ გადატოლებულან“ (ოჩიაური, 2005, გვ. 80-81). სალუდე ქვაბის ჩამოცმა თავზე – მინიშნება უნდა იყოს იმაზე, რომ დაავადება სახესაც იცვლის და სხვადასხვა გზით ცდილობს ადამიანებამდე მიღწევას.

როგორც იგივე გადმოცემა მოგვითხრობს, ჟამნი გორს იქიდან თავს მაინც ამოჰყოფდნენ. აქ ხაზგასმია იმისა, რომ ჟამი, ანუ დაავადება იოლად მოსაცილებელი არ არის, შეფარვით და მოულოდნელადაც შეიძლება მოსულიყო. მთავარი კი ის იყო, რომ ჟამნი არ შემოეშვათ თავის საარსებო გარემომდე. ამაში კი, გადმოცემის მიხედვით, მოსახლეობას თავისი სალოცავი ეხმარება და იცავს ხალხს, სოფელს. ცეცხლს აჩენს და აჩვენებს, რომ უცეცხლოდ მათი მოცილება არ შეიძლება, მხოლოდ ცეცხლმა უნდა დაწვას, გაანადგუროს, სხვაგვარად მისგან საშველი არ არის, სხვაგვარად მას ვერ მოიცილებ. ველზე მუშაობისას, როცა ვეკითხებოდი 1918-1919 წწ. პანდემია „ისპანკის“ მომსწრე ადამიანებს, თუ რას უშვრებოდნენ ინფექციით გარდაცვლილი ადამიანის სამოსსა და ნიადაგ სახმარ ნივთებს, მპასუხობდნენ, რომ წვავდნენ ან დიდხანს და კარგად რეცხავდნენ. ავადმყოფებს ფრთხილად, მორიდებით უვლიდნენ და ოჯახს კი, სადაც ისპანკიანი ავადმყოფი იყო, ერიდებოდნენ.

ხადუელი მხოლოდ ერთი კაცი მოკლა ჟამმა, რომელსაც თავად უნდოდა სიკვდილი, რადგან „შამნახვ-დამმარხავი“ არავინ ჰყავდა. თვითონ გავიდა სოფლიდან, წავიდა იქით, სადაც ჟამნი ეგულებოდნენ, მათაც დაჰკრეს ისარი და მოკლეს. სანებამ სოფლელებს მიცვალებული სოფელში არ შემოატანინა, რადგან გაჯავრდა – „რაად გავიდავ სოფლის გარეთაო-დ მააკვლიავ თავიც. მე ის მინდოდავ რო ჩემ საყმოშიავ ბეწვიც არ გამრუდებულიყო-დ მაგან შამარცხვინავ.

ჟამთ მემრეც ბევრ უბოლოავ ხადუსაკე, მაგრამ სანებას მაინც ნება არ მიუცავ“ (ოჩიაური, 2005, გვ. 80). გადმოცემის ამ ადგილში პირდაპირი მინიშნებაა იმაზე, რომ მოზომილ დაცულ გარემოში ყოფნა – გადარჩენის ის აუცილებელი პირობაა, ანუ იზოლაცია, რომელიც აუცილებელია მსგავს სიტუაციაში. საქართველოს ბარში ინფექციური სნეულებით (ყვავილი, ქოლერა, „ისპანკა“) დაღუპულნიც კი ცალკე სასაფლაოზე იმარხებოდნენ.

ხახაბოელებს ასევე დაეხმარა ეშმაკებთან და დევებთან მეზრდოლი გიორგი წყაროთგორისა და ხევსურეთში რომ ჟამიანობა იყო, ჟამნი ხახაბოს არ შემოუშვა. ერთი ხახაბოელი კაცი კი დაჰყვებოდა ჟამთ საფარველდადებული და როცა, გაფრთხილების მიუხედავად, ჩუმად მათ ჯორზე შეჯდა და ამით მათი საიდუმლო შეიმეცნა, დაინახა დედამიწის ზურგზე, სად რა ხდებოდა. ეს უწყინეს ჟამთ და შვილის მოკვლით დასაჯეს. თავად ეს კაცი ჟამთ გიორგი წყაროთგორისგან ჰყავდა დასახმარებლად მიცემული. ღალატისთვის რომ დასაჯეს კაცი, ამის ნებართვა ჟამთ გიორგისგან აიღეს, იმანაც ოღონდ მეომარს, რომელიც თავისთვისაც კარგია და ხალხსაც გამოადგება, ნუ მომიკლავთო და გამყოლი კაცის შვილი, რომელიც კოჭლი იყო, ის მოაკვლევინა (ოჩიაური, 2005, გვ. 337). გადმოცემების მიხედვით, ასევე დაიცვეს თავიანთი საყმოები ზეისტეჩოს ადგილის დედამ და გუდანის ჯვარმ (ოჩიაური, 1977, გვ.105).

ამგვარად იცავდა თავის სოფელს ხონეს მთავარანგელოზიც. გადმოცემა გვამცნობს, რომ „ჟამნი მისი შიშით თავს ვერ გადმოაჩენდნენო. ერთი კაცი სხვა სოფლიდან გამოქცევია ჟამთ, გატიტვლებულა, წყალში გადავარდნილა, ხონეს მთავარანგელოზში მისულა და გადარჩენილა მათი ისრების სროლისაგან. მუცუდან გაქცეულა ხონესაკენ, ხალხი და უკან ჟამნი თურმე დაედევნენ. მისულან ხონეში და ჟამნი ველარ გადაჩნდნენ. ასე გადარჩენილა ხალხი“ (ოჩიაური, 2005, გვ. 376). იგივე გადმოცემა – მურღვანთ ანთას ამბავი, რომელმაც „ჟამთ დროს“ ტანისამოსწყაყრილმა ხონეს შეაფარა თავი – ხევსურეთში 1980-იან წლებშიც ჩაუწერია ნოდარ ზვიადაურსაც (კიკნაძე, 2009, გვ. 122-123). სხვა სოფლიდან გამოქცეულმა იცის, რომ ხონეს „ჟამნი არ არიან“, უსაფრთხო გარემოს აფარებს თავს, ოღონდ გაშიშვლებით და „წყალში ჩავარდნიით“ ცდილობს შესაძლო ავადობა თავიდან აიცილოს.

ამ გადმოცემაში საინტერესოა ის, რომ სხვა სოფლიდან ჟამს გამოქცეული კაცი, ვიდრე თავადაც დაავადდება, ავადობაშეყრის შიშით გარბის საეჭვო გარემოდან და ეძებს საიმედო თავშესაფარს, ოღონდ ჯერ იცილებს, იხდის სამოსს, როგორც დაავადების შესაძლო წყაროს, ჩადის წყალში, სუფთავდება და მერე მშვიდობიან გარემოს აფარებს თავს. აქაც ხაზგასმულია იზოლირება და სისუფთავე – მთავარი გამოსავალი ინფექციური სნეულებისას.

როგორც ცნობილია, ხევსურეთის ერთი სოფელი ანატორი მთლიანად ამოწყდა, გადარჩა მხოლოდ ერთი, თუშეთში მწყემსად მყოფი ბიჭი, რომელიც ბოლოს შატილში დასახლდა.

ანატორის შესახებ მ. ჭინჭარაული წერს: „ანატორის აკლდამებში ამოწყდა ერთი სოფელი ისე, რომ ერთი ადამიანიც არ გავიდა მეზობელ სოფლებში. დამმარხავი და აკლდამებამდე მიმყვანი (მიმტანი) რაკი არავინ რჩებოდა, ავადმყოფი ანატორლები თვითონ მიდიოდნენ აკლდამაში, ადრე გარდაცვლილს საწოლი ქვებიდან ძირს გადმოაგდებდნენ და ახლა... თვითონ ელოდნენ სიკვდილს“ (ჭინჭარაული, 2008, გვ. 30).

ხევსურეთთან შედარებით ჟამიანობის შესახებ თუშეთში ცოტა ცნობებია შემონახული. სამწუხაროდ, თავის დროზე ამ საკითხთან დაკავშირებული მასალები, მსგავსად ხევსურეთისა, თუშეთში არავინ ჩაიწერა. ამბები კი მალე ეძლევა დავიწყებას. თვალახილულად შემორჩა მხოლოდ ის სამკალები – „კალდიმა'ები“, იგივე აკლდამები, სადაც ჟამიანობის დროს დახოცილები განისვენებენ. დღეს თუშეთში ჟამიანობისა და მასთან დაკავშირებულ გადმოცემებზე იციან მხოლოდ ის, რომ აკლდამებში ავადობაშეყრილები თავადვე შედიოდნენ და იქ აღესრულებოდნენ. მეც ცოტა ამბების ჩაწერა მოვასწარი. „ისპანკიან“ წლებზე კი ზოგიერთი რამ ბავშვობაში „ისპანკობას“ მომსწრე უფროსების საუბრისას მაქვს მოსმენილი.

ჩემი ჩანაწერების მიხედვით, ხევსურეთის ანალოგიური მდგომარეობა იყო თუშეთშიც, იქაც ჟამნი ადამიანების მსგავსნი და ძალიან პატარა არსებები არიან. თუშეთშიც მათი ხილვა ყველას არ შეეძლო. ხევსურეთში ჟამთ თუ „ხელწმიდა კაცები“ ნახულობდნენ, თუშეთში ჩაწერილი მასალების მიხედვით, მათ უფრო უშიშარი ადამიანი ან შემთხვევით გზად შეყრილი ნახულობს, ისიც თითო-ოროლა, რადგან ჟამიანობის დროს ჟამიანობაშეყრილი სოფლებიდან ყველა თავ-თავის საბოსლოებში გაიხიზნა, ზოგი სოფელში დარჩა, თუმცა ურთიერთობა აღარ ჰქონდათ ერთმანეთთან და თავ-თავისთვის შეყუჟულები შიშით ისმენდნენ სოფელში მიმდინარე სიკვდილიანობას. გორიდან გასმახოდნენ სოფლისკენ – ეკითხებოდნენ, ვინ იყო კიდევ ცოცხალი, ვინ გარდაიცვალა...

თუშეთში ჩაწერილი გადმოცემებით, ჟამთ ჩვეულებრივი რიგითი ადამიანები ხვდებიან, ესაუბრებიან, მაგრამ მსგავსად ხევსურეთისა, მათ არავინ უმეგობრდება, არავინ ემსახურება. ჟამნი თავად უჩვენებენ სოფელში ამბის გასაგებად მისულ დართლოელ კაცს, ვინ სად იმალება, ვინ სად არის, ისინი ანახებენ რაღაც „ყავარჯნისმაგვარ“ ხელსაწყოს, რომლის საშუალებითაც ყველაფერს ხედავენ, რაც გარშემო ხდება და ეუბნებიან, რომ აზრი არ აქვს დამალვას, „ჩვენ ყველას ვხედავთ და ყველას ვწვდებოდით“.

თუშეთშიც ჟამიანობა და ავადობები იყო განგების ძალით ზეციდან მოვლენილი სასჯელი, რომელიც ხალხის დაუმორჩილებლობასთან, არასწორ ცხოვრებასა და ცოდვის ჩადენასთან იყო დაკავშირებული.

თუშეთში ჟამიანობის, „ხოლერისა“ და „ისპანკობის“ ამბებს ერთიმეორეში ურევენ. თხრობისას ხან ერთ სიტყვას იყენებენ, ხან – მეორეს.

თუშეთში ჟამიანობა მხოლოდ სამ ერთმანეთისგან საკმაო მანძილით დაშორებულ სოფელში - დართლოში, წაროსა და ჰელოში - იყო. იმდენად შეიზღუდეს ამ სოფლებმა თვითიზოლაციით თავი, რომ ახლომდებარე სოფლებში დაავადება არ გავრცელებულა. ზოგ მთხრობელთან ჟამი „სატკივრადაც“ მოიხსენიება. „სატკივარი“ თუშურ დიალექტში სამშობიარო ტკივილს ნიშნავს, მაგრამ ჟამთან მიმართებაშიც ვხვდებით. „თუშეთ რო გაჩნდა სატკივარი“ – ასე იწყებს ამბის მოყოლას ერთი მთხრობელი.

დართლოში ჩაწერილი მასალის მიხედვით: „დართლოში ერთი სახლია, სადაც ამჟამად მომეანი, სტეფოანი ცხოვრობენ. ამბობენ, რომ ჟამთ ბინა იმ სახლში დაიდევს, იქ ცხოვრობდნენ. ორი კაცი გამოსულა იმ სახლიდან, ერთ კაცსა თეთრ ისარ-ფშვინდ შჭერია-დ' ერთს შავ ისარ-ფშვინდ შჭერი. ერთივ ყავარჯენ გამი'ყოლესავ შიგითივ. მემრ უთქვამავ, ვინაც შესწრობილ იმათ გამოსვლას, რო აბა, მოდი აქავ. ერთ კაც აგრეა გაგებად მოსრულ – აბა, ვინ არსავ ცოცხალივ, ვინ აღარავ. მოდი აქავ, რო უთხრეს, უთხრეს, რო აბა, ამ ყავარჯენში გახედევ. გახედა-დ' გულის ტყესა, ჩილოსგორსა, გნიოსა (დართლოს საბოსლოები, ზამთარში საცხოვრებლები – ნ. ა.) ვინც სი გასახლდ, სუ იქ გამოჩენილან, იმ ყავარჯენში. მემრ ეთქვ – აი, რო წაზდი თავ, იმალებითავ, ჩვენ ვართავ ჟამნივ, ხორელა'ივ ავასრევთავ ისარსავ, ვისაც შავ ხვდებავ, კვდებაოდ' ვისაც – თეთრივ, გადარჩებავ. რად გარბიანავ, რად იმალებიანავ, არ უნდ წასულიყვნესავ.

ემანდ გნიოთებ გამოვლენ თურმე იახსართანად' იმახებენ დართლოსაკი – ვინ ხართავ ცოცხალივ, ვინ მოკვდავ. იმახებენ, რო მავან მოკვდავ, მავან ავადავ. ემანდ კალდიმა'ებში თურმე შევლენ, ტახტიტას მკვდარს გადმა'გდებენ, თავად დაწვებიან, უკრავს ჩონგურს ახალშესული. მემრ ცხვა შევად' მოკვდებ, მემრ – ცხვა, იმას გადმა'გდებს...

იქ, გნიოს ორ გასათხოარ ქალებ ყოფილიყვნეს, ლამაზ ქალები. ისი'ნ იახსარძირ დუ'საფლავებვან თურმე, მემრ სუ სამკაურ ამოდენილიყო იქითაი. ის ჟამნი, ხორველა'ები იმავ სახლში შესრულან, რო მე'ჩვენნეს, მემრ.

დამრჩალ ერთ ბაღლ აკვანში, ცხვა სუ გაწყვეტილ დართლო... საბოსლოებითა ხალხ მოსრულად' იმათ უნახავთ. მემრ დართლოში ჯარი (ჯარობა, ლხინი – ნ. ა.) ყოფილა ბოჭორნითა გადასულ ერთ კაც სტუმრადად' წავ-მოვად' შე'ყუდებ ის ბაღლი ამ კაცს მუხლებზე. მემრ უთხრ

რომეც – ეს ბალღივ ვისაიავ, რად აქ მე მეტოლეზავ. ქასრ-ქასრევ, ობოლიავ, ხორელა'ის, ჟამთ ნარჩომიავ. – ამ ბალღსავ მე წავიყვანაოდე' გავზარდივ, – წი'ყვანევ. ხან ვინ ვზარდითაოდე' ხან ვინავ. წი'ყვან ბოჟორნას. თითოს წელს თითოჯერ გადმი'ყვანს ემანდ ღელეზუად' გადმა'ხედვიებს თავის მამულეზს თან აჩვენებსად' ეტყვის თავის მამულეზ რომელიავ დი'ხსონევ. გაზარდ ის ბალღი იმ კაცმ. მემრ რო დიდ გი'ზარდ გადმოვიდად' დაცოლ-შვილდ ქაქ, თავის სოფელში“ (ლიზა არჩილის ასული ოთიურ-იდოიძე, 72 წლის, სოფ. დართლო, 1979 წელი) (აზიკური, 1979). გადმოცემის მიხედვით, დართლოში მხოლოდ იდოიძეები დარჩნენ, სხვები გაიხიზნენ. ამბის გასაგებად სოფელში მოსულ კაცს ერთი სახლიდან ბავშვის ტირილი მოესმა, „რაც მომივა, მომივიდესო“, თქვა კაცმა და შევიდა სახლში, ნახა აკვნის ბავშვს დედა მოჰკვდომია და უპატრონოდ დარჩენილი ტირის... იმ ბავშვს ნარჩომა დაარქვეს, რადგან გვარიდან მხოლოდ ის გადარჩა. სოფელში დარჩენილთაგანაც, რადგან მარტო ის გადაურჩა სიკვდილს, მას დართლოელა'საც ეძახდნენო.

დღეს დართლოელი იდოიძეების გვარის წარმომადგენლები ჟამიანობას გადარჩენილი იმ ერთი ბავშვის – დართლოელა'ის - შთამომავლებად მიიჩნევენ თავს.

როგორც ჩანს, იყო დაავადებისგან გამოჯანმრთელების შემთხვევებიც, რომლებიც გადმოცემებშივე აისახა. ეს ამბები სოფელ დართლოს უკავშირდება: „ისპანკიან წელს დართლოს აკლდამა'ებში შედიოდეს თავის ფეხითად' იქ წვებოდეს. ერთ კუშეტკა' ვიდაცას წელად' ჩალა დე'ყარ, რო ცოდვებიავ ხეზეავ. თურმე ერთ შეყვარებულ ქალ-ბიჭებ ყოფილიყვნეს. წინ ბიჭ წავიდად' მოკვდად' ის ქალ ღხშირად მიდისად' აკლდამა'ში შეხედავსად' ის ბიჭ მისვენებულ მომკვდარიყოდ' ღხელში ჩონგურ აქვ დამრჩალიდ' თავადაც კვდებ ის ქალიდ' ვერ იმეტებს რო კუშეტკა'ზეითა გადმი'ღოს ის ბიჭიდ' ჩონგურ წა'რთვას ღხელითაქ. მემრ ერთ თავგს რაღაცა ბალახ შე'ლო კმილით, ცხვირებსთან წუ'სვი იმ ბიჭისადად' რამდენ ხან მძინებიავ – იმ ბიჭს ეთქვ. ის ბიჭ რო გაცოცხლებულ იმ ქალს უთქვამავ, რო შენავ სააქაოს ღმერთმ გაგწირაოდე' მე უნდ წავიდევ, მე ვერ დამიხსნის ღმერთივ. ჩვენ ხო ვერ დავრშენთავ ერთმანეთსაოდე' ეგ ჩონგურ მომეცივ, რო მეაცავ შენ ნაჭერა' ჩონგურის ხელში ჭერით მოკვდევ. ის ქალ დაწოლილად' მომკვდარ. ის ბიჭ თურმე ზის იმ კარებზეად ფიქრობს რა' ვქვანევ, რო მე გავცოცხლდიოდ' ეგ მოკვდავ. ტირის ის ბიჭ ნანდობს (შეყვარებულს ნ.ა.). თვალ წასვლიად' ის თავგ გამოსულ გარევ სუროთა. კბილშიავ ბალახ ეჭირავ, ცხვირებსთან წუ'ლი იმისადაცად' წამომდგარ ეს ქალი. შენ რა'გვერ გასცოცხლდივ. მეავ ვნახევ შენ თავზეავ, მოვიდავ თავვიდ' ბალახ მოგისვავ. თურმე სხედან ლაპარაკობენად' ერთ რამამ წასჩურჩულ, რომევ, ეგევ თავგ კი არ იყოვ, ეგევ ღმერთის ნება იყოვ, თქვენ საცოდაობასავ ვედარ გუ'ძლოდ' და გაგაცოცხლათ გრევევ“ [კატო ლადოს ასული ხვედეგაიძე, 55 წლის, სოფელი ზემო ალვანი, 1980 წელი) (აზიკური, 1980). მონათხრობში ნახსენებია ისპანკიანი წელი, მაგრამ აშკარად ავადობის სახელი ეწლება მთხრობელს. ისპანკობის წლებში თუშეთის მოსახლეობა უკვე ბარში იყო ჩამოცხოვრებული. (აკლდამებში შესვლა ჟამიანობასთანაა დაკავშირებული.

ამ გადმოცემაში ასახული ამბავი, თითქოს რაღაც ბალახის მოსმით აკლდამაში შესული ახალგაზრდა კაცი გაცოცხლდა, იმას მიგვანიშნებს, რომ შესაძლოა მას ჰქონდა ავადობის მსუბუქი ფორმა; ავად გამხდარი სახლსა და სოფელს განერიდა, შევიდა აკლდამაში, სიკვდილს დაელოდა, მაგრამ მისი ორგანიზმი ავადობას მოერია და გადარჩა. ამ ავადობასთან დაკავშირებულ გადმოცემებშიც ხომ მკაფიოდაა ნათქვამი ავადობის ორნაირი ფორმა, შავი და თეთრი ფერის ისრების არსებობაც ხომ ავადობის ორნაირ განვითარებაზე – უეჭველად სასიკვდილოსა და გადარჩენის შანსზე – მიუთითებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ გადმოცემების მიხედვით, ავადმყოფებს აკლდამის კართან საჭმელსა და წყალს უდგამდნენ. როგორც ჩანს, გადარჩენის შემთხვევები მაინც იყო.

სოფელ წაროს შესახებ გადმოცემა ასეთია: „ჩემ მოსწრებაში წაროში თოთხმეტი აკლდამა იყო, ეხლა აღარ არის მაგდენი. შავი ჭირი გაჩენილა ერთ დროს და მთელი წარო ამე'წყვიტავ. ავადობა რო გაჩნდ წაროში არც შუ'შვი ვინმეიდ' არც გამუ'შვი ვინმე. შავ ჭირ რო შე'ყრებოდ თავად

შედიოდეს აკლდამაში. იმ აკლდამას შიგისაკ ტახტივით ხქონი შუა კედელზე გამოჭარბებული, აშენებული. ზედ მკვდარ იწვა. ახალ ავადმყოფ რო შევიდოდ იმ მკვდარსა გადმა'გდებდად' თავად დაწვებოდ, დე'ლოდებოდ სიკვდილს. ეგრე გაწყდა მთელი სოფელი. ამბობენო, იცოდნენ თქმა, წაროს შუაგულში, სანჯმოში სამოც ქალს წინდა'ებისად წვერებ დე'დვ ერთნაირად და ის წინდა'ებ ერთსაც ვერ დუ'მთავრებავ. სანამ წინდა'ების ქსოას და'მთავრებდეს დახოცილან სუყველა'ნი.

მსხვილ ხალხ ყოფილან წოა'ები, ძალიან ტანიანები. აკლდამაში წვივის ძვლებზე თურმე ნორმალურ სიმაღლის კაცის მუხლს კარგადა'ევ ზევით სცდებოდ, იმსიგძე ყოფილ. მაღალაებ ყოფილიყვნეს... მეძრ თანთანა' კიდე მოშენებულ წაროქ, ხალხ კიდე მოგროილად' ამასობაში წოა'თა დი'ცალავ, ბარში ჩამოსახლდეს“ (იროდი ტომეს ძე ცოცანიძე, 76 წლის, 1975 წელი) (აზიკური, 1979).

წაროშიც აკლდამაში ტახტზე ჩონგური იყო დადებული. „მე მინახავს ის ჩონგური, ავადმყოფი რომ შედიოდა, ჩონგურს იღებდა, უკრავდა და სიკვდილს ისე ეგებებოდა“ (მიხო გაბოს ძე თურქოშვილი, სოფელი ზემო ალვანი, 1979 წელი) (აზიკური, 1979).

ჩანს, რომ ზაფხულში მთაში ისევ ადიოდნენ, მსგავსად სხვა თემების თუშებისა, წოვათის თემის თუშებიც. 101 წლის მთხრობელი ფეფე იაკობის ასული გუთანაიძე-ბაკურიძის გადმოცემით, „წოა'თას ჩემ ბიძაშვილ ცხოვრობდ, გუთანა'თ გერისა, გათხოილ იყო, მარა'ი. სიკვდილიან, ხოციან წელ რო იყო დი'ხოცნეს“ (1984 წ., სოფ. ნაფარეული). სიკვდილიან წელში „ისპანკობის“ წლებს გულისხმობს, ამ ასაკისა და ცოტა უფრო ახალგაზრდებზე მომსწრე იყვნენ „ისპანკობას“.

ჰელოს ჟამიანობის შესახებ ასეთი გადმოცემა არსებობს: „ეხლა რო ჰელოა, წინათ სოფელი იქ არა ყოფილა, ცოტა იქით ყოფილა და ბოჭორნა ხქვივნებია. ერთ დროს ამ ბოჭორნას სატკივარი გაჩენილა და მთელი სოფელი გაწყვეტილა. დამმარხავი რო აღარავინ ყოფილა, ხალხი თავად შედენილა კალდიმებში და იქ ხოცილა. ხალხი გათავებულა. იმ კალდამებში აღარავინ შედი-გამოდის. ერთ მეცხვარეს იქ ახლოს ცხვარი უძოვებია და თურმე მთელი დღე ბაღლის ტირილი მიზდის. უგდებს ყურს, კალდიმაში ბაღლი ტირის. ვეღარ გაზძლო და თქვა, რაც მომივა, მომივიდესო, ეგ ბაღლი უნდა გამოვიყვანო. შევიდა, აკავანზე დედაა ჩამკვდარი, ძუძუზე ბაღლი ხყავ მოზმული და რძე რო აღარ გამოზდის, ტირის. გამოიყვანა. გაზარდეს. ბიჭი იყო. რო გაიზარდა, მიხპატრონდა იმ თავის მიწა-მამულს, ოღონდ იქვე აღარ დასახლდა, ცოტა აქეთ დასახლდა. იმის ჩამომავლობამაც იქვე გააკეთა სახლები და გაკეთდა ახალი სოფელი – ჰელო. ეხლა ბევრნი არიან იმის ჩამომავლები; ეგ ბულრიანებიც იმისებია, ფადიანები იყვნეს კიდე პანკისში, ისენიც იმისგან მოდიან“ (ცოცანიძე, 1990, გვ. 37-38).

გაუცნობიერებელი სწრაფმიმდინარე მომკვდინებელი სნეულების წინაშე სრულიად უძლურნი და ბედს მინდობილნი იყვნენ ადამიანები. როგორც კი ავადობის ნიშნები ჩნდებოდა – შავი ფერის მუწუკი სხეულზე - ეს უკვე მალე გარდაცვალების ნიშანი იყო და ავადმყოფი სწრაფად სცილდებოდა ოჯახს, ახლობლებს და აკლდამისკენ მიეშურებოდა, რადგან არც დამმარხავი იყო და ვერც მოასწრებდნენ საფლავის გაჭრას ისეთი ტემპით ავადდებოდნენ ადამიანები.

თუშეთში ჩაწერილი მასალის მიხედვით, წაროსა და დართლოს აკლდამებში ქვის ტახტზე ჩონგურიც იყო დადებული, ამაზე ზემოთაც აღვნიშნე. სნეულებაშეყრილი ადამიანი შევიდოდა შიგ, ჩონგურს უკრავდა და ასე ელოდა სიკვდილს, შემდეგ სხვა შედიოდა, გარდაცვლილს გადმოაგდებდა ტახტიდან და თავად აიღებდა ჩონგურს... ჰელოს აკლდამებში ჭიანურიც იყო შემორჩენილი: „ერთ კალდიმა'იყვისავ დაკეტილივ. ერთ ჭიანურ ეკიდასაოდ' დაბლავ ერთ კაცის ჩონჩხ იყვისავ, თავსთან ის ჭიანურ ეკიდისავ მაღლავ. ჩემ მამამ იამბისავ მეავ ის ჭიანურ დამიკრავავ წინავევ“ (გაბო ცაძიკიძე, 78 წლის, სოფ. ზემო ალვანი, 1980).

საქართველოში დამოწმებული იყო დამარხვის ორი წესი – მიწისზედა და მიწაში. მიწისზედა სამარხები აკლდამები იყო. ცენტრალურ კავკასიაშიც ცნობილი იყო მიწისზედა ღია სამარხები, რომლებშიც გვიანობამდე შემორჩენილი იყო ადამიანთა მუმიად ქცეული გვამები

(Марковин, 1969). ასე რომ, საქართველოში აკლდამები ოდესღაც ჩვეულებრივი სამარხები იყო. ეთნოგრაფიულმა მასალამაც შემოგვინახა ცნობა, რომ თუშეთში ძველად მიცვალებულნი აკლდამებში იმარხებოდნენ და ისინი ყველა გვარს თავ-თავისი ჰქონდა: „წინავე კი არ ღმარხავდეს ადამიანს, კალდიმა'ებ ხქონდ გვარსად' გვარს, თავის კალდიმა'ი. მიცვალებულ შიგ შიყვანიან, და'სვენიანად' ეგ იყვ დასაფლავება. ყველ'ს თავ-თავის კალდიმა'ებ ხქონდ ბოჭორნელებსა (სოფელ ჰედოსთან ძველი ნასოფლარი – ნ. ა.) და იქ იყვ მოთავსებულ ეს მკვდრები. დედაჩემ იცოდის, რო გავიდნიდითავ კვირა'ობითავ ქალებივ იქ ბოჭორნაშიავ, კალდიმა'ებშიავ. მთელ კალდიმა'ებ გადმოაწყვითავ, ერთ დიაც იყვისავ... ქვრივ დია'ცივ, იმამ გადმა'წყვისავ ის ძვლებივ, ქამარ-ხანჯარივ, სამკაულივ, სამსვია' იყვისავ ის კალდიმა'ებივ. ერთ კალდიმა' იყვისავ დაკეტილივ. ის ვერ ვადიითავ. შიგისევ შეხედულივ ერთ ჭიანურ ეკიდისაოდ' დაბლავ ერთ კაცის ჩონჩხ იყვისავ, თავსთან ჭიანურ ეკიდისავ, მალლავ. ჩემ მამამ იამბისავ, მეავ ის ჭიანურ დამიკრავ წინავევ...“ (გაბრო ცაძიკიძე, 78 წლის, სოფელი ფარსმა).

დღეს თუშეთში არის აზრი, თითქოს აკლდამები ჟამიანობის დროს ააგეს, რასაც ვერ გავიზიარებთ. რა თქმა უნდა, აკლდამები ძველთაგანვე უკვე იყო აგებული, რასაც სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემების გარდა, ეთნოგრაფიული მასალაც მოწმობს. ისეთ ექსტრემალურ სიტუაციაში, როგორებიცაა დიდი ეპიდემიები, ყოვლად შეუძლებელია უმოკლეს დროში თუნდაც მცირე ზომის ნაგებობის აშენება. ჯერ ერთი, ისეთ პატარა ნაგებობას, როგორიც აკლდამაა, სჭირდება დიდი ოდენობის ქვა, რომელთა მომტანიც ასეთ სიტუაციაში ვერავინ იქნება; მეორეც, მის აგებას დრო უნდა. ეპიდემიის დროს კი ისე სწრაფად ვითარდება ავადობა და სიკვდილიანობა ისეთი ტემპით ვრცელდება, რომ ელემენტარულად ვერ მოესწრება მისი აგება. რა თქმა უნდა, ის აკლდამები, რომლებშიც ჟამიანობის დროს შედიოდნენ, უკვე დიდი ხნის აგებული იყო. მაგალითად, გომეწრის ხეობის სოფელ გუდაანთში ჟამიანობა საერთოდ არ ყოფილა, მაგრამ იქ არსებობს ოთხი-ხუთი აკლდამა (ბოჭორიძე, 1993, გვ. 61). გუდაანთის აკლდამები დღემდეა შემორჩენილი. სასაფლაო საკრალური სივრცეა და მათ დასანგრევად ვერავინ შეეხება, დრო-ჟამი კი თავადვე ანგრევს. უფრო მყარად ნაგებმა აკლდამებმა დღემდე შემოინახა თავი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აკლდამებს თავდაპირველი ფუნქცია უკვე დაკარგული ჰქონდა და მიცვალებულებს სამაროვნებში მარხავდნენ. ჟამიანობის დროს კი მოხდა მათი ხელახალი გამოყენება და ჭირით გარდაცვლილთა სამარადისო განსასვენებლად იქცნენ. ჩანს, აქედან გაჩნდა აზრიც, რომ აკლდამები ჭირით გარდაცვლილთათვის ააშენეს.

თუშეთის დიდმა ნაწილმა დაავადებული სოფლებისგან იზოლაციით თუ სოფელში შეუსვლელივით, გაუკარებლობით (არშესვლით, არგაკარებით) გადაირჩინა თავი. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა გრიპის ერთ-ერთი პანდემიის – „ისპანკობის“ - დროს თუშეთის წოვათისა და პირიქითის თემებიდან უკვე ბარად ჩამოსახლებული და კომპაქტურად ზემო ალვანში ერთ სოფლად დამკვიდრებული მოსახლეობა. როგორც ვთქვით, ამ დაავადების პანდემია 1918-1919 წლებში იყო. გადმოცემით, ხალხმა ერთნაირად დაიწყო ხოცვა. სოფელში მოილაპარაკეს და ვინც ავად არ იყო, საქმე გაინაწილეს: ზოგი სამების ტაძრის ქვევით, სოფლის სასაფლაოდან მოშორებით, დიდ სამარხებს თხრიდნენ და ერთიანად მარხავდნენ გარდაცვლილებს. ზოგნი მეურმეები იყვნენ, რომ მკვდრები გაესვენებინათ. ფილიანთ ნანა: „მე და ერთი ქალი მეურმეები ვიყავით. ყოველ დილით ჩამოვივლიდით სოფელს და ვისაც გარდაცვლილი ჰყავდა, გამოიყვანდა და ურემზე დაასვენებდა. ასე გავავსებდით ურემს და ჩავიდოდით სამების ბოლოს რიყეზე. ზოგ ოჯახში მიცვალებულის გამომტანიც აღარავინ იყო, შევდიოდით მე და ჩემი ამხანაგი, აბა, ორი ქალი რა იმდენს შევძლებდით, გადმოვაწვენდით ფარდაზე მკვდარს და კიბეებზე თავის ხეთქებით, რახრახით ჩაგვქონდა მიცვალებული. ერთხელ მარტო დავრჩი მეურმედ. მკვდრებით სავსე ურმით რიყისკენ მივდივარ, სადაც ისპანკიანებს მარხავდნენ. მთვარიანი ღამე იყო და გონად რო მოვედი, ურმის კოფოზე სიმღერით

ვიჯექიო“ [ფილიშვილი დარო, ფილიანთ ნანა, სოფელი ზემო ალვანი]. როგორც ჩანს, ყველაფერს ეგუება ადამიანი და სიმღერაც ყოველთვის ლხენის ამოძახილი არ არის.

„ისპანკობას“ თელავში ცხენით საქმეზე გასულა მოზაიძე ალექსი. იგრძნო, რომ ავად არის. მივიდა ექიმთან. ექიმმა კი ურჩია, სწრაფად სახლში წასვლა მოესწრო, რადგან მას „ისპანკა“ სჭირდა. ალვანში ვიდრე გამოვიდოდა, უფიქრია მაინც ვკვდებო და დუქანში შესულს, რაც უნდოდა, გემრიელად და დაუზოგავად მიურთმევია – წითელი ღვინო და ახალი თევზი. იმისი ცოლი ამბობდა, – იმ ღამეს სამჯერ გამოვუცვალე მთლიანად ლოგინი, ლეიბსაც კი წყალი გასდიოდა, იმდენი ოფლი ჰქონდაო. დილით კი ისე ამდგარა საწოლიდან, თითქოს წინა დღეს არც არაფერი სჭირდაო“ (აზიკური, 1974).

„ისპანკა“ობის დროს ზემო ალვანში ვიყავ დედის ძმებში. იქ იამბიან ქვემო ალვანშიაც ისპანკა'ითავ ცოლ-ქმარნ დი'ნხოცნესაოდ' პატარა ბიჭა'ივ მკვდრებსაც ზედ გადაზმვ-გადმოზმვრებოდავ. თქვეს, რო ბალღს არ შე'ყარავ. გადარჩავ... გი'ზარდ მაშ, ჩვენ ობოლ ბიჭა' იყვ, ობოლ ბიჭა'ს ვეძახდეთ იმას, ჩემ მამითილის ძმისშვილ იყვ“ (მაშო დემეტრეს ასული გიუნდიძე-ცოცანიძე, 67 წლის, სოფელი ქვემო ალვანი) (აზიკური, 1976).

ერთ-ერთი მძიმე ეპიდემიური სნეულება, რომელიც მთაში გავრცელდა, ყვავილი იყო, რადგან ის ისე მასობრივად ხელალებით მომაკვდინებელი არ იყო, როგორც ჟამი, ამიტომ მასალაც ნაკლებადაა შემორჩენილი. საქართველოში ამ სნეულების მართვა შეძლო ხალხმა. კვლევებით დადასტურებულია, რომ ყვავილზე აცრის წესი – ვარიოლაციის მეთოდი – საქართველოში საუკუნეებს ითვლის და ისიც ცნობილია, რომ აცრის ეს წესი – ვარიოლაცია – დასავლეთ ევროპაში აღმოსავლეთიდან საქართველოს გზით გავრცელდა (მინდამე, 2016, გვ. 71).

თუშეთში ყვავილთან დაკავშირებით გაჩნდა ცნება „მოჭვრეთილი სახე“, ანუ ნაყვავილარი და შემორჩა თითო-ოროლა ლექსსა და ხმით ნატირალში.

1924-1925 წლებში ხევსურეთში, სოფელ შატილში, ასევე ჯარეგოში, სადაც ყვავილის ეპიდემია მძვინვარებდა, სტუმრად მყოფ შატილიონს გადაედო ავადობა და შატილშიც გავრცელდა. ავადმყოფობამ სოფლის მცხოვრებთა მეოთხედი, 53 ადამიანი მოკლა. ამაზე საინტერესოდ წერს მ. ჭინჭარაული: „როგორც ადრე, ანატორელები, ერთპირად შეიკრა სოფელი შატილიც. არავინ არსად არ უნდა გასულიყო, რომ მეზობელ სოფლებში არ გავრცელებულიყო მსახვრალი სენი. დღე არ გავიდოდა, რამდენიმე არ გარდაცვლილიყო. მესაფლავენი ერთი ცხედრის დაკრძალვის შემდეგ კითხულობდნენ: მეორე საფლავის გათხრა დავიწყეთ, თუ წამოსასვლელად ჩამოვიდეთო...“

რამდენიმე თვეს გაგრძელდა ავადმყოფობა. სოფელში ჭირისუფლები მომრავლდნენ. შეწყდა გართობა და ლხინი“... (ჭინჭარაული, 2008, გვ. 47). ერთხელაც გლოვით გაბეზრებულმა შატილელებმა იმღერეს, ხმა მეზობელ სოფელსაც მისწვდა და როცა იკითხეს, რას შვრებით, რა გამღერებთო – სიკვდილი დავაშინეთო – იყო პასუხი (ჭინჭარაული 2008, გვ. 59).

წარმოდგენილი გადმოცემები ბევრ საინტერესო და საყურადღებო ცნობას გვაწვდის. საკითხთან დაკავშირებული საქმის ვითარება კი ასეთია: სხვადასხვა დროს თუშეთში არსებულ ინფექციურ სნეულებათა სახელები გადმოცემებში არეულია. ირკვევა, რომ ჟამიანობისა და ყვავილის ეპიდემიებთან დაკავშირებული გადმოცემები ოთხივე თემის თუშეთში ცხოვრებასა და აკლდამებს უკავშირდება, „ისპანკობა“ კი – ბარს, სადაც უკვე ჩამოცხოვრებულნი არიან ორი თემის თუშები.

გადმოცემების მიხედვით, ჩანს ავადობის სხვადასხვა ფორმა – მძიმე უექველი სასიკვდილო, რომლის დროსაც უფრო მასობრივად იხოცებოდნენ და შედარებით მსუბუქი, შესაძლო გადარჩენის შანსით. შესაბამისად, გაჩნდა დაავადების გამავრცელებელი სხვადასხვა ფერის ისრების იდეა. ისრების განსხვავებული ფერები, როგორც ჩანს, ავადობის სხვადასხვა სიმძიმეზე მიაჩნებოდა. ეს, რა თქმა უნდა, ადამიანის იმუნიტეტზე დიდად იქნებოდა დამოკიდებული. ცნობილია ძუძუთა ბავშვების მაღალი იმუნიტეტი. სამი შემთხვევა ჩავიწერე,

სადაც ძუძუთა ბავშვი გარდაცვლილი დედის გვერდით უვნებლადაა გადარჩენილი. მათ შველიან გარეშენი, ვინც გაზედავს და თავის გამეტების ფასად შედის სოფელში, სახლში, აკლდამაში, საიდანაც ბავშვის ტირილის ხმა ისმის.

გადმოცემებში ნაჩვენებია ავადობისგან თავდაცვის ყველაზე ეფექტური გზა – დამალვა და იზოლაცია. სოფელ დართლოში ავადობის პირველივე ნიშანზე სოფლის მოსახლეობა საბოსლოებში გაიხიზნა. ყველამ თავის საზამთრო ბინა-მამულებს შეაფარა თავი და იქ ჩაიკეტნენ. საბოსლოები ერთმანეთისგან საკმაოდ იყო დაცილებული. ერთმანეთთან არ მიდი-მოდოდნენ, მარტო გორით-გორ გასძახოდნენ ერთმანეთს. სოფელში ცოტანი რჩებოდნენ. სოფელში იდიძეთა გვარი დარჩა და მთლიანად დაიღუპა, გადარჩა მხოლოდ ძუძუთა ბავშვი. საბოსლოებში გახიზნულთაგან მოკვდა ორი ახალგაზრდა ქალი, ჩანს, მათ გახიზვნამდე უკვე „აკრეფილი ჰქონდათ“ ავადობა.

გადმოცემები გვიყვება, რომ ესა თუ ის სოფელი მთლიანად ამოწყდა, მაგრამ მათში აისახა ისიც, რომ ჟამიანობის დროს მთლიანად ამოწყვეტა მაინც არ ხდებოდა, ვიღაც გასული იქნებოდა სოფლიდან: ან სანათესაოში სასტუმროდ, ან მწყემსად. ასე გადარჩენილი, თუშეთში მწყემსად ნამყოფი ახალგაზრდა კაცისგან გააგრძელეს არსებობა ანატორელებმა (კიკნაძე, 2009, გვ. 101). ჟამიანობას გადარჩენილი ანატორელი შატილს შეეხიზნა და დამკვიდრდა (ჩიტაია, III, 2001, გვ. 582; ოჩიაური, 2005, გვ. 237; ჭინჭარაული, 2008, გვ. 30).

ხევსურულ გადმოცემებში საყურადღებოა ის, რომ ჟამთ ისინი უნდა დაეხოცა, „ვინაც ხადუს კარჩი გამაჩნდებოდად უნდა ეხოცავ კაცი, დიაცი, დიდი, წვრილი“ – ანუ სოფლიდან „ხადუს კარჩი“, ვინც გამოვიდოდა, საშიშროება მათ ემუქრებოდა, სოფელში დარჩნენ, ჩაიკეტნენ, „კარჩი არ გავიდნენ“; კვდება ის, ვისაც თავად უნდა სიკვდილი და სოფლიდან გადის; ჟამნი ზოგჯერ სახეს იცვლიან – „თავზე სალუდე ქვაბ ჩამოუცომავე“, მაგრამ აქ სოფლის სალოცავმა იმარჯვა და ცეცხლით მოსრა ჟამნი. ქვაბახდილი, ანუ ამოცნობილი ჟამნი კი „დაქცეულან და გადატოლებულან“, ანუ შეცნობილი დაავადებისგან თავდაცვა შესაძლებელია – არგაკარებით, ახლოს არმისვლა-მიშვებით. გადმოცემების მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ მოზომილ გარემოში ყოფნა და თავდაცვა – ესაა ასეთ შემთხვევაში სწორი გამოსავალი. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ჟამიანი გარემოდან სოფელში გაჩენილი ავადობის გაგების უმაღლეს გარბის კაცი, სამოსის წყრითა და „წყალში ჩავარდნით“, ანუ გასუფთავებით, დაავადების შესაძლო შეყრისგან თავისუფლდება. მაშასადამე, გასუფთავებით, გაქცევითა და უსაფრთხო გარემოში – სოფლის სალოცავში – თავის შეფარებით ის თავს იცავს. აქ წყალი საკრალური ფუნქციის მქონე გამწმენდი საშუალება, სნეულებისგან საიმედო დამცავია.

ერთი და მეტად საყურადღებო დეტალი არის ის, რომ სადაც კი ჟამიანობა იყო, ყველა სოფელი თავადვე ჩაკეტეს მცხოვრებლებმა, არც არავინ გავიდა სოფლიდან და არც არავინ შეუშვეს გარეშე თავის სოფელში. სოფლიდან გაუსვლელობა და სოფელში არავის შემოშვება, ანუ იზოლაცია – აი, ის ძირითადი და საიმედო ფარი ავადობის მიმართ. როგორც მიუთითებენ, ინფექციური სნეულებების დროს დაავადებული ადამიანის იზოლირება და მთელი მოსახლეობის გახიზვნა გავრცელებული ტრადიცია იყო საქართველოში (მინდაძე, 2016, გვ. 69, 70).

საყურადღებოა ცეცხლიც, რომელიც ასევე მიმართულია ავადობის წინააღმდეგ: დაავადების გამავრცელებელ ჟამთ სოფელში არ უშვებს სოფლის მფარველი სალოცავი, მაგრამ ჟამნი მაინც ცდილობენ რაღაცნაირად შეაღწიონ, უკან არ იხევენ, სოფელში შეპარვის მიზნით სახესაც იცვლიან – ინილბებიან, მაგრამ მათ სალოცავი ცეცხლით ანადგურებს.

გადმოცემების მიხედვით, დაავადება ადგილზე არ ჩნდება, ის მოდის, მოდის საიდანაც და სოფელში შესასვლელად ძალადობს, ყველა ღონეს ხმარობს და მოდის ხალხის გასანადგურებლად.

გადმოცემებში აშკარად იმის ხაზგასმას, რომ ინფექციური სნეულებანი ადვილად მოსაცილებელი არ არის, დროდადრო „გორს იქიდან თავს მაინც ამოჰყოფენ ხოლმე“, ინილბებიან, სახეს მალავენ – ფორმაშეცვლილი სახით მოდიან; ჟამთ აქვთ ხელსაწყო, რომელშიც ყველაფერი ჩანს, ყველას ხედავენ, ანუ ძალიან საშიშნი არიან და დაავადებისგან გადარჩენის შესაძლებლობა მათ სიახლოვეს მეტად მცირეა.

გადმოცემებში კიდევ ერთი დეტალი იქცევს ყურადღებას: აკლდამებში შეტანილია მუსიკალური ინსტრუმენტები და სიკვდილის წინ მასზე უკრავენ. ცნობილია „ბატონების“ სახადის დროს ავადმყოფისთვის სიმღერა აუცილებელი რიტუალია, რომლის მიზანიც ბატონების კეთილგანწყობის მოპოვება იყო (მინდაძე, 2016, გვ.187-189). საინტერესოა, აკლდამაში შესულ სასკვდილოდ განწირულთათვის ეს „დარდიან გულზე... ტირილის მაგიერი იყო“ თუ ამით ცდილობდნენ განწყობის ამაღლებას? იმედიანობა და კეთილგანწყობა ხომ ადამიანის სიცოცხლის სტიმულის მიმცემია.

პანდემიები და საბედისწერო სიტუაციები ხალხზე ყოველთვის მძიმედ აისახება, აძლიერებს სამყაროს აღსასრულის განცდას, მეორედ მოსვლის თემას სწევს წინა პლანზე, მძიმე მორალურ განწყობას აჩენს და ამ ყველაფერთან ერთად მძიმე მატერიალურ სიდუხჭირეში აგდებს საზოგადოებას, ფაქტობრივად საზოგადოების განვითარებას ერთ ადგილზე აჩერებს ან უკან ხევს. ეს კარგად აჩვენა მიმდინარე პანდემიამაც. პანდემია ჯერ არ ჩამცხრალა და ხალხი უკვე შეჭირვებულია. უფრო მეტად კი – მოუთმენელი და მდრტვინველი, ვერ გამცნობიერებელი ვითარების მთელი სერიოზულობისა. გადმოცემებში ასახულ სიტუაციებთან თანამედროვე ყოფის შედარებამ მკვეთრად განსხვავებული საზოგადოებრივი თვითშეგნება აჩვენა – თუ დღეს წინა პლანზეა დრტვინვა და მოუთმენლობა, გაუფრთხილებლობა და თავდაცვითი მოწოდებებისადმი წინააღმდეგობა, უგულებელყოფა, სრულიად განსხვავებულ სურათს ვხედავთ ტრადიციული საზოგადოების ქმედებებში; გადმოცემებსა და ეთნოგრაფიულ მასალებზე დაკვირვებით შეიძლება ითქვას, რომ ინფექციურ სნეულებებს ხალხი ძალიან გონივრულად ხვდებოდა. აღსანიშნავია ის კეთილგონიერება და პრაქტიკული ნაბიჯები, რომლებსაც დგამდა მოსახლეობა განსაკუთრებით საშიში, მრისხანე და მომაკვდინებელი სენის დროს. ასეთი შემთხვევაში მყისვე იღებდნენ გადაწყვეტილებას და თვითიზოლაციით დანარჩენი მოსახლეობის ჯანმრთელ ნაწილს მშვიდად ცხოვრების გაგრძელების საშუალებას აძლევდნენ. როგორც კი გაჩნდებოდა ესა თუ ის სნეულება, მაშინვე წყვეტდნენ ურთიერთობას, აღარც სოფლიდან გადიოდნენ და აღარც სოფელში უშვებდნენ გარეშე ადამიანებს. წყდებოდა მოსახლეობის ძირითადი ნაწილი და ამ აღსასრულს ისინი დიდი ღირსებითა და შეგნებით ეგებებოდნენ. დამმარხავი რომ აღარ იყო, სიკვდილი კი სწრაფად დგებოდა, თვითონვე მიდიოდნენ აკლდამებში და იქ აღესრულებოდნენ. ეს იყო გარდაუვალი მოვლენების ჯანსაღად შემფასებელი, ბედისწერის აუცილებლობის და წერა-მწერლის ნების მაღიარებელი, სიკვდილის ღირსეულად მიმღები, მაღალი ზნეობრივი ნორმების მქონე საზოგადოება, რომლის თითოეულ წევრსაც სიცოცხლის გარდასახვის და შემდგომ მისი მარადიულობის სჯეროდა. ამ საზოგადოების წევრი სიკვდილს ისე უყურებდა, როგორც სხვა სამყაროში - „გმელ ქვეყანაში“ გადანაცვლებას და ისე ხვდება მას როგორც სხვა მდგომარეობაში, შეიძლება უკეთესშიც, გადაცხოვრებას. ზემოთ წარმოდგენილ გადმოცემებში ასეთი საზოგადოების წევრი მომაკვდავი ადამიანი წინაპრების სამკვალეს აკითხავს და იქ ისე შედის, როგორც მარადისობაში, როგორც თავის მთლიანობაში, თავისი საწყისის აღდგენაში. ის თავის საწყისს უბრუნდება, იქ მისი მიმღები წინაპრების ერთიანობაა. ასეთ საზოგადოებას სულის უკვდავებისა და იმქვეყნიური ყოფის რწმენა აწონასწორებს, „გმელი ქვეყნის“ მარადიულობითაა გაჯერებული.

გარდასული დროის ადამიანთა ძირითადი მამოძრავებელი და ქმედებების განმსაზღვრელი ძალა შიში და მორჩილება, საშიშროების გაცნობიერება, სხვების მიმართ მორალური პასუხისმგებლობა და ეთიკა იყო. თანამედროვე ყოფის განვითარებული

ტექნოლოგიებითა და სამედიცინო მიღწევებით გათამამებულ-გაამპარტავებულ ადამიანებს უჭირთ საშიშროების გაცნობიერება, მაინც თამამად და ამაყად არიან. ეს კარგად აჩვენა დღევანდელობამ. ნუ დაგვავიწყდება, რომ ყველა ეპოქას თავისი კორიფეები ჰყავს ყველა დარგში, მათ შორის მედიცინაშიც, მაგრამ VI საუკუნეში აფეთქებული და საუკუნეების განმავლობაში დროდადრო გამძვინვარებული შავი ჭირის გამომწვევი მიკრობი XIX საუკუნის მიწურულში აღმოაჩინეს. ყველა ეპოქას თავისი პრობლემები და ახალ-ახალი სნეულებანი ახლავს. გრიპმა რამდენაირად იცვალა სახე, არავინ იცის გრიპის ეს სახე - კოვიდ-19 - როდემდე გაგრძელდება. არსებობს ერთი მეტად კეთილშობილური ცნება – სიფრთხილე, რომელიც დღეს ძალიან, ძალიან გვჭირდება.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. აბულაძე, ილ. (1973). ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი. მეცნიერება.
2. აზიკური, ნ. სხვადასხვა წლებში (1975, 1979, 1980, 1984 წწ.) თუშეთში ჩაწერილი მასალები. ხელნაწერი.
3. ბაგრატიონი, დ. (1985). იადიგარ დაუდი. თბილისი. საბჭოთა საქართველო.
4. ბოცვაძე, ე. (1986). ყვავილი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბილისი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
5. ბოჭორიშვილი, ვ. (1986). ქოლერა. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბილისი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
6. ბოჭორიძე, გ. (1993). თუშეთი. თბილისი. მეცნიერება.
7. კიკნაძე, ზ. (2009). ანდრეზები. თბილისი. თსუ .
8. მაკალათია, ს. (1934). ფშავი. ტფილისი. პარტგამომცემლობა.
9. მინდაძე, ნ. (1981). ქართული ხალხური მედიცინა. თბილისი. მეცნიერება.
10. მინდაძე, ნ. (2016). ქართული ხალხური მედიცინა. ჩვენი ღირსებანი. თბილისი. წიგნიერი.
11. ოჩიაური, ალ. (1988). ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი (არხოტის თემი). თბილისი. მეცნიერება.
12. ოჩიაური, ალ. (2005). ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილ-მიღმახევი). თბილისი. ენა და კულტურა.
13. ოჩიაური, თ. (1977). ხევსურეთი და ხევსურები. საბჭოთა საქართველო.
14. ქავთარაძე, ივ. (1985). ქართული ენის მოხეური დიალექტი. თბილისი. მეცნიერება.
15. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. (1986). ერთტომეული. თბილისი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
16. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე). (1986). ტ. 10. თბილისი.
17. ჩიტაია, გ. (2001). შრომები ხუთ ტომად. ტ. III. თბილისი. მეცნიერება.
18. ცოცანიძე, გ. (1990). გიორგობიდან გიორგობამდე. თბილისი. მეცნიერება.
19. ჭინჭარაული, მ. (2008).
20. Марковин, В. И. (1969). В стране Вэйнахов. Москва.

Folk Narrations Related to the Infections in Khevsureti and Tusheti

Nanuli Azikuri TSU Iv. Javakhishvili Institute
of History and Ethnology

Summary

The paper refers to infectious diseases, which, as an integral part of the interconnected world, have at times spread to various parts of Georgia. Presented here are narrative accounts and other ethnographic materials related to infectious diseases; We are talking here about how certain regions of Eastern Georgia where such diseases have been spread dealt with these circumstances, considering, in particular, the cases of Khevsureti and Tusheti.

In case of spread of this or that infectious disease, when such emergency happened, people in the traditional Georgian society would demonstrate wisdom and also take some practical steps – so, an infected village in Eastern Georgia's highlands (Khevsureti and Tusheti), would, firstly, react by self-isolation to protect the respective parts of the valley or the region where the disease had not spread. No one would leave the infected village, and no one would be allowed to enter the place. Sometimes, most of the population would die, but this outcome was met with great awareness and dignity. When no one was left to bury him or her, the person would get into the tomb themselves and wait for the end. Self-isolation of an infected settlement appeared to be the only correct and reliable way to save healthy, unaffected parts of the region and its population. That was how Khevsureti and Tusheti escaped going through devastating casualties during the times of great calamities. Otherwise, it would be totally disastrous and fatal for these small communities to survive such terrible adversities of raging infection like the one that has caused the Plague, also called the Black Death.

Popular narratives related to infectious diseases are remarkable in many ways, and they show the traces of several types of infectious diseases. These are the pestilence, i.e. the plague, cholera, smallpox, and the Spanish flu.

According to narratives, the disease does not appear locally, it comes from somewhere else. The spreaders of disease are mythical creatures invisible to the naked eye, that only can be seen by some special persons. These creatures are forcing their way to enter the village, making every effort to somehow penetrate it; It is also well known that infectious diseases are not easily eradicated. They appear suddenly. After an unsuccessful attempt to enter the village, they change their appearance, disguise themselves, and attack the village anew from multiple directions.

The narratives also mention fire as a means of destroying the disease, and water as a means of cleansing from it.

The narrations have clearly shown that the main driving forces and determinants of actions of the people of the old times living in the traditional society were fear and resignation, awareness of danger, prudence, and moral responsibility, and ethical attitude towards those around them.

ცნობილი საზოგადო მოღვაწეები მუჰაჯირობის შესახებ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში

ნარგიზ ახვლედიანი

ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

„მუჰაჯირი“ არაბული სიტყვაა და ქართულად ემიგრანტს, სამშობლოდან გადახვეწილს, ლტოლვილს ნიშნავს. ტერმინი „მუჰაჯირი ქართველი“ ქართულში მკვიდრდება XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში, საქართველოდან თურქეთში საცხოვრებლად გადასახლებული ქართველების აღსანიშნავად.

მუჰაჯირობას რთული ისტორია აქვს. პირველად იგი დაიწყო 1828-29 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ, როცა მესხეთი დაუბრუნდა საქართველოს. მეორე ტალღა იყო 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მომდევნო წლები. ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, ადრე ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში მყოფ გამუსლიმანებულ მოსახლეობას მიეცა არჩევანის უფლება - შეეძლო მიეღო რუსეთის ქვეშევრდომობა, ან შეეძლო ოსმალეთში გადასახლება. 1879 წლის 27 იანვარს სტამბოლში დადებული ტრაქტატის თანახმად, რუსეთსა და ოსმალეთს შორის, მუჰაჯირობის ოფიციალური ვადაც კი იქნა დაწესებული (ფუტყარაძე, 1993, გვ. 9-10).

მუჰაჯირობა ქართველი ხალხის ისტორიაში ერთ-ერთი უმძიმესი ტრაგედია იყო. არც ერთ შემოსევას, არც ერთ ბარბაროს დამპყრობელს არ მიუყენებია იმოდენა ზარალი საქართველოსათვის, რაც მუჰაჯირობამ მოუტანა. ძირძველი ქართული მიწები დაიცალა მოსახლეობისაგან.

რუსეთ - თურქეთის საზავო ხელშეკრულების თანახმად მუჰაჯირები სამი წლის განმავლობაში უნდა წასულიყვნენ თურქეთში. მუჰაჯირობის შემდეგ აჭარის მცხოვრებთა რიცხვი მთელს ოლქში შემცირდა. მაგალითად, თუ ქობულეთში თურქეთის მმართველობის დროს, მცხოვრებთა რაოდენობა ოფიციალური ცნობით, 590 კომლს უდრიდა. რუსეთის შემოსვლიდან ერთი წლის შემდეგ (1879 წ.) შემცირებულია და დარჩენილა 200 კომლი, სხვები თურქეთში გადასახლებულან მუჰაჯირებად (ახვლედიანი, 1944, გვ.28).

...აჭარლებს ატყუებდნენ, რომ სულთანს კარგი ადგილები აქვს შენახულიო, სინამდვილეში კი მათი დასახლება ისეთ ადგილებზე ხდებოდა, სადაც ადამიანებს არც კი ეცხოვრებოდათ; ისინი იქ მასიურად იხოცებოდნენ მალარიისაგან (იქვე, 1944, 209).

ქართველი ინტელიგენცია თავგამოდებით იბრძოდა მუჰაჯირობის წინააღმდეგ, რისთვისაც აჭარლების დასახმარებლად სპეციალური საზოგადოებაც კი შეიქმნა. ამ საზოგადოების ინიციატორები იყვნენ: სერგი მესხი, ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, თედო სახოკია, ნ. მეფისაშვილი და სხვა ქართველი ინტელიგენტები.

აჭარაში რუსეთის შესვლასთან დაკავშირებით, მუჰაჯირობის წინააღმდეგ აჭარლების დახმარების მიზნით, ილია ჭავჭავაძე წერდა: „ჩვენ გაჭირვებულის ძმები ვართ, ძმებო! ... ეს არასდროს და არას შემთხვევაში არ უნდა დაივიწყოს ქართველობამ... ამ ძმობაში გამოიკვანძა ჩვენი ბედი, ამ ძმობამ ჩვენის ბედნიერების კვირტი უნდა გამოიტანოს. ქართველობავ, ჩვენი უწმინდესი ვალია, უნდა მივეშველოთ“ (ჭავჭავაძე, 1927, გვ. 36).

სამშობლოდან გადახვეწილთა რიცხვი კიდევ უფრო ბევრი იქნებოდა, რომ არა ის პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენცია, რომლებიც გულგატეხილ მოსახლეობას ანუგეშებდნენ, მფარველობდნენ და ეხმარებოდნენ. წარმოგიდგენთ ბათუმის სამხედრო გუბერნატორის (კომაროვის) განცხადებას - ამონარიდს 1880 წლის 5 აგვისტოს ტფილისის გაზეთ „დროება“ - დან: „მიზანი განცხადებისა როგორც ეტყობა ის არის, რომ გული დაუშმვიდოს და გადასახლების სურვილი მოუსპოს იმ მაჰმადიან ქართველებს, რომლებთაც ჩვენდა სამწუხაროდ და იმათდა საუბედუროთ, სტოვებენ ამ ჟამად თავის სამშობლო მიწა-წყალს და ქვეყანას და მიდიან ოსმალეთში, სადაც იმათ შიმშილისა, წყურვილისა და ათას გვარ შეწუხების გარდა, სხვა არა სიკეთე არ მოეღოსთ-რა. ბათუმის ლუბერნატორი უცხადებს თავის სამწყსო ხალხს, რომ რუსეთის მთავრობა ყოველს ღონისძიებით ცდილობს და ეცდებოდ თქვენი მდგომარეობის, თქვენი ცხოვრების გაუმჯობესებას.“ (კომაროვი, (1880). *გაზეთი დროება*. გვ. 165) თუმცა, რუსი გენერალი კომაროვი ადგილობრივ მცხოვრებთ რუსული კანონებისათვის მორჩილებას აიძულებდა.

რუსების შემოსვლის შემდეგ, ბათუმის ოკრუგის უფროსმა გენერალმა კომაროვმა, გამოსცა ბრძანება, რომ ახლო-მახლო სოფლებიდან მოსახლეობას ახლა უკვე რუსებისთვის გამოეცხადებინა მორჩილება. რუსების შემოსვლის შემდეგ აჭარაში რუსული კანონების შემოღება დაიწყო. ა. ფრენკელი თავის ჩანაწერებში იხსენებს, თუ როგორ დაჰპატიჟა თავადმა გურიელმა იგი რუსებისა და თურქების შეხვედრაზე, რომელიც ბათუმის მახლობლად უნდა შემდგარიყო: „ბათუმში შემოდიოდა თავადი დ. ი. სვიატოპოლკ-მირსკი, რუსული კანონის, რუსული იდეის და რუსული ცივილიზაციის სახელით. ეს იყო 1878 წლის აგვისტო, როცა შეიქმნა სპეციალური ახალი საზღვრის დამდგენი რუსეთ-თურქეთის კომისია. (Френкель, 1879, გვ.44-45). აზ. ახვლედიანის ბაბუის ზეპირი ინფორმაციით, იმ დროს ბათუმში „ეგრეთ წოდებული“ გამგებელი იყო ვინმე პოლკოვნიკი გაბუნია. გაბუნიას იმ დროს მახინჯაურში მცხოვრებ ახვლედიანებთან რამდენიმე ჯარისკაცი გამოუგზავნია, რათა მათ რუსებისადმი გამოეცხადებინათ მორჩილება. უბინაობის გამო, პოლკოვნიკ გაბუნიას კაბინეტი შავ ზღვაზე კატარღაში ჰქონია. რამდენიმე შეტყობინების შემდეგ როცა პოლკოვნიკს უარი მიუღია გაუგზავნია თავისი წარმომადგენლები და მახინჯაურელი ახვლედიანები, ბადრაგის ძალით იძულებით ჩამოუყვანიათ გაბუნიას კაბინეტში,

კატარღაზე. ახვლედიანებს პოლკოვნიკი გაბუნია მიუხედავად მისი სამხედრო ჩინისა, გემზე უცემიათ, რის გამოც ისინი გაუსამართლებიათ და მიუღიათ მათი დაპატიმრების ბრძანება. ისინი ხარკოვში უნდა გაესახლებინათ. იმ დროს აჭარაში რამდენიმე მოწინავე გვარის წარმომადგენლებმა: ლორთქიფანიძეებმა (შამბაშოღლებმა), ქიქავებმა და სხვებმა მოახსენეს ხელისუფლებას, თუ ამათ გაასახლებთ ჩვენც წავალთ აქედანო. პოლკოვნიკ გაბუნიას ცოლად ჰყოლია ლეჩხუმელი ახვლედიანი. როცა მას გაუგია ეს ამბავი, თავგამოდებით დაუწყია მათი დაცვა და ქმრისათვის განუცხადებია: „თუ ამათ გაასახლებ, მე გაგშორდები“-ო. „გაბუნია ნაჩალნიკი“ იძულებული გამხდარა ისინი გაეთავისუფლებინა და თან სინანულით უთქვამს: „ამ რკინისმკვნიტელ ახვლედიანებს ლეჩხუმიდან გამოვექეცი, იქედან თავი დავაღწიე და აქ თუ შემხვდებოდნენ არ მეგონაო.“ ამ შემთხვევის გამო აქაური მკვიდრნი რუსებს არ ენდობოდნენ და ისინი თავის გადარჩენას თურქეთში გადასახლებაში ხედავდნენ. (ახვლედიანი, 1944, გვ.43-44). სწორედ ამ მიზნით, მახინჯაურელ ახვლედიანთა ერთი ნაწილი: ლომან-აღა, ასლან-აღა, არიფ-აღა ახვლედიანები (კირისილოღლები) თურქეთში მუჰაჯირებად წავიდნენ. დღეს ინეგოლსა და ბურსაში (გემლიკში) სახლობენ მათი შთამომავლები, რომლებიც გვარად ასლანს ატარებენ (ახვლედიანი, 2012, გვ.47-48). 2013 წლის 7 ნოემბრიდან 3 დეკემბრის ჩათვლით, სტამბოლში სამეცნიერო მივლინების დროს, საშუალება მოგვეცა შევხვედროდი სწორედ ამ გვარის წარმომადგენლებს. საინტერესო იყო იმის დადასტურება, რომ ამდენი ხნის შემდეგ მათ არ დაეკარგათ ისტორიები გვარის წარსულზე და ისინი ისევ ქართულ ენაზე მეტყველებდნენ.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე, გრიგოლ გურიელი სერგი მესხთან ერთად დიდ სამუშაოს ატარებდა მუჰაჯირობის წინააღმდეგ. ეს ის გურიელი იყო, რომელიც ათასგვარ გართობა-სანახაობას მართავდა, რომ აქაური მკვიდრნი თურქეთში არ გადასახლებულიყვნენ და ამასთან თხოვდა კიდევაც მათ საკუთარ მამულში დარჩენას. განსაკუთრებული სიახლოვე მახინჯაურელ ახვლედიანებს (კირისილოღებს) გურიელებთან ჰქონდათ. გაირკვა, რომ რუსები ძალდატანებით ასახლებდნენ აქაურ მცხოვრებლებს თურქეთში. ცნობილია ის ფაქტიც, როცა სოფელ ქობულეთიდან ახვლედიანებთან ერთად ინაიშვილების რამდენიმე ოჯახი გადაურჩა გადასახლებას. ისინი მახინჯაურიდან ელოდებოდნენ მუჰაჯირად წასვლას, მაგრამ გადაიფიქრეს და ქობულეთში დაბრუნდნენ. გრიგოლ გურიელი სპორტულ შეჯიბრებებასაც კი აწყობდა აქაურთათვის. აზიზ ახვლედიანი იხსენებდა შემდგომში გურიელის ქალიშვილისა და სიძისათვის ახმედ-აღა ახვლედიანის მიერ საჩუქრად გადაცემულ ერთ-ერთ მიწის ნაკვეთს მახინჯაურში, სანაცვლოდ გურიელს შეკვეთილში ტერიტორია შეუთავაზებია, რაზეც ახმედ ახვლედიანი განაწყენებულა: მე მიწის მეტი რა მაქვს?! ეს ჩემი სახსოვარიო. სამაგიეროდ გურიელის სიძეს ჟუკოვსკის, მისთვის ოფიცრის ნაგანი უჩუქებია.

ნაშრომში წარმოგიდგენთ კიდევ ერთ იმ მოღვაწეთაგანს, რომელმაც ბევრი იზრუნა იმისათვის, რომ ქართველი მაჰმადიანები ოსმალეთში არ გასახლებულიყვნენ. ეს საკითხი იმ დროსაც მწვავე საჭირობო საკითხი იყო. იასონ ნათაძე ყოველ ღონისძიებას იღებდა რომ სხვებთა ერთად ხელი შეეშალა ქართველი ხალხის ეროვნული მთლიანობის დამრღვევ მოვლენათა გაძლიერების წინააღმდეგ. „იასონ ნათაძე დავიწყებული ჰყავდა საზოგადოებას, თუმცა განსაკუთრებულის ყურადღებით კითხულობდნენ იასონის წერილებს ბათუმის ქართველები. იასონ ივანეს ძე ნათაძე დაიბადა 1848 წელს. განათლება მიიღო ტფილისის სასულიერო სემინარიაში და ყოველთვის შესანიშნავ მოწაფედ ითვლებოდა. ჯერ ისევ სემინარიაში იყო, როდესაც ჟურნალ-გაზეთებში ცალკეული სტატიების მომზადებაში დებულობდა მონაწილეობას, ეხმარებოდა ქართულ თეატრს, თანამშრომლობდა ჟურნალ „კრებულ“-ში „ჭიაჭია“-ს ფსევდონიმით; სწერდა პატარ-პატარა წერილებს. განსაკუთრებული ყურადღება დაუმსახურებია თავის „მგზავრის წერილებით“. თანამშრომლობდა სერგი მესხის „დროება“-სთან. იასონ ნათაძე მუშაობდა, აგრეთვე, „დროება“-ში ივანე მაჩაბელთან ერთად და ყურადღებას იმსახურებდა თავისი პოლიტიკური წერილებით. იგი ებრძოდა ჩვენი ქვეყნის

მრავალმხრივ უკუღმართობას. ბათუმის ოლქის დეპუტატებს ასე უთქვამთ: ართვინში მსახურობს ერთი ქართველი, იასონ ნათაძე თავისი ოჯახით, ისეთი კარგი ხალხია და სამაგალითო, რომ თუ ამისთანა ხალხი და ოჯახი ბევრია საქართველოშიც, მაშინ რაღა უშლის ხელს ჩვენს ერთობასო“ (1911). *გაზეთი „სახალხო გაზეთი“ №403*. გვ. 1-2).

მოხსენების დასასრულს, მოვიყვანთ დიდი ილია ჭავჭავაძის სიტყვებს, რომელსაც ჯერაც არ გასვლია ყავლი: „ამის შემდეგ, ნუღარა ჰკვირობთ, რომ დღეს მეცხრამეტე საუკუნეში, რამოდენიმე მაგალითი ვნახეთ ხალხის მამა-პაპეულ ბინიდან აყრისა და გადახვეწისა... დეე, ამაზედ ჩვენს შემდეგი ისტორიკოსი განცვიფრდეს, ჩვენ კი გულისტკივილით შევნიშნოთ და შევიტანოთ ჩვენს მატთანში“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახვლედიანი, ნ. (2012). ახვლედიანნი აჭარაში. თბილისი. უნივერსალი.
2. ახვლედიანი, ნ. (1944). ნარკვევი აჭარის ისტორიიდან (მე-16 მე-19 საუკუნეები). ბათუმი. აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა.
3. ფუტყარაძე, შ. (1993). ჩვენებურების ქართული. თბილისი.
4. Френкель, А. (1879). Очерки Чурук-су и Батума А.Френкеля. Тифлисъ, Типография А.А. Михельсонаъ.
5. ჭავჭავაძე, ი. (1927). რჩეული ნაწერები. თბილისი.

დამოწმებული პერიოდიკა:

1. იასონ ნათაძე, გაზეთი „სახალხო გაზეთი“ №403, 1911წ. გვ. 1-2.
2. სამხედრო გუბერნატორის (კომაროვის) განცხადება, გაზეთი „დროება“, ტფილისი, 1880წ. გვ.165.

Famous Public about “Mohajiroba” (Resettlement) in Georgian Media of XIX-XX cc.

Nargiz Akhvlediani

Institute of Niko Berdzenishvili, Batumi Shota Rustaveli State University

Summary

“Mohajiroba” was one of the harder tragedies of Georgian People history. The article analyzes the famous on unknown public figures’ attitudes to “Mohajiroba”. The article present the opinions of Military Governor Komarov, famous public figure Grigol Gurieli and less-known person living in Artvin Iason Natadze and also local populations’ attitude to this problem.

ირაციონალური თერაპია – მითი, რიტუალი, რწმენა
(ძიებანი რელიგიის ფსიქოლოგიაში ინფექციური დაავადებების მაგალითზე)
ნინო ღამბაშიძე
ვანო სარაჯიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

ხალხური მედიცინის თვალსაზრისით ბავშვთა ინფექციური დაავადებები ქართველ ეთნოლოგებს მრავალმხრივ აქვთ შესწავლილი. განსაკუთრებით: ვ. ბარდაველიძეს, ნ. მინდაძეს,

მ. ბურდულს და სხვ. როგორც ცნობილია, ყვავილს და ბავშვთა ინფექციურ დაავადებებს (ყვავილ-ბატონებს), როგორც დაავადებების უმრავლესობას, თუ არა ყველას, მკურნალობდნენ როგორც რაციონალური, ასევე ირაციონალური მეთოდებით. ირაციონალურ მეთოდებს შორის გამოვყოფთ ყველასათვის კარგად ნაცნობ და პოპულარულ ბატონების რიტუალს, რომელმაც ჩვენამდე თითქმის ბოლო დრომდე მოაღწია. მოაღწია არა მარტო რიტუალმა, არამედ რწმენა-წარმოდგენებმა ბატონების, დიდი დედა ნანას შესახებ, ზღაპრებმა თუ მითოლოგიურმა გადმოცემებმა. როგორც ცნობილია, ყვავილისა და ბავშვთა ინფექციური დაავადებების მკურნალობის ირაციონალური მეთოდები ზოგიერთ ქრისტიან წმინდანსაც უკავშირდება.

მოცემულ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესო იყო თუ რამ განაპირობა მკურნალობის ხსენებული ირაციონალური მეთოდების იმგვარი მდგრადობა, რომ მათ ბოლო დრომდე მოაღწიეს ჩვენამდე, მართლაც რომ საუკუნეების თუ ათასწლეულების სიღრმიდან. რატომ იქნა ხალხის მიერ არჩეული დიდი დედა, ბატონები და ის ქრისტიანი წმინდანები, რომლებზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ, მოცემული ინფექციური დაავადებების სამკურნალოდ.

შეხსენების მიზნით ოდნავ შევჩერდებით ბატონების რიტუალსა და მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ელემენტზე. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს გარკვეული მითი, რწმენა-წარმოდგენები ამ მითის შესახებ და რიტუალი, რომელშიდაც მონაწილეობს ამ მითის, რწმენა-წარმოდგენების შემქმნელი ხალხი და რომ ეს მითი, რწმენა-წარმოდგენა და რიტუალი გაზიარებულია მოცემული საზოგადოების მიერ. ჩვენს შემთხვევაში ვგულისხმობთ, როგორც წინაქრისტიანულს, ასევე ქრისტიანულს. დიდი დედა ნანას კულტთან დაკავშირებული მითოლოგიური გადმოცემების, ლეგენდების თუ ზღაპრების, რიტუალების განხილვისას ვერა ბარდაველიძე აღნიშნავს, რომ ისინი ძველქართული ასტრალური რელიგიის განვითარების ზენიტში შეიქმნენ. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რას გვიამბობენ ბატონების ნანები ბატონებიანი ავადმყოფის ოჯახში, იქ, სადაც ავადმყოფი წევს, ნანას შემსრულებელი გვიამბოს თუ რა მოხდა. მოხდა ის, რომ ოჯახს, კერძოდ, ავადმყოფს ბატონების სახელით ცნობილი საპატიო სტუმრები ესტუმრნენ, რომლებიც ოჯახმა სიხარულით მიიღო. მათ შორის ბატონების მამიდაცაა, რომელსაც ოჯახი განსაკუთრებული პატივით მასპინძლობს: ხალიჩას უფენს. ამასაც არ ჯერდებიან და ორხოსაც,⁷¹ რბილ საფენსაც უფენენ დამატებით. რიტუალის ერთ-ერთი მთავარი შემსრულებელი, მთხრობელი, მუსიკალური ფორმით გვიამბობს საკრალურ მითოლოგიურ ამბავს ბატონების დედაზე, რომელიც შინაარსიდან გამომდინარე იგივე პერსონაჟია, რაც ბატონების მამიდა. ჩვენი რწმენით, ეს ერთი ღვთაებრივი პერსონაჟის, დიდი დედა ნანას, ბატონების დედის ერთ-ერთი ეპითეტია. ბატონების დედა-მამიდას და ბატონებს წინ ოქროს აკვანი უდგათ, რომელშიც ძვირფას საფენებში გახვეული, მთვარითა და ვარსკვლავებით გაწყობილ პერანგში, ოქროსქოჩრიანი ღვთაებრივი გმირი წევს. მის აკვანს ლალის ჩანჩხურა აქვს შებმული. აკვანს ღვთაებრივი სტუმრები თან არწევენ და თან საამური ხმით ნანას მღერა. ტექსტი, რომელიც ამ აღწერილობას მოსდევს, ვფიქრობთ, არის იმ ნანას ტექსტი, რომელსაც ღვთაებრივ ჩვილს ბატონები უმღერიან და რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ მოედნენ სოფელს შვიდი და-ძმა ბატონები, როგორც ჩანს, შვიდი ძმა წითელ ჩოხიანია, შვიდი და კი, შვიდი მზე, დედა ბარბარეს-მზის ქალღვთაების შვილები არიან. ისინი აღწერენ თუ, როგორ აყრიან 7 სოფელს 7 თევზ მარგალიტს ანუ ინფექციურ დაავადებას და შემდგომ ისევ კრეფენ ანუ მიაქვთ დაავადება მარგალიტის სახით. თავიანთ საკრალურ ნანაში ბატონები იმასაც აღნიშნავენ, რომ 7 სოფელში კარავი დასცეს და მოილხინეს. რა თქმა უნდა, ამ გამონათქვამში ძნელი არ არის დავინახოთ ის რიტუალური გამასპინძლება, ჩონგურზე ტკბილხმიანი დამღერება, რომელიც სახადიანი ავადმყოფისთვის სრულდება. აღსანიშნავია, რომ ბატონების ნანა, დიდ დედა ნანასთან დაკავშირებული მითოლოგიური გადმოცემები, სარკისებურ ასახვას პოულობს იმ რიტუალში,

⁷¹ იგივე ორხოვა – ხაოიანი საფენი (ორბელიანი, 1991, გვ. 607).

რომელიც სახადიან ავადმყოფთან სრულდება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მითი რიტუალში სარკისებურადაა ასახული, როდესაც მითი სააქაოში იჭრება და სახიერი ხდება. საკრალური იავნანის ტექსტის მთხრობელი განაგრძობს თხრობას: იგი ბატონების საბრძანებელს, მათ ქვეყანას აღწერს, იავარდით მოფენილ ქვეყანას, სადაც მარადიული ნათელია, იავუნდის მარანს, მასთან ამოსულ ალვის ხეს, მასზე შემომჯდარი ბულბულითა და შევარდნით. როგორც კარგადაა ცნობილი, ზოგიერთ ვარიანტში ძალზედ გავრცელებული საკრალური ტექსტიცაა ალვაზე შემოხვეული მაღლარი ვაზით, რომლის ნაყოფი უკვდავების მიმნიჭებელია და ის ქალ-ვაჟი, ვინც მას არ იხმევს, უდროოდ კვდება. ბოლოს, რიტუალში მონაწილე მომღერალი – მთხრობელი ტექსტს იმით ამთავრებს, რომ წინ უშლის ბატონების დედა-მამიდას და ბატონებს იისა და ვარდის ხალიჩას, რაც რიტუალურადაც სრულდება. ვერა ბარდაველიძე კვლევის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მის მიერ ამ კონტექსტით განხილული ლეგენდები, ზღაპრები, რწმენა-წარმოდგენები, რიტუალი წარმოგვიჩენს დიდ დედა ნანას, როგორც ნაყოფიერებისა და აღორძინების ქალღვთაებას. ბატონები დიდი დედა ნანას ანუ ღვთაება მზის შვილები არიან და იგივე ბუნება აქვთ (Бардавелидзе, 2007, სს. 86, 96); ის, რომ ჩვენ მიერ მოტანილ ტექსტში დიდი დედა ნანა ბარბარეს სახელითაც მოიხსენიება, იგივეს უნდა ამტკიცებდეს. როგორც ძალიან კარგადაა ცნობილი, ვერა ბარდაველიძემ ფუნდამენტური კვლევა მიუძღვნა ბარბარესა და მზის კავშირს. ისიც ძალზე ნათელია, რომ დედა ნანას ნაცვლად ბარბარეთი ჩანაცვლება, მხოლოდ ქრისტიანობის შემდგომ გახდებოდა შესაძლებელი. ის, რომ მზის ღვთაება დროთა ვითარებაში დიდ დედად, ქალღმერთად ყალიბდება, საყოველთაოდ ცნობილია, რა თქმა უნდა, იმ კულტურებში, სადაც მზე ქალური ბუნებისაა. როგორც ელიადე აღნიშნავს, ცხოველისადმი პალეოლითის ადამიანის დამოკიდებულება მიწათმოქმედების შემოღებასთან ერთად კრიზისს განიცდის და მისტიკური კავშირი მყარდება ადამიანსა და მცენარეს შორის. კერძოდ, ქალს, მცენარეს, მიწას შორის, ვინაიდან თავდაპირველად ქალი უვლიდა და ზრუნავდა მცენარეზე (Элиаде, 2002, §12; ლორთქიფანიძე, 2002, გვ. 80). დიდი დედა ნანაც ამ პროცესის შედეგად უნდა წარმოშობილიყო. როგორც ვერა ბარდაველიძე აღნიშნავს, დიდი დედა ნანა კოსმიურ პროცესებში თავად მონაწილეობდა. იგი მზესთანაა უშუალო კავშირში, ბატონების მამიდა მისი ერთ-ერთი ეპითეტი უნდა იყოს, რამდენადაც მზე და მთვარე ცოლ-ქმარიცაა, და-ძმაც და დედა-შვილიც („მზე დაწვა და მთვარე შობა“). წყვილად ღვთაებებში და-ძმობა, დედა-შვილობა და იმავდროულად ცოლ-ქმრობა დამახასიათებელი მოვლენაა და კოსმოგონია-განახლებასთანაა დაკავშირებული, ამოზრდილია წინაქრისტიანული მითოლოგიური აზროვნების ფუნდამენტური რწმენა-წარმოდგენიდან. ირაკლი სურგულაძე წერდა: „ივ. ჯავახიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მათ (მზისა და მთვარის) სქესსა და ურთიერთდამოკიდებულებას. გაირკვა, რომ ზეპირსიტყვიერების ძეგლებში ფიგურირებს მხოლოდ ერთი ძირითადი წყვილი, მზე და მთვარე, რომელთაგან მზე ხან დედაა, ხან და, ხანაც მეუღლე მთვარისა.“ (სურგულაძე, 1993, გვ. 148) ვერა ბარდაველიძის კვლევიდან გამომდინარე, ქართულ ეთნოლოგიურ მეცნიერებაში არსებობს შეხედულება რომ, ძველქართული სვანური მზის ღვთაება ქალ-ბაბარი (ბაბარ/ბარბალ) შუმერული მზის ღვთაებაა და, შესაბამისად, ჩვენში შუამდინარული სამყაროდან უნდა იყოს შემოსული (ბარდაველიძე, 2006, გვ. 125, 129, 131). ივანე ჯავახიშვილის აზრით, ბარბარე, მიუხედავდ იმისა, რომ ქრისტიანულ სამყაროს უკავშირდება, უძველესი წარმართული სახელის დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს (ჯავახიშვილი, 1950, გვ. 199). ჩვენი და ნანა ბახსოლიანის კვლევის მიხედვით, მიგვაჩნია, რომ სიტყვა *babbar* უნდა იყოს ღვთაების ეპითეტი და არა საკუთრივ ღვთაების სახელდება. ჩვენი ვარაუდით, შესაძლოა, ვერა ბარდაველიძის მიერ შესწავლილი სოლარული, კერძოდ, მზის ნიშნების მქონე ქალღვთაება *ბაბარ/ბარბალ* ჩვენში არსებული მზის ქალღვთაების, ნანას ეპითეტია, რომლის კულტის კვალი საქართველოში, კერძოდ, სვანეთში, შესწავლილი აქვს ხსენებულ მეცნიერს. როდესაც ვერა ბარდაველიძე აღნიშნავს, რომ *ბაბარ*-ის თაყვანისცემის ცენტრი ქ. ელასარი, ანუ ლარსი იყო, იგი

ეყრდნობა ბ. ტურაევისა და ვ. სტრუვეს ნაშრომებს. სტრუვე აღნიშნავს, რომ ლარსში მზის მამრობითი ბუნების ღმერთს *ბაბბარს* ეთაყვანებოდნენ, ქ. სიპარში კი შამაშს, რომლის ტაძარს *ე-ბაბბარა* ანუ მანათობელის სახლი ერქვა (Струве, 1941, сс. 68, 105). მაშასადამე, *ბაბბარი*, მზის მამაკაცური ბუნების ღვთაების–შამაშის ეპითეტია და „მანათობელს“ ნიშნავს, ანუ *ე-ბაბბარა* მანათობლის, მზე შამაშის სახლის აღმნიშვნელი და მისი ტაძრის სახელწოდებაა (Турев, 1935, сс. 74). კნუტ ტალკვისტთან ნახსენები: *ე-ბაბ-ბარ-ა, ბა-აბ-არ, ბაბბარ-ე, ბაბარ-შუ-ა* (é-bab-bar-a, ba-ab-ar, babbar-é, babar- šu-a) – ყველა ეპითეტია და ნიშნავს: თეთრს, შამაშის ტაძარს ანუ „ნათლის სახლს“, ამომავალ და ჩამავალ მზეს (Tallqvist, 1938, pp. 43, 52, 72, 90). გარდა ზემოთ თქმულისა, ამ სიტყვის სემანტიკა ვარვართან, ბრიალთან, ცეცხლთან, ვარსკვლავთან (გიორგაძე და ხაზარაძე, 2002, გვ. 29, 30) ავლენს კავშირს. ივ. ჯავახიშვილი, ერთი მხრივ, აღნიშნავდა, რომ წმ. ბარბარეს სახელი ქართველ ხალხს მხოლოდ ქრისტიანობასთან ერთად შეეძლო შეეთვისებინა. მეორე მხრივ კი დასძენდა, რომ ბატონების დედის სახელი ბარბარე, ბატონების უძველესი რწმენიდან გამომდინარე, უძველესი წარმართული სახელის დამახინჯებული ფორმა უნდა იყოსო (ჯავახიშვილი, 1950, გვ. 199). ვინაიდან ქალის სახელი ბარბარე ბერძნულად ბარბაროსს, უცხო ქვეყნიდან მოსულს ნიშნავს და იმის გამო, რომ ბერძნები ბარბაროსს ეძახდნენ სპარსელებს, ან მათ მეფეს, ეგვიპტელებს და სკვითიიდან, ფრიგიიდან, კარიიდან, კაპადოკიიდან ჩამოყვანილ მონებს, შესაძლოა, სწორედ ამგვარი ზედწოდება გახდა სახელი ბარბარეს წარმოშობის მიზეზი, რომელიც უცხოს, უცხო ქვეყნიდან მოსულს ნიშნავს. შესაძლოა, მის გავრცელებას რომელიმე ხსენებული ქვეყნებიდან მოსული მონა ქალის ან ქალების ზედწოდებამ დაუდო საფუძველი. ითვლება, რომ სიტყვა ბარბაროსი ბარ-ის გაორმაგების შედეგად უნდა წარმოშობილიყო. მეორე მხრივ, შუმერული *ბარბარ*, რაც გაორმაგებული ბარ-ი ჩანს, უცხოს, არა ბაბილონურს ან არა შუმერული წარმოშობისას ნიშნავდა. ვფიქრობთ, არ არის გამორიცხული ხსენებული სიტყვა (ბარბარ) შუმერიდან, შუამდინარეთიდან მიგრაციის გზით, ბერძნულ სამყაროში აღმოჩენილიყო. ალბად ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ რომის იმპერიაში შემავლი ხალხების ენებში ქალის სახელ ბარბარეს მსგავსი და შეიძლება იდენტური ფორმებიც აქვთ. ამდენად, ვფიქრობთ, ბატონების ნაწიში ქალღვთაება ნანას ნაცვლად ნახმარი ბარბარე წმ. ბარბარე უნდა იყოს. ამგვარი ჩანაცვლება სრულიად კონტექსტშია, ვინაიდან, ღვთაება ნანას მსგავსად, ხალხისთვის წმ. ბარბარეც ინფექციური დაავადებების მკურნალადაა მიჩნეული. ამგვარი ჩანაცვლება წარმართობიდან ქრისტიანობაზე მოქცევის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია; გამოვლინებაა იმ ხალხის რელიგიური მსოფლმხედველობის, რომელმაც უარყო ერთი სარწმუნოება და შეითვისა მეორე. მაგალითია იმისა, თუ როგორ ქრისტიანდება წინაქრისტიანული მსოფლმხედველობა. საქართველოში არსებობს კიდევ ერთი ქრისტიანი წმინდანი, რომელსაც ხალხი ბავშვთა ინფექციური დაავადებების დროს ევედრება განკურნებას. ესაა იოანე ნათლისმცემელი. თუ ნანას და ბატონებს, შემდეგ კი წმ. ბარბარეს, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მთელ საქართველოში შესთხოვდნენ ყვავილისა და ბავშვთა ინფექციური დაავადებების და არა მარტო ბავშვთა, განკურნებას, იოანე ნათლისმცემელი, ჩვენთვის ცნობილი მასალების მიხედვით, მხოლოდ ხევში მიიჩნეოდა ხსენებულ დაავადებათა მკურნალად. ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ, ბატონების ნანას ვარიანტში წმ. თეკლას სახელიც შემოგვინახა, რასაც დღეს ჩვენს ხელთ არსებული სხვა მასალით ვერ ვადასტურებთ (ქართული ხალხური პოეზია, 8, 1979, გვ. 127).⁷² ჩვენი მოსაზრებით, უნდა არსებულიყო კიდევ ერთი წმინდანი, რომელსაც საქართველოში გამოჯანმრთელებას და იმავდროულად, ინფექციური დაავადებებისგან განკურნებასაც შესთხოვდნენ. ამ წმინდანზე ქვემოთ მოგახსენებთ.

⁷² „, ბატონების მამიდასა, იავნანინაო, ქვეშ გავუშლი ხალიჩასა, იავნანინაო, თეკლესა და ბარბარესა, იავნანინაო“ .

როგორც ცნობილია, ყვავილი (variola vera/ყვავილი და hemorrhagica/შავი ყვავილი) უძველესი ინფექციური დაავადებაა, რომელიც ევროპაში V- VII საუკუნეებში შევიდა და შუა საუკუნეებში ხშირად იღებდა ეპიდემიის სახეს. ამ დაავადებამ ძლიერ შეაფერხა დასავლური საზოგადოების განვითარება. ამერიკის აღმოჩენის შემდეგ ევროპელების მიერ შეტანილმა ინფექციებმა და განსაკუთრებით ყვავილმა დიდი რაოდენობის მოსახლეობა გაანადგურა (3. 1/2 მილიონი). ითვლება, რომ ყვავილმა დიდი როლი ითამაშა ინკებისა და აცტეკების იმპერიების დანგრევაში. ყვავილი XVIIIს-ში ბიოლოგიურ იარაღად იყო გამოყენებული (Riedel, 2005, pp. 21). ყვავილით გამოწვეული სიკვდილიანობა, ხშირად საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა რიცხვს აჭარბებდა (Симоны, 2020, сс. 95). ითვლება, რომ ამ დაავადებამ 150 მილიონი კაცი შეიწირა. როგორც ასევე ცნობილია, საქართველოში ორი სახის ყვავილს ასხვავებდნენ: ქალს და მამაკაცს, მუსლიმს და ქრისტიანს, ქართულს და თათრულს. ქართული, ქრისტიანული, ქალი ყვავილი (ნატურალური ყვავილი), ასე ვთქვათ, ადგილობრივ დაავადებად ითვლებოდა, რომელიც უფრო მსუბუქი იყო, ვიდრე მუსლიმური, თათრული, მამაკაცური და შავი (შავი ყვავილი), რომელიც, ხალხის თქმით, რომელიღაც მაჰმადიანური ქვეყნიდან იყო შემოსული. ეს უკანასკნელი იყო მძიმე და ხასიათდებოდა მაღალი სიკვდილიანობით (Riedel, 2005, pp. 21). როგორც ცნობილია, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ეგიდით 1967 წელს დაიწყო ყვავილის საყოველთაო ვაქცინაცია, რის შედეგადაც ავადმყოფობა გაქრა. ამის გამო, იგივე ორგანიზაციამ 1980 წელს გასცა რეკომენდაცია შეეწყვიტათ ვაქცინაცია. მთავარი წვლილი ყვავილის წინააღმდეგ ბრძოლაში დონალდ ჰენდერსონს მიუძღვის (Черная оспа, <https://www.health.gov.il/Russian/Subjects/disease/smallpox/Pages/default.aspx>; Сулейманов, 2013, сс. 122–125). როგორც ვ. ბარდაველიძე აღნიშნავს, ე.წ. ქართული ყვავილის ეპიდემია დაახლოებით 4-6 წელიწადში ერთხელ მძიმე ეპიდემიის ხასიათს იღებდა. მომდევნო წლებში კი სიკვდილიანობის დონე იკლებდა (Бардавелидзе, 2007, сс. 78–81), შემდეგ კი ისევ ხდებოდა აფეთქება. მსოფლიოში ყვავილის დამარცხება მედიცინის ისტორიაში უდიდეს მოვლენად არის აღიარებული. როდესაც ამ ფაქტის შესახებ ოფიციალურად გამოცხადდა, მრავალმა ქვეყანამ ეს მოვლენა განსაკუთრებული ღონისძიებებით აღნიშნა (Сулейманов, 2013, сс. 122–125).

ამგვარად, ყვავილი მრავალი საუკუნის მანძილზე სერიოზული გლობალური საშიშროება იყო კაცობრიობისთვის. არც ბავშვთა ინფექციური დაავადებები ითვლებოდა უსაფრთხოდ, რის მაგალითადაც ქუნთრუმა და წითელაგ კმარა. როგორც წესი, რელიგია კაცობრიობის ცხოვრებაში ამქვეყნიური ცხოვრებისგან განუყოფელი იყო. ალბათ სეკულარიზაციის ტალღა XVIIIს. II ნახევრიდან შემოიჭრა და ტექნიკურ რევოლუციას, სამეცნიერო დარგების ჩამოყალიბებას, მათში ასახულ ახალ ხედვას მოჰყვა თან. თუმცა ეს ტალღ უკვე განმანათლებლობის წიაღში დაიბადა. მანამ კი ადამიანი ზებუნებრივ ძალებზე ისევე იყო მინდობილი, როგორც პრაქტიკული ცოდნის გამოყენებაზე. შეიძლება ითქვას, რომ, იქ, სადაც რაციონალური მეთოდები მწირი იყო, ადამიანი მეტად იყენებდა ირაციონალურს, მაგრამ ორივე მისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანი იყო. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია დიდი დედა ნანას და ბატონების კულტი, წმ. ბარბარესა და წმ. იოანე ნათლისმცემელთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები. მიგვაჩნია, რომ მათი მდგრადობა უნდა უკავშირდებოდეს იმას, რომ ყვავილი და ბავშვთა ინფექციური დაავადებები საშიში და მაღალი რისკის შემცველი დაავადებები იყო და რადიკალური რაციონალური საშუალებები მათ დასამარცხებლად არ არსებობდა.

მაგრამ რატომ აირჩია მშველელად ქართველმა ხალხმა დიდი დედა ნანა, მისი შვილები – ბატონები, წმ. ბარბარე და წმ. იოანე ნათლისმცემელი? რის გამო შეიძლება ჰქონოდა რწმენა მათ მიმართ ქართველს? როდესაც მირჩე ელიადე საუბრობს შამანის მიერ ავადმყოფის მკურნალობაზე, რომლის დროსაც ის მოცემული საზოგადოების შესაქმის მითს ჰყვება თანმხლები სიმღერით, ხატვით, რიტუალით, რომლითაც ნამდვილდება ის, რაც თაურ, მითოსურ დროს მოხდა, ის აღნიშნავს: ამ დროს, “ხდება რა სიმბოლურად სამყაროს შესაქმე, თანამედროვე

ავადმყოფი მთლიანად უბრუნდება დასაბამიერის სისავსეს. მასში იჭრება გიგანტური ძალები, რომლებმაც მას ჟამსა შინა შესაძლებელი გახადეს შესაქმნე...ავადმყოფი პროფანული დროიდან გადის და მთლიანად დასაბამიერი დროის სისავსეში ეფლობა. ის “უკან”, სამყაროს საწყისთან ბრუნდება და ამით კოსმოგონიას ესწრება...განკურნების რიტუალის დროს შამანი არა მარტო მოკლედ აღწერს კოსმოგონიას, არამედ, უხმობს ღმერთს და მასვე ევედრება ხელმეორედ შექმნას სამყარო...ამგვარად...სამკურნალო რიტუალის მიზანი საწყისთან დაბრუნებაა.” (ელიადე, 2009, გვ. 27, 29) კლოდ ლევი სტროსის თქმით ინდივიდუალური და კოლექტიური მითი ურთიერთშეღწევადია და ორივე ერთმანეთზე ახდენს გავლენას. ინდივიდუალური და კოლექტიური მითი მხოლოდ იმ მასალით განსხვავდება ერთმანეთისგან, რომლითაც მათი ოპერირება ხდება. ორივე სახის მითს ერთი სტრუქტურა აქვს, რის გამოც ასრულებს მითი თავის სიმბოლურ ფუნქციას. ავადმყოფს კურნავს სიმბოლო, რომელსაც მნიშვნელობის მქონე თავისი ექვივალენტი აქვს სხვა რეალობაში (Claude Levi-Strauss, 1963, pp. 200, 203). არაცნობიერის ფიგურები ყოველთვის მჟღავნებოდნენ დამცველი და მკურნალი ხატების სახით და ამ გზით ფსიქიკიდან კოსმოსისკენ მიემართებოდნენ (Campbell, 1976, pp. 369.). სიმბოლო ხორცშესხმული არქეტიპია. ის, თავის მხრივ, არაცნობიერში არსებული, ფსიქიკური ენერგიით დამუხტული ერთეულია, რომელიც კოსმოსში მიემართება და კვლავ ბრუნდება ფსიქიკაში. ეს ლევისტროსისეული ურთიერთშეღწევადობა და ურთიერთ ზემოქმედებაა. ის განცდა, რომელიც არაშესაბამისად სიმბოლიზდება, შესაძლოა აისახოს ჯანმრთელობაზე. ამ განცდას სხეული ინახავს და თან ატარებს (Miller, 2010, pp. 145). ალბათ, ტრავმა რომ დაიდლოს, იგი ადამიანისთვის გარკვეულწილად უნდა გასიმბოლურდეს. ვფიქრობთ, ადამიანი ნუმინოზურს რომ შეხვდეს, მას აქაც სიმბოლო ჭირდება შუამავლად, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

იუნგისეული ფსიქოთერაპევტისა და ანთროპოლოგის, ბარბარა ჰელენ მილერის აზრით, კარგი მკურნალი არის ის, ვისაც შეუძლია ავადმყოფს ხელი შეუწყოს და გაუადვილოს სიმბოლიზაციის პროცესი. იზიარებს რა გრინფილდისა და დრუგერის აზრს, ბ. მილერი აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადამიანზე სოციალური და სიმბოლური სტრუქტურები ახდენენ გავლენას. ეს სტრუქტურები საზრისის შემცველები არიან, რომლებიც შესაძლებელს ხდიან მოვლენების ინტერპრეტაციას. თავის მხრივ, ამ პროცესს, მოვლენების ინტერპრეტაციას, შეუძლია შექმნას ახალი მნიშვნელობები, რომლებიც ცვლიან სოციალურ და სიმბოლურ სტრუქტურებს. ამას ბარბარა მილერი საზრისის ქმნადობის პროცესს უწოდებს. ერთი მხრივ, სამკურნალო საშუალებების ერთობლიობა (რაციონალური, ემპირიული მეთოდები-ნ.დ.) წარმოშობს სიმბოლოებს, რომლებიც რწმენა-წარმოდგენების სისტემით რეგულირდება და მეორე მხრივ, ეს კულტურაში სიმბოლოთქმნადობის ერთ-ერთი მთავარი პროცესია. სახელდება და მკურნალობა კი თავის მხრივ, იდენტობის შენარჩუნების მექანიზმებია. სხვადასხვა კულტურათა სამკურნალო პრაქტიკაში ის, რაც მავენ, ზიანის მომტანია, ისიც სიმბოლიზდება (Miller, 2010, pp. 80, 81). ვფიქრობთ, როდესაც სიმბოლო, ჩვენს შემთხვევაში სამკურნალო სიმბოლიკა, სიმბოლური სტრუქტურები, კარგავს მნიშვნელობას, კარგავენ ექვივალენტებს სხვა, მიღმიერ სამყაროში, ისინი, ერთი მხრივ, ვეღარ ახდენენ გავლენას ადამიანებზე და მეორე მხრივ, ამ ადამიანებისთვის ისინი მნიშვნელობა და საზრის დაკარგულები არიან. ამდენად, კარგავენ ზემოქმედების უნარს. რაც უფრო ახლოა სიმბოლო და მისი მნიშვნელობა ადამიანთან, რაც უფრო გათავისებულია ის, მით უფრო შედეგის მომცემია “ირაციონალური თერაპია”, როგორც მე მას ვუწოდებ.

ქართული კოსმოგონიური მითის არსებობის შესახებ კვლევამ, მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ იგი „მზე შინას“, „ზამინავას“, „მზე ჩაღმა ჩავიდა“, „მზე და მთვარე“ და „ზეცას ვიყავ, ზეცა

ვნახე“ (ქართული ხალხური საუნჯე, I, 1991, გვ. 8),⁷³ ბატონების ნანასა და მათ ფოლკლორულ ვარიანტებში უნდა იყოს დაცული. ეგვიპტური მითის მზგავსად, როგორც ჩანს ჩვენთვისაც, ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, კოსმოგონია კვერცხს უკავშირდება. ჩვენ მითშიც მზე ოქროს კვერცხის სახით იზადება. კვერცხის, რომლის ყვითელი გული ასე ჰგავს მზეს და რამაც, სავარაუდოდ, ამგვარ მითო-ასოციაციას დაუდო საფუძველი. როგორც ჩანს, ჩვენ ტექსტშიც ეს კვერცხი ქაოსის იხვმა დადო, რადგანაც იგი მითო-პოეტურმა ასოციაციამ მარგალიტის (სახოკია, 1979, გვ. 372)⁷⁴ მეშვეობით, ყოვლად სრულ, მშვენიერ იხვის ჭუჭყულს შეადარა. ხდება განწვალება და ჩნდება ცა და მიწა, ნათელი და ზნელი. ჯერ კოსმიური იხვი დებს მზეს ოქროს კვერცხის სახით, შემდგომ მზე წვება და მთვარეს შობს. მზე და მთვარე, თავის მხრივ, და-ძმა არიან, კოსმიური იხვის შვილები, რასაც მათ მიერ მომავალი გმირის/ღმერთის/მეფის გაჩენა მოსდევს. ვარსკვლავების სახით გმირსაც ჰყავს და-ძმები. ახალშობილი ოქროსთმიანი ჩვილია. სწორედ ამ ქართული მეტანარატივის, კრეაციული მითის განვითარებული სახე უნდა იყოს ბატონების ნანას ტექსტში და რიტუალში ასახული, რომელიც, ბოლო დრომდე ყვავილ-ბატონებით დაავადებულისთვის სრულდებოდა. რიტუალის, რომლის ცენტრალური ფიგურა სიცოცხლის, ბუნების აღორძინების, გამრავლების ქართული დიდი დედა ნანაა. თუ ხსენებული რიტუალი მართლაც კოსმოგონიური მეტანარატივის განვითარებული სახეა, მაშინ, ელიადეს რომ დავესესხოთ, ამ მეტამითის განვითარებული სახით, საზრისით დამუხტული მოცემული სიმბოლური სტრუქტურით, ავადმყოფის საწოლთან სიცოცხლის მიმნიჭებელი უდიდესი ენერგიის განსახიერება უდაოდ ძლიერი სამკურნალო ეფექტის მქონე რიტუალია. მისი მდგრადობაც აქედან უნდა იყოს გამომდინარე. ფაქტობრივად ეს მეტანარატივი მეტასიმბოლოა, რომელიც სიმბოლოებით ხორჩმესხმული სტრუქტურისგან შედგება. სწორედ მას აქვს ძლიერი სამკურნალო ეფექტი, რაც მის მდგრადობას განაპირობებს ყოფაში. ამ საკითხს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მხარე აქვს, რაც ზოგადად რიტუალს უკავშირდება.

რიტუალის ფუნქციაა კვლავ შექმნას სამყაროში წესრიგი. ის გარდაქმნის ადამიანს, მაგ., ინიციაციის რიტუალით, იწვევს წვიმას, ავადმყოფს ანიჭებს ჯანმრთელობას და სხვ. განაცდევინებს კოლექტიურობას და სოლიდარობას; განაცდევინებს კავშირს მიღმა სამყაროსთან, ღმერთებთან, ღვთაებებთან, ანგელოზებთან, ზებუნებრივ ძალებთან, აკავშირებს წარსულთან და მომავალთან. რიტუალის სტრუქტურაში ძირითადად სამი ფაზის გამოყოფა შეიძლება: სეპარაცია, ტრანსფორმაცია და რეინკორპორაცია ანუ კვლავ დაბრუნება. სეპარაციის დროს რიტუალის მონაწილე წყდება რეალურ დროს და სივრცეს. ტრანსფორმაცია შედგება ლიმიანლობისა და კომუნიტასისგან. პირველის დროს, რიტუალში მყოფი მონაწილე ორ იდენტობას შუაა: არც აქ და არც იქაა, არც ძველია და ჯერ არც ახალი. ეს არის მდგომარეობა, როდესაც ადამიანი დროის და სოციალური სტრუქტურების მიღმაა. ლიმიანალური მდგომარეობა არის საკრალური, ძლიერი, წმინდა. კომუნიტასის დროს განიცდება ერთობა, რომელიც მოკლებულია სეგრეგაციას. აქ სეგრეგაცია შესაძლოა იყოს ლიდერსა და თემს შორის. რეინკორპორაციისას ტრანზიტორული ფაზის გავლის შედეგად მონაწილეებს ენიჭებათ იდენტობის განახლებული განცდა საზოგადოებასა და კოსმოსში. განახლებულები ბრუნდებიან საზოგადოებაში. რეინკორპორაციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა საერთო პურობა რიტუალის შემდეგ (Hiebert, Shaw, Tienou, 2012, pp. 296-302.). მაგრამ რიტუალის შუა ეტაპი უმნიშვნელოვანესია, მით უფრო ჩვენს შემთხვევაში ანუ ირაციონალური თერაპიის დროს; კერძოდ კი მნიშვნელოვანია ლიმიანალური

⁷³ აქ «ზეციური მოგზაურობის» ერთ-ერთი არქეტიპული მაგალითი უნდა იყოს გადმოცემული (Marie-Louise fon Franz, *The Feminin in Fairy Tales*, Shambala, Boston and London, 1993, p. 155). ამ მოგზაურობის შემდეგ ინიციაცია გავლილი ხელდასხმული და წილნაყარია.

⁷⁴ თედო სახოკია მარგალიტს თავის ლექსიკონში შემდეგნაირად განმარტვს: ადამიანი ანდა საგანი, ანდა ყოვლად სრული, სიმშვენიერით მოსილი, ნატიფი, ძვირფასი.

ფაზა, სადაც, ვფიქრობთ, რიტუალის მონაწილე ხვდება ნუმინოზურს. ერიკ ერისკონის თქმით, რიტუალში ნუმინოზური განგვაცდევინებს ჩვენს თავს, იმას, რომ *მე ვარ* (Wulff, 1997, pp. 534). მოცემული ტერმინი XIX-XXსს. ცნობილი გერმანელი თეოლოგის, ფილოსოფოსის და რელიგიათმცოდნის რუდოლფ ოტოს შემოტანილია. მისი თქმით, არსებობს ნუმინოზური ცნობიერება ანუ ირაციონალური კომპონენტის შემცველი რთული გრძნობითი მდგომარეობა, რომელიც არარაციონალური განცდაა. ოტო დასძენს, რომ მისი მსჯელობის გააზრება რთული იქნება მისთვის, ვისაც ეს ნუმინოზურობა არ განუცდია (Wulff, 1997, pp. 534). იუნგი აღნიშნავდა, რომ არქეტიპი, რომელიც სიმბოლოთი გამოიხატება, მომწესხველია ანუ ნუმინოზურია, განგვაცდევინებს მარადიულობას და ჩვენს ნებისყოფას არ ექვემდებარება. ნუმინოზურის ცნება ფსიქოლოგიასა და ფსიქიკანალიზში შემოიტანა იუნგმა. ის თვლიდა, რომ ნუმინოზურობის გამო მითი პირდაპირ მოქმედებს არაცნობიერზე. მნიშვნელობა არ აქვს ეს ცნობიერდება თუ არა (Jung, 1968, v. 9, 342). ეგოს ანუ მეს სურს ჩაერიოს არქეტიპული პროცესის ავტონომიასა და ნუმინოზურობაში, თუმცა, რა გზებით უნდა მოხდეს ეს, მან არ იცის. რელიგიის არსი ამ პროცესის პრაქტიკული განხილვაა (Jung, 1989, pp. 353). არქეტიპს მისივე დინამიზმი ანიჭებს ნუმინოზურობას (Jung, 1975, v.8, pp. 275). ანუ არქეტიპების სპეციფიკური ენერგია განგვაცდევინებს ნუმინოზურობას. პრიმიტიულმა საზოგადოებებმა, რომლებმაც ნუმინოზურობა დაკარგეს, მოეშალათ სოციალური სისტემა და დაინგრენ. “შესაძლოა თქვენ იცოდეთ ყველა წმინდანი, ბრძენი, წინასწარმეტყველები და სხვა ღვთის კაცები და მსოფლიოს ყველა დიდი დედა, მაგრამ თუ ისინი უბრალო ხატებია, რომელთა ნუმინოზურობა არასდროს განიცდიათ, ეს დაემსგავსება იმას, თითქოს სიზმარში საუბრობ და არ იცი რაზე საუბრობ. სიტყვები, რომლებსაც ხმარობ, ცარიელია და არ აქვთ ფასი და ისინი სიცოცხლეს და საზრისს მხოლოდ მაშინ იძენენ, როდესაც ცდილობ გაიგო/ისწავლო მათი ნუმინოზურობის შესახებ, მათი კავშირის შესახებ ცოცხალ ინდივიდთან. მხოლოდ მაშინ იწყება იმის გაგება, რომ სახელებს ძალიან ცოტა მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ ის, თუ როგორ არიან შენთან დაკავშირებულები, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.” – წერდა იუნგი (Jung, 1973, v. 18, pp. 257).

როგორც ჩანს, დიდ დედა ნანასთან, ბატონებთან, წმ. ბარბარესთან, წმ. ნათლისმცემელთან დაკავშირებული კოლექტიური სიმბოლოები საზოგადოებისთვის ძლიერი ნუმინოზურობით გამოირჩეოდა, რაც ავადმყოფის გამოჯანმრთელებასთან იყო დაკავშირებული. ხალხს დიდი დედა ნანას მიმართ, საყოველთაო სიცოცხლის მიმნიჭებლის და მისი ბატონებისადმი ძლიერი რწმენა და ასევე, დადგენილის შეუსრულებლობის გამო ძლიერი შიში ჰქონდა. წმ. ბარბარეს მიმართ, რომელსაც ღმერთისგან ჰქონდა მინიჭებული უნარი “ბუგრთა და სენთა” მკურნალობის და წმ. იოანე ნათლისმცემელს ბავშვთა მფარველს. როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენში, წმ. თეკლას გარდა, ავადმყოფობის დროს შემწე კიდევ ერთი წმინდანი უნდა ყოფილიყო. თითქმის მთელ საქართველოში მრავალწლიანი მუშაობის შედეგად, ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ თითქმის ყველა სოფელს ჰქონდა და აქვს ეკლესია თუ ნაეკლესიარი წმ. მარინეს სახელზე აგებული. ჩვენი მოსაზრებით, მას მოსახლეობა ჯანმრთელობას შესთხოვდა და შესაძლოა ეპიდემიებისა და ინფექციური დაავადებების დროსაც კი. თუმცა ამასთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მონაცემები ამ ხნის მანძილზე ვეღარ მოვიპოვეთ. კათოლიკურ ეკლესიაში დიდმოწამე მარინე წმ. ბარბარესთან და წმ. ეკატერინესთან ერთად შედიოდა, ე.წ. თოთხმეტ წმინდან შემწეთა შორის, რომელთა სასოება და თაყვანისცემა XIV საუკუნის ევროპიდან მოდის, როდესაც აქ შავი ჭირის ბუბონური ფორმა გავრცელდა. ევროპაში სწორედ ამ 14 წმინდანს შესთხოვდნენ დახმარებას ეპიდემიის დროს.

და ბოლოს, ვფიქრობ სიმბოლო, რომელსაც მიღმა სამყაროში აქვს ექვივალენტი, არის საშუალება ადამიანისთვის შეხვდეს ნუმინოზურს და მიიღოს, განიცადოს ის. ჩემი აზრით, სიმბოლოს გარეშე ადამიანის ფსიქიკა ნუმინოზურთან შეხვედრისას, ვერ გაუძლებდა მის სიდიადეს და შემადრწუნებლობას. ამდენად სიმბოლო ფსიქიკური ენერგიით დატვირთული

ერთგვარი ფარდა და იმავდროულად ხიდია ირეალურ და რეალურ სამყაროებს შორის. თავად მოსემაც ხომ ვერ იხილა უფალი ცეცხლმოკიდებული მაცვლოვანის გარეშე.

ჩემი აზრით, სწორედ ირეალურ სამყაროში ექვივალენტის მქონე სიმბოლოს მეშვეობით განცდილ ნუმინოზურობას შეუძლია ადამიანი გამოაჯანმრთელოს, რაც მითზე, რელიგურ რწმენა-წარმოდგენებზე დამყარებული რიტუალის მეშვეობით შეიძლება განხორციელდეს.

ასევე, ვფიქრობ, რომ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლაში საქართველოში ძირითადად დიდ დედას და ქალღვთაებებს შესთხოვდნენ, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქალის მნიშვნელობაზე, მის ძალაზე და ისტორიულ როლზე საქართველოში.

სიმბოლო არის ხორცშესხმული, გაცნობიერებული არქექტიპი, რომელსაც მნიშვნელობის მქონე ექვივალენტი აქვს მიღმა სამყაროში. არაცნობერის ფსიქიკური ენერგიით დამუხტული ელემენტები, არქექტიპები სიმბოლოში ცნობიერდებიან. სიმბოლოები ეს არაცნობიერის ხატები დამცავი და მკურნალი ზემოქმედების მქონენიც არიან, რომლებიც მიემართებიან კოსმოსში და კვლავ უბრუნდებიან დედამიწას და ცნობიერებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარდაველიძე, ვ. (2006). ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან ღვთაება ბარბარ-ბაბარ. თბილისი. კავკასიური სახლი.
2. გიორგაძე, გრ. და ხაზარაძე, ნ. (2002). ქართველი ხალხის ეთნოგენეზი და ძველადმოსავლური ეთნოკულტურული სამყარო. კრებ: ქართველი ხალხის ეთნოგენეზი. თბილისი.
3. ელიაძე, მ. (2009). მითის ასპექტები. თბილისი. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
4. ლორთქიფანიძე, ო. (2002). ქართული ცივილიზაცია. თბილისი. თსუ.
5. ორბელიანი, სულხან-საბა (1991). ლექსიკონი ქართული. I. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. თბილისი. მერანი.
6. სახოკია, თ. (1979). ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბილისი. მერანი.
7. სურგულაძე, ი. (1993). ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა. თბილისი. სამშობლო.
8. ქართული ხალხური საუნჯე (1991). ტ. I. პოეზია. შემდგენელ-რედაქტორი აპოლონ ცანავა. თბილისი.
9. ქართული ხალხური პოეზია (1979). ტომი 8. თბილისი. მეცნიერება.
10. ჯავახიშვილი, ივ. (1950). საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თბილისი.
11. Бардавелидзе, В. (2007). Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тб. изд. "Caucasian House".
12. Элиаде, М. (2002). История веры и религиозных идей . т. 1. От каменного века до элевсинских мистерий, §12. М.: Критерион.
13. Симонян, Р. (2020). История медицины: с древнейших времен до современности (Чебоксары:Среда,), 95
14. Струве, В. (1941). Историядревнеговостока. Ленинград. изд. Огиз.Госполитиздат.
15. Тураев, Б.А. (1935). Историядревнеговостока. том 1. Ленинград. изд.социально-экономической литературы (Соцэкгиз)
16. Сулейманов, Г. (2013). К истории ликвидации оспы в мире, жур. Микробиология.
17. Черная оспа, <https://www.health.gov.il/Russian/Subjects/disease/smallpox/Pages/default.aspx>, ბოლოს ნანახია 9.06.2020.
18. Campbell, J. The Masks of God: Creative Mythology(1976). New York. Penguin Group.
19. Claude Levi-Strauss, Structural Anthropology (1963). New York. Basic Books.
20. Hiebert, P. G. Shaw, R. D. Tienou, T. (2012). A Christian Response to Popular Beliefs and Practices, Understanding Folk Religion. Baker Books.
21. Jung, C.G. (1968). Collected Works. New York. Princeton University Press.

22. Jung, C.G. (1973). Collected Works. v. 18. New York. Princeton University Press.
23. Jung, C.G. (1975). Collected Works. v.8. Princeton University Press. New York.
24. Jung, C.G. (1989). Memoires, Dreams, Reflections. New York. Vintage Books.
25. Marie-Louise von Franz. (1993). The Feminine in Fairy Tales, Shambala. Boston and London.
26. Miller B. H. (2010). Body, Mind and Healing After Jung. Routledge5.
27. Stephan Riedel, S. Edward Jenner and the History of Smallpox and Vaccination, Baylor University Medical Centre Proceedings, 2005 (18), 21.
28. Tallqvist, K. (1938). Akkadische Götterepitheta. Helsinki. Societas Orientalis Fennica.
29. Wulff, D. M. (1997). Psychology of Religion Classic and Contemporary. second edition. New York. John Wiley and Sons.

“Irrational Therapy” – Myth, Ritual, Belief (Studies in the Psychology of Religion on the Example of Infectious Diseases)

Nino Ghambashidze
Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire

Summary

Based on the study of the psychology of religion the article aims to put forward an opinion why ritual against infectious diseases can be healing and on the other hand why traditional Georgian ritual of Batonebi was in practice even in the twentieth century. This interdisciplinary study is based on scientific literature in ethnology, psychology, psychology of religion, history. The archival and ethnographic materials were used as well.

In my opinion the symbol that has an equivalent in the other world is the opportunity for a person to meet the numinous, accept and experience it. I also think that, when meeting the numinous the human would not withstand its grandeur and horror without the symbol. Thus, the symbol is a kind of curtain filled with mental energy, and at the same time, a bridge between the surreal and the real worlds. I also think that the numinosity experienced via the symbol with the equivalent in the other world can heal a person, which can be accomplished through a ritual based on a myth, on religious beliefs.

I also think that basing on the research results, it can be said that in the fight against infectious diseases in Georgia, mainly the great mother and mostly female saints were asked for healing, which once again emphasizes the importance of women, their power and historical role in Georgia.

A symbol is an embodied, realized archetype that has the meaning equivalent in the other world. The elements, archetypes charged with the psychic energy of the unconscious, are realized in the symbol. Symbols - these unconscious icons also have a protective and healing effect; they are sent into the space and return to the Earth and consciousness.

**მიხეილ მაჩაბელი და ქართული საქველმოქმედო საზოგადოება საქართველოს ეკლესიის
სამსახურში (1917 წ.)**

ირინა არაბიძე

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი**

ქართული საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე მიხეილ მაჩაბელი (1858-1930) საზოგადოებისთვის უფრო ცნობილია, როგორც ქალაქის თვითმმართველობაში (1883-1885),

მიწათმოქმედებისა და შინამრეწველობის დარგებში მოღვაწე (1885-1927 წწ.) ადამიანი; თბილისის საბჭოს ხმოსანი (1887-1892 წწ.), გლეხკაცთა მიწათმოწყობის პარტიის გამგე (1899-1918 წწ.). ასევე ცნობილია, რომ ის მონაწილეობდა თბილისის სათავადაზნაურო ბანკის გამგეობის მუშაობაში. მიხეილ მაჩაბელი ბანკის საკითხებში ილია ჭავჭავაძეს არ ემხრობოდა და ივანე მაჩაბლის გვერდით იდგა. ის ილიას 1905 წელს საქართველოს ავტონომიის საკითხშიც დაუპირისპირდა. მაგრამ ბევრის მთქმელია, რომ ილია ჭავჭავაძეს გაზეთ ივერიაში მასთან თანამშრომლობა სურდა და ამის შესახებ წერილები პირადად აქვს მიწერილი. მიხეილ მაჩაბლის, როგორც ჟურნალისტის სტატიები გარდა ივერიისა, გაზეთ გაზეთ Кавказ-შიც (კავკაზ) იბეჭდებოდა. წერდა ფსევდონიმით მ. ტვილისელი. ის ასევე იყო გაზეთ Закавказье-ს (ზაკავკაზიე) რედაქტორი (საქართველოს..., 2018, გვ. 260; ილიას მატიაწე, 2017, გვ. 215, 236, 355, 361, 394, 409, 519, 522, 2532, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/204739/1/Ilia_Chavchavazis-Cxovrebis_da_Shemoqmedebis_Matiane.pdf; გაზ. ივერია, 1902, გვ. 4; ჯანელიძე, 2002, გვ. 280).

მიხეილ მაჩაბელი იყო საადგილმამულო კომისიის დაარსების ინიციატორი და თავმჯდომარე (1907-1911/1912 წწ.); 1909 და 1915 წლებში რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრების ამომრჩეველთა კრებაზე ქართველ თავადაზნაურობას წარმოადგენდა. ამ კრებაზე 1909 წელს წარმოთქმული მისი სიტყვა საქართველოში გამომავალი გაზეთების (Закавказье, მომავალი...) განხილვის საგანი იყო და ძალიან არაერთგვაროვანი შეფასება დაიმსახურა (გაზ. მომავალი, 1909, №82, გვ. 1). მაგრამ ამჯერად ჩვენ ამ საკითხზე არ შევჩერდებით.

მიხეილ მაჩაბელი იყო წევრი რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა, კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი, ქართული დრამატული, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო და ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებებისა.

1917 წლის მონაცემებით მიხეილ მაჩაბელი სახელმწიფო მრჩევლის წოდებით კავკასიის მხარის სახელმწიფო ახალმოსახლეთა მიწათმოწყობის რაზმის უფროს სპეციალისტად მუშაობდა. იმავე წელს ის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მონაწილე და I ეროვნული ყრილობის (1917 წ. 19-22 ნოემბერი) დელეგატი იყო; (შემდგომში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისაგან გამოყოფილი მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი) (Кавказский... 1916, გვ. 559; საქართველოს..., 2018, გვ. 260).

მაჩაბელი, როგორც ეროვნული საბჭოსა და ამავე დროს საკათოლიკოსო საბჭოს წევრი, ეროვნულ საბჭოში შექმნილი სარწმუნოებათა კომისიის თავმჯდომარედაც იყო დასახელებული. იგი ამიერკავკასიის სეიმში (1918 წ. 10 თებერვალი - 26 მაისი) საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრების დამდგენი კომისიის შემადგენლობაში შედიოდა; 1921 წლიდან – საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ – მიწათმოქმედების კომისარიატში მუშაობდა და ხელოსნური მრეწველობის კოოპერაციის ორგანიზებაშიც მონაწილეობდა (არაბიძე, (2017). ბათუმის ქართული ეროვნული საბჭოს საეკლესიო კომისიის მოღვაწეობის საკითხისათვის (1918 წელი). *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა, მასალები*. VIII, გვ. 29; საქართველოს..., 2018, გვ. 260).

ჩვენ ამჯერად მხოლოდ ჩამოვთვალეთ მიხეილ მაჩაბლის მრავალმხრივი საქმიანობის სფეროები. უფრო ვრცლად კი საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობაში მისი წევრობისა და ეკლესიის წინაშე ქართული საქველმოქმედო საზოგადოების დამსახურების შესახებ ვისაუბრებთ.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოება 1906 წელს, ოფიციალურად, ფართო მასაზე გათვლილი ქველმოქმედების, მთელი ქართველი მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესების

მიზნით შეიქმნა. მას, როგორც საარქივო მასალიდან და სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩანს, რაიონული კომიტეტები მთელი საქართველოს ტერიტორიაზე ჰქონდა (სეა, სცა, ფ. 517; გოდერიძე, 2005, გვ. 475). ქველმოქმედებისათვის თანხები საწევრო გადასახადებით, კერძო შეწირულობებით და სხვადასხვა ღონისძიებიდან მიღებული მოგებით გროვდებოდა (გოდერიძე, 2005, გვ. 477).

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას მიხეილ მაჩაბელი 1914 წლიდან გაუქმებამდე – 1921 წლამდე – თავმჯდომარეობდა. მისი ამხანაგი ანუ მოადგილე პარტენ გოთუა იყო. საზოგადოებაში მოღვაწეობდნენ: რევაზ გაბაშვილი, გერონტი ქიქოძე, გიორგი გვაზავა, გრიგოლ რცხილაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ვასილ ყიფიანი და კიდევ მრავალი ცნობილი ადამიანი.

განსაკუთრებული მზრუნველობა საქველმოქმედო საზოგადოებამ I მსოფლიო ომისაგან (1914-1918) დაზარალებული აჭარლების მიმართ გამოიჩინა. ეს მაშინ, როცა ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების დაახლოებისათვის ხელის შეშლას ადგილობრივი რუსი მოხელეები ყოველმხრივ ცდილობდნენ. ისინი აჭარლებს სახელმწიფოს ღალატში, ოსმალებისადმი მიმხრობაში სდებდნენ ბრალს.

საქველმოქმედო საზოგადოება აჭარლებს მატერიალურ და მორალურ თანადგომასთან ერთად სამართლებრივ საკითხებშიც დაეხმარა. საზოგადოების იურიდიული კომისიის მაღალკვალიფიციური იურისტები ოსმალეთთან კავშირში ბრალდებულებს სასამართლოში იცავდნენ (გოდერიძე, 2005, გვ. 470-485).

მოვლენათა თანამედროვე, საჩხერის მსაჯული მიხეილ თომას ძე ნიკურაძე საქველმოქმედო საზოგადოების საქმიანობის შესახებ აღნიშნავდა: „დიდათ პატივცემულმა საზოგადოებამ, სხვათა შორის, მიზნათ დაისახა მოძმე მაჰმადიან ქართველებში ნაციონალური გრძნობების გაღვიძება და მათთან დაახლოება, კავშირის აღორძინება“ (სეა, სცა, ფ. 517, ა. 1, ს. 55, გვ. 3).

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას ერის მომავალზე ზრუნვის საკითხში ოთარ ჯანელიძე ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მიუთითებს, რომ ეს იყო „უფრო მობილური ეროვნული საკრებულო“, ვიდრე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. „თბილისის გუბერნატორის მიერ დამტკიცებული წესდების მიხედვით ლეგალურად საზოგადოება მიზნად ისახავდა ქართველთა ქონებრივი და სულიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას, ფარულად კი ერის საზოგადოებრივ და იდეურ ცხოვრებას გარკვეული მიმართულებით წარმართავდა“ (ჯანელიძე, 2002, გვ. 279-280).

საქველმოქმედო საზოგადოების მესვეურებს კარგად ესმოდათ საქართველოს საჭიროებანი და ყველაზე მტკივნეულ საკითხებს მზრუნველობდნენ.

1917 წლის თებერვალში რუსეთში მომხდარი რევოლუციის შედეგად საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალიის აღდგენა იმავე წლის 12(25) მარტს გამოაცხადა. ეს მოვლენა ქართველი ხალხისათვის მართლაც დიდი ძალის და იმედების მომცემი იყო. ეკლესიის საქმის მყარ ნიადაგზე მოწყობა და წარმატებით გაგრძელება სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხის გადაწყვეტისთვისაც სტიმული იქნებოდა.

ეკლესიას 1917 წლის 13 მარტიდან სათავეში დროებითი მმართველობა ჩაუდგა და 14 სექტემბრამდე – სრულიად საქართველოს I საეკლესიო კრებაზე საკათოლიკოსო საბჭოსა და კათოლიკოს-პატრიარქის არჩევამდე უძღვებოდა. მას ეპისკოპოსი ლეონიდი (ოქროპირიძე) კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის ტიტულით თავმჯდომარეობდა (იმავე წლის 13 აგვისტოს

მეუფე ლეონიდი მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანეს. შემდგომში, 1918-1921 წწ., ის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იყო).

ავტოკეფალისტებმა ეკლესიის უფლებათა განხორციელებისთვის საქმიანობაში ერის საუკეთესო წარმომადგენლები ჩართეს. მიხეილ მაჩაბლის მოღვაწეობა ეკლესიის დროებით მმართველობაში 1917 წლის მარტიდანვე დაიწყო. ის ცარიზმის მიერ საქართველოს ეკლესიისთვის ჩამორთმეული მამულების შესახებ ინფორმაციის შემკრებ კომისიაში მიიწვიეს.

კომისიის თავმჯდომარედ საზოგადო მოღვაწე და ეკონომისტ-სტატისტიკოსი ფილიპე გაბრიელის ძე გოგიჩაიშვილი დაასახელეს, წევრებად – ქართული საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი, მიწათმოქმედების სამინისტროს მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს მოხელე ალექსი იოსების ძე კლდიაშვილი (კავკასიის კალენდრის მიხედვით მისი სახელია ალდრი), ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე ანტონ ივანეს ძე ნატროშვილი, მღვდლები პოლიევქტოს და ვასილ კარბელაშვილები, საეპარქიო სანთლის ქარხნის გამგე მღვდელი ალექსანდრე მიქელაძე და ყოფილ საქართველო-იმერეთის სასინოდო კანტორაში ხაზინადრად ნამსახური დავით გრიგოლის ძე ნახუცრიშვილი (Кавказский... 1916, გვ. 577; საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის..., 2016, გვ. 21, 53).

კომისიას დროებითი მმართველობისთვის უნდა წარედგინა ინფორმაცია XIX საუკუნის დასაწყისში (რუსეთის მიერ საქართველოს სამეფო-სამთავროების ანექსიამდე) ეკლესიისადმი კუთვნილი მამულების და შენობა-ნაგებობების შესახებ. უნდა დადგენილიყო მათი მაშინდელი და თანადროული ღირებულება. უნდა შეკრებილიყო ცნობები რუსეთის იმპერიის საერო ხელისუფლების მიერ საქართველოს ეკლესიისათვის ჩამორთმეული და იმპერიის ხაზინაში გადარიცხული მამულების შესახებ. ასევე უნდა აღრიცხულიყო რომელი ნაკვეთი, შენობა ან მისი ნაწილი იყო გასხვისებული და რომელი ისევ ეკუთვნოდა ეკლესიას. კომისიას შენობათა ისტორიებიც უნდა მოეძიებინა (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის..., 2016, გვ. 53).

აღნიშნული მუშაობის შედეგები ეკლესიის დროებითი მმართველობის ჟურნალებში წარმოდგენილი არ არის.

მიხეილ მაჩაბელს, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრს, ეკლესიის მმართველობა ხშირად გზავნიდა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად. თუმცა, ის დროებითი მმართველობის მიერ ინტერპარტიულ გაერთიანებასთან ურთიერთობისთვის შექმნილ კომისიაში არ შედიოდა. ამ კომისიის წევრები დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე, სერგი გორგაძე და დავით ნახუცრიშვილი იყვნენ (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის..., 2016, გვ. 56).

საქართველოს ეკლესიას თავისი უფლებებისთვის ბრძოლაში გვერდით ედგა პოლიტიკურ პარტიათა ორგანიზაცია (1917 წ. 7 აპრილიდან მას ინტერპარტიული კრება ეწოდებოდა, 12 აგვისტოდან – ქართველი ერის ინტერპარტიული საინფორმაციო ბიურო, 21 აგვისტოდან – საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო (ვადაჭკორია, ციტირებული ჟანელიძესთან, 2002, გვ. 291) და სიტუაციის შესაფერი რჩევებით ეხმარებოდა. ასე მოხდა მაშინაც, როცა დროებითი მმართველობა იძულებული გახდა, ავტოკეფალიის ეროვნული ნიშნით აღიარებას დათანხმებოდა.

ქვეყნის ტერიტორიულ საზღვრებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაზე რუსეთის დროებითმა მთავრობამ უარი რუსეთის ერთიანობის დარღვევის შიშით თქვა. ისტორიული საზღვრებით ეკლესიის შემოფარგვლას შეიძლებოდა ქართველების მხრიდან

პოლიტიკური თავისუფლების მოთხოვნა მოჰყოლოდა. დროებითი მთავრობა კი რუსეთის ყოფილი იმპერიის მიერ ჩაგრული ხალხების განთავისუფლებას არ აპირებდა.

ინტერპარტიული კრების 16 აპრილის სხდომამ ეკლესიაში არსებული ვითარების შესახებ მიხეილ მაჩაბლის მოხსენება მოისმინა და დროებითი მმართველობის გადაწყვეტილება მოიწონა. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს იმედი ჰქონდათ, რომ საქართველოს ავტონომიის საკითხი დადებითად გადაწყდებოდა. ამ შემთხვევაში კი ავტოკეფალური ეკლესია სახელმწიფო საზღვრებში თავისთავად მოექცეოდა (სეა, სცა, ფ. 1823, ა. 1, ს. 1, გვ. 2; საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის..., 2016, გვ. 70).

1917 წლის 25 აპრილს დროებითი მმართველობის შემადგენლობა გაფართოვდა. ქართული საეკლემოქმედო საზოგადოებიდან მისი წევრები მიხეილ მაჩაბელი და პართენ გოთუა გახდნენ (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის..., 2016, გვ. 93).

ამ დროისათვის მიხეილ მაჩაბელს ეკლესიის მმართველობასთან უკვე ერთვინი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა. ის იმდენად კარგად ერკვეოდა მიმდინარე საქმეებში, რომ ზოგჯერ დროებითი მმართველობის მინდობილობის გარეშეც არკვევდა ეკლესიისთვის საჭირობო საკითხებს. მაგ. 6 მაისს მან თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას თავისი ინიციატივით მოახსენა გავრცელებული ინფორმაცია, რომ რუსები ქართველი ავტოკეფალისტების დარბევას აპირებდნენ. ასევე ესაუბრა მას რუსეთის დროებითი მთავრობის წარმომადგენლის, რუს-ქართველთა საეკლესიო საქმეების გამამწყვეტი კომისიის – ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ბენეშევიჩის მოქმედებათა შესახებ. კომისარი საქართველოს ეკლესიას ავტონომიურ უფლებებს სთავაზობდა და არა სრულ ავტოკეფალიას, რაც ივერიის ეკლესიას 1811 წლამდე, რუსეთისაგან მის გაუქმებამდე, გააჩნდა.

მაჩაბლის მიერ დროებით მმართველობაში მიტანილი ცნობით ადგილობრივ ხელისუფალთ შავრაზმელების მოსალოდნელი მოქმედების შესახებ გაეგოთ და 12 კაცი უკვე დაეპატიმრებინათ. ეს კი იმედს იძლეოდა, რომ მუქარა ვეღარ განხორციელდებოდა (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის..., 2016, გვ. 102).

1917 წლის 15 მაისს მიხეილ მაჩაბელი დროებით მმართველობაში შესულ საქმეთა განსახილველად დაარსებული აღმასრულებელი საბჭოს შემადგენლობაშიც დაასახელეს. საბჭოში მასთან ერთად შედიოდნენ: ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე), დეკანოზი კორნელი კეკელიძე, მღვდელი ქრისტეფორე ციციშვილი (შემდგომში, 1927-1932 წწ., სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) და სერგი გორგაძე. საქმეები დროებით მმართველობას სწორედ ამ საბჭოს დასკვნით მეუფე ლეონიდის დასტურის შემდეგ უნდა მოხსენებოდა (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის..., 2016, გვ. 110).

მიხეილ მაჩაბელი, როგორც ქართული საეკლემოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე, დროებითი მმართველობის ფინანსური უზრუნველყოფისათვის შექმნილ კომისიაშიც შედიოდა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან საეკლემოქმედო საზოგადოება ყოველი ეროვნული წამოწყებისათვის ხელის შეწყობას ცდილობდა.

თანხების მოზიდვის საჭიროება თავდაპირველად ხახულის ღვთისმშობლის ტაძრის რესტავრაციის სურვილმა განაპირობა. მისი სავალალო მდგომარეობის შესახებ საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ ჯარისკაც შუგუროვის მოხსენება 1917 წლის 4 ივლისს მოისმინა.

I მსოფლიო ომის მსვლელობისას, 1917 წლის ზაფხულში ოსმალთაგან გათავისუფლებული თორთუმის ტერიტორიაზე არსებული ამ ძეგლის დასათვალიერებლად

ექსპედიციის ხელმძღვანელობა ეკლესიის დროებითმა მმართველობამ ექვთიმე თაყაიშვილს მიანდო (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის..., 2016, გვ. 184).

განისაზღვრა, რომ დროებითი მმართველობის მხრიდან ექსპედიციაში გამოცდილი ორგანიზატორი პარტენ გოთუა და ერთი ბერი შევიდოდნენ.

საქველმოქმედო საზოგადოების სახელზე ექვთიმე თაყაიშვილის 1917 წლის 23 მაისის წერილი ცხადყოფს, რომ დიდი მეცნიერი ამ საკითხზე ეკლესიის მმართველობის მხრიდან შეთავაზებამდეც ფიქრობდა. მისი ინტერესის სფეროში არა მარტო თორთუმი, არამედ ისპირი და ლივანაც შედიოდა.

დიდი ექვთიმე შიშობდა: ომის დამთავრების შემდეგ ეს ადგილები შესაძლოა, ისევ ოსმალეთის მფლობელობაში აღმოჩნდეს და მისი მიმოვლის საშუალება აღარ მოგვეცესო. მას ექსპედიციისათვის საჭირო თანხების მოძიებაც ამ დროისათვის უკვე დაწყებული ჰქონდა (სეა, სცა, ფ. 517, ა. 1, ს. 55).

სწორედ აღნიშნული ექსპედიციისა და დროებითი მმართველობის სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად შეიქმნა საფინანსო კომისია. კომისიის წევრებად დასახელდნენ: გენერალი ვასილ გაბაშვილი, გიორგი ჟურული, მიხეილ მაჩაბელი, პეტრე ბარათაშვილი, ალექსანდრე ძეგველიშვილი და იოსებ მერკვილაძე. მოგვიანებით მათ იასონ ლორთქიფანიძე და რაჟდენ დათეშიძე შეუერთდნენ. აღნიშნულ ჯგუფს საქართველოს ეკლესია-მონასტერთაგან შესაძლო გამოსაღები თანხების დადგენის მიზნით მათი ფინანსური მდგომარეობაც უნდა გამოერკვია. შეწირულობათა წიგნაკები სარგის კაკაბაძეს უნდა ეწარმოებინა.

ეკლესიის დროებითი მმართველობისთვის თანამგრძნობთაგან შეწირული თანხებიდან ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციისათვის საჭირო 3000 მან. გადაიღო. ექსპედიცია შედგა (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის..., 2016, გვ. 183-184, 189, 266; არაბიძე (2010). დამატებითი ცნობები... *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, 1(7), გვ. 125-131).

იმ საკითხებიდან გამომდინარე, რომლებზეც მიხეილ მაჩაბელს დროებითი მმართველობის სხდომებზე აზრი აქვს გამოთქმული, იგი საქართველოს ეკლესიის უფლებათა დამცველად და, ამავე დროს, რუს-ქართველთა შორის დაძაბული ვითარების განმმუხტველად გვევლინება.

მაგალითად, დროებითი მმართველობის 9 მაისის სხდომაზე განიხილებოდა კომისარ ბენეშევიჩის განცხადება მისი პეტროგრადში დაბრუნების საჭიროების შესახებ. კომისარი ეკლესიის დროებით მმართველობას თავის გადაწყვეტილებაზე აზრის გამოთქმას სთხოვდა. მაჩაბლის აზრით, პეტროგრადში მყოფი საქართველოს ნაეგზარქოსალი მთავარეპისკოპოსი პლატონი (როჟდესტვენსკი) და ბენეშევიჩი „შეერთებულის ძალით იმუშავებენ ავტოკეფალიის საწინააღმდეგოდ“. ამისთვის კი საქართველოს ეკლესიას ხელი არ უნდა შეეწყოს. უმრავლესობაც მაჩაბლის აზრის აღმოჩნდა. რადგან დროებითმა მმართველობამ ჩათვალა, რომ კომისრის მოქმედებაზე გავლენას ვერ მოახდენდა, საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღებაზე უარი ოფიციალურად განაცხადა (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის..., 2016, გვ. 108).

მიხეილ მაჩაბელმა საეკლესიო საქმეთა განხილვა-გამიჯვნის მიზნით ქართულ-რუსული კომისიის შექმნას მხარი დაუჭირა. საკითხის შესახებ დროებითი მმართველობის 23 და 26 მაისის სხდომებზე მსჯელობდნენ. მაჩაბელი ფიქრობდა, რომ ამ კომისიის საფუძველზე ქართველ ავტოკეფალისტებს არა მარტო ქართული, არამედ შერეულეროვნებიანი სამრევლოების საქმეებზეც ექნებოდათ წვდომა. ქართული მხარის დამოუკიდებლობის დასაფიქსირებლად კი

მისი აზრით, კომისიის განკარგულებანი ორივე ენაზე შეიძლებოდა დაწერილიყო (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის..., 2016, გვ. 107, 124).

მსგავს აზრს გამოთქვამდა დროებითი მმართველობის წევრთა ნაწილი (დეკანოზი კორნელი კეკელიძე, ანტონ ნატროშვილი, გიორგი ყაზბეგი, გიორგი ჟურული...). დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე, გიორგი ჟორდანიას... კი ამაში რუსეთის სინოდის კანტორის აღდგენის საშიშროებას ხედავდნენ. ისინი არა მარტო შერეული კომისიის მუშაობას, არამედ ბენეშევიჩისაგან რუს-ქართველთა შორის საეკლესიო საქმეების გასანაწილებლად შედგენილი პროექტის შესწორებული სახით მიღებასაც უარყოფდნენ (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის..., 2016, გვ. 126, 127-128).

საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისთვის რუსეთის ეკლესიის მართვა-გამგეობის ორგანოს ნაწილობრივი ამოქმედებაც რომ საფრთხეს წარმოადგენდა, ამაზე დროებითი მმართველობის წევრები თანხმდებოდნენ. ამ აზრით, საბოლოოდ, მათ ბენეშევიჩის პროექტი უარყვეს. ეკლესიის მმართველი ორგანო დროის გაყვანის ტაქტიკას დაადგა და პეტროგრადში დელეგაციის (კომისიის) გაგზავნის დაჩქარება გადაწყვიტა (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის..., 2016, გვ. 121-132).

კომისარი ბენეშევიჩი საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის ვითარების მოწესრიგების გარეშე 1917 წლის ივნისის დასაწყისში პეტროგრადში დაბრუნდა. მის გადაწყვეტილებაზე საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობას მართლაც არანაირი ზემოქმედება არ შეეძლო.

ამავე პერიოდისთვის პეტროგრადში გასამგზავრებლად საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებიც ემზადებოდნენ. მათ, პირველ რიგში, „ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის ძირითადი დებულებების“ დამტკიცების დაჩქარებისთვის უნდა შეეწყობოდა ხელი. დელეგაციას, ეკლესიის მმართველი ორგანოსაგან დამტკიცებული ინსტრუქციის თანახმად, დროებით მთავრობასთან საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის სხვადასხვა საჭიროების დაკმაყოფილებისთვისაც უნდა ემუშადა. მას საქართველოს ეკლესია კომისარ ბენეშევიჩისა და მთავარეპისკოპოს პლატონის მხრიდან მოსალოდნელი უარყოფითი გავლენისაგან უნდა დაეცვა.

დელეგაციაში დასახელდნენ: მეუფე ანტონი (გიორგაძე), იმ დროისათვის რუსეთში მყოფი არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია, შემდგომში, 1921-1927 წწ., სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი), დეკანოზი კალისტრატე (ცინცაძე, შემდგომში, 1932-1952 წწ., სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი). 5 ივნისს დელეგაციის შემადგენლობაში შეიყვანეს მიხეილ მაჩაბელი და დასავლეთ საქართველოს ორი წარმომადგენელი (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის..., 2016, გვ. 132, 144, 163).

დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლის ყოფნა კომისიაში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სასულიერო პირებს შორის გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად იყო საჭირო.

ამასთან დაკავშირებით დროებითი მმართველობის სხდომებზე აზრი გამოთქმული აქვთ: დეკანოზ ნიკიტას, მიხეილ მაჩაბელს, სერგი გორგაძეს... (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის..., 2016, გვ. 143, 162). საქმე იმაშია, რომ დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლები დროებითი მმართველობისაგან საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის ტერიტორიული საზღვრებით შემოფარგვლის უზრუნველყოფას დაბეჯითებით მოითხოვდნენ. თუმცა, როგორც სხდომის ჟურნალებშია აღნიშნული, მათ იცოდნენ, რომ მმართველობა ყველაფერს ეცადა, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. დასავლეთ საქართველოს სამღვდელოება პეტროგრადში მიმავალ

დელეგაციასაც სწორედ ამ მოთხოვნას უყენებდა (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის..., გვ. 147-148, 161-163). ამიტომ იყო საჭირო, მის წარმომადგენელს მოვლენათა მსვლელობაში მონაწილეობა მიეღო და დარწმუნებულიყო, რომ დელეგაციას საქმის წარმატებით დაბოლოებისთვის მცდელობა არ დაუკლია.

პეტროგრადში მიმავალი კომისიის შემადგენლობაში მიხეილ მაჩაბლის ჩართვა, ალბათ, მისმა კომპეტენციამ განაპირობა. იგი ხომ 1909 და 1915 წლებში საქართველოს თავადაზნაურთა სახელით რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრთა ამომრჩეველი იყო. ამასთან ერთად ის, როგორც საქართველოს ეკლესიის ქონების დამდგენი კომისიის წევრი, პეტროგრადში ავტოკეფალისტებს დიდ დახმარებას გაუწევდა.

მაჩაბელი და დასავლეთ საქართველოს სამღვდელოების წარმომადგენელი – დეკანოზი მელიტონ კელენჯერიძე პეტროგრადში 17 ივნისს უნდა გამგზავრებულიყვნენ. დეკანოზ მელიტონის წასვლა სუბიექტური მიზეზის გამო ვერ მოხერხდა, მაჩაბლისა კი – გადაიდო (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის..., 2016, გვ. 163, 166).

ეს უკანასკნელი დროებითი მმართველობის 20 ივნისის განჩინების თანახმად სასწრაფოდ უნდა გამგზავრებულიყო, თუმცა, რეალურად ასე არ მომხდარა. მიხეილ მაჩაბელი მთელი ზაფხულის განმავლობაში დროებითი მმართველობის სხდომებში მონაწილეობდა (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის..., 2016, გვ. 175, 176, 184, 190, 220-221; არაბიძე, (2012). დროებითი მმართველობის დელეგაციის... ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, X-XI, გვ. 335-336). მისი წაუსვლელობის მიზეზი სხდომის ჟურნალებში აღნიშნული არ არის.

მომრიგებლური პოზიციების გამო დროებითი მმართველობა მაჩაბელს საქართველოს ეკლესიისა და მორწმუნეთა წინააღმდეგ ამხედრებული რუსი მრევლის დასაშოშმინებლად გზავნიდა. ამ უკანასკნელის წარმომადგენელთა აღმფოთებას რუსეთის მონობისაგან საქართველოს ეკლესიის განთავისუფლება იწვევდა და ზოგიერთი ტაძრისა თუ მონასტრის მიტაცებას ცდილობდნენ (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის..., 2016, გვ. 163).

ოთარ ჯანელიძე აღნიშნავს: „საქველმოქმედო საზოგადოება ერთგვარად ანელებდა პარტიულ ნიადაგზე არსებულ დაპირისპირებას და ცდილობდა, ქართული პოლიტიკური ძალები საერთო ეროვნული იდეით გაერთიანებინა, რასაც აღწევდა კიდეც“ (ჯანელიძე, 2002, გვ. 280). ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ეს ფუნქცია, როგორც ჩანს, მისი ხელმძღვანელის მეშვეობით ეკლესიის დროებით მმართველობაშიც ვლინდებოდა.

სრულიად საქართველოს I საეკლესიო კრების თარიღის განსაზღვრის საკითხში დროებითი მმართველობის სხვა წევრებთან ერთად მიხეილ მაჩაბელი არ ეთანხმებოდა მათ, ვინც კრების მოწვევას რუსეთის საეკლესიო კრების დაწყებამდე თვლიდა საჭიროდ. საკითხის შესახებ ეკლესიის მმართველმა ორგანომ 27 ივნისს იმსჯელა. მიხეილ მაჩაბლის სავსებით მართებული მოსაზრებით საეკლესიო კრებაზე განსახილველი საკითხების კომპეტენტურად დასამუშავებლად დრო იყო საჭირო და 15 აგვისტომდე ვერაფრით მოესწრებოდა (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის..., 2016, გვ. 179). კრება, როგორც ცნობილია, მართლაც ცოტა მოგვიანებით, 8 სექტემბერს დაიწყო.

სრულიად საქართველოს I საეკლესიო კრების წევრებად დროებითი მმართველობის მთელი შემადგენლობა იყო ჩარიცხული. ე. ი. საქველმოქმედო საზოგადოებას I საეკლესიო კრებაზე მიხეილ მაჩაბელი და პართენ გოთუა წარმოადგენდნენ (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის..., 2016, გვ. 225).

ქართული საქველმოქმედო საზოგადოების საარქივო დოკუმენტებში მრავლადაა ეკლესიის მმართველი ორგანოსა თუ ცალკეულ სასულიერო პირთაგან დახმარების თხოვნა 1917 და მომდევნო წლებშიც. შემწეობას განსაკუთრებით ოსმალთაგან (I მსოფლიო ომის დროსა და შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ სამარ მოქმედებათა შედეგად) აოხრებული აჭარისა და ჯავახეთის მოსახლეობა და სამღვდელოება საჭიროებდა (საპატრ. არქივი, ს. 6676, გვ. 634; სეა, სცა, ფ. 517, ა. 1, ს. 31; ს. 90.).

ქართული საქველმოქმედო საზოგადოება, შესაძლებლობის ფარგლებში, მთელი საქართველოს გაჭირვებულ მოსახლეობას ეხმარებოდა. შემწეობას იღებდნენ მართლმადიდებლები, კათოლიკეები და მუსლიმები და არა მარტო ქართველები, აფხაზები, არამედ რუსები, ბერძნები და სხვა (სეა, სცა, ფ. 517, ა.1, ს. 31; ს. 90).

ქართული საქველმოქმედო საზოგადოებისაგან მატერიალური მორალური დახმარების იმედი საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობასა და საკათოლიკოსო საბჭოს ყოველთვის ჰქონდათ. საქველმოქმედო საზოგადოებისგან გაწეული ფინანსური დახმარება და მისი ხელმძღვანელისაგან გამოვლენილი მომრიგებლური ფუნქცია საქართველოს ეკლესიის უფლებათა აღდგენის პროცესს ხელს უწყობდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არაბიძე, ი. (2010). დამატებითი ცნობები ექვთიმე თაყაიშვილის 1917 წ. ექსპედიციასთან დაკავშირებით. *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები* 1(7), თბილისი, უნივერსალი.
2. არაბიძე, ი. (2012). საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის დელეგაციის მოღვაწეობა პეტროგრადში (1917 წლის ივნისი-აგვისტო) (დელეგაციის მოხსენების მიხედვით). *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, X-XI, 2010/2011, თბილისი. თსუ.
3. არაბიძე, ი. (2017). ბათუმის ქართული ეროვნული საბჭოს საეკლესიო კომისიის მოღვაწეობის საკითხისათვის (1918 წელი). *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა მასალები*, VIII, ბათუმი, ბსუ.
4. გაზეთი მომავალი, 4.12.1909, #82.
5. გოდერძიძე, ლ. (2005). კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში (ქართული თვითმოქმედი საზოგადოებები). თბილისი. თბილისის უნივერსიტეტი.
6. ილიას მატიაწე. (2017). ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიაწე, პროექტის ხელმძღვანელი მაია წინიძე. თბილისი. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/204739/1/Ilia_Chavchavazis-Cxovrebis_da_Shemoqmedebis_Matiane.pdf
7. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, სეა, სცა, ფ. 517, ა. 1, ს. 1.
8. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, სეა, სცა, ფ. 517, ა. 1, ს. 31.
9. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, სეა, სცა, ფ. 517, ა. 1, ს. 55.
10. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, სეა, სცა, ფ. 517, ა. 1, ს. 90.
11. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ა. 1, ს. 6676.
12. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის ჟურნალები (1917 წლის 13 მარტი-14 სექტემბერი). (2016). გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, კომენტარები და ბიოგრაფიები დაურთეს ისტორიის დოქტორებმა ნ. შიოლაშვილმა და ი. არაბიძემ თბილისი. მერიდიანი.
13. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). (2018). ენციკლოპედია-ლექსიკონი. თბილისი. თსუ.
14. ჯანელიძე, ო. (2002). ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან. თბილისი. მეცნიერება.
15. Кавказский календарь на 1917 год. (1916). Тифлиς. Канцелярия Наместника Е. И. В. на Кавказе.

Mikheil Machabeli and Georgian Charitable Society in the Service of the Georgian Church (1917)

**Irina Arabidze,
TSU, Ivane Javakhishvili Institute
of History and Ethnology**

Summary

Chairman of the Georgian Charitable Society Mikheil Machabeli is known to the Georgian society as a journalist, a person working in the self-government of the city and the agriculture commissariat. It is also known that he was elected a member of the Catholic Council.

The membership in the interim government of the Georgian Church and the merit of the Georgian Charitable Society towards the church are not mentioned in the biography of Machabeli.

His activity in the temporary government of the Georgian Church began in March 1917. He was invited to many commissions.

Mikheil Machabeli was also named in the travel commission to protect the interests of the Georgian Church in Petrograd, but was eventually unable to leave due to personal reasons.

Based on the views expressed by him in the interim government of the Church, he was a principled defender of the interests of the Church. At the same time, he supported a peaceful rather than a revolutionary process of restoring rights.

The Charitable Society was represented by 2 members at the First Ecclesiastical Assembly of Georgia (September 1917). The charitable society later, at the request of the Catholic Council, often helped the Georgian Church and people, who expected help from it. It was canceled in 1921.

ატენის (ტანის) ხეობის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი და მისი მფლობელობის საკითხი

**მაია შაორშაძე
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**

ატენის ხეობა მოიცავს მდ. ტანის აუზს (ახლანდ. ქ. გორის სამხრ. ნაწილს და თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთებს), მდებარეობს გორიდან 10-12 კმ-ში. ტანა ნაწარმოებია სიტყვისგან „ტინი“, რაც ნიშნავს სალ კლდეს, ტანადან წარმოდგება სიტყვა ატენი.

ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით: „ტანა გამოდის ჯამჯამს და საცხენისის მთას, დრის-კევამდე დის აღმოსავლით, მერმე დის ჩრდილოთ, ერთვის მტკუარს სამჭრიდამ. მტკურის სამჭრით-დასავლეთიდან ერთვის ატენის-წყალს წედისის-ჯევი“ (ვახუშტი, 1973, გვ. 342).

ხეობა უძველესი დროიდანვე რომ დასახლებული ყოფილა, ამას მოწმობს ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები და სამაროვნები. იბერიის სამეფოს წარმოქმნის შემდეგ იგი შედიოდა სპასპეტის საგამგეოში და, როგორც ჩანს, ცალკე ადმინისტრაციული ერთეული – ხევი იყო. „ტანის ხევის“ სახელით ის ცნობილია IV-VII სს-ში. იმ დროისთვის „ტანის ხევი“ მოიცავდა არა მხოლოდ საკუთრივ ატენის ხეობას, არამედ თემის ხეობასაც. ამ ერთეულის ცენტრი იყო დეკციხე, ეს უძველესი ცნობა შემორჩენილია სომხურ გეოგრაფიაში. თემის ზემო დინებაში დღესაც ჩანს ციხის ნანგრევები, რომელსაც ვახუშტი დედაციხეს უწოდებს (ბერძენიშვილი, 1985, გვ. 243-244).

მას შემდეგ, რაც 532 წელს სპარსელებმა გააუქმეს იბერიის (ქართლის) სამეფო და ქართლის პოლიტიკურმა ცენტრმა მცხეთიდან უფლისციხეში გადაინაცვლა, ქართლის ერისთავთა რეზიდენციად იქცა უფლისციხე, ძნელად მისადგომი ქვაბოვანი ქალაქი.

თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ატენის ხეობა მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილს წარმოადგენდა. ამ ხეობით შიდა ქართლიდან გზები გადიოდა: მანგლის-თრიალეთისკენ, მესხეთ-ჯავახეთში, ზემო ქართლში. აქედან კი, ტაო-კლარჯეთის გზით, ძველად საქართველო ბიზანტიის პროვინციებს უკავშირდებოდა.

ყველაზე ძველ წარწერას, რომელზეც ატენია ნახსენები, ივ. ჯავახიშვილმა მიაკვლია 1907 წელს. სოფ. ატენში მდებარე ნათლისმცემლის პატარა უგუმბათო ეკლესიაში იკითხება ვეჟან ატენელ მამასახლისის მოსახსენებელი წარწერა, რომელიც VII-VIII საუკუნეებით თარიღდება (ლაპიდ. წარწ. I, 1980, გვ. 107).

ატენის სიონის კედელზე 853 წლის ბუღა თურქის წარწერაში კონსტანტი-კახასა და მისი შვილის, თარხუჯის, მოხსენიება მკვლევრებს საფუძველს უჩენს იმის სავარაუდოდ, რომ კახა, შესაძლოა, ამ მხარეების მფლობელი საგვარეულოს წარმომადგენელი ყოფილიყო.

არაბთა ბატონობის დასრულების შემდეგ დაიწყო ბრძოლა ქართლის დასაკავებლად. ამ ბრძოლაში აფხაზთა მეფეები აქტიურობდნენ. აფხაზთა მეფე კონსტანტინეს მემკვიდრე გიორგი II (922-957 წწ.) და მისი ძე ლეონ III (957-967 წწ.) გარკვეულწილად უკვე ფლობდნენ შიდა ქართლს და ატენი მათი ერთ-ერთი სადგომი იყო.

მოგვიანებით აფხაზთა მეფეები შიდა ქართლის გაღმა მხარეს კარგავენ (როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, „გაღმა მხარი“ შედიოდა შიდა ქართლში, მტკვრის მარჯვენა ნაპირის გვიანდელი სათავადოები: სათარხნო, საჯავახიანო და საციციანო) და იგი ადგილობრივ ფეოდალთა ხელში გადადის, რომელთა შორის ტბელთა ფეოდალური გვარი დაწინაურდა, მათ შორის უფროსი „ქართლის უფლად“ იწოდებოდა (ბერძენიშვილი, 1937, გვ. 68).

VIII-IX საუკუნეებში „ატენის ქუეყანა“ ადგილობრივი მმართველების – მამულების – სამეკვიდრეო დომენია, ხოლო სიონის მონასტერი – მათი სამკალე. ერისთავთ-ერისთავი „უფალი“ სტეფანოზ მამფალი (+739 წ.), ამავე განშტოების წარმომადგენლები – გუარამავრ დედოფალი და სუმბატ აშოტის ძე (+885) სწორედ ატენის სიონში დაუკრძალავთ (ფრესკ. წარწ., I, 1989, გვ. 30-31).

IX-X საუკუნეებში, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პირობებში, ატენის ხეობამ მნიშვნელოვანი ფუნქცია შეასრულა. იოანე მარუშისძის ინიციატივით, ქართლის ერისთავებმა და დიდებულებმა ტაოს მეფე დავით კურაპალატს უფლისციხეზე გალაშქრება და ქართლის მეფედ თავისი შვილობილის, ბაგრატ გურგენის ძის, გამოცხადება სთხოვეს. დავით კურაპალატმა მიიღო ეს წინადადება, 975 წელს ატენის ხეობით ილაშქრა უფლისციხეზე, აიღო და ქართლის მეფედ დასვა ბაგრატ III (ჯავახიშვილი, 1983, გვ. 125-126). 978 წელს ბაგრატ I აფხაზთა მეფედ ეკურთხა, ხოლო უფლისციხე დედამის გურანდუხტ დედოფალს ჩააბარა. ყველა ამ პროცესში ბაგრატ III-ის დედას დიდი ადგილი ეკავა. ქართლის დიდებულთა დასამორჩილებლად ბაგრატს ქართლში გალაშქრება ხელმეორედ მოუხდა და მან შვილს უფლისციხე დაუთმო.

საქართველოს გაერთიანების იდეას არ თანაუგრძნობდა მანგლის-თრიალეთისა და კლდეკარის ისეთი დიდი ფეოდალი, როგორც იყო რატი ბაღვაში, რომლის მფლობელობაშიც შედიოდა მაშინ თრიალეთისა და ატენის ხეობა. რატი ბაღვაშმა დავითსა და ბაგრატ მეფეებს შორის შუღლის ჩამოგდებაც განიზრახა, მაგრამ დროზე შეუტყვეს. საჭირო გახდა რატი ბაღვაშზე გალაშქრება, რაც ბაგრატ III-მ 989 წელს განახორციელა კიდეც, რატი დაამარცხა და მეფემ დაიმორჩილა (ჯავახიშვილი, 1983, გვ. 126-127).

თავდაპირველად თრიალეთის მფლობელ ბაღვაშებს ატენის ხეობა მხოლოდ მას შემდეგ უნდა დაეკავებინათ, როდესაც ამ ფეოდალურმა სახლმა კლდეკარის საერისთაო გაიჩინა (876 წლის შემდეგ). ატენის სიონის წარწერებიდან ირკვევა, რომ ქართველთა მეფე ბაგრატ I-მა (937-945

წწ.) 940 წელს სიგელით გადასცა მიქაელ ბაღვაშს ატენის ქვეყანა. X საუკუნის დასასრულს ბაღვაშთა ფეოდალურ სახლს ატენის სიონში ფართო სარესტავრაციო სამუშაო ჩაუტარებია.

X საუკუნის 80-იანი წლებიდან ატენის ხეობას ერისთავთერისთავი რატი I განაგებს. სწორედ ამ რატი I-ის ქტიტორული ქანდაკებაა წარმოდგენილი ატენის სიონის აღმოსავლეთ ფასადზე ეკლესიის მოდელით ხელში, ხოლო გვერდით არსებულ რელიეფზე მისი ძე, ლიპარიტი, გამოუსახავთ. მას შემდეგ, რაც რატი ბაღვაში მეფე ბაგრატ III-მ (975-1014 წწ.) დაამარცხა, მისი მემკვიდრეები არ ეგუებოდნენ ატენის ხეობის დაკარგვას და მარჯვე შემთხვევას ელოდნენ ამ მამულების უკან დასაბრუნებლად.

ატენის სიონის 1060 წლის კედლის წარწერიდან ირკვევა, რომ ერთიანი საქართველოს მეფე ბაგრატ IV-ს (1027-1072 წწ.) ატენის ხეობაში XI საუკუნის შუა წლებში დიდი მშენებლობა ჩაუტარებია და ატენი ციხე-ქალაქად გადაუქცევია. ბაგრატის ბრძანებით, ქალაქი აუშენებიათ ატენის ციხისთვის გორგანელ თარხონის ძესა და მირიან ერისთავს. ამ ამბავს ასე მოგვითხრობს ციხისთავი: „ავაშენეთ დარბაზი და ქალაქი, სასახლენი ადგილი და საქოლბაგე“ (ჟორდანიას, 1892, გვ. 206). ამდენად, ბაგრატ IV-ის დროს იქ დარბაზიც კი გაუმართავთ. X-XI საუკუნეებში ატენს მნიშვნელოვანი სავაჭრო ურთიერთობები ჰქონია მეზობელ ქვეყნებთან.

მირიან ერისთავსა და ციხისთავ გორგანელ თარხონის ძეს იმ პერიოდში აუგიათ აგრეთვე ვერის ღვთისმშობლის ტაძარი და ვერის ციხე.

შემდგომ წლებში ატენის დასაბრუნებლად ბრძოლა განაახლეს რატი ბაღვაშის შთამომავლებმა და ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ გამოვიდა ლიპარიტ ლიპარიტის ძე, რომელიც, როგორც ცნობილია, მეფემ დაამარცხა და საქართველოდან გააძევა. კლდეკარის ერისთავების თვითნებობას ბოლო მოუღო წმ. მეფე დავით აღმაშენებელმა (1089-1125 წწ.), რომელმაც საბოლოოდ აღკვეთა მათი ურჩობა. ამიერიდან კლდეკარის საერისთავო ერთიანი საქართველოს მეფეების დაქვემდებარებაში გადავიდა.

წმ. მეფე დავით აღმაშენებელმა კარგად იცოდა ატენის ხეობის მნიშვნელობა. სამეფო კარი ამ ხეობის საშუალებით უკავშირდებოდა სამხრეთ საქართველოს პროვინციებს და ბიზანტიის იმპერიას. ამიტომ მეფემ შიდა ქართლის ამ რეგიონის განვითარებისთვის ზრუნვაც ენერგიულად დაიწყო. XII საუკუნეში თბილისის, ქუთაისისა და უჯარმის შემდეგ საქართველოს სამეფო საქურჭლე ატენში ინახებოდა (ჟორდანიას, 1897, გვ. 52).

დიდ ატენში, რომელიც მდებარეობს ტანასა და საცივისხევს შორის, ატენის სიონის გარდა, დღემდე შემორჩენილია რამდენიმე ძველი ტაძარი. სოფლის ცენტრში მდებარეობს ღვთისმშობლის სახელობის მცირეგუმბათიანი ეკლესია, ორბელიანების ეკლესია, რომელიც ერისთავიანთ სასახლის ეზოშია მოქცეული. თარიღდება VII-IX საუკუნეებით. ეკლესია ჯვარ-გუმბათოვანი ტიპისაა, ნაგებია რიყის ქვით, ზოგან გამოყენებულია მწვანე ტუფის ქვაც (კულტ. ძეგლ. აღწერ. V, 1990, გვ. 60).

დასავლეთის ფასადის კარის ტიმპანზე ამოკვეთილია რელიეფური კომპოზიცია და ასომთავრული წარწერა: „ქრისტე, ადიდე ორსავე ცხორებასა აქა ხორციელებრ და წინაშე შენსა სულიელებრ რატ ერისთავი, ძე იგი ლიპარიტ ერისთავისაი, რომელმან აღაშენა ესე სახლი ღმრთისაი და ბჭეი ცათაი წმიდაი ეკლესიაი, სალოცველად სულისა მათისა“ (რჩეულიშვილი, 1942, გვ. 33-37; ლაპიდარ. წარწ. I, 1980, გვ. 202). როგორც ჩანს, რატი ერისთავს ეკლესია X საუკუნეში უნდა განეახლებინა ან გადაეკეთებინა და თავისი თავი „ღმრთის სახლის“ აღმშენებელ ქტიტორად გამოეცხადებინა.

ისტორიული მოვლენების გათვალისწინებით ამ ტაძარზე სამშენებლო მოქმედების საშუალება კლდეკარის ერისთავებს 989 წლამდე თუ მიეცემოდათ, როცა ისინი ატენის ხეობას ფლობდნენ. ამის გამო მკვლევრები ამ წარწერას X საუკუნის II ნახევრით ათარიღებენ (რჩეულიშვილი, 1942, გვ. 39-40), ხოლო ხუროთმოძღვრული ძეგლისთვის დამახასიათებელი სტილიდან, გეგმიდან, შემკულობიდან გამომდინარე და, ამასთანავე, სხვა ძველ ტაძრებთან

შედარების საფუძველზე ირკვევა, რომ ატენის მცირეგუმბათიანი ეკლესია აგებული უნდა იყოს VII საუკუნის ნახევრიდან IX საუკუნის დამლევამდე. დაზიანების მიუხედავად, ტაძრის შიგნით და ფასადებზე კიდევ რამდენიმე მცირე ზომის ასომთავრული წარწერაც იკითხება. ტაძარს დასავლეთით აქვს მინაშენი (5,7 X 3, 9 მ), სამხრეთ კარის არქიტრავეზე მოთავსებული მხედრული წარწერის თანახმად, 1870 წელს ის აუგია მღვდელ დავით დავიდოვს (კულტ. ძეგლთა აღწერ. V, 1990, გვ. 60).

წყაროების მიხედვით, ატენში საეპისკოპოსოს არსებობა დადასტურებული არ არის. ატენის სიონში ამოკითხულია IX-X საუკუნეების ატენის ეპისკოპოსის ნუსხური წარწერა, რომელიც საკურთხეველის სამხრეთ კალთაზეა მიკვლეული. წარწერა შესრულებულია შავი საღებავით და მოჩანს კედლის მოხატულობის დამამთავრებელი დეკორატიული ჩარჩოს გადასული საღებავის ქვეშ. სიტყვები დაქარაგმებულია, მაგრამ არ აქვს ქარაგმის ნიშნები:

1. „ესე ჳელი მე დავწე[რე],
2. ატ(ენი)ს ებ(ისკოპოს)ი. ვინ წაიკითხ-
3. ოს, ღ(მერთ)მ(ან) ადიდენ“.

მკვლევართა შენიშვნით, წარწერაში ქარაგმის გახსნა „ატ(ენი)ს ებ(ისკოპოს)ი“ პირობითია, ერთი მხრივ, ტექსტის გრამატიკული გაუმართავობის გამო და მეორე მხრივ, იმიტომ რომ ატენის საეპისკოპოსო წყაროებში დადასტურებული არ არის (ქართ. წარწ. კორპუსი, III, ფრესკ. წარწ., I, 1989, გვ. 102).

სავარაუდოა, რომ გარკვეულ პერიოდში მაინც ატენს თავისი ეპისკოპოსი ჰყოლოდა, რადგან ჯერ ქართველთა მეფეთა და შემდგომ ბაღვაშთა მფლობელობის დროს ის მნიშვნელოვან სტრატეგიულ ერთეულს და მცირე ქალაქსაც წარმოადგენდა. ამ მხრივ ერთ საგულისხმო ცნობას გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილი, რომლის დროსაც ატენის სიონის მონასტერში დაუსვამთ ახტალის ეპისკოპოსი, რადგან მისი კათედრა გაუქმებული ყოფილა: „ატენის სამწრით არს მონასტერი სიონი, გუმბათიანი, კეთილნაშენი, და აწ სმენ გადამდგარს ეპისკოპოსს ახტალის მაგიერ, ვინაჲთგან იგი უქმ არს, და აწ არს ნიში მისი...“ (ვახუშტი, 1973, გვ. 343). უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ფაქტს რეალური საფუძველი ექნებოდა და, შესაძლოა, წარსულიდან მომდინარე გარკვეულ ისტორიულ ტრადიციას ემყარებოდა.

ყველაზე ძველი წერილობითი წყარო, რომელშიც დასახელებულია საქართველოში მდებარე ტანის მონასტერი, VI საუკუნის ერთი სირიული ეპისტოლური ძეგლია. ეს ეპისტოლე სხვა სირიულ დოკუმენტებთან ერთად შეისწავლა და 1941 წელს გამოსცა რ. დრაგემ. ამ ეპისტოლეში დასახელებული ტანა, რომელიც, ავტორის მითითებით, საქართველოში მდებარეობს, მხოლოდ ამ ერთადერთ ჰიდრონიმთან უნდა იქნეს იდენტიფიცირებული.

სირიიდან ჩამოსული ეპისკოპოსი ტანის მონასტერში ანათემაზე გადასცემს უღირს ეპისკოპოსებს. ეს ფაქტი ტანის ხეობის მხოლოდ უპირველეს მონასტერში შეიძლება გადახორციელებულიყო VI საუკუნის 40-50-იან წლებში. გ. აბრამიშვილის აზრით, არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი თავდაპირველი ეკლესია შესაფერისი უნდა იყოს ასეთი ვარაუდისთვის (აბრამიშვილი, 2012, გვ. 41-47).

ეპისტოლე დოგმატიკის საკითხებზე გამართულ პოლემიკასა და ანათემაზე მოგვითხრობს (ეს არის: ბეით მარ ისააკ გაბულელის მონასტრის წინამძღვარ თომას მიერ აღმოსავლეთში თავისი მომხრეებისადმი გაგზავნილი წერილი). დოგმატიკური ხასიათის ამ დოკუმენტში იულიანისტებს შორის ატეხილ შინაგან უთანხმოებაზეა საუბარი. („პლერიფორიის“ ავტორს, მონოფიზიტ ანტიოქიის პატრიარქ იოანე I-ს (630/31-648 წწ.), VI საუკუნის აღნიშნული სირიული დოკუმენტის მასალა მთელი საუკუნის შემდეგ გამოუყენებია თავის ნაშრომში).

სტეფანე ეპისკოპოსის დროს ეშვება დაბლა მთელი იულიანური ეპისკოპატი. სტეფანეს სომხეთში წასვლის შემდეგ ტანის მონასტერში ჩადის სვიმეონ ეპისკოპოსი. მას ანათემაზე გადაუცია სტეფანეს მიერ უკანონოდ ხელდასხმული ეპისკოპოსები (როგორც ცნობილია, ეს

ორივე ეპისკოპოსი რომანიუსის ნაკურთხები იყვნენ და 548/49-584 წლებში მოღვაწეობდნენ. ეპისტოლეს ავტორი თომა კი მთელი 30 წლის შემდეგ ჩანს). ეპისტოლეს მიხედვით, იოანესა და სვიმეონისთვის აწ გარდაცვლილ ბერებს უცნობეობათ „რეზიფტას და ტანას“ მონასტრებში მომხდარი დარღვევები. ანუ VI საუკუნის 50-იან წლებამდე ჩასულა ეს ორი სასულიერო იერარქი ტანაში. ამდენად ხეობის უპირველესი ეკლესია მდგარა აქ VI საუკუნის 40-50-იან წლებში.

როგორც აღვნიშნეთ, ფრესკულ წარწერაში მოხსენიებული ატენის ეპისკოპოსის წარწერა IX-X საუკუნეების მიჯნით თარიღდება. შესაძლოა, გარკვეული ნიშნებით IX საუკუნისა იყოს. ვახუშტის ცნობითაც, 1742-45 წლებში გაუქმებული ახტალის კათედრა ატენის სიონში გადმოუტანიათ (ვიციტ ისიც, რომ ჯუანშერის ცნობა საეპისკოპოსოების დაარსების შესახებ არასრულია). ამდენად, სრული საფუძველი იქმნება იმის სამტკიცებლად, რომ ატენში საეპისკოპოსო კათედრის არსებობის ტრადიცია ჯერ კიდევ ადრეული ხანიდან იღებდა სათავეს.

სვიმეონს ტანის მონასტერში კრება მოუწვევია. ერეტიკოს ეპისკოპოსებს მძიმე მსჯავრი დაადეს. თომა თავის ეპისტოლეში 30 წლის შემდეგაც კი მოაგონებს საკუთარ მრევლს ტანის მონასტერში ანათემაზე გადაცემის მნიშვნელოვან ფაქტს. სევერიანული მრწამსი მწვალებლობად მიაჩნდათ. ანტიოქიის პატრიარქ სევეროსს (512-538 წწ.) ქრისტეს სხეული ხრწნადად წარმოედგინა. იულიანე ჰალიკარნასელის მრწამსის მიხედვით კი - ქრისტეს წმ. სხეული უხრწნელია. თომას ეპისტოლეში იულიანისტური კონცეფციაა მიღებული. როგორც ჩანს, ტანის ეპისკოპოსი ანტიიულიანურ პოზიციაზე მდგარა. სევერიანობა კი მონოფიზიტთა უკიდურეს მემარჯვენე ფრთას წარმოადგენდა (აბრამიშვილი, 2012, გვ. 41-47).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ 506 წლის დვინის საეკლესიო კრებაზე ქართველები ქალკედონიტები არიან. ქალკედონური ორიენტაციის სომეხთა კათალიკოს ნერსეს 555 წელს საეკლესიო კრების ძალით ნესტორიანების ეკლესია დაუნგრევია სომხეთში და სხვ. იმ პერიოდში რთული პროცესები ვითარდებოდა საქართველოს სამეზობლოში, მაგრამ, არაერთი რელიგიური დაპირისპირებისა თუ განხეთქილების მიუხედავად, ქართველები მტკიცედ ინარჩუნებდნენ მართლმადიდებლურ მრწამსს.

ამრიგად, აღნიშნული წყაროები და დოკუმენტები მიგვითითებს იმაზე, რომ ატენის ხეობა ძველი დროიდანვე გამოირჩეოდა სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობით, იქვე მდებარეობდა საეპისკოპოსო კათედრა თავისი დიდებული ხუროთმოძღვრული ძეგლით, რომელშიც სარწმუნოებრივ ნიადაგზე წარმოქმნილი უაღრესად საჭირობოროტო საკითხების გადაჭრაც კი ხდებოდა.

ატენი საისტორიო დოკუმენტებში და მისი მფლობელობის საკითხი

ატენის სიონის ტაძრის არქიტექტურას, წარწერებს, მოხატულობას, ატენის ხეობაში არსებულ სხვა ხუროთმოძღვრულ ძეგლებს თუ მთლიანად ხეობის შესახებ არსებულ ისტორიულ მოვლენებს თავის დროზე არაერთი მკვლევარი შეეხო. ამ მიმართულებით უდიდესი სამუშაოებია ჩატარებული როგორც ძველ დროში, ასევე ჩვენს თანამედროვეობაშიც. მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომები აქვთ გამოქვეყნებული: ივ. ჯავახიშვილს, ნ. ბერძენიშვილს, ს. ჯანაშიას, გ. ჩუბინაშვილს, ს. მაკალათიას, გ. აბრამიშვილს, ზ. ალექსიძეს, პ. ზაქარაიას, ლ. რჩეულიშვილს, დ. გვრიტიშვილს, ს. ბარნაველს, დ. ბერძენიშვილს, ნ. შოშიაშვილს, ვ. სილოგავას, ი. გაგოშიძეს, გ. გაგოშიძეს, ე. კავლეიშვილს, ე. მამისთვალიშვილს, ნ. ვაჩეიშვილს, ს. ალიმბარაშვილს, ე. პავლიაშვილს და სხვებს, ასევე უცხოელ ავტორებს. მიუხედავად ამისა, ამ ხეობის მიმართ ინტერესი არ ნელდება და სხვადასხვა კუთხით განსახილველი საკითხები დღემდე ფართო კვლევის საგანია. ამჯერად ჩვენ ატენის ხეობის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით ანალიზს წარმოვადგენთ და მისი მფლობელობის საკითხს შევხებით.

როგორც ითქვა, ატენში ინახებოდა საქართველოს მეფეთა ერთ-ერთი „სამეფო საჭურჭლე“. დავით აღმაშენებლის „ანდერძში“ აღნიშნულია შემდეგი: „ხ(ოლო) დრაჰკანნი კონსტანტი ცუატა და ჩემნი ლალნი და თუალმარგალიტნი ხახულისა ღ(მრ)ისმშობლისადა შემიწირავს, ხოლო დუკატი და ბოტინატი, ატენისა საჭურჭლისა, იგიცა ჩემითა სისხლითა მოგებული... რ(ომე)ლნი მონასტერნი მამულისა ჩემისანი განმიძწარებიან, მოძღუარმან ჩემმან უკუნ-ცემითა მათითა ალოცნეს ჩემთვის“ (ქართ. ისტ. საბ. კორპ. I, 1984, გვ. 62-63).

1260 წლის „კახა თორელის დაწერილს რკონის ღმრთისმშობლისადმი“ ახლავს გვიანდელი მინაწერი საბუთები – მეფეთ-მეფე ალექსანდრე და მისი შვილები შეწირულობას უახლებენ რკონის ღვთისმშობელს: „...არა ეთხოვებოდეს და არა ეწერებოდეს არასთანა სათხოვარი და გამოსაღები, დიდის სათათროს ულუფისაგან მეტი, არა დიდი და არა ცოტა, არა გორიდადმან და არა ატენით, არაოდეს და არას ჟამსა შიგან არა“ (ქართ. ისტ. საბ. კორპ. I, 1984, გვ. 157).

მოგვიანებით რკონის ღვთისმშობლისადმი კახა თორელისა და მისი ცოლის ხათუთას მიერ ხოვლის შეწირულობის სიგელს აახლებს აფხაზეთისა და ქართლის მეფე გიორგი: „ჟამთა ვითარებისაგან ატენის ციხის სათხოვარი რაიმე შესრულიყო. ვნახეთ თქუენი რკონისა ღ(მრთ)ისმშობლის განაჩენი და არა რომელთა მეფეთაგან არა გწერებოდა. და აწ, ჩუენ, ახლად დაგიმტკიცეთ და გაგიახლეთ და გაგაჩინეთ თქუენის მონასტრისაგან ხარების დღესა აღაპი... ანუ მეფეთა გუარისა კაცმან, ანუ დიდებულთა, ანუ აზნაურთა, ანუ ატენისა მოურავთა, ანუ ატენისა ციხუანთა და ანუ რკონისა პატრონთა... სათათროსა სათხოვარისა მეტი არა გეთხოვებოდეს რა“ (ქართ. ისტ. საბ. კორპ. I, 1984, გვ. 157-158).

ატენის შესახებ საისტორიო წყაროები და დოკუმენტები შემდგომ საუკუნეებშიც მრავალფეროვან და მდიდარ მასალებს გვაწვდის.

1382 წლის 30 ივნისს დავით მეფემ ატენში თავისი მამული ოქონის საყდარს შესწირა; დაეკისრა ოთხი ლიტრა ზეთის გამოღება, ძღვენი და სამსახური (გსიემ 7601/30).

1392 წლის „ქართლ-კახეთ-მცხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში“ შემდეგი ფაქტი იხსენიება: „ატენს, რაც მცხეთისაა – ეკლესია, ციხე, გლეხნი, მამული და აგარაკნი...“ (დოლიძე, 1970, გვ. 177).

1398 წელს ატენის ეკლესიის, ციხისა და ყმა-მამულების შეწირულობა განუახლა სვეტიცხოველს ალექსანდრე მეფემ (მასალები, I, 1964; ხეც, Hd-8712).

1412 წელს მეფე ალექსანდრე I დიდი (1412-1442 წწ.) წყალობის სიგელს აძლევს სვეტიცხოველს: „...დედაქალაქისა საყდარსა მცხეთისა... შევსწირეთ და მოვაკსენეთ... სულკურთხეულისა ბეზიისა ჩემისა... რუსასა სულისათუის სააღაპედ ატენს თბილელისძენი... [რუსამ] გულსმოდგინედ... ჯელო აღშენებად კათოლიკე საყდრისა დედაქალაქისა მცხეთისა, რომელი დააქციეს ტომთა აგარისთა...“ (კაკაბაძე, III, 1913, გვ. 8-9).

1414 წელს ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს შესწირა სიონს უკან ატენის-ხევში მდებარე ზვარი გოგნიაურა: „...ჩუენ, მეფეთა მეფემან ალექსანდრე... თქუენ, [სვეტიცხოველს] შემოგწირეთ და მოგაკსენეთ ატენის ჴევს, სიონისა უკანით, ზუარი გაგნიაური მისითა მეზურითა, წყლითა, საწნებლითა...“ (კაკაბაძე, II, 1913, გვ. 3). იმავე წელს მეფემ სვეტიცხოველს შესწირა ზვარი გოგნიაური მისი მეზურითურთ, ატენის სიონში აღაპი გაიჩინა და გიორგი ხაზინადარს და ბირთუელსაც გაუჩინა.

1412-1419 წლებში ალექსანდრე მეფის ნებართვით ელიოზის კათალიკოსობის დროს ფანასკერტელ-ციციშვილმა თავამ (1412-1478 წწ.) თავისი დის - სითიხათუნისა და თავის სააღაპედ სვეტიცხოველს შესწირა ატენში მდებარე „ლუსმალაური“ მამული (ქორდანია, 1897, გვ. 223).

ცნობილია, რომ თავა ციციშვილი მეფე ალექსანდრე I-ის (1412-1442 წწ.) თანამედროვე იყო. რადგან თავა 1412-1419 წლებით დათარიღებულ საბუთში გვხვდება, მას ატენზე ხელი მიუწვდებოდა. ნ. ბერძენიშვილის აზრით, თავა იმ დროს ატენის მოურავი უნდა ყოფილიყო

(ბერძენიშვილი, 1937, გვ. 67). თაყას და სითიხათუნი იყო ალექსანდრეს ძის, ვახტანგ მეფის თანამეცხედრე. ამდენად სამეფო კარზე მას დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა.

შემდგომში, დაახლოებით 1468-1478 წლებში, თაყა ციციშვილი (1412-1478 წწ.), პატრონი დემეტრე და გამრეკელ [ჯავახიშვილი] ატენის წყალზე იდგნენ, როცა მიუვიდათ ჩიქავადის მიერ სამწევრისის დარბევის ამბავი. ბაგრატ მეფე ქართლს ჩავიდა და ციციშვილის წინააღმდეგ გაილაშქრა. გამრეკელი მეფე გიორგის ნებადაურთველად წავიდა მასთან საბრძოლველად, შვიდჯერ შეება და დაამარცხა. მესხებმა დაარბიეს ციციშვილის მამული. გიორგი მეფემ ატენის მოურაობა გამრეკელ [ჯავახიშვილს] მისცა. თაყამ მეფეს ატენი სთხოვა, რაზეც მეფე გიორგი გამრეკელს დაეკითხა, ამ უკანასკნელმა ატენი და სახელო თაყასთვის დათმო. ზადაბეთს მდგომი ვახტანგ მეფე თაყას შეპყრობას აპირებდა, მაგრამ თავის განზრახვაზე ხელი აიღო (ქართ. ისტ. საბ. კორპ. III, 2014, 69; ხეც, ფ. Sd-1242).

1424 წელს მეფე ალექსანდრე და მისი ძეები ვახტანგი და დიმიტრი გასცემენ საბუთს: „შემოგწირე მცხეთას და ქ(ათალი)კ(ო)ზს ელიოზს ატენის ჳევს სიონსა უკანით ზუარი“... (ქორდანია, 1897, გვ. 228).

1439 წელს მეფე ალექსანდრე, დედოფალი თამარი და მათი ძეები სიგელს აძლევენ მცხეთას, კათალიკოს დავითსა და მცხეთის შვილებს: „...მოგაცხენეთ ატენის წინაუბანს ლომიშვილნი მისითა მამულითა შეუვალად და თარხნად თჳნიერ მალისა და ლაშქრობისაგან მეტი არა ეთხოვოდეს ჩუენგან... ქ(ათალი)კ(ო)ზო დავით, ჩუენთჳს წირვასა და ეკლესიის სამსახურსა ნუ დააკლებთ“ (ქორდანია, 1897, გვ. 245).

1447 წლის „ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში“ სხვა მამულებთან ერთად იხსენიება გათარხნებული და გათავისუფლებული ატენის მიწები: „ატენს წინუბნელი, კეზუს ზაიკური მამული“... (დოლიძე, 1970, გვ. 191).

1463 წელს სოფ. ავკეთი და იის ციხე გიორგი მეფემ უბოძა ზაქარია, კახა და ზაზა ჯავახიშვილებს და გაათარხნა ეს სოფლები სამუშაო ბეგარისა, გორული და ატენური გადასახადებისგან (ხეც, ფ. Hd-1347).

1465 წელს ატენის მოურავმა საგია თურმანიძემ სითარხნის წიგნი მისცა ატენის ნაცვალს, მაგანა ვიგარაშვილს (ხეც, ფ. Hd-1301).

XV საუკუნის II ნახევრიდან, საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ და გვიან შუა საუკუნეებში, ატენის ხეობა სხვადასხვა სათავადომ დაინაწილა და, ქართლის კათალიკოსების, მეფეებისა და დედოფლების გარდა, აქაურ მამულებს ძირითადად ფლობდნენ: ციციშვილები, სააკაძეები, გლურჯიძეები, თუმანიშვილები, მოგვიანებით კი ერისთავები და ორბელიანები.

1556 წლითაა დათარიღებული ერთი დოკუმენტი, რომელშიც მოთხრობილია შაჰ-თამაზის მიერ ატენის ციხის აღებისა და დედოფალ ნესტან-დარეჯანის დატყვევების ამბავი: „მოვიდა შაჰთამაზ ყეენი ქართლსა და ალაოხრა, აიხვნა ციხენი და ალაოხრა ეკლესიანი, აიღო ატენი ციხე, დედა და დაჲ მეფის ლუარსაბისა გამოიყვანა ატენის ციხიდან. დედოფალი ნესტანჯარ გამოიყვანეს. ზედაველამდი ქვეითი წაიყვანეს და იქ მეაქლემეს მისცეს და ერევანს წაიყვანეს. იქ თავი მოიწამლა და იქ მოკვდა. მეფე ლუარსაბ იმერეთს მორჩა, მუხრანის ბატონი აშოთან და არჩილ აწყვერს მორჩნენ“ (ქორდანია, 1897, გვ. 398).

1559 წლის „ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში“ ატენი კვლავ იხსენიება: „ატენს წინუბნელნი, გორელნი და თბილელაშვილნი, მათითა მამულითა და გაგანაურას ზუარი“. სიმონ მეფემ სვეტიცხოველს განუახლა ატენში ძველად შეწირული გლეხები (ხეც, ფ. Ad-1572).

1574 წელს დედოფალი ნესტან-დარეჯანი წერს: „...ვიძიეთ და ვცანით, რომელ ატენის თბილელაშვილნი ძუწლითგან თქუწნთჳს (მცხეთას) შემოწირულნი ყოფილიყვნენ და

თუმანიშვილთა გაემამულა. აწე, ჩუწნ, ახლად სიგლითა ამით დავამტკიცეთ“... (ქორდანია, 1897, გვ. 415).

1608 წლის საბუთში ასევე ვკითხულობთ: „ქ. ესე აგარაკის შემოწირულობის წიგნი გკადრეთ მეტეხის ღ(მრ)თისმშობელსა ჩ(უე)ნ, დედოფალმა ნესტან-დარეჯან, ატენს ზვარი ჩუწნს ზვარს პირდაპირ ჰევეს გაღმა, ჩვენი სახასო მიწა და ვენაჭი“... (ქორდანია, 1897, გვ. 437).

ნესტან-დარეჯანი ქართლის მეფე სვიმონ I-ის (1556-69, 1578-1600 წწ.) ქვრივია. ჩანს, იმ დროს ატენის მამულების ნაწილი „სახასო“, ანუ „საერთო მამულია“, სადედოფლო საკუთრებაში იმყოფება და მის საქმეებს დედოფალი განაგებს. ასეთ ვითარებაში საერთო მამულიდან „სახელმწიფო ხარჯს“ აძლევდნენ მეფეს (ამ შემთხვევაში დედოფალს), დანარჩენს კი ოჯახებს შორის იყოფდნენ.

1608 წელს ატენში მდებარე ზვარი მეფე ლუარსაბ II-მ (1606-1615 წწ.) უბოძა ბარძიმ ამილახორს (ხეც, ფ. Hd-2135-ა).

1613 წელს ციხუა სულტასასვილმა თავის ბატონ სულხანს ატენში სავენახე მიწა მიჰყიდა, „დიდ კლდედმი, ნეფის ზვრამდი, მისის ნიგზნარიტა, მისი რუთი და სასაროთი“. ამ ნასყიდობის მოწმენი იყვნენ „სრულიად ატენელი“ (დოლიძე, 1985, გვ. 835).

1632 წელს დავით ჩალაბაშვილმა უმეკა ბახჩიაშვილს მიჰყიდა რუწაში მდებარე მიწები: 1 დღის მიწა რუს პირას და ნახევარი დღის მიწა ძულიას ბაგის ბოლოს: „ამის ბოლო ატენის მოურავის“ იყო (ხეც, ფ. Hd-1568).

1635 წელს ატენში მამული ჰქონდა ხოსრო-მირზას, ეს მამული ძველითგანვე მეფეთაგან ატენის სიონის ღვთისმშობლისთვის იყო შეწირული. შემდეგ როსტომმა (თავის გამეფებამდე) იგი გიორგი სააკაძეს უბოძა სამკვიდროდ (ხეც, ფ. Ad-1010).

1638 წელს ატენის ზვრის მეოთხედი მდივან გივის ვენახისკენ თავის ურწყავით ერგო მანუჩარსა და შიომის შვილებს (ხეც, ფ. Sd-4725).

XVII საუკუნის II ნახევარში ატენში დედოფალს 1 კომლი ყმა ჰყავდა. ატენში ცხოვრობდა ყმების ნუსხაში მოხსენებული 17 კომლი თარხანი და 4 ურია (1658-75 წწ.) (ხეც, ფ. Hd-1453-ბ).

1658 წელს ყორჩიბაშმა ბაადურ ციციშვილმა (1616-1671 წწ.) ვალის გამო მთავარეპისკოპოს დომენტის ატენში ნასყიდი ზვარი მიჰყიდა (ქორდანია, 1897, გვ. 471).

სახლთუხუცეს ედიშერ ციციშვილს (1653-1697, 1703 წწ.) ბიძაშვილ პაპუნა ციციშვილთან გაყრის დროს სხვა მამულებთან ერთად ერგო: ატენს – ნასყიდა ანდრიაშვილი მისი განაყოფის მამულის ნახევრით, მაზიტა მისი ნასყიდი [მამულით], ოქროა აბრამისშვილი, ელიზბარ აბრამისშვილი მათი მამულებით. ასევე გარდატენს – ხუცისშვილი, პაპუნასშვილები მათი მამულებით, ხოლო პაპუნა ციციშვილს (1633, 1682-1700 წწ.) ერგო: ატენს – დემეტრე დემეტრასშვილის მამული, გარდატენს – ხუცისშვილები მამულით, ატენს – გიორგი, გარდატენს – ზუბიტა მამულით, ატენს – ტატია აბრამისშვილი, გოდერძა აბრამისშვილი მათი მამულებით (ხეც, ფ. Qd-1636).

1658-1663 წლებში სახლთუხუცეს ციცი ციციშვილს (1612-1678 წწ.) შაჰნავაზთან უთანხმოება მოუვიდა და იმერეთში გადავიდა. იქიდან შაჰნავაზს უერთგულა და იმერეთის დაჭერას შეჰპირდა. ამის სანაცვლოდ მეფემ პირობა მისცა, რომ ხელშეუვლად უბოძებდა მისსავე სამკვიდრო მამულებს, მათ შორის: ატენის მამულს მტლამაძეებით, ვერეს გარდატენიანად, თრიალეთში მათსავე საქონელებს, რეხას, კარალეთს, თვალთუბანს, რუისში მათ კუთვნილ მამულებს და სხვა (სეა, სცა, ფ. 1449, ს. 328). 1658-75 წლებში ციცი ციციშვილს კომლობით ჰყავდა მესაურე სახასო ყმები სხვადასხვა სოფელში, ატენში – ხუთი, გარდატენს – ორი და სხვა (ხეც, ფ. Hd-14534-ა).

1687 წლის „შეწირულობის წიგნში ნიკოლოზ კათალიკოსისა სვეტიცხოვლისადმი“ ნათქვამია: „აგრევე ატენს ერთი კუამლი კაცი დარჩაშვილი დავასახლე და აქავე მარანში ორი დიდი და სამი ცოტა ქვევრი ჩავდგი“ (დოლიძე, 1970, გვ. 591).

1689 წელს მეფე ერეკლე ნაზარალიხანმა გივი, შიო და მანუჩარ თუმანიშვილებს ატენში ნაქონი მამულის ნაცვლად უბოძა ატენის ბოლოს თიკანანთ უბანი და გაუთარხნა აქ მოსახლე გლეხები, სათათრო საურისა და ლაშქარ-ნადირობის გარდა (ხეც, ფ. Hd-6169).

1693 წელს დემეტრე სააკაძემ მდივან ოთარ თუმანიშვილს ატენში მიჰყიდა „საცივის ხევის“ ნახევარი, ქვევრი და მარანი (მეორე ნახევარი მას ადრე დემეტრეს ბიძაშვილმა იორამმა მიჰყიდა) (ხეც, ფ. Hd-14397).

XVII საუკუნის ერთი დოკუმენტის მიხედვით, დომენტი კათალიკოსმა ატენში თომა ბერიშვილ-ლაზარეშვილის მამული უბოძა პაპუნა დოჭიძეს და იასაულს ამის სისრულეში მოყვანა უბრძანა (ხეც, ფ. Ad-1807).

XVII საუკუნეში ატენის მოურავი იყო ზურაბ სააკაძე. იმავე საუკუნის ერთ საბუთში იხსენიება ატენის მოურავის შვილი გიორგი (ხეც, ფ. Hd-9315). იმ დროის ერთი დოკუმენტის მიხედვით, ატენს ეწერა 12 სახასო მოლაშქრე და სხვა (ხეც, ფ. Qd-826).

ვახტანგ VI-ის მიერ 1707-1709 წლებში შედგენილ ქართულ სახელმწიფო სამართლის ძეგლ „დასტურლამალში“ პირდაპირ არის მითითებული, ვის ევალებოდა ატენის ხეობის გზის შენახვა და დაცვა, მას ბათლომის გზასაც უწოდებდნენ: „უნდა უთაონ... სა[ა]კაძემ, გლურჯიძემ და ატენელთ და იმ კეობამ - ბათლომის გზა“ (დოლიძე, 1965, გვ. 278). ამასთანავე ნათქვამია, რომ: „ატენის კევზედ, არაოდეს სხვა კევისთავი არ შესულა და მოურავს უსამართლეობია. ახლაც ასრე იქნებოდეს. ატენის მოურავი ამირეჯიბი ქაიხოსრო, მის დროს ჩვენს მუშრობს ვისმე წაიყვანდეს და ატენის კევზედ სამართალს იქმოდეს... ატენის კევზედ რაც ან ციციშვილისა, ან სა[ა]კაძე, გლურჯიძის ყმა სახლობს, ყველაყას კევისთავი ეს არის. და როგორც დაგვიწერია, იმრიგად იკევისთავოს...“ განსაზღვრულია ატენის ბატონის ზვრების მუშაობის რიგიც: „...ციციშვილის ედიშერის ნაქონს ზვარში რომ გლურჯიძისათვის წა[ე]რთმია, იმასაც ბატონის ფასით მუშაობენ...“ (დოლიძე, 1965, გვ. 307).

1703-1709 წლებშია გაცემული მეფე ვახტანგ VI-ის ბრძანება: „ატენს ჩვენი სახასო გლეხი გიორგაშვილი თავის მამულით მდივნის გივისათვინ გვიბოძებია“ (ბერძენიშვილი, 1940, გვ. 122).

1719-1724 წლებში უნდა იყოს გაცემული მღვდელ იასე ტლაშაძის მიერ დაწერილი საბუთი, რომელიც 1725 წელს კათალიკოს დომენტი IV-ს სტამბოლში გაჰყვა. „ქ. ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, გლურჯიძემ პაპუნამა, ნიკოლოზო და იონათამ შენ, ჩვენს ბიძას საამს და ამირანს... ჩვენი კერძი ატენს ვენაჭი საფანელა მესამედი შენთვის დაგვინებებია, თუ გინდა გაყიდე, როგორც შენ გინდოდეს, ისე მოიხმარე. იმის სანუქმოდ ექვსის თუმნის მამული ჩვენ აგვიღია...“ (თაყაიშვილი, 1909, გვ. 328).

1727 წელს დომენტი კათალიკოსი წყალობის წიგნს აძლევს მღვდელ იასე ტლაშაძეს და მის შვილ ზაქარაიას, რომლის მიხედვითაც, კათალიკოსმა მღვდელს ერთგული სამსახურისა და „უცხოობაში“ მყოფობის ჟამს თანხლების გამო უბოძა: „ატენში სახუცოდ ოცდასამი კომლი კაცი, რომ ის სახუცო არაოდეს არ გეთხოვებოდეს, არა ჩვენგან და არცა სხვათა შემდგომთა პატრიარქთაგან“ (დოლიძე, 1970, გვ. 713).

1723-1735 წლების „ოსმალის“ ხანის საბუთი, „მიწერილობა შანშე ერისთავის მიერ მანუჩარ გლურჯიძისადმი“, შემდეგ ამბავს მოგვითხრობს: ერისთავ შანშესთვის მიუწერიათ, რომ თქვენს კაცს ჯავახიშვილის კაცის სისხლი ჰმართებსო. შანშე მანუჩარ გლურჯიძეს ატყობინებდა, რომ ჯერ ნაყიდი არ ჰყავდა ეს კაცი, როცა ეგ საქმე მომხდარა. „თქვენვე იცით, ატენში ვენაჭი არც მაგასა ქონია, მაგრამ კიდევ ვრჩომილვ[ა]რთ. არც მე მინდა. მაგაზედ არც-რას ჯავ[ა]ხის-შვილს შევეპოვები და არცრას ატენელს კაცსა. მართალია, ერთი ჩემ[ი]ს აზნ[ა]ურშვილის ბუში გათათრდა აგერ უწინვე, ვინ იცის, კაცი დაეჭრა თუ მოეკლა. სტანბოლს იყო. ახლა იქიდან გორის ფაშასთან მოსულიყო. აქ ჩემთან მოვიდა, ერთი კვირე დაყო, ორი ტყვე მამპარა და მაშინვე წამოვიდა...“ (ბერძენიშვილი, (ქეწ), 1989, გვ. 74). ამიტომ შანშე ერისთავი ამ ამბავზე პასუხისმგებლობას იხსნიდა.

1724-1735 წლებშია გაცემული შემდეგი შინაარსის დოკუმენტი: „ჩვენი [ისაყ-ფაშას] ბრძანება არის ჯავახისშილო როინ! მანდ ნიკოლოზ რომ ატენის ომში მოკლეს, მისი მამულის გარდა, რაც მანდ მამული, სახლი, გლეხი გასყიდულა, რატიშვილი რომ იმერეთს არის... საჯავახიანთ მამულში გაურიე...“ (ბერძენიშვილი, 1940, გვ. 207).

1735-1738 წლებშია შედგენილი ალი-ყული-ბეგის წყალობის წიგნი: „ქ. ვექილი ალი-ყული-ბეგის დიდო მღთის წყალობავ, ძმაო ბატონო ფარსადან!.. მერმე ხიდისთავს რაც თუმანიშვილს ქაიხოსროს მამული მიუყიდა გაბრიელასათვის და ტანის პირი, მოკითხული ვქენით და სათუმანიშვილოზედ ყოფილა და შენ ამათ ღალასთან ხელი ნუ გაქთ, დაეხსენ“ (თაყაიშვილი, 1910, გვ. 448).

1735-1744 წლებს ეკუთვნის „არზა, მიცემული გორჯასპი მდივნის [თუმანიშვილის] მიერ ხანისადმი უკანასკნელის ოქმით და მიშკარბაში გივის პასუხით“. „...ატენის ბოლოს ერთი ხარა[ზა] სოფელი მაქვს. ამ სოფლისა ორი ტიტველი რ[აია]თი დარჩომილა ამ ტანის პირისა. წედისის რაი[ათ]ი ამ საბრალო გლეხებს წამოსჭიდებიან: ხარჯში ჩვენ უნდა მოგვიდგეთო. აყრილან და დაკარგულან...“. მიშკარბაში გივი პასუხობს: „ზემო ქართლში სოფლები ქათალიკოზს, ციცის-შვილს, თარხანს აქვს. არც ისინი ერევიან ზემო ქართლის სათხოვარში, არც იმათ უნდა გარიონ ეს სოფ[ე]ლი საცი[ცი]ანოში... სოფელს თუ ესენი გარევენ, ისინიც გარევენ“ (დოლიძე, 1981, გვ. 22).

1737-1738 წლების დოკუმენტებში მოწმეებში დასახელებულია ატენის მამასახლისი ხეჩიკაშვილი ამირა... და „სულ ატენელნი“ (ბერძენიშვილი, 1940, გვ. 275).

1736-1744 წლების „დავთარი ქართლის საკათალიკოსო ყმების აღწერისა“ იხსენიებს ატენის გლეხებსაც შემდეგი რაოდენობით: „ქ. იქნა ატენური ჯამი: კომლი 9, თავი კვ, ფური ა...“ (დოლიძე, 1970, გვ. 780).

1756 წლის საბუთში ნათქვამია: „ესე [თამასუქის] წიგნი მოგეცი მე, ახალქალაქელმა როსტევანასშილმა ესტატემ შენ, გლურჯიძე იოსეფს... ატენის ნაცვალი დათუნა... მოწამეც ვარ ამისი“ (მსეი, 1953, გვ. 39).

1760 წელს ბატონიშვილი იოანე წყალობის წიგნს აძლევს ატენელს სიონელს, კარიჭაშვილ ნასყიდას: „...ატენს კარიჭაშვილს ნასყიდას... ძმისწულსა შენსა ბერიძესა, ასე რომე, ძველად ხელმწიფებისაგან ნათლისმცემლის შეწირული და თარხანი ყოფილხარ და სიონის მოსაფლავენი და არაფერი სათხოვარი და ხარჯი არა გეთხოვებათ რა“. ამის საფუძველზე უახლებს მათ სიგელს ბატონიშვილი იოანე და კვლავ ათარხნებს (კაკაბაძე, V, 1913, გვ. 76).

1760 წელსაა დაწერილი ერეკლე მეფის განაჩენი დიმიტრი ციციშვილისა და ზურაბ ფურცელაძის დავის თაობაზე. ერთი კომლის დავა ბერუა ჩუტკერაშვილის გამო ასე გარიგდა: „...ალექსიძე როსებმა ამ კაცს შეაგდოს, ამ ერთს მოფიცრით ასე შეჰვიცოს, რომ არც მამაჩემი და არც მე, არც მამიშენისა და არც შენ ყმათ არ ვყოფილიყოთ, ჯავახეთიდან გარდმოვედით ატენს, ბატონის სახასოში მოვედით და სამს წელიწადს იქ ვიყავით. თუ ასე დაიფიცა, ალექსიძეს ამ კაცთან ჯელი აღარ ექნება, თუ ვერ დაიფიცა, მაშინ იმის უწინ ალექსიძის ყმა ყოფილა... და ჩუტკერაშვილი ალექსიძეს დარჩება... თუ ამ კაცმა ასე დაიფიცა, რადგან ჯავახეთს პაპა ამისი [ჩუტკერაშვილის] გარდასული ყოფილა და ამდენი ხანი გამოსულა, მას უკან ატენს ჩვენს სახასოში მოსულა, ეს კაცი ხიდისთავს ჩვენს ყმათ უნდა დადგეს“ (თაყაიშვილი, 1910, გვ. 463-464).

1764 წელს მაღალაშვილი მოსე თავის სახელოს, ატენის მოურაობას, სახლთუხუცეს გიორგის უბოძებს: „...მე, მაღალასშილმა... მოსემ, თქვენ... ჩემს ბიძაშვილს სალთუხუცეს გიორგისა... მოგყიდე... მკვიდრი ჩემი ატენის მოურაობა, ჩემი სახელო... ჩვენ, ყოვლისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი... ანტონი ამ ნასყიდობისა მოწამე ვარ...“ (უჩანეიშვილი, 1967, გვ. 59-60).

1769 წლის ერთ საბუთში ნათქვამია: „ღმერთმან... ხელმწიფის ჭირი მოსცეს სარდალს ალექსანდრეს... თქვენის... ერთი ტივი მინდოდა, კაცნი გავაგზავნე და ველარა ვიშოვნე ხე რომ

მამეჭრევინებინა, ასე გაუყენებიათ ჩვენი ტყე. ატენს ქვეითი კაცი სულ ჩვენს ტყეში ჭრიან, არ გვკითხვენ მოჭრასა, არც რაც ტივის სალბაშია, იმას გვადლევენ“ (დოლიძე, 1981, გვ. 145-146).

1769 წლის მდივან დავით ჯავახიშვილის ანდერძის წიგნიდან ვიგებთ, რომ მას ატენში ვენახი შეუსყიდია: „შაჰნადირ რომ ყენი იყო, მისის ბძანებით, თიფლისის ხანი სანჯან იყო, მაშინ ვიყიდე ატენს ნონიაშვილისაგან ვენახი, ნასყიდობის წიგნი გორელს და თამდივნიშვილს გიორგის დავაწერინე...“ (კაკაბაძე, V, 1913, გვ. 80).

1771 წელს ქაიხოსრო სააკაძეს მეფე ერეკლესთვის თხოვნით მიუმართავს: „ბაბალაშვილისათვის ჩემს ყმას სამნიაშვილს, მამული მიუყიდნია ჩემის მალვით, არც ჩემი ბეჭედი უზის: კიდის-თავს რათ იყიდა ჩემს შეუტყობრათ, მე ატენს გახლდი, არც წიგნი მაჩვენა, არც იმას მეუბნება, რაც მიუცია, ერთის ოქმის წყალობა მიყავთ, თუ მართლა ეყიდოს, თავისი გამმართოს, ჩემი მამული დამნებდეს, ჩემს ყმას მე მამულს არ გავასყიდვინებდი, რათ იყიდა უჩემოთ?“ (დოლიძე, 1981, გვ. 182).

1771 წლის საბუთი „სამართალი მდივანბეგებისა ბეჟან სააკაძის ობოლისა და სარდალ-სახლთუხუცეს დავით ორბელიანის დავის გამო“ გვატყობინებს, რომ ავი დროის გამო საკარისი რომ დაცლილა, გლეხები დაფანტულიყვნენ. მუზუაშვილები ჯერ ჯავახეთში გადასულან, მერე ატენში სააკაძე ბეჟანთან მისულან. კარგა ხანს გორში სახასოდ ყოფილან. ბოლოს ისინი სარდალ-სახლთუხუცეს ორბელიან დავითს დარჩენია (ბერძენიშვილი, 1953, გვ. 75-76).

1771 წლის „ერისთავების გაყრილობის წიგნში“ ერთი საინტერესო ამბავია მოთხრობილი: „...ფიცი მოგეცით ჩვენ ... ერისთავმა დავით და ძმამან ჩემმან იესე, ჩვენს ბიძაშვილს ყულარაღას გიორგის... გაყრა დავიწყეთ. ბატონმა და მოსამართლეებმა... საუფროსო... მე მიბოძეს... საუმცროსოთ შენ გიბოძეს ახალგორის სასახლე, გარეშემო რაც გაღავანი ავლია, იმ გაღავანს შიგნით, რაც რომ დაყვება... შენთვის დაგვინებებია საუფლისწულოთ... ლიახვი, ფურცელადის სახელო რაც არის, მე მეჭიროს: ოსი და ქართველი, გაღმა და გამოღმა. ხადურის ედიშერის ალაგს გარდა... რომელთაც სახასოს ხოდაბუნების ხენა ჰსძესთ, ქიწნისისა და კარალეთის პურისა და კულუხის გამოსავლის მესამედი... ღმერთმან თუ ინებოს და ქვეყნის მშვიდობით ატენს ზვარი გაკეთდეს, იმ ზვრისა და უფლისციხის გამოსავლის მესამედი რაც ედვას, ესენი ჩემის მოჯელისაგან თქვენს მოჯელს მიეცემოდეს...“ (მსკი, 1960, გვ. 130-132).

1783 წლის დოკუმენტი კიდევ ერთ საინტერესო ფაქტზე მოგვითხრობს. დავით სარდალ-მოურავი ციციშვილ პაატას მიმართავს: „...მერმე ჩვენი ოჯახი რომ აიკლეს და ბეზიაჩემი დაატყვევეს, მაშინ სისხლის წიგნი ქონდა ბეზიაჩემსა, დიდი ციცი რომ პაპაჩვენს მოეკლა და ჩვენი ყმა და მამული ატენის წყალს ზეითი რომ სისხლში მიეცა ჩვენი განაყოფებისათვის, ის სისხლის განაჩენი გამოიტანეს ლეკებმა სურამს, და შენ გეყიდნა და დაგეხსნა... ის წიგნი რა უყავ?..

პაატა ციციშვილი მოგახსენებ: „...სურამს გახლდი ბიძაჩემს შაჰყულიხანთან თქვენი ოჯახი რომ ლეკებს აეკლო და... ის სისხლის წიგნი... სურამს ლეკს დაჰქონდა და მე ვიყიდე... მამა თქვენსაც ვაჩვენე და მითხრა მამა თქვენმა, რომ ეგ წიგნი შეინახე, ჩემიც გამოსაყენებელია და შენიცაო. კირილე მთავარეპისკოპოსი ქარელში მოვიდა და ქარელში იყო. ლაპარაკი ჩამოვარდა რუისის ღმრთაების სასაფლაოზედ... კირილე მთავარ-ეპისკოპოსმა ... გაჰკრა ჯელი წიგნსა და დახია... იმ სისხლის განაჩენში ასე ეწერა, რომ ატენს ზეით ჩვენი ყმა და მამული, რუისის ღმრთაების მესამედს სასაფლაოს და ყმასა და მამულს გარდა და არადეთს მუჩათიძეებს გარდა, ჩვენის განაყოფებისათვის დიდის ციცის სისხლში მიეცათ...“ (თაყაიშვილი, 1910, გვ. 11-12). ბუნებრივია, ამ ნაყალბევი საბუთის დამტკიცებას იმ დროის ქართლის მთავარეპისკოპოსი კირილე (ციციშვილი) არც დასთანხმდებოდა და არც მიიღებდა.

1794 წლის დოკუმენტით შემდეგ ამბავს ვიგებთ: „ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მომცეს ჩუთკერაშვილს მღვდელს ნიკოლოზს... [ჩემი მამა-ბიძანი] შენს საბანებელს ატენში გაიხლნენ და ფურცელადის ქალმა დანათლა, რომ იმათი დამნათლავი დღეს ქალაქში გახლავსთ. გამოვიდა ათი-თერთმეტი წელიწადი, მერედში იმყოფებოდნენ... როდესაც ატენი აშენებული იყო, იქ უნდა

დავეყენეთ თქვენის ბძანებით. ალის ხეობაზედ თქვენ და იმერელ მეფემ ერთმანეთი რომ ნახეთ, იმ ჟამს ჩემ შეუტყობლივ ელისე ალექსიძემ გაგაშინჯათ და ოქმი მომიტანა...” (დოლიძე, 1985, გვ. 266).

1795 წელს კათალიკოსი ანტონ II წყალობის წიგნს აძლევს სახლთუხუცესს ამილბარ მაღალაშვილს და თავისი სახასო ყმის, ამოწყვეტილი დოქიძე პაპუნას და მისი შვილის გლახას, მამულს უბოძებს ატენში (დოლიძე, 1970, გვ. 1023). როგორც ვიცით, 1705-1741 წლებში ატენის ეს მამული ლაზარე ბერიშვილის შვილის, თომას, მამული ყოფილა და დომენტი კათალიკოსის ბრძანებით, იასაულს პაპუნა დოქიძისთვის მიუბარებია (დოლიძე, 1970, გვ. 757). როგორც ჩანს, დოქიძეები ამოწყვეტილან და 1795 წელს მამული სახლთუხუცეს მაღალაშვილისთვის მიუბარებიათ.

1800 წლის 25 ივნისის ერთი საბუთი ჯარის გამოყვანის ვალდებულებისთვის შეუდგენიათ: „ქ. ამ სიით გამოდმა მხარს სათარხნოს და საციციანოს, გიორგი სარდლის სასარდლოს ჯარი შესწერდა“, სადაც ატენელებიც იღებდნენ მონაწილეობას. „ეს ჯარი ლეკისთვის გვინდა. მადამდისინ ისინი ამოივლიდნენ, მაგათ რომ ჩამოუსწრონ, ისა სჯობს“, ამტკიცებს მეფე გიორგი XII (თაყაიშვილი, 1910, გვ. 260-261).

ვახუშტი ატენის ხეობის მეურნეობაზე მიუთითებს: „არს ნაყოფიერი, ბრინჯ-ბამბის გარდა ყოველნი მარცვალნი, რომელნი აღვსწერეთ, ხილნი და ვენახნი მრავალნი. ღვინო აქაური უმჯობესი ყოვლისა ქართლისა, და უმეტეს ატენური ყოველთა საქართველოს ღვინოთა. პირუტყვთა სიმრავლე ყოველთავე, თვნიერ აქლემისა“ (ვახუშტი, 1973, გვ. 345).

ატენის (ტანის) ხეობის ის მიწები, რაც ციციშვილებს ეკუთვნოდათ, გამორჩეული ყოფილა თავისი ნაყოფიერებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ციციშვილებს დიდი ხოდაბუნები ჰქონდათ და ბაღ-ვენახები - მამის ხეობის ბარის ზოლშიც, ხვედურეთის ხეობაში, გვერდისძირსა და ბარის სხვადასხვა სოფელში. საციციანოს დიდი ნაწილი თრიალეთის მთის ჩრდილოეთ კალთებზე იყო გადაჭიმული. ეს სანახები საუკეთესო ადგილი იყო საზაფხულო იალაღებისთვის.

საყაფლანიშვილოსა და ქსნის საერისთაოს მაგალითზე ვიცით, რომ გლეხები ერისთავის სახლს უზდიდნენ ნატურით: პურს, ქერს, ღვინოს (კულუხი), საკლავს, ერბოს, ქათამს, ვარიას, კვერცხს, სანთელს, თაფლს, მატყლს, ყველს და სხვა. ფულადი გადასახადით: საკომლეს, მახტას, ყალანს, ძროხისას, ტომრისას, ტიკისას და სხვ.

„ატენელებს, როცა კარგი მოსავალი ექმნებათ, შესწერდებათ ასი კოკა კულუხი, შესწერდებათ სურსათი სამოცდაორი კოდი, ორი წილი პური და ერთი წილი ქერი. ამათვე სძევს ყოველი ბეგარა (ხარით თუ კაცით)“ (გვრიტიშვილი, 1955, გვ. 222).

მფლობელობის საინტერესო ფორმას წარმოადგენდა „საუფლისწულო“. სათავადოს ნაწილი იყო „საუფლისწულო“, რომელიც მიცემული ჰქონდა თავადიშვილს, როგორც სახარჯო ქონება. მთელი „საუფლისწულოს“ შემოსავალი ხმარდებოდა თავადიშვილს.

ცნობილია, რომ ყველა სათავადო დაყოფილი იყო სამოურაოებად. ამასთან ერთად, სათავადოებს შემდეგი მოხელეები განაგებდნენ: მოურავი, სახლთუხუცესი, ბოქაულთუხუცესი, ნაცვალი, მამასახლისი, მდივანი, მეღვინეთუხუცესი, მეჯინიბეთუხუცესი, ნაზირი. ატენსაც ჰყავდა თავისი მოურავი და ნაცვალი, რომელთაც იქ მიმდინარე პროცესების მოგვარება და ზედამხედველობა ევალებოდათ.

ამდენად, სათავადოები სოციალურ-ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ. ისინი დამოუკიდებლობას ესწრაფვოდნენ და სამემკვიდრეო მამულებად ყალიბდებოდნენ. გაჩნდა ახალი ფეოდალური სახლები, გადაშენებულ ფეოდალთა ადგილებზე ახალი გვარებიც მოვიდნენ. ზოგი შედარებით მცირე მნიშვნელობის ფეოდალური გვარი სწრაფად დაწინაურდა. მეფის ცენტრალური ხელისუფლება ხშირად ვეღარ ახერხებდა ურჩ ფეოდალურ სახლებთან გამკლავებას, ზოგიერთები კი მეფის ერთგულებაში რჩებოდნენ.

როგორც ვნახეთ, გვიან შუა საუკუნეებში ატენის ხეობა სხვადასხვა სათავადომ დაინაწილა და, ქართლის კათალიკოსების, მეფეებისა და დედოფლების გარდა, ამ მიწებს ფლობდნენ: ციციშვილები, სააკაძეები, გლურჯიძეები, თუმანიშვილები, ერისთავები, ორბელიანები და სხვა.

XIII-XVII საუკუნეებში ატენი მნიშვნელოვან ქალაქად რჩებოდა, მაგრამ დაღესტნელ ფეოდალთა განუწყვეტელი თავდასხმების შედეგად XVIII საუკუნისთვის დაკნინდა და სოფლად იქცა. XVIII საუკუნეში საქართველოს დაპყრობაში ერთმანეთს ირანი და თურქეთი ეცილებოდა. ისინი აქეზებდნენ ლეკთა ბრბოებს ტანის ხეობის გავლით შუა ქართლში გადმოსულიყვნენ და მოსახლეობა აწიოკებინათ, ტყვედ წაეყვანათ, იქაურობა დაერბიათ და გაემარცვათ. ამ ფაქტს მნიშვნელოვნად გაუნადგურებია ატენის ხეობის სოფლები, მოსახლეობა გარბოდა და მთებში იხიზნებოდა. XIX საუკუნის დამდეგს დაცარიელებულ-გაუდაბურებული ატენის ხეობა გენერალ ერმოლოვს გადაუცია გენერალ-მაიორ თავად გიორგი ერისთავისთვის.

ამ ფაქტს მოწმობს ერმოლოვის ოფიციალური მიმოწერა რუსეთის ფინანსთა მინისტრთან. 1817 წლის 8 მარტის მოხსენებით ბარათში ერმოლოვი წერდა: „გრენადერის სარეზერვო ბრიგადის სარდალმა გენერალ-მაიორმა თავადმა ერისთავმა მომმართა თხოვნით, რომ მას გადავსცე სამუდამო სამემკვიდრეო მფლობელობაში ატენის ხეობა, რომელიც იმყოფება გორის მაზრაში, იმ პირობით, რომ იგი ამ უკაცრიელ ადგილზე დასახლებს 50 კომლ თავის საკუთარ გლეხებს და მათგან იყოლიებს მუდმივ ყარაულებს მოთარეშე ლეკების წინააღმდეგ, რომლებიც გადმოდიან ახალციხის საფაშოდან და ატენის ხეობით აწყობენ ქართლის დარბევას...“ (АКТЫ, 1817, 37, стр. 750).

საინტერესოა აგრეთვე 1819 წლის 15 აპრილით დათარიღებული ერმოლოვის მეორე წერილი, რომლიდანაც ირკვევა, რომ მის გადაწყვეტილებას შედეგი გამოუღია და ატენის ხეობაში ლეკთა თარეში შეწყვეტილა (АКТЫ, 1819, 110, стр. 26-27).

ამდენად ის, რაც ვერ მოუხერხებია მეფის ხელისუფლებას, წარმატებით განუხორციელებია თავად გიორგი ერისთავს. ასე გამხდარა თავადი ატენის ხეობის მებატონე. ქსნის ხეობიდან მას თავისი გლეხოზა გადმოუყვანია და სოფლების მოშენება დაუწყო. ატენის ხეობის დღევანდელი მოსახლეობის უმრავლესობა გადმოსულია ქსნისა და არაგვის ხეობიდან.

გიორგი იასეს ძე ერისთავი (1759-1863 წწ.) ყოფილი ქსნის საერისთაოდან ყოფილა და ბრძოლებში მრავალგზის მამაცობისთვის არაერთი ორდენითაც დაუჯილდოვებიათ. იყო ქართლ-კახეთის სამეფოს სარდალი, შემდგომში სენატორი და რუსეთის იმპერიის ინჟანტერიის გენერალი. მას თურმე მეტსახელად „დიდ კნიაზსა“ და „ატენის ბატონს“ ეძახდნენ. ცოლად ჰყავდა გიორგი XII-ის ასული გაიანე. მისი ვაჟი ზაქარია ერისთავი ლეკებმა მოკლეს ალაზანზე 1850 წელს. ჰყავდა სამი ქალიშვილიც: ქეთევანი, ანა (თუთა) და მარიამი. სამხედრო სამსახურისთვის თავის დანებების შემდეგ გიორგი ერისთავი გორის მაზრაში დასახლდა და სოფ. ატენში სამკვიდრო მამული გაიჩინა. მეგობრობდა ვორონცოვთან და აქტიურად იყო ჩაბმული საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

გიორგი ერისთავი ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდა და რამდენიმე დაბეჭდილი სტატიისა და ლექსის ავტორიც ყოფილა. დაუწერია რელიგიური შინაარსის ნაწარმოებიც. სოლომონ დოდაშვილის ჟურნალში დაუბეჭდავს სტატია, რომელშიც 1832 წლის შეთქმულებას თანაუგრძნობდა, თუმცა შემდგომში მას მკვეთრი პოზიციისგან თავი შეუკავებია. 1861 წელს, როდესაც რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II საქართველოს სტუმრობდა, ქუთაისში ყოფნის დროს მან თავად ერისთავს წარსული დამსახურებებისთვის საკუთარი ხელით დააბნია წმ. ანდრია მოციქულის ორდენი. გიორგი ერისთავი გარდაიცვალა 1863 წელს 104 წლის ასაკში და დაკრძალულია იკორთის ეკლესიაში, დასავლეთით მდებარე სვეტთან.

ატენი დიდი სოფელია და რამდენიმე უბნად იყოფა. ოქტომბრის რევოლუციამდე ის იყო ერთი დიდი სოფელი, რომელსაც დიდი ატენი ეწოდებოდა. მისი მოსახლეობა 800 კომლს შეადგენდა. ტანის ხეობის გაღმა მხარე (ანუ მარჯვენა მხარე) ეჭირა თავად ერისთავს, ხოლო

მარცხენა მხარე ორბელიანს, რომლისგანაც მამულის ნაწილი შეუსყიდია მწარმოებელ ზეზემანს. ორბელიანსა და ერისთავს იქ ჰქონიათ შესანიშნავი მეურნეობა, დიდი ვენახები, აყენებდნენ კარგ ღვინოს, ფლობდნენ სარდაფებსა და უზარმაზარ ქვევრებს.

ავგუსტ (იაგორის ძე) ზეზემანი ფინელი იყო და მან XIX საუკუნის 80-იან წლებში ტანის ხეობაში გაიყვანა ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა, რომელიც გორიდან ტანის ხეობით გადიოდა ბორჯომის ხეობამდე. ხე-ტყე მიმდებარე სოფლებიდან გადმოჰქონდათ. ზეზემანი ფლობდა ქარხნებს ზინდისში, ლევიტანაზე, ორს პატარა ატენში. ამზადებდა შპალებსა და ფიცრებს, მერე აგზავნიდა საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვადასხვა მხარეში, უმთავრესად რკინიგზას ამარაგებდა. ზეზემანის რკინიგზა მუშაობდა 1918 წლამდე, შემდეგ იგი წყალდიდობამ წააღწია და გააფუჭა, რის გამოც აყარეს. ზეზემანის ექსპლოატაციის შედეგად განადგურდა ატენის ლამაზი და ძვირფასი ტყე. იმდროინდელი ხეების გაკაფვის ნაკვალევი დღესაც ატყვია აქაურ მთებსა და გარემოს (მაკალათია, 1957 წ. გვ. 14-15).

1905 წლის რევოლუციის შემდეგ ამ ხეობის მემამულეებს ჩამოერთვათ მიწები. ორბელიანის, ერისთავისა და ზეზემანის მამულები დაყვეს ნაკვეთებად და მოსახლეობას გაუნაწილეს საკარმიდამოდ. შეიქმნა ატენის ახალი უბნები: ჯებირი, ვანიანთუბანი, გარდატენი, პატარა ატენი, დეგეულა და ჭეჭელაანთუბანი (მაკალათია, 1957, გვ. 15).

ამრიგად, ატენის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისა და მისი მფლობელობის საკითხების გათვალისწინების ფონზე ნათლად იკვეთება, რომ უძველესი დროიდან ამ ადმინისტრაციულ ერთეულს დიდი სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა, ატენის „მცირე ქალაქს“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებოდა შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და XVIII საუკუნის ბოლომდე ატენს არ დაუკარგავს თავისი დანიშნულება ქვეყნის ყველა ძირითად ასპარეზზე. ატენის უძველეს ხუროთმოძღვრულ ძეგლებს კი დღემდე გამორჩეული ადგილი უკავია საქართველოს რელიგიურ-კულტურულ ცხოვრებაში.

კომუნისტური რეჟიმის პირობებში ატენის ხეობის ტაძრებში ძირითადად შეწყვეტილი იყო ღვთისმსახურება, ხოლო გარკვეულ პერიოდში ატენის სიონს ჰყავდა თავისი წინამძღვრები და აღესრულებოდა წირვა-ლოცვა.

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ატენის სიონში მღვდელმსახურება განახლდა 1989 წლიდან.

2002 წლის 19 სექტემბრიდან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ისა და სამთავისისა და გორის მთავარეპისკოპოსის (ამჟამად, გორისა და ატენის მიტროპოლიტის) ანდრია გვაზავას ლოცვა-კურთხევით ერისთავიანთ სასახლის ეზოში მოქცეულ ღვთისმშობლის სახელობის მცირეგუმბათიან ეკლესიაში აღდგა ღვთისმსახურება, ამ ადგილზე აშენდა და გაიხსნა ატენის დედათა მონასტერი, რომლის წინამძღვრად დადგინდა ილუმენია ნინო (მაზანიშვილი). 2007 წელს იქვე აშენდა წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახელობის დარბაზული ტიპის მცირე ახალი ტაძარი და ახალი მონასტერი.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

ლიტერატურა:

1. აბრამიშვილი, გ. (2012). ატენის სიონი, ადრეული შუა საუკუნეების ცენტრალურ-გუმბათოვანი ხუროთმოძღვრული ტიპის ისტორიიდან. თბილისი. ნეკერი.
2. ბერძენიშვილი, დ. (1985). ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან: ზემო ქართლი - თორი, ჯავახეთი. თბილისი. მეცნიერება.

3. ბერძენიშვილი, ნ. (1937). ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, (დოკუმენტები კრიტიკული წერილით). ენიშკის მასალები. ნაკვ. I. თბილისი. სსრკ. მეცნ. აკად. საქ. ფილიალი.
4. გვრიტიშვილი, დ. (1955). ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები). თბილისი. სახელგამი.
5. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. (1940). ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII). ტ. I. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი. სსრკ. მეცნ. აკად. საქ. ფილიალი.
6. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. (1953). ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIX სს.). ტ. II. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი. საქ. სსრ. მეცნ. აკადემია.
7. კაკაბაძე, ს. (1913). ისტორიული საბუთები. წიგნი II. (საბუთები მე-XV-XVI საუკუნისა). ტფილისი. ელექტრო-მბეჭდავი არტემ მ. კერესელიძისა.
8. კაკაბაძე, ს. (1913). ისტორიული საბუთები. წიგნი III. (საბუთები მე-XV-XVI საუკუნისა). ტფილისი. ელექტრო-მბეჭდავი ს. მ. ლოსაბერიძისა.
9. კაკაბაძე, ს. (1913). ისტორიული საბუთები. წიგნი V. ტფილისი. ელექტრო-მბეჭდავი არტემ მ. კერესელიძისა.
10. მაკალათია, ს. (1957). ატენის ხეობა. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი. თბილისი. სახელგამი.
11. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის. (1964). (X-XVII საუკუნეების ისტორიული დოკუმენტების მიხედვით). წიგ. I. გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ. თბილისი. მეცნიერება.
12. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. (1953). გვიანფეოდალური ხანა, წიგ. II. მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
13. რჩეულიშვილი, ლ. (1942). ატენის მცირე გუმბათიანი ეკლესია. ქართული ხელოვნება, ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორის შრომები. ტ. 1. თბილისი. საქ. სსრ. მეცნ. აკადემია.
14. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. (1990). ტ. V. თბილისი. ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია.
15. საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში. (2010). (საქართველოს ისტორიული ტოპონიმების კორპუსი). ტ. I. შემდგენელი დ. ბერძენიშვილი, მ. კანდელაკი და სხვ. რედ. დავით მუსხელიშვილი. თბილისი. უნივერსალი.
16. საქართველოს სიძველენი. (1920). ტ. I, გამოცემა მეორე. წიგნი I. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფილისი. საქ. საისტ. და საეთნოგრ. საზოგადოების გამოცემა.
17. საქართველოს სიძველენი. (1909). ტ. II. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფილისი. საქ. საისტ. და საეთნოგრ. საზოგადოების გამოცემა.
18. საქართველოს სიძველენი. (1910). ტ. III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფილისი. საქ. საისტ. და საეთნოგრ. საზოგადოების გამოცემა.
19. უჩანეიშვილი, დ. (1967). დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის (XVII-XIX სს.). თბილისი. მეცნიერება.
20. ქართული ეპისტოლარული წყაროები. (1989). (XV ს. – 1762 წ.). ქართული ეპისტოლარული წყაროების კორპუსი I. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო მ. ბერძენიშვილმა. თბილისი. მეცნიერება.

21. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. (1984). ქართული ისტორიული საბუთები (IX-XIII სს.). ტ. I. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბილისი. მეცნიერება.

22. ქართული სამართლის ძეგლები. (1965). საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტ. II. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბილისი. მეცნიერება.

23. ქართული სამართლის ძეგლები. (1970). საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტ. III. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბილისი. მეცნიერება.

24. ქართული სამართლის ძეგლები. (1981). (სასამართლო არზა-ოქმები), ტ. VII, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბილისი. მეცნიერება.

25. ქართული სამართლის ძეგლები. (1985). (სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები). ტ. VIII. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი. მეცნიერება.

26. ქართული წარწერების კორპუსი. (1980). ლაპიდარული წარწერები I (აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო, V-X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბილისი. მეცნიერება.

27. ქართული წარწერების კორპუსი. (1989). ლაპიდარული წარწერები III. ფრესკული წარწერები. ნაწ. I. ატენის სიონი. გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს გურამ აბრამიშვილმა და ზაზა ალექსიძემ. თბილისი. მეცნიერება.

28. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. (1892). წიგნი პირველი, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ. ტფილისი. სტამბა მ. შარაძისა.

29. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა (1213 წ-დან 1700 წლამდე). (1897). წიგ. II. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. ტფილისი. სტამბა მ. შარაძისა.

30. ჯავახიშვილი, ივ. (1983). თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. II. თბილისი. მეცნიერება.

31. ჯამბურია, გ. (1960). დოკუმენტები ქართლის სათავადოების ისტორიისათვის (XVII- XVIII სს.). მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 33, თბილისი. საქ. სსრ. მეცნ. აკადემია.

წყაროები:

1. გორის ს. მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), 7601/30.

2. ვახუშტი ბატონიშვილი. (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსი. ქართლის ცხოვრება IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი. საბჭოთა საქართველო.

3. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც), ფონდი: Ad-1010, Ad-1572, Ad-1807.

4. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც), ფონდი: Sd-1242, Sd-4725.

5. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც), ფონდი: Hd-1301, Hd-1347, Hd-1453-ბ, Hd-1568, Hd-2135-ა, Hd-6169, Hd-8712, Hd-9315, Hd-14397, Hd-14534-ა.

6. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც), ფონდი: Qd-826, Qd-1636.

7. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, სეა სცა, ფ. 1449, ს. 328.

8. Акты собранные Кавказской археографической комиссией. Т. VI, част I. 1819 г. #110.

9. Акты собранные Кавказской археографической комиссией, Т. VI. част II. 1817 г. #37.

Analysis of Ateni (Tana) Gorge in Historical-Source Studies Context and the Issue of Its Ownership

Maia Shaorshadze

Korneli Kekelidze Georgian National Center of Mnuscripts

Summary

Ateni (Tana) Gorge has been settled since the ancient times, as evidenced by the settlements and burial mounds of the Bronze Age. After formation of the kingdom of Iberia, supposedly, it was a separate administrative unit – land. In 4th – 7th centuries it was known as “Tana Land”.

With its geographical location, Ateni Gorge was significant strategic place. In 532, when the Persians ruined the kingdom of Iberia (Kartli), political center of Kartli moved from Mtskheta to Uplistsikhe.

“Ateni Land” was ruled by the kings-princes, representatives of Tao-Klarjeti branch of Bagrationi dynasty up to 10th century. From 2nd half of 10th century it was transferred to the ownership of Baghvashi feudal lords. King Bagrat III, fighting for unification of Georgia, in 989 regained Ateni Gorge. After this, Ateni became the royal property, it grew into a small down and significant administrative unit.

From 2nd half of 15th century, after decomposition of Georgia into the kingdoms and princedoms and in late medieval period, Ateni Gorge was divided by different princedoms and owners of these lands were the families of Tsitsishvili, Saakadze, Glurjidge, Tumanishvili and later – Eristavi and Orbeliani. Up to late 18th centurt Ateni has maintained its significance in the country’s life.

The sources do not confirm existence of episcopate in Ateni. In Ateni Sioni Church there was read the inscription in Nuskhuri of 9th – 10th century made by Bishop of Ateni. Supposedly, at least in certain period, Ateni had the bishop. In this respect, an interesting note was provided by Vakhushti Batonishvili. According to him, in that period, Ateni Sioni Monastery was ruled by Akhtala Bishop, as, at that time the latter’s cathedra was cancelled. The article provides also the discussion of the other significant materials related to this issue.

რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე უნკიარ-ისკელესის შეთანხმების პერიოდში (1833-1841 წლები)

მზია ტყავაშვილი

**თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი**

XIX საუკუნის რუსული ისტორიოგრაფიის მიხედვით, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო მოიცავდა ტერიტორიას მდინარე ყუბანიდან გაგრამდე, რომელიც რუსეთის შემადგენლობაში 1829 წლის 2 სექტემბერს რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებული ადრიანოპოლის ზავის IV მუხლის თანახმად გადავიდა (Юзефович, 1869, გვ. 73-74; История, 1979, გვ. 575-576).

მომდევნო პერიოდში რუსეთის ხელისუფლების მთავარი მიზანი იქ მცხოვრებ ხალხსა და ოსმალებს შორის კონტაქტის მინიმუმამდე დაყვანა გახდა. ამ რეგიონის მოსახლეობასთან

ოსმალებს ჰქონდათ სავაჭრო ურთიერთობა, შეჰქონდათ კონტრაბანდა: მარილი, რკინა, დენთი, იარაღი და გაჰყავდათ დიდი რაოდენობით ტყვე.

ადრიანოპოლის ზავის შემდეგ, მსოფლიოში მიღებული პრაქტიკის შესაბამისად, რუსეთის ხელისუფლებამ აღნიშნულ სანაპიროზე შექმნა საბაჟოები და აამოქმედა საკარანტინო წესები, 1829 წლიდან კი ოფიციალურად აკრძალა ტყვეებით ვაჭრობა, თუმცა „ცოცხალი საქონლის“ გაყვანა მომდევნო პერიოდშიც არ შეწყვეტილა. 1830 წლიდან შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე რუსულმა სამხედრო გემებმა (შხუნებმა და კორვეტებმა) დაიწყეს პატრულირება (История, 1988, გვ. 133).

1832 წლიდან უცხოურ გემებს მხოლოდ ანაპისა და რედუტ-კალეს პორტებში შესვლის საშუალება მიეცა, სხვა ნავსადგურებში კი მათი საქონელი კონფისკაციას ექვემდებარებოდა. ამ ღონისძიებებით რუსეთი უცხოური საქონლის რუსულით ჩანაცვლებას ცდილობდა, თუმცა ოსმალეთის, ინგლისისა და ავსტრიის სავაჭრო გემები ჩერქეზეთის სანაპიროზე მაინც აღწევდნენ, იქ პირველი მოთხოვნების საქონელთან ერთად დენთი და საბრძოლო მასალა შეჰქონდათ და ადგილობრივებს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას ჰპირდებოდნენ (Акты, 1881, გვ. 845).

ოსმალეთთან და ევროპულ სახელმწიფოებთან კავკასიელების ეკონომიკური კონტაქტების შეზღუდვის პარალელურად რუსეთი შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე სამხედრო ექსპედიციებსაც ახორციელებდა. რუსეთის კავკასიის ადმინისტრაციის მოქმედების არეალი ამ კუთხეში პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: მდინარე შახეს დასავლეთით მდინარე ყუბანამდე არსებული სივრცე, სადაც ძირითადად ნატუხაელები და შაფსულები ცხოვრობდნენ და მდინარე შახედან გაგრამდე მდებარე უბიხებისა და ჯიქების სამფლობელოები. პირველი მიმართულებით რუსეთი მოქმედებდა მდინარე ყუბანის მარჯვენა ნაპირიდან, მეორე ლოკაციაზე შეტევის პლაცდარმს კი აფხაზეთი წარმოადგენდა. სტრატეგიული მნიშვნელობისა და გეოგრაფიული მახასიათებლების გამო მდინარე ყუბანსა და ტუაფსეს შორის არსებულ სანაპირო ზოლზე რუსეთის შეღწევადობისა და დამკვიდრების ტემპი ბევრად მაღალი იყო.

შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს ნავსადგურებად გამოსაყენებელ სტრატეგიულ პუნქტებში რუსული ციხესიმაგრეების აშენება და მათი ერთმანეთთან დაკავშირება რუსული გეგმის ძირითადი ნაწილი იყო. 1831 წელს მდინარე ყუბანის მარცხენა ნაპირზე ოლგინსკის კორდონის (მდებარეობდა მდინარე ყუბანის მარჯვენა ნაპირზე) საპირისპიროდ გელენჯიკის ხაზის მოწყობა დაიწყო, თუმცა ციხესიმაგრეებს შორის არ არსებობდა კავშირი (Фелицын (1904). Князь Сефер-бей зан. *Кубанский сборник*, 10, გვ. 34).

რუსეთის მიერ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს შემოსამტკიცებლად გატარებული ღონისძიებები არასაკმარისი და არაეფექტიანი იყო, რადგან საერთაშორისო ვითარება - ოსმალეთის იმპერიისა და ინგლისის ანტირუსული პოლიტიკა, ევროპაში მიმდინარე რევოლუციური მოვლენები, რომელთა აღკვეთაშიც ნიკოლოზ I აქტიურ როლს ასრულებდა, რაც რუსული ჯარის დასავლეთ საზღვართან მობილიზაციას იწვევდა - კავკასიაში დამატებითი შეიარაღებული ძალების გაგზავნას და ახლად მიერთებულ ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი სამხედრო ექსპედიციების განხორციელებას აფერხებდა.

შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე რუსეთის დამკვიდრებას ხელსაყრელი პირობები ოსმალეთის წინააღმდეგ ეგვიპტის ფაშა მეჰმედ-ალის აჯანყებამ შეუქმნა (История, 1988, გვ. 131; სურგულაძე, 1973, გვ. 195). სულთანმა დახმარებისთვის ევროპულ სახელმწიფოებს მიმართა, მაგრამ უშედეგოდ. ოსმალეთი სრული კრახისგან რუსეთმა იხსნა (Жуков, 2009, გვ. 16). 1833 წლის თებერვალში ბოსფორის სრუტეში შევიდა რუსული ესკადრა, რომელთანაც ეგვიპტის ფაშა დამარცხდა. რუსეთის მრავალრიცხოვანი (14-ათასიანი) სადესანტო არმია კი კონსტანტინეპოლთან, უნკიარ-ისკელესის რაიონში, სულთნის საზავხულო რეზიდენციასთან

განლაგდა. ყოველივე ამან ინგლისისა და საფრანგეთის შემფოთება გამოიწვია, რომელთა აქტიური დიპლომატიური ჩარევის შემდეგ (სურგულაძე, 1973, გვ. 196), 1833 წლის ზაფხულში, სულთანი და ფაშა მორიდნენ, რის შემდეგაც რუსეთის საექსპედიციო ძალებმა კონსტანტინეპოლი დატოვეს. რუსეთის დიპლომატიამ გრაფ ორლოვის მეთაურობით სულთანი დაითანხმა ხელშეკრულებაზე, რომელიც 1833 წლის 26 ივნისს იქნა ხელმოწერილი და უნკიარ-ისკელესის „სამოკავშირეო თავდაცვითი“ ტრაქტატის სახელითაა ცნობილი (Юзефович, 1869, გვ. 89-92).

ტრაქტატი რვა წლის ვადით დაიდო. ამ ხელშეკრულების ძალით, რუსეთი და პორტა ვალდებულიყვნა იღებდნენ ურთიერთშორის არსებული მშვიდობა და შეთანხმება სამოკავშირეო თავდაცვითი ხელშეკრულებით განმტკიცებინათ.

ხელშეკრულების III სტატიის მიხედვით, ამ ორ სახელმწიფოს შორის კავშირი ემსახურებოდა „ბრწყინვალე პორტას არსებობის, შენარჩუნების და სრული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას“. რუსეთის იმპერატორი პირობას დებდა, რომ თუ ოსმალეთს რუსეთის მხრიდან სამხედრო და საზღვაო დახმარება კვლავ დასჭირდებოდა, საჭირო რაოდენობის ჯარის მობილიზებას მოახდენდა.

რუსეთისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა შეთანხმების საიდუმლო პუნქტს, რომლითაც ოსმალეთის სულთანი „რუსეთის იმპერატორის სასარგებლოდ“ სხვა სახელმწიფოებისთვის დარდანელის სრუტის დაკეტვის ვალდებულებას იღებდა (Юзефович, 1869, გვ. 89-92).

ხელშეკრულების დადების შემდეგ დარდანელის სრუტე რუსეთის სამხედრო გემებისთვის გაიხსნა, მისი მოქიმპეებისთვის კი დაიკეტა, რაც საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის მნიშვნელოვანი წარმატება იყო. პეტერბურგის საიმპერატორო კარს ამიერიდან ახლო აღმოსავლეთში ლიდერის პოზიცია უმკვიდრდებოდა. ევროპის სახელმწიფოებში ამ ხელშეკრულებამ, ისევე როგორც ადრიანოპოლის შეთანხმებამ, დიდი შემფოთება გამოიწვია, რადგანაც ის ზღუდავდა ინგლისის, ავსტრიისა და საფრანგეთის მმართველი წრეების ინტერესებს ახლო აღმოსავლეთში. აშკარა იყო, რომ ისინი ოსმალეთის იმპერიაში რუსეთის შეუზღუდავ უფლებებს გულხელდაკრეფილნი არ დაუწყებდნენ ცქერას და სხვადასხვა მეთოდს გამოიყენებდნენ ამ რეგიონში მისი პოზიციის შესასუსტებლად.

ნიკოლოზ I-ის კარი წარმატებით თავბრუდახვეული არ იყო. შექმნილ ვითარებაში რუსეთმა პრაგმატული გადაწყვეტილება მიიღო და მთელი ძალისხმევა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროებზე დამკვიდრებისკენ მიმართა, ანუ ადრიანოპოლის ხელშეკრულების ძალით, მის შემადგენლობაში გადასული დე ფურე ტერიტორიის დე ფაქტოდ გადაქცევას შეეცადა. ამ პერიოდში რუსეთის საგარეო ურთიერთობის პრიორიტეტი ოსმალეთთან „მეგობრობი“ შენარჩუნება (Восточный вопрос во внешней политике России. Конец XVIII - начало XX в., 1978, გვ. 94; Киняпина (2001). Внешняя политика Николая I. Новая и новейшая история. №1, 2, http://vivovoco.astronet.ru/VV/PAPERS/HISTORY/PALK_OUT.HTM), მოქმედების ჩარჩოები კი ადრიანოპოლისა და უნკიარ-ისკელესის შეთანხმებების დაცვა იყო. იმავე ხაზს მიჰყვებოდა რუსეთთან ურთიერთობაში ოსმალეთი – სახელმწიფო, რომლის არსებობა იმ პერიოდში სხვა ქვეყნების, უპირველეს ყოვლისა კი, პეტერბურგის კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული.

უნკიარ-ისკელესის ტრაქტატის შემდეგ რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპიროს შემომტკიცების კუთხით გარკვეული ცვლილებები მოხდა. აშკარა იყო, რომ აღნიშნულ რეგიონში რუსეთი მოვლენებს დააჩქარებდა და ტრაქტატით გათვალისწინებული ვადის (რვა წლის) მაქსიმალურად გამოიყენებას შეეცდებოდა.

1834 წელს რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის უშუალო დავალებით შემუშავდა კავკასიაში რუსეთის არმიის სამოქმედო გეგმა, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს შემოსამტკიცებელ ღონისძიებებს ეკავა და ეკონომიკურ,

სამხედრო და იდეოლოგიურ მიმართულებებად იყოფოდა. რუსეთის იმპერატორის ამოცანები ჩამოყალიბებული იყო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ალ. ჩერნიშევის 1834 წლის 4 აპრილს საქართველოს მთავარმართებელ ბარონ გრ. როზენისადმი მიწერილ წერილში, რომელშიც ვკითხულობთ: „მთიელთა დასამშვიდებლად საჭიროა გამუდმებული მოქმედება, მდინარე ყუბანსა და შავ ზღვას შორის არსებული ტერიტორიის ციხესიმაგრეთა ხაზით რამდენიმე ადგილზე გადაჭრა, შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ რუსული გემებისთვის უსაფრთხო მიმოსვლის დამყარება, ჩვენი გემების ნავმისადგომად სანაპიროზე მოხერხებული ადგილის შერჩევა და აქ ციხესიმაგრის აშენება, რასაც ახალი ხაზების შიდა ტერიტორიაზე მცხოვრები მთიელების უსიტყვო მორჩილება მოჰყვება“ (Акты, 1881, გვ. 631).

ამავე დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ კავკასიის დასამშვიდებლად უმნიშვნელოვანესი როლი სამხედრო მოქმედებებს ენიჭებოდა. პირველ ყოვლისა, აუცილებელად უნდა დაემორჩილებინათ მარჯვენა ფლანგზე (კავკასიის ხაზსა და შავი ზღვის სანაპიროს შორის) მცხოვრები მთიელები, რისთვისაც საჭირო იყო წლის ბოლოს ოლგინსკის რედუტი (მდებარეობდა მდ. ყუბანის მარჯვენა ნაპირზე - ხაზი ავტორის) გელენჯიკს პირდაპირი გზით დაკავშირებოდა (Васильев (1874). Черноморская береговая линия 1834-1855 гг.. *Военный сборник*, LXLVIII, გვ. 5-6). ამ მიმართულებით ყველა ხელსაყრელ ადგილზე უნდა აშენებულიყო ციხესიმაგრეები დამხმარე შენობებით და გარნიზონისთვის საკმარისი საცხოვრისით. რადგანაც კავკასიის ჯარში საერთოდ არ იყვნენ ხუროები, მჭედლები და სხვადასხვა ხელოსანი, რუსეთის მეზობელ გუბერნიებში უნდა დაექირავებინათ და ყუბანისპირეთში გადმოეყვანათ (Акты, 1881, გვ. 632).

ჩერნიშევის წერილში ადგილობრივების წინააღმდეგ არაერთი ღონისძიებაც იყო დასახული. რუსეთის სამხედრო მინისტრი წერდა, რომ ციხესიმაგრეების მშენებლობის ადგილებს, ახალ საკორდონო ხაზსა და შავ ზღვას შორის მცხოვრები მთიელების სასწრაფოდ დამორჩილების პარალელურად აუცილებელი იყო სხვა „ტომების“ წინააღმდეგ მათი გამოყენება ან მათთვის იარაღის ჩამორთმევა. იგი მიზანშეწონილად მიიჩნევდა აგრეთვე ურჩებისთვის სახლ-კარისა და ნათესების გადაწვას, დაუმორჩილებლებისთვის პურის თავისუფალი შესყიდვის აკრძალვას და ხორბლით მხოლოდ სახაზინო მაღაზიებში ვაჭრობას (ანუ როზენის მიერ შეთავაზებული ღონისძიებების სისტემის ამოქმედებას). თუმცა მოცემულ პერიოდში რუსეთის უმაღლესი ხელისუფლება სიფრთხილით ეკიდებოდა საბრძოლო მოქმედებების აღნიშნული ხაზის აღმოსავლეთით გადატანას და საქართველოს მთავარმართებელს აფრთხილებდა, რომ თუ ის საკუთარი ინიციატივით სამხედრო ექსპედიციებს უფრო ვრცელ ტერიტორიაზე წარმართავდა, მის მიმდინარეობასა და შედეგებზე პასუხისმგებლობა მას დაეკისრებოდა (Акты, 1881, გვ. 632).

კავკასიის ხაზიდან დაგეგმილი სამხედრო მოქმედებების წარმატებით დასასრულებლად რუსეთის ხელისუფლება გაგრიდან გელენჯიკამდე ტერიტორიაზე აფხაზეთიდან ზოგიერთი რაზმის გაგზავნასაც საჭიროდ მიიჩნევდა და ამ ქმედებით მთიელთა თურქებთან ურთიერთობის გადაჭრას ვარაუდობდა. უკიდურეს შემთხვევაში არ გამოირიცხებოდა რუსებისთვის ამ სრულიად უცნობი მხარის გამოკვლევაც (Акты, 1881, გვ. 633).

იმპერატორის მოთხოვნით ამით უნდა შემოფარგულიყო რუსული რაზმის მოქმედებები 1834 წლისთვის, მომდევნო წლის ზამთარსა და გაზაფხულზე კი ყველაფერი უნდა მომზადებულიყო მეორე თავდაცვითი ხაზის მოსაწყობად, რომელიც უსტ-ლაზინსკიდან შავი ზღვის სანაპიროს იმ ადგილამდე უნდა მისულიყო, სადაც კავკასიონის მთავარი ქედი ზღვაში შედიოდა, რათა შეევიწროებინათ ახალ და არსებულ (გელენჯიკის - ხაზგასმა ავტორის) საკორდონო ხაზებს შორის მცხოვრები თავისუფალი მოსახლეობა (Акты, 1881, გვ. 632, 633).

ნიკოლოზ I-ის მიერ წამოყენებულ შავი ზღვის სანაპიროს ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მთიელთა დასამორჩილებელ ღონისძიებებს შორის დიდ ადგილს იკავებდა კავკასიის მთიანეთის დაბლობ რაიონებში კაზაკთა გადასახლება და იქ მათი სტანიცებისთვის საფუძვლის

ჩაყრა. თუმცა, იმპერატორის აზრით, მთიელთა მიწაზე სტანიცები მხოლოდ რუსების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის სრულად დამორჩილების შემდეგ უნდა აშენებულიყო, რადგანაც ამ შემთხვევაში შესაძლებელი გახდებოდა კაზაკთა დამკვიდრების პროცესში (მათთვის სახლების მშენებლობისა და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოში) მათ დასახმარებლად დამორჩილებული მთიელების გამოყენება, რაც სახელმწიფო სახსრებს მნიშვნელოვნად დაზოგავდა. იმპერატორი კაზაკთა გადასახლების წესების ცვლილების აუცილებლობაზეც ამახვილებდა ყურადღებას (АКТЫ, 1881, გვ. 633).

მთიელთა დასამორჩილებლად იმპერატორის უშუალო ხელმძღვანელობით შემდეგი ღონისძიებები იქნა შემუშავებული:

1) ერთი ტომის მეორის წინააღმდეგ წაქეზება, კერძო მფლობელის კი დამოუკიდებელი საზოგადოების და ამ ურთიერთობით მათი დასუსტება;

2) მშვიდობიან და ახლად დამორჩილებულ მთიელებზე მკაცრი ზედამხედველობის დაწესება და მათ მმართველებად სანდო პრისტავებისა და სამხედრო ოფიცრების დანიშვნა; მათი ძირითადი მოვალეობა უნდა ყოფილიყო სიმშვიდისა და წესრიგის შენარჩუნება, ხოლო დასჯის უმთავრესი საშუალება რუსეთის შიდა გუბერნიებსა და კავკასიის სხვა მხარეებში ურჩების გადასახლება;

3) მშვიდობიანი მთიელებისთვის კაზაკთა რიგებში ჩაწერის და მათთვის რუს კაზაკთა სტანიცებში დასახლების ნების მიცემა. კაზაკად გახდომის შემდეგ მთიელებს ცალკე დასახლება ეკრძალებოდათ.

4) მუსლიმთაგან (ამიერკავკასიელების, ჩერქეზების, ოსების და ყაბარდოელებისგან) ცხენოსანი პოლკების ფორმირება, როგორც რუსებისადმი დაქვემდებარების ნიშანი, რომლებსაც სხვა ტომების წინააღმდეგ გამოიყენებდნენ. ამ პუნქტის განმარტებაში ვკითხულობთ, რომ თავიდან მსურველები იქნებოდნენ მცირე რაოდენობით, შემდგომ კი გამორჩენის გამო მათი რიცხვი გაიზრდებოდა და რუსეთი მიიღებდა მთიელთა საყოველთაო დამორჩილების საკმაოდ ძლიერ საშუალებას. თუ მთიელებს რუსეთის სამხედრო სამსახურს დააძალებდნენ და ამას მათ მუდმივ მოვალეობად აქცევდნენ, მაშინ მათგან თავდადებისა და ერთგულების მოლოდინი არ უნდა ჰქონოდათ; ასევე შესაძლებელი იყო რუსეთის მიერ მათი დაქირავება კავკასიის გარეთ წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობისთვის, სადაც ისინი გაეცნობოდნენ რუსეთის არმიას და სრული წარმოდგენა შეექმნებოდათ მის ძლევამოსილებასა და სამხედრო ძალებზე. უკან დაბრუნებულები კი ამაში თანამემამულეებსაც დაარწმუნებდნენ, რაც ხელს შეუწყობდა მთიელთა დამორჩილებას (АКТЫ, 1881, გვ. 635).

ყურადღება იქნა გამახვილებული სახმელეთო გზების კეთილმოწყობაზე, მათ შორის ფოთი-სოხუმი-გაგრის მიმართულებით, რომელზეც კონტროლი გადაჭრიდა აფხაზების კავშირს თურქებთან და გამოიწვევდა მათ შორის სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტას (АКТЫ, 1881, გვ. 635).

ადგილობრივებსა და ოსმალებს შორის ვაჭრობის შესუსტების აუცილებლობაზე რუსეთის იმპერატორის მითითებით გაკეთებულ ჩანაწერში შემდეგს ვკითხულობთ: შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები მთის ტომები კავკასიის ხალხებს შორის ყველაზე მეომარნი და ძლიერნი არიან. ისინი ვაჭრობენ ანატოლიაში, სადაც ჰყიდიან ტყვეებს და საკუთარ ნაწარმს. იქიდან კი შემოაქვთ: რკინა, იარაღი, დენთი, გოგირდი, მარილი და პირველი მოთხოვნილების სხვა აუცილებელი მანუფაქტურული საქონელი. საჭიროა ამ ვაჭრობის გადაჭრა, რომელიც რუსეთის ეკონომიკისთვის საზიანოა და ამაღლებს მთიელთა საბრძოლო განწყობას. უნდა აიკრძალოს სამხედრო გემების პატრულირება, რადგანაც ნაპირის ფიზიკური მდგომარეობა არ იძლევა ამ გემების ნაპირთან მიახლოების საშუალებას, რომლებიც უნდა ჩანაცვლდეს უფრო მოხეხებული ნაევებით - რუსულთან შედარებით ჩერქეზულები უფრო მოსახერხებელია. ეს ღონისძიება აუცილებელია უცხოელი ემისრების გამოც, რომლებიც ჩერქეზებთან შედიან და საჭიროა ამის აღკვეთა. ყოველივე ამ მნიშვნელოვანი მიზნის მისაღწევად აუცილებელია

სანაპიროზე რუსული ციხესიმაგრეების მშენებლობა და პატრულირება მცირენიჭიანი ნავებით, რომლებიც ვორონცოვის ხელმძღვანელობით უკვე მზადდება. ყოველივე ეს ღონისძიებები იქნება საუკეთესო საშუალება, რომელიც მთიელებს რუსული ხელისუფლების უპირატესობაში დაარწმუნებს (Акты, 1881, გვ. 356).

რუსეთის იმპერატორისა თუ უმაღლესი რანგის სხვა მაღალჩინოსნების მიერ შემუშავებულ გეგმას კავკასიის რუსული ადმინისტრაციის მოხელეები რეალურ ცხოვრებაში წარმატებით ახორციელებდნენ.

საიმპერატორო კარზე შედგენილი ზემოაღნიშნული დებულებების თანახმად, 1835 წელს სოხუმიდან გელენჯიკამდე გზის გაყვანა დაიგეგმა. გაგრის ქედის დასავლეთით არსებული სიტუაციის გასაცნობად რუსებმა გაგზავნეს გადაცემული ოფიცერი ფ. ტორნაუ, რომელმაც შეძლო ადლერი-გაგრის სანაპირო ზოლის დაზვერვა. მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია რუსებს აღნიშნულ ტერიტორიაზე სამხედრო ექსპედიციის მოწყობაში დაეხმარა (Торнау, 2008, გვ. 175).

1836 წლიდან გელენჯიკიდან სოხუმამდე გზის გაყვანა დაიწყო. ყურადღება განსაკუთრებით სოხუმ-გაგრის მონაკვეთზე და იქ არსებულ სირთულეებზე (ჭაობსა და მავნე კლიმატით გამოწვეულ ავადმყოფობებზე) გამახვილდა, რაც აფერხებდა კავკასიის ხაზთან აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის დაკავშირებას. იმავე წელს გელენჯიკის დაკავება, იქ ციხესიმაგრის აგება და გელენჯიკის საკორდონო ხაზის დასრულებაც იყო განზრახული (ანუ მისი კავკასიის ხაზთან დაკავშირება) (Акты, 1881, გვ. 352). ოლგინსკის საკორდონო ხაზთან გელენჯიკის დაკავშირება მოწყვეტდა ნატუხაელებს შაფსულებისგან, რომლებიც ერთმანეთთან სამხედრო კავშირს კრავდნენ და ერთობლივი ძალით უპირისპირდებოდნენ რუსებს. რუსები მათ გასათიშად ხშირად აწყობდნენ სამხედრო ექსპედიციებს.

სანაპირო ზოლზე ციხესიმაგრეების მშენებლობა განსაკუთრებით სწრაფი ტემპით 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან გაგრძელდა. 1837 წელს აშენდა ციხესიმაგრეები: სვიატოი დუხის - მდ. მძიმთის (Акты, 1881, გვ. 870), გელენჯიკის - მდინარე ვულანის, ნოვოტროიცკოს კი მდ. ფშადის შესართავთან. 1838 წლის 13 აპრილს რუსებმა დაიკავეს მდ. სოჩის შესართავი და ააგეს ნავაგინსკის ციხესიმაგრე (Акты, 1884, გვ. 455), შემდგომ მდინარე ტუაფსეზე - ველიამინოვსკოს ფორტი, 12 სექტემბერს ცემესის ყურეში - სუჯუკ-კალე (ახლანდელი ნოვოროსიისკი), ტენგინსკის ციხესიმაგრე - მდ. შაფსუხოზე, ყაზარდინსკოე - მდ. დოობეზე (Фелицын (1904). Князь Сефер-бей зан. *Кубанский сборник*. 10, გვ. 35), 1839 წელს მდინარე სუბაშთან - გოლოვინსკის, მდ. პსეზუაპესთან - ლაზარევის, მდ. მესკაგეს შესართავთან კი რაევსკის ფორტი (Акты, 1884, გვ. 463; Васильев (1874). Черноморская береговая линия 1834-1855 гг.. *Военный сборник*, LXLVIII, გვ. 7). რუსული ჯარების წინსვლა და მათ მიერ სტრატეგიული პუნქტების დაკავება ადგილობრივების შეუპოვარი წინააღმდეგობის ფონზე მიმდინარეობდა (Акты, 1881, გვ. 870, 873, 874; 1884, გვ. 464).

ამ პერიოდში განსაკუთრებული დამაბულობის ფაზაში შევიდა რუსეთ-ინგლისის წინააღმდეგობა (Спенсер, 2006, გვ. 40-41).

ბრიტანეთის ხელისუფლება ადრიანოპოლის ზავით ოსმალეთის მიერ რუსეთისთვის ჩერქეზეთის სანაპიროს დათმობას იმ მიზეზით არ ცნობდა, რომ ადიღეელები თავს ოსმალეთის ქვეშევრდომებად არ მიიჩნევდნენ (ბ. ხორავა, <https://umurgulia82.wixsite.com/ucha/post>; Фадеев, 1960, გვ. 339). ამ საკითხზე არსებულ სულისკვეთებას ამომწურავად გამოხატავს კ. მარქსის სიტყვები: „თურქეთს არ შეეძლო დაეთმო რუსეთისთვის ის, რასაც თვითონ არ ფლობდა“ (Маркс К. Энгельс Ф., 1957, გვ. 417).

ამაზე რუსეთის ჯარის ოფიცერი ფ. ტორნაუც მიუთითებდა: „ეს დათმობა არსებობდა მხოლოდ ქაღალდზე. რუსეთს გადაცემული ტერიტორიის დაკავება შეეძლო მხოლოდ ძალით. კავკასიელი ტომები, რომლებსაც ოსმალეთი თავის ქვეშევრდომებად მიიჩნევდა, სინამდვილეში სულთანს არასდროს ემორჩილებოდნენ. ისინი მას, როგორც მუჰამედის მემკვიდრეს და ყველა მუსლიმანის ფადიშაჰს თავიანთ რელიგიურ ლიდერად ცნობდნენ, მაგრამ არ უხდინენ

გადასახადებს და არ აძლევდნენ მეომრებს... ამიტომ ოსმალების მიერ რუსეთისთვის მათი დათმობა მათთვის სრულიად გაუგებარი იყო“ (Торнау, 2008, გვ. 171).

1830-იანი წლებიდან ინგლისელი და ოსმალთა აგენტები ამ ტერიტორიაზე გამუდმებით იმყოფებოდნენ, ადგილობრივებს ინგლისის, ოსმალეთის, ეგვიპტის მხრიდან სამხედრო და ფინანსურ მხარდაჭერას აღუთქვამდნენ და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას ჰპირდებოდნენ. მათი სახელები კარგადაა ცნობილი: ურკვარტი, ნაიტი, ბელლი, ლონგვორტი... (История, 1988, გვ. 134-135).

1834 წლის ბოლოს მთიელებმა კონსტანტინეპოლში გაგზავნეს დეპუტაცია, რომ გაერკვიათ ოსმალეთის ხელისუფლების დამოკიდებულება ჩერქეზეთის საკითხისადმი - რამდენად უნდა ჰქონოდა ჩერქეზ ხალხს მათი დახმარების იმედი. იმავე მიზეზით კონსტანტინეპოლში 1837 წლის გაზაფხულზე ჩავიდა დეპუტაცია ნატუხაელი უზდენის კირიოკო ცინამიოზისა და ორი მამასახლისის შემადგენლობით (Фелицын (1904). Князь Сефер-бей зан. *Кубанский сборник*. 10, გვ. 29-30).

ჩერქეზებმა გადაწყვიტეს ინგლისის პოზიციის გასარკვევად დიდ ბრიტანეთშიც გაეგზავნათ დეპუტაცია, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს ჟებერმეს ედიბი, პირი, რომელიც ცნობილია ანდრეი გოის სახელით. 1834 წელს იგი სამი თვის განმავლობაში იმყოფებოდა ინგლისში და შემდეგ დაბრუნდა კონსტანტინეპოლში, სადაც ჩერქეზეთიდან ჩასულ დეპუტატებს განუცხადა, რომ, მართალია, იგი ინგლისში თვით მეფის პირადმა მდივანმა და სხვა მრავალმა გავლენიანმა პირმა მიიღო, მაგრამ ამ ქვეყნიდან რეალურ დახმარებას ჩერქეზები არ უნდა დალოდებოდნენ (Фелицын (1904). Князь Сефер-бей зан. *Кубанский сборник*. 10, გვ. 20-21).

ჩერქეზთაგან ანტირუსულ კამპანიაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა სეფერ-ბეი ზანი, რომელიც 30-იანი წლებში კონსტანტინეპოლში იმყოფებოდა. სეფერ-ბეი 1837 წელს ნიკოლოზ I-ის წერილობითი მიმართვის შემდეგ ბაზარჯიკში გადაასახლეს (Фелицын (1904). Князь Сефер-бей зан. *Кубанский сборник*. 10, გვ. 17-18, 27-28).

1837 წლის 21 სექტემბერს ნიკოლოზ I-მა მემკვიდრესთან ერთად კავკასიაში იმოგზაურა და გელენჯიკის ციხესიმაგრესაც ესტუმრა (Васильев (1874). Черноморская береговая линия 1834-1855 гг.. *Военный сборник*, LXLVIII, გვ. 6-7), რასაც დიდი იდეოლოგიური დატვირთვა ჰქონდა. ეს რუსეთის საიმპერატორო კარის მხრიდან როგორც დანარჩენი მსოფლიოსთვის, ისე ადგილობრივებისთვის იყო გზავნილი, რომ ეს ტერიტორია უკვე რუსეთის სამფლობელო იყო; შავი ზღვის სანაპიროს ციხესიმაგრეებში უკიდურესად შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი რუსი ჯარისკაცებისთვის კი იმის შეხსენებას წარმოადგენდა, რომ ისინი საკუთარ სამფლობელოს იცავდნენ.

ძლიერი მტრის - რუსეთის - ფაქტორი ადგილობრივების გაერთიანებას იწვევდა. ხშირი იყო ყრილობები, რომლებზეც რუსეთის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს იღებდნენ და ფიცს დებდნენ, რომ თავისუფლებისთვის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდნენ. რუსეთის მომხრე თანამემამულეთა კარ-მიდამოს დარბევა ანტირუსული მოძრაობის ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებული საშუალება იყო (Фелицын (1904). Князь Сефер-бей зан. *Кубанский сборник*. 10, გვ. 21).

1839 წელს ოსმალეთს კვლავ ეგვიპტის ფაშა მეჰმედ-ალი აუჯანყდა და ოსმალეთის ჯარი მთლიანად გაანადგურა. ამჯერად სულთანს დახმარება ინგლისმა აღმოუჩინა. უნკიარ-ისკელესის შეთანხმების ახალი ვადით განახლება შეუძლებელი გახდა (История, 1988, გვ. 135).

1840 წელს რუსეთი იძულებული გახდა ხელი მოეწერა ინგლისთან, ავსტრიასა და პრუსიასთან ლონდონის კონვენციისთვის, რომლის ძალითაც ოსმალეთის იმპერია დგებოდა ერთობლივი მფარველობის ქვეშ, მეჰმედ-ალი კი თავის დაქვემდებარებაში მხოლოდ ეგვიპტეს ინარჩუნებდა (Юзефович, 1869, გვ. 93-101).

1841 წელს ნიკოლოზ I-მა ხელი ახალ ხელშეკრულებას მოაწერა. ლონდონში ხუთი დიდი სახელმწიფო საფრანგეთის მონაწილეობით შეთანხმდა, რომ მშვიდობიან დროს შავი ზღვის სრუტეები სამხედრო გემებისთვის დაიკეტებოდა, ომის შემთხვევაში კი მათი გახსნა მხოლოდ სულთნის ნებაზე იქნებოდა დამოკიდებული. პორტამ ომის შემთხვევაში შავ ზღვაში დასავლეთის ქვეყნების ძლიერი ფლოტის შეყვანის უფლება მიიღო (Юзефович, 1869, გვ. 101-103). ოსმალეთის საგარეო პოლიტიკის ასეთმა კურსმა რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირების შემთხვევაში ინგლისისა და საფრანგეთის ფლოტს შავ ზღვაში თავისუფალი შესვლის პერსპექტივა გაუჩინა, რასაც სერიოზული გავლენა შეეძლო მოეხდინა კავკასიაში არსებულ სიტუაციაზე.

აღნიშნული ხელშეკრულება იყო რუსეთის პოლიტიკის დიდი მარცხი ახლო აღმოსავლეთში – ასეთ შეფასებას აძლევს ამ ფაქტს ისტორიკოსთა ერთი ჯგუფი. ისტორიკოსთა ნაწილი XIX საუკუნის 30-იან წლებში შეცდომად მიიჩნევს რუსეთის მიერ საომარი მოქმედებების ეპიცენტრის ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიიდან შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე გადატანასაც. იგივე მოსაზრება ჰქონდა ზოგიერთ რუს სამხედრო პირსაც (Торнау, 2008, გვ. 175).

გაგრა-ანაპის სანაპირო ზოლში რუსეთის ჯარის შესვლას ასეთ შეფასებას აძლევდა რუსული ჯარის ოფიცერი ფ. ტორნაუ: „გაგრისა და გელენჯიკის დაკავებამდე ჩვენ წარმოდგენა არ გვქონდა იმ წინააღმდეგობაზე, მავნე კლიმატსა და სხვა სირთულეებზე, რომელთან ბრძოლაც ჩერქეზეთის სანაპიროზე ჩვენ ჯარს მოუწევდა. გამოცდილებამ, რომლითაც ჩვენ გავმდიდრდით შემდგომ პერიოდში, იძულებული გაგვხდა შავი ზღვის სანაპიროზე ჩვენი მოქმედებები იქამდე შეგვეჩერებინა, სანამ შესაძლებელი გახდებოდა მოგვეშაადებინა ყველა საშუალება, რომელიც აღნიშნული სირთულეების თავიდან ასარიდებლად იყო აუცილებელი. მრავალრიცხოვანი და კარგად შეიარაღებული მოწინააღმდეგე, რომელიც თავგანწირული სიმამაცით გვებრძოდა, საჭიროებდა მრავალრიცხოვან ჯარს კავკასიაში, რისი საშუალებაც რუსეთს იმ პერიოდში არ ჰქონდა... აუცილებელი იყო ჯერ მარცხენა ფლანგი (ჩეჩნეთი და დაღესტანი) დაგვემშვიდებინა და მხოლოდ შემდეგ გვეფიქრა ახალ დაპყრობებზე“ (Торнау, 2008, გვ. 175).

შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე რუსეთის დამკვიდრების პირველი წლები ურთულესი ეტაპია რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის პროცესში. თუმცა რუსეთის არმიის უშიშარ ოფიცერს მოვლენების შეფასებისას მხედველობიდან გამორჩა შემდეგი რამ: უნკიარ-ისკელესის ტრაქტატით რუსეთისთვის მინიჭებული დარდანელის სრუტის მხოლოდ რვა წლით ჩაკეტვა, რომელიც შავი ზღვის აუზში მიმდინარე მოვლენებში უცხო ქვეყნის სამხედრო ჩარევას ფაქტობრივად გამორიცხავდა და რუსეთის ქმედებებს უკონტროლოსა და დაუსჯელს ხდიდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სურგულაძე ა. (1973). რუსეთის იმპერია მე-19 საუკუნეში. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. ხორავა, ბ. „აღმოსავლეთის საკითხი“ საუკუნის 20-იან წლებში და აფხაზეთი. <https://umurgulia82.wixsite.com/ucha/post>.
3. Акты Кавказской Археографической Комиссии. (1881). ред. А. Берже. т. VIII. Тифлис. Тип. Главного Управления Наместника Кавказского.
4. Акты Кавказской Археографической Комиссии. (1884). ред. А. Берже, т. IX. Тифлис. Тип. Главного Управления Наместника Кавказского.
5. Васильев Е. (1874). Черноморская береговая линия 1834-1855 гг. Военный сборник, LXLVIII. Санктпетербург. Типография департамента удельов.
6. Восточный вопрос во внешней политике России. Конец XVIII - начало XX в. (1978). Москва.
7. Жуков, К. (2009). Некоторые узловые моменты русско-турецких отношений в конце XVIII- начале XX вв. Вестник Санкт-петербургского университета. сер. 13. вып. 2.
8. История народов Северного Кавказа (конец в. 1917 г.). (1988). ред. А. Нарочницкий. Москва. Наука.
9. История СССР. ч. Первая. (1979). ред. В. Мавродин. Москва. Просвещение.

10. Киняпина, Н. (2001). Внешняя политика Николая I. Новая и новейшая история. №1. 2. http://vivovoco.astronet.ru/VV/PAPERS/HISTORY/PALK_OUT.HTM.
11. Маркс, К. Энгельс, Ф. (1957). Сочинения, издание 2-е. т. 9. Москва. Государственное издательство политической литературы.
12. Спенсер, Э. (2006). Описание поездок по Западному Кавказу. Нальчик. Рипо «Адыгея».
13. Торнау, Ф. (2008). Воспоминания кавказского офицера. Москва. «АИРО–XXI».
14. Фелицын, Е. (1904). Князь Сефер-бей зан. Кубанский сборник, 10. Екатериноград. Типография А. Ф. Бойко.
15. Юзефович, Т. (1869). Договоры России с Востоком. Политические и торговые. СПб. Тип. О. И. Бакста.

Russian Politics In The North-Eastern Shores Of The Black Sea During The Unkiar - Skelessi Treaty (1833 - 1841)

Mzia Tkavashvili

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Department of Modern and Contemporary History
of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology**

Summary

In the year 1833, The Russian and Ottoman Empires signed an agreement, known as the Unkiar - Skelessi Treaty. The document allowed Russia to operate with no restrictions in the Black Sea Basin for 8 years and became the sole reason for Russia's increased special military activities in the aforementioned region.

The territories from Gagra to Gelendzhik were largely unknown to the Russian Empire and for this very reason, they secretly deployed Officer F. Tournau. His reports aided Russian forces to establish defense fortresses in key strategic areas, as well as to conduct successful military expeditions in the North-Eastern reaches of the Black Sea.

The establishment of Russian rule in the region was constantly met with tireless resistance from the locals, backed and galvanized by the European states' increased anti-Russian actions and promise of financial and military assistance to the Circassians, in their anti-Russian quest. For their part, Adyghe deputies, in hopes of receiving actual help, frequently visited Constantinople and in 1834 their representative visited Britain for diplomatic negotiations.

In 1839, Egyptian Pasha revolted against the Ottoman Empire. The Sultan found aid from England, thus making the renewal of the Unkiar - Skelessi Treaty impossible. In 1840, along with other European countries, Russian signed first a convention and later in 1841, a Treaty in London, under which the Ottoman Empire fell under the joint protection of the signatory parties; In times of peace, the Black Sea Straits were to be closed to warships, and in case of a war, their opening would fully depend on the will of the Sultan. These decisions are considered as a step backward in Russia's Caucasus policy, compared to the Unkiar-Iskeles Treaty.

ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა და ვერსიები (ახლად მოძიებული საარქივო დოკუმენტების ფონზე)

თამარ ლურჯაია

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეგზარქოს ნიკონის მკვლელობიდან უკვე საუკუნეზე მეტი დრო გავიდა და, სამწუხაროდ, მისი მკვლელობისა თუ მკვლელობის ორგანიზატორებთან დაკავშირებით სამეცნიერო წრეებშიც კი ვხვდებით განსხვავებულ ვერსიებს, რომელთაგან ნაწილი სრულიად მოკლებულია არგუმენტირებულ მსჯელობასა და საარქივო მასალებით გამყარებულ დასკვნებს.

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ფონდებში დაცულია რამდენიმე საქმე, რომლებიც ეხება ეგზარქოს ნიკონის მკვლელობას. მათი შესწავლითა და გაანალიზებით დასტურდება, რომ თბილისის „ოხრანკის“ განყოფილებამ ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის საქმის გამოძიება არასწორად წარმართა და ფაქტობრივად გააყალბა. ეგზარქოს ნიკონის მკვლელობამდე ორი თვით ადრე ივანე კარბელაშვილი⁷⁵ ცნობებს აწვდის „ოხრანკის“ განყოფილებას, რომ იგეგმება ეგზარქოსის მკვლელობა, იგი ასახელებს ორგანიზაციას, მის წევრებსა და ხაზს უსვამს მათ კავშირს სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან. ამასთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ ჩემი სტატია, რომელშიც ასევე განხილულია, თუ რა მიზნით მიაწოდა ინფორმაცია ივანე კარბელაშვილმა თბილისის „ოხრანკის“ განყოფილებას და როგორ გამოიყენეს ეს ცნობები მის დასააგენტურებლად (იხ. საერთაშორისო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა, ტენდენციები და გამოწვევები“, 2017, გვ. 341-347).

კარბელაშვილის, მეტსახელად „დვარიანინის“, აგენტურული საქმიანობის შესწავლის მიზნით მოვიძიე თბილისის „ოხრანკის“ განყოფილებაში დაცული აგენტურული მასალები სოციალისტ-ფედერალისტებსა და „ავტოკეფალისტებზე“⁷⁶. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა საქმე „ავტოკეფალისტების“ შესახებ (სცია, 94, 271). მასში თავმოყრილია საიდუმლო ცნობები მიწოდებული „დვარიანინისა“ და „სლუჩანინის“ მიერ. ამ მასალებში წავაწყდი მეტად საინტერესო გარემოებას, კერძოდ, ივანე კარბელაშვილი ავტოკეფალისტებად ასახელებს: დიაკვან ტიმოთე ბაკურაძეს, დიაკვან დავით ჩიკვაძეს, დიაკვან დავით დავიდოვსა და იმ პირებს, რომლებსაც იგი ანონიმურ წერილებში ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის ორგანიზატორებად ასახელებდა. უკვე აგენტის ამპლუაში გაგზავნილ შეტყობინებებში კი აღნიშნავს, რომ ეს

⁷⁵ ივანე პოლიევქტოსის ძე კარბელაშვილი. 1917 წლის 29 მარტს აღმასკომის საგამომიებო კომისიის მიერ პოლკოვნიკი პასტრულინი დაკითხვისას, ივანე კარბელაშვილს თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების „თანამშრომლად“ ასახელებდა, მეტსახელით „დვარიანინი“. იქვე აღნიშნავდა, რომ ამ პიროვნებაზე აცნობა განყოფილებას ეგზარქოსის შესაძლო ხელყოფის შესახებ. კვლევებით დასტურდება, რომ სწორედ ეს ცნობები გამოიყენეს „ოხრანკის“ განყოფილებაში მის დასააგენტურებლად. 17 წლის ივანეს მიზანი კი ზემოაღნიშნული ცნობების მისაწოდებლად მამის, პოლიევქტოს კარბელაშვილის, დაცვა იყო, რადგან დაჯგუფება, რომელიც ეგზარქოსის მოკვლას გეგმავდა (საუბარია „თბილისის დიაკვანთა და მეფსალმუნეთა კომიტეტზე“), აპირებდა კიდევ რამდენიმე სასულიერო პირის თავიდან მოშორებას, მათ შორის პოლიევქტოს კარბელაშვილის.

⁷⁶ ავტოკეფალისტებად მოვიხსენიებთ იმ სასულიერო და საერო პირებს, რომლებმაც მეოცე საუკუნის დასაწყისში დააყენეს საკითხი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ და თავდაუზოგავად იბრძოდნენ ამ იდეისთვის. 1917 წლის 25 მარტს საქართველოს ეკლესიამ 1811 წელს მეფის რუსეთის მიერ უკანონოდ გაუქმებული დამოუკიდებლობა აღიდგინა. ავტოკეფალური მოძრაობის მესვეურები იყვნენ: კირიონ II, ამბროსი ხელაია, ლეონიდე ოქროპირიძე, ძმები პოლიევქტოს და ვასილ კარბელაშვილები, იოსებ ჩიჯავაძე და სხვანი.

სასულიერო პირები ავტოკეფალიის აღდგენისთვის ბრძოლაში ყველაზე აქტიურად იყვნენ ჩართული. იქვე უთითებს მათ კავშირს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობასთან.

თავდაპირველად გაჩნდა კითხვები: ხომ არ აფარებდა ხელს ივანე კარბელაშვილი „ავტოკეფალიური“ მოძრაობის ნამდვილ მესვეურებს და ხომ არ ჰქონდა „დიაკვანთა და მეფსალმუნეთა კომიტეტის“ წევრებზე, როგორც მამამისის მკვლელობის მცდელობაში მონაწილე პირებზე, შურისძიების მცდელობა? თუმცა მასალების დამუშავებამ, ა. კარაულოვის საქმიანობის გაცნობამ და გაანალიზებამ სულ სხვა პასუხამდე მიმიყვანა.

დავიწყოთ იმით, რომ ისეთი გამოცდილი ხელმძღვანელი ოფიცერი, როგორც ა. კარაულოვი იყო, მცდარ ინფორმაციას აგენტისგან არ მიიღებდა. გარდა ამისა, ზემოაღნიშნულ მასალებში დიაკვანთა და მეფსალმუნეთა კომიტეტის წევრებთან ერთად აქტიურად იხსენიება იოსებ ჩიჯავაძე, რომელიც ნამდვილად ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწე იყო ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში. მას აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა კირიონ მეორესთან, იყო ვასილ კარბელაშვილის ცოლის ძმა და ივანე კარბელაშვილის მამა-ბიძებთან ერთად ეწეოდა აქტიურ ეროვნულ მოღვაწეობას. შესაბამისად, მოსაზრება, თითქოს ივანე კარბელაშვილი ვინმეს ხელს აფარებდა, საფუძველსაა მოკლებული.

თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების ფონდში დაცულია ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის ორი საქმე: პირველი 1908 წლითაა დათარიღებული, მეორე კი - 1909-1912 წლებით. ზემოთ აღვნიშნე, რომ კარაულოვი თბილისის „ოხრანკის“ უფროსის თანამდებობაზე 1909 წლიდან ბრუნდება. ისიც ვახსენე, რომ სოციალისტ-ფედერალისტური პარტია კარაულოვის „სამოქმედო ტერიტორიაზე“ არსებულ პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა და ხაზგასმით აღვნიშნე, თუ როგორ ახერხებდა იგი ამ პარტიის „ფლობას“. მართალია, ნიკონის მკვლელობის შემდეგ მალევე გავრცელდა ხმები მკვლელობაში სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის მონაწილეობის შესახებ, თუმცა დოკუმენტებში სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ბრალეულობაზე საუბარი 1909 წლიდან იწყება. როგორც ჩანს, თანამდებობაზე დაბრუნებული კარაულოვი აქტიურად იწყებს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში სოციალისტ-ფედერალისტებზე მაკომპრომეტირებული მასალების მოძიებასა და „შექმნას“.

ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის 1908 წლით დათარიღებულ საქმეში ძირითადად „ავტოკეფალისტების“ ბრალეულობის დასადგენად წარმოებულ მიზანმიმართულ პროცესს ვხედავთ. ამ საქმის „შემოქმედი“ გახლდათ მეტად საინტერესო პიროვნება, ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი - ა. ერიომინი. იგი 1908 წლის 4 ივნისს, პეტერბურგიდან პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელისგან იღებს დეპეშას, რომელშიც დასმულია კითხვები ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაზე, ოფიცერ კარაულოვზე თავდასხმასა და თბილისის საბაჟოს მმართველებზე. პასუხად პოლკოვნიკი ერიომინი სწერს, რომ საბაჟო გაძარცვეს (ძარცვა განხორციელდა) 11 მაისს მეტეხის ციხიდან გაქცეულმა პატიმრებმა. ხოლო რაც შეეხება ეგზარქოსის მკვლელობას, აღნიშნავს: „ეგზარქოსის მკვლელობა ქართველი სასულიერო პირების მიერ იყო ორგანიზებული. ისინი ცრუობენ, მიგვითითებენ რა ავტოკეფალიის მოწინააღმდეგე დიაკვნებზე. ოთხი მათგანი დავაპატიმრე, თუმცა დაკითხვის შემდეგ გავათავისუფლე“ (სცია, 94, 85, 14). ერიომინის მიერ „დიაკვანთა და მეფსალმუნეთა კომიტეტის“ წევრების დაპატიმრებასა და განთავისუფლებას ადასტურებს 1909 წლის 7 აგვისტოთი დათარიღებული დოკუმენტიც: „დიაკვნები ტიმოთე ბაკურაძე, გრიგორ ხუციევი, ალექსანდრე დავიდოვი და სიმონ გოგიაშვილი 1908 წლის მაისში, ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის შემდეგ, გაჩხრიკეს და დააპატიმრეს. ეგზარქოს ნიკონისა და იერომონაზონ გაბრიელის მკვლელობაში მათი მონაწილეობის დამადასტურებელი საკმარისი სამხილები არ აღმოჩნდა, ამიტომ ისინი გაათავისუფლეს“ [სცია, 94, 233, 158 ბ]. იქვე აღნიშნულია, რომ ანონიმური წერილების ავტორის ვინაობის დადგენა ვერ

მოხერხდა; არადა, პოლკოვნიკი პასტრულინის ჩვენება იმის უტყუარი მტკიცებულებაა, რომ განყოფილებაში წერილების ავტორის ვინაობა იცოდნენ.

ამკარაა, რომ უკვე 1908 წელს პოლკოვნიკი ერიომინი და 1909 წლიდან ოფიცერი კარაულოვი ცდილობდნენ ეგზარქოსის მკვლელობა ეროვნული ძალების წინააღმდეგ გამოეყენებინათ, თუმცა განსხვავებული მიდგომები ჰქონდათ. თუ პოლკოვნიკი ერიომინი „კომიტეტის“ წევრების გამართლებით ცდილობდა ნამდვილი დამნაშავეების დაფარვას და „ავტოკეფალისტების“ დადანაშაულებას, ოფიცერი კარაულოვი, პირიქით, ცდილობდა ნამდვილი დამნაშავეები შეერაცხა „ავტოკეფალისტებად“ და ამაში აგენტურული ცნობების წილი ძალიან დიდი იყო. ჩემი აზრით, სწორედ ამას ემსახურებოდა ივანე კარბელაშვილის, როგორც უკვე აგენტის, მიერ „ავტოკეფალისტებად“ ზემოაღნიშნული პირების დასახელება.

კარბელაშვილ-დვარიანინის მიერ მიწოდებულ ცნობებთან ერთად „ავტოკეფალისტების“ საქმეში ჯაშის (იგივე „სლუჩაინის“) მიერ მოძიებული ცნობებიც იყო ჩაკერებული. ამ მასალებში საუბარი იყო სასულიერო პირების კავშირზე ფედერალისტურ პარტიასთან, განსაკუთრებით ხაზგასმული იყო ეპისკოპოს ლეონიდეს ჩართულობა ამ პარტიის საქმიანობაში. ამ ცნობების საფუძველზე კარაულოვს საშუალება ეძლევა მკვლელობის ორგანიზატორები შეერაცხოს „ავტოკეფალისტებად“ და ამ გზით დაუკავშიროს ისინი სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას.

ჩემ მიერ აქ წარმოდგენილია საარქივო მასალების ის ნაწილი, რომელშიც, ერთი მხრივ, ივანე კარბელაშვილის აგენტურული საქმიანობაა წარმოჩენილი და, მეორე მხრივ, რეალური სინამდვილის გაყალბების პროცესი, რომელიც თავისთავად მიმართული იყო ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ.

ივანე კარბელაშვილის ანონიმური წერილებიდან ჩანს, რომ ეგზარქოს ნიკონის მკვლელობას ორგანიზება გაუწია სოციალ-დემოკრატიულ პარტიაზე დაქვემდებარებულმა „თბილისის დიაკვანთა და მეფსალმუნეთა კომიტეტმა“. ამავე წერილებში საუბარია სიმონ გოგიაშვილის მიერ გურჯაანიდან ტერორისტ „ვასოს“ ჩამოყვანაზე; აღნიშნულია, რომ „ვასო“ სიღნაღის მაზრაში ტერორისტულ საქმიანობას სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით ეწეოდა. წერილებიდან ირკვევა, რომ ეგზარქოსის მკვლელობაში სხვა ტერორისტებიც მონაწილეობდნენ: „მკვლელობის დღეს, დილის 7 საათზე, გოგიაშვილი წავიდა ავლაბარში „ვასოსთან“, საიდანაც დილის 9 საათზე დაბრუნდა. კანტორის სადარბაზოსთან შეხვდა დიაკვნებს ბაკურაძესა და ჩიკვაიძეს. 9 საათსა და 30 წუთზე მოვიდნენ ტერორისტები ვასოს მეთაურობით. ისინი ჩურჩულით ესაუბრებოდნენ დიაკვნებს ბაკურაძეს, ჩიკვაიძეს და მგონი, დავიდოვს (შემდეგ წერილში ივანე აზუსტებს, რომ ეს დიაკვანი დავიდოვი კი არა, ობრაზცოვი იყო - თ. ლ.), რომლებმაც მიუთითეს კანტორის შესასვლელებზე. დაახლოებით 10 საათზე ისინი (დიაკვნები - თ. ლ.) წავიდნენ. 10 საათსა და 25 წუთზე განხორციელდა მკვლელობა. ოთხი ადამიანიდან (გულისხმობს ტერორისტებს - თ. ლ.) ესროლა მხოლოდ ორმა“ [სცია, 94, 85, 9-9ბ].

1910 წლის 25 იანვარს ნიკოლაევსკის „ოხრანკის“ განყოფილების პოდპოლკოვნიკმა ფოკინმა დაკითხა ნიკოლაევსკის N2 საკატორღო ციხის პატიმარი არსენ დავითის ძე ქარსიძე. ჩვენებაში ქარსიძე იძლევა ინფორმაციას ეგზარქოს ნიკონის მკვლელობასთან დაკავშირებით. „1905 წელს თბილისის გუბერნიაში წარმოიშვა ავტოკეფალისტების პარტია, რომელშიც მხოლოდ ქართველი სასულიერო პირები შედიოდნენ. პარტიის მიზანი იყო რუსული სამღვდელოებისგან გამოყოფა, მსახურების ქართულ ენაზე ჩატარება და საბოლოოდ ეკლესიის სრული დამოუკიდებლობა. ამ მიზნით ისინი აწყობდნენ შეხვედრებს. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა ეგზარქოსის ბრძანებით კაზაკებმა დაარბიეს. რის შემდეგაც გაჩნდა იდეა ეგზარქოსის მოკვლისა. დაიწყეს შემსრულებლის ძებნა. თუმცა მათ რიგებში ასეთი არავინ აღმოჩნდა. მოგვიანებით გააცნობიერეს, რომ ერთ-ერთ მღვდელმსახურს, გურგენიძეს, რომელიც დაახლოებული იყო ადმინისტრაციასთან, შეეძლო მათი ჩანაფიქრების გათქმა. ამიტომ გადაწყვიტეს ისიც მოეკლათ.

თუმცა ამ უკანასკნელმა სიცოცხლის სანაცვლოდ ნებისმიერი სურვილის შესრულება აღუთქვა. ამიტომ სწორედ მას დაევალა მოედებნა ვინმე, ვინც შეძლებდა მკვლელობის ჩადენას (განხორციელებას). გურგენიმეს გაახსენდა ყოფილი მოსწავლე ეფიმ კუჩუკი. სწორედ მას მიმართა თხოვნით, პასუხად თანხმობა მიიღო, ეფიმ კუჩუკმა თანამშრომლობაზე დაიყოლია ზაქარია თურქიანცი, „500 რუბლის სანაცვლოდ“ (სცია, 94, 233, 196-196ბ). ზაქარია თურქიანცი და ეფიმ კუჩუკი იყვნენ ყარაიაზის საფოსტო მატარებელზე თავდასხმაში ბრალდებულ 33 ადამიანს შორის. სასჯელს მეტეხის ციხეში იხდიდნენ. 1908 წლის 11 მაისს მეტეხის ციხიდან გაიქცა 18 ადამიანი, მათ შორის კუჩუკი, თურქიანცი და ქართველიშვილი. ქართველიშვილი 17 მაისს ბაქოში დააკავეს და მეტეხის ციხეში დააბრუნეს. იქ მან არჩილ ჩუბინაშვილისგან მიიღო ამანათით ჩაი, შაქარი და ფეხსაცმელები, რომლებშიც იდო 25 მანეთი და წერილი: „ჩვენ აღვასრულეთ ის, რაზეც ვსაუბრობდით“. სამი თვის შემდეგ ქართველიშვილმა ჩუბინაშვილისგან გაიგო, რომ ეგზარქოსს ესროლა თურქიანცმა, კუჩუკი იდგა კარებში, დანარჩენი ორი, კონსტანტინე ჟღენტი და ერთი (ვინაობას ვერ იხსენებდა), იმყოფებოდა მიმდებარე ტერიტორიაზე.

ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის საქმეში არის არსენ ქარსიდის 1908 წლის დეკემბრის დაკითხვის ოქმიც, თუმცა იგი გაცილებით ნაკლებ ინფორმაციას შეიცავს, თან დაუზუსტებელს. ამ ჩვენებაში ქარსიძე თავად აღნიშნავს, რომ ინფორმაცია, რომელსაც ფლობდა, ქუთაისის საგუბერნიო ციხეში მყოფი პატიმრებისგან ჰქონდა გაგებული. ამბობს, რომ ეგზარქოსს არჩილ ჩუბინაშვილმა ესროლა. ჩანს, მეტეხის ციხეში ყოფნის დროს ქარსიძე დამატებით ცნობებსაც აგროვებს და 1910 წელს უკვე განსხვავებულ ჩვენებას აძლევს განყოფილებას.

1907 წლის 6 თებერვლის ჩვენებაში არსენ ქარსიძე აღიარებს, რომ იგი ეკუთვნოდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და აყვანის დღემდე იყო პარტიის წევრების თანამებრძოლი. მას ბრალად ედებოდა ლუკიანოვის მკვლელობა და ყვირილის ხაზინის ძარცვა. მან დაპატიმრების შემდეგ დაიწყო ყოფილი თანამებრძოლების გაცემა, როგორც თავად აღნიშნავს, ცდილობდა გამოძიებას დახმარებოდა იმ ამბების გამოძიებაში, რომლებზეც ბევრი რამ იცოდა, სანაცვლოდ კი თავისუფლებას ითხოვდა, „რათა ოჯახის წევრები ეხსნა შიმშილით სიკვდილისგან“ (სცია, 94, 196, 54).

ქარსიდის მიერ გამოძიებისთვის მიცემულ ინფორმაციებს შორის არის ცნობები მკვლელობებზე, ფულის გამოძალვაზე, საფოსტო შენობების ძარცვაზე, ყარაიაზის მატარებელზე თავდასხმის შესახებ და ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაზეც. აღსანიშნავია, რომ გამოძიება ბოლომდე არ ენდობოდა არსენ ქარსიძეს, რომელიც საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ზოგჯერ გამოგონილ ამბებსაც ჰყვებოდა. თუმცა, როგორც ყოფილი რევოლუციონერი, კარგად იცნობდა სოციალ-დემოკრატ ბოლშევიკ ტერორისტებს და მართლაც ფლობდა გამოძიებისთვის მნიშვნელოვან ცნობებს.

ჩემი აზრით, არსენ ქარსიდის ჩვენება ეგზარქოს ნიკონის მკვლელობასთან დაკავშირებით კრიტიკულად უნდა შევაფასოთ. დავიწყოთ იმით, რომ ის ეგზარქოსი, რომლის ბრძანებითაც კაზაკებმა მათრახებით სცემეს კრების მონაწილე სასულიერო პირები, იყო ალექსი ოპოცკი. ქარსიდის ჩვენებიდან კი იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს „ავტოკეფალისტებმა“ სადამსჯელო ოპერაციების გამტარებელ ეგზარქოსზე გადაწყვიტეს შურისძიება. მასალებიდან ჩანს, რომ ქართული ინტელიგენცია მართლაც აღაშფოთა მომხდარმა და პასუხად ილია ჭავჭავაძის მეთაურობით მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს მოსთხოვეს ეგზარქოს ალექსი ოპოცკის საქართველოდან გაწვევა. მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდა. ალექსი ოპოცკის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში, 1905-1906 წლებში, საქართველოს ეკლესიას მართავდა ეგზარქოსი ნიკოლოზ ნალიმოვი. რაც შეეხება მოკლულ ეგზარქოს ნიკონს (სოფიისკი), იგი საქართველოს ეკლესიას

განაგებდა 1906 წლის 9 ივნისიდან 1908 წლის 28 მაისამდე. შესაბამისად, მოსაზრება - რომ ეგზარქოსი ნიკონი კაზაკთა რაზმის მიერ სასულიერო პირების დასჯის გამო მოკლეს - საფუძველს მოკლებულია.

მართალია, ქარსიძეს არ დაუსახელებია „დიაკვანთა და მეფსალმუნეთა კომიტეტის“ არც ერთი წევრი, თუმცა კვლევამ კვლავ ამ ადამიანებთან მიგვიყვანა. დოკუმენტებში ნათქვამია, რომ მღვდელმსახური ვლადიმერ დავითის ძე გურგენიძე მოღვაწეობდა კრასნოგორსკის წმიდა თომა მოციქულის ტაძარში. ეს იყო აისორების ერთადერთი ტაძარი, რომელშიც ასევე მსახურობდა „დიაკვანთა და მეფსალმუნეთა კომიტეტის“ ერთ-ერთი აქტიური წევრი - ალექსანდრე დავიდოვი. გარდა ამისა, კომიტეტის წევრებისთვის უცხო არ იყო მღვდელმსახურ გურგენიძის მოკვლის გადაწყვეტილება, რათა მას არ გაეთქვა აღნიშნულ პირთა ჩანაფიქრი. მათ ხომ სწორედ ამ მიზეზით მოკლეს იერომონაზონი გაბრიელი. შეიძლება ითქვას, რომ ერთი და იგივე ხელწერა იკვეთება. ტერორისტების რაოდენობა ორივე ცნობაში ოთხია. თუ გავითვალისწინებთ, რომ არჩილ ჩუბინაშვილი შემდეგში ვერ იხსენებს, ვინ იყო მეოთხე, ეს კი ნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი მათთან დაახლოებული პირი არ უნდა ყოფილიყო, სავარაუდოდ, იგი კახეთიდან ჩამოყვანილი „ვასო“ იყო.

ასევე მინდა მოვიყვანო 1909 წლის დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია, რომ კომიტეტის წევრებმა მკვლელობის შემსრულებლებად დაიქირავეს ერთი რუსი, ერთი ქართველი და ერთი სომეხი. ეფიმ კუჩუკი ეროვნებით რუსი იყო, კონსტანტინე ჟღენტი - ქართველი, ზაქარია თურქიანცი - სომეხი. ეფიმ კუჩუკი და ზაქარია თურქიანცი მონაწილეობდნენ ყარაიაზის საფოსტო მატარებელზე თავდასხმაში; აღნიშნულ ექსპროპრიაციას სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტი, შემდეგში საგურამოს „წითელი რაზმის“ უფროსი და ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე ილიკო იმერლიშვილი, ხელმძღვანელობდა. პოლიცია, როგორც ჩანს, წინასწარ იყო აგენტის მიერ ინფორმირებული და ამ ექსპროპრიაციის მონაწილე თავდამსხმელები დააკავეს. 1908 წლის 11 მაისს მეტეხის ციხიდან გაიქცა 18 პატიმარი, ეს იყო წინასწარ დაგეგმილი გაქცევა, რომელსაც ასევე ილიკო იმერლიშვილი ხელმძღვანელობდა (სიმაშვილი, 2011, გვ. 141,142).

ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის გამოძიების მასალებში ასევე მოიპოვება მეტეხის ციხის ერთი პატიმრის, პეტრე ლეჟენკოს, ჩვენება. იგი აღნიშნავს, რომ 1908 წლის 15 მაისიდან 2 ივლისამდე იყო თბილისის რკინიგზის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის, პოლკოვნიკ ასტაფევის აგენტი, მანამდე კი შედიოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის შემადგენლობაში და კარგად იცნობდა პარტიის წევრებს. ჩვენებაში მიუთითებს, რომ ეგზარქოს ნიკონის მკვლელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია მოსმენილი ჰქონდა მიყურადებით, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მფრინავი რაზმის წევრის ვლადიმერ მიხნევიჩისგან, რომელიც ევდოკია ვასილიევას უყვებოდა, თუ როგორ დაიგეგმა მკვლელობა ნიკოლოზ კასრადის ბანდის მიერ და რომ ეგზარქოსს ესროლეს მან (მიხნევიჩმა) და ნიკოლოზ კასრადემ. ამასთანავე, დასძინა, რომ საბაჟოსაც ნიკოლოზ კასრადის ბანდა დაესხა თავს და ოფიცერი კარაულოვიც მათი განზრახვით მეტეხის ციხიდან გაქცეულმა დოროშენკომ დაჭრა. ლეჟენკოს თქმით, მკვლელობის შესახებ მოლაპარაკებას ნიკოლოზ კასრადესთან დიდუბის წმიდა ბარბარეს ტაძრის წითური მღვდელმსახური (იოსებ ჩიჯავაძე - თ. ღ.) აწარმოებდა.

საინტერესოა, რომ თ. სიმაშვილის მიერ მოძიებული მასალების მიხედვით ნ. ხიზანაშვილის მკვლელად კორნელი (ნიკოლოზ) კასრადეა დასახელებული. საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ ნიკოლოზ კასრადე სოციალისტ-გედერალისტური პარტიის „საბრძოლო რაზმის“ აქტიური წევრი იყო. „1904 წლიდან იგი მეთაურობდა ტერორისტების ჯგუფს, რომელიც გორის მაზრაში ატერორებდა, უწყავდა სახლებს მოსახლეობის იმ ნაწილს, ვინც არ

თანაუგრძნობდა სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას“ (სიმაშვილი, 2005. ნიკოლოზ კასრამე იყო სოციალისტ-ფედერალისტული პარტიის „საბრძოლო რაზმის“ (მიერ განხორციელებული) გახმაურებული ტერორისტული აქტების, ასევე დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაციის მონაწილე.

რაც შეეხება მის მიერ ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის ვერსიას, დავიწყოთ იმით, რომ 1907 წლიდან 1909 წლამდე ნიკოლოზ კასრამე საზღვარგარეთ იმყოფებოდა და იგი ფიზიკურად ვერ იქნებოდა მკვლელობის ადგილზე. კასრამის საზღვარგარეთ გამგზავრებას წინ უძღოდა 1907 წელს სოციალისტ-ფედერალისტების III კონფერენცია, რომელზეც კომიტეტი გაემიჯნა თავისი სამხედრო ორგანიზაციის საქმიანობას. კიდევ ერთი შეუსაბამობა, რომელიც პეტრე ლევჩენკოს ჩვენებაში იკვეთება, არის ნიკოლოზ კასრამის, ანუ სოციალ-ფედერალისტური პარტიის „საბრძოლო რაზმის“ აქტიური წევრის თანამებრძოლებად სოციალისტ-დემოკრატიული პარტიის მფრინავი რაზმის წევრ მიხნევიჩისა და მეტეხის ციხიდან გაქცეული აკიმ დოროშენკოს დასახელება. ვფიქრობ, ეგზარქოსის მკვლელობის საქმეში ნიკოლოზ კასრამის ხსენება გამოძიების მიერ კიდევ ერთი მცდელობა იყო, რომ ამ დანაშაულზე პასუხისმგებლობა სოციალ-ფედერალისტური პარტიისთვის დაეკისრებინათ.

კიდევ ერთი ვერსია, რომელსაც ასევე სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიამდე მივყავართ, არის მკვლელობის ორგანიზატორად გელათის მონასტრის არქიმანდრიტ ნიკოლოზ ნამორადის დასახელება. ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის საქმეში რაიმე ხელმოსაჭიდი ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ გაუწია მკვლელობას ორგანიზება ნიკოლოზ ნამორადემ, არ არსებობს. აგენტურული ცნობებიდან კი ვიგებთ, რომ ნიკოლოზ ნამორადე იყო სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრებისა და ავტოკეფალისტების ნდობით აღჭურვილი პირი და მათი წარმომადგენელი თურქეთში.

შემთხვევითი არ არის, რომ ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის საქმეზე საგამოძიებო პროცესში მონაწილე ორი უმნიშვნელოვანესი ფიგურა: თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსი ა. ერიომინი და თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების უფროსი ა. კარაულოვი დააწინაურეს. 1909 წლის დეკემბერში ა. ერიომინი პეტერბურგის პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელად გადაიყვანეს. 1910 წლის ივლისში კი ა. კარაულოვი დააწინაურეს „სამხრეთის რაიონული ოხრანკის“ განყოფილების ხელმძღვანელად. ორივე მათგანმა კარგად მოახერხა ტერორისტული აქტის გამოყენება ანტისახელმწიფოებრივი ძალების წინააღმდეგ. მათ მიერ საქმის გაყალბების მცდელობამ გარკვეულწილად „გამართლა“ და დღემდე სხვადასხვა ლიტერატურაში ვაწყდებით ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის განსხვავებულ ვერსიებს, რომლებშიც ძირითადი აქცენტი კეთდება სოციალისტ-ფედერალისტების მონაწილეობაზე.

ჩემ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ 1908 წლის 28 მაისს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა დაიგეგმა სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაქვემდებარებაში მყოფი თბილისის „დიაკვანთა და მეფსალმუნეთა კომიტეტის“ წევრების მიერ, ხოლო განახორციელეს სოციალ-დემოკრატმა ბოლშევიკმა ტერორისტებმა. დოკუმენტებიდან დასტურდება ისიც, რომ ეგზარქოსის მკვლელობის შესახებ თბილისის „ოხრანკის“ განყოფილება წინასწარ იყო ინფორმირებული; მიუხედავად ამისა, მეფის რუსეთის საიდუმლო (პოლიტიკური) პოლიციის ხელმძღვანელობამ ხელი არ შეუშალა ამ ტერორისტულ აქტს. შემდეგ კი იგი ანტისახელმწიფოებრივი ძალების წინააღმდეგ გამოიყენა და მკვლელობის ორგანიზება „ავტოკეფალიური“ მოძრაობის მესვეურებსა და სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრებს დააბრალა. დოკუმენტებში კარგად ჩანს საქმის გაყალბების პროცესი და ამ საქმის „შემოქმედი“ პირების კარიერული წინსვლა.

Assassination of Exarch Nikon and versions (based on newly found archival documents)

Tamar Ghurtskaia

Iakob Gogebashvili Telavi State University

Summary

More than a century has passed since the assassination of Exarch Nikon, and unfortunately we find different versions of his assassin or the organizers of his assassination, even in scientific circles, and some of them are completely devoid of reasoning and conclusions based on archival materials. In part, this is the result of a well-designed and well-implemented plan by the Tbilisi “Okhranka” branch of Tsar Russia.

Newly found archival materials allow us to make real assumptions. The historical funds of the National Archives of Georgia contain several cases related to the murder of Exarch Nikon. Their study and analysis confirms that the Tbilisi “Okhranka” branch of the Exarchate Nikon's murder case was misled and in fact falsified.

In my report, I would like to present the archival documents, which show the methods and methods used by the Tbilisi Okhranka department to falsify the search for the murder of Exarch Nikon.

მიხეილ ხელთუფლიშვილი: ცხოვრებისა და მოღვაწეობის უცნობი დეტალები

დოდო ჭუმბურიძე

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი**

სტატიის მიზანია მკითხველს გააცნოს საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი, ან სრულიად უცნობი დეტალები მე-19 საუკუნის ბოლოს საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსული, ილია ჭავჭავაძის თანამოაზრე ქართველი მამულიშვილის - მიხეილ ხელთუფლიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

მიხეილ ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილმა - ნიკო ნიკოლაძისა და გიორგი ზდანოვიჩის დეიდაშვილმა, სიცოცხლეშივე მოიპოვა გამორჩეული სახელი და აღიარება. მის დიდ მომავალს ბევრი წინასწარმეტყველებდა, მათ შორის იყო ილია ჭავჭავაძეც.

მიხეილ ხელთუფლიშვილი 1869 წელს, ქუთაისში დაიბადა, წარჩინებით დაამთავრა კლასიკური გიმნაზია და სახელმწიფო სტიპენდიით მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. 21 წლის ასაკში, სადიპლომო ნაშრომად დაწერილმა მისმა გამოკვლევამ იმთავითვე მიიქცია სახელგანთქმული იურისტი პედაგოგების ყურადღება და მათი რეკომენდაციით ნაშრომი მოსკოვის ცნობილ იურიდიულ ჟურნალში გამოქვეყნდა. მოსკოვში სწავლისას ხელთუფლიშვილი მონაწილეობდა სტუდენტური ორგანიზაციის - „თავისუფლების ლიგის“ ჩამოყალიბებასა და მუშაობაში. ორგანიზაციის მიზანს არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის დამოუკიდებლობის მოპოვება წარმოადგენდა. მალე ჭლექით დაავადებული მიხეილი ქუთაისში დაბრუნდა, უხელმძღვანელა ქუთაისისა და თბილისში გამართულ სტუდენტური ლიგის ყრილობებს, რომლის თავმჯდომარედაც ის პირველივე ყრილობაზე აირჩიეს. არჩეული იყო ქუთაისის ქალაქის საბჭოს დეპუტატადაც. უაღრესად ნიჭიერს,

განათლებულსა და შრომისმოყვარეს, სამშობლოს სიყვარულითა და მისი მომავლისთვის გულანთებულ ახალგაზრდა კაცს ბევრის გაკეთება შეეძლო, მაგრამ არ დასცალდა. 1894 წელს „თავისუფლების ლიგის“ სხვა წევრები, ხოლო 1895 წელს მიხეილ ხელთუფლიშვილიც დაიჭირეს; მძიმე სენით დაავადებულმა ვერ გაუძლო ციხის მკაცრ პირობებს და 1895 წლის 23 აპრილს, 26 წლის ასაკში ციხეში გარდაიცვალა.

ხელთუფლიშვილის ნაშრომმა ივანე ჯავახიშვილისა და სხვა ცნობილი ისტორიკოსების ყურადღება მიიქცია, თუმცა, საბჭოთა იდეოლოგიური სისტემა ვერ მიიღებდა მასში მოცემულ, განსხვავებულ კონცეპტუალურ შეფასებებს საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე, მის თვალსაზრისს ორ ქვეყანას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებზე.

მისი ნაშრომი 1901 წელს გამოქვეყნდა ქუთაისში, ცნობილი გამომცემლის, ალექსანდრე არაბიძის მიერ. დღესაც ინტერესს იწვევს 130 წლის წინათ მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები საქართველო-რუსეთს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებზე, ცხოვრებისა და მოღვაწეობის დეტალები, რაც „თავისუფლების ლიგის“ მკვლევარი ისტორიკოსების მიერ ბოლომდე შესწავლილი არ ყოფილა.

ხელთუფლიშვილის წიგნი „საქართველოს შესვლა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში“ იმ დროს დაიბეჭდა, როდესაც ქართველი თავადაზნაურობა ზარ-ზეიმით აღნიშნავდა ქვეყნის „ნებაყოფლობით“ შეერთებას რუსეთთან. წიგნის ავტორი იმ დროს უკვე ექვსი წლის გარდაცვლილი იყო ციხის საკანში. ნაშრომი თერთმეტი წლის წინათ იყო დაწერილი, მასში სამართლებრივი კუთხით პირველად იქნა განხილული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველი ორი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი: ერეკლე II-ის მეფობაში შედგენილი „გეორგიევსკის ტრაქტატი“ და გიორგი XII-ის „სათხოვარი პუნქტები“. ორივე დოკუმენტს რუსეთი საქართველოს „ნებაყოფლობითი შეერთების“ (სინამდვილეში დაპყრობის) სამართლებრივ საფუძვლად მიიჩნევდა.

ქართველ ისტორიკოსთაგან პირველმა ივანე ჯავახიშვილმა დაინახა მიხეილ ხელთუფლიშვილის ნაშრომის მთავარი ღირსება. 1919 წელს გამოცემულ წიგნში „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“ მან საკუთარი არგუმენტების გასამყარებლად ხელთუფლიშვილის წიგნში მოტანილი სამართლებრივი შეფასებებიც გამოიყენა (ჯავახიშვილი, 1919).

დიდი მეცნიერი საჭიროდ მიიჩნევდა ნაშრომის მთავარი კონცეფციის გაღრმავებას და მის ქართულ ენაზე გამოცემას. თუმცა საბჭოთა პერიოდში ხელთუფლიშვილისა და მისი ნაშრომისადმი არავითარი ინტერესი არ გაჩენილა, რისი მიზეზიც იყო ის, რომ იმდროინდელი ისტორიოგრაფია „ნებაყოფლობითი შეერთებისა“ და „მცირე ბოროტების“ თეორიებს ლამის კვლევის მეთოდოლოგიად აღიარებდა. ხელთუფლიშვილი სწორედ იმას ამტკიცებდა, რომ არც ერთი განსახილველი აქტი („ტრაქტატი“ და „სათხოვარი პუნქტები“) არ ითვალისწინებდა ქართული სახელმწიფოებრიობის სრულიად გაუქმებასა და რუსეთის იმპერიაში საქართველოს ტერიტორიულ ერთეულად შესვლას, რაც რუსეთმა განახორციელა. მხოლოდ პოსტსაბჭოთა ხანის ქართველმა ისტორიკოსებმა წამოსწიეს ნაშრომის კონცეპტუალურად საინტერესო დებულებები.

2016 წელს ეს შრომა ჩვენ მიერ ითარგმნა კიდევ ქართულ ენაზე და შევიდა საქართველო-რუსეთის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობაზე დაწერილ ორტომიან გამოცემაში, რომელსაც ერთვის ნათარგმნი დოკუმენტები და სამეცნიერო წყაროები (საქართველო-რუსეთის ურთიერთობა. (2016). გვ. 242-246).

ხელთუფლიშვილები იმერეთის აზნაურები იყვნენ. ამ გვარის წარმომადგენლები იმერეთის მეფის კარზე „ხელთუფალნი“, ანუ სამართლის მწარმოებელნი ყოფილან. მიხეილ ხელთუფლიშვილის მამა - ბესარიონი - XIX საუკუნის 70-იან წლებში ქუთაისის საკრებულოში მდივნად მუშაობდა.

ხელთუფლიშვილები ბაგრატის ტაძრის მიდამოებში ცხოვრობდნენ - მარჯანოვებთან, ლულაძეებსა და ჩარკვიანებთან ერთად (ნიკოლაძე, 1984, გვ. 13).

მიხეილ ხელთუფლიშვილის დედა იყო ლორთქიფანიძის ქალი, დიდჯიხაიშელი თავადის - ფირან ლორთქიფანიძის - ასული. ფირან ლორთქიფანიძე ფოთის ალბის დროს, 1828 წელს, რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის პერიოდში მომხდარ ბრძოლაში დაიღუპა. მისი ქვრივად დარჩენილი ახალგაზრდა და გამორჩეულად ლამაზი მეუღლე - მზეხათუნ ქაჯაია - ორი პატარა ქალიშვილით შეირთო მანუჩარ მიქელაძემ, რომელმაც გერები თავისთან, კულაშში, წაიყვანა და შვილებივით გაზარდა. უფროსი - ლიზა (ელისაბედი) - იაკობ ნიკოლაძეს მიათხოვა, უმცროსი - თეო (თეოდოსია) კი - ბესარიონ ხელთუფლიშვილზე დააქორწინა. მანუჩარ მიქელაძისა და მზეხათუნის საერთო ასული, მაია მიქელაძე, ცოლად ქუთაისელ სამხედრო ექიმ ფელიქს ზდანოვიჩის გააყოლეს (ჭუმბურიძე, 2008, გვ. 117).

სახელოვანმა დეიდაშვილებმა - ნიკო ნიკოლაძემ და გიორგი ზდანოვიჩმა - არა მარტო საქართველოს ისტორიაში, იმპერიის ცხოვრებაშიც აქტიური როლი ითამაშეს. ალბათ არანაკლებ სახელოვანი იქნებოდა მათი მესამე დეიდაშვილი მიხეილ ხელთუფლიშვილი, რომ არა ნაადრევი სიკვდილი. ის 26 წლის გარდაიცვალა. მიუხედავად ამისა, მან ღრმა კვალი დატოვა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში (ქიმ, ფ. 6416).

მიხეილი მრავალშვილიან ოჯახში გაიზარდა. მას ორი ძმა და 4 და ჰყავდა; ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარი გამგეობის 1922 წლის 3 მარტის სხდომის ოქმით, ელისაბედ, ეფემია, ნინო (ბესარიონის ასული) და დავით (ბესარიონის ძე) ხელთუფლიშვილები იყვნენ და-ძმანი. მიხეილის კიდევ ერთი და არის ცნობილი: ელენე. ძმა - იურისტი, ადვოკატი - დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილი (1862-1921) იყო უზენაესი სასამართლოს (სენატის) თავმჯდომარე და კავკასიის ვექილთა საბჭო წევრი. მან უმაღლესი იურიდიული განათლება მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტში. წლების განმავლობაში იყო ქუთაისის ნაფიც ვექილთა კორპორაციის წევრი, ასევე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის სამხრუნველო კომიტეტის წევრი; ითვლებოდა სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად კავკასიაში. 1919 წლის 7 ოქტომბერს დავით ხელთუფლიშვილი საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ რესპუბლიკის სენატის (უზენაესი სასამართლოს) თავმჯდომარედ აირჩია. ჯანმრთელობის პრობლემების მიუხედავად, ხელთუფლიშვილი თბილისში გადავიდა და სათავეში ჩაუდგა სენატს, რომელსაც გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა. ის საქართველოს ოკუპაციის პირველსავე წელს, 1921 წლის 4 თებერვალს გარდაიცვალა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში (1921). *გაზეთი „საქართველო“*. №29).

დავით ხელთუფლიშვილის ბიოგრაფიის ყველა დეტალი არ ვიცით, თუმცა საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის ერთ-ერთ ფონდში, რომელიც ერობების მუშაობას ეხება, დაცულია დოკუმენტი, სადაც მოტანილია ქუთაისის ქალაქის საბჭოს წევრების - კალისტრატე ჩიკვაიძისა და დიმიტრი ნაზარიშვილის შეხედულებები ქალაქის ინფრასტრუქტურის მოწყობაზე, აქვე ვხვდებით მათ მოთხოვნას დავით ხელთუფლიშვილისათვის მიწის ჩამორთმევის შესახებ. ამ მიწაზე უნდა გასულიყო ახალი გზა, ნაწილი კი უმიწო გლეხებს უნდა გადაეცემოდა 1919 წლის ივნისის კანონით განსაზღვრულ ფასებში. ამ მიწის რაოდენობა იყო „369 და სამოცი მეასედი ოთხკუთხი საჟენი“. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც დავით ხელთუფლიშვილმა თავმჯდომარის თანამდებობა მიიღო უზენაეს საბჭოში, რაც მიუთითებს დამოუკიდებელი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში დემოკრატიული პროცესების არსებობასა და სახელმწიფო ინტერესების პრიმატზე (სეა, სცა, ფ. 1863, ა. 1, ს. 995).

დავით ხელთუფლიშვილი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა, თუმცა, მისი ოჯახის ისტორიიდან გამომდინარე, საბჭოთა რეპრესიული მანქანა მას დამოუკიდებელ საქართველოში

მოღვაწეობისთვის მოგვიანებით მაინც მოსთხოვდა პასუხს ისევე, როგორც ეს სხვა უამრავი ადამიანის შემთხვევაში მოხდა.

მიხეილის მეორე ძმა – პლატონ ხელთუფლიშვილიც (1861-1945) ცნობილი პიროვნება, დამსახურებული მოღვაწე იყო. მან დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი, მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. 1925 წლიდან ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შემდეგ – თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტში. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსებაში. ხიდებისა და რკინიგზების მშენებლობის საუკეთესო სპეციალისტი იყო, პროფესორი (1932). XX საუკუნის დასაწყისში პლატონ ხელთუფლიშვილი მონაწილეობდა საჭადრაკო ჟურნალის („შახმატნი ჟურნალ“) მიმოწერით ტურნირებში (ხელთუფლიშვილი, (1987), გვ. 458) .

მიხეილის დები: ელისაბედი, ელენე, ეფემია და ნინო იმ ქალთა რიცხვში იყვნენ, რომლებმაც სწავლა საზღვარგარეთ მიიღეს და აქტიურ საზოგადოებრივ, კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდნენ, დიდი როლი ითამაშეს ქალთა ემანსიპაციის საქმეში, იყვნენ პირველი ფემინისტი ქალები საქართველოში.

როგორც აღინიშნა, მიხეილმა წარჩინებით დაასრულა ქუთაისის გიმნაზია, სწავლის გასაგრძელებლად მიიღო სახელმწიფო სტიპენდია და ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც ასევე წარჩინებით სწავლობდა, რაც გამოიხატა მის მიერ სამაგისტრო ნაშრომის მაღალ დონეზე შესრულებაში. ამ ნაშრომის მეცნიერულმა სიღრმემ და კვლევის სიახლემ იმდენად მოხიზლა მისი ხელმძღვანელი პროფესორი, რომ ურჩია მისი დაბეჭდვა იურიდიულ ჟურნალში, ხოლო სამაგისტრო შრომად სხვა თემის აღება (სამაგისტრო ნაშრომი არქივში გადადიოდა და ინახებოდა, მისი გამოქვეყნება არ შეიძლებოდა). ნაშრომი „საქართველოს შესვლა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში“ მართლაც დაიბეჭდა რუსულ იურიდიულ ჟურნალში ((1891) „Юридический Вестник“, № 7-8).

მიხეილ ხელთუფლიშვილი დაკრძალეს 27 აპრილს ქუთაისში. მის დაკრძალვას უამრავი ადამიანი დაესწრო და მრავალი წარწერიანი გვირგვინი მიიტანეს, მათზე ახალგაზრდა ნიჭიერი ქართველი კაცის დაღუპვის, სამშობლოს სამსახურში მისი გეგმების განუხორციელებლობის გამო, იმდროინდელი პრესის მიხედვით, დიდი სინანული იყო გამოთქმული.

ხელთუფლიშვილის გარდაცვალებისას რამდენიმე ნეკროლოგი გამოქვეყნდა, რომელთა შორის საინტერესოა „კვალისა“ და „ივერიის“ გამოხმაურება. „კვალის“ ნეკროლოგი საკმაოდ დიდია. ის ცნობილ მწერალსა და გაზეთ „კვალის“ რედაქტორს – გიორგი წერეთელს – ეკუთვნის. ნეკროლოგში წერეთელი მიხეილ ხელთუფლიშვილის სიკვდილს რუსეთის ჰავის სიმკაცრეს აბრალებს და აკრიტიკებს საიმპერიო ხელისუფლებას, საქართველოსა და სამხრეთ კავკასიისთვის ერთი უნივერსიტეტიც რომ ვერ გაიმეტა. გიორგი წერეთელი ეხება მიხეილ ხელთუფლიშვილის მიერ ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“ საფუძვლიან კრიტიკულ გარჩევასაც.

ისტორიის კარგად მცოდნე გიორგი წერეთელი დიდ შეფასებას აძლევდა გარდაცვლილის ნაშრომს „საქართველოს შესვლა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში“. იგი აღნიშნავდა, რომ ხელთუფლიშვილმა „მეცნიერული დასაბუთებით დაამტკიცა, რომ საქართველოს ერს, როგორც თავისი ნებით შეერთებულს რუსეთის იმპერიასთან, თავის თვითარსებობის განმამტკიცებელი უფლება არ დაუკარგავს“ (გიორგი წერეთელი (1895). გაზეთი „კვალი“. № 20).

„ივერიის“ ნეკროლოგიც არ გასცილებია გარდაცვლილის ზოგად ბიოგრაფიულ მონაცემებს. აი რას წერდა გაზეთი მიხეილ ხელთუფლიშვილის გარდაცვალების გამო გამოქვეყნებულ ნეკროლოგში: „ხვალ დაჰკრძალავენ ქუთაისში ახლად გარდაცვალებულს ახალგაზრდა ქართველს მიხეილ ბესრიონის ძე ხელთუფლიშვილს. დასავლეთ საქართველოში ძნელად მოიძებნება შეგნებული ქართველი, რომელმაც არ იცოდეს, ან რომელსაც არ გაეგონოს – ვინ არის განსვენებული მიხეილი. განათლებული ქართველი ახალგაზრდობა ხომ კარგად

იცნობდა თავის ძვირფასს მეგობარს და ძმას მიხეილს. ამ ახალგაზრდობამ იცოდა, თუ რა დიდი ნიჭის პატრონი იყო მიხეილი. ჯერ გიმნაზიაში, შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტში განსვენებულის ნიჭი აკვირვებდა როგორც მის ამხანაგ-მეგობრებს, ისე მასწავლებელთ და ყველა გარემეს, რომელთაც შემთხვევა მისცემდა მის გაცნობას. საუცხოო ნიჭით და ამასთანავე შრომისმოყვარეობით განსვენებულმა განსხვავებული ყურადღება დაიმსახურა. ამ თვისებათა შემწეობით მან შეიძინა საფუძვლიანი განათლება. ეს ყოველივე იმედს ამღებდა ყველას, რომ განსვენებული დიდ სამსახურს გაუწევდა თავის საყვარელ სამშობლოს. ეს სამშობლო უყვარდა მას მხურვალედ და ჰსურდა მისი კეთილდღეობისათვის თავგანწირულად ემსახურნა, მაგრამ ბედმა არ დააცალა თავისი განზრახვა და წადილი განეხორციელებინა. ახალგაზრდა მიხეილი შეიქნა მსხვერპლი ჩრდილოეთის მკაცრი ჰავისა. მოსკოვში ის გახდა ავად იმ საშინელი სენით, რომელსაც არაერთი ჩვენი ახალგაზრდა თანამემამულე მოსწავლე განუმორებია წუთისოფელს, სამშობლოსათვის სამსახურს, რაც ასე ფრიად სწადდა განსვენებულს. ის უნივერსიტეტში სწავლის დროსვე შეუდგა ისტორიული წყაროების შესწავლასა და გამოკვლევის შემდეგ მან დასტამბა დიდად საყურადღებო შრომა – «О Вступлении Грузии въ составъ Росiйской Имперiи». თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამ საგნის შესახებ ამ თხზულებაზედ უფრო სერიოზული გამოკვლევა ჯერ არ დაბეჭდილა“. (1895). გაზეთი „ივერია“. № 86).

ამ ნეკროლოგშიც დასახელებულია სტუდენტობის პერიოდში გამოქვეყნებული მისი წერილი ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქერივის“ შესახებ; ახალგაზრდა ავტორი უდიდეს შეფასებას ამღებდა ილიას, როგორც პროზაიკოსს. მწერლის მიმართ იმდენად ბევრი ეპითეტი ყოფილა ტექსტში, რომ ილიას თავად უბრძანებია ამოეღოთ ზოგი რამ, რადგან გადამეტებულ ქებად მოსჩვენებია. მიუხედავად ამისა, წერილში საკმაოდ კრიტიკული აზრიც იყო გამოთქმული, რაც ცხადყოფდა ახალგაზრდა მოაზროვნის გაბედულებას, ანალიტიკურ უნარსა და ეპოქალური პრობლემების სიღრმისეულ ხედვას.

„ნიჭი, ცოდნა და ძლიერ კარგი მიმართულება განსვენებულისა, უთუოდ დიდს ნაყოფს მოიტანდნენ და ამიტომ ჩვენის სამშობლოსათვის დიდი დანაკლისია მიხეილის უდროოდ სიკვდილი... გარდა ამისა, უნდა გავიხსენოთ, რომ განსვენებულს მეტისმეტად სიმპატიური და საყვარელი ხასიათი ჰქონდა, რაც ჰზიზღავდა ყველას, ვინც მას უახლოვდებოდა. მის ამხანაგებსა და მეგობრებს არასოდეს დაავიწყდებიათ ძვირფასი და ფრიად კეთილშობილური ხასიათი გულწრფელისა და საუკეთესო მეგობრის მიხეილისა! დღეს მისი მრავალი მეგობარი და პატივისცემელი მის ოჯახთან ერთად ჰგლოვს(ასეა ხომ?) უდროოდ დაკარგულს მიხეილს და სახსენებელი ძვირფასის ახალგაზრდისა საუკუნოდ იქმნება მათთვის“ (ლალი (1895). გაზეთი „ივერია“. № 86).

ნეკროლოგი „ლალის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა. ეს ფსევდონიმი ეკუთვნოდა გიორგი ლასხიშვილს, რომელიც იმ დროს „ივერიაში“ მუშაობდა.

„ივერიის“ ნეკროლოგში (ისევე, როგორც „კვალში“) არ იყო მთავარი ინფორმაცია – რომ ახალგაზრდა სწავლული ციხეში გარდაიცვალა, არაფერი იყო ნათქვამი ხელთუფლიშვილის მონაწილეობაზე „თავისუფლების ლიგის“ შექმნაში, დამალული იყო აზრი, რომ ხელთუფლიშვილი მარტო სენმა კი არა, რეჟიმის სისასტიკემაც იმსხვერპლა.

„ივერიის“ რედაქციის იმდროინდელი გამგე – მწერალი დავით მიქელაძე (მეველე) – „თავისუფლების ლიგის“ პირველი ყრილობის მონაწილე იყო (ერთი სხდომა მის ბინაშიც ჩატარდა). ამასთან, ის ხელთუფლიშვილის თანაქალაქელი (მეზობელი) იყო და თუ ქუთაისის იმდროინდელ მასშტაბს გავითვალისწინებთ, მისი მეგობარიც იქნებოდა. მეზობლობა-მეგობრობასაც რომ თავი გავანებოთ, დავით მიქელაძე კულაშელი იყო, მიხეილის დედა – თეოდოსია ლორთქიფანიძე – იქ გაიზარდა, მისი მამინაცვალი მანუჩარ მიქელაძე დავით მიქელაძის ნათესავი იყო. თუნდაც ამ ცნობილ მწერალსა და „ივერიის“ რედაქციის გამგეს შეეძლო განსვენებულზე მეტის თქმა. ფაქტია, „ივერია“ არ ახსენებს ახალგაზრდა ჭაბუკის ტრაგიკულად

დალუპვის მთავარ მიზეზს – ციხის მკაცრ პირობებში ყოფნისას გართულებულ ავადმყოფობას... ცენზურის შიშით. ჩანს, ვერც დავით მიქელაძემ გაბედა ნეკროლოგზე ხელის მოწერა.

ელგუჯა თავბერიძის წიგნში „ნისლის ტიხარი“ თითქმის XIX საუკუნის II ნახევრის კულტურული ყოფის ის ისტორიაა მოცემული, რომელიც დავით მიქელაძის ცხოვრების ქრონიკას უკავშირდება. ჩანს, რომ პარიზში განსწავლული, ნიკოლაძისა და სერგეი მესხის, კირილე ლორთქიფანიძისა და გიორგი წერეთლის ახლო მეგობარი, და ბოლოს, დიდი ილიას მარჯვენა ხელი „ივერიაში“ დავით მეველე განსწავლულ და უაღრესად პრინციპულ ადამიანად ითვლებოდა.

თუმცა, როგორც ლასხიშვილი „მემუარებში“ იგონებს, მიქელაძე ძველი რევოლუციონერობიდან ამ დროს „ზომიერ მწერლად და მოღვაწედ“ ქცეულა. ჩეხებისა და სხვა პატარა ერების ნაციონალურ-პოლიტიკურ მოთხოვნებს „ახირებულ პრეტენზიად“ ნათლავდაო, გვარწმუნებს გიორგი ლასხიშვილი. შესაძლოა ეს იყო „თავისუფლების ლიგის“ ისტორიასთან მისი გამიჯვნის მიზეზი.

ლასხიშვილის მოგონებაში დახატული დავით მიქელაძე, მისი კონფლიქტი რადიკალურად განწყობილ და ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ თანამშრომლებთან, რაც „ივერიის“ რედაქციიდან მისი წასვლითა და ქუთაისში დაბრუნებით დასრულდა, არ ემთხვევა მიქელაძის, როგორც გაბედული ეროვნული მოღვაწის, რუსული კოლონიალიზმის მამხილებლის ცნობილ ტიპს. დავით მიქელაძის ცხოვრების ქრონიკა, მისი ეროვნული ცნობიერება და სულისკვეთება, რომელიც კარგად ჩანს ამ მოღვაწის პუბლიკაციებიდან თუ ცხოვრების წესიდან, მასზე დაწერილი სტატიებიდან, გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ მან ნეკროლოგში მიზანმიმართულად გამოატოვებინა ხელთუფლიშვილის ცხოვრების დეტალები, მისი ხელმძღვანელი როლი „თავისუფლების ლიგაში“, დაპატიმრება და ციხის მკაცრ პირობებში აღსასრული. უბრალოდ, იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ მიმდინარეობდა მიება იმ საიდუმლო ორგანიზაციის შესახებ, რომლის თავმჯდომარეც ხელთუფლიშვილი ითვლებოდა, ამ ამბავს წინ ვერ წამოსწევდნენ. ამ ტრაგიკულ მოვლენებს გაზეთი „ივერია“ საგულდაგულოდ არ თუ ვერ შეეხებოდა.

ეს მაშინდელი მკაცრი ცენზურის წინაშე სიფრთხილის შედეგი უნდა იყოს. არც ისაა ძნელი გასაგები, რატომ ვერ გაბედა მიქელაძემ, როგორც ხელთუფლიშვილის ახლობელმა, ნეკროლოგზე ხელმოწერა. თუ მის სახლში მართლა გაიმართა ერთი სხდომა, მას აუცილებლად დაჰკითხავდა ჟანდარმერია, როგორც პროცესის მონაწილეს ან ორგანიზატორების თანამგრძნობს მაინც (კირილე ლორთქიფანიძის, გიორგი ზდანოვიჩისა და სხვათა მსგავსად). ვინაიდან „ლიგის“ წევრთა სიაში ის არ შედიოდა, ამიტომ მის მიმართ ჟანდარმერია უფრო რბილი იქნებოდა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მიქელაძე არ დაუჭერიათ, ის 1895 წელს „ივერიაში“ მუშაობდა და, ლასხიშვილის ცნობით, გაზეთის რედაქციაში კარგა ხნის მისული ყოფილა; ოღონდ ესაა, რადიკალური შეხედულებები ოდნავ შეუცვლია და უფრო დამთმობი გამხდარა მთავრობის პოლიტიკის მიმართ, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც (ლასხიშვილი, 1992, გვ. 90).

საბოლოოდ, მიზეზი იმისა, რომ ლასხიშვილმა დაწერა ნეკროლოგი და არა მიქელაძემ, ხელთუფლიშვილის თანაქალაქელმა, მეზობელმა და ნათესავმა, უნდა ყოფილიყო ის, რომ მიქელაძე თავად იყო ექვმიტანილი, დაშინებული და „ლიგის“ ირგვლივ გამოძიებაც ჯერ არ დასრულებულიყო.

გრიგოლ გიორგაძის წიგნში „თვითმპყრობელობა და რევოლუცია“, რომელშიც შესულია 1870-1902 წლებში საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ამასახველი დოკუმენტები, დაბეჭდილია მიხეილ ხელთუფლიშვილის ფოტო წარწერით: მიხეილ ხელთუფლიშვილი, „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ თავმჯდომარე. რაც შეეხება მონაცემებს მიხეილ ხელთუფლიშვილის პიროვნებაზე, თუ ამგვარი რამ სხვა პირთა შესახებ გიორგაძის გამოცემაში საკმაოდ ტევადი ინფორმაციის შემცველია, ხელთუფლიშვილზე მხოლოდ მწირი ცნობაა, ისიც

ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში ჩატანილი: „ქუთათური. ავტორი გამოკვლევისა რუსულ ენაზე: „საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთება“. გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა“ (გიორგაძე, 1929).

გიორგაძის მიერ მოტანილ დოკუმენტში „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ შესახებ თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს საქმეებში შენახულ დადგენილებაში ვკითხულობთ, რომ ეს დადგენილება შედგენილია 1894 წლის 17 სექტემბრის თარიღით ქუთაისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის, პოლკოვნიკ დებილის მიერ ლიგაზე ჩატარებული ძიების შედეგად. ამ ძიებით დადგენილა, რომ 1891 წელს რუსეთის უნივერსიტეტების ქართველ სტუდენტებს თვითგანვითარებისა და ერთმანეთის დახმარების მიზნით შეუქმნიათ წრეები თავიანთ ქალაქებში, გადაუწყვეტიათ 1892 წლის 26 ივნისს თბილისში (ამ წრეების წარმომადგენლები?) შეკრებილიყვნენ ყრილობაზე, სადაც განიხილავდნენ წინასწარ შემუშავებულ საკითხებს. პეტერბურგის წრე ყოფილა ყრილობის მოწვევის ინიციატორი, საბოლოოდ ყრილობა თბილისის ნაცვლად (სადაც ქოლერა მძვინვარებდა) ქუთაისში ჩატარებულა იოსებ ჩარეჟიშვილის, დავით მიქელაძისა (მწერალი „მეველე“) და მიხეილ ხელთუფლიშვილის სახლებში (გიორგაძის ეს თანმიმდევრობა არ უნდა იყოს სწორი: პირველი სხდომა თუ არა, მეორე მაინც, სადაც ხელთუფლიშვილი აირჩიეს „ლიგის“ თავმჯდომარედ, მის ბინაზე უნდა ჩატარებულიყო, სხვაგვარად ის „ყველა სხდომის უცვლელი თავმჯდომარე“ ვერ იქნებოდა). მართლაც, ზოგიერთი მონაწილის აზრით, პირველი სხდომა ჩარეჟოვის ბინაზე, თეთრ ხიდთან, ჩატარდა, უკვე იმავე საღამოს კი სხდომამ ხელთუფლიშვილთან გადაინაცვლა.

პოლკოვნიკ დებილისა და პროკურორ ა. ივანოვის პატაკით, ყრილობის დღის წესრიგში დასმული იყო არა მარტო ისეთი საკითხები, რომლებიც შეეხებოდა სტუდენტთა ცხოვრებას და მათ სამეცნიერო მუშაობას, არამედ წმინდა პოლიტიკური და „ცრუპატრიოტული ხასიათის საკითხებიც“. ასეთად ჟანდარმერიის პოლკოვნიკი მიიჩნევს მე-5 პუნქტს: როგორ ესმოდა ქართველ სტუდენტობას ეროვნული საკითხი, ასევე VI, VII და VIII პუნქტებს – სომხებთან ურთიერთობისა და რუსეთის მოვლენებისადმი ქართველების დამოკიდებულების, საქართველოს მდგომარეობის შეფასებისა და მისი გაუმჯობესების გზების შესახებ დასმულ საკითხებს.

ჟანდარმერიის შეფი ასახელებს ქუთაისის ყრილობის მონაწილე სტუდენტებს: ანტონ გელაზაროვს, მიხეილ ხელთუფოვს, იოსებ ჩარეჟოვს, ილია ჯიშკარიანს და ვარლამ ჭიჭინაძეს. „მათგან ხელთუფოვი ამორჩეული იქნა თავმჯდომარედ და ხელმძღვანელობდა სხდომებს“, – წერია ჟანდარმერიის მიერ შედგენილ დოკუმენტში.

ჟანდარმერიის მოპოვებული უნდა იყოს მიხეილის ის ერთადერთი ფოტოსურათიც, რომელიც გიორგაძის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების კრებულშია შეტანილი.

ის, რა მიზნებიც ყრილობამ დასახა, იმპერიული ხელისუფლებისთვის ყოვლად მიუღებელი იყო და ჩავარდნის შემთხვევაში სასჯელს ყრილობის ორგანიზატორები ვერ გადაურჩებოდნენ. რუსეთის ბატონობისგან საქართველოს განთავისუფლების იდეას, არსებული წყობილების შეცვლის მიზანდასახულებას არავინ აპატიებდა მათ, მით უმეტეს, ორგანიზაციის თავმჯდომარე ახალგაზრდა სტუდენტს, უკვე გამორჩეულსა და ცნობილს, რომელმაც იმთავითვე იკისრა და შეიფერა ყრილობის და მთლიანად „ლიგის“ ლიდერობა.

ლიგის I ყრილობას ქუთაისში, ჟანდარმერიის ცნობით, 20 კაცი ესწრებოდა, თუმცა იმავე ჟანდარმერიის სიაში მათ მიერ მიკვლეული 12 კაცია დასახელებული. ესენი არიან: 1) ხელთუფლიშვილი, 2) იოსებ ჩარეჟოვი; 3) ანტონ გელაზაროვი; 4) გიორგი დეკანოზოვი; 5) ილია ჯიშკარიანი; 6) ვ. მუსხელოვი; 7) ივანე ელიაშვილი; 8) გიორგი გვაზავა; 9) ვახტანგ ღამბაშიძე; 10) დავით ბესარიონის ძე მდივანი; 12) ნიკოლოზ ჯაყელი; ამ სიაში გამოტოვებულია თვით ჟანდარმერიის მიერ დასახელებული (ალბათ მე-11 ნომრად ზემოჩამოთვლილებში) ვარლამ ჭიჭინაძე, ხოლო მე-14-მ მოგვიანებით მოგონებებში თავად დაისახელა თავი, ის ივანე

ზურაბიშვილი იყო, ქუთაისში გაზრდილი კახელი თავადიშვილი, ცნობილი ეროვნული და საზოგადო მოღვაწე (გიორგაძე, 1928, გვ.501).

ხელთუფლიშვილზე საინტერესო ცნობებია დაცული მის მოგონებებშიც „კარგ ქართველთა ხსოვნისათვის“.

ზურაბიშვილის მოგონებაში არ ჩანს, რომ ყრილობის ჩატარების ინიციატივა მიხეილმა წამოაყენა, პირიქით, მისი აზრით, ის შემთხვევით ჩაება ყრილობის მუშაობაში და ასე გახდა ლიგის ლიდერი, მისი თავმჯდომარე. ეს აზრი სწორი არ უნდა იყოს. მკვლევარი რევაზ გრძელიძე წერს, რომ მოსკოვის ქართველ სტუდენტთა წრეში 90-იანი წლების დასაწყისში 30-ზე მეტი სტუდენტი შედიოდა, „ლიგის“ პირველ წევრად ის მიხეილ ხელთუფლიშვილს ასახელებს. 1891 წელს ხელთუფლიშვილი ჯერ კიდევ მოსკოვში იყო, შეუძლებელია ის, როგორც თანამემამულე სტუდენტებს შორის გამორჩეული და უნივერსიტეტშიც კარგად ცნობილი ახალგაზრდა, თავიდანვე არ ჩაბმულიყო წრის მუშაობაში (ზურაბიშვილი, 1962, გვ. 154-155).

ჟანდარმერიის მიერ მოტანილ „ლიგის“ წევრთა სიას ქართველმა მეცნიერებმა შემდეგში დაამატეს „თავისუფლების ლიგის“ ყრილობის შემდეგი მონაწილენი: სამსონ ბაქრაძე (შველიძე, 1969, გვ. 49), კიტა აბაშიძე, ანდრია დეკანოზიშვილი (გრძელიძე, 2000, გვ. 27-28), თედო სახოკია, შიო დედაბრიშვილი, ალექსანდრე მიქაბერიძე (სახოკია, 1984, გვ. 176, 206). ალექსანდრე ბენდიანიშვილი ასახელებს: ნოე ჟორდანიას, ფილიპე მახარაძეს, ნიკოლოზ ნაკაშიძეს, ივანე აბაშიძეს, მიხეილ მელიქიშვილს, სიკო ლარიძეს, ჩიქოვანს, მაჩაიძესა და მაყაშვილს (ბენდიანიშვილი, 1980, გვ. 161-162).

აქედან ერთი არის ქართველი საზოგადოებისთვის თითქმის უცნობი სიკო ლარიძე. შესაძლოა ეს პიროვნება იყოს ჟანდარმერიის მიერ დასახელებული სიმონ სალარიძე (სიმონის კნინობითი ფორმა ჩვენში ხშირად არის სიკო); ის იყო ქართველი სტუდენტი, რომლის შესახებ, ჟანდარმერიის ცნობაზე დაყრდნობით, გრიგოლ გიორგაძე 1928 წელს გამოცემულ წიგნში „საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე, 1864-1905“, წერს: „უნდა აღინიშნოს, რომ იმ ხანად ქართველ სტუდენტობაში იყვნენ ისეთი გატაცებული ახალგაზრდები, რომლებიც ფიქრობდნენ არათუ საქართველოს რუსეთიდან ჩამოშორებას, მთელ კავკასიის გამოყოფას რუსეთის იმპერიისაგან. მაგ.: 1894 წელს რუსეთის ელჩი სტამბოლში ატყობინებს ტფილისის ჟანდარმერიას, რომ სტამბოლში ჩამოვიდა გორის მაზრის სოფელ ურიათუბნის მღვდლის შვილი სიმონ სალარიძე, მას უთხოვია ოსმალეთის მთავრობისათვის ქართული ჟურნალის გამოცემა იმ მიზნით, რომ მოამზადოს კავკასიის განთავისუფლება. სალარიძეს განუცხადებია, რომ ის მიიღებს ოსმალეთის ქვეშევრდომობას“. (გიორგაძე, 1928)

ეს განცხადება პირდაპირ ემთხვევა „თავისუფლების ლიგის“ პოლიტიკურ მიზანს; ლიგა, რომლის თავმჯდომარედ მიხეილ ხელთუფლიშვილი აირჩიეს, კოლონიალიზმის ბორკილებისგან არა მარტო ქართველი ხალხის განთავისუფლებას ესწრაფოდა, არამედ კოლონიალიზმის უღლის ქვეშ მყოფი კავკასიის ხალხების მიერ დამოუკიდებლობის მიღწევას და ერთიან ფედერაციაში მათი შეკავშირების მიზნის განხორციელებასაც (შველიძე, 1969, გვ. 73; გრძელიძე, 2000, გვ. 38).

ეს გვაფიქრებინებს, რომ სიმონ სალარიძე და ლიგის წევრი სიკო ლარიძე ერთი და იგივე პირია.

ვინ იყო „თავისუფლების ლიგის“ ნამდვილი თავმჯდომარე, ამ საკითხზე კამათი დღემდე გადაჭრილი არ არის. არც ის არის დაზუსტებული, ვინ დაწერა „ლიგის“ პროგრამა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში რამდენიმე მოსაზრებაა ლიგის ხელმძღვანელის ვინაობაზე. გრიგოლ გიორგაძე, რომელსაც ეკუთვნის ქართველი ხალხის რევოლუციური და კულტურული საქმიანობის შესახებ რამდენიმე საინტერესო გამოცემა, მიხეილ ხელთუფლიშვილს ასახელებს, ზაქარია შველიძე – მიხეილ მირიანაშვილს, ვახტანგ გურული – არჩილ ჯორჯაძეს. მკვლევარი

რევაზ გრძელიძე (მას ეთანხმება ოთარ ჯანელიძე) ფაქტობრივი მონაცემებით გამორიცხავს ჯორჯაძესა და მირიანაშვილს (სხვას რომ თავი დავანებოთ, ისინი ყრილობას არც ესწრებოდნენ) და წერს: „რჩება ერთადერთი ვარაუდი, რომ „ლიგამ“ თავის წინამძღოლად აირჩია მიხეილ ხელთუფლიშვილი, რომელიც ყრილობის მოწვევის ინიციატორი და მისი სხდომების უცვლელი თავმჯდომარე იყო. ამ ვარაუდს ადასტურებს ისიც, რომ „ლიგის“ საქმეზე ექვმიტანილთა დაკითხვის ანკეტაში არის ასეთი კითხვებიც: ეკავა თუ არა ხელთუფლიშვილს სტუდენტობის დროს გამორჩეული ადგილი ქართველ სტუდენტთა წრეებში და რაში გამოიხატებოდა იგი; იყო თუ არა მიმოწერაში ხელთუფლიშვილი ყრილობასთან დაკავშირებით გელაზაროვთან, დეკანოზოვთან და სხვებთან, რას აცნობებდნენ მას, ან იგი სხვებს ამის თაობაზე; როდის და საიდან, რით ხელმძღვანელობდა ქართველ სტუდენტთა წრეების ქუთაისის კრება არასტუდენტის, მიხეილ ხელთუფლიშვილის, არჩევის დროს.

„არასტუდენტში“ ჟანდარმერია ალბათ გულისხმობდა იმას, რომ ავადმყოფობის გამო ქუთაისში დაბრუნებულ ხელთუფლიშვილს იმ დროს სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა. თუმცა სტატუსის შეჩერება არ ნიშნავდა, რომ მას არ შეეძლო სტუდენტურ მოძრაობაში ჩაბმა. მაგისტრის ხარისხისთვის დაწერილი ნაშრომით მას მოსკოველ სტუდენტთა შორის თუ თავად უნივერსიტეტში უკვე სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, როგორც ნიჭიერსა და დიდი პერსპექტივის მქონე ახალგაზრდას. ამასთან, თავად ნაშრომის შინაარსიც იმდენად ეროვნული ინტერესების შემცველი იყო, ხოლო პოლიტიკური რეაქციის ხანის ცენზურისთვის - მიუღებელი, რომ მისი ავტორი ჟანდარმერიის თვალთვალის არეალში აუცილებლად მოექცეოდა. სამართალდამცავების მიერ დასმული კითხვები მოასწავებდა სწორედ იმგვარ გამორჩეულ ინტერესს, რაც ხელთუფლიშვილის ლიდერობას ამტკიცებს.

ხელთუფლიშვილს მონაწილეობა უნდა მიეღო ლიგის პროგრამის დაწერაშიც, როგორც ნიჭიერ სტუდენტს და საერთაშორისო სამართლის მომავალ სპეციალისტს;

მოსკოვის სტუდენტურმა წრემ, რომლის წევრიც იყო ხელთუფლიშვილი, თავიდანვე წამოაყენა წინადადება ყველა წრეს შეემუშავებინა ფარული საზოგადოების პროგრამისა და წესდების პროექტი, რომელთაც ყრილობა განიხილავდა და მსჯელობა-შეჯერების შემდეგ საბოლოო ტექსტს დაამტკიცებდა. ამ მიზნით ყველა უნივერსიტეტს აურჩევია ლიდერი სტუდენტები, მოსკოვის უნივერსიტეტს საამისოდ გიორგი გვაზავა, ჩიქოვანი და ვაშაკიძე დაუსახელებიათ. ხელთუფლიშვილი აქ ნახსენებიც არაა. „თავისუფლების ლიგის“ შესახებ არსებული არცთუ ბევრი მასალიდან ჩანს, რომ პროგრამა-წესდების ძირითადი ავტორი გიორგი გვაზავა იყო. ამას ამტკიცებენ მისი ერთი წერილიდანაც, რომლის ადრესატი უცნობია. წერილში ვკითხულობთ: „მე დაწერე პროგრამა, რომელიც მცირეოდენი შესწორების შემდეგ მიიღო კომისიამ. დღეს ჩვენი წრე განიხილავს ამ პროგრამას, სადაც მე ბევრი უნდა ვილაპარაკო, რადგან პროგრამა დაწერილია შეკუმშულად და მოითხოვს ზეპირ ახსნა-განმარტებას. პროგრამის შინაარსს ვერ გაცნობებთ, რადგან იგი თან არ მაქვს, ხელიდან ხელში გადადის“ (სეა, სცა, ფ.153, ა. 1, ს. 3202).

ამ სიტყვებიდან არ ჩანს, რომ გვაზავამ პროგრამის სრული ტექსტი დაწერა, ეს უფრო თეზისურ ტექსტს უნდა ჰგვანებოდა, რაზეც შემდეგში ბევრი ადამიანი გამოთქვამდა აზრს, შეიტანდა ცვლილებებს. ამათ შორის ადგილი შესაძლებელია ხელთუფლიშვილიც ყოფილიყო.

პროგრამის საკუთარი ვარიანტი სხვა წრეებსაც წარმოუდგენიათ. განსაკუთრებით საკამათო გამხდარა ვარშავის წრის პროექტი, რომლის ავტორი ნოე ჟორდანიას ყოფილა და მასში მარქსისტული იდეები და კლასობრივ-სოციალისტური მოთხოვნები აჭარბებდა ეროვნულს. ამ მიმართულებას ეროვნული ინტერესების დამცველთა თვალსაზრისმა აჯობა და საბოლოო სახით ორგანიზაციის პროგრამა ძირითადად სწორედ ეროვნული შინაარსით დატვირთულა. მარტო ერის განსაზღვრებაც, რომელიც „ლიგის“ წევრთა ბოლო ყრილობამ მიიღო, ნათლად მიუთითებს

პროგრამის ეროვნულ კონტექსტზე: ერის ძირითად ნიშნებად ყრილობამ მიიჩნია სულიერი ცხოვრების ერთობა, საერთო ენა, მიზნის ერთობა, ისტორიული ნათესაობა, საერთო ტერიტორია.

იყო თუ არა ერთიანი ეროვნული სულითა და მიზნებით შეკრული ორგანიზაცია „თავისუფლების ლიგა“?

ამ ეჭვს მასში ფილიპე მახარაძის, ნოე ჟორდანიასა და სხვა რევოლუციონერების მონაწილეობა აჩენს. ამაზეც განსხვავებული თვალსაზრისებია გამოთქმული. ვფიქრობ, ამ მხრივ ზუსტია ლევან ზ. ურუშაძის მოსაზრება: „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ ნამდვილად მონოლითური, ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი, სწორედ მარქსისტული და სოციალ-დემოკრატიული დოგმებისგან თავისუფალი პოლიტიკური ორგანიზაცია გახლდათ. მისი დღემოკლეობის მიზეზი სრულიად სხვა რამ იყო: მეფის „ოხრანკამ“ სრულიად შემთხვევით მიაგნო ლიგის წევრთა თავშეყრის ადგილს, რაშიც აშკარად ერია ქართველ სტუდენტთა ვარშავის წრის (და არა ლიგის) მარქსისტ წევრთა (ფ. მახარაძე, მ. მირიანაშვილი) ხელი. ორგანიზაციის მკვეთრად გამოხატულ, ყოველგვარი მარქსისტულ-პროლეტარული და რევოლუციური იდეოლოგიისგან შორს მდგომ ხასიათს ადასტურებს საარქივო მასალები“ (ურუშაძე, 2007).

ამ თვალსაზრისს ამტკიცებს ნოე ჟორდანიას მოგონებებიც, რომელიც მოგვიანებით გამოვიდა, მაგრამ ის არ აკონკრეტებს თავის შეხედულებას ამ ორგანიზაციაზე, მისი და სხვა ვარშაველი სტუდენტების „ლიგაში“ მონაწილეობაზე. ჟორდანიას საუბრობს 1893 წლის ამბებზე და წერს: „ამ დროს ჩემი ამხანაგები ვარშავაში, ქართველი და არაქართველი, ყველა დაიჭირეს, მოსალოდნელი იყო ჩემი დაჭერაც, რადგან მათთან მქონდა მიწერ-მოწერა, საჭირო იყო საჩქაროთ გავცლოდი ამ ხიფათს და მაისში ბათუმიდან გავემგზავრე ევროპაში“ (ჟორდანია 1952, გვ. 25).

ის, რომ ჟორდანია ამ გადაწყვეტილების მიღებას უკავშირებს ე. წ. „პიონერთა ჯგუფის“ წევრებს, მარქსისტებს (სილვა, ეგნატე, კარლო, დ. კალანდარიშვილი, ისიდორე რამიშვილი, არსენ წითლიძე), ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ეს ჯგუფი ცდილობდა „თავისუფლების ლიგის“ წევრებისგან გამიჯვნას (ჟორდანია, იქვე)

მართალია, მემუარების გამოსვლისას საფრანგეთში მცხოვრები ავტორი ცენზურისგან თავისუფალი იყო, ჟორდანიას „თავისუფლების ლიგა“ მაინც არ უხსენებია, არადა მისი ვარშაველი მეგობრები სწორედ ლიგის წესდების აღმოჩენისა და ამ ორგანიზაციაში საქმიანობის გამო დააკავეს. ეს ფაქტიც უდავოდ იწვევს ეჭვს იმისას, რომ ვარშავაში მყოფი ქართველ მარქსისტთა წარმომადგენლები კეთილად არ იყვნენ განწყობილნი „თავისუფლების ლიგის“ წევრებისადმი და ჟანდარმერიაში მისი დასმენაც შეეძლოთ. დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარეს უამისოდ არ გაუჭირდებოდა პატრიოტი თანამემამულეების ხსენებაც კი. ისედაც, „თავისუფლების ლიგის“ იდეებისგან გამიჯვნა ქართველ მარქსისტთა ჯგუფმა 1893-1895 წლებში უკვე მოახერხა „მესამე დასის“ ორგანიზაციის დაარსებით.

ორგანიზაცია „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ გეგმავდა საერთაშორისო კავშირების გამოყენებას საქართველოსა და კავკასიის განთავისუფლებისთვის ბრძოლაში. პროგრამის მეორე-მესამე პუნქტში ეს კავშირები და მიზნები ასე იყო დეფინირებული: ორგანიზაციას უნდა მიეღწია ევროპის ქვეყნების გამოჩენილ დიპლომატთა და საზოგადო მოღვაწეთა მხარდაჭერისთვის, თავისი იდეების გასავრცელებლად გამოეყენებინა პრესისა და საკანონმდებლო ორგანოების დეპუტატთა დახმარება. უცხოეთის მხარდაჭერის იმედი ემყარებოდა იმას, რომ, ორგანიზატორების აზრით, საქართველოს მომგებიანი გეოპოლიტიკური მდებარეობა აუცილებლად დაინტერესებდა უცხო სახელმწიფოებს; საქართველო მდებარეობდა დიდ სავაჭრო გზაზე ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის, ამდენად, აქ იკვეთებოდა (იკვანძებოდა) დიდ სახელმწიფოთა როგორც სამხედრო-სტრატეგიული, ასევე ეკონომიკური ინტერესები.

„ლიგის“ პროგრამის II პუნქტით განზრახული იყო იმპერიის ჩაგრულ ხალხებთან - პოლონელებთან, ბალტიისპირელებთან, ფინეთთან - მჭიდრო კავშირი „საერთო მტრის - რუსეთის ცარიზმის - წინააღმდეგ“ (სეა, სცა, ფ. 14, ა. 13, ს. 438).

„თავისუფლების გამოყენების უუნარობას თავისუფლების არქონა სჯობს“ - ასეთი იყო პატრიოტი ქართველი სტუდენტი ახალგაზრდების მტკიცე რწმენა.

საერთაშორისო კავშირების დამყარების ცდა ჩანს „ლიგის“ წევრ სიმონ სალარიძის შესახებ ჟანდარმერიის მიერ მოპოვებული მასალიდანაც. სალარიძე 1894 წლის სექტემბერში დააკავა ოსმალეთის ხელისუფლებამ კონსტანტინოპოლში. გაირკვა, რომ ის ითხოვდა ოსმალეთის ქვეშევრდომობასა და ქართულ ენაზე ჟურნალის გამოცემის უფლებას კავკასიის განთავისუფლების მოსამზადებლად.

ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმერიის სამმართველო ითხოვდა მის ქუთაისში ჩამოყვანას „ლიგის“ საქმეზე დასაკითხად, რაც ვერ მოახერხეს (სეა, სცა, ფ. 153, ა. 1, ს. 3202).

„ლიგის“ ორგანიზატორების მიერ კონსპირაციის იმდენად მკაცრი ზომები იყო მიღებული, რომ, წესდებით, ვინც ლიგის საქმიანობას გასცემდა, სიკვდილით დაისჯებოდა. წესდების ერთი ეგზემპლარი ვარშავის უნივერსიტეტის სტუდენტს, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე მიქაბერიძეს, შერჩენია და ჟანდარმერიას სწორედ ვარშავაში გაგზავნილი ტვირთის გაჩხრეკისას ჩავარდნია ხელთ. მიქაბერიძე დაიჭირეს, მასთან ერთად დააპატიმრეს ვარშაველი ქართველი სტუდენტების ნაწილიც, მათ შორის ფილიპე მახარაძე. თუმცა მიქაბერიძე რეპრესიებს გადაურჩა. იგი საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში განათლების სისტემაში გიორგი ლასხიშვილის მინისტრობის დროს მოღვაწეობდა და გარკვეული წვლილიც შეიტანა ქართული პედაგოგიური აზრის განვითარების საქმეში, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განათლების რეფორმის განხორციელებაში.

„საქართველოს თავისუფლების ლიგის“ წევრები ვარშავაში 1893 წლის აპრილში დააპატიმრეს. მათ ბრალად ედებოდათ პოლონეთში არალეგალური ლიტერატურის შეტანა.

1894 წლიდან დაპატიმრებები დაიწყო რუსეთის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში, ასევე საქართველოშიც, სადაც ორგანიზაციის აქტიური წევრები ცხოვრობდნენ ან საქმიანობდნენ. საქმის გამოძიება ვარშავის ჟანდარმთა სამმართველოს თხოვნით რუსეთის იმპერიის პოლიციის დეპარტამენტმა შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებთან შეთანხმებით ქუთაისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს გადასცა. მასვე გადაეცა ვარშავაში ძიების საქმეზე მოპოვებული მასალები.

საქმის მთავარ გამომძიებლად ვარშავიდან ქუთაისში გადმოიყვანეს და ქუთაისის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსად დანიშნეს პოლკოვნიკი დებილი.

ჟანდარმერია ყველაზე მკაცრი „ლიგის“ აქტიური წევრების მიმართ გამოდგა. მათ შორის იყო ხელთუფლიშვილი, როგორც ორგანიზაციის თავმჯდომარე. ყველა დაპატიმრებულ ექვმიტანილს უსვამდნენ ერთსა და იმავე კითხვას: რა კავშირი ჰქონდა მიხეილ ხელთუფლიშვილთან, იცნობდა თუ არა მას და რა იცოდა მის შესახებ... თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, როდესაც 1894 წლის მეორე ნახევარში დაიჭირეს „თავისუფლების ლიგის“ ქუთაისის ყრილობის ყველა მონაწილე, მათ შორის ხელთუფლიშვილი არ ყოფილა. მისი საცხოვრებელი ბინა ქუთაისში ჟანდარმერიამ გაჩხრიკა, მაგრამ ხელშესახები ვერაფერი იპოვა, ამის მიუხედავად, 1895 წლის იანვარში ის მაინც დააპატიმრეს. სხვა პატიმრებით, მათ შორის ვარშაველი სტუდენტების მსგავსად, ისიც ქუთაისის საპატიმროში ჩასვეს. მძიმე ავადმყოფი, რომელიც ქალაქის საბჭოს ხმოსნად იყო არჩეული და ავადმყოფობის გამო სამსახურებრივ მოვალეობასაც კი ვერ ასრულებდა, ბუნებრივია, საპატიმროს უმძიმეს პირობებს, ქვის ცივ იატაკსა და ზამთრის ყინვიან დღეებში ნესტიან კედლებში ყოფნას, ვერ გადაიტანდა. ასეც მოხდა: პატიმარმა ოთხი თვეც ვერ გაძლო, 23 აპრილს გარდაიცვალა. გარდაცვალების შემდეგ მისი საქმე ძიებამ შეწყვიტა. მასთან ერთად შეწყდა გ. გვაზავას, დ. მდივნისა და თ. სახოკიას საქმეები „ბრალდების სიმცირის“ გამო.

მიუხედავად დიდი ხმაურით დაწყებული გამოძიებისა და საქმის შესახებ იმპერატორის მიერ ინფორმაციის სრულად ფლობისა, 1896 წლის სექტემბერ-ოქტომბერში „თავისუფლების

ლიგის“ წევრთა ყველა საქმე შეწყდა და ბრალდებულები პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გადავიდნენ. მათზე თვალთვალი კიდევ რამდენიმე წელი გრძელდებოდა.

მაინც რა იყო ის მთავარი სათქმელი, რომელიც ახალგაზრდა სამართალმცოდნეს სურდა გამოეხატა თავისი პირველი და, სამწუხაროდ, უკანასკნელი ნაშრომით, რა იყო მასში, რასაც ის ახალგაზრდობა გამოიყენებდა თავისუფლებისთვის მომავალ ბრძოლაში, რომელიც რუსეთისა და ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტიდან გაერთიანდა და „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ ჩამოაყალიბა?

ხელთუფლიშვილის წიგნს იმ დროისთვის სწორი აქცენტების მიუხედავად, დღევანდელი გადასახედიდან კონიუნქტურული სათაური ჰქონდა - „საქართველოს შესვლა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში“. საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში არ შესულა, ის ძალით შეიყვანეს მასში, უფრო სწორად, დაიპყრეს და წაართვეს სახელმწიფოებრიობა, რუსეთის იმპერიის ნაწილად აქციეს. თუმცა ხელთუფლიშვილი გამონაკლისი არ იყო. მაშინ არავინ იყენებდა სიტყვებს: დაპყრობა, ოკუპაცია, რაც იმ ფაქტის იდენტური იქნებოდა, რუსეთმა რომ განახორციელა ქართული სამეფო-სამთავროების მიმართ. ეს ხელთუფლიშვილმაც კარგად იცოდა, რასაც აჩვენებს თავად ამ ნაშრომის კონტექსტი, ასევე მისი შემდგომი მოღვაწეობა, „თავისუფლების ლიგის“ მთელი მიზანდასახულობა და სულისკვეთება. XIX საუკუნის ცნობილი ქართველი მოღვაწეებიც, როდესაც რუს მოხელეებსა და საქართველოში რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას აკრიტიკებდნენ, მინიშნებას ყოველთვის „ნებაყოფლობით შეერთებაზე“ აკეთებდნენ, მიაჩნდათ, რომ ამის გამო ქართველი ხალხი რუსეთის სახელმწიფოსგან, სულ ცოტა, დაფასებას მაინც იმსახურებდა. განსაკუთრებით ეს მოლოდინი ქართველ საზოგადოებას მაშინ გაუჩნდა, როდესაც ამ მნიშვნელოვანი მოვლენის საუკუნოვანი იუბილე მოახლოვდა. ზოგს გულუბრყვილოდ სწამდა, რომ ამ იუბილისთვის მაინც რუსეთის ხელისუფლება საქართველოს მოსახლეობას გამორჩეულად დააჯილდოებდა.

ისტორიკოსი სარგის კაკაბაძე ქართველი ხალხის იმდროინდელ მოლოდინსა თუ მკაცრ რეალობაზე ცოტა მოგვიანებით ირონიულად წერდა: „ქართული თავადაზნაურობის ოფიციალურ წარმომადგენლებს იმედი ჰქონდათ, რომ მსხვილი მემამულური წრეების მხრივ ცარიზმის წინაშე მუცელზე ამდენი ხოხვის შემდეგ პეტერბურგიდან ახლა მაინც მოიღებდნენ საქართველოსთვის რაიმე მოწყალებას. მაგრამ ეს იმედი სავსებით გაცრუვდა. ცენტრალური მთავრობა დაკმაყოფილდა იმით, რომ გაიღო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურთა შვილების აღსაზრდელად 40 ათასი მანეთის შემწეობა წელიწადში და, გარდა ამისა, თავადაზნაურთა შვილებისთვის ადგილები გახსნა კავკავში ახლად დაარსებულ საშუალო სამხედრო სასწავლებელში (კადეტთა კორპუსში). ცხადი იყო, რომ ცარიზმისაგან არავითარი შეღავათი, თუნდაც მხოლოდ ქართული ენის მიმართ, არ იყო მოსალოდნელი“ (კაკაბაძე, 1920, გვ. 210).

პირველი, რაც ამ საიუბილეო კარნავალიას ახასიათებდა, იყო ის, რომ მისი ინიციატივა არა ზემოდან, ანუ რუსეთის საიმპერატორო კარიდან კი არა, ქართველი თავადაზნაურობის მხრიდან მოდიოდა. საიუბილეო დღესასწაულის მთავარი იდეოლოგი იყო თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მაშინდელი წინამძღოლი დავით ზაქარიას ძე მელიქიშვილი, „განათლებული და განვითარებული კაცი, დიდის ტემპერამენტის და ენერგიის პატრონი, გამოჩენილი მჭერმეტყველი, პოლიტიკური რწმენით გულწრფელი მონარქისტი“ (ლასხიშვილი 1992, გვ. 125).

ლასხიშვილის აზრით, მელიქიშვილს სწამდა მეფის სიკეთე და ქართველი ხალხისადმი სიყვარული, ოღონდ მიაჩნდა, რომ მას „ცუდი მოხელეები“ უშლიდნენ ხელს კეთილი ზრახვების განხორციელებაში. ამაში გასაკვირი არც არაფერია, ჩვენი ხალხის მოაზროვნე ნაწილის უმრავლესობა იმპერიის ხანაში ასე ფიქრობდა.

1900 წლიდან დაუწყია მელიქიშვილს საიუბილეოდ მზადება, თავის სახლში იწვევდა თავადაზნაურობის წარმომადგენლებს, ინტელიგენციას, პრესის მუშაკებს, უმტკიცებდა, თუ რა

სიკეთე შეიძლება მიეღო ქართველ ხალხს ამ რევერანსით, 100 წლის თავზე რუსეთისთვის სიყვარულის კიდევ ერთხელ გამოცხადებით. ლასხიშვილი მელიქიშვილთან შეკრებილი ადამიანებიდან რამდენიმეს ასახელებს: არჩილ ჯორჯაძეს, ალექსანდრე ჯაბადარს, ნოე ჟორდანიას („კვალიდან“), კიტა აბაშიძეს, კაკი (ირაკლი) წერეთელს. მას მოჰყავს იმ სიტყვის შინაარსიც, რითაც მელიქიშვილმა მათ მიმართა. ამ სიტყვაში გამოკრთის დღემდე ზოგიერთი ქართველის ცნობიერებაში ჩარჩენილი ცრურწმენა რუსეთის მიმართ, რომ მოფერება-დაყვავებით ეს ქვეყანა ჩვენი სახელმწიფოებრიობის მტერი აღარ იქნება.

„მელიქიშვილმა დიდის სიტყვით მოგვმართა, - წერს გიორგი ლასხიშვილი - დაახლოებით შემდეგი შინაარსისა: თქვენ ხედავთ, რა ამბებშია რუსეთის პრესა და მოხელეობა. ისინი დაჟინებით ლაპარაკობენ ჩვენს სეპარატიზმზე, გვაბეზღებენ მეფესთან და რუსის ერთან. ამიტომაც საჭირო ხმა ამოვიღოთ და გავახსენოთ, რომ საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს. მოვავსოთ, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისათვის ამ შეერთებას: საქართველომ დარიალის კარები გაუღო რუსეთს და ამრიგად, საშუალება მისცა მას - ახლო აღმოსავლეთში ფეხი მოეკიდნა. ამასთანავე, უნდა ვუთხრათ რუსის მეფესა და ერს, რომ საქართველოს სამაგიეროდ არაფერი მიუღია, იმედი გაუცრუვდა და დღეს გადაგვარების გზას ადგია. თქვენ დამეთანხმებით, რომ ყველა ამის თქმას დიდი პოლიტიკური და მორალური მნიშვნელობა ექნება. ხოლო ყველაფრის თქმა შესაძლებელი იქნება, როცა ჩვენ, აგრეთვე ჩვენის ნებით ვიდღესასწაულებთ შეერთების ასის წლისთავს. გარდა ამისა, თქვენ იცით, რომ ამჟამად თავადაზნაურობასა და ქალაქს აღმრული აქვთ სხვადასხვა მნიშვნელოვანი შუამდგომლობა ერობაზე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე და ტფილისში უნივერსიტეტის დაარსებაზე. იმედი მაქვს, თუ ყველა არა, ზოგი შუამდგომლობა მაინც დაკმაყოფილდება თვით ამ დღესასწაულის დროს“ (ლასხიშვილი 1992, გვ. 125).

როდესაც სიონის ტაძარში გადახდილი პარაკლისის შემდეგ მთავარმართებლის სასახლესთან თავმოყრილ ხალხს დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვმა „უმაღლესი რესკრიპტი“ წაუკითხა და ხალხმა იქ მხოლოდ ის „წყალობანი“ მოისმინა, რაზეც კაკაბაძე წერდა დამოუკიდებლობის დროს გამოცემულ „ქართველი ხალხის ისტორიაში“, არა მარტო შეკრებილი საზოგადოება, არამედ თავად-აზნაურთა წინამძღოლიც თურმე გულგატეხილი დარჩა. „მელიქიშვილი გაჯავრებული იყო, - წერს ლასხიშვილი - მოელოდა ერობას, ან უნივერსიტეტს, კიდევ რასმეს ქართველი ერისთვის, ნამდვილად კი რესკრიპტით თავადაზნაურობას ებოძა კადეტთა კორპუსი და რაღაც გროშები“. მას მეფეზე მაინც არ მიუტანია ეჭვი, ყველაფერი კავკასიის მთავარმართებელ გოლიცინს დააბრალა, იმის ჩაგონებით არის დაწერილი ეს რესკრიპტი.

უფრო პირდაპირი და მკაცრი იყო ქართველი ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომელსაც რუსეთისა თუ ევროპის მოწინავე უნივერსიტეტებში ესწავლა და კარგად შეეცნო ლიბერალური და დემოკრატიული ფასეულობების სიკეთე, ზნეობრივი და სამართლებრივი ღირებულებების როლი ქვეყნებისა და ერების განვითარება-წინსვლის საქმეში, მით უმეტეს, დაპყრობილი და დაჩაგრული ხალხისთვის. ამ ახალგაზრდობამ წინააღმდეგობა გაუწია საიუბილეო ღონისძიებას, ჩათვალა, რომ ქართველი ხალხის დამონების თარიღის აღნიშვნა სამარცხვინო იქნებოდა. მათ წერილი მისწერეს დიდ რუს მწერალს - ლევ ტოლსტოის. XX საუკუნის დასაწყისშიც სჯეროდათ ქართველ განათლებულ ახალგაზრდებს, რომ რუსეთში მოუსმენდნენ, თუ ყველა არა, თუ გულქვა მოხელეები არა, ამ ერის ყველაზე დიდი შვილები მაინც, ისეთი, მაგალითად, როგორც ლევ ნიკალაევიჩ ტოლსტოი იყო. მოუსმენდნენ და დაეხმარებოდნენ კიდევ... (ლასხიშვილი 1992, გვ. 128).

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ხელთუფლიშვილის როლსა და ადგილს ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, უპირველესად, მისი ნაშრომის მთავარი აქცენტები

ცხადყოფს. ეს ნაშრომი წინა საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნდა საკმაოდ ავტორიტეტულ რუსულ იურიდიულ ჟურნალში.

ნაშრომის პოლიტიკური კონტექსტი და ავტორის ეროვნული ცნობიერება საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ „ლიგის“ შესაქმნელად საორგანიზაციო მუშაობა მან მოსკოვშივე დაიწყო და სამაგისტრო ნაშრომის თემაც ამ მიზნით აირჩია. ეს ნაშრომი, რომელშიც სამართლებრივად ჩანდა, რომ საქართველოს მიერ რუსეთთან დადებულ არც ერთ ხელშეკრულებაში არ ყოფილა ჩადებული ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება და რუსეთთან მისი შეერთება, ჩვენ ერს უტოვებდა უფლებას - ებრძოლა დაკარგული სახელმწიფოებრივი სტატუსის აღსადგენად. ეს ისტორიული საფუძველი დაეხმარებოდა „საქართველოს თავისუფლების ლიგას“ საკუთარი პროგრამის არგუმენტირებაში, რომელიც ქართველ ხალხთან ერთად კავკასიის ყველა ჩაგრული ერის განთავისუფლებასაც ისახავდა მიზნად.

აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობის პირობებში იმ საკითხზე, თუ ვინ იყო „თავისუფლების ლიგის“ თავმჯდომარე, ჩვენი აზრით, ლოგიკურად მიხეილ ხელთუფლიშვილს უნდა მიეკუთვნოს უპირატესობა. ეს საკითხი სადავოდ აღარ უნდა იქცეს. რაც შეეხება კითხვას, ვინ დაწერა ორგანიზაციის პროგრამა, გიორგი გვაზავასა და სხვებთან ერთად, როგორც საერთაშორისო სამართლის სპეციალისტს, თანაავტორობა მას აუცილებლად უნდა ჰქონოდა.

ამრიგად:

1890 წლიდან დაწყებულ ქართველ სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობას ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის კურსდამთავრებული, მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი მიხეილ ხელთუფლიშვილი ორი მიმართულებით შეუერთდა:

1. მან შექმნა კრიტიკული ნაშრომი, რომლითაც შეცვალა ორ სახელმწიფოს შორის XVIII საუკუნეში გაფორმებული ხელშეკრულებების სამართლებრივი შეფასების ძველი კრიტერიუმები;

2. ხელთუფლიშვილის ნაშრომის პოლიტიკური კონტექსტი და ავტორის ეროვნული ცნობიერება საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ „თავისუფლების ლიგის“ პროგრამისა და წესდების დაწერასა და კარდინალური მნიშვნელობის ცნებათა შემუშავებაში ის აუცილებლად იყო ჩართული... მეტიც: ვფიქრობთ, „ლიგის“ შესაქმნელად საორგანიზაციო მუშაობა მან მოსკოვშივე დაიწყო და სამაგისტრო ნაშრომის თემაც ამ მიზნით აირჩია. ეს ნაშრომი, რომელშიც სამართლებრივად ჩანს, რომ საქართველოს მიერ რუსეთთან დადებულ არც ერთ ხელშეკრულებაში არ ყოფილა ჩადებული ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება და რუსეთთან მისი შეერთება, ჩვენ ერს უტოვებდა უფლებასა და შანსს - ებრძოლა დაკარგული სახელმწიფოებრივი სტატუსის აღსადგენად. ეს ისტორიული საფუძველი დაეხმარებოდა „საქართველოს თავისუფლების ლიგას“ საკუთარი პროგრამის არგუმენტირებაში.

3. მიხეილ ხელთუფლიშვილი გახდა პირველი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაციის „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ თავმჯდომარე. ამ ორგანიზაციის პროგრამა და წესდება მიზნად ისახავდა რუსეთის იმპერიის კოლონიური უღლის გადაგდებას არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი კავკასიისთვის.

ქართულ სამეფო-სამთავროებსა და რუსეთს შორის გაფორმებული დოკუმენტებით ქართველი ხალხის მანიპულირების წინააღმდეგ გამოვიდა ქართველი არისტოკრატიის მოწინავე წრის სრულიად ახალგაზრდა საუკეთესო წარმომადგენელი, რომელმაც 130 წლის წინათ დაწერა იმ დროისთვის გაბედული და ეროვნული სულისკვეთების ნაშრომი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბენდიანიშვილი, ა. (1980). ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921. თბილისი.
2. გაზეთი „ივერია“, (1895). № 86.
3. გაზეთი „კვალი“, (1895). № 20.
4. გაზეთი „საქართველო“, (1921). №29.
5. გიორგაძე, გ. (1928). საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე, 1864-1905. თბილისი. სახელგამი.
6. გიორგაძე, გ. (1929). თვითმპყრობელობა და რევოლუცია, საბუთები რევოლუციონური მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში, 1870-1902. წიგნი I. ტფილისი. სახელგამი.
7. გრძელიძე, რ. (2000). საქართველოს განთავისუფლების ლიგა. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
8. ზურაბიშვილი, ი. (1962). კარგ ქართველთა ხსოვნისათვის. პარიზი.
9. კაკაბაძე, ს. (1920). ქართველი ხალხის ისტორია. თბილისი.
10. ნიკოლაძე, ნ. (1984). მოგონებები. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
11. ლასხიშვილი, გ. (1992). მემუარები. თბილისი. გამომცემლობა საქართველო.
12. ჟორდანიას, ნ. (1952). ჩემი წარსული. რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა „სარანგი“
13. სახოკია, თ. (1984). ჩემი საუკუნის ადამიანები. თბილისი.
14. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, სეა, სცა, ფ. 14, ა. 13, ს. 438.
15. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, სეა, სცა, ფ. 153, ა.1, ს. 3202.
16. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, სეა, სცა, ფ. 1863, ა.1, ს. 995.
17. ურუშაძე, ლ. (2007). გიორგი დეკანოზიშვილის პოლიტიკური ბიოგრაფიისათვის ("საქართველოს თავისუფლების ლიგა" და "საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტია", 1890-1906). ჟრნალი "საისტორიო ვერტიკალები", N 13, თბილისი.
18. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (1987). ტ. 11. თბილისი..
19. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, (ქიმ). ფონდი 6416.
20. შველიძე, ზ. (1969). რევოლუციური ორგანიზაცია „თავისუფლების ლიგა“. თბილისი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
21. ჭუმბურიძე, დ., კიკნაძე, ვ., ქოქრაშვილი, ხ., სარალიძე, ლ. (2016). საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების მიხედვით). წიგნი I. გამომცემლობა მერიდიანი. ხელთუფლიშვილის ტექსტი თარგმნა მირანდა ტყეშელაშვილმა.
22. ჭუმბურიძე, დ. (2008). ისტორიული პორტრეტები, დასაწყისი XX საუკუნისა. თბილისი. უნივერსალი.
23. ჯავახიშვილი, ი. (1919). დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში. თბილისი. ქართული კლუბის გამოცემა.
24. „Юридический Вестник“, 1891 წ., № 7-8, _ ჟურნალი „Юридический Вестник“, 1891 წ., № 7-8.

Mikheil Kheltuplishvili: Unknown Details of Life and Activities

Chumburidze Dodo

Ivane Javakhishvil Tbilisi State University,

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

Summary

In 1901, the Georgian nobility celebrated the 100th anniversary of Georgia's accession to Russia to please the Russians. The same year, a book - "Georgia's entry into the Russian Empire" - written in Russian by Mikheil Kheltuplishvili, 26, a national movement activist, who was later killed in prison, was published in Kutaisi. In addition to this single but significant research, Mikheil Kheltuplishvili's name is entered in the

historiography of Georgia for his outstanding contribution to the national liberation movement led by students: he was the chairman of one of the first national youth-revolutionary organizations - the Liberty League of Georgia. However, not all researchers agree to this view.

Based on various sources and scientific papers, the article clarifies the details of his biography and offers arguments for the fact of the chairmanship of the Liberty League and the authorship of its programme. The article concludes:

1. He created a critical work that changed the old criteria for the legal evaluation of treaties between the two nations in the eighteenth century;
2. The political context of the paper and the national consciousness of the author allow us to suppose that he was actively involved in writing the programme and charter of the Liberty League and in developing concepts of cardinal importance ... He confirmed that none of the treaties signed with Russia implied the abolition of Georgian statehood and its entry in the Russian Empire, which gave our nation the right to fight for the restoration of the statehood.
3. Mikheil Kheltoplishvili became the chairman of the Liberty League of Georgia, the programme and charter of which served to shed the colonial yoke of the Russian Empire, not only in Georgia but throughout the Caucasus.

პიეტა და ქართული ბაროკო

საბა მეტრეველი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

გოლგოთის მისტერია სამყაროს თვითლუსტრაციად იქცა. „კაცობრიობამ გოლგოთაზე გაასამართლა ქრისტე ღმერთი, მაგრამ გოლგოთაზევე გასამართლდა კაცობრიობა. აქ დასრულდა ადამის მოდემის ქრისტიანობამდელი ისტორიაც. მოხდა დაცემული ადამის აღდგინება, ქრისტეში ადამიანის ღმერთთან შეერთება, ცოდვების წარბოცვა, სიცოცხლის განახლება“ (ეგზეგეტიკოსი, 2003, http://www.orthodoxy.ge/tserilebi/sitkva_jvridan_7.htm).

ქრისტიანულმა ეკლესიამ ცრემლიანი საგალობლებით გამოხატა ჯვარცმასთან მდგარი დედის ტანჯვა - ეს „მარადის სახსენებელი და განსაცდელი საკვირველი ვნება ქრისტესი“ სრულადაა ასახული ტრიოდში. ვნების შვიდეულის დიდი პარასკევის ცისკრის საკითხავიდან (ხმა ა) მოისმის სიტყვები: „გხედვიდა ძელსა ზედა დამბადებელსა დამსჭვალულსა და ჰხმობდა მშობელი შენი: სადა არს, ძეო ჩემო, შვენიერება შენი განუცდელი, ვერ თავს ვიდებ უმსჯავროდ მოკვლასა შენსა, ტკბილო“ (ტრიოდის, 1901, გვ. 536.). ჯვრიდან გარდამოხსნილი იესოს წმინდა სხეულს მიახლებული მარადქალწული მარიამი კი, საეკლესიო საგალობლის მიხედვით, ასე გოდებდა: „შენთანა მოვკუდები, რამეთუ ვერ ვიტვირთავ ხილუად, შვლო, ნაკადულსა მაგას ყოვლადუბიწოთა სისხლთა შენთასა... ვერ თავსვიდებ მე უწმობასა შენსა, რომელსა გაწოებდ ჩჩვლებრ წიაღთა ტვრთულსა, უკუეთუ ჰშთახუალ ჯოჯოხეთს ადამის მიმართ, ჰშთამოგყუე მეცა და ევას მიუთხრნე საიდუმლონი“ (იქვე, 557).

პიეტას თემაზე ბაროკოს ეპოქის ქართულ მწერლობაში (XVII-XVIII სს.) არაერთი ნაწარმოები შეიქმნა. ერთ-ერთი პირველი, რომელმაც პიეტას თემა შემოიტანა ქართულ მწერლობაში, **სულხან-საბა ორბელიანი** იყო. მისი ქადაგება **„სწავლა ქრისტეს ვნებისათვის და გლომასათვის სულისა“** განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია რამდენიმე თვალსაზრისით: ჯერ ერთი, მასში დაუფარავადაა გაკიცხული უმსგავსო ტირილი და გლოვა მიცვალებულისა. ავტორი მოსე წინასწარმეტყველს იმოწმებს და შეგვახსენებს, რომ „არა ბოროტად სტიროდეთ მკვდართა თქვენთა“, რომ დღედაღამ გოდება, თავში ხელის შენა, თმათა და წვერთა წეწა, ღაწვთა ხოკა, ძაძით შემოსვა, მშიერ-მწყურვალი გდება არის რჯულისა და წინასწარმეტყველთა მცნების საწინააღმდეგო ქმედება. სულხან-საბამ კარგად იცის, რომ **„მოყვარულ არს ერი ესე გლოვისა და ტირილისა“** (ორბელიანი, 1963, გვ. 131). სწორედ ამიტომ ვნების პარასკევს გვაუწყებს „საგლოველ“

ამბავს და მოგვახსენებს „საქმეს სატირალს“; რომ „დამზადებული შენი ქრისტე და მისგან გამოხსნილი სული ორნივე მკვდარნი გისხენან“ (იქვე, 134). სულხან-საბა მიჰყვება კანონიკური სახარების ნარატივს და შეგვახსენებს: შუალამისას როგორ გაიცა მოციქულისგან ქრისტე და გაიყიდა მოწაფის მიერ; როგორ შეიპყრეს, შეკრეს და სცემეს უწყალოდ, მერე როგორ მიიყვანეს კაიაფას ეზოში; როგორ შეურაცხყვეს, დასცინეს, როგორ დაადგეს ეკლის გვირგვინი და როგორ მიატოვა ყველამ. ამის შემდეგ ავტორი შეგვახსენებს ქრისტეს მიყვანას პონტოელ პილატესთან; გვიცოცხლებს მისი დასჯისა და ჯვარცმად წაქცევის სურათებს: გულისტკივილით გვიყვება, თუ როგორ შემოატარეს მთელი ქალაქი განშიშვლებულს. ამ კონტექსტში მთავარ პერსონაჟად სულხან-საბა ორბელიანს უკვე შემოჰყავს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, რომელმაც არაფერი იცოდა, შინ ღოცულობდაო და, როცა ესმა ხმა განკიცხვისა ძისა *მისისა, „გამოიჭრა, ვითარცა განხლებული; იზახებდა, ვითარცა ლომი ლეკვისა მოშორებული; მორბოდა, ვითარცა ირემი ნუკრ-წარტყვენილი; ეწეოდა ძესა თვისსა საყვარელსა და იცემდა ძლიერად მკერდსა თვისსა და ტიროდა მწარედ და გოდებდა მწუხარედ, ძრწოდა დაუწყნარებელად და ილაღვებოდა სასტიკად, ვინამთგან ეწია და იხილა ძე თვისი საყვარელი, განშიშვლებული, ყელჯაჭვიანი, კელსაბელიანი, მკართა ზედა ჯვარი ეტვირთა და მიაქვნდა და დამძიმებული დაეკვეთებოდის ქვეყანასა ზედა და სცემდეს უწყალონი ჰურიანი. ამის მხილველი მარიამ შემფოთებული ზარის საკდელ-ქმნილიყო და მტკივნეულ იყო გული მისი, შეიწვებოდეს ნაწლევნი მისნი“* (ორბელიანი, 1963, 132).

არც მანამდე და არც შემდეგ ქართულ ლიტერატურაში ასე მძაფრად, ექსპრესიულად, სულისშემძვრელად არავის დაუხატავს ყოვლადწმინდა დედის განცდები. ტრაგიკულ სურათს სიმძაფრეს მატებს და ვიზუალურ კადრებად აქცევს ზმნათა სიხშირე: „გამოიჭრა; იზახებდა; მორბოდა; ეწეოდა; იცემდა; ტიროდა; ძრწოდა; გოდებდა; ილაღვებოდა“. ამ საშინელი სცენის ბოლოს კი თავად შეძრწუნებული ავტორი დასძენს, რომ მარიამს „ელმოდა მუცელი მწარედ, და დაბნელდებოდის ნათელნი მზისანი, მიჰყდის ცნობასა და დაეცის ზედასა-ზედა დაბნედად და აღადგინიან დედათა მათ“ (იქვე, 133). გულწასული, ცნობიერებადაკარგული დედა ღვთისა, რომელიც შედარებულია „ლომს, ლეკვისა მოშორებულს“ და „ირემს, ნუკრ-წარტყვენილს“, მხოლოდ დედების დახმარებით ახერხებს წამოდგომას, უკან მიჰყვება კაცობრიობის მხსნელს - საკუთარ შვილსა და ღმერთს „სახითა ნაღვლიანითა“.

აქვე სულხან-საბა ორბელიანი გააცოცხლებს გოლგოთის პასაჟებს, თუ როგორ გააკრეს ჯვარზე იესო, როგორ „დამსჭვალნეს კელნი და ფერკნი“. სწორედ ამის შემდეგ ავტორი გადმოგვცემს ყოვლადწმინდა დედის მწუხარე სულით, აღტყინებული გულით, ტირილითა და გოდებით ნათქვამს. ქადაგების მიხედვით, ღვთისმშობელი ქრისტეს დაიტირებს ჯვარზე გაკრულს. მისი ეს დატირება ერთდროულად ეხმიანება კანონიკურ საგალობელსა და ხალხური ინტონაციური ჟღერადობაც მოისმის ამ სულისშემძვრელი ტექსტიდან:

„ჰოო, ძეო ჩემო საყვარელო, ვითარ გხედავ შენ?

შვილო, შვილო, მხიარულებო ჩემო, რა-მე ვყო?

ნათელო თვალთა დედისათაო, დამიბრმო/ თვალთა ნათელი გვირგვინმან ეკლისამან, რომელი გწერტს თავთა შენთა!

შვილო ჩემო, შვილო ჩემო, ყოველთა შესავედრებელო, ვისსა-მე მივივლტოდე მეხვამიშნესა თანა?

განმეცემიამ ღვიძლთა სამსჭვალნი კელთა და ფერკთა შენთანი. ვინ მოიხებს საზარელსა ამას საქმესა?

სადა ვეძიო შემწე წყალობისა ჩემისა, რომელსა განმიპობს გულსა ლახვარნი გვერდისა შენისანი?

ვაჲ არს ჩემდა, ძეო-ჩემო, სმენით და ხილვით! გხედავ შენ ჯვარსა დამოკიდებულსა და ვერარას გარგებ;

გელმიან, შვილო, კელნი და ფერკნი და არ ძალ-მიც კურნება;

სავსე ხარ ტკივილითა მწართა და ვერა შეგეწევი;
გხედავ ავაზაკთა შორის მოკიდებულსა და ვერა გარდამოგხსნი!
გხედავ გვერდგანლებულსა და წამალსა ვერა დაგდებ;
გხედავ მწყურვალსა და არა მაქვს წყალი, რათამცა გასვა, ხოლო უსჯულონი გასმევენ
ნაღველსა და ძმარსა აღრეულსა.

ვამ, საწყალობელსა დედასა: წარვიდე წყალთა მოღებად, ვინა უწყის, ვერღარა მოგისწრო,
ვიდრე სიკვდიმდე?!

რა-მე ვყო შეიწრებულმან?“ – ესრეთ მწართა ტირილითა ვაებდა მარიამ და ღაღადებით
ხმოზდა.

ძე სისხლითა ჯვარსა ღებავდა, ხოლო დედა ცრემლითა რცხიდა;

ძე მოწყლული კვნესოდა, ხოლო დედა შემწვარი ვაებდა“ (ორბელიანი, 1963, გვ. 133).

თავისი სტრუქტურით, შინაარსითა და განცდის რეგისტრით ეს სულის გლოვა
დავალებულია ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი თეოფანე გრაპტოსის ყოვლადწმინდა
ღვთისმშობლის გოდებით, რომელიც დიდი პარასკევის მსახურებაშია ჩართული („წმიდასა და
დიდსა პარასკევსა მწუხრად. კანონი ჯუარცმისათვის უფლისა გოდებასა ყოვლადწმიდისა
ღმრთისმშობელისასა“). „გალობანი გოდებისათვის ღმრთისმშობელისა“, ბუნებრივია, სრულდება
ვნების (დიდ) პარასკევს გარდამოხსნის წინაშე შუა ტაძარში (მწუხრის ჟამნის ბოლოს
საკურთხევიდან შუა ტაძარში გამოაბრძანებენ გარდამოხსნას, რომელსაც წინდაწინ
გამზადებულ ლუსკუმზე დაასვენებენ) და არა „განსაკუთრებული მნიშვნელობის
დღესასწაულზე (ძნელი წარმოსადგენია, სადღესასწაულო დღე იყოს დიდი პარასკევი - ს. მ.)...
შესაბამისი ხატის - ჯვარცმის ან ღვთისმშობლის გამოსახულების - წინ“ (ხაჩიძე, 2000, გვ. 153).
ძელისაგან გარდამოხსნილი მაცხოვრის დატირებას თითქმის ახსნას უძებნის ჰიმნოგრაფია: „**ჯერ-
არს, რათა მარადის ვიხსენებდეთ და განვიცდიდეთ საკვირველებით ვნებათა ქრისტესთა**“
(ტრიოდონი, 1901, გვ. 55). სწორედ ამ კონცეფციითაა შექმნილი სულხან-საბა ორბელიანის
„სწავლა ქრისტეს ვნებისათვის და გლომსათვის სულისა“. ტექსტის ემოციურ ფონს ამძაფრებს
ტირილის ფორმულები:

„შვილო, შვილო;

შვილო ჩემო, შვილო ჩემო;

ვამ არს ჩემდა;

ვამ, საწყალობელსა“.

გამეორების ხერხი, რომელსაც მიმართავს ავტორი, მართლაც, ნათლად წარმოაჩენს
„შემწვარი დედის მწარე ტირილით“ ვაებას. მკითხველის თვალწინ ცოცხლდება პორტრეტი
ღვთისმშობლისა, რომელიც შეძრულია კაცთა მოდგმის გაუგონარი სისასტიკითა და უმეცრებით.
მის დიდ ტკივილს თან ახლავს სრული უმეცობის განცდა, რომ არ შეუძლია დაეხმაროს,
შეუმსუბუქოს ტკივილები, მწყურვალ შვილს წყალი მიაწოდოს. ღვთისმშობლის ეს მწარე ვაება
დატვირთულია კითხვითი წინადადებებით, რომლებშიც ვლინდება უსაზღვრო სევდა, ტკივილი,
თანაგანცდა და თანალმობა.

როგორც ვთქვით, სულხან-საბას ასეთი „მწარე ტირილით ვაება“ ეხმიანება დიდი
პარასკევის საკითხავს „გოდება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა“. თვალსაჩინოებისთვის
წარმოვადგენ პარალელებს ამ ორი ტექსტიდან:

სულხან-საბა ორბელიანი	გოდებად ღმრთისმშობლისად
<p>ჰოდ, ძეო ჩემო საყვარელო,</p> <p>სამსჭვალნი ხელთა და ფერხთა შენთან</p> <p>ნათელო თვალთა დედისათაო.</p> <p>განმიპობს გულსა ლახვარნი გვერდისა შენისანი?</p> <p>გელმიან, შვილო.</p> <p>სავსე ხარ ტკივილითა მწართა და ვერა გეწევი.</p> <p>ვაებდა მარიამ და ღაღადებით ხმობდა.</p>	<p>ჰ, ძეო და ღმერთო ჩემო. სახვეველთა წილ სიდონნი გმოსიან, ჰ ძეო ჩემო.</p> <p>აწ ჯთარ მიგაწვინო საფლავსა ვითარცა მკუდარი, ჰ ძეო ჩემო. დიდებისა, ჰ ძეო ჩემო.</p> <p>სამსჭუალითა დაემსჭუალე</p> <p>ჰ, ნათელო ჩემო.</p> <p>ვითარ ესე განვლო მახვლმან შენმან მგ ზებარე გული ჩემი.</p> <p>გელმოდენ ჩემთვის, კეთილ-სახეო.</p> <p>ვერ თავს-ვიდებ მე ტკივილთა საღმობისათა.</p> <p>უბიწო დედად გოდებით ჰღაღადებდა.</p>

„შვილო ჩემო, შვილო ჩემო“ - როგორც დატირების ინტონაციის შემცველი, გაორმაგებული ემოციის გამომხატველი მოთქმის ფორმულა უცხოა „გოდებისათვის“ და საკუთრივ საბასეულია; „ვამ არს ჩემდა“ - შორისდებული „ვაი“ არ გვხვდება ღმრთისმშობლის დატირებაში; არც „ჯვარსა დამოკიდებულსა“ იპოვება „გოდებაში“. მასში „დამოკიდებული“ ორჯერაა გამოყენებული. „ჯვარის“ ნაცვლად „ძელია“ მოხსენიებული: „დამოკიდებული თხემისა ადგილსა“ და „ძელსა დამოკიდებულ არს მკუდარი“.

შემზარავი დიდებულებით შექმნა სულხან-საბამ მგლოვიარე დედის ტრაგიკული სახე. მწერლის სულის გლოვა თანაგრძნობა კი არა, ტკივილამდე მისული განცდაა, გასაოცარი უშუალოებითა და გულწრფელობით შეფასებული რეალურ დროში. სულხან-საბა ორბელიანმა შეძლო „შვილის წამებით გამოწვეული დედის უსაზღვრო მწუხარების“ (ზარამიძე, 2005, გვ. 146.) პოეტური პროზით გაცოცხლება.

სხვათა შორის, სულხან-საბა ამავე სწავლაში („ქრისტეს ვნებისათვის და გლომსათვის სულისა“) გამოხატავს საკუთარ განცდებსა და გვაძლევს გოლგოთის მისტერიის შეფასებას. აქ მწერალი-მქადაგებელი ხატავს იმ შემზარავ სურათს, რომელიც გოლგოთაზე გაცხადდა:

„პირველი მკვდარი, რომელსა ხედავთ ჯვარსა ზედა განშიშვლებულსა, – ქრისტე, რომელი მოკვდა თქვენთვის და, /ვითარ მოკვდა, განიხილეთ: არა თუ ცოდვა რამე აქვნდა თავით თვისით, არამედ ცოდვათა ჩვენთათვის მოკვდა და, ოდეს მოკვდებოდა, მას ღამესა ილოცვიდა ჩვენთვის, ვიდრე შუა ღამედმდე ზე დგომით და დავარდის ზედასა-ზედა, პირსა ზედა საღრმთოსა, ვიდრე ოფლნი მისნი იქმნა, ვითარცა სისხლი. შუა ღამესა ოდენ განიცა მოციქულისაგან და განისყიდა მოწაფისა მიერ და შეპყრობილ იქმნა ჰურიათაგან. სცემდეს უწყალოდ და შეჰკვრიდეს საბლებითა და მიათრევდეს, ვითარცა ძვირის მოქმედსა და სცემდეს მძილვითა. მიიყვანეს ეზოსა კაიაფასა და განაშიშვლეს და დააბეს/ სვეტსა ზედა და სცემდეს შოლტითა რომელიმე ლერწმითა, რომელიმე ჯურთითა, რომელიმე ეკლითა, რომელიმე კვერთხითა და დასდვნეს წყლულებანი მრავალნი, რომელსა არა დაშთა ტყავი მრთელი. სხვანი აგინებდენ, სხვანი განზასრევდენ, სხვანი ეკიცხოდენ, სხვა პირსა ნერწყვიდა, სხვა ყვრიმალსა სცემდა, სხვანი ეკლის გვირგვინსა დაადგმიდეს, რომლისა საწერტელნი შეჰკდეს, ვიდრე ტვინამდე. მოციქულნი ივლტოდეს, მოწაფენი დაიმაღლნეს, ცრუ მოწამენი შეკრბნეს, მაყვედრებელნი განმრავლდეს“ (ორბელიანი, 1963, გვ. 132).

ამავე ეპოქაში შეიქმნა ვახტანგ მეექვსის ელეგია „ვამ, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა!“. მეფე-პოეტი მიჰყვება სახარების ტექსტს, მშრალად, სქემატურად გადმოგვცემს ათასისთავის, მხედრებისა და იუდეველთა წინამძღოლების მიერ შეპყრობილი იესოს „გასატანჯველად“ მიყვანას გადამდგარ მღვდელმთავარ ანნასთან, რომელიც იყო კაიაფას სიმამრი (როგორც იოანე ღვთისმეტყველი ამბობს: „მიიყვანეს იგი პირველად ანნასა, რამეთუ იყო სიმამრი კაიაფასი, რომელი იყო მღვდელთ-მომღუარის მის წელიწადისა“ (ინ.18:13). პოეტი შეძრწუნებულია და საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატავს სიტყვებით: „შურით აღივსნენ; ზრახვიდენ უწესოდ; უსჯულო მოწაფე“ - ამ გზით იქმნება შურით აღსავსე გონებაგაუხსნელთა ვერაგობით 30 ვერცხლად გაყიდული უდანაშაულო იესოს ცემის სურათები და უბრალო უდანაშაულო შვილის წამებით გამოწვეული დედის ტკივილი რეფრენად გამოყენებული ტაეპით:

*„შურით აღივსნენ უგბილნი, წესი ქმნეს მათის მამისა,
სიკვდილს ზრახვიდენ უწესოდ, თუ დრო დაიცენ ჯამისა,
უსჯულო მისი მოწაფე მიცემას ჰპირავს ამისა,
ვამ, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა!
მტილში მიუძღვა კრებულთა საწუხი ყოვლის გვამისა,
მღვდელთ-მომღვრის პალატს მივიდნენ გასატანჯველად, ვა, მისა,
ბრალი ვერ პოვეს მის ზედა, კვლავ სცემდნენ წამ-და-წამისა,
ვამ, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა!“*

(ვახტანგი, 1947, გვ. 4).

ვახტანგ მეექვსის ეს ორსტროფიანი ლექსი აღწერითია. მასში ამბის თხრობა სჭარბობს და არ ჩანს საკუთრივ ღვთისმშობლის მიერ პირველი პირით გადმოცემული განცდანი. თავად ავტორიც უფრო დისტანცირებული და თავშეკავებულია. ამიტომ, შესაძლოა, ლექსი არც ჩაითვალოს პიეტას გამოძახილად ქართულ მწერლობაში, რადგან მასში არ გვხვდება საკუთრივ მარადქალწულის დატირება და მხოლოდ რეფრენად გამოვრებული „ვამ, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა“ ქმნის შვილის წამებით შეძრული დედის პორტრეტს. თავად ეს ტაეპი თეოფანე გრაპტოსის „ღვთისმშობლის გოდებიდანაა“ შემოსული ლექსში:

„ვითარ ვიტვირთო ტკივილი ნაწლევთა, შვილო“. იგივე ტაეპი გვხვდება სულხან-საბასთანაც: „შეიწვებოდეს ნაწლევნი მისნი“.

ასეთი იყო ტრადიცია პიეტასი, რომელიც წინ უსწრებდა დავით გურამიშვილის პოეზიას. მისი „ტირილი ღვთისმშობლისა“ ერთგვარი გაგრძელებაა ქართულ მწერლობაში შემოჭრილი პიეტას მოტივისა. კორნელი კეკელიძის აზრით, „ამ ელევგიაში მთელი სიგრძე-სიგანით გამოხატულია უნუგეშო გრძნობა დედისა (ღვთისმშობლისა), რომელიც ხედავს მტერთაგან განგმირულ ერთადერთ შვილს (მაცხოვარს). დასტირის უდროოდ დაკარგულ ძვირფას არსებას და აღშფოთებულია ადამიანთა უმადურობით“ (კეკელიძე, 1981, გვ. 653). ტიტე მოსიას მიხედვით, „მაცხოვრის დედის წარმოსახვით დავით გურამიშვილმა გამოხატა თავისი დიდი ადამიანური დამოკიდებულება, სიყვარული და თანაგრძნობა, საერთოდ, დედათა, უწინარესად შვილებდალუპულ დედათა მიმართ“ (მოსია, 2005, გვ. 388).

როგორც ცნობილია, პიეტას უკავშირდება მთავარი შეკითხვა: როდის დაიტირა ღვთისმშობელმა ქრისტე?! ერთმანეთისგან გამიჯნეს **გარდამოხსნა** და **საფლავად დადება**. ზოგი ფიქრობს, რომ დატირება გარდამოხსნისთანავე მოხდა. სხვა თვალსაზრისით, წმინდა მარიამის გოდება ქრისტეს სხეულის გადატანის შემდეგ აღსრულდა და წინ უსწრებდა უშუალოდ საფლავად დადებას. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ, დავით გურამიშვილის მიხედვით, ღვთისმშობელი იესოს დაიტირებს ჯვარცმის წინაშე და არ მოიაზრება ძელისგან გარდამოხსნილი ან საფლავსა ზედა დადებული ქრისტე, რადგან ლექსი ერთმნიშვნელოვნად გვიდასტურებს, რომ, როდესაც მარიამმა დაინახა ეკლის გვირგვინით მოსილი, შიშველი, გაკიცხებული, ჯვარზე ხელ-ფეხ მიკრული, „გვერდსა ლახვარიც ხეხული“ თავისი ძე, ათრთოლდა, ზარით დაეცა, გახდა ვით დამარცხებული“. გარდა ამისა, პოეტი გვაუწყებს, რომ:

„რა ესმა დედის ტირილი ძეს მიკრულს ჯვარსა ზედაო,
შაემულაბნა მშობელი და მისკენ გადმოხედაო“.

(გურამიშვილი, 1964, გვ. 32).

და, რაც მთვარია, ლექსის ფინალში ღვთისმშობლის დატირების შემდეგ ნათქვამი: „ჯვარით გარმოხსნეს, წარგრაგნეს არმენაკითა წმინდითა; დამარხეს, კარი საფლავთა დახურეს ქვითა დიდითა“. ამდენად, ქართულ რეალობაში ღვთისმშობლის ტირილი სრულდება უშუალოდ ჯვარცმის წინაშე.

დავით გურამიშვილი თავის ლექსს „ტირილი ღვთისმშობლისა“ მიმართვის ფორმით იწყებს: „მოდით, შვილმკვდარხო დედანო, შეიყარენით!“ აქ საინტერესოა ერთი პასაჟი, რომ სხვათა შემწყნარებელი ქალწული მარიამი ახლა სწორედ შვილმკვდარმა დედებმა უნდა შეიწყნარონ, რომ ჯვარცმულის დედის ტირილმა მათაც ცრემლები გარდმოყრევიან და ეს თანაგრძნობის ცრემლები იქცევა სულის ნუგეშად, გულის ჭირის განდევნად. „ავტორმა „ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის გოდება შვილის ჯვარცმის გამო კოსმიურ განცდებამდე აიყვანა“ (სულავა, 2014, გვ. 235.). დავით გურამიშვილი ხატავს ათრთოლებული, ზარდაცემული, მწარე სახმილით მოდებული, დადაგული, გულ-ღვიძლ დამწვარი, სიცოცხლე გამწარებული, „დაწვთა სისხლითა მღებარე“ ღვთისმშობლის პორტრეტს, რომლის გოდებაც ცას ძრავს:

„ვაიმე, თვალთა ნათელო, სხიო მის მზეთა მზისაო!
სახით ვით ნორჩო, ნაყოფით ძირ-კეთილ, შრტოვ ვაზისაო,
გამარკვეველო, გამწმენდო, მნათობო ბნელის გზისაო,

შენ იყავ ჩემი გამღები სამოთხის კართ რაზისაო“.
(გურამიშვილი, 1964, გვ. 32).

აქ პირდაპირაა გამოხატული ქრისტეს დატირების ცნობილი მოტივი. ჩვენ თვალწინ ცოცხლდება მიქელანჯელოს ზემოხსენებული ქანდაკებაც:

„მშობელსა თვისი შობილი, დაჭრილი, გულგაპოვილი
წინ ედვა მუხლზედ მკვდარია, ზდიოდა სისხლის ღვარია“.
(გურამიშვილი, 1964, გვ. 159-160).

„ტირილი ღვთისმშობლისა“ ჩართულია ე. წ. „ქართლის ჭირში“. გურამიშვილი ქვეყნის უბედურებას (მტერთა თარეშსა და შინაურ აშლილობას) ქართველთა პიროვნული ცოდვის გახშირების ბუნებრივ შედეგად მიიჩნევს. დასკვნა ასეთია: „მათ ღმერთსა სცოდეს, ღმერთმან მათ პასუხი უყო ცოდვისა“. ქრისტეს გაწირვის ცოდვაში ადამიანური ბრალი ქართველებმაც უნდა მიიღონ თავიანთ თავზე. ამიტომ ქრისტეს დატირება გაწმენდის გზაა და ამდენადვეა საგულგებელი დავით გურამიშვილიც ქრისტეს დამტირებლად“ (სირამე, 1992, გვ. 176).

რა თქმა უნდა, ღვთისმშობლის ტირილის გურამიშვილისეული ვერსია პირდაპირაა დავალებული საკითხავით „წმიდასა და დიდსა პარასკევსა მწუხრად. კანონი ჯუარცმისათვის უფლისა გოდებასა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისასა“. საილუსტრაციოდ ორ პასაჟს მოვიხმობ:

„გოდების“ მიხედვით, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მიმართავს თავის ძეს:
„უკუეთუ ჰმთახუალ ჯოჯოხეთს ადამის მიმართ, ჰმთამოგყუე მეცა და ევას მიუთხრნე საიდუმლონი“ (ტრიოდioni, 1901, გვ. 557).

დავით გურამიშვილი კი ამ სიტყვების ასეთ ინტერპრეტაციას გვთავაზობს:

„ძეო, შენს უწინ გენუკვი ჩემს სულის ამორთმევასა!
გემუდარები, ნუ მიზამ შენ მე ამაზედ თნევასა;
მომკალ, წინაწინ წავიდე, შენი ვახარო ევასა;
იესო მოვა, დაგიხსნის, მორჩები პირველს წყევასა“.

(გურამიშვილი, 1964, გვ. 33).

გარდა ამისა, გურამიშვილის ლექსის მიხედვით, ჯვარზე გაკრულ მაცხოვარს მისწვდება დედის გოდება და სანუგეშოდ ეტყვის: „ეჰა, ნუ მტირი დედაო!“. ეს პასაჟიც „ღვთისმშობლის გოდებიდან“ (გალობა თ) მომდინარეობს: „*ნუ მტირ მე, დედაო, მხილველი საფლავსა შინა*“ და „*ნუ მტირ მე, დედაო ჩემო, მკუდარებრ საფლავსა შინა*“.

ამასთანავე, ვახტანგ მეექვსის ელეგიის ერთი ტაეპი: „*ვაჲ, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარამისა!*“ გურამიშვილთან ასეთ ვარიანტად ჩამოყალიბდა: „*ჩემნი იწვიან ნაწლევნი*“.

„ტირილი ღვთისმშობლისა“ მოთავსებულია ორ ლექსს შორის: „ჯვარცმის ამბავი“ და „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“. ეს ლექსები თითქმის იმეორებს ერთმანეთს. უფრო თხრობითი ინტონაციის შემცველია პირველი, რომელშიც გადმოცემულია მაცხოვრის მიერ სასწაულებრივი განკურნებანი, წყლის ღვინოდ გადაქცევა, გაცოცხლებულია 30 ვერცხლად გაყიდვა, ბარაბაზე გაცვლა, ჯვარზე წამება და გარდამოხსნა. ეს მოტივები მეორდება მეორე ლექსშიც „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“, მაგრამ აქ უკვე შემოდის მოთქმა-გოდების

ინტონაცია - ესაა თავად ავტორის ტირილიც. ლექსის ყოველი სტროფი იწყება სიტყვებით: „ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო“ და მთავრდება ტაეპით: „დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო“ - ეს უკანასკნელი პირველი ლექსის დასასრულს სამჯერ მეორდება და ამით გამოიკვეთება ამ ორი ლექსის ლირიკული ლაიტმოტივი (სირამე, 1992, გვ. 177).

გარდა ამისა, სტრიქონები სიტყვა-სიტყვითაა გამეორებული და შეცვლილია მხოლოდ პირი. ჯვარცმის ამბავში მესამე პირითაა საუბარი, ხოლო მოთქმაში - „მეორე პირითაა ეს უშუალობა გადმოცემული“ (ბარამიძე, 2005, გვ. 8).

„მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“ სამეცნიერო ლიტერატურაში, ტრადიციულად, ელევგიურ ნაწარმოებად მოიხსენიება, ლაურა გრიგოლაშვილი კი „სინანულის საგალობლად“ მიიჩნევს (გრიგოლაშვილი, 2018, გვ. 308). ლექსი მიჰყვება ჯვარცმის სახარებისეულ ნარატივს, თუმცა მოთქმის წყარო „წმიდასა და დიდსა პარასკევსა მწუხრად კანონი ჯუარცმისათვის უფლისა გოდებასა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისასა“ საკითხავია.

დავით გურამიშვილი თანაგანმცდელი ხდება ქრისტეს ჯვარცმის, ადამიანური სისუსტის, კაცთა მოდგმის შეცოდებებისა. მ. უჯმაჯურიძის აზრით, ამ ლექსში მოცემულია ქრისტიანობაზე აღმოცენებული ელევგის ერთ-ერთი გავრცელებული მოტივი პენიტენციარული საგალობლებისა, რომ დიდ სევდას თან ახლავს დიდი სიხარული, რადგან ჯვარცმა მოასწავებდა ადამიანთა ხსნას, ცოდვების გამოსყიდვას. ამიტომაც იქცევა აქ ერთ მთლიანობად სევდა და სიხარული“ (უჯმაჯურიძე, 1989, გვ. 72).

დავით გურამიშვილის ლექსის სათაურში გაცხადებული „მოთქმა ხმითა“ (ხმით მოთქმა) ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან განუყოფელი სამგლოვიარო რიტუალის აუცილებელი, ტრადიციად ქცეული ნაწილი, გოდების იმპროვიზაციული სახეობაა. მოთქმა იგივეა, რაც „ხმით მოტირალი“, „გლოვის მგოსანი“, „გოდების შემსხმელი“. მოთქმის ზოგიერთი ფორმა დღესაც იშვიათად, თუმცა მაინც გვხვდება საქართველოს კუთხეებში. მართალია, დრომ ბევრი რამ შეცვალა (ფორმითაც და შინაარსითაც), მაგრამ ხმით ტირილი წუთისოფლიდან მარადიულ სოფელში გადაბარგებულის, ადამიანთან განშორების დიდი მწუხარებისა და გახშიანებული ტკივილის იშვიათ პოეტურ გამოვლენად შემოგვრჩა. ფაქტია ისიც, რომ ხმით მოტირალს „მკვდარნი ატირებენ“ და, რადგან ეს აქტი საჯარო სივრცეში სხვათა წინაშე ხორციელდება, არ გამორიცხავს თეატრალურ-იმპროვიზაციულ ფორმას, შესაბამისად, მოითხოვს გამართულ სამეტყველო აპარატს (კარგ რეჟიტაციას), ხმის ტემბრს, დიდ სულიერ ძალას, ძლიერ ემოციას. ამ პარამეტრების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა ე. წ. პროფესიული მოტირალის ინსტიტუტიც. ფაქტობრივად მოთქმა საჯაროდ მეტყველება, სიტყვით გოდებაა. აქვე ისიც სათქმელია, რომ თავად ხალხურმა პოეზიამ გაამართლა მიცვალებულთა დატირების ადათი; დიდი გლოვის, ღრმა მწუხარების პრევენციად მოთქმა, ხმით ტირილი გამოაცხადა: „დიდი ღვინია ჭირთა თქმა“ – კარგი ფსიქოლოგის ზუსტი ნათქვამია ასეთი შეფასება!

მოთქმას აუცილებლად ახლავს გარდაცვლილის განვლილი ცხოვრების შექება, მისი გმირობის (ასეთის შემთხვევაში), სიკეთის, კეთილშობილების შელამაზება და განდიდება. აქვე შემოიჭრება მაღლიერების გამოხატვის ინტონაციებიც. ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრება“ ასე განმარტავს: „დასხდიან მგოსანნი გლოვისანი და შეკრბიან ყოველნი და ახსენებდიან სიმხნესა და სიქუელესა და სიშუენიერესა და სახიერებასა ფარსმან ქუელისასა“ (ქართლის ცხოვრება, 1955, http://www.amsi.ge/istoria/qc/qarTlis_cxovreba_1_3.html). სწორედ ამის გათვალისწინებით წერდა ვიქტორ ნოზაძე: „მოთქმა არის არა უბრალოდ ტირილი და ხმა მაღლად გამოთქმა თავისი მწუხარებისა, არამედ მკვდრის თუ დაკარგულის შექება, ლამაზად

მოხსენებაა და მისი მჭევრმეტყველურად დახასიათება, – ეს არის გლოვის პოეზია“ (ნოზაძე, ციტირებულია ქიქოძესთან, 2012, გვ. 93).

უნდა გამოიგლოვო, რათა განთავისუფლდე; სულიერი ტკივილი უნდა გამოთქვა, უნდა გამოხატო - დატირებასაც თავდაცვის ფუნქცია აქვს. გარდა ამისა, მოთქმა ნეგატიური ემოციებისგან ათავისუფლებს მოტირალს; დატირება ეხმარება ადამიანს ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლაში, კერძოდ: გლოვის საშუალებით ის ახერხებს გარემოსთან ადაპტაციას გარდაცვლილის გარეშე, ცხოვრებას აგრძელებს საყვარელი ადამიანის გარეშე. მოთქმა-გოდებაც სიკვდილის მიღების გზაა, გლოვის რიტუალიზება კი - ერთგვარი დამცავი მექანიზმი.

მოტირალის ადრესატი გარდაცვლილთან ერთად არის სიკვდილი, როგორც გამანადგურებელი, დაუნდობელი და უსამართლო. მოთქმას თან ახლავს ცრემლი. სწორედ გლოვის პოეზიაში შეიქმნა ეს იშვიათი მარგალიტები: *დაბერებული ცრემლი, დამწვარი ცრემლი, დაწყვეტილი ცრემლი, წვიმათოდენი ცრემლი; მხოლოდ „მგოსანნი გლოისანი“ იყვნენ დალდასმულნი ცრემლის ღილებით, ცრემლის ძაფებით; მათთვის არსებობდა ცრემლებით პირდაბანილი, ცრემლით დასეტყვილი, ცრემლით დარეცხილი, ცრემლად დაღვრილი ვარსკვლავებიც კი.*

„მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“ ლიტურგიკული აზროვნების გასაოცარი ნიმუშია. ნიშანდობლივია ისიც, რომ მისი ყოველი ტაეპი მთავრდება სხვათა სიტყვის „ო“ ნაწილაკით (მიგიჩნისო, განარჩისო, დაგიტისო, დანაზნისო...). ასეთი დაბოლოება ლექსს აძლევს სასაუბრო მეტყველებასთან დაახლოებულ ინტონაციას და, ამასთანავე, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს სახარებისეული ამბის შესახებ მოგვითხრობს თავად პოეტი, როგორც მხილველი. დავით გურამიშვილისთვის გოლგოთა არის არა მოგონება, არამედ სიმბოლური აქტი. ის თავად არის მონაწილე და განმცდელი ამ მისტერიისა. გარდა ამისა „ო“ ნაწილაკის დართვით თხრობა მუსიკალური ინტონაციის შემცველი ხდება.

მხატვრული აზროვნების წესით, დავით გურამიშვილი დაკავშირებულია სინანულის 50-ე ფსალმუნთან, ანდრია კრიტელის დიდ კანონთან და დავით აღმაშენებლის სინანულის საგალობელთან. დიდი პოეტის რელიგიური ლირიკით აღფრთოვანებული ილია ჭავჭავაძე წერდა: „დავით გურამიშვილის სარწმუნოებრივი ღაღადება დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნების სიმაღლემდეა ასული“ (ჭავჭავაძე, 1977, გვ. 131).

მართალია, ლექსს „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“ უწოდა ავტორმა, მაგრამ ეს მოთქმაც ერთდროულად სულიერი კათარზისიცაა და იმედიც. **ყოველი სტროფის ბოლოს დართული „დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო“** შეიცავს სიკვდილზე გამარჯვების, სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვის მოლოდინს და ამდენად, ლექსის სულისშემძვრელი დინამიკურ-რიტმული კომპოზიცია დიდ წუხილთან და დარდთან ერთად აღდგომის მომავლის სიხარულის მაუწყებელიცაა.

როგორც ვთქვით, ვახტანგ მეექვსემ პიეტას თემას მიუძღვნა პოეტური ნიმუში:

1. მეფე-პოეტი ლექსს იწყებს ტაეპით: *„შურით აღივსნენ უგბილნი, წესი ქმნეს მათის მამისა“*; გურამიშვილის „მოთქმის“ პირველსავე სტროფში ვკითხულობთ: *„ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩისო“* (შდრ. ვახტანგი, 1947, გვ. XV).

2. ვახტანგის ელეგიაში დადასტურებული „უგბილი“ ერთხელ გვხვდება გურამიშვილთანაც: *„არ ვიცი, რად ქნეს უგბილთა, ავი რა შეგამჩნისო?“*

3. ვახტანგ მეექვსე წერს: *„ბრალი ვერ პოვეს მის ზედა, კვლავ სცემდნენ წამ-და-წამისა“*. დავით გურამიშვილის ლექსში ზუსტადაა გამეორებული ვახტანგისეული *„ბრალი ვერ გპოვეს“*:

„**ბრალი ვერ გპოვეს**, დაგსაჯეს, პილატე მოგისიესო“.

გარდა ამისა, „ბრალ“ ფუძე ორჯერ გადათამაშდება ლექსში:

„**ბრალობის** სისხლი თავზედა შვილითურთ გარდინთხიესო“.

„მოგკლეს **უბრალო ბრალითა**, ქვეყანა შეარყიესო“;

4. დიდი პარასკევის ცისკრის საკითხავში ჯვარცმული მაცხოვრის სიტყვებს ვხვდებით: „ერო ჩემო, რა შეგაწუხენ თქვენ, ანუ რა განგარისხენ თქვენ, ბრმანი თქვენნი განვანათლენ, კეთროვანნი განვსწმიდენ, და განრღვეულნი ცხედარსა ზედა მდებარე აღუადგინენ, მანანასა მის წილ მომიპყრობთ მე ნაღველსა, და წყლისა მის წილ ძმარსა, სიყვარულისა წილ ჯუარსა ზედა მე დამმსჭუალავთ...“ (ტრიოდიონი, დიდ პარასკევს ცისკრად. აღსავალი 12). დავით გურამიშვილი სახარებაზე დაყრდნობით და ალბათ ამ პასაჟის გათვალისწინებით მოთქვამს:

„წყალი ითხოე, მოგართვეს, ძმარში ნავლელი რიესო,

მკვდარს აღუდგენდი, კურნავდი კეთროანს, წყალ-მანკიერსო,

ბრმას თვალთ უხელდი, ცისცისად არჩენდი ეშმაკიერსო.

უტყვეს ენას ძღვნიდი, ყრუს – სმენას, საპყართა – სვლას შვენიერსო“.

(გურამიშვილი, 1964, გვ. 35).

5. „შედეგი წმიდათა და საცხოვრებელთა ვნებათა წმიდასა და დიდსა პარასკევსა“ პირდაპირ მიუთითებს, რომ სახარების წაკითხავის შემდეგ („სრულყოფასა სახარებისასა“) ნაცვლად სიტყვებისა: „დიდება შენდა, უფალო, დიდება შენდა“, ვგალობთ: **დიდება სულგრძელებასა შენსა, უფალო!** (ტრიოდიონი, 1901, გვ. 527).

- ამავე საკითხავის მიხედვით, ნებსით ჯვარცმული მაცხოვრის ვნებას ასე განადიდებენ: „ყოვლად **სულგრძელო უფალო, დიდება შენდა**“ (იქვე, 529);

- „**სულგრძელო უფალო, დიდება შენდა**“ (იქვე, 530).

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია წმინდა კირილე ალექსანდრიელის მიერ დაწერილი „ბრძანება ჟამნათთვის წმიდასა და დიდსა პარასკევსა“, რომელშიც იოსებ არიმათიელისა და ადამის პირით ასეა განდიდებული საკვირველი ვნება ქრისტესი:

- არიმათიელი ეტყოდა ჯვარისაგან გარდამოხსნილს: „**დიდება სიმდაბლესა შენსა, კაცთმოყვარე**“ (ტრიოდიონი, 1901, გვ. 554);

- ადამ უღალადებდა: „**დიდება სულგრძელებასა შენსა, ქრისტე**“ (იქვე, 554).

დავით გურამიშვილი მთელი ამ კონტექსტის გათვალისწინებით „სულგრძელებასა და სიმდაბლეს“ ჩაანაცვლებს „მოთმინებით“ და გვთავაზობს ახალ ვარიანტს: „**დიდება, მოთმინებასა შენსა, უფალო იესო**“.

სულგრძელება სულის ნაყოფთან ერთად გონიერების მარკერიცაა. როგორც ბიბლია გვიდასტურებს: „სულგრძელი კაცი დიდ არს გონებითა“ (იგავ.14:28); სიმდაბლე არის ქრისტიანობის უპირველესი ნიშანი, დიდი მადლი, „ხე სიცოცხლისა“, ხოლო მოთმინება - ცხოვნების სათავე, სასუფეველის კარი: „რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვდეს“ (მარკ. 13: 13; მ. 24: 13); „მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი“ (ლკ. 21:19).

დავით გურამიშვილმა თავის „მოთქმაში“ განადიდა სწორედ უმთავრესი სათნოება, მოთმინება, რომელიც ზეცად ამყვანებელია. მან ქედი მოიხარა ჯვარცმული მაცხოვრის მოთმინების წინაშე და დიდება, ქება, ოდა უძღვნა იმის გამო, რითაც სიკვდილზე გაიმარჯვა, რითაც სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი გახდა.

„ღვთისმშობლის ტირილით“, „ჯვარცმის ამბავითა“ და ლექსით „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“ დავით გურამიშვილმა აღასრულა ის უმთავრესი, რომელიც ვნების პარასკევის საკითხავში, როგორც ვთქვით, ასეა განჩინებული: „ჯერ არს, რათა მარადის ვიხსენებდეთ და განვიცდიდეთ საკვირველებით ვნებათა ქრისტესთა“ (ტრიოდიონი, 1901, გვ. 558).

სწორედ ტირილით, მოთქმით ცდილობს პოეტი ჯვარცმულის დაბრუნებას, მასთან ინტერაქციას. თუ გლოვის უმთავრესი მიზანი გამოგლოვება, ემოციის გადახარშვაა, ამ მარადის მოსახსენებელ გოლგოთის მისტერიაში გურამიშვილმა დაიწყო საზრისის ძებნა. გარდა იმისა, რომ პოეზიით მან მემორიზება შეძლო და ლექსით უკვდავყო ჯვარცმულის მოთმინება, სიმბოლურად ახსნა კიდევ ის, თუ რა შემატა მის პიროვნებას კაცობრიობის ამ გაუგონარმა ბოროტებამ. პასუხი, შესაძლოა, ასეთიც იყოს: სრული კაცისა და სრული ღმერთის (განკაცებული იესოს) ჯვარცმა იყო დიდი სიბნელე შურისა („ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიეს“), რომელსაც სძლია ნაზარეველის მოთმინებამ!!!

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარამიძე, რ. (2005). დავითიანში განფენილი ზოგიერთი პრობლემა. თბილისი. თსუ.
2. გრიგოლაშვილი, ლ. (2018). ლიტერატურული კონცეპტები და სხვა. თბილისი. თსუ.
3. გურამიშვილი, დ. (1964). დავითიანი. თბილისი. საბჭოთა საქართველო.
4. ეგზემპლიარსკი, ვ. მაცხოვრის სიტყვა ჯვრიდან. თარგმანი თ. გიგნაძისა, http://www.orthodoxy.ge/tserilebi/sitkva_jvridan_7.htm.
5. ვახტანგ VI. (1947). თხზულებათა კრებული: ლექსები და პოემები, აღ. ბარამიძის რედაქციით. ლექსიკონი შედგენილი ილია აბულაძის მიერ. თბილისი. საბჭოთა მწერლის გამომცემლობა და სტამბა.
6. კეკელიძე, კ. (1981). ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. II, თბილისი. მეცნიერება.
7. მოსია, ტ. (2005). „დავითიანის“ სახისმეტყველება. თბილისი. ინოვაცია.
8. ნოზაძე, ვ. (2012). კავკასიის ბილიკები: ხევსურეთი (აღმოსავლეთ საქართველოს მოკლე მიმოხილვით). თბილისი. სიესტა.
9. ორბელიანი, სულხან-საბა. (1963). თხზულებანი 4 ტომად. ტ. 3. თბილისი. საბჭოთა საქართველო.
10. სირამე, რ. (1992). ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა. წ. 1. თბილისი. თსუ.
11. სირამე, რ. (2005). დავით გურამიშვილის სახისმეტყველება წიგნში დავით გურამიშვილი – 300. თბილისი. ზეკარი.
12. სულავა, ნ. (2014). ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატ-სახის ინტერპრეტაცია ქართულ ჰიმნოგრაფიასა და დავით გურამიშვილის პოეზიაში – „ტირილი ღვთისმშობლისა“. ჟურნ. „ლოგოსი“, N8.
13. ტრიოდიონი, რომელ არ სამსაგალობელი. (1901). ტფილისი. სტამბა ექვთიმე ხელაძისა.
14. უჯმაჯურიძე, მ. (1989). ქართული ლირიკის ისტორიიდან. თბილისი. მერანი.
15. ქართლის ცხოვრება. (1955). ტ. 1, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი. სახელგამი. http://www.amsi.ge/istoria/qc/qarTlis_cxovreba_1_3.html.
16. ცაიშვილი, ს. (1984). ლიტერატურული ეტიუდები. თბილისი. მერანი.
17. ჭავჭავაძე, ი. (1977). რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს. თხზულებანი 2 ტომად. ტ. 2, თბილისი. საბჭოთა საქართველო.

18. ხაჩიძე, ლ. (2000). თეოფანე გრაპტოსის „გალობანი გოდებისათვის ღმრთისმშობელისა“ და მისი ქართული თარგმანი წიგნში „ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიიდან“. თბილისი.

Pieta and Georgian Baroque

Saba Metreveli
Georgian National Academy of Sciences

Summary

Sulkhan-Saba Orbeliani was one of the first people who introduced the motif of Pieta in Georgian literature. In his Sermon on the Crucifixion of Christ, he portrayed the Virgin Mary in an inspiring, vigorous, expressive way as she mourned bitterly and cried for the crucified child. The weeping Mary in this sermon of Sulkhan-Saba is very close to Theophanes Graptos' "Lament of the Virgin", which is included in the Orthodox Good Friday liturgy. The elegy of Vakhtang VI echoes the same theme from afar. It expresses the concern about how bitterly the Virgin Mary suffered at the crucifixion of Jesus.

Davit Guramishvili created the masterpiece on the lamentation of Mary. In "Davitioni" we can find three lyrical samples on the theme of Pieta: "The Cry of the Virgin Mary", "The Story of the Crucifixion" and "Grieving Out Loud". The poet emotionally depicts the whole mystery of the crucifixion and accurately conveys the bitter feelings of the Mother of Jesus, Mary. The elegies of Guramishvili reflect the spirit of the Good Friday reading, with which the poet creates an apology for outstanding virtues - patience.

ეროვნული იკონოგრაფიული თემები ლონგოს მოხატულ თბილისის წმიდა სამების ეკლესიაში

ლალი ოსეფაშვილი
საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის
თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი

XIX საუკუნეში საქართველოში ვითარება წინა პერიოდებთან შედარებით მკვეთრად შეიცვალა. 1801 წელს თავს მოხვეული ხელშეკრულებით საქართველოში მეფობა გაუქმდა და იგი რუსეთის იმპერიას მიუერთეს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სტატუსით. ამავდროულად საქართველოს სამოციქულო ეკლესიამაც დაკარგა ავტოკეფალია და სამართავად რუსეთის ეკლესიის სინოდის მიერ დანიშნულ რუსსავე ეგზარქოსებს გადაეცა.

რუსული გავლენა ქართული ცხოვრების წესზეც აისახა (ახლა ასე წერენ): „თბილისსა და მის გარეთაც გაჩნდა რუსული ტიპის ტაძრები, რომლებიც შუა საუკუნეების ქართულ ტაძრებთან ერთად რუსული იკონოსტასებით, კედლის მხატვრობით, ხატებით, ქსოვილებით, ჭურჭლითა და ავეჯით შეიმოსა. ტაძართა ერთი ნაწილი, „სათანადო სახის მისაცემად“ კირით ისე შეეთეთრდა, რომ ძველი ქართული მოხატულობები შელესილობის ქვეშ აღმოჩნდა“ (ბურჭულაძე, 2009, გვ. 11-12).

ახალი სტილის რუსული ხატები და საეკლესიო ინვენტარი რუსეთიდანაც შემოედინებოდა და თვით საქართველოში, განსაკუთრებით კი თბილისში, მრავლად ჩამოსახლებული რუსი ოსტატების მიერაც იქმნებოდა. ამგვარი გარემოების შედეგად საქართველოში საეკლესიო ხელოვნებამ სრულიად დაკარგა თვითმყოფადი ხასიათი და რუსეთში გავრცელებული რუსულ-ევროპული ყაიდის ხელოვნების პერიფერიულ

განშტოებად იქცა. ასე რომ, XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში ქართული ეროვნული საეკლესიო ხელოვნების განვითარება საკმაოდ ხანგრძლივი დროით შეჩერდა (ბურჭულაძე, 2009, გვ. 11-12).

XIX-XX საუკუნეთა მიჯნის საქართველოში რეალური სურათი მართლაც ასეთი იყო, მაგრამ თუ სიღრმეებში ჩავალთ და ძირა ფენებს ჩავუკვირდებით, სხვა პლასტებსაც აღმოვაჩენთ. კერძოდ, იმ პერიოდის ნიმუშებში ჩვენ ვხედავთ ქართული თემების ხაზგასმას საერთო მართლმადიდებლური თემების გვერდით. მხატვრები ცდილობენ ეროვნული წმინდანების, ქართული ისტორიული წყაროების ასახვას ეკლესიის კედლებზე.

ეროვნულ იკონოგრაფიულ თემებზე ხაზგასმა გვხვდება გობრონ (მიხაილ) საბინინის ნაშრომში „საქართველოს სამოთხე“ და მის კვალად მხატვრები ეკლესიების კედლებზე ასახავენ ეროვნულ წმინდანებს და იმ იკონოგრაფიულ, უხეშად რომ ვთქვათ, კლიშეებს, რომლებიც ამ წიგნში გვხვდება.

როგორც მიხეილ საბინინი თავისი ნაშრომის „საქართველოს სამოთხის“ შესავალში წერს, „საქართველოს ეკლესიის დავრდომილობამ და სრულიად დამხომილობამ მისმან, მაიძულა დიდის გულმოდგინებით დაბეჭდვა ამ წიგნისა, რომელსა უწოდე სახელად „საქართველოს სამოთხე“; ასევე, როგორც წინასიტყვაობიდან ვიგებთ, მას მოუნახულებია ჩვენი ეკლესია-მონასტრები, მოულოცავს მრავალი სიწმიდე და დაუწერია ეს წიგნი, მიუხედავად დიდი ძალისხმევისა (საბინინი, 1882, გვ. 2. ა-ბ); ავტორი შემდეგ განაგრძობს, „... ვითარ მოგახსენე წიგნი ესე არა სადა იპოების ასე ვრცელი და შეკაზმული მშუენიერითა მხატვრობებითა, ვითარ წიგნი ესე – მართალია, რაც ამ წიგნსა შინა არს დაბეჭდილი სხუა და სხუა ხელნაწერებსა შინა იპოებიან ცალ ცალკედ...“. საბინინის სქელტანიან ნაშრომში ინტერესს იპყრობს ხატწერის, ანუ როგორც თვითონ უწოდებს, მხატვრობის ნიმუშები. და რაოდენ აღმაფრთოვანებელია, რომ სამების ეკლესიის ფრესკებზე სცენების იკონოგრაფიული თემატიკა ზუსტად არის ასახული.

ვფიქრობ, საინტერესოა არა მხოლოდ ის გარემოება, რომ მხატვრები ეროვნული იკონოგრაფიით სარგებლობენ, არამედ ევროპული საფერწერო ტრადიციებიც, რომლებიც აშკარაა; ისინი თვალნათლივ ხელმძღვანელობენ და საზრდოობენ იმ კულტურით, რომელთან ზიარებაც ჩვენი დიდი წინაპრების საოცნებო მიზანდასახულობა იყო. თუ რა დოზით წარმოჩნდა ამ ორივე მძლავრი ნაკადის გამოვლენა და შერწყმა, ამას ქვემოთ ვნახავთ.

სამების ეკლესია მდებარეობს ისტორიულ გარეთუბანში, დღევანდელ გრ. აბაშიძის ქუჩის #6-ში. იგი XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში ამავე ეკლესიის წინამძღვარმა, დეკანოზმა ნიკოლოზ არდაზიანმა, მოახატვინა ეროვნებით იტალიელ მხატვარს, ლუდვიგ გაეტანის ძე ლონგოს. არის ვარაუდებიც, რომ ეკლესია იმხანად ცნობილ მხატვრებს, ძმებ გეგელიძეებს, უნდა მოეხატათ, თუმცა ატრიბუცია მნელდება.

საბინინისეული ეროვნული იკონოგრაფიიდან სამების ეკლესიის ფრესკებზე, საკუთხეველთან მიმდებარე კედლებზე, ორი თემა გვხვდება, ესენია: „წარვლენა წმ. ნინასი საქადაგოდ“ (სურ. 1-2) და წმ. დავით გარეჯელი (სურ. 3-4); ასევე გვხვდება იმ ქართველ წმინდანთა გამოსახულებანი, რომელთა ცხოვრებაც შეტანილია მის წიგნში. ესენი არიან: წმიდა მოწამე შუშანიკი, საქართველოს წმიდა მოწამე მეფენი – ლუარსაბი და არჩილი, წმ. მეფე დავით IV აღმაშენებელი და წმიდა მთავარმოწამე, დედუფალი კახეთისა ქეთევან. მ. საბინინი წმიდა ნინოს ცხოვრების ტექსტთან რთავს წმიდა ნინოს სახე-ხატსაც, რომელიც, ასერიგად, ფართოდაა გავრცელებული დღევანდელ საქართველოში, რასაკვირველია, მოყოლებული საბინინის ხანიდან. ტექსტს კი ასე ასათაურებს: „მოქცევა მირიან მეფისა და მისთნა ყოვლისა ქართლისა, წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ“. „ხსენება მის

ნეტარისა იანვრის იდ“. მოხსენიებულ სცენას კი წინ უძღვის ტექსტი „დაუჯდომელი წმიდისა და მოციქულისა ნინოსი“.

როგორც „საქართველოს სამოთხეში“, ასევე ეკლესიის ფრესკაზე წმიდა ნინოს ჯვარს უბოძებს დედა ღმრთისა და ისინი გარშემორტყმულნი არიან ანგელოზთა დასით. ტექსტში კი, რომელიც საბინინმა მოიძია, ღმრთისმშობელი და მის მიერ წმიდა ნინოსთვის მისიონერული საქმიანობის ბოძება მითითებული არაა.

დაუჯდომელში კვითხულობთ საგალობლის ტექსტებს მიძღვნილს წმიდა ნინოსადმი, რომელიც იმავე პრინციპზეა აგებული, როგორც ღმრთისმშობლისადმი მიძღვნილი დაუჯდომლის საგალობლები. მოვიტან რამდენიმე ამონარიდს, რომლებშიც წმიდა ნინოს საგალობლების ტექსტის ავტორი დედა ღმრთისას მიმართავს:

„ღუთისმშობლად აღგიარებთ, რომელნი შენ მიერ ვიხსენებით, ქალწულო უბიწოო, და გუნდსა თანა უხორცოთასა, შენ დაუცხრომელად გადიდებთ...

ღუთისამშობლად თაყუანისგცემთ, რომელნი შენ მიერ ვიხსენებით განსაცდელთა ჭირთა და მწუხარებითაგან, განწირულთა სასოო იყავნ წყალობა შენი ჩუენ ზედა...“ (საბინინი, 1882, გვ.164).

როგორც თ. ხოსროშვილი წერს, „... ღმრთისმშობლის მიერ წმ. ნინოსადმი ჯვრის გადაცემის და ქართლად წარგზავნის ამბავია ასახული. წმ. ნინოს ცხოვრების ეს მცირე მონაკვეთი იმ დროს დაკარგულ სახელმწიფოებრიობისა და წართმეული ავტოკეფალიის საპირწონედ საქართველოს ღმრთისმშობლის წილმხვდომილობასა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ტრადიციაზე ამახვილებს ყურადღებას“ (ხოსროშვილი, 2016, გვ. 243).

აღნიშნული სცენის განხილვაში უთუოდ უნდა მივაქციოთ ყურადღება ჯვარს; როგორც ფრესკაზე, ისევე საბინინის სურათზე დედა ღმრთისა წმიდა ნინოს, ანუ როგორც მემატიაწეები უწოდებენ „ქართლის ემბაზს“, დედა ღმრთისა გადასცემს ჩვეულებრივ, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მოხსენიებული გოლგოთას ჯვარს, მაშინ როდესაც საბინინისავე ნაშრომში წმიდა ნინოს ცხოვრების წინ დართულ წმიდანის სახე-ხატზე იგი „ვაზის ჯვრითა“ გამოსახული. ეზრას უწერია: „ყველა მცენარეთაგან უფალმა ვაზის ყლორტი ამოირჩია...“. ვაზი სახარებისეული სწავლების სიმბოლოა. მისტიკოსებისათვის კი მისი ხსენება უფლისადმი სიყვარულის გამოხატულებაა, რაც ადამიანის გულს სიხარულით აღვსევს (მარტიაშვილი, 1995, გვ. 11).

ქართულ წერილობით წყაროებში წმიდა ნინოს ვაზის ჯვრის წარმომავლობის შესახებ ორი ვერსია არსებობს. XII საუკუნით დათარიღებული წმიდა ნინოს ცხოვრების არსენ ბერის მეტაფრასული ვერსიის მიხედვით, კაბადოკიელ ქალწულს, წმიდა ნინოს, იერუსალიმში ყოფნისას „მილსა შინა“ გამოეცხადა ღმრთისმშობელი და საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად გადასცა თავისი ხელით ვაზისგან დამზადებული ჯვარი, რათა „ამით ნიშითა სძლო ყოველთა მანქანებითა ეშმაკისათა და წარგემართოს ქადაგება შენი და თანაშემწეგეყო და არა დაგიტეო შენ“ (*ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, ტ. III, 1971, გვ. 17). მეორე ვერსია დაცულია X საუკუნით დათარიღებულ „მოქცევაი ქართლისაჲში“. ამ ვერსიის მიხედვით, მცხეთაში ჩასული წმიდა ნინო სამი წლის განმავლობაში ლოცულობდა მაყვლოვანში და სწორად ამ დროს თვითონ „შექმნა სახე ჯუარისაი, ნასხლავისაი“ და თავისი თმებით შეკრა (*ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, ტ. I, 1963, გვ. 84).

ამდენად, საბინინს ხელთ უნდა ჰქონოდა წმიდა ნინოს ცხოვრების არსენ ბერის მეტაფრასული ვერსია, ოღონდ იმ ტექსტში, როგორც ვნახეთ, დედა ღმრთისა თავისი ხელით დამზადებულ ვაზის ჯვარს უწვდის წმიდა ქალწულს, ხოლო საბინინთან და ფრესკაზეც - გოლგოთას ჯვარს. მიუხედავად იმისა, რომ ჯვრის სემანტიკა ფართოდაა გაცხადებული

საღმრთისმეტყველო ლიტერატურასა და წმიდა მამათა ცხოვრებაში, მისი სიმბოლური მნიშვნელობა ყველგან ერთია. ღირსი მამა თეოდორე სტუდიელის თქმით, ყველა სახის ჯვარი ქვეყმარტია; ჯვრის სხვადასხვა ტიპს ეკლესია სავსებით კანონზომიერად მიიჩნევდა; წმიდა იოანე ოქროპირი მიუთითებდა ჯვარზე, როგორც მთელი შემოქმედების პირველსახეზე.

როგორც აღვნიშნე, სამების ეკლესიაში საბინისეული იკონოგრაფიული თემებიდან ასევე გვხვდება წმიდა დავით გარეჯელის გამოსახულება; წმიდანის ანალოგიურ სახე-ხატს ვხვდებით მთაწმინდის მამადავითის ეკლესიის სამხრეთ კედელზე, საკურთხეველთან ახლოს. ეს ადგილები ხომ მამა დავითის სამყოფელი იყო და ეკლესიაც მის სახელზეა ნაკურთხი. იკონოგრაფია სამივე შემთხვევაში ერთნაირია. თუმცა, ჯობს, ჯერ ტექსტს მივყვეთ. მისი სათაური ასეთია: „პირველ ხუთშაბათსა შემდეგ ამალლებისასა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესისა, ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა და ღმერთშემოსილისა, მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისა“. სქოლიოში კი ავტორი განმარტავს, რომ „გარეჯა, სიტყუა ესე საკუთრებით არა არს სახელოვან, არამედ ნიშნავს გარეთ ყოფნასა, უდაბნოთ ცხოვრებასა, სოფლითგან მოშორებულსა“ (საბინინი, 1882, გვ. 265).

მ. საბინინი შემდეგ გვიყვება წმიდა დავით გარეჯელის ცხოვრებას, მასში ვხვდებით იმ დეტალებსა და ნიუანსებს, რომლებიც შუა საუკუნეების მხატვრობასა და ცხოვრებებში იყო გამოვლენილი. ამიტომ იკონოგრაფიული მოტივების გამოვლენის მიზნით მხოლოდ სახასიათო თავისებურებების გამოკვეთას შევეცდები. მამა დავითი არქიმანდრიტის ბერულ სამოსშია გამოსახული, მარჯვენა ხელში ჯვრით დაგვირგვინებული კვერთხი უკავია, ხოლო მარცხენა ზემოთ მოლივლივე ანგელოზისკენ მიუძმრთავს. შუა საუკუნეებში მამა დავითს მარჯვენა ხელში ჯვრით დაგვირგვინებული კვერთხი ეკავა (როგორც საბინინი თავის ნაშრომში წერს, „კუერთხი, რომელსა ზედა იყო ჯუარი ქრისტესი...“), ხოლო მარცხენაში - დახურული წიგნი. ამის ნიშნულია დავით გარეჯაში უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის XI საუკუნის მხატვრობა (აბრამიშვილი, 1972, გვ. 62). ანგელოზი მიუთითებს მარცხენა ხელით დაბლა გველემპისკენ, საიდანაც ეშვება კლავნილი – ერთობ ზიგზაგისებური – ხაზი, რომელიც გველემპის დამწველ მეხს აღნიშნავს; მარცხენა ხელი მამა დავითის მფარველობის ნიშნად მის მხრებს უკან აქვს მიტანილი. ანგელოზს თეთრი სპეტაკი ტუნიკა, სამოსი, მოსავს, მკერდზე ორი თეთრივე ზოლი ჯვრულად აქვს მკერდზე მორგებული და ბერძნული მთავრული ასოებით აწერია: „აგიოზ, აგიოზ“ შუა საუკუნეებში მოლივლივე ანგელოზს მარცხენა ხელში კვერთხი უკავია ხოლმე, ხოლო ჩვენ შემთხვევაში, როგორც ვთქვი, არ უკავია; მამა დავითის მარჯვნივ ორი ირემია; ლუკიანე (მამა დავითის მოწაფე) კი არ ჩანს.

ვფიქრობ, საბინინი შეეცადა წმიდა დავით გარეჯელის ცხოვრების სიუჟეტური კომპოზიციისთვის ერთგვარად ხატის სახე მიეცა, სხვადასხვა სცენა გააერთიანა და წმიდანის ჩადენილი სასწაული ერთგვარად თხრობითაც გადმოგვცა საკურთხეველთან მდებარე კედელზე. დანარჩენი წმიდანები საბინინისეული თხრობიდან ტაძრის დასავლეთ მკლავზეა გადანაწილებული და XIX-XX საუკუნეთა მიჯნის თბილისში, როცა ყოველივე ქართული იდეენებოდა, ეკლესიაში შემომსვლელი ეროვნული იდეალებით გაჟღენთილი ზეციური საქართველოს წევრი ხდებოდა.

ამასთან, მსურს ყურადღება გავამახვილო იმ ფაქტზე, რომ ეროვნული იკონოგრაფიული თემები გადმოცემულია ევროპული საფერწერო ტრადიციებით, ანუ შუასაუკუნეობრივი მხატვრობის წეს-ჩვეულებები მეტ-ნაკლებად გამქრალია. ეს ყოველივე ისე ჟღერს, თითქოს ჩვენ წინაშე რაღაც კატასტროფულ ფაქტს ან ვანდალიზმს ჰქონდეს ადგილი, მაგრამ სინამდვილეში ასე არაა. საშემსრულებლო ხელოვნებაში უნდა ითქვას, რომ იმ დროისთვის ევროპაში გავრცელებული ერთ-ერთი სტილთაგანია გამოვლენილი, კერძოდ,

ნეოკლასიციზმი; აი, თუნდაც „წმიდა ნინოს წარვლენის“ სცენაში მკვეთრად ვლინდება ზემოთქმული.

კომპოზიცია გაწონასწორებულია, მკაფიოდ შეკრული, დინამიკა საოცრად დაბალანსებული, ანუ ზომიერებაზეა აგებული, წმიდათა პერსონაჟებს საოცარი სიმშვიდის იერი დაჰკრავთ სახეზე, რასაც ნეოკლასიციზმის სტილის გამოვლენას ვუწოდებდი. მთავარი ფიგურები, ანუ დედა ღმრთისა და წმიდა ნინო, გარშემორტყმულნი არიან ანგელოსთა ფიგურებით, ამ უკანასკნელთა მიერ ერთგვარი წრე იკვრება და წრის „გამოყენება“, სახეებზე სიმშვიდე, ფერები ერთ ტონალობაში ყოველგვარი კონტრასტის გარეშე, კომპოზიციას ერთობ კლასიკურ იერს ანიჭებს, რითაც გვახსენებს ევროპულ ფერწერულ ტილოებს.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ მხატვარი არა მხოლოდ ევროპულ საფერწერო ტრადიციებს გვთავაზობს, როგორც ვთქვი, არამედ ქართულ ეროვნულ იდეალებსაც მკაფიოდ ათვალსაჩინოებს.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ეს არის რუსიფიკაციის პერიოდი, ყველაფერი ქართული და ეროვნული ტრადიციები დავიწყებასაა მიცემული, ჩვენი დიდი წინაპრები მაინც არ ივიწყებდნენ მათ და შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ მათ ასახვას. როდესაც ეკლესიაში შემოდის მლოცველი და მიუახლოვდება საკურთხეველს, მის თვალთა არეს ხვდება საკურთხეველის კონქის მოხატულობა, რომელზეც დედა ღმრთისაა გამოსახული. როგორც ცნობილია, საქართველო ღმრთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და, ვითარცა მფარველი და პატრონი, ოქროს ნეიტრალურ ფონზე ღმრთეებრივ ნათებაშია გამოსახული, რაც მლოცველს იმედის სხივს უღვივებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრამიშვილი, გ. (1972). დავით გარეჯელის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში. თბილისი. ხელოვნება.
2. ბურჭულაძე, ნ. (2009). თანამედროვე ქართული საეკლესიო ხელოვნება, კატალოგი. თბილისი. სეზანი.
3. მარტიაშვილი, ლ. (1995). ვაზის სიმბოლიკა ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებაში, თბილისის სასულიერო აკადემია (ხელნაწერი). თბილისი.
4. საბინინი, მ. (1882). საქართველოს სამოთხე. პეტერბურგი.
5. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. (1971). ტ. III. თბილისი.
6. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. (1963). ტ. I. თბილისი.
7. ხოსროშვილი, თ. (2016). თბილისის XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ეკლესიათა მოხატულობები, არქიტექტურა და იდენტობა: საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801-1918). თბილისი.

National Iconographical topics in Painting Tbilisi Holy Trinity Church by Longo

**Lali Osepashvili,
Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University**

Summary

The situation in Georgia changed dramatically in the XIX century, when Georgia was outside province of Russia. And Georgians were under Russians oppressing. Georgian traditional art has also

disappeared. Mikheil (Gobron) Sabinini appeared in Georgia at that time. He collected works of old Georgian art and wrote the book "Georgian Paradise".

Italian artist Ludwig Longo worked in Tbilisi at the turn of the XIX-XXth century. He painted the Holy Trinity Church and was guided by Sabinin's book "Georgian Paradise".

The goal this paper is to present the results of study how actively resources collected by Sabinini.



სურ.1. წმიდა სამების ეკლესიის ფრესკა

„წარვლენა წმ. ნინასი საქადაგოდ“

სურ.2. საბინინის სქემა „წარვლენა წმ. ნინასი საქადაგოდ“



სურ.3. წმიდა სამების ეკლესიის ფრესკა „წმ. დავით გარეჯელი“

სურ.4 საბინინის სქემა „წმ. დავით გარეჯელი“

„იამზე, ციხის ნაშალო“
(ისტორიული სამურზაყანოს ტოპონიმების მიხედვით)

ირმა კვაშილავა
თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ონომასტიკური მასალა ქვეყნის წარსულის მეცნიერული რეკონსტრუქციის ერთ-ერთ საიმედო წყაროს წარმოადგენს. ამიტომ, ენათმეცნიერების გარდა, მას ისტორიკოსები და ეთნოლოგებიც ხშირად მიმართავენ. გეოგრაფიული სახელწოდებების მოძიება ფრიად შესაშურ საქმეს წარმოადგენს. ამ მხრივ, პროფესორ პაატა ცხადაიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, ვინაიდან მან გასულ საუკუნეში ისტორიული სამურზაყანოს სრული აღწერა განახორციელა და არა მარტო ჩაიწერა 11 000-ზე მეტი სახელწოდება, არამედ არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი მიუძღვნა მას. მისგან დამოუკიდებლად, აფხაზეთის მკვიდრმა, პროფესორმა ვალერიან ზუხბაიამ თავი მოუყარა აღნიშნული რეგიონის ტოპონიმებს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ონომასტიკის სამეცნიერო კვლევით ლაბორატორიას გადასცა (ამჟამად, ქართული ონომასტიკის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი). თავის დროზე, ღვაწლმოსილმა მეცნიერებმა ნება დამრთეს ამ უნიკალური მასალებით მესარგებლა. ბოლო დროს, ყურადღება მიიქცია სამურზაყანოს გეოგრაფიულ სახელწოდებებში მატერიალური კულტურის ძეგლების - ციხე-კოშკების, უფრო ზუსტად, ნაციხარ-ნაკოშკარების სიმრავლემ, რომლებსაც თანამედროვე ვითარების, თუ ბუნებრივი პირობების გამო, გაყალბების, ან გაქრობის საფრთხე ემუქრება. ნაშრომის ამ სახით გამოტანა პ. ცხადაიას მონოგრაფიაზე („სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია“) ცნობილი გერმანელი ქართველოლოგის, ვინფრიდ ბოედერის მინაწერმა განაპირობა, რომელშიც მეცნიერი ონომასტიკური მასალის ღირებულებასთან ერთად, ისტორიული სამურზაყანოს მნიშვნელობაზე მიანიშნებს. სახელდობრ: „იმის მიუხედავად, რომ ონომასტიკა თავისთავად საინტერესოა სხვადასხვა თვალსაზრისით, თქვენი მოღვაწეობა იმიტომაც მნიშვნელოვანია, რომ ადამიანებს ეს ორიგინალური და თანაც პოეტური ენობრივი წარმოების „ძეგლები“ დღევანდელი ცხოვრების პირობებში იკარგება დავიწყებით. ამის მიხედვით გავხაროთ იმ ლინგვისტებს, რომლებიც ზოგი ენის ბოლო მოლაპარაკის მეტყველებას აფიქსირებენ.“ იქვე დასძენ, - „ძალიან მაინტერესებს სამურზაყანოს შესახებ თქვენი შესავალი“ [ცხადაია...2004:207].

აფხაზეთის თავდაცვითი ნაგებობები ამ მხარეში მოხვედრილი უცხოელებისათვის უმნიშვნელო არ ყოფილა, მაგრამ მშობლიური მხარის ღირშესანიშნაობის კვლევაზე დიდი გავლენა იქონია ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ექსპედიციებმა, რომლებმაც გამოავლინა არა მხოლოდ ციხე-კოშკები და ეკლესიები, არამედ ზიგანევი//ზიდანოსი - გვიან ანტიკური ხანის და ადრე შუა საუკუნეების ქალაქის ტიპის დასახლება, რომელიც ყოფილ სამურზაყანოში თანამედროვე გალის რაიონის სოფელ გუდავაში მდებარეობდა. არქეოლოგებმა იპოვეს მცირე ზომის სწორკუთხა ნაგებობის ნანგრევები, მარმარილოს არქიტექტურის

დეტალები, სალოცავის ნაშთები, თავდაცვითი ზღუდე, ერთი მეტრის სისქის ქვის კედლის გალავნის ნაშთები და სხვა [ზუხბაია, ზანთარაია...1988:122]. არქეოლოგიურ მონაპოვარს ადგილის სახელწოდება „ჯიხაშკარი“ ადასტურებს, რომელიც სოფელ მეორე გუდავაში სახნავეებს ეწოდება „ნაოხვამთან.“ „ჯიხაშკარს“ მეგრულად ციხის კარს უწოდებენ, ხოლო „ნაოხვამი“ ყოფილი სალოცავის გარდა, სასაფლაოსაც აღნიშნავს. ციხე-სიმაგრესთან ჩვენ წინაპრებს საყდარ-სალოცავებიც უშენებიათ; რადგან აქვე მდებარეობს წმიდა ბარბარეს ნაეკლესიარი „ნაოხვამი“, ამ შემთხვევაში, ნასაყდრალს უნდა აღნიშნავდეს. რაც შეეხება ზიგანევს, იგივე გუდავას, X საუკუნემდე კონსტანტინოპოლისადმი დაქვემდებარებული ლაზიკის ერთ-ერთ საეპისკოპოსო რეზიდენციას წარმოადგენდა, რომელმაც მოგვიანებით ამავე რაიონში იმ ხანებში აშენებულ ბედიის სახელგანთქმულ კათედრალში გადაინაცვლა. ძველ დროში, ბედიაშიც მოიპყრება ქალაქის ტიპის დასახლება, რომელიც ეგრისის ერისთავების სამფლობელო იყო, გვიან შუა საუკუნეებში კი, სამურზაყანოს მფლობელი შერვაშიძეების რეზიდენციად იქცა (XVIII საუკუნე). ამ პერიოდის ციხე-სიმაგრე „ციხე ბედიისა“, ნიკო დადიანის ცნობით, ისეთი მაგარი და ქებული ყოფილა, „არავის აუღია იგი ძალისა შემოდგომითა“ [დადიანი...1962:203]. სწორედ ამ ციხეში გამაგრდა ლევან შერვაშიძე, რომლის შვილმა, ხუტუნია მალაქით მოაკვლევინა მანუჩარ შერვაშიძე - სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის სიძე, იმხანად სამურზაყანოს მმართველად დანიშნული.

სამეგრელოს მთავარი რიგიანად მოემზადა ციხის ასაღებად. ამ საქმეში დასახმარებლად, იმერლებისა და გურულების გარდა, რუსის მხედრობაც კი მოიწვია. იმერლების ლაშქარს წინ უძღოდნენ ზურაბ წერეთელი და სეხნია წულუკიძე, ხოლო გურულებს - გურიელის ბიძა დავითი და ვახტანგ როსტომის ძე ერისთავი. ლევან დადიანის მხედრობის მიერ ბედიის ციხეში საფრების ამართვასა და ზარბაზნების დადგმისას, ხუტუნია შერვაშიძე მიხვდა, რომ არ ძალუძდა წინააღმდეგობის გაწევა და წებელდაში გაიქცა. ცხადია, ლევან შერვაშიძემ ბედიის ციხე სამეგრელოს მთავარს გადასცა [გაზეთი...1920:3]. ამ მოვლენების დროს, ბედია ერთ სოფელს წარმოადგენდა, მაგრამ გასული საუკუნის 30-იან წლებში, მაზრების რაიონებად გარდაქმნის დროს, იგი ოჩამჩირისა და გალის რაიონებს გადაეცა. ბედიის ვლახერნის ღვთისმშობლის უძველესი ტაძარი ოჩამჩირეს მიაკუთვნეს. გალის რაიონის მეორე ბედიის სოფელ ფშაურში კომპლექსური სიმაგრეა, საკულტო და თავდაცვითი დანიშნულებით. აქვე, დარბაზული ტიპის ეკლესიის გარდა, ეკვდერი, კოშკები და გალავნის ნანგრევები გვხვდება. ადგილის სახელწოდება „ნაჯიხი“, რაგავებით დასახლებულ უბან „სარაგოში“ ნაციხარის არსებობას ადასტურებს („ნაჯიხ“ მეგრულად, ნაციხარი). გადმოცემის მიხედვით, ჯიხის მშენებლის გვარი ფშაურიანი ყოფილა. რაც შეეხება ეკლესიას, ძლიერი დაზიანების გამო, არქიტექტორი ლ. შერვაშიძე ძეგლის მხოლოდ დათარიღებით (XIV საუკუნე) იფარგლება [შერვაშიძე...1971:115].

სოფელი ფშაური ორ ნაწილად იყოფა. ერთი ბედიის სასოფლო თემში, ხოლო მეორე - მეზობელ წარჩის თემში შედის, რომელიც გამორჩეულია ისტორიული ადგილებით. კერძოდ, აქ დიდი ზომის (300-400 კვ. მ.) ციხე-სიმაგრე ყოფილა ადგილობრივი რიყის ქვით, ძლიერ ლამაზი წყობით აგებული. გალავანიც რიყის

ქვისაა, ფრაგმენტულად შემორჩენილი (5-6 მ სიმაღლისა 20 მ სიგრძეზე). გორაკის მეორე მხარეს, მოსწორებულ ადგილას, 200 კვ. მ. ფართობზე ძველი ციხე-სიმაგრე შეინიშნება, რომლის სამხრეთით, რიყის ქვით ნაგები 14-15 მ სიმაღლის კოშკი დგას. გალავნის შიგნით ცალკეული ნაგებობები ჩანდა (მაგალითად, ჩამოქცეული თაღები). მხარეთმცოდნე ნ. შონიამ აქ იპოვა ქვა ქართული წარწერით: „ეს წმიდა მთა ეკუთვნის პაშაძეს.“ წარწერა XII-XIII სს-ით თარიღდება. პაშაძის პიროვნებას ქართული ისტორიოგრაფია არ იცნობს [ზუხბაია, ზანთარაია...1988:130-131]. აღსანიშნავია ისიც, რომ წარჩის ეკლესიას („მაფაში ოხვამე“ მეგრულად, მეფის სალოცავი, ეკლესია) ადგილობრივი მოსახლეობა „ნოჯიხს“ - ნაციხარს უწოდებს. გადმოცემის მიხედვით, „აქაა დაკრძალული მეფის შვილი, რომელიც გამზრდელ ანჩიბაიას არ დაუტირია. ამიტომ დედოფალს დაუწყევლია ანჩიბაიები: არც აშენდეთ და არც გაწყდეთ, შემოსული კაცი კი გამრავლდესო“ [ცხადაია, ჯოჯუა...2003:121]. ურიგო არ იქნება იმის დაზუსტებაც, რომ „ოხვამე“ მეგრულად, ძვალთშესალაგს, სასაფლაოს ეწოდება და სალოცავის მნიშვნელობითაც გვხვდება სამეგრელო-სამურზაყანოში. ამდენად, ზეპირისტყვიერი მასალა, ადგილის სახელწოდება და ნაგებობათა ნაშთები თანხვედრაშია.

ზემოთ აღნიშნული ციხე-სიმაგრის არსებობას ადასტურებს აგრეთვე სახელწოდებები: ციხის სერი (მეგრულად „ჯიხაშ სუკი“), ციხის ღელე (მეგრულად „ჯიხაშ ღალი“), რომელიც მდინარე წარჩეს ერთვის ციხის ქვემოთ და ციხის ფერდობი (მეგრულად „ჯიხაშ ფარყი“). სამურზაყანოში ბევრია ციხე-სიმაგრეთა ნანგრევები. ზოგან აფხაზურენოვანი (მაგ., სოფელ ჩხორთოლში), ან ორენოვანი (აფხაზურ-ქართული) სახელწოდებებიც გვხვდება, მაგრამ წარჩის ციხე იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ეგრისის სამეფოს დასავლეთ ნაწილში დაცვის ერთიანი სისტემის დამადასტურებელი ციხეების ჯაჭვის რგოლს წარმოადგენს ისევე, როგორც სამურზაყანოს - სათანჯოს და ოცარცეს ციხეები. მათ სამეგრელოს ციხე-კოშკებთან (ჭაქვიჯი - ზუგდიდი, კოტიანეთი - ნოქალაქევი, აბედათი - მარტვილი) აერთიანებთ საერთო კომპოზიცია, კედლების წყობა, ირგვლივ გამავალი თხრილები და სხვა [ზაქარაია, კაპანაძე... 1991:126-164]. ამიტომ, სერგი მაკალათიამ სათანჯოსა და ოცარცეს ციხე-კოშკები, როგორც ტიპიური ეგრისული ციხეები, სამეგრელოს თავდაცვითი ნაგებობების ნაწილად წარმოადგინა. იგი წერდა: „ოდისის სამთავროს დასავლეთის საზღვარს, საიდანაც მას საფრთხე მოელოდა ჯერ ოსმალებისა და შემდეგ აფხაზების მხრიდან, რუხის ციხე სდარაჯობდა, ხოლო რუხის ციხის პირდაპირ ენგურის გაღმა, სამურზაყანოს სოფლების დიხაზურგა-ჭუბურხინჯის გზაზე მოთავსებული პატარა ციხე-კოშკი (მეგრ. „ოცარცეში ჯიხა“)“ [მაკალათია...1941:234-235]. აქვე დავძენთ, რომ რუხის ციხეს სათანჯოც პირდაპირ გასცქერის. ძველად (განსაკუთრებით ლევან II დადიანის დროს), როცა მტერი გამოჩნდებოდა ზღვიდან, ან მდინარე კოდორის მხრიდან, კოშკის მცველებს ოდიშელებისთვის ცნობის მიცემის სამსახური ჰქონდათ დაკისრებული. ნიშანდობლივია, რომ შორიდან მტრის შემჩნევას (სათანჯო ძალიან შორი მანძილიდან მოჩანს) „თანჯს“ უწოდებენ [ბერულავა...1951:80].

რუხის ციხეს სხვა დანიშნულება ჰქონდა, ვიდრე ადგილობრივი მნიშვნელობის ოცარცეს ციხეს, რომლის აგების თარიღად, ანალოგების მიხედვით, XVII საუკუნე

მოიაზრება [ზაქარაია...1973:96]. მართალია, ციხე ოცარცე დიდი არ არის, მაგრამ გზისა და მდინარის ფონზე გადმოსასვლელის ჩასაკეტად სრულიად საკმარისი იყო. რუხი-ოცარცე შედარებით დაბლობზეა, მაგრამ უფრო დაბლა სამურზაყანოს სოფელ ნაბაკევის ციხეა [ზაქარაია...1980:7], რომელიც ნაბაკევის საზღვართან ბორცვის სახელწოდებამ „ნაჯიხმა“ (ნაციხარი) შემოინახა. ამავე სოფელში „მარდიანიშ ოხვამე“ (ქართულად, მარდიანის//მადლიანის ეკლესია) გვხვდება. რაც შეეხება ოცარცეს, აქ უწინ საკირე ქვის, ცარცის საბადო მდებარეობდა. სხვა მოსაზრებით, აქ კაცს მარცვავდნენ და სახელწოდებაც აქედან მიუღია. ამ მიდამოებში ადგილის სახელწოდება „ჯვეში ნაჯიხი“ (ქართულად, ძველი ნაციხარი) არანაკლებ საინტერესო ჩანს. მით უფრო, როცა ოცარცეს კოშკის ჩრდილოეთით, კილომეტრზე მდებარე სიმაგრე (სოფელ დიხაზურგაში) გალავნითა და საძირკვლის ფორმით (კედლის სისქე 1 მეტრია, რიყის ქვით აგებული, გალავანი კი, 3000 კვ. მ. ფართობს მოიცავს), თავის დროზე, ციხე-სიმაგრე უნდა ყოფილიყო [ზუხბაია, ზანთარაია...1988:134].

ამდენად, საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები ჩვენი ქვეყნის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ. დღეს ეს მხოლოდ ნანგრევებია, რომელიც გარემოს თავისებურ მეტყველებას ანიჭებს. თავის დროზე, მათ სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდათ. სიმაგრეების გარეშე ვერ იარსებებდა ვერც ერთი ფეოდალური ქვეყანა; ვერ იარსებებდა ვერც საქართველო [ბერიძე...1974:64]. გავიხსენოთ ისიც, რომ სიტყვა „ციხე“ ძველთაძველი, მკვიდრი სიტყვაა ქართულ ენაში [ჯანაშია...1987:209] ისევე, როგორც კოშკი, რომელსაც XI საუკუნემდე გოდოლს უწოდებდნენ.

ისტორიული სამურზაყანოს არაერთ სოფელში გვხვდება საკულტო და თავდაცვითი ნაგებობანი. სახელდობრ, სოფელ მუხურში შუა საუკუნეების ეკლესიისა და ციხის ნაშთებია. „ნოჯიხი“ - ნაციხარი, სოფელ პირველ ოტობაიას საზღვართან, განახლების თემში შემავალ სოფელ ოკვინორეში მდებარეობს და გადმოცემით, თურქების აშენებულია. აქვე ესახლა ჩქოტუა, ამიტომ ნაციხარს ჩქოტუას ციხესაც უწოდებენ. მარღანიების ნაციხარი (მეგრ. „მარღანიფიშ ნაჯიხ“) გალში, მდ. ერწყარის მარცხენა მხარეზე მდებარეობს; ქარდავების ციხე ამავე რაიონის სოფელ მახუნჯიაში და ა. შ.

სამეგრელოში XVII საუკუნის 40-იან წლებში განსაკუთრებით გაძლიერდა აფხაზთა და მთიელთა თავდასხმები. მათ შესაჩერებლად „დიდი ხარჯით ამოუყვანიათ კედელი სიგრძით 60 000 ნაბიჯი და კედელში აქა-იქ აუშენებიათ კოშკები, რომლებშიც დგანან თოფებით შეიარაღებული მცველები“ [ლამბერტი...1991:152]. როგორც ირკვევა, თავდაცვის მიზნით აშენდა, ზოგ შემთხვევაში, შეკეთდა ციხეები, რომლებიც მთიდან მომავალ გზებს კეტავდნენ. გვიანფეოდალურ ხანაში ერთგვარად, განმეორდა ადრეფეოდალური ხანის სიტუაცია. მთა უტევს და ბარი იძულებულია, თავი დაიცვას [ჭურნალი...1970:44].

დგანან ჩვენი სამშობლოს დამცველი ერთგული გუშაგები, მრავალ ჭირვარამ გადახდილნი, მიუვალ, თვალშეუვალ კლდის ქიმებსა, თუ ხელის გულივით გაშლილ დაბლობებზე, გზაჯვარედინებზე, თუ მთავარი გზებიდან მოშორებით. აღარსად ჩანან სპარსთა, მონღოლთა, თურქთა ურდოები, აღარც „მამათა და ძმათა გამწირავი“ ფეოდალთა რაზმები. ეს ნაქალაქარები, ციხე-დარბაზები, კოშკები ხომ მაინც

დღევანდებლობა, ქვასა და აგურში აღადგენილი წარსულის დიდებაა [ზაქარაია...1973:163] კიდევ ერთხელ რომ შეგვახსენებს, საქართველოს ყველა მკვიდრის განუყოფლობას ისტორიის მთელ მანძილზე.

აფხაზებმა ისტორიული ერთობის გზას გადაუხვიეს. ამით ისინი საკუთარი წარსულისადმი იჩენენ გულგრილობას, ამიტომ სავალდებულოა, გავმიჯნოთ ეთნოკულტურული ურთიერთობების ძირითადი მახასიათებლები. მაგალითად, აფხაზების მატერიალური ყოფისათვის ციხე-სიმაგრე, გალავანი, ციხე-კოშკი, ან ციხე-დარბაზი დამახასიათებელი არ ყოფილა, ვინაიდან ქართველი ფეოდალების მატერიალური ყოფის ნიშან-თვისება იყო [ბახია-ოქრუაშვილი...2020:41].

ისტორიულ სამურზაყანოში თავდაცვითი ნაგებობების სიმრავლე, დღემდე ცოცხლად შემონახული ადგილის (გეოგრაფიული ობიექტების) ქართულენოვანი ტოპონიმები აქ ქართველების აბორიგენობას ადასტურებს და იმასაც, რომ მცირე ოდენობით შემოსახლებულმა აფხაზებმა ვითარება რეალურად ვერ შეცვალეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბახია-ოქრუაშვილი ს. (2020), აფხაზურ-ქართულ ეთნოგრაფიულ ტერმინთა ლექსიკონი, თბილისი.
2. ბერიძე ვ. (1974), ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბილისი.
3. ბერულავა კ. (1951), აფხაზეთის ისტორიული ადგილები, სოხუმი.
4. გაზეთი „მიწა“, 1920, N12.
5. დადიანი ნ. (1962), ქართველთა ცხოვრება, თბილისი.
6. ზაქარაია პ. (1973), საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, თბილისი.
7. ზაქარაია პ. (1980), ჭაქვინჯა, თბილისი.
8. ზაქარაია პ., კაპანაძე თ. (1991), ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი, თბილისი.
9. ზუხბაია ვ., ზანთარაია ს. (1988), გალი, სოხუმი.
10. ლამბერტი არქ. (1991), სამეგრელოს აღწერა, თბილისი.
11. მაკალათია ს. (1941), სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი.
12. ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“, კრ. 21, 1970.
13. ცხადაია პ. (2004), სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, თბილისი.
14. ცხადაია პ., ჯოჯუა ვ. (2003), სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბილისი.
15. ჯანაშია ს. (1987), შრომები, ტ. 5, თბილისი.
16. Шервашидзе Л. (1971), Некоторые средневековые стенные росписи на территории Абхазии, Тбилиси.

„Iambe, Tsikhis Nashalo“ (According to Toponyms of Samurzakano)

Irma Kvashilava
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Iv. Javakhishvili Institute of History and Ethnology

Summary

Historical-geographical names of Samurzakano were not a subject of separate research in respect of material culture. The aim of the work was to make a small contribution in this above-mentioned issue. It was turned out that in comparison with other regions of Abkhazia, there is marked

multiplicity of fortified towers, rather, former fortified towers in Samurzakano, which were preserved by the names of places. It is clear that characteristics of mode of life and culture of society are vividly revealed in the name of place (of geographical objects). It has been found out for a long time that geographical names of Samurzakano are only of Georgian origins (basically, of Megrelian origin). Abkhazian toponyms lately appeared in this area, after the settlement of Abkhazians. The quantity of settled Abkhazians was so unimportant that general condition was not changed. The paucity of Abkhazians are marked with Abkhazian toponyms of Samurzakano (names of fortresses), that fact confirms aboriginality of the Kartvelian population.

უცხო ზეგავლენისა და ლოკალური ტრადიციულობის გამოვლინება თრიალეთის კულტურაში: ხედვა სამხრეთ კავკასიიდან

მარინე ფუთურიძე

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ძვ.წ-ის 21-ე საუკუნეში სამხრეთ კავკასიის სივრცეში გამოჩნდა წინამორბედისგან განსხვავებული და ახალი სოციოკულტურული ღირებულებების ფენომენი - თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურა. მისმა აღმომჩენმა და პირველმა ინტერპრეტატორმა აკად. ბორის კუფტინმა მისი ადგილი პერიოდიზაციის სქემაში სრულიად მართებულად შუა ბრინჯაოს ხანით განსაზღვრა. თრიალეთის კულტურა, რომელიც თითქმის 90 წელს ითვლის, არა მხოლოდ კავკასიელი, არამედ დასავლეთისა და რუსულენოვანი სამეცნიერო სამყაროს არაერთი სპეციალისტის ინტერესის საგანი იყო და დღემდე რჩება. შესაბამისად, უკვე საკმაოდ მნიშვნელოვანი მიღწევებია შუა ბრინჯაოს ხანის ამ წამყვანი კულტურის კვლევაში. მიუხედავად ამისა, უცხო და ლოკალური ტრადიციების გამიჯვნა, ასევე მათი პროპორციული ბალანსისა და თანამონაწილეობის როლი თრიალეთის კულტურის საერთო სახის ფორმირებაში ჯერ კიდევ სათანადოდ შესწავლილი არ არის. სწორედ ამიტომ მივიჩნიეთ მნიშვნელოვნად ამ ასპექტზე ყურადღების გამახვილება.

თრიალეთის კულტურა სამხრეთ კავკასიის რეგიონში გამორჩეული აღმოჩნდა გავრცელების მასშტაბის მხრივ, მან ფაქტობრივად ადრე ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის შემდეგ ყველაზე ფართო ტერიტორია დაფარა; გარდა ამისა, არსებობს მისი საზღვრის კიდევ უფრო გაფართოების ტენდენციის საფუძვლიანი ვარაუდი უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით (Кушнарева, 1993: 98, Рис.33.1; Puturidze, 2003: Fig.5.1). ფაქტობრივად ამ კულტურამ მოიცვა თანამედროვე სამი სახელმწიფოებრივი ერთეულის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) ტერიტორია, ხოლო მისმა უკიდურესმა სამხრეთმა საზღვარმა გაიარა მდინარე არაქსის კალაპოტის გასწვრივ, რომელიც, ამავე დროს, გეოგრაფიულად სამხრეთ კავკასიას შემოფარგლავს.

რაც შეეხება საქართველოს, სივრცობრივად მან ამ რეგიონის მხოლოდ აღმოსავლეთი ნაწილი მოიცვა სრულად, ხოლო ლიხის ქედი ის ბუნებრივი ბარიერი აღმოჩნდა, რომლის დასავლეთითაც თრიალეთის კულტურა აღარ გავრცელებულა. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე ოლქი, რომლებიც ამ კულტურის განსაკუთრებული დაწინაურებითა და გამორჩეულად ბრწყინვალე ძეგლების

კონცენტრაციით გამოირჩევა; მათ შორისაა: წალკა-თრიალეთი, დმანისის და კახეთის რეგიონები. რაც შეეხება სომხეთს, ასეთად გამორჩეული ლორე-ტაშირი, ვანაძორი (იგივე კიროვაკანი) და ყარაშამბი ანუ არარატის დაბლობის ჩრდილო და წინამთის რეგიონებია (გოგაძე, 1972: 5-15; ჯაფარიძე, 2006: 349-350; Кушнарева, 1993: 98, Рис.33.1, 106-112; Джапаридзе, 1994: 81-89, ნარიმანიშვილი, 2009: 23-29).

თრიალეთის კულტურის ქრონოლოგიური საზღვრები, ბოლოდროინდელი კვლევების მონაცემებით, უფრო დაზუსტდა და ის ძვ. წ. 21-ე – მე-17 სს-თა დასაწყისის ფარგლებში მოექცა (Puturidze, 2014: 278-285; Puturidze, 2017: 214; Puturidze, 2020: 387-398).

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურა მკაფიო გარდატეხით ხასიათდება როგორც სოციალურ, სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირუბრთობათა ახალი მიმართულებებით დამყარების თუ ინტერესების, ასევე კულტურაში მომხდარი ცვლილებების მხრივ. ეს სიახლეები მატერიალური კულტურისა და ყოფის სხვადასხვა ასპექტის თვალსაზრისით მკაფიოდ ვლინდება არაერთი ძეგლის მონაცემების საფუძველზე. ამ მიმართულებით ყურადღების კონცენტრირებამ გვიჩვენა, რომ საკვლევ კულტურაში გვაქვს, ერთი მხრივ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, ლოკალური ტრადიციული ნიშნები და მასთან ერთად ზოგიერთი ისეთი მახასიათებელი, რომლებიც აშკარად უცხო არატრადიციული ხაზის მქონეა. თუ როგორი დოზით გვაქვს მათი თანაარსებობა, როგორი იყო მათი როლი თრიალეთის კულტურის საერთო სახის ფორმირებაში და კონკრეტულად რა მასალებში იჩენს ეს ყველაფერი თავს, სწორედ ამ თემებს შევხებით ქრონოლოგიური თანმიმდევრულობით.

თავდაპირველად ყურადღებას შევაჩერებ თრიალეთის კულტურაში დადასტურებულ იმ ტენდენციებზე, რომელიც მისი წინამორბედი ეტაპის კულტურის ლოკალური ტრადიციის განგრძობადობაზე მეტყველებს და საკმაოდ ცხადად წარმოგვიდგენს ადგილობრივ გარემოსთან უწყვეტობის ხაზს.

ყველა ეპოქა მათ შორის, ცხადია, პრეისტორიულიც გარკვეულ ნიშან-თავისებურებათა ბლოკით და წინამორბედისგან განსხვავებული განვითარების დინამიკით გამოირჩევა, რაც სრულიად ლოგიკური და აშკარა პროცესია პრეისტორიული ხანის კულტურებისთვისაც. ძვ.წ-ის მე-3 ათასწლეულის მიწურული, ბუნებრივია, თავისი სტანდარტებითა და განვითარების ხაზით გამორჩეული და, ამავე დროს, განსხვავებულიც იყო წინამორბედი კულტურული პლასტისგან. საინტერესოა, კერძოდ, რა ნიშნები ახასიათებდა წინარეთრიალეთურ რეალობას. ეპოქათა ცვლილებების ჭრილში მასზე თვალის გადევნება საშუალებას მოგვცემს თრიალეთის ფენომენის უშუალოდ წინამორბედი, ბედენის კულტურის ისტორიულ-კულტურული რეალობა შევაფასოთ როგორც იმ ხასიათის მოვლენა, რომელმაც თავის მხრივ გარკვეულწილად (თუმცა, მხოლოდ ნაწილობრივ) განსაზღვრა კიდევ შემდგომში თრიალეთის კულტურის აყვავების მაღალი სტანდარტი.

ჯერ კიდევ ძვ.წ-ის მე-4 ათასწლეულის შუა ხანაში გამოჩენილმა კულტურულმა ერთობამ, რომელსაც ბ. კუფტინის საეტაპო აღმოჩენათა შედეგად მტკვარ-არაქსის კულტურის სახელი ეწოდა, ძვ.წ-ის მე-3 ათასწლეულის შუახანამდე მეტ-ნაკლებად ერთფეროვნად, მაგრამ განვითარების აღმავალი გზით გააგრძელა არსებობა. ეს კულტურა პრიორიტეტის მქონე აღმოჩნდა როგორც ბრინჯაოს ლითონწარმოების პროდუქციის დამკვიდრების, ასევე მეურნეობაში სიახლეების თვალსაზრისით. მან უდავოდ შექმნა ის მდგრადი ბაზა, რომელსაც

შემდგომ გარკვეულად დაეფუძნა კიდეც ე.წ. ადრეყორდანების კულტურის ეტაპზე მომხდარი (თუმცა სხვა ფაქტორებითაც განპირობებული) არსებითი წინსვლა. ამასთანავე, საზოგადოების სოციალური სტრატეგიკაციის პირველი ადრეული ნიშნებიც სწორედ მტკვარ-არაქსულმა ძეგლებმა გამოავლინა. მისი დასასრული კი ბევრად აჩქარებული წინსვლით აღინიშნა, რის მიზეზიც, საფიქრებელია, ახალი ფენომენის ე.წ. ადრეყორდანული კულტურის პირველი გამოჩენით და და მასთან შეხვედრით იყო გამოწვეული.

ამდენად მას განსაკუთრებით საინტერესო დინამიკა ჰქონდა ბოლო საფეხურზე. ე.წ. ინტერმედიალური პერიოდი, როცა ფინალური ხანის მტკვარ-არაქსულ მასალებთან ერთად არქეოლოგიური ძეგლები (ძირითადად მაინც ნამოსახლარები) ე.წ. ადრეყორდანული კულტურისთვის დამახასიათებელ ახალი და განსხვავებული ტიპის კერამიკას წარმოგვიდგენს, ძირითადად ძვ.წ-ის 26/25-24 საუკუნეებს ემთხვევა. ამიტომ, ვფიქრობთ, სწორედ ძვ.წ-ის მე-3 ათასწლეულის შუა ხანა აღმოჩნდა გარდატეხისა და მკაფიო წყალგამყოფის ნიშნული ეპოქათა და, ამავე დროს, კულტურათა ცვლის თვალსაზრისით. მტკვარ-არაქსის ერთი ათასწლეულის განმავლობაში არსებული მძლავრი და ფართო არეალზე გავრცელებული კულტურა შეცვალა ახალმა რეალობამ, რომელიც დღეს ბედენის კულტურის სახელითაა ცნობილი (ჯაფარიძე, 2006: 309-340). სწორედ მასთან დაკავშირებულ რამდენიმე ყველაზე საგულისხმო მახასიათებელ ნიშანსაც უნდა გავუსვათ ხაზი, კერძოდ კი სწორედ იმას, რომელიც ბედენისთვის ტრადიციული ნიშნების შემდგომ ეტაპზე (ანუ თრიალეთის კულტურაში) მემკვიდრეობით გადაცემის კონტექსტს უკავშირდება. ამ მხრივ უპირველესად აღსანიშნავია ყორდანულ დაკრძალვის წესსა და მის საბოლოოდ დამკვიდრებასთან დაკავშირებული საკითხები. სწორედ ე. წ. ადრეყორდანული კულტურის ეტაპზე საბოლოოდ მკვიდრდება ყორდანი, როგორც ერთადერთი და გაბატონებული დასაკრძალავი კონსტრუქცია. რაც შეეხება დაკრძალვის რიტუალს, თრიალეთის კულტურის ამ ტიპის ძეგლებზე დადასტურებული წესისგან განმასხვავებელი მომენტები ბედენის კულტურაში მაინც იჩენს თავს.

კიდეც ერთი მახასიათებელი, რომელიც ბედენის მკაფიო დამაკავშირებელი ხაზია თრიალეთის ყორდანების ბრწყინვალე კულტურასთან, არის ხის დასაკრძალავი ეტლის არსებობა ორივე შემთხვევაში.

და ბოლოს, ამ ორ კულტურულ პლასტს შორის გენეტიკური ბმის არსებობის ერთ-ერთი ყველაზე ნიშანდობლივი მომენტი ვლინდება ოქრომჭედლობის დარგში. როგორც ცნობილია, სწორედ ე.წ. ადრეყორდანული კულტურის საფეხურზე ჩნდება ოქრომჭედლობის პროდუქცია სამხრეთ კავკასიაში. ამ კატეგორიის ნაწარმის ზოგიერთ ტიპს, რომელსაც ბედენის კულტურის მასალებში ვხვდებით პირველად, შუა ბრინჯაოს ხანის განვითარებულ საფეხურზე თრიალეთის კულტურაში აგრძელებს არსებობასა და განვითარებას. ეს უპირველესად ეხება პუნსონის ტექნიკით შემკულ მძივებს, სამგანზომილებიან ოქროს ფიგურას, სასაფეთქლე ხვიებსა და გარსაკრავებს – ყველა ეს კომპონენტი დამახასიათებელ არტეფაქტებად რჩება თრიალეთის კულტურის კომპლექსებისთვისაც, რითაც, ვფიქრობთ, კარგად ვლინდება მისი წინამორბედი ეტაპის ლოკალურ ტრადიციასთან ურთიერთობის ხაზი.

რეზიუმირებისას აღვნიშნავთ, რომ ჩვენ მიერ განხილული არქეოლოგიური მასალა, რომელიც უდავოდ წარმოაჩენს, ერთი მხრივ, თრიალეთის კულტურის უშუალოდ წინამორბედი ეტაპისთვის, ანუ ე.წ. ადრეყორდანული კულტურისთვის (შუა ბრინჯაოს I

საფეხური) ლოკალურ დამახასიათებელ ნიშან-თავისებურებათა უწყვეტობას, ხოლო, მეორე მხრივ - ახლო აღმოსავლეთთან დამაკავშირებელ და მისი აშკარა ზეგავლენით შექმნილი მატერიალური კულტურის (უმეტესად მაინც ელიტური დარგის - ტორევეტიკისა და სამკაულის) პროდუქციას, ააშკარავებს ამ ორი ტენდენციის თანაარსებობას თრიალეთის ყორღანების ბრწყინვალე კულტურაში.

ვფიქრობთ, ეს მომენტი, ამავე დროს, სრულიად თვალსაჩინოს ხდის მახლობელი აღმოსავლეთის რეგიონის კულტურულ ზეგავლენას სამხრეთ კავკასიაზე. როგორც ჩანს, სწორედ ძვ.წ-ის მე-3 ათასწლეულის ბოლოსა და მე-2-ის პირველი მეოთხედის ძველი სამყაროს სხვადასხვა რეგიონს შორის გაცხოველებული ინტერკულტურული კონტაქტების პროცესში გარკვეულწილად ჩაბმული იყო სამხრეთ კავკასიის სამხრეთი რაიონიც. და სწორედ ამან მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა თრიალეთის კულტურის საბოლოო სახის ფორმირებაზე.

ახლა რაც შეეხება წინააზიური უცხო კულტურების ტრადიციასთან ასოცირებულ მოვლენებსა და არტეფაქტებს. თრიალეთის ფენომენი მატერიალურ კულტურასა და ყოფაში დადასტურებული არაერთი ინოვაციით ხასიათდება, რომელთა გამოჩენამაც ძვ.წ-ის მე-3 ათასწლეულის მიწურულს არსებითად შეცვალა ძველი სამყაროს გეოკულტურული რუკა სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ამ დაწინაურებული წინარესახელმწიფოებრივი ეთნოკულტურული ერთეულის გამოჩენას მკვლევართა ნაწილი განიხილავს ცივილიზაციის ზღვართან მდგომ მოვლენადაც (ჯაფარიძე, 2006: 342), რომელმაც იმ პერიოდში მნიშვნელოვანწილად განაპირობა სამხრეთ კავკასიის რეგიონის მანამდე არნახული აყვავება. დღესდღეობით, სადავო აღარაა ის ფაქტი, რომ თრიალეთის კულტურის სამარხეული ძეგლები ნათლად ავლენს ახლო აღმოსავლეთის სინქრონული ხანის მეზობელი დაწინაურებული ცივილიზაციებისთვის დამახასიათებელ ზოგიერთ ნიშანს.

ამჯერად ჩვენი კვლევა შემოიფარგლება უცხო ზეგავლენისა და ლოკალური ტრადიციულობის მახასიათებელი ასპექტების ჩვენებით ერთ კონკრეტულ პრეისტორიულ მოცემულობაში - თრიალეთის კულტურაში იმ სურათის წარმოჩენით, თუ როგორ არის მასში ეს ორი სხვადასხვა ტენდენცია და მიმართულება წარმოდგენილი. ვნახოთ ამ ვითარების დამადასტურებელი არქეოლოგიური კონტექსტი სამარხეული ძეგლების ერთი ნაწილის მიხედვით.

დასაწყისში აღვნიშნავთ იმ მკაფიო განმასხვავებელი ნიშნების შესახებაც, რომლებიც ქრონოლოგიურად უშუალოდ მისი წინამორბედი ხანის ბედენის კულტურას ვერაფრით აახლოებს და გენეტიკურად ნაკლებად აკავშირებს თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურასთან. ამგვარ განმასხვავებელ მახასიათებლებს შორისაა: ა) კერამიკული პროდუქცია (Джапаридзе, 1994: Табл. 18-23), ბ) წალკის ყორღანებში დადასტურებული დაკრძავის რიტუალი - კრემაცია (Куфтин, 1941: 81), გ) ლითონის ჭურჭელი (Куфтин, 1941: Табл. XCI, XCIII, XCVII, CI, CII; Puturidze, 2017: 224-226, Figs. 2-4), დ) საკულტო არტეფაქტები (Куфтин, 1941: Табл. XCIX, C) და ბოლოს, ე) ახალი ტექნიკური ხერხების გამოყენება ოქრომჭედლობაში (ფილიგრანი, ინკრუსტაცია) (Puturidze, 2003: 120-123, Fig. 5.7, 5.10; Puturidze, 2017: 213-222). ყველა ჩამოთვლილი და ასევე ზოგიერთი სხვა ნიშანიც ის ინოვაციაა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება სამხრეთ კავკასიის გეოკულტურულ სივრცეში თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურის გამოჩენას და მოასწავებს არსებითი სიახლეების სტარტს კავკასიის ამ ცენტრალურ რეგიონში.

ახლა შევხებით ჯერ იმ არტეფაქტებსა და ყოფაში დადასტურებულ წეს-ჩვეულებებს, რომელიც უცხო კულტურულ-ცივილიზაციური ტრადიციის ზეგავლენის აშკარა მანიშნებელია. ამ კატეგორიის მასალათა შორის საგანგებოდ უნდა გამოვყოთ შემდეგი:

1. დაკრძალვის მანამდე უცნობი წესი - კრემაცია, რომელიც მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ბ. კუფტინის გათხრებით დადასტურდა წალკის ყორღანებში. როგორც ამ ძეგლების აღმოჩენი და მისი პირველი მკვლევარი მიუთითებდა, ეს რიტუალი, ხეთური ლურსმული წერილობითი წყაროების მიხედვით, ცნობილი მეფე-დედოფლის კრემაციის რიტუალის ანალოგიური ჩანს (Куфтин, 1941:81-83).

2. დასაკრძალავი ნაგებობის ქვის უზარმაზარი კონსტრუქცია, რომელიც დადასტურებულია ზურტაკეტში გათხრილი ყორღანებიდან და მას „დასაკრძალავ დარბაზებად“ მოიხსენიებენ (ჯაფარიძე, 1969:14-79), ხეთური „ქვის სახლის“ ანალოგიური უნდა ყოფილიყო (Куфтин, 1941: 83).

3. სამხრეთ კავკასიის ფართო არეალში ტორეეტიკის მრავალფეროვანი არტეფაქტების მასობრივად გამოჩენა თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურის (შუა ბრინჯაოს ხანის II, განვითარებული საფეხური) დაწყებისთანავე (ჯაფარიძე ნ. 1981; Puturidze, 2017:213-228) ხდება თვალსაჩინო. ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ლითონების ჭურჭელი და საკულტო ნივთები სრულიად უცნობი მოვლენა იყო წინამორბედი პერიოდის შუა ბრინჯაოს ხანის უადრესი I საფეხურის ბედენის კულტურისთვის. ეს მომენტი მკაფიოდ უსვამს ხაზს იმ სხვაობას, რომელიც აღნიშნული ურთიერთმომდევნო ეტაპების ამ კულტურებს შორის არსებობდა (ცხადია, სხვა ფაქტორებთან ერთად, რაზეც ნაშრომის დასაწყისშივე მივუთითეთ).

4. უადრესად ნიშანდობლივია კიდევ ერთი ასპექტი, კერძოდ, რთული იკონოგრაფიული სქემა, რომელიც საკმაოდ ნატიფადაა გადმოცემული ძვირფასი ლითონების ჭურჭელზე (Куфтин, 1941: 88-92, Табл. LXXXVIII-XCIII ; Rubinson, 2003: 128-143; Кушнарева, 1993: 116- 120, Рис.44, 45). სხვადასხვა სახით წარმოდგენილი ორნამენტაცია სწორედ ამ კატეგორიის არტეფაქტების ერთ-ერთი ყველაზე ნიშანდობლივი მახასიათებელია და გამოირჩევა ხაზგასმით მდიდრული პრეზენტაბელურობით.

5. ასევე ძალიან სახასიათოა სამკაულის ზოგიერთი ტიპი, რომლებიც საკუთრივ თრიალეთის კულტურისთვისაა დამახასიათებელი. ოქრომჭედლობის ამ კატეგორიის მასალათა შორის საგანგებოდ უნდა გამოვყოთ შემდეგი არტეფაქტები: მილაკისებური მძივები სიგრძივ შესრულებული გავარსით გაკეთებული ორნამენტაციით, შუმერული ტიპის ფუყე სასაფეთქლე ხვიები; ზოგადად, ინკრუსტაციის ტექნიკური ხერხის გამოჩენა და ფერთა გამაზე დაფუძნებული პოლიქრომიის სტილის დამკვიდრება როგორც სამკაულში, ასევე ტორეეტიკაში, ონაგრის ოქროს ფიგურა და მისი სპეციფიკური მხატვრული სტილი; ასევე მცირე პლასტიკის ამ ნიმუშის უკეთ წარმოსაჩენად საგანგებოდ გაკეთებული სადგარი (პიედესტალი), რომელიც ინკრუსტირებული იყო ისეთივე ნახევრად ძვირფასი ქვებით, რომლებითაც თრიალეთის კულტურის სხვა მასალაც იყო შემკული ზოგადად.

6. ზოგიერთი ნახევრად ძვირფასი ქვის, კერძოდ კი - თეთრძარღვიანი აქატის იმპორტირების შემთხვევა (როგორც ჩანს, შუმერიდან) თრიალეთის კულტურის არაერთი ძეგლის ოქრომჭედლობის ნიმუშზე გვხვდება. წალკის # 7 ყორღანში აღმოჩენილი დღემდე უნიკუმად დარჩენილი თოთხმეტმძივიანი ყელსაბამის აქატის კულონი თრიალეთის კულტურის ოქრომჭედლობის ერთ-ერთი საუკეთესო და იშვიათი ნიმუშია (Куфтин, 1941: Табл. XCIV-XCV). ამ სამკაულის ცენტრალურ ნაწილში გამლელი ნახევარწრიული ფორმის ოქროს ინკრუსტირებულ ჩარჩოში ჩასმული აქატი ისეთივე ჯიშისაა, როგორიც შუმერიდან

კარგად ცნობილი ურუქის აქატის ყელსაბამი. ამ ანალოგიის შესახებ მისი აღმოჩენისთანავე მიუთითებდა ბ. კუფტინი (Куфтин, 1941: 94, Рис.98). აქატის კულონს სპეციალური ყურადღება დავუთმეთ ჩვენს ახლახან გამოქვეყნებულ ნაშრომში, რომელიც თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურის მასალებში შემერული პარალელების კვლევას მიემდგნა (ფუთურიძე, 2020:194-209).

ყოველივე ზემოაღნიშნული მდიდარი არქეოლოგიური კონტექსტი საშუალებას გვამძლევს ფაქტების კონსტანტაციისა და შემდეგი თვალსაზრისის გამოთქმისთვის. თრიალეთის კულტურის სპეციფიკურობა და სხვაობა, როგორც ეს გამოჩნდა ზემოგანხილულიდან, წინამორბედი ხანის კულტურული პლასტისგან მკაფიოდ ვლინდება როგორც დაკრძალვის ტრადიციის ზოგიერთი ნიუანსის, ისე ხელოსნობის სხვადასხვა დარგის, განსაკუთრებით კი ტორევიტიკის მრავალფეროვანი კომპლექსების მიხედვით.

მეზობელი სამხრეთული კულტურებისთვის (შუმერი, ცენტრალური ანატოლია) დამახასიათებელი უცხო ტრადიციის ზეგავლენა აშკარა ხდება თრიალეთის კულტურის ისეთი ელიტური დარგის განვითარებაზე, როგორიც ოქრომჭედლობაა. ამასთან, ძვირფასი ლითონებისგან დამზადებული ტორევიტიკის ნიმუშები საკმაოდ თავისებურად ავლენს ამ ინოვაციურობასა და ზეგავლენის მომენტს. თრიალეთური მდიდრული ინვენტარის შემქმნელები კი არ გვთავაზობენ წინააზიური არტეფაქტების ზუსტ განმეორებას თუ კოპირებას, არამედ შემოქმედებითად ახერხებენ მათთვის არატრადიციული დარგის (ლითონის ჭურჭელი) ნიმუშებისთვის თავისებური და გამორჩეული სახის მიცემას ისე, რომ მაინც კარგად იკითხება წინააზიური სტილისტური ნიშნებიც.

წინააზიური კულტურული ნაკადი, მართალია, უდავოდ ჩანს ტორევიტიკის არაერთ არტეფაქტზე, მაგრამ ზოგ შემთხვევაში საკმაოდ თავისებური სიმბიოზურობის ფორმით წარმოგვიდგება ლოკალურ ტრადიციულ სახეებთან და ფორმებთან კომბინირებით. ვფიქრობთ, ამგვარი სიმბიოზურობა განპირობებული იყო ოქრომჭედლობაში უკვე საკმაოდ კარგად ჩამოყალიბებულ ადგილობრივ ნიადაგთან (ბედენის კულტურის შემთხვევა) წინააზიური უცხო ტრადიციის ნიუანსების შერწყმით. თრიალეთის კულტურის მხატვრული ხელოსნობის ამ დარგმა უაღრესად ოსტატურად შეითვისა სიახლეთა ნაკადი, რომელიც უცხო კულტურულ ტრადიციასთან ზიარებით შექმნა. ამ საკითხთან მიმართებით საგანგებო ყურადღებას იქცევს სამხრეთ კავკასიაში სწორედ შუა ბრინჯაოს ხანის განვითარებულ ფაზაში დადასტურებული საზოგადოების ღრმა სოციალიზაციის პროცესი. მას უკავშირდება მატერიალური სიმდიდრისკენ სწრაფვა უკვე დიფერენცირებული ელიტის ფენისთვის განსაკუთრებული სოციალური სტატუსის გამტკიცების მიზნით. პრესტიჟული მდიდრული ნივთების დაგროვებითა და საკუთარ ხელში თავმოყრით ისინი კიდევ უფრო აძლიერებდნენ თავიანთ პრივილეგიურებულ სოციალურ მდგომარეობას. ამიტომაც სწრაფვა ყოველგვარი უცხოთა და მდიდრულისკენ წინა აზიის კულტურების საზოგადოებათა მსგავსად თრიალეთის დაწინაურებულ ფენასაც გამოარჩევს ამ ნიშნით. ამ პროცესს უდავოდ ხელი შეუწყო თრიალეთის კულტურის გახსნილობამ და მზაობამ ყოველივე მოწინავე ტექნიკური ხერხებისა თუ სტილისტური სიახლეების ათვისებისკენ. ამ მიდრეკილებას აშკარად ავლენს თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურა. მისთვის დამახასიათებელი ელიტური დარგის - ოქრომჭედლობის - სწრაფი დაწინაურება, ვფიქრობთ, ვერ განხორციელდებოდა სინქრონული ხანის დაწინაურებული ცივილიზაციური ცენტრებისთვის დამახასიათებელი ტრადიციების, ტექნიკური ხერხების ცოდნასთან ზიარებისა და მისი გათავისების გარეშე. ეს პროცესი კი, რასაკვირველია, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა შუა ბრინჯაოს ხანის განვითარებული ეტაპისთვის ცენტრალურ ანატოლიაში დაარსებული სავაჭრო კოლონიების

ქსელმა. ასეთი უმსხვილესი ცენტრი ცენტრალურ ანატოლიაში იყო ქიულ-თეფე - კარუმ კანეში. აღმოჩნდა, რომ ის მხატვრული ხელოსნობის იმდროინდელი მოდისა და ტექნიკური მიღწევების მთავარი გამავრცელებელი ჰაბი იყო მეზობელ რეგიონებში. როგორც ჩანს, სწორედ მასთან ურთიერთობა აღმოჩნდა ის საფუძველი, რომელმაც ასე დააწინაურა თრიალეთის კულტურის ოქრომჭედლობის დარგი.

ყოველივე ამის საფუძველზე მივიჩნევთ, რომ თრიალეთის კულტურისთვის დამახასიათებელ სხვა მოვლენებთან ერთად ოქრომჭედლობის ნიმუშებმა ცხადად წარმოაჩინა უცხო წინააზიური რეგიონის ზეგავლენითა და ლოკალური ტრადიციული ნიადაგის სიმბიოზურობით შექმნილი სიახლე, რომელშიც ერთდროულად იკითხება მათი თანამონაწილეობა ტორევიტიკისა და სამკაულის ახალი ნიმუშების შექმნის პროცესში. სწორედ ამ ორი განსხვავებული ტრადიციის ურთიერთმიმართება და თანამონაწილეობა უნდა იქნეს საგანგებოდ გააზრებული, თუ გვინდა სწორად შევაფასოთ თრიალეთის კულტურის დაწინაურების წინაპირობა და მიზეზები.

ამრიგად, თრიალეთის კულტურის ტორევიტიკის დარგმა, რომელმაც განსაკუთრებული სიმძლავრით იფეთქა ძვ.წ-ის 22/21-ე – მე-18 საუკუნეებში, ნათლად გვიჩვენა, ერთი მხრივ, უცხო და იმ ეპოქისთვის დაწინაურებული ცივილიზაციების ზეგავლენის და, მეორე მხრივ კი, ლოკალური ტრადიციის გავლენა თრიალეთის კულტურის ელიტური დარგების ჩამოყალიბების პროცესში. რასაკვირველია, ამ ყველაფერმა ეს კულტურა განსაკუთრებით გამორჩეული გახადა ძველი სამყაროს გეოკულტურული ლანდშაფტის საერთო რუკაზე

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგაძე ე., არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბილისი, 1972.
2. ნარიშკინიშვილი გ., სიახლენი თრიალეთის კულტურაში, თბილისი, 2009.
3. ფუთურიძე მ., შუმერის გავლენის ამსახველი არტეფაქტების შესახებ თრიალეთის კულტურაში. აღმოსავლეთმცოდნეობა, # 9, თბილისი, 2020:194-209 .
4. ჯაფარიძე ო., არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. ქართველი ტომების ისტორიისთვის ძვ.წ-ის II ათასწლეულში. თბილისი, 1969.
5. ჯაფარიძე ო., ქართველი ერის ეთნოგენიზის სათავეებთან, თბილისი, 2006.
6. ჯაფარიძე ნ., ბრინჯაოს ხანის ოქრომჭედლობა საქართველოში, თბილისი, 1981.
7. Puturidze M., Social and Economic Shifts in the South Caucasian Middle Bronze Age. Archaeology in the Borderlands. Investigations in Caucasia and Beyond (Eds. A. Smith & K. Robinson), Los Angeles 2003: 111-127.
8. Puturidze M., For the Assign of Middle Bronze Age Phases and Upper Chronological Limit of the Trialeti Culture. Proceedings of the International Conference “Problems of Early Metal Age Archaeology of Caucasus and Anatolia”, Tbilisi, 2014: 278-285.
9. Puturidze M., On the Origins and Development of Gold Working in the Middle Bronze Age Trialeti Culture. At the Northern Frontier of the Near Eastern Archaeology. Recent Research on Caucasia and Anatolia in the Bronze Age, (Eds. E. Rova & M. Tonussi), Turnhout, Belgium, 2017: 213-222.
10. Puturidze M., The Interpreting of Cultural Environment of Period Between the End of the Trialeti Culture and the Beginning of the Late Bronze Age. Proceedings of the International Symposium “Relationships Between Georgia & Anatolia Throughout History”, Ankara, 2020: 387-398.
11. Robinson K., Silver Vessels and Cylinder Sealings: Precious Reflections of Economic Exchange in the Early Second Millennium BC. Archaeology in the Borderlands. Investigations in Caucasia and Beyond (Eds. A. Smith & K. Robinson), Los Angeles, 2003: 128-143.

12. Джапаридзе О., Триалетская культура. Археология. Эпоха ранней и средней бронзы Кавказа и Средней Азии., Москва, 1994: 81-89.
13. Куфтин Б., Археологические раскопки в Триалети. Т. Тбилиси, 1941.
14. Кушнарева К., Южный Кавказ в IX-II тыс. до н.э. Этапы культурного и социально-экономического развития., Санкт-Петербург, 1993.

Reflection of an Alien Influence and Conventionality in the Trialeti Culture: View from the South Caucasus

Marina Puturidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The florescence of the Trialeti culture at the end of the 21 century BC mark a series of major changes in the society of the South Caucasian region. One of the major problems to which we would like concentrate special attention is the issue of an alien influence on this Middle Bronze Age phenomenon. In order to ascertain, on the one hand, the role of the southern region's influence and, on the other hand, conventionality and their balance in the formation of the Trialeti culture, it is necessarily to focus attention to the different factors.

One of the main characteristic features of this culture of the brilliant kurgans, discovered in late 30s of the XX century, is a surprisingly highest level of gold working, the origin of which is still a subject of discussion. The rise of prestigious craft – gold working – in the mid of 3rd millennium BC is directly related with a drastic social stratification and concentration of wealthy by the ruling elite of the trialetian society. This process started a little earlier, at the 1st phase of the Middle Bronze Age which coincided with the Bedeni culture. The precious gold items of the last one is a clear manifestation of a fairly developed level of gold working, which signals the early stage of high artistic craft in the southern regions of Caucasus.

In presented article special attention concentrated to the issue of origin of the incomparable gold working patterns of the Trialeti culture, i.e. the 2nd phase same Middle Bronze era. It seems admissible that flourishment of this prestigious field of high artistic craft was predetermined by a several causes, among which we must include increasingly brisk contacts with the certain regions of the ancient Near East. This fact is clearly reflected by the numerous valuable patterns of toreutics and jewelry which comes from more than hundred burial assemblages of the vast area distribution of the Trialeti culture.

Lots of typical features which are common for the neighboring southern cultures, especially of Sumer, central Anatolia and Van-Urmia basin are obviously recordable among the south Caucasian richly presented artifacts. It concerns as to the items of the elite craft – gold working, as well to the other category, the clay vessels. All the mentioned categories of artifacts reveal significant innovative signs which are closely related to those which are familiar for the ancient near eastern civilizations.

It is remarkable that gold working patterns quite peculiarly reflect a certain portion of non-conventional features. At the same time this trialetian gold assemblages have distinctively near eastern appearance, though in most cases they are not fully repeat or copies but represents their transformed

versions. Therefore, we can conclude that some items of the trialetian toreutics clearly indicate in favor of adopting the near eastern style or the certain details but not totally repeated them. About this artifacts it is available to note that they represent a symbiosis of a local and alien traditional tendencies.

High artistic craft trialetian gold working is a well-formed phenomenon were integrated local traditional and alien features of stylistic and technical methods. From this point of view, the above-mentioned issue connected with the processes of top-level social stratification of the trialetian society. For the trialetian elite manifestly seems characteristic aspire to concentrate the wealthy and by this way more strengthen their power and privileges. It might be explained by the special desire of the local elite toward getting all kind of an alien precious patterns or request to local craftsmen to manufacture their copies.

Supposing that Trialeti culture reflects the process of merging of two distinctive cultural lines: on the one hand, conventional and, on the other hand, alien, southern civilization's cultural traditions, where enough skillfully was linked their nuances. This process was greatly supported by those definitive for the Trialeti culture sign, as is the readiness to accept all innovative and new achieves from the neighboring civilized world. Different patterns of toreutics and jewelry so richly represented in 21 -18 centuries BC is the manifestation of this processes.

ტრადიციული და თანამედროვე ტენდენციები ქართული სამინანქრო ხელოვნების განვითარებაში

ირმა გუგუშვილი

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა

თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი

ეროვნული კულტურული იდენტობის შენარჩუნება ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა XXI საუკუნეში, ამიტომ დღეს განსაკუთრებით აქტუალურია ტრადიციების კვლევა თანამედროვე ხელოვნებათა სხვადასხვა დარგში და მათ შორის - ქართულ ტიხრულ მინანქარში. საგულისხმოა, რომ საქართველოში ტიხრული მინანქრის წარმოშობისა და განვითარების ისტორია საკმაოდ ხანგრძლივია. შუა საუკუნეების მინანქრის ქართულ კოლექციას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მსოფლიო დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების საგანძურში.

შუა საუკუნეების საქართველოში ტიხრული მინანქრის ტექნოლოგიის სწრაფი და წარმატებული განვითარებისთვის არსებობდა მტკიცე საფუძველი. ხელოვნების ამ დარგის განვითარება უკავშირდებოდა ქვეყნის ტერიტორიაზე მეტალურგიული საქმიანობის, ჭიქურის, ფერადი მინის წარმოებისა და საიუველირო ხელოვნების ხანგრძლივ ტრადიციას ძვ. წ-ის VIII ათასწლეულიდან მოყოლებული.

ამჟამად ქრისტიანული ხანის უძვირფასესი მინანქრის ნაკეთობები ძირითადად თავმოყრილია საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში. ამ კოლექციის ქრონოლოგიური დიაპაზონია VII-XV საუკუნეები. მას ემატება ქვეყნის სხვა საცავებსა თუ საზღვარგარეთ შემორჩენილი ცალკეული ნაკეთობები. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ XIX-XX სს-ში საქართველოს ეკლესია-მონასტრებიდან

არაერთი ძვირფასი ნივთი გაიტანეს, რომელთაგან ზოგი უკვალოდ გაქრა, ზოგი კი ინახება უცხოეთის მუზეუმებსა და კერძო პირთა კოლექციებში.

ჩვენს მუზეუმებში დაცული ტიხრული მინანქრის ძეგლები ძირითადად საეკლესიო დანიშნულების ნივთებია, საერო ხასიათის მხოლოდ ერთი გულსაკიდი და სამაჯურის ორი ფრაგმენტია.

მინანქრის ხატები, ჯვრები, რელიკვარიუმები, ცალკეული ფირფიტები და მედალიონები მეორადი დანიშნულებისაა, ანუ სხვადასხვა ჯვარ-ხატის შემამკობელი იყო და არის, მხოლოდ რამდენიმეა ამ კოლექციაში დამოუკიდებელი მინანქრის ხატი.

ძველი ქართული ტიხრული მინანქრის ისტორიაში გამოიყოფა სამი ძირითადი ეტაპი. მათგან პირველი მოიცავს VII-IX საუკუნეებს და აერთიანებს ხახულის ღვთისმშობლის ხატის VII-VIII სს-ის კვადრიფოლიუმსა და IX ს-ის ორ მედალიონს, რომლებიც კარედის მარჯვენა ფრთაზე და ცენტრალურ ნაწილზეა მოთავსებული. ამავე პერიოდს ეკუთვნის VIII-IX საუკუნეების მცირე ზომის გულსაკიდი ტრიპტიქი-ენკოლპიონი მარტვილიდან ვედრების გამოსახულებით.

ჩამოთვლილ ნიმუშებს აქვს ადრეული მინანქრებისთვის დამახასიათებელი მუქი მწვანე გაუმჭვირვალე ფონები, ფერადოვანი გამა კი შედგება ინტენსიური ფერებისგან, რომლებიც საკმაოდ დახვეწილია და, სიმუქის მიუხედავად, სადღესასწაულო კოლორიტს ქმნის. ამ პერიოდის ძეგლებზე ხალვათადაა განთავსებული ოქროს ტიხრები, რომლებიც ნახატს უფრო მარტივს, ადვილად აღსაქმელსა და ექსპრესიულს ხდის.

ქართული მინანქრის კოლექციის ძირითადი ნაწილი X-XIII საუკუნეების ძეგლებია. ეს პერიოდი განსაკუთრებული შემოქმედებითი აღმავლობით ხასიათდება და „ოქროს ხანად“ იწოდება ქართული კულტურის ყველა დარგში. სწორედ ამ დროს იქმნება ოქროსფონიანი რთული იკონოგრაფიის მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომელთა ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია X საუკუნის შემოქმედის კვადრიფოლიუმი ბერძნულ-ქართული (ასომთავრული) წარწერით.

ამ პერიოდის მინანქროვანი ძეგლებიდან მხოლოდ ორს აქვს გამჭვირვალე ზურმუხტისფერი ფონი. ესენია: პატარა ჯვარი კაცხის მაცხოვრის ხატზე და ვარძიის ღვთისმშობლის მედალიონები, რომლებიც შეიძლება ჩავთვალოთ წინა პერიოდის ერთგვარ რემინისცენციად.

ტიხრული მინანქრის ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებია XII-XIII საუკუნეების სამი მცირე ფირფიტა საუფლო დღესასწაულთა სცენებით, ესენია: „მირქმა“, „ლაზარეს აღდგინება“ და „სულიწმიდის მოფენა“. ასეთივე კლასიკური ნაკეთობაა ამავე პერიოდის პანტოკრატორის ნახევარფიგურა ხახულის კარედზე. ქართული კოლექციის გვირგვინია X ს-ის ხახულის კარედის ცენტრალური გამოსახულება - მავედრებელი ღვთისმშობელი, რომელიც ყველაზე დიდი ტიხრული მინანქარია მსოფლიოში. იგი უნიკალურია ტიხრების სიმცირით, ზედაპირის მთლიანობით, მოვარდისფრო კანის ფერთა და სახის ემოციური გამომსახველობით.

მინანქრის ხელოვნების მსოფლიო მემკვიდრეობაში სრულიად უნიკალურია თავად **ხახულის კარედი**, რომელიც სამინანქრო ხელოვნების ნამდვილი მუზეუმია. მასზე VIII-XIX საუკუნეების ბიზანტიური, ქართული და რუსული წარმომავლობის მინანქრის 115 ნაკეთობაა - ისინი ტიხრული, ტვიფრული და ფერწერული ტექნიკითაა შესრულებული.

ქართული ტიხრული მინანქრის დამახასიათებელია თვითმყოფადი ფერთა პალიტრა: წმინდანთა სახეებსა და ხელებს დაჰკრავს ღვინისფერი, რაც X საუკუნიდან ხდება ეროვნული სკოლის გამორჩეული ნიშანი. აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი მიიჩნევდა, რომ ქართველი

ოსტატები იყენებდნენ განსხვავებულ ნედლეულს – შავი ქვის მანგანუმს, რითაც იღებდნენ ქართული სმალტისთვის სახასიათო ღვინისფერნარევ ტონს.

XV საუკუნეს მიაკუთვნებენ ორ ფირფიტას წმ. გიორგის გამოსახულებით, ესენია: თეთრ რაშზე ამხედრებული გველეშაპის მლახვრელი წმ. გიორგი და „ლასია ქალაქის სასწაული“.

ამ ნაკეთობების შემდეგ XX ს-მდე ფაქტობრივად წყდება ქართული სამინანქრო ხელოვნების განვითარება. ამის მიზეზია ბიზანტიის დაცემის შედეგად მართლმადიდებლურ სამყაროში გავრცელებული ძლიერი უარყოფითი სულიერი განწყობა, პოლიტიკური ორიენტირების ცვლილება, მუსლიმური სამყაროს წინაშე დაუცველობის შიში და ა. შ. ყოველივე ამას საქართველოში ემატებოდა მონღოლთა გამანადგურებელი შემოსევები, ქვეყნის სამეფოებად და სამთავროებად დაქუცმაცება, ორი დამოუკიდებელი საკათალიკოსოს შექმნა, განუწყვეტელი შინაომები და სხვა მრავალი პრობლემა, რომლებიც აღარ იძლეოდა საფუძველს ისეთი ფაქიზი რაფინირებული და ძვირად ღირებული ხელოვნების შემდგომი განვითარებისთვის, როგორც იყო ტიხრული მინანქარი. მით უფრო, რომ XVI-XVII საუკუნეებიდან იტალიელ მისიონერთა საშუალებით ქვეყანაში გაჩნდა მინანქრების სხვა შედარებით მარტივი ნაირსახეობები - ჯერ ტვიფრული, შემდეგ კი ფერწერული.

ქართული ტიხრული მინანქრისადმი ინტერესი – მისი შესწავლისა და აღორძინების სურვილი – გაჩნდა მხოლოდ ხუთსაუკუნოვანი პაუზის შემდეგ, მე-20 საუკუნის 50-იან წლებში. ამ მნიშვნელოვანი საქმის სათავეში იდგა პრაქტიკოსი-მკვლევარი ირაკლი ტარუაშვილი. მისი ღვაწლი დიდია სამინანქრო ხელოვნების ტექნოლოგიური კვლევის საქმეში. წარსულის მდიდარი ტრადიციები თანამედროვე ოსტატებს ნოყიერ ნიადაგს უქმნიდა იმისთვის, რომ თავადაც დაეწყოთ გამოყენებითი ხელოვნების ამ დარგის აღორძინების პროცესი. საწყის ეტაპზე მათი მცდელობა მიმართული იყო იქითკენ, რომ დაემზადებინათ შუა საუკუნეების მინანქრის ნამუშევართა ასლები (ბატონი ტარუაშვილის მიერ დამზადებული ასლები ხელოვნების მუზეუმის საგანძურშია გამოფენილი).

XX ს-ის მეორე ნახევარში სხვა პრაქტიკოსმა მკვლევარებმაც გააგრძელეს ამ მხრივ მუშაობა; მათ შორის გამოვყოფდი ირაკლი ციციშვილს, ვაჟა ხიმშიაშვილს, მიხეილ ცალქალამანიძეს და სხვა სპეციალისტებს. აღსანიშნავია ტიხრული მინანქრის ოსტატების ახალი თაობის წარმომადგენელთა წვლილი თანამედროვე ტიხრული მინანქრის განვითარებაში. დეკანოზ საბა ჭიკაძის, ლაშა შენგელიას, მალხაზ შამანაურის, ირაკლი ტატიშვილის, ვახტანგ ბოჭორიშვილის, ვახტანგ ჭიკაძისა და სხვათა (სამწუხაროდ, ყველას ვერ ჩამოვთვლით). მათ ნამუშევრებში თანდათან ჩნდებოდა და ყალიბდებოდა ინდივიდუალური ხელწერის გამოკვეთილი თვითმყოფადი ნიშნები. მოგეხსენებათ, ასლებზე მუშაობა ვერ მისცემდა ოსტატებს საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას, ამიტომაც შუა საუკუნეების ასლებსა და მათ ვარიანტებზე მუშაობის პარალელურად ფართოდებოდა თემატური რეპერტუარი, რელიგიურ მოტივებთან ერთად ჩნდებოდა საერო დეკორატიული კომპოზიციები. ამ კვლევებისა და პრაქტიკული საქმიანობის შედეგად თანამედროვე ოსტატებმა შეიმუშავეს მინანქრის დამზადებისა და დამუშავების ინდივიდუალური მეთოდები, რომლებიც ხშირად გამოცდილებასა და ექსპერიმენტებზე იყო დაფუძნებული, თან მასალაც და ტიხრების დამზადება-მირჩილვის ტექნიკაც უკვე აღარ იყო „ძველებური“.

ტიხრული მინანქრის ტრადიციული ტექნოლოგიის კვლევის საქმეში უმნიშვნელოვანესია საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლის, ბატონი ერმილე მაღრაძის წვლილი. იქამდე ტიხროვანი მინანქრის ხელოვნება ხელოვნებათმცოდნეობის

თვალსაზრისით შალვა ამირანაშვილისა და ლეილა ხუსკივაძის მიერ საფუძვლიანად იყო შესწავლილი. იყო მცდელობაც მინანქრის შემადგენლობის, მისი დამზადებისა და ლითონის საფუძვლის დამუშავების ტექნოლოგიური პროცესების შესწავლის მხრივ, რასაც ემსახურებოდნენ გასული საუკუნის შუა წლებსა და მეორე ნახევარში ამ მიმართულებით მოღვაწე ზემოხსენებული სპეციალისტები.

ბოლო ხანს ტიხრული მინანქრის ტრადიციულ ტექნოლოგიას და მისთვის საჭირო მასალების ანალიზს საფუძვლიანი კვლევა უძღვნა ბატონმა ერმილე მაღრაძემ, რომელიც მრავალი წელი ეწეოდა თეორიულ კვლევას და პრაქტიკულ ექსპერიმენტებს ამ მხრივ. მან განახორციელა რამდენიმე წარმატებული პროექტი (შუა საუკუნეების მინანქრის ასლების დამზადება, მე-12 ს-ის ევროპელი ბერის – თეოფილუსის – ტრაქტატის მიდევნებით მინისა და მინანქრის ნაკეთობების გამოსაწვავი ხუფის დამზადება, თრიალეთის ოქროს თასის ასლის შექმნა) და მონოგრაფიულადაც გამოიკვლია ქართული ტიხროვანი მინანქრის მინერალოგიური თავისებურებანი. აღსანიშნავია, რომ ერმილე მაღრაძის თაოსნობით გორში ფუნქციონირებს სკოლა-ლაბორატორია, რომელშიც ახალგაზრდები შეისწავლიან მინანქრის ხელოვნების საიდუმლოებებს შუა საუკუნეებში გავრცელებული ტექნოლოგიით.

თანამედროვე საქართველოში არსებობს განსხვავებული მიმართულების სკოლებიც, რომლებშიც ცდილობენ ტრადიციულის საფუძველზე გააახლოონ, გარკვეულწილად გაამარტივონ ტექნოლოგიური პროცესები. მეორე მიმართულება ნოვაციურია. მის ნიმუშად შეიძლება განვიხილოთ საქართველოში დღეს ფრიად პოპულარული და წარმატებული სამინანქრო სკოლები და მათ მიერ შექმნილი შთამბეჭდავი, მასშტაბური ნამუშევრები, რომელთაგან უნდა გამოვყო „ფოკანი“ და დავით კაკაბაძის ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით შექმნილი ახალი ხატი - „საქართველოს იმედი“.

ამ ხატისა და ძველი საქართველოს უმნიშვნელოვანესი მინანქრის ხატის, ხახულის ღვთისმშობლის, შედარებით განსაკუთრებით ნათლად იკვეთება ამ ორ ძეგლს შორის არსებული მსგავსებაც და განმასხვავებელი ნიშნებიც.

ორივე კარედი ეპოქალური მნიშვნელობისაა და ორივე მათგანი საქართველოს ისტორიის განსაკუთრებულ პერიოდებთანაა დაკავშირებული. ხახული უკავშირდება დავით კურაპალატისა და დავით აღმაშენებლის ღვაწლს ქვეყნის გაერთიანების, განთავისუფლებისა და გაძლიერებისთვის, „საქართველოს იმედი“ კი იმ დროს, როცა საქართველოს ეკლესიამ გამოიღვიძა ორსაუკუნოვანი იძულებითი ძილისგან და ილია მეორის წინამძღოლობით დაიწყო სულიერი აღმშენებლობის პროცესი.

ხახულის ხატის ისტორიიდან გამომდინარე არ არის ერთდროული ქმნილება, მაგრამ X ს-ის ტაოკლარჯულ ხატს XII ს-ში, სავარაუდოდ, იქვე შესანიშნავად მოარგეს კუბო-ტრიპტიხი, რითაც ის გადმოასვენეს და დააბრძანეს ახლად აგებულ გელათის ღვთისმშობლის ტაძარში.

ხახულის თავდაპირველი ხატისგან ამჟამად დარჩენილია ფრაგმენტები – მავედრებელი ღვთისმშობლის სახე და ხელები. ისინი ფონთან და შარავანდთან ერთად გაიტაცეს მონასტრიდან რუსეთში, საიდანაც 1923 წელს დააბრუნეს ნაწილობრივ. დღეს ადგილზეა სახე და ხელები, დანარჩენი ფრაგმენტები კი უკვალოდაა დაკარგული (არსებობს მოსაზრება, რომ ხატს თავიდან ჰქონია ჭედური პერანგი, თუმცა ეს შეხედულება მეცნიერთა დიდი ნაწილის მიერ არ არის გაზიარებული).

ხახულის კარედზე ცენტრალური გამოსახულება, ღვთისმშობელი, მკაფიოდაა გამოკვეთილი როგორც მთლიანი კომპოზიციის მთავარი დომინანტი, ის, ვისაც ეძღვნება კარედზე ყველაფერი – როგორც თეოლოგიური ასპექტით, ისე დეკორის თვალსაზრისით.

მასზე ყველა დანარჩენი: მინანქროვანი ფირფიტა, ორნამენტიც და პატიოსანი თვლებიც, ღვთისმშობლის თაყვანისცემისთვისაა გამიზნული, თან ასევე მკაფიოდაა გამოკვეთილი მისი შუამდგომლური მისია უფალსა და ქართველ ერს შორის.

კარედზე, ღვთისმშობლის გარშემო, დამაგრებული ქართული და ბიზანტიური მინანქრის მცირე ზომის ნაკეთობები კომპოზიციურად შესანიშნავად არის გააზრებული, როგორც ერთიანი მდიდრული დეკორაციული სისტემის ნაწილები „ჩაფლული“ ბაჯადლო ოქროს დაბალი რელიეფით ნაჭედი მცენარეული ორნამენტის „ხალიჩაში“. დეკორის თემა – ტრადიციული ვაზის ფოთოლი განუწყვეტელი ვარიაციებით – ძალზე მდიდრულ და დინამიკურ ფონს ქმნის დედა ღვთისას ხატისთვის. მას განსაკუთრებულ ანტურაჟს უქმნის ტრიპტიხის ზედა ნაწილზე არსებული წინ წამოწეული თაღი, რომლის ეფექტს კიდევ უფრო აძლიერებს ღვთისმშობლის ორივე მხარეს ხაზგასმული ნახევარწრიული ორმაგი დეკორატიული ზოლი, რომელშიც ტიხრული მინანქრის მედალიონები და პატიოსანი თვლების რიგებია განაწილებული. ხატს ამშვენებს რამდენიმე დიდი ამოზიდული ვარდულიც, რომლებიც სანაწილებია, რითაც ზრდის ხატის მნიშვნელობასა და პატივს.

ტრიპტიხის ცენტრალურ ნაწილზეა კონცენტრირებული დიდი რაოდენობის ტიხრული მინანქრები და დეკორატიული ქვები, ფრთებზე კი აქცენტირებულია 3-3 ჯვარი, როგორც მაცხოვრის ავაზაკებთან ერთად ჯვარცმის სიმბოლური ნიშანი. კარის ქვემოთ ორნამენტის ფონზე დეკორატიულ ელემენტებად აღიქმება ხუთსტრიქონიანი საქტიტორო წარწერა, რომელშიც დავით აღმაშენებელი და დემეტრე პირველი ბიბლიურ მამა-შვილთან, დავით და სოლომონ მეფე-წინასწარმეტყველებთან, არიან შედარებული.

ხახულის ხატის მსგავსად „საქართველოს იმედის“ ხატიც ღვთისმშობლისადმია მიმდვნილი. სავარაუდოდ, იგი ერთდროულად უნდა შეესრულებინათ, თუმცა ჯერ შეიმკო მისი წინა პირი, რამდენიმე წლის შემდეგ კი - ზურგი. მასზე გამოსახულია აღსაყდრებული ღვთისმშობელი კალთაში მაკურთხეველი ყრმა იესოთი, რომელსაც წარუდგენს მლოცველებს და აღავსებს მათ იმედით. მაგრამ ამ შემთხვევაში ამ დიდი ზომის, თითქმის ორმეტრიანი ტრიპტიხის კომპოზიციურ სქემაში ცენტრალური გამოსახულების ირგვლივ ფონი იმდენად დატვირთულია, იმდენი სახე და ფერი შემოდის თვალთახედვის არეში, რომ მაყურებელს ძალაუწებურად ეკარგება მთავარზე კონცენტრირების შესაძლებლობა და ღვთისმშობლის გამოსახულების აღსაქმელად მისი თვალთ „მოძებნა“ ხდება აუცილებელი.

როგორც ცნობილია, წმინდა სამების ტაძრისთვის მინანქრებიანი ხატის შექმნის იდეა 2009 წელს ფოკის დედათა მონასტრის მონაზვნებს ეკუთვნით. მათ კათოლიკოს-პატრიარქისგან, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორისგან, კურთხევა მიეცათ ყოვლადწმინდა სამებასთან ერთად ხატზე გამოესახათ ღვთისმშობელი, სვეტიცხოველი და ქართველი წმინდანები. სამუშაოს ხელმძღვანელობდა დავით კაკაბაძე (უმცროსი), რომელმაც მის უწმინდესობასთან ერთად შექმნა ხატის კომპოზიციური სქემა 400-ზე მეტი ზოგადად ქრისტიანი და ქართველი ეროვნული წმინდანის გამოსახულებით.

„საქართველოს იმედის“ ზედაპირზე 231 ფირფიტაა, უკანა მხარეს – 180; ხატზე, ცენტრალური გამოსახულების გარდა, წარმოდგენილი არიან: ყოვლადწმინდა სამება, სერაფიმები, ქერუბიმები, მთავარანგელოზები და ყველა იერარქიის წმინდანები - მოციქულები, მამამთავრები და წინასწარმეტყველები, მოწამეები, პატრიარქები, ბერ-მონაზვნები, მეფე-დედოფლები და ა. შ. ასევე ნაჩვენებია საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიასთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი თემა - ცხოველი სვეტის აღმართვის სასწაული; სცენა, რომელზეც უფლის ანგელოზები აღამაღლებენ მირონმდინარე სვეტს, მის ძირში კი განისვენებს სიდონია - გულში ჩაკრული უფლის კვართით. იქვე

წარმოდგენილი არიან მოციქულთაწორები: მეფე მირიანი და დედოფალი ნანა, ქართული ეკლესიის ოფიციალური დამფუძნებლები. ღვთისმშობლის ორ მხარეს ერთრიგად ჩანან საქართველოს ეკლესიის გამორჩეული მფარველები – ანდრია მოციქული, წმ. გიორგი, წმ. ნინო და წმ. ნიკოლოზი მთავარანგელოზებით სათავეში.

ამ შინაარსობრივად და კომპოზიციურად ძალზე დატვირთულ ერთგვარად პანორამულ ისტორიულ სურათში ჭარბობს თხრობითი საწყისი – ნარატივი, მაშინ როცა ხახულის ხატზე ქრისტიანული ეკლესია უფრო რეპრეზენტაციულადაა წარმოდგენილი, ამ ეკლესიის სიმბოლური სახის, ღვთისმშობლის მაცედრებელისა და მფარველის ფუნქციის ხაზგასმით.

„იმედის“ ხატში დეკლარირებულად სწორედ ქვეყნის სულიერი საუნჯის, მისი „სამოთხის“ წევრთა დასების რაც შეიძლება სრულად გადმოცემის მცდელობაა მოცემული, მაშინ, როცა ხახულისაზე ეროვნული წმინდანები საერთოდ არ არიან ნაჩვენები. სამაგიეროდ იქ აშკარად ხაზგასმულია ვაზისა და ვენახის კულტი. ამ ორნამენტის შემყურეს მეხსიერებაში უტივტივდება ხატის ქტიტორის, მეფე დემეტრეს, საგალობელი „შენ ხარ ვენახი“, რომელიც სახარებისეული მეტაფორაა და ღვთისმშობელთან ერთად მისგან შობილ ძე ღმერთს – მაცხოვარსაც ეკუთვნის.

ორივე ხატი ორმხრივია. ხახულისას ფრთებზე აქვს შემორჩენილი ვერცხლის ფირფიტები ჯვრებისა და ვაზის გამოსახულებით, „იმედის ხატის“ ზურგი კი ისეთივე „სიტყვაუხვია“ და მრავლისმთქმელი, როგორც მისი ზედაპირის გამოსახულებები. უნდა აღინიშნოს, რომ უკანა მხარე ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.

რაც შეეხება ორნამენტს, თანამედროვე ხატის ორნამენტში ჭარბობს სტილიზებული მცენარეული დეკორი. მასზე თითქმის არ ჩანს ტრადიციული ვაზის ფოთოლი, თუმცა აქა-იქ ჩართულია ყურძნის მტევნები და ფარშევანგების, პატარა ჩიტების, ბროწეულის ნაყოფის, წყლის ავზისა თუ სხვა სიმბოლური დეტალების შემცველი გამოსახულებები.

ძველი ხატისგან განსხვავებით ახალ ხატზე გამოყენებულია გრეხილისა და ცვარას ტექნიკა, სხვაგვარად ზის ლითონში ძვირფასი თვლები. თავად ტიხრული მინანქარიც ისეა გაკეთებული, რომ ნაწილობრივ (განსაკუთრებით სახეებსა და ხელებზე) ერთგვაროვანი ფერწერული მინანქრის, ფინიფტის შთაბეჭდილებას ქმნის. თვალშისაცემია ის ფაქტიც, რომ მინანქრის გამოსახულებათა სახეებს სრულიად არ აქვს ტრადიციული ღვინისფერი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იყო ქართული მინანქრის ერთგვარი საფირმო ნიშანი. „იმედის ხატზე“ სახეები ფერმკრთალია ან მომეტებულად თეთრი.

აღსანიშნავია, რომ ეს თავისებურება განსაკუთრებით დამახასიათებელია „ფოკანის“ პროდუქციისთვის, რაც ამ შემთხვევაში გემოვნებითი ხასიათის ნოვაციას, მაგრამ იგი არ ითვალისწინებს ქრისტიანული ხატის იკონოგრაფიულ კანონიკას და არღვევს მრავალსაუკუნოვან სავალდებულო კავშირს ხატსა და დოგმატურ ღვთისმეტყველებას შორის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაფრინდაშვილი, გ. (2013). შვიდი ფერის ტიხრული მინანქარი და საოცარი რიცხვი „შვიდი“. საქართველოს ქიმიური ჟურნალი. Химический журнал Грузии, Georgia chemical journal. საქართველოს ქიმიური საზოგადოების ჟურნალი. ტ. 13, N 1. თბილისი.
2. გაფრინდაშვილი, გ. (2015). ტიხრული მინანქარი ძვლის ფაიფურის ფუმბზე. თბილისი. ტექნ. უნ-ტი.

3. თანამედროვე ქართული ტიხრული მინანქარი. Cloisonne Enamels in modern Georgia. (1997). ზაზა ლოდუას, სოსო ალავედიძის, გოგა კუპრაძის ნამუშევრები. გამოფენის კატალოგი. მაია ნოზაძე, ია დვალი, ხათუნა ჩხეიძე, მხატვ. მაკა ჭიჭინაძე. ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“. თბილისი.
4. [მარეხაშვილი, თ. \(2006\). ტიხრული მინანქარი - წარსული დიდების გადმონაშთი. ტიხრული მინანქრის დამზადების ტექნოლოგიური პროცესები საქართველოში. N15. თბილისი. კავკასიის მაცნე.](#)
5. ხუსკივაძე, ლ. (1979). ქართული მინანქრები. შუა საუკუნეების ტიხრული მინანქარი. N12. თბილისი. [საბჭოთა ხელოვნება.](#)
6. ხუსკივაძე, ლ. (1984). [შუა საუკუნეების ტიხრული მინანქარი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.](#) თბილისი. ხელოვნება.
7. ხუსკივაძე, ლ. (2000). შალვა ამირანაშვილი და შუა საუკუნეების ქართული მინანქარი. მეცნიერის ღვაწლი ქართული მინანქრის კვლევის საქმეში. [სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი.](#)
8. ხუსკივაძე, ლ. (2003). შუა საუკუნეების ოქრომჭედლობა და ტიხრული მინანქარი. [ნათელი ქრისტესი საქართველო. 2 ტომად. თბილისი.](#)
9. წურწუშია, ლ. (2005). ქართული ხელოვნების განვითარების ტენდენციები XII-XIII საუკუნეების I ნახევრის საქართველოში. ტიხრული მინანქარი და ოქრომჭედლობა. თბილისი.

პლასტიკურ ხელოვნებათა სწავლების სისტემის პოლიტიკურ-იდეოლოგიური ასპექტები 1920-30-იანი წლების საქართველოში

სოფიო პაპინაშვილი

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული სახვითი ხელოვნების სამგანზომილებიან ვიზუალურ შემოქმედებას განვითარების საკმაოდ რთული ისტორია აქვს. მიუხედავად სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში არსებული გამოკვლევებისა ქართული პლასტიკის განვითარების შესახებ, მაინც შეუსწავლელია საკუთრივ შიშველი ფიგურის ესთეტიკური კვალი ქართული ქანდაკების ისტორიაში, ვინაიდან მრგვალი ქანდაკების პროფესიული ნიშნით (იგულისხმება სამხატვრო აკადემიის საგანმანათლებლო სისტემა) განვითარება საქართველოში გარკვეულწილად საბჭოთა კავშირის ისტორიულ არსებობას უკავშირდება, აღნიშნულ ეტაპზე კი დარგის ჟანრობრივი დიფერენცირება მინიმალური იყო.

1920-30-იანი წლების მხატვრულ ცხოვრებაში მრგვალი ქანდაკება მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა პორტრეტისა და ყოფითი თემის ასახვის ხარჯზე. ქალაქში აღმართული ბელადების გამოსახულებები და, ამასთან, იდეოლოგიური ვალდებულება ხელოვანს გასაქანს აღარ აძლევდა თავისუფლად გამოევიდნა საკუთარი ნააზრევნი.

ყოფითი თემების გამოსახვას წინ უსწრებდა „მონუმენტური პროპაგანდის ლენინური გეგმა“, რომელიც 1918 წლის 14 აპრილს გამოიცა მოსკოვში. მისი გამოსვლის შემდეგ რუსეთში მიიღეს გადაწყვეტილება „მეფეთა და მსახურთა პატივსაცემად აშენებული ძეგლების აღებისა და რუსეთის სოციალისტური რევოლუციის ძეგლების პროექტების შემუშავების შესახებ“ (ჯაში, (1966), „*საქართველოს კომუნისტი*“, 6, გვ. 29). ამან ძეგლების ჟანრული თემატიკის შემცირება გამოიწვია, ყველაზე გამორჩეული ადგილი კი პორტრეტმა დაიკავა.

რაც შეეხება თანამედროვე რელიეფურ ხელოვნებას, რომელსაც არანაირი კავშირი აღარ ჰქონდა ქრისტიანულ ხელოვნებასთან, პოლიტიკური იდეებით განვითარდა, „ნიუს“ ჟანრი კი არავისთვის იყო საჭირო, რადგან იდეოლოგიურ და პატრიოტულ მოტივებს ვერ აღვიძებდა. „აღნიშნული გეგმა ქანდაკებას მიიჩნევდა დიდ მათრახიანებელ ძალად, რომელიც

მოწოდებული იყო, ემსახურა ხალხის კომუნისტური აღზრდისათვის“ (ჯაში, (1966), „საქართველოს კომუნისტი“, 6, გვ. 8) - ვკითხულობთ სტატიაში მონუმენტური პროპაგანდის ლენინური გეგმის შესახებ.

სოციალისტური სახელმწიფო სისტემისთვის ცალკე აღებული პიროვნება არ იყო განსაკუთრებული ფასეულობა, უპირატესობა ენიჭებოდა „მასას“, რის გამოც სოციალისტური რეალიზმი საზოგადოებისა და ხელისუფალთა აზრის გამომხატველ მხატვრულ მიმართულებად ჩამოყალიბდა. ის ემყარებოდა მარქსისტულ ფილოსოფიას, რომლის მთავარი პოსტულატი „ახალი ადამიანის ფორმირებაში“ მდგომარეობდა; მაგალითად: „კომუნისტის ნამდვილი სახის შექმნა... შეუძლებელია, თუ მწერალს არა აქვს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, ისტორიის, ხალხის, ეპოქის წინაშე. მწერალი ვალდებულია, კომუნისტის, ახალი ადამიანის სახის შექმნისათვის ჰქონდეს მკაფიო იდეური პოზიცია, საფუძვლიანი მომზადება, დიდი გამოცდილება. ამგვარად... სოციალისტური რეალიზმის მეთოდის იდეურ-ესთეტიკური შინაარსი ხასიათდება პარტიულობით, რომელიც აუცილებლად უნდა შეერწყას კომუნისტურ ჰუმანიზმს“ (სეა, უიგა, ფ. 87, ა. 1, ტ. 3, ს. 1200).

1932 წლამდე სოციალისტური რეალიზმი⁷⁷ უკვე არსებობდა, თუმცა თავდაპირველად მის არსებობას არ შეუზღუდავს ხელოვანთა ინტერესის არეალი, აგიტაციური პოლიტიკის გამკაცრებისთანავე კი დირექტივები დაიგზავნა სხვადასხვა საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო დაწესებულებაში. ამ ზეწოლის პირველი ტალღა 1920-იანი წლების მიწურულში დაიწყო. ეს პერიოდი კი საბჭოთა სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში მოხსენიებულია ქართული ხელოვნების აღმავლობის ხანად. მართლაც, იმ დროს სამხატვრო აკადემიის სტუდენტები საკუთარ ნიჭს წარმოაჩენდნენ, კონკურსებშიც აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას, თუმცა მათ არ ჰქონდათ ერთი უმნიშვნელოვანესი რამ - შემოქმედებითი თავისუფლება, საკუთარი შეხედულებებისა და მიგნებების რეალიზების შესაძლებლობა.

1916 წელს საქართველოში ჩამოყალიბებულმა „ქართველ ხელოვანთა საზოგადოებამ“, რომლის მიზანიც იყო ქართული ხელოვნების ყველა დარგის განვითარების ხელშეწყობა, დიდი როლი შეასრულა ეროვნული სამხატვრო კადრებისთვის ევროპული განათლების ხელმისაწვდომობისთვის. ამ პირველმა, პროფესიული ნიშნით შეკრულმა ორგანიზაციამ, უზრუნველყო ქართველი მხატვარ-სტიპენდიანტების ევროპის წამყვან სახელოვნებო ცენტრებში უმაღლესი სამხატვრო განათლების მისაღებად გაგზავნა. ამ მხრივ სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად მათი ღვაწლი ქართული ხელოვნების წინაშე განუზომელია. 1929 წელს კი უკვე საბჭოთა რეალობაში მოხვედრილი მხატვრების გარკვეული ჯგუფი ქმნის ახალ გაერთიანებას, რომელსაც „საქართველოს რევოლუციონერ მხატვართა ასოციაცია“ („რევმასი“) ეწოდა (იგი 1930 წლის შემდეგ დაიშალა) (ჭინჭარაული, (2008), *სპექტრი*, გვ. 2), ხოლო მის გვერდით დაარსდა მეორე ჯგუფი „სარმას“ სახელწოდებით. ამ უკანასკნელმა დაიწყო აქტიური ბრძოლა თანამედროვედ მოაზროვნე ხელოვანთა წინააღმდეგ: „სარმა“ ხელს უწყობდა კომუნისტური იდეების გავრცელებას, ცდილობდა, გარდაექმნა ხელოვნება და გაეთავისუფლებინა ის „მემარჯვენე-რეაქციონერი მხატვრებისგან“. ამ გაერთიანებებში ის მხატვრები თავკაცობდნენ, რომლებიც მანამდე, 1922 წელს, დაარსებულ მოსე თოიძის

⁷⁷ ტერმინი „სოციალისტური რეალიზმი“ გაჩნდა 1932 წელს მაქსიმ გორკისთან საუბრის დროს (1932 წლის 25 ოქტომბერი): „გადაწყდა ამ მხატვრული მეთოდისათვის ეწოდებინათ „სოციალისტური რეალიზმი“, ტერმინის ავტორად კი გამოაცხადეს სტალინი“ (გაფრინდაშვილი, ნ. მირესაშვილი, მ. წერეთელი, ნ. სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია (ქართული ლიტერატურის მაგალითზე), წიგნი I, სოციალისტური რეალიზმის იდეურ-ესთეტიკური თავისებურებანი, თბილისი, 2010, გვ. 15).

სამხატვრო სტუდიაში (ჭინჭარაული, სპექტრი, 2008, გვ. 2) სწავლობდნენ და ფაქტობრივად რუსული „პერედვიჟნიკული“ მხატვრობის პრინციპებით იყვნენ აღზრდილნი.

„რევმასის“ მიერ 1929 წელს პირველად გამოქვეყნებულ დეკლარაციაში ვკითხულობთ: „მხატვრობის ამოცანები დღეს დიდია. მხატვრები იდეოლოგიის ფრონტზე აქტიურ ბრძოლას უნდა აწარმოებდეს (ასეა დედანში ხომ?) ახალის დადგენილებისათვის. ხელოვნების ყველა თავისი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს მასის ფსიხიკის და ნებისყოფის ორგანიზატორი, სოციალისტური მშენებლობის აქტიური მონაწილე. თანამედროვე რევოლუციონერი მხატვარი ისეთი ოსტატი უნდა იყოს, თავისის სპეციფიური მხატვრული იარაღით შესძლებს ოქტომბრის რევოლუციის ღრმა პროპაგანდას, დაეხმარება მშრომელი მასის კულტურულ დონის აწევას, გაამახვილებს მის იდეოლოგიურ კლასიურ შეგნებას და ყოველ მხრივ ხელს შეუწყობს ახალ ადამიანის ჩამოყალიბებას. მხატვარი უნდა იყოს ახალი ყოფაცხოვრების კოლექტიური ფორმების აქტიური ორგანიზატორთაგანი. მხატვრები მჭიდროდ უნდა დაუკავშირდნენ ჩვენს წარმოებას, მრეწველობას. მათ უნდა მიიღონ უშუალო მონაწილეობა ჩვენი მრეწველობის მიერ მასიური მოხმარების საგანთა მხატვრულ გაფორმებაში...

გლუხურ თვით მოქმედებით წრეს, შევეცდებით ამ წრეებიდან აღვზარდოთ ხელოვანთა ახალი კადრები...

ჩვენ სასტიკად შევებრძოლებით მხატვრობის მემარჯვენე-რეაქციონურ ფენას, მეშჩანობას, ობივატელობას, ინდივიდუალურ ყოფის მხატვრობას“... (სეა, უიცა, ფ. 10, ა. 1. ს. 13).“

ამ საარქივო მასალით დგინდება, რომ „რევმასი“ გამოეყო „ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას“, რადგან, მათი შეფასებით, ისინი იყვნენ აპოლიტიკური და არათანამედროვენი. ისინი ხელს უშლიდნენ საბჭოთა ხელოვნების გაერთიანებას (სეა, უიცა, ფ. 10, ა. 1. ს. 13).

ხელოვანთა ამ რევოლუციურ სულისკვეთებას 1930-იანი წლებიდან, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, იძულების წესით ხელს უწყობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაც, რადგან ის იყო მხატვრული ცხოვრების პროფესიული განვითარების ერთადერთი შესაძლებლობა საქართველოში და მის გახსნაში უდიდესი წვლილი მიუძღვოდა სწორედ დიმიტრი შევარდნაძეს, რომელსაც „რევმასი“ აპოლიტიკურობას უწუნებდა.

რაც შეეხება კომუნისტური ქვეყნების ძირითად სახელოვნებო მიმართულებას, სოცრეალიზმი ერთადერთ გაბატონებულ სტილად იქცა, რომლის გარშემოც მანამდე არსებული მოდერნისტული აზროვნების კვალი უნდა ამოძირკვულიყო. ცენზურა კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ყოველგვარ ე. წ. მემარცხენე გადახრას, ანუ ევროპული მოდერნისტული მხატვრული მიმდინარეობის ნებისმიერ გამოვლენას საბჭოთა არტსივრცეში. ე. წ. სახკომსაბჭო განიხილავდა და განაგებდა ყველა სახის სიახლეს განათლებისა და ხელოვნების სფეროში, საბოლოო გადაწყვეტილებასაც ის იღებდა. ყველასთვის ცნობილია იმ რეპრესიული მანქანის შესახებ, რომელიც თანამედროვედ მოაზროვნე ეროვნული სახელოვნებო კადრების წინააღმდეგ ამუშავდა. პლასტიკური ხელოვნების განვითარებაზე ამ ყოველივემ მძიმე კვალი დატოვა. მოქანდაკის ხელში ქვას მხოლოდ საპროპაგანდო იარაღის ფუნქცია დაეკისრა. თავისთავად ცხადია, ამ სიტუაციაში სრულიად უარყოფილი იყო ნიუ, როგორც ჟანრი. ერთგვარი პარადოქსი იქმნებოდა, რადგან „შიშველ ნატურაზე“ მუშაობა აკადემიის სტუდენტობისთვის სავალდებულო იყო, როგორც სამხატვრო-საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტისთვის; ამავედროულად აკადემიის დასრულების შემდეგ ახალგაზრდა ხელოვნისთვის ეს თემა ფაქტობრივად იხურებოდა. კონკრეტული დადგენილების სახით ცაკი არ უარყოფდა შიშველი თემატიკით შემოქმედთა

დაინტერესებას, პირიქით, სამხატვრო აკადემიაში ყოველი წლის ქანდაკების სასწავლო პროგრამა მოქანდაკეთა ნატურაზე მუშაობას უზრუნველყოფდა⁷⁸, თუმცა სადიპლომო თემად ან მხატვართა შემოქმედების მომავალ სამუშაო სფეროდ ეს ჟანრი არ განიხილებოდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ თბილისის სამხატვრო აკადემია დირექტივების მიხედვით ამუშავდა, მიუხედავად ამისა, სტუდენტთა პირველ ნაკადს შედარებით მშვიდ გარემოში მოუწია მუშაობა, თუმცა იქ მუდმივად იყო სხვადასხვა სახის პრობლემა, მაგალითად, ნიკოლოზ კანდელაკის სტუდენტები ვერ მუშაობდნენ სრულყოფილად სახელოსნოს უქონლობის გამო და ასეთივე მდგომარეობა იყო სასწავლო გარემოშიც. 1930 წლიდან კი სასწავლებელს საქართველოს უმაღლესი სამხატვრო-ტექნიკური ინსტიტუტი ეწოდა; იმავე წლის ზაფხულში ის გაუქმდა და თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში შეიქმნა სახვითი ფაკულტეტი. 1932 წლიდან უმაღლესი სასწავლებლის დებულება და სტრუქტურა შეიცვალა და დადგენილების სახით ყველას გამოეცხადა, რომ მთავარი საქანდაკო თემა უნდა ყოფილიყო იდეალის გამოსახვა, იდეალი კი „საბჭოთა ფილოსოფიის“ შესაბამისად შემდეგნაირია: „სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებაში იდეალი... გმირული შემართების, ახალი პროგრესული იდეებისათვის მებრძოლი ადამიანია“ (სეა, უიცა, ფ. 87, ა. 1, ტ. 3 ს. 1098), ან კიდევ: „გმირი საბჭოთა ადამიანია, რომელიც აუცილებლად დადებითია: დადებით გმირებს სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებაში აღმზრდელობითი როლი ენიჭება, მას უნდა ყველამ მიზამოს, ეცადოს ისე იმოქმედოს, ისევე თქვას, ისევე მოიქცეს, და ბოლოს, გარეგნობითაც დაემსგავსოს. ერთი სიტყვით, დადებითი გმირები შთამაგონებელი სახეებია“ (სეა, უიცა, ფ. 87, ა. 1, ტ. 3, ს. 1200). აქედან გამომდინარე, ფაქტია, რომ მოქანდაკეთა პიროვნული ინტერესი არავის სჭირდებოდა და, შესაბამისად, თემატური ქარგაც მზა სახით მიეწოდებოდათ.

სამხატვრო აკადემიის საარქივო დოკუმენტებში ჩამოყალიბებულია სასწავლო პროგრამის მიზანდასახულობა და პროფილები, რომლებშიც აგიტაცია ეწეოდა ახალგაზრდების კომუნისტური იდეებით აღზრდის საკითხებს, ასე მაგალითად:

„პირველი ხუთწლედის გიგანტური ნაბიჯები⁷⁹ სოციალისტური აღმშენებლობისა, როდესაც გამწვავებულ კლასთა ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა როგორც სასოფლო მეურნეობაში, ისე ინდუსტრიალიზაციაში სოციალისტური სექტორი, მეორე ხუთწლედის გეგმა, როდესაც საბოლოო ლიკვიდაციაქმნილი იქნება კაპიტალისტური ელემენტები და საზოგადოთ კლასები და მთელი მშრომელი მოსახლეობა გარდაქმნილი იქნება კომუნისტური აღმზრდელობითი როგორც შეგნებული და აქტიური მონაწილე უკლასო სოციალისტურ საზოგადოებისა, მოითხოვს დიდ მუშაობას და ენთუზიაზმს ფართო მშრომელ მასებისგან...

ამ ამოცანის შესრულება შესაძლებელია მაშინ, თუ გვეყოლება ჩვენ აღზრდილი ხელოვნების დარგში ახალი პროლეტარული კადრები მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით, შეიარაღებული დიალექტიურ მატერიალიზმის მეთოდოლოგიით, პოლიტექნიზაციით“ (სეა, უიცა, ფ. 87, ა. 1, ტ. 1. ს. 59)... და ა. შ.

⁷⁸ თბილისის სამხატვრო აკადემიის საარქივო მასალებში მოცემულია დოკუმენტები, რომლებიც სასწავლო წლის გეგმებს დეტალურად აღწერს და საათობრივ ბაღსაც განიხილავს. ცოცხალ ნატურაზე მუშაობას სტუდენტები პირველი წლის მეორე სემესტრიდან იწყებდნენ და ყოველ სემესტრში გათვალისწინებული იყო ნატურაზე მუშაობა, მეხუთე კურსის პირველი სემესტრის განმავლობაში შიშველ ნატურაზე მუშაობა სრულად 100 საათს მოიცავდა (ფ. 87, ან. 1, ტ. 1. ს. 24).

⁷⁹ იგულისხმება სამხატვრო აკადემიის დაარსების (1922 წ.) პირველი 5 წელი, მეორე ხუთწლედი კი 1920-იანი წლების დასასრულია. 1930-იანი წლების დასაწყისიდან სამხატვრო აკადემიის სასწავლო გეგმები რადიკალურ ცვლილებას განიცდის.

30-იანი წლების დასაწყისში უფრო მწვავედ, ვიდრე მანამდე მხატვრული მემკვიდრეობის ათვისების საკითხი დადგა. ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა იქონია 1932 წლის 23 აპრილის პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიულმა დადგენილებამ ლიტერატურულ-სამხატვრო ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ. დადგენილება მიმართული იყო იქითკენ, რომ ხელოვნება სრულად და საბოლოოდ შემობრუნებულიყო გამოხატვის რეალისტური მეთოდებისკენ. ბოლო მოეღო სხვადასხვა „იზმით“ გატაცებას ხელოვნების ყველა დარგში. „ეს სოციალისტური რეალიზმის, როგორც საბჭოთა მხატვრობის, ერთიანი შემოქმედებითი მეთოდის დამკვიდრებისა და განხორციელების ეტაპია“ (სეა, უიცა, ფ. 87, ა. 1, ტ. 3, ს. 1278). ამავე დადგენილების საფუძველზე დაიშალა „სარმა“ და 1933 წელს ჩამოყალიბდა „საქართველოს მხატვართა კავშირი“ (მემმარიაშვილი, (1991), „ქართული ხელოვნება“, სერია B, 9, 1991 წ.). ამ დროს ნიუ - შიშველი სხეულის ესთეტიკურ ჭრილში აღქმა და გადმოცემა გამოკვეთილად არც ერთი ხელოვნის შემოქმედებით არ დასტურდებოდა. 1930-იანი წლების დამდეგს კი შიშველი ფიგურების მცირე რაოდენობა შექმნეს ისეთმა მოქანდაკეებმა, როგორებიც იყვნენ: იაკობ ნიკოლაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, ნინო წერეთელი, გიორგი სესიაშვილი, თამარ აბაკელია, თუმცა მათი ნამუშევრები საჯარო სივრცეში არ გამოფენილა.

1934-35 სასწავლო წლის სამუშაო გეგმა უკვე იწყებდა მიზანმიმართულ პროპაგანდას უმაღლეს სასწავლებელშივე, შესაბამისად, დირექციის სასწავლო სამუშაო გეგმა სრულად ერგებოდა სოციალისტური წყობის მოთხოვნებს:

„ტფილისის სამხატვრო აკადემიას მიზნად აქვს მოამზადოს კადრები მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ნიადაგზე... ამ მიზნისათვის სამხატვრო აკადემია ისახავს გეგმას, რომ მოხდეს:

პროგრამების შედგენა და დამუშავება მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებთან დაკავშირებით.

პროგრამების დაკავშირება სოციალისტური მშენებლობის აქტუალურ საკითხებთან და პოლიტეხნიზმის პრინციპებთან.

პროგრამების განხილვა საკავშირო ცაკის დადგენილების საფუძველზე...“ (სეა, უიცა, ფ. 87, ა. 1, ტ. 1. ს. 81).

მსგავსი ნარატივია თითოეულ ფაკულტეტზე. იგივე ტექსტები და მიმართვები ვრცელდებოდა მომდევნო წლებშიც; მხოლოდ ის განხვავებაა, რომ 1936-37 წლებში ხელოვანნი აღიზრდებოდნენ „მარქსისტულ-ლენინურ-სტალინური მსოფლმხედველობის ნიადაგზე სოციალისტური რეალიზმის სრული ათვისებით“ (სეა, უიცა, ფ. 87, ა. 1, ტ. 1. ს. 113). „კომუნისტური ფასეულობების“ მიერ ხელოვნებაში არ განიხილებოდა თანამედროვე ხელოვნების ავანგარდისტული მიმართულებები, რადგან სათქმელი მასამდე მარტივად და თვალნათლად ზუსტად ისე უნდა მისულიყო, როგორც ჩაფიქრებული იყო - თემის „არასწორი წაკითხვისგან“ თავიდან ასარიდებლად. ეს, მათი წარმოდგენით, ასწევდა ხელოვნების დონეს.

ზემოთ მოყვანილ ყველა თეზისში იკითხება არარეალისტური მხატვრული მიმართულებებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება და მასთან ერთად მოიაზრება ერთ-ერთი ყველაზე თავისუფალი ჟანრი ხელოვნებაში – ნიუ.

მარქსისა და ენგელსის აზრით, მხატვრული ქმნილება მით უფრო სრულყოფილია, რაც უფრო ძალდაუტანებლად, ბუნებრივად არის მასში ხელოვნის პოზიცია, მისი იდეები (სეა, უიცა, ფ. 87, ა. 1, ტ. 3, ს. 1200), თუმცა მოგვიანებით ლენინმა მხატვრული თავისუფლების საკითხზე საკუთარი დამოკიდებულება წარმოაჩინა სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ (1905 წ.), იქ ვკითხულობთ შემდეგს: „იმათ წინააღმდეგ, რომლებიც

ამტკიცებენ და ახლაც ხშირად აცხადებენ, რომ პარტიულობა შეუთავსებელია შემოქმედებით თავისუფლებასთან, რადგან ხელოვნებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა ბოჭავს ხელოვანს, თავს ახვევს მას უცხო იდეებს, ზღუდავს მხატვრულ ინდივიდუალობას“... ლენინი ასევე მიუთითებდა, რომ „არ შეიძლება საზოგადოებაში ცხოვრობდე და თავისუფალი იყო საზოგადოებისაგან. ბურჟუაზიული მწერლის, მხატვრის, მსახიობის თავისუფლება არ არსებობს. საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია ფულის ბატონობაზე, იმონებს ხელოვანს, მაგნე შემოქმედებას ახდენს მასზე“ (სეა, უიცა, ფ. 87, ა. 1, ტ. 3, ს. 1200).

ლენინის, როგორც ბელადის, მსგავს მოსაზრებებს, რომლებიც მკვიდრდებოდა, როგორც უცდომელი ჭეშმარიტება, გვერდს ვერავინ აუვლიდა და მიუხედავად კონკრეტული აკრძალვების უქონლობისა, ბოლშევიკური მთავრობის მესვეურთა მხრიდან ერთი სიტყვაც საკმარისი იყო, რომ ნამუშევარი დაეწუნებინათ და საგამოცდო კომისიიდან მოეხსნათ, თუ ის ზემოდან მითითებულ იდეოლოგიურ აუცილებლობას არ დააკმაყოფილებდა.

კომუნისტებისთვის ადამიანი სამართავი არსება იყო, რომელსაც წინააღმდეგობა არ უნდა გაეწია „ქვეყნის აღმშენებლობისთვის“, უნდა დამორჩილებოდა მათ მოწოდებებს. ამ მიდგომამ ქართულ ქანდაკებას ფაქტობრივად ევროპული ხელოვნებისკენ მიმავალი გზა ჩაუკეტა და არა მარტო ქანდაკება, ზოგადად კულტურის განვითარებაც შეაფერხა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაფრინდაშვილი, ნ. მირესაშვილი, მ. წერეთელი, ნ. (2010). სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია (ქართული ლიტერატურის მაგალითზე). თბილისი. ნეკერი.

2. ჯაში ნ. (1966). მონუმენტური პროპაგანდის ლენინური გეგმა ხელოვნებაში. „საქართველოს კომუნისტი“. N6.

საქართველოს ეროვნული არქივი

1. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, სეა, უიცა, ფ. 10, ა. 1, ს. 13.

2. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, სეა, უიცა, ფ. 87, ა. 1, ტ. 2 ს. 1279.

3. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, სეა, უიცა, ფ. 87, ა. 1, ტ. 3, ს. 1200.

4. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, სეა, უიცა, ფ. 87, ა. 1, ტ. 3, ს. 1098.

5. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, სეა, უიცა, ფ. 87, ა. 1, ტ. 3, ს. 1278.

6. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, სეა, უიცა, ფ. 87, ა. 1, ტ. 1. ს. 59.

7. თბილისის სამხატვრო აკადემია, ფონდი 87, საქმე 81.

8. თბილისის სამხატვრო აკადემია, ფონდი 87, ან.ქ. ტ.1. საქმე #113.

9. სამხატვრო აკადემიის საარქივო მასალები - (ფ. 87, ან. 1, ტ. 1. ს. 24).

Political-ideological aspects of the plastic arts teaching system in Georgia in the 1920s and 1930s

Sopio Papinashvili

Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

Summary

Georgian three-dimensional visual art has a rather complicated history of development. Despite the researches in the art literature on the development of Georgian sculpture, the aesthetic traces of a naked figure in the history of Georgian sculpture are still unexplored. The issues discussed in this article are one of the main components of this topic.

Since the professional development of the round sculpture (meaning the educational system of the Academy of Arts) in Georgia was to some extent related to the historical existence of the Soviet Union, at this stage the genre differentiation of the field was minimized. The demands of monumental propaganda which were coming from the socialist realism made the spoken language of sculpture easy to read. The theme of revolutionary struggle was a priority in the fine arts, art became a "hostage" of party propaganda, it became a powerful instrument in the hands of the Soviet government to influence the masses of the people. This attitude can be said to have taken away the future of Georgian sculpture, as society demanded only one thing from the sculpture: The portrait should look as real as possible, and beyond that, neither the authorities nor the rulers of society did not change the position. However, this situation should not be perceived in such a way that the most of the monuments created in that period lacked mastery. On the contrary, the sculptors obeyed the rules set by the higher authorities and displayed high professional skills, which, unfortunately, sacrificed their creative freedom and will to politics. This is evidenced by the "Union of Georgian Revolutionary Artists". The last one challenged the "Artistic union" and presented a resolution on what the artist should serve.

Naturally, in this situation there wouldn't be no tradition of sculpting a naked body, although in small numbers, in the creative laboratory of a single sculptor, there was still an attempt to sculpt similar figures. In this article, I will focus on the curricula of the sculpture faculty, which I found in the archival materials of the Apollon Kutateladze Academy of Arts in Tbilisi. It should also be noted that naked body sculpture was not officially banned, on the contrary, the tracked programs confirm that naked nature was one of the main components in the learning process of sculptors and artists. Although this topic was not included in the diploma works. As for the erection of a similar figure in the city, there was no such precedent until the second half of the twentieth century, when in Western Europe, as it is known, as a park sculpture, it was the compositional solution of the naked figure that became popular in the early twentieth century.

**გვიანი ბიზანტიური ნეკმური დამწერლობის შემცველი ხელნაწერების სამუსიკო
პალეოგრაფიული ანალიზისთვის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში
დაცული ბერძნული ხელნაწერების - gr. 11, gr.9, gr 19 მიხედვით**


**ეკატერინე ონიანი,
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია**

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ხეც)
დაცულია მე-18 საუკუნის ბერძნული ჰიმნოგრაფიული კრებულები ნომრებით gr. 9, 11, 19. ეს
ჰიმნოგრაფიული კრებულები, სხვადასხვა შემადგენლობისაა: gr. 19 ირმოლოგიონია, gr. 9 და
gr. 11 - თვენი (gr. 9 - სექტემბერი-იანვრის ნაწილი, gr. 11 - მთელი წლის თვენი). ხელნაწერებს

დასმული აქვთ თბილისის სასულიერო სემინარიის ბიბლიოთეკისა (gr.19, gr. 9) და „საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების“ (gr. 11) ბეჭდები. სხვა მინაწერები კერძო პირზე („საქართველოს მეფის მე დავითის არის“), ან ანონიმ მესაკუთრეზე („ვიყიდე ბუკინისტისაგან“ gr. 11) მიუთითებენ.

განსაკუთრებით საგულისხმოა მინაწერები ყდაზე, რომლებიც უშუალოდ კრებულების შემადგენლობასა და ავტორებზე მიუთითებს, ავტორები მე-15-17 საუკუნეების მოღვაწეებით განისაზღვრება (როგორც მინაწერები გვამცნობს), თუმცა საკუთრივ ხელნაწერები, აღწერილობის მიხედვით⁸⁰ მე-18 საუკუნეს მიეკუთვნება. ყურადღებას იპყრობს შემდეგი მინაწერები: gr. 11 ზედა ყდის შიდა მხარეზე წერია – სტიქარონები მანუელ ხრისანორისა, მე-15 საუკუნე (Стихирионъ Мануеля Хрисанора XV в.).

ილუსტრაცია 1




ხეც, gr. 11, ზედა ყდის შიდა მხარე

სავარაუდოდ, აქ საუბარია მე-15 საუკუნის ცნობილ ბიზანტიელ მოღვაწეზე, ბიზანტიის იმპერიის ერთ-ერთ უკანასკნელ მეღვინეზე, თეორეტიკოსსა და მაგლობელზე მანუელ ხრისანორისზე, რომელიც მისი თაყვანისმცემლების მიერ „ახალ კუკუზელად“ იწოდებოდა. იყო იმპერატორის მაგლობელთა გუნდის ლამაზდარიოსი; შექმნილი აქვს 300-ზე მეტი კომპოზიცია, სადღესასწაულო კალოფონური სტიქარონები.

საინტერესოა ასევე gr. 19-ის ზედა ყდის შიდა მხარეს მინაწერი ფრანგულად: Manuscrit autographe du ferétre Blaise Nomophylax de la Grande Eglise un des meilleurs compositeurs du XVI e siècle და რუსულად - Ирмологий XVI в Блаз.оса Номофилакса св. Софий..... ყდის შიდა მხარეს, ზედა ნაწილში დაკრული სასულიერო სემინარიის საბიბლიოთეკო ბარათის ქვეშ მნელად იკითხება წარწერა Греческому 8...?:

⁸⁰ ვსარგებლობთ ქეთევან ბეზარაშვილის აღწერილობით (ხელნაწერი).



ხეც, გრ. 19, ზედა ყდის შიდა მხარე

ჯერჯერობით დაუდგენელია ეს მოღვაწე, რომელიც ფრანგულ მინაწერში მე-16 საუკუნის დიდ კომპოზიტორად მოიხსენიება. ნომოფილაქსი კი, კონსტანტინეპოლის იმპერატორის, კონსტანტინე IX მონომახის (1042-1055) მიერ დადგენილი თანამდებობა იყო, ერთგვარად – საეკლესიო კანონების მცველი.

საკუთრივ ხელნაწერების ძირითად ტექსტებში ასევე ნახსენებია სხვადასხვა ავტორი, მაგ. ბიზანტოსი, გერმანოსი, იკასიასი, ანატოლიოსი, გიორგი ნიკომიდიელი, კვიპრიანოსი, გიორგი სიკელიოტოსი, პალასიოსი, გერმანოს ახალი პირველი და სხვა, რომელთა იდენტიფიკაციაც მომავალი კვლევის საკითხია. მათგან ჯერჯერობით გერმანოს ახლის ვინაობის დადგენა მოხდა. იგი, სავარაუდოდ, პოსტბიზანტიური პერიოდის, XVII საუკუნის მოღვაწეა, ახალი პატრას მიტროპოლიტი (მოგვიანებით დატოვა კათედრა და გადავიდა ვლახეთში), იყო მელოურგი, მაგალობელთუხუცესი და ჰიმნოგრაფი. ავტორია სტიქარონებისა, პაპადიკების ანთოლოგიისა. მის მოსწავლეებს შორის მოიხსენიება მელოურგი ბალასიოსი, რომელიც შესაძლოა, ხელნაწერებში, გერმანოსთან ერთად ნახსენები პალასიოსიც იყოს.

აღნიშნული ხელნაწერების მნიშვნელობას, მუსიკალური თვალსაზრისით, განაპირობებს ჰიმნების სამუსიკო ნიშნებით – ნევმებით აღკაზმულობა.


როგორც ცნობილია, ძველი სამუსიკო ნევმური დამწერლობის არსებობა მე-9-10 საუკუნეებიდან დასტურდება ზოგადქრისტიანულ სამგალობლო პრაქტიკაში.

ბიზანტიასა და საქართველოში სამუსიკო სისტემის შემუშავება ხდებოდა სინქრონულად. ეს ფაქტი, საქართველო-ბიზანტიის მჭიდრო რელიგიურ-პოლიტიკური ურთიერთობების გათვალისწინებით, უნდა განაპირობებდეს საერთო პრინციპების არსებობას ამ ორი სამგალობლო კულტურის სამუსიკო დამწერლობაში. მაგრამ, განვითარების პირველ ეტაპზე, ქართულ და ბიზანტიურ ნევმურ სისტემებს, ერთი შეხედვით, შეხების წერტილები არ აქვთ (ყველაზე ადრეულ სტადიაში გამოვლენილი ერთადერთი საერთო პარამეტრის – ნევმების ვერბალურ ტექსტზე არასილაბური განლაგების გარდა). თუმცა, სავარაუდოდ, წარმომავლობის წყარო საერთო აქვთ – ესაა ბიზანტიური ეკფონეტიკური ნიშნების სისტემა, რომელიც შეიქმნა ლიტურგიკული საკითხავებისთვის. მას ქართული ნევმური დამწერლობა

გარეგნულად ემსგავსება. ნიშნების განლაგება ვერბალურ ტექსტზე ერთნაირია - სტრიქონს ზევით და ქვევით და არასილაბურად. რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, სამეტყველო და საგალობო ნიშნები საქართველოში იმთავითვე დიფერენცირებული იყო. ამაზე მეტყველებს გელათის სახარებაში ოთხთავის ტექსტს დართულ ეკვონეტიკური ნიშნების ანბანი განმარტებით: „ამათ ნიშნთა ზედა იკითხვენ ბერძენნი სახარებასა და სამოციქულოსა“ (ხეც, Q-908, ფ. 279v). განმარტებიდან ჩანს, რომ ეს ნიშნები არის საკითხავი და ისინი განსხვავდებიან საგალობო ნევმებისაგან.

ეკვონეტიკური ნიშნების ტექსტზე განლაგების პრინციპი შემდეგნაირია: ვერბალური ტექსტის ფრაზა, ან სიტყვა შემოფარგლულია ერთგვაროვანი (ხშირად) ნიშნებით, ანუ დამახასიათებელია ნიშანთა დაწყვილება. ჩანს, ამ დაწყვილებული ნიშნებით იყო მითითებული მათი შესაბამისი გარკვეული მანერით „გასამღერი“ მონაკვეთის საზღვრები (მაგ: ნიშნებით - ოქსეა-ოქსეა). სხვა ინტონაციურ ტალღაზე გადასვლისას კი ნიშანთა წყვილები იცვლებოდა ახალი შესაბამისი ნიშნებით. ეკვონეტიკური ნიშნების სისტემის ეს ძირეული პრინციპი თვალსაჩინოადაა ასახული ეკვონეტიკური ნიშნების ანბანში. შემდგენელი არ კმაყოფილდება მხოლოდ ნიშნის დასახელებითა და მისი შესაბამისი გრაფემის ჩვენებით, არამედ, წარმოგვიდგენს დაწყვილებული სახით - ოქსეა-ოქსეა, ვარიე-ვარიე და ა. შ. ხოლო ნიშნები ამ დასახელებების პირველ და ბოლო მარცვლებზეა განლაგებული. ანუ ეკვონეტიკური ნიშნების ანბანში მოცემულია არა მხოლოდ ნიშნების გრაფემა და დასახელება, არამედ მათში სისტემის ძირითადი პრინციპებია ჩადებული.

ილუსტრაცია 3.



ხეც, Q-908, 279v

ცხადია, ეკვონეტიკური ნიშნების სისტემას დაეყრდნო საკუთრივ ბიზანტიური ნევმური დამწერლობაც, თუმცა რადიკალურად შეიცვალა ვერბალურ ტექსტზე განლაგების პრინციპი – ყველა ნიშანი განთავსდა სტრიქონს ზევით. ბიზანტიურ ნევმურ სისტემაში ნათლად გამოიყოფა ისტორიული განვითარების შემდეგი ძირითადი ეტაპები:


1. ადრებიზანტიური, ანუ პალეობიზანტიური ნოტაცია (მე-10-12 სს.).
2. შუაბიზანტიური ნოტაცია (მე-12-14 საუკუნეები. მრგვლოვანი).
3. გვიანი ბიზანტიური ნოტაცია (მე-14-16 საუკუნეები. კუკუხელის ნოტაცია).
4. ქრიზანტოსის ნოტაცია, „ახალი მეთოდი“, როგორც უწოდებენ ბერძნები (1820 წლიდან დღემდე).

აღნიშნული ბერძნული ხელნაწერების სამუსიკო დამწერლობა გვიანი ბიზანტიური ნოტაციითაა წარმოდგენილი და ჩანს, კალოფონური გალობის ნიმუშებია მოცემული. ზოგადად, გვიანი ბიზანტიური ნოტაცია სწორედ გალობის კალოფონურ (ანუ ვირტუოზულ,

გამშვენებულ) სტილთანაა დაკავშირებული, ხოლო სტიქარონების ჟანრის მელოდიკა ასევე ვირტუოზულის კატეგორიას განეკუთვნება.

ბიზანტიური ნევმური დამწერლობა დიასტიმურია, ანუ, თითოეული ნიშანი გარკვეულ ინტერვალურ სვლას გამოხატავს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ნევმები განუხრელად ვერბალური ტექსტის ზევითაა განლაგებული და რამდენიმე შრეს ქმნის, რითაც, როგორც მელოდიური ნახაზი, ასევე, საშემსრულებლო შტრიხები და რიტმული ელემენტებია გამოხატული. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს გვიანი ბიზანტიური სამუსიკო დამწერლობის თავისებურება, რაც ორ განსხვავებულ ფენაში ნიშნების შეფერილობაში გამოიხატება – ქვედა ფენა – წითელი შეფერილობისაა, ზედა ფენა – მუქი ყავისფერი. ასევე გამოირჩევა წითელი ფერით საგალობლის ხმის აღმნიშვნელი კომბინაციები, რომლებიც ჰიმნებში მონაცვლეობს და ერთგვარ მოდულაციებზე მიგვანიშნებს.


ილუსტრაცია 4



ხეც, gr. 11, 1v


წარმოდგენილი ხელნაწერების ერთი პერიოდის კუთვნილებასა და სამუსიკო სისტემის ერთგვაროვნებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მიუხედავად სხვადასხვა შემადგენლობისა და სხვადასხვა გადამწერისა (თვით ერთი ხელნაწერის ფარგლებში რამდენიმე განსხვავებული კალიგრაფია განირჩევა), ნევმების კომბინაციური ერთეულები, ყველა ხელნაწერში ერთნაირია. გამოვყოფ რამდენიმე გრაფიკულ კომბინაციას, რომელიც თანაბარი სიხშირით გამოიყენება ყველა კოდექსში

ილუსტრაცია 5



ჰიმნების ნევმურ აღკაზმულობაში, მუხლების შემადგენლობაში რამდენიმე სტაბილური გრაფიკული ფორმულა მონაწილეობს, რომელთა ვარიანტული დაჯგუფებებიც ქმნის ჰანგის მრავალფეროვნებას.

ილუსტრაცია 6




ხეც, gr. 11, 83v

ქვედა ფენის „იეროგლიფური“ წითელი ნიშანი თითქოს განმარტებულია ზედა ფენის გრაფიკული კომბინაციით. ნიშანთა სტაბილური ერთობლიობა მუდამ თან სდევს ამ კონკრეტულ გრაფემებს. მთლიანობაში, მიუხედავად ნიშანთა მრავალრიცხოვნებისა და ვერბალურ ტექსტზე ინტენსიურად განთავსებისა, ამ ნევმებით შექმნილი გრაფიკული ფორმულები მრავალრიცხოვნებით არ გამოირჩევა. გალობის მრავალფეროვნებას ქმნის ამ კომბინაციების სხვადასხვაგვარი გაერთიანებები და, რა თქმა უნდა, ხმის ცვალებადობა. ამრიგად, მიუხედავად გავრცელებული ვარაუდისა, რომ კალოფონურ გალობაში, ჰანგის ჰორიზონტალში განვითარების შედეგად, მოდუსებით – მელოდიური ფორმულებით აზროვნება დაიკარგა, ჰიმნების ნევმური შემადგენლობა მაინც გვიჩვენებს ჰანგის მელოდიური ფორმულებით აკინძვის პრაქტიკას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პარალელური ჩამოყალიბების პროცესში, ქართულსა და ბიზანტიურ ნევმურ სისტემებს, განვითარების საწყის ეტაპზე საერთო ელემენტები არ აღენიშნებათ. სამაგიეროდ, გვიანი პერიოდის (მე-18-19 სს.) ქართულ და ბიზანტიურ ნევმურ დამწერლობებს შორის თვალსაჩინო მსგავსებაა. ეს განპირობებულია ორივე სამგალობლო კულტურაში გამშვენებული გალობისა და მისი ჩაწერის იდენტური საშუალებების დამკვიდრებით.

ბიზანტიური კალოფონური გალობის ჩაწერის ერთ-ერთი გავრცელებული ხერხია ჩართული ფონემების გამოყენება, რაც ასევე მოსახერხებელი აღმოჩნდა მე-19-20 სს. გურული-იმერული წარმომავლობის ქართული გავარჯიშებული გალობისათვის.


ილუსტრაცია 7



ხეც, Q-830, გვ. 114

ამასთან, ბერძნული ანბანის ასო თეტას მსგავსი ნიშანი, რაც წარმოდგენილ ბერძნულ ხელნაწერებში ძალიან ხშირად გვხვდება, სწორედ სილაბური გალობისაგან განსხვავებულ გამშვენებულ სტილზე მიუთითებს მგალობელს. თეტას მსგავსი ნიშანი ასეთივე გამშვენების კონტექსტით გვხვდება მე-19-20 საუკუნეების სრული მგალობლის, დიმიტრი ჭალაგანიძის საგალობელთა კრებულში.

ილუსტრაცია 8



მარტილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ხელნაწერი 5099/1-ბ17, გვ. 2

ამრიგად, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცული ბერძნული ჰიმნოგრაფიული კრებულები საინტერესო მასალას იძლევა გვიანი ბიზანტიური სამუსიკო დამწერლობის შესასწავლად. ასევე მნიშვნელოვანია მათში მოხსენიებული ავტორების იდენტიფიცირება, რაც გაამდიდრებს ცოდნას პოსტბიზანტიური პერიოდის ჰიმნოგრაფების შესახებ; ამავედროულად იძლევა გვიანი ბიზანტიური და ქართული სამუსიკო დამწერლობის პრინციპების პარალელური კვლევის საშუალებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ონიანი, ე. (2016). ბიზანტიური ნიშნის „თეტას“ თეორიული ასპექტები. კრებულში საეკლესიო და თეორიული მუსიკოლოგიის აქტუალური პრობლემები. თბილისი. თსკ.
2. The Canterbury Dictionary of Hymnology, <https://hymnology.hymnsam.co.uk/g/germanos-of-neai-patrai>.
3. The Canterbury Dictionary of Hymnology, <https://hymnology.hymnsam.co.uk/b/balasios>
4. Wellesz, E. (1961), A History of Byzantine Music and Hymnography. Oxford, Oxford University Press.

გამოყენებული ხელნაწერები:

1. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც), ხელნაწერები: gr. 9, gr. 11, gr. 19, Q-908, Q-830.
2. მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ხელნაწერი 5099/1-ბ17.

For Musical Paleographic Analysis of Late Byzantine Neumatic Manuscripts (According to the Greek Codices gr., gr.9, gr 19 – preserved at the Georgian National Centre of Manuscripts)

**Ekaterine Oniani,
Tbilisi State Conservatoire**

Summary

Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts holds the 18th -century Greek hymnographic collections numbered as gr. 9, 11, 19, 20: according to the inscriptions, these hymnographic collections are of different composition: gr. 19 is an Irmologion, gr 9 და gr.11- Menaion. Inscriptions on the cover indicate the content of the collections and the authors; the authors are figures of the 15th -17th centuries. In inscriptions are mentioned Manuel Chrysantor – presumably, Manuel Chrysaphes, the most prominent Byzantine musician of the 15th century, also, someone Blasios Nomophylax, who is mentioned as a great composer of the 16th century. Main texts of manuscripts also contain the names of various authors of post-Byzantine period.

The significance of these manuscripts is determined by the hymns supplied with late-Byzantine neumatic notation. The article reveals several graphic combinations, which are used with equal frequency in all manuscripts, it is proved that despite the widespread assumption, that thinking with melodic formulas was lost in Byzantine kalophonic chanting, as a result of the horizontal development of melody, the practice of binding the melody with stable melodic formulas, is still visible in the neumatic composition of hymns.

Also, the parallels are drawn between Georgian and Byzantine musical writing.

იგირონის მონასტრის წიგნსაცავში დაცული XI საუკუნის ტყავის ტვიფრული ყდები

მაია კარანაძე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ჩვენ არაერთგზის აღვნიშნავს, რომ IX-XII საუკუნეებში გადაწერილ ხელნაწერებს, მათი ხშირი გამოყენების გამო, არ შემორჩათ თავდაპირველი ყდები, რაზედაც ნუსხებზე დართული კოლოფონებიც მიგვითითებენ. ამ ფაქტს ადგილი აქვს არა მარტო ქართული, არამედ ბიზანტიური და შეიძლება ითქვას, ზოგადად ადრეული პერიოდის წიგნის ყდის ისტორიის შესწავლისასაც. ამ პრობლემის შესახებ 2002 წელს წაკითხული მოხსენების თეზისში („Оклад Вардзийского Евангелия – новый памятник грузинской торевтики XII века в собрании Эрмитажа, Эрмитажные чтения памяти Б. Б. Пиотровского: тез. докл., СПб., 2002, с. 59-60“) იური პიატნიცკიმაც გაამახვილა ყურადღება, მისი თქმით: „შუა ბიზანტიური ხანის

ტყავის ყდები საკმაოდ იშვიათია და ნაკლებადაა გამოცემული, ამიტომ ჯერჯერობით ვერ შევძელით არსებულ ნიმუშთა შორის ვარძიის ყდის ზუსტი ანალოგიების მოძიება“ (პიატნიცკი, 2020, გვ. 30-31). ზემოქმულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ყურადღების მიღმა არ უნდა დავტოვოთ ყოველი ახლად გამოვლენილი ყდა ან თუნდაც მისი ფრაგმენტი, როგორც ყდის ისტორიის ამსახველი უმნიშვნელოვანესი საბუთი.

მოხსენება ეხება ათონის ივერთა მონასტერში დაცულ XI საკუნის სამ ქართულ ხელნაწერს (Ivir.Geo.17, Ivir.Geo.19, Ivir.Geo.36), რომლებსაც შემორჩათ გადაწერის თანადროული ტყავის ტვიფრული ყდები.

შევეცდებით წარმოვადგინოთ თითოეული ზემოთ დასახელებული ხელნაწერი წიგნის ყდის მოკლე აღწერილობა: Ivir.Geo.17, აგიოგრაფიულ-ასკეტიკური კრებული. XI ს., ეტრატი; გადაწერის ადგილი, სავარაუდოდ, ივირონი. ხელნაწერი ჩასმულია ადრეული ეტაპისთვის დამახასიათებელ ტყავის ტვიფრულ ყდაში. ძლიერ დაზიანებულ ტყავის ყდის ზედაპირზე გამოსახულია წრეში ჩახატული ტოლმკლავება ჯვარი (ტვიფრის სახე თითქმის გადასულია, ძნელად განირჩევა); ზედა ფრთის გაფორმება მსგავსია ქვედასი; სწორად მოთლილ მასიურ ხის დაფებს კიდევზე მუყევა ღარები, რაც ბელგიელი მეცნიერის, ბერტა ვან რეჟემორტერის აზრით, ბიზანტიური ყდის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია და სათავეს პაპირუსის ყდის პრინციპიდან იღებს (Regemorter (1969). *La reliure Byzantine. Revue Belge d' Archéologie et d'Histoire de l'Art*, vol. 36 (1967), p.118; კარანაძე, 2002, გვ. 25). ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბიზანტიური ყდის ეს დეტალი, მართალია, სამივე დასახელებული ხელნაწერის ყდაზე გვხვდება, მაგრამ ბიზანტიურ ყდებთან შედარებით ღარები ბევრად ფართოა და ზედაპირული. ამავე ტიპის ჩამოჭრა გვხვდება Sin.Geo.O.67 ხელნაწერის ხის დაფებზე. საერთოდ, სინური კოლექციის ქართული ხელნაწერების ყდებს, როგორც ჩანს, დიდად არ ახასიათებთ ხის დაფების ჩამონაჭერზე ღარების არსებობა, ისინი უფრო მასიურია, ვიდრე ათონური ყდები.

Ivir.Geo.19. სამოციქული. XI ს., ქაღალდი; 201 ფ; ნუსხური; ყავისფერი მელანი; ნაკლული; სათაურები სინგურით; გადამწერი ელია; მომგებელი ქავთარ ნიკოლოზის ძე, გადაწერის ადგილი უცნობია, ბლეიკი ხელნაწერს XIII-XVI სს. ათარიღებს. კრებულის არქიტექტონიკის მიხედვით XI ს. უნდა დათარიღდეს, პავლეს ეპისტოლეების მიმდევრობა არ შეესაბამება ტრადიციულ რიგს. ამასვე ამყარებს ყდა, რომელიც ყველა ნიშნის მიხედვით XI ს-ზე გვიანდელი არ შეიძლება იყოს მსგავსებას პოულობს IX—X სს-ის ყდებთან (Chkhikvadze et al. 2018, p.199).

Ivir.Geo.36, მეტაფრასული კრებული, XI ს-ის II ნახ.; ქაღალდი; კრებულში შესულია თეოფილე ხუცესმონაზვნის თარგმანები (სავარაუდოდ, მისივე ავტოგრაფული ნუსხა უნდა იყოს). ხელნაწერი ჩასმულია ადრეულ ეტაპისთვის დამახასიათებელ შავი ფერის ტყავის ტვიფრულ ყდაში. რომლის ნახატს წარმოადგენს წრესა და კვადრატში ჩასმული სტილიზებული ტოლმკლავება ჯვარი. Ivir. Geo.36 ხელნაწერი აგრძელებს Ivir.Geo.37-ის მასალას. ეს უკანასკნელი ჩასმულია 1980 წელს გაკეთებულ ყდაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ათონური კოლექციის დიდი ნაწილი ჩასმულია ახალ ყდებში, რომლებიც გაკეთებულია XX ს-ის 80-იან წლებში იეროდიაკონის ნიპონის მიერ. გვხვდება როგორც გეომეტრიული, ყვავილოვან მცენარეული ორნამენტებით, ისე სახარებისეული სიუჟეტური კომპოზიციებით გაფორმებული ყდები.

კვლევის შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ წრესა და კვადრატში ჩახატული აღმოსავლური ტოლფერდა სტილიზებული ჯვრით შემკული ყდები, გაფორმებული მცირე

ზომისა და ფორმის შემავსებელი ტვიფრებით დამახასიათებელი უნდა იყოს IX-XII საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნების ყდებისთვის დაწყებული სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის (მესტია), ტაოკლარჯული წარმომავლობის: ადიშის სახარება. 478 (კ-82), ადიშის იადგარი. 479 (კ-74), დამთავრებული სინისა: Sin.Geo.O.32-57-33, Sin.Geo.O.46, Sin.Geo.O.6 Sin.Geo.O.11 Sin.Geo.N.26, Graz Geo. 2058/3, Sin.Geo.O.70 (სურ. 1, 2, 3) და ათონის ივერთა მონასტრით: Ivir.Geo.17, Ivir.Geo.19, Ivir.Geo.36. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ Sin.Geo.O.70 ხელნაწერი დათარიღებულია XII-XIII საუკუნეებით. ვფიქრობთ, შესაძლებელია, ამ ტიპის ყდების დამზადებას XII-XIII საუკუნის საქართველოშიც უნდა ჰქონოდა ადგილი, რადგან, ბერტა ვან რეჟემორტერის აზრით, ხელნაწერი წიგნების ყდები, იგულისხმება ბიზანტიურიც, ევოლუციას განიცდის, თუმცა მათი დამზადების ტექნოლოგია მაინც მყარ ტრადიციას ინარჩუნებს, ვინაიდან აკონძვისა და ტყავზე ამოსატვიფრი იარაღები საუკუნეთა მანძილზე არ იცვლებოდა. როგორც ადრეული, ასევე XIV-XV სს. ყდები იდენტური იარაღებითაა შესრულებული (Regemorter (1969). *La reliure Byzantine. Revue Belge d' Archéologie et d'Histoire de l'Art*, vol. 36 (1967), p.106).

ამ კუთხით საინტერესოა, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული, XII-XIII საუკუნეებით დათარიღებული ვარძიის ოთხთავის (Q-899) თავდაპირველი ტყავის ტვიფრული ყდა ინახება პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟის აღმოსავლეთის განყოფილების ბიზანტიურ კოლექციაში, ინვ. # W-1488 (სურ. 4). მინანქრებით შემკული ძვირფასი ყდა საქართველოდან 1880 წელს გაიტანეს ქუთაისის მაშინდელი გუბერნატორის გრაფ ლევაშოვის დახმარებით, ხოლო ვარძიის ოთხთავს (Q-899) გაუკეთეს მოოქრული ვერცხლის მოჭედილი ყდა, რომელსაც რამდენიმე ადგილას უზის 1871 წლით დათარიღებული ცნობილი რუსი ხელოსნის საზიკოვის დამლა. გაფორმების თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, არის ტიპური XIX ს-ის რუსული წარმომადლობის ყდა (სურ. 5). როგორც ჩანს, საზიკოვის ყდა, რომელშიც ჩასმულია ვარძიის ოთხთავი განკუთვნილი იყო სხვა, ბევრად დიდი ფორმატის წიგნისთვის (სურ. 6). ვარძიის თავდაპირველი ტყავის ტვიფრული ყდის ფრაგმენტები 2001 წელს აღმოაჩინა იური პიატნიცკიმ და ყდა XII საუკუნით დაათარიღა. იგი თვლის, რომ ტყავის ამოტვიფრული ყდა ვარძიის მონასტერშია დამზადებული, რომელზეც ამოტვიფრულია წრეში ჩახატული სტილიზებული ტოლმკლავევა ჯვრი (Пятницкий (2002). *Оклад Вардзийского Евангелия – новый памятник грузинской торевтики XII века в собрании Эрмитажа, Эрмитажные чтения памяти Б. Б. Пиотровского: тез. докл.*, СПб., с. 56-61; (2015). *Драгоценный переплет Четвероевангелия из Вардзии. Труды Госу-дарственного Эрмитажа. LXXIV. Византия в контексте мировой культуры. Материалы конференции посвященной памяти А. В. Банк (1906-1984)*. СПб. с.147, 152; პიატნიცკი, 2020, გვ. 22-23, 30-33; Мирзоян 2016, с. 117-119). ვარძიის ყდა საფუძლიანად შეისწავლა ხელოვნებათმცოდნე ნინო სიმონისვილმა და დაურთო ვრცელი ბიბლიოგრაფია (სიმონიშვილი (2017). „ისტორიას, კოლექციონერებს, მეცნიერებასა და პოლიტიკას შორის: შუა საუკუნეების ქართული სახარების ყდის იდენტიფიკაციისათვის“. *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XII*, გვ. 311-312).

როგორც ვხედავთ, ყდის ოსტატებს (მმოსველებს) წინასწარ ჰქონდა გააზრებული თითოეული ის სიმბოლო, რომელიც მათ ჯვართან ერთად უნდა გამოესახათ. ყდის ზედაპირზე ამოტვიფრულია როგორც წრეში ჩახატული ტოლგვერდა ჯვარი, სადაც წრე სამების, უსასრულობის, მარადიულობის სიმბოლოა (Benson, 1976, p.194), ისე წრესა და კვადრატში ჩასმული ჯვრები. წრის გათანაბრება კვადრატთან მომდინარეობს მზრუნავი კვადრატის ცნებიდან. წრისა და კვადრატის ურთიერთმიმართება უკავშირდება ორი დიდი

კოსმიური სიმბოლოს გათანაბრებას, რომელთაგან მიწა აღნიშნავს კვადრატს და ცა-წრეს. წრის გაკვადრატების (უფრო ზუსტად, კვადრატის წრედ ქცევის) მიზანი იყო როგორც მატერიალურ სამყაროში, ასევე სულიერ ცხოვრებაში ერთიანობის მიღწევა განსხვავებულობისა და წინააღმდეგობის დამღევეთ (Cirlot, 1973, pp. 307-308).

ქართული ქრისტიანული ხელოვნება, რომელიც აღმოსავლურ ქრისტიანობასთან (სირია-პალესტინა) მჭიდრო კავშირში ვითარდებოდა, ბუნებრივია ადრევე მიიღო წრესა და კვადრატში ჩახატული ჯვრის ეს ფორმა. ამ კუთხით საყურადღებოა როგორც V-VII საუკუნეებით დათარიღებული ბოლნისის სიონი, მცხეთის ჯვრის ბარელიეფები, ისე X-XI საუკუნეების ტაო-კლარჯეთის ეკლესია მონასტრების მხატვრულ-ორნამენტული გაფორმება (სურ. 7). აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ათონის ივერთა მონასტრის წიგნსაცავის შექმნისთვის ზრუნვა, სწორედ, ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრებში დაიწყო და გაგრძელდა ათონზე იოვანესა და ექვთიმეს ძალისხმევით, რომელებმაც ივირონში შემოიკრიბეს ტაო-კლარჯეთში მოღვაწე ხელოსნურ ჯგუფებად გაერთიანებული მწიგნობარი ბერები: არსენ მამათმთავარი, იოვანე გრძელისძე, ოქროპირი, მმოსველი სერაპიონი, რომელმაც ყდაში ჩასვა (შემოსა) იოანე ოქროპირის „მათეს თავის თარგმანება“ (Ath. 13-4-10), ამავე ჯგუფის გადაწერილია გრიგოლ ჰრომთა პაპის „დიალოგონი“ (A-1103), კოლოფონში (118v-ზე) ყდის ოსტატად მოხსენიებულია ზაქარია მმოსველი. როგორც ვხედავთ, მწიგნობარი ბერების გვერდით იღვწოდნენ ხელნაწერი წიგნის ყდის ხელოსნები, რომლებიც IX-XII საუკუნეებით დათარიღებულ ხელნაწერთა კოლოფონებში „მმოსველებად“ იხსენიებიან, ხოლო XIII-XIV საუკუნეებიდან კი „მკაზმველებად“. ტერმინები „შეიმოსა“ და „შეიკაზმა“ სინონიმებს წარმოადგენენ, მათში იგულისხმება ხელნაწერის ყდაში ჩასმის სრული პრცესი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ დასახელებულ ათონურ ხელნაწერებს (Ivir.Geo.17, Ivir.Geo.19, Ivir.Geo.36), სამწუხაროდ, არ შემოუნახავთ ყდის ხელობასთან („შემოსვასთან“) დაკავშირებული კოლოფონები, რაც თავის მხრივ, დაგვეხმარებოდა უფრო ზუსტად დაგვეთარიღებინა ხელნაწერთა ყდები.

კვლევის შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ ივირონის მონასტრის ზემოთ დასახელებული სამივე ხელნაწერის შემთხვევაში საქმე გვაქვს ქართული ყდის განვითარების ადრეული ეტაპის იმ უძველეს ნიმუშებთან (მხედველობაში გვაქვს IX-XI საუკუნეები), რომელთა წარმოება სათავეს უნდა იღებდეს სამხრეთ საქართველოსა და კერძოდ, ტაო-კლარჯეთის მონასტრებში არსებულ სამწიგნომრო კერებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კარანაძე, მ. (2002). ქართული წიგნის ყდის ისტორია. თბილისი.
2. სიმონიშვილი, ნ. (2017). ისტორიას, კოლექციონერებს, მეცნიერებასა და პოლიტიკას შორის: შუა საუკუნეების ქართული სახარების ყდის იდენტიფიკაციისათვის, საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფოტოარქივიდან. *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XII, გვ. 280- 321.*
3. პიატნიცკი, ი. (2020). წერილები ქართულ სიძველეებზე. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი.
4. Benson, G. (1976). *The Cross its History and Symbolism*, New-York.
5. Blake, R. (1933-1934). *Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la laure d'Iviron au Mont Athos*, par R. Blake *Revue de l'orient chrétien*, t. IX (XXIX), Paris, 1934, pp114-159.

6. Chkhikvadze, N. (2018). The Georgian Manuscript Book Abroad. Compiled by Nestan Chkhikvadze, Maia Karanadze, Vladimer Kekelia, Lela Shatirishvili, Edited by Nestan Chkhikvadze. Tbilisi. Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts.
7. Cirlot, A. (1973). Dictionary of Symbols, London.
8. Regemorter, B. Van. (1969). La reliure Byzantine. *Revue Belge d'Archéologie et d'Histoire de l'Art*, vol. 36 (1967). Bruxelles. pp. 99-139.
9. Мирзоян, А. (2016). Грузинская средневековая торовтика. В собрании Эрмитажа. Исследования и атрибуции СП.
10. Пятницкий, Ю. (2002). Оклад Вардзийского Евангелия – новый памятник грузинской торовтики XII века в собрании Эрмитажа. *Эрмитажные чтения памяти Б. Б. Пиотровского: тез. докл.*, СПб. с. 56-61.
11. Пятницкий, Ю. (2015). Драгоценный переплет Четвероевангелия из Вардзии. *Труды Государственного Эрмитажа. LXXIV. Византия в контексте мировой культуры. Материалы конференции посвященной памяти А. В. Банк (1906-1984)*. СПб. с.142-176.

Embossed leather covers of the 11th century preserved in the Library of Iviron Monastery

Maia Karanadze

Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts

Summary

We have repeatedly pointed out that the manuscripts copied in the 9th --12th centuries, due to their frequent use, did not retain the original covers, as indicated by the colophons attached to the manuscripts.

The paper are discussed three manuscripts of the 11th century from the Iviron Monastery (Ivir.Geo.17, Ivir.Geo.19, Ivir.Geo.36), which have Inserted in contemporaneous leather covers (11th century). The paper also discusses the leather cover of the Vardzia Gospel, kept in the Hermitage.


The craftsmen ("mosvelebi") have thought out in advance each of the symbols that they were supposed to display along with the cross. on the covers are engraved with an equilateral cross drawn in a circle, where the circle is a symbol of trinity, infinity, eternity, as well as crosses inserted in a circle and a square.

As a result of our research, we came to the conclusion that in the case of three manuscripts mentioned above in the Iviron monastery, we are dealing with the earliest samples of the make leather covers of the Georgian manuscripts (We have in mind 9th —11th centuries). Which production must have originated in the hearths of the Tao-Klarjeti monasteries.

ილუსტრაციები:

სურ.1. ადიშის სახარება 897 წ.

ზედა ფრთის სქემა.




სურ. 2. სინური მრავალთავი 864 წ.

Sin.Geo.O.32-57-33. ხელნაწერს 981 წ. ყდა გაუკეთა იოვანე-ზოსიმემ.

ყდის ზედაპირზე ამოტვიფრულია წრეში ჩახატული სტილიზებული ტოლგვერდა ჯვარი.

(ზედა ფრთის ფრაგმენტი)



სურ. 3. Sin.Geo.N.26

ხელნაწერს X ს-ში ყდა გაუკეთა იოვანე-ზოსიმემ. ყდის ზედაპირზე ამოტვიფრულია წრესა და კვადრატში ჩახატული სტილიზებული ტოლგვერდა ჯვარი.



Sin.Geo.N.26, cover

სურ. 4. ვარძიის ოთხთავის თავდაპირველი ტყავის ტვიფრული ყდა ინახება ერმიტაჟში.

ყდის ზედაპირზე ამოტვიფრულია წრეში ჩახატული სტილიზებული ტოლგვერდა ჯვარი.



სურ.5. ვარძიის ოთხთავი. Q-899

სურ.6. ვარძიის ოთხთავი. Q-899

ყდის ოსტატი: საზიკოვი

ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში



სურ.7

იშხნის გუმბათის მოხატულობა.



სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი-მულტიკულტურული ცოდნის ამსახველი
ძეგლი (დავით და იოანე ბატონიშვილების მიერ შევსებული ნუსხა)

თამარ აბულაძე

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“, განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც ასახავს ქართული ენის ისტორიის კონკრეტული ეტაპის ლექსიკურ მონაცემებს, გამოკრებილ ერთეულებს ძველი ქართული ტექსტებიდან, ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან, ენაში დამკვიდრებული „სხვათა სიტყვებიდან“; ამავე დროს, შეიცავს მდიდარ მასალას სამეცნიერო ცოდნის თანადროული დონის, სპეციალური ლექსიკა-ტერმინოლოგიის შექმნა-დამკვიდრების თვალსაზრისით. ქართველი განმანათლებლებისა და მეცნიერებისთვის საბას ლექსიკონი საუკუნეთა განმავლობაში იყო საფუძველი, რომელსაც ემყარებოდა ენის შემდგომი გამდიდრება და განვითარება ისტორიულ-კულტურული კონტექსტით განპირობებული ახალი სამეცნიერო ტერმინული ერთეულების შემოტანის გზით.

აღნიშნული დიდწილად ეხება სამედიცინო ტერმინოლოგიას, რომელიც ისევე, როგორც ტერმინთა სხვა ჯგუფები, სიტყვათშემოქმედების ორ მიმართულებას, ორ ხედვას აერთიანებს: ეტიმოლოგიურ/ისტორიული, ლექსიკოგრაფიული მონაცემებისა და დეფინიციების ჩამოყალიბებას. თუ ეტიმოლოგია ასახავს სად, როდის და როგორ, რა სახით არსებობდა კონკრეტული ტერმინი, მისი დეფინიცია ტერმინის საბაზისო, ტიპური ხედვაა გამოხატული ენობრივი ფორმით. ტერმინის ჩამოყალიბება ხშირ შემთხვევაში ძველი შინაარსის ახალი მნიშვნელობით გააზრება-დამკვიდრებით ხდება, რაც უშუალოდ კულტურული და ისტორიული ასპექტებითაა განპირობებული (Pochop, Middle English Medical Terminology, <http://homes.chass.utoronto.ca/~cpercyc/courses/6361pochop.htm>).

საბას „სიტყვის კონის“ ცალკეული ტერმინული ჯგუფები, მათი შემდგომი შევსება-გადამუშავება სწორედ ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ. ეს ეტაპი - ლექსიკონის ახალი ლათინურ-რუსული, გარკვეული ტიპის აღმოსავლური მასალით გამდიდრება დავით და იოანე ბატონიშვილების რუსეთში მოღვაწეობას უკავშირდება.

ამ მხრივ საინტერესო მასალას გვაწვდის ეროვნულ არქივში დაცული ერთი ხელნაწერი (სეა, სცა, ფ. 1446/106) - სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ნუსხა, რომელიც 1764 წელს ყიზლარშია გადაწერილი. ნუსხა დავით ბატონიშვილს ეკუთვნოდა. მისივე მინაწერის მიხედვით, მან პეტერბურგში შეისყიდა რუსული ლექსიკონი, დაურთო „განმარტებანი ცხოველთა და ბალახთანი, რომელიც საბას არც სმენოდა“. ეს მასალა დავით ბაგრატიონის ლექსიკოგრაფიული მუშაობის მეორე ეტაპადაა მიჩნეული (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 2018, გვ. 50-57; ქართულ სამედიცინო ხელნაწერთა კატალოგი, 2017, გვ. 321).

ლექსიკონს უძღვის „საქართველოს მეფის გიორგის ძის იოანესგან პოვნილნი და ქმნილნი“ სალექსიკონო ერთეულები: „რუსული, თათრული, ქართული“. ხელნაწერის ტექსტი მთლიანად დავით ბატონიშვილის მიერაა ნასწორები.

დავით და იოანე ბატონიშვილებს უადრესად დიდი წვლილი მიუძღვით ევროპული ცოდნის გადმოქართულების საქმეში. იოანე ბატონიშვილი არის ავტორი რუსულ-ლათინურ-ქართული საბუნებისმეტყველო ლექსიკონისა, რომელიც 3000 ერთეულს შეიცავს და დარგობრივი ლექსიკონის შედგენის პირველი ცდაა. აქ, ტერმინთა გარდა, მოცემულია ცნებათა წარმომავლობა და ენციკლოპედიური ხასიათის განმარტებები. მის მიერვეა შედგენილი ვრცელი რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელშიც 5000-მდე საბუნებისმეტყველო ტერმინული ერთეულია შეტანილი. იგი ფლობდა ევროპულ და აღმოსავლურ ენებს (რუსული, ლათინური, ფრანგული, თურქული, არაბული, სპარსული, სომხური), რაც საშუალებას აძლევდა შეედგინა მრავალენოვანი და მრავალდარგოვანი ლექსიკონები.

დავით ბატონიშვილს, მრავალმხრივ მოღვაწეს, მწერალს, მთარგმნელს, მეცნიერს, ლექსიკოგრაფს, განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის საბუნებისმეტყველო ცოდნის გადმოქართულებასა და განვითარებაში. მან შეადგინა „შემოკლებული ფიზიკა“, თარგმნა საარტილერიო წიგნი, წერდა საენციკლოპედიო სტატიებს, გადმოაქართულა შვედი ექიმის, ირნესტა პერენესტის, „ელექსირი“, ასევე მითოლოგიური ლექსიკონი და სხვა. იოანესა და დავით ბაგრატიონების ღრმა ერუდიცია, ცოდნა და ეროვნულ-პრაქტიკული მიზანსწრაფვა სრულად აისახა ლექსიკოგრაფიულ შრომებში, რომელთა ერთ-ერთი მაგალითია სწორედ სულხან-საბას „სიტყვის კონის“ მათ მიერ შევსებული ნუსხა (შენგელია, 1980, გვ. 249-268).

ხელნაწერში მოტანილი ტერმინული ერთეულები განეკუთვნება ზოოლოგია-ბოტანიკის, საბუნებისმეტყველო, კერძოდ, მინერალოგია-გეოლოგიის სფეროებს; მასში მრავლადაა მცენარეული სამკურნალწამლო საშუალებები რუსული და ლათინური

შესატყვისებით, „წონა წამლებისა“, „საექიმო სწავლა“ და სხვა. სალექსიკონო მასალა სამეცნიერო, ზოგჯერ „თათრული“ და სომხური ერთეულებიცაა განმარტებული თავად ბატონიშვილების მიერ (ქუთათელაძე, 1967).

მაგალითისთვის შეიძლება მოვიტანოთ ზოგიერთი ტერმინის შესატყვისები აღნიშნული დანართებიდან: „შანარი - ხელით ნაწერი წვენი (კარაბადინიდან)“, „კუტუფი ჰულბა - შემგბარი“, „კოლინჯი - ნაწლევი“, „აპოპლეზია - ფილენჯის ქარი“ და სხვა.

მასალის შესწავლის შედეგად შესაძლოა გამოიყოს ტერმინთა ფორმების შემდეგი სემანტიკური ნიმუშები:

შემოსული (იმპორტირებული) ტერმინები;

საზოგადო სიტყვების მნიშვნელობის სპეციალიზაცია;

სემანტიკური ინტეგრაციის შედეგად მიღებული ტერმინები - როდესაც ტერმინი იქმნება ორი ან მეტი სიტყვის შერწყმის შედეგად, მაგრამ არ ხდება მათი ერთ ახალ ტერმინად ჩამოყალიბება;

რთული ტერმინები/ფრაზები.

მასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს შემთხვევაში ტერმინული ერთეულის განმარტებები აღწერითია და არ არის მოტანილი პირდაპირი შესატყვისები. ეს ტერმინები ხშირად არ არის მოტივირებული, ანუ არ მიაწვდის უშუალოდ მის შინაგან ფორმაზე, ძირითად შინაარსზე და საჭირო მიმართებას იძენს მხოლოდ მთარგმნელისეული ახსნა-განმარტების შემდეგ (დამბაშიძე, 1986, გვ. 14, 15, 19), რაც შემდეგი გარემოებებითაა განპირობებული: ქართულ ენაში არ არსებობდა ზუსტი შესატყვისი ერთეული, შემდგენელი ცდილობდა ამომწურავი აღწერით მიეწოდებინა მკითხველისთვის ტერმინის შინაარსი. ამგვარ მოვლენას ვხვდებით ვახტანგ მეექვსის თარგმანებში, როდესაც მთარგმნელს შემოაქვს უცხო სიტყვა/ტერმინი ქართული შესაბამისი ლექსიკური ერთეულის არარსებობის გამო და მას იქვე განმარტავს სიტყვათშეთანხმებით ან ფრაზით. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ვახტანგისა და მისი მასწავლებლის - სულხან-საბას - ერთობლივი საქმიანობა ასტრონომიულ-ასტროლოგიური ტერმინების შექმნის კუთხით (აბულაძე, 1990, გვ. 69-70).

მოვიყვანოთ ზოგიერთ ტერმინსა და შესაბამის განმარტებებს ეროვნული არქივის აღნიშნული ხელნაწერიდან:

„შანარი - ხელით ნაწერი წვენი“, „მაჯუნი (მაჯუნ) - სხვათა ენაა, ქართულად დუბიდა ჰქვია“ (იგულისხმება ტერმინის შინაარსი - ნარევი ელექსირი, კონფორტატივი, ორი ან მეტი კომპონენტისგან შედგენილი), კოლინჯი - ესე ნაწლევი არს უპეის ქვევით, რომელი მიმოვალს აქთ იქით“. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც სემანტიკური ინტეგრაციის შედეგად შექმნილი უცხოენოვანი ტერმინი ნუსხაში ერთი ქართული პირდაპირი შესატყვისითაა მოტანილი: „კუტუფი ჰულბა - შემგბარი“ (საბას ლექსიკონის კულტუფი და ჰულბაი - განმარტების გარეშეა მოტანილი კარაბადინიდან). მცენარე ჰულბა/ჰულბაი, საბას განმარტებით, არის ბალახი ულბო, ზოგიერთი ნუსხის მიხედვით - შამბალილა. ამ შესატყვისს უწერს დავით ბაგრატიონი აღნიშნულ შედგენილ ტერმინს (ორბელიანი, 1993, გვ. 468).

სულხან-საბას ლექსიკონის პარალელურად დავით და იოანე ბატონიშვილების სალექსიკონო მასალაც ვრცელდებოდა სპეციალურ ლიტერატურაში. სანიმუშოდ შეიძლება მოვიტანოთ გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ნუსხა 69 (გორის ხელნაწერთა აღწერილობა, 2002, გვ. 146-148), რომლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს დაუთ-ხანის


კარაბადინი - „იადიგარ დაუდი“⁸¹. იგი იოანე მღვდლის მიერაა გადაწერილი მოზდოკში 1792 წელს. გადაწერის სიტყვებით, მას ნუსხა „ბატონიშვილის მირიანის „კარაბადინისაგან გადმოუწერია“. ხელნაწერს ერთვის გადაწერისა და მთარგმნელის ანდერძები; წამალთა აღმოსავლური სახელები ქართული შესატყვისებით; სიცოცხლის წრეების სქემა; პურის, ხორცის, რძის *თაბიათები* /ზუნება/; ფერად-ფერადი მალამოების დამზადების წესები, *მაჯუნების* /ზემოთ აღნიშნული წამალთა ნარევი, კონფორტატივი/ ნუსხა, სამიეხელი.

განსაკუთრებით საგულისხმოა ხელნაწერის მეორე ნაწილი - „მეორე კარაბადინი“, რომელიც, შემდგენლის სიტყვით, დავით ბატონიშვილისგან „გადაწერა“. ტექსტს ერთვის ლექსიკონი - „წამლების სახელები თათრულისაგან ქართულად“ (435 r).


წარმოგიდგენთ ფოტოებს ხელნაწერიდან.

1. ხელნაწერი კრებულის დასაწყისი, რომელშიც შემდგენელი აღნიშნავს, რომ მან (გარსევანოვმა) ახლად შეაგროვა ქართველთა მიერ გამოყენებული მცენარეული წამლები და დაალაგა ანბანურად. ქართულად მოტანილ ტერმინს ახლავს რუსული შესატყვისი და ენციკლოპედიური ხასიათის აღწერა-განმარტება (აბზინდა - პალინ, სამკურნალო მცენარე; ალისარჩული - ყვითელი მცენარე, გამოიყენებოდა საღებავად). სურ. 1.

2. მოცემულია გარეგანად სახმარი წამლის/მალამოს დამზადების რეცეპტი - კომპონენტები და ტექნოლოგია. ამ შემთხვევაშიც ის ტერმინული დასახელებებია წარმოდგენილი, რომლებიც გვხვდება სულხან-საბასთან, ასევე იოანე და დავით ბატონიშვილების დანართებში: *ლახოტაკი* - ნელსაცხებელი, წარბთ საღებავი ქვა, გუნდა; *ავაჯუა/ჰავაჯუა* - მესხურ-ჯავახური ოჯახური მრავალწლიანი მცენარე, ძირწითელა; *საბრი* - ალოე. ეს ტერმინები განმარტებებისა და პირდაპირი შესატყვისი ერთეულების გარეშეა მოცემული, რადგან ისინი ცნობილი იყო მოსახლეობაში. სურ. 2



სურ. 1



სურ. 2

⁸¹ „იადიგარ დაუდი“ მეფე დავითის/დაუდხანის (1569-1578) შედგენილი ფუნდამენტური, ქართულ სინამდვილეში საუკუნეების განმავლობაში აქტუალური და პოპულარული შრომაა. ავტორ/შემდგენელს ორი - არაბული და ირანული - წყარო შეუერთებია და ქართულ კრებულად შეუკრავს. ნაშრომში ჭარბადაა არაბულ-სპარსული ლექსიკა, თვალსაჩინოა ავტორის წვლილიც („იადიგარ დაუდი“, 1985, შესავალი).

განხილული მასალა - ეროვნულ არქივში დაცული სულხან-საბას ლექსიკონის წარმოდგენილი ნუსხა, გორის ხელნაწერის ლექსიკა-ტერმინოლოგია და მასზე დართული ლექსიკონი - ასახავს „სიტყვის კონაზე“ თაობათა მუშაობის მთელ სურათს, ქართველი მეცნიერი-განმანათლებლების მიერ მასალის შემატება-გამდიდრების პროცესს კულტურული გარემოს, ავტორთა/თანაავტორთა ინტერესებისა და ერუდიციის კვალად, მულტიკულტურულ ცოდნასა და კულტურულ მედიატორთა პრაქტიკულ მიზანდასახულობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე, თ. (1990). ვახტანგ მეექვსის მთარგმნელობითი მოღვაწეობა. თბილისი. მეცნიერება.
2. გორის სახელმწიფო ეთნოგრაფიული მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (2002). შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ და ც. კახაბრიშვილმა, რედაქტორი მ. ქავთარია. თბილისი. მეცნიერება.
3. იადიგარ დაუდი (1985). გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ლადო კოტეტიშვილმა. თბილისი. საბჭოთა საქართველო.
4. ორბელიანი, ს. ს. (1993), ლექსიკონი ქართული, ტ. 2. ილია აბულაძის გამოცემა. თბილისი. მერანი.
5. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, სეა სცა, ფ. 1446/106.
6. ქართულ სამედიცინო ხელნაწერთა კატალოგი (2017), შემდგენელები: ნანი ხელაია, ნია მატაბელი, ქეთი ძაძამია, ნელი ბაგრატიონი. რედაქტორი რამაზ შენგელია. თბილისი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი.
7. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (საქართველოს ეროვნული არქივის ხელნაწერთა ფონდი). (2018). ტ. II. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: ლიკა აბრალავამ, ქეთევან ასათიანმა, თამარ გაბუნია, მაკა კირვალიძემ, ვერა შენგელიამ, მანანა ჭუმბურიძემ. თბილისი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული არქივი.
8. ქუთათელაძე, ლ. (1980). დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოლოგიური შრომები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. ქუთათელაძემ. თბილისი. მეცნიერება.
9. ღამბაშიძე, რ. (1986). ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები. თბილისი. მეცნიერება.
10. შენგელია, მ. (1980). ქართული მედიცინის ისტორია. მეორე გამოცემა. თბილისი. განათლება.
11. Pochop, I. Middle English Medical Terminology. <http://homes.chass.utoronto.ca/~cpercy/courses/6361pochop.htm>

Sulkhan-Saba Orbeliani Dictionary – a monument reflecting multicultural knowledge (Manuscript filled in by David and Ioane Batonishvili)

Tamar Abuladze
Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts

Summary

Sulkhan-Saba Orbeliani's "*Sitkvis Kona*", a Georgian explanatory dictionary, contains rich material in terms of the creation and establishment of a special terminology of the contemporary level of scientific knowledge.

The cooperation between Vakhtang VI and his teacher, Sulkhan-Saba Orbeliani, is extremely important in this regard. They have, in fact, developed Georgian scientific terminology for some fields.

The next stage of filling in the dictionary is related to the activities of Davit and Ioane Batonishvilis in Russia. An interesting material in this regard is provided by one manuscript preserved in the National Archives (1446/106) - Sulkhan-Saba Orbeliani's dictionary, which was copied in 1764 in Kizlar, belonged to Davit Batonishvili. This material is considered to be the second stage of David Bagrationi's lexicographical work.

Terminological units belong to the fields of zoology-botany, natural sciences, in particular, mineralogy-geology. The lexical material is multilingual, Latin, Russian, sometimes "Tatar"/Persian-Arabian and Armenian units are also explained by the compilers themselves in Georgian.

The lexical material of David and Ioane Batonishvilis was also distributed in special literature. As an example, we can bring the manuscript # 69 preserved in the Historical-Ethnographical Museum in Gori, which is Daut-Khan's Karabadin.

The presented manuscript of the Sulkhan-Saba's Dictionary preserved in the National Archives reflects the whole picture of the work of generations - the process of adding and enriching the material by Georgian scholars-educators in the cultural environment, the interests of authors / co-authors and erudition.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავების კვალდაკვალ - ახალი მასალები

მაია ცერცვაძე

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

იმ კულტურულ-საზოგადოებრივი გარემოს შესწავლა, რომელშიც მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა ნიკოლოზ ბარათაშვილს, არასოდეს კარგავს აქტუალობას. მიუხედავად ლიტერატურათმცოდნეთა და მეცნიერ-ისტორიკოსთა თუნდაც ბოლოდროინდელი დიდი გარჯისა, მნიშვნელოვანი შრომებისა და ნარკვევების გამოქვეყნებისა, ამ მხრივ დასადგენი თუ დასაზუსტებელი ჯერ კიდევ ბევრია.

ნიკოლოზ ბარათაშვილის გარემოცვა ჩვენს ყურადღებას იქცევს არა მარტო მასთან დამოკიდებულებისა და მიმართების თვალსაზრისით, რაც მისი ბიოგრაფიისა და შემოქმედების უკეთ შესწავლის საშურ საქმეს დიდად არგია, არამედ სხვა მხრივაც. ისევე, როგორც თავად პოეტი, მისი საახლობლო წრეც უმაღლეს არისტოკრატias განეკუთვნებოდა და მეტად რთული ეპოქის - მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის - საქართველოს საზოგადოების უაღრესად აქტიური ნაწილი იყო. მისი მეგობრები, ნათესავები, თანამშრომლები და სხვა ნაცნობები დიდ როლს ასრულებდნენ ქვეყნის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ თუ კულტურულ საქმიანობაში.

ამ მიმართულებით ჩვენი კვლევების გასაგრძელებლად მეტად მნიშვნელოვანია სამეცნიერო ბრუნვაში შემოსული ყოველი დაკავშირებული ახალი საარქივო წყაროსა და გამოცემისთვის თვალის მიდევნება და მიმდინარე ნაშრომებში მათი ჩართვა.

წარმოდგენილი მოხსენება სწორედ ერთ მათგანზე დაყრდნობით ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავების შესახებ ახალი მასალების თავმოყრის ცდაა.

ჩვენთვის საყურადღებო მთავარი წყარო ამჟამად არის არცთუ დიდი ხნის წინ, 2018 წელს, გამოცემული წიგნი „მოგონებები „60 წლის მანძილზე“, რომლის ავტორია ცნობილი მკვლევარი, ბიბლიოგრაფი და ეთნოგრაფი, ბიბლიოთეკათმცოდნეობის მეცნიერი და

პრაქტიკოსი ივანე ციციშვილი (1881-1945). იგი „პოსრედნიკ“ გიორგი ივანეს ძე ციციშვილისა (1834-1897) და ნინო დავითის ასულ მაჩაბლის (1843-?) ვაჟიშვილია (Чиковани, 2009, 54-55). ამ მემუარების ავტოგრაფი (19811-ბ) ხუთი ხელნაწერი რეგულის სახით დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში. იგი გამოსაცემად მოამზადა მემუარისტის შთამომავალმა, ქალბატონმა ნათელა ციციშვილმა.

გვინდა აქვე აღვნიშნოთ, რომ წარმოდგენილ სტატიაში ვაზუსტებთ ჩვენთვის საინტერესო პირების გენეალოგიურ თუ სხვა სახის ცნობებს ასევე უახლესი კვლევების მიხედვით. გენეალოგიური ცნობების დაზუსტებისას ვხელმძღვანელობთ ამ დარგის ცნობილი მკვლევრის, ქართული გენეალოგიური საზოგადოების დამფუძნებლისა და პრეზიდენტის, საერთაშორისო გენეალოგიური აკადემიის ნამდვილი წევრის - იური ჩიქოვანის - კვლევებითა და ტაბულებით.

ივანე ციციშვილის განსახილველი მოგონებები საოჯახო ქრონიკას წარმოადგენს. ციციშვილთა დარად ის საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ქართლის სხვა განთქმულ საგვარეულოთა ცნობილი წარმომადგენლების შესახებ. მათ შორისაა ნიკოლოზ ბარათაშვილის სიძის, მისი უფროსი ძის, ეკატერინე ბარათაშვილის (1821-1853), მეუღლის რევაზ ლუარსაბის ძე ქსნის ერისთავის (1812-1881) ოჯახიც. ამ ოჯახის წევრები პოეტის პირადი წერილების ფიგურანტებიც არიან და ეკატერინეს დანიშვნისა და ახალგორში ქორწილის აღწერის ამბებშიც იხსენიებიან.

სიძესა და მის ნათესავებს - რევაზ ერისთავის ძმებს - ლევანს და დავითს და მათ მეუღლეებს, რევაზის დებს, დედას და დედის ძმას ნიკოლოზ ბარათაშვილი ახსენებს ოთხ პირად წერილში. ესენია:

1. წერილი X - 1844 წლის 15 აპრილის წერილი ზაქარია ორბელიანისადმი;
2. წერილი XI - 1844 წლის 10 მაისის წერილი ზაქარია ორბელიანისადმი;
3. წერილი XII - 1844 წლის 23 მაისის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი;
4. წერილი XIII - [1844 წლის 18-დან 20 აგვისტომდე] წერილი ზაქარია ორბელიანისადმი (ბარათაშვილი, 2015, გვ. 148, 158, 163, 171-172).

ამდენად ჩვენი ცდა პოეტის ეპისტოლური მემკვიდრეობის პერსონალიის შესწავლის საკითხისთვისაც მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, ერისთავთა ეს ოჯახი 1832 წლის შეთქმულების მონაწილეცაა და ამ მხრივაცაა საინტერესო.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სიძის - რევაზ ერისთავის - ოჯახს მიეძღვნა ჩვენი ერთი ადრინდელი სპეციალური გამოკვლევა (ცერცვაძე, 2014, გვ. 63-68), რომლის გაგრძელებისა და სრულყოფის ცდად გვესახება წარმოდგენილი კვლევა.

ეკატერინე ბარათაშვილი გორის მაზრის მემამულეზე, პრაპორშჩიკ რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავზე, 1844 წლის 6 აპრილს დაინიშნა, მათი ჯვრისწერა იმავე წლის ივნისში შედგა.

რევაზ ერისთავი კაპიტან ლუარსაბ გიორგის ძე ქსნის ერისთავისა (ჩანს 1771-1812) და მარიამ ფარნაოზის (ფარნას) ასულ წულუკიძის (ჩანს 1817-1852) შვილია. მისი უმცროსი ძმაა **დავით ერისთავი** (1814-1889), პოდპორუჩიკი, სახელმწიფო მრჩეველი.

დავით ერისთავმა პირველად 1845 წელს სალომე შალვას ასულ ერისთავზე (1826-1854) იქორწინა, მეორედ კი - 1858 წელს ანა გრიგოლის ასულ ბებუთოვაზე (1839-1918).

დაზუსტებული ცნობების მიხედვით, ორი ქორწინებიდან დავით ერისთავს ჰყოლია შვილები: შალვა (1847-1849); მარიამი (1851-1888); ეკატერინე (1854-?); ნინო (1859-?); სოფიო (1861-1918); ელისაბედი (1862-1868); გრიგოლი (1864-?); ნიკოლოზი (1866-1929); გიორგი (1869-1929); ელისაბედი (1870-1935); დარია (1873-1962) (ჩიქოვანი, 2010, გვ. 24).

დავით ერისთავის შვილია **ნიკოლოზ (კოლა) ერისთავი** (1866-1929), პრაპორშჩიკი, ცნობილი დეკლამატორი, ილია ჭავჭავაძის მეგობარი.

ჩვენი ამჟამინდელი კვლევის ძირითადი წყარო, როგორც აღვნიშნეთ, არის ივანე ციციშვილის მემუარები, რომელშიც ავტორი ბევრ სხვა ისტორიასთან ერთად ქსნის ერისთავთა ამ ოჯახის წევრთა ამბებსაც გვიყვება. მათ შორის არიან ზემოხსენებული დავით ერისთავი და მისი შვილი ნიკოლოზ (კოლა) ერისთავი. სწორედ ამ კოლა ერისთავზე იყო გათხოვილი მემუარისტის ერთ-ერთი და - **ანასტასია (ტასო) გიორგის ასული ციციშვილი** (1864-?).

როგორც ივანე ციციშვილი გადმოგვცემს, ანასტასიას და მის უფროს დებს, მარიამსა და თამარს, თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი დაუმთავრებიათ. მარიამი პირველი გათხოვილა. შინ, მშობლებთან, დაბრუნებული თამარი და ტასო, „ეს ორი ლამაზი და საუკეთესოდ გაზრდილი ქალიშვილი“, მაზრის ახალგაზრდობის ყურადღებას იპყრობდა. ოჯახის ხშირ სტუმრებს შორის ყოფილა კოლა ერისთავიც, რომელსაც ივანე ციციშვილი „ნიკოდ“ მოიხსენიებს და რომელიც შემდეგ მისი სიძე გამხდარა.

თვალი გავადევნოთ მოგონების ტექსტს: „ჩვენი ოჯახი ისედაც მუდამ სავსე იყო ხოლმე სტუმრებით. მაზრის მემამულეებს მუდამ საქმე ჰქონდათ მამაჩემთან, როგორც მომრიგებელ-შუამავალთან. რა თქმა უნდა ყველა ამ პირთ მამაჩემი სამხრად სტოვებდა. მარა ქალიშვილების სოფლად მოსვლის შემდეგ მოსაქმე მემამულეებს შეემატა ახალგაზრდობაც, რომელიც იმ ხანებში ჩვენთან გამოუღწეველი იყო. იყო გაუთავებელი ჟრიამული, სიცილი და დროს გატარება. ხან კავალკადას გამართავდნენ, ხან ცოცხალ სურათებს სდგამდნენ, ზოგჯერ წარმოდგენებსაც. ამათი ინიციატორი კი მუდამ ნიკო ერისთავი იყო ხოლმე, შემდგომში ტასოს ქმარი“ (ციციშვილი, 2018, გვ. 26); „ტასო ჯერ წერეთელმა დანიშნა, მარა მალე მას უარი უთხრა და 1888 წელს ზემოხსენებულ ნიკო ერისთავს მისთხოვდა და ქმარს რომ ახალგორს გაჰყვა, მეც თან წამიყვანა“ (ციციშვილი, 2018, გვ. 27).

კოლა ერისთავსა და მის მეუღლეს ანასტასია ციციშვილს ჰყავდათ შვილები: გიორგი (1890-1897) (ილია ჭავჭავაძის ნათლული (ერისთავი-ჯავახიშვილისა, 1987, გვ. 157-158), გარდაიცვალა ქუნთრუშით); თამარი (1893-1980), თბილისის პირველი საბავშვო ბაღის დაარსების ინიციატორი და გამგე მრავალი წლის განმავლობაში; ნინო (1895-1928), გათხოვილი იყო წარმოშობით აფხაზ მეცნიერზე, რეპრესირებულ სიმონ მიხეილის ძე აშხაძეზე (1886-1937), გარდაიცვალა ტუბერკულოზით; შალვა (1897-1921), იუნკერი, ერთ-ერთი პირველი ფეხბურთელი, კოჯორთან ბრძოლებში გმირულად დაღუპული (ჩიქოვანი, 2010, გვ. 24; Думин и Гребельский, 1998, ст. 280-281; ციციშვილი, 2018, გვ. 224).

მემუარები შეიცავს ქსნის ერისთავთა ახალგორის ცნობილი სასახლის ავტორისეულ დეტალურ აღწერას, სწორედ იმ სასახლისა, რომელსაც ნიკოლოზ ბარათაშვილი ახსენებს დის ქორწილის ამბებში: „რა დაბინდდა, შევედით ახალგორს, სასახლე ჭრაქებით იყო გაჩახჩახებული, მეიდანსი - მაშხალებით“ (ბარათაშვილი, 2015, გვ. 171). ივანე ციციშვილი, რომელიც, ბუნებრივია, დის ოჯახისა და ქსნის ხეობის ხშირი სტუმარი იყო, ხაზგასმით აღნიშნავდა რა ამ ფეოდალური არქიტექტურული ნაგებობის უნიკალურობას და სასახლის ხიზლს, ასე გადმოგვცემდა:

„ახალგორს კვლავაც ბევრჯერ ვყოფილვარ, მარა ქსნის ხეობის ფეოდალთა ეს ფტოლი (замок) მუდამ დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე. რამდენადაც ვიცი, ამის მზგავსი საქართველოში არა არის რა.

მაღალ გალავნიან ციხის გულში ამაყად ამართულია სამსართულიანი ხილანი (дворец), რომლის ფასადს ამპირის სტილის თორმეტი რგვალი და მაღალი სვეტი ამშვენებს. ციხის

ოთხივე კუთხეში ამართულია ოთხი გორგოზი გოდოლი. ამათში ორი ოთხწახნაგოვანია. ერთი რვაწახნაგოვანი და ერთიც რგვალი. ამ ციტადელს 2-3 კილომეტრის მანძილზე გარს კიდევ სხვა გალავანი არტყია ქავებითა და კოშკებით გამაგრებული.

თვით ხილანიც საინტერესო ობიექტს წარმოადგენს: პირველი ორი სართული ძველი ქართული ხუროთმოძღვრების წესით არის აშენებული: თაღიანი ოთახები, ბუხრით, თახჩებით, განჯინებითა და წალოებით. ძველ შენობას დაშენებული აქვს ევროპულად გამართული საუცხოვო საცხოვრებელი ქართულ ამპირის ყაიდაზე გამართული“ (ციციშვილი, 2018, გვ. 27).

მეტად საყურადღებოა ივანე ციციშვილისეული თხრობა დავით ერისთავის შესახებ. მიეყვით ტექსტს, რომელიც დავითის გარეგნობასა და ჩაცმულობას, მის კოლორიტულ ფიგურას შთამბეჭდავად ახასიათებს:

„არანაკლებ საინტერესო იყო ამ ფტოლის თვით პატრონი, ჩემი სიძის მამა, თავადი დავით ლუარსაბის ძე ერისთავი (1818-1890 წ.წ.) ეს იყო ძველი ფეოდალის ტიპური გადანაშთი, როგორც გარეგნობით, ასევე თავისი ხასიათითა და სულისკვეთებით. ზორობა, მშვენიერი სახისა და აგებულების ვაჟკაცი, იმ დროს ნაწილობრივ პარალიზებული იყო, ასე რომ კალასკით დილიდანვე გამოეწყოზოდა შავი მაუდის მშვენიერ ყაბაში, მხრებზე ყურთმაჯებს შეიყრიდა, თავზე კალმუხის მაღალ და წოპიან ქუდს დაიხურავდა და მასთან მუდმივად მიჩენილ ბიჭს უბრძანებდა აივანზე გაეყვანათ, აქიდან იგი თავის სამფლობელოს ათვალიერებდა“ (ციციშვილი, 2018, გვ. 27).

ივანე ციციშვილი არც დავით ერისთავთან დაკავშირებულ მატრიმონიულ ამბებს ივიწყებს და მისი მეორე ქორწინების პიკანტურ ისტორიას ასე იხსენებს:

„ჩემი სიძის დედა ანა გრიგოლ ბებუთაშვილის ასული დავითის მეორე ცოლი იყო. დავითს პირველ ცოლად ისევე ერისთავის ქალი ყავდა ლამაზი და მზითვიანი. ამასთან ქალ-ვაჟი ყავდა (ი. ჩიქოვანის დაზუსტებული ცნობებით, სალომე ერისთავთან პირველი ქორწინებიდან დავითს ჰყავდა შვილები: შალვა (1847-1849), მარიამი (1851-1888), რომელიც 1873 წელს გათხოვდა თავად ამირინდო ამირინდოს ძე ამილახვარზე (1848-1873) და ეკატერინე (1854-?) - მ. ც.), რომელნიც ჩემ დროს ცოცხლები აღარ იყვნენ. რომ დაქვრივდა, ურჩიეს გრიგოლ ბებუთაშვილის ქალის ანას შერთვა. დათანხმდა, მხოლოდ მაჩვენეთო. აჩვენეს თეატრში. არ მოეწონა და სოფლად გაიპარა. რადგან ეს ამბავი გახშიანდა, გრიგოლს ძაან ეწყინა და ნიკო ამილახვრის (შემდეგ გენერალ-ადიუტანტის) დედა (დავითის და) (იგულისხმება ეკატერინე ბარათაშვილის მული ანასტასია ლუარსაბის ასული ერისთავი (1809-1886), გივი ამილახვრის (1810-1877) მეუღლე და ცნობილი გენერლის ივანე (ნიკო) ამილახვრის (1829-1905) დედა - მ. ც.) დაიბარა. ამას გრიგოლისა კარგა დიდი ფული ემართა და უთხრა: „თქვენმა ძმამ ქვეყანაში თავი მომჭრაო და მეც არ დაგზოგავთო“. ესეც აიჭრა ახალგორს და იქავე აივანზე შეუტია ძმას: „როგორ! ახალგაზრდას, განათლებულს, მუსიკოსს და შენ ბებერი სწუნობო!“ დაითანხმა და კიდევაც შერთო“ (ციციშვილი, 2018, გვ. 28).

ივანე ციციშვილი დავით ერისთავის ხასიათის თვისებებზეც მიუთითებს და გვამცნობს, რომ ის მეტად ეჭვიანი ადამიანი იყო. ამის გამო მეუღლეს მკაცრად ეპყრობოდა:

„დავითი საშინელი ეჭვიანი ყოფილა. ამბობდნენ, სხვაგან რომ მიდიოდა, ციხეს (ციტადელს) კეტავდაო და გარშემო ნაცარს აყრევინებდაო, რათა ცოლი უმისოდ გარედ არ გასულიყო“ (ციციშვილი, 2018, გვ. 28).

მემუარისტი ასევე აღნიშნავს დავით ერისთავის სასტიკ, დესპოტურ ბუნებას და ნათქვამის დასტურად საყურადღებო მაგალითი მოჰყავს:

„თვით დავითი საშინელი დესპოტური ხასიათისა იყო. მისი გალავნის გასწვრივ ფრონე ქსნის პირას გზა არის ახალგორიდან ტფილისს მიმავალი. ქვევითი მგზავრი ამ გზაზე არა ჩანს, რადგან გალავნის კედელი ფარავს მას, ხოლო ცხენოსნის მხრები და თავი გალავანს აცილებული მალა აივნიდან ჩანს. დავითს ახალგორელი ვაჭრები საშინლად სძაგდა და უბრძანა: „ჩემი ხილნის წინ დაკუზულები იარეთო, რომ არ დაგინახოთო“. წინააღმდეგ შემთხვევაში ბიჭებს გზავნიდა და აცემინებდა. ვაჭრებმა ამაზე გუბერნატორთან იჩივლეს, მგონი ორლოვთან თუ ორლოვსკისთან. ერთ ზნელ ღამეს გუბერნატორი მოადგება დავითის კარდამს. გუბერნატორი ციხეს რომ მოადგა, ატყდა ძაღლების ყეფა. როცა გაიგეს, რაშია საქმე, დავითმა ბიჭები ჩაგზავნა. ამათ ალაყაფის კარი გააღეს და გუბერნატორი მაღალ კიბეებზე მაშხალებით ამოაცილეს. მაშხალების შუქზე გუბერნატორს ეს ხილანი ფეერიულ ფტოლად მოეჩვენა. იმ ღამეს საუკეთესო ვახშმით გაუმასპინძლდნენ. გუბერნატორი ნიჭიერმა ოჯახმა იმ ნადიმზე მთლად მოხიბლა.

მეორე დღეს, ჩაის შემდეგ, აივანზე რომ გავიდნენ, გუბერნატორს მოახსენეს, რომ ახალგორის ვაჭართა დეპუტაცია გეახლათო. მართლაც, კარი გაიღო და ხუთი კაცი შემოვიდა. ამათ თავისი საჩივარი კვლავ გაიმეორეს. რომ გაათავეს, გუბერნატორმა მიმართა მათ: „დაბრუნდით ოჯახებში და ბატონ დავითს მე თვითონ მოველაპარაკებო“. ხოლო ესენი რომ გავიდნენ, სიცილით მიუბრუნდა დავითს და უთხრა: „მართლაც, ვინც ამ აივანზე ზის, მას არ შეუძლია არ ბრძანებლობდესო“. ასე გადასჭრა სამართალი ხელმწიფის დიდმა მოხელემ“ (ციციშვილი, 2018, გვ. 28).

დავით ერისთავის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას თავისი ხელი დაუტყვია ქსნის ერისთავთა ზემონახსენები სასახლისთვის და მის კეთილმოწყობაზე ბევრი უზრუნია. მემუარისტი მოგვითხრობს, თუ როგორ გაამშვენიერა მან თავისი სახლი, როგორ მოიწვია ამისთვის საუკეთესო ოსტატები და დაამზადებინა პარკეტი, ავეჯი, როგორ მოახატვინა ნივთები:

„ბატონ-ყმობის გაუქმების დროს მიღებული ფული და ცოლების მზითვები სხვასავით ნადიმებში არ შეუჭამია. ერისთავიანთ ძველ თაღიან სახლს ზემოხსენებული ევროპული ყაიდის მესამე სართული დააშენა, ტფილისიდან საუკეთესო ოსტატები მოიყვანა. დაახერხვინა კაკლის, ჭანდრის, წიფლისა და რცხილის ხეები. ამათ მერქანს სულ სხვადასხვა ფერი და უზორი აქვთ და გააკეთებინა საუცხოო უზორის პარკეტი დიდ ზალაში, მცირე ზალასა და სასტუმროში. მარტო ერთი ზალის პარკეტში 1900-იან წლებში ჩემ სიძეს 3000 ოქროს მანათს აძლევდნენ. დააკეთებინა საუცხოო დგამი: სავარძლები, სკამები, შკაფები, ბუფეტები, ფართე და ლამაზი ფანჯრები, უზარმაზარი აივანი ლამაზი მოაჯირით და სხვა. ჭამეხში იტალიელ მხატვარს პლაფონი მოახატვინა: პაწია ამურებს სუფრის ასწვრივ მაქმანის დიდი და გამჭვირვალე ბადე უკავიათ. ისინი ამ ბადეში მშვენიერ ყვავილებს ყრიან. ბადე იმდენად გაივსო ამ ყვავილებით, რომ აგერ-აგერ გაიხევა და ეს ყვავილები სუფრაზე მჯდომთ დაეცემა“ (ციციშვილი, 2018, გვ. 27-28).

როგორც ვხედავთ, ივანე ციციშვილის მემუარები ერთი საგულისხმო წყაროთაგანია ერისთავთა ამ ოჯახისა და ახალგორში მათი რეზიდენციის ისტორიისთვის, შესაბამისი საკითხების შესწავლაში ის ეთნოლოგებს და ხელოვნებათმცოდნეებსაც დაეხმარება.

წარმოდგენილი კვლევა, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავებისა და მათი შთამომავლების, თანადროული საზოგადოებისა და ეპოქის ირგვლივ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი, ნ. (2015). პირადი წერილები. გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები, შენიშვნები, საძიებლები და გენეალოგიური ტაბულები დაურთო მაია ცერცვაძემ. თბილისი. არტანუჯი.
2. ერისთავი-ჯავახიშვილისა, დ. (1987). ორი დღე ერის მამასთან. კრებული ილია ჭავჭავაძე თანამედროვეთა მოგონებებში. თბილისი. საბჭოთა საქართველო.
3. ჩიქოვანი, ი. (2010). ქსნის ერისთავები. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8447/1/Qsnie_Eristavebi.pdf
4. ციციშვილი, ივ. (2018). მოგონებები 60 წლის მანძილზე. გამოსაცემად მოამზადა ნათელა ციციშვილმა. თბილისი.
5. ცერცვაძე, მ. (2014). ბიჭიც კარგია და ოჯახიც კარგი აქვს - ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავების კვლადკვალ. ჟურნალი „საგურამო“ (4 (10). თბილისი.
6. Думин, С., Гребельский, П. (1998). Дворянские роды российской империи. т. IV: Думин, С., Чиковани, Ю. Князья царства грузинского. Москва. Ликоминвест.
7. Чиковани, Ю. (2009). Род Князей Мачабели (Историко-генеалогическое исследование). Тбилиси.

In the footsteps of Nikoloz Baratashvili's Relatives - New Material

Maia Tsertsvadze
St. Andrew the First-Called
Georgian University of the Patriarchate of Georgia

Summary

Nikoloz Baratashvili's entourage draws our attention not only in terms of its relationship with him, which is a great desire to better study his biography and work but also in other respects. Like the poet himself, his close circle belongs to the highest aristocracy and is a very active part of the Georgian society of the first half of the 19th century.

In order to continue our research in this direction, it is very important to keep an eye on every new archival source and publication that has entered the scientific field and include them in current papers.

The presented article is an attempt to gather new material about Nikoloz Baratashvili's relatives based on one of them.

This time the source of attention for us is the "Memoirs for 60 Years" by the well-known researcher, bibliographies, and ethnographer Ivane Tsitsishvili (1881-1945), which was prepared based on the autograph of the memoirist and published as the book by Natela Tsitsishvili in 2018.

The memoirs are not only the family chronicle of the Tsitsishvili's family but also provide us with remarkable information about the famous representatives of other famous families of Kartli. Among them is the family of the poet's brother-in-law Revaz Eristavi (1812-1881), husband of his elder sister, Ekaterine. Members of this family are figurants of the poet's personal letters and are mentioned in the stories about Ekaterine's engagement and wedding in Akhalkgori. Thus our attempt is also important for the study of the poet's epistolary heritage. In addition, this family of nobles is also a participant in the conspiracy of 1832 and is interesting to us in this regard too.

In our opinion, the presented research will enrich our knowledge about Nikoloz Baratashvili's relatives, his contemporary society, and the epoch.

ილია ოქრომჭედლიშვილის წვლილი ქართული ხელნაწერებისა და საარქივო მასალების შეგროვება-გამოცემის საქმეში

მარიამ კობერიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორის - ილია ოქრომჭედლიშვილის ღვაწლი და ამაგი განსაკუთრებულია ქართული ხელნაწერებისა და საარქივო მასალების შეგროვება-გამოცემის საქმეში. მისი პირადი საარქივო ფონდი, ეპისტოლური მემკვიდრეობა, თხზულებათა ავტოგრაფები და სამეცნიერო სტატიები საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ უანგარო თავდადებული მამულიშვილისა და მეცნიერის ცხოვრებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ილია ოქრომჭედლიშვილის საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ლენინგრადისა და მოსკოვის საოლქო ისტორიული არქივის ფონდში აღმოჩენილი მასალა, რომელიც შეისწავლა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა შალვა გოზალიშვილმა.

მოსკოვის საოლქო ისტორიული არქივის აღმოსავლური ენების ლაზარევის ინსტიტუტის ფონდებში აღმოჩნდა ილია ოქრომჭედლიშვილის პირადი საქმე, რომელშიც ინახება მთლიანად მისი 25 წლის სამსახურებრივი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი საარქივო დოკუმენტები, დათარიღებული 1883-1889 წლებით. საქმეშია 100-ზე მეტი დოკუმენტი: კანდიდატის ხარისხით უნივერსიტეტის დამთავრების დიპლომი, სამსახურებრივი მოღვაწეობის პერიოდის მიმოწერა, საზღვარგარეთ მივლინებები, ნამსახურობის სია და სხვა (გოზალიშვილი, 1976, გვ. 10).

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის მეორე ნახევარში „თერგდალეულებისა“ და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ეროვნული საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო საცავებში შენახული მრავალრიცხოვანი წერილობითი ძეგლის, ხელნაწერი ლიტერატურის, ისტორიული მნიშვნელობის სიგელ-გუჯრების, ქართველ მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ლიტერატურული მემკვიდრეობის პირადი საარქივო ფონდების, ცალკეულ თხზულებათა ავტოგრაფების, ნუსხების, ეპისტოლურ-მემუარული ხასიათის მასალის შეგროვება და გამოცემა.

მიუხედავად იმისა, რომ ილია ოქრომჭედლიშვილი მოსკოვში მოღვაწეობდა, თავისი ქველმოქმედებითა და მატერიალური დახმარებით ხელს უწყობდა ქართული ეროვნული კულტურის აღორძინება-განვითარებას. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ის ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტიდან მეგობრობდა ილია ჭავჭავაძესთან. ეს პირადი სიახლოვე გაგრძელდა ილია ჭავჭავაძის სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც. ამის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ილია ჭავჭავაძისა და ილია ოქრომჭედლიშვილის პირადი წერილები.

ილია ჭავჭავაძე 1881 წლის 2 ოქტომბერს ილია ოქრომჭედლიშვილს სწერდა: „წერა-კითხვის საზოგადოებამ დამავალა გაცნობით, რომ იგი შეუდგა ძველი მწერლობის ნაშრომების ბეჭდვისათვის წიგნების მზადებას, ფული კი, როგორც მოგეხსენება, იოხტურ. ამის გამო მთხოვეს მოგწერო და გკითხო, „შეეწევი თუ არა“. შენი დიდი იმედი აქვთ და შენგან მოელიან საკმაო შემწეობას. ჰსურთ დაბეჭდონ მეფე თეიმურაზი, არჩილ მეფე, კარგა მოზრდილი წიგნები გამოვა, ნამეტნავად უკანასკნელის თხზულებანი. შემდგარია კამისია, რომელსაც მინდობილი აქვს ტექსტის სამართლის აღდგენა, კამისია უკვე მუშაობს და იმედოვნებს მალე მომზადდეს დასაბეჭდად. ეხლა შენდა გელოდებიან, რას იტყვი“ (ჭავჭავაძე, 1961, გვ. 94-95).

ამ წერილით ილია ჭავჭავაძე ილია ოქრომჭედლიშვილს აცნობებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თხოვნას - შეძლებს თუ არა იგი, ფულადი დახმარება გაუწიოს საზოგადოებას ძველი ქართული მწერლობის ძეგლების გამოცემის საქმეში.

ამ თხოვნის საპასუხოდ ილია ოქრომჭედლიშვილის თანხმობისა და ქველმოქმედების შესახებ ქართული პრესის ფურცლებიდან ვიგებთ. გაზეთი „დროება“ იტყობინებოდა, რომ ილია ოქრომჭედლიშვილს 600 მანეთი შეუწირავს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის ძველი ქართული ხელნაწერი წიგნების დასაბეჭდად (1881), გაზეთი „დროება“, №192, გვ. 1). იმავე ინფორმაციას აწვდიდა საზოგადოებას ქუთაისური გაზეთი „შრომა“: „ძველის ხელნაწერი წიგნების ბეჭდვის დღევ დადგება ადრე თუ გვიან. ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორმა, ბატ. ი. ოქრომჭედლიშვილმა ამ საგნისათვის ექვსასი თუმანი აღუთქვა „წერა-კითხვის საზოგადოებას“ (1881), გაზეთი „შრომა“, №6, გვ. 3-4).

ილია ჭავჭავაძე 1881 წლის 7 ნოემბერს ილია ოქრომჭედლიშვილს სწერდა: „საყვარელო მეგობერო ილიაე! გასულ ხუთშაბათს შენის წიგნის საგანის შესახებ „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ წარუდგინე საზოგადოების გამგეობას. გადაჰსწყვიტეს, რომ ყველაზედ უწინარეს „ვისრამიანის“ უნდა დაიბეჭდოს, ამოირჩიოს კამმისია, რომ სია შეადგინონ დანარჩენი წიგნებისაც, რომელნიც ერთი-ერთმანეთზედ უნდა, შენის შემწეობით, დაიბეჭდონ. გარდა ამისა, იმავე კამმისიას მიანდეს გამოიკვლიონ „ვისრამიანის“ დაბეჭდვას, წიგნის აკინძვას და სხვას ამგვარს რა მოუხდება ფული და მას მერმედ შენ გაცნობონ. კამმისიამ გამოიკვლია და ამ ცოტა ხანში მაცნობა, რომ „ვისრამიანის“ დაბეჭდვას მოუხდება არა ნაკლებ ასის თუმნისა. თუ შენი ნება იქნება და ასი თუმანი ფული თავისუფლად გექნება, გამოუგზავნე და მივეყოფთ ხელს „ვისრამიანის“ დაბეჭდვას. დანარჩენი ძველი წიგნების სიას შეადგენენ თუ არა, დაუყონებლივ მოგართმევ. ჩვენმა გამგეობამ დიდის მადლობით მიიღო შენი უხვი წინადადება, პროტოკოლით მოისმინა და რასაკვირველია, პირველსავე საზოგადო ყრილობაზედ საპატიო წევრად დაგნიშნავენ“ (ჭავჭავაძე, 1961, გვ. 96-97).

1882 წლის 17 მარტს მოსკოვიდან ილია ოქრომჭედლიშვილი ილია ჭავჭავაძეს ატყობინებდა „გრიგოლ ორბელიანზედ გამოგზავნე ფულები. იმისი ბინა თამაშოვის ქარვასლაში არის. თუ არ დაგზარდება, იმასთან შეიარე და მიიღებ 707 მანეთს, რომლისგანაც მოახმარებ 700 მანეთს თეატრის საქმეს და 7 მანეთს „ივერიის“ რედაქციას გადასაცემ წლევეანდელი წლის ფასს“ (ხელნაწერთა ინსტიტუტის ილიას ფონდი №170, ციტირებული გოხალიშვილთან, 1976, გვ. 139).

მაია ნინიძე აღნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძის ოცტომეულში 1883 წლის 7 ნოემბრით არის დათარიღებული ილია ოქრომჭედლიშვილისადმი წერილი (გვ. 95), რომელშიც საუბარია ძველი ქართული წიგნების, კერძოდ კი, „ვისრამიანის“ გამოცემასა და ქართული თეატრის პრობლემებზე. წერილს აწერია მხოლოდ „7 ნოემბერი“, ხოლო სამეცნიერო აპარატში ვკითხულობთ: „წერილს ვათარიღებთ „ვისრამიანის“ გამოცემის მიხედვით, რამდენადაც ი. ჭავჭავაძემ ამ გამოცემაზე მუშაობა დაიწყო 1883 წელს და დასტამბა 1884 წელს“ (გვ. 410). რეალურად „ვისრამიანის“ გამოცემის გადაწყვეტილება 1881 წელს მიიღო წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ. 1881 წლის 3 დეკემბრის სხდომის ოქმში ვკითხულობთ: „დაიბეჭდოს 1200 ეგზემპლარი, 800 ივერიის ქაღალდზედ და 400 ცხრამანეთიან ქაღალდზედ, ივერიის ფორმატითა. მიენდოს ვარიანტების შეთანხმება ილია ჭავჭავაძეს, ალ. სარაჯოვს და პ. უმიკოვს“. ჩანაწერს ამ საკითხის შესახებ ეტყობა, რომ იგი გამგეობის სხდომაზე პირველად არ არის წამოჭრილი, რადგან ნახსენები არაა ილია ოქრომჭედლიშვილის შეთავაზება და ძველი წიგნების სია, რომლიდანაც პირველად დასაბეჭდად ამოირჩიეს

„ვისრამიანი“. გარდა ამისა, 1881 წლის 22 ოქტომბერს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ ილია ოქრომჭედლიშვილმა ძველი ქართული მწერლობის ძეგლების გამოსაცემად წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა ექვსი ათასი მანეთი. შესაბამისად, წერილს ვათარიღებთ 1881 წლის 7 ნოემბრით (ნინიძე, გვ. 9 <http://eprints.tsu.ge/757/1/Ilia%205.pdf>).

1884 წლის 5 იანვარს საქმის ვითარებით დაინტერესებულ ილია ოქრომჭედლიშვილს ილია სწერდა: „ვისრამიანს სამი კაცი ვასწორებთ, ლექსიკონსაც ვუკეთებთ შენის აზრისამებრ და ამ ორ კვირაზედ დაბეჭდვასაც შევუდგებით, ველი შენს წიგნს“ (ჭავჭავაძე, 1861, გვ. 100). ილია ოქრომჭედლიშვილი მეგობარს ასეთი შინაარსის საპასუხო წერილს უგზავნის: „მცხვენთან, მაინც გამოგიცხადებ, რომ „ვისრამიანის“ დაბეჭდვას მოუთმენლობით ველი. მრცხვენთან ამიტომ, რომ სრულებით მესმის საქმის მცოდნე კაცისათვის რა ძნელია ხელწერილების შეფარდება და იმათი რედაქტორობა; შენ და უმიკოვი უსაქმო კაცები არა ხართ, ამისათვის დამიჯერე, რომ შენ და უმიკოვის შრომას ვისრამიანი გამოცემაზედ მე ვინემც უფრო მეტად ვაფასებ, ვინემ ჩემს შეწევნას და მეტის-მეტად ვწუხვარ, რომ მე მოკლებული ვარ, რომ შრომით შევეწიო მაგ საქმეს. მეტადრე უმიკოვის მხვედრს, როგორც უსარჩო კაცისა, უნდა ყურადღება მივაქციოთ და ამისთვის, აი რა მინდა გთხოვო: – მე ოცდაათიდან ვიდრე ორმოც თუმნამდისინ შემიძლიან მოვასხლიტინო წელიწადში ჩემს სარჩოს და ვაძლიო პეტრეს მანამ ეგ „ვისრამიანისა“ და მომავალი წიგნების გამოცემის შრომაში იქნება. ხოლო ეს საქმე შენ იკისრე და ისე ოსტატურად წაიყვანე, რომ პეტრე არ გაფხუკიანდეს. ჩემი სახელის ხსენება აქ საჭირო არ არის, მიზეზად და წყაროდ რაც გეხერხოს ის მოიყვანე და საქმე დარჩება ჩვენში, ჩემსა და შენს შორის. როდესაც ამას მოაგვარებ, შემატყობინე, ფულს ნაწილ-ნაწილად თავის დროზე მიიღებ“ (ოქრომჭედლიშვილი, ციტირებულია გოზალიშვილთან, 1976, გვ. 154).

შალვა გოზალიშვილი ამ წერილის ქრონოლოგიის შესახებ აღნიშნავს: „მართალია, წერილს წელი არ უწერია, მაგრამ იგი ილია ჭავჭავაძის 1884 წლის 5 იანვრის წერილის პირდაპირ პასუხს წარმოადგენს, ამიტომ მას 1884 წლით ვათარიღებთ, – წინააღმდეგ გრ. ყიფშიძის მიერ წერილზე მინაწერის 1885 წლისა. წერილის თავზე ილია ოქრომჭედლიშვილის მინაწერია - „30 იანვარს“, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მას წერა 30 იანვარს დაუწყია და შეუწყვეტია, ხოლო 11 თებერვალს დაუმთავრებია, რადგან წერილის მეორე გვერდზე მიწერილია „11-ს თებერვალს“ (გოზალიშვილი, 1976, გვ. 154).

ილია ოქრომჭედლიშვილის ფინანსური დახმარებითა და გამოთქმული შენიშვნებით 1884 წლის 29 ივლისს თბილისში, ექვთიმე ხელაძის სტამბაში, დაიბეჭდა „ვისრამიანი“ (რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე, ალ. სარაჯიშვილი, პეტ. უმიკაშვილი).

როგორც პირადი წერილებიდან ჩანს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებოდა ძველი ქართული მწერლობის ხელნაწერთა გამოცემას. ამ საქმიანობაში ილია ოქრომჭედლიშვილის წვლილიც მნიშვნელოვანია. იგი მთელ თავის ცოდნასა და მატერიალურ შესაძლებლობას არ ზოგავდა, ყოველ ღონეს ხმარობდა, რაც შეიძლება მეტი დახმარება გაეწია ხელნაწერების გამოსაცემად. ამის ნათელსაყოფად შ. გოზალიშვილს თავის წიგნში „ილია ოქრომჭედლიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა)“ ვრცლად მოჰყავს ვენაში მყოფი ილია ოქრომჭედლიშვილის ილია ჭავჭავაძისადმი მიწერილი წერილი. წერილზე წელი არ არის აღნიშნული. ილია ოქრომჭედლიშვილი საზღვარგარეთ 1882 წლის 12 სექტემბრამდე იყო, შემდეგ კი - 1885 წლის ზაფხულს. წერილი თარიღდება 1882 წლის 10 სექტემბრით.

ამ წერილიდან ვიგებთ, რომ ილია ოქრომჭედლიშვილი საარქივო მუშაობასაც ეწეოდა. მას მოსკოვის გარე ხალხის სამინისტროს არქივში ორი თვის დაუღალავი მუშაობის შედეგად აღმოუჩენია „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ძველი ეგზემპლარი მინიატურებით და საქართველოს ბოლო ორი საუკუნის ამსახველი ისტორიული მასალები. „მე მინდოდა ჩემი მხრივ შევსწევნოდი ამ საქმეს და რადგანაც ვიცოდი, რომ მოსკოვის გარე ხალხის სამინისტრო არხივში იყო ერთი ძველი ეგზემპლარი „ვეფხისტყაოსნისა“ მინიატურებით, მე ამ არხივის გაჩხრეკას შევუდეგ, რომელმაც ორი თვე მოითხოვა. თუმცა ბევრი ისტორიული მასალები ვიპოვნე, შესახებ ჩვენი ორი უკანასკნელი საუკუნის ცხოვრებისა, რომელნიც იქნება ერთ დროს გამოვიყენოთ“ (გოზალიშვილი, 1976, გვ. 88, 154).

დიმიტრი ბაქრაძემ ილია ოქრომჭედლიშვილს მოსკოვიდან გამოუგზავნა „ქილილა და დამანას“ მეხუთე სრული ხელნაწერი, რომელიც ჰგავს ხელნაწერის პირველ ვარიანტს („ქილილა და დამანას“, 1886, გვ. 4).

ილია ოქრომჭედლიშვილი „ქილილა და დამანას“ გამოცემით კმაყოფილი დიმიტრი ბაქრაძეს სწერდა: „ქილილა და დამანას“ გამოგზავნისათვის გამოუთქმელ და ტკბილ მადლობას მოგახსენებ, თუმცა მოუცლელობის გამო, აქამდისინ წიგნი სულ ვერ წავიკითხე, ხუთი პირველი თავი კი გონებადართვით გადავჩხრიკე. პროზა მეტისმეტად მომეწონა და ამ წიგნის დაბეჭდვა ძალიან ნაყოფიერ საქმედ მიმაჩნია ეხლანდელი ქართველებისათვის საზოგადოდ და ვრცელი მდინარე, „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ, რომელსაც ყველა ქართველი სრულის გულით და სულით უნდა დაეწაფოს! დარწმუნებული ვარ, ეს დაწაფება როგორც ენას, ისე ჭკუას გალესავს და შემცდარა, უქმად გარჯილა ის ქართველი, რომელიც გაულესავის ქართულის ენით განათლების გავრცელებას შესდგომია საქართველოში“ (1886), გაზეთი „ივერია“, 167, გვ. 3). ამ წერილიდან ვიგებთ, რომ წიგნის რედაქტორს, ილია ჭყონიას, დიდი შრომა გაუწევია „ქილილა და დამანას“ გამოცემაზე. ილია ოქრომჭედლიშვილი გამოხატავს შენიშვნებს ამ გამოცემის წინასიტყვაობის გარშემო.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტები გვამღევეს გარკვეულ წარმოდგენას იმდროინდელი საგამომცემლო საქმიანობის შესახებ. აქ დაცული ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, 1886 წლის 2 ივლისს ილია ჭავჭავაძემ სოფ. საგურამოში უმასპინძლა ქართველ მოღვაწეებს: პეტრე უმიკაშვილს, ილია ოქრომჭედლიშვილს, ილია წინამძღვრიშვილს, ილია ბახტაძეს, გრიგოლ ყიფშიძეს, ალექსანდრე ჭყონიას, გიორგი ქართველიშვილს, სოლიკო და მიხეილ მაჩაბლებს, დიმიტრი ბაქრაძეს, რომლებმაც ამ შეხვედრაზე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით იმსჯელეს ქართული წიგნების გამოსაცემად საკუთარი სტამბის შეძენისა და გამართვის აუცილებლობაზე. მათი გადაწყვეტილებით, ახლად დაარსებულ სტამბას მოგებაც უნდა მოეტანა. სტამბის ღირებულება განისაზღვრა 15 ათასი მანეთით. მის შეძენას საზოგადოებას ჰპირდებოდნენ ოქრომჭედლიშვილი და ქართველიშვილი (სეა სცა, ფ. 48, ა. 1. ს. 120). სამწუხაროდ, საზოგადოებამ თბილისში სტამბა ვერ დააარსა, მხოლოდ ქუთაისის განყოფილებამ შეძლო 1913 წელს მისი გამართვა (ხუნდაძე, 1960, გვ. 58; ხითარიშვილი, 2015, <http://textologi.blogspot.com/p/2. Html>).

1881 წლის 8-21 სექტემბერს თბილისში ჩატარდა მეხუთე არქეოლოგიური ყრილობა. აღმოსავლური ინსტიტუტის სპეციალური კლასების საბჭოს წევრებმა (დირექტორი ვ. ი. კანანოვი, პროფესორები: ნ. ო. ემინი და ი. ლ. ოქრომჭედლიშვილი) აქტიური მონაწილეობა მიიღეს მოსამზადებელ მუშაობაში. ეს ყრილობა მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა იყო. ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდნენ: დიმიტრი ბაქრაძე, დავით ჩუბინაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, ილია ოქრომჭედლიშვილი (გოზალიშვილი, 1976, გვ. 42).

არქეოლოგიური ყრილობის ენისა და მწერლობის ძეგლთა მეექვსე განყოფილების სხდომაზე, რომელსაც დიმიტრი ბაქრაძე თავმჯდომარეობდა, ხოლო პროფ. ალექსანდრე ცაგარელი მდივანობდა, მოისმინეს: პროფ. ალ. ცაგარელის მოხსენება „ცნობები ქართული დამწერლობის ძეგლების შესახებ“ და ილია ოქრომჭედლიშვილის მეორე მოხსენება „ვინ მოიგონა ქართული ანბანი“.

მეხუთე არქეოლოგიურ ყრილობაზე ილია ოქრომჭედლიშვილის მიერ წაკითხული სამეცნიერო მოხსენება „ვინ მოიგონა ქართული ანბანი“ სულ მალე, იმავე წლის ოქტომბრის თვის ჟურნალ „ივერიაში“ გამოქვეყნდა (1881, გაზეთი „ივერია“, №10, გვ. 97-112).

ამ ყრილობის აღსანიშნავ ბანკეტზე ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა წარმოთქმული შესანიშნავი სიტყვებით ღრმა პატივისცემა გამოხატეს რუსეთში მოღვაწე დიდი ქართველების მიმართ. ილია ჭავჭავაძე ასე აფასებდა იმ პერიოდის მნიშვნელოვან მოვლენას:

„ჩვენი დედაქალაქი თბილისი ღირსი გახდა მეცნიერთა კრებისა, განსაკუთრებით შესანიშნავი ეს არის, რომ არც ერთს სხვა ქალაქში, რუსეთში, საცა კი ამგვარი კრება ყოფილა, ამოდენა ხალხი არ შეკრებილა კრებაზედ, როგორც აქ, თბილისში შეიყარა“ (ჭავჭავაძე, 1955, გვ. 113).

ორატორული მეტყველების საუკეთესო ნიმუშია აკაკი წერეთლის მიერ ბანკეტზე წარმოთქმული სიტყვა: „მაგალითის მიძეგმი და მამათავარი არის დღეს იქ მყოფი ჩვენი სასურველი სტუმარი დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი, გაუმარჯოს და ხანგრძლივი იყოს მისი სიცოცხლე, რომ მოესწროს ჩვენის სამშობლოს აჰყვავებას და დაგვირგვინებას“... „გაუმარჯოთ ჩვენს სტუმრებს ილია ოქრომჭედლიშვილსა და ალექსანდრე ცაგარელს, რომელთაც უცხო ქვეყნის სიცივემ და ყინვებმა გული ვერ გაუგრილეს ჩვენის ქვეყნისადმი! ხანგრძლივი იყოს და ნაყოფიერი მათი შრომა“ (წერეთელი, 1960, გვ. 129).

შესანიშნავი სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა ამ ბანკეტზე ილია ოქრომჭედლიშვილმაც: „თუმცა ეს ოცდაორი წელიწადია, რაც მე ჩემ სამშობლოს მოვშორდი და რუსეთში ვცხოვრობ, მაგრამ „როგორც აკაკიმ ბრძანა, რუსეთის ყინულს არ გაუყინავს ჩემი გული და იმედი მაქვს სიკვდილამდინაც ეს იქნება, რომ რითაც შემეძლება, ზნეობით თუ ნივთიერად დავეხმარო ჩემს ქვეყანას“ (1881) გაზეთი „დროება“, №195, გვ. 1-2).

ამრიგად, ილია ოქრომჭედლიშვილის საქველმოქმედო საქმიანობა ქართული კულტურის ასაღორძინებლად XIX საუკუნის II ნახევრის საზოგადო მოღვაწეებთან ერთად ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს სამშობლოსთვის თავდადებული მამულიშვილი. მისი ცხოვრებისა და ფართო საზოგადოებრივი საქმიანობის ამსახველი მასალების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანამედროვეობასთან მიმართებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოზალიშვილი, ი. (1976). ილია ოქრომჭედლიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა). თბილისი.
2. გაზეთი „დროება“ (1881). №192.
3. გაზეთი „დროება“ (1881). №195.
4. გაზეთი „ივერია“ (1886). №167.
5. გაზეთი „შრომა“ (1881). №6.
6. ნინიძე, მ. ილია ჭავჭავაძის მიერ სხვადასხვა პირთათვის გაგზავნილი წერილების დათარიღებისათვის. <http://eprints.tsu.ge/757/1/Ilia%205.pdf>
7. ოქრომჭედლიშვილი, ი. (1881). ვინ მოიგონა ქართული ანბანი: ჟურნალი „ივერია“, №10.

- 120.
8. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, სეა სცა, ფ. 48, ა. 1. ს.
 9. ქილილა და დამანა (1886). ტფილისი.
 10. წერეთელი, ა. (1960). თხზულებანი. ტ. 12.
 11. ჭავჭავაძე, ი. (1961). თხზულებანი. ტ. 10. თბილისი.
 12. ჭავჭავაძე, ი. (1955). თხზულებანი. ტ. 5. თბილისი.
 13. ხითარიშვილი, ქ. (2015). დამატებითი მასალები საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცული, ილია ჭავჭავაძესთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ისტორიული დოკუმენტებიდან: ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანე-ახალი ტექსტოლოგიური კვლევები (ორენოვანი გამოცემა). ელექტრონული ბიულეტენი №2. თბილისი. <http://textologi.blogspot.com/p/2.Html>.
 14. ხუნდაძე, ტ. (1960). ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. თბილისი.

Ilia Okromchedlishvili's contribution to the collection and publication of Georgian manuscripts and archival materials

Mariam Koberidze
Gori State Teaching University

Summary

The paper presents the merits of Ilia Okromchedlishvili, a professor at the Lazarian Institute in Moscow, in collecting and publishing Georgian manuscripts and archival materials. His personal archival fund, epistolary legacy, autographs of writings, and scholarly articles give us opportunity to keep an eye on the life and public work of a selfless, dedicated patriot and scholar.

Ilia Okromchedlishvili is one of the prominent representatives of the new generation of the second half of the XIX century - "Tergdaleulebi", which immediately attracted the attention of Ilia Chavchavadze. They were still friends from the St. Petersburg University. He always stood by Ilia's side as a close friend and comrade in the arena of Georgian public life. Ilia Okromchedlishvili contributed to the revival and development of Georgian national culture with his charity and material assistance. The personal letters of these two people provide special information about this. Ilia Okromchedlishvili systematically helped the Society for Spreading Literacy from Moscow. It is also noteworthy that in September 1881, he donated 6,000 manats to the Society for Spreading Literacy among Georgians for the publication of Georgian manuscripts. In 1884 Visramiani was published with his financial help and remarks in Tbilisi (Editors: Ilia Chavchavadze, Aleksandre Sarajishvili, Petre Umikashvili). Ilia Okromchedlishvili was also engaged in archival work. A personal letter written to Ilia Chavchavadze, dated September 10, 1882, from the city of Vienna, informs us that after two months of tireless work he found an old copy of "The Knight in the Panther's Skin" with miniatures and historical materials of the last two centuries of Georgia in the archives of the Ministry of Foreign People of Moscow. He sent Ilia Chkonia the fifth version of the manuscript "Kilila and Damana" from Moscow, which looks like the first version of the manuscript.

The materials reflecting the business relations of Ilia Okromchedlishvili together with the well-known public figures for the revival of Georgian culture are important in relation to the present.

ილია ჭავჭავაძის გამოუქვეყნებელი საარქივო მასალის სისტემატიზაცია

მაია წინიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ილია ჭავჭავაძის არქივში ასობით ფურცელია დაცული, რომელთა რაობა და ურთიერთკავშირი მეცნიერთა მიერ დღემდე არ იყო შესწავლილი. ავტოგრაფებს შორის აქა-იქ გვხვდება სხვისი ხელით ნაწერი ცალკეული ფურცლები და პასაჟებიც. ბუნებრივია, ჩვენთვის მნიშვნელოვანია დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის თითოეული ავტოგრაფი, მხატვრული იქნება ის თუ დოკუმენტური, შავი თუ თეთრი, დასრულებული თუ დაუსრულებელი. შესაბამისად, მწერლის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში შესატანად საფუძვლიანად შევისწავლეთ თითოეული ფურცელი.

კვლევის პროცესში გამოყენებულ მეთოდებსა და სტრატეგიებს სტატიაში წარმოვადგენთ არქივში დაცული ერთი მასალის N203-ის მაგალითზე, რომელიც რუსულენოვანია და 157 ფურცელს მოიცავს. ტექსტების უმრავლესობა უსათაუროა. მათში შეიძლება გამოვყოთ: ბანკთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული თემები, საოჯახო და სამეურნეო საკითხები, პოლემიკური ხასიათის ტექსტები, პირადი წერილები, ილია ჭავჭავაძის მიერ შედგენილი ოფიციალური დოკუმენტები, საბანკო საქმიანობისთვის მწერლის მიერ შექმნილი ინსტრუქციები და სხვა.

რამდენიმე ფურცელი იმთავითვე აღძრავდა ეჭვს, რომ ხელწერა ილია ჭავჭავაძისეულისგან განსხვავებული იყო. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გარკვეულიყო მათი ავტორობის საკითხი, ანუ გრაფოლოგიური კვლევის საშუალებით დადგენილიყო, ხომ არ იყო რომელიმე ტექსტი სხვა პირის ხელით ნაწერი. ამისთვის, ბუნებრივია, საჭირო გახდა ილია ჭავჭავაძის ხელწერის საფუძვლიანად შესწავლა, სპეციფიკის გამოკვეტა და მისთვის დამახასიათებელ გრაფემათა ტიპური მოხაზულობების ცხრილის შედგენა. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანი იყო ტექსტის რაობისა და შინაარსის გათვალისწინებაც. ვგულისხმობთ იმას, შეიძლებოდა თუ არა, ტექსტი სხვისი სახელით ყოფილიყო დაწერილი, მაგრამ შემქმნელი ილია ჭავჭავაძე ყოფილიყო ან, პირიქით, ილია ჭავჭავაძის ხელით გადაწერილი ყოფილიყო სხვის მიერ შექმნილი ტექსტი; მაგალითად, ამ ხელნაწერებს შორის არის მისი მეუღლის – ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილის - სახელით დაწერილი განცხადება (ხეც, N203, გვ. 9-10), მაგრამ რამდენადაც ხელი ერთმნიშვნელოვნად ილიასეულია და ტექსტში მნიშვნელოვანი სწორებებიც არის, მივიჩნიეთ, რომ იგი მისი შედგენილია და თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში შეტანასაც ვაპირებთ.

ერთ-ერთი ტექსტი, რომელიც ბანკის საკითხებს ეხება და ილიასეულია, შუა ნაწილიდან სხვისი ხელით გრძელდება (ხეც, N203, გვ. 68-69). ვფიქრობთ, ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ მის მიერ შედგენილი დოკუმენტის ამ ნაწილის დაწერა მწერალს შეიძლებოდა მიენდო ბანკის იმ თანამშრომლისთვის ან გამგეობის წევრისთვის, რომელიც ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით კომპეტენტური იყო; იმასაც ვერ გამოვრიცხავთ, რომ მეორე პირს წერა ილიასავე კარნახით გაეგრძელებინა, მით უფრო, რომ ტექსტის ეს ნაწილი მცირე მოცულობისაა, სამი გვერდიც არ არის.

იმისათვის რომ ზუსტად დაგვედგინა, იყო თუ არა ჩვენ მიერ განსხვავებულად მიჩნეული ხელწერა ნამდვილად სხვისი, გამოვყავით ამ ხელნაწერისთვის დამახასიათებელ გრაფემათა მოხაზულობები, შევადარეთ ილიასეულს და დავადგინეთ: ისინი

ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. საილუსტრაციოდ იხ. ცხრილი, რომელშიც რამდენიმე გრაფემის შედარებითი კვლევის მონაცემებია ასახული:

გრაფ.	ილია ჭავჭავაძის ხელი	უცხო ხელი
T		
З		
Л		
О		
Р		

სხვისი ხელით ნაწერი ტექსტების გამორიცხვის შედეგად შევადგინეთ არქივის ამ ერთეულში დაცული ილია ჭავჭავაძისეულ ხელნაწერ ტექსტთა ნუსხა, რომელშიც თემები უფრო ვიწრო საკითხებად ჩაიშალა. ეს საკითხებია: კონვერსია, რუსეთის სხვადასხვა ბანკის მონაცემები, კრედიტები, გურამიანთკარის მამულში მომხდარი ძარცვა, წიწამურისა და გურამიანთკარის გლეხთა მიერ ილია ჭავჭავაძის კუთვნილი მიწების უკანონოდ მიტაცება, განცხადება თადეოზ გურამიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ოჯახის წევრების ადგილზე არყოფნის გამო მის სახლ-კარზე მეთვალყურეობის დაწესების მოთხოვნით, ილია ჭავჭავაძის პასუხი წისქვილთან დაკავშირებით მის წინააღმდეგ შეტანილ საჩივარზე, ბრეთის მამულთან დაკავშირებული საკითხები, საგირავნო ფურცლები, ინფორმაცია მიხეილის სახელობის ბანკის შესახებ, თბილისში სახლის ასაშენებლად ხელოსნებთან დადებული ხელშეკრულება, მამულის აღწერისა და შეფასების მასალები, საბანკო კონტროლიორის ინსტრუქცია, სასამართლოში წარმოსათქმელი სიტყვა თედო სახოკიას მიერ შეტანილ საჩივართან დაკავშირებით, ინფორმაცია საადგილმამულო ბანკის ბაქოს სააგენტოს შესახებ, საბანკო საკითხებთან დაკავშირებით ივანე მაჩაბლის მიერ გამოცემული ბროშურის ანალიზი, სხვადასხვა მემამულის ქონების შეფასება, განმარტებითი წერილი გირავნობის ფურცლების გაუცემლობასთან დაკავშირებით, მოსაზრება ბანკში ჩატარებული რევიზიის დასკვნაზე, ბანკის მუშაობის ანგარიშები, მელვინეობის ნარჩენებიდან ღვინის ქვის წარმოების პერსპექტივები და სხვა.

ავტოგრაფული ფოლიანტების დიდ ნაწილს დაუსრულებელი ტექსტის ან ნაწყვეტის სახე აქვს: ზოგი მათგანი მასალის შუა ნაწილია, ზოგი - დასაწყისი, ზოგი – ბოლო. უპირველესი ამოცანა იყო ამ მექანიკურად შეკრული ფურცლების ურთიერთკავშირისა და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა ტექსტებთან და ცხოვრებისეულ მოვლენებთან მათი მიმართების დადგენა. რამდენადაც ასეთი ფურცლები დიდი რაოდენობით იყო, საჭირო გახდა თითოეულ არასრულ მონაკვეთთან მისი ძირითადი თემისა და პარატექსტური ინფორმაციის მითითება, ვგულისხმობთ ავტორისეულ პაგინაციას, თავებად და მუხლებად დაყოფას ან ტექსტთან დაკავშირებულ სხვა სახის მინიშნებებს.

ამის მეშვეობით ნელ-ნელა იკვეთებოდა ტექსტების საზღვრები. რამდენადაც მასალას მწერლის თხზულებათა ტომში გამოსაქვეყნებლად ვამზადებდით და ტექსტები აკრეფილი გვექონდა, ფართოდ ვიყენებდით კომპიუტერულ კვლევას. მაგალითად, როდესაც გვინდოდა გაგვეჩვენა ერთი რომელიმე ფურცლის მიმართება ამავე მსხვილი საარქივო ერთეულის სხვა ტექსტებთან, ამ ფურცლის ტექსტში გამოვყოფდით საკვანძო სიტყვებს, თითოეულს დავებნიდით მთელ კორპუსში და მოვნიშნავდით რაიმე ფერით, შემდეგ თვალს გადავავლებდით მთელ კორპუსს და ვნახულობდით, ამ ფურცლის გარდა, კიდევ რომელიმე მონაკვეთში ხომ არ იყრიდა თავს ჩვენ მიერ მონიშნული სიტყვები. რა თქმა უნდა, როცა ასეთ მონაკვეთს აღმოვაჩენდით, შემდეგ ამას მოჰყვებოდა ტექსტების შედარება და დაწვრილებითი ანალიზი. ასე ვაკავშირებდით ერთმანეთისგან დაშორებულ ტექსტის ნაწილებს ერთმანეთთან და ვკრავდით კორპუსს.

იმის წარმოსადგენად, თუ რამდენად არეული და ერთმანეთისგან დაშორებული გვერდების შეკავშირება გვიხდებოდა, წარმოგიდგენთ ერთ მაგალითს. არქივის ამავე ნომერში დაცული ერთი ტექსტის „Практика печатного слова“ (ხეც, N203, გვ. 101-111) მონაკვეთების ურთიერთმიმართებისა და თანმიმდევრობის გარკვევის შემდეგ გამოიკვეთა, რომ მათი სწორად დალაგების შემთხვევაში გვერდების არსებული ნომრები მიიღებდა ასეთ თანმიმდევრობას: 95-96 r.v. → 104-107 r.v. → 110-111 r.v. → 108-109 r.v. → 101-103 r.v.

რამდენადაც საარქივო მასალების სისტემატიზაცია ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მე-19 ტომის მოსამზადებლად გვჭირდებოდა, ჩვენი მიზანი ტექსტების ვარიანტების ქრონოლოგიური თანმიმდევრობის გარკვევა და მათი გამოსაცემად მომზადებაც იყო. ვარიანტები მხოლოდ რამდენიმე ტექსტს ჰქონდა, მაგრამ ეს იყო შავი უსათაურო ტექსტები და საკმაოდ დიდ სირთულესთან იყო დაკავშირებული მათი ტექსტოლოგიური კვლევა.

ვარიანტების ურთიერთმიმართების გარკვევის მაგალითად მოვიყვან ილია ჭავჭავაძის რუსულენოვან ტექსტს, რომელსაც სათაური არ აწერია, მაგრამ შინაარსიდან ჩანს, რომ ეს უნდა იყოს წერილი, გასაგზავნი ვინმე ბარბარე იოსების ასულისთვის (ხეც, N203, გვ. 119-133). გვარი არსად არის მითითებული. ერთი ფურცლის დასაწყისში გადახაზულია სიტყვები: „Прошу извинения за запоздалый ответ на Ваше письмо. но... лучше поздно, чѣмъ никогда“. სხვა ფურცლის დასაწყისში კი ვკითხულობთ: „Простите меня, многоуважаемая Варвара Иосифовна, но я не могу не выразить своего крайняго удивленія по поводу Ваших претензій ко мнѣ.“

ვრცელ წერილში, რომლის დაწერაზეც ილია ჭავჭავაძეს, შავი ავტოგრაფებით თუ ვიმსჯელებთ, საკმაოდ დიდი დრო დაუხარჯავს, რაც, თავისთავად გულდასაწყვეტია, საუბარია იმ პრეტენზიებზე, რომლებიც წაუყენა ქალბატონმა, ვისგანაც შენობა და მიწის ნაკვეთი შეიძინა. წერილიდან ცალსახად ჩანს, რომ ბინის გაყიდვისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მის ყოფილ მფლობელს არავითარი იურიდიული უფლება აღარ ჰქონდა მოეთხოვა ილიასგან ის, რაც ხელშეკრულებით მას აღარ ეკუთვნოდა და, მით უფრო, არ ჰქონდა მორალური უფლება ილიას მხრიდან რამდენიმე დათმობაზე მისივე კეთილი ნებით წასვლის შემდეგ დაუსრულებლად ეთხოვა მისგან მეტი და მეტი.

რამდენადაც არქივის ამ ერთეულში ტექსტები ერთმანეთისგან გამიჯნული არ იყო, ამ წერილის სხვადასხვა ფურცელს შორის სხვა ტექსტები იყო მოქცეული. ამიტომ ჩვენი პირველი ამოცანა იყო მათი გამიჯვნა და ამ წერილის ყველა ფურცლის აღნუსხვა. აღმოჩნდა, რომ 119r.v., 120 r.v., შემდეგ 121 r. - 122 v. -ზე არის ჩანაწერები ბანკის შესახებ, 124 r.v., 126 r., 127 v. 128 r.v., 129 r.v.-ს შემდეგ კი – 130 v. 131 r.-ზე არის პირადი წერილი უცნობ ადრესატთან ერობის შემოღების შესახებ. სავარაუდოდ, იგი ბარბარესადმი წერილის ფურცლებს შორის იმიტომ

ჩადეს, რომ დასაწყისიდანვე ეტყობოდა, ისიც წერილი იყო. პირველსავე ხაზზე ვკითხულობთ: „Только что попало мнѣ на прочтѣніе Ваше письмо и спѣшу отвѣтитъ слѣдующее“. ამ ფურცლების შემდეგ ისევ გრძელდება წერილი ბარბარესადმი: 131 v., 132 v., 133 r.v. ამ ტექსტის ვარიანტული ჩანაწერების გვერდების საერთო ჯამი 20-ია, მაგრამ ამ გვერდების თანმიმდევრობაც არეულია. აქ არის სხვადასხვა სახის ფურცლებზე განსხვავებული მელნიტა და სტილით ნაწერი. ტექსტი მოიცავს ცალხაზიანი რვეულის ორ წყვილ და ერთ ცალკე აღებულ ფურცელს და ზუსტად ამდენივე თაბახის ფურცელს. ეს არის წერილის ორი განსხვავებული ვარიანტი. ორივე ხელნაწერი შავი და ძლიერ ნასწორებია, მაგრამ შედარებითი კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ცალხაზიან ფურცლებზე შესრულებული ნაწერი უფრო ადრეულია.

ამას ადასტურებს ტექსტების შედარებითი ანალიზი: ცალხაზიანი რვეულის ფურცლებზე ნაწერი ტექსტის ნასწორები პასაჟებიდან თაბახის ფურცლებზე გადატანილია მხოლოდ გადაუხაზავი სიტყვები: „...прачешной, ~~зат~~ направить на замѣну досчатыхъ стѣнъ ~~кнрн~~ Вашего сарая...“ შდრ. „...прачешной направить на замѣну досчатыхъ стѣнъ Вашего сарая...“ და სხვა. და ხშირია შემთხვევები, რომლებშიც ცალხაზიანი ფურცლებიდან უცვლელად გადატანილი ფრაზები თაბახის ფურცლებზეა ნასწორები და დახვეწილი: „...Такъ какъ исполненіе этого Вашего предложенія“ / „...Такъ какъ ~~исполненіе Вашего предложенія предвѣшало расх~~ ~~въ большемъ размѣрѣ, чѣмъ въ первомъ случаѣ~~, по этому предложенію...“ და სხვა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ პირველი ვარიანტის დასაწყისი დაკარგული ჩანს, რადგან არც ერთი ცალხაზიანი ფურცელი არ იწყება ისე, რომ წერილის დასაწყისის ფუნქცია შეესრულებინა, თაბახის ფურცლებზე კი ასეთი დასაწყისი გვაქვს. ვფიქრობთ, საარქივო მასალის დალაგებისას თაბახის ის ფურცელი, რომელზეც წერილის დასაწყისია, სწორედ იმიტომ უნდა ჩაედოთ ცალხაზიანი რვეულის ფურცლებზე წინ, რომ დასაწყისი იყო.

ტექსტთან დაკავშირებული ყველა ფურცლის მოძიების შემდეგ ვარიანტების ურთიერთმიმართების გასარკვევად ტექსტები ვორდის ფაილში გვერდიგვერდ განვითავსეთ და საკვანძო სიტყვები სხვადასხვა ფერად მოვნიშნეთ. ეს ძალიან დაგვეხმარა პასაჟების ურთიერთმიმართების დადგენაში.

ბუნებრივია, დავინტერესდით წერილის ადრესატის ვინაობით. ტექსტში, მისი სახელის გარდა, ნახსენები იყო მამის სახელი – იოსები და ძმის სახელი – ქრისტეფორე. გვეგონა ეს ინფორმაცია დაგვეხმარებოდა, მაგრამ ამაოდ. „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანში“ ვერც ერთი და-ძმა ვერ ვიპოვეთ, რომელთა სახელები – ბარბარე და ქრისტეფორე, ხოლო მამის სახელი იოსები იქნებოდა. მიუხედავად ამისა, წიგნში მაინც მივაგენით ჩვენთვის საჭირო ინფორმაციას.

1901 წლის ანოტაციებში ვკითხულობთ: „თბილისში, ანდრეევის (ამჟამად ჩუბინაშვილის) №22-ში ბარბარე ღვინიაშვილისგან იძენს სახლს, აკეთებს რეკონსტრუქციას და რემონტს“ (ნინიძე და ამირხანაშვილი, 2017, გვ. 487). ეს რემონტი და რეკონსტრუქცია კარგა ხანს გაგრძელბულა, რადგან მწერალი და მისი მეუღლე იქ მხოლოდ 1902 წელს გადავიდნენ. რამდენადაც წერილის შინაარსის მიხედვით ილია ჭავჭავაძე ჩვენ მიერ განსახილველი წერილის წერის დროს ბარბარესგან ნაყიდ სახლში გადასული უნდა ყოფილიყო და რამდენიმე თვე კიდევაც უნდა ეცხოვრა (ნათქვამია, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში იხდიდა წყლის საფასურს), შეგვიძლია წერილიც 1902 წლით დავათარილოთ. შინაარსი გვამლევეს თარიღის უფრო დაზუსტების საშუალებასაც – მასში 14 აგვისტო წარსულ დროშია მოხსენიებული. შესაბამისად, ბარათი 1902 წლის 14 აგვისტოს შემდეგ არის დაწერილი.

რაც შეეხება ბარბარე ღვინიაშვილის წერილის ფურცლებს შორის მოქცეულ სხვა წერილს საქართველოში ერობის შემოღების შესახებ (ხეც, N203, გვ. 130-131), ეს ბარათი ნაწერია გაკეცილი თაბახის ორ გვერდზე და შინაარსით ძალიან საინტერესოა. ილია ჭავჭავაძე ადრესატს უზიარებს აზრს საქართველოსა თუ კავკასიაში ერობის შემოღების პერსპექტივის შესახებ. ის წერს, რომ შეკრებები და ადგილობრივი მოსახლეობისთვის აზრის კითხვა სრული ფარსია ხელისუფლების მხრიდან. მათთვის იმ პირობებზე უკეთესი მოთხოვნა, რომლებიც შემოიღეს რუსეთში 1864 წელს, უაზრობაა, რადგან ისინი ამის გამო დროს უსასრულოდ გაწელავენ და იმასაც ვერ მივიღებთ, რაც რუსეთმა მიიღო.

ილია ჭავჭავაძე საქართველოსა და, ზოგადად, კავკასიაში ერობის შემოღების საკითხით ათწლეულების განმავლობაში იყო დაინტერესებული და მის მოგვარებაში აქტიურად ჩართული:

➤ 1879 წელს იგი წერდა, რომ ერობა წოდებების განურჩევლად უნდა ჩამოყალიბდეს, ამასთან ვრცლად განიხილავდა ამ საკითხს (ჭავჭავაძე (1879), ცხოვრება და კანონი, გაზეთი „ივერია“, 1, გვ. 4-8).

➤ 1883 წლის 21 იანვარს საგანგებო სტატია გამოაქვეყნა ერობის თემაზე (ჭავჭავაძე (1883). ჩვენი თავადაზნაურობა და ერობა, გაზეთი „ივერია“, 14, გვ.1).

➤ 1897 წლის 16 თებერვალს ამავე თემაზე უსათაუროდ და ხელმოუწერლად გამოაქვეყნა მოწინავე, რომელიც მწერლის თხზულებათა კრებულებში იბეჭდება სათაურით „ერობის საკითხი და დეპუტატთა საკრებულო“ (ჭავჭავაძე, 2007, გვ. 261).

➤ 1897 წლის ნოემბერში ილია ჭავჭავაძე აირჩიეს თბილისის გუბერნიაში ერობის შემოღების საკითხის შემსწავლელი კომისიის წევრად (ნინიძე და ამირხანაშვილი, 2017, გვ. 442).

➤ 1898 წლის 20-22 იანვარს როგორც თელავის მაზრის წარმომადგენელმა, მონაწილეობა მიიღო თბილისის გუბერნიაში ერობის შემოღების შემმუშავებელი კომისიის სხდომაში (ნინიძე და ამირხანაშვილი, 2017, გვ. 446).

➤ 1899 წლის 16 თებერვალს მონაწილეობა მიიღო თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაში, რომელიც განიხილავდა ამიერკავკასიაში ერობის შემოღების საკითხს; იქ აირჩიეს ამ საკითხთან დაკავშირებით შუამდგომლობის ტექსტის შემმუშავებელი კომისიის წევრად (ნინიძე და ამირხანაშვილი, 2017, გვ. 460).

➤ 1905 წლის 16 ივლისს მონაწილეობა მიიღო კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს სხდომაში, რომელიც განიხილავდა კავკასიაში ერობის შემოღების საკითხს (ნინიძე და ამირხანაშვილი, 2017, გვ. 526).

მთელი ამ ძალისხმევის მიუხედავად, როგორც ჩანს, დიდმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ სწორად განჭვრიტა, რომ ფარსისა და ლიბერალობანას თამაშის მოყვარული ხელისუფლების პირობებში ერობის საკითხის გადაწყვეტა უზომოდ გაჭიანურდებოდა და ასეც მოხდა. ის ისე გარდაიცვალა, რომ ერობის შემოღებას ვერ მოესწრო.

რამდენადაც კავკასიაში ერობის შემოღების საკითხი თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ პირველად 1867 წელს დააყენა, ილია ჭავჭავაძე კი ბოლო შეკრებებში ამ საკითხთან დაკავშირებით მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის დროს, 1905 წელს, მონაწილეობდა, წერილს შესაბამისად ვათარილებთ 1867-1905 წლებით, მაგრამ ადრესატის განსასაზღვრად ტექსტში არავითარი ხელჩასაჭიდი არ არის და ამ საკითხს ღიად ვტოვებთ.

ამავე ნომერში დაცულია ერთი ტექსტი, რომელიც მისასალმებელი სიტყვა უნდა იყოს საქართველოში განწყობილი რომელიღაც ეგზარქოსისადმი. რამდენადაც ცნობილია, ილია

ჭავჭავაძე 1898 წლის 28 მარტს მცხეთაში შეხვდა ეგზარქოს ფლავიანე გოროდეცკის, ვფიქრობთ, სიტყვა, რომლის შავი ჩანაწერებიც აქ არის დაცული, მისდამი უნდა ყოფილიყო მიმართული (ხეც, 203, გვ. 93-94).

აქვე არის დაცული იმ სიტყვის შავი მონახაზი, რომლითაც ილია ჭავჭავაძე აპირებდა გამოსვლას სასამართლოში მისი, როგორც გაზეთ „ივერიის“ რედაქტორის მიმართ თედო სახოკიას მიერ აღძრული საჩივრის განხილვაზე (ხეც, 203, გვ. 92). ტექსტიდან ჩანს, რომ საქმე უნდა ეხებოდეს თედო სახოკიას მიერ გამოცემულ „აკაკის ნაკვესებს“. სახოკიამ გაზეთ „ივერიას“ უჩივლა არტემ ახნაზაროვის სტატიის გამო, რომელიც გამოქვეყნდა 1895 წლის 16 აპრილს და რომელშიც გაკრიტიკებული იყო ეს გამოცემა. შესაბამისად, ეს სიტყვაც ამ თარიღის შემდგომი დროით დავათარიღეთ.

არქივის ამავე ნომერში აღმოჩნდა პოეტ ვასილ ველიჩკოსადმი მოკლე წერილი, რომლიდანაც ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძემ ილიაობის დღეს ამ პოეტისა და მთარგმნელისგან მიიღო მისდამი მიძღვნილი ლექსი, რომელიც წვეულებაზე ხმამაღლა წაიკითხეს და ვაშას ძახილით შეხვდნენ. ასეთი ფაქტი მოხდა 1896 წლის 20 ივლისს და ამ ლექსის ავტოგრაფიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ხეც, ილია ჭავჭავაძის არქივი, 70). შესაბამისად, ბარათს ვათარიღებთ 1896 წლის 20 ივლისის შემდგომი პერიოდით. რამდენადაც ზემოხსენებული წერილების შინაარსი სპეციფიკური იყო, მათი ფურცლების პოვნა და ერთმანეთთან დაკავშირება იმდენად არ გაგვიჭირვებია, როგორც სხვა ტექსტებისა.

მასალის სისტემატიზაციისთვის კვლევის დაწყებისთანავე შევადგინეთ ნაკლული ტექსტების ნუსხა. რამდენადაც სათაური ამ ტექსტების ძალიან მცირე ნაწილს აქვს, ორსვეტიან ცხრილში დამოუკიდებელ მუხლებად მოვუყარეთ თავი ყველა ნაკლული ტექსტის მონაცემს. მარცხენა სვეტში ჩამოვწერეთ ბოლონაკლული ტექსტების ის ფრაზები, რომლებითაც ისინი მთავრდება, მარჯვენა სვეტში – თავნაკლულების საწყისი სიტყვები და ეს მონაცემები დავაჯგუფეთ თემების მიხედვით. შემდეგ პირველი სვეტის თითოეულ მონაცემს ვაკავშირებდით მეორესთან. როდესაც იკვეთებოდა იმის ალბათობა, რომ მარჯვენა სვეტის ფრაზა შეიძლებოდა ყოფილიყო მარცხენა სვეტიდან რომელიმე ფრაზის გაგრძელება, ვხსნიდით შესაბამის ავტოგრაფებს, ვაანალიზებდით ტექსტის მთლიან შინაარსს, საწერ საშუალებას, ფურცლის ფერსა და ხარისხს და თუ ვრწმუნდებოდით, რომ ეს მონაკვეთები მართლაც ერთ ტექსტს ეკუთვნოდა, ვინიშნავდით, რომელი საარქივო ფურცელი რომლის გაგრძელება უნდა ყოფილიყო ორიგინალურ დოკუმენტში.

ფურცლის ბოლოს არსებული ბოლონაკლული და სხვა ფურცლის თავში დაწერილი თავნაკლული ფრაზების ერთმანეთთან მისადაგებით ტექსტების ურთიერთმიმართების დადგენის ეს ხერხი იმდენად ნაყოფიერი აღმოჩნდა, რომ უამრავი გვერდის სისტემატიზაციაში დაგვეხმარა. ტექსტების უმეტესობა, თუ ბოლომდე არა, ნაწილობრივ მაინც შეივსო. ვფიქრობთ, ეს ხერხი ძალიან გამოსადეგია არქივების დამუშავების დროს.

გვქონდა ისეთი შემთხვევებიც, როცა მივაკვლიეთ შავი ჩანაწერების დედანს, რომელიც ბეჭდური სახითაც იყო გამოცემული. ასეთია, მაგალითად, განმარტებითი წერილი თბილისის ბანკში რევიზორად გამოგზავნილი ევსტათი დობეცკისადმი (Его высокоблагородию господину, ревизовавшему Тифлисский дворянский земельный банк Евстафию Евстафьевичу Добецкому членов правления сего банка Объяснительная записка). არქივის განსახილველ ერთეულში ამ ტექსტის შავი ხელნაწერია დაცული, რაც საბოლოოდ ადასტურებს ილია ჭავჭავაძის ავტორობის საკითხს.

მიუხედავად იმ სირთულეებისა, რომლებსაც ვხვდებით საარქივო მასალის სისტემატიზაციისას, ტექსტების დიგიტალიზაცია, ციფრული კორპუსებისა და

კომპიუტერული შესაძლებლობების გამოყენება ამ რუტინულ საქმეს და თითოეული დოკუმენტის კვლევას ბევრად აიოლებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც), ილია ჭავჭავაძის არქივი, 70.
2. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც), ილია ჭავჭავაძის არქივი, N203.
3. ნინიძე, მ. და ამირხანაშვილი, ი. (2017). ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიაწე. თბილისი. გამომცემლობა „მთაწმინდა“.
4. ჭავჭავაძე, ი. (1879). ცხოვრება და კანონი. გაზეთი „ივერია“, N1.
5. ჭავჭავაძე, ი. (1883). ჩვენი თავადაზნაურობა და ერობა. გაზეთი „ივერია“, N14.
6. ჭავჭავაძე, ი. (2007). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ.13. ილიას ფონდი.

Systematization of Ilia Chavchavadze's Archival documents

Maia Ninidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Summary

Ilia Chavchavadze's personal archive contains hundreds of individual sheets of paper with manuscripts that are kept under one archival number but most of them are different documents, with various contents and time of creation. As we were preparing this material for the 19th volume of Ilia Chavchavadze's written heritage, containing archival documents, we had to study each piece of paper, reveal connections between the excerpts of the texts, arrange them in logical order and group them. We managed to emerge from those messy folios up to 30 texts, some of them even in two variants. Among them are two personal letters, several black copies of unfinished articles, texts of speeches, declarations, statements, instructions, reports, contracts, an explanatory memorandum, an evidence for the court trial etc. In the scientific apparatus we represent the right sequence of the pages which demonstrates to what extent their order was messed up in the repository.

„რკინის კარი საქართველოსი“ (ერეკლე მეფის სახე აკაკისა და ილიას რამდენიმე უცნობ და მივიწყებულ წერილში)

ელისაბედ ზარდიაშვილი

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„მე წინააღმდეგი ვარ ასეთი დღესასწაულის გადახდის, 40 წლის განმავლობაში მე სულ იმ აზრის ვიყავ, საქართველოს რუსეთის იმპერიასთან დაკავშირება იყო თვით ქართველი ერის სიკვდილი...“ – ეს ილიას სიტყვებია, რომელიც წარმოთქვა 1901 წელს, საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლის ზეიმის შემდეგ. დოკუმენტი ზაქარია ჭიჭინაძის ხელითაა შედგენილი და დაცულია ლიტერატურის მუზეუმის გამოუქვეყნებელი მასალების ფონდში (გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, №8591-1-ბ).

„გავიგე და, ალბათ, თქვენც გაიგებდით, რომ ქალაქში დიდი ალაპი (ქელეხი) გადაუხდიათ ამ დღეებში საქართველოს სულის მოსახსენებლად...“ – ეს უკვე აკაკის ფრაზაა ზემოხსენებული „ზეიმის“ შემდეგ ელენე აბელიშვილისადმი გაგზავნილი ერთი უცნობი წერილიდან (უცნობი აკაკი, 2001).

ასე შეაფასეს ილიამ და აკაკიმ საქართველოს რუსეთთან შეერთება. გარდა ამ ორი მოკლე ფრაზისა, მთელი მათი შემოქმედება დამპყრობელი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლას მიეძღვნა. რუსეთთან დაკავშირების მთავარი ფიგურანტი კი ერეკლე მეორე იყო. 1898 წელს შესრულდა ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან 100 წელი. ქართულმა საზოგადოებამ ღირსეულად აღნიშნა ეს იუბილე. ილიამ და აკაკიმაც მიუძღვნეს წერილები გმირი მეფის იუბილეს „ივერიასა“ და „აკაკის კრებულში“. ზემოთ ჩამოყალიბებული მოსაზრებების მქონე შემოქმედთაგან ერეკლეს ღვაწლის როგორი შეფასების მოლოდინი უნდა ჰქონოდა საზოგადოებას...

სანამ უშუალოდ იუბილესადმი მიძღვნილი წერილების განხილვას შევუდგებით, შევხვით აკაკის უცნობ სტატია „სიმართლეს“, რომელშიც ქართლ-კახეთის მეფის ღვაწლის შეფასებას ძალიან დიდი ადგილი უკავია. წერილი 1901 წელს, საქართველოს რუსეთთან შეერთების ეგრეთ წოდებული „ზეიმის“ შემდეგაა დაწერილი. იგი იმდენად მწვავე ეროვნულ-პოლიტიკური ხასიათისაა, რომ ყველა ეპოქის ცენზურის მსხვერპლად იქცა და ჩვენს დრომდე დღის სინათლე არ ღირსებია (ხეც, აკაკის ფონდი, ავტოგრაფი №280, №283). მაინც რა არის სტატიაში ისეთი, რომელმაც ასე შეაშინა მეფის ცენზურა და ასევე დააფრთხო საბჭოთა კონიუნქტურა?

„სიმართლეში“ მოცემულია ასწლიანი ანგარიში და ჩამოთვლილია ყველა ის უბედურება, რომლებიც საქართველოს რუსეთთან შეერთებამ მოუტანა. ერეკლე II-ის მიერ რუსეთთან დადებული ტრაქტატი პროგრესული ნაბიჯი უნდა ყოფილიყო, ერთმორწმუნე ერის მმართველობა კი ხსნის გზად უნდა მოვლენოდა მაჰმადიანურ სიბნელეში ჩაძირულ ქვეყანას, მაგრამ პირიქით მოხდა... აკაკის აზრით, ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის გამო ქართველს გაუჭირდა ეროვნული მეობის შენარჩუნება. მან დაკარგა როგორც სახელმწიფოებრიობა (1801), ისე ეკლესიური დამოუკიდებლობა (1811), დაინგრა ეროვნული განათლების სისტემა, გაუკუღმართდა მართლმსაჯულება. ეროვნული ცხოვრების წესის მოშლას მოჰყვა ხალხის სულიერ-ზნეობრივი გადაგვარება. აკაკიმ რუსიფიკატორული პოლიტიკის ასწლიანი მწარე სიმართლე მოურიდებლად და მკვახედ პირში მიახალა ყველას – ერსაც, ზერსაც და მტერსაც... პოეტი განიხილავს ეროვნული მეობის მატარებელ იმ სამ ძირითად ღირებულებას – რჯული, განათლება, სამსჯავრო – რომლებიც ქვეყანას განადგურებისგან იცავს და რომლის დანგრევითაც მტერმა მიზანს მიაღწია.

წერილში პოეტი საქართველოს ისტორიული წარსულის ანალიზისას ეხება ერეკლეს ღვაწლსა და გეორგიევსკის ტრაქტატს, ასევე სოლომონ I-ის მოღვაწეობას.

იგი საუბრობს ქართველების გმირობის გამოგონებელ, მაგრამ რეალურ ფაქტებზე, აღწერს, თუ როგორ ავლებდა მუსრს ორივე მეფე ყოველი მხრიდან შემოსეულ მტერს და ამის მაგალითად ასახელებს ასპინძის, ხრესილის, მაუხვისა და სხვა ბრძოლებს. მარტო ერეკლე მეორეს, – წერდა აკაკი, – წერილი ომების გარდა, დიდი და შესანიშნავი ომი 60-ზე მეტი აქვს გადახდილი; ხშირად ჩვენი მეფეები უამრავი მტრის წინააღმდეგ საარაკო გამარჯვებასაც აღწევდნენო.

ამ გმირობამ საქართველო რუსეთთან შეერთებას ვერ გადაარჩინა, რადგან ჯერ პეტრე პირველმა და შემდეგ ეკატერინე მეორემ გადაწყვიტეს აზიაში ფეხის მოკიდება, ეს კი შეუძლებელი იყო კავკასიის დაუპყრობლად, ხოლო კავკასიას ვერავინ ჩაიგდებდა ხელში

საქართველოს დამორჩილების გარეშე. ასე გახდა ეს პატარა ქვეყანა რუსეთის სამიზნე. რუსეთმა დაიწყო ბრძოლა რეგიონში დაწინაურებული ქართლ-კახეთის სამეფოს დასასუსტებლად. სწორედ ამას მიაწერს აკაკი ტოტლებენის ღალატს ასპინძის ბრძოლაში, რუსეთ-ოსმალეთის ომში საქართველოს ჩაბმის მოთხოვნას და ა. შ. პოეტი ასკვნის, რომ „რუსეთს სურდა საქართველო დაუძლურებულიყო და იძულებული გამხდარიყო მისთვის მფარველობა ეთხოვა“.

აკაკი წერილში ვრცლად ეხება რუსეთთან ტრაქტატის გაფორმების მიზეზებს: ცარიზმის ვერაგულმა პოლიტიკამ, რომელსაც ზედ ემატებოდა საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა, გარეშე მტრების გაუთავებელი შემოსევები, შინაური განხეთქილება, აშლილობა, ღალატი, ერეკლეს მოხუცებულობა და მისი სნეულება, თავისი შედეგი გამოიღო და გმირი მეფე აიძულა, ბრძოლებით განახევრებული და გადაღლილი მოსახლეობის გადასარჩენად რაიმე ელონა. ტრაქტატამდე, 1782 წელს, მან კიდევ ერთხელ სცადა ევროპასთან დაკავშირება, მაგრამ მათი უყურადღებობით იმედგაცრუებულმა რუსეთის მფარველობა ითხოვა. ტრაქტატში მეფის ჩამოთვლილი ტიტულები ამტკიცებს, რომ „მან აღუდგინა ძველი, თითქმის დაკარგული დიდება საქართველოს“.

აკაკი „სიმართლეში“ დაჟინებით იმეორებს, რომ რასაც დღეს ვხედავთ, ეს არ ყოფილა ორ სახელმწიფოს შორის დადებული პირობა; ერეკლემ რუსეთს მხოლოდ საგარეო პოლიტიკის წარმოება მიანდო თავდაცვის მიზნით, რაც იმ პერიოდის მსოფლიოში მიღებულ წესად ითვლებოდა. აკაკის „სიმართლეში“ აქვს ერთი საინტერესო ფრაზა, რომელიც კომენტარსაც კი არ საჭიროებს: „საქართველოს მეფეებმა ვერ წარმოიდგინეს, რომ მეფური სიტყვა გატყდებოდა და პოლიტიკაც ხშირად სიმართლეს ღალატობს“. რუსეთმა არა მარტო სიტყვა, არამედ წერილობითი ხელშეკრულებაც კი დაარღვია და ამაში ბრალი ქართველ მეფეებს არანაირად არ მიუძღვით. ასე აღმოჩნდა საქართველო რუსეთის ტყვეობაში...

იდენტურ აზრს გამოთქვამს ილია ჭავჭავაძე წერილში „ასის წლის წინათ“ (ჭავჭავაძე, 2007, გვ. 307): ყველა უბედურება ერთად დაატყდა თავს საქართველოს: სპარსეთი, ოსმალეთი, ლეკები, არეულობა მეფის სახლობაში, ქვეყანაში გაჩენილი შავი ჭირი და ა. შ. – წერდა ილია და იქვე აღნიშნავდა, რომ რუსის ჯარის შემოსვლას ხალხი იმედით შეეგება, თუმცა ეს იმედი მალე სასოწარკვეთილებამ შეცვალა.

ილიას და აკაკის მიერ გაკეთებული დასკვნებიდან კარგად ჩანს, რომ ისინი უბადლო წყაროთმცოდნეები, ფაქტებისა და ისტორიული სიტუაციების ობიექტური შემფასებლები არიან. სწორედ ამ ისტორიული კონტექსტის ფონზე შეაფასა ორივე შემოქმედმა ერეკლე მეფის ღვაწლი მისი გარდაცვალების 100 წლის იუბილეზე.

აკაკი წერეთელმა შექმნა საკუთარი პუბლიცისტური მემკვიდრეობის ერთი გამორჩეულად საინტერესო წერილი სათაურით „ოცდა ორი თებერვალი“ (აკაკის კრებული, 1898, №8). ამ, ერთი შეხედვით, უწყინარ ესეში ავტორმა „გეორგიევსკის ტრაქტატთან“ დაკავშირებით ერეკლეს პირით დასვა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური კითხვა: „მემართლებიან“?!

სვეტიცხოვლის ტაძარში წირვისა და პანაშვიდის შემდეგ ხალხი დაიშალა. თუმცა, წერილის მიხედვით, იქ, სადაც ერეკლეს სურათი ესვენა და მისი თოფი იყო ჩამოკიდებული, ორი აჩრდილი გამოჩნდა. ერთი – გულხელდაკრეფილი, თავჩაქინდრული და თვალცრემლიანი 80 წლის მეფე ერეკლეს აჩრდილი იყო, ხოლო მეორე – სოლომონ ლეონიძისა... კითხვაზე, სოლომონ, რა ვნახეთ? რას იტყვი? – „მშვიდობა და კაცთა-შორის სათნოება“, – პასუხობს სოლომონი ერეკლეს. დიახ, „მშვიდობა და სათნოება“, – იმავეს

პასუხობს მეფეც, მაგრამ მათი დიალოგი ბრჭყალებშია ჩასმული, რითაც წერილის ავტორის განწყობილება უკვე იკვეთება.

„სიმართლეში“ აკაკი მრავალგზის აღნიშნავს, რომ საქართველოს რუსეთთან დაკავშირების მიზანი ის არ იყო, რასაც დღეს ვხედავთო. სწორედ ეს აზრია გატარებული „ოცდა ორ თებერვალში“. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გარეგნულად მშვიდობა სუფევდა, ერეკლე მეფე ასი წლის შემდეგ სააქაოს ნახვით უკმაყოფილოა: „როგორც ხალხის შვილს, მეც ყოველგვარი მისი ზნე-ჩვეულება ძვალ-რბილში მქონდა გამჯდარი და დღეს კი მე აქ ყველაფერი მეუცხოვა... მესხვაფერა! სად იყო ჩვეულებრივი შესანდობარი წვეულება? განა ოდესმე ქართველი ისე დაიმარხებოდა, რომ ხალხი მიწვეული არ ყოფილიყო და მიცვალებულის შესანდობარი არ დაეღლიათ? ჩემთვის კი ჩემიანებს ასიოდე ჯამი ლობიო, რამდენიმე ხმიადი და საზედაშე დანანებიათ!..“

თუ როგორ წარმოუდგენია პოეტს ღირსეული მეფის ხსოვნისადმი მიძღვნილი ზეიმი, ამას აკაკი ისევ ერეკლეს და სოლომონის დიალოგით გადმოგვცემს: ხალხი, გლეხობა, სადილის ჭამას რომ შეუდგებოდა, „ჯერ პირჯვარს გადაიწერდენ, დაბებერავებული ხელით აიღებდენ ხმიადს, ემთხვეოდენ, გასტეხდენ მოწიწებით, მიიღებდენ როგორც ზიარებას, ავსებულ სასმოს თავს წაუქცევდენ ჩემი სულის შესანდობართ პურზე და წმინდის გულით კურთხევას შემომითვლიდენ...“. თითოეული ქართველი სახლში დაბრუნების შემდეგაც „დაიწყებდენ ჩემზე საუბარს, მოიგონებდენ ჩემს ღვაწლს, გაიხსენებდენ ჩემგან თქმულს, ჩემზე ნათქვამს“...

წერილის ავტორს სურდა, რომ ასეთი ყოფილიყო მეფის გახსენების დღე, მაგრამ მსგავსი არაფერი ყოფილა. ჯანსაღი ტრადიციის – მოსაგონარის – ნაცვლად რა ხდებოდა ზეიმის დღეს? პოეტი ერეკლე II-ს აკითხვინებს: „სოლომონ..., ის რაღა იყო, რომ დედაკაცებს ყულაბები დაჰქონდათ?

– თქვენი სახელით საქველმოქმედო ფულებს აგროვებენ.

– რაო?! მის ნაცვლათ, რომ ჩემი სულის მოსახსენებლათ სამოწყალო დაერიგებიათ, პირ-აქეთ, მათხოვრობდენ და იმასაც კიდევ ირაკლის სახელით?! ვაი, ჩემს გაგონებას!

– თქვენი დიდებული და წმინდა სახელი გულის გასაღებათ იხმარეს, – ეუბნება ლეონიძე.

– კმარა!.. მეტს ნულარას იტყვი!.. ქართველი და გულ-დახურული! განა შეიძლება მაგის წარმოდგენა?! თვითოეული ჩვენგანი, ცალი ხელით რომ მტერს იგერებდა, მეორეთი იმავე დროს სამოწყალოს არიგებდა!.. ჭირი და ლხინი იცოდა!.. და დღეს კი ქართველი ისე გარდაქმნილია, გადასხვაფერებულია, რომ კლიტე გასაღებზე მივარდა საქმე?! ვაი, ამ დღის მომსწრეს!.. სოლომონ! ამ ასის წლის წინეთ ჩემდა უნებურად ჩამდევს მიწაში და ახლა-კი ნებით მინდა ჩავიდე საფლავში... წავიდე, მოვშორდეთ აქაურობას!.. – სთქვა და იბრუნა პირი“ (წერეთელი, 1961ა, გვ. 362). გმირ მეფეს იმდენად არ მოეწონა საუკუნის შემდეგდროინდელი საქართველო, რომ „პირი იბრუნა“, ანუ განერიდა მას. ერეკლე II-ის „სიტყვები“ კარგად გამოხატავს იმ სულიერ ცვლილებას, დაკნინებას, რომელიც განიცადა ქართველმა ხალხმა ასწლიანი რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად. წერილში ორი ძირითადი აზრია გატარებული: პირველი, ქართველმა, სანამ ის თავის თავს ეკუთვნოდა, ყველაფრის წესი და რიგი იცოდა, ყველაფერს დარბაისლურად აკეთებდა, დღეს კი „გარდაქმნილია, გადასხვაფერებულია“ და მეორე, მეფის მიერ რუსეთისკენ გადადგმულ ნაბიჯს საზოგადოებისგან დღემდე არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა. ამის გამო ერეკლე მეორის განწყობილება სხვადასხვა ინტონაციით გამოვლენილ ერთ ლექსიკურ ერთეულში ჩაატია ავტორმა.

„მემართლებიან?!“ – კითხულობს საქართველოსთვის თავგადადებული მეფე და გულდაწყვეტილი თვითონვე პასუხობს:

„მემართლებიან!“

ეს სევდითა და გულდაწყვეტით სავსე წერილი, როგორც აღვნიშნეთ, „სიმართლის“ წინამორბედია თავისი იდეური შინაარსით. მასში ავტორმა საოცარი მხატვრული ოსტატობით დაამუშავა რამდენიმე თემა, ხოლო ამის შემდეგ დაწერილ სტატია „სიმართლეში“ მეფის დადებითად (შეიძლება ითქვას, ზედამატებულადაც) შეფასებული ღვაწლი არის პასუხი „ოცდა ორ თებერვალში“ დასმულ კითხვა-პასუხზე: „მემართლებიან?! მე...მარ...თლე...ბიან!“

„რკინის კარი საქართველოსი“

მეფის ასი წლის იუბილეს მიემდვნა ილიას ორი მოწინავე „ივერიაში“.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლის იუბილეს შემდეგ ილიამ ბრძანა, რომ „საქართველოს რუსეთის იმპერიასთან დაკავშირება იყო თვით ქართველი ერის სიკვდილი“. ამ ფრაზაში ილია საუბრობს არა შეერთებაზე, რომელიც სახელმწიფოებრიობის გაუქმებას გულისხმობს და თავისთავად უკვე კატასტროფაა, არამედ მწერალი აქცენტს აკეთებს სიტყვაზე „დაკავშირება“. საინტერესოა, როგორია მისი შეფასება.

ილიას პირველი მოწინავე „წირვა და პანაშვიდი ერეკლე მეფის სულის მოსახსენიებლად“, რომელიც 1898 წლის 13 იანვარს დაიბეჭდა „ივერიაში“ (№8), აცნობებს მკითხველებს, რომ 11 იანვარს, ერეკლეს გარდაცვალების დღეს, სიონში გადაიხადეს წირვა და პანაშვიდი დიდი მეფის სულის მოსახსენიებლად. ამ მოვლენის საყოველთაოობის აღსანიშნავად ილია იყენებს სიტყვას „მიაწყდა“ და არა – „მივიდას“: „დიდძალი ხალხი მიაწყდა ამ დღეს სიონის სობორს“. ტაძარში ტევა არ იყო და პოლიცია ძლივს აკავებდა იქ შესვლის მსურველთ. ილია სიამაყით აღნიშნავდა, რომ ამ საუკუნოდ სახსენებელ დღეს მეფე ერეკლეს მიცვალებისას მისი ბრწყინვალე მთავარმართებელი თავადი გოლიცინიც კი დაესწრო, რომ აღარაფერი ვთქვათ გუბერნატორზე, მარშლებზე, უბრალო ხალხზე და ა. შ. მოწინავეს ავტორი რამდენჯერმე იმეორებს, რომ ქართველებისთვის ამ ღირსახსოვარ დღეს ყველა დაესწრო, რათა ლოცვა-კურთხევით მოიხსენიონ მეფე, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ხმლით ხელში ჰპატრონობდა როგორც ქართველებს, ისე ყველა კაცს, ვინც კი „შემოკედლებულნი იყვნენ მის საფარველ ქვეშ“.

ილიას მახვილ თვალს არ გამოჰპარვია მეფის პანაშვიდის ელემენტარული წვრილმანებიც კი. მოწინავეს მეორე ნაწილში იგი განაწყენებული წერს: „რით გადაუხადა ესეთი ღვაწლი ტფილისმა მართლა და მისთვის ღვაწლით მოსილ მეფეს იმ დღეს, როცა ქართველობამ მისდა საოხად და სახსენებლად წირვა-ლოცვა გადაიხადა? მით, რომ ტფილისის საბჭომ და გამგეობამ არც კი იკადრა, წირვასა და პანაშვიდზე დასწრებოდა... რის მომასწავებელია ასეთი უმართებულო, უგულო, უკადრისი, უზრდელი საქციელი მთელის იმ წყობისა, რომელთაც დღეს ხელთ უჭირავს პატრონობა ჩვენის ქალაქისა? (ილია აქ თბილისის მმართველობაში მოკალათებულ სომხებს გულისხმობს ე. ზ.). ნუთუ ეს დღე იმისთანა დღე იყო, რომ ასე ყურები გამოიჭედეს ბამბითა და სამარცხვინოდ თვალი დახუჭეს, მითამ და აქ არაფერიაო?...“ (ქაჭკავაძე, 2007ა, გვ. 17).

ილიას ეს წერილი არა მარტო ერეკლეს ღვაწლის შეფასებაა, არამედ კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ როგორ აკონტროლებს დიდი მამულიშვილი ქვეყნის მაჯისცემას, როგორ არ ეპარება მის მზერას არაფერი, რაც ქვეყნის ღირსებას ლახავს.

სიონში მეფის გარდაცვალებისადმი მიძღვნილი წირვა-პანაშვიდის შემდეგ დაკრძალვის დღის – 22 თებერვლის – აღნიშვნა უკვე მცხეთაში გაიმართა. ამ მოვლენას

მიუძღვნა ილიამ მეორე მოწინავე „ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან“, რომელიც იმავე დღეს დაიბეჭდა „ივერიაში“ (1898) გაზეთი „ივერია“, №39): „ქართველობა ერთხელ კიდევ ეტყვის საუკუნო ხსენებას სახელოვანს გვირგვინოსანსა. ხსენება ღვაწლითმოსილ მამულიშვილისა, მეფეა თუ უბრალო სიკვდილის შვილი, სესხი და ვალია შთამომავლობისა. საფლავი ქვეყნის მოღვაწე ვაჟკაცის წმინდა სალოცავია მამულისთვის, თუ ერი ერობს და „სამარისკენ ფეხი არ გაუშვერია“ (ჭავჭავაძე, 2007ბ, გვ. 72).

მოწინავეში ილია კიდევ ერთხელ აფასებს ერეკლე მეფის ღვაწლს, რისთვისაც საკუთარი მოსაზრებების გარდა, იყენებს გრიგოლ ორბელიანის ფრაზას: „დიდება საქართველოსი მასთან მარხია სამარეს“, ასევე ციტატებს ხალხური ლექსებიდან, მათ შორის, „ვერ გაიგითა ქართველნო, შეგეხსნათ რკინის კარია...“ და ა. შ. და ასკვნის, რომ „მეფე ერეკლეს რკინის კარი იყო საქართველოსი. აი, მისი ისტორიული ხატი ეს არის და თუ არ დიდბუნებოვან კაცს, სხვა ვის შეუძლიან რკინის კარობა გაუწიოს ქვეყანას?... ეს რკინის კარობა პატარა კახისა ოთხ კედელ შუა მოგონილი და ხელად გამომცხვარი ეპითეტი კი არ არის, ეს სიტყვა ერის გულით შობილი და ერის ელდაცემული გულიდამეფა ამოფეთქებული, ვითა თოფის წამალი, როცა ცეცხლი ეცემა. აქ ლაპარაკობს თვით ერი“ (ჭავჭავაძე, 2007გ, გვ. 73).

ილიას წერილის მთავარი დედააზრი მაინც ისაა, რომ მოღვაწის მოსახსენიებელი წირვა-პანაშვიდი ერის ქრისტიანული ვალია, რომელიც საკმარისი არ არის. მისი აზრით, საზოგადოებამ განსვენებული მეფის სახელზე უნდა გააკეთოს ისეთი საქმე, რომელიც საუკუნოდ უკვდავყოფს მის ხსენებას. ასეთ ნაბიჯად მოწინავეს ავტორს მიაჩნია თ. ივ. სულ. ჭავჭავაძის მიერ თავადაზნაურობისადმი შეთავაზებული წამოწყება, რომ არწრუნისეული ქარვასლის შემოსავლის ნაწილს ეწოდოს სახელი მეფის ერეკლესი და ამ ფულის სარგებლით შემწეობა გაეწიოთ ღარიბ მოსწავლეებს უმაღლეს სასწავლებელში. ილია ნატრობს, რომ თავადაზნაურობამ შეძლოს ამ საქმის ბოლომდე მიყვანა, რადგან ეს ნეტარება იქნება სახელოვანი მეფისთვის და ეს სახსენებელი დაემსგავსება იმ ანდერძს, რომელიც „ისაქმებს ჟამთა გაუთავებლად ერეკლე მეფის სახელითა“ და რომელი საქმის გამოც მადლიერი შთამომავლობა იტყვის: „მოკვდა და თვისის ანდერძით აწ ისევ ჰსაქმობს მკვდარიო“.

როგორც დავინახეთ, ილიას წერილი სავსეა მეფის ღვაწლის დაფასებითა და მისი სახელის უკვდავსაყოფი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმის მოთხოვნით.

ილიას ამ სტატიასა და აკაკის „ოცდა ორ თებერვალს“ ერთი და იგივე იდეა აერთიანებს.

ილია ჭავჭავაძეს არ აკმაყოფილებს მარტო პანაშვიდი, აკაკი წერეთელიც ზუსტად ამ აზრს იზიარებს. სტატიაში ერეკლეს მიერ წარმოთქმული ფრაზა, რომ, ნეტავ, თითოეული ქართველი სახლში დაბრუნების შემდეგაც „დაიწყებდენ ჩემზე საუბარს, მოიგონებდენ ჩემს ღვაწლს, გაიხსენებდენ ჩემგან თქმულს, ჩემზე ნათქვამს“... – უფრო მეტის გაკეთების სურვილით არის გაჟღენთილი, უფრო სამარადისო სახსენებელს მოითხოვს, ვიდრე ერთჯერადი წირვა-პანაშვიდია. ამიტომ, თითქოს შინაარსობრივი განსხვავებისა, იდეური თვალსაზრისით ისინი ერთმანეთს ავსებს.

ილიასა და აკაკის წერილებმა აჩვენა, რომ მომავალმა თაობამ სწორად გაზომა, სწორად შეაფასა მეფის მიერ გადადგმული ნაბიჯი რუსეთისკენ. „ტრაქტატი“ არ იყო საუკეთესო გამოსავალი, მაგრამ ევროპისგან მიტოვებულ საქართველოს სხვა არჩევანი არ ჰქონდა.

ეს შეფასებები იყო მტკიცე, დროის დისტანციით მიღებული და მოკლებული ყოველგვარ კითხვის ნიშანს. ერეკლეს რეპუტაციისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ორი ბუმბერაზი მოღვაწის აზრს არა მარტო საიმედოოდ, არამედ სამომავლოდაც. „ოცდა ორ თებერვალში“ ერეკლე მეფის მიერ ფიგურალურად დასმულ კითხვას „მემართლებიან?!“ ამ წერილებმა გასცა პასუხი: არა! ერის მოაზროვნე ნაწილი გმირ მეფეს არაფერს ემართლებოდა!

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „აკაკის კრებული“ (1898). №8. თბილისი.
2. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, №8591-1-
ბ.
3. გაზეთი „ივერია“, №8, 1898.
4. გაზეთი „ივერია“, №39, 1898.
5. უცნობი აკაკი (2001). კრებულის შემდგ. ნანა ფრუიძე. თბილისი. თსუ.
6. წერეთელი, აკ. (1961). თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად. ტ. XIII. თბილისი.
7. ჭავჭავაძე, ი. (2007ა). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ. 14. თბილისი.
8. ჭავჭავაძე, ი. (2007ბ). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ. 14. თბილისი.
9. ჭავჭავაძე, ი. (2007გ). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ. 14. თბილისი.
10. ჭავჭავაძე, ი. (2007დ). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ. 14. თბილისი.

"An Iron Door of Georgia"

(The image of King Erekle in several of Akaki's and Ilia's unknown and forgotten letters)

ElisabedZardiashvili

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Summary

The year 1898 marked 100 years since the death of King Erekle II. Ilia and Akaki dedicated several letters to the hero king on the anniversary of the king's death. This date was solemnly celebrated by the Georgian society.

In his "Collection" AkakiTsereteli published an article "February 22" which in connection with the Treaty of Georgievsk puts forward the most important political issue through the mouth of Erekle II - "Are they justified ?!" and he himself answered: jus-ti-fied! Why did Akaki raise this question? He knew that the part of society took the king's decision ambiguously. Already in 1901, after the so-called celebration of the incorporation of Georgia into the Russian Empire, the poet wrote the letter "The Truth", which, due to the acute national-political nature, became a victim of censorship of all eras and which has not been published to this day. And this should not be surprising, since Akaki sharply and without embarrassment threw the hard truth of a centuries-old Russification policy to everybody - the nation, the clergy and the enemy. In the article, Akaki once again answered the question of the distressed king - Are they justified? The author, as an experienced publicist, correctly assessed the steps taken by Erekle II and Solomon I regarding Russia, their contribution, all the reasons that made the King to put Georgia under the protection of Russia. These were: the treacherous policy of the Tsarist government, to which were added the endless invasions of external enemies, the domestic rift, the disorder, betrayal, an old age of Erekle and his disease. The "Truth" justly states that the "treaty" envisaged quite different conditions, and what we see today was not Erekle's wish. He wanted the kingdom to be independent and subordinate to Russia only in foreign policy, but as soon as she entered Georgia, she violated all conditions and turned to violence. When evaluating the king, Akaki states that Erekle II restored Georgia, which was on the verge of decline, and listed the titles held by the king, which in itself indicate the success of the then Kingdom of Kartli-Kakheti.

In connection with the mentioned date, Ilia Chavchavadze published two editorials in the Iveria (No. 8 and No. 39): "Liturgy and memorial service for commemoration of the soul of King Erekle" and "On the 100th anniversary of King Erekle's death". According to an unpublished material stored in the Literary Museum (#859-1) after the 100th anniversary of Georgia's annexation to Russia, the writer stated

that the incorporation of Georgia with Russia meant the death of the Georgian nation itself. In both of these editorials, the author of this statement greatly appreciated the hero king's contribution and also quoted G. Orbeliani's words that Georgia had been entombed together with king's death. In addition, Ilia used the quotes from folk verses and concluded that "King Erekle II was an iron door for Georgia", his death made his country accessible to the enemies.

Ilia's letters are full of gratitude for the merits of the king and the demand to take practical steps to immortalize his name. Ilia's and Akaki's letters answered many important political issues both on Georgian-Russian relations and the activities of Erekle II.

**„ბრძოლა სწორუფლებისათვის“ საქართველოში
(ლიტერატურის მუზეუმში დაცული ხელნაწერების მიხედვით)**

ია ლაღუა

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის
სახელმწიფო მუზეუმი

ლიტერატურის მუზეუმში დაცული მასალები საშუალებას გვაძლევს, მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული მივყვეთ იმ წინააღდეგობებით სავსე გზას, რომელიც გაიარეს ქართველმა ქალებმა თავიანთი უფლებების დასაცავად და მოსაპოვებლად.

„კავკასიელ ქართველ ქალთა ბრძოლა სწორუფლებისათვის რევოლუციონერ კულტურულ ფრონტზე“ - ასე ჰქვია ნინო ტყემელაშვილის მოგონებას, რომელშიც პირველი ქართველი „სუფრაჟისტკა“ აღწერს, როგორ დაარსდა ეს ორგანიზაცია და რა მიმართულებით უწევდათ მათ მუშაობა. მოგონება, რომელიც ნინო ტყემელაშვილს 1932 წლის ოქტომბერ-ნოემბერში დაუწერია, დოკუმენტური სიზუსტით, ნაბიჯ-ნაბიჯ გადმოგვცემს ყველა დეტალს - როგორ აარსებენ წრეებსა და კლუბებს, ქმნიან წესდებებს, როგორ მუშაობდნენ, რა წინააღმდეგობებს აწყდებოდნენ და ასე შემდეგ.

მოგონება, რომელიც 20 ფურცელს შეიცავს, მნიშვნელოვანი წყაროა იმდროინდელი პროცესების აღდგენისა და შემდგომი კვლევისთვის. მასში აღწერილი ამბების უმრავლესობა, ფაქტობრივად, უცნობია საზოგადოებისთვის. თუ გავითვალისწინებთ მოგონების დაწერის დროს, გასაგები გახდება ის პათეტიკა, რომლითაც გამსჭვალულია მთლიანი მოგონება და განსაკუთრებით კი შესავალი ნაწილი: *„უხსოვარ დროიდან იბრძოდა ქალი თანასწორ უფლებებისათვის. ოჯახური პირობები უბოროტებდა მას ხელ-ფეხს. ზრუნვა შვილზე, ათასგვარ უნაყოფო ოჯახურ წვრიმალზე უჩლუნგავდა მას გონებას და უკარგავდა ხალის მიეღო რამე მონაწილეობა საზოგადო საქმეში. ის იყო მონა ოჯახისა და ეკონომიურადაც დამოკიდებული მამა კაცზე.“*⁸² ამის შემდეგ კი იმოწმებს ლენინის სიტყვებს, რომ *„პროლეტარ ქალის ექსპლოატაცია 100ჯერ მეტი იყო და მათი ბედი 100ჯერ უფრო მწარე იყო ვიდრე მამაკაცისა“*.

მოგონების ავტორის მიხედვით, ამიერკავკასიაში ქალთა სწორუფლებიანობისთვის მუშაობდნენ „უპარტიო ქალები“, რომელთა მასიური გამოსვლა იწყება 1905 წლიდან, როდესაც კრებების თავისუფლება გამოცხადდა. ქალები შეუდგნენ წრეებისა და კლუბების დაარსებას. ნინო ტყემელაშვილი იხსენებს, რომ პირველი კრება შედგა მაჭავარიანის სახლში, ელისაბედის ქუჩაზე და ის კრებაზე მარიამ დემურიაშვილმა წაიყვანა. სწორედ ამ კრებაზე გადაწყდა, მოეთხოვათ

⁸² სტილი დაცულია.

მემკვიდრეობის უფლებისთვის ქალისა და მამაკაცის თანასწორობა. აირჩიეს კომისია, რომელსაც დაევალა წესდების შედგენა და გაცნობა მომავალი, მეორე, კრებისთვის.

ჩვენთვის საინტერესოა სწორედ მეორე კრება, რომელიც „მასწავლებელ არდაზიანის“ სახლში შედგა და რომელსაც მარიამ დემურია თავმჯდომარეობდა. კრებაზე მივიდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ქალთა ორგანიზაციების ერთ-ერთი ლიდერი მინადორა ორჯონიკიძე, რომელმაც გააპროტესტა ქალთა საზოგადოების დაარსება ცალკე და „მოითხოვდა ს.დ.პ. შესვლას საერთო უფლებების მისაღებად“. მინადორას გამოსვლამ ჩაშალა ეს კრება, რადგან „მისმა წინადადებამ დიდი არეულობა გამოიწვია“. როგორც ჩანს, კრების მონაწილეთა გარკვეული რაოდენობა ემხრობოდა მინადორა ორჯონიკიძის მოსაზრებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთ არეულობას ვერ გამოიწვევდა მისი წინადადება, რომ კრებამ ვერც წესდების განხილვა და მიღება შეძლო.

ეს კონფლიქტი ამ კრებაზე არ დასრულებულა და გაგრძელდა მომდევნო, მესამე, კრებაზეც, რომელიც მიხეილ გედევანიშვილის სახლში გაიმართა და რომელზეც უკვე ერთმანეთს მინადორა ორჯონიკიძე და ანასტასია გედევანიშვილი დაუპირისპირდნენ. დაპირისპირება რომ საკმაოდ ცხარე ყოფილა, ავტორი არც მალავს და დეტალურად აღწერს მოვლენებს - მინადორა ორჯონიკიძემ კარგად გამოლანძღა გედევანიშვილის მეუღლე და ხალხს დაშლა ურჩია: „რა დროს ქალების უფლების მოთხოვნაა, როდესაც ერთ ტაფაში ვიწვითო“. ამჯერადაც იმოქმედა მინადორა ორჯონიკიძის სიტყვამ და კრება მართლაც დაიშალა.

თუმცა წესდება მაინც დაამტკიცეს მეოთხე კრებაზე, ეკატერინე გაბაშვილის სახლში. კრებას ნინო ნაკაშიძე თავმჯდომარეობდა. მიუხედავად მინადორა ორჯონიკიძის მცდელობისა, დაეშალა ეს კრებაც, ვერაფერს გახდა და წავიდა; კრებამ კი „ქართულ ქალთა უფლებრივ თანასწორობის კავშირის“ წესდება დაამტკიცა და გამგეობის წევრებიც აირჩია: ეკატერინე გაბაშვილი, ეკატერინე მესხი, ნინო ნაკაშიძე, ანასტასია გედევანიშვილი, მარო ვახვახიშვილი და მოგონების ავტორი, ნინო ტყეშელაშვილი.

მის შემდეგ ოფიციალურად დაარსდა „ქართულ ქალთა უფლებრივ თანასწორობის კავშირი“ (ქართულ თეატრში შეიკრიბნენ), წესდებასაც გაეცნენ, მოიწონეს და ხელმოწერით დაადასტურა კავშირის წევრობა 186 წევრმა.

თუმცა, კავშირის დაპირისპირება „სოცდეკ ქალებთან“ ამით არ დასრულებულა და გაგრძელდა, ქუთაისშიც, სადაც ნინო ტყეშელაშვილი და მარო ვახვახიშვილი ადგილობრივი ქალთა საზოგადოების დაარსებისთვის იყვნენ კავშირიდან მივლინებულნი. საიდუმლო შეკრება გაიმართა კბილის ექიმ სალომე კერესელიძის ბინაში, დამსწრეებიც ბლომად იყვნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, საიდუმლოდ არ დარჩენილა მათი შეკრება და „ს.დ.პ ქალები მოვიდნენ თამარა თავთაქიშვილის მეთაურობით. ისინი წინააღმდეგი იყვნენ ცალკე ქალთა ორგანიზაციისა“. როგორც ჩანს, ცხარე კამათი გაიმართა, რადგან ნინო ტყეშელაშვილი ერთგვარად თავსაც იქებს, რომ მან საბუთებით (ანუ, არგუმენტირებულად) დაუმტკიცა სოცდეკ ქალებს მათი მოთხოვნის უსაფუძვლოება - გერმანიაში, სადაც ს.დ.პ ძლიერია, ქალთა საზოგადოება ცალკეა და ა. შ.

სწორედ ნინო ტყეშელაშვილისა და მარო ვახვახიშვილის თაოსნობითა და აქტიურობით გამოზადდა კავშირის განცხადება ქალაქის თავისათვის მისაცემად, რათა მონაწილეობა მიეღოთ ქალაქის არჩევნებში. მაგრამ 1906 წელს გამეფებულმა რეაქციამ ეს გეგმა ჩაუშალა.

სანამ მოგონების სხვა დეტალებზე ვისაუბრებ, აქვე აღვნიშნავ, რომ ეს დაპირისპირება არ შეწყვეტილა არც კავშირის დაარსებით და არც შემდგომ. მეტიც, წლების განმავლობაში

უფრო გაღრმავდა და გამწვავდა, რასაც ადასტურებს პრესაში გამართული პოლემიკა 1917 წლის საქალაქო არჩევნების წინ.

ვინაიდან სიღრმისეული კვლევა ამ მიმართულებით ჯერ არ არის ჩატარებული, დავიმოწმებთ საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის მკვლევრის, ირაკლი ხვადაგანის, სტატიას: „ქალთა საკითხი” საქართველოში გარდამავალ ხანაში, 1917 წლის თებერვლიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე.“ (ხვადაგანი, <http://firstrepublic.ge/ka/year/56?fbclid=IwAR2vaBZz9s62quiefEFFdYOhkZwfumENVTHvcirbZgt5dR13lx3QkGgBST8>)

„1917 წლის გაზაფხულზე, საქალაქო არჩევნების ჰორიზონტზე გამოჩენის კვალდაკვალ, ქალთა კითხვების გარშემოც ცხადად გამოიკვეთა საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკური ბანაკების ტაქტიკა მომავალი - პირველი თავისუფალი პოლიტიკური ბრძოლისათვის, მათ შორის ქალთა ხმების მოპოვების მიმართულებითაც, თუმცა პრესაში და საჯარო სივრცეებში გაშლილმა დისკუსიებმა მკაფიოდ აჩვენა, რომ ეს არ იყო მხოლოდ ერთჯერადი, მოკლევადიან შედეგზე გათვლილი ტაქტიკური გაანგარიშებები, არამედ პარტიების აღებული კურსი ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის საკითხის მიმართ მათ ფუნდამენტურ იდეოლოგიურ და ღირებულებით ხედვებს ეფუძნებოდნენ და გრძელვადიანი პოლიტიკის სახეს მიიღებდნენ.

ამ მხრივ - ფართო პერსპექტივაში ყველაზე აქტიური რამდენიმე პლატფორმა შეგვიძლია გამოვყოთ:

- ქართული სოციალისტური პარტიების ხედვა (ძირითადად სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, “მენშევიკების” ფრაქცია).
- ქართული ფემინისტური დღის წესრიგი (ტრიბუნა - „ხმა ქართველი ქალისა“).
- „ავტონომისტები” - ეროვნული მიმართულების სოციალისტური ჯგუფები.

სამივე ამ მიმართულებას ერთი შეხედვით აერთიანებდა მთავარი ღირებულებითი ბაზისი - სქესთა თანაბარუფლებიანობა, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობები, პატრიარქალური ჩაგვრის დაძლევა და აღმოფხვრა, ქალთა შრომის და დედობის დაცვა და აშ. თუმცა მთელი 1917 წლის განმავლობაში ამ ბანაკებს შორის ცხარე პოლემიკა არ შეწყვეტილა და ურთიერთობა მეტწილად კონფრონტაციული იყო, რაც ძირითადად ორ ბანაკის - სოციალ-დემოკრატებისა და ქალთა გაზეთის ჯგუფის განსხვავებული ხედვების და შეუთავსებლობის გამო გრძელდებოდა და საბოლოო კონსენსუსამდე პროცესი რეალურად არ მისულა.“

1906 წელს ქართველ ქალთა კავშირის წევრები მონაწილეობას იღებდნენ როგორც რუსეთში გამართულ კრებებზე, ისე კოპენჰაგენში გამართულ „ინტერნაციონალურ კონგრესში“.

ამის შემდეგ უკვე იწყება პროცესები კავკასიის ქალთა კავშირის შექმნისა. ეროვნული შუღლი რომ არ მოსვლოდათ, გამგეობაში აირჩიეს ამიერკავკასიაში მცხოვრები თითქმის ყველა ეროვნების წარმომადგენელი: ქართველი, სომეხი, რუსი, ებრაელი და სხვა.

მოგონების მიხედვით, კავკასიის ქალთა კავშირი იწყებს აქტიურ მოქმედებებს, განსაკუთრებით საეროზო არჩევნებში მონაწილეობის უფლებისთვის. 1909 წლის ოქტომბერში საზოგადოების თავმჯდომარე ელენე შახნაზაროვა თბილისში გამართულ კრებაზე კითხულობს მოხსენებას „საეროზო ქალების არჩევნების უფლება“. 18 ნოემბერს საზოგადოებამ დაამტკიცა შუამდგომლობა სახელმწიფო სათათბიროს წინაშე, რომ კავკასიის ქალებს მიენიჭოს საეროზო არჩევნებში უფლება.

ძალიან საინტერესოა საზოგადოების აქტიური მონაწილეობა 1910 წლის თებერვალში პეტერბურგში მოწვეული სრულიად რუსეთის პროსტიტუციის წინააღმდეგ მებრძოლთა კრებაში. კავკასიის ქალთა საზოგადოებამ ამ კრებისთვის აირჩია კომისია, რომელსაც დაევალა მასალის შეგროვება ადგილობრივი პროსტიტუციის შესახებ. კომისიის თავმჯდომარემ, ექიმმა შერბინინამ ამ მიზნით დაიარა ქალაქის მე-6 უბანი (აბანოთუბანი, ორთაჭალა), სადაც თვითონ მუშაობდა და სადაც ყველაზე მეტი „საროსკიპო სახლი იყო“. მათ აღრიცხეს „10 საროსკიპო სახლი, 116 როსკიპი ქალი და 6 საპაემანო სახლი“.

მხოლოდ ცნობების შეკრებით არ შემოფარგლულა მათი აქტივობა. იმსჯელეს ექიმებმა, იურისტებმა, მასწავლებლებმა, რადგან ეს მიიჩნიეს საკმაოდ დიდ პრობლემად. მეტიც, კრებაზე რეზოლუციაც კი მიიღეს, რომლის თანახმადაც „კავკასიის ქალთა საზოგადოება მემოზას ცნობს, როგორც საზოგადო სენს და ამ გზაზე ქალს აყენებს უუფლებობა“. სხვა ღონისძიებათაგან უნდა აღვნიშნოთ მოგონებაში აღწერილი ფაქტი იმის შესახებ, რომ 1912 წელს თბილისში მასწავლებელმა ხანდამაშვილმა გამოსცა ორკვირეული ჟურნალი „ქორწინება“, რომლის მიზანი იყო „ბრძოლა მემოზის და ცოცხალი საქონლის ვაჭრობის წინააღმდეგ“. მას ეხმარებოდნენ მწერალი დარია ახვლედიანი და მასწავლებელი ეკატერინე ასათიანი. ჟურნალთან თანამშრომლობდა ექიმი ივანე გომართელი. მიუხედავად საზოგადოების მხარდაჭერისა, ცენზურა წინააღმდეგი იყო ამ გამოცემისა. ორი ნომრის გამოცემის შემდეგ „ქორწინება“ დაიხურა, მერე გამოვიდა ორი ნომერი „გუშაგი“, ისიც აკრძალეს. ამის შემდეგ ორი ნომერი გამოვიდა „ღამის გუშაგი“ და ამით დასრულდა ჟურნალის გამოცემის მცდელობა ამ საქმისთვის, ხოლო მასწავლებელი ხანდამაშვილი, როგორც პოლიტიკური დამნაშავე, ციმბირში გაგზავნეს.

1917-1918 წლებში ქუთაისში გამოდიოდა ზემოთ მოხსენიებული ორკვირეული გაზეთი „ქართველი ქალის ხმა“, ეკატერინე მიქელაძის ხელმძღვანელობით. საინტერესოა და ცოტა უცნაურიც, რომ მოგონების ავტორი, რომელიც ყველაფერს დაწვრილებით აღწერს, ძალიან მწირ ინფორმაციას იძლევა ამ გაზეთის შესახებ და მას იხსენიებს მხოლოდ პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით. კერძოდ, წერს, რომ ეკატერინე მიქელაძემ მრავალი მწვავე წერილი მოათავსა ამ გაზეთში და ამით გარკვეული აზრი შეიტანა ქალთა მასაში ამ სოციალურ მოვლენაზე.

საკითხები, რომლებზეც ვისაუბრე, მოგონებების პირველ ნახევარს შეადგენს. მეორე ნახევარში კი საუბარია მუშა ქალების კლუბებზე, რომლებიც ამ საზოგადოების მეშვეობით დაარსდა. და ეს იმ დროს, როდესაც მსგავსი კლუბები იყო მხოლოდ ინგლისში, ამერიკაში და ორიც რუსეთში, სატახტო ქალაქში. შესაბამისად, მათი დაარსება განაპირა რეგიონებში სიძნელეს წარმოადგენდა, მაგრამ 1909 წლის 11 დეკემბერს საზოგადოებამ მოიპოვა ნებართვა და 1910 წლის 21 დეკემბერს გახსნეს კიდევ პირველი კლუბი ჯერ კუკიის სკოლაში, შემდეგ კი საკუთარი ფართიც გაუჩნდათ გოგოლის ქუჩაზე. ასწავლიდნენ წერა-კითხვას; სხვადასხვა საგნებს და ჭრა-კერვას. მეცადინეობის შემდეგ კი ჩაის სვამდნენ, მღეროდნენ და ცეკვავდნენ, მართავდნენ ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოებს.

ამავე მოგონებაში ნინო ტყეშელაშვილი იხსენებს, რა სიძნელეებს წააწყდნენ, როდესაც გადაწყვიტეს კავკასიის ქალთა კავშირში ავტონომიური ჯგუფის დაარსება, რათა ქართულ ენაზე ეწარმოებინათ საქმეები. წინააღმდეგობას წააწყდნენ იმ ქალების მხრიდან, რომელთაც სურდათ ქართველ ქალთა საზოგადოების დაარსება ცალკე და უარყოფდნენ ავტონომიურ სექციას. ამ დაპირისპირებამ საზოგადოება ორ ნაწილად გაყო. ერთ ჯგუფს წარმოადგენდა კავკასიის ქალთა საზოგადოების ქართული სექცია: ნინო ტყეშელაშვილი, ეკ. გაბაშვილი, ეკ. მესხი, ნინო ნაკაშიძე, დარია ახვლედიანი... მეორე ჯგუფმა - განდეგილისა (დომინიკა

ერისთავი) და ნინო რცხილადის მეთაურობით დააარსეს ქართველ ქალთა საზოგადოება „მშური ნუგეში“.

მოგონებების ბოლო, მცირე მონაკვეთს ეწოდება „თებერვლის რევოლუცია“. მასში მოთხრობილია, როგორი სიხარულით შეხვდნენ კავშირის წევრები რევოლუციას, როგორ ეწინააღმდეგებოდნენ მენშევიკები მათ მცდელობას, გაეყვანათ 5 ქალი არჩევნებში და ა. შ. და სრულდება პათოსით, რომ „ერთადერთი გზაა სოციალიზმი, საითკენაც ქალი და კაცი ერთად უნდა მიისწრაფოდენ ორივე მხარის საკეთილდღეოდ“.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მუზეუმში, ალექსანდრე ჭიჭინაძის არქივში, დაცული სტატია „მასალები ქალთა მოძრაობის ისტორიისათვის“, რომელიც რვეულშია ჩაწერილი და სამწუხაროდ, დაუსრულებულია (ბოლო ფურცლები ამოჭრილია რვეულიდან), არ არის მითითებული ავტორი. ჩვენი მოსაზრებით, ის შესრულებულია ალექსი ჭიჭინაძის, ეფროსინე ნიკოლაძის მეუღლის, მიერ.

სტატიაში ასევე დაწვრილებითაა აღწერილი ქუთაისში მიმდინარე მოვლენები ქალთა კავშირის დაარსების შესახებ, მთელი თავისი დრამატიზმითა და წინააღმდეგობებით.

დასაწყისშივე ამბობს, რომ ქუთაისი, ეს პატარა და ლამაზი ქალაქი, მოკლებული იყო ყოველგვარ კულტურულ დაწესებულებებს და ქუთაისის საზოგადოება იყო გაყოფილი ორ ჯგუფად. ერთს სათავეში ედგა იმდროინდელი თავადაზნაურობის წინამძღოლი (მარშალი) ნესტორ წერეთელი. მის ოჯახში, მისი მეუღლის, პელაგიას, თაოსნობით თავადაზნაურობის ძველი და ახალი თაობები იკრიბებოდნენ. მაგრამ მათთან „ინტელიგენციის და მოწინავე თაობას ვერ ნახავდით“, რადგან ისინი „რევოლუციონერებად, ნიგილისტებად და ხელმწიფის მოღალატეებად ყავდათ მონათლული“. ასეთად იმ დროს ქუთაისში რამდენიმე ოჯახი ითვლებოდა: ნიკოლაძის, ხელთუფლიშვილის, მესხის, ბაქრაძის, მრეველოვის და სხვა. ამ ოჯახებში კი ისინი იკრიბებოდნენ, რომლებიც ნესტორ წერეთლის ჯგუფის მიმართულების წინააღმდეგი იყვნენ. ნიკოლაძისა და ხელთუფლიშვილების ოჯახი, ნიკო ნიკოლაძის გავლენით, პირველად ითვლებოდნენ ამ ჯგუფში. სერგეი მესხის გავლენით ამ ოჯახებს შემდეგ შეუერთდნენ მესხის და ბაქრაძის ოჯახები.

ავტორი ასახელებს, თუ ვინ იკრიბებოდა ამ ოჯახებში: ნიკო ნიკოლაძე, აკაკი და გიორგი წერეთლები, სერგეი მესხი, კირილე და ანტონ ლორთქიფანიძეები, ლევან დადეშქელიანი, მამია გურიელი, გერასიმე კალანდარიშვილი, თეიმურაზ ლეჟავა, პეტრე ნაკაშიძე, დიმიტრი დადიანი, ბესარიონ ლოსაბერიძე. სწორედ მათი იდეებით აღიზარდნენ ის ქალები, რომლებიც შემდეგ თავად გამოვიდნენ ასპარეზზე: ნიკო ნიკოლაძის სამი და: ანასტასია, ოლიმპიადა და ეკატერინე; ოლღა და მარიამ ხელთუფლიშვილები.

მოგონება საინტერესოა ისეთი დეტალებით, როგორებიცაა გახსენება იმისა, თუ როგორ წაიკითხა მამია გურიელმა ნიკო ნიკოლაძის ოჯახში პირველად, ჯერ კიდევ დაუბეჭდავი თავისი თარგმანი ლერმონტოვის „დემონისა“; აკაკი წერეთელმა - „თორნიკე ერისთავი“ ხელთუფლიშვილის ოჯახში; ნიკოლაძის ოჯახში წაიკითხა ილიამ „მეფე ლირის“ თავისი თარგმანი მთელი საზოგადოების წინაშე. ბუნებრივია, ასეთ გარემოში აღზრდილი ქალების თვალსაწიერი ბევრად უფრო ფართო და განსხვავებული იყო. მათ დაიწყეს აქტიური პრაქტიკული საქმიანობა - მონაწილეობა მიიღეს ქუთაისში ჯერ ბიბლიოთეკის, შემდეგ თეატრის დაარსებაში. შექმნეს „თეატრალური წრე“, კითხულობდნენ და თარგმნიდნენ. ამ წრეში გადაითარგმნა ალექსი ჭიჭინაძის მიერ გოგოლის „რევიზორი“; ნიკოლაძის ქალებმა კი „ფიგაროს ქორწინება“ თარგმნეს. ამის შემდეგ კი ამ ქალებმა დაიწყეს ყოველთვიური ჟურნალის „ქართული ბიბლიოთეკის“ გამოცემა, რომელშიც იბეჭდებოდა ეს თარგმანები.

სხვათაშორის, მოგონების ავტორი დაწვრილებით საუბრობს ამ ქალების შემდგომ საქმიანობაზე საზღვარგარეთ და რუსეთში. განსაკუთრებით ნიკოლაძეებზე და იცის ისეთი დეტალები, რაც გვაფიქრებინებს, რომ ავტორი ამ ოჯახის წევრია; როგორც უკვე ვთქვით, სვარაუდოდ, ეფროსინე ნიკოლაძის მეუღლე. ამას გვაფიქრებინებს მეორე ფაქტორიც - ის ასევე დაწვრილებით საუბრობს ეფროსინეს მეგობრებზე - ლიზა და ეფემია ხელთულიშვილებზე. იცის მათი ცხოვრების დეტალები პეტერბურგში, ბესტუჟევის უმაღლეს სასწავლებელში ცხოვრების შესახებ. ამ უნივერსიტეტში სწავლობდა ეფროსინე ნიკოლაძეც და როგორც ავტორი წერს, „ეს სამი ქალიშვილი იყვნენ პირველი ქართველი ქალები, რომელთაც დაიწყეს და დაამთავრეს უმაღლესი ქალთა სასწავლებელი“.

ალექსანდრე ჭიჭინაძის არქივშია დაცული წერილი, რომელშიც ასახული პოლემიკა დარია ფალავასთან. ხელნაწერი 8 გვერდისგან შედგება, არ აქვს თარიღი და ხელმოწერილია შემდეგნაირად: ქართველი ქალი. ხელნაწერის ბოლოს გიორგი ლეონიძეს წითელი კალმით მიუწერია - ეფროსინე ჭიჭინაძე. როგორც ჩანს, მან გარკვეული წყაროს მეშვეობით იცოდა, რომ სტატია ეკუთვნოდა ეფროსინე ჭიჭინაძეს. გიორგი ლეონიძის მოსაზრება შეიძლება გავამყაროთ ორი არგუმენტით: 1. ხელნაწერი ახლავს ალექსი ჭიჭინაძის, ეფროსინეს მეუღლის, არქივს და 2. ეფროსინე ჭიჭინაძის უფროსი და, ოლიმპიადა ნიკოლაძე, გახლდათ გიორგი წერეთლის პირველი ცოლი.

სანამ უშუალოდ ეფროსინეს წერილზე ვისაუბრებ, მანამ გავცენოთ წინა მოვლენებს, რამაც ეს პოლემიკა წარმოქმნა. მიუხედავად იმისა, რომ ეფროსინე არ ასახელებს თარიღებს, მოვძებნეთ როგორც გიორგი წერეთლის, ისე დარია ფალავას სტატია, რომ სრული წარმოდგენა შეგვქმნოდა.

1897 წლის გაზეთ „კვალის“ მე-15 ნომერში (6 აპრილი) იბეჭდება **გ. წერეთლის სტატია „საით მივისწრაფით?“** რომელშიც ავტორი საუბრობს იმ პრობლემებზე, რომლებიც საქალაქო არჩევნებს ახლავს თან. სტატიას ასე ასრულებს: „იმის მაგივრათ, რომ სომხებთან მშვიდობიანი თათბირი გავმართოთ, შევთანხმდეთ ამოსარჩევ კანდიდატებზე, ქალაქის მცხოვრებთა კვალობაზე გავანაწილოთ სომხებისა და ქართველი ხმოსნების რიცხვი, ჩვენ ავყოლილვართ ვიღაც გადმოვარდნილ ხეჩაგოებს და **მარგალისსკუებს**, რომელთაც საქართველო-სომხეთის ბედილბალზე იმდენათ შესტკივათ გული, რამდენათაც თათრებს ბერძნებზე“ (წერეთელი, (1897), გაზეთი „კვალი“, 15, გვ. 293-295).

გიორგი წერეთელმა „კვალის“ მომდევნო ნომერში განმარტა, რომ ამ მისი ადრესატი ვალერიან გუნია იყო: „ამ სტატიაში გუნიასებურ კაცებს „მარგალის სკუები“ ვუწოდებ... გუნიას რომ მე „მარგალისსკუა“ (მეგრელის შვილი) დავუძახო, განა ჩვენმა ღვიძლმა ძმებმა - მეგრელებმა, ან ქართველებმა თავის შეურაცხყოფათ უნდა მიიღონ? როგორ? გუნია და სამეგრელოს ხალხი განა ერთი და იგივეა?“ (წერეთელი (1897), გაზეთი „კვალი“, N16, გვ. 322) - ასე პასუხობს გიორგი წერეთელი ვალერიან გუნიას საპასუხო შემოტევას.

გიორგი წერეთლის მიერ გამოყენებულმა სიტყვამ „მარგალისსკუა“ აღაშფოთა არა მხოლოდ ვალერიან გუნია, არამედ დარია ფალავაც, რომელმაც გაზეთ „ივერიის“ 1897 წლის 87-ე ნომერში (6 მაისი) დაბეჭდა სტატია **„მარგალისქუა და ბ-ნი გიორგი წერეთელი“**, რომელშიც ბრალს სდებს გიორგი წერეთელს შუღლის გაღვივებაში, უწოდებს მეგრელ ამორდიას თანამოაზრეს: „ეჭვი და აზრი მეგრელთა და ქართველთა შორის სხვა და სხვაობისა პირველად მეგრელ ამორდიამ წარმოსთქვა და ახლაც წერეთელი ემოწმება“ (ფალავა (1897). მარგალისქუა და ბ-ნი გიორგი წერეთელი. გაზეთი „ივერია“. 87, გვ. 3).

სწორედ ეს წერილი გახდა ეფროსინე ნიკოლაძე-ჭიჭინაძის აღშფოთებისა და გულისტკივილის საფუძველი. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მივაგენით, სადმე დაიბეჭდა თუ არა

ეფროსინე ჭიჭინაძის წერილი, თუმცა, საყურადღებოა ის მომენტი, რომ ეფროსინე ჭიჭინაძე დარია ფაღავას ასეთ ტონს მისი პარტიულობით ხსნის: „ქართველმა ქალმაც ჩატოპა იმ მორევში, რომელსაც „პარტიობას“ უძახიან და რომელიც იმდენად უბნელებს ადამიანს გონების მხედველობას, რომ იგი კარგს ავისაგან ვეღარ არჩევს“.

ეფროსინე ჭიჭინაძე თვლის, რომ ამ სიტყვის გამოყენებით, მართალია, გიორგი წერეთელმა შეცდომა დაუშვა, მაგრამ ეს არ აძლევს არავის იმის უფლებას, რომ ხაზი გადაუსვან მის ამდენი წლის მოღვაწეობას და ეჭვქვეშ დააყენონ გიორგი წერეთლის განათლება და საქვეყნო ინტერესები. აქცენტს აკეთებს, რომ ამგვარ შუღლს არასოდეს მოუტანია შედეგი და თავის სტატიას ასე ასრულებს: „ნათქვამია, წარსულის ისტორია სამაგალითო და ჭკუის დამარიგებელია აწმყოს დროისაო, მაგრამ ჩვენს გასწორებას არაფერი ეშველა: ერთმანეთ შორის შფოთმა და განხეთქილებამ მოგვიღო ბოლო და იგივე სენი აჭლექებს ახლაც საზოგადოებას და აბრკოლებს მის ზრდას გონებით, ზნეობით და ნივთიერად“.

როგორც ამ რამდენიმე ხელნაწერის მეშვეობით დავინახეთ, ლიტერატურის მუზეუმში დაცული ავტობიოგრაფიული მასალები, ჩანაწერები, მოგონებები თუ სტატიები აუცილებლად უნდა გახდეს ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის, რადგან მათში გადმოცემული დეტალების, ამბების, შეფასებებისა თუ უშუალოდ კონკრეტული მოვლენების გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელია ვისაუბროთ საქართველოში ქალთა მოძრაობის ისტორიის შესახებ და შესაბამისად, ვერც საფუძვლიანი კვლევა იქნება შესაძლებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზეთი „ივერია“, 87, 1897 წ.
2. გაზეთი „კვალი“, 15, 1897 წ.
3. გაზეთი „კვალი“, 16, 1897 წ.
4. საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი - 9503 - ტყეშელაშვილი ნ., კავკასიელ ქართველ ქალთა ბრძოლა სწორუფლებებისათვის რევოლუციონურ კულტურულ ფრონტზე (*ხელნაწერი*);
5. საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი -10036 - ტყეშელაშვილი ნ. წერილი ქეთევან ირემაძეს (*ხელნაწერი*);
6. საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი - 9706 - ჭიჭინაძე ეფროსინე, პასუხი დარია ფაღავას (*ხელნაწერი*);
7. საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი -9704 - ჭიჭინაძე ალექსანდრე, „მასალები ქალთა მოძრაობის ისტორიისათვის“ (*ხელნაწერი*).

“Fight for Equality of Rights” in Georgia (According to the manuscripts preserved in the Museum of Literature)

Ia Ghadua

Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature

Summary

The materials preserved in the Museum of Literature allow us to follow the path full of obstacles that Georgian women were going through since the 70s of the 19th century to defend and gain their rights. Nino Tkeshelashvili's memoir is noteworthy, in which she describes how the Organization of the Caucasian Women was founded in Georgia and in what direction they had to work. The memoir, written by Nino Tkeshelashvili in October-November of 1932, provides us with step-by-step details with – how they formed

circles and clubs, made charters, how they worked, what obstacles they faced, how they established relations with the organizations working in Russia and Europe.

No less interesting is the article preserved in the archives of Alexandre Tchitchinadze, entitled “Materials for the History of the Women’s Movement.” Although the article is unfinished and does not indicate the author, in our opinion, it belongs to Alexandre Tchitchinadze. The article also describes in detail the current events in Kutaisi about the establishment of the Women’s Union, with all its drama and obstacles. In addition to this issue, the recollection is interesting with such details as, for example, the recollection of how Mamia Gurieli read for the first time in Niko Nikoladze’s family his still unpublished translation of Lermontov’s “Demon”; Akaki Tsereteli – “Tornike Eristavi”; In Nikoladze’s family, Ilia read his translation of “King Lear” in front of the whole society. A controversial letter to Daria Paghava, the author of which is presumably Efrosine Nikoladze-Tchitchinadze, is preserved in the same archive.

Given the importance of the manuscripts, we can say that a thorough study of the struggle for women’s equality would not be possible without considering the materials preserved in the Museum of Literature.

პირველი ქართული გაზეთი მეფის რუსეთის ენობრივი პოლიტიკის კონტექსტში (XIX საუკუნის 20-იანი წლების საქართველო)

თამარ დემეტრაშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით“ [FR-19-1759, ეთნიკური ჯგუფები და მათი პერიოდული გამოცემები საქართველოში 1819-1921 წლებში]

ალექსანდრე პირველის საიდუმლოდ შემუშავებული 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი და „საქართველოს მმართველობის“ შესახებ დებულება თბილისში 7 თვის დაგვიანებით, 1802 წლის 12 აპრილს, წაუკითხეს სიონის ტაძარში შეკრებილ ქართველ საზოგადოებას. რუსეთის იმპერია ქართლ-კახეთში გაბატონდა და ამით საფუძველი ჩაეყარა მის შემდგომ გაფართოებას მთელ საქართველოსა და კავკასიაში (დუმბაძე, 1973, გვ. 818-820).

ქართლ-კახეთის ახალ მმართველობას „საქართველოს მმართველობა“ ეწოდა, რომლის სათავეში იდგა „მთავარმმართველი“, სამხედრო მოხელე - უმაღლესი პასუხისმგებელი პირი რუსეთის სახელმწიფოს წინაშე ჯერ ქართლ-კახეთის, შემდეგ კი მთელი სამხრეთ კავკასიის საქმეებზე. მთავარსარდლის თანაშემწედ ითვლებოდა „საქართველოს მმართველი“, რომელსაც უმთავრესად სამოქალაქო მმართველობის საკითხები ეხებოდა. მმართველობა დანაწილდა 4 განყოფილებადა, ანუ „ექსპედიციად“: აღმასრულებელი, სამოქალაქო საქმეების, სისხლის სამართლის საქმეთა და სახაზინო ქონებათა ექსპედიცია (დუმბაძე, 1973, გვ. 827).

რუსეთი შეუდგა თავისი მმართველობის რუსიფიკატორული ინტერესების გატარებას ქართლ-კახეთში - გააუქმა ეროვნული დაწესებულებები და მართვა-გამგეობის ენად რუსული აქცია. საქართველოში მაშინ რუსული ენის მცოდნეები იშვიათად მოიძებნებოდნენ. განყოფილებების/ექსპედიციების უფროსებად დანიშნული რუსი მოხელეები არ იცნობდნენ ქვეყანას, არ იცოდნენ ადგილობრივი ქართული ენა, რაც რუსულ მმართველობას ხალხთან ურთიერთობას ურთულებდა და სიძნელეებს უქმნიდა. ამიტომ რუსი მოხელეების ხალხთან დასაკავშირებლად განყოფილებებში მრჩეველებად ქართველი თავადები დანიშნეს (დუმბაძე, 1973, გვ. 827-828).

კვლევის მიზანია XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის ენობრივი პოლიტიკის საწყისი ეტაპების გარკვევა სამი ძირითადი სამიზნე უწყების - სასწავლებლის, სტამბისა და პირველი პერიოდული გამოცემის - საფუძველზე.

I. „საქართველოს გაზეთი“

1819 წლის 8 მარტს თბილისში დაიბეჭდა პირველი ქართული გაზეთი - „საქართველოს გაზეთი“⁸³. ამ თარიღიდან იწყება პერიოდული გამოცემების ისტორია საქართველოში. პირველ ნომერს უსწრებდა გაზეთის გამოცემისა და პროგრამის შესახებ „გამოცხადება“ - განცხადება, რომელშიც განმარტებული იყო გაზეთის გამოცემის საჭიროება: „სარგებლობისა და კმაყოფილებისათვის მცხოვრებთა ამის ქვეყანისათა მომავალის მარტის თვის პირველის რიცხვითგან წინა დადებულ არს, რომელ გამოიცემოდენ ტფილისსა შინა ბუნებითსა ქართულსა ენასა ზედა დაბეჭდილნი ფურცელნი, რომელსაცა ეწოდება, საქართველოს გაზეთი“ (გამოცხადება, 1919, გვ. 1

https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/31733/1/Sakartvelos_Gazeti_gamocxadeba_1819.pdf).

გაზეთი გამოდიოდა და თბილისში რიგდებოდა პარასკეობით, ხოლო სხვა ქალაქებში ფოსტით ეგზავნებოდათ ხელმომწერებს. სტამბა გამართული იყო კავკასიის კორპუსის შტაბის შენობაში (გამოცხადება, 1919, გვ. 2

https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/31733/1/Sakartvelos_Gazeti_gamocxadeba_1819.pdf).

გაზეთის ბეჭდვა და გავრცელება დამოკიდებული იყო ხელმომწერების რაოდენობაზე. მათი ოდენობა 500 მაინც უნდა ყოფილიყო, რათა დაეფარათ სტამბის, ქაღალდისა და ფოსტით გაგზავნის საფასური: „ხელწერილი და თეთრი მიღებულ იქმნებიან მომავალის თებერვლის პირველი რიცხვითგან აქ კორპუსის შტაბის სახლსა შინა...“ (გამოცხადება, 1919, გვ. 2 https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/31733/1/Sakartvelos_Gazeti_gamocxadeba_1819.pdf).

ხელმომწერებს დაუთქვეს ერთთვიანი ვადა - 1 თებერვლიდან 1 მარტამდე, თუმცა დათქმული დროისთვის ხელისმომწერთა რაოდენობა ბევრად ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე გამომცემლები ვარაუდობდნენ, რასაც ვრცელი განცხადება მიუძღვნეს „საქართველოს გაზეთში“: „ვადა ქართულის გაზეთის მისაღებლად ჯელის მოწერისა თუმცა მარტის პირველს შესრულდა, მაგრამ რიცხვი ჯელის მომწერთა დიახ შორს იყო იმ დადებულს თეთრის რიცხვზე, რომელიცა ითქვა გაზეთის გამომცემთ პირველს გამოცხადებაში“ (1819), *საქართველოს გაზეთი*, N3, გვ. 4).

გაზეთის რედაქცია ცდილობდა მკითხველისა და ხელმომწერების მოზიდვას და საამისოდ ყველანაირ ხერხს მიმართავდა. ისინი გაზეთის ფურცლებიდან მოუწოდებდნენ საზოგადოებას, რომ განვითარება მხოლოდ სწავლა-განათლებით მიიღწეოდა. ამის დასტურად მოჰყავდათ ევროპაში გამოცემული გაზეთების სტატისტიკური მონაცემები. მაგალითად, როგორც „ქართული გაზეთის“ გამომცემლები აცხადებდნენ, ლონდონში იმ დროს გამოდიოდა ყოველდღე განთიადისა და შვიდი მწუხრის რვა სხვადასხვა გაზეთი, კვირაობით კი - ათი სახეობის გაზეთი. ყოველდღე განთიადის 15000-მდე, მწუხრის 13000-მდე და კვირის 26000-მდე ეგზემპლარი ვრცელდებოდა. შემოსავალი გაყიდვიდან ყოველ კვირას შეადგენდა 5008 ფუნტ სტერლინგს, რომელიც რუსულ ფულზე 100 000 რუბლზე (მანეთზე) მეტი იყო. რუსეთშიც წიგნებისა და სხვა გამოცემების ბეჭდვა წარმატებით მიმდინარეობდა (1819), *საქართველოს გაზეთი*, N3, გვ. 3-4).

⁸³ „საქართველოს გაზეთის“ შესახებ (გუგუშვილი (1935). ქართული ჟურნალისტიკის სათავეებთან. *ლიტერატურული მემკვიდრეობა*, I; გუგუშვილი, 1941; ლეონიძე (1939). პირველი ქართული გაზეთის 120 წლისთავი „საქართველოს გაზეთი“. *კომუნისტი*, 22 მარტი, N66; კასრაძე, 1942; გოცაძე, 1954; Ватейшвили, 1973; ტაბიძე, 2012; Вейденбаум, 1901; ჯოლოგუა, 2013).

ხელმომწერების ნაკლებობას გამოუწვევია გაზეთის დაგვიანებით, 8 მარტს, გამოსვლა. მიუხედავად ამისა, გამომცემლებს მიზნად არ ჰქონიათ სარფიან საქმედ ექციათ გაზეთის ბეჭდვა. როგორც თავად აცხადებდნენ, მხოლოდ ამ ქვეყნის მცხოვრებთა სარგებლობა აინტერესებდათ, ამიტომ საკუთარი თანხისა და სხვა საჭირო ნივთების გაღების ფასად მაინც გამოსცეს ქართული გაზეთი. გაზეთის წლიური გამოწერა 2 მანეთი ღირდა, ხოლო საფოსტო მომსახურება ქალაქგარეთ გასაგზავნად 20 კაპიკით ზრდიდა საფასურს⁸⁴, რაც ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე ფინეთში. ფინეთში, რომელიც რუსეთს საქართველოზე უფრო გვიან შეუერთდა, იმავე წელს დაბეჭდილია გაზეთი მათ „ბუნებისა ენასა ზედა“. გაზეთს იქაც კვირაში ერთხელ გამოსცემდნენ მხოლოდ იმ სხვაობით, რომ წლიური გამოწერის საფასური ფინეთში რვა რუბლი (მანეთი) და ათი შაური თეთრი ფული იყო, საქართველოში კი ბევრად ნაკლები, მხოლოდ ორი რუბლი (მანეთი) (1819), „საქართველოს გაზეთი“, N3, გვ. 4).

პირველ ქართულ გაზეთს ხელმომწერების შეგროვებაში სომეხი არქივისკოპოსი ნერსე დაეხმარა. ნერსე იყო ხელისუფლებასთან დაახლოებული პირი, რომელიც სომხეთის ეკლესიაში გამოწვეული უკმაყოფილების გამო გადმოიხვეწა საქართველოში, სადაც მას ალექსეი ერმოლოვი მფარველობდა. მას ბევრი ოფიციალური პირი უარყოფითად ახასიათებდა - ინტრიგანად და პატივმოყვარედ მიაჩნდათ (ტაბიძე, 2012, გვ. 77-78). მთავრობის ერთგულების მიზნით ის დაეხმარა ქართულ გაზეთს, შეაგროვა ხელმომწერები, რაც ჯერ თავად გაზეთის რედაქციამ დაუფასა და „საქართველოს გაზეთის“ მესამე ნომერში საგანგებოდ განაცხადეს ნერსეს დახმარების შესახებ: „... ამის გამო სრულიად შეუძლებელ იქმნებოდა დაწყება გაზეთისა მის გამოცემისა, თუ არ ენებებინა მისს ყოვლად სამღვდელოებას სომეხთ არქივისკოპოსს ნერსეს მიღება თვს ზედა საკუთრისა თანა შემწეობისა და მოწოდება მრავალთა მიღებისათვის მისისა. მისის ყოვლად სამღვდელოებისათა მხოლოდ სომეხთ სამღვდელოთ ჯელი მოუწერიათ უმეტეს ასის გაზეთის ფურცლის აღებასა ზედა“ (1819), „საქართველოს გაზეთი“, N3, გვ. 3-4), ხოლო ცოტა მოგვიანებით ხელისუფლებამ გაწეულ სამსახურს საკადრისად უპასუხა - 1819 წელს იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ის წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა, რაც ასევე დაიბეჭდა სამთავრობო გაზეთის 1819 წლის 1 აგვისტოს ნომერში. მოყვანილია ალექსანდრე I-ის „დრამოტის“ (სიგელის) ტექსტი და კორპუსის კამანდირის (მეთაურის) მილოცვის წერილი (1819), „საქართველოს გაზეთი“, N22, გვ. 1-2)

„საქართველოს გაზეთის“ ენა

როგორც აღვნიშნეთ, „საქართველოს გაზეთი“ ქართულ ენაზე იბეჭდებოდა და ის იყო ერთადერთი პერიოდული ორგანო იმდროინდელ საქართველოსა და კავკასიაში.

ცნობილი ეთნოგრაფი, ისტორიკოსი და კავკასიოლოგი ევგენი ვეიდენბაუმი (1845-1918) აღნიშნავს, რომ 1900 წელს საქართველოს გაზეთის არც ერთი სრული ბეჭდური გამოცემა არ მოიპოვებოდა. მისთვის მხოლოდ 2 ნომერი იყო ცნობილი ცალკეული ფურცლების სახით: 1819 წლის 25 აგვისტოსი, რომელიც ინახებოდა თბილისში სიონის ტაძრის საეკლესიო მუზეუმში და 1821 წლის 23 სექტემბრის N37, რომელიც კერძო კოლექციაში იყო დაცული (Вейденбаум, 1901, გვ. 298).

⁸⁴ ევგენი ვეიდენბაუმის ცნობით, გაზეთი ხელმომწერთათვის 3 მანეთი ღირდა. ვინაიდან მას 1819 წლის ნომრები არ უნახავს და მხოლოდ 1820 წლის გაზეთებს იცნობდა, მან არ იცოდა პირველი წლის გაზეთის საფასური, ხოლო 1820 წლიდან გაზეთის ფასი მართლაც გაიზარდა და 3 მანეთი გახდა, რასაც ემატებოდა საფოსტო მომსახურების 20 კაპიკი (Вейденбаум, 1901, გვ. 299).

ე. ვეიდენბაუმი კავკასიის სამხედრო შტაბის არქივში ნახა „საქართველოს გაზეთის“ 1820 წლის სრული ხელნაწერი ეგზემპლარი რუსულ ენაზე. მკვლევარი დაზუსტებით აღნიშნავს, რომ გაზეთი თავდაპირველად დგებოდა რუსულად, შემდეგ ითარგმნებოდა ქართულად და იბეჭდებოდა მხოლოდ ქართულ ენაზე. მას უცნაურად მიაჩნდა სახელმწიფო გაზეთის ქართულად გამოცემა, მაგრამ ამას იმით ხსნიდა, რომ რუსული ჯერ კიდევ არ იყო გავრცელებული ამ მხარეში იმდენად, რომ „თავადაზნაურობა, რომლებიც ესწრებოდნენ „ექსპედიციებს“ საქართველოს უმაღლეს მმართველობაში⁸⁵, ხელსაც ვერ აწერდნენ რუსულადო“ (Вейденбаум, 1901, გვ. 300).

გაზეთის რედაქცია არაერთ ნომერში აქვეყნებდა განცხადებას რუსული ენის მცოდნეთათვის, რომელთაც მოუხმობდნენ სახელმწიფო სამსახურში სამუშაოდ. მაგალითად, განცხადება რუსული ენის მცოდნეთათვის თელავისა და სიღნაღის „ოკრუჟნის“ სასამართლოში მთარგმნელის თანამდებობაზე („საქართველოს გაზეთი“, 1819, N10, გვ. 3).

პირველად კავკასიაში ცენზურა 1837 წლის 23 დეკემბრის განკარგულებით შემოიღეს, რომლის თანახმადაც თბილისში ადგილობრივ ენებზე გამოცემული ბეჭდური ერთეულების ცენზურა მთავარმართებლის უწყებას დაევალა (Патрушева, 2018 <http://opentextnn.ru/censorship/russia/encslov/?id=7326>).

თუმცა მანამდე მოქმედებდა 1804 წლის 9 ივნისის დამტკიცებული საცენზურო დებულება, რომელიც მთელ რუსეთის იმპერიაში მოქმედებდა. ამ დებულების მთავარი და ძირითადი შინაარსი ასეთი იყო: ცენზურა ზედამხედველობას უწევდა ბეჭდვით ერთეულებს, ვალდებული იყო შეესწავლა დასაბეჭდად განკუთვნილი ყველა სახის ნაწარმოები. უნივერსიტეტებში შექმნილი საცენზურო კომიტეტები პროფესორებით იყო დაკომპლექტებული. ცენზორი იყო პასუხისმგებელი ნებისმიერი წიგნისა და ნაწარმოების დაბეჭდვაზე. საცენზურო კომიტეტის ცენზორს უნდა წარმოედგინა წერილობითი დასკვნა. თუ ცენზორი საეჭვოდ მიიჩნევდა დასაბეჭდ მასალას, მაშინ წარადგენდა კომიტეტის წინაშე განსახილველად. თუ ცენზორი მისთვის გადაცემულ ხელნაწერში აღმოაჩენდა არასასურველი მოძღვრების, მანკიერი აზრებისა და ცნებების გავრცელების საფრთხეს, იგი ხელნაწერს უგზავნიდა გამომცემელს ასეთი შინაარსის ტექსტის შეცვლის ან წაშლის მიზნით. ამ გზით შესწორებულ ხელნაწერს ცენზორი დასაბეჭდად ამტკიცებდა (Скабичевский, 1892, 96).

რუსეთის იმპერიაში 1804 წლიდან მოქმედი საცენზურო დებულების მიხედვით, საქართველოში გაზეთი ვერ დაიბეჭდებოდა ისე, თუ ცენზურას არ გაივლიდა, მაგრამ იმდროინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ქართული არ იცოდნენ, ქართულ ენაზე დაბეჭდილ გაზეთზე კი ცენზურა რთული განსახორციელებელი იყო. სწორედ ამიტომ იყო, რომ გაზეთი პირველად რუსულად დგებოდა, შემდეგ ითარგმნებოდა ქართულად და მხოლოდ ამის შემდეგ ბეჭდავდნენ ქართულ ენაზე. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ გაზეთში, ძირითადად, იბეჭდებოდა „განწესებანი და განკარგულებანი“, სავაჭრო „გამოცხადებანი“, „უცხო ქვეყნის ამბავნი“. ამ რუბრიკების დიდი ნაწილი კი თავისთავად რუსულ ენაზე

⁸⁵ სავარაუდოდ, ე. ვეიდენბაუმი გულისხმობს ქართველ თავადაზნაურებს, რომლებიც იმ ორგანიზაციის წევრები იყვნენ, რომელსაც ეწოდებოდა „საქართველოს კეთილშობილ დეპუტატთა შეკრებილება“. ისინი მთავრობას ეხმარებოდნენ მუშაობაში, აწესრიგებდნენ წარჩინებულ წოდებათა საქმეებს.

არსებობდა⁸⁶. მთავარი იყო მზა რუსული მასალის შერჩევა-დალაგება და ქართულად თარგმნა (კასრაძე, 1942, გვ. 6).

მაგალითად, „საქართველოს გაზეთის“ 1819 წლის N10-ის გამოცხადებანის რუბრიკაში დაიბეჭდა ინფანტერიის გენერლის, საქართველოს მთავარმართებელ ალექსეი ერმოლოვის მითითება - „ისპოლნიტელნის ექსპედიციიდან ეცხადება საყოველთაო საცნობელად საქართველოსა შინა“, რომელიც ეხება საქართველოში გაყიდვა-დაგირავების საქმის გაუმართაობას და მდგომარეობის გამოსწორებას. ერმოლოვის ბრძანების ეს დოკუმენტი შესულია კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში - მითითება საქართველოს უზენაესი მთავრობის სასამართლოსა და სასჯელაღსრულების ექსპედიციას, 1819 წლის 23 აპრილით დათარიღებული, N1298 (ორიგინალი სახელი რუსულ ენაზე - Предписание ген. Ермолова Верховнаго Грузинскаго Правительства Экспедиции Суда и Расправы, от 23-го апреля 1819 года, N1298) (Акты, 1874, Т. 6, ч. I, N32, გვ. 27). „საქართველოს გაზეთის“ „გამოცხადებანის“ რუბრიკაში დაბეჭდილი „ერმოლოვის მითითება“ ამ რუსულენოვანი დოკუმენტის სრული ქართული თარგმანია.

ასევე საქართველოს უზენაესი მთავრობის აღმასრულებელი ექსპედიციისადმი 1819 წლის 7 მაისით დათარიღებული გენერალ ერმოლოვის მითითების (ორიგინალის სათაური: Предписание ген. Ермолова Верховнаго Грузинскаго Правительства Исполнительной Экспедиции, от 7-го мая 1819 года, N1492) (Акты, 1874, Т. 6, ч. I, N33, გვ. 28) ზუსტი თარგმანია 1819 წლის 16 მაისის „საქართველოს გაზეთის“ N11-ში დაბეჭდილი განცხადება: „ისპოლნიტელნის ექსპედიციისაგან იცხადების ყოველგან საქართველოსა შინა“, რომელშიც მოყვანილია თევზით მოვაჭრეთა საჩივარი იმის გამო, რომ თავად ორბელიანების კარს (თავადი ორბელიანი და მეფის ასული სოფია) უკანონოდ ურთმევია მათთვის ბაჟი (1819), „საქართველოს გაზეთი“, N11).

როგორც ჩანს, ოფიციალური ბრძანებები და გამოცხადებები, ვინაიდან თავისთავად რუსულ ენაზე არსებობდა, ცენზურის მიზნით თარგმანს არ მოითხოვდა. პირიქით, რუსულ ენაზე გამოცემული ბრძანებები ითარგმნებოდა ქართულად „საქართველოს გაზეთისთვის“, რომ ეს ბრძანებები მოსახლეობისთვის გასაგები გამხდარიყო და შეესრულებინა თავისი ძირითადი და უპირველესი ფუნქცია, რომელიც ამ გამოცემას ეკისრებოდა - ცარიზმის განმტკიცება საქართველოში.

1819 წლის 21 მარტის „საქართველოს გაზეთის“ N3-ში გაზეთის გამომცემლები მიმართავენ საზოგადოებას და სთხოვენ, რომ საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალები ქართულ ენაზე მიაწოდონ: „მოყვარეთა სიტყვიერისა სწავლისათა, რათა მოსცენ მათ ქართულსა ენასა ზედა სხვა და სხვა ცნობანი, მოთხრობანი ღურად ღებისა ღირსთა საგანთათჳს, რომელნიცა ყოველნივე კმაყოფილებით მოხსენებულ იქნებიან გაზეთსა ამას შინა“ (1819), „საქართველოს გაზეთი“, N3, გვ. 4). თუმცა ამ განცხადებას გამოძახილი არ მოჰყოლია, ადგილობრივი მასალა გაზეთში თითქმის არ იბეჭდებოდა და აქედან გამომდინარე, „მრავალსაფეხურიანი პროცესი (იგულისხმება ქართულიდან რუსულად თარგმნა, რათა ცენზურა გაეკლო და შემდეგ ისევ ქართულად დაბეჭდილიყო - ხაზგასმა თ. დ.) თავიდანვე გამოირიცხა“ (ტაბიძე, 2012, გვ. 139). მართალია, ადგილობრივ მასალას ქართულ გაზეთში 59,5% უკავია (კასრაძე, 1942, გვ. 7), მაგრამ ამ მასალათა უმეტესობა სამხედრო პირთა წარჩინება-დაჯილდოების ცნობები და საჯარო ვაჭრობის განცხადებებია.

⁸⁶ „საქართველოს გაზეთში“ დაბეჭდილი საზღვარგარეთის დეპეშები ნოდარ ტაბიძემ შეადარა იმ პერიოდის რუსულ პრესას და დაადგინა რუსული ჟურნალ-გაზეთების სია, საიდანაც გაზეთის რედაქცია ამ მასალებს თარგმნიდა (ტაბიძე, 2012, გვ. 140-141).

„საქართველოს გაზეთმა“ სამ წელს იარსება. 1820 წლიდან გამოცემას „ქართული გაზეთი“ ეწოდა. პერიოდული ორგანოს დახურვა ხელმომწერების სიმცირემ განაპირობა. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი ქართულ ენაზე გამოდიოდა, ქართველი თავადაზნაურობა არ თანაუგრძნობდა იმპერიის რეჟიმის ინტერესების გამტარებელ გაზეთს. ქართველი ხალხი გულგრილი იყო, როგორც ე. ვეიდენბაუმი უწოდებს, „ერმოლოვის გაზეთის“ მიმართ.

II. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი

XIX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში ერთადერთი სასწავლებელი არსებობდა, სახელწოდებით კეთილშობილთა სასწავლებელი. მეფის რუსეთი ზრუნავდა ამ სკოლაზე და „საქართველოს გაზეთის“ ფურცლებზე დიდ ადგილს უთმობდა.

1802 წლის 22 სექტემბერს საქართველოს მმართველ პეტრე კოვალენსკის ინიციატივით თბილისში გაიხსნა ორკლასიანი სასწავლებელი თავად-აზნაურთა შვილებისთვის. პირველ კლასში ისწავლებოდა წერა-კითხვა რუსულ და ქართულ ენებზე, არითმეტიკა, მეორე კლასში - რუსული და ქართული ენების გრამატიკა, კატეხიზმო, საღვთო და საერო ისტორია, არითმეტიკა, გეომეტრია, ხატვა, ცნობა-დარიგებებს ადამიანისა და მოქალაქეთა უფლება-მოვალეობათა შესახებ. პირველ წელს სასწავლებელში 45 მოსწავლე სწავლობდა. გუბერნიის რეგისტრატორები პლეშჩევი და პაკროვსკი, რომლებიც საქართველოს მმართველობის კანცელარიის თანამშრომლები იყვნენ, ასწავლიდნენ რუსულ ენას, კავკასიის გრენადერთა დივიზიის მღვდელი გრიგოლი კი - ქართულ ენას (Акты, 1868, Т. II, ч. 4, N365, გვ. 195).

თუმცა 1803 წელს თბილისში დაბრუნებულ კავკასიის მთავარმართებელ ციციანოვს, პეტრე კოვალენსკის ერთი წლის გახსნილი სასწავლებელი დახურული დახვდა, რასაც მოხსენებით ატყობინებს სახალხო განათლების მინისტრ გრაფ ზავადოვსკის (Акты, 1868, Т. II, ч. 4, N367, გვ. 196-197).

ციციანოვის 1803 წლის 27 ივნისის მოხსენებას ერთვის თბილისში კეთილშობილთა თავად-აზნაურთა სასწავლებლის დაარსების, შენობის აგებისა და ხარჯთაღრიცხვის პროექტი (Акты, 1868, Т. II, ч. 4, N366, გვ. 196). ახალდანიშნულმა მთავარმართებელმა გარემოებათა გამო გაუქმებული სკოლა⁸⁷ აღადგინა და 1804 წლის 21 მაისს საზეიმოდ გახსნა, მას კეთილშობილთა სასწავლებელი ეწოდა.

სწავლა ქართულ და რუსულ ენებზე მიმდინარეობდა. 1802 წლის 28 დეკემბრით დათარიღებულ ზავადოვსკისადმი მიწერილ წერილში ციციანოვი ამბობს, რომ „მყარი და სასარგებლო საფუძველი აქვს რუსული ენის სწავლებას ქვეყანაში, სადაც სამართალწარმოება სრულად რუსულ ენაზე მიმდინარეობს“ (Акты, 1868, Т. II, ч. 4, N365, გვ. 195). ქართული ენის სწავლებასაც აუცილებელ პირობად მიიჩნევს, მისი სიტყვებით, „თავადაზნაურობის დიდმა ნაწილმა მშობლიური ენაც არ იცის წესისამებრ“ (Акты, 1868, Т. II, ч. 4, N366, გვ. 196).

ხელისუფლება თარჯიმნების დიდ ნაკლებობას განიცდიდა. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში აღმოსავლური ენების სწავლებისა და თარჯიმნების მომზადების საკითხი 1805 წლიდან დადგა, რაც ასევე ირკვევა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ჩარტორიისკისადმი მთავარმართებელ ციციანოვის მიმართვით, რომელიც დათარიღებულია 1805 წლის 29 ოქტომბრით.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩარტორიისკიმ იკითხა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში აღმოსავლური ენების სწავლების შესახებ და მოითხოვა სპარსული, ქართული და რუსული ენების სრულყოფილად მცოდნე თარჯიმნები. ციციანოვის

⁸⁷ სასწავლებლის დახურვის მიზეზების შესახებ (გაფრინდაშვილი, 2003, გვ. 13-16).

პასუხიდან ირკვევა, რომ სპარსული, ქართული და რუსული ენების თარჯიმნები ამ მხარეში არ ჰყავთ, მხოლოდ სპარსული და არაბული ენის ერთი თარჯიმანი მუშაობდა პირადად მასთან, იგი მხოლოდ ქართული ენიდან თარგმნიდა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის სასწავლებელში ქართული და რუსული ენების გრამატიკას სწავლობდნენ, სპარსული და არაბული ენები ჯერ არ ისწავლებოდა. ციციანოვი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორის ანგარიშზე დაყრდნობით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ატყობინებს, რომ მოსწავლეებმა უკვე იციან გრამატიკულად რუსული ენა და დაწყებული აქვთ ლათინურის სწავლა, ისინი მზად არიან არაბული, სპარსული და სომხური ენების შესასწავლად. თუმცა ასტრახანის სასწავლებლის გამოცდილებით, სადაც სამხედროების შვილები აღმოსავლურ ენებს ძველი მეთოდით სწავლობდნენ, 3 წელზე ადრე სავარაუდოდ მთარგმნელები ვერ მომზადდებოდნენ (Акты, 1868, Т. II, ч. 4, N377, გვ. 200).

როგორც ჩანს, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში აღმოსავლური ენების სწავლება 1819 წელზე ადრე არ დაწყებულა.

1819 წლის 25-30 ივნისს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში დანიშნული იყო მოწაფეთა გამოცდები - „ეგზამენები“. გამოცდებს მოსდევდა ჩვეულებრივი საჯარო აქტი, რომელსაც ესწრებოდნენ უმაღლესი პირები: მთავარმართებელი, ეგზარქოსი, გუბერნატორი, შტაბის უფროსი და მშობლები, რომლებიც აღტაცებულნი იყვნენ „იხილესრა შვილნი თვისნი განსხვავებულნი სხვათაცა ჰსწავლათა შინა, ამა ჟამამდის მათდამი უცნობელთა ეს იგი: ფორტიფიკაციასა, სიტუაციასა, პოეზიასა და ტანცაობასა შინა, და გარდა ამისსა თათრულსა და სპარსულსა ენათა ზედა, რომელთა ჰსწავლასა აქამდის შემოუღებელ იყო სასწავლებელსა შინა“. გამოცდების ბოლო დღეს, მუსიკით გაფორმებულ ღონისძიებაზე, დამსახურების მიხედვით დაჯილდოებულმა მოსწავლეებმა ქართულ და რუსულ ენებზე წარმოთქვეს სამადლობელი სიტყვა (1819), „საქართველოს გაზეთი“, N18, გვ. 2). როგორც გაზეთიდან ირკვევა, სპარსული და თათრული (აზერბაიჯანული) ენის სწავლება კეთილშობილთა სასწავლებელში 1819 წლიდან დაუწყიათ.

ღონისძიებაზე გამომსვლელთა შორის იყო საქართველოს სამხედრო-სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალ-მაიორი და კავალერი რ. ხოვენი და სკოლის დირექტორი ბუკრინსკი. როგორც სკოლის დირექტორის სიტყვიდან ირკვევა, 1818 წლიდან კარდინალური გარდატეხა მომხდარა სკოლის ცხოვრებაში - ყოველგვარი პირობა შექმნილა საფუძვლიანი განათლების მისაღებად. სწორედ ამ რეფორმის ფარგლებში 1819 წლიდან განხორციელდა თათრული და სპარსული ენების შემოღება სასწავლებელში (1819), „საქართველოს გაზეთი“, N20).

1819 წლიდან გერმანული და ლათინური ენების შეზღუდვის ხარჯზე თათრული (აზერბაიჯანული) ენის სწავლების გაძლიერების საკითხი დადგა. მოტივი იყო ასეთი: სამხედრო მოხელეებისთვის თათრული ენის ცოდნა იყო აუცილებელი (Акты, 1878, Т. VII, N73, გვ. 66).

რუსეთის იმპერიის ცარიტულ მიზნებთან პირდაპირ კავშირში იყო ციციანოვის მიერ სკოლის გახსნის, რუსული ენის სწავლებისა და აღმოსავლური ენების თარჯიმნების მომზადების საკითხი, რომელიც ხელს უწყობდა და აჩქარებდა ჯერ საქართველოს, შემდეგ მთელი კავკასიის კოლონიზაციის პროცესს. ქართული ენა იმ პერიოდში ჯერ კიდევ არ განიცდიდა ისეთ შეზღუდვებს, როგორსაც შემდგომ წლებში. ეს იმით იყო განპირობებული, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას ესაჭიროებოდა სპეციალისტები, რომლებიც რუსულიდან ქართულად და პირიქით მთარგმნელებად გამოდგებოდნენ.

III. საგამომცემლო საქმე 1801-1819 წლებში

კეთილშობილთა სასწავლებელში სახელმძღვანელოები რუსეთიდან იგზავნებოდა, რუსულად იყო შედგენილი და ვერ აკმაყოფილებდა აქაური სასწავლებლის მოთხოვნებს. ციციანოვმა დღის წესრიგში დააყენა თავისი ინიციატივით აღდგენილი კეთილშობილთა სკოლისთვის სასწავლო წიგნების ქართულად თარგმნისა და ბეჭდვის საკითხი.

იმ დროს უკვე აღარ არსებობდა თბილისში 1749 წელს დაარსებული ერეკლე II-ის სტამბა, რომელიც 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს განადგურდა და ამის შემდეგ ამ აღდგენილ სტამბაში სულ 2 წიგნი დაიბეჭდა 1800 წელს ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII-ის (1798-1800) ძალისხმევით (მაჩაიძე და სამაშვილი, 2010, გვ. 309, 313). დასავლეთ საქართველოში კი 1800 წლიდან ფუნქციონირებდა ქუთაისის, სოფელ წესისა და საჩხერის სტამბები, რომლებშიც ბოლო წიგნი 1817 წელს გამოიცა (ქართული წიგნი, 1941, გვ. 88).

მე-19 საუკუნის პირველ ათწლეულში თბილისში ტიპოგრაფიის გამართვის საკითხი სამი მიმართულებით მიმდინარეობდა:

1) ციციანოვის მიერ წამოწყებული საქმე, რომელიც უკავშირდებოდა კეთილშობილთა სასწავლებლისთვის წიგნების ბეჭდვას და თბილისში სტამბის გამართვას. ამ მიზნით მან წამოიწყო გამოძიება ერეკლე II-ის სტამბასთან დაკავშირებით. გამოძიების მიხედვით ძირითადი ეჭვმიტანილი ამ სტამბის ნაწილების მითვისებასთან დაკავშირებით იყო ქრისტეფორე ბადრიძე, ერეკლეს სტამბის მუშაკი⁸⁸.

2) 1796-1801 წლებში მოზდოკში მოქმედებდა სტამბა, რომელიც დააარსა და გამართა მოზდოკის ეპარქიის ეპისკოპოსმა გაიოზ ვაგოშაშვილმა (გაიოზ რექტორი, 1746-1821 წწ.). ის იყო თელავის სასულიერო სემინარიის პირველი რექტორი, კათალიკოს ანტონ პირველის მოწაფე და მისი გრამატიკული მოძღვრების მიმდევარი. 1793 წელს მან თხოვნით მიმართა ხელისუფლებას მოზდოკის ეპარქიაში ქართული ტიპოგრაფიის საჭიროებასთან დაკავშირებით. იმ მოტივით, რომ იქაურმა ოსურმა მოსახლეობამ იცოდა ქართული, პირველ ეტაპზე წიგნები ქართულად ეთარგმნათ და დაებეჭდათ. მან ქართული ლიტერების პუანსონები და მატრიცები, რომლებიც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში ინახებოდა, სთხოვა ხელისუფლებას. მისი თხოვნა ხელისუფლებამ დააკმაყოფილა და გარკვეული თანხის გადახდის შემდეგ აკადემიიდან მიიღო ქართული შრიფტის მატრიცები (Ватейшвили, 1973, გვ. 72). მოზდოკში ქართული სტამბის გამართვაში მას დაეხმარა თბილისიდან ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის გამო გადახვეწილი ერეკლე II-ის სტამბის დიდი ოსტატი რომანოზ რაზმაძე-ზუბაშვილი (ქართული წიგნი, 1941, გვ. 71).

სწორედ ამ სტამბაში დაიბეჭდა ქართული ანბანი, რუსული ენის სახელმძღვანელო და ქართული ენის გრამატიკა (ქართული წიგნი, 1941, გვ. XII, 75). ეს წიგნები გაუგზავნა გაიოზმა კეთილშობილთა სასწავლებელს, რაც ირკვევა ციციანოვის გაიოზისადმი მიწერილი მადლობის წერილით, რომელიც 1805 წლის 29 იანვრითაა დათარიღებული - გაიოზმა თბილისის კეთილშობილთა 2-კლასიანი სასწავლებლისთვის გამოგზავნა ქართული ენის გრამატიკის 630 (დაბეჭდილი 1796-1800 წლებს შორის) და ქართული ანბანის (დაბეჭდილი 1797 წელს) 600 ეგზემპლარი. ციციანოვი ასევე სთხოვს გაიოზს მოზდოკის ქართული ტიპოგრაფიის კეთილშობილთა სასწავლებლისთვის გადმოცემას (Акты, 1868, Т. II, ч. 4, N375, გვ. 199). ვინაიდან იმ დროს გაიოზი უკვე სარატოვისა და პენზის ეპისკოპოსი იყო, მოზდოკის

⁸⁸ ერეკლე II-ის სტამბის განადგურების შემდეგ მისი მდგომარეობისა და ქრისტეფორე ბადრიძესთან დაკავშირებული გამოძიების შესახებ (იხ.: Ватейшвили, 1973, გვ. 64-69).

სტამბა მის გარეშე ფაქტობრივად აღარ ფუნქციონირებდა. 1805 წლის 1 აპრილს მიწერილ წერილში გაიოზი სიამოვნებით სთანხმდება ციციანოვის თხოვნას და მოზდოვში კათოლიკოს გიორგი მამასახლისთან დაცულ ქართულ სტამბას თბილისში აგზავნის (Акты, 1868, Т. II, N2091, გვ. 1061-1062). თუმცა ციციანოვი ამ სტამბის თბილისში გამართვას ვერ მოესწრო, ვინაიდან 1806 წლის თებერვალში ის ბაქოს მიდამოებში მოკლეს. მისმა შემდგომმა მთავარმართებელმა გუდოვიჩმა კი გადაწყვიტა, რომ გაიოზის ნაჩუქარი სტამბა არა მხოლოდ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის საჭიროებისთვის, არამედ ადგილობრივი ადმინისტრაციის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლადაც გამოეყენებინა, ვინაიდან სტამბა აღჭურვილი იყო როგორც ქართული მხედრული და ნუსხური, ასევე რუსული საეკლესიო და საერო შრიფტებით (Ватейшвили, 1973, გვ. 74).

თუმცა ამ ორივე სტამბის ნაწილების შეერთებითაც მისი გამართვა თბილისში ვერ მოხერხდა.

3) თბილისის სასულიერო ტიპოგრაფიის დაარსების მცდელობა. ამ საქმის ინიციატორი იყო რუსეთის ეკლესიის წმინდა სინოდის წევრი, არქიეპისკოპოსი ვარლამი (ერისთავი), რომელმაც 1809 წელს შინაგან საქმეთა მინისტრს მიმართა თხოვნით თბილისში სასულიერო ტიპოგრაფიის დაარსებასთან დაკავშირებით (Ватейшвили, 1973, გვ. 78). მისი საკუთარი ქართული სტამბა 1803 წლიდან მოსკოვის სინოდის სტამბის ფარგლებში შედიოდა. მან რუსეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკების გზით⁸⁹ 1810 წელს მიიღო თბილისში სასულიერო ტიპოგრაფიის დაფუძნების ნებართვა. აქ დაბეჭდილ საერო და სასულიერო წიგნებზე ცენზურა დაევალა სასულიერო ხელისუფლებას. სტამბის ხელმძღვანელად კი გიორგი პაიჭაძე დაინიშნა. ეს ის გიორგი პაიჭაძეა, რომელიც ჯერ ერეკლე II-ის სტამბაში 20 წელი მოღვაწეობდა, ხოლო აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ მონაწილეობს სოლომონ II-ის ინიციატივით ქუთაისში სტამბის გამართვაში. მან თბილისში ჩამოიტანა ქართული და რუსული შრიფტების ახალი ნიმუშები. ამ სტამბაში პირველი წიგნი 1815 წელს დაიბეჭდა - იოანე ქართველიშვილის უთარილო გრამატიკა - „ქართული ღრამმატიკა“, შერეული ნუსხურ-მხედრული შრიფტით (Ватейшвили, 1973, გვ. 84-85; ქართული წიგნი, 1941, გვ. 88).

1816 წელს თბილისში გაიწყო სამხედრო უწყების სტამბა, რომლის ქართული შრიფტით გამართვა მოგვიანებით, 1819 წლისთვის, მოხდა. 1820 წლიდან კი ლითოგრაფიაც დაემატა (გოცაძე, 1954, გვ. 54).

პირველი ქართული გაზეთი „საქართველოს გაზეთი“ სწორედ ამ სტამბაში დაიბეჭდა მხედრული შრიფტით. იმავე სტამბაში დაიბეჭდა 1819 წელს რუსულ-ქართული სასაუბრო ასევე მხედრული შრიფტით. ეს წიგნიც კეთილშობილთა სასწავლებლისთვის იყო განკუთვნილი, რაც სათაურიდანაც ჩანს: „შეკრება რუსულთა უბნობათა, საზოგადოდ ცხოვრებასა შინა სახმარებელთა, დართვითა ქართულისა თარგმნისათა, სასარგებლოდ კეთილშობილთა ყრმათა“ (Тифлис, 1819, При Военно-походной типографии). წიგნის თავფურცელი და ტექსტი რუსულსა და ქართულ ენებზეა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარშია დაბეჭდილი მანიფესტების, მოწოდებებისა და სხვადასხვა ოფიციალური საბუთების, განკარგულებებისა და დებულებების მთელი რიგი ფურცლოვანი გამოცემები. საბუთების ამ კოლექციაში ოფიციალური სახელმწიფო რუსული ენის პარალელურად ყველგან ქართული ენაც იხმარება.

⁸⁹ ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის ამ საკითხის განხილვა მიმოწერის გზით 1809 წლიდან 1811 წლამდე მიმდინარეობდა (Ватейшвили, 1973, გვ. 81).

ქართული წიგნი XIX საუკუნის პირველ ნახევარში უფრო მეტი დაიბეჭდა ქვეყნის გარეთ, ვიდრე თბილისში. 1801-1851 წლებში სულ 134 ქართული წიგნიდან თბილისში მხოლოდ 21 გამოიცა (ქართული წიგნი, 1941, გვ. XVI). 1801-დან 1815 წლამდე კი არც ერთი წიგნი არ დაბეჭდილა.

დასკვნა:

პირველი ქართული გაზეთი იყო მთავარმართებლის ოფიციალური ორგანო, რომელიც მხარს უჭერდა მეფის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მეფის რუსეთის ინტერესებს ატარებდა საქართველოში და კავკასიაში რუსული მმართველობის განსამტკიცებლად დაარსდა.

„საქართველოს გაზეთი“ არ იყო (პატრიოტულ და) ეროვნულ ქართულ ნიადაგზე შექმნილი პერიოდული გამოცემა, რომელიც იმდროინდელი ქართველი საზოგადოების ინტერესებს ემსახურებოდა. ამიტომაც იყო გულგრილი ქართული საზოგადოება პირველი ქართულენოვანი გაზეთის მიმართ.

„საქართველოს გაზეთი“ იმდროინდელ საქართველოსა და კავკასიაში ერთადერთი პერიოდული გამოცემა იყო. შემთხვევითი არაა, რომ კავკასიაში ქართულენოვანი გაზეთი უსწრებდა ყველა რუსულენოვან პერიოდულ გამოცემას - XIX საუკუნის 20-იან წლებში რუსეთის იმპერია ჯერ კიდევ ფეხს იდგამს კავკასიაში საბატონოდ. მოგვიანებით სრულიად სხვაგვარად წარიმართა ენობრივი პოლიტიკა საქართველოში - ქართული ენის სწავლების შეზღუდვა მეცხრამეტე საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც იმ პერიოდში გიმნაზიად გადაკეთდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიამ უკვე მყარად მოიკიდა ფეხი საქართველოსა და კავკასიაში. საგაზეთო მასალების ოფიციალურ ბრძანებებთან შედარებამ ნათლად უჩვენა, რომ გაზეთში იბეჭდებოდა ოფიციალური ბრძანებების ქართული თარგმანები, რაც ემსახურებოდა ამ ბრძანებების გაცნობას ქართულ ენაზე ქართველი მოსახლეობისთვის, რომელმაც იმ დროს რუსული არ იცოდა.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში რუსეთის იმპერიის ენობრივი პოლიტიკის საწყისი ეტაპების გარკვევა ჩვენ ვცადეთ სამი ძირითადი სამიზნე უწყების სასწავლებლის, სტამბისა და პირველი პერიოდული გამოცემის - საფუძველზე, საიდანაც ნათელი ხდება, რომ იმპერიას სჭირდებოდა სკოლა, რომელშიც მოამზადებდა სახელმწიფოს ერთგულ მოხელეებს, ასევე სჭირდებოდა სტამბა და გაზეთი იმპერიის პროპაგანდისტული მიზნების განსახორციელებლად.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. გაფრინდაშვილი, ჯ. (2003). თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზია, 1802-2002, თავი I. მძიმე და რთული გზა სასწავლებლიდან გიმნაზიამდე. თბილისი.
2. გოცაძე, მ. (1954). ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. 1. თბილისი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა და სტამბა.
3. გუგუშვილი, პ. (1935). ქართული ჟურნალისტიკის სათავეებთან, ლიტერატურული მემკვიდრეობა. I. ტფილისი. სახელმწიფო უნივერსიტეტი.
4. გუგუშვილი, პ. (1941). ქართული ჟურნალისტიკა. ტ. 1. თბილისი. სახელგამი.
5. დუმბაძე, მ. (1973). ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება. წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. 4. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. თბილისი. საბჭოთა საქართველო.

6. კასრაძე, ტ. (1942). პირველი ქართული გაზეთის ანალიტიკური ბიბლიოგრაფია: საქართველოს გაზეთი ჩყით [1819] N1-43, ჩყკ [1820] N20; ქართული გაზეთი ჩყკ [1820] N40, 46, ჩყკა [1821] N12, 37. თბილისი. კ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა.

7. ლეონიძე, გ. (1939). პირველი ქართული გაზეთის 120 წლისთავი „საქართველოს გაზეთი“. კომუნისტი. N66.

8. მაჩაიძე, დ., სამაშვილი, მ. (2010). ძველნაბეჭდი ქართული გამოცემები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის კოლექციის აღწერილობა. ტ. 1, საქართველოში დაბეჭდილი წიგნები, 1709-1818. თბილისი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

9. ტაბიძე, ნ. (2012). ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. 1. თბილისი. უნივერსალი.

10. ქართული წიგნი. (1941). 1629-1920. ტ. 1. თბილისი. წიგნის პალატის გამოცემა.

11. ჯოლოგუა, თ. (2013). ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XIX საუკუნე). თბილისი. არტანუჯი.

12. Ватейшвили, Дж. (1973). Русская общественная мысль и печать на Кавказе в первой трети XIX века. Москва. Наука.

13. Вейденбаум Е. Г. (1901). Первая грузинская газета, Кавказские этюды. Тифлис. Издание Центральной книжной торговли.

14. Патрушева Н. Г. (2018). Цензурные учреждения на Кавказе. Цензура в России. Материалы к энциклопедическому словарю. <http://opentextnn.ru/censorship/russia/encslov/?id=7326>

15. Скабичевский, А. М. (1892). Очерки истории русской цензуры: (1700-1863 г.). Санкт-Петербург. Ф. Павленков.

16. Отношение кн. Цицианова к министру народного просвещения гр. Петру Васильевичу Заводовскому, от 28-го декабря 1802 года, N21. Акты, собранные Кавказскою Археографическою комиссиею: Кавказ и Закавказье за время управления генерала от инфантерии, князя Павла Димитриевича Цицианова. 1802-1806: IV. Учебная часть. Ад. Берже [председатель комиссии и автор предисловия]. Тифлис. 1868. Т. II, ч. 4, N365.

17. Всеподданнейшее донесение кн. Цицианова, от 27-го июня 1803 года. Акты, собранные Кавказскою Археографическою комиссиею: Кавказ и Закавказье за время управления генерала от инфантерии, князя Павла Димитриевича Цицианова. 1802-1806: IV. Учебная часть. Ад. Берже [председатель комиссии и автор предисловия]. Тифлис. 1868. Т. II, ч. 4, N366.

18. Донесение кн. Цицианова гр. Заводовскому, от 27-го июня 1803 года, N1360, Акты, собранные Кавказскою Археографическою комиссиею: Кавказ и Закавказье за время управления генерала от инфантерии, князя Павла Димитриевича Цицианова. 1802-1806: IV. Учебная часть. Ад. Берже [председатель комиссии и автор предисловия]. Тифлис. 1868. Т. II, ч. 4, N367.

19. Отношение кн. Цицианова Пензенскому архиепископу Гайю, от 29-го января 1805 года, N70. Акты, собранные Кавказскою Археографическою комиссиею: Кавказ и Закавказье за время управления генерала от инфантерии, князя Павла Димитриевича Цицианова. 1802-1806: IV. Учебная часть. Ад. Берже [председатель комиссии и автор предисловия]. Тифлис. 1868. Т. II, ч. 4, N375.

20. Отношение кн. Цицианова к кн. Чарторыйскому, от 29-го октября 1805 года, N789. Акты, собранные Кавказскою Археографическою комиссиею: Кавказ и Закавказье за время управления генерала от инфантерии, князя Павла Димитриевича Цицианова. 1802-1806: IV. Учебная часть. Ад. Берже [председатель комиссии и автор предисловия]. Тифлис. 1868. Т. II, ч. 4, N377.

21. Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею: Кавказ и Закавказье за время управления генерала от инфантерии Алексея Петровича Ермолова. 1816-1827: I. Гражданская часть. Ад. Берже [председатель комиссии и автор предисловия]. Тифлис. 1874. Т. 6, ч. I, N32.

22. Отношение гр. Паскевича к кн. Ливену, от 25-го апреля 1829 года, N254. Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею: Кавказ и Закавказье за время управления генерала-фельдмаршала графа Ивана Федоровича Паскевича-Ереванскаго. 1827-1831: I. Гражданская часть: Учебная часть. Ад. Берже [председатель комиссии и автор предисловия]. Тифлис. 1878. Т. 7, N73.

საგაზეთო პუბლიკაციები:

23. „საქართველოს გაზეთი“, „გამოცხადება“, ხელმისაწვდომია http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/31733/1/Sakartvelos_Gazeti_gamocxadeba_1819.pdf

24. „საქართველოს გაზეთი“, 14 მარტი, 1819, N2, ხელმისაწვდომია http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/31641/1/Sakartvelos_Gazeti_1819_N2.pdf
25. „საქართველოს გაზეთი“, 21 მარტი, 1819, N3, ხელმისაწვდომია http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/31643/1/Sakartvelos_Gazeti_1819_N3.pdf
26. „საქართველოს გაზეთი“, 16 მაისი, 1819, N11, ხელმისაწვდომია http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/31665/1/Sakartvelos_Gazeti_1819_N11.pdf
27. „საქართველოს გაზეთი“, 4 ივლისი, 1819, N18, ხელმისაწვდომია http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/31681/1/Sakartvelos_Gazeti_1819_N18.pdf
28. „საქართველოს გაზეთი“, 18 ივლისი, 1819, N20, ხელმისაწვდომია http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/31685/1/Sakartvelos_Gazeti_1819_N20.pdf
29. „საქართველოს გაზეთის“, 1 აგვისტო, 1819, N22, ხელმისაწვდომია http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/31689/1/Sakartvelos_Gazeti_1819_N22.pdf.

The first Georgian newspaper in the context of Tsarist Russian language policy (Georgia in the 1920s)

Tamar Demetrashvili

Ilia State University

G. Tsereteli Institute of Oriental Studies

Summary

By the manifesto of September 12, 1801, the Russian Empire dominated Kartli-Kakheti and this laid the foundation for its further expansion throughout Georgia and the Caucasus.

Russia pursued the Russification's interests of its rule in Kartli-Kakheti. From this period, the language of the board was Russian, which people did not understand.

We tried to find out the initial stages of the language policy of the Russian Empire in Georgia at the beginning of the 19th century on the basis of three main target agencies: the school, the printing house and the first periodical. It becomes clear that the empire needed a school to train loyal government officials, as well as a printing press and newspaper to fulfill the empire's propaganda goals.

The first attempt to achieve these goals was a two-grade school for the children of nobles, which opened in Tbilisi in 1802. On May 31, 1804, the newly appointed governor of the Caucasus, Tsitsyanov, rebuilt the school, which was abolished due to circumstances, and renamed the School of the Nobles. Studies were conducted in Georgian and Russian languages. The issue of teaching Oriental languages and training translators at the Tbilisi Noblemen's School has been raised since 1805. However, the teaching of Tatar (Azerbaijani) and Persian had not begun till 1819.

A printing house was established in the headquarters of the Caucasus Corps in Tbilisi, where the first newspaper "Georgian Newspaper" was published in March 8, 1819, in Georgian language.

The first Georgian newspaper was the official organ of the Governor. It was established for strengthen Russian rule in Georgia and the Caucasus. "Sakartvelos Gazeti" was not a periodical publish on patriotic and national Georgian soil, which served the interests of the Georgian society at that time.

Georgian Newspaper was the only periodical publish in Georgia and the Caucasus at that time. It is no coincidence that the Georgian-language newspaper in the Caucasus preceded all Russian-language periodicals - in the 1920s the Russian Empire was still not completely dominant in the Caucasus. Later, the language policy was completely different - the restriction of teaching the Georgian language in the school of the nobles began in the 1930s, which was transformed into a gymnasium in this period. In the second half of the 19th century, the Russian Empire gained a foothold in Georgia and the Caucasus.

„კოვკასი“ - პირველი სომხური გაზეთი სამხრეთ კავკასიაში (წინაპირობები და გამოწვევები)

ქეთევან ოთარაშვილი
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [FR-19-1759, ეთნიკური ჯგუფები და მათი პერიოდული გამოცემები საქართველოში 1819-1921 წლებში]“

მეცხრამეტე საუკუნე სამხრეთ კავკასიაში რადიკალური ცვლილებებით დაიწყო. 1801 წ. 12 სექტემბრის მანიფესტთან ერთად გამოგზავნილი რესკრიპტი საქართველოს კოლონიზაციას გულისხმობდა (Акты Кавказской археологической комиссии, 1866, გვ. 516). რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში მრავალრიცხოვანი უცხო ეთნიკური ჯგუფების მოზიდვასა და დასახლებას ვარაუდობდა. ეს იმ დროს, როცა ქართველ გლეხს მიწა არ ჰყოფნიდა და თავისუფალ მიწებზე დასახლებას უკრძალავდნენ.

რუსეთის იმპერიის დემოგრაფიული პოლიტიკის რეალიზაცია საქართველოში სომხურ ელემენტს ჰქონდა მინდობილი. საზღვრისპირა რეგიონებში რუსეთის იმპერიის მიმართ ლოიალურად განწყობილი სომხური მოსახლეობის ჩასახლებამ პერმანენტული ხასიათი მიიღო. სომხები რუსეთისგან დიდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას იღებდნენ და მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში მათი პოზიცია იმდენად განმტკიცდა, რომ საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში საკმაოდ ძლიერი იყო სომხური სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალი, ჩამოყალიბდა ძლიერი სომხური ბურჟუაზია, რომელიც პირველობის შესანარჩუნებლად სააქციონერო საზოგადოებებში ერთიანდებოდა (Sunny, 1994, p. 118).

საკმაოდ დიდ ძალას და გავლენას ფლობდა სომხური ეკლესია. ქართული ეკლესია კი ავტკეფალიის დაკარგვისა და საკუთრების ჩამორთმევის შემდეგ უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა; აიკრძალა ქართულად წირვა-ლოცვის ჩატარება, მაშინ, როდესაც რუსი მოხელეები საქართველოს განაპირა რეგიონებში მოსახლე აფხაზ და ოს ხალხს მშობლიურ ენაზე დამწერლობის, მწიგნობრობის შექმნას ჰპირდებოდნენ და რითაც იმპერია განმანათლებლურ მისიას იჩემებდა. სინამდვილეში, თითოეული მოქმედება დამპყრობლური პოლიტიკის ნაწილი იყო, რაც იმპერიის ტერიტორიაზე რუსული საეკლესიო მსახურების დანერგვისკენ იყო მიმართული. ყოველივე ამის ფონზე სომხური ეკლესიის უფლებები და გავლენა იმდენად გაიზარდა, რომ სომხური თემის დახმარების გარეშე პირველი ქართული გაზეთი 1819 წლის 8 მარტს ვერ შედგებოდა ხელმომწერთა სიმცირის გამო. როგორც „საქართველოს გაზეთის“ რედაქტორის რუბრიკაში წერია, სომხეთის გრიგორიანული ეკლესიის საქართველოს ეპარქიის არქიეპისკოპოსმა ნერსიმ სომეხ სამღვდელოებაში სახელდახელოდ ასზე მეტი ხელმომწერი იმოვა და ამით გამოცემლებს საქმე გაუადვილა (1819), „საქართველოს გაზეთი“ N3, გვ. 12).

თბილისი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ამიერკავკასიის კულტურული და ეკონომიკური ცენტრის სტატუსს ინარჩუნებდა, სომეხი ინტელიგენციის კონცენტრაციის ადგილადაც იქცა. აქვე დაიბადა სომხური სკოლის და ახალი სალიტერატურო ენის ფორმირების იდეა.

საუკუნის დასაწყისში თბილისში პავლე ციციანოვის⁹⁰ მიერ დაარსებულ კეთილშობილთა სასწავლებლის გარდა, სკოლა არც ქართველებს ჰქონდათ და არც - სომხებს. თუ ვინმეს წერა-კითხვის სწავლა უნდოდა, მღვდლებს მიაბარებდნენ. 1814 წელს რუსეთის მთავრობის მხარდაჭერით საქართველოს სომხური ეპარქიის ეპისკოპოსმა ნერსე 20 მოსწავლისთვის გახსნა სკოლა, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნასა და იმ პერიოდის სტანდარტებს. პედაგოგების კვალიფიკაციაც საეჭვო იყო (აბოვიანი, 1958, გვ. 154-190). ვითარება იცვლება 1817 წლიდან, როდესაც თბილისში დაარსდა ე. წ. ქართული სასულიერო სემინარია. სემინარია შედგებოდა რიტორიკის ორი კლასისგან, სწავლობდნენ ძირითადად რუსულ ენასა და ლიტერატურას, რუსეთის და მსოფლიო ისტორიას, ასევე რიტორიკას⁹¹.

რაც შეეხება სომხურ სკოლას, სკოლის პროგრამა ჯერ კიდევ 1807 წელს შეადგინეს კათალიკოსმა ნერსე და ჰოვანეს ლაზარიანმა. 1822 წელს აგებული შენობის არქიტექტორი სამხედრო ინჟინერი ლაზარევი იყო. სკოლა კი 1824 წლის 1 დეკემბერს გაიხსნა, რაც მაშინ აღიქმებოდა, როგორც სრულიად ეროვნული მოვლენა. სომხურ სკოლას კათალიკოს ნერსე აშტარაკეცის პატივსაცემად ეწოდა ნერსესიანის სკოლა. ამ სკოლის ირგვლივ შეიკრიბა მოაზროვნე სომხობა და დაიწყო თანამედროვე სალიტერატურო ენის, აშხარაბარის, ფორმირება. ეკლესია მათ საშინელ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ ძლიერ გუნდს, დიდ ცოდნასა და პროგრესულ მიმართულებას რეფორმისტები გამარჯვებისკენ მიჰყავდა. მათ შეცვალეს 1807 წლის პროგრამა და სწრაფად დაიწყეს ახალი სასწავლო პროგრამის შემუშავება აშხარაბარის დასამკვიდრებლად, ასევე სახელმძღვანელოების ბეჭდვა აშხარაბარზე. (სურ.1-1ა. ნერსესიანის სასწავლებელი).

ამ ყველაფერს ტემპს სძენდა ნერსესიანის სკოლის სტამბა. როგორც ცნობილია, 1817 წელს გევორგე არწრუნმა ევროპაში მოგზაურობისას იყიდა ამსტერდამში არსებული სომხური სტამბა, ჩამოიტანა თბილისში და შესწირა ჯერ კიდევ იდეის დონეზე არსებულ ნერსესიანის სკოლას. სტამბა ასამუშავებლად უკვე 1819 წელს იყო მზად, მაგრამ მხოლოდ 1823-ში ამოქმედდა, მას შემდეგ, რაც სკოლის მშენებლობა დასრულდა და ლაზარიანის სემინარიის ინსპექტორი, პ. ალამდარიანი, ჩაუდგა სათავეში (Մխիթարյան, 1994, გვ.59). იმავე წელს ნერსესიანის სკოლის სტამბაში უკვე დაიბეჭდა კათალიკოს სიმეონ ერევანცის „საიმპერატორო დღესასწაულთა წიგნი“. ნერსესიანის სკოლის სტამბაში ქართული ასოებიც ჰქონდათ. 1829 წელს იქ დაბეჭდეს ნერსე აშტარაკეცის ლოცვების პატარა წიგნი „საქართველოს სომეხთათვის ქართულის ასოებით, ხოლო სიტყვები კი სომხურად იყო“ (ჭიჭინაძე, 1909, გვ.14).

სტამბის უპირველესი ფუნქცია სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვა იყო, რასაც წარმატებით ართმევდა თავს. 1825-1828 წლებში ნერსესიანის სკოლისთვის 30 სახელმძღვანელო დაიბეჭდა აშხარაბარზე. სულ მალე აშხარაბარზე ეროვნული პერიოდული გამოცემის აუცილებლობაც შეიქნა, რათა პროგრესი და თანამედროვე იდეები ფართო აუდიტორიაში გაეცანა.

ახლად არჩეული ნერსე კათალიკოსი 1845 წელს ეწვია თბილისს, სადაც ოფიციალურ მოვალეობას ასრულებდა მეფისნაცვალი მ. ვორონცოვი. ცნობილია, რომ ნერსე და ვორონცოვი წლების განმავლობაში მუშაობდნენ ბესარაბიაში, კარგად იცნობდნენ ერთმანეთს და ჯერ კიდევ მაშინ ბჭობდნენ კავკასიელი ხალხის განათლების აუცილებლობის შესახებ. ნერსე აშტარაკეცის და მ. ვორონცოვის შეხვედრასთან უნდა იყოს დაკავშირებული 1846 წელს

⁹⁰ პ. ციციანოვი 1802 წ. დაინიშნა კავკასიის სასაზღვრო ხაზის ინსპექტორად და საქართველოს გუბერნიის მთავარსარდლად.

⁹¹ სურვილის მიხედვით ისწავლებოდა ლათინური, ბერძნული, გერმანული და ფრანგული ენები.

თბილისში სომხური გაზეთ „კოვკასის“ (Կովկաս) დაარსება. გაზეთის პირველ რედაქტორად მეფისნაცვლის სამდივნოს მოხელე ო. კონსტანტინოვი დაინიშნა.

თავისუფლად შეიძლება იმ ვარაუდის დაშვება, რომ ვორონცოვმა სწორედ ნერსეს გავლენით ჩაიფიქრა რუსული გაზეთ „კავკაზის“ (Кавказ) სრული ასლის სომხურ ენაზე გამოცემა. სომხური რედაქციის შედგენაც „კავკაზის“ რედაქტორს, ო. კონსტანტინოვს, დაევალა. ამ უკანასკნელმა სომხური ენის უცოდინრობის გამო დასახმარებლად სომეხ პედაგოგ ჰაკობ არზანიანს მიმართა, მან კი, თავის მხრივ, დახმარება სთხოვა ნერსესიანის სკოლის მასწავლებელ ჰაკობ კარენიანს.

„კოვკასის“ პირველი ნომერი 5 იანვარს გამოვიდა. იგი რუსული გამოცემის სომხურენოვანი ასლი იყო, რის გამოც სომეხი რედაქტორები თავს რეალიზებულებად არ მიიჩნევდნენ, ამიტომ 12 იანვარს დაბეჭდეს ახალი ნომერი, რომელსაც დამატებული ჰქონდა ახალი ამბები სომხეთიდან⁹² და სალიტერატურო გვერდი, რომელშიც სომეხი ავტორები და კორესპონდენტები ბეჭდავდნენ საკუთარ ნაწარმოებებს ან თარგმანებს. მ. ვორონცოვმა ახალი ნომერი შეამოწმებინა ნერსესიანის სკოლის ზედამხედველს, მღვდელ ჰოვსეფ ერიციანს და მხოლოდ ამის შემდეგ გავრცელდა. ხოლო ჰ. ერიციანი „კოვკასის“ ოფიციალური მემკვიდრე და მკვლევარი გახდა (Մխիթարյան, 1994, გვ.132).

ფაქტია, პირველი სომხური გაზეთი პირველი „ქართული გაზეთის“ მსგავსად მეფისნაცვლის კანცელარიას ეკუთვნოდა და მიზნად ისახავდა საიმპერატორო ბრძანებებისა და პოლიტიკის გავრცელებას, თუმცა „კოვკასის“ რედაქციას გარკვეულ თავისუფლებას ანიჭებდა.

გაზეთის გამოცემის საქმეში „კოვკასის“ რედაქტორსა და მის სომეხ თანაშემწეებს ადგილობრივი სომეხი მოსახლეობისა და სამღვდელოების ხელშეწყობის იმედი ჰქონდათ, მაგრამ პირველ წელს ას ოცდათვრამეტმა გამომწერმა ძლივს დაფარა სტამბის ხარჯები. რუსმა რედაქტორმა ო. კონსტანტინოვმა გაზეთის დახურვა გადაწყვიტა. ჰ. არზანიანმა და ჰ. კარენიანმა გაზეთის შენარჩუნების თხოვნით მიმართეს ო. კონსტანტინოვს და თავის თავზე აიღეს გაზეთის ყველა ხარჯის დაფარვა.

აღებული პასუხისმგებლობის შესასრულებლად და გადასანაწილებლად ჰ. არზანიანმა და ჰ. კარენიანმა, პირველ ყოვლისა, 1846 წ. 1 სექტემბერს ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელშიც დეტალურად იყო ასახული თითოეულის მოვალეობა სარედაქციო საქმეში. ზუსტდებოდა ფულადი სახსრების შენახვის, ხარჯისა და შემოწირულობის, ნივთების მიკუთვნებისა და ბეჭდვის წესრიგთან დაკავშირებული საკითხები.

პოლიტიკური ამბების ამორჩევა და თარგმნა ჰ. არზანიანის მოვალეობა იყო, ხოლო ლიტერატურული მასალის შერჩევა, რედაქტირება და მართლწერა - ჰ. კარენიანის. შეთანხმების დოკუმენტიდან ჩანს, რომ მათ ჰქონდათ სამუშაო სივრცე, სადაც უნდა გამოცხადებულიყვნენ ყოველდღე, შუადღის შემდეგ და მოემზადებინათ მასალები. „კოვკასის“ რედაქტორები თანხმდებოდნენ, რომ სტატიის დასაბეჭდად ორმხრივი მოწონება იყო საჭირო. შეთანხმება უკვე შედგენილი და ორმხრივად ხელმოწერილი იყო, როცა 1846 წელს რედაქტორებს შეუერთდა მღვდელი გაბრიელ პატკანიანი.

ვინაიდან გაზეთის სარედაქციო ინფორმაცია და რედაქტორი მხოლოდ გაზეთის რუსულ დედანზე, „კავკაზზე“, იყო მითითებული, „კოვკასის“ სარედაქციო შემადგენლობის შესახებ მეოცე საუკუნის ბოლომდე ზუსტი ინფორმაცია არ არსებობდა.

⁹² საშინაო ამბების რუბრიკაში რუსული „კავკაზიდან“ იბეჭდებოდა მთელი იმპერიის ტერიტორიაზე მომხდარი ამბები, თუმცა ცალკე იყო გამოყოფილი გრაფა სომხეთიდან მოსული ამბებისთვის.

სომხური პერიოდიკის შესწავლის პირველი მცდელობა პრესის ისტორიკოს ნ. ჰაროს ნაშრომი „სომხური პრესა რუსეთსა და კავკასიაში“, რომელშიც რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე გამოცემულ პირველ გაზეთად „კოვკასს“ მიიჩნევდა, რადგან იმ დროს მისთვის უცნობი იყო ბევრი დეტალი, ასევე 1816 წელს ასტრახანში გამოცემული „არეველიან წანუცმუნქის“ 27 ნომერი. ამის გამო „კოვკასის“ ჰაროსეული დათარიღება და სარედაქციო შემადგენლობაც არასწორია. თუმცა მისი, როგორც პირველი მკვლევრის, წვლილი „კოვკასის“ ისტორიის შესწავლაში უდავოდ დიდია.

გაზეთ „კოვკასის“ რედაქტორებად ნ. ჰარო მიიჩნევდა ჰ. კარენიანსა და მიქაელ პატკანიანს (Հարո, 1878). ეს შეცდომა 1882 წელს გაიმეორა ალ. ერიციანმა და შემდეგ ყველა მეცნიერმა, ვინც ამ ორი ავტორიტეტული მკვლევრის ცნობებს ეყრდნობოდა.

პირველი მეცნიერი, რომელმაც ჰაროს ვარაუდი ეჭვქვეშ დააყენა, იყო გ. ლევონიანი; მან 1934 წელს გამოცემულ თავის ბიბლიოგრაფიულ სიაში მიუთითა სამი რედაქტორის გვარი: ჰაკობ კარენიანი, მიქაელ პატკანიანი, მოგვიანებით ჰაკობ არზანიანი (Լևոնյան, 1934, გვ. 81). ამ ავტორიტეტული მკვლევრის აზრი სხვა მკვლევარებმაც გაიზიარეს და ასე შევიდა სომხეთის ეროვნული ბიბლიოთეკის კატალოგებში.

„კოვკასის“ პირველი და ერთადერთი თანამედროვე მემკვიდრის, ჰ. ერიციანის ინფორმაციით, პირველი რედაქტორები იყვნენ: ჰ. არზანიანი და ჰ. კარენიანი⁹³. სწორედ ისინი ეახლნენ ო. კონსტანტინოვს და სთხოვეს, არ დაეხურა გაზეთი „კოვკასი“. მიქაელ პატკანიანის შესახებ კი დაზუსტებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სარედაქციო მოღვაწეობით არ არის ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ მიქაელ პატკანიანი, როგორც მთარგმნელი და ავტორი, აქტიურად თანამშრომლობდა როგორც გაზეთ „კოვკასთან“, ასევე „კავკაზთან“, გაზეთ „კოვკასის“ მესამე რედაქტორი იყო გაბრიელ პატკანიანი, რომელმაც გაზეთ „კოვკასის“ დახურვის შემდეგ სარედაქციო მოღვაწეობა გააგრძელა და 1850 წელს გამოსცა გაზეთი „არარატი“.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ იხელმძღვანელა სომხეთის ეროვნული ბიბლიოთეკის მონაცემებით. შესაბამისად, კატალოგებში „კოვკასის“ რედაქტორად შევიდა მ. პატკანიანი. ამჟამად ეს ინფორმაცია გასწორდა და გამოსაცემად მზადდება საქართველოს სომხური პერიოდული პრესა და სომხური წიგნის ბიბლიოგრაფია.

საკამათო იყო ასევე „კოვკასის“ გამოცემის თარიღი: ნ. ჰარო გამოცემის დაწყების თარიღად 1847 წ. მიიჩნევდა, შეწყვეტის - 1848 წელს. გ. ზარბანალიანი გაზეთის არსებობის შეწყვეტას უკავშირებს 1848 წელს რუსეთში ცენზურის გამკაცრებას. დღეს უკვე ზუსტად ვიცით, რომ „კავკაზის“ გამოცემა 1846 წლის 5 იანვარს დაიწყო, ხოლო სომხური ასლის პირველი ნომერი 14 (26) იანვარს დაიბეჭდა ნერსესიანის სკოლის სტამბაში. გაზეთი გამოდიოდა შაბათობით, მისი ღირებულება იყო 7 რუბლი თბილისში, 7.50 ვერცხლის მანეთი ქალაქგარეთ. გაზეთის ოფიციალურ რედაქტორად ითვლებოდა „კავკაზის“ რედაქტორი ო. კონსტანტინოვი. 1847 წელს გაზეთის მუქი სათაური შეიცვალა მუქ ფონზე ამოყვანილი ყვავილოვანი შრიფტით. პირველ წელს გამომწერთა რიცხვი 138 იყო, მეორე წელს - 192. (სურ. 2, „კოვკასის“ ქუდი)

ჩვენი სტატიის მიზანი არ არის ამ გაზეთების დეტალური შედარება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ სომხურენოვანი „კოვკასი“ სტრუქტურულად სრული ასლი იყო „კავკაზისა“: ნუმერაცია, ფასი, გამოსვლის დღე. რუბრიკები განლაგებული იდენტურად (სათაურები, ქვესათაურები), საიმპერატორო ბრძანებები, საშინაო და საგარეო ამბები, ისტორიული,

⁹³ და არა ჰაკობ კარენიანი და მიქაელ პატკანიანი, როგორც მანამდე მიიჩნევდნენ მკვლევარები.

გეოგრაფიული და ზნეობრივი ნაწილი, სალიტერატურო განყოფილება. წარმოდგენილი იყო თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები, კავკასიის მთიელების წინააღმდეგ წარმოებული ომები, სომეხი საზოგადოების ცხოვრების ამსახველი მასალა. თუმცა ამ ყველაფრის გარდა, სომხურ გაზეთს ჰქონდა საკუთარი მისია - უნდა გაეტარებინა ეროვნული ინტერესი. ეს არ ეწერა მის სამოქმედო პროგრამაში, მაგრამ გაზეთის მოღვაწეობის უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენდა.

რაც შეეხება ამ ორი გაზეთის შინაარსს, რუსული გაზეთიდან იბეჭდებოდა ოფიციალური პოლიტიკური ამბები და მისი განხილვა-ანალიზი. ამ სახის სტატიები იბეჭდებოდა ძირითადად პირველ გვერდზე. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „კავკაზში“ დაბეჭდილი სომხური მასალა ძირითადად „კოვკასიდან“ ითარგმნებოდა და სომხეთში მიმდინარე მოვლენებს ან ხელოვნების სფეროს ეხებოდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს გაზეთები ორმხრივად ცვლიდნენ მასალას. ამ გარემოებას კარგად იყენებდნენ სომეხი მოღვაწეები და რუსულენოვან მკითხველს აცნობდნენ თავიანთ კულტურას.

„კოვკასში“ დაბეჭდილი სტატიების მცირე ჩამონათვალიც კი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის გაზეთის მესვეურთა მიზნებზე. გაზეთის პირველივე ნომერში დაიბეჭდა მეღვთისმეტყველის სტატია, რომელშიც დეტალურად იყო აღწერილი ნერსე აშტარაკელის დეკემბრის ვიზიტი თბილისში; დორპტის უნივერსიტეტის პროფესორის, კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაციის სამთო საქმის მთავარი მოხელის, ჰერმან აბიხის, ვრცელი სტატია „ასვლა არარატის მთის მწვერვალზე“ ერთდროულად დაიბეჭდა ორივე ენაზე (1846), *Кавказ*, N5-11; *Чилкши*, 1846, N5-8, 10-11); „კავკაზის“ რედაქციამ „Санкт-Петербургские ведомости“-დან გადმოიბეჭდა მარი ბროსეს ორი სტატია, რომლებიც იმავდროულად ითარგმნა და დაიბეჭდა „კოვკასში“. პირველი სტატია „სომხური მწერლობა“ ეძღვნებოდა მხითარაიანთა ძმობის მოღვაწეობას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჰოვანეს ხოსროვიანის სერიოზული გამოკვლევა „ქრისტიანობის ნაშთები ჩერქეზ სომხებში“ (*Чилкши*, 1846, N42, 44-46), რომელიც, ჰ. ერიციანის მიხედვით, კონსტანტინოვს სათარგმნად მიუცია მიქაელ პატკანიანისთვის „კავკაზში“ დასაბეჭდად (1846), *Кавказ*, N40, 42). ამ სტატიის თარგმანის გამო მ. ვორონცოვმა პატკანიანი დააჯილდოვა 50 რუბლით, ხოლო ავტორს იმპერატორისგან მიეცა გასამრჯელო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „კოვკასის“ სომხური რედაქცია ცდილობდა გაეშუქებინა ისეთი საკითხებიც, რომლებიც საინტერესო იქნებოდა ქართველი საზოგადოებისთვის, მაგალითად, სტატია ერეკლე მეორის მიერ სტამბის დაარსების შესახებ, ინფორმაცია საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მეორეშვიდის შესახებ და სხვა.

„კოვკასის“ პირველი და ერთადერთი მემბრანი ჰ. ერიციანი ცდილობდა აღედგინა გაზეთის რედაქციის თანამშრომლების სია, კორესპონდენტების რაოდენობა და რედაქტორების მოღვაწეობა. „კოვკასთან“ თანამშრომლობდა: 6 ვარდაპეტი, 9 მღვდელი და ეპისკოპოსი, 6 მასწავლებელი, ნერსესიანის სკოლის 7 და ლაზარიანის სემინარიის 4 მოსწავლე, 1 სამხედრო, 6 პოლიტიკური ფიგურა, 3 ექიმი, 3 მოქალაქე. მათი რაოდენობა, საერთო ჯამში, შეადგენდა 45 თანამშრომელს და მათი სახელების ჩამოთვლა დღევანდელ სტატიაში შორს წაგვიყვანდა. მნიშვნელოვანი იქნება მხოლოდ რუსეთის სომხურ ქალაქებში მცხოვრები კორესპონდენტების ჩამოთვლა, რადგან კორესპონდენტები ამავედროულად გაზეთებსაც ავრცელებდნენ თავიანთ ქალაქებში: მოსკოვში - მკრტიჩ ემინი, სანკტ-პეტერბურგში - ალაფონ აქიმინი, ბაქოში - დავით როსტომიანი, ერევანში - არსენ გელამიანი, სიმფეროპოლში - სარგის ტიგრანიანი, ყიზლარში - გასპარ ლომიძე, შამახში - მოვსეს ზოჰრაპიანი, კიშინიოვში - ექიმი არტემ ჰოვანესიანი. ცალკე უნდა აღინიშნოს ალექსანდროპოლში ჰოვ. ტიგრანიანის ღვაწლი - მან 1847 წელს 11 ახალი ხელმომწერის სია გამოგზავნა წერილთან ერთად. ასევე თბილისის

საპატიო მოქალაქე გაბრიელ თამაშმანი, რომელმაც „კოვკასის“ 16 ეგზემპლარი გამოწერა სომხური სკოლებისთვის.

ამგვარად, იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრები სომხებისთვის „კოვკასის“ გამოცემა იყო რუსეთის ინტერესებს ამოფარებული ეროვნული მნიშვნელობის მოვლენა, რომელმაც სათავე დაუდო არა მხოლოდ სომხური პერიოდიკის ისტორიას, არამედ ისეთ დიდ საქმეებს, როგორებიცაა: ეროვნული განათლება და ახალი სალიტერატურო ენის ფორმირება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვარდანანი, თ. (2002). სომხები თბილისში. დროის გამოწვევები და თემის პერსპექტივები. <http://www.noravank.am/am.pdf>
2. პარსამიანი, ვ.; ჰარუთიუნიანი შ. (1979). სომეხი ხალხის ისტორია (1801-1978 წწ.). ერევანი.
3. საქართველოს გაზეთი. 1819. N3.
4. ჭიჭინაძე, ზ. (1909). ისტორია ქართული სტამბისა და წიგნის ბეჭდვისა, 1709-1909. თფილისი.
5. Աբովյան, Խ. (1958). Ակնարկ թիֆլիսում ապրող հայերի կյանքի ու հատկապես նրանց հարսանեկան սովորությունների մասին, Երկերի լիակատար ժողովածու. Երևան.
6. Գալქեպետյան, Գ. (1893). Պատմություն հայ լրագրության, ի սկզբանէ մինչև մեր օրերը 1794-1860, Վիեննա
7. Հարո [Տեր-Հարությունյան, Ն.]. (1878). Հայ մամուլը Ռուսաստանում և Կովկասում: Թբիլիսի
8. Լևոնյան, Գ. (1934). Հայ պարբերական մամուլը. Յերևան. Մեքենայի ֆոնդ.
9. Մխիթարյան, Մ. (1994). Արևելահայ մամուլի սկզբնավորումը և լուսավորական շարժումը. Երևան.
10. Suny, R. G. (1994). The Making of Georgian Nation. Indiana University Press.
11. Zekiyan, B. L. (1997). The Armenian Way to Modernity. Armenian Identity between Tradition, Innovation, Specificity and Universality. Venezia: Supernova 68-70
12. Агаян, Ц. (1978). Присоединение Восточной Армении к России. (1814-1830). Сборник документов. Ереван. Академии Наук Армянской ССР.
13. Акты, собранные Кавказской археографической комиссией. 1866-1904. Тифлис.
14. Загурский, Л. (1873). Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г. *Записки Императорского русского географического общества*, кн. VIII
15. Марр, Н. (1915). Кавказский культурный мир и Армения. Петроград.

„Covcas“ - the first Armenian newspaper in the South Caucasus (Prerequisites and Challenges)

Ketevan Otarashvili
National Parliamentary Library of Georgia

Summary

„Covcas“ - the first Armenian newspaper in the South Caucasus was published In 1846 under the Protectorate of M. Vorontsov. The newspaper was founded to spread Imperial orders and politics among the local population. The newspaper's structure and content were taken from the Russian newspaper „Kavkaz“.

As only Russian newspaper „Kavkaz” had an editorial board, until the end of the twentieth century there was no information about the editorial staff of „Covcas“. According to the available data, three editors of „Covcas“ have been identified: Hakob Arzanyan, Hakob Karenian and Gabriel Patkanian.

On September 1 of 1846 editors have signed the agreement detailing the responsibilities of each in the editorial, issues related to the storage of funds, expenses, and donations were specified in the order of printing.

The Armenian newspaper had 45 correspondents all over the Russia they were also responsible for distributing the newspaper in their own cities. This Promoted to spread of new literary Armenian language reform in the Armenian diaspora of Russia.

However, the publishing of the Armenian newspaper had national importance hidden under the interests of Russia, which gave rise not only to the history of printing but also to other great ideas such as national education and the formation of a new literary language.



განათლება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)

ნატო სონღულაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ქართულ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია განათლების საკითხის შესწავლას სხვადასხვა ქრონოლოგიურ მონაკვეთში და არაერთი გამოკვლევაა შექმნილი ამ მიმართულებით. თუმცა ამჟერად ჩემი მიზანია შევისწავლო განათლება, როგორც: 1. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, 2. ეროვნული იდენტობის და 3. სოციალურ ფენათა დაახლოების საშუალება. ვფიქრობ, საკითხის ამგვარად შესწავლა მნიშვნელოვანი და აქტუალურია. ნაშრომის მიზანია გამოვარკვიოთ: 1. რა ფაქტორებმა განაპირობა საგანმანათლებლო სისტემის აქტუალურობა. 2. რა ფუნქცია შეიძინა 1918-1921 წლებში განათლებამ. 3. რა როლი ითამაშა განათლებამ ეროვნული ცნობიერების განმტკიცებაში და სხვადასხვა სოციალური ფენის დაახლოებაში. 4. რა ღონისძიებებს ატარებდა ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა საგანმანათლებლო სისტემის ასაღორძინებლად. 5. რა გავლენა იქონია განათლების სისტემის განვითარებისთვის ბრძოლაში რუსეთსა და ზოგადად, ევროპაში მიმდინარე ფაქტორებმა. 6. რა იყო ეპოქის გამოწვევა. რატომ 1918 - 1921 წლები? 1. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. მას, ერთი მხრივ, უნდა გადაეღაზა ფეოდალური სისტემის რღვევის შედეგად წარმოქმნილი პრობლემები, რათა ახალ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში დამკვიდრებულიყო, ჩამოყალიბებულიყო და, რაც მთავარია, განეგრძო ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად განსხვავებული გზით: შეიარაღებული გამოსვლების ნაცვლად განათლებით, ცოდნით, ორგანიზებულობით, ამასთან მისი მოთხოვნა ეპოქის, საქართველოს ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისი ყოფილიყო. 2. მეორე მხრივ, ეს არის პერიოდი, როდესაც ქართული კულტურული ელიტის ნაწილი ცდილობდა ნაციონალიზმის პროპაგანდას, ცოდნის ამალგებას, ქვეყნის ისტორიის გაცნობას ფართო ფენებში, წარსულის იდეალიზაციას, ეროვნული ფასეულობების დაცვის შეგნების გაღვივებას. 3. XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩნდება ახალი სოციალური ფენები: პროლეტარიატი და ბურჟუაზია, საფუძველი ეყრება სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიას, რომელთაც დამოუკიდებლობის მოპოვებისა და საქართველოს სამომავლო განვითარების საკუთარი ხედვა ჰქონდათ. ეს იყო ეროვნული იდეის ჩამოყალიბების, თავისუფლებისთვის ბრძოლის პერიოდი, რომელიც 1918 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საფუძველი გახდა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღნიშნული პრობლემის კვლევა აქტუალურია, რადგან:

1. თანამედროვე პერიოდში დიდი მნიშვნელობა ენიჭება განათლების ფაქტორს საზოგადოების აზროვნების ფორმირებაში. განათლების შესწავლის საკითხი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცოდნის გავრცელების, არამედ ეროვნული ცნობიერების განვითარებისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

2. დღეს, როდესაც ასეთი აქტუალურია ნაციონალიზმის საკითხი, შექმნილია სხვადასხვა თეორიული მიმდინარეობა და ზოგიერთი თეორიული მიმართულება, მაგალითად მოდერნიზმი, თანამედროვე ერის ჩამოყალიბებაში განათლების გავრცელებას დიდი ყურადღება ენიჭება, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს საქართველოს ისტორიის

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპის - 1918-1921 წლების - შესწავლა საგანმანათლებლო სისტემის თვალსაზრისით.

3. პრობლემისადმი ამგვარი მიდგომა სიახლეა და კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები საშუალებას მოგვცემს წარმოჩნდეს ეპოქის ახალი მოთხოვნის შესაბამისად სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის საჭიროება არა მარტო, როგორც მოსახლეობაში ცოდნის გავრცელების, არამედ მთლიანად ქართველი ერის ეროვნული ცნობიერების შენარჩუნების მთავარი საშუალება.

1. **განათლების როლი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროცესში.** კაპიტალისტური წყობის დამკვიდრებამ ახალი სოციალური ფენების - პროლეტარიატის და ბურჟუაზიის - ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ბატონყმობის გაუქმებამ მნიშვნელოვნად შეცვალა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სისტემა. ახალ გარემოში ახალი მოთხოვნები და გამოწვევები გაჩნდა. არა მხოლოდ პროლეტარიატი და ბურჟუაზია, არამედ მთელი საზოგადოება ძირეულ გარდაქმნებს განიცდიდა. მით უმეტეს, რომ XIX საუკუნეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ევროპაში საკმაოდ გაძლიერდა, რასაც შედეგად ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება მოჰყვა. საქართველო ამ ცვლილებებს განსხვავებულად ხვდება. ის, როგორც რუსეთის იმპერიის დაპყრობილი ნაწილი, ბუნებრივია, აქ მიმდინარე მოვლენების ზეგავლენას განიცდის და მაშინ, როცა ევროპაში ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობს, საქართველო თავისუფლებისთვის ბრძოლის ახალ გზებს ეძებს: ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა ბრძოლის განსხვავებული მეთოდებით - საზოგადოების ეროვნული ცნობიერების ამაღლებით - ცდილობს საერთო ქართული სივრცის შექმნას და ყველა სოციალური ფენის თანაბრად ჩართვას დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ეს პროცესი გრძელდება 1918-1921 წლებში. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, როგორ მოიაზრებოდა განათლების პროცესი.

2. განათლების მნიშვნელობა ეროვნული იდენტობის განმტკიცების პროცესში.

მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიის მიერ გაუქმდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ქართველი ერის მთავარი ლოიალობის ობიექტი - მეფე აღარ არსებობდა, გაუქმდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია, სასულიერო წოდების წარმომადგენლებს სერიოზული დაბრკოლებები შეექმნათ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული უფლებების რეალიზაციისთვის. ხაზგასასმელია, რომ ხალხთან მთავარი დამაკავშირებელი და ეროვნული იდეების მატარებელი ყოველთვის იყო სამღვდელოება. ამ უფლების ჩამორთმევის შემდეგ რუსეთმა მაინც ვერ შეძლო მრავალსაუკუნოვანი კავშირის სრული აღმოფხვრა ხალხსა და ეკლესიას შორის, საჭირო გახდა ახალი ორგანო, რომელიც ხელს შეუწყობდა ხალხთან კავშირს და, რაც მთავარია, ეროვნული იდეების ქადაგებას. სკოლა, გარდა იმისა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება იყო, მას ახალი ეპოქა ახალ მოთხოვნებს უყენებდა. ამიტომ საჭიროა გამოირკვეს: 1. რა როლი ჰქონდა და რა მეთოდებით მოითხოვდა ქართული კულტურული ელიტა ქართულ ენაზე წარმოებულ განათლებას. 2. რა ფორმით უნდა მომხდარიყო სკოლების საშუალებით ეკონომიკური, სამეურნეო განათლების და ეროვნული ცნობიერების ამაღლება, ამასთან თავისუფლებისთვის ბრძოლის პროცესში ყველა სოციალური ფენის ჩართვა.

3. **სოციალურ ფენათა დაახლოების საკითხი.** ბატონყმობის გაუქმებას შედეგად მოჰყვა კაპიტალისტური წყობის დამკვიდრება. ახალმა ეკონომიკურმა ფორმამ გარკვეული ცვლილებები გამოიწვია სოციალურ სისტემაში, ჩამოყალიბდა ახალი სოციალური ფენები: ბურჟუაზია და პროლეტარიატი. ფაქტობრივად გაქრობის საფრთხე შეექმნა თავადაზნაურობას, რაც ეტაპობრივად ხორციელდებოდა. გლეხებს შეეზღუდათ ფუნქციები,

მათ განსხვავებულ გარემოში თავის დამკვიდრება უჭირდათ. არაქართველთაგან შემდგარი ბურჟუაზია, რომელიც მატერიალური თვალსაზრისით ძლიერ ძალას წარმოადგენდა, ნაკლებად იყო დაინტერესებული ქართველი ერის მომავლით, პროლეტარიატი კი საწყის ეტაპზე კლასობრივი ცნობიერებით იყო შეპყრობილი. ეს ყოველივე უარყოფითად აისახებოდა ქართველთა ერთიანობაზე, ამიტომ საჭირო გახდა მტკიცედ ჩამოყალიბებული იდეოლოგია, რომლის ირგვლივაც გაერთიანდებოდა ქართველობა. როგორც ცნობილია, საქართველოში ეროვნული იდეის განვითარების თვალსაზრისით ახალი ეტაპი იწყება XIX საუკუნის II ნახევრიდან, როდესაც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან სამოციანელები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით და მათი მთავარი მიზანი ხდება ილიას მიერ დამკვიდრებული ლოზუნგის: „მამული, ენა, სარწმუნოება“ შენარჩუნებისთვის ბრძოლა. ეს არის იდეა, რომელიც ფაქტობრივად მთლიანად გასდევს XIX საუკუნის II ნახევრის ქართველი საზოგადოების წამყვანი ნაწილის, კულტურული და პოლიტიკური ელიტის, ბრძოლას ეროვნული ცნობიერების ამაღლებისთვის მოსახლეობის ფართო ფენებში და ეროვნული თავისუფლებისთვის. დავიწყებ იმით, რომ ილიას მიერ ერთიან ლოზუნგად დამკვიდრებული „მამული, ენა, სარწმუნოება“, საუკუნეების განმავლობაში, სხვადასხვა ეტაპზე ეპოქის მოთხოვნებიდან გამომდინარე დღის წესრიგში იდგა ყოველთვის, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში რომელიმე მათგანი წინა პლანზე იყო წამოწეული და განმსაზღვრელ როლს თამაშობდა. 1918-1921 წლებში კი თითოეული სიმბოლო მნიშვნელოვანი ხდება და განსაკუთრებულ ადგილს იკავებს დამოუკიდებელ საქართველოში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე კვლევის ობიექტია:

პირველი რესპუბლიკის პერიოდი - ეს ერთ-ერთი რთული მონაკვეთია საქართველოს ისტორიაში. ერთი მხრივ, ყალიბდება და მეორე მხრივ, განვითარებას განიცდის ეროვნული მოძრაობის იდეოლოგიური ფორმები, რომელთა უპირველეს გამოხატულებას წარმოადგენს განათლებული და საკუთარი ქვეყნის ისტორიის მცოდნე საზოგადოება. როგორც აღვნიშნე, XIX საუკუნის II ნახევრიდან დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროცესი განათლებული და ნაციონალური იდეის შეგნებით განმსჭვალული საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ იყო მიმართული. ამ პროცესის ლოგიკური გაგრძელებაა 1918-1921 წლებში მიმდინარე მოვლენები. დამოუკიდებელმა საქართველომ გეზი დასავლეთზე აიღო და მისი მიზანი გახდა ქვეყნის სხვადასხვა სფეროს ევროპეიზაცია, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი დაიკავა განათლების სფეროში. საქართველოს სახელმწიფომ საკუთარი მიზანი ნათლად გამოხატა დამფუძნებელი კრების 1919 წლის 12 მარტის სხდომაზე, სადაც ალექსანდრე ლომთათიძემ განაცხადა: „ჩვენ გვინდა აზია დავტოვოთ, ევროპის საერთო ხალხთა ოჯახში შევიდეთ და ჩვენი ძალით და სხვისი დახმარებითაც, თუ ეს დახმარება ვინმესგან გვეღირსება, გავხდეთ სწორუფლებიანი წევრი ევროპიულ ხალხებთან, ევროპიულ დემოკრატიათა და მათ სახელმწიფოთა საერთო ოჯახისა. ჩვენ გვინდა, რომ გაიგოს ეს ყველამ, გაუწიოს ამას ანგარიში, მე მგონი, რომ ის ევროპის სახელმწიფოები, რომლის წარმომადგენლები დღეს არიან აქ, დიდი ბრიტანეთი, განთქმული თავისი დემოკრატიული კონსტიტუციით, დიდი რევოლუციის აკვანი, დიდი საფრანგეთი, დემოკრატიული შვეიცარია, დიდი ამერიკა, ამას სათანადო ანგარიშს გაუწევენ და მართლაც, რომ ჩვენ გვერგება წილი ამ საკაცობრიო ლოზუნგის განხორციელების დროს, რომლის ძალით მცირე ერს და მის დემოკრატიას საშუალება უნდა მიეცეს თავის საკუთარი ზედი თვითონ გამოჰედოს“ (სეა, სცა, ფ. 1833, ა. 1, ს. 81).

ლ. ბოცვაძე 1917 წელს ჟურნალში „განათლება“ აღნიშნავდა: „დასაწყისში სახალხო სკოლები კი ჩვენში აუცილებლად უნდა გაჰყვეს ზოგად განათლების გზას, მაგრამ არა იმ

წესით, როგორც დღეს არის შემოღებული, არამედ სხვა გზითა და სხვა საშუალებით. ჩვენებური სახალხო განათლების საქმე მოითხოვს როგორც სკოლაში სასწავლო დროს გადიდებას, აგრეთვე სასწავლო საგნების შერჩევას, სკოლის საქმის სრულს რეორგანიზაციას, პროგრამის გაფართოებას, დედაენაზე საგნების სწავლების შემოღებას, საღი პედაგოგიური პრინციპების დაცვას და სკოლის ცხოვრებასთან დაახლოებას. თუ გვინდა, რომ ზოგად განათლების სკოლა საზოგადოდ და კერძოდ სახალხო სკოლა მართლა პირნათლად ემსახურებოდეს განათლების საქმეს, იგი ადგილობრივს პირობებთან შეგუებით ისე უნდა მოეწყოს, როგორც მოწინავე ქვეყანაშია. ევროპა და ამერიკა ამ მხრივაც საუკეთესო მაგალითს იძლევიან. ის, რაც ევროპისა და ამერიკის სკოლებში ბავშვის ბუნებრივი ნიჭის განვითარებას შეადგენს, ჩვენებურსა და რუსულ სკოლებში ან სრულად უარყოფილია, ან მხოლოდ ახლა ცდილობენ ამ გზით სკოლების განახლებას“ (ბოცვაძე (1917), ჟურნალი *განათლება*, 2, 89).

მართალია, 1918 წლის 26 მაისს აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მაგრამ სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა განათლების რეფორმას. 117 წლის განმავლობაში რუსული განათლების სისტემამ უარყოფითი კვალი დააჩნია ქართულ ეროვნულ ცნობიერებას, ამიტომ აღნიშნული მოვლენის ქართულ რეალობაზე მორგება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი იყო. განათლების როლი და ფაქტორი საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა და ამა თუ იმ საუკუნეში ეპოქის გამოწვევებიდან გამომდინარე საზოგადოების ცნობიერების ფორმირება-განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენდა. იმ პერიოდში, როდესაც საგანმანათლებლო სივრცეს ყურადღება მიექცა და სკოლას, უმაღლეს სასწავლებელს არა მხოლოდ განათლების მიცემის, ეროვნული და სახელმწიფოებრივი ფუნქცია მიენიჭა, საქართველო ამ ყოველივეს განსხვავებულ რეალობაში შეხვდა. რუსული მმართველობის სისტემამ განათლება მაქსიმალურად გამოიყენა ქართველი ხალხის გარუსებისა და გარდაქმნისთვის. სწორედ ამიტომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხელისუფლებაში მოსულ პოლიტიკურ თუ კულტურულ ელიტას ორმაგი საპასუხისმგებლო მისია დაეკისრა. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების მოგვარებასთან ერთად, საგარეო თუ საშინაო პრობლემების გადაჭრის ფონზე განათლების რეფორმა ქვეყნის ამოსავალი პრინციპი გახდა.

ბუნებრივია, განათლების პრობლემით დაინტერესება მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობისთვის არ ყოფილა დამახასიათებელი და ამ ყოველივეს გარკვეული წინაპირობები ჰქონდა. დავიწყოთ იმით, რომ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოში იწყება სრულიად ახალი ეტაპი, რაც გულისხმობდა განათლების მასშტაბის განსაკუთრებულ ზრდას და, რაც მთავარია, მის ხელმისაწვდომობას ყველა სოციალური ფენისთვის. განათლების გავრცელების საშუალებებსა და მეთოდებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მისი მასობრიობის საკითხი იყო. სწორედ აღნიშნულ პერიოდს უკავშირდება საგანმანათლებლო ცენტრების რაოდენობის ზრდა, განათლების ფაქტორის წინა პლანზე წამოწევა, მისი დაკავშირება ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ წინსვლასთან, ეროვნული ცნობიერების ამაღლებასთან.

XIX საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული 1918 წლამდე მაქსიმალურად ცდილობენ ქართული პოლიტიკური და კულტურული ელიტის წარმომადგენლები დამოუკიდებლობის უქონლობის, რუსიფიკაციის პირობებში ქართველი საზოგადოების ეროვნულ ფორმებში მოქცევას განათლების მეშვეობით. ამ მიმართულებით აღსანიშნავია თერგდალეულების მუშაობა ეროვნული თემატიკის აქტუალიზებაში. როგორც

აღვნიშნე, რუსული მმართველობის პირობებში შეზღუდული იყო საგანმანათლებლო სისტემის გააქტიურებაზე ზრუნვის აფიშირება და ქართველი საზოგადოების ის ნაწილი,

რომელიც მიზანმიმართულად ზრუნავდა ამ პრობლემის მოგვარება-განვითარებაზე, უფლებამუკვეცილი იყო. 1918 წლიდან ამ მიმართულებით სრულიად ახალი ეტაპი იწყება.

მართალია, 1918-1921 წლებში საქართველოს ხელისუფლების მიზანმიმართული და თავდაუზოგავი მუშაობის შედეგად განათლების სფეროს მოგვარება უმთავრეს საკითხად წამოწიეს და არაერთი ღონისძიება გაატარეს, საწყის ეტაპზე ჯერ კიდევ მრავალი პრობლემა არსებობდა, მაგალითად, სკოლებში ეროვნული საგნების შეტანის საკითხი. ბუნებრივია, როდესაც აღნიშნულ პერიოდს ვაფასებთ, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ის დრო საკმაოდ ხანმოკლე იყო ყველა დასახული მიზნისა და გეგმის განსახორციელებლად. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, დროის ეს მონაკვეთი ერთ-ერთი გამორჩეული იყო საქართველოს ისტორიაში თავისი მიღწევებით.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც იდგა 1918 წელს ახლად დამოუკიდებლობამოპოვებული საქართველოს წინაშე, იყო სკოლებში ეროვნული ხასიათის საგნების შეტანა. ეს კარგად ჩანს 1918 წლის 13 ნოემბერს ქალაქ თბილისის მეორე ქართული გიმნაზიის დირექტორისადმი ამავე გიმნაზიის მოსწავლეების განცხადებაში: „დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფოში ყოველ მცხოვრებს ესაჭიროება სახელმწიფო ენის ცოდნა და ნამეტნავად თვით ქართველობას. ჩვენ ტფილისის მე-2 ვაჟთა გიმნაზიის ქართველნი მოწაფენი, როგორც ასეთნი, მოკლებული ვიყავით სამშობლო ენის სათანადოდ შესწავლას. გვრცხვენოდა ჩვენი თავისა, რომ არ შეგვეძლო სამშობლო ენაზედ მსჯელობა ფართე საზოგადოებაში; იჩრდილებოდა ჩვენი გულის წადილი და სულიერი განცდა სწრაფად ქრებოდა, ვინაიდან ამას ენა ვერ გამოთქვამდა და სათანადო მომზადებაც არ მოგვეპოვებოდა. ასე მიდიოდნენ წელნი, მაგრამ ისტორიამ თავისი გაიტანა და საქართველოც ჩადგა თავისუფალ ერთა ლაშქარში. სახელმწიფოებრივი აპარატი სწრაფად იქმნება და ქართველი მოწინავე ახალგაზრდობაც უნდა მიეშველოს მას თავისი ცოდნით. ეს რომ შეასრულოს ქართველმა ეხლანდელმა ახალგაზრდობამ, მას სჭირია ზედმიწევნით მშობლიურ ენის ცოდნა, რომელიც გამოიხატება არა მარტო ქართული წერა-კითხვის შესწავლაში, არამედ ქართული ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის და მის კანონმდებლობის ცოდნის და შესწავლისაგან). ეს განხორციელებულია ჩვენს გიმნაზიაში/სახეში გვყავს მე-8 კლასი/, მაგრამ უკიდურესად მცირე მასშტაბში. საქართველოს ისტორიას სულ 2 გაკვეთილი აქვს კვირაში დათმობილი, მაშინ როდესაც ისეთ საგანს, როგორც არის რუსული ისტორია, რომლის შინაარსიც რამდენჯერმე გვაქვს შესწავლილი, 2-ჯერ აქვს ადგილი დათმობილი კვირაში. მართალია, ეს რუსული ისტორიის კურსი ზოგადად აშუქებს საგანს კულტურის და ეკონომიის მხრივ, მაგრამ ჩვენ მე-8 კლასის მოწაფეებს, რომელნიც აგერ რამდენიმე თვის შემდგომ უნდა წარვსდგეთ საზოგადოებათა წინაშე, გვესაჭიროება უფრო ჩვენი ერის, სამშობლოს ისტორიის ცოდნა, მისი კულტურის და ეკონომიის განვითარება, ვინაიდან ამიერიდგან მასთან გვექნება ყოველდღიურად საქმე“ (სეა, სცა, ფ. 1935, ა.1, ს. 211). ამასთანვე, განცხადებაში მოსწავლეები სვამენ კითხვას: „რა ვიქნებით ჩვენ? აქ არსებობს მხოლოდ ერთი პასუხი: ყოველ ჩვენგანის ქართული სახე დაიჩრდილება და როდესაც კამათი ჩამოვარდება საქართველოზე, მის ისტორიის განვითარებაზე, ჩვენ მხოლოდ შეგვრჩება სახეზედ წითელი ფერი“ (სეა, სცა, ფ. 1935, ა. 1, ს. 211). 1918 წლის გაზეთ „საქართველოში“ ვკითხულობთ: „სკოლა უნდა წარმოადგენდეს ცხოვრების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელ საშუალებას. რათა ეს დიდი გაჭირვება აიცილოს თავიდან სკოლამ, მან უნდა დაისახოს მიზნად დააკმაყოფილოს მინიმალური საჭიროება მოსწავლისა, გაუღვიძოს მას სურვილი სწავლის შეძენისა. შეაჩვიოს იგი ბეჯითობას, გულმოდგინე შრომას, მისცეს მის ხასიათს სიმკვიდრე-სიმტკიცე, განავარჯიშოს ბავშვი მოქმედებაში. აჩვენოს, თუ როგორ და რანაირად შეიძლება საჭირო

სწავლა-ცოდნის შეძენა, მისი სისტემაში მიყვანა და მისი ცხოვრებაში გამოყენება. ამ თვალსაზრისით უპირველეს დანიშნულებას სკოლისას წარმოადგენს მისი აღმზრდელობითი ხასიათი“ (1918), გაზეთი „საქართველო“, 2). ავტორის აზრით, აუცილებელია სკოლაში ისეთ საკითხებზე ყურადღების გამახვილება, როგორებიცაა: წერა-კითხვა, ანგარიში, ბუნების მოვლენათა ელემენტარული ცოდნა, ისტორია-გეოგრაფია, ხატვა-ხაზვა, ხელოსნობა-დურგლობა, ჭრა-კერვა და სხვ. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს ხელოვნებისა და ეთნოგრაფიის შესწავლას, რისთვისაც მიზანშეწონილად მიიჩნევს ექსკურსიების მოწყობას საქართველოს სხვადასხვა მხარეში. გარდა ამისა, იგი განსაკუთრებულად საუბრობს მშობლიური ენის, მწერლობისა და ლიტერატურის შესწავლის საჭიროებაზე (აუცილებლობაზე). სტატიაში ავტორი აგრეთვე წერს შემდეგ საკითხზე: „ყველას მოეხსენება, რომ რუსულ სკოლაში სამშობლოს სწავლებას არა ჰქონდა ადგილი. ეს ერთნაირად ითქმის როგორც დაბალის, ისე საშუალო და მაღალი სასწავლებლების შესახებ. აი მიზეზი, რის გამოც ჩვენ ძლიერ სუსტნი ვართ სამშობლოს ქვეყნის ცნობაში. ხშირად ქართლ-კახელი მოკლებულია ცოდნას შესახებ იმერეთის, სამეგრელო-სვანეთის და გურიის, მთიულეთის, რომელნიც მომწყვდეულნი არიან თავის მთებში, უცნობნი არიან ერთისა და მეორისა. გაცნობა სამშობლოსი, აგრეთვე პატრიო-ტულ-მამულიშვილობის გრძნობის განვითარების საქმეში. წარმოუდგენელია, როგორ უნდა აღედრას ბავშვს მამულის სიყვარული, როდესაც მისთვის „სამშობლო“ ცარიელი, უშინაარსო სიტყვის მეტს არაფერს შეადგენს“ („საქართველო“, 1918, გვ. 2).

აუცილებელ საჭიროებად იყო მიჩნეული შემდეგი პრობლემების გადაჭრა: „თუ გვსურს, რომ სკოლამ მიიღოს ეროვნული მიმართულება, იყოს ბავშვისთვის ნამდვილი დედა და არა როგორათაც აქამდინ „დედინაცვალი“, მან უნდა გააღოს ფართოდ თვისი კარი ყველას, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და წოდებისა. დემოკრატიულ საქართველოს სახელმწიფოში სახალხო განათლება უნდა იყოს სავალდებულო ყველასათვის. იგი უნდა გავრცელდეს განურჩევლად ყველა მოქალაქეზედ.... გაერთიანებულ სასწავლებელში არ უნდა იყოს სწავლის მხრივ არავითარი გარჩევა ვაჟთა და ქაღთა სასწავლებელთა შორის. სწავლა-განათლება უნდა სწარმოებდეს ერთნაირი კურსით, ერთნაირი პროგრამის საშუალებით. ქაღებს უნდა მიეცეთ ისეთივე უფლება, რომელნიც მიენიჭებიან ვაჟებს“ („საქართველო“, 1918:2). ასე რომ, 1918 წელს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის წინაშე სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტა დადგა დღის წესრიგში. 1918-1921 წლები მეტად რთული პერიოდია საქართველოს ისტორიაში. დამოუკიდებლობის გამოცხადებამ მრავალ დადებით მოვლენასთან ერთად ბევრი საზრუნავი მოიტანა. ეს დაკავშირებული იყო როგორც ეროვნული, ნაციონალური სიმბოლოების შენარჩუნება-აღორძინებასთან, ასევე პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ხასიათის რეფორმებთან, რომლებიც, საბოლოო ჯამში, ქართველი საზოგადოების ცნობიერების ახალ სახელმწიფოებრივ საზღვრებში მოქცევას ითვალისწინებდა. სხვადასხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გარდაქმნებთან და ღონისძიებებთან ერთად მოსაგვარებელი იყო ყველა ის პრობლემა, რომლებიც რუსული მმართველობის გადმონაშთს წარმოადგენდა. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხებოდა განათლების სისტემას. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა სკოლებში ქართულ ენაზე სწავლა-განათლების წარმართვა. როგორც აღვნიშნე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხელისუფლებამ არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა, მათ შორის გარდაქმნები განათლების სფეროში. ქართველი საზოგადოების ნაწილი ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის

დროს მაქსიმალურად ცდილობდა ფართო ფენებში განათლების დონის ამაღლებას და, ბუნებრივია, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეს საკითხი უპირველესი განხილვის საგანი გახდა. ეს უპირველესად გამოიხატებოდა სკოლების ნაციონალიზაციით, რომელსაც საფუძველი 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჩაეყარა, ხოლო 1918 წლიდან აღმავლობა განიცადა. ეს ყოველივე კი დაკავშირებული იყო სკოლების რეორგანიზაციის პროგრამასთან, რაც, პირველ ყოვლისა, გულისხმობდა ქართულ ენაზე სწავლა-განათლებას, ხოლო სასწავლო საგნებში: საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს გეოგრაფიის შეტანას. როგორც ითქვა, ამ მიმართულებით მოღვაწეობას ართულებდა საქართველოს, განსაკუთრებით თბილისის სკოლების ეროვნული შემადგენლობა. ცნობილია, რომ რუსეთის საიმპერატორო კარმა საქართველოში სხვადასხვა ეროვნების ხალხის ჩამოსახლებას შეუწყო ხელი, რამაც მთელი სიმწვავით თავი იჩინა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. 1918 წლის მონაცემებით, ზოგიერთ სკოლაში ქართველებს არაქართველები სჭარბობდნენ.

1918-1921 წლებში, მაშინ, როცა საქართველოს რესპუბლიკა ვითარდებოდა და წელში გამართვას ცდილობდა, ფორმალურად თუ არაფორმალურად მთელი საზოგადოება, ქალაქების წარმომადგენლები ცდილობდნენ შეექმნათ დემოკრატიული და გახსნილი სივრცეები, რომლებიც ხელმისაწვდომი გახდებოდა ყველა დაინტერესებული პირისთვის. რაც მთავარია, ამგვარ ადგილას მოხვედრილი ნებისმიერი მოქალაქე მეტად მნიშვნელოვან ფასეულ ინფორმაციასა თუ ცოდნას მიიღებდა და ეს ურთიერთობა ნაყოფიერ შედეგს მოიტანდა ზოგადად. სახალხო უნივერსიტეტებში იმართებოდა საინტერესო ლექციები ისეთ თემებზე, როგორებიცაა: ძველი და ახალი ქართული ლიტერატურა, მსოფლიო და საქართველოს ისტორია, ბუნებისმეტყველება, პოლიტიკური ეკონომიკა, ქალთა ჰიგიენა, ფიზიოლოგია, გეოგრაფია და ა. შ. აი როგორ აღწერს 1919 წელს „სახალხო საქმეში“ დაბეჭდილ ერთ წერილში უცნობი „მოკეთე“ სახალხო უნივერსიტეტის მნიშვნელობას:

„სახალხო უნივერსიტეტის მოღვაწეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების იმ ელემენტებისთვის, რომელთაც სიღარიბისა თუ სხვა მიზეზების გამო თავის დროს ვერ მიუღიათ განათლება“ (საქართველოს... 2018: 206). როგორც ჩანს, სახალხო უნივერსიტეტი საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული თბილისში, მისი ფილიალები არსებობდა პრაქტიკულად დედაქალაქის ყველა უბანში და საზოგადოება დიდ ინტერესს იჩენდა ლექციებისა და დისკუსიების მიმართ. უკვე აღინიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ მრავალი კარდინალური პრობლემის გადაჭრა დააყენა დღის წესრიგში. გარდა იმისა, რომ პოლიტიკური თუ კულტურული ელიტის მთავარი ამოცანა იყო ეროვნული ღირებულებების შენარჩუნება და ახლებური ფორმით აღორძინება-განმტკიცება, ამას ემატებოდა სახელმწიფო ინსტიტუციების ჩამოყალიბება და საზოგადოებაში მათი მნიშვნელობის დასაბუთება. როგორც ვთქვით და როგორც განხილული მასალა მოწმობს, განათლების საკითხი გახდა დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპი, რომელიც ქვეყნის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს დაუკავშირდა. განათლებამ, გარდა საყოველთაო დატვირთვისა, შეიძინა ეროვნული, ეკონომიკური, სახელმწიფოებრივი ფუნქცია და პირდაპირ თუ ირიბად ახლად თავისუფლებამოპოვებული ქართული სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი გახდა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ალექსანდრე ჯაბაძარის მოსაზრება: „აღიარებული დამოუკიდებლობა საქართველოსი არის პირველი გვერდი საქართველოს ახალი ისტორიისა. თუ ეს არის დასაწყისი საქართველოს აღორძინებისა, ამავე დროს, ეს იქნება ქართველთა პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოუკიდებელ ცხოვრების უნარის მაჩვენებელი მომავალში.

დამოუკიდებლობის შენარჩუნება და ჩვენი გაძლიერება ჩვენს ხელთ არის, ჩვენს მუშაობაზედ არის დამოკიდებული. გათავდა პოლიტიკის წარმოება, უნდა გათავდეს კინკლაობა პარტიულ ნიადაგზე. ახლა საჭიროა შეერთებული მხნეობით, ცოდნით და სამშობლოსადმი მუშაობა, მუშაობა დღე და ღამე, მუშაობა ინტენსიური ყოველ დარგში. თუ გვინდა შევინარჩუნოთ დამოუკიდებლობა და დავიკავოთ საპატიო ადგილი კულტურულ სახელმწიფოთა შორის, ჩვენ უნდა შევექმნათ საკუთარი მრეწველობა, ჩვენმა ერმა უნდა შექმნას საერო სიმდიდრე. ერმა თავისი თავი უნდა შეინახოს თავისივე მეურნეობით, ამავე მეურნეობამ უნდა მისცეს მას საშუალება კულტურული განვითარებისათვის. რამდენად უკეთ იქნება მოწყობილი მეურნეობა, იმდენად მეტად განვითარდება ერი, როგორც კულტურულად, აგრეთვე პოლიტიკურად. ჩვენი მომავალი, ჩვენი კეთილდღეობა ჩვენზეა დამოკიდებული“ (ჯაბადარი, (1920), სახალხო მეურნეობის შექმნა-განვითარება. გაზეთი „საქართველო“).

სკოლის და განათლების ფუნქცია მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. გარდა იმისა, რომ სკოლას უნდა მიეცა მოსწავლეებისთვის ზოგადი განათლება, მას დაეკისრა ეროვნული, ეკონომიკური ფუნქცია, რომელთა მეშვეობით უნდა ამაღლებულიყო საზოგადოების ცნობიერება, რასაც შედეგად მოჰყვებოდა სახელმწიფოებრივი ინსტიტუციებისა და ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განმტკიცება. „სკოლის საშუალებით უნდა ვრცელდებოდეს ხალხში არა მარტო საზოგადო განათლება, არამედ სასარგებლო სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო ცოდნაც. ეს ცოდნა ხელს უწყობს ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას. ამიტომ პირველ საჭიროებად უნდა ჩაითვალოს გახსნა ისეთი სასწავლებლებისა, რომლებიც გაავრცელებენ ხალხში სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო ცოდნას. გორის მაზრაში ამ თავითვე საჭიროა გაიხსნას ერთი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, რომელიც მისცემს თავის მოწაფეს საჭირო თეორეტიულ და პრაქტიკულ ცოდნას და ამასთან იქნება ხელმძღვანელი ორგანო სამაზრო ერობისათვის მის სასოფლო-სამეურნეო მოღვაწეობაში“ (სეა, სცა, ფ. 1833, ა. 1, ს. 273).

მართალია, ეს საკითხი აქ გორის მაზრის მაგალითზეა განხილული, თუმცა სასოფლო-სამეურნეო განათლების საჭიროების დასაბუთება ახალი მოვლენა 1918-1921 წლების საქართველოში ნამდვილად არ იყო და როგორც განხილული მასალა მოწმობს, ყოველივე ამას საფუძველი უფრო ადრეც ეყრება. საშურ საქმედ მიიჩნეოდა სახელოსნოების გახსნა, ისინი შესაფერისი ცოდნით აღჭურვილ მოსწავლეებს მოამზადებდა, რაც, საბოლოო ჯამში, ქვეყანას ეკონომიკური პოტენციალის განვითარების საკითხში მცოდნე სპეციალისტებს შესძენდა, თან რაც შეიძლება ბევრს. „უპირველეს ყოვლისა საჭიროა ორი სახელოსნო: ერთი რკინის დასამუშავებელი და მეორე ხის დასამუშავებელი. ამ ორ საგანს - რკინას და ხეს ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოთ ადამიანის და კერძოდ, სოფლის მეურნეობის ცხოვრებაში, რომ საჭიროა თითქმის ყველა ადამიანმა იცოდეს მათი ასეთი თუ ისეთი დამუშავება. სოფლის მეურნისათვის კი ასეთი ცოდნა აუცილებელი საჭიროებაა.

ცოტაოდენი სასოფლო-სამეურნეო ცოდნა შეიძლება გავრცელდეს ხალხში, პირველდაწყებითი სახალხო სკოლების საშუალებითაც. ამისათვის საჭიროა, ამ სკოლების მასწავლებელნი იყვნენ აღჭურვილნი შესაფერისი ცოდნით და რომ მასწავლებლებად შეეძლოთ ასეთი ცოდნის შეძენა, უნდა იმართებოდეს თვითეული მაზრის ერობის მიერ კურსები ზაფხულობით. რასაკვირველია, ამ გზით გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო ცოდნა ვერ შეედრება იმ ცოდნას, რომელსაც გაავრცელებს ხალხში სპეციალური სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, მაგრამ ვიდრე გაიმართებოდეს მაზრაში საკმაო რიცხვი სპეციალური სასწავლებლებისა, მაგალითად, ამ გზით გავრცელდეს ხალხში ცოდნა მეზოსტნეობისა, მეზაღეობისა, მეფუტკრეობისა, ყვავილების მოშენებისა და სხვა... ამისთვის

საჭიროა სკოლას ჰქონდეს ალაგი და ჰყავდეს მცოდნე მასწავლებელი“ (სეა, სცა, ფ. 1833, ა. 1, ს. 273:51).

1918 წელს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქვეყანაში დაიწყო სრულიად ახალი ეტაპი. მეცნიერთა ნაწილი აღნიშნულ ქრონოლოგიურ მონაკვეთს - დადებითად, ნაწილი კი უარყოფითად აფასებს. ფაქტი ერთია, 1918-1921 წლებში ქვეყანა ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა და 117 წლის განმავლობაში დაკარგული დამოუკიდებლობის შემდეგ საზოგადოება თავისუფალ ქვეყანაში იწყებს ცხოვრებას, რაც მთავარია, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლება ძალ-ღონეს არ იშურებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განვითარებისა და სრულფასოვან სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისთვის.

1918-1921 წლებში განხორციელდა არაერთი რეფორმა, რომელსაც შედეგად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და რელიგიური გარდაქმნები უნდა მოჰყოლოდა. განათლების საკითხი კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო.

XIX საუკუნეში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ ყველაზე მძლავრი დარტყმა ქართულ ენასა და მართლმადიდებელ ეკლესიას მიაყენა, რაც მათი რუსიფიკაციით გამოიხატა. XIX საუკუნის 60-იანი წლების რეფორმებს, რომლებიც გამოწვეული იყო გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური თუ ეკონომიკური ვითარებით, მოჰყვა ცვლილებები განათლების დარგშიც; მართალია, თვითმპყრობელობა იძულებული იყო გაეხსნა სკოლები, გაეზარდა მათი რიცხვი, მიეცა ცოდნის ერთგვარი მინიმუმი ახალგაზრდობისთვის, მაგრამ ეს იმდენად განხორციელდა, რამდენადაც აუცილებელი იყო გაბატონებული ფენებისთვის - მემამულეებისა და კაპიტალისტებისთვის. გარდა ამისა, სკოლას რუსეთის ხელისუფლება მიიჩნევდა თავისი პოლიტიკის გატარებისა და არსებული სახელმწიფოებრივი წყობილების განმტკიცების იარაღად. განათლების სისტემას ის აკისრებდა პოლიტიკურ ამოცანებს, მას უნდა აღეზარდა თვითმპყრობელობის მონა-მორჩილი და ერთგული ადამიანები, გაერუსებინა არარუსი მოსახლეობა, ეწარმოებინა ბრძოლა რევოლუციური იდეების წინააღმდეგ. შესაბამისად, სახალხო განათლების ორგანოებს უფრო პოლიტიკური ფუნქცია ეკისრებოდა, ვიდრე კულტურულ-საგანმანათლებლო (სიგუა, 1979, გვ. 22).

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, როგორც აღინიშნა, სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო. შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ბრძოლა და შემდეგ უკვე თავისუფალი სახელმწიფოს მშენებლობა მარტივი არ ყოფილა. ეს პროცესი დიდი დამაბულობისა და დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა.

საქართველოს ისტორიაში არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი მონაკვეთია, რომელიც დღეისათვის განსაკუთრებული შესწავლის და შეფასების ობიექტია. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია 1918-1921 წლების მოვლენებს. ამ ქრონოლოგიური პერიოდის შესწავლას დიდი ყურადღება მიექცა საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, როდესაც ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცა თავისუფალად ეწერა სასურველ პერიოდზე და ღიად დაეფიქსირებინა საკუთარი მოსაზრებები. დემოკრატიული რესპუბლიკის ხანას არაერთი სამეცნიერო გამოკვლევა მიემდვნა და მათ შორის განათლების საკითხებს, თუმცა, როგორც განხილული მასალა მოწმობს, ჩვენი მიზანი იყო სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურის, ბეჭდური მედიისა და საარქივო დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე შეგვეფასებინა საგანმანათლებლო სისტემის ძირითადი ნიშნები 1918-1921 წლებში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბოცვაძე, ლ. (1917). სახალხო სკოლა და საპროფესიო განათლება. ჟურნალი, „განათლება“. 2.
 2. ნატროშვილი, ა. (1918). სკოლის ნაციონალიზაცია საქართველოში. გაზეთი „საქართველო“.
- 184
3. სიგუა, ს. (1979). ნარკვევები სახალხო განათლებისა და პედაგოგიურ იდეათა განვითარების ისტორიიდან საქართველოში. თბილისი.
 4. საქართველოს რეგიონების ცხოვრება 1918-1921 წლებში (2018). თბილისი.
 5. საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სეა, სცა), ფ. 1833, ა. 1, ს. 81.
 6. საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სეა, სცა), ფ. 1935, ა. 1, ს. 211.
 7. საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სეა, სცა), ფ. 1833, აღწ. 1, ს. 273.
 8. ჯაბადარი, აღ. (1920). სახალხო მეურნეობის შექმნა-განვითარება. გაზეთი „საქართველო“.

The Educational System in the Democratic Republic of Georgia (1918-1921)

Nato Songulashvili

Doctor of History, Associate Professor of Georgian Technical University

Summary

The study of the issue of education within different chronological framework occupies an important place in Georgian historiography. Many research works have been created in this direction. However, due to the topicality and importance of the issue, the present research aims to study the influence of education on 1. the national liberation movement, 2. national identity, and 3. social rapprochement processes.

The aim of the work is to identify: 1. The factors that contributed to the urgency of the educational system; 2. The function of education, which was acquired in 1918-1921; 3. The role of education in strengthening national consciousness and drawing different social strata together 4. The measures were taken by the Georgian cultural and political elite for reviving the educational system 5. The factors proceeding in Russia and, in general, in Europe that had an impact on the struggle for development of the educational system; 6. The challenges of the epoch.

პოლონეთის არქივის Archiwum Akt Nowych დოკუმენტები პოლონურ-ქართული
სამხედრო ურთიერთობის ერთი დეტალის შესახებ
(რადიოსადგურის საკითხი 1923 წელი)

მიხეილ ბახტაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პოლონეთის ახალი ისტორიის არქივში Archiwum Akt Nowych მრავლად ინახება დოკუმენტები, რომლებიც საინტერესო ცნობებს გვაწვდიან როგორც საქართველოს

დემოკრატიული რესპუბლიკის, ასევე XX საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოსა და ქართული ემიგრაციის შესახებ (ასევე ძალიან საინტერესო დოკუმენტებია პოლონეთის სამხედრო არქივშიც). განსაკუთრებით საინტერესოა დოკუმენტები, რომლებიც ეხება ქართული ემიგრაციის მოღვაწეობას და 1921-1924 წლებში საქართველოში არსებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. პოლონეთი იყო სახელმწიფო რომელიც ალბათ ყველაზე მეტად ეხმარებოდა როგორც ქართულ ემიგრაციას ასევე ანტისაბჭოთა მოძრაობას საქართველოში. მარშალ იუზეფ პილსუდსკი აღმოსავლური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო პრომეთეისტული მოძრაობა, რომელშიც ძალიან აქტიურად იყვნენ ჩართული ქართველები და მნიშვნელოვან როლსაც თამაშობდნენ. ასზე მეტი ქართველი, მათ შორის ექვსი გენერალი (ალექსანდრე ზაქარიადე, ზაქარია ბაქრაძე, კირილე ქუთათელაძე, ალექსანდრე კონიაშვილი, ალექსანდრე ჩხეიძე, ივანე ყაზბეგი) მსახურობდა პოლონეთის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში. ყოველივე ეს ცხადია მნიშვნელოვნად განაპირობებდა პოლონეთის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობის ინტერესს საქართველოსა და ქართული ემიგრაციისადმი.

დოკუმენტები, რომლებიც ინახება არქივში Archiwum Akt Nowych და ეხება ქართველებსა და საქართველოს შეიძლება პირობითად დავყოთ სამ ნაწილად. პირველი - დოკუმენტები, რომლებიც შესწავლილია და გამოქვეყნებულია პოლონელი ან პოლონეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერების (ვოიცეხ მატერსკი, პაველ ლიბერა, პაველ ოლშევსკი, გჟეგო მაზური, მარეკ მუნჯიკი, დავით ყოლბაია და სხვ.) მიერ. თუმცა ეს დოკუმენტები შედარებით ნაკლებადაა ცნობილი ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის, რადგან უმეტესობა პოლონურ ენაზე გამოცემულ სამეცნიერო ნაშრომებში თავმოყრილი. მეორე - დოკუმენტები, რომლებიც ცნობილია პოლონელი მეცნიერებისთვის, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ჯერ-ჯერობით არ არის გამოქვეყნებული. მესამე - ეს ის დოკუმენტებია, რომლებსაც პოლონელმა მეცნიერებმა ყურადღება ნაკლებად მიაქციეს, რადგან მათთვის საინტერესო ინფორმაციას არ შეიცავდა, მაგრამ საინტერესოა ჩვენთვის.

Archiwum Akt Nowych-ში არსებული „ქართული“ დოკუმენტები სხვადასხვა ფონდებშია გაბნეული (გენერალური შტაბის - ფონდი 1190, სამხედრო ატაშების - 1191, სამხედრო სამინისტრო - 1192 და სხვ.). მათ შორის ძალიან საინტერესოა სამხედრო ატაშების ფონდი. პოლონეთის რესპუბლიკას სამხედრო ატაშები ყავდა: კონსტანტინოპოლში (შემდეგ ანკარაში), პარიზში, ბუქარესტში, მოსკოვში, ვაშინგტონში და სხვ. ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტებია კონსტანტინოპოლში მოღვაწე სამხედრო ატაშის პოლკოვნიკ ლეონ ბობიციკის ფონდში. აღსანიშნავია და გასათვალისწინებელი შემდეგი მომენტი, პოლონეთის სახელმწიფოს „სადაზვერვო აპარატის სტრუქტურაში მნიშვნელოვან როლს წარმოადგენდნენ სამხედრო ატაშები, რომლებსაც გენერალური შტაბისთვის (sztab glówni) უნდა მოეწოდებინათ სამხედრო-პოლიტიკური ინფორმაცია იმ სახელმწიფოს შესახებ, რომელშიც იყვნენ მივლინებული. მართალია ისინი დიპლომატიური კორპუსისი ნაწილს წარმოადგენდნენ და ფორმალურად ექვემდებარებოდნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, მოადგილეს ან ელჩს, მაგრამ რეალურად მათი ხელმძღვანელი, მე-2 განყოფილების უფროსის მეშვეობით გენერალური შტაბის უფროსი. სამხედრო ატაშების მოვალეობა იყო, ჟეჩიპოსპლიტას⁹⁴ სამხედრო ძალების ინტერესების შესაბამისი წარდგენები და ოფიციალური საქმიანობა. ამავე დროს ის იყო გარნიზონის კომენდანტი პოლონეთის არმიის იმ ოფიცრებისა და რიგითებისთვის, რომლებიც მუდმივად ან დრებით იმყოფებოდნენ აღნიშნული

⁹⁴ მეორე ჟეჩიპოსპლიტა - ასე უწოდებენ 1918-1939 წლებში არსებულ პოლონეთის რესპუბლიკას.

სახელმწიფოს ტერიტორიაზე. პოლონეთის რესპუბლიკის სამხედრო ატაშეები ცალკეულ ევროპულ სახელმწიფოებში, გამომდინარე მათი ადგილმდებარეობიდან, ასევე ასრულებდნენ სხვა სახის დავალებებსაც.⁹⁵ თურქეთში, ჯერ კონსტანტინოპოლში ხოლო შემდეგ ანკარაში მოღვაწე სამხედრო ატაშეს „დავალებული ქონდა თვალყურის დევნება სსრკ-ს სამხრეთ ტერიტორიებზე, კავკასიის მნიშვნელობის გათვალისწინებით. ამის გარდა, პოლონელი სამხედრო ატაშე თურქეთის დედაქალაქში თვალს ადევნებდა „საბჭოების კამპანიას ახლო აღმოსავლეთში“ და ასევე, მოქმედებდა საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის განმათავისუფლებელი მოძრაობების საკოორდინაციოდ“. უფრო მეტიც, სამხედრო ატაშეს კონსტანტინოპოლში პირდაპირ ევალეობდა სადაზვერვო საქმიანობის ორგანიზება სამხრეთ კავკასიაში⁹⁶. ამიტომ ბუნებრივია რომ თურქეთში მყოფი სამხედრო ატაშე მეტად კარგად იყო ინფორმირებული საქართველოში და ზოგადად სამხრეთ კავკასიაში არსებული ვითარების შესახებ. ამავე დროს ის ძალიან აქტიურად თანამშრომლობდა კონსტანტინოპოლში მყოფ ქართულ ემიგრაციასთან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლონეთის სამხედრო ატაშე კონსტანტინოპოლში 1921-1924 წლებში იყო პოლკოვნიკი ლეონ ბობიცი. სწორედ მისი მეშვეობით უკავშირებოდა ქართული ემიგრაცია პოლონეთის სამხედრო ხელისუფლებას, კონკრეტულად კი გენერალურ შტაბს. ლეონ ბობიცი დაიბადა 1887 წლის 10 აპრილს. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. მასახურობდა რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედ მე-2 პოლონურ კორპუსში. 1927 წლის ბოლოს კაპიტანია. შემდეგ მსახურობდა გენერალ იუზეფ ჰალერის შენაერთში. პოდპოლკოვნიკის ჩინით იყო პოლონელი მსროლელების მე-4 დივიზიის შტაბის უფროსი. 1920 წელს მონაწილეობდა პოლონეთ-ბოლშევიკების ომში. ქვეითთა მე-10 დივიზიის შტაბის უფროსი იყო. იმავე წლის ოქტომბერში აქტიურად მონაწილეობდა გენერალ ლუციან ჟელიგოვსკის მიერ ცენტრალური ლიტვის ტერიტორიის დაკავების ოპერაციაში, ე.წ. „ჟელიგოვსკის აჯანყება“. 1921-1924 წლებში იყო სამხედრო ატაშე კონსტანტინოპოლში. 1929 წელს გავიდა თადარიგში.

პოლკოვნიკ ბობიციის ფონდში ბევრი საინტერესო დოკუმენტია. ამჯერად ყურადღება გვინდა შეაჩეროთ ორ მათგანზე, რომელიც პოლონურ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის ეხება ერთ კონკრეტულ ფაქტს.

პირველი დოკუმენტი თარიღდება 1923 წლის 3 ივლისით.

„სამხედრო სამინისტრო
(გენერალური შტაბი)

ვარშავა 3 ივლისი 1923 წელი
სრულიად საიდუმლოდ

II განყოფილება

სამხედრო ატაშეს კონსტანტინოპოლში

თანახმად ამა წლის 10/V-ის წერილისა ნომერი 435/23 საქართველოს სამხედრო ორგანიზაციისთვის აპარატისა და რადიოსადაზვერვო საქმიანობისათვის საჭირო ინსტრუქციების გაგზავნასთან დაკავშირებით (იხილეთ 1922 წლის 7/XI-ის დეპეშა ნომერი 28788/II Inf. III.D.) ვაგზავნი: ერთ რადიომიმღებს „Polradio“, საბჭოთა რუსეთის რადიოსატელეგრაფო სადგურების შიფრს და ინსტრუქციას რადიოსადაზვერვო საქმიანობის წარმართვისთვის.

⁹⁵ Andrzej Peplonski, Wywiad Polski na ZSRR 1921-1939. Warszawa გვ. 66-68

⁹⁶ Andrzej Peplonski, Wywiad Polski na ZSRR 1921-1939. Warszawa გვ. 99

აღნიშნულ ტექნიკურ აღჭურვილობაში არ ვაგზავნი ანოდურ ბატარეას (აკუმულატორს). სასურველი იქნებოდა ასეთის შეძენა ადგილზე.

რადიოსადაზვერვო საქმიანობის წესები, ქართულ ორგანიზაციასთან განხილული იყო კაპიტან კოვალევსკის კონსტანტინოპოლში ყოფნისას 1922 წლის სექტემბერში.

დამატებით ზემოთ ნათქვამთან, ჩამოვთვლი აღნიშნული ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელი მოსმენის მთავარ ამოცანებს:

1) ძირითადად მოსმენა მიმართული უნდა იყოს ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონზე და ამიერკავკასიაზე, საველე სადგურებისა და ასევე იმათი ჩათვლით, ვინც ახორციელებს მკაცრად სამხედრო მიმოწერას.

2) მოსმენილი მასალის საფუძველზე უნდა შემუშავდეს łączności polówek სქემები და მოხდეს ამ მიმოწერის დახასიათება.

3) მოსმენის მთელი მასალა უნდა გამოიგზავნოს ამ განყოფილებაში, კონსტანტინოპოლში სამხედრო ატაშეს მეშვეობით.

ზემოთ ნახსენებ მთელ მასალაში იგულისხმება:

ა) სადგურის ჟურნალი

ბ) საკუთრივ მოსმენის მასალები (დახასიათება, მონაცემები o miejscach postoju polówek , ან სამხედრო ნაწილების კომუნიკაციებისა და მიმოწერის შესახებ).

რაც შეეხება იქაური ორგანიზაციის თანამშრომლობას გენერალურ შტაბთან, ეს შესაძლებელია დაიწყოს ქართული რადიოსადაზვერვო სადგურის აწყობისა და ორგანიზაციის შემდეგ.

ამავდროულად, გთხოვთ გამოიგზავნოთ: რადიომიმღები აპარატისა და ინსტრუქციების კვითრის ასლი, ინფორმაცია იქაური სადგურის ორგანიზაციის შესახებ (პერსონალი, აწყობის ადგილი, სამუშაო გრაფიკი), ასევე თუ რამე საჭიროება იქნება ტექნიკური ან ინსტრუქციული, რომლებიც აუცილებელია რადიოსადაზვერვო საქმიანობის განსახორციელებლად და ბოლოს გენერალური შტაბის II განყოფილებასთან თანამშრომლობისთვის ყველაზე შესაფერისი პრინციპები.

გენერალური შტაბის II განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

შხაეტზელი

გენერალური შტაბის მაიორი.⁹⁷

პოლონეთის გენერალური შტაბის II განყოფილება სხვა საკითხებთან ერთად ხელმძღვანელობდა დაზვერვასა და კონტრდაზვერვას. თადეუმ შხაეტზელი კი, რომელიც წერილის ავტორია პოლონეთის სადაზვერვო სასახურების შექმნის პირველივე დღიდან აქტიურად იყო ჩართული მათ საქმიანობაში. მოგვიანებით, 1924-1926 წლებში, იყო სამხედრო ატაშე ანკარაში.

წერილის მთავარი ინფორმაციაა, რომ პოლონეთი ქართველებს გადასცემს რადიომიმღებ სადგურს, რომლითაც საქართველოში უნდა ყოფილიყო შემოტანილი და აწყობილი. მისი ამუშავების შემდეგ ქართველებს შეეძლევოდათ რადიოდაზვერვა ანუ საბჭოთა წითელი არმიის და მასთან დაკავშირებული სტრუქტურების რადიოგადაცემების მიღება. ცხადია შემდეგ მოხდებოდა დაშიფრული ინფორმაციის დეშიფრაცია. ამისთვის საგანგებოდ იგზავნებოდა საბჭოთა რადისატელეფონა სადგურების მიერ გამოყენებული

⁹⁷ Warszawa. Archiwum Akt Nowych. ფონდი 1191, საქმე A II 33 (5), გვ. 90.

შიფრი. როგორ უნდა მომხდარიყო რადიოსადგურის საბჭოთა საქართველოში შემოტანა ეს წერილიდან არ ჩანს.

ცხადი ხდება, რომ რადიომიმღები სადგურის საკითხი ქართულ პოლიტიკურ და სამხედრო ემიგრაციასთან განხილული იყო კონსტანტინოპოლში 1922 წლის სექტემბერში. ამ მიზნით ვარშავიდან გამოგზავნილი იყო კაპიტანი კოვალევსკი. კონკრეტულად ვინ მონაწილეობდა ქართული მხრიდან უცნობია.

მოსმენა უნდა განხორციელებულიყო ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის მასშტაბით. მასალები საბოლოოდ უნდა გაგზავნილიყო პოლონეთის გენერალური შტაბის II განყოფილებაში, პოლკოვნიკ ბობიციკის მეშვეობით. ვინ და როგორ მიაწოდბდა ამ მასალებს საქართველოდან კონსტანტინოპოლში მყოფ პოლონეთის რესპუბლიკის სამხედრო ატაშს გაურკვეველია.

საინტერესოა წერილში დაცული კიდევ ორი ინფორმაცია. პირველი - პოლონეთის სამხედრო ხელმძღვანელობა შესაძლებლად თვლიდა თანამშრომლობას „იქაურ ორგანიზაციასთან“ ანუ საქართველოში არსებულ რომელიმე ორგანიზაციასთან. მეორე - ამ თანამშრომლობის პრინციპები უნდა შეემუშაებინა პოლკოვნიკ ბობიციკის და შემდეგ გაეცნო საკუთარი ხელმძღვანელობისთვის.

თუმცა წერილში დასახელებულია ერთი პირობა, რომლის შესრულების შემდეგაც იყო შესაზღვრელი თანამშრომლობის საკითხის განხილვა. ქართველებს უნდა მიეღოთ რადიომიმღები სადგური, აეწყოთ ის და დაეწყოთ რადიოდაზვერვა. სავარაუდოდ ამით პოლონეთის სამხედრო ხელმძღვანელობა დარწმუნდებოდა რომ ქართულ ორგანიზაციას რეალურად შეეძლო მოქმედება და ქონდა გარკვეული ძალა და შესაძლებლობები.

რა საკითხზე შეიძლება ეთანამშრომლათ პოლონეთის გენერალურ შტაბს და ქართულ ორგანიზაციას? სამხედრო საკითხებზე ანუ პოლონეთის სამხედრო ხელმძღვანელობას და ზოგადად პოლონეთის ხელისუფლებას გარკვეული სახის სამხედრო დახმარება უნდა გაეწია ქართული ორგანიზაციისთვის. პოლონეთის არქივში დაცული სხვა დოკუმენტები ადასტურებენ რომ ამ მიმართულებით მიმდინარეობდა მოლაპარაკებები (მაგ. კონსტანტინე გვარჯალაძე პირადად იყო ვარშავაში ჩასული და შეხვედრები ქონდა გენერალური შტაბის II განყოფილებაში). დოკუმენტებიდან ისც ირკვევა, რომ პოლონეთის გენერალური შტაბი რეალურად განიხილავდა საქართველოში გარკვეული სახის სამხედრო დახმარების გამოგზავნას და სათანადო მარშრუტების საკითხიც კი განიხილებოდა.

გასაგებია, რომ კონსტანტინოპოლში პოლონელებს ურტიერტობა ქონდათ იქ ემიგრაციაში მყოფ ქართველ პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეებთან, მაგრამ საინტერესოა რას წარმოადგენდა ის „ქართული ორგანიზაცია“, რომელიც საქართველოში მოქმედებდა და რომელსაც ეს რადიომიმღები სადგური ეგზავნებოდა. სავარაუდოდ ეს უნდა იყოს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი და ნაკლებად სამხედრო ცენტრი.

კაპიტან კოვალევსკის გამ ქართველებთან შეხვედრის შემდეგ პოლურმა მხარემ დაიწყო რეალური მომქმედება. წერილიდან ირკვევა, რომ 1922 წლის 7 ნოემბერს მოხდა გარკვეული ინფორმაციის გაცვლა გენერალურ შტაბსა და კონსტანტინოპოლში მყოფ სამხედრო ატაშეს შორის.

მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე ინფორმაციას გვაწვდის მეორე წერილი, რომელი 1923 წლის 25 სექტემბრით თარიღდება. ამჯერად ინფორმაცია იგზავნება კონსტანტინოპოლიდან ვარშავაში.

„სამხედრო ატაშე

გენერალური შტაბის II განყოფილების უფროსს
Na L, 11631/II Inf. III. D. z dn. 3/VIII 1923 r.

ამ მოხსენებით წარმოგიდგენთ რადიომიმღები აპარატის ქვითრებს და ინსტრუქციებს, რომელიც ამა წლის 15 სექტემბერს გადაეცა ქართველების ადგილობრივი წარმომადგენელს ბატონ კონსტანტი გვარჯალაძეს.

გაგზავნილი დეტალების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ E.W.E.173 ტიპის ლამფა ექვს ნაცვლად არის სამი.

რადიომიმღები აპარატურა უკვე გაიგზავნა დანიშნულების ადგილზე, რომელიც ჯერ არ არის ცნობილი და სადაც აიწყობა სპეციალისტის მიერ.

ადგილზე რაიმე სირთულის წარმოქმნის შემთხვევაში, მაცნობეთ, შემდეგობა თუ არა ვიფიქრო ჩვენი ინსტრუქტორის გაგზავნაზე რუსეთის გავლით თბილისში, სადაც ის ამ საკითხზე დაუკავშირდება აჯანყების ხელმძღვანელ შტაბს.

დანართი I.

სამხედრო ატაშე კონსტანტინოპოლში
ბობიკი, გენერალური შტაბის პოლკოვნიკი“

დანართში ჩამოთვლილია თუ რა გაიგზავნა საქართველოში (სია შედგენილია ფრანგულ და პოლონურ ენებზე): მიმღები აპარატი, ტიპი Pol.Radio; ტალღების სიგრძის გრაფიკი; ანტენა; ამპლიფიკატორი, ტიპი E.V.89 d; ტრანსფორმატორი ამპლიფიკატორისთვის, ტიპი Tr. Nr. 101; 6 ვოლტიანი და 48 ამპერიანი აკუმულატორი; კათოდური ლამფები, ტიპი E.V.E. 173; შემაერთებელი კაბელი; ფრანგული კათოდური ლამფები; ყურსასმენი; 100 ვოლტიანი ვილტმეტრი⁹⁸.

წერილიდან ცხადი ხდება, რომ 1923 წლის 15 სექტემბერს (პირველი საუბრიდან ერთი წლის შემდეგ) რადიო სადგური გადაეცა ქართველების წარმომადგენელს კონსტანტინე გვარჯალაძეს (შეადლოა გვარჯალაძე მონაწილეობდა კაპიტან კოვალევსკისთან შეხვედრაშიც. კიდევ ერთი მონაწილე ამ შეხვედრისა ჩვენი აზრით უნდა ყოფილიყო სამხედრო და შესაძლოა გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე. ასეთ ვარაუდს იმიტომ გამოვთქვამ, რომ ზაქარიაძე აქტიურად მონაწილეობდა პოლონელებთან გამართულ სხვა შეხვედრებში).

წერილიდან ირკვევა, რომ რადიოსადგური უკვე გაიგზავნა საქართველოში. ადგილი სადაც ის იმუშავებს ლეონ ბობიკი ვერ ასახელებს, რადგან ეს ადგილი ქართველებს თავად უნდა შეეჩიათ. სავარაუდოდ წინასწარ არ იყო განსაზღვრული ადგილი ან თუნდაც ადგილები და ეს საკითხი ქართველებს თავად უნდა გადაეწყვიტათ. ეს სრულიად ბუნებრივია. საზღვარგარეთიდან ძნელი იქნებოდა სათანადო ადგილის განსაზღვრა. ადგილის შერჩევაში ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი უსაფრთხოება იქნებოდა.

ცხადია ქართველებს ყავდათ სპეციალისტი ვინც რადიოსადგურს ააწყობდა. თუმცა პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში პოლკოვნიკი ბობიკი ვარაუდობდა უკვე პოლონელი

⁹⁸ Warszawa. Archiwum Akt Nowych. ფონდი 1191, საქმე A II 33 (5), გვ. 89, 92.

სპეციალისტის გამოშვებას საქართველოში რუსეთის გავლით. ამისთვის მხოლოდ ნებართვას ითხოვდა.

ამ წერილში ლეონ ბობიცი ასახელებს თუ ვის გადაეცა რადიოსადგური, ეს არის „აჯანყების ხელმძღვანელი შტაბი (ze sztabem Dowodztwa Powstanczego)“. 1923 წლის სექტემბერში ასეთი ორგანიზაციი მხოლოდ „დამოუკიდებლობის კომიტეტი იყო (სამხედრო ცენტრის წევრები საბჭოთა ხელისუფლებამ 1923 წლის 21 მაისს დახვრიტა და ამ ორგანიზაციამ არსებობა შეწყვიტა).

ააწყვეს თუ არა ქართველებმა რადიოსადგური და დაიწყეს რადიოდაზვერვა დანამდვილებით რთული სათქმელია. არის კიდევ ერთი საინტერესო ცნობა. 1924 წლის 8 ივლისს პოლკოვნიკი ბობიცი წერილს უგზავნის პოლონეთის გენერალური შტაბის უფროსს და აწვდის ინფორმაციას საქართველოში დაგეგმილი აჯანყების მზადების შესახებ. ამ წერილში არის ერთი წინადადება - ჩვენი რადიოსადგური მალე დაიწყებს მუშაობას⁹⁹. რთული სათქმელია აქ იგულისხმება ქართველებისთვის 1923 წლის 15 სექტემბერს გადაცემული რადიოსადგური თუ სხვა. ვფიქრობ რომ ეს კონსტანტინე გვარჯალაძისათვის გადაცემული რადიოსადგური უნდა იყოს. აეთ შემთხვევაში გამოდის, რომ ქართველებს საკმაოდ დიდი დრო (რვა თვე) დაჭირდათ რადიოსადგურის საქართველოში გადასატანად და ასაწყობად.

რადიოდაზვერვისთვის საჭირო ერთი რადიოსადგურის გადმოცემა შესაძლოა არც ჩავთვალოთ ძალიან დიდი მოვლენად, თუმცა ეს რეალური დახმარების კონკრეტული ფაქტია. საიდანაც, ჩემი აზრტ, შესაძლოა ორი დასკვნის გაკეთება. პირველი - პოლონური მხარე რეალურად ეხმარებოდა ქართველებს შესაძლებლობებს ფარგლებში და იმ დროს არსებული ვითარების გათვალისწინებით. ბუნებრივია, რომ სამხრეთ კავკასიაში რადიოდაზვერვის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია პოლონეთის სამხედრო ხელისუფლებისთვისაც მნიშვნელოვანი იყო, ამიტომაც ითხოვდნენ მასალის ვარშავაში გადაგზავნას. რადიომიმღების სადგურის ქართველებისათვის გადმოცემა გარკვეულწილად პლონეთის ინტერესებშიც იყო. არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვების გამო. ეს ამავე დროს ანტისაბჭოთა მოძრაობის მხარდაჭერა და სსრკ-ის წინააღმდეგ ბრძოლისა ერთი ეპიზოდი იყო. პოლონეთს კი მუდამ აშფოთებდა მისი აღმოსავლელი მეზობლის აგრესიულობა. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება ქართველებისთვის უაღესად მნიშვნელოვანი იყო და ალბათ, უფრო მნიშვნელოვანი ვიდრე პოლონელებისთვის. მით უმეტეს დიდი ანტისაბჭოთა აჯანყებისათვის მზადებისას. მეორე - რადიომიმღები სადგურის გადმოცემა ადასტურებს, რომ ემიგრაციაში მყოფმა ქართველმა პოლიტიკოსებმა და სამხედროებმა მართებული ნაბიჯი გადაგეს, როდესაც პოლონეთთან დაიწყეს აქტიური თანამშრომლობა. პოლონეთი ფაქტობრივად იყო ერთად-ერთი სახელმწიფო, რომელიც რეალურად ფიქრობდა ქართველების დახმარებაზე და როგორც ვნახეთ გარკვეულ ნაბიჯებსაც დგამდა ამ მიმართულებით.

⁹⁹ Pawel Libera, II Rzeczpospolita wobec ruchu prometejskiego. Warszawa 2013. გვ. 133.

საქართველოს აზერბაიჯანული მოსახლეობა კრებულ „ვათანის“ („Vatan“) ფურცლებზე

ელვირა ასლანოვი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [FR-19-1759, ეთნიკური ჯგუფები და მათი პერიოდული გამოცემები საქართველოში 1819-1921 წლებში]“

XIX-XX საუკუნეების ეთნიკურ-ენობრივი პროცესების საკვანძო მომენტად შეიძლება ჩაითვალოს თბილისში 1918 წლის 28 მაისს აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის გამოცხადება, რის შემდგომაც აზერბაიჯანულ ენას, თავისი არსებობის მანძილზე, თავისუფალი ფუნქციონირებისა და განვითარების შესაძლებლობა პირველად მიეცა. ეს მოხდა ორ დღეში, მას შემდეგ, რაც საქართველომ ამიერკავკასიის ფედერაციიდან გასვლის შესახებ განაცხადა.

1918-1921 წლებში თბილისში პერიოდული პრესის არაერთი ნიმუში გამოდიოდა. სხვადასხვა ენაზე გამოცემულ ამ ჟურნალ-გაზეთებში ნათლად აისახა როგორც პროგრესული, ისე რეაქციული პოზიციები (ქერიმლი, 2001, გვ. 89). პერიოდულ ორგანოებს შორის მუდმივი იდეოლოგიური დავა მიმდინარეობდა.

საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები თავიანთი დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლების იდეის პროპაგანდის მიზნით თანამშრომლობდნენ დემოკრატიულ ბეჭდურ ორგანოებთან: „ალ ბაირალი“ (ალისფერი დროშა), „გალაჯაკი“ (მომავალი), „ვათან“ (Vatan – სამშობლო), „გალაჯაკი ტიფლის“ (მომავალი თბილისი), „გარდაშ გაიგისი“ (ძმური ზრუნვა), „ისლამ გურჯისტანი“ (ისლამური საქართველო), „განჯლარ იურდუ“ (ახალგაზრდობის ქალაქი) და სხვა (ქერიმლი, 2011, გვ. 89).

აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობა მხოლოდ 23 თვე შეინარჩუნა - 1920 წლის 28 აპრილს აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკაში წითელმა არმიამ სოციალისტური მმართველობა დაამყარა და ქვეყანა სსრკ-ის შემადგენლობაში შევიდა, როგორც აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

1920 წლის 5 დეკემბერს თბილისში აზერბაიჯანულ ენაზე დაიბეჭდა გაზეთი „Vatan“, რომლის მხოლოდ 2 ნომერი გამოიცა. ორივე ნომერი დღეს ბიბლიოგრაფიულ იმპიათობად ითვლება და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის იმპიათ გამოცემათა განყოფილებაშია დაცული. მეორე ნომერი გამოიცა 1921 წლის 10 იანვარს. მუსლიმანური კალენდრით ორივე კრებული 1339 წლით თარიღდება, I ნომერი - რაბილ ავვალის თვეში (მუსლიმანური კალენდრის მესამე თვე, რომელიც გაზაფხულს ნიშნავს), ხოლო კრებულის II ნომერი - რაბილ ახირის თვეში (მუსლიმანური კალენდრის მეოთხე თვე, რომელიც გაზაფხულის ბოლო თვეს ნიშნავს) გამოიცა. პირველი ნომერი 12, მეორე კი - 8 გვერდიანია.

იმ პერიოდისათვის, როდესაც თბილისში აზერბაიჯანულ ენაზე გაზეთი „ვათან“ გამოიცა, აზერბაიჯანისგან განსხვავებით, საქართველო ჯერ კიდევ დემოკრატიული რესპუბლიკა იყო. ამიტომ აზერბაიჯანელებმა მიზნად დაისახეს, რომ თავისუფლების იდეა და დემოკრატიული უფლებები საქართველოდან დაეცვათ.

გაზეთს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანული ეთნიკური უმცირესობის შესწავლის თვალსაზრისით.

გაზეთი „ვათანი“ მნიშვნელოვან და საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ირანისა და კავკასიის ახალგაზრდა მუსლიმანთა საგანმანათლებლო საზოგადოების შესახებ, რომელიც საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს მოღვაწეობდა თბილისში და გამოსცემდა გაზეთს. ეს საზოგადოება, თავის მხრივ, მუსლიმურ ეროვნულ საბჭოს ექვემდებარებოდა, რომელიც თბილისში საგანმანათლებლო საქმიანობას უძღვებოდა.

გაზეთის სატიტულო გვერდზე დაბეჭდილია მირზა ფათალი ახუნდოვის მიმართვა: „სტატიები თურქულ და მარტივ ენაზე უნდა იყოს დაწერილი“ (ახუნდოვი (1920), გაზეთი „ვათანი“, 1). გამოცემლები საზოგადოებას სტატიების თურქულ ენაზე გამოქვეყნებას სთავაზობდნენ, რაც ცოცხალი და ყველასთვის გასაგები სახალხო ენის შემუშავებას, ლიტერატურის დემოკრატიზაციას, საზოგადოებასა და მოქალაქეებში მაღალი თვითშეფასების აღძვრას ემსახურებოდა. გაზეთის გამომცემლები ეროვნული პროგრესის მნიშვნელოვან ნაბიჯად მიიჩნევდნენ მშობლიურ ენას.

გაზეთში სტატიების ავტორები ყურადღებას ამახვილებდნენ ეროვნული დამოუკიდებლობის მნიშვნელობაზე, მათი აზრით, საჭირო იყო ეროვნული თვითშეგნების ამაღლება და ეროვნული იდეოლოგიის შემუშავება. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ეროვნული იდეოლოგიის ფორმირების გზებისა და საშუალებების ძიებას. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში აზერბაიჯანელები თავის თავს მუსლიმანებად და არა თურქებად იხსენიებენ. აზერბაიჯანული ინტელიგენციისთვის ეს ძირითადი და მთავარი პრობლემა იყო.

როგორც მ. რასულზადე¹⁰⁰ ეროვნული ენის აღორძინების საქმეში ხაზგასმით აღნიშნავდა, „ჰასან ბეი¹⁰¹ სავსებით დასაშვებად მიიჩნევდა მშობლიური თურქული ენის საფუძველზე თურქი (აზერბაიჯანელი) ერის არსებობას. მათ მიერ გამოყენებული ლიტერატურული ენის ხალხურ-სალაპარაკო მეტყველებასთან მიახლოება მისთვის კულტურული ერის ძირითად ელემენტს წარმოადგენდა (Балаев, 2009, სტრ. 14).

გაზეთში ტერმინ მუსლიმანს ხანდახან „თურქი“ ენაცვლება - ტერმინი მუსლიმანური იდენტიფიცირებულია თურქულ ანუ ნაციონალურ იდეოლოგიასთან.

დამოუკიდებლობის პერიოდში (1918-1920 წლები) აზერბაიჯანის მთავრობის ენობრივი პოლიტიკის არსი შედარებით ადეკვატურად აისახება ტერმინით „ნაციონალიზაცია“. ენობრივი თვალსაზრისით, ეს ტერმინი აღიქმება, როგორც იმპერიის (კონკრეტულ შემთხვევაში რუსული) ენის მიზანმიმართული განდევნა და ამავე დროს, ეროვნული (აზერბაიჯანული) ენის პოზიციის და სტატუსის აღდგენა. ეს პროცესი კი ნიშნავს ენობრივი სიტუაციის მთელი სტრუქტურის გარდაქმნას, მისი ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტის აღმოფხვრისა და მისი ახლით შევსებას (Балаев, 2009, სტრ. 379).

¹⁰⁰ მ. რასულზადე¹⁰⁰ - საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკოსი და პუბლიცისტი, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი დამფუძნებელი და აზერბაიჯანის პოლიტიკური ემიგრაციის ლიდერი. აზერბაიჯანის ისტორიაში გამოჩენილი და უდიდესი პიროვნება, აზერბაიჯანის ეროვნული დამოუკიდებლობის მოძრაობის ხელმძღვანელი.

¹⁰¹ ჰასან ბეი ზარდაბი - პირველი ბუნებისმეტყველი მეცნიერი ისლამურ სამყაროში. ჰასან ბეი არის აზერბაიჯანის პროფესიული თეატრის ერთ-ერთი შემქმნელი. მან გააცნობიერა გაზეთის საჭიროება მშობლიურ ენაზე. ბევრი შრომისა და ტანჯვის შემდეგ, წარმატებას მიაღწია და გამოსცა გაზეთი "აკინჩი" (სათესი) აზერბაიჯანულ ენაზე, 1875 წლის 22 ივნისს ბაქოში, გუბერნატორის ოფისში. ეს გაზეთი აზერბაიჯანული ეროვნული პრესის საფუძველია. ეს გაზეთი არის პირველი თურქულენოვანი გაზეთი, რომელიც ქვეყნდება როგორც აზერბაიჯანში, ასევე რუსეთში.

მთავრობის 1918 წლის 27 ივნისის დადგენილება, რომლის თანახმად, „თურქული ენა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ენად გამოცხადდა“ (Балаев, 2009, стр. 379), ამ მიმართულებით პირველი გადადგმული ნაბიჯი იყო.

ბოლო ორი საუკუნის მანძილზე 1918-20 წლები გარდამტეხ პერიოდად მიიჩნევა აზერბაიჯანული ენის ფუნქციონირებისა და განვითარების თვალსაზრისით, რადგან XX საუკუნის შემდგომ პერიოდში აზერბაიჯანულ ენაში მიმდინარე პროცესები იყო იმ ტენდენციების ერთგვარი გაგრძელება და გაღრმავება, რომელთაც ეროვნული დამოუკიდებლობის დროს ჩაეყარა საფუძველი.

ბოლშევიკებიც კი, რომლებიც ცდილობდნენ თავი შორს დაეჭირათ ეროვნული ენებისადმი მეფის რუსეთის დისკრიმინაციული პოლიტიკისაგან, იძულებული გახდნენ, გარკვეული პირობები შეექმნათ აზერბაიჯანული ენის ფუნქციონირებისათვის. თუმცა, სახელმწიფო დაწესებულებებში მაქსიმალურად შეზღუდეს მისი გამოყენება.

აზერბაიჯანულ ენას წარსულში სხვადასხვა სახელით იცნობდნენ - XIX-XX საუკუნის დასაწყისში გამოიყენებოდა სახელწოდება აზერბაიჯანულ-თათრული ენა, რომელიც შემდგომში: თურქული, აზერბაიჯანულ-თურქულითა და აზერბაიჯანულით შეიცვალა. თუმცა ეს პრობლემა არც დღესაა საბოლოოდ გადაჭრილი.

აზერბაიჯანული დამწერლობა 1922 წლამდე არაბულ გრაფიკას იყენებდა. აზერბაიჯანულ ენაზე დაბეჭდილი გაზეთ „ვათანის“ წერილობითი გრაფიკა არაბულია, მაგრამ დამატებულია სიმბოლოები, რომლებიც აზერბაიჯანული ენისთვისაა დამახასიათებელი.

აზერბაიჯანული ენის ტრადიციების ჩამოყალიბება ისლამურ პერიოდს უკავშირდება. გარკვეული მოდიფიკაციის მიუხედავად, არაბული დამწერლობა თურქული ენების ფონეტიკურ მრავალფეროვნებას ვერ გამოხატავდა. გარდა ამისა, დამწერლობის მოცემულ სისტემას სერიოზული ნაკლოვანებები ჰქონდა: კერძოდ, დიაკრიტიკული ნიშნების სიუხვე; მრავალი ხმოვანი ასოს ნაკლებობა, ერთი და იმავე ბგერის სხვადასხვა ელფერის წარმოსათქმელად რამდენიმე ნიშნის თანაარსებობა - ყოველივე ეს გარკვეულ სირთულეებს უქმნიდა დამწერლობის ათვისების პროცესს.

ამ საკმაოდ რთული გრაფიკული სისტემაზე ზოგჯერ თვით აზერბაიჯანული კულტურის გამოჩენილი წარმომადგენლებიც საუბრობდნენ. არაბული დამწერლობის სირთულეზე ჯერ კიდევ XVI საუკუნეში მ. ფუზული¹⁰² ამახვილებდა ყურადღებას (Алиев, 1987, стр. 293). არაბული გრაფიკის რეფორმა პირველად აზერბაიჯანელმა განმანათლებელმა და მოაზროვნემ მირზა ფათალი ახუნდოვმა დაიწყო. ახუნდოვმა მის მიერ შემუშავებული პროექტის¹⁰³ თანახმად, „მუსლიმანურ ანბანს“ ევროპული ანბანების მსგავსად, ლათინური ასოები შეუნაცვლა მუსლიმანი ხალხებისთვის ცივილიზაციისაკენ მიმავალ გზაზე არსებული დაბრკოლებების დასაძლევად (Мирахмедов, 1953, стр. 72-79).

უდავოა, რომ ახუნდოვი ანბანს დიდ როლს ანიჭებდა ხალხის განათლებისა და მეცნიერების განვითარების საქმეში. ბუნებრივია, ახუნდოვის პროექტი მიუღებელი აღმოჩნდა იმდროინდელი ისლამური სამყაროს სახელმწიფოებისა და მეფის რუსეთისთვის, მაგრამ მან აზერბაიჯანული ინტელიგენციის დიდი მხარდაჭერა მოიპოვა. არაბული გრაფიკის რეფორმის დაწყება 1918 წლის მარტში, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ მოხერხდა. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის

¹⁰² მუჰამედ სულეიმან ოღლი ფუზული - XVI საუკუნის თურქულენოვანი პოეტი. ცხოვრობდა ბაღდადში და წერდა აზერბაიჯანულ, სპარსულ და არაბულ ენებზე.

¹⁰³ არაბული გრაფიკის თურქულ ენებთან ადაპტირების რეფორმის პროექტი.

1919 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით, შეიქმნა სპეციალური კომისია, ლათინური გრაფიკის საფუძველზე ახალი აზერბაიჯანული ანბანის შესამუშავებლად.

თუმცა, იმდროინდელი საომარ-პოლიტიკური მდგომარეობის გამო ეროვნულმა მთავრობამ ამ იდეის რეალიზება ვერ მოახერხა, რადგან 1920 წლის აპრილში აზერბაიჯანი ბოლშევიკური ექსპანსიის მსხვერპლი გახდა.

„ვათანის“ პირველი ნომრის პირველ გვერდზე დაბეჭდილია ისმაილიას სასახლის სალონის ილუსტრაცია, წარწერით: „ისმაილიას სასახლის სალონი მარტის მოვლენებამდე“. მარტის მოვლენების სახელით ცნობილია ბაქოს 1918 წლის ეთნიკური დაპირისპირება, რომელსაც ათასობით მუსლიმანი აზერბაიჯანელი შეეწირა.

1923 წელს ჩატარებული რესტავრაციის დროს სასახლეში ბევრი რამ შეიცვალა. ისმაილიას სასახლე დღესდღეობით აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის შენობაა, სადაც ტარდებოდა მუსლიმანური საქველმოქმედო საზოგადოების სხდომები, იმართებოდა მუსლიმან ქალთა შეკრებები, ბაქოს ინტელიგენციის, სასულიერო პირთა შეხვედრები, ხოლო 1890-1920 წლებში იდგმებოდა სპექტაკლები.

მეორე ნომრის პირველ გვერდზე აია-სოფიას ილუსტრაციას აწერია „აია-სოფიას მეჩეთი“. ამ დროს ამ ტაძარს მართლაც მეჩეთის სტატუსი ჰქონდა.

გაზეთი 50 მანათი ღირდა და რედაქცია და გამომცემლობა თბილისის მუსლიმანური თეატრის შენობაში იყო განთავსებული.

სტატიები, ძირითადად, რელიგიური, კულტურული და ლიტერატურული ხასიათისაა. გაზეთის დამფუძნებლები და სარედაქციო კოლეგია გეგმავდა მკითხველისთვის მრავალმხრივი ინფორმაციის მიწოდებას. პირველ ნომერში გამოქვეყნდა 10 სტატია: 1. რამდენიმე სიტყვა; 2. დრო (ლექსი); 3. განათლება; 4. ნიჭი და გონება (ლექსი); 5. თურქული თეატრი; 6. კავკასია; 7. საბრალო ქალი (მოთხრობის I ნაწილი); 8. მსოფლიო (ლექსი); 9. მმართველი; 10. თეატრალური დასი „ითიჰადი“ (არაბ. გაერთიანება).

მეორე ნომერში კი დაიბეჭდა შემდეგი სტატიები: 1. დარღვევები ისლამში; 2. მასწავლებლების გზამკლევი; 3. შრომა (ავტორი ფ. თოფიქი); 4. ლიტერატურა; 5. უთავოები; 6. საბრალო ქალი (ავტორი ფ. თოფიქი) (გაგრძელება); 7. ლექსები; 8. ლექსი გამომცემლებისგან.

გაზეთში დაბეჭდილი მასალების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს აზერბაიჯანულ მოსახლეობაში გაზეთი ეროვნული სულის გაღვიძებას და განათლების სურვილის აღძვრას ცდილობს: „...ჩვენი მიზანია განათლება და სხვა არაფერი, ...ჩვენი ნაკლის გამოსასწორებლად არსებობს ერთი საშუალება - მეცნიერება“ (Çobanlı, 1970, გვ. 23).

გაზეთის მთავარი ამოცანა იყო უმცერების წინააღმდეგ ბრძოლა და აზერბაიჯანელი ხალხის პროგრესული განვითარების გზაზე დაყენება. გაზეთი ასევე განმარტავდა, რომ მათი შევიწროების, მათ ირგვლივ გამეფებული უსამართლობის მთავარი მიზეზი მეფის რუსეთის თვითმპყრობელობა იყო - მისი დესპოტური, ტირანული და კოლონიალური მმართველობა. მაშინდელი აზერბაიჯანული კულტურის საკვანძო საკითხებიდან შეიძლება გამოვყოთ: ხალხის ცხოვრებიდან აღებული თემების, ცოცხალი, მოსახლეობისათვის გასაგები ხალხური ენის დამუშავების საფუძველზე ლიტერატურის დემოკრატიზაცია; საზოგადოებასა და მოქალაქეებში თავმოყვარეობის, საკუთარი თავის პატივისცემის გაღვივება.

გაზეთი ინტელიგენციას, რომელიც აზერბაიჯანულ ენაზე არ საუბრობდა, ხალხისა და სამშობლოს ბედისადმი გულგრილობაში ადანაშაულებდა და ურჩევდა, მშობლიურ ენაზე ელაპარაკათ. კრებული აზერბაიჯანული სკოლის შექმნასთან ერთად, სხვა საგანმანათლებლო

ცენტრების გაფართოებასა და მშობლიურ ენაზე წიგნებისა და სახელმძღვანელოების გამოცემასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

გაზეთში წამოწეულ მწვავე პრობლემათა შორის იყო სახელმწიფოს მშობლიურ ენაზე მართვა. „ვათანი“ პირდაპირ მიმართავდა ხალხს: „რატომ უნდა იყოს დამოკიდებული სხვაზე და არაღ აგდებდეთ მეცნიერებას? რატომ არ უნდა იცოდეთ ჩვენი მშობლიური თურქული ენა? რატომ არ უნდა იცოდეთ ჩვენი მეზობელი ქვეყნების ენები და არ იყოს იქ მიმდინარე მოვლენების საქმის კურსში?! არ კითხულობდეთ აღმოსავლეთში განსწავლული ჩვენი მეცნიერების ნაშრომებს, არ ბეჭდავდეთ მათ?!“ (1921), გაზეთი „ვათანი“, 2).

ენობრივი ნაციონალიზაციის ტემპები მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული აზერბაიჯანული ენის სრულყოფილად მცოდნე კადრების მომზადებაზე, ბევრ განათლებულ აზერბაიჯანელს მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა არ შეეძლო, ეს პრობლემა დღესაც აქტუალურ საკითხად რჩება. ამისთვის საჭირო იყო მოკლე დროში აზერბაიჯანულ ენაზე განათლების სისტემის შექმნა.

გაზეთ „ვათანში“ წამოწეულია მუსლიმანი ქალის თემატიკა, რასაც ეძღვნება მოთხრობა „საბრალო ქალი“. ავტორად მითითებულია ფ. თოფჩი, რომელიც, ალბათ, ავტორის ფსევდონიმია. მოთხრობის მთავარი თემაა მუსლიმანი ქალის ხვედრი საზოგადოებაში - ქალთა უფლებების დარღვევის, არასრულწლოვანი გოგონების ნაადრევად გათხოვებისა და ცემის ფაქტები. მოთხრობის დასასრულს მთავარი მოქმედი გმირი ოჯახის დედა, ყოველმხრივ შევიწროებული, ჩაგრული გულსუმი ამყად ამბობს: „ადამიანს იმედი ყოველთვის უნდა ჰქონდეს, უნდა სჯეროდეს და ნატვრა ყოველთვის აუხდება“. ეს არის XX საუკუნის ქალის ლოზუნგი. ავტორი გულსუმის სახით საზოგადოებას ქალის უფლებების დაცვისკენ მოუწოდებს. 1901 წელს გაზეთ „Каспий“-ში ქალების შესახებ ცნობილი აზერბაიჯანელი საზოგადო მოღვაწე ალი მარდან ბეი თოფჩიბაშევი წერდა: „... გონიერი დედა რომ იყო, პირველ რიგში, დაცული უნდა იყოს ადამიანის უფლებები, ქალის უფლებები, რომელიც მუსლიმან ქალს გარემოებების ძალით წართმეული აქვს“ (თოფჩიბაშევი, 2014, გვ. 150). როგორც ოჯახის საფუძველი, მხოლოდ გონიერ დედას შეუძლია გააცნობიეროს მთელი თავისი მნიშვნელობა საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის. მხოლოდ მას შეუძლია მისცეს შვილებს, მომავალ მოქალაქეებს პირველი ბიძგი, რაზეც დამოკიდებულია მათი მომავალი.

გაზეთი დიდ ადგილს უთმობს მუსლიმანურ თეატრს. ამ პერიოდში თბილისში არსებობდა მუსლიმანური თეატრალური საზოგადოება „İttihad“ (არაბ. გაერთიანება, ერთობლიობა), რომელიც ასევე მუსლიმანური თეატრის შენობაში იყო განთავსებული, სადაც პატარა ბიბლიოთეკაც ფუნქციონირებდა. საზოგადოება İttihad, ძირითადად, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა - ბაქოსა და თბილისში ჰქონდა სკოლები და სამკითხველო დარბაზები, საზოგადოების წესდების თანახმად, თვეში ერთხელ ტარდებოდა საქველმოქმედო თეატრალური წარმოდგენები.

სტატიაში ავტორი საუბრობს ძირითადად პრობლემებსა და საჭიროებებზე: მთავარ პრობლემად ნიჭიერი რეჟისორებისა და მსახიობების სიმცირე სახელდება. ნახსენებია აზერბაიჯანული თეატრის ისეთი ცნობილი სახეები, როგორებიცაა: აზერბაიჯანული თეატრისა და კინოს მსახიობი და რეჟისორი, ეროვნული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი ჰუსეინ არაბლი, აბულფათეჰ ველი, ალიაქბერ სეიფი. ისინი ხშირად ჩამოდიოდნენ თბილისში და თავიანთი წვლილი შეჰქონდათ იქ არსებული აზერბაიჯანული თეატრის განვითარებაში.

პირველი კლასიკური აზერბაიჯანული თეატრი თარიღდება 1872 წლით, როდესაც მეტეხის ციხესთან, ძველ მაიდანზე, ბარონების ქარვასლაში, რომელიც ვორონცოვის №1 მდებარეობდა, თბილისის მოწინავე აზერბაიჯანული ინტელიგენციის (აბდულა ხალილოვის,

იბრაგიმ ბექ ზეინალოვის, მამედ ჯაფაროვის) ინიციატივით დაიდგა ფათალი ახუნდოვის სპექტაკლი „ვერზი-ხანი-სერაბი“, მესამე მოქმედება (Binnatoğlu, 2009, გვ. 12).

თუმცა, საქართველოს აზერბაიჯანელებისთვის ეს არ იყო პირველი წარმოდგენა. იქ, სადაც აზერბაიჯანელები კომპაქტურად იყვნენ დასახლებული მართავდნენ სახალხო წარმოდგენებს მოედნებზე, ჩაიხანებსა და ყავახანებში, წელიწადში ერთხელ რამაზანის თვეში იმართებოდა რელიგიური სანახაობები, მაგალითად „გარაგიოზი“ (Binnatoğlu, 2009, გვ. 18).

ბარონების ქარვასლას 1912-1947 წლებში ჯერ „აუდიტორია“, ხოლო შემდეგ „ნარიმანოვის კლუბი“ ერქვა. თეატრი ფუნქციონირების შეწყვეტის შემდეგ მხოლოდ 2004 წლის 30 ივლისს აღდგა ამავე შენობის პირველ სართულზე, როგორც თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრი. თბილისის აზერბაიჯანულმა თეატრმა რთული გზა განვლო - აქ სხვადასხვა დასი მოღვაწეობდა, არ ჰქონდათ მუდმივი სარეპეტიციო ადგილი, ამიტომ რეპეტიციებს საკუთარ სახლებში, სარდაფებსა თუ ქარვასლებში ატარებდნენ.

1900-1920 წლებში აზერბაიჯანულ ენაზე სპექტაკლები იდგმებოდა გრიგოლ არწრუნის თეატრში - მაშინდელი ქარვასლა, სადაც დღეს გრიბოედოვის თეატრია. ქართული დასის მსახიობებმა მეპატრონეს თხოვნით მიმართეს და შენობის თეატრად გადაკეთებულ დარბაზში დაიდეს ბინა. თეატრს „სათავადაზნაურო ბანკის თეატრი“ ეწოდა, მაგრამ ხალხი მას „არწრუნის თეატრს“ ეძახდა; „არტისტული საზოგადოების“ თეატრში (დღევანდელი შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი); „კაზიონის თეატრში“ (დღევანდელი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი); „ზუბალოვის სახელობის სახალხო სახლში“ („სახალხო სახლი“) (დღევანდელი კოტე მარჯანიშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო დრამატული თეატრი); სპექტაკლები იმართებოდა კულტურის ცენტრებში: „მირ“, „არაქსი“, „ავლაზარ-პალასი“, „აუდიტორია“, ორთაჭალის, შეითან ბაზრის,¹⁰⁴ ავლაზრის უბნებში, სადაც აზერბაიჯანული მოსახლეობა ცხოვრობდა.

თეატრი საკმაოდ ნაყოფიერად მუშაობდა. 1912-1913 წლებში 40-ზე მეტი სპექტაკლი დაიდგა, რომლებსაც აზერბაიჯანელებთან ერთად ქართველები, სომხები, ებრაელები და ქურთებიც ესწრებოდნენ. მაყურებელში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მუსიკალური კომედიები (Binnatoğlu, 2009, გვ. 28).

„ვათანის“ ფურცლებიდან ჩანს, რომ იგი თანამედროვე ერისა და საზოგადოების ჩამოყალიბებაში უპირატესობას განათლებას ანიჭებდა. გაზეთის გამომცემლები დაწყებული საქმის ბოლომდე მისაყვანად არაერთ სტატიაში (მაგალითად, „მასწავლებლების გზამკლევი“, „რამდენიმე სიტყვა“, „თეატრი“, „თეატრალური საზოგადოება „ითიჰადი“) მიმართავენ საზოგადოებას და სთხოვენ როგორც ფინანსურ, ისე ადამიანური რესურსით დახმარებას.

¹⁰⁴ შეითან ბაზარი (არაბ. შადტან - ავი სული, დემონი, ეშმაკი, სატანა), ეშმაკის ბაზარი – XVIII საუკუნის თბილისში, აბანოთუბანსა და თათრის მოედანს შორის მდებარე პატარა ქუჩის სახელი. შეითან ბაზარი თათრის (ქვემო) მოედანს სამხრეთ მხრიდან ემიჯნებოდა. მის გაყოლებაზე ჩამწკრივებული სავაჭრო დუქნებით თათრის მოედნისაგან ცალკე (XIX საუკუნის დასრულებამდე) არსებული, დამოუკიდებელი სავაჭრო რიგი - ქუჩა იყო, XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისის თბილისის გეგმებზე შეითან ბაზრის ადგილზე მ. ვორონცოვის სახელობის ქუჩაა. ტერმინი „შეითან ბაზარი“ იმდენად გამჯდარი იყო ძველი თბილისელების მეხსიერებაში, რომ მისი სახელი მექანიკურად გადაიტანეს თათრის მოედანზე და შეცდომით თათრის (ქვემო) მოედანსაც შეითან ბაზარს ეძახდნენ (ენციკლოპედია „თბილისი“ ციტირებული გელოვანთან, 2020, გვ. 167).

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდიკაში 23 თვის მანძილზე შექმნილ დემოკრატიულ ატმოსფეროზე ნათლად მეტყველებს ახალი შეხედულებები აზრის თავისუფლებაზე, პრესის თავისუფლებაზე, ასევე მიმდინარე მოვლენებისადმი ახლებური დამოკიდებულება. მანამდე კი აზერბაიჯანი, როგორც სახელმწიფო არ არსებობდა. სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტის შემდეგ მოვლენებისადმი პრესის დამოკიდებულებაც შეიცვალა.

პერიოდიკის თავისუფლებამ დიდხანს არ გასტანა. შესაბამისად, თანამედროვე სამყაროსთან აზერბაიჯანის კავშირიც შეწყდა. ბოლშევიკურმა ოკუპაციამ ჩაახშო თავისუფალი აზრი, რაც მაშინდელ პრესაზეც აისახა - გაზეთ „ვატანი“ მესამე ნომრის გამოცემა თებერვალში იგეგმებოდა, მაგრამ იგი აღარ გამოსულა, რაც, სავარაუდოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გასაბჭოებასთან არის დაკავშირებული.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. გელოვანი, ნ. (2020). „თბილისის სპარსული სკოლა „ეთაფაყ-ე ირანიან“, აღმოსავლეთმცოდნეობა 9. თბილისი. თსუ.
2. Алиев, Г. (1981). Советский Азербайджан. Баку. Тахсил.
3. Балаев, А. (2009). Мамед Али Расулзаде (1884-1955), Москва. Издательство «Флинта».
4. Гасанов Г., (2013). Али Мердан бек Топчибашев – Журналистическая деятельность 1898 - 1914. Маяк Азербайджана. Баку. Типография Чашыоглу.
5. Мирахмедов, А. (1953). Мирза Фатали Ахундов. Баку. Азербайджанское государственное изд-во.
6. Ягублу, Н. (2015). Энциклопедия Мухаммеда Эмина Расулзаде. Москваю Маска.
7. Aşırılı, A. (1969). Azərbaycan mətbuatı tarixi (1875-1920), Bakı, Elm və Təhsil.
8. Binnətoğlu, A. (2009). Teatr haqqında söhbətlər, Bakı, Elm və Təhsil.
9. Çobanlı, M. (1970). "Ziya"-dan "Çənlibel"-ədək (1878-1998)". Gürcüstanda Azərbaycan mətbuatı. Bakı. Təhsil.

საგაზეთო პუბლიკაციები:

10. Vətən, 5 dekabr, 1920, N 1, Tiflis (აზერბაიჯანულ ენაზე - „ვატანი“, 5 დეკემბერი 1920, 1, თბილისი).
11. Vətən, 10 yanvar, 1921, N 2, Tiflis (აზერბაიჯანულ ენაზე - „ვატანი“, 10 იანვარი 1921, 2, თბილისი).

Azerbaijani Population of Georgia on the Pages of Collection “Vatan”

Elvira Aslanovi
Tbilisi State University

Summary

After declaration of Democratic Republic of Azerbaijan in Tbilisi, the Azerbaijanians residing in Georgia extensively collaborated with the periodicals. Their goal was protection of the idea of freedom and democratic rights. One of such periodical was collection “Vatan” (Vatan – Native Land) published in Tbilisi in Azerbaijani language.

Collection “Vatan” was the mouthpiece of The Education Society for Young Moslems of Iran and Caucasus, subordinated to the National Moslem Board. This Board guided educational activities in Tbilisi.

Only 2 issues of this newspaper were published and both of them are preserved in the Department of Rare Publications of the National Library of Parliament of Georgia. The collection is of particular

significance, with respect of research of Azerbaijani ethnic minority residing in Tbilisi in 1918-1921. Moreover, it is also unique as it was never studied properly.

Request of the publishers was quite interesting – they offered the society to publish the articles in Turkish language, development of the people's language that would be live and known to all and on this basis – democratization of the literature, providing high self-esteem in the society and in the citizens.

The articles were mostly of religious, cultural and literary nature and their extended and detailed discussion will be provided in the presentation but by detailed study of the newspaper work we can state that it could not achieved the stated goals.

პირველი აფხაზური გაზეთი „აფსნი“ (1919-1921)

თამარ გითოლენდია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [FR-19-1759, ეთნიკური ჯგუფები და მათი პერიოდული გამოცემები საქართველოში 1819-1921 წლებში]“

პირველი აფხაზური გაზეთი „აფსნი“ (აფხ. Аҧсны) გამოვიდა 1919 წლის 27 თებერვალს დიმიტრი გულიას რედაქტორობით საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მმართველობის დროს. დღეისათვის გაზეთი „აფსნი“ ისტორიული დოკუმენტური წყაროა. იგი სრულიად შეუსწავლელია რამდენიმე მიზეზის გამო: გაზეთის ნომრები (ბეჭდურად) ენგურის აქეთ ჯერჯერობით არ არის მიკვლეული. გარდა ამისა, გაზეთი არის აფხაზურენოვანი და დაბეჭდილია 1919-1921 წლებში მოქმედი აფხაზური შრიფტით, რაც განსხვავდება დღეს მოქმედი შრიფტისგან¹⁰⁵.

გაზეთი „აფსნი“ გვაწვდის საყურადღებო ინფორმაციას საქართველოს ისტორიის, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების, აფხაზი ხალხის ადგილისა და როლის შესახებ დემოკრატიული საქართველოს ისტორიაში; იგი ასახავს აფხაზური საზოგადოების მიერ საკუთარი იდენტობის ჩამოყალიბების პროცესს.

ამჯერად ჩვენი მიზნებია: პირველი აფხაზური გაზეთი „აფსნის“ აღწერა; ავტორთა ჯგუფის, მათი მსოფლმხედველობისა და გაზეთის გამოცემის მიზეზების მიმოხილვა. ნაშრომი წარმოადგენს გაზეთი „აფსნის“ სისტემური კვლევის ნაწილს, რომლის საბოლოო მიზანია გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული ისტორიული თუ შემთხვევითი ფაქტების რეპრეზენტაცია და მიუკერძოებელი ანალიზი. იგი წარმოდგენას გაგვიღრმავებს საანალიზო პერიოდის (1919-1921 წწ.) საქართველოს ეთნიკურ სიტუაციაზე და დაგვეხმარება თანამედროვე ვითარებასთან მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გააზრებაში.

დემოკრატიული გაზეთი „აფსნი“ გამოიცემოდა 2 წლის განმავლობაში სხვადასხვა პერიოდულობით: 1919 წელს დაიბეჭდა 35 ნომერი (პირველი ნომერი გამოვიდა 1919 წლის 27 თებერვალს), 1920 წელს გამოვიდა 43 ნომერი, ხოლო 1921 წელს მოესწრო 3 ნომრის გამოცემა (ბოლო ნომერი გამოქვეყნდა 1921 წლის 5 თებერვალს. შემდეგ მოხდა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია). გაზეთის პირველი ათი ნომერი დაიბეჭდა ნ. ზახაროვას ტიპოგრაფიაში, ხოლო შემდეგი ნომრები - ა. ზაიდშერის ტიპოგრაფიაში. გაზეთის ფასი

¹⁰⁵ აფხაზური ენიდან პუბლიკაციების თარგმნაში დაგვეხმარნენ ეროვნებით აფხაზი ქალბატონები: რიტა ამიჭბა და ირმა ოსია.

თავდაპირველად იყო 1 მანეთი და 50 კაპიკი, ხოლო მოგვიანებით - 5 მანეთი. სახელწოდება „აფსნი“ (აფხ. Аҧсны), ქართულად ითარგმნება, როგორც „აფხაზეთი“.

აფხაზური ინტერნეტბიბლიოთეკის გვერდზე (ქ. სოხუმი) ხელმისაწვდომია გაზეთის მხოლოდ 44 ნომრის სკანირებული ვერსია (დედნის შესაბამისი)¹⁰⁶. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გაზეთ „აფსნის“ თანამედროვე აფხაზურ ანბანზე გადაყვანილი ვერსიები ერთ კრებულად გამოიცა სოხუმში 2006 წელს აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიისა და დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზთმცოდნეობის ინსტიტუტის მიერ. გამოცემის რედაქტორია უ. შ. ავიძბა. კრებულში თავმოყრილია გაზეთ „აფსნის“ თანამედროვე აფხაზურ ანბანზე გადაყვანილი 81 ნომერი, ხოლო ამავე კრებულის წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ დაკარგულად ითვლება 4 ნომერი. შესაბამისად, აფხაზური წყაროს თანახმად, 1919-1921 წლებში დაბეჭდილი უნდა ყოფილიყო 85 ნომერი. გაზეთ „აფსნის“ ჩვენთვის ხელმისაწვდომი 44 ნომრის დედანი (დაბეჭდილი 1919-1921 წლებში მოქმედი ანბანით) შევადარეთ 2006 წელს გამოქვეყნებულ თანამედროვე აფხაზურ ანბანზე გადაყვანილ ნომრებს და დავადგინეთ შესაბამისობა. რაც შეეხება დანარჩენ 37 ნომერს, მისი დედანთან შესაბამისობა ეჭვქვეშ დგას დედნის ხელმოწვდომლობის გამო.

იქიდან გამომდინარე, რომ პუბლიცისტური ტექსტის ძირითადი მიზნებია ინფორმირება, დარწმუნება და კრიტიკა, გაზეთი „აფსნი“ ხასიათდება სამივე კრიტერიუმის მიხედვით. აქ გვხვდება როგორც ინფორმაციული და დამარწმუნებელი პუბლიკაციები, ასევე კრიტიკული წერილები. კრიტიკის სამიზნე ძირითადად არის რუსეთის იმპერიის პოლიტიკა, რუსეთის იმპერიის მმართველობის პერიოდში მიღებული ცუდი გამოცდილება.

„აფსნის“ ფურცლებზე აქტუალური თემებია: რედაქციის განცხადებები, რომლებითაც იწყება ყოველი ნომერი; სოხუმის ოლქში მიმდინარე მოვლენები; აფხაზეთის სახალხო საბჭოს გადაწყვეტილებები და დეპუტატთა გამოსვლის სიტყვები; საქართველოს ურთიერთობები საერთაშორისო საზოგადოებასთან¹⁰⁷. გაზეთის ფურცლებზე ასევე აქტუალური თემებია - მუჰაჯირობა¹⁰⁸, განათლება, რელიგია, კულტურა. ვხვდებით სარეკლამო განცხადებებს, სარიტუალო განცხადებებსა და სადღესასწაულო მილოცვებს. მიუხედავად იმისა, რომ საანალიზო წლებში საქართველოში ფოტოგრაფია უკვე შემოსული იყო, გაზეთში არ გვხვდება არც ერთი ფოტო, რომელიც, თავის მხრივ, სიმართლის ამსახველი ერთ-ერთი დოკუმენტია.

1921 წლის 20 აპრილიდან, საბჭოთა მთავრობის პერიოდში, გაზეთმა „აფსნიმ“ შეიცვალა სახელწოდება და იბეჭდებოდა ახალი სახელით - „აფსნი ყაფშ“ „წითელი აფხაზეთი“ (აფხ. Аҧсны қышш)¹⁰⁹. რედაქტორი იყო სერგეი ჭანბა. გაზეთი „აფსნი“ 1919-1921 წლებში იყო დემოკრატიული გაზეთი, ხოლო „აფსნი ყაფშ“ 1921 წლიდან იყო რეგიონული კომიტეტისა და

¹⁰⁶ ხელმისაწვდომია გაზეთ „აფსნის“ 1919 წლის 1-38 ნომერი (აკლია 8, 9, 11); 1920 წლის 6 ნომერი და 1921 წლის 3 ნომერი. Аҧсуа интернет-библиотека http://apsnyteka.org/1801-agazet_apsny_1919_1921_2006.html

¹⁰⁷ აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო მივლინებების დროს საქართველოს დელეგაციაში ყოველთვის შედიოდნენ აფხაზეთის წარმომადგენლები.

¹⁰⁸ მუჰაჯირობა - რუსეთის მიერ XIX საუკუნეში კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის იძულებითი გადასახლება თურქეთის იმპერიაში გათავისუფლებული მიწების კოლონიზაციისა და ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობის გამოყენების მიზნით. აფხაზთა მასობრივი გადასახლება თურქეთში განხორციელდა ორჯერ: 1867 წელს და 1877 წელს (ბ. ხორავა, 2004).

¹⁰⁹ შენიშვნა: აფხაზურმა ანბანმა შექმნიდან (1862 წლიდან) დღემდე 7-ჯერ განიცადა ცვლილება. 1933-1938 წლებში იმ დროს მოქმედი აფხაზური ანბანის მიხედვით სახელწოდება იწერებოდა შემდეგნაირად: „Аҧснә қышш“ (აფსნი ყაფშ „წითელი აფხაზეთი“). გამოდიოდა 1921-1991 წლებში.

აფხაზეთის ცენტრალური აღმასკომის პარტიული გაზეთი, შემდეგ - საქართველოს კომუნისტური პარტიის, აფხაზეთის სსრ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს აფხაზეთის რეგიონული კომიტეტის პერიოდული ორგანო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაზეთს დაუბრუნეს თავდაპირველი სახელი - „აფსნი“ (აფხ. Аҧсны).

გაზეთ „აფსნის“ სარედაქციო ჯგუფის წევრები და კორესპონდენტები იყვნენ იმდროინდელ მოვლენებში ჩართული ადამიანები, საზოგადოების ინიციატივიანი წევრები, რომელთაც ჰქონდათ საკუთარი ხედვა და სიძნელების გადალახვის უდიდესი სურვილი. ისინი ცდილობდნენ განეხორციელებინათ თავიანთი შეხედულებები, რომლებიც მიმდინარე ისტორიული ვითარებითა და საყოველთაო განწყობით იყო ნაკარნახები. გაზეთ „აფსნის“ (1919-1921 წწ.) სარედაქციო კოლეგიის წევრები და ავტორები არიან ქართველი და აფხაზი საზოგადო მოღვაწეები, აფხაზი განმანათლებლები, სახალხო მასწავლებლები, მწერლები, ლიტერატურული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები, აქტივისტები, რომლებიც განსაზღვრავდნენ რეგიონში საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართულებას. აქედან გამომდინარე, გაზეთის ფურცლებზე პოლიტიკურ საკითხებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა აპოლიტიკურ თემებსაც, როგორებიც არის: განათლება, კულტურა, მწერლობა... გაზეთში დაიბეჭდა 120-ზე მეტი მხატვრული ნაწარმოები (ლექსები, მოთხრობები, პიესები, თარგმანები) და 4 ლექსი რუსულ ენაზე. (Аџаа, 2006, http://apsnyteka.org/1801-agazet_apsny_1919_1921_2006.html).

გაზეთ „აფსნის“ (1919-1921 წწ.) შექმნაში 195-მა ავტორმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის 19 ავტორი გაზეთს ფსევდონიმით აწერდა ხელს. ყველაზე ნაყოფიერი ავტორები იყვნენ: დიმიტრი გულია (127 პუბლიკაცია), სამსონ ჭანბა (46 პუბლიკაცია), მოსე ბულია (53 პუბლიკაცია), მ. ახაშბა (40 პუბლიკაცია), მ. ლაკრბა (36 პუბლიკაცია), დიმიტრი ალანია (30 პუბლიკაცია), მიშა ხოკერბა (25 პუბლიკაცია)... ქართველ და აფხაზ ავტორთა გვერდით მრავლად გვხვდებიან რუსი და ევროპელი ავტორებიც. უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთის ფურცლებზე ვხვდებით ისეთ ავტორთა პუბლიკაციებს, როგორებიც არიან: გენერლები პეტრე უსლარი¹¹⁰ და ივანე ბართლომეი¹¹¹, სწორედ მათ სახელებს უკავშირდება აფხაზური დამწერლობის შექმნა. აღსანიშნავია, რომ ავტორთა შორის არის 8 ქალი ავტორი (აგირ-ფჰა მარია, ალანია-ფჰა მაშა, ჰაშ-ფჰა ბაბუჩკა, ჰაშ-ფჰა ოლია, წურწუშია მატრონა, ჩაჩხალია-ფჰა მარია, შაყრილ-ფჰა ტატიანა, ჯინჯიალ-ფჰა მაშინა), რომელთა პუბლიკაციები ცალკე კვლევის საგნად გვაქვს დასახული.

გაზეთის დაარსება განაპირობა აფხაზი ხალხის განვითარებისა და სასიკეთო ცვლილებების დიდმა სურვილმა. ქართველ და აფხაზ საზოგადო მოღვაწეთა რწმენით, აფხაზურენოვანი პერიოდული ორგანოს დაარსება აფხაზი ხალხისთვის „ახალი დროების“ დადგომას მოასწავებდა, ხოლო 27 თებერვალი აფხაზებისთვის ღირსშესანიშნავ თარიღად იქცა - „დღესასწაულთა შორის უმნიშვნელოვანესი“ - ასე შეფასდა აღნიშნული მოვლენა. (გულია (1919). სოხუმი, 27 თებერვალი. გაზეთი „Аҧсны“ 1. გვ. 1).

მასალებში, რომლებიც ასახულია გაზეთ „აფსნის“ პირველ ნომერში, მეტწილად საუბარია გაზეთ „აფსნის“ დაარსების მნიშვნელობაზე, გაზეთის მიზნებზე, პოლიტიკურ სიახლეებზე, კერძოდ, საქართველოს სოციალურ-დემოკრატიულ ყრილობაზე, ერობის

¹¹⁰ პეტრე უსლარი (1812-1875 წწ.) - რუსეთის არმიის გენერალი. 1858 წელს უსლარს დაევალა კავკასიის ისტორიის შედგენა (Енциклопедия Кругосвет. <https://www.krugosvet.ru>). 1862 წელს მან შექმნა აფხაზური დამწერლობა.

¹¹¹ ივანე ბართლომეი (1813-1870 წწ.) - რუსი არქეოლოგი და ნუმისმატი, გენერალ-ლეიტენანტი. იკვლევდა კავკასიურ ენებს. 1865 წელს მისი რედაქციით გამოიცა ახალი აფხაზური ანბანი.

არჩევნებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე. დიმიტრი გულია მკითხველებს მოუწოდებს გულისყურით გაეცნონ ინფორმაციას, სიახლეებს და გაიაზრონ ის. ამას, მისი აზრით, იმიტომ ჰქონდა გადაწყვეტი მნიშვნელობა, რომ თუკი წამოჭრილ საკითხებს სწორად გადაწყვეტდნენ, ეს წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნებოდა აფხაზეთისთვის (გულია (1919). სოხუმი, 27 თებერვალი. გაზეთი „*АҧСНЫ*“ 1. გვ.1).

იქიდან გამომდინარე, რომ გაზეთი „აფსნი“ სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობით/თანხმობით დაარსდა, გაზეთი ემსახურებოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ინტერესებს; თუმცა გაზეთის შინაარსი ადასტურებს, რომ უმთავრესი პრიორიტეტი მაინც აფხაზი ხალხის ამოცანებისა და საჭიროებების გაშუქება იყო.

აფხაზეთთან თანამშრომლობა საქართველოს ცენტრალური მთავრობის ინტერესებშიც შედიოდა, რათა საერთო ძალისხმევით ესწრაფათ მიზნისკენ. ამიტომ დემოკრატიული საქართველოს ერთიან ბრძოლაში ჩართულ იქნა სოხუმის ოლქიც. ამ მიზნით „საქართველოს ცენტრალურმა მთავრობამ აფხაზეთში გაგზავნა თავისი წარმომადგენლობა და ამ გზით დემოკრატიული მოძრაობა შევიდა აფხაზეთში“¹¹² (გულია (1919), დელეგაციის არჩევნები აფხაზი ერის საკითხების წარმომადგენლობისათვის, გაზეთი „*АҧСНЫ*“, 1, გვ. 2).

სოციალ-დემოკრატიული მმართველობის დროს, დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპებიდან გამომდინარე, აფხაზები იმედოვნებდნენ, რომ შეძლებდნენ დიადი საქმეების განხორციელებას და დემოკრატია მისცემდა მათ განვითარების საშუალებას. გაზეთი „აფსნი“ გახდა პლატფორმა, საიდანაც ვრცელდებოდა აფხაზ დემოკრატთა იდეები. ერთი მხრივ, აფხაზთა ძირითადი იდეა იყო მოეპოვებინათ საშინაო საქმეების დამოუკიდებლად მართვის უფლება, მეორე მხრივ, აფხაზი ერის გადაწყვეტილებები დაკავშირებული უნდა ყოფილიყო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, სწორედ ამიტომ დემოკრატთა ყრილობაზე აფხაზ წარმომადგენლებს უნდა გაერკვიათ, თუ რა როლი შეესრულებინათ მათ ერთიან სახელმწიფოში; ამასთანავე საქართველოს ერთიანი პოლიტიკა მისაღები უნდა ყოფილიყო აფხაზეთისთვისაც:

„...აფხაზეთს ექნება მართვის სადავეები, მას აქვს ავტონომია, თუმცა როგორც სახელმწიფო - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და აფხაზები უნდა იყვნენ ურთიერთკავშირში - აი, რა იდეის მიმდევრები ვართ ჩვენ...“

... აფხაზეთის საკითხების გადაჭრის ყრილობაზე ჩვენ გვსურს შემდეგი: აფხაზეთს გააჩნდეს საშინაო საქმეების დამოუკიდებლად წარმართვის სრული უფლებამოსილება. ექნებათ ავტონომია, თუმცა იქნებიან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში“ (გულია (1919). დელეგაციის არჩევნები აფხაზი ერის საკითხების წარმომადგენლობისათვის, გაზეთი „*АҧСНЫ*“, 1, გვ. 2).

გაზეთში შუქდებოდა მიმდინარე პოლიტიკური სიახლეები. კერძოდ:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობის სიახლეები;
- სხვა ნაციონალურ პარტიათა სიახლეები;
- ადგილობრივი (აფხაზეთის) ერობის არჩევნებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები;

¹¹² წერილი აფხაზური ენიდან თარგმნა რ. ამიჭბამ.

- სოხუმის საოლქო საარჩევნო კომისიის მიმართვები;
- აფხაზეთის სახალხო საბჭოს გადაწყვეტილებები;
- აფხაზეთის სახალხო საბჭოს დეპუტატთა გამოსვლის სიტყვები.
- საერთაშორისო მოვლენების ამსახველი ახალი ამბები.

პირველი აფხაზურენოვანი გაზეთის გამოცემისას აფხაზური დამწერლობის ისტორია უკვე 60 წელს ითვლიდა, თუმცა ამის მიუხედავად, გაზეთის სხვადასხვა ნომრიდან ირკვევა, რომ აფხაზური დამწერლობა და წერა-კითხვა ჯერ კიდევ არ იყო გავრცელებული სახალხო. სარედაქციო ჯგუფმა გადაწყვიტა გაზეთი გამოეყენებინა ხალხში აფხაზური წერა-კითხვისა და განათლების გასავრცელებლად. ამისათვის სარედაქციო კოლეგია აფხაზურად წერა-კითხვის მცოდნე პირებს მოუწოდებდა გაზეთის წაკითხვაში დახმარებოდნენ მათ, ვინც ჯერ კიდევ არ იცოდა წერა-კითხვა. აფხაზურად წერა-კითხვის ცოდნა და ზოგადად განათლება თავისთავად დასახული იყო ცხოვრების ხარისხის, კეთილდღეობის ამაღლების გზად. სარედაქციო ჯგუფი ყოველ ადამიანს ავალდებულებდა თავისი ერის ისტორიისა და მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის ცოდნას და ამას პრინციპულად მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევდა პატარა ერის გადარჩენის თვალსაზრისით.

გაზეთის ფურცლებიდან ისმოდა ძალიან ბევრი მოწოდება და ამ მოწოდებებს დაჰკრავდა დიდი ემოციური ელფერი, რაც ზეგავლენას ახდენდა მკითხველზე. პუბლიკაციებიდან იგრძნობოდა უდიდესი ენთუზიაზმი, გულწრფელობა, აღფრთოვანება და დასახული ეროვნული მიზნების განხორციელების დიდი იმედი. სარედაქციო კოლეგია მოუწოდებდა მკითხველს და გაზეთთან თანამშრომლობის (ავტორობის) მსურველებს გაეზიარებინათ თავიანთი ცხოვრებისეული გამოცდილება, პრობლემები, სირთულეები, რომელთა წინაშეც იდგა იმდროინდელი საზოგადოება; ესაუბრათ საჭირობო საკითხებზე. რედაქცია მოუწოდებდა ხალხს გაერთიანებისკენ, რათა ერთიანი ძალებით ესწრაფათ უკეთესი მომავლისკენ. ქვემოთ ვრცლად წარმოვადგენთ სამსონ ჭანბას წერილს „ჩვენი გაზეთი „აფსნი“:

„გაიხსნა თავსაფრის კვანძი, რის გამოც გლოვას ჰყავდა მოცული სრულიად ერი. ჩამოიშალა სადავეები, რომლებიც მართავდა მათ. როგორც იქნა გავთავისუფლდით ჩინოვნიკ-ზედამხედველებისა და პოლიცია-ჟანდარმერიისაგან. უწინ ჩვენ არ შეგვეძლო ხმის ამოღება ან მოქმედება, იმიტომ რომ ჩვენს პირს ბოქლომი დაადეს და არ შეგვეძლო ხმამაღლა საუბარი ჩვენს მისწრაფებებზე, წუხილზე. ჩვენ უკმაყოფილების გამოხატვის საშუალება არ გვქონდა და თუკი მაინც გავბედავდით ხმამაღლა სიმართლის თქმას, ამისათვის სასტიკად დავისჯებოდით.

ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩვენ გვეშინოდა ხმის ამოღებისა. ჩვენი სარგებლის ნახვით და ჩვენ მიმართ ცხოველური მოპყრობით, მთავრობა ტკბებოდა, ტკბებოდა ცხოვრებით, შექმნილი ვითარებით და ნელ-ნელა გვწოვდა სისხლს.

თუმცა, როდესაც ყოველგვარ მოთმინებას ბოლო მოეღო, ხალხმა მოიშორა სისხლის მწოველი წურბელა. ერი გაიმართა წელში, გატყდა პირზე დადებული ბოქლომი და ახლა თითოეულს შეუძლია სიმართლის ხმამაღლა თქმა და საკუთარი აზრის გაზიარება. ადამიანი გახდა თავისუფალი მსჯელობაში, საკუთარი აზრების გამოხატვაში, დისკუსიებში - თუ რა აწუხებს მას, რას და როგორ ხედავს და აღიქვამს.

ახლა, როდესაც ერებმა მიიღეს თავისუფლება, როდესაც თითოეულ ნაციას მიენიჭა დამოუკიდებლად საშინაო საქმეების მოგვარების უფლება და მართვის სადავეები საკუთარ ხელში აქვთ, ძალიან უნდა ეცადონ, რომ არ დაუშვან შეცდომები, რათა წინ მიმავალი გზიდან

არ გადაუხვიონ. ამისათვის აუცილებელია საკუთარი ცოდნისა და ძალისხმევის გაერთიანება. ხალხს უნდა ჰქონდეს ალებული ორიენტირი, რომელიც მათ განვითარების მიმართულებით წაიყვანს. ერთ-ერთი ასეთი ორიენტირი, რომელიც გააერთიანებს ხალხს და მისცემს მათ განვითარებისკენ მიმავალ გზამდე სწორ მიმართულებებს, არის გაზეთი.

გაზეთში იქნება ასახული ყველაფერი, რაც აწუხებს ერს, რაც აკლია და სურს მას. გაზეთი იქნება სარკისებური ანარეკლი იმისა, თუ როგორ და რით ვცხოვრობთ და რა მოლოდინები გაგვაჩნია. გარდა ამისა, გაზეთი იქნება შუქურა, რომელიც სწორ გეზს გვიჩვენებს.

ახლა ყველაზე მეტად გვჭირდება გაზეთი! სწორედ ახლა, როდესაც ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფლება, როდესაც ხალხმა მოიპოვა საკუთარი დამოუკიდებლად გადაჭრის უფლება, როდესაც მიეცა თვითგანვითარების საშუალება. აქამდე ეს უფლება მხოლოდ ჩინოვნიკების ხელთ იყო, თუმცა ახლა ჩვენ გაგვაჩნია გაზეთი, რომელიც დიდ სარგებელს მოუტანს ჩვენს ერს, იმიტომ რომ მასში გადმოცემული იქნება ყველაფერი, რითაც ვცხოვრობთ, რა პრობლემები გვაწუხებს. გარდა ამისა, გაზეთის საშუალებით შესაძლებლობა მოგვეცემათ გაეცნოთ ქვეყანაში არსებულ მიმდინარე მოვლენებს - ავს თუ კარგს. სწორედ მისი საშუალებით, ინფორმაციით შეიარაღებულნი გაარჩევთ კარგს ცუდისგან, სწორს არასწორისგან. ყოველივე ეს გააერთიანებს ერს და სწორ მიმართულებას მისცემს მას.

და ბოლოს: გაზეთი არის ინფორმაციური ახალი ამბებისა. მასში იქნება ყველა სიახლე, რომელიც ხდება მსოფლიოში. გაზეთი აგიხელთ სამყაროზე თვალს.

აი, რამდენად მნიშვნელოვანია გაზეთი! აი, რამხელა დატვირთვა აქვს მას ერისთვის!

გარდა ჩვენ, აფხაზებისა, ცოტა თუ მოიპოვება სხვა ერი, რომელსაც მშობლიურ ენაზე გამომცემლობა არ გააჩნია, იმიტომ რომ ყველას ესმის მისი მნიშვნელობა, მისი დატვირთვა. თუკი ჩვენ (აფხაზებს) არ გვექნება გაზეთი, სადაც არ იქნება აღბეჭდილი ჩვენი ამბები, საქმეები და პრობლემები, მაშინ არარად ვღირებულვართ, მითუმეტეს თუკი გვსურს ერად ვიწოდებოდეთ.

სწორედ ამიტომ, ამ პატარა გაზეთს ჩვენ ვუშვებთ სახელწოდებით „აფსნი“ და კიდევ ერთხელ მივმართავ აფხაზებს, ვისაც გაქვთ განათლება და იცით წერა-კითხვა მშობლიურ ენაზე: თუკი გიყვართ თქვენი ხალხი, თქვენი აფხაზეთი, გაანათლეთ ისინი, გადაეცით მათ თქვენი ცოდნა. გააკეთეთ ყველაფერი, რაც დააყენებს ხალხს განვითარების გზაზე. წაუკითხეთ მათ და წამოიყვანეთ ისინი ჩვენი გაზეთის - „აფსნის“ მიმართულებით“ (ჭანბა, (2019). ჩვენი გაზეთი „აფსნი“. გაზეთი „АПСНИ“. №1).¹¹³

იქიდან გამომდინარე, რომ საანალიზო პერიოდი (1919-1921 წწ.) თვისებრივად განსხვავდება როგორც წინა - ცარისტული რუსეთის მმართველობის, ასევე შემდგომი - საბჭოთა პერიოდის სინამდვილისგან - ქართველი და საქართველოში მცხოვრები ეთნოსების საზოგადოებრივი აზრის შესწავლა ბევრ საკითხს ჰყენს ნათელს მოვლენების სამომავლო ფორმირების განჭვრეტის თვალსაზრისით. ერთი შეხედვით, პროვინციული/პერიფერიული გაზეთი „აფსნი“ საკმაოდ მნიშვნელოვანი გაზეთია. იგი არ ავრცელებს სტერეოტიპებს. პირიქით, თავისი არსით იმ დროისთვის (1919-1921 წწ.) არის საკმაოდ ინოვაციური პერიოდული ორგანო. გაზეთი მოსახლეობისადმი უდიდესი მზრუნველობით გამოირჩევა, რასაც ადასტურებს არაერთი დადებითი მოწოდება და კომპლექსური ინფორმაცია, რომლებიც აფხაზეთის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას ისახავდა მიზნად. იკვეთება, რომ საანალიზო პერიოდში

¹¹³ წერილი აფხაზური ენიდან თარგმნა რ. ამიჭბამ.

აფხაზებს ჰქონდათ თვითგამოხატვის სრული თავისუფლება და გაზეთი მათ ეროვნულ ინტერესებს ემსახურებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამახარია, ჯ. (2007). აფხაზეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე, თავი XVI. თბილისი. ინტელექტი.
 2. ენციკლოპედია ლექსიკონი. (2008). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა.
 3. მუსხელიშვილი, დ., ჯაფარიძე, ო., მელიქიშვილი, გ., აფაქიძე, ა., ლორთქიფანიძე, მ., მეტრეველი, რ., სამსონაძე, მ., ასათიანი, ნ., ჯამბურია, გ., ოთხმეზური, გ., ნათმელაძე, მ., ბენდიანიშვილი, ალ., დაუშვილი ალ. (2012). საქართველოს ისტორია. ტომი-4, საქართველოს ანექსიიდან საბჭოთა კავშირიდან გამოსვლამდე. თბილისი. პალიტრა L.
 4. ტორაძე, მ. და მაისაშვილი, ხ. (2019). მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები. თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა.
 5. ხორავა, ბ. (2011). აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და მიხეილ შარვაშიძე. თბილისი. უნივერსალი“
 6. ხორავა, ბ. (2004). აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა. თბილისი. არტანუჯი.
 7. Аџба. У.Ш. (2006). [ჰტტპ://აპსნეტგე.ორგ/1801-აფაზეტ-აპსნე-1919-1921-2006](https://apnsnet.ge.org/1801-аџба-апсны-1919-1921-2006) (პტმლ)
- გამოყენების თარიღი: 26.05.2021.
8. Энциклопедия Кругосвет. <https://www.krugosvet.ru> გამოყენების თარიღი: 26.05.2021.

წყაროები:

9. Агазет (1919), Апсны, №1.
10. Агазет (1919), Апсны, №2.
11. Агазет (2006), Апсны (1919–1921 шш.) Еикәиршәеит, Апхъажәеи азгәаҭақәеи иԥит У.Ш. Аџба, Ақәа.

The first Abkhazian newspaper “Apsni” (1919-1921)

Tamar Gitolendia
Sokhumi State University

Summary

The first Abkhazian newspaper "Apsni" was published during the rule of the Menshevik government in Georgia, in February 27, 1919. The publication became possible due to the effort of the Abkhazian intelligence and members of the Abkhaz community Council. The publication was conditioned by the development of the Abkhaz people and the great desire for beneficial changes. According to faith of Georgian and Abkhaz public figures, the establishment of an Abkhazian-language periodical body would bring "new times" for the Abkhaz people. February 27th became a significant date for Abkhazians.

In total, 85 newspapers of "Apsni" were published. Along with political issues, the newspaper also covered non-political topics, such as education, culture, writing, stories from daily life.

Abkhaz public figures, with the help of the newspaper, aimed to spread education - To promote Abkhazian reading and writing literacy, to arouse learning interest, which would help to improve lives;

“Apsni” provides noteworthy information about the history of Georgia, Georgian-Abkhazian relations, the place and role of the Abkhaz people in the history of democratic Georgia.

Apparently, Provincial / Peripheral "Apsni" is newspaper of great consequence without spreading stereotypes. By its essence “Apsni” is an innovative periodical body for that time (1919-1921). The newspaper is distinguished by the great care for the population, which is proved by a number of positive proclamations and complex information to raise the awareness of the Abkhazian population. It becomes clear that during the analytical period, Abkhazians had freedom of expression and the newspaper served to protect national interests.

პონტოს საკითხი (το ποντιακό ζήτημα) ბათუმის ბერძნული გაზეთის მასალების მიხედვით (1920)*

ეკა ჭყოიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტერმინი „პონტოს საკითხი“ (ბერძნ. το ποντιακό ζήτημα) მოიცავს ყველა იმ ასპექტს, რომელიც უკავშირდება პონტოს რეგიონის მართლმადიდებელი ბერძნების მცდელობას ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში მოიპოვონ ან შექმნან გარკვეული პოლიტიკური ავტონომია, ან გამოეყონ ოსმალეთს და შეუერთდნენ საბერძნეთს; ეს უკანასკნელი მოთხოვნა პონტოს განთავისუფლების მსურველ რადიკალურ ფრთას ჰქონდა. ქრონოლოგიურად ეს მოვლენები მოიცავს დაახლოებით ხუთ წელს (1917-1922 წწ.). ეს არის თანამედროვე საბერძნეთის ისტორიაში ყველაზე მძიმე და დამაბული პერიოდი. შესაბამისად, ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ასპექტი, რომელიც საგანგებო მსჯელობას და სიღრმისეულ განხილვას მოითხოვს. საქართველოსთან მიმართებაში ეს საკითხი რამდენიმე კუთხით არის საინტერესო: ჯერ ერთი, ეს არის საქართველოს უშუალო მეზობელი შავი ზღვისპირეთის რეგიონი, რომელთანაც კონტაქტი საუკუნეებს ითვლის: ანტიკურობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ამის საილუსტრაციოდ ტრაპიზონის იმპერიის მაგალითის მოყვანაც საკმარისია; მეორე და უმთავრესი ფაქტორია ის, რომ ამ პროცესებში ძალიან აქტიურად მონაწილეობდნენ ბათუმის რეგიონში მცხოვრები ბერძნები. ბათუმი იმდენად ხელსაყრელ პუნქტად იყო მიჩნეული სტრატეგიული თვალსაზრისით, რომ ტრაპიზონიდან სპეციალურად ჩამოდიოდნენ და სახლდებოდნენ ბერძნები, რათა თავიანთი აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა აქედან განეგრძოთ¹¹⁴. სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ ბათუმში გამოძვარი ბერძნული გაზეთი „თავისუფალი პონტო“ (Ελευθέριος Πόντος).

1920 წლის 20 მაისს „თავისუფალი პონტოს“ 90-ე ნომერში გამოქვეყნდა საბერძნეთის იმდროინდელი პრემიერ-მინისტრის - ელეფთერიოს ვენიზელოსის (1864-1936) -პარლამენტის

* კვლევა განხორციელდა „მოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [FR-19-1759, ეთნიკური ჯგუფები და მათი პერიოდული გამოცემები საქართველოში 1819-1921 წლებში]“.

¹¹⁴ აქვე იმასაც დავძენთ, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ამ პერიოდში სწორედ ტრაპიზონისა და ბათუმის ნავსადგურებია მიჩნეული შავი ზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის ყველაზე მოწესრიგებულ ნავსადგურებად (Helmreich, 1974, გვ. 270).

სხდომაზე წარმოთქმული სიტყვა¹¹⁵. გაზეთის ეს მონაკვეთი ცალკე ქვეთავად გამოაქვეყნა პონტოს ერთ-ერთმა აქტივისტმა, ექიმმა თეოფილაკტოს თეოფილაკტოსმა/ Θεοφύλακτος Θεοφύλακτος¹¹⁶ (1885-1962) თავის ვრცელ მემუარებში „ჩაუქრობელი ცეცხლის ირგვლივ“ („Τὸ πῦρ ἀπὸ τοῦ ἀβύσσου φλόγα“, პირველად დაიბეჭდა 1958 წელს). დაახლ. 500-გვერდიანი ნაშრომი 7 თავისგან შედგება და ბევრი უნიკალური ფოტო ახლავს დანართად. მე-2 თავის სათაურია „ბათუმი - პუნქტი, სადაც გადატანილ იქნა ბერძნულ-პონტოური ეროვნული მოძრაობა“. სწორედ ამ თავში მე-15 ქვეთავად არის შეტანილი გაზეთ „თავისუფალი პონტოს“ ზემოაღნიშნული პუბლიკაცია - ელეფთერიოს ვენიზელოსის სიტყვა - ავტორის, თეოფილაკტოსის, ვრცელი კომენტარებითურთ. აღსანიშნავია, რომ ბათუმსა და იქ მოღვაწე ბერძენ აქტივისტებზე ნაშრომის სხვა თავებშიც გრძელდება საუბარი, რადგან ავტორმა ზოგადად საქართველოში, და არა მხოლოდ ბათუმში, რამდენიმე წელი გაატარა.

თეოფილაკტოსი და მისი მემუარები საგანგებო კვლევის საგანი საქართველოში არასოდეს გამხდარა. ჩვენს მოხსენებაში, ცხადია, მთლიანად ნაშრომს (მისი მოცულობის გამო) ვერ ამოვწურავთ, მაგრამ ჩვენ მიერ შერჩეული ეს კონკრეტული მონაკვეთი, ანუ საგაზეთო პუბლიკაცია, უდავოდ იმსახურებს განხილვას.

პუბლიკაციის ავტორი, თეოფილაკტოს თეოფილაკტოსი, პონტოს ბერძნულ ქალაქ არღირუპოლის Αργυρούπολη (Gümüshane) რეგიონშია დაბადებული 1884/5 წელს. ქალაქის სახელწოდება შეიძლება ითარგმნოს როგორც ვერცხლის ქალაქი და მას ეს სახელი იქ არსებული ვერცხლის მდიდარი საბადოების გამო ეწოდა. ეს სწორედ ის რეგიონია, საიდანაც 1774 წელს ერეკლე მეორეს ჩამოჰყავს ბერძენი მადაროელები და ასახლებს ახტალის მიდამოებში, რომ იქ არსებული ბუნებრივი წიაღისეულის გადამუშავება დაიწყო. იქ თავიდან ვერცხლის საბადოები იყო, მაგრამ მალევე ბერძნებმა აღმოაჩინეს სპილენძის საბადოებიც (ბერძენიშვილი, 1973, გვ. 440-441). თეოფილაკტოსმა დაწყებითი და საშუალო განათლება ტრაპიზონში მიიღო; შემდეგ ჩაირიცხა ათენის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1907 წელს. სწავლა განაგრძო პარიზის უნივერსიტეტში. შემდეგ დაბრუნდა ტრაპიზონში, სადაც შექმნა თავისი პირველი კლინიკა. პარალელურად აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებით დაკავდა: გაჭირვებულთა დახმარებიდან დაწყებული სკოლების გახსნით დამთავრებული - ყველა საქველმოქმედო ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდა. 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით, თურქეთმა გამოაცხადა საყოველთაო მობილიზება და როგორც ჩანს, ოსმალურ ჯარში მსახურებისთვის თავის არიდების მიზნით თეოფილაკტოსმა დატოვა ტრაპიზონი და წავიდა ბათუმში. ამ დროს ის უკვე დაქორწინებული იყო და პირველი ვაჟიც ჰყავდა, თევების. ამ პერიოდიდან იწყება მის ბიოგრაფიაში ა. ვ. ქართული პერიოდი (Θεοφύλακτος, 1997, გვ. VIII-IX). პირველი მსოფლიო

¹¹⁵ ზუსტად როდის წარმოთქვა ვენიზელოსმა ეს სიტყვა, პუბლიკაციაში არ არის დაკონკრეტებული. სავარაუდოდ, პარიზის კონფერენციის დასრულებიდან მოკლე ხანში, დაახლ. 1920 წლის თებერვალში.

¹¹⁶ უცნაურია, მაგრამ, ფაქტია, მისი სახელიც და გვარიც აბსოლუტურად იდენტურია. ზოგჯერ მას იხსენიებენ, როგორც თეოფილაკტოს თეოფილაკტოდ, ანუ ამ ვერსიაში გვარი მომდინარეობს ბერძნული სახელის Θεοφύλακτος-ს ნათესაობითი ბრუნვიდან, რაც საბერძნეთსა და განსაკუთრებით, კვიპოსზე ძალიან გავრცელებულია; ორსავე ქვეყანაში თითქმის ყველა მამაკაცის სახელის ნათესაობითი ბრუნვა გვხვდება როგორც გვარი. მაგ. ქრისტოდულუ, დიმიტრიუ, ათანასიუ, ნიკოლაუ და ა. შ.

ჩვენი ავტორის შემთხვევაში სახელიც და გვარიც აბსოლუტურად იდენტურია (იხ. ასევე საბერძნეთის ეროვნული ბანკის საგანმანათლებლო ფონდის ბერძნული სალიტერატურო და საისტორიო არქივი <https://greekarchivesinventory.gak.gr/index.php/f4qy-s5bx-g9km>).

ომის დროს დაიბოძა ბათუმი და თეოფილაკტოსი იძულებული გახდა ოჯახით თბილისში გადასახლებულიყო. აქედან ის პეტერბურგში წავიდა და, როგორც ექიმმა, მონაწილეობა მიიღო მოძრავი საავადმყოფოს მოწყობაში. ამ საავადმყოფოთი ის ჩამოვიდა კავკასიაში და დროებით ისევ თბილისში დასახლდა. მას შესთავაზეს საავადმყოფოს დირექტორობა, მაგრამ უარი თქვა, რადგან სამშობლოსთან ახლოს უნდოდა ყოფნა და ბათუმისკენ გაემშურა.

1916 წლის აპრილში ტრაპიზონში რუსული ჯარი შევიდა და თეოფილაკტოსიც თავის სამშობლოში ბათუმიდან¹¹⁷ დაბრუნდა. იქ ის ისევ აქტიურად ჩაერთო საზოგადოების სამსახურში; თავისი პროფესიის გამო განსაკუთრებით საჭირო იყო თანამემამულეებისთვის. 1918 წელს რუსულმა ჯარმა ტრაპიზონი დატოვა და თეოფილაკტოსი ისევ ბათუმს დაუბრუნდა. „ბათუმი ჩემთვის და ჩემი ახლობლებისთვის იყო მეორე ტრაპიზონი“, - წერდა ის თავის მემუარებში (Θεοφύλακτου, 1997, გვ. IX-X) და ამ ქალაქს ყოველთვის სითბოთი და სიყვარულით იხსენიებს. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ბათუმში თეოფილაკტოსის პოლიტიკური კარიერა, რასაც თავის მემუარებში დაწვრილებით აღწერს. მემუარების სრული სათაურია „ჩაუქრობელი ცეცხლის ირგვლივ - ბიოგრაფიული მოგონებები, პონტოს დამოუკიდებლობისთვის წარმოებული ბრძოლები“.

თეოფილაკტოსი 1920 წელს საბოლოოდ დამკვიდრდა საბერძნეთში, თესალონიკეში და განაგრძო აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა. პონტოდან დევნილი ბერძნების უმრავლესობა სწორედ თესალონიკეში და ზოგადად, მაკედონიის რეგიონში დასახლდნენ. თეოფილაკტოსი პროფესიულ საქმიანობასთან ერთად პონტოს ბერძნებთან აქტიურად თანამშრომლობდა. გარდაიცვალა 1962 წელს და დატოვა მდიდარი არქივი, დოკუმენტები, ოქმები, ფოტოები. მათი ნაწილი თავის მემუარებშიც აქვს გამოყენებული; წიგნში გამოქვეყნებული სხვადასხვა დოკუმენტისა და აქტის მთლიანი ტექსტები ამ საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარს ძალიან უადვილებს საქმეს (პრაქტიკულად, ეს არის მემუარები წყაროებით). გამოცემას ერთვის პონტოს რეგიონის დეტალური რუკა, რომელზეც დატანილია მისი სოფლებიც კი.

თეოფილაკტოსის მემუარების მეორე თავის მე-15 ქვეთავი დასათაურებულია, როგორც „პონტო და ვენიზელოსის განცხადებები“ (გაზეთიდან „თავისუფალი პონტო“, 90, 25 მაისი, 1920 წ.) (წიგნის გვერდები 112-119). პუბლიკაცია ორ ნაწილად იყოფა. 1-ელ ნაწილში (გვ. 112-117) ვენიზელოსის სიტყვა და ავტორის კომენტარებია წარმოდგენილი, მეორე ნაწილი (გვ. 117-119) მთლიანად ეთმობა ისევ თეოფილაკტოსის კომენტარებს და მოვლენების ვრცელ ანალიზს. ელევთერიოს ვენიზელოსი (1864-1936) - გამორჩეული და მნიშვნელოვანი ფიგურა თანამედროვე საბერძნეთის ისტორიაში, დაიბადა კუნძულ კრეტაზე მაშინ, როცა ის ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის ნაწილი იყო. 1910-33 წლების ინტერვალში ვენიზელოსი 8-ჯერ იყო პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე და ეს ცვალებადობა საბერძნეთის არასტაბილური პოლიტიკური სიტუაციით იყო განპირობებული. მთავარი დაპირისპირებული მხარეები იყვნენ მონარქიისა და დემოკრატიის მომხრეები. ვენიზელოსი დემოკრატ-ლიბერალების ფრთას წარმოადგენდა.

პირველ მსოფლიო ომში საბერძნეთმა საწყის ეტაპზე ნეიტრალური პოზიცია აირჩია. ის პროცესებში მხოლოდ 1917 წლის მერე ჩაერთო, როცა ანტიმონარქისტულმა რევოლუციამ, რომელიც სწორედ ვენიზელოსის მეთაურობით განხორციელდა, წარმატებას მიაღწია და ის ისევ მოიყვანა ხელისუფლებაში. საბერძნეთში ამ ცვლილებას ღიად მხარს უჭერდა ინგლისი და საფრანგეთი (Helmreich, 1974, გვ. 39). ვიდრე უშუალოდ საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის

¹¹⁷ იმ პერიოდში ტრაპიზონში განვითარებულ მოვლენებზე, იქაური ახალი მმართველობისა და დროებითი მთავრობის შესახებ იხ. ჭყოიძე, 2018, გვ. 109-110.

სიტყვას განვიხილავდეთ, უპრიანი იქნება პონტოს საკითხთან დაკავშირებული დეტალები მიმოვიხილოთ პარიზის კონფერენციის დაწყებამდე, უშუალოდ კონფერენციის დროს და დასრულების შემდეგ.

პონტოს საკითხის ნებისმიერ ასპექტზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ კონფერენციას უძღოდა მარსელში 1918 წლის ნოემბერში სპეციალური 5-კაციანი კომისიის შექმნა, რომელსაც დაევალა პარიზის კონფერენციისთვის პონტოელების პოზიციისა და მოთხოვნების გაცნობა. სწორედ ამ წლიდან იწყება თავად პონტოს რეგიონში და რუსეთის იმპერიის ბერძნულ სათვისტომოებში საიდუმლო ორგანიზაციების დაარსება, რომელთა მიზანიც იყო თავიანთი წვლილის შეტანა პონტოს რეგიონში დამოუკიდებელი ბერძნული რესპუბლიკის შექმნაში. ეს იყო პონტოელთა უმრავლესობის განწყობა. მხოლოდ მცირე ჯგუფი უჭერდა მხარს პონტოს საბერძნეთთან შეერთების იდეას. ამ მისწრაფებებს ბევრი ფაქტორი უშლიდა ხელს; უპირველესად კი ძალიან დიდი მანძილი, რომელიც ამ რეგიონს საბერძნეთისგან აშორებდა (Αγτζιდიς, 1992, გვ. 167-168).

ამ პროცესებში ძალიან მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ფაქტორი. ამის საილუსტრაციოდ იმის გახსენებაც კმარა, რომ პონტოელების პირველი ეროვნული ყრილობა ჩატარდა თბილისში 1917 წლის მაისში (Αγτζიდიς, 1992, გვ. 168). მოგვიანებით, 1919 წლის 23 ივლისს, ბათუმში, რომელიც იმ დროს ბრიტანელების ხელში იყო, ჩატარდა პონტოელი ბერძნების გენერალური საბჭოს პირველი შეკრება; შეკრებაზე აირჩიეს „პონტოს ეროვნული საბჭო“ («Εθνικόν Συμβούλιον τῶν Πόντου»). სწორედ ამ საბჭომ დაიწყო გაზეთ „თავისუფალი პონტოს“ გამოცემა მანამდე გამომავალ გაზეთ „არგონავტის“ ტიპოგრაფიაში (Αγτζიდიς, 1992, გვ. 175). ეს ტიპოგრაფია ეკუთვნოდა ცნობილ ბერძენ მეწარმე სტავროს ღალინოსს, რომელიც ტრაპიზონიდან ბათუმში პონტოელების ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე გაზეთის გამოსაცემად საგანგებოდ გადმოსახლდა (დეტალები ჭყოიძე, 2018, გვ. 107-108). ახალი გაზეთის დაარსების ამბავს თავად თეოფილაქტოსი ასე აღწერს: „როცა დავაფუძნეთ პონტოს დამოუკიდებლობის პოლიტიკური ორგანიზაცია, აბსოლუტურად აუცილებელი გახდა გაზეთი; შეგვიძლია მას [გაზეთს] პოლიტიკური ორგანოც დავარქვათ. იქ, ბათუმში არსებობდა გაზეთი „არგონავტი“, რომელმაც დიდი ხნის წინ შეწყვიტა არსებობა. დარჩენილი იყო სტამბის რაღაც ნაწილი (ერთი-ორი დასაკაბადონებელი ინსტრუმენტი). მოვძებნე მისი მფლობელები და შევთანხმდით, ტიპოგრაფია გვეყიდა. შევექმნით ორგანიზაცია, რომელმაც გამოსცა ფასიანი ქაღალდები და ასე შევაგროვეთ ფული და შევიძინეთ ტიპოგრაფია. დავამატეთ გარკვეული თანხა, რაც გვაკლდებოდა და გამოვეცით „თავისუფალი პონტო“, რომელიც გახდა ყველა პონტოური ორგანიზაციის ოფიციალური საგამომცემლო ორგანო. გაზეთის გამოცემისა და რედაქტირების პასუხისმგებლობა მე ავიღე“ (Θεοφύλακτος, 1997, გვ. 49).

პარიზის კონფერენციამდე პონტოელების საკითხის შესწავლით საგანგებოდ დაკავდა თავად ელფეთერიოს ვენიზელოსი (Αλλαμანი და Παναγιωτοπούλου, 1978, გვ. 112). მან პონტოს რეგიონში სპეციალური სამხედრო წარმომადგენელი, გენერალი კათენიოტისი, გააგზავნა დეტალების უკეთ გასაცნობად და მის ანგარიშზე დაყრდნობით შეიმუშავა პოზიცია, რომელიც პრესასთან სპეციალურ განცხადებებშიც დააფიქსირა 1919 წლის იანვარში. ის სომხური სახელმწიფოს ფარგლებში ბერძნულ-სომხური ელემენტის თანამშრომლობას უჭერდა მხარს. იმავე პოზიციას იზიარებდნენ სტამბულის ბერძნულ-სომხური წრეები, უფრო კონკრეტულად: სომხური საპატრიარქო, მსოფლიო საპატრიარქო და სომხური საბჭო. პონტოელების სხვა მოთხოვნებს, როგორებიც იყო: პონტოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება ან, მით უმეტეს, პონტოს საბერძნეთთან მიერთება, ვენიზელოსი მათ განიხილავდა მინიმუმ უტოპიურად (Αλλαμანი და Παναγιωτοπούλου, 1978, გვ. 113).

ვენეზუელის ეს პოზიცია იყო მაქსიმუმი, რის მხარდაჭერაც მას პოლიტიკურად შეეძლო საბერძნეთიდან ასე შორს მდებარე რეგიონისთვის. ეს იყო მისი ძალიან ბრძნული გადაწყვეტილება (Smith, 2006, გვ. 158). მისმა პოზიციამ პონტოელების ორგანიზაციების ნაწილის მძაფრად უარყოფითი განწყობილება გამოიწვია, რადგან პარიზის კონფერენციაზე გაქვრებული მათი მთავარი გზავნილი საბერძნეთთან შეერთება იყო (Αλλαμάνη და Παναγιωτοπούλου, 1978, გვ. 113).

ელეფთერიოს ვენიზელოსი პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მონაწილეთა შორის ძალიან დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა. ის დელეგატებიც კი, რომლებიც მის პოზიციებს არ ეთანხმებოდნენ, მისადმი, როგორც პიროვნებისადმი, დიდ სიმპათიას ღიად აფიქსირებდნენ (Helmreich, 1974, გვ. 39). ვენიზელოსი მკვლევრების მიერ სამართლიანად განიხილება როგორც თანამედროვე საბერძნეთის შემოქმედი და ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა. ბერძნების მადლიერება გამოიხატება ბოლო დროს მისი უამრავი ბიუსტისა და ძეგლის საჯარო სივრცეში დადგმით და ათენის საერთაშორისო აეროპორტისთვის მისი სახელის მიკუთვნებით (Kitromilides, 2006, გვ. 1).

პარიზის კონფერენციაზე დაფიქსირებული საბერძნეთის პოზიციები მონაწილეთა მიერ ყველაზე არარეალისტურად და, თუ შეიძლება ითქვას, „პრეტენზიულად“ განიხილებოდა (Helmreich, 1974, გვ. 38). ვენიზელოსმა კონფერენციის უმაღლეს საბჭოზე საბერძნეთის მოთხოვნები 22 იანვარს (4 თებერვალს) გაახმაურა (კონფერენცია ოფიციალურად 18 იანვარს დაიწყო). მოთხოვნების ბერძნული პაკეტი რამდენიმე საკითხს, ანუ რეგიონს მოიცავდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ პონტოს საკითხი ვერ იქნებოდა ის მთავარი ღერძი, რომლის ირგვლივაც ბერძნული მხარე აქცენტს გააკეთებდა. ბერძნული მხარე პრეტენზიას აცხადებდა შემდეგ რეგიონებზე: 1. ჩრდილოეთ ეპიროსი, 2. თრაკია, 3. დასავლეთ მცირე აზია (ცენტრი ზმირნაში ანუ იზმირში), 4. კვიპროსი, 5. კუნძული როდოსი და მიმდებარე კუნძულები (ე. წ. თორმეტი კუნძულის რეგიონი (Dodecanese/ Dodekanisa) (საბერძნეთის მოთხოვნების მიმოხილვა იხ. Helmreich, 1974, გვ. 39-40). ყველა იმ ტერიტორიის დაბრუნება, რომელთაც საბერძნეთი ესწრაფოდა, ავტომატურად ნიშნავდა მის დომინანტურ ძალად გადაქცევას ეგეოსის აუზსა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ ამ მოთხოვნებმა დიდი სახელმწიფოების კეთილგანწყობა ვერ გამოიწვია. ყველაზე უფრო ნეიტრალურად ამ მოთხოვნებს საფრანგეთი შეხვდა, რადგან არც ერთ საკითხში საბერძნეთის ამბიციას ღია კონფლიქტში არ მოდიოდა მის გეგმებთან. ამერიკის შეერთებული შტატები გარკვეულ საკითხებში მხარდაჭერას უცხადებდა საბერძნეთს (მაგ. ზმირნის ირგვლივ), მაგრამ გარკვეულ პუნქტებში ეწინააღმდეგებოდა (მაგ. აღმოსავლეთ თრაკიასთან მიმართებაში) (Helmreich, 1974, გვ. 41, იხ. ასევე, გვ. 48). რაც შეეხება გაერთიანებულ სამეფოს, 1916-1922 წლებში მის პრემიერ-მინისტრ ლოიდ ჯორჯს (David Lloyd George 1863-1945) ზოგიერთი მკვლევარი სახიფათოდ პრო-ბერძენად/ელინოფილად მიიჩნევდა (dangerously pro-Greek)¹¹⁸ (Bennett, 1995, გვ. 77) და ელეფთერიოს ვენიზელოსის გავლენის ქვეშ მყოფს, რაც სიმართლეს მოკლებული ნამდვილად არ იყო. ლოიდ ჯორჯი და ვენიზელოსი 1912 წლიდან მეგობრობდნენ და მათ ბევრი რამ ჰქონდათ საერთო, მაგრამ

¹¹⁸ ბრიტანელი დიპლომატებიდან საბერძნეთისადმი კეთილგანწყობით გამოირჩეოდა ინდოეთში ბრიტანეთის მეფისნაცვალ ჯორჯ კერზონიც George Curzon (1859-1925) (Αλλαμάνη და Παναγιωτοπούλου, 1978, გვ. 113). ზოგადად, უნდა აღვნიშნოთ, რომ კერზონი არა მხოლოდ ბრიტანეთში, არამედ მთლიანად გამარჯვებული სახელმწიფოების პოლიტიკოსთა შორის ყველაზე მაღალი თანამდებობის პირი იყო, რომელიც პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მსვლელობის განმავლობაში მხარს უჭერდა საქართველოს მისწრაფებებსაც (კობახიძე, 2015, გვ. 28).

პირადი სიმპათიების გარდა, ლოიდის ელინოფილური განწყობა სახელმწიფო ინტერესებითაც იყო გამოწვეული. ტრადიციულად ინგლისი ეყრდნობოდა თურქეთს მისი ინტერესების დასაცავად ახლო აღმოსავლეთში, შუა აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში. ომის შემდეგ თურქეთის დანაწილების პერსპექტივის გათვალისწინებით უკვე საფუძველმოკლებული იყო ინგლისს თავისი აღმოსავლური პოლიტიკა დამარცხებულ თურქეთზე დაეფუძნებინა. შესაბამისად, ინგლისურ-ბერძნული მეგობრობა სწორედ ის ალტერნატივა იყო, რომელიც ინგლისის ტრადიციულ პარტნიორს, თურქეთს, ჩაანაცვლებდა (Bennett, 1995, გვ. 77-78).

პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ბერძნული მხარე პონტოს საკითხს ცალკე არ განიხილავდა. ის იყო ზოგადად კონსტანტინოპოლისადმი მისი დამოკიდებულების ნაწილი. ბერძნული დელეგაცია მოითხოვდა თურქეთს უარი ეთქვა სტამბოლზე, რადგან ადმინისტრირების საერთაშორისო მოდელის მომხრე იყო, რაც ასევე ითვალისწინებდა დარდანელისა და ბოსფორის სრუტეთა საერთაშორისო კონტროლს. იგივე მოთხოვნები ჰქონდა ტრაპიზონსა და ადანაზე (ქალაქი კილიკიაში), ამასთან ღიად მხარს უჭერდა ახალი სომხური სახელმწიფოს შექმნას, რასაც კონფერენციაში მონაწილე სახელმწიფოების დელეგატებიც იზიარებდნენ (Helmreich, 1974, გვ. 41, იხ. ასევე, გვ. 40). ეს ნიშნავდა იმას, რომ კონფერენციის ბერძნული დელეგაცია ღიად დაუპირისპირდა პონტოს დემოკრატიის შექმნას და მხარი დაუჭირა ტრაპიზონის გაერთიანებას სომხური სახელმწიფოს შემადგენლობაში. შესაბამისად, ნათელი იყო, რომ პონტოს რესპუბლიკად გამოცხადებას კონფერენციის მონაწილეთა მხარდაჭერის არანაირი შანსი არ ჰქონდა, ამიტომ ვენიზელოსი შეეცადა უფრო მნიშვნელოვან ბერძნულ ინტერესებზე გაეკეთებინა აქცენტი ამ ეტაპზე. ცხადია, ამას ისევ მოჰყვა პონტოელების განაწყენება, მათ კონსტანტინოპოლიდან ისევ დააფიქსირეს თავიანთ მთავარ მოთხოვნად საბერძნეთთან მიერთება თუ არა, „პონტოს ბერძნული რესპუბლიკის“ შექმნა მაინც; ისიც ცნობილია, რომ სწორედ ბათუმში შექმნილმა ბერძნულმა საბჭომ 1919 წლის თებერვლის ბოლოს საბერძნეთის მთავრობისგან მოითხოვა პონტოში სამხედრო შენაერთების გაგზავნა (Αλλαμάνη და Παναγιωτοπούλου, 1978, გვ. 113).

ამერიკის შეერთებული შტატებისგან განსხვავებით საფრანგეთისა და ბრიტანეთის მთავრობები ვრცელი სომხური სახელმწიფოს შექმნას (ტრაპიზონიდან კილიკიამდე) მიიჩნევდნენ არაპრაქტიკულად და არარეალისტურად (Helmreich, 1974, გვ. 201). სომხეთის რესპუბლიკის გარდა, ამ სახელმწიფოს უნდა მოეცვა თურქეთის 7 ვილაიეთი (დეტალები იხ. (Helmreich, 1974, გვ. 48).

1919 წლის აპრილიდან პონტოელთა ინტერესების ოფიციალური გაჟღერება მთავარეპისკოპოს ქრისანთოს¹¹⁹ დაევა. მან გაიზიარა ვენიზელოსის კომპრომისული პოზიცია სომხეთის ფედერაციულ სახელმწიფოში პონტოს გაერთიანების შესახებ ავტონომიის სტატუსით. ამ პოზიციას კონფერენციის მონაწილეთაგან ბევრის მხარდაჭერა მოჰყვა (განსაკუთრებით, უილსონისა და კლემენსოს). თუმცა უარყოფითი რეაქცია მოჰყვა თავად პონტოელებისა და სომხებისგან (Αλλαμάνη და Παναγιωτοπούλου, 1978, გვ. 113). 1919 წლის 1/14 მაისს პონტოელების წარმომადგენლობამ სპეციალური დოკუმენტით მოითხოვა პონტოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა საბერძნეთის მფარველობის ან აშშ-ის მანდატის ქვეშ. ზოგადად, პონტოს საკითხისადმი ცუდად ორგანიზებულმა და არაკოორდინირებულმა

¹¹⁹ ქრისანთოსი (ერში ქარილას ფილიპიდისი 1881-1948) 1913-1938 წლებში იყო ტრაპიზონის მიტროპოლიტი, ხოლო 1938-1940 წლებში ათენის მთავარეპისკოპოსი. თავისი დროის ერთ-ერთი განათლებული ბერძენი იერარქი (სწავლობდა ლაიფციგისა და ლოზანის უნივერსიტეტებში), განსაკუთრებულად გამორჩეული ფიგურაა იმ პერიოდის საბერძნეთის პოლიტიკურ ისტორიაში.

პოზიციამ ცოტა გააღიზიანა კონფერენციის მონაწილეები და უარყოფითად განაწყო ისინი. ბრიტანეთის საგარეო ოფისის პირველმა მდივანმა ერიკ ადამმა (Eric Graham Forbes Adam (1888-1925) შეისწავლა ქრისანთოსის მოთხოვნები და დაასკვნა, რომ პონტოსთვის ავტონომიის მინიჭება გზას გაუხსნიდა მათ ახალ პრეტენზიებს საბერძნეთთან შეერთებაზე და თავის მხრივ შექმნიდა სხვა უმცირესობებისთვის ცუდ პრეცედენტს (Αλλαμάνη და Παναγιωτοπούλου, 1978, გვ. 113).

1919 წლის აპრილიდან პონტოელები იწყებენ ეროვნული არმიის შექმნას დამოუკიდებლობის მხარდასაჭერად. 1919 წლის სექტემბერში კონსტანტინოპოლში დაბრუნებული ქრისანთოსი მართავს დიალოგს ქემალ ათა თურქის წარმომადგენლებთან პონტოს დამოუკიდებლობის პერსპექტივებსა და სტატუსზე. საბოლოოდ, ისევ პონტოსომხური ფედერაციის იდეამ გაიმარჯვა და 1920 წლის იანვარში შესაბამის შეთანხმებას ხელი მოაწერეს მიტროპოლიტმა ქრისანთოსმა და ალექსანდრე ხატისიანმა, სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ 1919-1920 წლებში. შეთანხმებულ იქნა ასევე სომხეთსა და საბერძნეთს შორის სამხედრო კავშირი თურქეთის მხრიდან პონტოელებზე შესაძლო თავდასხმის მოსაგერიებლად. ინგლისელებმა შეთანხმების სამხედრო ნაწილს მხარი არ დაუჭირეს. ამის მიზეზი იყო შემდეგი: ცოტა ხნით ადრე, 1919 წლის დეკემბრისთვის, ცხადი გახდა, რომ სომხეთისთვის დაპირებული „ზღვიდან ზღვამდე“ ტერიტორიის მინიჭება არარეალური აღმოჩნდა. მუსტაფა ქემალის სამხედრო ძალები უკვე საკმაოდ ანგარიშგასაწევი იყო და მათგან სომხეთის დაცვა რთული ამოცანა იქნებოდა; ამასთანავე, ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის ნაწილი ინდოეთის საქმეთა მინისტრ ედვინ მონტაგუს ხელმძღვანელობით უფრო ხოდა მუსლიმანების მიმართ მკაცრ მოპყრობას, რადგან ამას შეიძლებოდა ინდოელ მუსლიმანთა მღელვარება გამოეწვია. ფრანგულმა მხარემ ბრიტანეთს წარუდგინა მემორანდუმი, რომელშიც აღინიშნა, რომ ტრაპიზონში სომხები აშკარა უმცირესობას წარმოადგენდნენ და მათ ზღვაზე გასასვლელი ვერ მიეცემოდათ (კობახიძე, 2015, გვ. 170-171).

საქმის ასეთმა შემობრუნებამ თავის მხრივ გამოიწვია სომხების შეთანხმების ჩაშლა ქემალთან 1920 წლის დეკემბერში. ასე დარჩა პონტოს მოსახლეობა თურქული აგრესიის პირისპირ სრულიად მარტო და დაუცველი (Αλλαμάνη და Παναγιωτοπούλου, 1978, გვ. 113). ამას მოჰყვა 1922-23 წლებში თურქების მიერ პონტოელების სისტემატური დევნა და განადგურება, რასაც 1994 წელს საბერძნეთის ოფიციალური გადაწყვეტილებით მიენიჭა გენოციდის სტატუსი. მოგვიანებით იგივე სტატუსი აღიარა სამმა სახელმწიფომ: შვედეთმა 2010 წელს, სომხეთმა და ჰოლანდიამ 2015 წელს. პონტოს მსხვერპლთა მოსაგონრად საბერძნეთმა ოფიციალურად დააწესა 19 მაისი.

როგორც აღვნიშნეთ, ვენიზელოსი მხარს არ უჭერდა პონტოს დამოუკიდებლობას. შესაბამისად, პონტოელებში მისადმი უარყოფითად განწყობილთა რიცხვი ცოტა არ იყო. თეოფილაქტოსი, როგორც ვენიზელოსის მხარდამჭერი, თავის პუბლიკაციაში ცდილობდა მისი პოზიცია დაესაბუთებინა და თანამემამულეებისთვის აეხსნა ვენიზელოსის შეხედულებების მართებულობა. პრემიერ-მინისტრის სიტყვას მოკლე შესავალი უძღოდა. ავტორი აღნიშნავდა, რომ ვენიზელოსის კონკრეტული სიტყვის გამოქვეყნება განპირობებული იყო შემდეგით: მათ, ვინც ვერ ერკვევა მრავალტანჯულ პონტოსთან¹²⁰

¹²⁰ მრავალტანჯული პონტო - თეოფილაქტოსის მემუარებში პონტო, როგორც წესი, ამ კონკრეტული ეპითეტით იხსენიება, რაც მისი ისტორიისა და იქ განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, სულაც არ არის გადაჭარბებული.

დაკავშირებულ ბევრ საკითხში, სწორედ „დიდი მმართველის“, ანუ ვენიზელოსის ეს მიმართვა დაეხმარება ბევრ დეტალში გასარკვევად.

ვენიზელოსმა გახეთქილი დაბეჭდილი სიტყვა წარმოთქვა, როგორც აღვნიშნეთ, პარიზის მშვიდობის კონფერენციის შემდეგ ათენში, ბერძნულ პარლამენტში გამართულ სხდომაზე და ერთგვარად შეაჯამა ამ კონფერენციის პოზიცია პონტოსთან დაკავშირებით. პარიზის კონფერენციაში, რომელიც პუბლიკაციაში ყველგან იხსენიება როგორც მშვიდობის კონფერენცია, 32 ქვეყანა იღებდა მონაწილეობას, მათ შორის საბერძნეთი 2 წარმომადგენლით (ერთ-ერთია ვენიზელოსი).

საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა ე. ვენიზელოსმა თავისი სიტყვა დაიწყო ამერიკის პრეზიდენტ ვუდრო უილსონის (1914-1921) ინიციატივის შესახებ საუბრით, რომელიც პარიზის კონფერენციაზე ამერიკულ დელეგაციას წარმოადგენდა. უილსონი¹²¹ გამოსულა ინიციატივით მხარი დაეჭირათ სომხებისთვის დაპირებული სავაჭრო გასასვლელისთვის, რომელიც სხვა რეგიონებთან ერთად ტრაპიზონსაც მოიაზრებდა. ეს შესაძლებელს გახდიდა ორი სახელმწიფოს (სომხეთისა და პონტოს) ფედერაციის პრინციპით მოწყობას. ეს შეთავაზება მოსახლეობამ, რომელსაც უშუალოდ ეს საკითხი ეხებოდა, უგულვებელყო. იმ შემთხვევაში, თუ მთლიანად ტრაპიზონის ვილაიეთი შეძლებდა თურქული მმართველობისგან გამოყოფას, ვენიზელოსი ისევ და ისევ მხარს დაუჭერდა მის სომხეთთან გაერთიანებას, რადგან ღრმად სწამდა, პონტოს ტერიტორიის მოსახლეობას იმდენად ძლიერად ჰქონდა თავისი ბერძნული იდენტობის განცდა, რომ მას არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა, მით უფრო, სხვა ქრისტიან ხალხთან თანამშრომლობით.

ვენიზელოსი გამოთქვამდა იმედს, რომ ამერიკის პრეზიდენტის ეს ინიციატივა არ გამოიწვევდა ტრაპიზონის ვილაიეთის დანაწევრებას და მისი რომელიმე ნაწილის ჩამოშორებას. ამ სიტყვაში არაერთხელ იყო გამოხატული პრემიერის სურვილი - პონტოს მთლიანობას არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დამუქრებოდა საფრთხე; მაშინაც კი, თუ ის რაიმე პოლიტიკური ნიშნით გამოეყოფოდა თურქეთს, არ მოხდებოდა მისი დანაწევრება. იმ შემთხვევაში, თუ სომხები მოიპოვებდნენ გარკვეული ფორმით ავტონომიას პარიზის კონფერენციის სპეციალურ სხდომაზე, რომელსაც სომხეთის ორი წარმომადგენელი ესწრებოდა, მას სომხები ჰპირდებოდნენ, რომ ტრაპიზონის რეგიონში არ ექნებოდათ არანაირი ტერიტორიული გაფართოების თუ დაუფლების ზრახვები. ამაზე მას იმიტომ მოუხდა აქცენტის გაკეთება, რომ ამერიკის პრეზიდენტი თავის ერთ-ერთ დოკუმენტში საუბრობდა სომხების შავ ზღვაზე გასვლის შესაძლებლობაზე ტრაპიზონის მეშვეობით „და მეც ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ ამ ასპექტზე გამემახვილებინა ყურადღება“, - აღნიშნა გამოსვლის ბოლოს ბერძენმა პრემიერ-მინისტრმა (Μετοφύλακτος, 1997, გვ. 115).

როგორც აღვნიშნეთ, ვენიზელოსის სიტყვას თეოფილაქტოსი ურთავს თავის კომენტარებს და მისი პოლიტიკური ხაზის გულმხურვალე დამცველად გვევლინება. ავტორი მას ძალიან დიდ პატივს სცემს. თავის მემუარებში, როგორც წესი, დიდ კაცად/ ადამიანად/ მმართველად იხსენიებს¹²². ეს პატივისცემა არ იყო ცალმხრივი. როცა თეოფილაქტოსი

¹²¹ უნდა აღვნიშნოთ, რომ პრეზიდენტ უილსონის როლი და წვლილი ოსმალეთში მცხოვრები მცირე ერების თვითგამორკვევის საქმეში განუზომელია. მას ამ საკითხზე საგანგებო სიტყვა აქვს წარმოთქმული, რომელმაც ამ ერებში პატრიოტული განწყობა და ეროვნული მოძრაობა გააძლიერა (დეტალები იხ. ჟყოშიძე, 2018, გვ. 109).

¹²² მაგ. დიდი მმართველი, გვ. 112; დიდი ბერძენი პოლიტიკოსი, გვ. 115; დიდი ადამიანი, გვ. 53. ვენიზელოსის მხარდაჭერა არამხოლოდ ცალკეული ეპითეტებით, არამედ მთლიანად სტატიის ზოგად პათოსშიც იგრძნობა.

საბოლოოდ საბერძნეთში დასახლდა, მას ერთი წლის ვადით (1929 წელს) თრაკიის რეგიონის მინისტრის პოსტი ეჭირა ვენიზელოსის მთავრობაში¹²³.

თავის კომენტარებში ავტორი ჯერ პუნქტებად გადმოსცემს ვენიზელოსის ამ სიტყვის მთავარ შინაარსს (რომ მკითხველს ძირითადი აქცენტების აღქმა გაუადვილოს) და მერე იქვე განმარტავს იმ საკითხებს, რომლებიც პრემიერის ამ სიტყვაშია დასმული და მათ არგუმენტირებულად აანალიზებს. თეოფილაკტოსი გამოყოფს შემდეგ საკითხებს: 1. ამერიკის პრეზიდენტ უილსონს დაევალა რა სომხეთის საკითხის მოგვარება, მან ამ პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ სავაჭრო კონტექსტში არ განიხილა, ანუ მისი შემოთავაზების თანახმად, სომხებს უნდა მისცემოდათ არა მხოლოდ სავაჭრო გასასვლელი შავ ზღვაზე ტრაპიზონის გავლით, არამედ ტრაპიზონის რეგიონის ნაწილი უნდა გადასცემოდა მათ თვითონ ქალაქის ჩათვლით. 2. ამის საპირწონედ ვენიზელოსმა შესთავაზა ორი - პონტოური და სომხური - სახელმწიფოს დაარსება ორივე ევროპული მანდატით, ურთიერთმეგობრობისა და მოკავშირეობის პრინციპის შესაბამისად ფედერაციის ფორმით. 3. ადგილობრივმა, ანუ დაინტერესებულმა მოსახლეობამ ამ გამოსავალზე უარი თქვა. 4. ვენიზელოსმა, რომელიც ჯერ კიდევ სარგებლობდა პონტოს ბერძნული მოსახლეობის დიდი ნაწილის მხარდაჭერით, განაცხადა, რომ მას არ ეშინოდა სხვა ქრისტიანულ ქვეყნებთან ურთიერთობის და მხარს დაუჭერდა ბერძნულ-სომხურ თანამშრომლობას, რაც მიაჩნდა ერთგვარ საშუალებად პონტოს თურქული ბატონობისგან თავდასახსნელად, მხოლოდ იმ პირობით, რომ არც ერთ შემთხვევაში არ მოხდებოდა პონტოს რეგიონის რაიმე ფორმით დანაწევრება (Θεοφύλακτου, 1997, გვ. 116).

თავის კომენტარებში თეოფილაკტოსი ასევე აღნიშნავდა, რომ მშვიდობის სამიტზე, სადაც მოხდა პონტოსა და სომხების საკითხის განხილვა, წარმოდგენილი იყო ეკატერინოდარის (კრასნოდარის სახელი 1920 წლამდე) „პონტოელთა კავშირის“ სპეციალური დოკუმენტი (ეს კავშირი იმ პერიოდისთვის 5 ათასამდე ბერძენს აერთიანებდა, კრასნოდარში ბერძნები 1828 წლის შემდეგ დასახლდნენ). ეს დოკუმენტი ამ სამიტზე არ გაითვალისწინეს. პონტოელების ინტერესების დასაცავად იმავე სამიტზე პარიზის პონტოელთა წარმომადგენლობის მიერ შემუშავებული დოკუმენტიც იქნა გაგზავნილი, რაც საერთოდ არ განუხილავთ და უცნობია, რა ბედი ეწია ამ დოკუმენტს (Θεοφύλακτου, 1997, გვ. 117-118).

პუბლიკაციის დასასრულ, ავტორი მოუწოდებს მკითხველს კეთილგონიერებისკენ და ნაადრევად დასკვნისგან თავის შეკავებას. პასუხისმგებლობის დაკისრების დროც მოვა. მანამდე სხვადასხვა რეგიონში არსებულ პონტოელთა ყველა კავშირს ევალება მოვლენებს ჩაუღრმავდეს, დეტალები დააზუსტოს, პონტოს საკითხის ყველა ასპექტში გაერკვეს და გადამოწმებული ინფორმაცია მიაწოდოს ყველა დაინტერესებულ პირს, ვინც იბრძვის პონტოსთვის საკუთრივ თურქეთში და მის ფარგლებს გარეთაც. პონტოელი ხალხი მოელის გაიგოს ყველა ის მიზეზი, რამაც ამ საკითხის მოგვარება შეაყოვნა.

გაზეთ „თავისუფალი პონტოს“ ეს კონკრეტული პუბლიკაცია წარმოაჩენს და ადასტურებს შემდეგს: მიუხედავად იმისა, რომ პონტოს მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილი ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად დამოუკიდებლობის ან, უკიდურეს შემთხვევაში,

¹²³ თავის ემოციურ განწყობასა და ამ პოსტზე არჩევის დეტალებს დაწვრილებით მოგვითხრობს ავტობიოგრაფიაში. ამ მონაკვეთის თანახმად, მას თანხმობის მიცემამდე საგანგებოდ რჩევა უკითხავს თავისი თანამემამულე პონტოელებისთვის. „ამ ჩემს მისიაში ვგრძნობ, რომ ჩემი სინდისი მშვიდადაა, რადგან ყველაფერი გვაკეთე, რაც შესაძლებელი იყო, რომ ყოფილიყო წარმატებული. არამხოლოდ ჩემმა მეგობრებმა, არამედ ჟურნალისტებმაც აღიარეს, რომ ჩემი ეს სამსახური იყო წარმატებული“ - წერდა ის (Θεοφύλακτου, 1997, გვ. 53-54).

საბერძნეთთან მიერთების მომხრე იყო, საქართველოში მოღვაწე პონტოელები ეთანხმებოდნენ მაშინდელი ბერძენი პრემიერ-მინისტრის, ელეფთერიოს ვენიზელოსის, პოზიციას, რომელიც ასევე ემთხვეოდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ უუდრო უილსონის ხედვას ამ საკითხზე. ვენიზელოსისთვის საუკეთესო გამოსავალი იყო ტრაპიზონის ვილაიეთი ყოფილიყო სომხურ-პონტოური ფედერაციის ნაწილი. ბათუმში მოღვაწე ბერძენი აქტივისტები იყენებდნენ რა მაშინდელი მასმედიის ერთადერთ საშუალებას (ანუ პრესას), ცდილობდნენ არგუმენტირებულად და გასაგებად აეხსნათ მოსახლეობისთვის ამ პოზიციის მართებულობა. სწორედ ამიტომ ბეჭდავს თეოფილაქტოსი არა მხოლოდ ვენიზელოსის სიტყვას, არამედ მის ვრცელ კომენტარებს და თავის მხარდაჭერას პრემიერ-მინისტრისადმი შეუფარავად გამოხატავს.

დასასრულ, უნდა დავძინოთ, რომ ბათუმის ბერძნული გაზეთების („არგონავტი“ და განსაკუთრებით, „თავისუფალი პონტო“) შინაარსი და გავრცელების არეალი ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს ბათუმის ზოგად ბერძნულ კონტექსტსა და მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. შესაბამისად, ამ დეტალების შესწავლა გასათვალისწინებელია ბათუმის მრავალმხრივი, მრავალეროვანი, მრავალკულტურული და მრავალპოლიტიკური ხასიათის წარმოსაჩენად; მით უფრო, რომ ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ბერძნების ეროვნული მოძრაობისთვის წლების განმავლობაში ბათუმი ერთგვარ „პლაცდარმად“ მოიაზრებოდა. ეს კი თავის მხრივ შესაძლებლობას მოგვცემს „პონტოს საკითხს“ და შავი ზღვისპირეთთან დაკავშირებული ბევრი ასპექტის კვლევას ახალი პერსპექტივა შევძინოთ და იმდროინდელ საერთაშორისო პროცესებში ზოგადად საქართველოს როლი უკეთ წარმოვაჩინოთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილი, ნ. (1973). საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 6. თბილისი. მეცნიერება.
2. კობახიძე, ბ. (2015). საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი. თსუ.
3. ჭყოიძე, ე. (2019). შავი ზღვისპირეთისა და კავკასიის ბერძნები 1917-1921 წლებში. საერთაშორისო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა - ტენდენციები და გამოწვევები“, 25-27 ოქტომბერი, 2018. თბილისი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო/ საქართველოს ეროვნული არქივი.
4. Αγτζίδης, Β. (1992). Το κίνημα ανεξαρτησίας του Πόντου και οι αυτόνομες Ελληνικές περιοχές στη Σοβιετική Ένωση του μεσοπολέμου. Δελτίο Κέντρου Μικρασιατικών Σπουδών. τ. 9. 157-196.
5. Αλλαμανή, Ε. და Παναγιωτοπούλου, Κ. (1978). Γ. Χριστόπουλος- Μπαστιάς (επιμ.). Ιστορία του Ελληνικού Έθνους, Νεώτερος Ελληνισμός από το 1913 έως το 1941. τ. 15ος. Αθήνα. Εκδοτική Αθηνών.
6. Bennett, G. H. (1995). British Foreign Policy during the Curzon Period, 1919-24, Studies in Military and Strategic History. London. Palgrave Macmillan.
7. Helmreich, P. C. (1974). From Paris to Sèvres (The Partition of the Ottoman Empire at the Peace Conference of 1919-1920. Columbus Ohio State University Press.
8. Θεοφύλακτου, Θ. Κ. (1997). Γύρω στην άσβεστη φλόγα (Βιογραφικές Αναμνήσεις, Αγώνες για την ανεξαρτησία του Πόντου). Θεσσαλονίκη. Εκδοτικός Οίκος Αδελφών Κυριακίδη α.ε.
9. Koliopoulos, J. S. და Veremis, Th. M. (2010). Modern Greece: A History since 1821. John Wiley & Sons Ltd. Wiley & Blackwell. West Sussex, United Kingdom.
10. Kitromilides, P. M. (2006). Introduction: Perspectives on a Leader. კრებულში: Paschalis M. Kitromilides (ed.). Eleftherios Venizelos: The Trials of Statesmanship. Athens. Institute for Neohellenic Research/National Hellenic Research Foundation.

11. Smith, M. L. (2006). Venizelos' Diplomacy, 1910–23: From Balkan Alliance to Greek–Turkish Settlement. კრებული: Paschalis M. Kitromilides (ed.), Eleftherios Venizelos: The Trials of Statesmanship, Athens. Institute for Neohellenic Research/National Hellenic Research Foundation.

ინტერნეტ რესურსები:

12. საბერძნეთის ეროვნული ბანკის საგანმანათლებლო ფონდის ბერძნულ სალიტერატურო და საისტორიო არქივი <https://greekarchivesinventory.gak.gr/index.php/f4qy-s5bx-g9km>.

Batumi's Greek newspaper (1920) about Pontic question

**Eka Tchikoidze,
Iliia State University**

Summary

In the 1910s Batumi, the littoral city of Georgia on the eastern coast of the Black sea, became a very important place for Greek activists from Pontus. It had an ideal location for them, as it was the nearest non-Ottoman big port-city to Trabzon. Establishing newspapers became the most important means for the Greeks in Batumi to spread information about their activity throughout the Russian empire. Thus, the newspaper “Eleftheros Pontos” (“Free Pontus”) appeared in 1919.

The current article deals with a publication by Th. Theofylaktos (“Eleftheros Pontos” # 90, 25 May, 1920), which was republished in his memoirs “Around the unextinguished flame” (in Greek “Γύρω στην άσβεστη φλόγα”). It refers to Greek prime-minister Eleftherios Venizelos' (1864-1936) speech delivered to the Greek Parliament at the beginning of 1920. Venizelos sums up his position on the Pontic question supported at the Peace conference of Paris. Th. Theofylaktos is Venizelos' warm follower and provides his comments on this speech in order to explain and, somehow justify, Venizelos' position and to make it more popular among the Pontic Greeks. Additionally, Greek demands presented on the Peace conference and its analysis is provided in the current article.

ლეო კერესელიძის პოლიტიკური და შემოქმედებითი არეალი

მარიამ მარჯანიშვილი

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

ახალგაზრდობას ოცნება ახასიათებს და ამიტომაც ცხოვრებაში მიყენებულ ტანჯვა-მწუხარების მიუხედავად, ყველაზე რთულ სიტუაციაშიც კი მაინც ინარჩუნებენ სამართლიანობის რწმენას. ვინაიდან, ეს ტკივილი იძლევა, სწორედ, ძირითად ცოდნას იმის შესახებაც, თუ როგორი იქნება საბოლოოდ მისი ხვედრი.

ცნობილ პოლიტიკურ, სამხედრო და შემოქმედებით მოღვაწეს ლეო კერესელიძეს, ამიტომაც ჰქონდა ყმაწვილკაცობიდანვე გათავისებული იდეალისათვის მებრძოლი ადამიანის პოლიტიკური ცხოვრების არსი: დევნილობა, ციხე, გადასახლება, გაძევება, ოჯახისა და თავისი სოციალური წრის დაშორება, არალეგალური ცხოვრება, შეუსაბამო მძიმე სოციალური მდგომარეობა, თავისიანებისა და სამშობლოს ნატვრა, შეზღუდული თავისუფლება...

ეს საფრთხეები სიხარულისა და სიამაყის შეგრძნებასაც აძლევდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ლეო კერესელიძეს, რადგან იგი მასში, ერთი შეხედვით, სხვათათვის, თითქოსდა უშედეგოდ დაკარგულ ცხოვრებას კი არა, მამულიშვილის

მოდვაწეობის ნამდვილ ღირსებას ხედავდა: „პოლიტიკური მოდვაწეობა დავიწყე 1900 წლიდან, როდესაც ჯერ 16 წლისა ვიყავი. ამ წელს დავაარსე თბილისში „საქართველოს დამოუკიდებლობის წრე“, რომელშიც შედიოდა ახალგაზრდობა. მათ შორის: ვ. ქართველიშვილი, ნ. მაღალაშვილი, გ. კერესელიძე, შ. ამირეჯიბი და სხვები. ჩვენი ორგანო იყო ჟელვატინზე დაბეჭდილი გაზეთი „ახალგაზრდა საქართველო“.

1904 წელს წავედი ჟენევაში და შევედი საინჟინრო სასწავლებელში. აზრათ მქონდა ამ სასწავლებლის გათავების შემდეგ შევსულიყავი ევროპის რომელიმე სამხედრო სასწავლებელში. ამ დროიდანვე გულმოდგინეთ ვსწავლობდი სამხედრო მეცნიერებას თეორიულად“ (მამულია (2007), *თანამემამულე*, N3 (24), გვ.14).

ბუნებრივია, სამხედრო ხელოვნებითა და გენერლობაზე ოცნებობა თითქმის ყველა ყმაწვილის ბავშვური გატაცებაა. ლეო კერესელიძესთან ამ ოცნებას რეალური მოტივი ედო საფუძვლად, რადგან სახელი ლეო მისთვის ერთა თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირის ლეონ გამბეტას პატივსაცემად დაურქმევიათ ნათლიებს ანტონ ფურცელაძესა და შერვაშიძის ასულს, რომელიც შემდეგ ყიფიანის მეუღლე გახდა.

„ლეო პატრიოტიზმით განთქმული დედ-მამის შვილი იყო და აგრეთვე ნათლული არამარტო მირქმნით, არამედ სულიერადაც, დიდი ქართველი პატრიოტის ანტონ ფურცელაძისა და ამ სულიერ ატმოსფეროში აღზრდილს, მაშინვე ეტყობოდა, რომ იგი ბრძოლისათვის იყო დაბადებული და ბრძოლა იქნებოდა შინაარსი მთელი მისი ცხოვრებისა.

... ლეო პირველად 1904 წელს გავიცანი ჟენევაში. ახალგაზრდა, იდეალიზმით აღსავსე, სამშობლოს სიყვარულით აღტკინებული და მისი განთავისუფლების რწმენით, იგი იმედის აღმძვრელი იყო ყოველი ეროვნულად განწყობილი ქართველისათვის, - რომ საქართველოს კარგი ახალი თაობა, მებრძოლი ახალი თაობა ჰყავდა“, - წერდა მიხაკო წერეთელი (შარაძე, 2001, გვ. 383-384).

პირადად კი, - თავისი ავტობიოგრაფიის თავფურცელს ლეო კერესელიძე ასე იწყებდა: „1905 წელს დავიწყე თანამშრომლობა სოციალისტ-ფედერალისტებთან...”

„საქართველოში მოქმედ სოციალისტურ პარტიებს შორის, სოციალისტ-ფედერალისტური სარევოლუციო პარტია თავის დროს, ერთ-ერთ გავლენიან და ძლიერ პარტიად ითვლებოდა. პარტიის მიზანი იყო ეროვნულისა და სოციალისტური იდეების შერწყმა, სამოქმედო პროგრამა კი - საქართველოს ეროვნულ - ტერიტორიული ავტონომიური სახელმწიფოს შექმნა და დემოკრატიულ რუსეთის ფედერაციაში შესვლა.

პარტიის ისტორიას 1901 წლიდან ჩაეყარა საფუძველი. მაშინ, როცა არჩილ ჯორჯაძე და გიორგი ლასხიშვილი სათავეში ჩაუდგნენ გაზეთ „ცნობის ფურცელს“.

გაზეთს 1896-1900 წლებში რედაქტორობდნენ ვალერიან გუნია და ალექსანდრე ჭყონია, ხოლო 1901 წლიდან - ალექსანდრე ჯაბადარი. მის გარშემო შემოკრებილი იყო ახალგაზრდების ჯგუფი: ვ. ლორთქიფანიძე, შ. ბილანიშვილი, გ. დეკანოზიშვილი, ა. დეკანოზიშვილი, კ. აბაშიძე, გრ. რცხილაძე, სამს. ფირცხალავა და სხვანი.

მათ მალე მიემატნენ გ. ზდანევიჩი - მაიაშვილი, ი. ფანცხავა, ფ. გოგიჩაიშვილი, ი. ბარათაშვილი, ვ. მუსხელიშვილი, თ. სახოკია, იას. ბაქრაძე, ი. აღლაძე და სხვები, უმთავრესად, „ივერიიდან“ გამოყოფილი რადიკალური ფრთა, აგრეთვე, შიო ჩიტაძე, ხოლო მოგვიანებით ამ პარტიის წევრები გახდნენ დავით კლდიაშვილი, შალვა ნუცუბიძე, ალექსანდრე წერეთელი, შალვა მესხიშვილი, ვასილ წერეთელი, სვიმონ მდივანი, მიხეილ ყაუხჩიშვილი, აკაკი პაპავა, ვახტანგ კოტეტიშვილი.

სოციალისტ-ფედერალისტები რომ სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდნენ, მაშინ საქართველოში ძირითადად ორი მიმდინარეობა ებრძოდა ერთმანეთს: ძველი თაობა (ილია

ჭავჭავაძე და მისი მიმდევრები) - ეროვნული იდეის მატარებელი და ახალი - მესამე დასელები (ნოე ჟორდანია და მისი მიმდევრები) - მარქსიზმის იდეოლოგიის მატარებლები“ (შარაძე, 2001, გვ. 16-20).

ამ ორი მიმართულების იდეოლოგიისაგან განსხვავებით სრულიად ახალი მიმდინარეობის მატარებელი იყო სოციალისტ-ფედერალისტური პარტია, რომელიც პირველს ეროვნული იდეალით უახლოვდებოდა, ხოლო მეორეს კი - სოციალური მისწრაფებით.

თავდაპირველად, ფედერალისტთა პოლიტიკური პარტიის კონსოლიდაცია, 1901 წელს, თავდაზნაურთა მიერ საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავის იუბილის აღნიშვნამ დააჩქარა, რომელიც მკაცრად იქნა გაკრიტიკებული როგორც სოციალისტ-ფედერალისტების, ასევე სოციალ-დემოკრატების მიერაც.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია მტკიცედ იდგა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნის ნიადაგზე, რადგანაც „ერი არ არსებობს ტერიტორიის გარეშე, ხოლო ტერიტორია ერის გარეშე“. პარტიის შექმნასთან ერთად, ბუნებრივია, დადგა მისი არალეგალური ორგანოს გამოცემის საკითხიც, რადგან იმ დროს „ცნობის ფურცელში“, რომელიც მხოლოდ ლიტერატურული და საზოგადოებრივი მიმართულების მატარებელი ორგანო იყო, მის ფურცლებზე მძიმე პოლიტიკური პირობების გამო დიდ საფრთხეს წარმოადგენდა ეროვნული პროგრამისა და პრობლემებზე ლაპარაკიც კი.

გამოსავლად, პარტიამ, თავისუფალი ორგანოს შექმნის ადგილად, მიზანშეწონილად, მისი მხოლოდ საზღვარგარეთ დაარსება მიიჩნია. კომიტეტის გადაწყვეტილებით, საფრანგეთში მიავლინეს არჩილ ჯორჯაძე, როგორც თეორეტიკოსი და ორგანოს იდეური მხარის ხელმძღვანელი, ხოლო გიორგი დეკანოზიშვილი კი, როგორც ენერგიული ორგანიზატორი და დახელოვნებული პრაქტიკული მოღვაწე. მათ თან ახლდათ ასოთამწყობი მიხეილ კიკნაძე.

ამ ჯგუფმა, სულ მალე, პარიზში 1903 წლის პირველ მაისს უკვე გამოსცა გაზეთ „საქართველოს“ პირველი ნომერი, რომელიც უცხოეთში პირველი არალეგალური ორგანო იყო. თუ არ ჩავთვლით პირველ ქართულ არალეგალურ სოციალისტური მიმართულების ყოველდღიურ ჰექტოგრაფიულ გაზეთ „დროშას“, რომლის სულ 10 ნომერი 1873 წლის პირველი აპრილიდან ათ აპრილამდე გამოდიოდა. მისი თანამშრომლები იყვნენ: ნიკო ნიკოლაძე, დავით მიქელაძე (მეველე) და პავლე იზმაილოვი.

გაზეთ „საქართველოს“ პარალელურად გამოდიოდა მისი ფრანგული დამატება - ორეული „la Georgie“, რომელმაც გაიტანა და დასვა ევროპაში ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლების საკითხი. ხოლო ფრანგული დამატება „la Georgie“ ქართული პრობლემის პოპულარიზაციასთან ერთად ეწეოდა ევროპის დემოკრატიული საზოგადოების ყურადღების მიპყრობის ფართო პროპაგანდას. მასში „საქართველოდან“ გადმოზეჭდილ და ქართულიდან თარგმნილ მასალებთან ერთად ქვეყნდებოდა ფრანგი და სხვა დასავლეთ ევროპელი პოლიტიკური მოღვაწეების წერილები და გამოხმაურებანი.

„საქართველოს“ ფრანგული დამატება-ორეულის „la Georgie“-ს რედაქტორი იყო ქალბატონი რენო.

გაზეთი „საქართველო“ ორ კვირაში ერთხელ იბეჭდებოდა და თითოეული ნომრის ტირაჟი - 600 ეგზემპლარი გახლდათ. იგი საქართველოში არალეგალურად ვრცელდებოდა. „საქართველო“ და მისი ფრანგული დამატება-ორეული „la Georgie“ საქართველოდან შემოწირული თანხებით ფინანსდებოდა და ამიტომაც ყველგან უფასოდ ვრცელდებოდა. ასევე პარტიის ძირითადი ბირთვის შენახვაც პარიზში დიდ თანხასთან იყო დაკავშირებული.

საქართველოში „ცნობის ფურცელმა“, ხოლო უცხოეთში „საქართველომ“ იდეურად შეამზადა ფედერალისტთა პარტია იმისათვის, რათა 1904 წლის აპრილში ჟენევაში გამართულ კონფერენციაზე იგი ოფიციალურად ჩამოყალიბებულიყო და გაფორმებულიყო სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიად.

გაზეთმა „საქართველომ“ უცხოეთში 1905 წლის 15 მაისამდე იარსება. პარიზში „საქართველოს“ დახურვის შემდეგ გაძლიერდა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიული პრესა საქართველოშიც, განსაკუთრებით ქუთაისში, სადაც დავით მესხის რედაქტორობით გამოდიოდა გაზეთები: „კოლხიდა“, „იმერეთი“, „მეგობარი“ და სხვა.

XX საუკუნის დასაწყისში სოციალისტ-ფედერალისტები აქტიურად ჩაებნენ საქართველოში მიმდინარე დიდ პოლიტიკურ ბატალიებში.

სწორედ, საქართველოში მიმდინარე რევოლუციური პროცესების გამო შეწყვიტეს პარიზში სოციალისტ-ფედერალისტებმა თავიანთი გაზეთის „საქართველოს“ გამოცემა. პარტიის თვალსაჩინო მოღვაწენი დაბრუნდნენ თბილისში და აქტიურად ჩაებნენ რევოლუციურ საქმიანობაში, რადგან მიაჩნდათ, თვითმპყრობელური რეჟიმის დამხობისათვის ბრძოლაში ყველა საზოგადოებრივი კლასი და ფენა უნდა გაერთიანებულიყო. და, არ უნდა მინიჭებოდა ჰეგემონია მხოლოდ პროლეტარიატს.

„ლეო კერესელიძე დაუკავშირდა 1904 წელშივე მაშინ პარიზში მოქმედ ქართველ მებრძოლ ნაციონალისტთა ჯგუფს, რომლის მეთაურიც იყო გიორგი დეკანოზიშვილი. როდესაც 1905 წელს რევოლუციის დასაწყისში გიორგი დეკანოზიშვილმა საქართველოს ნაპირებს იარაღით დატვირთული გემები მიაყენა, ლეო იყო ამ გემზედ სხვა ახალგაზრდა ქართველებთან ერთად და მათი ხელმძღვანელობით და ენერგიით ერთი ნაწილი მაინც ამ იარაღისა შემოვიდა საქართველოში“ (შარაძე, 2001, გვ. 383-384).

ამასვე აღნიშნავდა თავის ბიოგრაფიაში ლეო კერესელიძეც: „... ვთანამშრომლობდი ჯერ პირადად გ. დეკანოზიშვილთან პარიზში, რომელიც ძალიან მენდობოდა და იარაღის გატანის საქმეში შესამჩნევი როლი მაკისრა. ამსტერდამში მე დავუდე იარაღი გემს, მე შევადგინე მეზღვაურთა დასი და სტამბოლში იარაღის გაშვების საქმე ოსმალეთის მთავრობასთან მე მოვახერხე“ (მამულია (2007), *თანამემამულე*, N3 (24), გვ. 14).

ამ პერიოდის პოლიტიკურ მოვლენათა განვითარება ცხადყოფდა, რომ რუსეთი სახალხო რევოლუციის ზღურბლთან იდგა. ვითარება რუსეთ-იაპონიის ომმა კიდევ უფრო გაამწვავა. 1904 წლის იანვარში დაწყებულმა ომმა სააშკარაო გახადა რუსეთის სამხედრო მოუზადებლობა, რომლის შეიარაღებული ძალები მძიმე მარცხს განიცდიდნენ. ეს წარუმატებლობა საზოგადოებაში აღშფოთებას იწვევდა და დემოკრატიულ ძალებს ცარიზმის წინააღმდეგ კიდევ უფრო ამხედრებდა.

ზემოთ აღნიშნულ მოვლენებზე კი თავის მემუარებში გიორგი კერესელიძე შემდეგს მიუთითებდა: „1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომის დროს, იაპონური სარდლობა, რუსეთის იმპერიის დასუსტების მიზნით, ფინანსურ დახმარებას უწევდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქართველ პატრიოტებს. სწორედ, ტოკიოს მატერიალური დახმარებით იძენდნენ სოციალისტ-ფედერალისტები დასავლეთ ევროპაში იარაღს, რომლის საქართველოში გადმოგზავნისათვის მიიღო აქტიური მონაწილეობა ლეო კერესელიძემ“ (მამულია (2007), *თანამემამულე*, N3 (24), გვ. 14).

იგივე ფაქტზე მოგვითხრობს 1914 წლის 29 აგვისტოთი დათარიღებულ შეტყობინებაში ჟენევის გენერალური კონსული გაისლერიც: „ხსენებულმა ქართველმა (იგულისხმება ლეო კერესელიძე მ. მ.) დღეს განაცხადა, რომ დაახლოებით ოცი ქართული წარმოშობის თურქი ოფიცერი და მოხელე მის პარტიას მიეკუთვნებიან და თურქული ხელისუფლების

მოქრთამვის პირობებში იარაღის გადმოტვირთვა ადვილი იქნება რიზეში, ტრაპიზონთან ახლოს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ თურქეთი არ დაუჭერს მხარს აჯანყების მოძრაობას, რიზედან იარაღი საქართველოში გაიგზავნება. ის თავად, აწ უკვე გარდაცვლილ დეკანოზთან (იგულისხმება გიორგი დეკანოზიშვილი მ. მ.), პარიზში გამომავალი ქართული გაზეთის რედაქტორთან ერთად, მოლაპარაკებებს აწარმოებდა იაპონიის წარმომადგენელთან, რომლისგანაც მათ მიიღეს 6 მილიონი ფრანკი საქართველოში 1905 წლის აჯანყების მხარდასაჭერად. მაშინ იარაღი ამსტერდამიდან გაგზავნილ იქნა ფოთში, შავ ზღვაზე“ (მამულია და ასტამაძე, 2019, გვ. 73).

ამ დროს მთელ საქართველოში უკვე მძვინვარებდა აგრარული მოძრაობა. 1905 წლის დამდეგიდანვე გლეხობამ მასობრივად უარი თქვა მემამულეთა ვალდებულებებსა და ცარიზმის მორჩილებაზე. შეიარაღებული გლეხები სოფლებიდან ერეკებოდნენ მამასახლისებს და აწყობდნენ სახალხო მმართველობას. გლეხთა აგრარული მოძრაობის აქტივობამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი გურიაში მიიღო, სადაც ადგილობრივი მმართველობა ძირითადად ხალხის ხელში გადავიდა. რევოლუციურად განწყობილი გლეხობა ქმნიდა თავის კომიტეტებს, რომელსაც ანდობდა ყველა საკითხის გადაწყვეტას.

ცნობილია, ბახველი გლეხების მოთხოვნები, რომელიც ისტორიაში „ბახვის მანიფესტის“ სახელწოდებით შევიდა: „ჩვენ ვერ მოვითავებთ ჩვენი საშინელი მდგომარეობის აღწერას, ვის შეუძლია ჩვენ საჭიროებათა დაკმაყოფილება? ვინ გაიგონებს ჩვენ ხმას?“...

გურიის სოფლის გლეხები მოითხოვდნენ სახაზინო, საუფლისწულო და სამონასტრო მიწების კონფისკაციას და ხალხის განკარგულებაში გადაცემას, მემამულეთაგან სანადელო მიწის გადაცემას საკუთრებაში, წოდებრივ პრივილეგიათა გაუქმებას, არაპირდაპირი გადასახადების მოსპობას, სიტყვის, კრების, კავშირების და გაფიცვების თავისუფლებას...

1905 წლის თებერვალ-მარტიდან გლეხთა რევოლუციურ მოძრაობაში მასობრივად ჩაებნენ თბილისის, გორის, დუშეთის, თელავის, სიღნაღის მაზრები. მათი საერთო მოთხოვნა იყო „ჩამონაჭრების“ დაბრუნება, სამოვრებითა და ტყეებით თავისუფალი სარგებლობა, წოდებრივი უთანასწორობის გაუქმება, ქართული სკოლების გახსნა და სხვა.

საქართველოში დაწყებულ გლეხთა აგრარულ მოძრაობას მალე ზედ დაერთო რუსეთში მიმდინარე პროცესები, რომელსაც ბიძგი მისცა 1905 წლის 9 იანვარს პეტერბურგში პუტილოვის ქარხნის გაფიცულ მუშებთან ერთად მღვდელ გაპონის ინიციატივით მოწყობილმა მშვიდობიანმა დემონსტრაციამ. იგი ცარიზმის ჟანდარმერიამ თავისი ვანდალური ქმედებით ჩააქრო. ზამთრის სასახლესთან ხატებითა და მეფის სურათებით მისულ 150 ათას მუშას მთავრობის ჯარებმა ჯერ გზა გადაუღობეს, შემდეგ კი სროლა აუტეხეს, სადაც ათასზე მეტი მოჰკლეს, ხუთი ათასამდე დაჭრეს. ეს დღე რუსეთის ისტორიაში „სისხლიანი კვირის“ სახელწოდებით შევიდა.

უიარაღო მუშათა წინააღმდეგ მიმართულმა აქტმა პოლიტიკური გაფიცვებითა და მანიფესტაციებით არა მარტო რუსეთი მოიცვა, არამედ მთელი ამიერკავკასიაც, რაც თავისთავად გახდა სახალხო რევოლუციის დაწყების მოტივი.

რევოლუციური აქტივობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბალტიისპირეთი და საქართველო, სადაც რევოლუციური მოძრაობა ეროვნული ნიშან-თვისებით ხასიათდებოდა. გაფიცვები და დემონსტრაციები ეწყობოდა თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში და სამაზრო ქალაქებში. მუშებთან და გლეხებთან ერთად რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება ინტელიგენცია. სისტემატური ხასიათი მიეცა მოსწავლეთა გამოსვლებს.

შავრაზმელებმა გოლოვინის პროსპექტზე მოაწყვეს მანიფესტაცია, რომლებიც ვაჟთა პირველი გიმნაზიის ახლოს დაერივნენ მშვიდობიან მოსახლეობას, შეიჭრნენ გიმნაზიის შენობაში, მოკლეს რამდენიმე მოწაფე და გიმნაზიის პედაგოგი შიო ჩიტაძე.

1905-1907 წლების რევოლუციის წინააღმდეგ მიმართულმა ხოცვა-ჟლეტამ აღაშფოთა ქართული საზოგადოებრიობა.

იმ დროისათვის, საქართველოში მიმდინარე რევოლუციურ პროცესებში აქტიურად მონაწილეობდნენ სოციალ-დემოკრატიული და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიები. განსაკუთრებით ფედერალისტთა პარტიას ქალაქისა და სოფლის ინტელიგენციაში თანამგრძნობთა ფართო წრე ჰყავდა. რევოლუციური სულისკვეთების გაღვივებაში ასევე დიდ როლს ასრულებდა ქართული თეატრი, ქართველი მხატვრები, მუსიკოსები, სასულიერო პირთა დაბალი ფენის წარმომადგენლები.

რევოლუციურმა პროცესებმა, აშკარად ცხადყო, ნაროდნიკული რევოლუციური მოძრაობის - „ნიჰილიზმის“ უპერსპექტივობა და „სეპარატიზმის“ - იმპერიის განაპირა კოლონიური ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერსპექტივები, რომელიც წითელ ხაზად გასდევდა სოციალისტ-ფედერალისტთა მოძრაობას.

სწორედ, 1905-1907 წლების რევოლუციური პროცესებისას მოხდა საქართველოში არალეგალურად იარაღის შემოტანა სოციალისტ-ფედერალისტების მიერ, რათა იგი რევოლუციური რაზმებისათვის დაერიგებინათ. „ჰოლანდიაში იარაღით დატვირთეს ხომალდი „სირიუსი“ და საქართველოში გამოგზავნეს. სამშობლოში არალეგალურად გამოემგზავრა თ. სახოკია, რომელსაც დავალებული ჰქონდა ეხელმძღვანელა შავი ზღვის სანაპიროებზე ამ იარაღის გადმოტვირთვა-განაწილებისათვის, ხომალდმა მშვიდობით მოაღწია. იარაღის გადმოტვირთვაც ოსტატურად მიმდინარეობდა. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მოინდომა იარაღის დასაკუთრება. ცნობა პოლიცია-ჟანდარმერიის ყურამდევ მივიდა, რის გამოც გადმოტვირთული იარაღის ნაწილი ხელში ჩაუვარდა მთავრობას“ (საქართველოს ისტორია 1783-1990, გვ. 153-154).

იმთავითვე, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველ დემოკრატიული ინტელიგენციის რევოლუციური თაობა აღზრდილი იყო დიდ 60-იანელთა ტრადიციებზე, რომელთათვისაც ცარისტული რეჟიმის დამხობა და კოლონიური ჩაგვრისაგან საქართველოს გათავისუფლება გახდათ უმთავრესი იდეალი.

აქედან გამომდინარე, ნიშანდობლივია ერთი ამონარიდი ლეო კერესელიძის ბიოგრაფიიდან: „1905-1906 წლებში ვიღებდი მონაწილეობას რევოლუციაში, საქართველოში ვიყავი ფედერალისტების მეზრძოლი კომიტეტის წევრად და ფედერალისტების მეზრძოლი რაზმი მე შევადგინე. 1906 წლის მაისში ამ კომიტეტის ბრძანებით დავეცი დუშეთის ხაზინას, საიდანაც 315. 000 მანეთი გამოვიტანე, რომლის ნაწილი მოიპარა ს. გედევანიშვილმა (25 000 მ) და 75. 000 მანეთი მოიპარა ა. ჯაბადარმა. დანარჩენი ფედერალისტებმა პარტიულ საქმეზე დახარჯეს“ (მამულია (2007), *თანამემამულე*, N3 (24), გვ. 14).

დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაციამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მის შესახებ ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი მიხაკო წერეთელი აცხადებდა: „1905 წელს ლეო თბილისში ვნახე იარაღით ხელში მეზრძოლი არა მარტო მოქალაქის თავისუფლებისა, არამედ სამშობლოს თავისუფლების მოპოვებისათვის. იგი დაკავშირებული იყო მაშინდელ მეზრძოლ ნაციონალისტთა, ფედერალისტთა პარტიასთან და მათი დავალებით ბევრ ბრძოლაში ჰქონდა მიღებული მონაწილეობა, ხოლო როდესაც ერთი ძლიერი ძნელად გასაბედავი რევოლუციური საქმე ვერავინ ვერ გაბედა, ან გაბედა და ვერ აღასრულა, ბოლოს ლეომ აიღო და საზღაპრო გმირობით შეასრულა იგი. ეს იყო ცნობილი დუშეთის საქმე, მაგრამ ბოროტ

ადამიანთა ენამ მას საზიზღარი ცილი დასწამა, თითქოს იგი ამ საქმიტგან წმიდად არ გამოსულიყოს. ხოლო ვაცხადებ აქ საჯაროდ, ვითარცა თანადამხდური მოწამე იმ საქმისა, რომ ლეო კერესელიძეს მაშინ, გარდა გმირობისა, არ ჩაუდენია რამ. რასაც მას წამებდნენ, იგი სხვებმა ჩაიდინეს, ხოლო ლეო დევნილი რუსის მთავრობისაგან და ცილ-წამებული მათ მიერ, ვისი მოვალეობაც მისი დაცვა იყო, იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა. იგი კვლავ ჟენევაში დაესახლა, სადაც მას შეუერთდნენ მალე ძმა გიორგი და მისი ნათესავი ნესტორ მაღალაშვილი“ (შარაძე, 2001, გვ. 383-384).

დუშეთის ხსენებული ოპერაციის მონაწილეებმა 1906 წლის აპრილის თვეში საქართველო დატოვეს და თავი შვეიცარიას შეაფარეს, რადგან საფრანგეთი რუსეთის მოკავშირედ ითვლებოდა და ამიტომაც შეიძლება მათ გადაცემაზე უარი არ ეთქვათ.

ჟენევაში დამკვიდრებულთ, მართლაც, ერთ დღეს პოლიცია ესტუმრათ და სამთავენი დააკავეს. ჟენევის სასამართლო პროცესზე დუშეთის საქმე საერთაშორისო სამართლის კანონის პოზიციიდან შეაფასა „საერთაშორისო უფლების უდავო ავტორიტეტმა ბელგიელმა პროფესორმა ნისმა: საქართველოს დაპყრობა რუსეთის მიერ სრულიად უკანონოა, რადგან ტრაქტატები ცალმხვრივ და ძალმომრეობით იყვნენ დარღვეულნი რუსეთის მიერ. ამდენად ლეო კერესელიძისა და მის თანამონაწილეთა ქმედება მხოლოდ და მხოლოდ პატრიოტული აქტია და სხვა არაფერი“-ო.

ამ პროცესმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა დასავლეთის პრესაში, ევროპასა თუ ამერიკაში. ეხებოდნენ საქართველოს ისტორიას, მის უფლებებს, რუსეთის მიერ „ტრაქტატების“ ვერაგულ დარღვევას და სხვა. „ყველა სცნობდა საქართველოს უფლებას, რომ იარაღით და ყველა სხვა საშუალებებით ებრძოლოს რუსეთს დამოუკიდებლობის აღსადგენად.

უცხოეთში საქართველოს საკითხს ამ მოვლენამ ცოტად თუ ბევრად ნიადაგი განუწმინდა. იმ დროს, დასავლეთის ქვეყნებში, საქართველოს არსებობაც კი დავიწყებული იყო. ჩვენმა პროცესმა პრესა აამეტყველა. საგანგებო დაწესებულება გვიგზავნიდა ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილ იმ წერილებს, რომელნიც საქართველოს ან ჩვენ გვეხებოდნენ“ (მამულია (2013) *ქართული ემიგრაცია*, N1, გვ. 148-149).

ამ ფაქტიდან გამომდინარე, არის რაღაც საერთო და თანამდევი პერიპეტიები საფრანგეთის პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწის, ბურჟუაზიულ რესპუბლიკელთა მემარცხენე ფრთის ერთ-ერთი ლიდერის ლეონ გამბეტასა და მის ქართველ სეხნიას ლეო კერესელიძეს შორის. თუ ლეონ გამბეტამ სახელი გაითქვა ლ. დელეკლუიზის პროცესზე, მეორე იმპერიის წინააღმდეგ მამხილებელი სიტყვით გამოსვლისას, ასევე ჟენევის სასამართლო პროცესზე მთელ ევროპასა და ამერიკას მოედო პატრიოტული აქტის ჩადენისათვის ლეო კერესელიძის სახელი.

საქართველოს ფედერალისტთა პარტიასა და საერთოდ, ლეო კერესელიძის სამშობლოს თვისუფლებისადმი თავშეწირვას, იანუსივით ორი სახე ჰქონდა: ერთი ილიმებოდა, მეორე კი ტიროდა. ერთსა და იმავე დროს ერთი ცრემლების სამყაროსკენ იხედებოდა, მეორე კი სიხარულის სამფლობელოსაკენაც. ასე რომ, თემიდას სასწორს პინა ლეო კერესელიძის გმირობისაკენ, რომ არ გადაეხარა, ეს მთის არწივივით თავისუფლებისათვის გაჩენილი ჯერ კიდევ ისევ მართვე, ვინ იცის ფრთებს სამუდამოდ სად შეიმსხვრევდა.

მძიმე ემიგრანტული პირობების მიუხედავად ლეო კერესელიძემ მაინც შეძლო და ჟენევის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბარა. მას კარგად ესმოდა ცოდნის დიდი როლი და დანიშნულება სამშობლოს წინსვლის საქმეში.

„1906 წლის გაზაფხულზე უკვე ემიგრანტის სახით დავსახლდი ქენევაში. 1907 წელს შევედი იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1910 წელს დავამთავრე და მაშინვე გადავედი პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და ისიც 1912 წელს გავათავე. 1913 წელს დავინიშნე ქენევის იურიდიულ ფაკულტეტის პრივატ-დოცენტად. დავწერე შემდეგი თხზულებანი: 1. Manuel du droit civil Suisse; 2. La Georgie et la domination Russe; 3. Fantaisies Orientales; 4. L'instruction et l'organisation de l'Armee; 5. თემა პოლიტიკური ფაკულტეტისათვის: Conquete de la Georgie par la Russie; 6. ოთხი მოხსენება სამხედრო საკითხებზე, რომელიც წარვუდგინე შვეიცარიის სამხედრო შტაბს; 7. ვთანამშრომლობდი ოთხ შვეიცარიულ გაზეთში.

ჩემი სამხედრო მოხსენებები უმეტესად შეეხებოდნენ ჩემს მიერ შექმნილ თეორიას: „Instruction individuelle de L'Armee“ და „La Nation armee“, რომელიც ეხლა საფრანგეთის სამხედრო რეორგანიზაციისას გამართლდა და რომელიც მე 12 წლის წინათ ვიწინასწარმეტყველე (ჩემი თხზულების შესახებ იხ. La revue militaire Suisse).

სამხედრო მეცნიერებას განუწყვეტლივ ვსწავლობდი თეორიულად და პრაქტიკულად. 5 ზაფხულის განმავლობაში ვესწრებოდი შვეიცარიის სამხედრო კურსებს, როგორც თავისუფალი მსმენელი. გარდა მაგისა დავესწარი 4 დიდ მანოვრს“ (მამულია (2007), *თანამემამულე*, N3 (24), გვ. 16).

1913 წელს ქუთაისში გამომავალი გაზეთი „იმერეთი“ თავის ფურცლებზე იტყობინებოდა: „ქენევის საუნივერსიტეტო საბჭოს, ქენევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საზოგადოებრივი უფლების კათედრაზე პრივატ-დოცენტად ქართველი ლეო კერესელიძე დაუნიშნავთ. ეს პირველი მაგალითია ქენევის უნივერსიტეტში, რომ კავკასიის მკვიდრი პრივატ-დოცენტად ინიშნება“ (1913), გაზეთი „იმერეთი“, N106, გვ.2).

ასე რომ, პიროვნებაზე უნდა ვიმსჯელოთ მისი ინდივიდუალური დამსახურების მიხედვით და არა ამა თუ იმ პარტიისადმი მისი სიმპათიებით. ამდენ ხიფათში გაბმული ლეო კერესელიძე თავის ხედვრს, დიდი ენერგიითა და მტკიცე ნებისყოფით, ვაჟკაცურად იტანდა. მან არ იცოდა სულიერი წაბორძიკება და სასოწარკვეთილება. გაჭირვება ზრდიდა და ასალკლდევებდა მას.

ერთი სიტყვით, იგი არც ერთ მომენტში სულიერ წონასწორობას არ კარგავდა. ლეო კერესელიძე იყო დასრულებული ტიპი მებრძოლისა, რომელიც მუდამ შემართული გახლდათ და ყოველ მომენტს საქართველოს საკეთილდღეოდ იყენებდა.

ამის მაგალითია დუშეთის საქმის გამო განხორციელებული სასამართლო პროცესი, რომელმაც ქართველი ხალხისადმი ევროპელთა თანაგრძნობა გამოიწვია. თან გააცოცხლა იმედი, რომ თითოეულ ერს, რაც გინდ პატარა იყოს ეს ერი, - სიცოცხლის და თავისუფალი განვითარების უფლება აქვს.

იმ დროს ქენევაში მრავალრიცხოვანი ქართველობა მარტო ემიგრანტებით როდი შემოიფარგლებოდა. აქ იყვნენ თავისუფლად ჩასული სტუდენტები და არა სტუდენტებიც. „ქენევის ქართველობა, პოლიტიკურად ორ ბანაკად ვიყოფოდი: სოციალ-დემოკრატები და ნაციონალისტები. პირველნი შედგებოდნენ „მენშევიკებისაგან“ და ბოლშევიკებისაგან“. მენშევიკები - წინააღმდეგ მისი სახელწოდებისა, - უმრავლესობას წარმოადგენდნენ, ბოლშევიკები კი - უმცირესობას.

ორივე ჯგუფს სოციალისტებისას ჰქონდათ თითოს თავისი დარაზმულობა, პარტიული დისციპლინა. ჩვენ, - „ნაციონალისტებს“ არც ერთი გაგვაჩნდა და არც მეორე. ჩვენს შორის იყვნენ მონარქისტები, სოციალისტ-ფედერალისტები, დემოკრატ-რესპუბლიკელები, ანარქისტები და სხვანი. გვაერთიანებდა ერთი საერთო იდეალი-მიზანი: საქართველოს სრული დამოუკიდებლობა“ (მამულია (2013), *ქართული ემიგრაცია*, N1, გვ. 148-149).

უცხოეთში ქართველი ემიგრანტები, ყოველთვის აღნიშნავდნენ ტრადიციულ საერო თუ სასულიერო დღესასწაულებს, რომლის ძალისხმევით ევროპელები ფართოდ ეცნობოდნენ ქართულ ეთნოსსა და მის ადათ-წესებს. ამასთან ერთად ქართველები ასევე მონაწილეობდნენ იმ ქვეყნის დღესასწაულებშიც, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. ასეთი იყო ჟენევაში „კალვინის ხსოვნის“ დღე: „1909 წელს, ჟენევის უნივერსიტეტი დაარსების 350 წლისთავს დღესასწაულობდა. დიდი მზადება იყო. ქართველ სტუდენტთა კორპორაცია „ივერიის“ თავმჯდომარემ ლეო კერესელიძემ დღესასწაულის მომწყობ საგანგებო კომისიას შემდეგი გეგმა წარუდგინა: ქართველები ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილნი და ეროვნული დროშით მივიღებთ მონაწილეობასო. ყველას მოეწონა. ჩემი ნახატებით შევაკერვინეთ ქულაჯები. ერთი გურული ტანისამოსი ლეო კერესელიძესათვის. ქ. ბერნიდან ჩამოგვიყვანეს კავალერიის ცხენები. შევაკერვინეთ და მოვაქარგვინეთ ქართული დროშა: ორ-ფეროვანი-შვინდისფერი და შავი ოქრომკერდის არშიით და ფოჩებით. დღესასწაული ერთ კვირაზე მეტი გრძელდებოდა. დღესასწაული კორტეჟით გაიხსნა...

მთელი კაცობრიობის უნივერსიტეტებმა, სამეცნიერო დაწესებულებებმა, კალვინისტთა მრევლების წარმომადგენლებმა, და რასაკვირველია, ჟურნალისტებმა, ფოტოგრაფებმა მოიყარეს თავი. კორტეჟის სათავეში ჩვენ, ქართველები ვიყავით, და რექტორს მხოლოდ ჩვენ ვაძლევდით სალამს ჩვენი დროშის ოდნავ დახრით. სადაც გავივლიდით - ხალხი აღფრთოვანებული ტაშისცემით გვხვდებოდა. და ათასგვარ ენაზე გაისმოდა: „გაუმარჯოს ქართველებს, საქართველოს!“ მხოლოდ ერთი ჯგუფიდან გაისმა: „ნაში კაზაკი!“. ნესტორ მაღალაშვილმა ერთი კარგად მოქნეული მათრახი გადაჰკრა და მისძახა: „ვოტ ვაში კაზაკი!“. შემდეგ, სადაც კი გამოვჩნდებოდით, კონცერტი იქნებოდა, ბანკეტი, ბალი თუ კონფერენცია, იგივე ტაში და „გაუმარჯოს საქართველოს!“, - ისმოდა. პრესა ალაპარაკდა, სინემა ამუშავდა. მრავალთა შეგნებაში საქართველოს სახელმა ფეხი მოიკიდა. ნაწილობრივ ამითაც აიხსნება, რომ ჟენევაში ჩვენს მიერ მოწყობილ წარმოდგენებს, ცოცხალ სურათებს, ცეკვებს, დიდძალი საზოგადოება ესწრებოდა ხოლმე“ (მამულია (2013), *ქართული ემიგრაცია*, N1, გვ. 150).

ბუნებრივია, პრესა და მსგავსი ღონისძიებები დიდ როლს თამაშობდნენ საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად, ზნეობრივი თანაგრძობისა თუ დახმარების მხრივაც.

დიდ მოთმინებაზე დამყარებულმა ქართველთა ასწლიანმა მონობამ და სიცოცხლისათვის შეურაცხყოფელმა მძიმე მდგომარეობამ, ერს ერთი რამ შეაგნებინა, რომ თავისუფლება ხელგაუწმრევლად არავის ენიჭება. სწორედ, ევროპაში ქართველ ახალგაზრდა პოლიტიკოსთა მისწრაფება იყო მოემზადებინათ ნიადაგი ქართული თავისუფალი პოლიტიკური აზრისა და თავისუფალი პოლიტიკური მოქმედებისათვის.

ამ დროისათვის, საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მოღვაწეობა მნიშვნელოვანი მოვლენას წარმოადგენდა.

1909-1910 წლებში შექმნილი საქართველოს დამოუკიდებლობის ჯგუფის წევრები იყვნენ: იაკობ გოგებაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, სვიმონ ყიფიანი, ალექსანდრე ყიფშიძე, მიხეილ წერეთელი, გიორგი გვაზავა, ვალერიან გუნია, ნიკო ლორთქიფანიძე და სხვ. მისი თავმჯდომარე პეტრე სურგულაძე გახლდათ. „მათი ორგანო იყო „ერი“, რომელიც ცენზურისაგან დევნის გამო სხვა და სხვა სახელით გამოდიოდა და გაზედულად მოითხოვდა საქართველოს სუვერენობის აღდგენას. 1910 წელს ქართველი ნაციონალისტები დიდ დევნას განიცდიდნენ“ (სალია (1962), „*ბედი ქართლისა*“, N34-30, გვ.16).

აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1905-1907 წლების რევოლუციამ და მისმა დამარცხებამ საქართველოშიც ცარისტული რეჟიმის წლები დაამკვიდრა.

ქართველ რევოლუციონერთა დიდი ნაწილი დააპატიმრეს, ზოგი კავკასიიდან გადასახლეს, ხოლო ერთი ნაწილი კი იმპერიის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის გასაგრძელებლად უცხოეთში გადაიხვეწა.

„1910 წლის აპრილში კავკასიის დამცავი განყოფილების მიერ განხორციელებული ოპერაციის შედეგად, სოციალისტ-ფედერალისტთა თბილისის და ქუთაისის ორგანიზაციების ლიდერთა უდიდესი ნაწილი დააპატიმრეს. შვიდთვიანი სასამართლო პროცესის შემდეგ, 15 კაცს კავკასიის მხარიდან 5 წლით გადასახლება მიესაჯა, რაც საქართველოს ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის საბოლოო განადგურებას ისახავდა მიზნად“ (მამულია და ასტამაძე, 2019, გვ. 56).

სოციალ-დემოკრატებს ერი ადამიანთა კულტურულ ერთობად, ხოლო ეროვნული საკითხის გადაწყვეტის მთავარ ფორმად კი კულტურულ-ნაციონალური ავტონომია მიაჩნდათ. ამ პერიოდისათვის, მათ საპირისპიროდ, საქართველოში ქართველ მოღვაწეთა ცალკე ჯგუფი შეიქმნა, რომლებიც ეროვნული საკითხის დაყენების ილია ჭავჭავაძისეულ ტრადიციებს აგრძელებდნენ.

ჯგუფის აქტიური მოღვაწენი იყვნენ ძმები ვ. და მ. წერეთლები, გ. გვაზავა, პ. სურგულაძე, მიხ. მაჩაბელი, რ. გაბაშვილი, ს. კედია, ძმები ლ. და გ. კერესელიძეები და სხვები.

ეს მოღვაწენი, ქართველ საზოგადოებრიობას სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენის ბრძოლისათვის მოუწოდებდნენ. მათ თეორიულ წერილებში დასაბუთებული იყო დამოუკიდებლობის კანონიერი უფლება, მისი სიკეთე ხალხის ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების აღორძინებისათვის. დამღუპველად იყო მიჩნეული სოციალურად განსხვავებული საზოგადოებრივი ფენების ურთიერთ დაპირისპირება და შინა ომი. 1913-14 წლებში ხსენებული ჯგუფი საზოგადოებრივ ასპარეზზე თავის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით გამოირჩეოდნენ.

აქვე, უნდა ითქვას ისიც, რომ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წიაღში ქართველი ინტელიგენციის ახალი თაობის ფრთა შეიქმნა, რომლებიც XX საუკუნის პირველი ათწლეულის მიწურულსა და მეორე ათწლეულის დამდეგს გამოვიდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე. დაბალი ფენებიდან გამოსული ეს ახალი ინტელიგენცია ცდილობდა აღედგინათ და აედორძინებინათ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ილიასეული იდეალები.

მათი ორგანო გახლდათ ჟურნალები „კლდე“, „ერი“ და „საქართველო“. შემდეგ, ამ ჯგუფმა, საზღვარგარეთაც საკუთარი ჟურნალ-გაზეთებიც გაიჩინა. ჟენევაში, ლონდონში, ბერლინსა და კონსტანტინეპოლში.

სწორედ, ამ პერიოდში, დაიბეჭდა კონსტანტინეპოლში პეტრე სურგულაძის წიგნები საქართველოს სუვერენიტეტზე, სადაც მოცემული იყო საქართველოს საერთაშორისო უფლებრივი და ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

ცნობილია, რომ 1910 წლის აპრილში, როცა ცარისტული ჟანდარმერიის მიერ განხორციელდა საქართველოში სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ლიკვიდაცია, ამ დროს პარტიის ცენტრალური ფედერალური კომიტეტის მდივანი პეტრე სურგულაძეც დააპატიმრეს. მას ხუთი წლით კავკასიის მხარიდან გადასახლება მიესაჯა. იმავე წლის ოქტომბერში, იგი სოციალისტ-ფედერალისტთა მემარჯვენე ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელთა მიერ იატაკქვეშა „საქართველოს სეპარატისტთა ლიგის“ შექმნაში მონაწილეობდა. 1910 წლის დეკემბერში მან თურქეთში გადასვლა შეძლო, საიდანაც ევროპაში წავიდა“ (მამულია და ასტამაძე, 2019, გვ. 689-690).

1911 წელს, ჟენევაში, სურგულაძის თავმჯდომარეობით დაარსდა „ქართველ სეპარატისტთა პარტიის უცხოეთში მოქმედი კომიტეტი“ (მამულია და ასტამაძე, 2019, გვ. 56).

უცხოეთში მოქმედ კომიტეტს, ბუნებრივია, კავშირი ჰქონდა დამყარებული საქართველოს იატაკქვეშ არსებულ „სეპარატისტთა ლიგასთან“.

ჟენევის „ქართველ სეპარატისტთა პარტიის უცხოეთში მოქმედი კომიტეტი“ დიდი წრე იყო. „ყველა „ნაციონალისტებმა“ თავი აქ მოვიყარეთ. ავირჩიეთ ხელმძღვანელი ორგანო შემდეგ პირთაგან: თავმჯდომარე - პეტრე სურგულაძე, მდივანი - გიორგი კერესელიძე, წევრები: ლეო კერესელიძე, ნესტორ მაღალაშვილი და სამი სხვ.

საჭირო იყო ბეჭდვითი ორგანოს დაარსება. ამისათვის სახსარი არ მოგვეპოვებოდა, - ყველა დიდი გაჭირვებით ვცხოვრობდით. მივმართეთ ერთ კარგ შეძლებულ ქართველს თხოვნით ხუთასი ფრანკი ესესხებინა. ცივი უარი მივიღეთ. პეტრემ გული არ გაიტეხა. თქვა: ლოზანაში ცხოვრობს ერთი ხნიერი პოლონელი მანდილოსანი ტხორჟევსკა, საქართველო უყვარს, მას მივწერ საჭირო თანხა გვასესხოსო. (ერთი ბაასის დროს, რეზო გაბაშვილმა მომაგონა, რომ ეს მანდილოსანი და მისი მეუღლე იყვნენ „ივან და მარია“ მთარგმნელი ქართული ლექსებისა). მისწერა პეტრემ და რამდენიმე დღის შემდეგ მიიღო მისი ლოცვა-კურთხევა და ხუთასი ფრანკი არა სესხად, არამედ შემოწირულობად. თბილისში შევუკვეთეთ სტამბის ქართული ასოები, საჭირო ასაწყობი მასალით. მოკლე ხანში მივიღეთ. ბინად ერთი სამაღაზიო დარბაზი ვიქირავეთ, სადაც ასაწყობი მასალა მოვათავსეთ და ბიბლიოთეკა დავაარსეთ. შევუდევით ჩვენი ჟურნალის „თავისუფალი საქართველოს“ გამოცემას (მამულია (2013), *ქართული ემიგრაცია*, N1, გვ. 151-152).

ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“ პაპიროსის ქაღალდზე იბეჭდებოდა და მისი ფორმატი წერილის ქაღალდს არ აღემატებოდა, ამიტომ მისი კონვერტში ჩადება და საქართველოში ფოსტით გამოგზავნა მოსახერხებელი იყო. ახალგაზრდა სეპარატისტებს უცხოეთსა და საქართველოში უამრავი მომხრე ჰყავდა, რომლის ინტელექტუალურ ძალებს კარგად ესმოდათ ქართველი ხალხის გულისთქმა.

სამწუხაროდ, აქვე არსებობდა ის რუსოფილი ქართველები, რომელთაც ერის ბედი არ ანადვლებდათ. ამიტომ ჟურნალს ისინი საამჟამოზე გამოჰყავდა: „ქართველ ერს დღეს რომ გადაგვარებული ხალხი ყავს, ალბად შედარებით იმდენი არც ერთს ერში არ მოიპოება. ქართველ ერს აუტანელ პოლიტიკურ პირობების წყალობით ტერიტორიას ართმევენ, მას ერეკებიან ათასი წლობით დასახლებულ მიწა-წყლიდან.

არამც თუ აწმყოში სჩაგრავენ, მომავლის იმედის მოსპობასაც კი ცდილობენ. და თუ თქვენ ხმა აიმაღლეთ, თუ მოინდომეთ ხელი გაანძრიოთ თავდასაცველად, რუსის იმპერიალისტურ სოციალ-დემოკრატიის ფარაჯში გახვეული „ქართველი“ მყისვე შემოგძახებს: ჩუმათ იყავით, სული არ დაბეროთ, ხელი არ გაანძრიოთ, ეს ბუნებრივი მოვლენაა, ერთი ერი მეორეს ერეკება, ერთი ერი მეორეს ადგილს იჭერს. ... ქართველი ერი ღრმად იგნებს თავის სამწუხარო მდგომარეობას, იცის ბევრი მსხვერპლი დასჭირდება თავისი ვინაობის დასაცველად, მაგრამ უკან არ დაიხევს და თავის ეკლიან გზას გმირულად გაივლის თავისუფლებისა და კეთილდღეობისაკენ (1914), ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“, N4, გვ. 1).

ყოველივე ეს „სეპარატისტებს“ აძლევდა ურყევ რწმენას, რომ ქართველი ერი, თავის გულის სიღრმეში მათთან იყო და დაინახავდა თუ არა განთავისუფლებისათვის ბრძოლას მტერს ძველებურად შეუტევდა. სწორედ, ამ რწმენით და მთელი ენერგიით, თავიანთი ნიჭითა და გრძნობებით შეუდგნენ კომიტეტის წევრები ეროვნული მოვალეობის შესრულებას. და როგორც მიხაკო წერეთელი აღნიშნავდა: „ამ ჯგუფმა და მისმა ორგანომ მოამზადეს

„ქართული აზრი“ მომავალ დიდ საქმეთა გასაგებად და დიდ ომში სამოქმედოდ“ (შარაძე, 2001, გვ. 65).

ჟენევაში ლეო კერესელიძეს ყველა იცნობდა, როგორც წარმატებულ მეცნიერსა და მკვლევარს. მისი „სამოქალაქო უფლებების თეორიის დაბეჭდვის“ შემდეგ ჟენევის უნივერსიტეტის პროფესორმა პ. მორიომ შესთავაზა ამ კუთხით ლექციების კურსის წაკითხვა ბრაზილიის Santo Paolo-ს უნივერსიტეტში. ამასთან განმარტებული იყო მისი უნივერსიტეტში სამოქალაქო სამართლის კათედრის პროფესორად დანიშვნაც.

ამ პერიოდში ლეო კერესელიძე უკვე ჩართული იყო ახალ და დიდ პოლიტიკურ ბატალიებში. სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად იგი ქართულ საქმესთან ყოველთვის მთელი არსებით იდგა. მას არასოდეს უღალატია იმ მიზნისათვის: - „რუსი საქართველოდან რომ უნდა წავიდეს“. 1912 წელს პეტრე სურგულაძის ხელმძღვანელობით, როცა ჟენევაში „ქართველ სეპარატისტთა წრე“ დაარსდა ლეო კერესელიძე მაშინვე გაერთიანდა ამ პოლიტიკურ მოძრაობაში მის ძმასთან გიორგი კერესელიძესა და დეიდაშვილთან, ნესტორ მაღალაშვილთან ერთად. სეპარატისტთა წრეში შედიოდნენ ვ. ციცქიშვილი, გ. იშხნელი და სხვანი.

1914 წლის ომის გამო ქართველმა სეპარატისტებმა ტაქტიკა შეიცვალეს და ძველი კომიტეტი დაშალეს. მის ადგილზე კი ახალი - „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ დაარსეს. შეიცვალა კომიტეტის შემადგენლობაც. თავმჯდომარედ კვლავ პეტრე სურგულაძე დარჩა, ხოლო წევრებად კი ლეო კერესელიძე, მიხეილ წერეთელი, ნესტორ მაღალაშვილი და გიორგი კერესელიძე გახდნენ, რომელთაც მალე გიორგი მაჩაბელი შეუერთდა.

პირველ მსოფლიო ომში გერმანიის იმპერიალისტური ძალების წაქეზებით თურქეთი ოქტომბრის თვიდან ჩაება. პანთურქისტული წრეების ომში წარმატებას უნდა მოჰყოლოდა ოტომანთა დიდი იმპერიის აღდგენა. მასში ამიერკავკასიის, ყირიმის, კავკასიელთა მთიელი ტომების, პოვოლოჟიეს, თვით შუა აზიის გაერთიანებით.

მსოფლიო ომში „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ გერმანიისა და თურქეთის მხარე დაიჭირა, რადგან მათზე დაყრდნობით საქართველოში რუსეთის კოლონიური რეჟიმი დაემხოთ და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებია.

ზემოთ აღნიშნულ მოვლენებზე თავის მემუარებში გიორგი კერესელიძე წერდა: „ომის დაწყების პირველივე დღეს დავიწყეთ მოლაპარაკება გერმანიის წარმომადგენელთან. შევიმუშავეთ ჩვენი მოთხოვნები. მოლაპარაკების წარმოება დავავალეთ ჩემს ძმას, - ლეო კერესელიძეს. მრჩევლებად გვყავდნენ ჟენევის ადვოკატები ადრიენ ლაშენალი, შვეიცარიის კონფედერაციის ყოფილი თავმჯდომარე და მისი თანამშრომელი ცეზარ ჰიუდრი. ეს ის ადვოკატები იყვნენ, ვინც ჩვენ დაგვიცვეს 1906-1907 წელს სასამართლო პროცესზე. ამიტომ ქართულ საკითხს კარგად იცნობდნენ.

სულ მოკლე ხანში შევთანხმდით და ხელშეკრულება დავდეთ, რომლითაც გერმანია წინასწარ ცნობდა საქართველოს სუვერენულ უფლებებს მთელ მის იმ ტერიტორიაზედ, რომელიც რუსეთის მიერ იყო დაპყრობილი.

გერმანია ასევე აღგვითქვამდა დიპლომატიურ და მატერიალურ დახმარებას ჩვენი სახელმწიფოს აღსადგენად. მისი სუვერენობისა და საზღვრების დასაცავად. ეს პუნქტი საქართველოს ტერიტორიის მთლიანობას უზრუნველყოფთა მაშინდელი ოსმალეთის შესაძლებელი ანექსისტური განზრახვებიდანაც.

შემდეგში თუ ომის მსვლელობა მოითხოვდა გერმანიის ჯარის გაგზავნას საქართველოში, ეს ჯარი შევიდოდა როგორც მოკავშირე მეგობარი. ჩვენს კომიტეტს ეძლეოდა

სრული თავისუფლება მოქმედებისა გერმანიის ტერიტორიაზე თავისი ეროვნული საქმეების საწარმოებლად: პროპაგანდა, პრესა, ტყვეების მოვლა და სხვა.

ესეთივე ხელშეკრულება დავდეთ, გერმანიის დახმარებით, ავსტრო-უნგრეთთან“ (მამულია (2013), *ქართული ემიგრაცია*, N1, გვ. 155).

ახალი კომიტეტის ხელშეკრულება მარტო ორ იმპერიასთან ურთიერთობით როდი შემოიფარგლებოდა. პოლიტიკისა და დიპლომატიასთან ერთად კომიტეტის მიზანი იყო სამხედრო ასპარეზზე მოქმედება და ამიტომ მათ გეგმაში შედიოდა ოსმალეთის ტერიტორიაზე ქართული ლეგიონის, ქართული სამხედრო ფორმით, ქართული დროშით და ქართული შემადგენლობით ჩამოყალიბება. ოსმალეთის ტერიტორიაზე შექმნილი ლეგიონი მხოლოდ საქართველოს საზღვართან ან საქართველოს ტერიტორიაზე იბრძოლებდა და სხვაგან არსად.

ქართული კომიტეტისათვის ყველაზე ღირებული იყო გერმანიის დაპირება, რომ იგი საქართველოს დამოუკიდებლობასა და მის ტერიტორიულ მთლიანობას დაიცავდა. კომიტეტი ასევე მოითხოვდა ოსმალეთის წერილობით გარანტიასაც, რათა საქართველო რუსეთის ნაწილად არ მიეჩნიათ და იგი აქედანვე მეგობარ ერად ეცნოთ. ამის თაობაზე კომიტეტის დავალებით ლეო კერესელიძე სტამბოლში გაემგზავრა. რამოდენიმე დღის შემდეგ შეტყობინება გამოგზავნა: „ვაჟი დაიბადა“, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ოსმალეთის მთავრობამ მომავალ ხელშეკრულების ფუძედ ქართული მხარის მოთხოვნილება მიიღო.

კომიტეტი გეგმის მიხედვით შეუდგა მუშაობას და უპირველესად, ოსმალეთში ქართული ლეგიონის დაარსება დაიწყო. ლეგიონის სამოქმედო ადგილად ჭანეთი (ლაზისტანი), სახელდობრ ვიწე აირჩიეს, რომელიც ომის გამოცხადების დროს უახლოესი ადგილი იყო ფრონტიდან. ლეო კერესელიძემ ქართული ლეგიონი მაჰმადიან კავკასიელებით დააკომპლექტა: პირველი რაზმი 70 კაცისაგან შედგებოდა. ამ საქმეზე ლეოსთან ერთად მუშაობდა გერმანელი ოფიცერი კიშკე, ხოლო პოლიტიკურ ატაშეთ კი ბატონი მოზელი.

რუსეთსა და ოსმალეთს შორის ჯერ კიდევ ომი არ იყო გამოცხადებული, რომ ეს ახლად დაარსებული პატარა ქართული ლეგიონი თურქებმა აითვალისწინეს.

მიზეზი მალე დადგინდა: თურქებს თავისი განსაკუთრებული მიზნები ჰქონდათ. გამარჯვების შემთხვევაში მათ სამუსლიმანო საქართველოს შეერთება სურდათ და ამიტომაც ქართული სამხედრო ძალის შექმნის წინააღმდეგნი აღმოჩნდნენ. მალე, გამოცხადდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი და ქართულ მოხალისეთა რაზმი თურქეთის ჯარის ნაწილებთან ერთად რუსეთის ტერიტორიაზე შეიჭრა, დაიჭირა უმეტესი ნაწილი აჭარის და თან წამოიყვანა ტყვედ ართვინის ოლქის უფროსი და ასზე მეტი ყაზახი, რომელმაც კიდევ უფრო გააღრმავა ქართულ კომიტეტსა და ოსმალეთის მხედრობას შორის დამაბულობა.

ამას ნათელიყოფს, 1914 წლის 3 სექტემბრით დათარიღებული, გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ვანგენ ჰაიმის კონსტანტინეპოლში გაგზავნილი ტელეგრამა: „ორმა ქართველმა კათოლიკე სასულიერო პირმა მიმართა ავსტრია-უნგრეთის და აქაურ საელჩოს, რათა ხაზი გაესვათ ქართველთა მზაობისთვის მოაწყონ შეიარაღებული აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ. ამავე დროს, მათ განაცხადეს, რომ ქართველები არასდროს შევლენ თურქეთის ბატონობის ქვეშ და აქედან გამომდინარე, მხოლოდ საკუთარი მომავალი ავტონომიისთვის იბრძოლებენ. ისინი გვთხოვენ, რათა გერმანიამ და ავსტრია-უნგრეთმა მათ ამის გარანტიები მისცენ (მამულია და ასტამაძე, 2019, გვ. 74).

ქართული კომიტეტის მუშაობასთან დაკავშირებით საინტერესო ფაქტები მოჰყავს თავის ავტობიოგრაფიაში ლეო კერესელიძესაც: „1914 წელს აგვისტოს „სეპარატისტთა კომიტეტმა“ დამავალა წასვლა სტამბოლში და იქ ხელშეკრულების დადება ოსმალეთის

მთავრობასთან. დაუყოვნებლივ გავემგზავრე ოსმალეთში, სადაც ოსმალეთის მთავრობას და გერმანიის საელჩოს დავუდე ხელშეკრულება. ოსმალეთ-რუსეთის ომის დაწყებიდან დავინიშნე კაპიტნის ხარისხით 400 მოხალისე ლაზის და ერთ ასეულ ოსმალს რეგულარულ ჯარის უფროსად. ომის გამოცხადების დღესვე შევუტეე საქართველოს საზღვრებს და ათი დღის განმავლობაში დავიჭირე მურღული, ბორჩხა და მარადიდი, ვიდრე აჭარის წყლამდინ. ამის გამო წარდგენილ ვიყავ ოსმალს ნახევარმთვარის ორდენზე და გერმანულ რკინის ჯვარზე. ამ ბრძოლებში წამოვიყვანე 600 რუსი ტყვეთ, 8 ზარბაზანი, 14 ტყვიამფრქვეელი, 400 ცხენი და სხვა ბევრი დავლა“ (მამულია (2007), *თანამემამულე*, N3 (24), გვ.16).

გამოცდილი პოლიტიკოსი, საომარ ბრძოლებში გაწრთვნილი სამხედრო პირი, სამართალმცოდნე ლეო კერესელიძე, ბუნებრივია, ფრთხილობდა და კიდევ ერთხელ დამატებით გარანტიებს მოითხოვდა გერმანიის ელჩის ვანგენ ჰაიმისა და ოსმალეთის მთავრობისაგან: „კერელე (იგულისხმება ლეო კერესელიძე - მ. მ.) ჩამოვიდა და თავისი გეგმები გადამიშალა. მან ასევე დააყენა პირობა, რომ საქართველოს მომავალი დამოუკიდებლობა გარანტირებული იყოს. ჩვენი მხრიდან, მე მას ეს დავეუდასტურე. თალაათ ბეი (იგულისხმება თალაათ ფაშა მეჰმედი) არ არის ამ მოთხოვნის წინააღმდეგი. კელერე, რომელიც საზღვარზე მიემგზავრება, ფიქრობს, რომ როგორც კი ზემოხსენებული პრინციპული საკითხი გადაწყვეტილი იქნება, მოითხოვოს შეძლებისდაგვარად დიდი რაოდენობის თანამედროვე მოდელის იარაღის დაუყოვნებლივ გამოგზავნა“ (მამულია და ასტამაძე, 2019, გვ. 75).

ამ მხრივ, ასევე საინტერესოა, ერთი ამონარიდი ლეო კერესელიძის ბიოგრაფიიდანაც: „1915 წელს შესდგა „ქართული ლეგიონი“, როგორც რეგულარული ჯარი, რომლის სარდლათ დავინიშნე მე მაიორის ხარისხით. თუ რა ღირსებისა იყო ჩვენი მოქმედება როგორც ლეგიონის გამწვრთნელის, აგრევე ბრძოლის ველზე ტაქტიკური უნარის; - ამაზე ცნობები შეიძლება ეკითხოს ავნი ფაშა ლორთქიფანიძეს, რომელიც იყო ჩემი პირდაპირი უფროსი“ (მამულია (2007), *თანამემამულე*, N3 (24), გვ. 14).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, საქართველოს კომიტეტს კარგად ესმოდა თავისი პასუხისმგებლობა ერის, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე. ამიტომ მათ საჭიროდ ჩათვალეს გაეცნოთ ქართველი ერისათვის მათ მიერ დადებულ ხელშეკრულებათა ტექსტები, მიზნები, ნამოქმედარი და მომავალი საქმიანობის გეგმები. ამ მიზნით კომიტეტმა გიორგი მაჩაბელი საქართველოში მიავლინა, რათა თანამებრძოლებისათვის კაიზერული გერმანიის საელჩოსთან დადებული ყველა ხელშეკრულების დეტალები შეესწავლათ: „ხელისმომწერი, გერმანიის ელჩი კონსტანტინოპოლში, ამით უცხადებს ლეო კერესელიძეს, „ქართული სეპარატისტული პარტიის“ წარმომადგენელს, რომ გერმანიის მთავრობა, იმ შემთხვევაში თუკი ნამდვილი ომის დასასრულს საშუალება ექნება საკუთარი ნება უკარნახოს მეომარ მხარეებს, ვალდებულებას იღებს თავისი შესაძლებლობის ფარგლებში მხარი დაუჭიროს ქართველი ხალხის სურვილს, როგორც ის სიტყვიერად იქნა წარმოდგენილი ბატონ კერესელიძის მიერ და ეხება შემდეგ პუნქტებს:

1. საქართველო შეადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რომელზეც არც რუსეთმა და არც თურქეთმა არ უნდა განახორციელონ რაიმე სახის სუვერენული უფლებები.

2. საქართველოს ტერიტორია მოიცავს კავკასიის ქვეყნებს, რომლებიც მათი ისტორიით და ფაქტობრივი მდგომარეობით, სადღესოდ უნდა ჩათვალონ ქართულ ტერიტორიად, ანუ აფხაზეთი, რომელიც იწყება პუნქტიდან შავი ზღვის სანაპიროზე, განლაგებული დაახლოებით 60 კილომეტრით ნოვოროსიისკის სამხრეთით;

სამეგრელო, სამურზაყანო, სვანეთი მთელი თავისი მოცულობით, რაჭა, ლეჩხუმი, ქუთაისის და ტფილისის გუბერნიები, ქართლი და კახეთი დაღესტნის საზღვრამდე, ზაქათალა;

ამ ტერიტორიის ფარგლები აღმოსავლეთით და სამხრეთით განისაზღვრება ხაზის მიერ, რომელიც მოდის ზაქათალიდან, ეხება გოგჩის ტბას (ქალაქი ელიზავეტპოლი ამ ხაზის გარეთ რჩება) და სრულდება შავი ზღვის სანაპიროზე, თანამედროვე თურქეთის საზღვარზე. ბათუმის პორტი, ისევე როგორც აჭარა, უნდა შეადგენდნენ საქართველოს ნაწილს. აგრეთვე შეთანხმებულია, რომ ქართველ მუსულმანთა მიერ დასახლებული რეგიონები ასევე შევლენ ახალი სახელმწიფოს ფარგლებში (მამულია და ასტამაძე, 2019, გვ. 77).

საქართველოში გიორგი მაჩაბელი შეხვდა ყველა პარტიის ხელმძღვანელს, გავლენიან პირს, გაზეთის რედაქტორს, რომლებსაც გააცნო კომიტეტის მიერ გერმანიასა და ოსმალეთს შორის დადებულ ხელშეკრულებათა ტექსტები.

მაშინ, ნოე ჟორდანიამ თურმე გიორგი მაჩაბელს განუცხადა: „დაბრუნდით გერმანიაში, თქვენმა კომიტეტმა იქ იმოქმედოს იმ ხაზით და პროგრამით, რომელიც თქვენ გაქვთ; ჩვენ კი აქ ვიმუშავებთ, ვნახოთ რა იქნება“-ო“ (შარაძე, 2001, გვ. 72).

საქართველოდან ნაციონალ-დემოკრატიების თანადგომამ და თანაპარტიულობამ კომიტეტი მეტი პასუხისმგებლობის წინაშე დააყენა. ბერლინში კომიტეტის მუშაობა ორ საქმეზე მიმდინარეობდა: ქართველ ტყვეთა გამოყოფა რუსის ტყვეთა ლაგერებიდან და მათზე ზრუნვა, მეორე - პროპაგანდა გერმანულ საზოგადოებაში და ქართული საკითხის გატანა გერმანიის გარდა, ყველგან სადაც კი ამის შესაძლებლობა იქნებოდა ბროშურებისა და გაზეთის მეშვეობით.

მიხაკო წერეთელს მინდობილი ჰქონდა პროპაგანდის საქმე, ხოლო გიორგი კერესელიძეს ტყვეთათვის განკუთვნილი „ქართული გაზეთის“ რედაქტორობა. გიორგი მაჩაბელი კვლავ კომიტეტის საგარეო საქმეთა ხელმძღვანელად რჩებოდა. ლეო კერესელიძე, ნესტორ მაღალაშვილი და პეტრე სურგულაძე ოსმალეთში მოღვაწეობდნენ.

1915 წლის ბოლოს გერმანიის თანადგომით ქართულმა კომიტეტმა ყოველკვირეული „ქართული გაზეთი“ დაარსა, რომლის მიზანი იყო ტყვეთა ბანაკებში მუშაობა, ქართველი ტყვე ჯარისკაცების გამოყოფა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესება, გერმანელთა მიმართ სიყვარულის გაღვივება და ფართო პროპაგანდა ქართველი ერის რუსეთის სივრციდან გამოყოფის შესახებ.

„ქართული გაზეთი“ ცენზურის გარეშე გამოდიოდა და ტყვეთა ბანაკებში თავისუფლად ვრცელდებოდა. აქვე, უნდა ითქვას ისიც, რომ ევროპაში უწინაე გამოდიოდნენ ქართული გაზეთები: „საქართველო“ - პარიზში და „თავისუფალი საქართველო“ - ჟენევაში. მაგრამ ამ ორივე გაზეთს მკითხველები ჰყავდნენ მხოლოდ საქართველოში. ევროპაში კი მათი მკითხველები ათეულობით ითვლებოდნენ.

მათგან განსხვავებით „ქართული გაზეთი“ იყო ის პირველი ქართული გაზეთი ევროპაში, რომელსაც ევროპაშივე ჰყავდა ათასობით მკითხველი, რადგან მასში მასალები გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და ესპანურ ენებზე იბეჭდებოდა. იგი საქართველოში ჟენევის გავლით ან წყალქვეშა ნავების მეშვეობით ვრცელდებოდა.

გაზეთი აწოდებდა საინტერესო ცნობებს მკითხველებს ჩვენი ეროვნული ცხოვრებიდან.

ყურადღებას იქცევს ქართული გაზეთის რედაქციის ორი წლის მანძილზე გაწეული მუშაობის ანგარიში, რომლის ავტორი ლეო კერესელიძე გახლდათ: „უკვე ორი წელი შეუსრულდა ჩვენს გაზეთს. ამ ორი წლის განმავლობაში ბევრი და დიდმნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. „ქართული გაზეთი“ უწევდა ანგარიშს ამ ცვლილებებს და შეუძლიან დაუტრიახებლად სთქვას, რომ უმეტესი და უთვალსაჩინესი ცვლილებანი მან

იწინასწარმეტყველა. ძნელ პირობებში მოუხდა ქვეყნად გამოსვლა „ქართულ გაზეთს“. ძნელი იყო გასაკაფი გზა, ეკლით სავსე“ („ქართული გაზეთი“, 1918).

„დღიდან დაბადებისა „ქართული გაზეთის“ ერთადერთი მიზანი იყო გაერთიანება ქართველი ერისა საერთო მშობელ ქვეყნის საკეთილდღეოდ. არც ერთ პარტიას არ ემსახურებოდა იგი, არც ერთ პარტიას არ ემტერებოდა. იგი პატივს სცემდა ყოველ ნამდვილ ქართულ პარტიას, თუ კი საქართველოს დამოუკიდებელ არსებობას უარს არ ყოფდა“ (შარაძე 200, გვ. 124).

„ქართულ გაზეთს“ სხვადასხვა რუბრიკები ჰქონდა. განსაკუთრებულად საყურადღებოა ლეო კერესელიძის (ფსევდონიმით „კ ...) სტატია „ქართველების ეროვნული მოვალეობა“: „ისტორია მართო იმას კი არ გვასწავლის, თუ რა იყო წარსულში, არამედ იმასაც, თუ წარსულის მიხედვით რას უნდა მოველოდეთ მომავალში. რა იყო მიზეზი, რომ ერთმა მუქა ქართველმა ხალხმა ორი ათასი წლის გაჭირვებასა და მტერთაგან მუსვრას გაუძლო და თავისი ეროვნება დღემდის მოიტანა? ერთი უმთავრესის მიზეზი, სხვა ბევრ მიზეზთა შორის, აგვიხსნის ამ საკვირველებას. ამის მიზეზი არის ის ძალა, რომელსაც სახელად ეწოდება ეროვნული სული. ამ სულის კონკრეტული გამომხატველობა არის ენა, ზნე-ჩვეულება, განსაკუთრებული წესი აზროვნებისა, ლიტერატურა, ხელოვნება და დასასრულ ტიპიც, რომელიც სამართლიანად კაცობრიობას მიაჩნია იდეალად...

ქართველი ერის სულიერი ძალა უკვდავი შეიქმნა და მით დაცულ იქნა საქართველოშიც. ცხადია, ეს ძალა დიდი განძია და დაუფასებელი ჩვენი ერისათვის, მისი დაცვა ჩვენი მოვალეობაა...!“ (შარაძე, 2001, გვ. 153).

გაზეთის ფურცლებზე პროპაგანდისტული და ისტორიულ-პოლიტიკური ხასიათის მასალების გარდა, ლიტერატურულ-პუბლიცისტური თუ კრიტიკულ-ესეისტური წერილებიც იბეჭდებოდა.

ცნობილია, რომ თავისი მსოფლმხედველობითა და სოციალური შეხედულებით ლეო კერესელიძე დიდი კლასიკოსების ილიასა და აკაკის მიმდევარი გახლდა. ლეო კერესელიძისათვის ეს მოაზროვნეები ცარიელი ავტორიტეტები არ იყვნენ. ამა თუ იმ აზრის დასასაბუთებლად იგი თვით იკლევდა ფაქტებს, როდესაც უკვე შემუშავებული აზრისათვის განზოგადოებული სახის მიცემა სურდა. ამას მის მიერ პროზად დაწერილი ფანტაზია „თამარ მეფე და მისი მგოსანი რუსთაველი“ და ქართულ ლეგენდაზე დაფუძნებული „ბაზალეთის ტბა“ წარმოადგენდა. ორივე ნაწარმოების გაზეთში დაბეჭდვას მიზანი კი გახლდათ, ტყვედ ჩავარდნილ ქართველთა პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება და ქვეყნად ბევრ კანონთა შორის არსებული კანონის თავისუფლებისა და სიყვარულის დაფუძნება.

ავტორი თამარ მეფის ხატების წარმოჩენით, ორივე ნაწარმოების მაგალითზე მხედველობიდან არ უშვებს ისტორიულად შექმნილ კონკრეტულ ვითარებას და ამ ნიადაგზე ცდილობს ლიტერატურული ფაქტების ახსნას.

ლეო კერესელიძეს თავის ფანტაზიაში „თამარ მეფე და მისი მგოსანი რუსთაველი“ აჟღერებული აქვს მგოსნისა და მეფე ქალის დიდი სიყვარული. მართალია, ისინი დიდი ხანია, რაც მიწას მიებარნენ, მაგრამ მათი უმწიკლო გრძნობა დღემდე ცოცხალია, ვინაიდან ორთავეს მხოლოდ ერთადერთი სულიერების წყარო აერთიანებდათ, - ეს იყო ერის სიყვარული: „ჩვენი სიყვარული იცოცხლებს უკუნითი უკუნისამდე, იგი არ მოკვდება, რადგან ერი ჩვენი შეგვიყვარებს ჩვენ და სიყვარული მისი საუკუნოდ შეგვაერთებს ჩვენ... მაშინ სიკვდილისაც ნუ გვეშინიან, იგი ველარ შესძლებს ჩვენს განშორებას!... რუსთაველო, აი, ჩვენი კავშირის უმაღლესი შემაერთებელი ძალა“ (შარაძე, 2001, გვ. 157).

ლეო კერესელიძემ 1918 წელს ჟენევაში გამოსცა 45 გვერდიანი წიგნაკი „Fantasies Orientales“, რომელიც რამდენიმე ფანტაზიას შეიცავს. პირველი გახლდათ - „თამარ მეფე და მისი მგოსანი შოთა რუსთაველი,“ რომელიც ავტორს თავდაპირველად ფრანგულ ენაზე დაუწერია და მისივე ქართულად თარგმანი პირველად „ქართულ გაზეთში“ (N25, 1. IV. 1917) დაბეჭდა.

ეს უკვდავი თემა ლეო კერესელიძეზე ადრე აახშიანა პოეტმა და მთარგმნელმა ელისაბედ ორბელიანმა.

ემიგრანტი ელისაბედ ორბელიანი ქართულ მწერლობაში „საზანდარის“ ფსევდონიმით იყო ცნობილი. იგი მხოლოდ ფრანგულ ენაზე წერდა. მისი ლექსი „თამარ მეფე და მისი მგოსანი“ ავტორის თხოვნით 1910 წელს პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა ფრანგულიდან თარგმნა:

„მარმარილოს სასახლეში
თამარ მეფე ბრწყინავს ნაზად
გაზაფხულის ტკბილი ეშხი
ბაღს ედება ფიანდაზად.
იადონი ვარდზე მღერის,
სიო ფოთლებს აშრივს
მოდახილი მშვენიერი
ახალისებს მთებს და ჭალებს.
და მგზნებარე ახალგაზრდა
ზის თავისთვის გულჩაფლული,
წველ სევდას და ოზოლ განცდას
შეუპყრია მისი სული.
ეუფლება შთაგონება, სწავს ცეცხლი და წმინდა გრძნობა
იმედი და დამონება
იმ ერთს ეხლა მიემღვნება.
იმ ერთს, ვისი თვალთა სხივი
საიდუმლო ჭაბუკს უმზერს,
ვინც ოცნებობს ღვთაებრივად
მარადიულ სიყვარულზე“ (გრიშაშვილი, 1962, გვ. 488).

პოეტი ქალი, რადგან ლეო კერესელიძის თანამედროვე იყო. ბუნებრივია, ავტორის შემოქმედებას იგი უეჭველად იცნობდა.

ზემოთ აღნიშნულ პატარა წიგნაკში ასევე შეტანილია ლეო კერესელიძის ქართული ლექსები - „ბაზალეთის ტბა“. ესეც ავტორს ფრანგულად დაუწერია და იგი მის ძმისშვილებს „მათე-ლოლუს“ უთარგმნიათ.

„ბაზალეთის ტბა“ -ც „ქართული გაზეთის“ N5/45-ში (29.1.1918) გამოქვეყნდა.

ქართველი ერის მისტიური და საიდუმლო სივრცე „ბაზალეთის ტბა“, არა ერთ შემოქმედის არეალში მომხდარა. მათ შორის ცნობილია, 1883 წელს დაბეჭდილი ილიას უკანასკნელი ლექსი „ბაზალეთის ტბა“, სადაც სამშობლოს ბედ-იღბალით გულმოკლული პოეტი დამღერის ტბაში ჩასვენებულ აკვანს და მასში მწოლარე ყმას, რომელიც თამარ მეფეს ჩაუდგამს.

„ბაზალეთისა ტბის ძირას
ოქროს აკვანი არისო,
და მის გარშემო, წყლის ქვეშე,
უცხო წალკოტი ჰყვავისო“.

ბუნებრივია, ყველა შემოქმედი „ბაზალეთის ტბაზე“ შექმნილ თქმულებას თავისი ინტერპრეტაციით გამოხატავს, მაგრამ ყოველ ტექსტს ერთი და იგივე იდეურ-მხატვრული ფუნქცია აქვს. რომ მოვა დრო: „საქართველოს შავს ცაზე ცეცხლად აინთენ მთების წვეტნი. საშინელმა ქარიშხალმა დაჰბერა მის ველსა და მიაღწია მის ქალაქებს.

ეს არის ის კეთილშობილი მრისხანება საქართველოსი, რომელიც ამსხვრევს სულ შემხუთავ ჯაჭვებს. მისი ფრთა ხან მოედება მინდვრად, ააღელვებს, ხან დაეტაკება ბუმბერაზ მთათა სიმაგრეს.

და აგერ მან ამოაშრო ცრემლნი საუკუნეთა განმავლობაში ბაზალეთის ტბად დაგუბებულნი. ტბისა სიღრმიდან გამოჩნდა რაინდი დიდი თამარის. მისი იარაღის ბრწყინვა და ხმა მისი ბუკისა მოუწოდებს საქართველოს გამარჯვებისკენ. იგი რაინდი, მძლავრი და ამაყი, არის წარსულის თავისუფალი სული. იგი აკლდა აწმყოს. დასრულდნენ დრონი ტანჯვისა“ (შარაძე, 2001, გვ. 160).

ლეო კერესელიძე ამ ლეგენდის მიხედვით თავის ნაწარმოებს „ბაზალეთის ტბას“ ოპტიმიზმით, რწმენითა და იმედით ასრულებს.

აშკარაა, „ბაზალეთის ტბის“ შესახებ დაწერილ ნაწარმოების ერთადერთი საფუძველი მხოლოდ სამშობლოს სიყვარლია. აქ წარსულ მოვლენათა განხილვისას ავტორი ისტორიულ, ე. ი. ნამდვილ მეცნიერულ თვალსაზრისზე დგას. ამით ლეო კერესელიძეს სურდა დაემტკიცებინა, რომ სამშობლოს სიყვარულმა შეიძლება ლეგენდაში ადვილად გვიბიძგოს სინამდვილის დამახინჯებისაკენ, მაგრამ მკვლევარისა თუ ხელოვანის ამოცანა ისაა, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეს მისდევდეს.

ასე რომ, ორივე შემოქმედის მიერ „ბაზალეთის ტბის“ ლეგენდის საფუძველზე დაწერილ ნაწარმოებებში ერთი და იგივე იდეა და აზრია გამოხატული, რომელსაც ტანჯული ერი დიდი იმედით შეჰყურებდა.

„ქართული გაზეთის“ ფურცლებზე დაბეჭდილი ნაწარმოებები: „თამარ მეფე და მისი მგოსანი რუსთაველი“ და „ბაზალეთის ტბა“, ბუნებრივია, ყველა დროსა და ეპოქაში აღაფრთოვანებდა ქართველ ერს და მათ შორის მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილ ქართველებს.

აქვე, ისიც უნდა ითქვას, რომ ხსენებული მხატვრული ნაწარმოებების გარდა, „ქართულ გაზეთში“ (1918 წლის 23 ივლისს N14/45) დაიბეჭდა ნაწყვეტი ლეო კერესელიძის ფრანგულ ენაზე დაწერილი წიგნიდან „საქართველო და რუსეთის ბატონობა“, რომელიც მათე ლულუს ქართულად უთარგმნია.

„ქართულ გაზეთში“ მრავლად ვხვდებით ლეო კერესელიძის სხვა ისტორიულ ნარკვევებსა თუ პუბლიკაციებს: „წმინდა ნინო“ (N7/47), „საქართველოს კათალიკოსი კირიონ მეორე“ (N8/48), „საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო“ (N3/ 1.V. 1916), „ქართველების ეროვნული მოვალეობა“ (N6, 15.VI. 1916), „თამარობა ჩვენში“ (N7, 30.VI. 1916) და სხვა.

გამოქვეყნებული ნარკვევები იმის ნათელი მაგალითია, თუ რამდენად ღრმა და ჭეშმარიტია ლეო კერესელიძის მსჯელობა-შეფასება. სადაც ავტორი თითქმის არასოდეს არ ტოვებს ისტორიზმის პოზიციას და ამ პრინციპით აშუქებს საქართველოს წარსულის ფაქტებსა და მოვლენებს.

ამდენად, ლეო კერესელიძე სახელმწიფოს არსებობას ფილოსოფიური, ისტორიული და იურიდიული მეთოდებით განსაზღვრავს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ყოველ ერს რაც არ უნდა რიცხოზრივად მცირე იყოს, აქვს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უფლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზეთი „იმერეთი“ (1913). N106. ქუთაისი.
2. გრიშაშვილი, ი. (1962), ტ. II, თბილისი.
3. მამულია, გ. ასტამაძე, გ. (2019), „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი 1914-1918 დოკუმენტები და მასალები. თბილისი.
4. მამულია, გ. (2013). ჟურნალი „ქართული ემიგრაცია“, N1 „გიორგი კერესელიძე“, თბილისი.
5. მამულია, გ. (2007). ჟურნალი „თანამემამულე“, N3, „გენერალი ლეო კერესელიძე“. თბილისი.
6. ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“, (1914). N4. ქენევა.
7. სალია, კ. (1962), ჟურნალი „ბედი ქართლისა“. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს. N34-30. პარიზი.
8. საქართველოს ისტორია 1783-1990, თბილისი.
9. „ქართული გაზეთი“, 1918. N10/50.
10. შარაძე, გ. (2001), „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“ ტ.I, თბილისი.

Leo Kereselidze's Political and Creative Arena

Mariam Marjanishvili
Kutaisi State Historical Museum

Summary

Youth is characterized by dreams and, therefore, it maintains faith in justice even in the most difficult situations. From an early age, Leo Kereselidze was well aware of the essence of the political life of an ideological political figure or a man fighting for an ideal: persecution, imprisonment, exile... But, as all this resistance was aimed at one goal, it gave Leo Kereselidze, the fighter for the independence of his homeland, a sense of joy and pride.

“I started my political activity in 1900 when I was just 16. The same year, I founded ‘The Georgian independence circle’ in Tbilisi, whose members were many young people, including V. Kartvelishvili, N. Maghalashvili, G. Kereselidze, Sh. Amirejibi and others. Our publication was a newspaper *Young Georgia*.

In 1904, I went to Geneva, where I attended an Engineering College. After finishing it, I intended to continue my studies in a European military Academy. I thoroughly studied the theory of military science”.

Being young, passionate, full of idealism, love for his homeland and belief in its liberation, Leo Kereselidze "was born to fight, and the fight would be the content of his whole life", wrote Mikhako Tsereteli.

Turning out to be in emigration, Leo Kereselidze, together with Georgian national-political and scientific-cultural forces, started relentless struggle for Georgia's independence and freedom.

At the beginning of the XX century, when the Socialist-Federalists got actively involved in the ongoing political battles in Georgia, Leo Kereselidze performed the most difficult tasks, whether it was the importation of ships loaded with weapons into Georgia at the beginning of the 1905 revolution, or looting of the Dusheti treasury in May 1906 by order of the committee.

Due to the expropriation of the Dusheti treasury, the Geneva court acquitted him and his accomplices under international law. Soon, Leo Kereselidze graduated from the Law Faculty of Geneva University. He was well aware of the great power and importance of knowledge in the welfare of the homeland. Here, he defended his dissertation and was appointed a private associate professor at the Faculty of Law.

In 1911, under the chairmanship of Petre Surguladze, the "Committee of the Georgian Separatists' Party Abroad" was established in Geneva. The party had links with the underground "Separatists' League" in Georgia.

The "Committee of the Georgian Separatists' Party Abroad" was a large organisation, whose chair was Petre Surguladze, the secretary was Giorgi Kereselidze and the members were Leo Kereselidze, Nestor Maghalashvili and many others.

At their initiative, the magazine *Free Georgia* was founded in Germany. It was sent to Georgia illegally. "This group and its body prepared a 'Georgian opinion' to understand the future of the great cause and to act in the great war."

At the beginning of the 1914 war, Georgian separatists changed tactics and established a new, Georgian Independence Committee, instead of the old one.

In the World War, Georgia's Independent Committee sided with Germany and the Ottoman Empire in order to overthrow the Russian colonial regime in Georgia and declare Georgia's independence.

At the initiative of Leo Kereselidze, a Georgian legion was formed on the Ottoman territory, which would fight only on the Georgian border or on the territory of Georgia, and nowhere else.

The *Georgian Newspaper*, founded by the committee in Germany, aimed to work in captive camps to rid the Georgian nation of Russian space. The newspaper regularly published Leo Kereselidze's political, scientific, artistic and historical works and publications.

It is noteworthy that in 1918, Leo Kereselidze published a 45-page book "Fantasies Orientales" in French in Geneva. It contained several fantasies, and his Georgian translations - "Queen Tamar and her poet Shota Rustaveli" and "Lake Bazaleti" were published for the first time in the "*Georgian newspaper*" (N25, 1. IV. 1917).

A politician, colonel, creative figure Leo Kereselidze, with his talent, ability and knowledge, "did a lot" at the age of 33 – to make his pre-determined goal, which was called freedom and independence of the homeland, a bit more real.

ანტისაბჭოთა ნარატივი- უცნობი ლადო კოტეტიშვილი

სალომე კაპანაძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ერის ცხოვრებაში მიმდინარე კულტურული პროცესების სიღრმისეული გააზრებისათვის დრო აუცილებელი პირობაა. პროცესების სახელდება მხოლოდ ამ ფაზის გავლის შემდგომ იძენს ნამდვილ მნიშვნელობას. სრულდება დეფინიციის აქტი და ყველაზე უმნიშვნელოც კი იმ მნიშვნელობით იტვირთება, რომელიც ერის კულტურის იდენტობის წახნაგებს ავლენს. როგორც ცნობილია, 1921 წლის შემდგომ ქართულ მწერლობას განვითარება იდეოლოგიური ოკუპაციის პირობებში მოუწია. ამდენად, დისიდენტური აზროვნების კვლევა საბჭოთა პერიოდის ქართულ მწერლობაში, სამეცნიერო სიახლეების თავმოყრა ანტისაბჭოთა განწყობილებებისა და მისი თანმდევი პროცესების შესახებ (1921-1990წ.წ.) სწორედ ამ წახნაგების გამოსავლენად უნდა იყოს მიმართული. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ვიცოდეთ იმ ხელოვანთა შესახებ, რომლებმაც შეინარჩუნეს პროტესტის განცდა კულტურის იდეოლოგიური კონსტრუირების მიმართ და დარჩნენ მწერლობის, ხელოვნების, მეცნიერების ფუნდამენტალური პრინციპების ერთგულნი. აკაკი ბაქრაძე თავის

წიგნში „მწერლობის მოთვინიერება“ აღნიშნავს: „ვინც კარგად იცნობს მწერლობის ისტორიას, კარგად იცის, რომ ყოველი ერის სიტყვაკაზმულ ლიტერატურას არა მარტო ეროვნული ფორმა აქვს, არამედ ეროვნული შინაარსიც. თუ რომელიმე ხალხის ლიტერატურას არ ძალუძს ეროვნული შინაარსი და ფორმა აიყვანოს ზოგადკაცობრიული ფორმისა და შინაარსის დონემდე, იგი ვერაფერს შესძენს მსოფლიო კულტურას. [2.26] ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, სწორედ ამიტომაც არის არსებითი დისიდენტური აზროვნების მწერლების გამბედაობის, კეთილსინდისიერების ცოდნა, რადგან ეს ადასტურებს ქართული აზროვნების ჯანსაღი მსოფლმხედველობის დინამიკას, გვაძლევს ქართული კულტურის ბუნებრივი გზით განვითარების რეალურ სურათს და რაც მთავარია, გვაძლევს შესაძლებლობას, აღმოვაჩინოთ და დავიბრუნოთ საკუთარი თავი როგორც რეგიონალური, ისე მსოფლიო მასშტაბით, გავათავისუფლოთ სამეცნიერო მსჯელობა საბჭოთა პერიოდში შექმნილი იდეოლოგიური „ლეგენდებისაგან“ და შევძლოთ ამ პერიოდის ადეკვატური ინტერპრეტაცია.

მაშინ, როცა საბჭოთა ხელისუფლება კულტურის ბერკეტებით მანიპულირებდა მასების ცნობიერებაზე, არღვევდა ქართული აზროვნების ეროვნულ კალაპოტს და აფერხებდა მის განვითარებას, მწერალთა უმრავლესობა მაინც არ იქცა სისტემის პოლიტიკის გამტარებელ პლატფორმად. მათი შემოქმედების კვლევა გვჩვენებს, გავმიჯნოთ ქართული თავისუფალი აზროვნება საბჭოთა მინარევებისაგან და მივიღოთ სარწმუნო ინფორმაცია ქართველების ისტორიულ სწრაფვაზე თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ. თამარ ბელქანია თავის წიგნში „სტალინური კულტურა“ აღნიშნავს: „კომუნისტები ქმნიდნენ პრეცედენტს, რომ შეიძლება გარკვეული მექანიზმებით „შექმნა“ მწერალი“ [1. 89]. სწორედ ასეთ მოცემულობაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ მწერლების შემოქმედების კვლევა, რომელთაც ამ მანიპულაციების მიმართ ბუნებრივი პროტესტის გრძნობა გააჩნდათ. მათ შორის დღეს შეიძლება თამამად დავასახელოთ ლადო კოტეტიშვილი.

თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ კოტეტიშვილების გვარს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ ისტორიულ სწრაფვაში გამორჩეული ადგილი აქვს მონიშნული. ვახტანგ კოტეტიშვილი - ლიტერატურის ისტორიკოსი, ხელოვნების თეორეტიკოსი, სამამულო ფოლკლორისტიკის ფუძემდებელი, ესეისტი, ისტორიკოსი - 1937 წელს ამ სწრაფვას შეეწირა. მისი მრავალმხრივი ღვაწლი ვერ გადაფარა ეპოქის სტიგმამ, ის მაინც გადარჩა როგორც ქართული სულიერი ყოფის თვალსაჩინო ფიგურა. ჩვენი სამეცნიერო ინტერესი მის ძმას, ლადო კოტეტიშვილს შეეხება, რომლის ლიტერატურული გატაცების ამბავმა გვიან, სულ ახლახან გამოჟონა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში და სერიოზული დაინტერესების საგნად იქცა.

ლადო კოტეტიშვილი პრაქტიკოსი ექიმი, ნევროპათოლოგი გახლდათ, კარგად იცოდა შუა საუკუნეების ქართული მედიცინის ფასი, ბევრს შრომობდა მედიცინის ისტორიის პოპულარიზაციისა და შენახვისათვის. მან გააცოცხლა და წიგნის თაროს დაუბრუნა „უსწორო კარაბადინი“, „წიგნი სააქიმო“ და „იადგარ დაუდი“. ლადო კოტეტიშვილი იყო მედიცინის ისტორიის ნიჭიერი მკვლევარი. ფლობდა რუსულ და ფრანგულ ენებს, თანამედროვეებს თავი დაამახსოვრა როგორც ნიჭიერმა მხატვარმა და მოქანდაკემ. მას ეკუთვნის ვაჟა ფშაველას პორტრეტული ქანდაკება, რომელიც ლიტერატურის მუზეუმში ინახება. როდესაც გარდაცვლილი ვაჟა ფშაველა, როგორც ტიციანი უწოდებს - „მთისა და მწერლობის ბუმბერაზი“ - ქაშვეთის ეკლესიაში ესვენა, ლადო კოტეტიშვილმა მეგობრებთან ერთად ღამე გაუთენა მას, ჩანახატიც მაშინ გააკეთა და სახლში მისულმა მწერლის ბიუსტი გამოაქანდაკა.

თანამედროვეები ლადო კოტეტიშვილს ახასიათებენ როგორც პირქუმს, მდუმარეს, თუმცა საოცრად ჩვილი გულის პატრონს. იგი ავადმყოფებს სახლშიც იღებდა და უკიდურესად გაჭირვებულებს სამკურნალო რეცეპტებთან ერთად ხშირად წამლის ფულსაც აძლევდა. თავისი მოსაზრება ჰქონდა შვილების აღზრდაზე, ემხრობოდა საოჯახო აღზრდას და თვლიდა, რომ სკოლები ბავშვების სულს ამახინჯებენ. ვფიქრობთ, მას საბჭოთა სკოლები ჰქონდა მხედველობაში. რეპრესიებმა ლადო კოტეტიშვილის თვალწინ ჩაიარა და როგორც ცნობილია, მის ოჯახსაც შეეხო. ლადო კოტეტიშვილი კომუნისტური პარტიის წევრებს უნდობლად ეკიდებოდა და სახლში არ უშვებდა, კრძალავდა შინ რუსულად და განსაკუთრებით შერეულად, რუსულ - ქართულად საუბარს. რაც მთავარია, მისთვის ბოლომდე მიუღებელი აღმოჩნდა დროსთან გარიგება.

როგორც მისი ქალიშვილი - ნანა კოტეტიშვილი მოიგონებს, ლადო კოტეტიშვილი გვიანობამდე იკეტებოდა თავის ოთახში. ოჯახის წევრებმა მხოლოდ ეჭვად იცოდნენ მისი ლიტერატურული გატაცების ამბავი, რომელმაც მხოლოდ 2012 წელს გამოჟონა, როცა 1940 წელს გარდაცვლილი შემოქმედის მოთხრობები ჟურნალ „ლიტერატურულ პალიტრაში“ დაიბეჭდა. რედაქტორი - ზაალ ჩხეიძე აღნიშნავს: „უნდა მოვყვე, როგორ ჩამივარდა პირველად ხელში მისი ტექსტები, პირველად როგორ დავიბენი და არ დავუჯერე საკუთარ თვალებს“ და შემდგომ დასძენს: „ცოტას თუ გამოუვა ხელიდან ეგრე მითოსური, ზღაპრული და თან დამადამბლავებული ტექსტები“.[5.10] როცა 2018 წელს მწერლის შვილიშვილის - ნათია ხორნაულის ხელშეწყობით გამოვიდა ლადო კოტეტიშვილის მოთხრობების პირველი კრებული „კეთროვანთა ზღაპრები“. ცხადი გახდა, რომ ლადო კოტეტიშვილის სახით ქართული მწერლობის ისტორიის კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი შეივსებოდა, რომელიც თავისუფალი იქნებოდა სოცრეალიზმის ლიტერატურული პოსტულატებისაგან. წიგნს გემოვნებიან **რედაქტორთა** ხელი ეტყობა, ლადო კოტეტიშვილის შავ-თეთრ ფოტოს მწერლის მეგობრისადმი გაგზავნილი წერილის ხელნაწერი აქვს დართული: „მე ვცდილობ მხოლოდ, ვიყო ადამიანი სრულქმნილი, როგორც მიქელანჯელოს ქანდაკება, რომელიც მაღალი კლდიდან რომ დააგორეს, ძირამდე ისე ჩაგორდა, რომ არამც თუ არ გატყდა, ერთი ნაკვთიც არ შემლია - რატომ? იმიტომ, რომ სწორეთ იყო გაკეთებული. ადამიანიც ისე **სწორეთ** უნდა იყოს აშენებული, რომ რანაირ პირობებში არ უნდა იბრუნოს, არც ერთი ნაკვთი გონებისა და ზნეობისა არ უნდა დაკარგოს-არსად არ უნდა გაიბზაროს“.[5.5] ვფიქრობთ, ეს წერილი გასაღებია ლადო კოტეტიშვილის მხატვრულ სამყაროში შესასვლელად, სახელმძღვანელოა მწერლის იმ სათქმელის გასახსენლად, რომელმაც მხატვრული ტექსტის ღირსებასა და რეალობას შორის სწორი არჩევანი გააკეთა.

ლადო კოტეტიშვილის სიცოცხლეში მისი არც ერთი ნაწარმოები არ დაბეჭდილა. პასუხად იმისა, რატომ არ იბეჭდებოდა და რატომ პასიურობდა იმ პერიოდისათვის ეს უდავოდ ნიჭიერი მწერალი, ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ თქმული „უკომპრომისობის“ ამბავი გაგვახსენდება, რომელიც თავის წიგნში „ჩემი წუთისოფელი“ კოტეტიშვილების საგვარეულოს ასე ახასიათებს: „ჯიუტები ნამდვილად იყვნენ, ოღონდ არა ადამიანურ ურთიერთობებში, არამედ ისეთ საკითხებში, რაც სინდის-ნამუსს, კაცურ ზნეობას, მსოფლმხედველობრივ მრწამსს და სულიერ სიმაღლეებს ეხებოდა. აქ მათი მომდრეკი და მომთოკავი ძალა არ არსებობდა. პიტალო კლდეები იყვნენ, პირქუმნი და ხშირად ხორკლიანნიც. ამ თვალსაზრისით ლადო ყველას აჭარბებდა. მე ამ ხნის კაცი მოვიყარე და მასავით უტეხი ხასიათის ადამიანი არ შემხვედრია. მის ლექსიკონში სიტყვა „კომპრომისი“ არ ეწერა“ [2.264] ნათელი ხდება, რომ ასეთი მწერალი ერთდროულად ვერ შეითავსებდა

სოცრეალიზმის კონიუნქტურული ვერსიების შექმნასა და „ერთ ზარსა და ათიათას იმედზე წერას“. ვერ მოათავსებდა ერთ წიგნში იბერიისა და საბჭოთა სამშობლოს სიყვარულს. მწერლის „სიმაგრე ეშვის, სქელტანიანი მუხის, ათასჯერ ნაწრთობი ფოლადის“ ვახუშტი კოტეტიშვილმა მოკლედ ასე გამოხატა - „უკომპრომისო“. ხოლო რას ნიშნავდა იგი 30-იან წლებში, ყველას კარგად მოგვეხსენება. იდეოლოგიურ ორსახოვნებას ლადო კოტეტიშვილმა ლიტერატურულ პარნასზე დუმილი არჩია, თავისი მოთხრობები დალუქა და საიდუმლოდ დატოვა მისი ხანგრძლივად განმარტოების მიზეზი იმ იმედით, რომ არაფერი დარჩებოდა ამქვეყნად დაფარული.

ლადო კოტეტიშვილის „უკომპრომისობაზე“, მის ანტისაბჭოთა დისკურსზე სასაუბროდ ყველაზე უფრო მისი მოთხრობები - „გოჩმანა“ და „ემშაკი გალიფეში“ გამოგვადგება. უნდა აღინიშნოს, რომ ლადო კოტეტიშვილის შემოქმედება ინდივიდუალურობასთან ერთად, წილნაყარია იმ პერიოდის ესთეტიკასთან, რომელიც განიცდიდა მოდერნიზმის გავლენას და ამავედროულად ქმნიდა მის ნაციონალურ სახესხვაობას ქართულ მწერლობაში. ლადო კოტეტიშვილის მხატვრული სტილი ერთგვაროვანი არ გახლავთ. შეინიშნება ენობრივ-სტილისტური გავლენაც, რომლის ამპლიტუდაც მერყევია. თუ მის მოთხრობაში „კეთროვანთა ზღაპრები“ ცალსახად შეინიშნება გრიგოლ რობაქიძის გავლენა, მოთხრობაში „გოჩმანა“ ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები ამ გავლენას სრულიად სცილდება. ნაწარმოები 1930 წელსაა დაწერილი. ამ დროს უკვე გამოკვეთილია ბოლშევიკების ლიტერატურული სტრატეგია და სადამსჯელო მექანიზმებიც. მხატვრული საზოგადოებრივი სივრცეიდან სრულიად გამოდევნილია ევროპულ ესთეტიკასთან ზიარების ყველა მცდელობა და გეგმაზომიერი შეტევა მიმდინარეობს კლასიკურ მემკვიდრეობაზე. რაც მთავარია, ლეგალიზირებულია კონკრეტული თემები, რომლებიც ამ მოთხრობაში დასმულ პრობლემასთან სრულიად შეუთავსებელია. ასეთ მოცემულობაში ლადო კოტეტიშვილი ფიქრობს „პატარა ადამიანის ბედზე“, ორი ეპოქის გზისგასაყარზე მდგომი „ტფილისის სევდასა“ და ადამიანის სულიერი ტრანზფორმაციის საკითხზე. „პატარა ადამიანის“ პრობლემის გააქტიურება ქართულ მწერლობაში მიხეილ ჯავახიშვილს და უფრო ადრე, ვფიქრობთ, ეგნატე ნინოშვილს უკავშირდება. ლადო კოტეტიშვილის „გოჩმანა“ ამ ციკლის მოთხრობათა შორის ერთ-ერთ საუკეთესოდ შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ამ მხატვრული ტექსტის ღირსება უფრო მასშტაბურია. მხატვრული აზროვნების კონცეპტუალურ-ფილოსოფიური იერით, მხატვრული ოსტატობით, გმირის მოქმედების მნიშვნელობათა ამოხსნის შესაძლებლობით, რომელიც კარგად ჯდება მონათხრობში, იგი რეალური ანტისაბჭოთა განწყობილებების შემცველია. აღნიშნულ მოთხრობაში მთავარი და ერთადერთი გმირი გოჩმანაა. მისი პორტრეტის ხატვისას ლადო კოტეტიშვილი სანდო, უტყუარი და შთამბეჭდავი: „დაბალი ტანისა იყო, ელამი. მარცხენა თვალი ზედ ცხვირზე ჰქონდა დაკრული. მარჯვენა კი სულ მუდამ მოძრაობდა, კანკალებდა. სახე ჰქონდა გაჭაჭული, ცხვირი ჯერ გატეხილი. მერე სახეზე დაჰყლეტილი, უღვაშები მარტო ტუჩის კუთხეებთან, ისიც თითო-ოროლა ღერი. თუ ვინმე შეეკითხებოდა - ჰა, გოჩმან, რასა იქმ, როგორა ხარ, მაშინ იმისი სახე ხელახლა ასაწერი ხდებოდა“.

გოჩმანა ყოველთვის „სიცილის და მასხარაობის საგანია“, მას არც დედა ახსოვს და არც - მამა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს იგი „ღვთისაგან და ერისგან დაკისრებული მოვალეობის“ შესრულებას იწყებს, არც მეტი, არც ნაკლები - სიონის ეკლესიის მნათე ხდება. წირვის შემდეგ ეკლესიის ტალახისგან გაწმენდის მისი გულწრფელი სურვილი მღვდლისგან ყურადღებას

იმსახურებს და **წახალისებულია**. ამ დღიდან იწყება გოჩმანას ტრანსფორმაცია. ამ გარდაქმნის თხრობა მიმდინარეობს პერსონაჟის ფსიქოემოციური ყოფისა და ისტორიული გარემოს გათვალისწინებით, რადგან ამის გარეშე გოჩმანას მისია ვერ გამოიკვეთება.

მიუხედავად „პატარა ადამიანის პრობლემასთან“ სიახლოვისა, ლადო კოტეტიშვილის ჩანაფიქრი მაინც განსხვავებულია და სხვა დატვირთვას იძენს. მან იმ ეპოქის სული უნდა აგრძნობინოს მკითხველს, რომელმაც 1921 წლიდან ადამიანთა ცნობიერებიდან სიონის ზარის მნიშვნელობის გამოდევნა და წაღეკვა დაიწყო. ეს სახიფათო ტენდენცია გოჩმანამ ერთ-ერთმა პირველმა იგრძნო სიონთან, როცა ტამარი დაკეტილი და დაცარიელებული დახვდა. „აქ ამ ტფილისში, ამ ბაითებით და დასნეულებულ, მეტისმეტი სიბერით აკანკალებულ სახლებს შუა, მედგრად არის ავარდნილი ძველი სიონი. იმისი განიერი და მაღალი ჩრდილი თითქმის შუამდე სწვდება მთელს ტფილისს. სიპი კედლების სიმტკიცე და სიმკვრივე ჩაკირულია ათას საუკუნეთა ქროლვებით, ღმერთი თუ როდისმე დადიოდა ქვეყანაზე, ალბათ, ღმერთსა და ხალხს შორის ისეთივე განსხვავება იყო, როგორც ამ სახლებსა და სიონს შორის. ამ განსხვავების გარდა, სასწაულიც იყო; ალბათ, სახლები რომ ძველდებოდნენ, უსათუოდ ინგრევოდნენ. სიონი კი რამდენიც ძველდება, იმდენი მტკიცდება და მაგრდება. მაგრამ ყველაზე ძლიერი და ბუმბერაზი ისევ სიონის ზარის გუგუნია.“ ასეთი რემინისცენციებით ტვირთავს მწერალი სიონის მნიშვნელობას, რადგან იმ რეალობაში მისი ისტორიული ფასი განსაკუთრებულად დიდია. სიონის მნიშვნელობის გააზრებისათვის გოჩმანას ფსიქოტიპი ზედ მორგებულია. გლახაკ გოჩმანას მაცხოვარი ესიზმრება და თანდათან მაღლდება იმ საქმისთვის, რომელიც ბედისწერამ დააკისრა. იგი სიონის მნათე ხდება და როცა პირველად გადმოხედავს ტფილისს იმ სიმაღლიდან, სიონის ზარის რეკვით ამალღებული და ღირსებაგაღვიძებული თავისთავს უტყდება: „დავრეკე, მაშ, დავრეკე, მაშ...“.

მწერლის ჩანაფიქრი თავის მომავალ მკითხველს მოუთხროს სასტიკ ეპოქაზე, სიონის ზარის გადმოხსნის ეპიზოდში რეალიზდება. სიონის ზარი სიმბოლოა საქართველოს ისტორიის, ნიშანია მისი ეროვნული იდენტობისა და გამძლეობისა. მოვიხმოთ ნაწყვეტები მოთხრობიდან: „ტფილისი აბრუნდა, ყველაფერი სუსტი, ბებერი და უნიათო დაიმსხვრა ამ ბრუნვაში. წითელი დროშების ელვარებამ ბევრს დაახუჭინა თვალები, ბევრს გაუხეთქა გული ამ საზარელმა სანახაობამ, საიდანაც მოვიდა შავი ხალხი, შეკრული შუბლით და სისხლიანი თვალებით და ქვეყანას რისხვით დაემუქრა“. კიდევ: „ამ გაუთავებელ ბრუნვაში ძველი ტფილისი შუაზე გადატყდა. ახალგაზრდა ტოტებმა იწყეს გამხმარი ფოთლების ანიაკება. ძველი ამ დროს მოჭრილ მუხასავით იდგა, ცივი და შიშველი. ახალი ტფილისი ივსებოდა ქარხნებით, შუქით, ახალი ხალხით. შრომა, როგორც ზეიმი. დასვენება კლუბებში. კლუბებში კიდევ ზეიმი. კინო, რადიო. სიმღერები, დაკვრითი ტემპები, სოციალისტური შეჯიბრი, გაუთავებელი ინდუსტრიალიზაცია, კიდევ ტემპები, გაგიჟება შრომით და შრომაში. მეზრდოლი უღმერთოები. აქ ღმერთებს ყოველდამ ასამართლებენ.“(5.52)

ლადო კოტეტიშვილი მოწმე და თვითმხილველი გახდა ძველი „ღმერთების გასამართლების“ და „მეზრდოლ უღმერთოებს“ მოყოლილი დროის ტრაგიზმი და გაორება **მან** გოჩმანას ისტორიაში აღწერა. „სოციალიზმისაკენ გაჭენებული ცხოვრება“ ფარავს ძველი თაობის „დარდებს დიდ ცოდვებით დატვირთულ ახალ თაობაზე“, „გაუთავებელი წუწუნს ცოდვების მიტევებაზე“. მწერლის მიერ აღქმული ორი სინამდვილე - „ერთის მხრივ, ახალი ცხოვრება, ახალგაზრდა ხალხით, ახალი ხერხებით, შრომით, ინდუსტრიით. მეორეს მხრივ - ძველი თაობა, ლოცვით, ბევრი ლოცვითა და სინანულით. ახლის მხარეზეა ათი ათასი საწარმო იარაღი. ძველის მხარეს კი ერთი ზარი და ათი ათასი იმედი“- ამბობს ავტორი. სიონის ზარის

ხმა თანდათან აბრაზებს სოციალისტური შრომით გადაღლილ ხალხს. ის ზედმეტი ხდება, ზარის ხმა კი არა, „ზარის ლითონი სჭირდებოდათ მძიმე ინდუსტრიალიზაციისათვის“. მალე სიონთან ნიჭიანი და წერაქვიანი ხალხი გამოჩნდება. მოთხრობაში ზარის ჩამოხსნის სცენაში დევს მტკიცებულებები იმ განაჩენისთვის, რომელიც ამ ეპოქას გამოუტანა ისტორიამ. „ხალხმა უბრალოდ შეამტვრია კარები და ხმაურით აცვივდა სამრეკლოს კიბეებზე“. გაცეცხლებული გოჩმანა, რომელიც ექსტაზით რეკავს ზარს, არ ანებებს მას გავეშვებულ ბრბოს, არ ცხრება და გაიძახის: „უნდა დავრეკო მაშ, ზარი ჩვენია, მაშ! ზარი ღმერთისაა, მაშ, ღმერთი ჩვენია, მაშ!“. გოჩმანას სამრეკლოდან გადმოაგდებენ. „ბევრი უარეს გარშემო, ბევრი სინჯეს, მაგრამ ვერც ერთი ხერხით ვერ მოახერხეს ზარის მოხსნა. შემდეგ ბევრი აღარ უფიქრიათ, აანგრიეს სამრეკლოს გვერდი, გადაჭრეს სვეტები და დომკრატებით აწეული ზარი პირდაპირ ქუჩაში გადმოაგდეს. სიონის ზარი არაჩვეულებრივი სიმძიმით რომ დაენარცხა მიწაზე, ისეთი ხმით დაიკვნესა, რომ მიწაც კი ინძრა რისხვით. სამი დღე და ღამე ეგდო ზარი გამოფაშულ სამრეკლოს ძირში. აუარებელი ხალხი უვლიდა გარშემო ამ ზარს, რომელიც უზარმაზარი ნადირით ეგდო მიწაზე, დამარცხებული და დამცირებული, მაგრამ ამ ზღვა ხალხში არავინ, გოჩმანს მეტი არ განიცდიდა ამ საქმის ტრაგედიას“- ამბობს მწერალი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ეპიზოდი საკვანძოა ამ მოთხრობისათვის. მწერლის მიმართება ახალ დროსთან და მისი პიროვნული ტრაგიზმიც სწორედ აქ იკვეთება. მის ცნობიერებაში ახალი დროების იდენტიფიკაცია სწორედ რწმენის კრიზისმა მოახდინა, სწორედ ის აღმოჩნდა ლაკმუსის ქაღალდი. მიუხედავად იმისა, რომ „ტფილისში სიცოცხლე მაინც დულდა. ტემპები არ ნელდებოდა: სოციალიზმისაკენ გაქნებულ ცხოვრებას ვეღარ აშინებდა ჰალუცინაციები, სიცხე და თავბრუ. არც გოჩმანას სიგიჟე აწუხებდა ქვეყანას. აშკარად ჩანდა. რომ ეს სიგიჟე და გაგიჟება ვერ იხსნიდა ძველ ტფილისს სამუდამო დამუხრეხებისაგან ძველი სიონის დიდი ზარის დამსხვრევის შემდეგ“. ეს საფინალო აბზაცი საბოლოოდ კრავს და ამთლიანებს მწერლის მთავარ სათქმელს - სიონის ტაძარი ისტორიული წარსულის სიმბოლოა, ზარი კი - სარწმუნოებრივი სიმტკიცის, რომელიც საბჭოთა სინამდვილეში იკარგებოდა.

მოთხრობის ეს პასაჟი შეუძლებელია, არ დავაკავშიროთ ვახუშტი კოტეტიშვილის მონათხრობს წიგნიდან „ჩემი წუთისოფელი“. 1933 წლის ზამთარში წირვის რიტუალის შესასრულებლად ასულ მოძღვარს - ლადო, გიგო, ვახტანგ და ივლიტა კოტეტიშვილის მამას - ილია კოტეტიშვილს მამადავითის ეკლესიაში ზარები ჩამოხსნილი დახვდა. ამ ავადსახსენებელ დღეს ვახუშტი კოტეტიშვილი ასე აღწერს: „გიგო ფეხდაფეხ მიჰყვა. გრიბოედოვის საფლავთან შედგა, ელოდებოდა, რომ მოძღვარი ეკლესიაში შესულიყო. ის-ის იყო, გამობრუნებას აპირებდა, რომ უცებ შემზარავი ხმა გაისმა:

- არა! არა! არა!-ეს მამა ილიას ხმას არ ჰგავდა, ეს თითქოს მთელი საქრიასტიანოს ღაღადისი იყო უღმერთოთა მიმართ, მრავალსაუკუნოვანი ღაღადისი.

გიგო ადგილს მოწყდა, კიბე აირბინა და გაშეშდა. მამადავითის ეკლესიის სამრეკლოდან ზარები ჩამოეყარათ. ამას ვინ იზამდა ენთუზიასტი კომკავშირლების მეტი?! რასაკვირველია, პარტიული ხელმძღვანელების უშუალო დავალებითა და მითითებით!

მამა ილია შექანდა, კვერთხი აფართხალებული ხელიდან გაუვარდა და ჯვარცმულივით ხელებგაშლილი ჩაემვა საფლავებს შორის.

-მამა!- იღრიალა გიგომ და ერთი ნახტომით მასთან გაჩნდა. მამა ილიას ცნობა დაკარგული ჰქონდა. გიგომ ჯერ შუბლზე მოუსვა თოვლიანი ხელი, შემდეგ კი საკინძე შეუხსნა და მკერდი თოვლით დაუზილა.

მამა ილიას შეჭირხლული წამწამები შეუტოკდა, აზრდაფანტული მზერა მოავლო იქაურობას, გიგო იცნო და გონს მოეგო.

- ხედავ, შვილო, ესეც იკადრეს! ამ წმინდა ადგილასაც ამოსწვდა მაგ უღმერთოების მსახვრალი ხელი! ამდენი წაწყმედილი სული ნეტავ როგორ უნდა დაიტიოს ჯოჯოხეთმა-ხვნემა-ხვნეშით ამოთქვამდა სიტყვებს მამა ილია და თან ცრემლიანი თვალები ელულებოდა.“[3.192]

ჩვენი აზრით, ამბავს პირდაპირი კავშირი უნდა ჰქონდეს მოთხრობის შექმნასთან. ეპოქისთვის ერთობ დამახასიათებელი ზარების ჩამოხსნის მართონი კოტეტიშვილების ოჯახს მტკივნეულად შეეხო, რადგან რამდენიმე დღეში მამა ილია გარდაიცვალა. ლადო კოტეტიშვილის მოთხრობა „გოჩმანა“ ამ ტრაგიკული ფაქტის გამოძახილია. მართალია, ტექსტი ზოგადად ასახავს მენტალურ ცვლილებებს, რომელიც აშკარად შეიცავდა ეროვნული იდენტობის ხელყოფის საფრთხეებს და გვაგრძნობინებს ეროვნულ-კულტურული პოლიტიკის დინამიკას, მაგრამ ეს ამბავი ნამდვილად შეიძლება გამხდარიყო მოთხრობის დაწერის საფუძველი.

ლადო კოტეტიშვილის „ემშაკი გალიფეში“ ცალკე წიგნად 2019 წელს გამოიცა. წიგნის რედაქტორი - როსტომ ჩხეიძე წინათქმაში აღნიშნავს: „ემშაკი გალიფეში“ სულაც ხელიხელსაგომანებლადაც იქცევა, რაკილა კვლავაც იმ სატკივარში მოვმწყდეულვართ, ლადო კოტეტიშვილს რომ აწუხებდა \\\ საუკუნის 20-30 იანი წლების ორომტრიალში და მწყურვალევით ეძიებდა გასასავლელს დახშული სივრციდან“. [6.7] მწერლის ეს მოსაზრება გარკვეულწილად მინიშნებაა იმაზე, რომ ჩვენი სააზროვნო ველი ჯერაც არ არის თავისუფალი საბჭოთა ნარჩენებისაგან და ლადო კოტეტიშვილის ეს მოთხრობა კარგი სახელმძღვანელოა მენტალური გადატვირთვისთვის.

ლადო კოტეტიშვილის ამ ნაწარმოებში სათქმელი უფრო ცხადი და გამოკვეთილია, ვიდრე „გოჩმანაში“. მწერლის განწყობაც გაცილებით თამამია. თუმცა ნაწარმოები მხოლოდ ერთი წლით უსწრებს „გოჩმანას“. ბუნებრივია, მწერალს ჩანაფიქრშიც არ აქვს მისი დაბეჭდვა. მას ნებისყოფა არ ღალატობს და ზუსტად იცის, რომ საბჭოთა მწერლობის ორგანული ნაწილი სიცოცხლეში ვერ გახდება. ლადო კოტეტიშვილი ბოლომდე ინარჩუნებს შემოქმედებითი თავისეუფლების შეგრძნებას და სრულად ავლენს ტრაგიზმამდე მისული მენტალური გაორების შემთხვევებსაც, რომელიც ეპოქალურ ცვლილებებს მოჰყვა. ამ ცვლილებებში, მისივე თქმით, „საგნებმა დაკარგეს ძველი თვისებები“. ამ ცვლილებებში მავანთათვის ძალიან ადვილი აღმოჩნდა არჩევანის გაკეთება „პროლეტარულ მიდგომებზე“, ვინაიდან „ქონებრივი თანასწორობისა“ და „თავისუფლების“ დისკურსი თავბრუს ახვევდა ადამიანთა უმრავლესობას. მხოლოდ გამორჩეული უმცირესობა-„არასაიმედო“, „მავნე“ მწერლები გრძნობდნენ, რომ რაღაც ისე არ იყო. ლადო კოტეტიშვილმა ძალიან ადრე აუღო ალღო ბოლშევიკების მიზნობრივი წერის სტრატეგიას, მან იგრძნო, რომ „ყველაფერი გაუგებარი და მისტიური ჩამოშორდა ნივთს“, რაც მომავალში საზიანო გახდებოდა მხატვრული აზროვნებისთვის.

მოთხრობის მთავარი გმირი, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ისტორიული პერსონაჟის - ზენონის რეინკარნირებული მოსახელეა. მას მოთხრობაში ზენო ჰქვია. თუ ზენონმა იმ ეპოქაში სწორი არჩევანი გააკეთა ემშაკისეულ შურისძიებასა და ღვთისკენ მიმავალ გზას შორის, „წიწკისფერი სახლის“ ბინადარი ზენო არჩევანის წინაშეა. მთელი მოთხრობა ამ ფსიქოლოგიურ ჭიდილზეა აგებული. იმიტომ, რომ ზენოს დაბადებიდან გამოყოფილი ნაკლი- „მეტისმეტად განვითარებული სინდისი“ და ასო „რ“ გამოთქმასთან დაკავშირებული პრობლემა ხელს უშლის გულის ფიცარზე დაიწეროს სიტყვა „რევოლიუცია“. ზენო კარგად ვერ წარმოსთქვამს სიტყვას „რევოლიუცია“, ეს კი ხელს უშლის მოითმინის ყველა ნივთი, რომელიც „წვერგაპარსული ღმერთის შთაბეჭდილებას“ უტოვებს. მოთხრობაში აშკარა მინიშნებაა ბოლშევიკების სარწმუნოებრივ პოლიტიკაზე. „წვერგაპარსული ღმერთი“ მათ მიერ იავარქმნილი რელიგიური გრძნობებია. როდესაც საქართველოში „რუსეთიდან რევოლიუცია შემოაქვთ მატარებლებით, ტელეგრაფით, ტელეფონით“, მას თან შემოჰყვება „ემშაკი გალიფეში“, რომელიც ზენოს მისი „დაბადებიდან გამოყოფილი ნაკლის“ გამო ეცხადება. მოთხრობაში განვითარებული ორთაბრძოლის კონტექსტი თვალსაჩინოა, იგი უზუსტესი მხატვრულ-ფსიქოლოგიური ნარატივია იმ ეპოქის „უკომპრომისოთა“ რეალური ბიოგრაფიებიდან. მათთვის წარსულის რეკონსტუირების, ანდა სულაც იგნორირების პროცესი აპოკალიფსურ განცდათა რიგს მიეკუთვნებოდა. იდენტიფიკატორი კი სწორედ „მეტისმეტად განვითარებული სინდისი“ გახლდათ. სწორედ ამგვარად შეინარჩუნეს მათ განახლების, აღდგენის ენერგია ჩვენს ეპოქაში, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ლიტერატურის გათავისუფლება პოსტსაბჭოთა სტრესისაგან მძიმე პროცესად სახელდება. პოსტსაბჭოთა და პოსტრევოლუციური პერიოდი თავის ნგრევისა და რღვევის კანონზომიერებით ერთმანეთს ემსგავსება. ლადო კოტეტიშვილის მოთხრობა „ემშაკი გალიფეში“ მყარად ინარჩუნებს ამ იდეოლოგიური წნეხისათვის წინააღმდეგობის გაწევის საავტორო უფლებას. მწერლის ეს სურვილი არ არის საგულდაგულოდ შეფუთული მითოპოეტური რემინისცენციებით და სიმბოლური ქვეტექსტებით. ის არ ამზადებს ტექსტს ცენზურასთან შესახვედრად. ლიტერატურული საქმიანობისადმი ამგვარი ნორმატიული მიდგომა, მას აძლევს საშუალებას მთლიანად გათავისუფლდეს იმ შიშისა და ბარიერებისგან, რომელსაც სიმართლის გადასარჩენად მიმართავდა საბჭოთა მწერლობა და სათქმელი ისე გამოთქვას, როგორც მისი სინდისი და პასუხისმგებლობა კარნახობს. ლადო კოტეტიშვილი არ არის აპლოდისმენტებს დახარბებული ხელოვანი, მისი გადაწყვეტილება- მომავლის მკითხველისათვის დაეტოვებინა ლიტერატურული მონაგარი, გარანტი იყო ეპოქალური სიმართლის ასახვის თავისუფლების. „ემშაკი გალიფეში“ ჰიშნია ამ თავისუფლების, დემონსტრირებაა ნიჭიერი მწერლის ნებისყოფისა და პროფეტულობის, რომ მომავალში არაფერი იქნებოდა დაფარული.

მოთხრობაში ადამიანთა უზნეობისა და მორალური დეკადანსის მხილებისას ლადო კოტეტიშვილი არ წარმოადგენს მხარეს. მან იცის, რომ ადამის მოდგმა ძნელად ინკურნება მედროვეობის სენისაგან. რევოლუციამდელ და პოსტრევოლუციურ საქართველოშიც ცოცხალი იყო ეშმა, რომელმაც თანამედროვე სამოსი - გალიფე მოირგო. „რევოლუციამ კი არ მოსპო, გარდაქმნა ეს ხალხი...გაჩნდა ახალი წითელი ღმერთი, ცოცხალი ეკლესია, ახალი ჟულიკები, ახალი აფერისტები, ახალი პოდლეცები“ , „კაცი კაცს მაინც უნდა ჩაგრავდეს ქვეყანაზე, არა, სოციალიზმი ტყუილია“- ეუბნება ზენო სოციალიზმის აპოლოგეტ ეშმას. პოლემიკის პათოსი, რომელიც ზენოსა და ეშმას შორის იმართება, თავის კულმინაციას ჯვრის მონასტრის მიდამოებში აღწევს. „აქ იღვიძებს ზენოს რწმენის გამხმარი ფესვები“, აქ შემოჰყავს მწერალს ბერი, სახარება და აქ აღიარებს სიმართლეს, რომელმაც საბოლოოდ წირვა გამოუყვანა

ტოტალიტარულ რეჟიმს, რომელმაც „ღმერთთან ერთად მიწაზე სიარული შეუძლებელი გახადა“.

ლადო კოტეტიშვილი არ არის წარსული პეიზაჟების მწერალი. მას აქვს უნიკალური ტალანტი, მარადიული მნიშვნელობით დატვირთოს როგორც წარსული, ისე აწმყო და სწორად შეარჩიოს სათქმელი. „ეშმაკი გალიფეში“ მხილებაა არამარტო „წითელი ღმერთის“, არამედ იმ ხალხის, რომელმაც მის გამოჩენამდე „ლოცვა გაძღომის საშუალებად აქცია“ და წითელ კერპს გზა გაუკვალა. ლადო კოტეტიშვილი არც ახალი დროების მძევალია, მაგრამ არც წარსულის უსაგნო იდეალიზაცია სჩვევია. როცა ხატის გმობა თვითდამკვიდრების ინსტრუმენტად იქცა და ყველა „პატარა საქმეს აკეთებდა დიდი რევოლუციისათვის“, ამ მოთხრობის მთავარი გმირი - ზენო იტანჯება წარსულსა და აწმყოს შორის, იგი თავისუფლების არსზე მართავს პოლემიკას „გალიფეშარვლიან ეშმაკუნასთან“. „ქართველი ინტელეგენტი ხარ, უშნო, ულაზათო, უნებო“, „შეურიგდი ხელისუფლებას. მაგ მშიერ კუჭს ხომ გაიძღობ, მაგ საძაგელ ტყავს ხომ გადაარჩენ, ნუ სწუხარ, დღეს თუ შენ ჩაიდენ მაგას- ხვალ ყველა ჩაიდენს“. ეშმაკუნას ამ მოწოდებებში მოჩანს ახალი დროების მაცდუნებელი ლოზუნგები, რომელთანაც ლადო კოტეტიშვილმა, როგორც მწერალმა, გარიგება არ ისურვა, ის არ გაერია იმ ამქარში, „წითელი სიხარულით, სიმღერითა და ყიჟინით რომ მოაზნელებდა ქუჩას“. საქმე იქამდეც მიდის, რომ მწერალი ბოლშევიზმის იდეოლოგებს აპოკალიფსურ მხეცთანაც აიგივებს. თავისთავად ცხადი ხდება, რომ ასეთი შეგრძნებებით ლადო კოტეტიშვილი ვერასოდეს შეძლებდა მისი შემოქმედების შეთავსებას საბჭოთა კონტექსტთან, შემოქმედებითი დამოუკიდებლობა მისთვის უფრო ძვირფასი აღმოჩნდა, ვიდრე საბჭოთა მწერლის სახელი. აქედან გამომდინარე, ის დარჩა შემოქმედის ნორმატიულ ეთიკასთან, სრულიად შეგნებულად მოარიდა თავი პროლეტარული მწერლობის რეფლექსიებთან ალიანსს და გადარჩა როგორც მწერალი.

ლადო კოტეტიშვილის არქივის კვლევის ამ ეტაპზე, საუბარი მისი შემოქმედების მნიშვნელობაზე საფუძვლიანი და ლოგიკურია. ვფიქრობთ, მწერლის არქივის შემდგომი დამუშავება და მისი გამოცემა არაერთ საინტერესო მასალას გამოავლენს როგორც მხატვრული თვალსაზრისით, ისე საბჭოთა კულტურული პოლიტიკის ინტერპრეტიციისათვის. გვინდა დავეთანხმოთ ირმა რატიანის მოსაზრებას, რომ: „მხატვრული ლიტერატურა ვერ შეფასდება ვერც ქრონოლოგიური და ვერც მხოლოდ რაოდენობრივი თვალსაზრისით, შეფასების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი, კონცეპტუალურ და მხატვრულ სიახლეებთან ერთად, ინტელექტუალური თავისუფლების ხარისხია, რომლის დეფიციტსაც ცალსახად განიცდიდა საბჭოთა საზოგადოება“ [8.12]. უნდა ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით ლადო კოტეტიშვილი შეღავათებს არ საჭიროებს. მისმა ტაქტიკამ საბჭოთა იდეოლოგიურ სტიგმასთან ბრძოლაში გაამართლა- მან არჩევანი არ ეძება მორჩილებას, ემიგრაციასა და განადგურებას შორის, ლადო კოტეტიშვილმა თავისი შემოქმედება მომავლისთვის გადაინახა როგორც „გრიფით საიდუმლო“ და ამგვარად, კიდევ ერთხელ გააპროტესტა იდეოლოგიური კონიუნქტურა, რომელმაც მიუხედავად ყველაფრისა, ნაწილობრივ მაინც მოახერხა ქართული მწერლობის ბუნებრივი გზით განვითარების პროცესის შეფერხება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაქრაძე აკაკი, *მწერლობის მოთვინიერება* (1990), რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა, „სარანგი“, თბილისი
2. ბელქანია თამარ, *სტალინური კულტურა* (2016), გამომცემლობა „აზრი“, თბილისი

3. კოტეტიშვილი ვახუშტი, *ჩემი წუთისოფელი* (2005), ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი
4. კოტეტიშვილი ნანა, *ვერგამოგლოვილნი* (2019), გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი
5. კოტეტიშვილი ლადო, *ემშაკი გალიფები* (2019), გამომცემლობა „ჩვენი მწერლობა“, თბილისი
6. კოტეტიშვილი ლადო, *კეთროვანთა ზღაპრები* (2018), გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი
7. ჩხეიძე როსტომ, რედაქტორისაგან, წიგნში „ემშაკი გალიფები“ (2019), გამომცემლობა „ჩვენი მწერლობა“, თბილისი
8. *ბოლშევიზმი და ქართული მწერლობა* (2016), შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია, გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი.

Anti-Soviet Narrative - Unknown Lado Kotetishvili

Salome Kapanadze

Grigol Robakidze University

Abstract

The Soviet government manipulated the masses with cultural leverage, disrupted the national bedrock of Georgian thought, and hindered its development. Nevertheless, most writers have not yet become a platform for system policy. The study of their work helps us to distinguish Georgian free thought from Soviet impurities and to obtain reliable information on the historical aspirations of Georgians towards freedom and independence. It is at such times that it is of particular importance to open up the creativity of writers who have had a natural sense of protest against these manipulations. Among these writers today we can mention Lado Kotetishvili, whose creative legacy has only recently become known in Georgian literary studies and has become a subject of serious interest. Lado Kotetishvili's prose is an interesting example of an anti-Soviet narrative and it confirms the dynamics of a healthy worldview of Georgian thought. It gives us a realistic picture of the development of Georgian culture in a natural way, and based on it we are given the opportunity to free scientific reasoning from the ideological "legends" created during the Soviet period and to adequately interpret this period

დროებითი ცირკის შენობები XIX ს-ის მეორე ნახევრისა და XX ს-ის დასაწყისის თბილისში

თამთა შონვაძე

საქართველოს ეროვნული არქივი

„ძველი წლის ბოლოსა და ახალი წლის დასაწყისში იმდენი სანახაობების საშუალება აქვს ადამიანს, რომ რთულია აირჩიოს სად წახვიდე: ოპერაში, ცირკში, თუ სპექტაკლებზე“- წერდა 1867 წელს გაზეთი კავკაზი (1867), „კავკაზი“, 8). მართლაც XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში, თბილისში დიდი პოპულარობით სარგებლობდა დროებითი ცირკები, რაზეც საარქივო მასალები, იმ დროინდელი ადგილობრივი პრესა და ცირკის შენობების რაოდენობა მეტყველებს.

საქართველოში საცირკო ხელოვნება აქამდე საგანგებოდ შესწავლილი არ ყოფილა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის არამარტო სოციალური, არამედ კულტურული ფენომენი, რომელშიც აისახება ხელოვნების სხვადასხვა დარგის ტენდენციები, როგორც არის პოეზია, მუსიკა, ლიტერატურა, სინემატოგრაფი, თეატრი. სტატიაში შევეცდები ვრცლად წარმოვაჩინო ის შენობები და იქ მოღვაწე დინასტიები, რომლებმაც თავისი კვალი დატოვეს XIX ს-ის მეორე ნახევრისა და XX ს-ის დასაწყისის თბილისის კულტურულ ცხოვრებაში.

ცირკის ისტორია ჯერ კიდევ ანტიკური სამყაროდან, რომიდან იწყება, თუმცა დღევანდელი გაგებით ცირკი როგორც თვითკმარი სოც-კულტურული ინსტიტუტი მხოლოდ XVIII საუკუნის მიწურულში ინგლისელი კავალერისტის ფილიპ ესტლის მიერ დაარსდა, რომელსაც თავიდან „ამფითეატრი“ ერქვა. მის შემდეგ კი საცირკო ხელოვნება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, რუსეთის იმპერიასა და მათ შორის საქართველოშიც გავრცელდა.

ცირკის შენობა დანიშნულებიდან გამომდინარე გეგმარებაში „გუმბათიან“ წრიულ ნაგებობას წარმოადგენს, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს შენობის გარე მასების განაწილებასაც. დროებითი ცირკი შენდებოდა ან ხის მასალისგან, ან ეს იყო ბრეზენტის დიდი კარავი, რომელშიც თავსდებოდა წრიული ფორმის მანეჟი და მის ირგვლივ ამფითეატრის სახით განლაგებული მაყურებელთა ადგილები. მსგავსი გეგმარება ჰქონდა ცირკის სტაციონალურ ნაგებობასაც. მაყურებელთა დასაჯდომის რაოდენობისა და ცირკის ზომის მიუხედავად მშენებლობის აუცილებელ მოთხოვნას მანეჟის 13 მეტრიანი დიამეტრი წარმოადგენდა, რაც ცხენოსნების მოთხოვნის შესაბამისად განისაზღვრებოდა. შემონახული მასალის მიხედვით ჩვენთან ხის დროებითი შენობის ფასადები, მეტი სისადავით ხასიათდებოდა, რომელსაც ძალზე მსუბუქი ორნამენტული კომპოზიციები თუ ამკობდა. რუსეთის იმპერიის ქალაქებში გვხვდება სტაციონარული შენობებიც, რომელთა ფასადი კლასიცისტურ ან რენესანსულ სტილშია გადაწყვეტილი. თუმცა აღსანიშნავია, რომ თბილისში ასეთი ცირკი მხოლოდ ნიკიტინების იყო, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში ხანძარმა იმსხვერპლა და ჩვენთვის მისი არქიტექტურული სახე ამ ეტაპისთვის უცნობია.

ცირკის შენობის ადგილმდებარეობად ცენტრალურ მოედნებსა და პროსპექტებს ირჩევდნენ, იქნებოდა ეს გოლოვინისა (დღევანდელი რუსთაველის) და მიხეილის (დღევანდელი დავით აღმაშენებლის) პროსპექტი, ლუნიხის (შოთა რუსთაველის გამზირზე, დღევანდელი მთავრობის შენობის ადგილი) მოედანი თუ სხვა. საქართველოში დროებითი ცირკის შენობებს ერთი სეზონით (6 თვე) ან ერთი წლით აშენებდნენ. მათ მშენებლობის ნებართვას, თბილისის საგუბერნიო სამმართველოსგან ევროპის სხვადასხვა ქვეყნის თუ მოსკოვის სადედაქალაქო ცირკის წარმომადგენლობა ითხოვდა. თბილისში ცირკის შენობებს, ძირითადად უცხოელი არქიტექტორები აშენებდნენ და ასევე დამკვეთნიც უცხოელები იყვნენ. თბილისში მოღვაწეობდნენ უნგრეთის, გერმანიის და რუსეთის ცნობილი დინასტიები, მათ შორის ძმები ნიკიტინები, ესიკოვსკები, ეფიმოვები, გოდფრუები თუ სხვა.

საქართველოს ეროვნულ არქივში ჩვენს მიერ მოძიებული მასალის მიხედვით, იქნება ეს წერილობითი დოკუმენტები, პირადი მიმოწერა, ნოტარიულად დამტკიცებული ნებართვები თუ შენობის პროექტები, თბილისში ცირკის ისტორია XIX საუკუნის 60-ანი წლებიდან იწყება. პირველი ცირკი, რომელიც ჩვენთვის არის ცნობილი, ლუნიხის მოედანზე, (დღევანდელი მთავრობის სასახლის ადგილი) 1866 წლის დეკემბერში აიგო. ეს იყო დროებითი ხის ცირკი სულიეს ღონისძიებებისა და სპექტაკლების გასამართად. იტალიელ არქიტექტორ ლოდოვიკო კამბიაჯიოს კი ევალებოდა შენობის მდგრადობისა და უსაფრთხოებისათვის თვალყურის დევნება (სეა, სცა, ფ. 204, ა. 1, ს. 228). ლუი სულიეს ცირკი ცნობილი იყო თავისი მდიდარი რეპერტუარით, მრავალფეროვანი წარმოდგენებით, კარგი

დეკორაციებით, შენობაში არსებული გათბობითა და განათებით, რაც დიდად მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული პერიოდისთვის ((1867), „კავკაზი“, 8).

თითქმის ამავე პერიოდს განეკუთვნება წარმოშობით გერმანელი ვილგელმ სურის ცირკიც, რომელიც 1869 წლის 20 აპრილს გაიხსნა¹²⁴. იგი დაახლოებით 7 თვე მოღვაწეობდა თბილისში და დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა, როგორც ცნობილია სურიმ თბილისში 170-ზე მეტი წარმოდგენა გამართა. სურის ცირკი, ცნობილი იყო თავისი ცხენოსნობის სკოლით, ბალეტის დასით, მითოლოგიური და ისტორიული პანტომიმით და ხოროთი. ამ დასთან ერთად, სური გამოდიოდა ევროპის და რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქში და ყველგან საუკეთესო შეფასებით და მოწონებით სარგებლობდა. იგი აღსანიშნავია იმითაც, რომ მათ ჰქონდათ საბავშვო წარმოდგენებიც. ეროვნულ არქივში დაცული მასალის მიხედვით, ვილგელმ სურის ცირკი მუშტაიდის ბაღში მდებარეობდა (სეა, სცა, ფ. 5, ა. 1, ს. 1094) (1869), „კავკაზი“, 47).

1875 წელს, ღუნბის მოედანზე, ხელახლა მოწყობილ დირექტორ ტომატოს ცირკის ამფითეატრის შესახებ ინფორმაციას იმდროინდელი პრესა გვაწვდის (1875), „კავკაზი“, 2-3). ახალი ცირკის შენობაში დიდი წარმოდგენები უნდა გამართულიყო იმ დასის მიერ, რომლებიც გამოდიოდნენ ევროპის დიდ ქალაქებში. ღუნბის მოედანზე ცირკის არსებობას თავის მოგონებებში ადასტურებს მხატვარი კარაპეტ გრეგორიანცი: „ცირკიც იყო სასახლის გვერდით, სადაც საბორო არის აშენებული. ცირკის შენობა თუმცა ფიცრისა იყო, მაგრამ მეტათ უზარმაზარი შენობა იყო. 1880 წლამდისინ ცირკი ეკუთვნოდა გოთფრუას ფირმას, შემდეგ გადავიდა ენდოელი მდიდარი არაბი ტომსონის ხელში“ (გრეგორიანცი, 2011, გვ. 36)

ცირკის მეპატრონეები, თბილისში, საქველმოქმედო წარმოდგენებსაც აწყობდნენ, რაზეც გაზეთ „კავკაზის“ განცხადებები მეტყველებს - ასეთია მაგალითად ფრანგი ანტერპრენერების, ძმები ლ. და ჟ. გოდფრუების ცირკი, რომლებიც დგამდნენ ცხენების, პანტომიმის და გიმნასტების წარმოდგენებს („კავკაზი“, 1879, 60, 99; 1880, 2; 11, 40).

ორი ცირკი ჰქონდა გახსნილი თბილისში სხვადასხვა დროს კურსკის მოქალაქე, დირექტორ ალექსანდრ ფიურერს, რომლის შენობებიც ეროვნულ არქივში დაცული მასალის მიხედვით მდებარეობდა გოლოვინის პროსპექტსა (სეა, სცა, ფ. 204, ა. 1, ს. 4180) და მადათოვის კუნძულზე (სეა, სცა, ფ. 204, ა. 1, ს. 719). 1885 წლის 31 მაისით თარიღდება გოლოვინისა და კრუჟკოვსკის გადაკვეთაზე¹²⁵, გ. და მ. მირზოევების კუთვნილ ცარიელ მიწის ნაკვეთზე მდგარი ალექსანდრ ფიურერის ცირკის დროებითი ხის შენობა. მისი მეორე ცირკის შენობა, მადათოვის კუნძულზე, 1887 წლის 6 ივლისს განიხილა და დაამტკიცა თბილისის საგუბერნიო მმართველობის სამშენებლო კომიტეტმა. საქმეს თან ახლავს ხის ცირკის 1887 წლის 17 ივლისის პროექტის გეგმა, ჭრილი და ფასადის ნახაზი. ნახაზზე დატანილი წარწერის მიხედვით ეს ნაგებობა, იდგა ალექსანდრეს ბაღსა და ვორონცოვის ხიდებს შორის, მადათოვის კუნძულზე, მირზოევას ყოფილ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მაშინ უკვე ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკს ეკუთვნოდა. პროექტი ეკუთვნის გერმანელ არქიტექტორს ავგუსტ

¹²⁴ ვილგელმ სური 1860-იან წლებში ოჯახთან ერთად ჩამოდის გერმანიიდან და სულ მცირე ხანში იგი ცირკის ერთ-ერთი გამოჩენილი ფიგურა ხდება. აშენებს დროებითი ცირკის შენობებს რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქში. <https://locals.md/2016/istoriya-odnoy-fotografii-tsirk-vilgelma-sura-v-tsentre-kishinyova/>

¹²⁵ ქალბატონ მაია მანიას მოსაზრებით აღნიშნული მისამართი რუსთაველის პროსპექტის 42-ს ემთხვევა, ყოფილი „ზარია ვასტოკას“ რედაქციის შენობას (მანია, 2018, გვ. 210).

პოვიტც-ეპპინგს¹²⁶. ეროვნულ არქივში შემოინახა ცირკის დირექტორის ფიურერის ნდობით აღჭურვილი პირის ბერძენი თეატრალური მეწარმე გერასიმ მუსურის¹²⁷ მოთხოვნა ცირკის პროექტთან დაკავშირებით.

ძმები ნიკიტინების ცირკი¹²⁸, არშაკუნის ჩიხსა და გოლოვინის პროსპექტის კუთხეში იდგა, რასაც თბილისის 1884 წლის გეგმა (ჩასწორებული 1898 წლეს) და 1887 წლის კავკაზის რამდენიმე ნომერი (1887), „კავკაზი“, 93, 105) გვიდასტურებს. დოკუმენტიდან ჩანს, რომ ის ქვის შენობას წარმოადგენდა, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში ხანძარმა იმსხვერპლა. მოგვიანებით, კი 1910 წელს, ამავე ადგილას, მინა მირზოევას მიწის ნაკვეთზე, ახალი ქვის ცირკის პროექტის დამტკიცებას ითხოვს მოსკოვის სადედაქალაქო ჟიჟეტო ტრუცის ცირკის დირექტორი, ბატონი არტემ ავეთოვი (სეა, სცა, ფ. 204, ა. 1, ს. 1644).¹²⁹ როგორც ირკვევა თავდაპირველად მასაც ქვის შენობის აგება სურდა, მაგრამ, იმის გამო, რომ ქვის ცირკის მშენებლობა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დასრულდებოდა, ავეთოვი ითხოვს დროებითი ხის ცირკის მშენებლობის ნებართვას 1910 წლის ზამთრის სეზონისთვის ფეოდოსიას და ოლგას ქუჩის¹³⁰ კუთხეში, რომელსაც მთავარი შესასვლელი ექნებოდა ოლგას ქუჩიდან. სამშენებლო კომისიისგან ავეთოვს დაევალა ახალი პროექტის წარდგენა, რომელიც მან მხოლოდ ივნისში წარადგინა. ახალი პროექტის მიხედვით ცირკის სახე მთლიანად შეცვლილი იყო. მის მთავარ ფასადზე მოწყობილი იყო მაღაზიები, ეს კი ეწინააღმდეგებოდა 1898 წლის 7 დეკემბრის სენატის გადაწყვეტილებას ცირკების მშენებლობის წესებთან დაკავშირებით. აღნიშნული პროექტი განხილულ იქნა საგუბერნიო მმართველობის სამშენებლო განყოფილების მიერ, მაგრამ უსაფრთხოების ნორმების დარღვევის გამო არ იქნა დამტკიცებული. შესდგა სპეციალური კომისია, რომელმაც გადაწყვიტა ძველ დოკუმენტებში არსებული ვადების შესაბამისად ცირკის შენობის აღება.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ანუ მიხეილის პროსპექტსა და მის მიმდებარე ქუჩებზე, რამდენიმე ცირკის შენობა გვხვდება. ესენია: 1904

¹²⁶ ავგუსტ პოვიტც - ეპინგის სახელთან დაკავშირებულია თბილისის სხვადასხვა საცხოვრებელი შენობა-ნაგებობება და კოჯრის სააგაროკო არქიტექტურა (მანია, 2018, გერმანელი არქიტექტორები თბილისში, გვ. 210).

¹²⁷ ძმები ნიკიტინების ცირკის ყოფილი დირექტორი და თეატრალური მეწარმე ბერძენი გერასიმ მუსსური 1911 წელს ხარკოვში ყიდულობს ბ.ნ. კორნეენკოს მიერ მოდერნის სტილში აგებულ სტაციონარულ შენობას. ეს იყო მსოფლიოში ყველაზე დიდი ცირკი, მაგრამ ცუდი მუშაობის გამო მუსსურმა ეს შენობა საოპერო თეატრად გადააქცია, რომელიც ცნობილია როგორც „მუსსურის თეატრი“. თავის დროზე ამ თეატრის სცენაზე გამოდიოდნენ თეოდორ შალიაპინი, ვლადიმერ მაიაკოვსკი და სხვა. https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A2%D0%B5%D0%B0%D1%82%D1%80_%D0%9C%D1%83%D1%81%D1%81%D1%83%D1%80%D0%B8

¹²⁸ ძმები ნიკიტინები - დიმიტრი, აკიმი და პეტრე ნიკიტინებმა 1873 - 1912 წლებში დააარსეს არაერთი ცირკი რუსეთის იმპერიაში პენზაში, სარატოვში, მოსკოვში, ბაქოში, ნოვგოროდში, კიევში, ასტრახანში, ხარკოვში ოდესაში, იაროსლავში. <http://elsso.ru/cont/ppl/89.html>

¹²⁹ ჟიჟეტო ტრუცის (1865-1925) ოჯახი რამდენიმე თაობას ითვლის ცირკის ისტორიაში. იტალიური წარმოშობის ტრუცის ოჯახი, 1880 წელს იტალიიდან რუსეთში ჩამოდის გასტროლებზე. ჟიჟეტო ტრუცის ცირკის მთავარი სანახაობა მაინც ცხენები იყო, თუმცა ისინი ჩართულები იყვნენ პანტომიმის, სხვადასხვა წარმოდგენებისა და კოსტიუმების კერვაშიც. პანტომიმის დადგმაში მათ არ ჰყავდათ ტოლი. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, თბილისში, ჟიჟეტოს მამის, მაქსიმილიანეს ცირკში პირველად მონაწილეობას იღებდა მისი ათი წლის შვილიშვილი ვილლი.

წლით დათარიღებული, მუშტაიდის მახლობლად კუნდუროვის მიწის ნაკვეთზე მდგარი, უნგრეთის ცირკის რწმუნებულის, ალი კილიჩი ხასაევის დროებითი ხის ცირკის შენობა (სეა, სცა, ფ. 192, ა. 8ა, ს. 7748); 1913 წლის გერმანელი ემილი ფლეიშფლესერი და დანიელ ოლგა (ოლიფი) ნილსენის დროებითი ცირკის შენობა (სეა, სცა, ფ. 204, ა. 1, ს. 1829); და ბოლოს 1916 წლით დათარიღებული დ. ჩისლიევის¹³¹ პროექტით შექმნილი, ეფიმოვების, ბრეზენტიტ გადახურული, დროებითი ქვის ცირკი, მუშტაიდის ბაღთან, მიხეილის ქუჩაზე (სეა, სცა, ფ. 204, ა. 1, ს. 1988). ინჟინერ იოჰან დიცმანს¹³² კი, ცირკის შენობის დათვალიერება და უსაფრთხოების ნორმების შემოწმება ევალებოდა.

საარქივო დოკუმენტებში მოვიპოვეთ მასალა, რომლის მიხედვითაც თბილისში, სავარაუდოდ მსოფლიოშიც, შემუშავებული იყო კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავდა ცირკისა და თეატრების შენობა - ნაგებობის მშენებლობის და მისი უსაფრთხოების წესებს, რომელსაც სპეციალური კომისია აკონტროლებდა. კომისიის შემადგენლობაში კი გამოცდილი და ცნობილი არქიტექტორები და ინჟინრები შედიოდნენ, როგორებიც იყვნენ ლოდოვიკო კამბიაჯო, იოჰან დიცმანი და სხვა. დადგენილი წესის მიხედვით ცირკის ხის ნაგებობებისათვის უნდა გამოეყოთ ქალაქის გახსნილი მოედნები, რათა მას ყველა მხრიდან ჰქონოდა მისასვლელი და გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სახანძრო უსაფრთხოება. ასევე არ იყო რეკომენდირებული მის შენობაში ან ირგვლივ სავაჭრო სივრცეების გახსნა, რათა ამას არ შეექმნა რაიმე საფრთხე მაყურებელთა და მსახიობებისათვის, სკამების რიგებს შორის გასასვლელი უნდა ყოფილიყო ფართე, რათა ევაკუაციის დროს არ მომხდარიყო შეფერხება, აკრძალული იყო დამატებითი სკამების ჩადგმა გასასვლელში და სხვა.

როგორც დავინახეთ თბილისში ცირკის შენობებს აშენებდნენ, იმ დროისათვის ცნობილი არქიტექტორები, როგორებიც იყვნენ დ. ჩისლიევი, პოვიტ-ეპჰინგი, მელქუმოვი და სხვა., რომელთა სახელი თბილისის სხვადასხვა საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობა-ნაგებობასთან არის დაკავშირებული. ზემოთ მოყვანილი მასალიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თბილისში დროებითი ცირკები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. მაგალითად 1880-იანი წლებისთვის, თბილისში, ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, მარტო გოლოვინის პროსპექტზე თანაარსებობდა ოთხი სხვადასხვა ცირკი, ასევე 1910-იან წლებში რამდენიმე წელი თანაარსებობს იუპატოვის სლავური („კაკაზი“, 1914, 142-152, #213), ძმები ეფიმოვებისა და ესიკოვსკების ცირკებიც, რომლებიც ყოველდღიურად, დღესასწაულებზე კი დღეში ორ წარმოდგენას მაინც აწყობდნენ. მათ ჰქონდათ ძალზე მრავალფეროვანი პროგრამა, რომელიც აერთიანებდა ბალეტს, ცხენოსნობას, ხოროს ანუ ხელოვნების სხვადასხვა სფეროს, ხოლო ანტრაქტებში მუსიკა უკრავდა. აღნიშვნის ღირსია საბავშვო და საქველმოქმედო წარმოდგენები. საინტერესოა ერთი ფაქტი, რომ ძმები ესიკოვსკების ცირკში 1921 წლიდან მონაწილეობას იღებდა ქართველი ფალავანი გოლიათის სახელით ცნობილი ალექსანდრე კანდელაკი, რომელიც გადაღებულია რამდენიმე ქართულ ფილმში: „ხანუმა“ (1926), „ჯანყი გურიაში“ (1928), „უკანასკნელი ჯვაროსნები“ (1933), „ქაჯეთი“ (1936), „მეგობრობა“ (1940), „ქაჯანა“ (1941) და სხვა.

¹³¹ მის ნაგებობათაგან უმთავრესია ყოფილი ოფიცერთა სახლის შენობა, მეტრამვაიეთა საცხოვრებელი სახლების კომპლექსი, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ შენობა და სხვა.

¹³² მას ეკუთვნის თბილისის არაერთი საცხოვრებელი სახლის პროექტი მიხეილ ტვერელის ეკლესია მთაწმინდაზე და გ. ჩუბინაშვილის ქუჩაზე უკვე დანგრეული ეკლესია, რომლის დამხმარე ნაგებობები დღესაც იკითხება.

როგორც დავინახეთ საცირკო ხელოვნება არის სინკრეტული შემოქმედების ერთ-ერთი უძველესი ფორმა, რომელიც თავის თავში აერთიანებს ხელოვნებასთან, სოციალურს, ცხოვრებასთან ღრმა კავშირს, რომელზედაც გავლენა იქონია ყოველდღიურობამ, ხალხურმა, მასობრივმა თუ ელიტარულმა ხელოვნებამ.

ცირკის არქიტექტურაზე მუშაობამ გამოავლინა მრავალფეროვანი ახალი მასალა, რომელიც ჩემი მომდევნო შესწავლის საკითხს წარმოადგენს. კერძოდ საცირკო ხელოვნების კულტუროლოგიური სპეციფიკის შესწავლა. მისი სოციალურ-ეკონომიკური, ისტორიული, პოლიტიკური და ესთეტიკური ფაქტორების განსაზღვრა. ამ საკითხებზე ჩაღრმავება კი საშუალებას მოგვცემს კულტუროლოგიურ რაკურსში ცირკის, როგორც ერთ-ერთი პოპულარული სანახაობის სახეობის წარმოჩენაში, რაც ამ პერიოდის ქართული მრავალმხრივი და მრავალფეროვანი კულტურის სახის გახსნაში დაგვეხმარება. ესთეტიური ღირებულების გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტიც, რომ საცირკო წარმოდგენებში დიდი ადგილი ეკავა ფალავნების გამოსვლას და კლასიკური თუ კავკასიური ჭიდაობის ტურნირებს, რომელსაც იმდროინდელი თბილისის მოსახლეობის პრივილეგიურებული ნაწილიც კი ესწრებოდა¹³³.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გრიგორიანცი, კ. (2011). ძველი თბილისის იშვიათი ამბები 1927. თბილისი. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.
2. მანია, მ. (2018). გერმანელი არქიტექტორები თბილისში. თბილისი
3. გაზეთი „კავკაზი“, 1867, 8;
4. გაზეთი „კავკაზი“, 1869, 47;
5. გაზეთი „კავკაზი“, 1875, 2-3;
6. გაზეთი „კავკაზი“, 1879, 60, 99;
7. გაზეთი „კავკაზი“, 1880, 2; 11, 40;
8. გაზეთი „კავკაზი“, 1887, 93, 105;
9. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1898, N621;
10. გაზეთი „კავკაზი“, 1914, 142-152, 213.

წყაროები:

11. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, სეა, სცა, ფ. 204, ა. 1, ს. 228.
12. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, სეა, სცა, ფ. 5, ა. 1, ს. 1094.
13. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, სეა, სცა, ფ. 204, ა. 1, ს. 4180.
14. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, სეა, სცა, ფ. 204, ა. 1, ს. 719.
15. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, სეა, სცა, ფ. 204, ა. 1, ს. 1644.

¹³³ იმაზე, რომ საცირკო წარმოდგენებს საზოგადოების მაღალი ფენაც ესწრებოდა, მეტყველებს ერთ-ერთი გაზეთის აფიშაში მითითებული ბილეთის ფასი „30 კაპიკიდან - 4 მანეთამდე“ („ცნობის ფურცელი“, 1898, N621, გვ.1). ამასთან ცნობილი ფაქტია, რომ ცისფერყანწელები ხშირად სტუმრობდნენ ხოლმე ქართველი ფალავანის გამოსვლებს.

16. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, სეა, სცა, ფ. 192, ა. 8ა, ს. 7748.
17. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, სეა, სცა, ფ. 204, ა. 1, ს. 1829.
18. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, სეა, სცა, ფ. 204, ა. 1, ს. 1988.

ინტერნეტ წყაროები:

19. <https://locals.md/2016/istoriya-odnoy-fotografii-tsirk-vilgelma-sura-v-tsentre-kishinyova/>
20. https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A2%D0%B5%D0%B0%D1%82%D1%80_%D0%9C%D1%83%D1%81%D1%81%D1%83%D1%80%D0%B8
21. <http://elso.ru/cont/ppl/89.html>.

Temporary circus buildings in Tbilisi of the second half of the 19th century and the beginning of the 20th century

**Tamta Shonvadze
National Archives of Georgia**

Summary


Temporary Circuses were very popular in Tbilisi. Circus buildings were built in Tbilisi by Famous architects at that time, whose name is associated with various residential and public building in Tbilisi.

Central squares and avenues were chosen as the location of the circus building, whether it was Golovin (today's Rustaveli) and Mikheili (today's Davit Agmashenebeli) avenues, Ghunib (on Shota Rustaveli avenue, the location of the current government building) square or others. Temporary Circuses buildings were built in Georgia for one season (6 month) or one year.


ფოტო 1 - კურსკის მოქალაქე ალექსანდრე ივანეს ძე ფიურერის დროებითი ხის ცირკის შენობის პროექტი.

ფოტო 2 - დროებითი ხის ცირკის მშენებლობის პროექტი ქ. თბილისში, მადათოვის კუნძულზე ცირკის დირექტორი ალექსანდრე ფიურერი.

ფოტო 3-4 - ქართულ პრესაში დაბეჭდილი თბილისში არსებული სხვადასხვა ცირკის აფიშები. გაზეთი კავკაზი, 1869-1894 წწ.



1



2

ЧАСТНЫЯ ОБЪЯВЛЕНІЯ.



ОТКРЫТІЕ ЦИРКА СУРЪ.
 Въ воскресенье, 20-го апрѣля 1869 года,
ПЕРВОЕ ПРЕДСТАВЛЕНІЕ
 высшей школы верховой ѣзды, хрессировки
 лошадей, гимнастики и большой пантомимы
МАЗЕПА,
 въ которой будутъ участвовать 120 чело-
 вѣкъ и 30 лошадей, съ національными рус-
 скими и польскими танцами, казачьими ма-
 неврами, маршами, эволюціями и блиста-
 тельной, окончательной большой картиной.
 Картина 1-я—въ заѣзѣ польскаго нѣзла; кар-
 тина 2-я—въ парѣ его же; картина 3-я
 въ степяхъ Украйны. Танцы: въ 1-ой кар-
 тинѣ *польку-мазурку* исполнять Альбертъ и
 Френци Суръ во 2-ой—*краковьякъ* исполнять
 д-ца Паулина, Суръ и Юлія; въ 3-й картинѣ
 казачій танецъ исполнять г-жи Паулина,
 Эмма, Юлія, Антонія и Маеръ.
 Билеты можно познать заблаговременно
 съ 10 часовъ утра, въ касѣ цирка.
НАЧАЛО ВЪ 7¹/₂ ЧАСОВЪ ВЕЧЕРА.

3

Циркъ Бр. НИКИТИНЫХЪ



Въ четвергъ, 6-го января 1894 г.,
ПРАЗДНИЧНОЕ
блестящее представлѣніе
 съ участіемъ директора А. А. Ники-
 тина и всѣхъ лучшихъ артистовъ.
 Въ 1-й разъ
миссъ Элла
 исполнить **акробатическое искусство**
 на слабо натянутой тонкой проволоцѣ.
Выходъ сестеръ Мулье, клоуновъ гг.
Тома и Жака, Борисова труппы гг. Скар-
сели и другихъ артистовъ.
 Въ заключеніе на спецѣ **ФИЗИКЪ**
К. О. КРАЗЕ
 предоставитъ публикѣ
ВИДѢТЬ, ЧТО СЕГОДНЯ БЫЛО,
 а также будутъ показаны замѣчатель-
 нныя мѣстности. Въ заключеніе **вечеръ**
въ царствѣ цвѣтовъ и красокъ.
 Подробности въ программахъ, начало
 въ 8¹/₂ час. вечера.
 Анонсъ: ожидается прибытіе изъ-за гра-
 ницы знаменитаго **РИБО.**
 1266 (30) 7.

4

ღვინო და პური ციხიაგორის სატაძრო რიტუალში

ანა სახვაძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

საქართველოში არქეოლოგიურმა გათხრებმა ანტიკური ეპოქის არაერთი საკულტო ნაგებობა გამოავლინა. მათი შესწავლა წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელი ტაძრების არქიტექტურულ გეგმარებაზე და მათ კულტურულ იდენტობაზე. ცნობილია, რომ ელინისტური ხანის იბერიაში ზოროასტრიზმი და კერპთაყვანისმცემლობა იკიდებს ფეხს, რაც აქემენიდური სპარსეთის გავლენით აიხსნება. არქეოლოგიური მონაცემები და რელიგიურ კულტებზე არსებული წერილობითი წყაროები არაა საკმარისი იმისათვის რომ წარმოვიდგინოთ, თუ რა სახის რიტუალებს მართავდა და რომელ ღვთაებებს სცემდა თაყვანს ელინისტური ხანის იბერიაში მცხოვრები საზოგადოება. რელიგიური რიტუალების რეკონსტრუქციისთვის მნიშვნელოვან ნაგებობას შიდა ქართლში, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის ჩრდილო განაპირას მდებარე უნიკალური სატაძრო კომპლექსი „ციხიაგორა“ წარმოადგენს (ტაბ. I,1). ციხიაგორის შესწავლა 1971 წელს დაიწყო და დღესაც

გრძელდება. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით საქართველოს ეროვნულ მუზეუმში მიმდინარეობს მუშაობა პროექტზე - „უნიკალური ძეგლის ციხიაგორას ახალი სიცოცხლე“.

ციხიაგორაზე 5 კულტურულ-ქრონოლოგიური ფენა დადასტურდა: ადრებრინჯაოს, შუაბრინჯაოს, გვიანბრინჯაოს, აქემენიდური და ელინისტური ხანის ფენები, რომელთა სიმძლავრე 6 მეტრს აღემატებოდა. ძეგლზე ყველაზე კარგად შემონახული ანტიკური ხანის ფენაა, რომელიც ძვ.წ. III-II საუკუნეების სატაძრო კომპლექსს ეკუთვნოდა (Makharadze, 2008, *The Settlement at Tsikhiagora and the Early Barrows at Kavtiskhevi. Ancient Near Eastern studies*, 19, p. 63-104). კომპლექსი გალავნის შიგნით მოქცეული ტაძრის, ბეღელის, მარნის, წისქვილის, სათონის, სატრაპეზოსა და საცხოვრებელი ნაგებობებისგან შედგებოდა (ტაბ. I,2). შემოზღუდულია ალიზით ნაგები გალავნით (კედლის სიგანე 2 მ.), გალავანი გამაგრებულია კოშკებით. კომპლექსის მთავარ კომპონენტს საკუთარი გალავნით შემოზღუდული ტაძარი წარმოადგენს, მთავარი კვადრატული დარბაზის გადახურვა ერთ სვეტს ეყრდნობოდა. სამშენებლო მასალად ნატეხი ქვა და ალიზია გამოყენებული (ტაბ. II,1). კედლების სიგანე 1,5 მეტრია, შერჩენილი სიმაღლე კი 5 მეტრს აღწევს. ფიქრობენ, კედლის სიმაღლე სულ ცოტა 6 მეტრი მაინც უნდა ყოფილიყო. ტაძრის ჩრდილოეთით მდებარე სათავსო ორსართულიანი ყოფილა, რასაც სართულშორისი გადახურვის არსებობა ადასტურებს. სართულშორისი გადახურვის კვალი არ შეინიშნებოდა ტაძარში. ჩანს მაღალჭერიანი ნაგებობა მას საზეიმო იერსახეს სძენდა (მახარაძე (1997), ციხიაგორა. *ძეგლის მეგობარი*. 3 (98) გვ. 5-6; ცქიტიშვილი (2003). ციხიაგორას სატაძრო კომპლექსი. *ძიებანი დამატებანი*. XI, გვ. 11, 12).

ციხიაგორაზე, თანადროული სატაძრო ნაგებობებისაგან განსხვავებით, სატაძრო მეურნეობის არსებობა დასტურდება. ყურადღებას იქცევს კომპლექსში გამართული მარანი, სადაც 48 წითლად მოხატული ქვევრი, საწნახელი და სამი საკურთხეველი აღმოჩნდა (ტაბ. III). აშკარაა, რომ საკურთხეველებზე ცეცხლთან დაკავშირებული რიტუალი სრულდებოდა. ითვლება, რომ უძველესი საწნახელი საქართველოში სწორედ ციხიაგორაზე აღმოჩენილი (ცქიტიშვილი (2003), ციხიაგორას სატაძრო კომპლექსი. *ძიებანი, დამატებანი*. XI, გვ. 17). კომპლექსი ხანძრით, სავარაუდოდ შემოდგომაზე განადგურდა, რასაც მარნის წინ, თავის დროზე ყურძნით სავსე, 5 გოდრის და მარანში ნაპოვნი თავმოხდილი ქვევრების არსებობა ადასტურებს. ქვევრები, როგორც ჩანს, ყურძნის წვენი ჩასასხმელად მოუმზადებიათ (ზ. მახარაძე, პირადი კომუნიკაცია, ივლისი, 2020). გამოთვლებით დადგინდა, რომ ქვევრებში შესაძლებელი იყო 20 ტონა ღვინის შენახვა. პალეობოტანიკურმა კვლევამ დაადასტურა, რომ ციხიაგორაზე აღმოჩენილი ყურძნის წიპწები საფერავის ჯიშის ყურძენს ეკუთვნოდა (ცქიტიშვილი (2003). ციხიაგორას სატაძრო კომპლექსი. *ძიებანი, დამატებანი*. XI, გვ.18). ჩანს, მარანში წითელ ღვინოს აყენებდნენ. რას უნდა დაეუკავშიროთ სატაძრო კომპლექსში ასეთი რაოდენობით წითელი ღვინის მარაგი თუ არა ღვინის სარიტუალო პროცესში მონაწილეობას.

მარნის სიახლოვეს გაითხარა ე. წ. წისქვილი (ტაბ. IV), სადაც 30-ზე მეტი ხელსაფქვაკვი აღმოჩნდა. ოთახის ინტერიერი მიაწინებს, რომ ფქვა კოლექტიურად, ზედამხედველის დაკვირვების ქვეშ მიმდინარეობდა. ცალკე არსებობდა ბეღელი მარცვლეულის შესანახად. ყურადღებას იქცევს ეზოში გამართული 5 თონე, რომელიც იქვე მდებარე, საცხოვრებელ ოთახში არსებული ტრადიციული პურის საცხობი ღუმელის თანადროულია. აშკარაა, რომ ყოველდღიური საჭიროებისთვის პური ტრადიციულ პურის საცხობ ღუმელში ცხვებოდა. მსგავსი ტიპის ღუმელი გვიან ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული თითქმის ყველა საცხოვრებელ სახლში იდგა (სადრაძე, ხოხობაშვილი, ღლივაშვილი. 2018). შესაძლებელია,

ტაძრის ეზოში გამართულ თონეებში თონის პურის მასიურად ცხოზა სადღესასწაულო ხასიათს ატარებდა და სატაძრო კულტმსახურებასთან იყო დაკავშირებული.

იბერიაში, ძვ.წ. IV-II საუკუნეებში სარიტუალო ნაგებობების ერთნაირი გეგმარების ჯგუფებად მიჩნეულია ციხიაგორას, ღართისკარის, სამადლოს მიწების და უფლისციხის ტაძრები. ფიქრობენ, რომ ისინი ირანული ცეცხლის ტაძრების რეგიონალური ტიპებია (ნარიმანიშვილი და ხიმშიაშვილი, (1993). იბერიული ცეცხლის ტაძრების ერთი ჯგუფი. *ლიტერატურა და ხელოვნება*. 1, გვ. 111). აშკარაა, რომ ციხიაგორას სატაძრო ნაგებობა გარკვეული ნიშნებით ემორჩილება ცეცხლის ტაძრებისთვის დამახასიათებელ პრინციპებს: კვადრატული ცელა¹³⁴, რომელშიც სავარაუდოდ აქვე აღმოჩენილი აქემენიდური სტილისთვის დამახასიათებელი კირქვის ორმაგპროტომიანი კაპიტელი უნდა ყოფილიყო გამართული (ტაბ. II, 2) (მახარაძე და ნარიმანიშვილი (2001), ციხიაგორა აქემენიდურ ხანაში, *ძიებანი*. 7, გვ. 53-54), ცერემონიალისთვის საჭირო გვერდითი, ვიწრო ოთახების არსებობა და ცელაში ანთებული ცეცხლის გარედან უხილავობის დაცვა (ყიფიანი, 1987, გვ. 37-38). თუმცა უარყოფილია ოთხსვეტიანი დარბაზის პრინციპი, რაც ცეცხლის ტაძრებისთვის აუცილებელი ატრიბუტია, აგრეთვე დარბაზის ფსადის ორივე მხარეს აუცილებელი მუდმივი ცეცხლის შესანახი სათავსების ე. წ. „ათეშგახების“ არსებობა (ნარიმანიშვილი და ხიმშიაშვილი, 1993, გვ. 111). ტაძრის ეზოში და მარანში საკურთხევლებზე თხისა და ცხვრის დამწვარი რქებია ნაპოვნი (მახარაძე (1997). ციხიაგორა. *ძეგლის მეგობარი*. 3 (98), გვ. 6), ზოროასტრული რელიგია გამორიცხავს წმინდა ცეცხლთან მსხვერპლშეწირვის რიტუალის ჩატარებას (ხიმშიაშვილი, 2001, გვ. 10, 11). გამოჩნდა, რომ ციხიაგორას საკულტო ნაგებობის არქიტექტურა აბსოლუტური სიზუსტით არ იმეორებს ზოროასტრული ტაძრებისთვის დამახასიათებელ გეგმარებას. მსხვერპლშეწირვის რიტუალის ცეცხლის საკურთხევლებზე შესრულებაც ეწინააღმდეგება ზოროასტრული რელიგიის კანონებს. ჩანს მოსახლეობამ ადგილობრივ ტრადიციებს მოარგო, როგორც ტაძრის არქიტექტურული გეგმარება, ისე კულტმსახურებასთან დაკავშირებულ რიტუალი. შესაძლოა სწორედ წითელმა ღვინომ ჩაანაცვლა ზოროასტრულ კულტმსახურებაში მიღებული მათრობელა სასმელი ჰაომა. რაც შეეხება თონეში პურის ცხოზის ტრადიციას ის თავდაპირველად, შესაძლოა, სწორედ კულტმსახურებასთან იყო დაკავშირებული, შემდგომში საყოფაცხოვრებო მოვლენად იქცა და დღემდე შემორჩა.

არქეოლოგიური მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ ციხიაგორას სატაძრო კომპლექსში წითელი ღვინო და თონის პური სარიტუალო კულტმსახურების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. ის, რომ წითელი ღვინო და პური საკრალური მნიშვნელობისაა ამას ადასტურებს ქრისტიანულ რიტუალში პურისა და ღვინის გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მახარაძე, ზ. (1997). ციხიაგორა. ძეგლის მეგობარი. თბილისი. N3 (98). საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება.
2. მახარაძე, ზ. ნარიმანიშვილი, გ. (2001). ციხიაგორა აქემენიდურ ხანაში. თბილისი. საქართველოს არქეოლოგიური კვლევის ცენტრი.
3. ნარიმანიშვილი, გ. ხიმშიაშვილი, კ. (1993). იბერიული ცეცხლის ტაძრების ერთი ჯგუფი. *ლიტერატურა და ხელოვნება*. N1. თბილისი. მეცნიერება.
4. სადრაძე, ვ. ხოხობაშვილი, თ. ლლიღვაშვილი, ე. (2018). შიდა ქართლის გვიანბრინჯაო-რკინის ფართო ათვისების ხანის ნამოსახლარების კულტურა (ძვ.წ. XIV-VI სს.). თბილისი. მწიგნობარი.

¹³⁴ ცელა - სატაძრო ნაგებობის ცენტრალური, წმინდა ადგილი.

5. ყიფიანი, გ. (2000). კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები. თბილისი. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება.

6. ცეციტიშვილი, გ. (2003). ციხიაგორას სატაძრო კომპლექსი. თბილისი. საქართველოს არქეოლოგიური კვლევის ცენტრი.

7. ხიმშიაშვილი, კ. (2001). იბერიის სატაძრო არქიტექტურის შესახებ. თბილისი. კულტურული მემკვიდრეობის საქართველოს ცენტრი ფონდი „ჩვენი საუნჯე“.

8. Makharadze, M. (2008). The Settlement at Tsikhiagora and the Early Barrows at Kavtiskhevi. Leuven-Paris-Dudley. National Museum of Georgia. Otar Lordkipanidze Centre for Archaeology.

Wine and Bread in the Temple Ritual of Tsikhiagora

Ana Sakhvadze
Georgian National Museum

Summary

Archaeological excavations has uncovered numerous cultic and sacral buildings in Georgia. Material data and written sources about religious cults are not enough to know the character of the rituals organized by the society of Hellenistic Iberia. For reconstruction of religious rituals, special significance holds unique temple complex at Tsikhiagora in Shida Kartli dated back to 3rd-2nd cc BC, where temple economy was attested. Cellar with 48 red painted pitchers with the total capacity of approximately 20 tons of wines was discovered. Paleobotanical analyses confirmed the existence of red wine.


In the yard of the temple 5 cylinder clay ovens were build, which were contemporary to the traditional bread baking ovens found in the neighbouring house. Seems, bread for everyday usage was baked in the traditional ovens, while usage of the cylinder clay ovens and consuming large volume of red wine was related to the cult services.

Tsikhiagora temple complex is considered as a regional type of Zoroastrian temples widely spread in Achaemenian Period. Some of the features of the fire temples are visible in the architectural planning of Tsikhiagora. Seems that, characteristics of Achaemenian religion were attributed in the Hellenistic Iberia. As for the bread baking in the cylinder clay oven, presumably, primarily it was related to the cult services and later was formed as everyday occurrence which is preserved till today. Cristian rituals also confirm the sacral meaning of red wine and bread.

ტაბ. I. 1



ტაბ. I. 2




1. ტაძარი, 2. ზეღელი, 3. საცხოვრებელი ნაგებობა, 4. მარანი, 5. საფეკელი ოთახი, 6. მცველის ოთახი, 7. სატრაპეზო, 8. სათონე.


ტაბ. II, 1




ტაბ. II, 2




ტაბ. III





Պատ. IV



**მევენახეობა და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები სამეგრელოს
ტრადიციულ და თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში**

**იოსებ შენგელია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

მევენახეობას საქართველოს თითქმის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში, მათ შორის სამეგრელოშიც, უძველესი დროიდან მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ივანე ჯავახიშვილის (ჯავახიშვილი, 1935, გვ. 350), ერმილე ნაკაშიძის (ნაკაშიძე, 1929, გვ. 3-50), აკაკი ჭანტურიას (ჭანტურია, 1996, გვ. 226), მაქსიმე რამიშვილისა (რამიშვილი, 1970) და სხვათა კვლევის შედეგად დგინდება, რომ სამეგრელოში ვაზის სამოცამდე ენდემური ჯიში იყო გავრცელებული: ეგურმგური, კოლოში, ჭვიტილური, პანეში, დლუნდლუში, მახვატელი, მაჭყვადინა, ჭოდი, ჭუბერი, ჩერგვალი, ჩეხარდანი, ჩეჭიფეში, ჩეში, ჩეკოლოში, გოდაათური, გრეხი, კაბისტონი, კაჭიჭი, კიკაჩა, კერთოლი, მუხიშხა, სამაჭრო, ვერნახი, კვაწახურა, ოფოფი, ოქონა, პუმპულა, საკუმა, ჭუბერი, ხემხუ, კაბისტონი, კუტალა, უგვარო, ჩხინკილოური, საკუმა, ჩხუში, ჩიჩქიში, ჯინეში და სხვა.

სამეგრელოში მევენახეობის კულტურაზე და მასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებზე მეტ-ნაკლებად ცნობებს ვხვდებით ქართულ წერილობით წყაროებსა თუ უცხოელ მოგზაურთა თხზულებებში.

ვახუშტი ბატონიშვილი ვაზის მეგრულ ჯიშთაგან ზერდაგს გამოყოფს.

„ვენახნი მაღალნი, ღვინო მსუბუქი და კარგი. აქა არს ღვინო „ზარდაგი“, ფერისთვის ეგრეთ წოდებული, ფრიად კეთილი, ძალიანი და ქებული ყოველთა შინა“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973, გვ. 782).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში „ზერდაგი“ განმარტებულია როგორც ყვითელ-შავი (ორბელიანი, 1993, გვ. 147).

1672-1673 წლებში სამეგრელოში იმოგზაურა ფრანგმა კომერსანტმა და ვაჭარმა ჟან შარდენმა, რომელმაც მნიშვნელოვანი ცნობები მოგვანოდა სამეგრელოში მევენახეობის კულტურასთან დაკავშირებით. ავტორი საუცხოოს, მაგარსა და ბლანტს უწოდებს სამეგრელოს ღვინოს, რომელიც მეტად სასიამოვნოა სასმელად და კუჭისთვისაც მარგებელი. შარდენი წერდა, რომ მთელ აზიაში უკეთესს ვერაფერს დალევა (შარდენი, 1975, გვ. 110-111).

ამ კუთხეში მევენახეობის კულტურაზე ცნობები ასევე დაცული აქვთ: არქანჯელო ლამბერტს, დონ-კრისტიანო დე კასტელს, ედუარდ აიხვალდს, კორნელი ბოროზდინს, ჟიულ მურიეს, დონ ჯუზეპე ჯუდი ჩე მილანელოს, კარლ კოხსა და სხვებს; ეს უკანასკნელი კულტურული ვაზის სამშობლოდ სამეგრელოს მიიჩნევდა.

კორნელი ბოროზდინის ცნობით, სამეგრელოში რთველს იწყებდნენ გიორგობის თვეში. რაც უფრო გვიან დაკრეფდნენ, მით უფრო კარგი ღვინო დგებოდა. ოჯალემის ყურძენს ქრისტეშობა გასულს ან იანვრის დამდეგს კრეფდნენ. ყურძენს ცაცხვის ხისგან გაკეთებულ საწნახელში ყრიდნენ. როცა ყურძენს ფეხით გასწყლეთავენ ერთჯერ, ტბილს ასადულებლად შიგ ჩატოვებენ, მერე მეორეჯერ გასწყლეთენ, ხელახლა ადულებენ და მესამეჯერაც გასწყლეთის შემდეგ ტბილს საწნახელიდან ხრიკათი ამოიღებენ და ქვევრში ასხამენ. ჭაჭა ცაცხვის საწნახელიდან ქვის საწნახელში გადააქვთ და საჭაჯავით (ხარხიმით) ხელახლა გაწურავენ; ჭაჭისგან გამოწურულ სქელი ტკბილით ავსებენ ქვევრებს, თავს მაგრა უკრავენ ბლის ქერქით და მიწით უზოგავენ. გაზაფხულზე დუღილგათავებულ ღვინოს სხვა ქვევრში გადაიღებენ და ამით თავდება მთელი პროცესი ღვინის დაყენებისა (ბოროზდინი, 1934, გვ. 17).

მე-19 საუკუნის ორმოცდაათიან წლებში საქართველოში ვაზს გაუჩნდა ავადმყოფობა - ნაცარი, ეს სენი გადმოტანილ იქნა ევროპის და ყირიმის ვაზებთან ერთად, რომლებიც ძალიან ბევრი შემოდოდა საქართველოში მთავარმმართველ ვორონცოვის დროს.

ნაცარმა გურია-სამეგრელოს მევენახეობა თითქმის სრულად მოსპო და მათ ადგილას მცხოვრებლებმა გააშენეს „იზაბელა“ (ადესად წოდებული), რომელსაც ნაცარი და ჭრაქი არ ეკარება. ყველგან დაიწყეს ადესას გაშენება და მოკლე ხანში ის ერთობ გავრცელდა (ნაკაშიძე, 1929, გვ. 7).

ამ ამბავს ეხმიანება 1890 წელს, ივერიაში გამოქვეყნებული სტატია, რომელშიც ვკითხულობთ: „ამ ორმოცი წლის წინათ ქუთაისის გუბერნიაში პირველი ადგილი ღვინის წარმოებაში სამეგრელოსა და გურიას ეჭირა. მეგრელები და გურულები იმერულ ღვინოს დაცინვით „გიდლის ღვინოს“ ეძახდნენ და თავი მოსწონდათ „ოჯალემის“, „კოლომის“, „ჯანისა“ და სხვა ღვინოებით; ბედმა უღალატა მეგრელებსა და გურულებს და დღეს იმ „გიდლის ღვინოში“ ფუთში 4 და 5 მანეთს აძლევენ და თვითონ, უსიამოვნო იზაბელას“ გარდა, აღარა მოსდით რა“ (1890) გაზეთი „ივერია“, N 11).

მიუხედავად იმისა, რომ სამეგრელოში მევენახეობა მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან თითქმის სრულიად განადგურდა, მევენახეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები არ წაშლილა ადგილობრივთა ხსოვნიდან და მათმა ნაწილმა დღემდეც კი მოაღწია.

მე-17 საუკუნეში მოღვაწე იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის ცნობიდან ვიგებთ, რომ სამეგრელოში კარის ეკლესიის არქონის შემთხვევაში ჯვრისწერა და ნათლობა მარანში ხდებოდა, რადგან მარანი წმინდა ადგილად იყო მიჩნეული (ლამბერტი, 1991, გვ. 81).

მსგავსი ფაქტი დავაფიქსირეთ ეთნოგრაფიულ ყოფაშიც. მთხრობელთა თქმით, ჯვრისწერიდან დაბრუნებული ნეფე-დედოფალი დასალოცად მარანში შეჰყავდათ.

სამეგრელოში მევენახეობის კულტთან დაკავშირებული შემდეგი რიტუალიც იყო გავრცელებული: ახალ წელს სადილის შემდეგ დიასახლისი ამზადებდა „კირუკარუს“. ეს იყო პური-კვერი, რომელზედაც გამოსახული იყო ყურძნის მტევნები, ხელის წისქვილი, ბარი, ბაგა, ჩამური, ღორი და კრუხი.

ამრიგად, ზოგიერთი რიტუალური პური ვაზის მოსავლიანობასთან იყო დაკავშირებული. ამ კვერებით ოჯახის უფროსი ვენახს ახალ წელს ულოცავდა და მსხვერპლის სახით მას სწირავდა (თოფურია, 1984, გვ. 41). როგორც ცნობილია, მამალი მზისა და ნაყოფიერების ფრინველად ითვლებოდა. მზე ზემოქმედებას ახდენს მცენარეთა ზრდაზე, მის მოსავლიანობაზე, ამდენად, მამლის, როგორც მზის ფრინველის, შეწირვით ქართველ გლეხს სურდა გამოეწვია ვაზის ზრდა და ნაყოფიერება (თოფურია, 1984, გვ. 42).

გარდა შესაწირი კვერებისა, ახალი წლის რიტუალში გვხვდება სხვა წესებიც, რომლებიც განკუთვნილი იყო ვაზის ბარაქისა და უხვი მოსავლისთვის. სამეგრელოში ახალი წლის საღამოს ოჯახები სასეირნოდ ემზადებოდნენ, ამაში მონაწილეობდა ყველა ასაკისა და სქესის პირი. ამ სეირნობის მონაწილენი დატვირთული უნდა ყოფილიყვნენ: ერთს მიჰქონდა პურის ლავაშები, მეორეს - სიმინდით სავსე ტომარა, მესამეს ბავშვი მიჰყავდა, მეოთხეს - ისევ ბავშვი და ა. შ. ყველანი ჯოხებით იყვნენ შეიარაღებულნი. შევიდოდნენ მარანში, საწნახელის წინ დადგებოდნენ, საწნახელს ჯოხს ურტყამდნენ და მღეროდნენ: „ჯუჯელია ჯუჯელია! ჩქიმ მამულს ყურძენი დო შხვამ მამულს ფურცელია! ჩანა, ჩანა... ჩქიმ მამულს ყურძენი დო შხვამ მამულს ფურცელი“ (თოფურია, 1984, გვ. 41).

ივანე ჯავახიშვილი წერს: „ჯუჯელიას მნიშვნელობა ისევე გაურკვეველია, როგორც აგუნასი და ბადაგონისაო“ (ჯავახიშვილი, 1951, გვ. 111-112).

მარანთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ბარაქიანობისა და მოსავლიანობის გადიდების მიზნით შესრულებულ ქმედებებსაც.

სამეგრელოში ახალ წელს ოჯახის უფროსი მარანს მიულოცავდა თან იძახოდა: „ბაღ (ბედელი) სავსე, მარანი სავსე, ჩემი მამული დატვირთული, სხვის მამულში კი ფურცელი“ (თოფურია, 1984, გვ. 30).

სამეგრელოში და ქართლში უწმინდურ ქალს მარანში შესვლა არ შეეძლო. ხალხის რწმენით, თუ უწმინდური ქალი მარანში შევიდოდა, ბარაქა არ იქნებოდა. მარნის კარებზე ავი თვალის საწინააღმდეგოდ წითელი ტყემლის ან მწარე ჯვარსახულ ტოტს დაკიდებდნენ. ხალხის რწმენით, პირველად მავნე თვალი მას შეხედავდა და ძალა დაეკარგებოდა, მარანს ვერ ავნიებდა (იქვე, გვ. 33).

მევენახეობის კულტურასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს შორის მთავარი ადგილი უკავია საზედაშე ქვევრებს, რომელთაც სამეგრელოში „ოხვამერი ლაგვანფი“ (საზედაშე ქვევრები) ეწოდება. საზედაშე ქვევრები და მასთან დაკავშირებული რიტუალები საქართველოს თითქმის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარისთვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ განსაკუთრებული მრავალფეროვნებით სამეგრელო გამოირჩეოდა.

ქართველ ეთნოლოგებს (ს. მაკალათია, ნ. თოფურია, ა. ჭანტურია, ნ. აბაკელია) კომპლექსურად აქვთ აღწერილი სალოცავი ქვევრები, მათი სახელები და ქვევრთან დაკავშირებული რიტუალები.

სამეგრელოში შემდეგი სახის სალოცავი ქვევრები იყო: ოდუდია, სამგარიო, შქვითული, საღვთო, საღორონთო, მიქამგარიო, ხეხუნჯობა//სახეხუნჯო, ოთუთაშხური და სხვა. თითოეულ ქვევრში პირველ ნაწურ ღვინოს ასხამდნენ და წლის სხვადასხვა დროს სრულდებოდა სხვადასხვა რიტუალი, რომლებიც ოჯახის, გვარის თუ ცალკეული პირის დალოცვისა და კეთილდღეობისკენ იყო მიმართული.

საბჭოთა პერიოდში სამეგრელოს მევენახეობის ახალი სიცოცხლე დაიწყო.

მე-20 საუკუნის 30-იან წლებში სამეგრელოში დაარსდა მევენახეობის ორი საბჭოთა მეურნეობა: ერთი ჭკადუაშში (ზუგდიდის რაიონი) (დემეტრაძე, 1936, გვ. 130) და მეორე სალხინოში (მარტვილის რაიონი). 1936 წლის სტატისტიკური მონაცემებით, დაბლარ ვენახს მთელ სამეგრელოში 1290 ჰექტარამდე ფართობი ეკავა (იქვე, გვ. 132). სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო მასობრივად იმერული ჯიშის ცოლიკაურის გაშენება, მას შემდგომ სამეგრელოში ვენახის მთლიანი ფართობის 90%-ზე მეტი ეჭირა. ოჯალეშს კი - 2-3 % (მაღრაძე, 1973, გვ. 22). სხვა ადგილობრივ ჯიშებს რაც შეეხება, მათი ერთეული ეგზემპლარები გაბნეული იყო არსებულ ვენახებში (იქვე, გვ. 129).

1974 წელს მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ბაზაზე საფუძველი ჩაეყარა ვაზის ადგილობრივი ჯიშების საკოლექციო ნაკვეთის გაკეთებას. ამ საქმის მთავარი ინიციატორი გახლდათ მუზეუმის დირექტორი ბატონი გივი ელიაშვილი. მუზეუმის ბაზაზევე მოეწყო საკოლექციო ნაკვეთი, რომელშიც გაშენდა მეგრული ვაზის ოცამდე ჯიშში (ელიაშვილი, 1984, გვ. 4).

ჩვენ აღნიშნული კვლევის ფარგლებში საველე-ეთნოგრაფიული კვლევა ვაწარმოვეთ სამეგრელოს შვიდივე რაიონში და შევისწავლეთ მევენახეობისა და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების თანამედროვე მდგომარეობა.

თანამედროვე მდგომარეობით, სამეგრელოში გაბატონებული ადგილი უჭირავს იმერულ ჯიშს - ცოლიკაურს; ასევე ფართოდაა გავრცელებული იზაბელა, იგივე ადესა (ძირითადად ტალავერზე). ადგილობრივი ჯიშებისადმი ინტერესი კი მოსახლეობაში ბოლო დრომდე ნაკლებად იყო. თუმცა უკანასკნელ წლებში საგრძნობლად იმატა. ბოლო რამდენიმე

წელია სამეგრელოში მასობრივად დაიწყო ადგილობრივი ჯიშების გაშენება, განსაკუთრებით ოჯალეშის ჯიშის ვაზის; გარდა ამისა, საკმაოდ დაინტერესებულნი არიან ჭვიტილურის, ეგურძეურის, მაჭყვადინისა და სხვა ჯიშებით.

შესაბამისი კვლევის ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ ვაზის მეგრულ ჯიშთაგან დღესდღეობით შემორჩენილია: ოჯალეში, შონური, ჭვიტილური, პანეში, მახვატელი, ჭუბერი, ჭოდი, ხოჯიშთოლი, ტოროკუჩხი, კოლოში, ჩეხარდანი/ზერდაგი, ჩერგვალი, საადრეოჩეში, ჩეჭიფეში, მაჭყვადინა, აფშილური, ეგურძეური, კაჭიჭი და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით ამ ჯიშების უმრავლესობა ხშირ შემთხვევაში თითო-ორი ეგზემპლარის სახითაა წარმოდგენილი.

ვაზის ენდემური ჯიშების მოძიების საქმეში დიდია ენთუზიასტთა დამსახურება, ისინი კარდაკარ დადიან და აქა-იქ მიმოზნეულ ჯიშებს ეძებენ.

ამ საშვილიშვილო საქმეში არ შეიძლება არ აღინიშნოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჯილაურის კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლის, ქალბატონ ლონდა მამასახლისაშვილის დიდი ღვაწლი. მან დაკარგული ჯიშების მოსაძიებლად მრავალი ექსპედიცია მოაწყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის სამეგრელოშიც. რომ არა ქალბატონი ლონდა, ჯიშთა უდიდესი ნაწილის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდებოდა, რადგან ადგილობრივებს ხშირად ვაზის ამა თუ იმ ჯიშის სახელი უკვე აღარ ახსოვთ, ან არასწორად ეძახიან სხვა სახელს.

მევენახეობასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს რაც შეეხება, სამეგრელოს თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილია მხოლოდ საზედაშე ქვევრებთან ლოცვა. ისიც ძალზე იშვიათად და ხშირ შემთხვევაში ტრანსფორმირებული სახით. თუმცა მარანი ბევრი მეგრელისთვის დღესაც წმინდა ადგილად მიიჩნევა. იმ ადგილას, სადაც მარანი იყო, სხვა ნაგებობის დადგმა დაუშვებელია; ასევე თუ ვინმემ მარანი დაშალა, ამ მასალის გამოყენება პატრონს არ შეუძლია. მან ეს მასალა თვალსაჩინო ადგილას უნდა დადოს, რის შემდეგაც მისი წაღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე მდგომარეობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უახლოეს ათწლეულში სამეგრელოში ისევ ფართოდ გავრცელდება ვაზის ადგილობრივი ჯიშები. მევენახეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენებიდან კი საზედაშე ქვევრებთან მლოცველთა რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბოროზდინი, კ. (1934). სამეგრელო და სვანეთი. თბილისი. 1934.
2. გაზეთი „ივერია“. (1890). N11.
3. დემეტრაძე, ვ. (1936). მასალები დასავლეთ საქართველოს მევენახეობა-მელვინეობის მრეწველობის დარაიონებისა და სტანდარტიზაციისათვის. ქუთაისი.
4. ელიავა, გ. (1984). ვაზის ძველკოლხური უნიკალური ჯიშების კატალოგი. თბილისი.
5. ვახუშტი ბატონიშვილი, (1975). ქართლის ცხოვრება. თბილისი.
6. ლამბერტი, ა. (1991). სამეგრელოს აღწერა. თბილისი.
7. თოფური, ნ. (1984). ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან. თბილისი.
8. მაღრაძე, ე. (1973). სუბტროპიკული ზონის მევენახეობა. თბილისი.
9. ნაკაშიძე, ე. (1929). გურია-სამეგრელო-აფხაზეთის ვაზის ჯიშები. თბილისი.
10. ორბელიანი, ს. ს. (1993). სიტყვის კონა. თბილისი.

11. რამიშვილი, მ. (1970). საქართველოს ამპელოგრაფია. თბილისი.
12. შარდენი, ჟ. (1975), მოგზაურობა საქართველოსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში. თბილისი.
13. ჭანტურია, ა. (1966). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. თბილისი.
14. ჯავახიშვილი, ი. (1935). ქართული ეკონომიკური ისტორია. თბილისი.
15. ჯავახიშვილი, ი. (1951). ქართველი ერის ისტორია. თბილისი.

Customs Connected to the Winegrowing in Samegrelo

Ioseb Shengelia
Sokhumi State University

Summary

Winegrowing had an important place in almost all historical-ethnographic regions in Georgia. About sixty endemic vine varieties were common in Samegrelo, such as Egurdzguri, Koloshi, Chvitiluri, Paneshi, Dghunghushi, Makhvateli, machqvadina, Chodi, Chuberi, Chergvali, Chekhardani, Chechipeshi etc. Viticulture and customs related to vine have always been a great importance for Georgians. Local peculiarities formed the one common Georgian culture of vine and its belief. Megrelians also had rituals connected to the winegrowing and agriculture. Rituals and their importance for society are revealed. Modern ethnographic materials about viticulture collected in the field are analyzed and compared with the former rules and rituals. Thus, during the research the issue of viticulture former and modern ethnographic life in Samegrelo are studied. Endemic varieties of vine which existed nowadays have been revealed as well as vine varieties that were recorded in the past and have already been vanished.

გამქრალი მემკვიდრეობითი სახელები მთის სამეგრელოში (წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მაგალითზე)

ქეთევან ციმიჩტია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოში დღეისათვის აუცილებელი სოციალურ-სამართლებრივი კატეგორია – გვარსახელი საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. მისი წარმოქმნა განაპირობა სოციალურმა, პოლიტიკურმა, რელიგიურმა და სხვა კულტურულმა ფაქტორებმა. მემკვიდრეობითი სახელის ჩამოყალიბებისა და გავრცელების პროცესი ხანგრძლივი იყო.

„ფართო და მრავალმხრივია სიტყვა გვარის მნიშვნელობა. იგი, პირველ ყოვლისა, ერთ ტერიტორიაზე მცხოვრებ, საერთო შრომაში ჩაბმულ და ნათესაურად დაკავშირებულ ადამიანთა უძველესი სოციალური ჯგუფის აღმნიშვნელია. მას მოდგმის, შთამომავლობის, შტოსა და ჯიშის ცნებებიც უკავშირდება, ისე როგორც მისგან წარმოქმნილ სიტყვებსაც – საგვარეულოს, გვაროვნობას, გვარობას. იგი აღმნიშვნელია მეორეული დამატებითი საკუთარი სახელისა, რომლის დანიშნულებაცაა გამოარჩიოს მრავალთაგან ერთი კონკრეტული პიროვნება, დაასახელოს იგი შთამომავლობითი ნიშნის მიხედვით, როგორც ამა თუ იმ ოჯახის სახელეულისა, თუ გვარ-ტომის წარმომადგენელი. ამ გაგებით გვარი არის „საოჯახო სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს და გადაეცემა შვილს მამისაგან (ან დედისაგან), ან ცოლს ქმრისაგან“ (მაისურაძე, 1979, გვ. 8).

ივანე ჯავახიშვილი ძველ საქართველოში გვარსა და საგვარეულო წყობილებას მაშინდელი ცხოვრების დედა-ბოძს უწოდებს. დაბა-სოფლები და ქალაქებიც იმნაირადვე იყვნენ მოწყობილნი, როგორც საგვარეულო, იმიტომ რომ უმეტეს შემთხვევაში თითოეული სოფელი მხოლოდ ერთ საგვარეულოს ეკუთვნოდა (ჯავახიშვილი, 1982).

მემკვიდრეობითი სახელით ქართველი მეცნიერები დიდი ხანია დაინტერესდნენ. გვარსახელი არის სამართლებრივი კატეგორია და ძირითადად განპირობებულია სახელმწიფოებრივ და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აუცილებლობით, ამავე დროს, მასში დაუნჯებულია ერის ეთნიკური ისტორია, რელიგიურ-კულტურული და სოციალური მდგომარეობა. „მემკვიდრეობითი სახელის [გვარ-სახელის] გარეშე ქართული ენობრივ-ეთნიკური სამყარო არასოდეს ყოფილა“ (თოფჩიშვილი, 2010, გვ. 266).

ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში მემკვიდრეობითი სახელების კვლევისას ვლინდება მეტად მნიშვნელოვანი მახასიათებლები ეთნოგრაფიული ჯგუფისა, რომელსაც სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ჯგუფებთან ერთად დიდი წვლილი აქვს შეტანილი საერთო-ეროვნული კულტურის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც საქართველოს დანარჩენ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში, სამეგრელოშიც სოფლები ერთი გვარით იყო დასახლებული. „ისტორიულ წარსულში, ცხადია, ცალკეულ დასახლებას, როგორც ადამიანთა დასახლებისა და შრომის ადგილის ერთობლიობას ქმნიდნენ, ჩვეულებრივ, ერთი წინაპრის შთამომავლები (სავარაუდოა, რომ ასეთი დასახლებანი გორებზე იყო განლაგებული). ცალკეულ დასახლებას, რასაც ერთი გვარი ქმნიდა (ე. ი. მონოგენურ დასახლებას), სამეგრელოში ერქმეოდა ამ გვარსახელისაგან ლე-ე კომფიქსით ნაწარმოები სახელი. ამგვარ ოიკონიმსა თუ მიკროოიკონიმს ორმაგი ფუნქცია ჰქონდა – გეოგრაფიული და სოციალური: იგი ადგილის სახელიც იყო და ამ ადგილზე მოსახლე ოჯახების გვაროვნულ-გენეტიკურ ერთობასაც ხაზს უსვამდა, რასაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. XX ს. დამდეგსაც კი სამეგრელოში იშვიათი არ ყოფილა მონოგენური დასახლებანი“ (ცხადია, 2000, გვ. 40).

ასეთ სოციალურ ჯგუფებს ჰქონდა თავიანთი კულტურული მახასიათებლები და ქმნიდა ერთ მთლიან ეთნოგრაფიულ-ლოკალურ, ხოლო შემდეგ - ეროვნულ კულტურას. არსებობს მრავალრიცხოვანი და მცირერიცხოვანი გვარები. ამ უკანასკნელთ სამეცნიერო ლიტერატურაში „ნამლე“ გვარებად მოიხსენიებენ. ნამლეობა გვარის, გვარსახელთა წარმომადგენლების სხვადასხვა მიზეზით რაოდენობრივ შემცირებას ნიშნავს, რაც შეიძლება გვარსახელის გაქრობის საფუძველი გახდეს.

მცირერიცხოვან გვარებს, ისევე როგორც დიდ გვარებს, სოციუმის ჩამოყალიბებაში თავიანთი ადგილი უკავია. მიუხედავად იმისა, რომ რიცხოვნობა მცირეა, მათი წვლილი კულტურის ფორმირება-ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანია. საქართველოში ბევრი გვარსახელი გაქრა. გაქრობის მიზეზი სხვადასხვაა: გვარის გადაკეთება, სხვა გვარსახელის მიღება, ეპიდემიები, შობადობის შემცირება, მიგრაცია, მესისხლეობა თუ სხვა სოციალური მოვლენები.

თანამედროვე მდგომარეობა ძველ დროსთან შედარებით, რა თქმა უნდა, განსხვავდება. კომუნიკაცია გაიოლებულია, გაუმჯობესებულია სამედიცინო მდგომარეობა, გვარსახელი დაფიქსირებულია ოფიციალურად, სამართალწარმოება აღარ მოქმედებს ჩვეულებითი და ადათობრივი ნორმების საფუძველზე. მიგრაციის შემთხვევაში გვარ-სახელი არ იცვლება. დღეისათვის ბევრი ფაქტია, რომ გვარმა, როგორც სოციალურ-სამართლებრივმა კატეგორიამ, იარსებოს და არ გაქრეს. თუმცა შეცვლილია და ცვლილების პროცესშია სოციალური ფუნქციები.

კვლევის პროცესში მოძიებულ იქნა მთიან სამეგრელოში (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი) გამქრალი გვარსახელები. სტატისტიკური და საარქივო მონაცემებიდან საკვლევ მუნიციპალიტეტებში აღმოჩნდა გვარები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს. პაატა ცხადაიას წიგნიდან, „გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში“ მოვიძიეთ ტოპონიმებიდან აღდგენილი და დღეს აღარარსებული გვარები.

საქართველოს ეროვნულ არქივში მეტრიკულ წიგნებზე მუშაობისას დადასტურდა დღეს აღარარსებული გვარები, გვართა წარმომადგენლები, რომლებიც საკვლევ რეგიონებში და ზოგადად საქართველოში დღესდღეობით აღარ ცხოვრობენ, თუმცა დაახლოებით ორი საუკუნის წინ ფიქსირდებოდნენ.

საარქივო მონაცემებით გამოვლენილი გამქრალი გვარსახელები წალენჯიხის მუნიციპალიტეტში:

აბლავა - გვარსახელი დაფიქსირდა წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიის 1847 წლის მეტრიკულ ჩანაწერებში: *25 ივლისს გარდაიცვალა სოსუ აბლავა, 50 წლის, ცხელებით* (სეა, სცა, ფ. 489, ა.6, ს. 685). აკაკი ჭანტურიას მეგრულ გვარებში არ აქვს შეტანილი გვარსახელი აბლავა.

აბუქაია - წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიის 1846 წლის ჩანაწერებში ფიქსირდებიან აბუქაიები: *1846 წლის 1 ნოემბერს ბებუ აბუქაიას და ეკა არდიას შეეძინათ მახარობელი. 3 ნოემბერს ჯურუმია აბუქაიას და ცირა ჯოტოს ასულს შეეძინათ ანდრია* (სეა, სცა, ფონდი 489, ა. 6, ს. 628). *21 დეკემბერს საბატონო გლეხ გიორგი აბუქაიას შეეძინა სოსანა. მიმრქმელი – მირდი აბუქაია* (სეა, სცა, ფ. 489, ა.6, ს. 163). *1850 წლის 18 სექტემბერს გლეხ ჯურუ აბუქაიას და ციცი ბერიას შეეძინათ მირდი. მიმრქმელი – გვაჩი აბუქაია. 1850 წლის 1 მაისს გარდაიცვალა გლეხი მახუტი აბუქაია, 38 წლის, სნეხით* (სეა სცა, ფ. 489, ა. 6, ს. 859). წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები აბუქაიები დღეს აბულაძეები არიან. ეთნოგრაფიული ცნობით, „ინეფ აბულაძეებ ვარდუ, აბუქაია ულუდ გვარო. გლაზა გვარ რდუ დო ვამოწონდეს. მა მოპკიშაფუქ“ (ისინი აბულაძეები არ ყოფილან, აბუქაიები იყვნენ. ცუდი გვარი იყო და არ მოსწონდათ. მე მოვსწრებევარ). 1851 წლის ლედგებეს მთავარანგელოზის ეკლესიის მეტრიკულ ჩანაწერებში მოხსენებულია ჭაქვინჯში მცხოვრები ბათაია აბუქაია (სეა სცა, ფ. 489, ა. 6, ს.898). 1950-იანი წლების საკომლო ჩანაწერებით, წალენჯიხაში ცხოვრობდა 13 კომლი აბულაძე: 10 კომლი ნაკიფუს სასოფლო საბჭოში დაფიქსირდა (ფ. 14), 2 კომლი წალენჯიხის სასოფლო საბჭოში (ფ. 307), ხოლო 1 კომლი – ოზუჯის სასოფლო საბჭოში (ფ. 84). გვარი ევფემისტურია, ამიტომაც მისი გაქრობა გასაკვირი არ არის. გვარსახელი აკაკი ჭანტურიას არ დაუფიქსირებია.

ებსალია - წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიის 1850 წლის მეტრიკულ ჩანაწერში ფიქსირდება გვარსახელი ებსალია: *1 მაისს გლეხ გუხილია ზარქუას და ხვახვა თამუას ასულს შეეძინათ გიორგი. მიმრქმელი: გლეხი ელუჯღუ ებსალია* (სეა სცა, ფ. 489, ა. 6, ს. 859). გვარი ებსალია ოფიციალურ დოკუმენტებში აღარ ფიქსირდება. გვარსახელი ებსა(ლ)იას ფორმით დღეისათვის მხოლოდ 1 სულია. 1863 წლის ჯვარზენის წმინდა გიორგის მეტრიკულ ჩანაწერებში დაფიქსირებულია გვარსახელი - ებუსაია: *1863 წლის 5 თებერვალს გლეხ შავარდენი ლეჯილას ძე ებუსაიას და ჩიტი ფულუს ასულს შეეძინათ ტატალი. მიმრქმელი: გლეხი მაჯი გვაჯის ძე შამუშია* (სეა სცა, ფ. 489, ა. 6, ს. 1635). სავარაუდოდ, ებუსაია, ებსალია დღეს ეფსიაა ან ეფსაია. გვარსახელი ევფემისტურ გვარსახელთა რიცხვში შედის. 1950-იან წლებში წალენჯიხის სასოფლო საბჭოს საკომლო ჩანაწერებში ფიქსირდება 12 კომლი ეფსია (ფ. 307), ფახულანის სასოფლო საბჭოს საკომლო ჩანაწერებში ფიქსირდება 1 კომლი (ფ. 43), ხოლო ჭალეს სასოფლო საბჭოს ჩანაწერებში დაფიქსირებულია 1 კომლი (ფ. 46). ჯვარის სასოფლო

საბჭოში კი დაფიქსირდა 1 კომლი ეფსია (ფ. 44). დღეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეფსიები არიან ებსაიები. ზ ბგერა შეიცვალა ფ ბგერით. ა. ჭანტურიასთან დაფიქსირებულია გვარსახელი ეფსია.

თოთვია/თოლთვაძე/თორთიაძე - წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიის 1845 წლის მეტრიკულ ჩანაწერებში ფიქსირდება მღვდელი *იესე თოთვია (სეა სცა, ფ. 489, ა. 6, ს. 589)*, 1847 წელს წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიაში ფიქსირდებიან მღვდლები: *იოანე თოთვია, ზებედე თოთვია, იესე თოთვია და მედავითნე - იაკობ თოთვია*. სავარაუდოდ, მღვდელი *იესე თოთვია (სეა სცა, ფ. 489, ა. 6, ს. 685)* და მღვდელი *იოანე თოთვია (სეა სცა, ფ. 489, ა. 6, ს. 859)* მსახურობდნენ საჩინოს მთავარანგელოზის ეკლესიაშიც. 1850 წლის ჩანაწერებში მღვდელი *იესე თოთვია* ჩაწერილია, როგორც *იესე თოლთვია*, ზოგან კი თვალთვაძედ. მედავითნე სოფროში კი – *თოლთვია*დ (სეა სცა, ფ. 489, ა. 6, ს. 859). 1846 წლის 11 ივლისს საბატონო გლეხ ტუტუ ჩანიას შეეძინა *იორდანე. მიმრქმელი იყო აზნაური იაკობ თოთვია*. დღეს თოთვია-თოლთვია გვარსახელი არსებობს თვალთვადის (190 სული) ფორმით. 1846 წლის მეტრიკულ წიგნებში წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიის მღვდელი ჩაწერილია როგორც *იოანე თორთიაძე (სეა, სცა, ფ. 489, ა.6, ს.628)*. თვალთვადის თავდაპირველი ფორმა იყო თოთვია-თოლთვია-თორთიაძე-თვალთვაძე. 1950-იანი წლების საკომლო ჩანაწერებში წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ფიქსირდება 15 კომლი თვალთვაძე (ფ. 307), ხოლო 1 კომლი – ნაკიფუს სასოფლო საბჭოში (ფ. 14). ა. ჭანტურიას დაფიქსირებული აქვს რამდენიმე ფორმა: თოთუა, თვალთვია, თვალთვაძე, თვართვია, თორთვია, თორთია.

თოლარია - სოფელ ლიის ღვთისმშობლის ეკლესიის 1861 წლის მეტრიკულ ჩანაწერებში ფიქსირდება მღვდელი *ეგნატე თოლარია და იონა ნაკაშიძე*. თოლარია გვარსახელი დღეს ოფიციალურ დოკუმენტებში არ მოიძებნება. სავარაუდოდ, ყოფილი თოლარიები დღეს თოლორაიები არიან. შესაძლებელია, თვალთვიას ერთ-ერთი ფორმა ყოფილიყო თოლარია („თოლი“-თვალი). ა. ჭანტურიას დაფიქსირებული აქვს გვარსახელი თოლორარია.

კოპალანძე - გვარსახელი კოპალანძე კოპალადის მეგრული ფორმაა. ისევე როუხანძე რუხადისა. ჯგალის წმინდა გიორგის 1847 წლის მეტრიკულ ჩანაწერში ფიქსირდება კოპალანძე: *შავარდენი კოპალანძეს და მარიამ იესეს ასულს შეეძინათ ეკატერინა (სეა, სცა, ფ. 489, ა. 6, ს. 685)*. კოპალანძე ფორმით გვარსახელი ოფიციალურ დოკუმენტებში დღეს აღარ ფიქსირდება. კოპალაძეები სამეგრელოში 1950-იანი წლებისა და დღევანდელი მონაცემებით არავინ ფიქსირდება. ა. ჭანტურიას დაფიქსირებული აქვს რამდენიმე ფორმა: კოპალაძე, კოპალია, კოპალიანი.

მაჯარგალაია - მაჯაგალაძე/მაჯაგალაია გვარსახელი ამ ფორმით საკვლევ მუნიციპალიტეტში ფიქსირდება. 1847 წლის 9 სექტემბერს საბატონო გლეხ დუდა შამუგიას შეეძინა ანნა. მიმრქმელი: *საბატონო გლეხი ლევანიკა მაჯარგალაია (სეა სცა, ფ. 489, ა. 6, ს. 689)*. 1850 წლის 1 დეკემბერს გლეხ დუდა შამუგიას და მარიამ ჯუბუს ასულს შეეძინათ ტასია. მიმრქმელი: *გლეხი ლევანიკა მაჯარგალაძე (სეა, სცა, ფ. 489, ა.6, ს.859)*. გვარი ევფემისტურია. დღეისათვის მაჯაგალადის ფორმით მხოლოდ 6 სული ფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ მაჯარგალაია/მაჯაგალაძე ახლა მანჯგალადის ფორმით არიან დაფიქსირებულნი ოფიციალურ დოკუმენტებში. 1950-იანი წლების ჩქუალერის სასოფლო საბჭოს საკომლო წიგნებში ფიქსირდება 5 კომლი მანჯგალაძე (ფ. 152), ხოლო ჯვარში სასოფლო საბჭოს საკომლო ჩანაწერებში - 3 კომლი (ფ. 44). ა. ჭანტურიას დაფიქსირებული აქვს: მაჯარგალაია, მაჯგანაია, მაჯგანაძე, მაჯგნარაძე.

რმალია - ირკვევა, რომ ჯვარში, ლექარდეს უბანში, მე-19 საუკუნეში ცხოვრობდნენ რმალიები. ლექარდეს მაცხოვრის ეკლესიის 1861 წლის მეტრიკულ ჩანაწერებში ფიქსირდება გვარსახელი რმალია: *1861 წლის 5 აგვისტოს ბუტუ ქარდავას და გულქან თამუხ ასულს შეეძინათ იაკობი. მიმრქმელი: ძივი მირდის ძე რმალია. 1861 წლის 13 იანვრის მეტრიკულ ჩანაწერში ფიქსირდებიან კიკო და კიპა რმალიები. 25 იანვარს გლებ კიკო რმალიას და ხვარამზე ხიტუიას ასულს შეეძინათ ელისაბედი (სეა სცა, ფ. 489, ა. 6, ს. 1494). 1863 წლის 3 ივნისს გლებ კიკო ხუხულიას ძე რმალიას და ხვარაზზე ხიტუს ასულს შეეძინათ ფეფიკი. (სეა სცა, ფ. 489, ა. 6, ს. 1635). დღეისათვის ეს გვარსახელი აღარ არსებობს. გვარსახელი რმალია აკაკი ჭანტურიას არ დაუფიქსირებია.*

რუხანძე - ამ ფორმით გვარსახელი დაფიქსირებულია ლექარდეს მაცხოვრის ეკლესიის 1847 წლის მეტრიკულ ჩანაწერებში: *5 თებერვალს საბატონო გლებ ობიშხე რუხანძეს შეეძინა საბა (სეა სცა, ფ. 489, ა. 6, ს. 685). რუხანძე რუხადის მეგრული ფორმაა. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუდონის მაცხოვრის ეკლესიის მეტრიკულ ჩანაწერებში ამ მემკვიდრეობითი სახელის მატარებელნი ფიქსირდებიან რუხაია//რუხანძე//რუხანძე ფორმით. დღეს ოფიციალურ დოკუმენტებში რუხანძეები რუხანძეად არიან გაფორმებული. ფახულანის 1950-იანი წლების საკომლო წიგნში დაფიქსირებულია 1 კომლი რუხანძე (ფ. 43). ა. ჭანტურიას დაფიქსირებული აქვს: რუხაია, რუხანძე, რუხანძე და რუხია.*

ტორონჯავა - მუჟავას წმინდა გიორგის ეკლესიის მეტრიკულ ჩანაწერებში დაფიქსირდა გვარსახელი ტორონჯავა: *10 მარტს გლებ ბოშა ძაკიჩელას ძე ტორონჯავას და მისო იაკობის ასულს შეეძინათ სადა (სეა სცა, ფ. 489, ა. 6, ს. 1635). დღეს გვარსახელი ამ ფორმით ოფიციალურ დოკუმენტებში აღარ ფიქსირდება. ტორონჯი მეგრულ ენაზე ტოროლას ნიშნავს. სავარაუდოდ, გვარი მიღებულია მეტსახელისგან. ა. ჭანტურიას დაფიქსირებული აქვს: ტორონჯანძე, ტორონჯია, ტოროჯანძე, ტოროჯია.*

ქაბურძანია - გვარსახელი ამ ფორმით აღარ არსებობს. დღეს ხაბურზანიები არიან. საჩინოს მთავარანგელოზის 1857 წლის მეტრიკულ ჩანაწერში ფიქსირდება გვარსახელი ქაბურძანია: *5 მაისის ჩანაწერში მოხსენებულია გლები გიორგი ბოშას ძე ქაბურძანია (სეა, სცა ფ. 189, ა. 6, ს. 1233). ა. ჭანტურიას დაფიქსირებული აქვს: ქაბურძანია, ქაბურძანია, ქაბურძანია.*

ქურცულავა/ქურცუა - ჯგალის წმინდა გიორგის 1848 წლის მეტრიკულ ჩანაწერში ფიქსირდება გვარსახელი ქურცუა და ქურცულავა ფორმით: *1848 წლის 16 ივლისს საბატონო გლებ ჭუჭუნა სალიას და კვაკვალა ქუხილავას შეეძინათ მათე. მიმრქმელი: საბატონო გლები იობია ქურცუა. იქვე იხსენიება გლები ხვიჩა ქურცულავა (სეა სცა, ფ. 489, ა. 6, ს. 726). ქურცულავა გვარსახელი დღეს ოფიციალურ დოკუმენტებში არ ფიქსირდება. ხოლო ქურცუა, 2017 წლის მონაცემებით, 66 სულია. სავარაუდოდ, ქურცულავა იგივე ქურცუაა. ა. ჭანტურიას დაფიქსირებული აქვს გვარსახელი ქურცუა.*

ღულავა - წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიის 1850 წლის მეტრიკულ ჩანაწერებში ფიქსირდება გვარსახელი ღულავა: *9 ოქტომბერს გლებ ტოტია ღულავას და ციცი მახუს ასულს შეეძინათ მატოე (სეა სცა, ფ. 489, ა. 6, ს. 859). დღეს ეს გვარსახელი აღარ ფიქსირდება, როგორც ჩანს, გაქრა, თუმცა არსებობს გვარსახელი - ღულათავა (106 სული). ღულა მეგრულში ნიშნავს „გადუნული, მრუდე; მტყუანი“ (ქობალია, 2010, გვ. 647). შესაძლოა გვარსახელი ღულავა მომდინარეობდეს მეტსახელისგან. გვარი ევფემისტურია და ამიტომაც დაიკარგა. ა. ჭანტურიას დაფიქსირებული აქვს გვარსახელები: ღულათა, ღულათავა, ღულათუა, ღულუა.*

შამუშია/შამშია - გვარსახელი სამუშია/შამუშია/შამშიას ფორმით ფიქსირდება ჯარზენის წმინდა გიორგის მეტრიკულ ჩანაწერებში: *1850 წლის 1 დეკემბერს გლებ დუდა შამუშიას და მარიამ ჯყბუს ასულს შეეძინათ ტასია (სეა, სცა, ფ. 489, ა. 6, ს. 859). 1861 წლის 5 მაისს*

გლებ შავარდენი ღეჯილიას ძე ებსაიას და ჩუტი ფულუს ასულს შეეძინათ ვადუ. მიმრქმელი: გლები მაჯის ძე შამშია (სეა, სცა, ფ.489, ა.6, ს. 1449). 5 თებერვალს გლებ შავარდენი ღეჯილიას ძე ებუსაიას და ჩიტი ფულუს ასულს შეეძინათ ტატალი. მიმრქმელი: გლები მაჯის ძე შამშია (სეა, სცა, ფ.489, ა.6, ს.1635). დღეს ოფიციალურ დოკუმენტებში შამშიებად აღარ მოიხსენიებიან. გვარმა მიიღო სამუშაიას ფორმა. აკაკი ჭანტურიას გვარსახელი შამშია/შამშია დაფიქსირებული არ აქვს.

ჩაგელია - გვარსახელი დაფიქსირებულია ჯვარის წმინდა გიორგის 1847 წლის მეტრიკულ წიგნში: *საბატონო ყმა ბატუ ჩაგელიას შეეძინა მარიამი* (სეა, სცა, ფ.489, ა.6, ს.685). ჩაგელია დღევანდელი ჩანგელიას ძველი ფორმაა. ჯგალის სასოფლო საბჭოს 1950-იანი წლების საკომლო წიგნში დაფიქსირებულია 9 კომლი ჩანგელია (ფ. 22), ხოლო ლარა-მედანის სასოფლო საბჭოს საკომლო წიგნში დაფიქსირებულია 2 კომლი. ა. ჭანტურიამ დააფიქსირა გვარსახელები: ჩაგლია, ჩანგელია.

მიგარია - წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიის 1850 წლის მეტრიკულ ჩანაწერებში ფიქსირდება გვარსახელი მიგარია: *6 მაისს გლებ ჭუკი მიგარიას და ელისას შეეძინათ ხვახვა* (სეა, სცა, ფ.489, ა.6, ს. 859). მიგარია გვარსახელი დღეს ოფიციალურ დოკუმენტებში არ ფიქსირდება. სავარაუდოდ, მემკვიდრეობითი სახელი – მიგარია – არის მიძარეას ძველი ფორმა. ა. ჭანტურიასთან აღნიშნულია გვარსახელები: მიგურა და მიგურავა.

ჭიჭონაია - სოფელ ჯგალის წმინდა გიორგის ეკლესიის 1863 წლის მეტრიკულ წიგნში მოხსენიებულია ჭიჭონაიას გვარი: *14 მარტს გლებ მახუკა ტორიას ძე კვარაცხელიას და გურა ქაქუჩიას ასულს შეეძინათ სალომე. მიმრქმელი: ოტია ჯოდორიას ძე ჭიჭონაია* (სეა, სცა, ფ. 489, ა.6, ს. 1635). ჭიჭონაიები მოხსენიებული არიან ასევე მარტვილში, ლედეგებს მთავარანგელოზის ეკლესიის მეტრიკულ წიგნებში. დღეისათვის ამ ფორმით გვარსახელი ოფიციალურ დოკუმენტებში აღარ გვხვდება. ჭიჭონაია დღეს ჯიჭონაიას ფორმით იწერება. გვარსახელი აკაკი ჭანტურიას დაფიქსირებული არ აქვს.

გამქრალი გვარსახელები მოვიძიეთ არა მხოლოდ მეტრიკულ წიგნებზე მუშაობისას, არამედ - ტოპონიმებიდან. პაატა ცხადაიას წიგნში „გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში“ შევისწავლეთ ის გვარები, რომლებიც დღეს აღარ არსებობს, მაგრამ მათი აღდგენა მკვლევარმა ტოპონიმების შესწავლის შედეგად შეძლო.

ტოპონიმებიდან აღდგენილი გამქრალი გვარები წალენჯიხის მუნიციპალიტეტში

არსანია - „გვარის უწინ არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ლეარსანე // ლიარსანე. ასე ეწოდება მდინარეს, რომელიც იწყება ზღვიაში (ქ. წალენჯიხა) და გადის ალერტკარსა და გრიგოლიშში. არსან უძველესი კოლხური პირსახელია (ლორთქიფანიძე, 1969)“ (ცხადაია, 2000, გვ. 52). არსანია გვარსახელი არ გვხვდება მეტრიკულ წიგნებში, არც საკომლო წიგნებში. არ ფიქსირდება ასევე აკაკი ჭანტურიას წიგნში „მეგრული სახელები და გვარები“. მასთან ფონეტიკურად ახლოს მდგომი გვარია დარსანია/დარსალია.

არულია - „გვარის უწინ არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ლიარულე//ლეარულე. ასე ეწოდება ფიფიებით დასახლებულ უბანს ოლორის მარცხენა მხარეს (სოფელი მუჟავა). არული მეგრულში საზოგადო სიტყვაა და შეიძლება მეტსახელადაც ქცეულიყო“ (ცხადაია, 2000, გვ. 52). ამ გვართან ახლოს მდგომი გვარია არუსია (58 სული). შესაძლებელია, ამ გვარსახელის მატარებელმა ადამიანებმა მიგრაციის შედეგად მიიღეს სხვა მემკვიდრეობითი სახელი. გვარსახელი არ დასტურდება საარქივო მონაცემებითაც. აკაკი ჭანტურიასთან ფიქსირდება გვარსახელი „არურია“ და „არუსია“.

ბახუტია - სავარაუდოდ, ამ გვარის წარმომადგენლები სოფელ საჩინოში სახლობდნენ „გვარს აღადგენს ტოპონიმი ნაბახ(უ)ტუ, რაც სახნავის სახელია. ინწირის მარც. მხარეს (საჩინო). ბახუტი ბახვას კნინობით-მოფერებითი ვარიანტია“ (ცხადია, 2000, გვ. 58). აკაკი ჭანტურიასთან ფიქსირდება გვარსახელი ბახუია.

ბებელია - „გვარის არსებობას ადასტურებს ტოპონიმი საბებელიო (ბორცვი მუჟავაში, საარქანოს უბანში, სადაც უწინ ბებელიებს უცხოვრიათ). ბებე, ბებუ, ბებელი კოლხეთში პირსახელებია“ (ცხადია 2000, გვ. 58). სამეგრელოში პირსახელიც იყო ბებელია (ბებელიას „გამნარყი“ არქანიები). გვარსახელი ბებელია, როგორც მეგრული გვარსახელი, ფიქსირდება აკაკი ჭანტურიას „მეგრულ გვარსახელებში“.

ბერისკუა - „ბერიშვილის ვარიანტია. 1904 წლის აღწერის მასალებში დაფიქსირებულია გვარი ბერისკუა (1 კომლი სოფელ კოკში, 2 კომლი ობუჯში და სხვ.)“ (ცხადია, 2000, გვ. 60). დღეისათვის ეს გვარი არ იძებნება. აღსანიშნავია, რომ სამეგრელოში ბერიშვილებს მოიხსენიებენ ბერისკუათი, ისევე როგორც კუხალეიშვილს - კუხალეისკუა, სახეიშვილი - სახესკუა, მეგრულისთვის დამახასიათებელია მორფემოიდის - შვილის - თარგმნა მეგრულ ენაზე. სავარაუდოდ, ბერისკუა არის ბერიშვილი. აკაკი ჭანტურიას დაფიქსირებული აქვს გვარსახელი ბერიშვილი. „ბერისკუა“ ფორმით მემკვიდრეობითი სახელი არ ფიქსირდება.

გედია - „გვარს აღადგენს ტოპონიმი ნაგედუ. ასე ეწოდება ბორცვს გარახაში (ლესორდიეს უბანში) და ვაკე-ფერდობებს ჯალრაში. ამოსავალი ფუძე გედე (<-გედევან). მამასადამე: გედე-ა -> გედია“ (ცხადია, 2000, გვ. 68). აკაკი ჭანტურიას გვარსახელი გედია არ დაუფიქსირებია.

გერგვანია - „გვარს ადასტურებს ტოპონიმი. ასე ეწოდება ტყე-გ(ფ)ერდობებს რეკის მარცხ. მხარეს (მაზანდარა). ამოსავალი ჩანს პირსახელი გერგო, რომელსაც ჯერ -ოვან (ი), ხოლო შემდეგ -ია სუფიქსი დართვია: გერგ-ოვანი -> დერგოვანია - > გერგვანია“ (ცხადია, 2000, გვ. 69). გვარსახელს აკაკი ჭანტურია არ აფიქსირებს.

გეჯერია - „გვარის უწინ არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ალეგეჯერუ. ესაა ბორცვი ვეჯინჯში, სადაც, გადმოცემით, გეჯერიებს უცხოვრიათ (საჩინო). ნა-პრეფიქსი დართვია მას შემდეგ, რაც ლეგეჯერე ყოფილ დასახლებულ უბნად ქცეულა“ (ცხადია, 2000, გვ. 69). გვარსახელს აკაკი ჭანტურია არ აფიქსირებს.

კვერკაია - გვარს აღადგენს ტოპონიმი ნაკვერკუ. ასე ეწოდება ბორცვს სკურდის მარცხენა მხარეს (სახურცილაშვი). კვერკა კვირიკეს ვარიანტია. შდრ. კვეკვესქირი (ცხადია, 2000, გვ. 95). აკაკი ჭანტურიას აღნიშნული აქვს გვარსახელი კვერკაია.

კვიჭია - „გვარის უწინდელ დროში არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ნაკვიჭუ//ნაკვეჭუ. ასე ეწოდება ფერდობებს რობულალის ზემოთში (საჩინო). შდრ. კვიჭიძე (გურია-აჭარა)“ (ცხადია, 2000, გვ. 96). გვარსახელს აკაკი ჭანტურია არ აფიქსირებს.

მახარია - „გვარს აღადგენს ტოპონიმები: ნამახარუ - ჩაის ფართობი ლეშონეში. სამახარიო//მახარია - უბანი და ღელე ჩხორიის საზღვართან (ლია). მახარია სამეგრელოში სახელიცაა და გვარიც. მიღებულია მხარე-საგან -ა სუფიქსის დართვით (მახარე-ა -> მახარია)“ (ცხადია, 2000, გვ. 110). დღეს არსებობს მახარია გვარსახელთან ფონეტიკურად ახლოს მდგომი გვარსახელები: გახარია, გამახარია. გვარსახელ მახარიას აკაკი ჭანტურიაც აფიქსირებს.

მიქელია - „გვარს აღადგენს ტოპონიმი ნამქელუ//ნანქელუ (ბორცვი ობუჯში, ხუფინდასა და ლავთარას შუა, სადაც მიქელიას უცხოვრია)“ (ცხადია, 2000, გვ. 114). მიქელიასთან ახლოს მდგარი გვარია მიქელიძე. აკაკი ჭანტურიას აღნიშნული აქვს გვარსახელი მიქია და ასევე მიქელაძე.

ონჩხოლია - „გვარს აღადგენს ტოპონიმი საონჩხოლო//საანჩხოლო (ვაკე-ფერდობები ნაშამგუში, ოლორის მარჯვენა მხარეს. აქ უწინ ონჩხოლიებს უცხოვრიათ. ამჟამად არქანიების საკარმიდამოებია)“ (ცხადია, 2000, გვ. 119). აკაკი ჭანტურია გვარსახელს არ აფიქსირებს.

სანდარია - „გვარს აღადგენს ტოპონიმი ნასანარუ//ნაცანდარუ. ასე ეწოდება ბორცვს ხუფინასა და ლაფთარას შუა (ობუჯი)“ (ცხადია, 2000, გვ. 125). სანდარიასთან ახლოს მდგარი გვარსახელია ქანდარია. აკაკი ჭანტურია აფიქსირებს გვარსახელს – სანდაყია.

სანთავა - „ან სანთავა გვარის უწინდელ დროში არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ლესანთე. ასე ეწოდება ვაკე-ბეჭობს ინწირას მარჯვენა მხარეს, საშეროზიოს უბანში (ჩქვალერი). სანთა (ანუ ომპა) ეწოდება სახლის თავხეს, მას ეყრდნობა სახურავი. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, მაგარი, ოჯახის ბურჯი მამაკაცისთვის მეტსახელად სანთა შეერქმიათ“ (ცხადია, 2000, გვ. 125). აკაკი ჭანტურია გვარსახელს არ აფიქსირებს.

უჩაგია - „გვარს აღადგენს ტოპონიმი ლეუჩაგე (ფერდობებია ჭანისწყლის მარჯვენა მხარეს, მედანში)“ (ცხადია, 2000, გვ. 131). გვარსახელ უჩაგიას აკაკი ჭანტურია არ აფიქსირებს, მაგრამ აღნიშნული აქვს: „*უჩა*“, „*უჩაა*“, „*უჩამე*“ და „*უჩავა*“.

ფართუხია - „გვარის წარსულში არსებობას ადასტურებს ტოპონიმი ლეფართხე. ასე ეწოდება მეფორიას ხეობას ნაგურუში“ (ცხადია, 2000, გვ. 132). ფართუხიასთან ფონეტიკურ მსგავსებას ავლენს მემკვიდრეობითი სახელი ფურთუხია. გვარსახელს აკაკი ჭანტურია არ აფიქსირებს.

ქადარია - „გვარს აღადგენს ტოპონიმი ნაქადარ. ასე ეწოდება უბანს ჭანისწყლის მარცხ. მხარეს (ჯგალი). ინფ.: „აქ ქადარიას უცხოვრია“. პირსახელი ქადარია გვხვდება 1821 წ. საბუთში“ (ცხადია, 2000, გვ. 138). ამ გვარის მსგავსია ქადარია. გვარსახელს აკაკი ჭანტურია არ აფიქსირებს.

ქვათარია - „გვარს აღადგენს ტოპონიმი ნაქვათარუ. ასე ეწოდება ტყე-ფერდობებს ემოწაფიეში (ლექაჯაიე). ქვათარი პირსახელ ქვათის კნინობითი ვარიანტი ჩანს. შდრ. ქუთარი“ (ცხადია, 2000, გვ. 138). გვარსახელს აკაკი ჭანტურია არ აფიქსირებს.

შარაბია - „ან შარაბია დაფიქსირებულია ტოპონიმით ლეშარბე. ასე ეწოდება ტყე-ფერდობებს მაგანის მარცხ. მხარეს, ჯვარიდან რამდენიმე კმ-ზე. შდრ. შარაბიძე (აჭარა, იმერეთი)“ (ცხადია 2000, 146). გვარი ასევე ფონეტიკურ მსგავსებას ავლენს გვარსახელ შარაშიასთან. არსებობს მემკვიდრეობითი სახელი შარაბიძე. გვარსახელს აკაკი ჭანტურია არ აფიქსირებს.

შარაქუა - „გვარს აღადგენს ტოპონიმი ნაშარაქუ//ნაშარაფუ. ესაა სერი ლეღვინჯილეში“ (ცხადია, 2000, გვ. 146). გვარსახელი აკაკი ჭანტურიას „მეგრულ სახელებსა და გვარებში“ არ ფიქსირდება.

ჭამატავა (ჭამაკავა) - „გვარს აღადგენს ტოპონიმი ლეჭამატა//ლეჭამაკა. ასე ეწოდება ოლორის მარცხ. შენაკადს ჩვინარეში (მუჟავა)“ (ცხადია, 2000, გვ. 161). გვარსახელი აკაკი ჭანტურიასთან არ ფიქსირდება.

ხოტუა - „გვარს აღადგენს ტოპონიმი ლეხოტუე. ასე ეწოდება ლაკადისძირებს ბელერწყაროს სათავეებთან (ლეთკანთი). ლე პრეფიქსი იმაზე მიუთითებს, რომ აქ ერთ დროს ხოტუების უბანი იყო. ხოტო, ხოტორო ნიშნავს თავგადატევლებილს. მამასადაძე, ხოტო (მეტსახელი) -> ხოტი-ა->ხოტუა“ (ცხადია, 2000, გვ. 169). ამ გვართან ახლოს დგას მემკვიდრეობითი სახელი - ჩხოტუა (82 სული). გვარსახელი აკაკი ჭანტურიასთან არ ფიქსირდება.

დასკვნა: საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში მეტრიკულ წიგნებზე მუშაობისას და ტოპონიმებიდან აღდგენილი გვარსახელების მოძიების

შედეგად შესწავლილ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტში გამქრალი მემკვიდრეობითი სახელები. გვარსახელების გაქრობის მიზეზების კვლევაში დაგეგმვარა დღეისათვის ნამღევი, გაქრობის პირას მისული მცირერიცხოვანი გვარების ეთნოლოგიური შესწავლა; ასევე ანალიზისა და დასკვნების გასაკეთებლად გამოყენებულია სამეგრელოში შვიდივე მუნიციპალიტეტში მცხოვრები გვარების ნამღეობისა და გაქრობის მიზეზები. გამოყენებულია დედუქციის მეთოდი.

გვარსახელის გაქრობას სხვადასხვა მიზეზი აქვს. ხშირია გვარის შეცვლა და ოფიციალურ დოკუმენტებში სხვა გვარის აღნიშვნა. ადამიანები ძირითადად გვარს ევფემისტურობის მიზეზით იცვლიან. ხშირად ხდება, როცა უარყოფით ან საჩოთირო სიტყვებს ცვლიან თავაზიანი სიტყვებით, ასევე - ტაბუირებულ სიტყვებს, რომელთა წარმოთქმაც მაგიურ-რელიგიური ანდა მკაცრად რეგლამენტირებული ადათ-წესების დაცვას გულისხმობს. ასე ხდება გვარების შემთხვევაშიც. „საჩოთირო გვარების შეცვლა-გადაკეთების ამ ბუნებრივი ტენდენციის შედეგად ქართულ ონომასტიკონში მრავლად მოგვეპოვება ევფემისტური ერთეულები, რომელთა შესაქმნელად ორნაირი ხერხია გამოყენებული: ა) ფუძეში ბგერების შეგნებულად შეცვლა (ბგერების გამოკლება, ჩამატება, გადასმა, მარცვლის მოწყვეტა და სხვ.), რასაც მიუღებელი ლექსიკური მნიშვნელობის დაბნელება ან მთლიანად ჩაქრობა მოსდევს. ბ) მეორე ხერხის მიხედვით გვარსახელთა ფუძეებს იმგვარად სცვლიან, რომ ახალი პოზიტიური შინაარსის ფუძე მიიღონ“ (მაისურაძე, 1979, გვ. 60).

საარქივო მონაცემებისა და საველე-ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად დგინდება, რომ გვარსახელების გაქრობის ანდა გაქრობის პირამდე მისვლის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ მისი ევფემისტურობაა. ასეთი გვარსახელებია: აბუქაია (აბულაძე), ებსალია/ეფსიავა (ეფსიავა), მაჯარგალაია, ჯარგალაია (მანჯგალაძე), ღულავა, კოჩხონჯია, ჯინჭყუა და სხვა.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსიძეების თავდაპირველი გვარი მოსინავა ყოფილა. გვარსახელის არასასიამოვნო შინაარსის მიზეზით მოსიძეები გახდნენ. ასევეა მანჯგალაძეები. მეგრელი მანჯგალაძეების უწინდელი ფორმა მაჯარგალაია/მაჯაგალაიაა. გვარსახელი ეფსია, ეფსალიაც იცვლიდა ფორმას. ხდებოდა ბგერათა შეცვლა.

ზოგიერთი გვარსახელი, რომელიც მე-18 საუკუნეში გვხვდებოდა და მეტრიკულ ჩანაწერებში აღნიშნულია, დღეს ოფიციალურ დოკუმენტებში არ ფიქსირდება, მაგალითად: თოთვია. გვარსახელმა ფონეტიკური ცვლილება განიცადა და დაირთო სუფიქსი ძე. დღეს თოთვია თვალთვადის გვარსახელით ფიქსირდება. მოხდა პირიქითაც: ნამღევი გვარსახელების შესწავლისას მარტვილის მუნიციპალიტეტში დაფიქსირებულ გვარსახელ რევაძეს ჩამოცილდა ძე სუფიქსი და დღეს ფიქსირდება როგორც რევა. კვატალია გვარსახელმა დაირთო სუფიქსი იან და გახდა კვანტალიანი. ასევეა გვარსახელი ქურდიაც, გახდა ქურდიანი. გვარსახელმა კინწურამ დაირთო სუფიქსი შვილი და გახდა კინწურაშვილი.

გვარსახელის გაქრობის მიზეზია ასევე ფონეტიკური ცვლილებები. გვარი ენობრივი ფაქტია და ისტორიულად ის ფორმას იცვლიდა. მაგალითად, ჟიშქარიანი, ჟიშკარიანი და ჯიშკარიანი ერთი გვარის ფონეტიკური სხვადასხვაობაა. გვარსახელი გურგულია შესაძლებელია გირგვლიანის მეგრული ვარიანტი იყოს.

გვარსახელის შემცირების, გაქრობის პირას მისვლის ანდა გაქრობის მიზეზი, გარდა ფონეტიკური ცვლილებისა, შესაძლებელია იყოს ამ სოციალური ერთეულის მატარებელ ადამიანთა ჯგუფის მხრიდან სხვა გვარსახელის მიღება. მაგალითად, ეთნოგრაფიული მონაცემებით, გელაშვილებმა სამეგრელოში გადმოსვლის შემდეგ მიიღეს გვარსახელი გელავა. საკანდელიძეები გახდნენ საკანდელიები, შერვაშიძეების ნაწილი ატარებს გვარსახელ

შარაშიას. ბაკურიძეები არიან ბაკურიები, ბებია გვარსახელმა დაირთო გვარსახელის მაწარმოებელი სუფიქსი - ვა და გახდა ბებიავა. ლამანძიას ვარიანტია ლამაზია, ქულანავას თავდაპირველი გვარი ყოფილა კუპალბა და სხვა. ამ შემთხვევაში გვარსახელის შეცვლის მიზეზია მიგრაცია: მაგალითად, ერთი რეგიონიდან რაიმე მიზეზით სხვა რეგიონში გადასვლა და სხვა ახალი გვარის მიღება. ასეთი შემთხვევის მაგალითია დღვილავა. ეთნოგრაფიული მონაცემებით, დღვილავეები გურიიდან მოსულან. მარტვილში ჩამოსულა ანდლულადის გვარის წარმომადგენელი, გვარსახელი შეუცვლია და დღვილავა გამხდარა. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მცირერიცხოვანი გვარსახელის – სამელიების – თავდაპირველი გვარი, როგორც ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, მელია ყოფილა. ისეთი შემთხვევებიც შეიძლება ყოფილიყო გვარის გაქრობის მიზეზი, როდესაც მთელი საგვარეულო მიგრირდებოდა სხვა ტერიტორიაზე და გვარს იცვლიდა.

დროსთან ერთად, როდესაც მცირდებოდა გვარის წარმომადგენლების რიცხოვნობა, შობადობის შემცირება გვარსახელის გაქრობის მიზეზი ხდებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც ისედაც მცირერიცხოვან სოციალურ ჯგუფში იზარბებოდა უმეტესად მღვდლობითი სქესის ადამიანები. ამ შემთხვევაში მათი შთამომავლობა სხვა გვარზე (მეუღლის) ეწერებოდა და გვარის გამრავლება ფერხდებოდა (Chitanava და სხვ. 2019).

გვარსახელის შემცირების, ხოლო შემდეგ გაქრობის მიზეზად შესაძლებელია მივიჩნიოთ ეპიდემიები. „სამეგრელოს ეპარქიის დომაყეს იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის 1853 წლის მეტრიკული წიგნის ჩანაწერების მიხედვით, აპრილ-აგვისტოში „მუცელასაგან“ გარდაცვლილა რვა ადამიანი: ბავშვი, მოხუცი, ქალი, კაცი. ამავე წელს ამავე მიზეზით გარდაცვლილა დომაყეს მახლობლად მდებარე სოფლების: კიწიის ეკლესიის მრევლი 14 ადამიანი და წახურუს ეკლესიის მრევლი 10 ადამიანი.

დომაყეს ეკლესიის 1877 წლის მეტრიკული წიგნის მიხედვით, ივლის-აგვისტოში „მუცელათი“, „მუცელ-კეთილათი“ გარდაიცვალა 16 ადამიანი“ (სიჭინავა, 2020). ეპიდემიების გავრცელებას მოსდევდა ადამიანების ჯანმრთელობის შესუსტება და ფიზიკური განადგურება. ხოლო გადარჩენილი ნაწილის მიგრაცია გაფანტვას, გვარის შეცვლას და სხვადასხვა სოციალურ ცვლილებას იწვევდა.

გვარსახელის შემცირების, ხოლო შემდეგ გაქრობის მიზეზი შეიძლება ასევე ყოფილიყო სტიქიური უბედურებები, მაგალითად: ზვავი, წყალდიდობა. ამდენად, გვარსახელის შემცირებას, ხოლო შემდეგ მის გაქრობას სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა და განპირობებული იყო ობიექტური მიზეზებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გვარსახელები საქართველოში. (2018). თბილისი. მწიგნობარი.
2. თოფჩიშვილი, რ. (2010). სახელების ეთნოლოგია და ისტორია. თბილისი. უნივერსალი.
3. მაისურაძე, ი. (1979). ქართული გვარსახელები სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია. თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. სიჭინავა, ა. (2020). დომაყეს იოანე ნათლისმცემლის ეკლესია. თბილისი.
5. ცხადაია, პ. (2000). გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში. ახალი ქართ. ენის კათედრასთან არსებ. ონომასტიკის სამეც.-კვლევ. ლაბორატორია. თბილისი. თსუ.
6. ჭანტურია, ა. (2006). მეგრული სახელები და გვარები. თბილისი. არტანუჯი.
7. ჯავახიშვილი, ი. (1982). თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VI. თბილისი. მეცნიერება.

8. Chitanava D. Schurr Th.G. Bitadze I. Khorava B. Tsimintia K. Shengelia I, Yarmunia A. Laliashvili S. Shengelia R. (2019). An Interdisciplinary Analysis of Surname Extinction in Mingrelia (North-West Georgia). *Bulletin..*

9. სამეგრელოს რეგიონული არქივი. საკომლო წიგნები. ფონდი 14, 22 43, 44, 46, 84, 307.

10. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, სეა, სცა, ფ. 489, ა. 6, ს. 163; 589; 628; 685; 726; 859; 898; 1230; 1449; 1484; 1635.

Disappeared Surnames in Highland Samegrelo (on the example of Tsalenjikha Municipality)

Ketevan Tsimitia
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Summary

Georgians are among the nations, a social unit of which – surnames – counts centuries. It is proved that in Georgia, social-legal category – surname necessary for today, was formed in the depth of centuries. Its generation was conditioned by different social, political, religious and cultural factors. The process of establishment of a surname, as a special anthroponymic category and its universal spread-was quite long and was not simultaneous. In ethnological research of hereditary surnames most important determinants of the ethnographic group are seen, which together with other historical-ethnographic groups have largely contributed to formation of common national culture.

Many Surnames were disappeared. The reasons of disappearance were various. Disappearing surname implies small amount of people having concrete surname, which means that people's number in this society are small and the surname is on the verge of disappearance. Reasons of disappearance were analyses according to the disappearing surnames. Purpose of my research is to show and to ethnologically study the disappeared surnames in highland Samegrelo, concretely, in Tsalenjikha municipality. Proceeding from the goal of research, my task was to find out disappeared surnames from archival documents and scientific literature. Disappeared surnames revealed from metric books, some has restored form toponymics. Megrelian surnames were studied by the Researcher Paata Tskhadaia. Disappeared surnames regarding toponymics were taken from the book named "Mingrelian Surnames and their settlements in Samegrelo". The area of my research involves Tsalenjikha Municipality, in highland Samegrelo. In research of disappeared surnames, the necessary methods were the method of historical documents and secondary analysis.

„სამანიშვილის დედინაცვალი“ - სიტყვიდან გამოსახულებამდე

ქეთევან პატარია
შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს ეროვნული არქივის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო განყოფილებაში (სეა, უიკა. ფ. 52) ინახება დავით კლდიაშვილის მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალის“ მიხედვით დაწერილი ლიტერატურული სცენარის ორი ვარიანტი (ნაბეჭდი).

პირველს აწერია „სამანიშვილის დედინაცვალი“ (დავით კლდიაშვილის მოთხრობის მიხედვით); ავტორები: რეზო ჭეიშვილი, ელდარ შენგელაია; 1975 წ.; „ქართული ფილმი“. აქვეა წარწერა ხელით: „სცენარი წარმოადგენს საბოლოოდ გადამუშავებულ ვარიანტს და

დამტკიცებულია წარმოებაში ჩასაშვებად“. ბოლოში ხელმოწერა (ხელმოწერა არ იკითხება). სულ - 84 გვერდი.

მეორე ვარიანტი 79-გვერდიანი სცენარი, რომელიც არქივში შეიტანეს 1985 წლის 31 მაისს, ფილმის გადაღებიდან 8 წლის შემდეგ (შემომტანის ვინაობა მითითებული არაა). ეს სცენარი პირველისაგან განსხვავდება, უფრო „დაწურულია“. მეტიც, იქვე არსებული რამდენიმე სცენა გადახაზულია. ყოველივე გვაფიქრებინებს, რომ ეს ვერსია 1975 წელს დამტკიცებული ლიტერატურული სცენარის მეორე ასევე ლიტერატურული ვარიანტია. ის, სავარაუდოდ, დაიწერა ფილმის ეკრანებზე გამოსვლამდე, მაგრამ უცნობია, როდის ჩასწორდა - გადაღებამდე, გადაღებიდან მონტაჟამდე თუ მოგვიანებით. ფაქტია, რომ ის 1977 წელს ეკრანებზე გამოსული ფილმისგან მცირედ განსხვავდება.

ორივე სცენარისა და ფილმ „სამანიშვილის დედინაცვლის“ დეტალური შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, როგორ გაიაზრეს რეჟო ჭეიშვილმა და ელდარ შენგელაიამ დავით კლდიაშვილის მართლაც გენიალური მოთხრობა მხატვრულად, როგორ „გადათარგმნეს“ კინემატოგრაფიულ ენაზე და როგორ შექმნეს საკუთარი ინტერპრეტაციით ლიტერატურულ ნაწარმოებზე დაფუძნებული კინოვერსია.

დასაწყისისთვის, უნდა ითქვას, რომ ეს არ იყო ქართულ კინოში „სამანიშვილის დედინაცვლის“ ეკრანიზაციის პირველი მცდელობა. 1926 წელს სწორედ ელდარ შენგელაიას მამამ ნიკოლოზ შენგელაიამ მწერალ სერგო კლდიაშვილთან (დავით კლდიაშვილის ვაჟი) ერთად დაწერა სცენარი ფილმისთვის „სამანიშვილის დედინაცვალი“. ფილმი კოტე მარჯანიშვილმა ზაქარია ბერიშვილთან ერთად გადაიღო. ერთ-ერთ მხატვრად მიიწვიეს მიხეილ ჭიაურელი. მთავარ როლებს ასრულებდნენ ქართული თეატრის მსახიობები, კოტე მარჯანიშვილის მოწაფეები: აკაკი ვასაძე, შალვა ღამბაშიძე, ცეცილია წუწუნავა, ალექსანდრე ჟორჟოლიანი და სხვები.

იმის მიუხედავად, რომ ფილმი უხმო იყო, ის, როგორც ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანიზაცია, ძალზე საინტერესო გამოვიდა, თუმცა ახლა არა ამ ფილმზე, არამედ 1977 წელს გადაღებულ კინოსურათზე უნდა ვისაუბროთ.

„ყველა ფილმის დაწყების წინ მივდივარ მშობლების საფლავზე, პანთეონში და ერთგვარად ვესაუბრები იმაზე, რაც უნდა გადავიღო და რაღაცნაირად მგონია, ისინი მლოცავენ, შესაბამისად მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება“ - ამბობდა ელდარ შენგელაია ერთ ინტერვიუში (შენგელაია, 2018, <http://qartuliazri.reportiori.ge/inside.php?menuid=48&id=17813>).

ალბათ „სამანიშვილის დედინაცვალზე“ მუშაობის დაწყების წინაც ასე მოხდა. ეს ნამუშევარი განსაკუთრებული იყო რეჟისორისთვის, რადგანაც ფილმის იმ ნაწარმოების მიხედვით გადაღებას აპირებდა, რომელზეც ნახევარი საუკუნის წინ მამამისმა იმუშავა.

რა თქმა უნდა, კინოში უმნიშვნელოვანესია სცენარი და ელდარ შენგელაიასაც თავისი გამორჩეული სცენარისტები ჰყავს. რეჟო ჭეიშვილი მათ შორისაა.

„რეჟო ჭეიშვილი რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ცისფერი მთები“ და არც „ექსპრეს ინფორმაცია“. მწერალს აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. სცენარი არის საფუძველი და როცა შენ თანამშრომლობ ასეთ ხალხთან, გაქვს შანსი გააკეთო კარგი ფილმი“ (იქვე, შენგელაია) - აღნიშნავდა ელდარ შენგელაია.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა კი სცენარისტს მაშინ ეკისრება, როდესაც ის საყოველთაოდ ცნობილი ლიტერატურული შედევრის ეკრანიზაციას ახდენს.

რეჟო ჭეიშვილისთვისაც, ელდარ შენგელაიას მსგავსად, განსაკუთრებული უნდა ყოფილიყო „სამანიშვილის დედინაცვალზე“ მუშაობა. როგორც სცენარისტის შვილიშვილი, ქეთევან ჭეიშვილი პირად საუბარში მიყვება, რეჟო ჭეიშვილის ერთ-ერთი საყვარელი

მწერალი დავით კლდიაშვილი იყო და სულ ამბობდა, რომ სწორედ იმ დღეს დავიბადე, როდესაც ის გარდაიცვალა. 11 სექტემბერი კი, რეზო ჭეიშვილის გარდაცვალების დღე, დავით კლდიაშვილის დაბადების დღეს უცნაურად დაემთხვა.

ახლა შევადაროთ დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, რეზო ჭეიშვილის სცენარის პირველი ვარიანტი, მეორე ვარიანტი და ამავე სახელწოდების, ელდარ შენგელაიას ფილმი და ვნახოთ, რა გამოიკვეთება.

უდავოა, რომ ძალზე მნიშვნელოვანია ნაწარმოების დასაწყისი. დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ იწყება ცნობილი ფრაზით: „ბეკინა სამანიშვილი, რასაკვირველია, ღარიბი აზნაური იყო, გვარიანი ღარიბიც“ (კლდიაშვილი, 2010, გვ. 3).

სიტყვა „რასაკვირველია“ უკვე ბევრის მთქმელია. პირველ ყოვლისა, გვიჩვენებს ავტორის დამოკიდებულებას გმირის, ამბის მიმართ და ამასთან, იმ პერიოდის აზნაურთა ფენის მახასიათებელია. ამის შემდეგ ავტორი გვაცნობს სამანიშვილების ოჯახს, მის მდგომარეობას და გვეუბნება, რომ სამანიშვილებს მცირედი ჰქონდათ, მაგრამ ამითაც ბედნიერად გრძნობდნენ თავსო. საბოლოოდ კი აჯამებს: „მაგრამ ბედნიერება, რაგვარიც უნდა იყოს, ვის შერჩენია ბოლომდის, რომ სამანიშვილისას ფეხი მოედგა მჭიდროდ?“ და მკითხველსაც ამზადებს იმ დრამატული ამბებისთვის, რომლებიც ნაწარმოებში განვითარდება.

ლიტერატურული სცენარის პირველსა და მეორე ვარიანტებში ეს თემა შესავალშია გატანილი - მოკლედ და უფრო სცენარის წამკითხველისთვის კამერტონად, რადგანაც მთლიანად თხრობაზე აგებულ ამ ნაწილს თავისი ვიზუალური გამოსახულება არ აქვს. ეს ტექსტი არც ტიტრებისთვისაა და არც ხმისთვის კადრის გარეთ. და ფილმშიც, შესაბამისად, ეს ნაწილი არაა, რადგან, როგორც ვთქვი, სცენარის ავტორს თავიდანვე არ ჰქონდა მოაზრებული ტექსტის შესაბამისი გამოსახულება.

მოთხრობის ფაბულა კინოსურათში უცვლელია: ხანდაზმულ გადარიბებულ აზნაურ ბეკინა სამანიშვილს დაქვრივების შემდეგ ცოლის მოყვანა გადაუწყვეტია, რითაც მის ვაჟს, წვრილშვილიან პლატონს, სარჩო-საბადებლის გაყოფის საშიშროებას უქმნის. როცა მიხვდება, რომ ბეკინას გადაწყვეტილებას ვერ შეაცვლევიანებს, პლატონი თავად მოუძებნის მამას საცოლეს - ორნაქმარევსა და უშვილოს, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, დედინაცვალს ვაჟი შეეძინება. გაბრაზებული პლატონი უარს იტყვის ასაკოვან მამასთან და მის ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრებაზე, კარ-მიდამოს გაყოფს და მარტო დატოვებს ბეკინას, რომელსაც მუშაობა აღარ შეუძლია.

ეს ფაბულაა, ანუ მოკლე შინაარსი. რაც შეეხება სიუჟეტს, ლიტერატურულ პირველწყაროსთან შედარებით ფილმში ის უფრო მცირეა და ეს გასაგებიცაა - აქ ყველაფერი ვერ შევიდოდა, საეკრანო დრო ხომ შეზღუდულია.

ფილმი იწყება სცენარის მეორე სცენიდან, რომელიც სამანიშვილების ეზო-კარსა და მის მკვიდრთა აჩვენებს. პლატონს დილაუთენია ხარები მიჰყავს სამუშაოდ, მეღანო საგზალს ატანს. პლატონი ყანაში მიწას ხნავს.

ლიტერატურულ ტექსტსა და სცენარის ორივე ვარიანტში შემოთავაზებული „მცირედი ბედნიერების“ ხაზი ამ გამოსახულებაში სრულიად უგულვებელყოფილია. პირიქით, ცხოვრებისგან დაღლილი სახეებით, ლანდებივით დადიან მეღანო და პლატონი დილის ბინდბუნდში მარტოდმარტო ებრძვიან მიწას.

გამოსახულების ემოციურ მუხტს ამძაფრებს გია ყანჩელისა და ჯანსუღ კახიძის გულში ჩამწვდომი მძიმე სევდიანი მუსიკა ავისმომასწავებელი ტონებით, რომლებსაც სულ სხვა, ტრაგიკულ განწყობაში გადაჰყავს ფილმი და შორდება ლიტერატურული პირველწყაროს

დასაწყისის სიმსუბუქით მოწოდებულ დრამატიზმს. ფილმის პირველი სცენების დანახვისთანავე იქმნება მოლოდინი, რომ ჩვენ წინ უიმედო ამბავი, ტრაგედია უნდა გათამაშდეს.

მწერალი თეონა ბექიშვილი დავით კლდიაშვილის ნაწარმოების შესახებ წერს: „მიუხედავად კომიკური სიტუაციებისა, ვეთანხმები თ. ვასაძეს, რომ „სამანიშვილის დედინაცვალი“ ტრაგედიაა, ყველა ნიშანი აქვს კლასიკური ტრაგედიისა. პერსონაჟი ბედისწერის პირისპირაა და როგორც არ უნდა ეცადოს გაქცევა, მაინც მოუწევს მასთან შეხვედრა. თუმცა, თუკი კლასიკური ტრაგედია სიკვდილით უნდა სრულდებოდეს, აქ გმირის ტრაგიკული აღსასრული მისი ზნეობრივი დაცემითაა ჩანაცვლებული“ (ბექიშვილი, 2016, <http://mastsavlebeli.ge/?p=11320>). ამის მიუხედავად, „სამანიშვილის დედინაცვალი“ ის ნაწარმოებია, რომელსაც სიცილით წავიკითხავთ და ბოლოს მივხვდებით, რომ ტრაგიკულ ამბავს ვკითხულობდით.

მივყვით სცენარს. სცენარის პირველ ვარიანტში თავიდანვე ვეცნობით ბეკინა სამანიშვილს. ის დილიდან იკაზმება, ქამარ-ხანჯალს იკეთებს, რძალი ხელ-პირს აბანინებს. კაცი მიდის სოფლის სასაფლაოზე, სადაც ცოლის საფლავს ელაპარაკება და მადლობას უხდის, რომ სიზმარში მეორე ცოლის მოყვანის ნება დართო. შემდეგ შედის საყდარში, სადაც სოფლის მღვდელს სთხოვს შვილებთან უშუამავლოს და გააგებინოს, რომ მათ მამას ცოლის შერთვა გადაუწყვეტია.

ეს ზემოჩამოთვლილი სცენები მხოლოდ სცენარშია, ნაწარმოებში არ არის და არც ფილმში შეუტანიათ. სცენარისტების ჩანაფიქრი - ცოტა იუმორი შეერიათ თხრობისთვის - სწორედ კლდიაშვილისეულია, მაგრამ ფილმში მხოლოდ ბეკინას დილის მზადებაა ნაჩვენები, სარკეში უღვაშების სწორებით.

ეპიზოდი, რომელშიც პლატონს ატყობინებენ, რომ მამამის ცოლის მოყვანა უნდა, ლიტერატურულ ნაწარმოებში ვრცელი თხრობითაა შემზადებული. ავტორი ყვება, როგორ ცდილობდნენ დედის გარდაცვალების შემდეგ შვილები დაქვრივებული მამისთვის ეამებინათ, რათა მეორე ცოლის შერთვა არ მოხდომებოდა.

სცენარის პირველ ვარიანტში ეს ეპიზოდი ასევე შემზადებულია ზემოაღნიშნული სცენებით სასაფლაოსა და საყდარში. სცენარის მეორე ვარიანტსა და ფილმში კი საკმაოდ მოუმზადებელია ან, სავარაუდოდ, ავტორი იმედოვნებს, რომ ფილმის მსვლელობისას გავიგებთ, რა და რატომ მოხდა.

ფაქტობრივად კვანძი ფილმის დასაწყისშივე იკვრება, როდესაც კადრში ჩანს სამანიშვილების მიწა და ისმის პლატონის ამოგმინვა: „ეს მამული შუაზე უნდა გამიყოთ?! რა არის აქ გასაყოფი?!“

მოთხრობისგან განსხვავებით სცენარსა და ფილმში ახალი პერსონაჟი ჩნდება - ზოსიმე მღვდელი. პლატონი მას ეუბნება: „ვშრომობ, ვჯახირობ და მეტი არაფერი. ამაზედაც მადლობელი ვარ, ღვთის განგებით ხდება ყველაფერი“.

მადლობის სიტყვის მიუხედავად, არც ამ ფრაზაში იგრძნობა ცხოვრებით კმაყოფილება და „მცირედი ბედნიერების“ შეგრძნება, როგორც ნაწარმოებშია.

სწორედ ზოსიმე მღვდელი აუწყებს პლატონს ბეკინას ცოლის მოყვანის გადაწყვეტილებას. მღვდელს პლატონის პრობლემა არ ესმის და ვერც ვერაფერს უხსნის. „ერთმა დედაბერმა შეგაშინა?!“ - ეუბნება პლატონს. ფილმში კიდევ ერთი მღვდელია - მამა მიხეილი. ის მხოლოდ ერთხელ ჩნდება - გზაში. ასაკოვან მღვდელს პატარა ბიჭი მიჰყავს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში და სწავლის აუცილებლობაზე ესაუბრება. პლატონს

ერთი სული აქვს, როდის დაშორდება მას, რათა პავლია ღმრთიანებისგან ნათხოვარი, დაღლილი და გამძვალტყავებული ცხენიდან დროულად ჩამოვიდეს და გზა ფეხით განაგრძოს.

მოთხრობაში კი მღვდელი საერთოდ არაა. ის მხოლოდ ერთხელ იგულისხმება ბეკინასა და ელენეს ჯვარისწერის ხსენებისას.

კლდიაშვილის პლატონს მღვდელი და ეკლესია არც ახსენდება, არ სჭირდება. მას თავისი ურთიერთობა აქვს ღმერთთან: თუ მე კარგად ვიქცევი, შენც კარგად უნდა მომექცე - ასეთია მისი მოსაზრება. როცა პლატონს პრობლემები შეექმნა, ზორგვა დაიწყო, სიზმრებმა შეაწუხა და თავადვე შეუდგა უბედურების მიზეზის ძებნას. კითხვაზე: „რატომ?“ მხოლოდ ერთხელ იპოვა პასუხი - ბრეგამეებს რომ საქვრივო გამოვართვი, ალბათ ამის ბრალიაო და საქმე გამოასწორა - ადვოკატ გვერდევანიძეს ვექსილი მისცა.

კინოსურათში მამიდის გარიგების გამო არისტო ქვაშავიძეზე გაბრაზებული პლატონი ამ საქმეს ხელწერილის დახვეითა და არისტოსთვის ვექსილის მიცემით აგვარებს. თან იმედი აქვს, რომ ამის შემდეგ დედინაცვალს მუცელი მოეშლება.

ფილმში პლატონი გაბრაზებულია, მოთხრობაში კი გაოგნებული, გაოცებული, სუსტი, სასოწარკვეთილი, გამხეცებული და სისხლისმსმელი ერთდროულად. კლდიაშვილისეული პლატონის სახე გაცილებით მრავალმხრივად და სიღრმისეულადაა დახატული. იმის მიუხედავად, რომ პლატონს არ ესმის, რატომ დაემართა ასეთი უბედურება, მწერალი ყოველივეს აჩვენებს.

პლატონს ხომ ყველაფერი გარეგნული აქვს - საგარეო, სხვებისთვის დასანახი - ჩოხაც, ცხენიც, მშობლის პატივისცემა... მოთხრობაში ავტორი გარკვევით ამბობს, რომ პლატონი და მისი ცოლი იმის შიშით, რომ მამამ მეორე ცოლის მოყვანა არ მოინდომოს, განსაკუთრებულად კარგად ექცევიან ბეკინას. დაახლოებით ასეთივე დამოკიდებულება აქვს მას ღვთის მიმართაც - მე ხომ კარგად ვიქცევი, შენ რატომ მექცევი ცუდად?

შეიძლება ითქვას, რომ „სამანიშვილის დედინაცვალი“ ღრმად ქრისტიანული ნაწარმოებია. პლატონი, რომელიც მხოლოდ მოჩვენებითაა კარგი შვილი, ისჯება არა ცუდი საქციელის გამო (თავისი ცხოვრების გადასინჯვისას ის ასეთს ვერაფერს პოულობს), არამედ ფარისევლობის, უსიყვარულო გულის, ანგარების გამო. იგი ის ადამიანია, რომელიც ხშირად ახსენებს ღმერთს, მისი იმედი კი არ აქვს.

ნაწარმოებში საერთოდ ვერ ვიგებთ, პლატონს ვინმე თუ უყვარს. თითქოს ყველაფერს ოჯახის, შვილებისთვის უნდა აკეთებდეს, მაგრამ მთელ ნაწარმოებში ერთხელაც არ ახსენებს მათ - არც ცხადში, არც სიზმარში, არც ღმერთთან ჩივილში. სარჩენი რომ ჰყავს, ეს კი იცის.

„არც პლატონს ჰქონდა სასიამოვნოდ, რასაკვირველია, ბევრი შვილი, მაგრამ რას იზამდა, მხოლოდ თავს გადააქნევდა, როცა მათ თვალს გადაავლებდა ხოლმე“, - ვკითხულობთ მოთხრობის დასაწყისში (კლდიაშვილი, 2016 წ., გვ. 4). თან ეს მაშინ ხდებოდა, როცა პლატონს დედა ცოცხალი ჰყავდა და მამულის მოზიარის არსებობას ვერც წარმოიდგენდა. და ყველაფრის მიუხედავად, იგი მაინც გვეცოდება.

ფილმში პლატონი ასეთი სიღრმით ვერ გამოჩნდა. ჩვენ დავინახეთ მისი შრომისმოყვარეობა, სიმშვიდე, წესიერება, სიღარიბე, ცოტა ამპარტავნებაც, უბედობა, გაბრაზება, სასოწარკვეთა, შეურიგებლობა, მაგრამ პლატონივით ვერც ჩვენ გავიგეთ - რატომ დაემართა ეს უბედურება. გვეცოდება, როგორც ბედისწერისგან დაჩაგრული ანტიკური გმირი, რომელსაც ანტიგმირი არა ჰყავს, რადგან არც ბეკინაა მისი მოწინააღმდეგე თავის „მშვენიერ ელენესთან“ ერთად. ჩვენ მათიც კარგად გვესმის.

„...თუკი გმირი სახლიდან უნდა გავიდეს და ნადავლით დაბრუნდეს, როგორც ეს, ვთქვათ, ჯადოსნური ზღაპრის სტრუქტურაშია, მაშინ გამოდის, რომ პლატონის ნადავლი

ელენეა, რომელიც თავისთავად აღძრავს მშვენიერი ელენეს პაროდულ ასოციაციას და მწერლის იუმორის უფრო დაფარულ ღრმა შრეებზე მიგვანიშნებს. მით უფრო, რომ პლატონიც ანტიკური სამყაროდან მომავალი სახელია და იქნებ აქაც დამატებითი ირონია დევს. ორნაქმარევი და უშვილო სადედინაცვლოს მამიებელ კაცს ჭეშმარიტების მამიებელი ფილოსოფოსის სახელი ჰქვია. თუმცა ეს სახელები ისედაც გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში“ (ბეჭიშვილი, 2016, <http://mastsavlebeli.ge/?p=11320>).

ნაწარმოები უდავოდ ატარებს ბერძნული ტრადიციის ნიშნებს. ამასთან, ევროპული სარაინდო რომანის ალუზიებსაც იწვევს. ეს გმირის მოგზაურობაა.

მწერალი თეიმურაზ შავლაძე აღნიშნავს: „პლატონის სამოქმედო სივრცე, მართალია, რაღაც ორ-სამიოდე სოფლით თუ შემოიფარგლება, მაგრამ მოგზაურობა მაინც მოგზაურობაა, რაინდობასთან გაიგივებული. რაინდი უცხენოდ კი წარმოუდგენელია, რაც არ უნდა დრო და ჟამი იყოს გასული თუ შეცვლილი“ (შავლაძე, 2018 წ., გვ. 245).

პლატონსაც ჰყავს თავისი „რაში“ თუ „ტაიჭი“. დიახ, ის ერთდროულად „ვეფხისტყაოსნის“ გმირიცაა და დულისინეას სამეზნელად გამგზავრებული დონ-კიხოტიც პავლია ღომიაშვილისგან ნათხოვარი როსინანტით, რომელსაც გვერდით ჭამა-სმის მოყვარული სანჩო პანსა (კირილე მიმინოშვილი) დაჰყვება.

და ეს ყველაფერი ირონიით, სევდიანი ღიმილით, ზოგჯერ ცრემლით. გამოჩნდა კი ეს ფილმში? ერთია ლიტერატურა და მეორე - კინო. სათქმელი კინოენაზე უნდა ითარგმნოს, კინოს სპეციფიკას მოერგოს. ასეთი კარგად „გადათარგმნილი“ სცენები საკმაოდაა ფილმში.

კინოსცენარის ფორმაში ზუსტად ჩაჯდა კირილეს ხაზის გაზრდა. თუ ნაწარმოებში ის მამიდის სახლში ატეხილი აურზაურის შემდეგ იკარგება და მხოლოდ ელენეს „მოტაცების“ ეპიზოდებიდან ჩნდება, სცენარსა და ფილმში თითქმის მთელი ოდისეას განმავლობაში პლატონს თან ახლავს. ეს გმირი სიხალისეს, სიცოცხლესა და დინამიკას მატებს ფილმს.

ცალკე აღვნიშნავდი ქორწილის ეპიზოდს, რომელშიც პლატონი ქვრივი დედაკაცებით ინტერესდება; შეზარხოშებული მათ გუნდს უერთდება დედინაცვლის ძიების იმედით და მათთან ცეკვავს.

ასეთივეა სცენა სასაფლაოზე: არისტო ქვაშავაძე ცდილობს დაუმტკიცოს პლატონს, რომ მამიდამისი ორჯერაა დაქვრივებული და მისი ქმრების საფლავებს ეძებს.

მხატვრული გადაწყვეტის თვალსაზრისით, საინტერესოა ბორნის სცენაც, როცა პლატონსა და კირილეს წყალში მოუწევთ გადახტომა, შემდეგ კი სველები გზაზე მიდიან (ამ ეპიზოდის იუმორს და კომედიურობას მუსიკა ამძიმებს). სცენარის პირველ ვარიანტში (მეორეში, უფრო შეკუმშულად) სველი მგზავრები ტანსაცმელს იშრობენ, შემდეგ მიადგებიან სამკურნალო წყალს, საიდანაც უშვილობის სამკურნალოდ ჩასული დედაკაცები წივილ-კივილით გამოაგდებენ. ეს სცენა ფილმში არ შევიდა.

პლატონის ცხენის პოვნის ეპიზოდიც სცენარში ფილმზე მეტად სახალისოა. სამაგიეროდ, კირილეს დუქანში შესვლის სცენა უცვლელადაა სცენარიდან ფილმში გადატანილი. ზოგადად კი, ყველა ჩამოთვლილი სცენის სიმსუბუქე სცენარიდან ფილმში მძიმე ინტონაციით გადავიდა, რაც დიდწილად მუსიკამ განაპირობა.

სცენარში კარგადაა მოფიქრებული ბეკინას და ელენეს გამგზავრება პლატონის დასთან, დარიკოსთან, რაც ავტორებს საშუალებას აძლევს გმირებს დროის გასვლის შემდეგ შევხედოთ. მაყურებელთან ერთად ხედავს მათ პლატონიც და მისი ეჭვები დედინაცვლის ორსულობის შესახებ მართლდება.

შესაბამისად, გამართლებულია კულმინაციური სცენაც, რომლის დროსაც ვახშამზე პლატონის წონასწორობიდან გამოსვლა ზუსტადაა შემზადებული. სცენარის პირველ

ვარიანტში მანამდე კიდევ ორი სცენა იყო: პლატონის კომმარული სიზმარი და მისი მისვლა სოფლის მკითხველთან - აკვირინე ბიცოლასთან. ისინი სცენარის მეორე ვარიანტში აღარ გვხვდება, რაც სრულიად გამართლებულია.

კარგი დრამატურგიული ფორმაა ნაპოვნი ბეკინას შვილის დაბადების სცენისთვის. ელენე მშობიარობს, პლატონი გარეთ ელოდება. მოდის კირილე, რომელიც ჯერ იმედს აძლევს პლატონს - გოგო იბადებაო და შემდეგ გახარებული ისვრის თოფს, რითაც სოფელს ბიჭის დაბადებას აუწყებს.

როგორც აღვნიშნე, ყველა ეს სცენა სცენარის ავტორების მოფიქრებულია და ლიტერატურულ პირველწყაროში არ არის.

სამაგიეროდ, არის სცენები, რომლებიც მოთხრობაში გვხვდება, სცენარსა და ფილმში კი - არა, თუმცა მოუხდებოდა. მაგალითად, სცენა, თუ როგორ უცებ ჩაება ელენე საოჯახო საქმეებში, როგორი კეთილგანწყობაა მასა და გერებს შორის, რითაც უკეთ ჩანს ელენეს ხასიათი და ბუნება. მისი სახე ფილმში უფრო ღარიბია, ვიდრე მოთხრობაში.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ფილმს (და სცენარსაც) მოთხრობისგან განსხვავებით შინაარსობრივად ყველაზე მეტად აკლია, არის პლატონის განცდები და დიალოგი საკუთარ თავთან - რატომ დაემართა მას, ასეთ წესიერ და პატიოსან ადამიანს ეს განსაცდელი. მისი ამპარტავნობა ბოლომდე ჩანს ამ სცენებში. ფილმში კი შესაბამისი ეკრანული ვერსია არ გვაქვს.

მოთხრობაში ნათლად ჩანს, რომ როდესაც კრიტიკული სიტუაცია იქმნება, პლატონის მოჩვენებითობა ქრება და ჩნდება ნამდვილი პლატონი - მესაკუთრე, დაუნდობელი, სასტიკი, რომელსაც არ აწუხებს სინდისი, თავი დამნაშავედ არ მიაჩნია და, პირიქით, კითხულობს: „მე შემიბრალა ვინმემ“?

„პლატონი ცხოვრებამ გააბოროტა. გააღვიძა მასში ის მხეცი, რომელიც, თავისდა გაუცნობიერებლად ბუდობდა და სახლობდა მასშივე. მისი „აზნოუშვილური“ კეთილშობილება მხოლოდ ნიღაბი აღმოჩნდა... პლატონიც, სამწუხაროდ, მიწიერება-ბიწიერებით ნაკლულოვანი აღმოჩნდა, მხოლოდ და მხოლოდ მიწიერი სურვილებით მეტყველ-მზევრელი, ამიტომ, როგორც პიროვნება, სუსტი და ვერც შემდგარი. თუმცა კი, სადღაც ღვთისმოშიშიც, მაგრამ, აქაც, ასევე და ასევე, პიროვნული ინტერესების ტყვე და ანგარებიანი მორწმუნე“ (შავლაძე, 2018 წ., გვ. 246).

იმედა კახიანის პლატონი ფილმის დასაწყისიდან ბოლომდე თითქოს არც იცვლება. მისი გაბრაზებაც მოზომილია და ეპიზოდური. ეს გმირი უფრო საცოდავია, უმწეო, „გატკბილული“, ზედმეტად ლამაზი და სრულიც (თუმცა, მსახიობმა ამ როლისთვის წონაში დაიკლო). ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ მასში არ იგრძნობა ცეცხლი, დუღილი, რომელიც ბოლოს ამოიფრქვევა და პლატონის ნამდვილ სახეს დაგვანახებს.

ელდარ შენგელაიამ არ გვიჩვენა, თუ როგორ იქცა თანდათანობით, ერთი შეხედვით, კარგი ადამიანი მოწილის გაჩენის შემდეგ მხეცად, სისხლისმსმელად, ნადირად, რომელიც ჯერ გარე-გარე დაეხეტება, შემდეგ კი დაუნანებლად გაეყრება მამას და არც მის ბოდიშს იღებს და არც სიკვდილისწინა თხოვნას - შეიბრალოს უდანაშაულო ჩვილი.

რეზო ჭეიშვილისა და ელდარ შენგელაიას სცენარი მთავრდება სცენით, რომელშიც პლატონის გაკეთებულ ღობეზე ჩამოცმულ ცხენის თავის ქალას ექვსიოდე წლის ბიჭი გამეტებით ურტყამს ხის ჯოხს. გასაგებია, რომ ეს პლატონის ნახევარძმაა. შესაძლოა, თავის ქალაც იმ ცხენის იყოს, რომლითაც დედამისი „მოიტაცეს“ სამანიშვილებმა. მთავარი კი ისაა, რომ ბავშვის სახით ახალი მოძალადე იზრდება.

ეს სცენა ფილმში არ შევიდა. კინოსურათი მთავრდება პლატონისა და ბეკინას დიალოგით. ეზო-კარის გამყოფ ღობეს, მიჯნას, სამანს ავლებს პლატონ სამანიშვილი. ღობეს

მეორე მხრიდან მამამისი მისდგომია და შვილს პატიებასა და შებრალებას სთხოვს. მისი ბოლო ფრაზაა: „შებრალება არ იციან თქვენში?“. სცენარში, როცა ბეკინას ფიგურა მთლიანად დაიფარება შვილის მიერ აღმართული ღობით, პლატონი მაშინ უპასუხებს მამას (რომელსაც თვალით უკვე ვეღარ ხედავს): „მე ვინ დამზოგა, მე ვინ შემიბრალა, დამზოგეთ ვინმემ?“

ფილმში შვილი თვალებში ჩახედავს ბეკინას და ერთი ლაკონიური ზუსტი ფრაზით უპასუხებს: „მე შემიბრალა ვინმემ?!“. ფინალში კვლავ შემოდის მძიმე სევდიანი მუსიკა.

ლიტერატურათმცოდნე კიტა აბაშიძე წერდა: „თუ დავით კლდიაშვილი ერთი ხელით გულს დაგიკოდავს, მეორე ხელით მაღამოს წასცხებს. თუ გულისამრევ სურათს დაგიხატავთ, იქვე ამ სურათის სასაცილო მხარეს დაგანახებთ... დავით კლდიაშვილის ნაწარმოებებისაგან გამოწვეული სიცილი ყოველთვის ცრემლნარევი და ცრემლი სიცილის კარებთან დგას“ (აბაშიძე, 2013, <http://genia.ge/?p=5395#more-5395>).


შეიძლება ითქვას, რომ ფილმი „სამანიშვილის დედინაცვალი“ ამ მაღამოს გარეშეა გადაღებული.

მთელი მასალის შედარებისას იკვეთება, რომ ლიტერატურული პირველწყაროს სრულყოფილებასთან ყველაზე ახლოა სცენარის პირველი ვარიანტი, შემდეგ - მეორე ვარიანტი და ყველაზე ნაკლებად - ფილმი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) აბაშიძე, კ. (2013). დავით კლდიაშვილის შესახებ წერდნენ. <http://genia.ge/?p=5395#more-5395>, ბოლოს ნანახია 30.09.20
- 2) ბექიშვილი, თ. (2016). სამანიშვილის დედინაცვალი. <http://mastsavlebeli.ge/?p=11320>, ბოლოს ნანახია 30.09.20
- 3) კლდიაშვილი, დ. (2010). სამანიშვილის დედინაცვალი. თბილისი. პალიტრა L.
- 4) საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. სეა უიცა, ფ. 52, ა. 2, ს. 5449
- 5) შავლაძე, თ. (2018). ლიტერატურული პერსონაჟები. თბილისი. ბაკმი.
- 6) შენგელაია, ე. (2018). ინტერვიუ, ფილმები შვილებივით არიან - განსჯა არ შეიძლება! <http://qartuliazri.reportiori.ge/inside.php?menuid=48&id=17813>, ბოლოს ნანახია 30.09.20

ფოტოები:



კადრი ფილმიდან „სამანიშვილის დედინაცვალი“



დავით კლდიაშვილი



რეზო ჭეიშვილი და ელდარ შენგელაია

„Samanishvili s' Step-Mother“ - from word to image

Ketevan Pataraiia

Shota Rustaveli Theater and Film Georgian State University

Summary

Every artist deals with the same topic differently and says what he has to say in his/her own image. Thus, the same theme or character artistically portrayed by two different creators differs from each other.

The novel „Samanishvili's Step-Mother“ is typically tragicomic impregnated with what the author (Davit Kldiashvili) himself referred to as „tears mixed with a smile“. Everyone knows the plot of this great novel: Improperished old nobleman Bekina insists on marrying a wife, but his son Platon does not want to have sharer in father's inheritance. Platon finds two times widowed and childless bride for Bekina, but a fate makes fun of him.

In 1975, writer and screenwriter Rezo Cheishvili wrote the screenplay „Samanishvili's Step-Mother“ for the movie of Eldar Shengelaia. But, this is not only version of this script.

Screenplay fund of the film studio „Georgian Film“ of Georgian National Archives stores material related to both the first and the second „Samanishvili's Step-Mother“. The material is: Applications, Contracts, Scripts... Comparing and getting to know them allows us to see the difference between them and helps us find out why film director Eldar Shengelaia favored one of them.

Kldiashvili's writing is powerful without being preachy and lighthearted without being light. It is soaked in despair and unbearable laughter. Were the authors able to convey this in the script and in the film? What is interesting about „Samanishvili's Step-Mother“ – as a literary and cinematic work today, 123 years after its writing and 43 years after its shooting?

გრიგოლ ჩხიკვაძის კახეთის 1952 წლის ექსპედიციის მასალები თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის არქივში

ნატალია ზუმბაძე

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

გამოჩენილ ქართველ მუსიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს, გრიგოლ ჩხიკვაძეს (1898-1986), უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართველი ხალხის ეროვნული საგანძურის – ტრადიციული საერო და სასულიერო მუსიკის ჩაწერასა და გამოცემაში, კვლევასა და სწავლებაში, შესრულებასა და პროპაგანდაში. და მაინც, შეიძლება ითქვას, რომ გ. ჩხიკვაძის შემოქმედებით ბიოგრაფიაში გამორჩეული ადგილი შემკრებლობით საქმიანობას უჭირავს.

სახელოვანი რუსი ეთნომუსიკოლოგი, ევგენი გიპიუსი, გ. ჩხიკვაძეს ახასიათებს, როგორც ქართული სასიმღერო ფოლკლორის ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ შემკრებს (Гиппиус, 1944, გვ. 1). ე. გიპიუსის აზრით, გ. ჩხიკვაძის სამეცნიერო მემკვიდრეობას განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს სიმღერასთან მისი მრავალმხრივი ურთიერთობა, მათ შორის, როგორც შემკრებისა (Гиппиус, 1944, გვ. 1).

გ. ჩხიკვაძის სახელი განუყრელად არის დაკავშირებული თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან, სადაც ის მე-20 საუკუნის 20-იანი წლების დასასრულიდან გარდაცვალებამდე, 1986 წლამდე, მუშაობდა. სწორედ ბ-ნი გრიგოლის დამსახურებაა კონსერვატორიაში 1935 წელს ქართული მუსიკის კაბინეტის, 1946 წელს მუსიკალური ფოლკლორისტიკის განყოფილების და შემდეგ ლაბორატორიის, ხოლო 1970 წელს ამავე სახელწოდების კათედრის დაფუძნება; რომლებსაც თავიდან თვითონვე ედგა სათავეში. გ. ჩხიკვაძის სახელს უკავშირდება, ასევე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში 1945 წელს მუსიკალური ფოლკლორისტიკის განყოფილების დაარსება და 1953-1960 წლებში მისი ხელმძღვანელობა. დასახელებული სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება სავსე ექსპედიციების ჩატარება და მასალების მოძიება-ჩაწერა იყო.



გ. ჩხიკვაძე (მარცხნივ) კონსერვატორიის ფოლკლორის კაბინეტში ექსპედიციების რუკასთან.

საექსპედიციო მუშაობა გ. ჩხიკვაძემ 1920-იანი წლების დასასრულს კახეთიდან დაიწყო: 1927 წელს სიმღერებს იყალთოში იწერდა, 1929 წელს – რუისპირსა და ვარდისუბანში

(ჩხიკვაძე, 1981, გვ. 22). პირველი ნაბიჯები კი ამ სარბიელზე ჯერ კიდევ 1910-იანი წლების ბოლოს გადაუდგამს. მისი ინფორმატორები ყოფილან მამიდები, რომლებიც კარგად მღეროდნენ და უკრავდნენ გიტარაზე (მესხი (2005). გრიგოლ ჩხიკვაძე. *თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ბიულეტენი*, №3, გვ. 20). 1930-იანი წლებიდან მოყოლებული გ. ჩხიკვაძე საკუთარი ექსპედიციებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეს სისტემატურად სტუმრობდა. 1946 წელს დაწერილ ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს, რომ ხალხური მუსიკის შესაკრებად ჩატარებული აქვს არაერთი სამეცნიერო ექსპედიცია და ჩაწერილი აქვს 500-მდე სიმღერა, მათ შორის, ქართლური, კახური, იმერული, გურული, მეგრული, აფხაზური, ლაზური, ხევსურული, მთიულური და ქალაქური (Чхиквадзе, 1946). საყურადღებოა, რომ 1966 წელს მეცნიერმა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მიიწვია თანამგალობლების გარეშე დარჩენილი არტემ ერქომაიშვილი (1887-1967) და ეთნომუსიკოლოგ კახი როსებაშვილთან ერთად მისგან ჩაიწერა შემოქმედის სკოლის 100-ზე მეტი საგალობლის ხმები. ეს უნიკალური ფონოჩანაწერები ინახება კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის არქივში (ამის შემდეგ – თსკ ექმშლ არქივი) (ჩხიკვაძე, როსებაშვილი, 1966, ფ. №№174-189).

გ. ჩხიკვაძის საველე-საექსპედიციო მუშაობა 1970-იანი წლების ბოლომდე გაგრძელდა. ჩაწერილი მასალების მრავალფეროვნებითა და ღირებულებით გამოირჩევა მეცნიერის ხელმძღვანელობით საქართველოს თერთმეტ კუთხეში (სამეგრელო, იმერეთი, რაჭა, სვანეთი, ლეჩხუმი, გურია, აჭარა; ქართლი, კახეთი, ფშავი, ხევსურეთი) 1967 წელს ჩატარებული ექსპედიციები, რომლებშიც ფრანგი კომპოზიტორი, პიანისტი და ეთნომუსიკოლოგი – ივეტ გრიმო (1922-2012) მონაწილეობდა. ეს ექსპედიციები გ. ჩხიკვაძის მიერ მომზადებული სამუშაო გეგმის მიხედვით იყო ორგანიზებული. ჩაწერებში ჩართულები იყვნენ საქართველოს რეგიონების რჩეული შემსრულებლები (მათი შეკრება რეგიონების ხელმძღვანელობას ჰქონდა დავალებული), შემსრულებლებს გ. ჩხიკვაძესთან წინასწარ მიჰქონდათ ჩასაწერი სიმღერების ტექსტები, მუსიკალურ მასალას ი. გრიმოს მიერ პარიზიდან ჩამოტანილი, იმ დროისთვის საუკეთესო აპარატურით იწერდნენ (გრიმო და ქართული სიმღერა (2018), გვ. 8, 15).

გ. ჩხიკვაძის საველე საქმიანობის არეალი მეტად ფართოა – მოიცავს აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველოს ყველა კუთხეს აფხაზეთის ჩათვლით (დაწყებული ხევსურეთით და დამთავრებული ლაზეთის სოფლებით საქართველოს ტერიტორიაზე). თითოეულ მათგანში მეცნიერს რამდენჯერმე უმუშავია. ამავე მიზნით 1950-იან წლებში კახეთში ალავერდობის, სოფელ გავაზის წმ. გიორგისა და სოფელ შილდის ლაშარის ჯვრის დღეობებსაც დასწრებია. ხალხური მუსიკის სოფლური (გლეხური) შტოს ჰანგებთან ერთად ჩაწერილი აქვს ქალაქური და ე.წ. თანამედროვე სიმღერები და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ტრადიციული მუსიკის კიდევ ერთი ნაწილის, გალობის ნიმუშები. ბ-ნი გრიგოლი მხოლოდ ქართული მასალითაც არ შემოფარგლულა – თბილისში ჩაუწერია საქართველოში მცხოვრები ებრაელების, ასურელებისა და ქურთების ხალხური მუსიკაც (ჩხიკვაძე 1981, გვ. 26). ასეთი მასშტაბური მრავალმხრივი და ნაყოფიერი შემკრებლობითი მუშაობა დიდი იშვიათობაა და ღრმა პატივისცემას იმსახურებს.

ეთნომუსიკოლოგიური საქმიანობის აღნიშნული სფეროსადმი გ. ჩხიკვაძის გამორჩეული დამოკიდებულება ვლინდება მის მიერ 1938-1940 წლებში საქართველოს სსრ ხალხური შემოქმედების სახლის საექსპედიციო განყოფილებისა და ფონოლაბორატორიის ხელმძღვანელობის ფაქტშიც (Чхиквадзе, 1946).

შემკრებლობითი მუშაობა ბ-ნი გრიგოლისთვის არა მარტო უაღრესად მნიშვნელოვანი, არამედ განსაკუთრებით საყვარელი საქმეც იყო. ექსპედიციების დროს ამტანობასა და ენერგიულობაში ახალგაზრდებს არ უდებდა ტოლს (მესხი (2005). გრიგოლ ჩხიკვაძე. *თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ბიულეტენი*, №3, გვ. 20). და რა გასაკვირია, რომ თავისი ხელმძღვანელისგან გადასდებოდათ სავსე საქმიანობის სიყვარული მის აღზრდილ სხვადასხვა თაობის ეთნომუსიკოლოგებს, მეტადრე მინდია ჟორდანიას (1929-1979), კახი როსებაშვილსა (1930-1988) და ედიშერ გარაყანიძეს (1957-1998), რომლებმაც ეროვნული მუსიკალური საგანძურის მოძიება-ჩაწერას დიდი ამაგი დასდეს.

ცალკე მსჯელობის საგანია გ. ჩხიკვაძის მიერ ჩაწერილი ხალხური მუსიკის ღირებულება. ამ შემთხვევაში, ყველა დროის შემკრებთა ყურადღების ცენტრში მოქცეულ მამაკაცთა სიმღერებზე რომ არაფერი ვთქვათ, მეცნიერის ღვაწლის აღსანიშნავად მის მიერ მოპოვებული ქალთა ტრადიციული რეპერტუარის ნიმუშების დასახელებაც იკმარებს. ასეთებია: კახური „გონჯა“ (გავაზი, 1955), „დიდება“ (გავაზი, 1955) და ღვთის კარზე სათქმელი „იავნანა“ (შილდა, 1957), რაჭული „ჯამათა“ (გლოლა, 1958), „შრუშანა“ (სადმელი, 1958) და „ზრუნი“ (გლოლა, 1958), სვანური „ირინოლა“ (ფარი, 1960), ლაზური „ჰანანი“ (სარფი, 1963) და იმერული „ბატონების ნანინა“ (ღვანკიტი, 1967). ჩამოთვლილ სიმღერებს სამეცნიეროსთან ერთად დიდი მხატვრული ღირებულებაც აქვს: ბევრი მათგანი მამაკაცთა საუკეთესო მაღალმხატვრულ ნიმუშებს არ ჩამოუვარდება. რომ არა ბ-ნი გრიგოლი, ქალთა სიმღერების ეს შესანიშნავი ვარიანტები შესაძლოა ჩაუწერლად დავიწყებულიყო. მეცნიერის სწორი დამოკიდებულება ქალთა რეპერტუარისადმი, მისი ინტერესი ქართული მუსიკალური ფოლკლორის ამ შედარებით ნაკლებად განვითარებული, მაგრამ მეტად საყურადღებო ნაწილისადმი დღეს განსაკუთრებით დასაფასებელია.

გ. ჩხიკვაძის ნაყოფიერი შემკრებლობითი საქმიანობის ამსახველი მასალები – საექსპედიციო ფონოჩანაწერები და დღიურები დაცულია თსკ ქხმშლ არქივში, თუმცა არასრულად: მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა მოძიება და კონსერვატორიაში დაბრუნება მათი იმ ნაწილისა, რომელიც, სხვადასხვა ინფორმაციით, მეცნიერის სახლში, პირად არქივში ინახებოდა.

წინამდებარე სტატიის თემა გ. ჩხიკვაძის ხელმძღვანელობით ჩატარებული კახეთის 1952 წლის ექსპედიციაა, რაც რამდენიმე მიზეზით არის განპირობებული. ის ერთ-ერთი პირველთაგანია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ექსპედიციებს შორის. ამავე დროს, ეს იყო პირველი მნიშვნელოვანი სამეცნიერო-სამუსიკო ექსპედიცია, რომლის შემდეგაც კახეთი ინტენსიური კვლევა-ძიების ობიექტი გახდა (ჩიჯავაძე, 1962, გვ. 6). და ერთიც: კახეთის 1952 წლის ექსპედიციის მასალები კონსერვატორიის არქივში ინახება სრულად – ფონოჩანაწერებთან ერთად ხელთა გვაქვს ხელნაწერი დღიურებიც (14 რვეული). მუსიკალური და ვერბალური მასალების თანაარსებობა კი უფრო საფუძვლიანი კვლევის საშუალებას გვაძლევს. სწორედ თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო მიემდგნა აღნიშნულ ექსპედიციას თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საგანგებო აუდიოგამოცემაც, რომელზეც ჩემს კოლეგებთან – ქეთევან მათიაშვილსა და თინათინ ჟვანიასთან – ერთად ვმუშაობდი. აუდიოალბომს წინ უსწრებდა ჩვენ მიერ 2005 წელს კახეთის იმავე რაიონებსა და სოფლებში ჩატარებული ექსპედიცია. ორმოცდაცამეტწლიანი შუალედის მიუხედავად, მან საშუალება მოგვცა, ძველი შემსრულებლების შესახებ ინფორმაცია შეძლებისდაგვარად

დაგვეზუსტებინა და შეგვესო (თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საექსპედიციო ჩანაწერები. კახეთი, 1952 (2006), ბუკლეტი).

1952 წლის ექსპედიციას წევრობდნენ: ოთარ ჩიჯავაძე – კონსერვატორიის ხალხური შემოქმედების კაბინეტის ლაბორანტი, თენგიზ ერისთავი – ხმის ჩამწერი კაბინეტის ტექნიკოსი, ედუარდ სავიცი – ასპირანტი, კახი როსებაშვილი და ელისაბედ ბუკია – სტუდენტები. ექსპედიციამ იმუშავა გურჯაანის, ყვარლისა და თელავის რ-ნებში.

კახეთის ექსპედიციის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია გურჯაანში ჩაწერილი საეკლესიო საგალობელი „შენ ხარ ვენახი“ (ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის იამბიკო, ტექსტის ავტორი – დემეტრე I). ის უთქვამთ სახელოვანი ლოტბარის, მომღერლისა და მგალობლის, ლევან მულალაშვილის (1871-1955) გუნდის წევრებს (მგალობელ-მომღერალ ქალ-ვაჟთა გუნდი, რომელმაც მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიაში დაიწყო გალობა; იგი ლ. მულალაშვილს გურჯაანში 1900 წელს შეუქმნია). საექსპედიციო ფონოჩანაწერებს შორის არის გ. ჩხიკვაძის ინტერვიუ ლ. მულალაშვილთან, რომელშიც ექსპედიციის ხელმძღვანელი მადლობას უხდის გუნდის ხელმძღვანელს მისი ორმოცდაათწლიანი მოღვაწეობისთვის ხალხური მუსიკალური კულტურის საკეთილდღეოდ.

„შენ ხარ ვენახის“ ჩანაწერი ერთ-ერთი პირველია ჩვენთვის ცნობილ ქართლ-კახური კილოს საგალობელთა ფონოჩანაწერებს შორის. არ ვიცით, რატომ ვერ ჩაიწერა 1952 წლის ექსპედიციამ სხვა საეკლესიო საგალობლები, რომლებიც ლ. მულალაშვილის გუნდის წევრებმა ასევე იცოდნენ. ისინი კონსერვატორიის უფრო გვიანდელ ექსპედიციებს ჩაუწერიათ ლ. მულალაშვილის უკვე ყოფილი გუნდის წევრებისგან: 1960 წელს ო. ჩიჯავაძის ხელმძღვანელობით – „ღვთისმშობელო ქალწულო“ (ჩიჯავაძე, 1960, ფ. №103,13); ხოლო 1967 წელს ისევ გ. ჩხიკვაძის ხელმძღვანელობით – „შენ ხარ ვენახი“, „მამაო ჩვენო“, „წმინდაო ღმერთო“, „ქრისტე აღდგა“, მიცვალებულის „უფალო, შეგვიწყალებ“, „წმინდაო ღმერთო“ და „სულთა თანა“ (ჩხიკვაძე, 1967, ფ. №199: 11-18). კომუნისტური რეჟიმისას საქართველოში გაბატონებული ათეისტური იდეოლოგიის მიერ რელიგიისა და ღვთისმსახურების დევნის პირობებში ჩაწერილი ე.წ. „კარბელაანთ კილოს“ ეს ნიმუშები ყოფილ მგალობელთა მეხსიერებას შემოუნახავს (ზუმბაძე, 2018, გვ. 3).

საყურადღებოა, რომ ლ. მულალაშვილის გუნდის წევრები საგალობელს კახური ხალხური სიმღერისთვის დამახასიათებელი ხვევებით და ლაღი მანერით ასრულებენ, თუმცა ამგვარი შესრულების არასწორად მიჩნევა ძნელია – ნაკლებად სარწმუნოა, რომ ყოფილ მგალობლებს თავიანთი საქმე კარგად არ სცოდნოდათ. შესრულების აღნიშნული თავისებურებები სამგალობო და სასიმღერო სტილების სიახლოვეზე უნდა მიუთითებდეს.

საექსპედიციო დღიურებში, ლ. მულალაშვილის გუნდის წევრების გარდა, ნახსენებია საგალობლების მცოდნე კიდევ ერთი პირი – ყვარლელი ილია ზაუტაშვილი, რომელიც თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლისას მღეროდა მის გუნდში (გალობაში გუნდს რეგენტი ვანო ბიწკინაშვილი ხელმძღვანელობდა) (ჩხიკვაძე, 1952, რვ. 1), მაგრამ საგალობლები მისგან ჩაწერილი არ არის.

ცალკე უნდა აღვნიშნო ექსპედიციის მიერ ყვარელში ჩაწერილი „ღმერთო, ღმერთო“, რომელიც „კარბელაანთ კილოს“ საგალობლისა და კახური ხალხური სიმღერის ნიშან-თვისებათა შერწყმის ნიმუშია. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის გახალხურებული საგალობელი. „ღმერთო, ღმერთო“ უნდა იყოს ერთ-ერთი იმ ზოგიერთი სიმღერიდან, რომელიც

საექსპედიციო დღიურში მოხსენიებულია „მეტად უნიკალურად“ ყვარლელებისგან ჩაწერილთა შორის (ჩხიკვაძე, 1952, რგ. 10). „ღმერთო, ღმერთო“ შესრულება გ. ჩხიკვაძეს უთხოვია შილდელი მომღერლებისთვისაც (ისინი დღიურში იხსენიებიან როგორც „სიმღერაში დახელოვნებულნი და ხმაშეწყობილნი“), მაგრამ მათ შესაფერისი ბანების არყოლის გამო უარი უთქვამთ (ჩხიკვაძე, 1952, რგ. 11). ყვარლის გარდა, „ღმერთო, ღმერთო“ ექსპედიციას ჩაუწერია ენისელშიც, თუმცა ამ ნიმუშში ბანის შესვლა არასწორი უნდა იყოს. ჩემი სმენითი შთაბეჭდილების სისწორეს ადასტურებს საექსპედიციო დღიურში მოყვანილი ორი ცნობაც – რომ მომღერლებს ეს სიმღერა უკვე ოცდათხუთმეტი წელია არ ემღერათ და ცოტა გადავიწყებოდათ კიდეც და რომ ენისელში სასიმღეროდ შეკრებილი ექვსი კაციდან ბანის მთქმელი სამი ახალგაზრდა ყოფილა (ჩხიკვაძე, 1952, რგ. 11), მათ კი „ღმერთო, ღმერთო“, ცხადია, ვერ ეცოდინებოდათ.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ლ. მუღალაშვილის გუნდისგან ჩაწერილი ხალხური სიმღერები, რომლებიც კახეთის სხვადასხვა მხარის სასიმღერო ტრადიციებში განსაკუთრებული გემოვნებით, მაღალმხატვრულობითა და ხალასი შესრულებით გამოირჩევა. სხვათა შორის, ეს თვისებები ახასიათებს იმ ნიმუშებსაც, რომლებშიც რამდენიმე დამოუკიდებელი სიმღერაა გაერთიანებული, სავარაუდოდ, თავად ლოტბარის მიერ (ამის შესახებ ცნობა არ მოგვეპოვება), თუმცა ისე ბუნებრივად, ძალდაუტანებლად, რომ ხელოვნურობის შთაბეჭდილება არ რჩება. მსგავსი ნიმუშები მოიცავს არა მარტო ერთი და იმავე (მაგალითად, შრომის), არამედ სხვადასხვა ჟანრის სიმღერებსაც (ამისი მაგალითებია სუფრულის სტილის „უჭკნობელო“ და საფერხულო წყობის „შავლეგო“ და „ვარია თუ ვარალალო“).

ცალკეა აღსანიშნავი ლ. მუღალაშვილის საკუთარი სიმღერები; მათ შორის განსაკუთრებული ოსტატობით აღბეჭდილი რამდენიმე ნიმუში კახური და ქალაქური ხალხური სასიმღერო კანონზომიერებების ზედმიწევნით ცოდნასა და უტყუარ ალღოს ეფუძნება. ასეთებია „ლალე“ (კოტე მაყაშვილის ლექსზე) და „მიყვარხარ, ტკბილო კახეთო“. ორივე მათგანი შექმნილია ხალხურ სტილში: პირველი – სოფლური საცეკვაო სიმღერის, ხოლო მეორე – ქალაქურის და, რაც მთავარია, იმდენად წარმატებულად, რომ ქართული ფოლკლორის დეტალებში კარგად გარკვეული პროფესიონალიც კი არ დაეჭვდება მათ ხალხურ წარმომავლობაში. ამ მხრივ ერთადერთი ხელჩასაჭიდი შეიძლება იყოს „ლალეს“ დაწყება ერთდროულად სამივე ხმით, რაც ხალხური შემსრულებლობისთვის უცხოა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ექსპედიციის წევრების დასწრებას ლაშარის ჯვრის დღეობაზე ყვარლის რ-ნის სოფელ შილდაში. მლოცველ დედაკაცებს საგალობლები („იავნანა“, „დიდება“ და „მრავალჟამიერი“) იქ „მთელი წესებით შეუსრულებიათ“: „დიდება“ უმღერიათ წრიული ფერხულით – შუაში ჩაყენებულ რამდენიმე ქალს გარს უვლიდნენ მიმართულების შეცვლით (ჩხიკვაძე, 1952, რგ. 10); „იავნანა“ – ნიშის სამგზის გარშემოვლითა და პირჯვრისწერით, აღმოსავლეთ მხარეს მოქცევისას შემოტრიალებითა და სვლის გაგრძელებით. ტრადიციულ გარემოში შესრულების ჩვეულ დროსა და ადგილას, უშუალოდ მლოცველების მიერ ნამღერი ეს ნიმუშები მეცნიერულად მეტად სანდო და ღირებულია.

ქალთა რეპერტუარის კიდეც ერთი ნიმუში „დედამთილის დატირება“ (იგივე „ზარი“) ექსპედიციას ყვარელში მამაკაცებისგან ჩაუწერია. მიუხედავად ამისა, თავისი მელოდიური და ჰარმონიული კანონზომიერებებითა და შესრულების ფორმით (სოლისტების მონაცვლეობა

გაბმული ბანის ფონზე) ის ზედმიწევნით ზუსტად ასახავს კახელ ქალთა გლოვის მუსიკალურ თანხლებას. ეს გასაკვირი არ არის, რადგან მამაკაცები ამ შემთხვევაში ქალებს ბაძავენ.

საგულისხმოა ექსპედიციის მიერ ჩაწერილი ერთი და იმავე სახელწოდების მქონე სიმღერების ძველი და ახალი ვერსიები და მათთან დაკავშირებული შემსრულებლებისეული განმარტებები. ასეთებია ყვარელში ჩაწერილი „ბერიკაცი“ და თელავის რ-ნის სოფელ აკურაში ჩაწერილი „მუშურები“. ყვარელი მომღერლის, ილია ზაუტაშვილის აზრით, „ახალი ბერიკაცის“ ფუძე „ძველი ბერიკაცია“ (ჩხიკვაძე, 1952, რგ. 11). აკურაში მოპოვებული ცნობით, „ახალ მუშურს“ იმიტომ უძახიან, რომ ბანი გადაკეთებულია – უფრო მარტივია, სწორი, გაჭიმული, „ძველი მუშურის“ ბანი ხვეულებით ხასიათდება (ჩხიკვაძე, 1952, რგ. 11). როგორც მუსიკალური ტექსტებიდან ირკვევა, „ხვეულებში“ შემსრულებლები გულისხმობენ მოძრაობას, მოძრავ ბანს და არა აუცილებლად ჩახვევას, ორნამენტებს, თუმცა კახური სიმღერის ბანისთვის რომ ეს უკანასკნელიც არ არის უცხო, ამავე ექსპედიციის სხვა ჩანაწერებით დასტურდება (ასეთია, მაგალითად, ლ. მულალაშვილის გუნდის მიერ შესრულებული „ჩაკრულო“). ერთი სიმღერის ძველი და ახალი ვერსიები აქვს მხედველობაში ი. ზაუტაშვილს მაშინაც, როცა „დიამბეგოს“, რომელსაც ყვარელში წინათ მღეროდნენ, განასხვავებს მისი თანადროულისგან, გადაკეთებულისგან (ჩხიკვაძე, 1952, რგ. 11). ხალხური მომღერლების განმარტებებიდან აშკარაა, რომ ტერმინებით „ძველი“ და „ახალი“ ისინი სიმღერის მუსიკალურ მხარეში მომხდარ ცვლილებას აღნიშნავენ.

შემსრულებლებისგან მოპოვებული ინფორმაციიდან ირკვევა ჩაწერილი სიმღერების დანიშნულება, შესრულების დრო და ადგილი, ფორმა და წესი. მოვიყვან მაგალითებს: „მუმლი მუხასას“ მღეროდნენ – ყანაში წასვლისას (ველისციხე, გიგა ღვინიაშვილი. ჩხიკვაძე, 1952, რგ. 1), თოხნის დაწყებისას და მუშაობის დამთავრების შემდეგ (ყვარელი, ალექსი ყოჩიაშვილი. ჩხიკვაძე, 1952, რგ. 1), თოხნაში (ართანა, სოლომონ ჩაჩაური. ჩხიკვაძე, 1952, რგ. 6); „მუშურები“ არის თოხნის, მკისა და ვენახის (ყვარელი, ალექსი ყოჩიაშვილი. ჩხიკვაძე, 1952, რგ. 1), მღეროდნენ ყურძნის კრეფის, წურვისა და სხვა დროს, თითქმის ერთნაირი იყო (ველისციხე, გიგა ღვინიაშვილი. ჩხიკვაძე, 1952, რგ. 1), ნავში „მუშურს“ ბევრი მღერის – ხან ერთი, ხან მეორე, კითხვა-პასუხივით, ორივე ერთ ხმაზე (ართანა, სოლომონ ჩაჩაური. ჩხიკვაძე, 1952, რგ. 6); „შავლეგოს“ მღეროდნენ ეკლესიის შემოვლის დროს (ყვარელი. ჩხიკვაძე, 1952, რგ. 1), „ოდურს“ – მკისას, „კალოურს“ – ლეწვისას, „ურმულს“ გზაში ღიღინებდნენ; ტაშის კვრით თამაშობისას სხვა არის, ჭიდაობისას – სხვა, ორივეს ბანი უნდა, ერთი კაცი სთვლის, მეორე „არაღე, არაღოს“ იძახის (ართანა, სოლომონ ჩაჩაური. ჩხიკვაძე, 1952, რგ. 6); „ფერხისას“ მღეროდნენ მეფე-პატარძლის შემოყვანის დროს და კერას უვლიდნენ გარშემო (ველისციხე, გიგა ღვინიაშვილი. ჩხიკვაძე, 1952, რგ. 1); „ოროველა“ ორპირულია – გუთანს უკან მიჰყვება ოთხი კაცი, რიგრიგობით მღერიან (კარდენახი. ჩხიკვაძე, 1952, რგ. 9).

შემსრულებელთა საქციელსა და გამონათქვამებში ასახულია ტრადიციის მატარებელთა შეხედულებები სიმღერის ხმების ხასიათისა და თავისებურებების, ფუნქციებისა და სახელების შესახებ, ასევე – ხმების შეფასების კრიტერიუმები. ასე მაგალითად: შილდელ მომღერლებს უარი უთქვამთ „ღმერთო, ღმერთოს“ მღერაზე – ბანს მიხვევ-მოხვევა სჭირდება და აქ ისეთი არავინა გვყავს, რომ გვითხრასო (ჩხიკვაძე, 1952, რგ. 11); ენისელში სასიმღეროდ შეკრებილი ექვსი კაციდან სამი ბანის მთქმელი ყოფილა, მაგრამ მოხუცი მომღერლები, თურმე, ბუზღუნებდნენ – აბა რა უნდა გამოვიდეს ასე ცოტა ბანით, ბანი ძლიერად უნდა გუგუნებდესო (ჩხიკვაძე, 1952, რგ. 11); ამავე სოფელში (ენისელში) მოხუცი შემსრულებლები სიმღერის დაწყებამდე თურმე ერთმანეთს ეკითხებოდნენ – შენ დაიძახებ

თუ მე დავძახო? ტერმინი „დამახეზა“ გულისხმობს დაწყებას (ჩხიკვაძე, 1952, რგ. 11), „დამძახებელი“ კი – დამწყებს, რომელიც, ხალხური შეხედულებით, პირველი ხმაა; შილდაში უქიათ სიკო ხატიამვილის ხმა – დიდხანს შეუძლია სიმღერაო (ჩხიკვაძე, 1952, რგ. 1).

ექსპედიციის მიერ ჩაწერილი ზოგიერთი ცნობა მეტად საყურადღებოა ქართველთა ყოფაში ბანით მღერის (ანუ მრავალხმიანობის) მნიშვნელობის საკვლევად, მისი აუცილებლობის შესაფასებლად. დღიურის მიხედვით, შილდაში ერთ განთქმულ მოზარეს (ნინო ნაბორაშვილს) უარი უთქვამს ტირილზე ბანის გარეშე – ისეთი ტირილი გაგიჩაღოთ, რომ თქვენც აგატიროთ, მაგრამ ბანის მთქმელები არა მყვანან, ქალები ყანაში არიან დგომით წასულიო.

საგულისხმოა ინფორმაცია უწინდელ კახელ მომღერლებსა და მათ რეპერტუარზე, შეხედულება ძველი სასიმღერო ტრადიციის მდგომარეობასა და მისი გადარჩენის გზაზე. ყვარელში ჩაწერილი ცნობით, წინათ იქ კარგი მომღერლები ყოფილან ფიდო გელაშვილი და ფიდო პაპუაშვილი. ისინი მღეროდნენ „ყურშაოს“, რომელიც ექსპედიციის ჩატარების პერიოდში (1952) ყვარელში უკვე აღარავის სცოდნია; „დიამბეგოს“, რომელიც არ ჰგავდა თანამედროვეს, გადაკეთებულს (ილია ზაუტაშვილი. ჩხიკვაძე, 1952, რგ. 11). ენისლელი მოხუცი – პართენა არჯევანიშვილი – უწინ კარგი მომღერალი ყოფილა. სცოდნია „ყურშაო“, „შუშანა“ და სხვა ძველი სიმღერები. გრძნობდა, რომ ისინი ორ-სამ მოხუცთან ერთად დაიკარგებოდა, ამიტომ უნდოდა თავისი ცოდნა ახალგაზრდებისთვის გადაეცა, მაგრამ ახალგაზრდები ძველს აღარ სწავლობდნენ, „ახალი მოდის“ სიმღერებს მღეროდნენ (ჩხიკვაძე, 1952, რგ. 11).

დღიურები ფონოჩანაწერებთან ერთად საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის ექსპედიციის პერიოდში კახეთის სხვადასხვა სოფელში ხალხური მუსიკის ფუნქციონირების შესახებ: მაგალითად, აკურაში სიმღერით ჭურღულაშვილების გვარეულობა ყოფილა განთქმული; იყალთოში ძველი სიმღერები ცოტასდა სცოდნია, მაგრამ სამაგიეროდ ჰქონიათ ადგილობრივი სახალხო პოეტების ლექსებზე დამღერებული საფანდურო სიმღერები, რომლებიც სხვაგან არ იმღერებოდა. ამავე თვალსაზრისით საინტერესოა ველისციხის თვითმოქმედი ანსამბლის რეპერტუარი, რომელშიც ჩამოთვლილი სიმღერების უმეტესობა ახალი, საბჭოთა პერიოდის, ავტორისეული ნიმუშია (მათ შორის, სიმღერები პოლიტიკოსებსა და გმირებზე ბელადზე, ბერიასა და ჯინჭარაძეზე, „მშვიდობის ხმა მზიური საქართველოდან“, „სატრფიალო“ და „ნუ გიყვარს, ქალავ“) და მხოლოდ უმცირესობაა ძველი, ხალხური, სოფლური („სუფრული“, „დიამბეგო“, „ჩონგურო“ და „ქართველო, ხელი ხმაღს იკარ“).

წინამდებარე კვლევა და მასში წარმოჩენილი საკითხები ააშკარავებს კახეთის 1952 წლის ექსპედიციის მიერ ჩაწერილი მუსიკალური და ვერბალური მასალების მნიშვნელობას, მათ შემეცნებით, პრაქტიკულ-სამემსრულებლო და სამეცნიერო ღირებულებას. გ. ჩხიკვაძის საველე ფონოჩანაწერები და დღიურები თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის არქივის სიმდიდრეა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. გრიმო და ქართული სიმღერა (2018). თბილისი.

2. ზუმბაძე, ნ. (2018). აღმოაჩინე საქართველო ტრადიციული მუსიკით. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საექსპედიციო ჩანაწერები. აუდიოალბომი, ბუკლეტი. ვარშავა.
3. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საექსპედიციო ჩანაწერები. კახეთი 1952 (2006). აუდიოალბომი. თბილისი.
4. მესხი, თ. (2005). გრიგოლ ჩხიკვაძე. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ბიულეტენი, №3, გვ. 19-21. თბილისი.
5. ჩიჯავაძე, ო. (1960). კახეთის ექსპედიციის ფონოჩანაწერები. ფირი №103. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის არქივი (თსკ ქსმშლ არქივი).
6. ჩიჯავაძე, ო. (1962). ქართული (კახური) ხალხური სიმღერები. ნაწილი პირველი. თბილისი. ცოდნა.
7. ჩხიკვაძე, გ. (1952). კახეთის ექსპედიციის ფონოჩანაწერები. ფირები №№9-15. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის არქივი (თსკ ქსმშლ არქივი).
8. ჩხიკვაძე, გ. (1952). კახეთის ექსპედიციის დღიურები. რვეულები №№1-14. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის არქივი (თსკ ქსმშლ არქივი).
9. ჩხიკვაძე, გ. (1967). კახეთის ექსპედიციის ფონოჩანაწერები. ფირი №199. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის არქივი (თსკ ქსმშლ არქივი).
10. ჩხიკვაძე, გ. (1981). ქართული მუსიკალური ფოლკლორი და ფოლკლორისტიკა სამოცი წლის მანძილზე (1921-1981). წლიური სამეცნიერო ნაშრომი. ხელნაწერი. №3446. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის არქივი (თსკ ქსმშლ არქივი).
11. ჩხიკვაძე, გ., როსებაშვილი, კ. (1966). გურული საგალობლების ფონოჩანაწერები. ფირები №№ 174-189. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის არქივი (თსკ ქსმშლ არქივი).
12. Гиппиус, Е. (1944). Отзыв-характеристика о научной деятельности Г. З. Чхиквадзе. ასლი. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის არქივი (თსკ ქსმშლ არქივი).
13. Чхиквадзе, Г. (1946). Автобиография. ასლი. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის არქივი (თსკ ქსმშლ არქივი).

Materials of Grigol Chkhikvadze's Field-Expedition to Kakheti (1952) in the Archives of Tbilisi State Conservatoire

Natalia Zumbadze

Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire

Field-gathering activities have a special place in creativity of Grigol Chkhikvadze – famous Georgian ethnomusicologist and public figure. This part of the scholar's activity is reflected in the audio recordings and diaries kept in the archives of the Georgian Folk Music Laboratory of the Tbilisi State Conservatoire.

Field expedition to Kakheti in 1952 was one of the first among conducted by the Conservatoire, being also important because it laid the foundation for intensive research into the music of that region of Georgia.

In Gurjaani, Kvareli and Telavi districts, authorial samples too were recorded along with the traditional songs from male and female repertoire, and, the most importantly, the church hymn – “Shen khar venakhi” (You are a vineyard) which would become one of the first audio recordings from the East Georgia known to us.

The verbal information obtained by the field-expedition informs us about the function of the songs, the time and place, the form and rule of their performance, as well as the performers’ view on the necessity of the multipart singing (or polyphony), the names and functions, the character and peculiarities of the voice-parts; in some cases, the criteria for naming the songs or evaluating the voice-parts.

Research of the materials of G. Chkhikvadze’s field-expedition to Kakheti (1952) reveals their cognitive, practical-executive and scientific value. The scholar's field recordings and diaries are a wealth of the archives of the Tbilisi State Conservatoire.

IIIF ტექნოლოგია და ქართული ხელნაწერების დიგიტალური გამოცემის პრინციპები

ირინა ლოზჟანიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შესავალი

დიგიტალური სამეცნიერო გამოცემის მომზადება დამოკიდებულია, თუმცა არ შემოიფარგლება მონაცემთა სხვადასხვა ტიპით, სტრუქტურული მონიშვნით, ტექსტის მეტა-და შიდა ანოტირებით და ა. შ. ანოტირება შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი და მოიცავდეს ბიბლიოგრაფიული ტიპის ინფორმაციას ხელნაწერის შესახებ, ხელნაწერის, როგორც ობიექტის აღწერას და ა. შ. და ინფორმაციაც, რომელიც საფუძვლად ედება დიგიტალურ სამეცნიერო გამოცემას, განსხვავდება პუბლიკაციიდან პუბლიკაციამდე. შესაბამისად, გადაწყვეტილებასაც, თუ რა ტიპის ინფორმაცია იქნება წარმოდგენილი ელექტრონულ გამოცემაში, დამოკიდებულია გამოცემის ან კოლექციის ავტორზე, რომელიც წყვეტს გამოცემის სტრუქტურას, კოლექციის დიზაინს და განსაზღვრავს ცალკეული ხელნაწერების წარმოდგენის გზებს. დიგიტალური გამოცემის მომზადება გულისხმობს სამუშაო პროცესის განსაზღვრულ თანმიმდევრობას:

საწყისი ეტაპი: კორპუსის (კოლექციის) შედგენის წინაპირობების განსაზღვრა და დიზაინის მომზადება;

მონაცემთა შეგროვების ეტაპი: ტექსტური მასალის შეგროვება კორპუსში (კოლექციაში) განთავსების მიზნით;

ანოტირების ეტაპი: შეგროვილი მასალის ანოტირება;

ვიზუალიზაციის ეტაპი: მონაცემთა ვიზუალიზაციის დაგეგმვა და უზრუნველყოფა;

გამოცემა: გამოცემის ინტერნეტში განთავსება და/ან სხვა ელექტრონული სახით წარმოდგენა.

ყველა ეს ეტაპი მოითხოვს პროცესის სრულფასოვან წარმართვას და გარკვევას, რა სახის ინფორმაციაზე ექნება საბოლოო წვდომა მკითხველს (მომხმარებელს). კორპუსში (კოლექციაში) წარმოდგენილი მონაცემები უნდა პასუხობდეს მომხმარებლის კონკრეტულ საჭიროებას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, კორპუსის შექმნა უნდა ემსახურებოდეს კონკრეტულ

მიზანს. ზემოხსენებული ეტაპების თავისებურების გათვალისწინებით შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერების დიგიტალურ გამოცემასთან დაკავშირებით პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს:

- რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერების შემთხვევაში?
- როგორ უნდა მოხდეს აღნიშნული მონაცემების სტრუქტურირება დიგიტალური გამოცემის მომზადების მიზნით?
- რომელ სტანდარტს უნდა მიჰყვებოდეს ფაილების მომზადება?
- რისი აღწერა მნიშვნელოვანია მეტა-ანოტირებისა და ტრანსკრიბირების ბლოკებში ზემოხსენებული საკითხების გათვალისწინებით?
- როგორ უნდა მოხდეს აღნიშნული მონაცემების გათანაბრება ხელნაწერების ამსახველ ფოტომასალასთან?

სტატიაში განიხილება შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერების დიგიტალური დამუშავების ასპექტები და წარმოდგენილია დიგიტალიზაციის ტექნოლოგიური პროცესის ორგანიზების, მეტა-მონაცემების მოგროვების, ტექსტის, ფოტომასალის კოდირებისა და ვიზუალიზაციის საშუალებები.

სტატიის პირველი ნაწილი კონცენტრირებულია თეორიული საკითხების მიმოხილვაზე; მეორე ნაწილი მოიცავს ინფორმაციას მეთოდოლოგიის, არსებული სტანდარტებისა და რესურსების შესახებ; მესამე ნაწილში აღწერილია დიგიტალური გამოცემის მომზადების თანმიმდევრობა და ბოლო ნაწილში განხილულია შედეგები.

1. თეორიული საფუძვლები

ბოლო პერიოდის განმავლობაში ჰუმანიტარულ კვლევათა უმეტესობა საჭიროებს ლინგვისტური კორპუსების და/ან ტექსტების კოლექციების მომზადებასა და ელექტრონულ გამოცემას. მსგავსი რესურსების მომზადება ხდება დარგის სპეციალისტების, მკვლევრების და/ან სტუდენტების საჭიროებიდან გამომდინარე მონაცემთა ანალიზის, გარჩევისა და მოპოვების მიზნით. ეს მიზნები მოითხოვს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას თეორიული ცოდნის გაღრმავებისა და სრულყოფისთვის. ამ თვალსაზრისით კვლევა და, შესაბამისად, დიგიტალურ გამოცემას საფუძვლად უდევს:

ა) კვლევითი საკითხის განსაზღვრა, კორპუსის (კოლექციის) დიზაინის შემუშავება, არსებული რესურსების ანალიზი და მათი გამოყენება შედგენისა და გამოცემის მიზნით;

ბ) კვლევითი საკითხის განსაზღვრა, კორპუსის დიზაინის შემუშავება, კვლევითი საჭიროების ანალიზი და რესურსები, რომლებიც შემდგომში გამოიყენება კორპუსის/კოლექციის შედგენისა და გამოცემის მიზნით.

ორივე შემთხვევაში ზოგიერთი ეტაპი უცვლელია, კერძოდ, კვლევითი საკითხის განსაზღვრა, არსებული რესურსების ანალიზი და გადაწყვეტილების მიღება მონაცემების დამუშავების ამოცანიდან გამომდინარე. შედეგად, მოსაზრებებიც განსხვავდება, ზოგიერთისთვის კორპუსი განისაზღვრება, როგორც ზეპირი, წერილობითი ან ნარევი ფორმატის ტექსტთა ერთობლიობა (Bournard, 2005; Aarts, 1991), ზოგიერთისთვის კი – ტექსტთა კრებული, რომელიც ასახავს მოცემულ ენას ან დიალექტს ენობრივი პროცესების რაოდენობრივი ანალიზისა და ინტერპრეტაციის განხორციელების მიზნით (McEnery, Hardie, 2011; Francis, 1992). აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, კორპუსი (კოლექცია) ტექსტური მონაცემების დამუშავების ერთ-ერთი შედეგია და, ამავე დროს, ინსტრუმენტი ტექსტებისა და

ენობრივი მონაცემების შესწავლისა და მათი შემდგომი გამოყენებისთვის ლექსიკონების, გრამატიკებისა და სხვა რესურსების შექმნის მიზნით. გარდა ამისა, ონლაინკოლექციების უმეტესობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ენობრივი, არამედ ისტორიული და ლიტერატურული თვალსაზრისით, მაგ. *უორდროპების ონლაინკოლექცია* (Lobzhanidze, 2019-2021), *ქართლის ცხოვრების კორპუსი* (დობოროჯინიძე, ლობჟანიძე, მირიანაშვილი, 2014-2021) და სხვა რესურსები შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ ენობრივი მონაცემების შესწავლის წყაროდ, არამედ ისტორიული და ლიტერატურული ანალიზის კვლევით მასალად.

დიგიტალური ჰუმანიტარია კვლევითი საქმიანობის ახალი სფეროა, რომელიც აერთიანებს კომპიუტერულ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს და უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიის, ენისა და ლიტერატურის კვლევას კომპიუტერული ტექნოლოგიის გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ დიგიტალური ჰუმანიტარია სწრაფად მზარდ მულტიდისციპლინურ მიმართულებას წარმოადგენს, ქართულენოვან რესურსებს შორის მხოლოდ ზოგიერთის დასახელებაა შესაძლებელი, კერძოდ, *ქართული ენის ეროვნული კორპუსი* (2011-2021) ხელმისაწვდომია <http://gnc.gov.ge/gnc/page>, *ქართული ენის კორპუსი* (2013-2021) ხელმისაწვდომია <http://corpora.iliauni.edu.ge/>, *ქართული ლინგვისტური პორტრეტი* (2006-2021) ხელმისაწვდომია <http://www.corpora.co/>, *საქართველოს პროსოპოგრაფია* (2018-2021) ხელმისაწვდომია <https://prosopography.iliauni.edu.ge/>, *ქართული ენის ეპიგრაფიკული კორპუსი* (2014-2020) ხელმისაწვდომი <https://epigraphy.iliauni.edu.ge/en/>.

კორპუსის (კოლექციის) შექმნა, უპირველეს ყოვლისა, მონაცემების დამუშავებას გულისხმობს, მონაცემები კი შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი, კერძოდ, სტრუქტურირებული, ნახევრად სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული:

- სტრუქტურირებული მონაცემების მოგროვება, დამუშავება და წარმოდგენა ხდება სპეციალიზებული საცავის სახით. ასეთი მონაცემები, როგორც წესი, SQL მონაცემთა ბაზაში ინახება სვეტებისა და რიგების სახით, ხოლო ბაზიდან მათი ამოღება ხდება .csv ან სხვა წინასწარ განსაზღვრულ ფორმატში;

- ნახევრად სტრუქტურირებული მონაცემების რელაციურ მონაცემთა ბაზებში განთავსება არ ხდება. მიუხედავად ამისა, მათი ფორმატი ანალიზის, გადამუშავების, კონვერტაციისა და სხვა ქმედებების განხორციელების საშუალებას იძლევა სტრუქტურირებული მონაცემების სახით მათი წარმოდგენისა და რელაციურ ბაზაში განთავსებისთვის. .xml ფაილები ამ ტიპის მონაცემებს განეკუთვნება;

- არასტრუქტურირებული მონაცემები, რომელთა ორგანიზება წინასწარ განსაზღვრული მოდელის შესაბამისად არ ხდება და რელაციურ ბაზებშიც მათი განთავსება წინასწარი გადამუშავების გზით შეუძლებელია. ასეთი მონაცემები ყველაზე ხშირად გამოიყენება .docx, .pdf, .txt და სხვა ფორმატების სახით.

მაგალითად, თუ ხელნაწერში ან ნაბეჭდ ტექსტში გვხვდება ინფორმაცია *გეოგრაფიულ სახელებზე, საკუთარ სახელებზე* და ა. შ., მათი ავტომატური ამოღება ხელს უწყობს ტექსტის შემდგომ დამუშავებასა და სხვადასხვა თვალსაზრისით გამოყენებას. ასეთი ინფორმაცია არასტრუქტურირებული ტიპის თითქმის ყველა დოკუმენტში გვხვდება, ხოლო მისი ამოღება, სტრუქტურირება და მონაცემთა ბაზებში განთავსება მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიღებისა და შემდგომი ანალიზის თვალსაზრისით.

ონლაინში განთავსებული ქართული ლინგვისტური და სხვა ელექტრონული რესურსები უმეტესწილად განეკუთვნება ე.წ. სტრუქტურირებულ მონაცემთა ტიპს. ხდება არასტრუქტურირებული ინფორმაციის მოგროვება (.docx, .pdf, .txt და სხვა ფორმატების

სახით), დამუშავება და რელაციურ მონაცემთა ბაზაში განთავსება შემდგომი განახლებით (საჭიროების შემთხვევაში). ნებისმიერ შემთხვევაში ჰუმანიტარული მიმართულების სპეციალისტს სჭირდება ტექსტის აკრეფა (აკრეფილი ტექსტის არარსებობის შემთხვევაში) პროგრამისტების მიერ გაწერილი რეკომენდაციის საფუძველზე და მონაცემთა ბაზის განახლება (საჭიროების შემთხვევაში) პროგრამისტების ზედამხედველობით. ძალიან იშვიათად მონაცემების მოგროვების პროცედურა ემსახურება .xml ფაილების მომზადებას კონკრეტული ჰუმანიტარის კვლევითი ინტერესიდან გამომდინარე და მისი უშუალო მონაწილეობით რელაციურ მონაცემთა ბაზის მომზადების გარეშე.

ქართულ ხელნაწერებში წარმოდგენილი ინფორმაციის დამუშავების თვალსაზრისით და შემდგომში მათი ონლაინკოლექციის სახით წარმოდგენის მიზნით პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს:

- რომელი ტიპის მონაცემებს ვხვდებით შუა საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში, რომლის ასახვა მნიშვნელოვანია დიგიტალურ გამოცემაში?
- როგორ უნდა ხდებოდეს ამ მონაცემების სტრუქტურირება ნაბეჭდი ან დიგიტალური გამოცემის შემთხვევაში მკვლევრის ანალიტიკური მიზნებიდან გამომდინარე?
- რომელ სტანდარტს უნდა მიჰყვებოდეს მკვლევარი დიგიტალური გამოცემის მომზადებისას?
- რისი აღწერაა მნიშვნელოვანი მეტა-ანოტირებისა და ტრანსკრიბირების დონეზე?
- როგორ და რომელი ტექნოლოგიის გამოყენებით უნდა დამუშავდეს ხელნაწერის ამსახველი ფოტომასალა?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა საჭიროებს არსებულ გამოცემათა ტიპების აღწერას ქართულ ხელნაწერებთან მიმართებით, რადგანაც ნებისმიერი დიგიტალური გამოცემა გულისხმობს გამოცემის ტიპის შესაბამისი სტრუქტურის შემუშავებას ანოტირების დონეების განსაზღვრით:

საწყისი ტექსტი – ტექსტის დიგიტალური ან ნაბეჭდი ვერსია, რომელიც წარმოდგენილია კონკრეტულ ანბანში დადასტურებული Unicode ან ASCII-ის სიმბოლოებით. UTF8 (Unicode) არ საჭიროებს დამატებითი ფონტების ინსტალაციას და არ იწვევს პრობლემას *მხედრული ანბანის* წარმოდგენის თვალსაზრისით, თუმცა განსაზღვრულ სირთულეს იწვევს, როცა სერვერი ქართულ ასოებს აღიქვამს განსხვავებულად. ეს კი ხდება *ასომთავრული* და *ნუსხური* ანბანის შემთხვევაში სიმბოლოსა და ქარაგმის ნიშნის ერთად გამოყენების დროს. ASCII გამოყენება ქართული ენის შემთხვევაში მიზანშეწონილი არ არის, რადგან საჭიროებს დამატებით ფონტებს, როგორებიცაა: AcadNusx, LitNusx და ა. შ. და დამოკიდებულია მომხმარებლის ცოდნაზე ფონტის ინსტალაციასთან დაკავშირებით. თუ მკითხველი/მომხმარებელი ფონტის დაყენებას ვერ ახერხებს, სერვერი უბრუნებს მას ლათინური სკრიპტით წარმოდგენილ ქართულ ასოებს. ასოების ამ სახით წარმოდგენა არ მიჰყვება არც ტრანსლიტერაციის (ALA-LC, ISO 9984:1996) და არც ტრანსკრიბირების (IPA) სტანდარტებს და, შესაბამისად, შეუსაბამოა აკადემიური დისკურსისთვის;

რედაქტირებული ვერსია – ნაბეჭდი ფორმატი, რომელიც აწვდის მკითხველს/მომხმარებელს ტექსტს იმ ფორმით, რომლითაც ამზადებს კონკრეტული მკვლევარი ან რედაქტორი. ამ ფორმატის ძირითადი პრობლემა არის ის, რომ იგი ქმნის მცდარ წარმოდგენას ტექსტის შესახებ, კერძოდ, ძველი და საშუალო ქართული ტექსტი სტრუქტურულად მიჰყვება თანამედროვე ქართულ ტექსტს: სიტყვების, პუნქტუაციის ნიშნების, სიტყვებს შორის ინტერვალის, პარაგრაფების, თავების და ა. შ. წარმოდგენის

თვალსაზრისით. შუა საუკუნეების ხელნაწერები კი, როგორც წესი, განსხვავებულ სტრუქტურას აჩვენებს, კერძოდ, არ ხდებოდა პუნქტუაციის ნიშნების გამოყენება, გარდა წერტილისა (.) და სამი წერტილისა (:), რომლებიც გამოიყენებოდა პარაგრაფის, სტრიქონის ან სიტყვის დასასრულის საჩვენებლად; ასევე არ ხდებოდა სიტყვებს შორის ინტერვალის თანმიმდევრული გამოყენება და სტრუქტურული თავისებურების დაცვა თავების, პარაგრაფების და ა. შ. გამოყოფასთან დაკავშირებით;

კრიტიკული გამოცემა – ტექსტი, რომელიც იქმნება ხელნაწერების რედაქციების შედარების გზით და აერთიანებს ორიგინალურ და/ან ყველაზე მნიშვნელოვან ნაწყვეტებს. ასეთი ტექსტის განსაზღვრა ეფუძნება ლახმანის მეთოდს (Timpanaro, 2006), რომელიც აძლევს რედაქტორს ან მკვლევარს ტექსტის რეკონსტრუირების შესაძლებლობას არა მხოლოდ რომელიმე ცალკეული ხელნაწერის საფუძველზე, არამედ კოლექციის სისტემური შესწავლის, კლასიფიცირებისა და შეფასების გზით. მსგავსი რეკონსტრუირების განუყრელ ნაწილს დამოწმებების, ციტირების, სქოლიოების, მინაწერების და ა. შ. (Most, 2016) შემოწმებაც წარმოადგენს. მსგავსი გამოცემები ძირითადად ორ შესაძლებლობას იძლევა: ა) კონკრეტული ხელნაწერის მინაწერებით გამოცემას; ბ) ტექსტური ნაწყვეტებისგან შემდგარი ხელნაწერის „საუკეთესო“ ტექსტის რეკონსტრუირებული ვერსიის გამოცემას;

ნახევრად დიპლომატიური გამოცემა - ტექსტი, რომელიც რაც შეიძლება ახლოსაა ორიგინალთან, თუმცა განმარტავს და/ან ავრცობს მას;

დიპლომატიური გამოცემა - ტექსტი, რომელიც მიჰყვება ორიგინალი ტექსტის სტრუქტურას, იცავს ხელნაწერის პუნქტუაციას, ხაზებად დაყოფას, დაწვრილებით აღწერს აშეებს და ა. შ. ქართული ხელნაწერების ონლაინში განთავსებული გამოცემები ძირითადად ეყრდნობა ნაბეჭდ კრიტიკულ გამოცემებს. თუმცა *უორდროპების ონლაინკოლექცია* (Lobzhanidze, 2019-2021), *ქართლის ცხოვრების კორპუსი* (დობოროჯგინიძე და სხვ., 2014-2021) შეიძლება განიხილებოდეს როგორც დიპლომატიური გამოცემის მაგალითი;

ფაქსიმილე – ფოტოსურათის სახით წარმოდგენილი ტექსტი. ქართული ხელნაწერის შემთხვევაში ასეთი ტიპის გამოცემები ონლაინსივრცეში ნაკლებად გვხვდება, გამოჩენილია დიგიტალური ბოდლეის საცავი (იხ. <https://digital.bodleian.ox.ac.uk/>).

ზოგიერთი მკვლევარი (Piarezzo, 2015; Faulhaber, 1991; Greetham, 1994) გამოყოფს ე.წ. ულტრა-დიპლომატიურ, ჰიპერტექსტურ და სხვა ტიპის გამოცემებს, თუმცა მათი შედგენის პრინციპი უცვლელი რჩება და გულისხმობს ორიგინალური ტექსტის რედაქტირების სხვადასხვა დონეს.

2. მეთოდოლოგია და ტექნიკური თავისებურებანი

ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში დიგიტალური გამოცემის მახასიათებლებად განიხილება ხელნაწერის ფიზიკური მდგომარეობის (სიგანე, სიგრძე, ფურცლების რაოდენობა და ა. შ.), წარმომავლობის და, ბუნებრივია, თვითონ ტექსტის აღწერა. გარდა ამისა, შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერების ტექსტურ მახასიათებლებში მოიაზრება:

- ლინგვისტური მახასიათებლები, როცა ტექსტის აღწერა ხდება ძველი და საშუალო ქართული ენის გრამატიკული წესების შესაბამისად;

- გრაფიკული/პალეოგრაფიული მახასიათებლები, როცა ხდება კონკრეტული ანბანის (*ასომთავრულად, ნუსხურად და მხედრულად*) წარმოჩენა ხელნაწერის სტრუქტურის სრულყოფილი აღწერის მიზნით;

- კოდიკოლოგიური მახასიათებლები, რომლებშიც მოიაზრება ხელნაწერის მინაწერები, გარეკანისა და სტრუქტურის აღწერა;
- კულტურული და ისტორიული მახასიათებლები, როცა ტექსტის აღწერა ხდება მისი ლიტურგიკული ან სხვა ტიპის რელიგიური დანიშნულებიდან გამომდინარე;
- ლიტერატურული მახასიათებლები, როცა ხდება ტექსტის სტილის, ჟანრის, ინტერტექსტულობისა და სხვა ლიტერატურული თვისებების წარმოჩენა;
- დამატებითი მახასიათებლები, როცა ხდება დოკუმენტის მინაწერების, აღდგენილი და/ან გაცხოველებული ნაწყვეტების ავტორებისა და შესრულების დროის განსაზღვრა;
- ვიზუალური მახასიათებლები, როცა ხდება ხელნაწერის, როგორც დეკორაციული ობიექტის, შეფასება შემსრულებლის დადგენით.

ყველა ზემოხსენებული მახასიათებელი ექვემდებარება კონკრეტულ ტექნოლოგიურ დამუშავებას, რომლის ძირითადი ჩარჩო შემდეგი სტანდარტებია:

1. ხელნაწერის აღწერის ძირითად პრინციპებს ტექსტის კოდირების სიანიციატივო ჩარჩო წარმოადგენს, ე.წ. ხელნაწერთა აღწერის *TEI:P5* (იხ. <https://www.tei-c.org/release/doc/tei-p5-doc/en/html/MS.html>);

2. მეტა-ანოტირება, სტრუქტურული მონიშვნა და ა. შ. მოწმდება და განისაზღვრება სიანიციატივო ჩარჩოს სქემების გენერირების ROMA სისტემის გამოყენებით (იხ. <https://roma2.tei-c.org/>)

3. ფოტომასალა ტექსტს უკავშირდება შესაბამისი ბმულების გამოყენებით სურათის საერთაშორისო გაზიარების ჩარჩო-პრინციპების დაცვით ე.წ. *IIF მანიფესტო* (იხ. <https://iif.io/>).

სურათის საერთაშორისო გაზიარების ჩარჩოს გამოყენება ხდება შემდეგი მოდულების სახით:

ა) *IIF Manifest*, რომელიც JSON-ის დოკუმენტია და მოიცავს ინფორმაციას კონკრეტული ობიექტის შესახებ, მათ შორის, აღწერასა და მინიშნებას საავტორო უფლებების შესახებ;

ბ) *Universal Viewer*, რომელიც ემსახურება კულტურული მემკვიდრეობის დიგიტალური ობიექტების სახით წარმოდგენას *IIF* ტექნოლოგიის შესაბამისად;

გ) *Mirador*, რომელიც ემსახურება სურათის ნახვას *Javascript* და *HTML5* ფორმატებში მაღალი რეზოლუციის მქონე სხვადასხვა საცავში დაცულ ფოტომასალაზე წვდომის მიზნით.


დიგიტალური გამოცემის თანმიმდევრობა და შექმნის პრინციპები

ზემოხსენებული მახასიათებლების გათვალისწინება მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ასევე ტექნოლოგიური თვალსაზრისით კონკრეტული ხელნაწერის აღწერის დროს, რადგან თეორიულ მახასიათებლებზე დამოკიდებულია მონაცემების ტექნიკური დამუშავება ანოტირების შემდეგი სამი დონის ფარგლებში:

1. აღწერით ე.წ. მეტა-ანოტირების დონის;
2. ტექსტურ ე.წ. შიდაანოტირების დონის, რომელიც გულისხმობს ძველი, საშუალო და თანამედროვე ქართული ტექსტების წარმოდგენას, სტრუქტურულ მონიშვნასა და სემანტიკურ ანოტირებას;
3. ფოტოსურათის დონეს, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს ხელნაწერის ტექსტსა და მის ვიზუალურ გამოსახულებას შორის.

ამ დონეების განსაზღვრა ტექნოლოგიური თვალსაზრისით უკავშირდება ანოტირების კონკრეტულ სქემას და ზეგავლენას ახდენს როგორც პროცესის თანმიმდევრობაზე, ასევე

მთლიანად კოლექციის სტრუქტურაზე: ტრანსკრიბირება - > კოდირება (*xml* და ა. შ.) - > ვიზუალიზაცია (*xslt, css* და ა. შ.).



სქემა 1. დიგიტალური გამოცემის შექმნის თანმიმდევრობა.

კოლექციის ან ცალკეული ხელნაწერის დიგიტალიზაცია გულისხმობს როგორც დიზაინის შედგენასა და ტექსტების წინასწარ დამუშავებას, ასევე ანოტირების სქემების განსაზღვრას, ვიზუალიზაციას და ონლაინ ან ნებისმიერი სხვა ელექტრონული რესურსის სახით გამოცემას. კონკრეტული ხელნაწერის კოდირების პროცედურა კი ორ ეტაპად იყოფა: 1) მეტა-ანოტირების ეტაპად, რომელიც გულისხმობს ხელნაწერის ნაბეჭდი გამოცემის, ორიგინალ(ებ)ის და სხვა. ინფორმაციის აღწერას, მათ შორის, კრიტიკული აპარატის მოშველიების გზით; 2) ტექსტ(ებ)ის ტრანსკრიბირებას მონაცემების კრიტიკულ აპარატზე და Wikidata-ზე (Wikidata, 2013-2021) მიხედვით. კოდირების ეტაპი გულისხმობს Oxygen Editor-ის (SyncRO Soft SRL, 2019-2021) გამოყენებას ხელნაწერის კოდირების საინიციატივო ჩარჩოს (TEI:P5, 2021) ფარგლებში.

უორდროპების ონლაინკოლექცია (Lobzhanidze, 2019-2021) შეიქმნა ზემოხსენებული პრინციპების დაცვით. კოლექციაში განთავსებულ ყველა ხელნაწერს აქვს მეტა- და შიდაანოტირების ბლოკები ტექსტური კოდირების საინიციატივო ჩარჩოს გათვალისწინებით და ზოგიერთი ხელნაწერის ტექსტი პირდაპირ ებმება დიგიტალურ ბოდლეს საცავში დაცულ ქართული ხელნაწერების ამსახველ ფოტომასალას. გასათვალისწინებელია, რომ კონკრეტული ხელნაწერის ამსახველი ფოტომასალა შეიქმნა სურათის საერთაშორისო გაზიარების ჩარჩოს (IIIF, 2019-2021) გამოყენებით. ფაილების განთავსება მოხდა eXist-db (2018-2021) მონაცემთა ბაზაში TEI Publisher-ში (2015-2021) დამუშავების მიზნით.

გარდა ამისა, ხელნაწერის დიგიტალური გამოცემის მომზადება გულისხმობს წინასწარ განსაზღვრულ მოდელს, რომელიც ემსახურება კორპუსის (კოლექციის) ცალკეული xml ფაილების შექმნის მიზანს. ცალკეული xml ფაილი მოიცავს მეტა-მონაცემებს, ფოტომასალის ბმულებსა და ხელნაწერის ტექსტს შემდეგი თანმიმდევრობით:

- <teiHeader> მოიცავს მეტა-მონაცემებს კონკრეტული ხელნაწერის შესახებ;
- <facsimile> მოიცავს ფოტოსურათების ბმულებს (არსებობის შემთხვევაში) IIIF მანიფესტოს გამოყენებით;
- <text> მოიცავს ხელნაწერის ტექსტს.

მეტა მონაცემები (<teiHeader>)

<teiHeader> ელემენტი შედგება შემდეგი ოთხი ქვეელემენტისგან:

- <fileDesc> შეიცავს სრულ ბიბლიოგრაფიულ აღწერას, ფაილის ე.წ. მთავარ მახასიათებლებს;
- <profileDesc> წარმოადგენს ტექსტის არაბიბლიოგრაფიული ასპექტების დეტალურ აღწერას;
- <encodingDesc> ასახავს ურთიერთკავშირს ელექტრონულ ტექსტსა და ორიგინალს შორის და აღწერს გამოცემის კოდირების წესებს;
- <revisionDesc> მოიცავს ფაილში ცვლილებების შეტანის ისტორიას.

ეს ელემენტები, თავის მხრივ, უფრო მცირე ერთეულებად იყოფა ხელნაწერის ირგვლივ არსებული სხვადასხვა ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით. დამატებით აღსანიშნავია კრიტიკული აპარატის სამი ინდექსი, რომლებიც აკავშირებს მეტა-მონაცემების ბლოკს, ერთი მხრივ, ხელნაწერის ტექსტთან სრულყოფილი ძიების მიზნით, ხოლო, მეორე მხრივ - სხვადასხვა ბაზაში განთავსებულ ინფორმაციასთან. <fileDesc>-ის ნაწილს წარმოადგენს წყაროს აღწერის (<sourceDesc>) ელემენტი, რომელიც გვამძღვრს ბიბლიოგრაფიული ხასიათის ინფორმაციას ტექსტის შესახებ და მის ქვეელემენტებს შორის მოიაზრება კრიტიკული აპარატის ზემოხსენებული ელემენტები, როგორებიცაა:

- <listWit> ტექსტური დამოწმების აღწერაზე ორიენტირებული მოდული, რომელიც მოიცავს <witness>-ის ელემენტს შიდატექსტური დამოწმების მიზნით;
- <listPerson> პირთა სია, რომელიც მოიცავს წყაროში მოხსენიებულ პირთა ჩამონათვალს;
- <listPlace> ადგილების სია, რომელიც მოიცავს წყაროში მოხსენიებული ადგილების ჩამონათვალს გეოგრაფიული კოორდინატების მითითებით.

ფოტომასალა (<facsimile>)

<teiHeader> ელემენტს მოსდევს <facsimile>, რომელიც შეიცავს ფოტომასალის ბმულებს ხელნაწერის ტექსტთან დაკავშირების მიზნით. ეს ელემენტი გვხვდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საავტორო უფლებების მქონე ორგანიზაცია უზრუნველყოფს ხელნაწერის ამსახველი ფოტომასალის ინტერნეტსივრცეში განთავსებას *IIIF* ტექნოლოგიის გამოყენებით. ამ ბმულების გამოყენება უკავშირდება <surface>, <zone> და <graphic> ელემენტებს:

- <surface> განსაზღვრავს გამოსახულების ზედაპირს ორგანოზომილებიანი კოორდინატების დონეზე;
- <zone> განსაზღვრავს ნებისმიერ ორგანოზომილებიან სივრცეს ზედაპირის ელემენტის ფარგლებში;
- <graphic> განსაზღვრავს სურათის ადგილმდებარეობას.

ტექსტი (<text>)

<facsimile> ელემენტს მოსდევს ტექსტი (<text>), რომელიც, თავის მხრივ, ყოველთვის შეიცავს <body>-ის ელემენტს. ტექსტში წარმოდგენილი თითქმის ყველა ელემენტი ნებისმიერ ქართულ ტექსტს ახასიათებს და გამოიყენება ნებისმიერი სახის დიგიტალური გამოცემის მომზადებისას. თუმცა განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია უშუალოდ ფოტომასალის

ტექსტთან გათანაბრების პრინციპი, რომელიც ვლინდება შიდატექსტური ბმულების გამოყენების გზით გვერდების მითითების გასწვრივ.

გვერდის დასაწყისი/დასასრული განისაზღვრება <pb> ელემენტით, რომელსაც რამდენიმე ატრიბუტი ერთვის, კერძოდ, @f ატრიბუტი; მისი მეშვეობით აღიწერება ხელნაწერის ფურცლის ნომერი (რექტო ან ვერსო), @n ატრიბუტით აღიწერება ხელნაწერის გვერდის ნომერი, ხოლო @facs ატრიბუტი გამოიყენება სურათის ბმულთან კავშირის მიზნით, მაგ.:

```
<pb f = "2r" n = "3" xml: id = "pb-orig-2r-3" facs = "# zone-pb-2r-3" />
```

როგორც აღინიშნა, ფოტომასალის ტექსტთან გათანაბრებას უზრუნველყოფს სურათის საერთაშორისო გაზიარების ჩარჩო, ე.წ. *IIIF* მანიფესტო, რომელიც ემსახურება:

- სხვადასხვა საცავში მოხვედრილ ფოტომასალაზე საერთაშორისო წვდომას;
- პროგრამული აპლიკაციების ინტერფეისის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს ფოტომასალის სხვადასხვა საცავს შორის მიმოქცევას;
- საზიარო რესურსების შექმნასა და განვითარებას ფოტომასალის ნახვის, შედარების, მანიპულირებისა და ანოტირების მიზნით.

დასკვნები

დიგიტალური გამოცემის შექმნა დამოკიდებულია ხელნაწერის სრულყოფილ აღწერაზე, რომელიც ტექნოლოგიური თვალსაზრისით უკავშირდება ხელნაწერის მეტა- და შიდა ანოტირებას და ხელნაწერის ამსახველ ფოტომასალასთან გათანაბრებას. ტექსტის აღწერაც და მეტატექსტური ინფორმაციის ასახვაც ხდება .xml ფორმატის სახით ტექსტის კოდირების საინიციატივო ჩარჩოს (TEI P5) დაცვით. დიგიტალური გამოცემა გულისხმობს არა მხოლოდ ტექსტის მომზადებას, არამედ ხელნაწერის ვიზუალიზაციის შესაძლებლობასაც. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ისეთი ტექნოლოგიის გამოყენება, როგორიცაა სურათის საერთაშორისო გაზიარების ჩარჩო (IIIF). შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერების დიგიტალური დამუშავების ასპექტები დამოკიდებულია დიგიტალიზაციის ტექნოლოგიური პროცესის თანმიმდევრობაზე, მეტა-მონაცემების მოგროვების, ტექსტისა და ფოტომასალის კოდირებისა და ვიზუალიზაციის საშუალებების სრულფასოვან გამოყენებაზე. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს ქართული კულტურული მემკვიდრეობის გაზიარებისა და მასზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ასევე საშუალებას იძლევა შუა საუკუნეების ქართული ტექსტების შეისწავლონ სხვადასხვა თვალსაზრისით, მათ შორის, ხელნაწერების შედარების, არსებულ ნაწყვეტებს შორის კავშირის დადგენისა და სისტემის განსაზღვრის მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერიძე, მ. (2006). *საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი*. <http://www.corpora.co/>. წვდომის თარიღი 06.06.2021.
2. დობორჯგინიძე, ნ., ლოზჟანიძე, ი., გუნია, ი. (2012-2021). *ქართული ენის კორპუსი*. <http://corpora.iliauni.edu.ge/>. წვდომის თარიღი 06.06.2021.
3. დობორჯგინიძე, ნ., ლოზჟანიძე, ი., მირიანაშვილი, გ. (2014-2021). *ქართლის ცხოვრების კორპუსი*. <http://corpora.iliauni.edu.ge/>. წვდომის თარიღი 06.06.2021.
4. Aarts, J. (1991). Intuition-based and observation-based grammars. *English Corpus Linguistics* English Corpus Linguistics.: 44-62.

5. Benjamin, A., Appleby, M., Sanderson, R., Stroop, J. (2019). *International Image Interoperability Framework (IIIF), API 2.1*. Accessed December 10, 2019. <https://iiif.io/>.
6. Bournard, L. (2005). Metadata for Corpus Work. In *Wynne, M.*, by Developing Linguistic Corpora: A Guide to Good Practice, 30-46. Oxford: Oxford Books.
7. eXist Solutions. (2018). *eXist-db*. <http://exist-db.org/>. წვდომის თარიღი 06.06.2021. - 2015. *TEI Publisher, Version 5.0*. <https://teipublisher.com/>. წვდომის თარიღი 06.06.2021.
8. Faulhaber, Ch. (1991). Textual Criticism in the 21st Century. *Romance Philology* 123-48.
9. Francis, W. N. (1991). Language corpora B.C. *Directions in Corpus Linguistics* 17-32.
10. Gippert, J., Meurer, P., Tandashvili, M. (2011 – 2021). *The Georgian national corpus*. Bergen: <http://gnc.gov.ge/gnc/page>.
11. Greetham, D. (1994). *Textual Scholarship: An Introduction*. New York: Garland,.
12. International Organization for Standardization, ISO (1996). *Information and documentation — Transliteration of Georgian characters into Latin characters*. <https://www.iso.org/standard/17892.html>.
13. Lobzhanidze, I. (2019). *Wardrops' Collection Online*. წვდომის თარიღი 06.06.2021. <http://manuscript.iliauni.edu.ge/>.
14. McEnery, N., Hardie, A. (2011). *Corpus Linguistics: Method, Theory and Practice*. Cambridge: Cambridge University Press.
15. Most, G. W. (2016). What is a Critical Edition? In *Ars Edendi Lecture Series*, by B., Iversen, G. and Jensen, B. M. Crostini, 162–180. Stockholm: Stockholm University Press.
16. Piarezzo, El. (2015). *Digital Scholarly Editing: Theories, Models and Methods*. Burlington, VT: Ashgate.
17. SyncRO Soft SRL. (2019). *Oxygen Editor, Version 21.1*. <https://www.oxygenxml.com/>.
18. TEI Consortium, eds. (2019). *TEI P5: Guidelines for Electronic Text Encoding and Interchange*. 16 07. Accessed 11 29, 2019. <https://tei-c.org/guidelines/p5/>.
19. Timpanaro, S. (2006). *The Genesis of Lachmann's Method*. Chicago: University Of Chicago Press.
20. *Wikidata* (2013-2021). https://www.wikidata.org/wiki/Wikidata:Main_Page. წვდომის თარიღი 06.06.2021.

IIIF Technology and Principles of Digital Publishing

Irina Lobzhanidze
Ilia State University

Summary

Preparation of a digital scholarly editions of a manuscript depends on different data including but not limited to meta data, structural mark-up and annotation at word or sentence levels. The information chosen for the digital scholarly edition differs from publication to publication and in most cases the decision of what kind of information is worth to be represented online or in any other kind of electronic form depends on the author of the collection i.e. on the person who decides the research question, the design of a collection and the way to represent manuscripts solely. This paper aims to answer the questions arising with regards to the digital publishing workflow paying special attention to the annotation by means of Text Encoding Initiative (TEI P5) and possibilities of visualization by means of International Image Interoperability Framework (IIIF) considering for instance digitalization of Georgian medieval manuscripts.

The structure of the article consists of several parts¹³⁵. The first part describes the theoretical prerequisites; the second part concerns the methods, standards and technological background; the third part focuses on the main challenges of digital publishing workflow, and; the fourth part represents the results.

ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელობა საარქივო ინფორმაციის ფორმირებისას თინათინ მშვიდლობაძე გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ციფრული ეპოქის საარქივო ინსტრუმენტები

კომპიუტერული ტექნოლოგიების მიღწევებმა საარქივო საქმიანობაზე უდიდესი პოტენციური ცვლილებები გამოიწვია. კომპიუტერიზებულმა მონაცემთა ბაზამ ჩაანაცვლა ხელნაწერ კატალოგებში საკვანძო სიტყვების საშუალებით ძიების საჭიროებანი.

ციფრული არქივები უზრუნველყოფს საარქივო მასალების უფრო ფართო ხელმისაწვდომობას, მაგრამ დაარქივებისას იკვეთება ახალი გამოწვევები ტექნოლოგიურ ცვლილებებთან დაკავშირებით.

ციფრული ინსტრუმენტები არა მხოლოდ არქივების კვლევის ტრანსფორმაციისათვის შეიქმნა, მათ ასევე გაცილებით მეტი თვითრეფლექსია მოგვცეს არქივებთან მიმართებაში.

მკვლევარმა მერლინ მენოფმა გამოიკვლია უახლესი მულტიდისციპლინარული საარქივო დისკურსი და აღმოაჩინა, რომ ის „საზრდოობს ისტორიული და მეცნიერული ჩანაწერების გაზიარების ფუნქციებით“. იგი აღნიშნავს, რომ „მკვლევარებმა დაადგინეს არქივის მთავარი მიმართულება, როგორც სამეცნიერო საქმიანობისათვის, ისე დემოკრატიული საზოგადოების არსებობისთვის“. (Manoff, 2004).

ციფრულ ეპოქაში დანერგილი ელექტრონული სერვისები, როგორცაა ელექტრონული მმართველობა, ელექტრონული ბიზნესი, ელექტრონული კომერცია და სხვა შეუძლებელია ელექტრონული დოკუმენტებისა და მათი უსაფრთხოების მახასიათებლების გარეშე, რომლებიც უნდა ემყარებოდეს PKI (საზოგადოებრივი სერვისების ინფრასტრუქტურის) ტექნოლოგიას.¹³⁶

ოფიციალური ელექტრონული დოკუმენტების გამოყენება ასევე გთავაზობთ უამრავ სხვა უპირატესობას: დოკუმენტის შინაარსის სრული საიმედოობა, დოკუმენტების ფრაგმენტების გამოყენების შესაძლებლობა სხვა დოკუმენტების მოსამზადებლად, დოკუმენტის ტექსტში ძიების შესაძლებლობა, დოკუმენტების ხარისხი, დასკანერებული ქაღალდის ასლებთან შედარებით. აქედან გამომდინარე, სრულიად ნათელია, რომ დროთა განმავლობაში ელექტრონული დოკუმენტები ჩვეულებრივ დოკუმენტებს ყველგან ჩაანაცვლებს, ვინაიდან ისინი რეალურ არტეფაქტებს წარმოადგენს.

ბოლო წლებში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მხრიდან გაიზარდა მხარდაჭერა ელექტრონული ჩანაწერების შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ. ევროპაში სამთავრობო უწყებების მიერ წარმოებული პროცესები საჯარო ჩანაწერების დაარქივებისა და ამ ჩანაწერებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის მხრივ კვლავ მრავალფეროვანია.


¹³⁵ This article was written as a part of the research project “Wardrops’ Collection Online” carried out at the School of Global and Area Studies of the University of Oxford in 2019-2020, Grant # OUGSP-2018-057.

¹³⁶ <https://www.emudhra.com/>.

განსხვავებები არსებობს არა მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების თვალსაზრისით, არამედ თუ რამდენად ხდება მათი ინტერპრეტაცია და ამოქმედება (European Archives Group, 2018),

ციფრულიზაცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც ბეჭდური მასალის ელექტრონულ მედიაში გადატანა. ციფრულიზაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტექნიკაა, რომელიც გამოიყენება არქივებში უნიკალური საარქივო მასალის დასაცავად. იგი არის ანალოგური მასალის ორობით ელექტრონულ (ციფრულ) ფორმად გარდაქმნის პროცესი, განსაკუთრებით კომპიუტერში შენახვისა და გამოყენებისათვის.

ჯენტჯი და გიარლო (Jantz and Giarlo) წარმოგიდგენთ ციფრული ფორმატის ოთხფაზიან პროცესს, როგორც ნაჩვენებია ნახაზზე 1.



ნახ.1. ციფრული ფორმატის ფაზები

ეს ფაზებია:

- გადაწყვეტილება ციფრული შენახვის შესახებ - ციფრული შინაარსის სამომავლო წვდომის უზრუნველსაყოფად ოპტიმალური მოქმედებების განსაზღვრა;
- ციფრული ობიექტის შექმნა - აბსტრაქცია, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი სახის ინფორმაციის მითითება;
- ციფრულ ობიექტზე წვდომა - წვდომის დაშვება ელექტრონულ ობიექტზე;
- ციფრული ობიექტის სასიცოცხლო ციკლის მართვა. (Jantz and Giarlo).

მაიკ ფიდერსტონი შენიშნავს, რომ ციფრული ტექნოლოგიები არამარტო გავლენას ახდენს აკადემიურ და კულტურულ წარმოებაზე, არამედ ამ პროდუქტების მიღებაზეც: „თუ წერა უფრო და უფრო უახლოვდება ვიზუალური და ვერბალური სიმბოლოების დინამიურ ქსელს, მაშინ ანბანური, იკონოგრაფიული და აუდიო ინფორმაციის შედეგად მიღებული მულტი ან ჰიპერმედიის ნაზავი არამარტო დაეხმარება ვიზუალური ხელოვნების ფორმების ურთიერთშენაცვლებას გაციფრულების საშუალებით, ის ასევე შეცვლის ინტელექტუალური და აკადემიური წარმოებისა და მისი პროდუქტების მიღების ბუნებას“ (Featherstone, 2008).

კონვეი ციფრული პროცესების მნიშვნელობას შემდეგნაირად გამოხატავს: „საარქივო წყაროებიდან ციფრული სუროგატების შექმნა არის ფუნდამენტური წარმოდგენის პროცესი, გაცილებით საინტერესო და რთული, ვიდრე უბრალოდ გადაღება ერთი საშუალებიდან მეორეში. წარმომადგენლობის თეორიები და მათგან მიღებული უზარმაზარი ლიტერატურა განსაკუთრებით აქტუალურია იმ მეცნიერთათვის, რომლებიც ძირითადად მხოლოდ ციფრულ სფეროში მუშაობენ“ (Conway, 2014).

ამ კვლევაში განისაზღვრება ხუთ ეტაპიანი საგზაო რუკა ეფექტური ციფრულიზაციის პროცესისათვის (ნახ. 2).

- ციფრულიზაციის კორპორატიული სტრატეგიების განსაზღვრა;
- ციფრულიზაციის მთავარი მიზნის წარდგენა;
- მომხმარებლების ანალიზი;
- აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის საჭიროებების ანალიზი.

გაციფრულებისათვის დაწერილი კორპორატიული სტრატეგიები განსაზღვრავს პროცესის განხორციელების ძირითად წესებს.



ნახ. 2. საგზაო რუკის 5 ეტაპი

ამრიგად, მნიშვნელოვანია წერილობითი სტრატეგიების განსაზღვრა და ამ სტრატეგიების გაგრძელება.

სიუზან ველსის ცნობილ ნაწარმოებში - „არქივის მოთხოვნა რიტორიკისა და კომპოზიციისთვის“ - ის აღწერს ციფრული არქივების სამ ახალ შეთავაზებას: ინტეგრაცია, პერსონალიზაცია, ხელმისაწვდომობა (Wells, 2002).

საილუსტრაციოდ მოკლედ განვიხილავთ მაგალითებს ციფრული არქივიდან - DALN (წიგნიერების ისტორიების ციფრული არქივი) (Ulman, a Brief Introduction to the Digital Archive of Literacy Narratives (DALN) <https://ccdigitalpress.org/book/stories/chapters/introduction/#section3>)

და Wikipedia -ს მიხედვით თითოეულ შეთავაზებას:.

ინტეგრაცია

ციფრული არქივები წერისა და კვლევის ერთდროული წარმოების საშუალებას იძლევა. მაგალითად, DALN-ში, დოკუმენტების წარდგენის პროცესი არის 3 ეტაპინი ავტორ-მომხმარებლების მიერ ანოტირებისა და ნაშრომების აღსაწერად. ვიკიპედიაში ეს ინტეგრაცია კიდევ უფრო ფართოა: ავტორ-მომხმარებლებს შეუძლიათ შეცვალონ და წარადგინონ შინაარსი სტატიებში და შეინახონ იგი არქივის ბაზაში. ამ სივრცეში, ავტორები წერენ იქ, სადაც იკვლევენ.

ინტეგრირებულ საარქივო სივრცეებს შეუძლიათ დაეხმარონ სტუდენტებს იგრძნონ, რომ მათ აქვთ წვდომა ტექსტების უსაზღვრო რაოდენობასთან.

პერსონალიზაცია

ციფრული არქივი იძლევა პერსონალურად ჩატარებული კვლევითი სივრცეებისა და კლასიფიკაციის სისტემების შექმნის საშუალებას, რამაც შეიძლება მკვლევარების,

განსაკუთრებით ახალბედა მკვლევარების დაინტერესება გამოიწვიოს, რომლებიც უფრო მეტად აქცევენ ყურადღებას კვლევაზე დაფუძნებულ ნაწერს.

მაგალითად, DALN-ში ავტორ-მომხმარებლებს შეუძლიათ ატვირთონ და შეინახონ საკუთარი დოკუმენტების, სურათების და ხმოვანი ფაილების პერსონალიზებული კოლექციები, რომლებსაც ისინი აღწერენ. DALN-ის ვებ გვერდზე მითითებულია, „აღწერა“ თითოეული პუნქტისათვის, რაც საშუალებას იძლევა მოიძებნოს შინაარსი მითითებულ ინდექსში.

ვიკიპედიაში ეს პერსონალიზაცია ვრცელდება არსებულ სტატიებზე, რომელიც ავტორ-მომხმარებლებს შეუძლიათ შეცვალონ თავიანთი სურვილისამებრ. მათ შეუძლიათ დაამატონ ან წაშალონ სტატიის „წაკითხვის“ გვერდზე ნაჩვენები ტექსტი, ასევე განახორციელონ ცვლილებები „რედაქტირების“ გვერდზე.

ხელმისაწვდომობა

ციფრული არქივები ბევრად უფრო აღმოფხვრის დროებით და სივრცულ დაბრკოლებებს საარქივო კვლევისთვის. ციფრულ არქივში მკვლევარებს შეუძლიათ წვდომა მასალებზე სწრაფი მოთხოვნით, წყაროების მოძიებაც წამებშია შესაძლებელი.

მაგალითად, მკვლევარებს შეუძლიათ მიიღონ წვდომა DALN-ში სმენადაქვეითებული ადამიანების, ფერადკანიანი ბაკალავრიატის სტუდენტების, აფრო-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორებისა და სხვა წიგნიერების პარტნიორების თხრობაზე, ასევე ვიკიპედიაში შესვლისას სტატიების ფართო სპექტრის შინაარსზე. ეს სივრცული მოხერხებულობა ხელმისაწვდომსა და განხორციელებადს ხდის ციფრული არქივის გამოყენებას სწავლებისას (Ulman, H. Lewis, S., Lloyd D., and Selfe K., 2010).

ვიკიპედიის შემთხვევაში მთელ მსოფლიოს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ზოგადი ცოდნის საცავის შექმნაში.

უელსის ციფრული არქივების სამი ახალი საჩუქარი იძლევა მითითებას, რომ ციფრული საარქივო სამუშაო ცოდნის წარმოების საფუძველია ყველა დონის მკვლევარებისათვის.

ამისათვის მეცნიერებს, რომელთაც აქვთ გამოცდილება ტექსტების წარმოებაში, რიტორიკასა და კომპოზიციაში, ხელმძღვანელობის როლი უნდა დაეკისროთ ციფრული არქივების პოლიტიკისა და საუკეთესო პრაქტიკის განსაზღვრაში. ამისათვის უელსი გვთავაზობს:

- ჩამოაყალიბეთ ციფრული არქივები კვლევისა და წერის პროცესების როგორც ცოდნის წარმოების განუყოფელი ნაწილების დასაკავშირებლად.

- ხაზი გაუსვით არქივების რიტორიკულ და ტექნოლოგიურ ხასიათს. ყველა არქივი არის რიტორიკული ტექნოლოგიების ფორმირება, ისევე როგორც ტექსტებისა და არტეფაქტების შენარჩუნება.

- გამოიყენეთ ციფრული არქივების კოლაბორაციული პოტენციალი (მაგ., მონიშნეთ, მოახდინეთ ანოტირება, საუბარი). ამით შეიძლება კვლევა დიალოგური ხასიათის გახდეს.

- ფართო აუდიტორიას, სტუდენტებსა და არაკადემიკოსებსაც, მიეცით ციფრულ არქივებზე წვდომის საშუალება.

- იმუშავეთ მომგებიანი ჟურნალის გამომცემლებთან და მონაცემთა ბაზის სერვისებთან. ინდივიდუალური სტატიების ან ჟურნალის შეკვეთისათვის.

ამგვარად, სტატიამი დასაბუთებულია, რომ მკვლევარ - პედაგოგებს რიტორიკისა და კომპოზიციის სფეროში, უნდა ესმოდათ ეს შეთავაზებები, რათა შეძლონ ციფრული არქივების

შემუშავება, გამოყენება, სწავლება და მართვა. წიგნიერება ონლაინ ციფრულ სამყაროში უფრო მეტად მოიცავს ეთიკურ, კრიტიკულ და ეფექტურ შესაძლებლობებს ციფრული არქივების შექმნის, ნავიგაციის, შეფასებისა და გამოყენების საშუალებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Manoff G., (2004), *Theories of the Archive from Across the Disciplines*, portal Libraries and the Academy 4 (1);
2. European Archives Group, (2018), *Guidance on data protection for archive services*. EAG guidelines on the implementation of the General Data Protection Regulation in the archive sector;
3. Jantz and Giarlo, (2005), *Digital Preservation: Architecture and Technology for Trusted Digital Repositories*, Microform and Imaging Review 34 (3);
4. Featherstone M., (2008), *Archiving cultures*, Wiley.
5. Conway B., (2014), *Automated Integrative Complexity*, Wiley
6. Wells, S., (2002), *"Claiming the Archive for Rhetoric and Composition."* Rhetoric and Composition as Intellectual Work. Ed. Gary A. Olson. Carbondale, IL: Southern Illinois UP.
7. Ulman, H. Lewis, S., Lloyd D., and Selfe K., (2010), *"Literacy Narratives that Speak to Us: Curated Exhibits from the Digital Archive of Literacy Narratives"*. Microsoft Word file.

The importance of digital technologies in the formation of archival information

Tinatin Mshvidobadze
Gori State University

Summary

Digital archives provide wider access to archival materials, but new challenges arise in archiving with technological changes. The article discusses Susan Wells' modern view of digital archive offerings. The article argues that researchers-teachers in the field of rhetoric and composition should understand these suggestions in order to be able to develop, use, teach and manage digital archives.

ქალაქისა და ეტრატის მშრალი წესით გაწმენდის თანამედროვე კონცეფციების შესახებ

შორენა თავაძე
კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ხელნაწერის კონსერვაცია-რესტავრაციის უმნიშვნელოვანესი ეტაპია მისი პირველადი დამუშავება, რაც გულისხმობს საწერი მასალის გაწმენდას მრავალსაუკუნოვანი ნალექი ჭუჭყისგან, სანთლის ნალვეთებისგან და სხვა. როგორც ცნობილია, საწერი მასალის ზედაპირიდან მათ მოსაცილებლად საჭიროა სხვადასხვა საშუალება და ტექნოლოგია. ზედაპირული ჭუჭყისა და სანთლის მოშორება შეიძლება მექანიკურად, ლანცეტის გამოყენებით, ხოლო მასალის ფორებში ჩამჯდარი ჭუჭყის მოცილება საკმაოდ რთულია.

შეიძლება ითქვას, რომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სარესტავრაციო ლაბორატორიაში ხდება ფურცლების ზედაპირული გაწმენდა ფუნჯისა და ბამბის ტამპონის საშუალებით; მაგრამ ამ მეთოდით არ ხდება მასალის ფორებში ჩამჯდარი ჭუჭყის მოცილება, რაც პრობლემაა. ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად დაიწყო ახალი გზების ძიება ამ პრობლემის გადასაჭრელად. ეს საკითხი კარგად შეისწავლეს და ახალი მიდგომები შეიმუშავეს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. საინტერესო კვლევები განხორციელდა კიოლნის (გერმანია) რესტავრაციისა და კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

ამ ლაბორატორიაში მაღალ დონეზეა ეტრატის კვლევისა და კონსერვაცია-რესტავრაციის მეთოდები. დაზიანებულ წერილობით ნიმუშებზე საწყის ეტაპზე აუცილებელია სწორი დიაგნოსტიკა „მკურნალობის“ მართებული მეთოდის შესარჩევად.

ერთი წლის განმავლობაში მიხედვოდა სხვადასხვა სახის დაზიანების მქონე ეტრატის მასალაზე დაკვირვება და მისი პირველადი დამუშავება იქ შესწავლილი და აპრობირებული მეთოდებით.

სარესტავრაციო პროცესის დაწყებამდე, ეს იქნება ეტრატზე შესრულებული საბუთები, ხელნაწერი წიგნი, მელნისგან დაზიანებული ფურცელი თუ ტყავისა და ეტრატის ყდები, ყოველთვის მნიშვნელოვან საკითხად განიხილება გაწმენდა. გაწმენდის ძირითადი პრობლემაა ობიექტის ფორებში ჩამჯდარი მტვერი და ჭუჭყი.

მნიშვნელოვანია სარესტავრაციო ხელნაწერი წიგნის მშრალად გაწმენდა; გაწმენდა ხდება ფუნჯით, საშლელითა და სპეციალური ღრუბლით, რომელიც ჭუჭყს კარგად იღებს. ღრუბლის გასმა შეიძლება ნაბეჭდ ტექსტზე, მაგრამ ყოველთვის დაუშვებელია მისი გამოყენება ხელნაწერი წიგნის ტექსტზე. ამ საშუალებებით სუფთავდება წიგნის მხოლოდ დაუწერელი ადგილები, ხელნაწერი წიგნის ტექსტი კი მხოლოდ განიერი, ძალიან რბილი ფუნჯით იწმინდება. როგორც წესი, მტვრიანი და ძლიერ დაბინძურებული ერთეულები იწმინდება სხვადასხვა საშლელი საშუალების ზედაპირზე ხახუნით, ხოლო წებოს ნარჩენებს ამორებენ ადჰეზიური საშუალებით.

რთულია და განსაკუთრებულ ყურადღებასა და სიფრთხილეს მოითხოვს ისეთი ზედაპირისა და მასალების გაწმენდა, როგორებიცაა: მყიფე ქაღალდი და ეტრატი, ბეჭედი, გრაფიკა, ფერწერა, ფოტოპირები, ლითოგრაფია და სხვა.

ქაღალდის ზედაპირული დაბინძურების მოცილებამ საშლელი საშუალების ხახუნით შესაძლოა ზედაპირის დაზიანებამდე ან გაპრიალებამდე მიგვიყვანოს. ყველა შემთხვევაში გაწმენდის პრინციპი მდგომარეობს ჭუჭყის ნაწილაკების შეწებებაში. კვლევის შედეგად ეს პრობლემა გადაიჭრა „რბილი“ ქვიშა-ჭავლური დამუშავების გზით.

სიახლე, რომელიც დანერგილი კიოლნის რესტავრაციისა და კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, არის მშრალად გაწმენდის ერთ-ერთი მეთოდი; ასე იწმინდება სხვადასხვაგვარად დაბინძურებული მასალის ზედაპირი. გაწმენდის სწორედ ეს მეთოდი გვადლევს როგორც ზედაპირული, ასევე ფორებში, ბოჭკოებს შორის არსებულ ადგილებში, ძლიერ ჩამჯდარი მტვრისა და ჭუჭყის მოშორების საშუალებას.

გაწმენდის ეფექტურობა დამოკიდებულია ობიექტის ზედაპირის დაბინძურების ხარისხზე, ასევე შემსრულებლის ხელმარჯვეობაზე.

გაწმენდის განსხვავებული მეთოდი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია როგორც მცირე, ასევე დიდი ფორმატის ფიზიკურად მდგრად სარესტავრაციო მასალაზე საშლელი გრანულების გაფანტვით გაწმენდა, არის ჭავლური დამუშავების კამერის გამოყენება.

საკვლევად შეარჩიეს უსაფრთხო საწმენდი მასალები: ცელულოზის ბოჭკო (Cellulosefasern Arbocel®), მიკროკრისტალინის ცელულოზა (Mikrokristalline Cellulose MCC),

ხორბლის სახამებლის (Weizenstärkepulver) და ჯელატინის ფხვნილი (Gelatinepulver). ჩატარებული კვლევებითა და ტესტირებებით დამტკიცდა აღნიშნული მასალების ვარგისიანობა და, შესაბამისად, ობიექტის დაზღვევა საწმენდი მასალის ურთიერთქმედებისგან.

ძალიან მნიშვნელოვანია გამწმენდი საშუალებების შერჩევა მათი მახასიათებლებისა და მიხედვით. ცალკეული კვლევებით ცელულოზის ბოჭკო (Arbocel® BBW 40 Arbocel®) შედგება ცელულოზის (200 μm) სუფთა ბოჭკოებისგან ან სხვადასხვა სიგრძის (32–300 μm) ბოჭკოთა ნარევისგან.

მიკროკრისტალური ცელულოზებით (MCC Heweten 102, Heweten 102 და Heweten 200) მუშაობა უფრო რთულია, ვიდრე Arbocel-თან. MCC სწრაფად აცილებს მტვერს და მტვრიან ნადებს. მაგრამ ჭუჭყის მოცილება MCC საშუალებით შესაძლებელია მხოლოდ ძალიან სტაბილურ და მყარ ზედაპირზე.

ცელულოზის ბოჭკოები აღმოჩნდა ძალიან რბილი გამწმენდი საშუალება. მისი მეშვეობით ყველა ობიექტი გაიწმინდა ზედაპირის დაზიანების გარეშე. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ MCC ბევრად უფრო უხეშია, ვიდრე არბოცელის ბოჭკოები.

ხორბლის სახამებლის გამოყენება საყოველთაოდ მიღებულია და გავრცელებული რესტავრაციაში და კვლევების შედეგებმაც დაადგინა წმენდის ეფექტურობა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სახამებელი Arbocel-ზე უფრო უხეში მიკრონაწილაკებისგან შედგება და შეიძლება საღებავის ფენა დააზიანოს. ფოტოგრაფიულ ჯელატინზე მიკროსკოპულმა დაკვირვებამ და კვლევის შედეგების შეჯერებამ აჩვენა, რომ მისი ბასრი კიდეების მქონე ნაწილაკები აზიანებს ზედაპირს და ვერ უზრუნველყოფს მგრძნობიარე ზედაპირების ფრთხილ და რბილ წმენდას.

საცდელ ნიმუშებზე ცდებმა გამოავლინა, თუ როგორ არის დამოკიდებული წმენდის შედეგი გამოყენებულ საწმენდ მასალაზე, დამუშავების მანძილზე, ჭავლის ინტენსივობასა და ფრქვევის კუთხეზე.

საცდელ ნიმუშზე წმენდის ძალიან კარგი შედეგი მიიღეს Arbocel® BWW 40-ითა და ხორბლის სახამებლის ფხვნილით. მიუხედავად ამისა, განსაკუთრებული სიფრთხილეა მაინც საჭირო მომჩვენებელი, ასევე ძალიან დაბზარული ფენების შემთხვევაში, რათა მასალის ნაწილაკებმა არ დააზიანოს ზედაპირი. ზოგადად უნდა ითქვას, რომ წმენდის ინტენსივობის დროს ზედაპირი შეიძლება განადგურდეს ნებისმიერი მასალის გამოყენების შემთხვევაშიც კი.

ზედაპირის გაწმენდის წარმოდგენილ ტექნოლოგიას შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ტრადიციულ მშრალ წმენდას. ის საშუალებას იძლევა სწრაფად გაიწმინდოს დიდი ფორმატის ობიექტები; რბილი და მგრძნობიარე ზედაპირები შეიძლება გაიწმინდოს სტრუქტურის დაზიანების გარეშე ცელულოზისა და ხორბლის სახამებლის ფხვნილის დახმარებით.

სარესტავრაციო ტერმინოლოგიაში „ქვიშა-ჭავლურმა დამუშავებამ“ თავი დაიმკვიდრა, როგორც ტექნიკურმა ტერმინმა. ქვიშა-ჭავლური აპარატებითა და წვრილმარცვლოვანი ნივთიერებების გამოყენებით შესაძლოა დამუშავდეს და გაიწმინდოს მინა, ქვა, ლითონი და სხვა. ჭავლით წმენდისთვის გასათვალისწინებელია წნევა, ასევე მნიშვნელოვანია ჭავლის კუთხე, შესაფერისი სამუშაო მანძილის შერჩევა, გასაწმენდი საშუალებების ტექნიკური მახასიათებლები, გამწმენდი საშუალების მიწოდების რაოდენობა და სხვა, რათა უფრო მეტად არ დაზიანდეს ისედაც დაზიანებული ფენები და ადგილები.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მუშაობის პროცესში წმენდის ინტენსივობა ობიექტისთვის ინდივიდუალურად უნდა შეირჩეს. ყველა რესტავრატორმა, რომლებიც იმუშავებენ აპარატის გამოყენებით, უნდა ჩაატაროს ტესტირება შაბლონზე.

წარმოდგენილი ცდები არ ასახავს აბსოლუტურ შედეგებს. საბოლოოდ წმენდის ეფექტურობა და შედეგი დამოკიდებულია დაბინძურების სახეობაზე, ობიექტის ზედაპირზე, ასევე შემსრულებლის მგრძნობიარობასა და ხელმარჯვეობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილმა და რეკომენდებულმა მშრალი წმენდის მეთოდოლოგიამ წარმატებით გაიარა აპრობაცია, ევროპის წამყვან სარესტავრაციო ცენტრებში ისევ გრძელდება კვლევითი სამუშაოები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Jacek, B. (2012). Ein neues Verfahren und neue Materialien zur trockenen Reinigung von Papier und Pergament. NRW-Papierrestauratoren. N13, Neus, s.51.

2. Тавадзе, III. (2018). Реставрация и консервация фрагмента рукописи XV века, выполненной на пергаменте (CICS). Сохранение культурного наследия. Исследования и реставрация. Материалы II Международной конференции в рамках V Международного культурного форума. Санкт-Петербург.

On modern concepts of dry cleaning of paper and parchment

Shorena Tavadze

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

Summary

The most important phase of manuscript conservation and restoration is its primary processing that implies cleaning of writing material from sediment dirt of centuries, crumbs of candle, etc.


Interesting researches have been conducted at Cologne Institute for Conservation Sciences (CICS), where parchment research and conservation-restoration methods are studied and implemented on high-level. Correct and determined diagnostics of damaged written specimens is important and necessary on the initial stage for selecting the proper method of “treatment”.

The novelty implemented in this research institute is one of the methods of dry cleaning enabling to clean the surfaces of variously contaminated materials.

Distinguished method of cleaning that enables to clean small and big format physically firm material by dispersing erasing granules is jet processing chamber utilization.

The presented and recommended dry cleaning methodology has successfully been approved. However, the research works in leading restoration centers of Europe are still underway.





დაზგური გრაფიკის ტექნიკით შესრულებული ნამუშევრებისა და მათი მატრიცების მოვლა-შენახვა

ია ბახტაძე

დაზგური გრაფიკა ტექნიკურად ძალიან მრავალფეროვანი და საინტერესო სახვითი ხელოვნების ნაირსახეობაა. ნამუშევრების შესრულების მანერით შეიძლება ბეჭდური ნამუშევრები 3 ძირითად ჯგუფად დავყოთ: ბრტყელი, ღრმა და მაღალი ბეჭდვა. ბრტყელი ბეჭდვისას საბეჭდი მატრიცის მთელი ფართობი ბრტყელია, ანუ მის ზედაპირზე არ არის აშკარა სხვაობა დასაბეჭდსა და ცარიელ ადგილების სისქეს შორის, ღრმა ბეჭდვისას მატრიცა იკაწრება, იჭრება ან იწამლება, ჩაღრმავებულ ადგილებში ხვდება საღებავი და საბეჭდ დაზგაში (წნეხში) გატარების შემდეგ გადადის ქაღალდზე; მაღალი ბეჭდვისას, პირიქით,

ხდება - ამოჭრილი ნაწილები საღებავის გარეშე რჩება, ხოლო ამოუჭრელად დარჩენილი ამაღლებული ნაწილები იფარება საღებავით და იბეჭდება.

მატრიცის მასალა განსხვავებულია, ეს შეიძლება იყოს ქვა, ლითონის სხვადასხვა ფირფიტა, მინა, ლინოლეუმი, ხე, ქსოვილი. მათი უმრავლესობის გამოყენება მრავალჯერაა შესაძლებელი, 1500 ამონაბეჭდამდე, მატრიცის შესაბამისად.

ამონაბეჭდი, როგორც წესი, სრულდება 200-300 გრამაჟის მქონე ქაღალდზე საღებავებით ცხიმოვან ან წყლის ბაზაზე. ამონაბეჭდების შენახვისას ყურადღება უნდა მიექცეს ტენიანობის ბალანსის დაცვას; ასევე როგორც ამონაბეჭდები, ისე მატრიცები სასურველია მოარიდოთ მზის პირდაპირ ზემოქმედებასა და ჭარბ სიცხეს.

შენახვისას სითბო არ უნდა აღემატებოდეს 30°C-ს და არ იყოს 0°C-ზე ნაკლები.

ესტამპების შენობაში შესანახად საჭიროა რამდენიმე მნიშვნელოვანი პირობის დაცვა:

— შენობა უნდა იყოს მშრალი, გრილი და ულტრაიისფერი სხივების პირდაპირი ზემოქმედებისგან დაცული;

— ჩარჩოში ჩაუსმელი ესტამპები უნდა ინახებოდეს სპეციალურ შეფუთვაში: საარქივო პორტფოლიო, უმჯავო მუყაოს პასპარტუ, ანტიოქსიდური მასალების დამცავ ფაილებში;

— მოხერხებულობისთვის დამცავ შეფუთვაზე უნდა იყოს ეტიკეტაჟი მხატვრის, ნამუშევრის სახელწოდების, ტექნიკისა და შექმნის წლის მითითებით;

— ესტამპის ჩარჩოში ჩასმისას იყენებენ სამუზეუმო მინასა და უმჯავო მუყაოს პასპარტუს;

— ჩარჩოში ჩასმული ესტამპების გამოსაფენად აუცილებელია ადგილის შერჩევა სინათლის მინიმალური რაოდენობით (70 ლუქსამდე).

ანაბეჭდების გაფორმება ხდება დაახლოებით ერთნაირად; საკმაოდ ხშირად გამოიყენება პასპარტუ, რომელიც სისქის ხარჯზე (1,6-1,8 სმ) გვამღევს ჰაერის შრეს მინასა და ნამუშევარს შორის. თუ ამონაბეჭდს აქვს საკმაოდ განიერი სუფთა არეები, პასპარტუს გაკეთების აუცილებლობა არაა. ჩარჩოს შერჩევისას უპირატესობა ენიჭება დეტალებით ნაკლებად დატვირთულ ლითონის წვრილ სადა ჩარჩოებს.

ბეჭდური გრაფიკისთვის ძირითადად გამოიყენება მინა - პოლირებული, სამუზეუმო, ბევრად უფრო იშვიათად - მქრქალი, რომელიც გამოსახულებიდან დისტანციაზე იმყოფება და გამოსახულებას სიმკვეთრეს აკარგვინებს; ეს განსაკუთრებით არასასურველია ბეჭდური გრაფიკის ნიმუშების შემთხვევაში, როდესაც ბევრი მცირე ზომის ნატიფი დეტალია.

უკანა ნაწილისთვის გამოიყენება სუფთა ცელულოზის მუყაო. ამგვარი მუყაოს გამოყენება სამუზეუმო მინასთან ერთად უზრუნველყოფს გრაფიურის დაცვას მრავალი წლის განმავლობაში.

ყველაზე დამლუპველად ნამუშევარზე შემდეგი ფაქტორები მოქმედებს:

- მზის სინათლე;
- მომატებული ტემპერატურა ან ტენიანობა;
- მასალების მჟავოვანი ორთქლი;
- მავნე აიროვანი ელემენტებით დაბინძურებული ჰაერი;
- წვრილი მტვერი;
- ბიოლოგიური ფაქტორები (სოკო, ობი და ა. შ.).

ანაბეჭდების მუყაოს ან პლასტმასის ტუბებში ხანგრძლივი დროის განმავლობაში შენახვა არაა რეკომენდებული, რადგან ასე შენახვა იწვევს ქაღალდის დეფორმაციას, რომელიც გასწორებისას შესაძლებელია დაზიანდეს.

იმისთვის, რომ მატრიცა მაქსიმალურად კარგად შეინახოს და მისი გამოყენება ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყოს შესაძლებელი, აუცილებელია მისი წმენდა.

განსხვავებულ მატრიცებს განსხვავებული წმენდისა და შენახვის პირობები სჭირდება მატრიცის მასალისა და გამოყენებული საღებავის გათვალისწინებით.

საბეჭდი ფორმების სწორი წმენდა და შენახვა იძლევა მათი ხანგრძლივად გამოყენების საშუალებას ხარისხის გაფუჭების გარეშე. წმენდა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საბეჭდი საღებავების უმრავლესობა შრობის შემდეგ მეტ-ნაკლებად იჭედება გრავიურის ღარებს შორის, ასევე ეწებება ზედაპირს, რითაც მას უსწორმასწოროს ხდის და შემდგომი ანაბეჭდების ხარისხს მნიშვნელოვნად აფუჭებს. საბეჭდი ფორმების იმგვარი საღებავისგან გაწმენდა, რომელიც წყლის ბაზაზე არაა დამზადებული, შესაძლებელია გამხსნელების, მაგ., სინთეტიკური გამხსნელის მეშვეობით, რომელიც ნავთობპროდუქტების ბაზაზე მზადდება. უნდა აღინიშნოს, რომ გამხსნელებს ხშირად საკმაოდ ძლიერი და აგრესიული ზემოქმედება აქვს, ასე რომ, საბეჭდი ფორმების უკეთ დასაცავად უმჯობესია სხვა, ნაკლებად აგრესიული, საწმენდი საშუალებების გამოყენება. დღეისათვის ბაზარზე არსებობს არაერთი პროფესიული სარეცხი საშუალება, რომლებიც უშუალოდ შექმნილია საბეჭდი ფორმებისა და ინსტრუმენტების - როგორებიცაა: ლილვაკები, მასტიხინები, შპატელები და სხვა - საწმენდად; მათ შორისაა ბიო ვოში და ლოტუს ვოში, რომლებიც სათუთად წმენდს ზედაპირს და უზრუნველყოფს მათ ხანგრძლივ დაცვას.

ლითონის საბეჭდი ფორმები გამოიყენება ნამუშევრების შესაქმნელად გრავიურის სხვადასხვა ტექნიკით. ლითონებიდან ყველაზე ხშირია თუთიის ან სპილენძის ფირფიტები, რომელთა სისქეც ჩვეულებრივ მერყეობს 0,5 მმ-დან 1 მმ-მდე. თუთიისა და სპილენძის საბეჭდი ფორმების ხანგრძლივად შენახვისთვის რეკომენდებულია მისი დაფარვა ბიტუმის ლაქის მსხვილი ფენით, რომელიც უზრუნველყოფს მის კარგ დაცვას მავნე გარე ფაქტორებისგან. დაბეჭდვის წინ ხდება ლაქის ძირფესვიანი მოშორება, ხოლო დაბეჭდვის შემდეგ შესაძლებელია მისი კვლავ დაფარვა ლაქის რამდენიმე ფენით, რათა მივიღოთ ლაქის სქელი ფენა ფირფიტის ადეკვატური დაცვისთვის. ლითონის საბეჭდი ფირფიტების ხანმოკლე შენახვა შესაძლებელია უმჟაო ან დაბალი მჟავიანობის მქონე ქაღალდში ან ქსოვილში გახვევით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტენიანობის დონის დაცვას, რადგან მაღალმა დონემ შესაძლებელია გამოიწვიოს ლაქების ან ნადების წარმოშობა.

ისეთი საბეჭდი ფორმების შემთხვევაში, რომლებიც მიდრეკილია დეფორმაციისკენ (მაგ., ლინოლეუმი), მნიშვნელოვანია მათი ისე შენახვა, რომ დეფორმაციის რისკი მინიმალური იყოს, მაგალითად, ჰორიზონტალურად სწორ ზედაპირზე.

ლინოგრაფიურისთვის გამოიყენება კლასიკური (სელის შემცველი) ლინოლეუმის ფორმები, აგრეთვე მათი თანამედროვე ალტერნატივები; მათგან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია სოფთქათი, რომელზეც მუშაობა ძალიან მოხერხებულია, ამიტომაც სულ უფრო ხშირად ლინოგრაფიურაზე მომუშავე თანამედროვე ხელოვანები მასზე აჩერებენ არჩევანს. როგორც კლასიკური ლინოლეუმის, ასევე სოფთქათის სისქე, დაახლოებით 3 მმ-ს შეადგენს. დღეისათვის სულ უფრო ხშირად უპირატესობა ენიჭება წყლის ბაზაზე შექმნილ საღებავებს, მათი წმენდა სუფთა წყლის ჭავლით თავისუფლად შესაძლებელი ბეჭდვიდან მალევე, სანამ საღებავი გახმება, შემდეგ უკვე საჭიროა წმენდისას სპეციალური სარეცხი საშუალებების დამატება. გარეცხილი საბეჭდი ფორმები უნდა კარგად გაშრეს. ლინოლეუმის შემთხვევაში ტენიანობის დონესთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია ტემპერატურული რეჟიმის კონტროლი, რადგანაც კლასიკური ლინოლეუმი შეიცავს ცხიმს, რაც მას ელასტიკურს ხდის, ხოლო მაღალი ტემპერატურის შემთხვევაში ის შესაძლებელია გამოშრეს და გახდეს მტვრევადი, გაუჩნდეს ნახეთქები ან ამოვარდეს მისი ზოგიერთი შედარებით ნატიფი ნაწილი, რაც უთუოდ აისახება შემდგომი ანაბეჭდების ხარისხზე. გამოშრობა შედარებით ნაკლები,

თუმცა მაინც სერიოზული რისკია ლინოგრაფიურის თანამედროვე ფორმების (მაგ., სოფთქათი) შემთხვევაში.

ქსილოგრაფიის შემთხვევაში მატრიცა წარმოადგენს სხვადასხვა ჯიშის ხეს (ძალიან ხშირია ბზისა და მსხლის გამოყენება ამ მიზნისთვის). ამ შემთხვევაში, საბეჭდი ფორმის მექანიკური დაზიანების, მისი ტენიანობისა და ტემპერატურით დაზიანების გარდა, უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული იმ პარაზიტების შესაძლო ზემოქმედება, რომლებიც იყენებენ ხის ნაჭრებს თავიანთი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.

ლითოგრაფია ბეჭდური გრაფიკის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა. ამ ტექნიკაში საბეჭდო ფორმებად გამოიყენება სპეციალური ქვის ფილები. დასაბეჭდი მასალის დატანებამდე საჭიროა ქვის ზედაპირის მომზადება, რომელიც ხდება ორი მეტ-ნაკლებად ერთნაირი ზომის ქვის ფილის ერთმანეთზე ხახუნით; ამ დროს ორ ქვას შორის საკმარის რაოდენობის წყლისა და აბრაზიული ქვიშის ფენაა. რაც შეეხება უშუალოდ საბეჭდი საღებავის მოშორებას, ის სპეციალური საწმენდი საშუალებით ხდება. ლითოგრაფიის შემთხვევაში ხანგრძლივი საბეჭდი ფორმების - ქვების - შენახვა ნაკლებად რეკომენდებულია. ამის მიზეზი არის თავად ლითოგრაფიის შექმნის ტექნოლოგია. ამ პროცესში გამოიყენება ცხიმი, რომელიც დროთა განმავლობაში ჩადის ღრმად ქვაში, რაც საბეჭდი ქვის ახალი ლითოგრაფიის შესაქმნელად გაწმენდას ართულებს, რადგან საკმაოდ მსხვილი შრის მოშორება ხდება საჭირო.

გამოყენებული ლიტერატურა:

<https://abaget.ru/oformlenie-grafiki/oformlenie-gravyur>.

<https://abaget.ru/stati/bagetnaya-masterskaya-sovety-po-oformleniyu-ot-artland-chitat-obyzatelno>.

http://www.zimitgallery.com/ru/limited_edition_art/.

<https://www.boesner.com/drucktechniken/druck/lithografie/bio-wash>.

<https://www.boesner.com/drucktechniken/druck/lithografie/lotus-wash>.

<https://www.neoart.ru/klient/articles/83808/>.

ანტიკური ხანის ბერძნული წარწერები, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო
(დასავლეთ საქართველო)

ნათია ფიფია, ეკატერინე კობახიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

Ancient Greek Inscriptions Found in Western Georgia as a Source to Study Georgian History
Natia Phiphia, Ekaterine Kobakhidze, Ivane Javakhishvili Tbilisi State Unieversity გვ. 1-21.

ვენეციური საარქივო მასალები ქართლის მეფის, სიმონ I-ის შესახებ

გაგა შურღაია, ნეაპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტი „ლ'ორიენტალე“

Documentary Materials in the State Archive of Venice about the King of Kartli, Simon I

Gaga Shurgaia, University of Naples L'Orientale

გვ. 21-41.

სამცხე-საათაბაგო სეფიანური ირანისა და ქართლის მაჰმადიანი მეფეების (სვიმონ II,
როსტომი) ინტერესთა ჯაჭვში (დოკუმენტური წყაროების მიხედვით)

თეა ქართველიშვილი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი

Samtskhe Saatabago in the Chain of Interests of Safavid Iran and Moslem Kings of Kartli
(Svimon II, Rostom) (On the basis of documentary sources)

Tea Kartvelishvili, Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts

გვ. 42-52.

ყარაჯაანთ ეკლესიის ლაპიდარული წარწერები მეფეთ-მეფე გიორგისა და მისი შვილი
თამარის მოხსენიებით

ნიკოლოზ ჟღენტი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული
ცენტრი

Lapidary Inscriptions from Karajaant Church Mentioning King of the Kings Giorgi and his
Daughter Princess Tamar

Nikoloz Zhghenti, Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

გვ. 52-61.

ლაგოდეხის თელის კომპლექსის იდენტიფიკაციისთვის

ქეთევან დიღმელაშვილი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული
სააგენტო

For the identification of the Tela complex in Lagodekhi

Ketevan Digmelashvili, National Agency for Cultural Heritage Preservation Georgia

გვ. 62-73.

გარე კახეთი საარქივო დოკუმენტებში

თინათინ ჯაბადარი, საქართველოს ეროვნული არქივი

Archival documents of Gare Kakheti

Tinatin Jabadari, National Archives of Georgia

გვ. 74-87.

რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე
უნკიარ-ისკელესის შეთანხმების პერიოდში (1833-1841 წლები)

მზია ტყავაშვილი, თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი

Russian Politics In The North-Eastern Shores Of The Black Sea During The Unkiar - Skelessi
Treaty (1833 - 1841)

Mzia Tkavashvili, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Department of Modern and
Contemporary History of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology გვ. 88-96.

ინფექციურ სნეულებებთან დაკავშირებული გადმოცემები ხევსურეთსა და თუშეთში

ნანული აზიკური, თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
Folk Narrations Related to the Infections in Khevsureti and Tusheti

Nanuli Azikuri TSU Iv. Javakhishvili Institute of History and Ethnology გვ. 96-109.

ცნობილი საზოგადო მოღვაწეები მუჰაჯირობის შესახებ XIX საუკუნის ბოლოსა და XX
საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში

ნარგიზ ახვლედიანი, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

Famous Public about "Mohajiroba" (Resettlement) in Georgian Media of XIX-XX cc.

Nargiz Akhvlediani, Institute of Niko Berdzenishvili, Batumi Shota Rustaveli State University

გვ. 109-112.

ირაციონალური თერაპია – მითი, რიტუალი, რწმენა (ძიებანი რელიგიის
ფსიქოლოგიაში ინფექციური დაავადებების მაგალითზე)

ნინო ღამბაშიძე, ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია
"Irrational Therapy" – Myth, Ritual, Belief (Studies in the Psychology of Religion on the
Example of Infectious Diseases)

Nino Ghambashidze, Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire

გვ. 112-121.

მიხეილ მაჩაბელი და ქართული საქველმოქმედო საზოგადოება საქართველოს
ეკლესიის სამსახურში (1917 წ.)

ირინა არაბიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

Mikheil Machabeli and Georgian Charitable Society in the Service of the Georgian Church
(1917)

Irina Arabidze, TSU, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

გვ. 121-130.

ატენის (ტანის) ხეობის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი და მისი
მფლობელობის საკითხი

მაია შაორშაძე, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Analysis of Ateni (Tana) Gorge in Historical-Source Studies Context and the Issue of Its Ownership

Maia Shaorshadze, Korneli Kekelidze Georgian National Center of Mnuscripts

გვ. 130-146.

რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე უნკიარ-ისკელესის შეთანხმების პერიოდში (1833-1841 წლები)

მზია ტყავაშვილი, თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

Russian Politics In The North-Eastern Shores Of The Black Sea During The Unkiar - Skelessi Treaty (1833 - 1841)

Mzia Tkavashvili, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Department of Modern and Contemporary History of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

გვ. 146-154.

ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა და ვერსიები (ახლად მოძიებული საარქივო დოკუმენტების ფონზე)

თამარ ღურთსკაია, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Assassination of Exarch Nikon and versions (based on newly found archival documents)

Tamar Ghurtskaia, Iakob Gogebashvili Telavi State University

გვ. 155-161.

მიხეილ ხელთუფლიშვილი: ცხოვრებისა და მოღვაწეობის უცნობი დეტალები დოდო ჭუმბურიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

Mikheil Kheltuplishvili: Unknown Details of Life and Activities

Chumburidze Dodo, Ivane Javakhishvil Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

გვ. 161-176.

პიეტა და ქართული ბაროკო

საბა მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

Pieta and Georgian Baroque

Saba Metreveli, Georgian National Academy of Sciences

გვ. 176-187.

ეროვნული იკონოგრაფიული თემები ლონგოს მოხატულ თბილისის წმიდა სამების ეკლესიაში

ლალა ოსეფაშვილი, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი

National Iconographical topics in Painting Tbilisi Holy Trinity Church by Longo

Lali Osepashvili, Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University

გვ. 187-192.

„იამბე, ციხის ნაშალო“ (ისტორიული სამურზაყანოს ტოპონიმების მიხედვით)
ირმა კვაშილავა, თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი

„IAMBE, TSIKHIS NASHALO“ (According to Toponyms of Samurzakano)

IRMA KVASHILAVA, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Iv. Javakhishvili Institute of
History and Ethnology

გვ. 193-198.

უცხო ზეგავლენისა და ლოკალური ტრადიციულობის გამოვლინება თრიალეთის
კულტურაში: ხედვა სამხრეთ კავკასიიდან

მარინე ფუთურიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Reflection of an Alien Influence and Conventionality in the Trialeti Culture: View from the South
Caucasus

Marina Puturidze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

გვ. 198-206.

ტრადიციული და თანამედროვე ტენდენციები ქართული სამინანქრო ხელოვნების
განვითარებაში

ირმა გუგუშვილი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის
უნივერსიტეტი

გვ. 206-212.

პლასტიკურ ხელოვნებათა სწავლების სისტემის პოლიტიკურ-იდეოლოგიური
ასპექტები 1920-30-იანი წლების საქართველოში

სოფიო პაპინაშვილი, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

Political-ideological aspects of the plastic arts teaching system in Georgia in the 1920s and
1930s

Sopio Papinashvili, Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

გვ. 212-218.

გვიანი ბიზანტიური ნეუმური დამწერლობის შემცველი ხელნაწერების სამუსიკო
პალეოგრაფიული ანალიზისთვის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში
დაცული ბერძნული ხელნაწერების - gr. 11, gr.9, gr 19 მიხედვით

ეკატერინე ონიანი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

For Musical Paleographic Analysis of Late Byzantine Neumatic Manuscripts (According to
the Greek Codices gr., gr.9, gr 19 – preserved at the Georgian National Centre of
Manuscripts)

Ekaterine Oniani, Tbilisi State Conservatoire

გვ. 218-226.

ივირონის მონასტრის წიგნსაცავში დაცული XI საუკუნის ტყავის ტვიფრული ყდები
მაია კარანაძე, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული
ცენტრი

Embossed leather covers of the 11th century preserved in the Library of Iviron Monastery

Maia Karanadze, Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts გვ. 230-233.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი-მულტიკულტურული ცოდნის ამსახველი
ძეგლი (დავით და იოანე ბატონიშვილების მიერ შევსებული ნუსხა)
თამარ აბულაძე, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
Sulkhan-Saba Orbeliani Dictionary – a monument reflecting multicultural knowledge
(Manuscript filled in by David and Ioane Batonishvili)

Tamar Abuladze, Korneli Kekelidze National Center of Manuscripts გვ. 233-238.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავების კვალდაკვალ - ახალი მასალები
მაია ცერცვაძე, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

In the footsteps of Nikoloz Baratashvili's Relatives - New Material

Maia Tsertsvadze, St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of
Georgia გვ.238-243.

ილია ოქრომჭედლიშვილის წვლილი ქართული ხელნაწერებისა და საარქივო
მასალების შეგროვება-გამოცემის საქმეში

მარიამ კობერიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Ilia Okromchedlishvili's contribution to the collection and publication of Georgian
manuscripts and archival materials

Mariam Koberidze, Gori State Teaching University გვ. 244-249.

ილია ჭავჭავაძის გამოუქვეყნებელი საარქივო მასალის სისტემატიზაცია

მაია ნინიძე, ივანე ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Systematization of Ilia Chavchavadze's Archival documents

Maia Ninidze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University გვ. 250-256.

„რკინის კარი საქართველოსი“ (ერეკლე მეფის სახე აკაკისა და ილიას რამდენიმე
უცნობ და მივიწყებულ წერილში)

ელისაბედ ზარდიაშვილი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი

"An Iron Door of Georgia" (The image of King Erekle in several of Akaki's and Ilia's
unknown and forgotten letters)

ElisabedZardiashvili, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

გვ.256-262.

„ბრძოლა სწორუფლებისათვის“ საქართველოში (ლიტერატურის მუზეუმში დაცული ხელნაწერების მიხედვით)

ია ღაღუა, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი

“Fight for Equality of Rights” in Georgia (According to the manuscripts preserved in the Museum of Literature)

Ia Ghadua, Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature

გვ. 262-270.

პირველი ქართული გაზეთი მეფის რუსეთის ენობრივი პოლიტიკის კონტექსტში (XIX საუკუნის 20-იანი წლების საქართველო)

თამარ დემეტრაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

The first Georgian newspaper in the context of Tsarist Russian language policy (Georgia in the 1920s)

Tamar Demetrashvili, Ilia State University G. Tsereteli Institute of Oriental Studies

გვ. 270-281.

„კოვკასი“ - პირველი სომხური გაზეთი სამხრეთ კავკასიაში (წინაპირობები და გამოწვევები)

ქეთევან ოთარაშვილი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

„Covcas“ - the first Armenian newspaper in the South Caucasus (Prerequisites and Challenges)

Ketevan Otarashvili, National Parliamentary Library of Georgia

გვ. 282-289.

განათლება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)

ნატო სონღულაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

The Educational System in the Democratic Republic of Georgia (1918-1921)

Nato Songulashvili, Doctor of History, Asosieit Prifessor of Georgian Technical University

გვ. 290-299.

პოლონეთის არქივის Archiwum Akt Nowych დოკუმენტები პოლონურ-ქართული სამხედრო

ურთიერთობის ერთი დეტალის შესახებ (რადიოსადგურის საკითხი 1923 წელი)

მიხეილ ბახტაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გვ.299-305.

- საქართველოს აზერბაიჯანული მოსახლეობა კრებულ „ვათანის“ („Vətan“) ფურცლებზე
ელვირა ასლანოვი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Azerbaijani Population of Georgia on the Pages of Collection “Vatan”
Elvira Aslanovi, Tbilisi State University გვ. 306-313.
- პირველი აფხაზური გაზეთი „აფსნი“ (1919-1921)
თამარ გითოლენდია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
The first Abkhazian newspaper “Apsni” (1919-1921)
Tamar Gitolendia, Sokhumi State University გვ. 313-320.
- პონტოს საკითხი (το ποντιακό ζήτημα) ბათუმის ბერძნული გაზეთის მასალების მიხედვით (1920)
ეკა ტჩკოიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
Batumi's Greek newspaper (1920) about Pontic question
Eka Tchkoidze, Ilia State University გვ. 320-330.
- ლეო კერესელიძის პოლიტიკური და შემოქმედებითი არეალი
მარიამ მარჯანიშვილი, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი Leo Kereselidze's
Political and Creative Arena
Mariam Marjanishvili, Kutaisi State Historical Museum გვ. 330-349.
- ანტისაბჭოთა ნარატივი- უცნობი ლადო კოტეტიშვილი
სალომე კაპანაძე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
Anti-Soviet Narrative - Unknown Lado Kotetishvili
Salome Kapanadze, Grigol Robakidze University გვ. 349-358.
- დროებითი ცირკის შენობები XIX ს-ის მეორე ნახევრისა და XX ს-ის დასაწყისის თბილისში
თამთა შონვაძე, საქართველოს ეროვნული არქივი
Temporary circus buildings in Tbilisi of the second half of the 19th century and the beginning of the 20th century
Tamta Shonvadze, National Archives of Georgia გვ. 358-366.
- ღვინო და პური ციხიაგორის სატაძრო რიტუალში
ანა სახვაძე, საქართველოს ეროვნული მუზეუმი
Wine and Bread in the Temple Ritual of Tsikhiagora
Ana Sakhvadze, Georgian National Museum გვ. 366-372.

მევენახეობა და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები სამეგრელოს
ტრადიციულ და თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში
იოსებ შენგელია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Customs Connected to the Winegrowing in Samegrelo

Ioseb Shengelia , Sokhumi State University

გვ. 373-377.

გამქრალი მემკვიდრეობითი სახელები მთის სამეგრელოში (წალენჯიხის
მუნიციპალიტეტის მაგალითზე)
ქეთევან ციმიტია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

Disappeared Surnames in Highland Samegrelo (on the example of Tsalenjikha Municipality)

Ketevan Tsimitia, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

გვ. 377-387.

„სამანიშვილის დედინაცვალი“ - სიტყვიდან გამოსახულებამდე

ქეთევან პატარაია, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
„Samanishvili s’ Step-Mother“ - from word to image

Ketevan Patariaia, Shota Rustaveli Theater and Film Georgian State University გვ. 387-396.

გრიგოლ ჩხიკვაძის კახეთის 1952 წლის ექსპედიციის მასალები თბილისის
სახელმწიფო კონსერვატორიის არქივში

ნატალია ზუმბაძე, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

Materials of Grigol Chkhikvadze’s Field-Expedition to Kakheti (1952) in the Archives of
Tbilisi State Conservatoire

Natalia Zumbadze, Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire

გვ. 397-405.

IIIF ტექნოლოგია და ქართული ხელნაწერების დიგიტალური გამოცემის პრინციპები
ირინა ლობჯანიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

IIIF Technology and Principles of Digital Publishing Irina Lobzhanidze, Ilia State University

გვ. 405-415.

ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელობა საარქივო ინფორმაციის ფორმირებისას
თინათინ მშვიდლობაძე, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

The importance of digital technologies in the formation of archival information

Tinatini Mshvidobadze, Gori State University

გვ. 415-419.

ქალაქისა და ეტრატის მშრალი წესით განმუშავების თანამედროვე კონცეფციების
შესახებ

შორენა თავაძე, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

On modern concepts of dry cleaning of paper and parchment

Shorena Tavadze, Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts გვ. 419-423.

დაზგური გრაფიკის ტექნიკით შესრულებული ნამუშევრებისა და მათი მატრიცების მოვლა-შენახვა

ია ბახტაძე

გვ.423-426.